ყოლოსეული ს ვეფხი

ამირანი

უოლტერ სკოტი

აივენჰო

თარგმნა
ვახტანგ ჭელიძემ

თავი პირველი

ასეთი ტკბილი მუსაიფით, საღამო ხანად,
შინისკენ დაძრეს გამაძღარი ღორების კოლტი...
მაგრამ ღორები უმადური ჭყვიტინ- ჭყვიტინით
განზე გარბოდნენ და ბუჩქებში იხორხლებოდნენ.
ოდისეა

მხიარული ინგლისის იმ მომხიბლავ მხარეში, რომელსაც მდინარე დონი რწყავს, ძველად თვალუწვდენელი ტყე იყო გადაჭიმული. ეს ტყე შეფილდსა და მშვენიერ ქალაქ დონკასტერს შორის გადაშლილ ველებსა და გორაკებს თითქმის სულ ფარავდა. უენტვორთის საგვარეულო ციხე-სიმაგრეებისა და უონკლიფის პარკის მიდამოებში, როთერჰამის ირგვლივ, ამ ვეება ტყის ნაშთებს ახლაც კი ნახავს კაცი. როგორც გადმოგვცემენ, უონტლის ზღაპრული დრაკონი ოდესღაც თურმე აქ დააბოტებდა, ვარდებს შორის ატეხილ შინაომების დროსაც უმთავრესი სისხლისმღვრელი ბრძოლები აქ გადაუხდიათ[1], და იმ მამაც ყაჩაღებსაც, რომელთა გმირობა ასე ხოტბაშესხმულია ინგლისურ სიმღერებში, ძველ დროს აქვე უთარეშნიათ.

სწორედ ამ ადგილებში მოხდა, რასაც ახლა მოგითხრობთ. ეს იყო რიჩარდ პირველის[2] მეფობის მიწურულს, როდესაც დიდი ხნით ტყვეობაში ჩავარდნილი მეფის დაბრუნება მის ყოველნაირად შევიწროებულ და იმედგადაწყვეტილ ქვეშევრდომთათვის სასურველი უფრო გამხდარიყო, ვიდრე მოსალოდნელი.ფეოდალებმა, რომელთაც სტეფანეს[3] მეფობის დროს განუსაზღვრელი უფლებები მოიპოვეს, მაგრამ შემდეგ, ჰენრი მეორის[4] სიბრძნის წყალობით, იძულებულნი გახდნენ ნაწილობრივ მაინც დამორჩილებოდნენ ტახტს, დრო იხელთეს და წინანდელზე კიდევ უფრო მეტად აიშვეს თავი. ინგლისის სახელმწიფო საბჭო ამის უფლებას თითქოს არ აძლევდა, მაგრამ საბჭოს სუსტ წინააღმდეგობას აინუნშიაც არ აგდებდნენ ისინი, თავგამოდებით ამაგრებდნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებს, ახალ-ახალი ქვეშევრდომები შემოიმატეს და ახლომახლო მეზობლები სულ ვასალებად გაიხადეს; ყოველი ფეოდალი გამწარებით ისწრაფოდა, გაძლიერებულიყო და დიდი ჯარისათვის მოეყარა თავი, რათა მოახლოებულ სახელმწიფო ძვრების დროს გავლენიანი ადგილი დაეჭირა.

უჩვეულოდ შეირყა მდგომარეობა წვრილი აზნაურების, ანუ ეგრეთწოდებულ ფრანკლინებისა, რომელთაც ინგლისის კანონმდებლობის ძალით უფლება ჰქონდათ ფეოდალური ტირანიისაგან სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყვნენ. ეს ფრანკლინები ხანმოკლე მოსვენებას მხოლოდ მაშინ ეღირსებოდნენ - და მეტწილად ასეც ხდებოდა ხოლმე- როცა მეზობელ დიდ მთავარს ანუ პატარა მეფეს შეეკედლებოდნენ, მფარველობას სთხოვდნენ, კარისკაცებად გაუხდებოდნენ და,

ურთიერთდახმარების პირობით შეკრულნი, ბრძოლებშიაც მიეშველებოდნენ. მაგრამ ამ დროებით მოსვენებას მსხვერპლად ეწირებოდა დამოუკიდებლობა, რაც ესოდენ სანუკვარი იყო ყოველი ინგლისელისათვის, და თავიც საალალბედოდ ჰქონდათ გადადებული - ვინ იცის, თავიანთი მფარველის პატივმოყვარეობა როდის გაახვევდა მათ რაიმე უხიაკ საქმეში. არა და, ყოველგვარი ტანჯვა-წამების აურაცხელ საშუალებათა მქონებელ დიდ ბარონებს ან შარს რა გამოულევდა, ან სურვილს რა მოუთოკავდა, რომ ედევნათ, გაემწარებინათ და მიწასთან გაესწორებინათ ის უღონო მეზობლები, რომლებიც ქვეყნის კანონმდებლობას გაიხსენებდნენ და მათი მფარველობისაგან თავდახსნას მოინდომებდნენ.

ფეოდალური ტირანია და დაბალი კლასების ტანჯვა-წამება განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა[5] ინგლისი დაიპყრო. ოთხი თაობა საკმარისი არ აღმოჩნდა, ნორმანებისა და ანგლო-საქსების მტრული სისხლი დაენათესავებინა, ან ენითა და ინტერესებით მაინც გაეერთიანებინა ორი მოსისხლე ერი, რომელთაგან ერთს ჯერაც არ მოეშალა გამარჯვებულის ქედმაღლობა, ხოლო მეორე კვლავაც დამარცხების სიმწრით გმინავდა. ჰასტინგსის ბრძოლის შემდეგ მთელი ძალა-უფლება ნორმანელი მთავრების ხელში გადავიდა და, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, არცთუ დიდი თავშეკავებით იყენებდნენ ისინი ამ უფლებას. ორიოდ გამონაკლისს გარდა, საქსონელი დიდებულების მთელი მოდგმა ან მოსპეს, ან მემკვიდრეობა წაგლიჯეს; ბევრს ღარიბი აზნაურის შესაფერი მიწებიც კი არ დაუტოვეს

მამა-პაპათა მამულებიდან. სამეფო კარის პოლიტიკა განუხრელად იქითკენ იყო მიმართული, რათა კანონიერი და უკანონო გზებითა და ხერხებით როგორმე დაესუსტებინათ მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი დამპყრობთა სიძულვილი. ნორმანელი მონარქები გამორჩეულად სწყალობდნენ ნორმანელ ქვეშევრდომებს. ნადირობის კანონი თუ სხვა შეზღუდვანი, რაც უფრო რბილ და ადამიანურ საქსონურ კანონმდებლობისათვის უცხო იყო, ახლა დაპყრობილ მკვიდრთ დააწვა მხრებზე და ისედაც მძიმე ფეოდალური ბორკილები კიდევ უფრო დაუმძიმა. სასახლის კარზე, დიდი მთავრების ციხე-სიმაგრეებში, სადაც ქვეყნის რჩეულნი იყრიდნენ თავს და ერთმანეთს ჯიბრში ედგნენ - ვინ უკეთესი გამოჩნდებაო, გაბატონებული იყო ნორმანულ-ფრანგული ენა; სასამართლო საქმეებიც ამ ენაზე ირჩეოდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ფრანგული ითვლებოდა პატიოსნების, რაინდობისა და თვით სამართლის ენადაც კი, ხოლო გაცილებით უფრო ვაჟკაცური და გულშიჩამწვდომი ანგლო-საქსური კაცს აღარ ახსოვდა, მხოლოდღა გლეხებისა და საქსონელი ბატონებისთვის შეეტოვებინათ, რადგან სხვა ენისა იმათ ინჩიბინჩი არ გაეგებოდათ. მიუხედავად ამისა, მიწა-წყლის მფლობელისა და იმავე მიწის დამმუშავებელ დატანჯულ მდაბიოთა შორის ურთიერთობამ შეუმჩნევლად შექმნა ფრანგულისა და ანგლო-საქსონურისაგან შედგენილი დიალექტი, რომლის საშუალებითაც ისინი ერთმანეთს თავიანთ სათქმელს აგებინებდნენ. სწორედ ამ ნიადაგზე თანდათანობით ჩამოყალიბდა ჩვენი დღევანდელი ინგლისური

ენა, რომელშიაც ასე სვებედნიერადაა შერწყმული გამარჯვებისა და დამარცხების სიტყვა-გამოთქმანი, და რომელიც შემდეგ კლასიკურისა და სამხრეთ ევროპის ხალხების ენებიდან შემოსულმა სიტყვებმა გაამდიდრეს.

მე საჭიროდ მივიჩნიე წინასწარ მიმეწოდებინა ეს ცნობები მკითხველისათვის, რომელსაც იქნებ ზოგი რამ დავიწყებული ჰქონდეს. მართალია, ვილჰელმ მეორის[6] გამეფების შემდეგ ანგლოსაქსებს, როგორც დამოუკიდებელ ხალხს, დიდი ისტორიული გამოსვლები - ომო თუ აჯანყება - არ მოუწყვიათ, მაგრამ მძაფრი ეროვნული შუღლი მათსა და დამპყრობლებს შორის, იმის მწარე მოგონება, თუ რას წარმოადგენდნენ წინათ და ახლა კი როგორ დააკნინეს, აგერ ედვარდ მესამის[7] მეფობამდე გამოჰყვათ; არც დამპყრობთა მიერ მიყენებული ჭრილობები მოუშუშებიათ და გათიშვის საზღვარიც გამარჯვებულ ნორმანთა და დაპყრობილ საქსთა შორის კვლავინდებურადვე გადაულახავი დარჩა.

ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები აბიბინებულ მდელოს ეცემოდა იმ დაბურულ ტყეში, რომელიც ჩვენ ამ თავის დასაწყისში მოვიხსენიეთ. ასობით ჯმუხ, გაბარჯღულ მუხებს, რომლებიც ალბათ რომაელი ჯარისკაცების დიდებული ლაშქრობის მოწმენი იყვნენ, ფართოდ გაეშალათ თავიანთი დაკოჟრებული ტოტები და მწვანე ბუსნოს ფაფუკ ხალიჩაზე გადაეფინათ. ამ მუხნარში ალაგ-ალაგ წიფლის, ჭყორისა და თეთრიას ხეებიც იყო გარეული, სულ სხვადასხვა მოყვანილობისა, და თან ერთმანეთზე ისე მჭიდროდ მიზრდილი, რომ ჩამავალი მზის ალმაცერ სხივებს არც კი ატარებდნენ. ზოგან კიდევ ისე დაშორებოდნენ ერთმანეთს ეს ხეები, რომ გრძლად გაჭიმულ, საამოდ საჭვრეტ ხეივანსა ჰქმნიდნენ. ფოთლებში გამძვრალი მეწამული სხივები მზისა მკრთალად ეცემოდა გაბარჯღულ ტოტებსა და ხავსმოკიდებულ ხეებს, ბუსნოზედაც აქა-იქ

მოკიაფე ზოლებს აჩენდა. ძველ დროში, ეტყობოდა, დრუიდების[8] კერპმსახურებისათვის იყო ეს ღია ადგილი გამოყენებული, რადგან იქვე შენიშნავდით უთუოდ ხელოვნურად დაზვინულ მიწას, რომელსაც შემაღლებული ბორცვის იერი მიეღო და რომელზედაც აქამდე შემორჩენილიყო წრედ დახვავებული ვეება გაუთლელი ქვები; შვიდი ქვა ახლაც ზეაღმართული იდგა, დანარჩენები კი გადაეყირავებინათ, - ალბათ ქრისტიანობისათვის მეტისმეტად თავგამოდებულ მორწმუნეებს, - და გვერდზე ეყარა - ზოგი

ყორისავე მახლობლად, ზოგიც კიდევ ბორცვის ძირში ჩაგორებულიყო. ერთი ლოდი უფსკრულში ჩაჩეხილიყო, მთის ძირში გამავალ პატარა რუს გადაღობებოდა და მთელს გზაზე უხმოდ მიმდინარე ნაკადული აქ აებუტბუტებინა.

ბუნების ამ სურათს ორი ადამიანი აგვირგვინებდა. ჩაცმულობისა და შესახედაობის მიხედვით ეტყობოდათ, იქაური მდაბიონი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც იმხანად იორკშირის დასავლეთით ესახლენ, ტყის ნაპირას.უფროსს ქუში და ველური გამომეტყველება ჰქონდა. ძნელად წარმოსადგენია, რა უბადრუკი ტანსაცმელი ეცვა - რომელიღაც ცხოველის დათრიმლული ტყავისაგან შეკოწიწებული ბეწვიანი ქურთუკი; მაგრამ იმნაირად გაცვეთილი, რომ გარეთ მოქცეულ, აქა-იქ ბღუჯად შერჩენილ ბეწვების მიხედვით ძალიან გაგიძნელდებოდათ გამოცნობა, რა ცხოველისა უნდა ყოფილიყო ტყავი. ეს პირველყოფილი შესამოსელი კისრიდან მუხლებამდე სწვდებოდა და სხეულის დასაფარავ ყოველ სხვა ჩასაცმელთა მაგივრობასა სწევდა. საყელო იმსიფართოდ ჰქონდა გამოჭრილი, რომ შიგ თავი გატეოდა, რადგან ეს ქურთუკიც,

დღევანდელი პერანგისა თუ ძველებური ჯაჭვკურტაკის მსგავსად, ზევიდან გადასაცმელი იყო. ფეხებს უფარავდა ტახის ტყავის თასმებისაგან დაწნული ბანდულები, ხოლო წვივებზე, ბარძაყებამდე, თხელი ტყავი შემოეხვია, ოღონდ მუხლებთან გამოჭრილი ჰქონდა პაჭიჭები, სწორედ ისე, როგორც შოტლანდიელ მთიელებს აქვთ ხოლმე. ქურთუკი რომ უფრო მჭიდროდ მოსდგომოდა, წელზე შემოეჭირებინა ბრტყელი, სპილენძის აბზინდიანი სარტყელი, რომელზედაც ერთ მხარეს რაღაცნაირი თოფრაკი ჰქონდა ჩამოკონწიალებული, ხოლო მეორე მხარეს - ცხვრის რქა, ჩასაბერად. სარტყელზევე ეკიდა ირმის რქისტარიანი, გრძელი და ბრტყელი, წვეტიანი ორლესული დანა, რასაც იქვე მეზობლად აკეთებდნენ ხოლმე და მაშინაც კი შეფილდურ ბებუთებს ეძახდნენ. თავზე არაფერი ხურებია, ხშირი, აბურძგნილი თმა იფარავდა, რომელიც მზეს მოწითალო-მოჟანგისფროდ გამოეხუნებინა და ღაწვებზე ჩამოზრდილ მოყვითალო ქარვისფერ წვერს სულაც არ ეხამებოდა. აქ აღწერილ მორთულობის გარდა, ჰქონდა კიდევ ერთი სამკაული, ისეთი საგულისხმო, რომ მისი მოუხსენებლობა არ იქნება. ეს იყო სპილენძის დიდი დახშული რგოლი, ძაღლის ყელსაბამის მსგავსი რამ, რომელიც კისერზე შემოედუღებინათ მისთვის - ისე ხალვათად ერტყა, რომ

სუნთქვას არ უშლიდა, მაგრამ არც წამოძრობა შეიძლებოდა, თუ საგანგებოდ არ გადაქლიბავდი. ამ საოცარ მანიაკზე საქსონურად იყო ამოკვეთილი შემდეგი სიტყვები: „გურთი, ძე ბიოვულფისა, სედრიკ როთერვუდელის მონა“.

მეღორის გვერდით - გურთი მეღორე გახლდათ - დრუიდების იმ ერთ-ერთ ჩამოვარდნილ

ლოდზე, შესახედავად ასე ათი წლით მასზე უმცროსი კაცი იჯდა. ტანსაცმელი ამასაც თავისი ამხანაგისნაირი ეცვა, მაგრამ ცოტა უკეთესი ხარისხისა და უფრო უცნაურიც. ქურთუკი ღია მეწამულისფრად შეეღებათ და ზედ რაღაც ჭრელაჭრულა სამკაულების მოხატვას ცდილიყვნენ. ზემოდან ყვითელ ზოლებიანი ჟოლოსფერი მოსასხამიც მოეგდო, მაგრამ ისეთი მოკლე, რომ წელამდე ძლივს წვდებოდა, და თანაც ერთიანად გათხუპნული. ახირებული სანახავი გახლდათ, როცა მხრებზე შემოიტმასნიდა ამ კუნტულა მოსასხამს - ისეთი ფართო იყო, რომ მაშინვე თვალში გეცემოდათ მისი სიმოკლე. მკლავებზე წვრილი ვერცხლის სამაჯურები მოერგო, კისერზე კი ვერცხლისავე ყელსაბამი, რომელზედაც ამოკვეთილი იყო: „ვამბა, ძე უიტლისისა, სედრიკ როთერვუდელის მონა“. ბანდულებიც იმნაირივე ჰქონდა, როგორიც მის ამხანაგს, მაგრამ ტყავის პაჭიჭების ნაცვლად, წვივებსა და ბარძაყებზე რაღაცნაირი გეტრები წამოეცვა - ცალ ფეხზე წითელი და ცალზე ყვითელი.

ამ კაცს ქუდიც ეხურა, რომელზედაც ზანზალაკები დაემაგრებინათ, დაახლოებით იმოდენები, შევარდნების მოსახმობად რომ ხმარობენ ხოლმე; რამდენს მოაბრუნებდა თავს, იმდენი რეკვა ატყდებოდა, ხოლო რაკი თავს ერთი წუთითაც არ ჰქონია მოსვენება, განუწყვეტელი რეკვა იდგა. ქუდს ტყავის სქელი ძაღარა ჰქონდა შემოვლებული, ზემოდან ისე ჩაჭრილ- ჩაკბილული, რომ პერის გვირგვინს მოგაგონებდათ, ხოლო შიგნიდან მოზრდილი ქისა გამოეკერებინათ, რისი ბოლოც ცალ მხარეზე ჩამოშვებოდა - ძველებური საღამური ჩაჩის, კენკრის საწურავი პარკისა თუ

თანამედროვე ჰუსარის ქუდის მსგავსად. სწორედ ამ ქისის ბოლოზე ჰქონდა ეჟვნები ჩამოკონწიალებული. ტანსაცმლისა და ჩაჩის, აგრეთე მოგიჟო-მოცბიერო გამომეტყველების მიხედვით ყველა ადვილად მიხვდებოდა, რომ ეს იყო კარის ხუმარა თუ მასხარა, როგორც ყველა მდიდარ მემა-

მულეს ჰყავდა სახლში, რათა იძულებით შინ გამოკეტილებს გაჭიანურებული საათების მოწყენილობა გაექარვებინათ. ამხანაგის მსგავსად ამასაც სარტყელზე ჰქონდა თოფრაკი გამობმული, დანა და რქა კი არა ჰქონია - ისეთი კლასის წარმომადგენელი იყო, რომ ალბათ სახიფათოდ მიიჩნიეს მისთვის წვეტიანი იარაღის ნდობა. სამაგიეროდ, ხის ხმალი ერტყა, სწორედ ისეთი, როგორითაც თანამედროვე სცენაზე არლეკინები სასწაულებს ახდენენ ხოლმე.

მარტო ტანსაცმლით კი არ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, სახითა და ქცევით კიდევ უფრო განსხვავებულები იყვნენ. ყრმა დაღვრემილი და კუშტი ჩანდა; ისე სასოწარკვეთით ჩაშტერებოდა მიწას, რომ, თუ არ მის წითელ თალებში ჟამიდან ჟამად აელვარებული ცეცხლი - ნიშანი იმისა, რომ გულგატეხილობა მოჩვენებითი იყო და თავისი სიდუხჭირისადმი შეურიგებლობა - მხოლოდღა მიძინებული,- იფიქრებდით, გული სულ აცრუებია ცხოვრებაზეო. ვამბა, პირიქით, თავისი ხელობის კაცისათვის დამახასიათებელ რაღაცნაირ ცნობისმოყვარეობას გამოხატავდა, მოუსვენარი და ცმუტია იყო, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ეტყობოდა, უაღრესად კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თავისი ბედისა. ლაპარაკობდნენ ანგლო-საქსურად; ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ამ ენაზე უმთავრესად მდაბიონი მეტყველებდნენ, გარდა ნორმანელი

ჯარისკაცების და დიდი ფეოდალების პირფარეშებისა. მაგრამ პირდაპირ რომ გადმოვიტანოთ მათი საუბარი, დღევანდელი მკითხველი ბევრს ვერაფერს გაიგებს, ამიტომ თარგმანს ვთავაზობთ.

- წმინდა ვითოლდის მადლი გაუწყრეს ამ სამგლე ღორებს! - შეჰყვირა მეღორემ, რადგან საყვირში თავგამოდებულმა ჩაბერვამ არ გასჭრა, აქეთიქით გაფანტულმა ღორებმა ყურიც არ გააბარტყუნეს, მხოლოდ საყვირისავე მსგავსი მელოდიური ღრუტუნით უპასუხეს საყვირს. ვერა და ვერ შეელიენ დიდებულ წიწიბოს, ვერც მდინარის ჭონჭყო ნაპირები დათმეს - არხეინად გათხლარშულიყვნენ ლაფში და თავიანთი მწყემსის ყვირილს აინუნშიაც არ აგდებდნენ.

- წმინდა ვითოლდის მადლი გაგიწყრეთ თქვენცა და მეცა! - განაგრძო გურთმა, - თუ დაღამებამდე ორფეხა მგელმა არ გაგქაჩოთ, ჩემს სიტყვას ფასი არ ჰქონია და ეგ არის. ფენგს, ფენგს, აქეთ! - რაც ძალი და ღონე

ჰქონდა, დაუღრიალა მან თავის ბომბორა ძაღლს, რომელიც შოტლანდიურ ნაგაზსაც ჩამოჰგავდა და ინგლისურ მწევარსაც, და რომელიც ახლა კოჭლობით დაძუნძულებდა აქეთ-იქით, თითქოს პატრონს შველოდა გაჯიქებული ღრუტუნების შეგროვებაში. სინამდვილეში კი, - მეღორის ნიშნებს ვერა ცნობდა, თავის მოვალეობა არ ესმოდა, თუ გამოჯიბრებით სჩადიოდა ამას, - აქეთ-იქით ერეკებოდა ღორებს და კიდევ უფრო აძლიერებდა იმ ბოროტებას, რის გამოსასწორებლადაც თითქოს თვითონვე იღვწოდა. - ეშმაკმა დაგაძროს კბილები! -ბუზღუნებდა

გურთი, - მეტყევეს გაურისხდეს ღმერთი, წარამარა რომ აჭრის კლანჭებს და ძაღლი ძაღლს აღარა ჰგავს! აბა, ერთი წამოხტი, ვამბა, და მიშველე, თუ კაცი ხარ; იმ გორაკიდან დაუარე და უკან რომ მოექცევი, მერე უცოდველი ბატკანივით გაირეკავ შინ.

- მართლა? - მიუგო ვამბამ ისე, რომ არც კი განძრეულა, - ფეხებს მოვეთათბირე მაგ საკითხზე და ისინიც მეთანხმებიან, რომ ამისთანა მორთულობით ჭონჭყოში ფრატუნი არც ჩემს ხელმწიფურ ბატონკაცობას შეეფერება და არც ამ სამეფო ტანსაცმელს. ამიტომაც, გურთ, მე გირჩევ ფენგსს გასძახო და მთელი კოლტი მის ანაბარა დატოვო, შენთვის ხომ სულერთია ვის გადაეყრებიან ეგ ღორები - ჯარისკაცებს, ყაჩაღებსა თუ მოხეტიალე მლოცველებს: შენდა გასახარად და სანუგეშოდ დილამდე მაინც ნორმანებად იქცევიან.

- ღორები გადაიქცევიან ჩემდა გასახარად, ნორმანებად?! - ჩაილაპარაკა გურთმა, - თუ ღმერთი გწამს, შენ თვითონვე ამიხსენი, რას ამბობ, ვამბა, თორემ ისე დაჩლუნგებული მაქვს გონება და ტვინიც ისე არეული, რომ ქარაგმებს ვერ ამოვხსნი.

- მაგას რა დიდი ამოხსნა უნდა, - უთხრა ვამბამ, - რას ეძახი ამ ღრუტუნა ოთხფეხებს, აქეთ-იქით რომ დაცუნცრუკებენ?

- სუაინ[9], ჩერჩეტო, სუაინ, მიუგო მეღორემ, - ეგ ხომ ყველა სულელმა იცის!

- „სუაინი“ კი წმინდა საქსონური სიტყვაა, - უთხრა მასხარამ, - მაშინ რაღას დაუძახებ იმ შენს ნეზვს, როცა ტყავს გახდიან, გასჭიმავენ, აქნიან და კაი მოღალეტესავით ფეხებით დაჰკიდებენ?

- პორკსა, - მიუგო მეღორემ.

- კიდევ კარგი, რომ ეგეც ყველა სულელს სცოდნია! - თქვა ვამბამ, - „პორკი“ კიდევ, თუ არ მეშლება, წმინდა წყლის ნორმანულ-ფრანგული უნდა იყოს. ასე რომ, მანამ ცოცხალია და საქსონელი მონა უდგას, სახელიც საქსონური ჰქვია, დარბაზში რომ წააჩიქჩიქებენ და დიდებულებს მიართმევენ შემწვარ-მოხრაკულს, ხელადვე ნორმანული სახელით მონათლავენ. ჰა, რას იტყვი ამაზე, ძმობილო?

- ეგ იმისთანა ჭეშარიტებაა, რომ მიკვირს კიდეც, შენს ბედოვლათ გოგრაში საიდან გაჩნდა.

- ჯერ სადა ხარ: ჩვენს ძველისძველ მამასახლისს -ხარს, მანამ შენისთანა ყურმოჭრილი მონები უდგანან მეხრეებად, ძველებურადვე საქსონური „ოქსი“ ჰქვია; მაგრამ როგორც კი დიდებულთა პატივცემულ ყბებს მიერთმევა ჩასახრამუნებლად, მაშინვე ფიცხელ და თავაზიან ფრანგ რაინდ „ბიფად“[10] იქცევა. ხბოსაც ასე მოსდის - ჯერ მისტერ „კაფია“, მერე კი - მუსიო „ვო“; მანამ მოვლა სჭირდება, საქსონია, თავისშესაქცევი რომ შეიქნება, მყისვე ნორმანი გახდება.

- წმინდა დუნსტანის მადლმა, მწარე სიმართლეს ამბობ! - კვერი დაუკრა გურთმა, - კაცმა რომ თქვას, რაღა დაგვიტოვეს - ერთი ჰაერი სასუნთქავად, და ისიც მხოლოდ იმიტომ გამოუმეტებიათ, რომ სული არ გაგვძვრეს და მათივე სამსახური შევიძლოთ. გემრიელი და ყუათიანი თუ რამე გამოჩნდა, იმათ მიართმევენ სუფრაზე; ლამაზი და ტურფა - მათ უნდა მიჰგვარონ ლოგინში; ყველაზე გამორჩეული და მარჯვე ბიჭები გადამთიელებს უნდა ემსახურონ ჯარისკაცებად და თავიანთი ძვლებით უცხო მიწა-წყალი გადაათეთრონ, აქ თითო-ოროლას თუ დაგვიტოვებენ და იმათაც - ან ძალ-ღონე არ მოსდევთ, ან სულაც არ ეპიტნავებათ უბედური საქსების დაცვა-პატრონობა. ღმერთმა ჩვენს ბატონ სედრიკს მოუმართოს ხელი, ისღა დაგვრჩენია მოსარჩლედ. მაგრამ აგერ რეჯინალდ ფრონ დე ბეფს მოელიან დღე-დღეზე და მაშინღა ვნახავთ, რას გახდება სედრიკი იმათთან... აქეთ, აქეთ! - კვლავ აუწია ხმას, - ეგრე, ეგრე, მიდი! ყოჩაღ, ფენგს. აჰა, ხედავ, როგორ იმარჯვე და მთელი კოლტი შემიგროვე, ძმობილო!

- გურთ, - მიმართა მასხარამ, - ეტყობა, სულელი გგონივარ, თორემ როგორ გაბედავდი და თავს პირში როგორ ჩამიდებდი. ერთი სიტყვა რომ გადავკრა რეჯინალდ ფრონ დე ბეფს, ან ფილიპ დე მალვუაზენს, ნორმანებს

ღალატობს-მეთქი, მეტი კი არ უნდა, მაშინვე გამოეთხოვე შენს მეღორეობას, აიღებენ და ხეზე ჩამოგკიდებენ იმათ დასაშინებლად, ვინც წარჩინებული ხალხის აუგად ხსენებას ბედავს.

- ძაღლო, შენ როგორ გამცემ?! - შეჰყვირა გურთმა, - აკი თვითონვე ჩამოაგდე ამაზე სიტყვა და მეც ამალაპარაკე!

- გაგცემო! - მიუგო მასხარამ, - რას ამბობ? მაგას ჭკვიანი კაცი თუ მოახერხებს, ჩემისთანა სულელს მაგისი თავი ვინ მისცა... მაგრამ დაიცა, ეს ვინ გვეწვივნენ! - სიტყვა გაწყვიტა მასხარამ და დააყურადა ცხენების თქარათქურს, რაც თანდათანობით ძლიერდებოდა.

- ჩვენ რა გვესაქმება, ვინც უნდა იყოს,- უპასუხა გურთმა, რომელსაც უკვე მოეგროვებინა თავისი კოლტი და ახლა ფენგსის დახმარებით ერთ-ერთ იმ მდელოსაკენ მიერეკებოდა, რისი აღწერაც ჩვენ უკვე ვცადეთ.

- არა, უნდა ვნახო, ვინ არიან, - მიუგო ვამბამ, - იქნებ ფერიების ქვეყნიდან იყვნენ, მეფე ობერონის[11] გამოგზავნილები.

- ენა გაგიხმეს! - შესძახა მეღორემ, - ამისთანა ლაპარაკი იქნება, როცა სულ რამდენიმე მილზე ჭექა-ქუხილმა ლამის ქვეყნიერება წალეკოს! არ გეყურება, როგორ გრუხუნებს?! პირველად ვხედავ, ზაფხულში ამისთანა თქეში მოსულიყოს, ამსისხო წვეთები გადმოცვენილიყოს ციდან. ჯერ ხომ ჰაერიც არ იძვრის აქა და მუხის ტოტებს უკვე კვნესა და ჭრიალი გაუდით, ქარიშხალს

ელოდებიან. როცა გინდა, კაი ჭკვიანი ხარ, ამ ერთხელაც დამიჯერე და მანამ ქარიშხალი ამოვარდნილა, შინისკენ მოვუსვათ, თორემ საშინელი ღამე მოდის.

ვამბას, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა შეგონება, უსიტყვოდ გაჰყვა ამხანაგს, რომელმაც მიწიდან გრძელი კომბალი აიღო და გზას გაუდგა.ეს მეორე ევმეოსი[12] სწრაფად ჩაუყვა ტყის პირს, მიდიოდა და ფენგსის დახმარებით თავის შეუხმატკბილებელ კოლტს მიერეკებოდა.

თავი მეორე

დროსტარების და ნადირობის დიდი ტრფიალი,
ამპარტავნული და მხედრული თვალის ბრიალით
დაჰქროდა ბერი... და ბერობის არა ეცხო რა -
ამქვეყნიური ნეტარებით სურდა ეცხოვრა.
კაცური კაცი - ნიადაგ ცხენს დააგელვებდა,
თუნდა მიგეცა აბატობა - შეიფერებდა.
ავკარგიანი, მორჭმული და დიდად ქებული...
ბედაურებით ჰქონდა თავლა გამოვსებული.
ცხენს გააფრენდა - და ეჟვნების ჟღარუნ-ჟღრიალი
ისე ისმოდა, ვით სამრეკლოს ზარის წკრიალი.
ჩოსერი

ცხენების თქარათქური სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის განუწყვეტელი ჩიჩინისა და ჯაჯღანის მიუხედავად, ვამბა ერთთა-ვად ფეხს ითრევდა: ხან უმწიფარი თხილის ფურჩხალებს გლეჯდა, ხან

გზად შემხვედრი გოგონებისკენ გაექცეოდა თვალი. ასე რომ, ცხენოსნები მალე წამოეწიენ.

სულ ათი მხედარი იყო. ორი დაწინაურებული უფრო წარჩინებული ჩანდა, ხოლო დანარჩენები მათი მხლებლები იქნებოდნენ. იმ ორთაგან ერთის წოდებისა და მდგომარეობის გამოცნობა ძნელი არ იყო, სამღვდელო პირი გახლდათ. ცისტერციანელთა ორდენის ბერის სამოსი ეცვა, ოღონდ გაცილებით უფრო კარგი ხარისხის ქსოვილისაგან შეკერილი, ვიდრე ამ ოდენის ბერებს ჰქონდათ საერთოდ ნებადართული; საუკეთესო ფლამანდური მაუდის კაპიუშონიანი მოსასხამი ლაზათიანად ადგა კოხტა, თუმცა ოდნავ შესუქებულ ტანზე. სახეზედაც ისე ცოტა აჩნდა თვითგვემის ნიშნები, როგორც მის სამოსელს - ამქვეყნიური ფუფუნების ზიზღი. თითქოსდა სათნო შესახედაობისა იყო, მაგრამ გადმოჩაჩხულ წარბებქვეშ თვალები ეპიკურელის ცბიერებით უციმციმებდა, რაც ყოველთვის ფრთხილი ავხორცობის ნიშანია. მაგრამ თავისი ხელობისა და მდგომარეობის წყალობით შეჩვეული იყო, რა წამს მოესურვებოდა, მაშინვე შეეცვალა სახის გამომეტყველება და დაღვრემილი იერი მიეღო, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით გულმხიარული და მედიდური გახლდათ. სამონასტრო წესდებისა და პაპის ედიქტების მიუხედავად, ამ წარჩინებულ გვამს სახელოებზე მდიდრული ბეწვი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო მოსასხამი მკერდთან ოქროს ბრტყელი საკინძით დაემაგრებინა...

ეს ღირსეული სამღვდელო პირი იჯდა ნაპატიებ იორღა ჯორზე, რომელსაც მოსართავები შემკული ჰქონდა ძვირფასი სამკაულებით, ხოლო აღვირი, მაშინდელი მოდის მიხედვით - ვერცხლის ეჟვნებით. უნაგირზე მჯდომს სულაც არ ეტყობოდა ბერის სიტლანქე და მოუხეშაობა;

პირიქით, მხედრული სილაღით ირწეოდა, თითქოს ცხენს შეზრდიაო. ხომ ასეთი სასიამოვნო იორღით დადიოდა ჯორი და ჩინებულად შეკაზმულიც იყო, მიუხედავად ამისა, აშკარად ჩანდა, რომ სალუქი ბერი მხოლოდ შორ გზაზე სამგზავროდ კადრულობდა ამ უბრალო პირუტყვს. ხოლო განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებისათვის ერთ-ერთ მის მხლებელს აღვირით მოჰყავდა შესანიშნავი ესპანური ჯენეტი, რომლის მსგავსს ანდალუზიაშიც იშვიათად შეხვდება კაცი. ასეთი ცხენები მაშინ მდიდარი და გამორჩეული ხალხისათვის ვაჭრებს გადმოჰყავდათ ხოლმე, დიდი ვაი-ვაგლახით და

თავგანწირვით. შესანიშნავი ბედაურის უნაგირსა და მოკაზმულობას ზემოდან გადაფარებული ჰქონდა თითქმის მიწამდე დაშვებული ყაჯარი, რომელზედაც მდიდრული ოქრომკერდით ამოექარგათ მიტრები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ემბლემები. მეორე მხლებელს ბარგის ჯორი მოჰყავდა, ალბათ თავისი ბატონის ბარგიბარხანით დატვირთული. იმავე ორდენის, ოღონდ უფრო დაბალი ხარისხის ორი ბერი უკან მოჰყვებოდა; ერთმანეთში ტკბილად მასლაათობდნენ, იცინოდნენ და სხვა მხედრებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ.

სასულიერო მამის თანამგზავრი ორმოც წელს გადაცილებული, მაღალი, გამხდარი, მაგარი და ძარღვიანი კაცი გახლდათ. გამუდმებულ განსაცდელსა და ჯაფას ერთი ნამცეცი რბილი არ დაეტოვებინა მის სხეულში - ცარიელა კუნთები, ძვლები და ძარღვები იყო, ათასი ვაი-ვაგლახი გადაეტანა და ერთი იმდენის გადასატანად კიდევ მზად იყო. ბეწვის ქობშემოვლებული

წითელი ქუდი ეხურა. ამისთანა ქუდს ფრანგები mortier-ს ეძახიან, რადგან გადმობრუნებულ როდინსა ჰგავს. ისე დაბღვერილი იყო და თავიც ისე ეჭირა, აშკარად ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, მანამ ვინმეს შეხვდებოდა და ანგელოზებს დაუფეთებდა. მის ძალუმად გამოკვეთილსა და მეტყველ მკაცრ სახეზე, რომელიც ტროპიკულ მზეზე მოურიდებელი და განუწყვეტელი სიარულის გამო ისე გაშავებულიყო, ლამის ზანგის კანს დამსგავსებოდა, ვნებათა ძლიერ ქარიშხალს გადაევლო და ახლა გეგონებოდათ სძინავსო. მაგრამ შუბლის დაბერილი ძარღვები, ზემო ტუჩისა და სქელი, შავი ულვაშის უეცარი ათრთოლება უბრალო წყენაზედაც კი, აშკარად მოწმობდნენ, რომ ქარიშხალის ხელახლა ამოვარდნას ბევრი არაფერი უნდოდა. მისი მრისხანე, გამგმირავი, შავი თვალები ყოველ შემოხედვაზე გეუბნებოდნენ, თუ რა სიძნელეები გადაელახა ამ კაცს, რა განსაცდელი გამოევლო: ეტყობოდა, თვითონვე ეძებდა ფათერაკებს, რათა გმირობა-ნებისყოფის გამოჩენით თავი მოეწონებინა და ჯიქურ ჩამოეშორებინა გზიდან მოწინააღმდეგე. ცალ წარბზე ღრმა ნაიარევი აჩნდა, რაც მის გამომეტყველებას უფრო მრისხანეს აჩენდა; იმავე შემთხვევის დროს ცალი თვალით ოდნავ დაელმებულიყო, თუმცა მხედველობა ისეთივე მახვილი შერჩენოდა, და ესეც ღვარძლიან იერს მატებდა.

თანამგზავრის მსგავსად, ამ კაცსაც გრძელი პალეკარტი ჰქონდა წამოსხმული, მაგრამ წითელი ფერისა იყო და ეს ადასტურებდა, რომ იგი ბერების

არც ერთ ორდენს არ ეკუთნოდა. მარჯვენა მხარზე თეთრად ამოექარგათ განსაკუთრებული ფორმის ჯვარი. ეს მოსასხამი ფარავდა

პალეკარტისათვის სავსებით შეუფერებელ შინაგან ჩაცმულობას - ჯაჭვის პერანგს, რომელსაც სახელოებიც უცნაურად ნაქსოვი ჯაჭვისა ჰქონდა; ისე კარგად და რბილად ადგა რკინის პერანგი ტანზე, როგორც ახლა მატყლის ნაკლებად უხეშ ჩასაცმელებს მოირგებენ ხოლმე. წამოსასხამის ნაოჭებში შენიშნავდა კაცი, რომ ბარძაყებსაც წვრილად ნაქსოვი რკინის ჯაჭვები უფარავდა, მუხლები და წვივები ერთმანეთთან მოხდენილად გადაბმული რკინის ფირფიტებით ჰქონდა დაცული, ხოლო ნაკუთალებზე ჯაჭვისავე წინდები წამოეცვა. ამით მთავრდებოდა მხედრის თავდასაცავი ჯავშან-ჩაცმულობა. ქამარში გრძელი ორლესული ხანჯალი ჰქონდა გარჭობილი, ეს იყო და ეს, სხვა იარაღი არა ჰქონია.

ჯორზე კი არ იჯდა, თავისი თანამგზავრის მსგავსად, არამედ საგზაოდ შერჩეულ მაგარ მუშა-ცხენზე, რათა დაეზოგა საბრძოლველად გამზადებული კოხტა საომარი რაში, რომელსაც რკინის კოტიანი შუბლსაფარი ჰქონდა აკრული და რომელიც უკან მომავალ საჭურველთმტვირთველს დასავადებული მოჰყავდა. ცალ მხარეზე დამასკური რკინით მდიდრულად მოჭედილი მოკლე ტაბარზენი ეკრა უნაგირს, მეორეზე - ფრთებით შემკული ქუდი მხედრისა და მისივე მუზარადი, აგრეთვე გრძელი ორლესული ხმალი, როგორსაც მაშინ ხმარობდნენ ხოლმე. მეორე საჭურველთმტვირთველს მოჰქონდა თავისი ბატონის ზეაღმართული შუბი, რომლის წვერზედაც პატარა ალამი იყო დამაგრებული, რაინდს რომ მოსასხამზე ჰქონდა ამოქარგული, ისეთივე ჯვრის გამოსახულებით. მასვე ეპყრა პატარა, სამკუთხა ფარი რაინდისა, რომლის ზემოთა ნაწილი

მკერდს საკმაოდ დაუფარავდა, ხოლო ქვემოთ წაწვრილებული იყო. ფარი წითელ ქსოვილში გაეხვიათ და ამიტომ ზედ ამოკვეთილი დევიზი არ ჩანდა.

საჭურველთმტვირთველებს მოჰყვებოდა ორი მხლებელი; პირისახის სიშავე, თეთრი ყაუხი და მორთულობა აშკარად მეტყველებდა, რომ ისინი აღმოსავლეთის შორეული ქვეყნიდან იქნებოდნენ. საერთოდ, ამ მეომრისა და მისი მხლებლების გარეგნობა-ჩაცმულობაში უცხო და ველური იერი გამოსჭვიოდა. საჭურველთმტვირთველები მდიდრულად მორთულ-მოკაზ-

მულნი იყვნენ; აღმოსავლელ მხლებლებსაც კისერზე ვერცხლის ყელსაბამები ებათ, ხოლო ნახევრად გატიტვლებულ შავ მკლავებსა და წვივებზე ვერცხლისავე სამაჯურდასტანგები ეკეთათ. სამოსიც, დანარჩენებისაგან განსხვავებით, ამათ აბრეშუმისა ეცვათ, საუცხოოდ მოქარგული, რაც იმას მოწმობდა, რომ გავლენიანი და მდიდარი კაცის მხლებლები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი მორთულობის გვერდით მართლაც რომ თვალშისაცემი იყო მათი ბატონის მხედრული ჩაცმულობის სისადავე და უბრალოება. მომახული ხმლები ოქრომკერდით მოქარგულ აშურმებზე ეკიდათ, ხმლის ვადები სულ ოქროთი იყო მოჭედილი, ხოლო თურქული ხანჯლები კიდევ უფრო ლაზათიანად ჰქონდათ მოსედავებული. უნაგირზე მთელი ბღუჯა რკინის წაწვეტებული ბუნიკებიანი ხელშუბები და ზუფანები დაემაგრებინათ, დაახლოებით, ოთხ-ოთხი ფუტის სიგრძისა; ეს იარაღები მაშინ ძალიან მიღებული იყო სარკინოზებში[13]. აღმოსავლეთის ქვეყნებში ახლაც კია შემორჩენილი EL gerrid-ად წოდებული სამხედრო ვარჯიშობანი, რასაც სწორედ ასეთი ზუფანებით ასრულებენ.

მხედრების ცხენებსაც, პატრონებისა არ იყოს, ზედვე ეტყობოდათ, რომ უცხოეთიდან ჩამოყვანილები იყვნენ. ალბათ არაბული ბედაურები იქნებოდნენ, სარკინოზებს რომ ჰყავთ ხოლმე: ჩამოსხმული ნაკვთები, პატარა ჩლიქები, თხელი ფაფარი, მსუბუქი და მარდი მოძრაობა... სულაც არა ჰგავდნენ იმ მძიმე და მსხვილი საომარი ცხენების ჯილაგს, რაც იმხანად ფლანდრია-ნორმანდიაში ჰყავდათ გამოყვანილი; არაბული ბედაურები იმ ზონზრეხა ცხენებთან ჩრდილი მოგეჩვენებოდათ.

ახირებულმა ცხენოსნებმა არა მარტო ვამბას, არამედ მისი უფრო ჭკუადამჯდარი ამხანაგის ცნობისმოყვარეობაც აღაგზნეს. იგი დანახვის უმალვე მიხვდა, რომ ეს ბერი - ჟორვოს საბატოს წინამძღვარი იყო, რომელსაც მთელს მხარეში ჰქონდა გავარდნილი სახელი, როგორც ნადირობის, ლხინისა და , - მითქმა-მოთქმას თუ ვერწმუნეთ, - სამონასტრო აღთქმისათვის კიდევ უფრო მეტად შეუფერებელ სხვა ამქვეყნიური სიამტკბილობის მოტრფიალეს.

მაგრამ მაშინ სასულიერო პირები, ბერი იქნებოდა თუ მღვდელი, აგრერიგად როდი იყვნენ ზნეობრივი ბორკილებით შეზღუდულები. ასე რომ, წინამძღვარ ეიმერსაც ღვთისმოსავ ადამიანად თვლიდნენ მისი საბატოს ახ-

ლომახლო. ისეთი გულღია და მხიარული კაცი იყო, ისე დაუზარლად იცოდა ხოლმე ცოდვების მიტევება, რომ მეზობელ აზნაურებსა და დიდებულთა შორის პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა; ამ დიდებულთაგან ზოგს ნათესავადაც კი

მოხვდებოდა, რადგან თვითონაც წარჩინებული გვარის შთამომავალი გახლდათ. განსაკუთრებით ქალბატონებს არ მიაჩნდათ გასაკიცხად საქციელი იმ კაცისა, ვინც მშვენიერი სქესის მოურიდებელი თაყვანისმცემელი იყო და ძველი ციხე-სიმაგრეების დარბაზებსა თუ სავანეებში დასადგურებული მოწყენილობის განსაქარვებლად ათასნაირ გართობას მოიგონებდა ხოლმე. ნადირობაზე იყო გადაგებული წინამძღვარი; ხალხის რწმენით, ისეთი გაწრთვნილი შევარდნები და ფეხმარდი მწევრები ჰყავდა, რომ უკეთესი მთელს იმ ჩრდილო მხარეებში არ მოიძებნებოდა. ეს განსაკუთრებით ამაღლებდა მას ახალგაზრდა წარჩინებულთა თვალში. დიდებთან სულ სხვა როლს თამაშობდა და, როცა დასჭირდებოდა, საკმაოდ მარჯვედაც. მისი ზერელე ნაკითხობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ უვიც ხალხს სწავლულად მიეღოთ და თაყვანი ეცათ, ხოლო, თავის განსაკუთრებულად დაჭერისა, ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკისა და იმ ამაღლებული ტონის წყალობით, რითაც იგი ეკლესიისა და ღვთისმსახურების სიდიადეზე ქადაგებას მოჰყვებოდა, წმინდანადაც კი მიაჩნდათ. მდაბიო ხალხი ხომ საერთოდ დაუნდობლად კრიჭაში უდგას წარჩინებულებს, მაგრამ წინამძღვარ ეიმერს მდაბიოებმაც კი მიუტევეს თავქარიანობა. წყალობაუხვი კაცი იყო და სიუხვე კი, საქვეყნოდ არის ცნობილი, მრავალ ცოდვას გამოისყიდის ხოლმე, თანაც არა იმ გაგებით, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი. მონასტრის შემოსავლის დიდი წილი მის ხელთ იყო და ეს საშუალებას აძლევდა არა მარტო თავისი აურაცხელი ხარჯები დაეფარა, არამედ გლეხების მიმართაც გამოეჩინა გულუხვობა და ხშირად გაემართა ხელი გაჭირვებულთათვის. თუ წინამძღვარ ეიმერს ზოგჯერ თავდავიწყებით

გაიტაცებდა ნადირობა, ან ძალიან დიდხანს შერჩებოდა მეჯლისს, ან არა და ბნელ ღამეში სამიჯნურო პაემანზე ღამენათევს გათენებისას შენიშნავდნენ, როგორ შეიძურწებოდა საბატოს უკანა კარებში, - მხრებსღა აიჩეჩავდნენ და მიუტევებდნენ ამ შეცოდებას: მაშინვე გაახსენდებოდათ, რომ ასევე სცოდავდნენ ბევრი მისი თანამოძმე ღვთისმსახურნიც, რომლებიც,

ამასთან, სულაც არ იწუხებდნენ თავს ისეთი ქველმოქმედებით გამოესყიდათ თავიანთი ცოდვები, რითაც ეს მოძღვარი გამოირჩეოდა. ასე რომ, წინამძღარ ეიმერს ძალიან კარგად იცნობდნენ ჩვენი საქსონელები; ამიტომ ხეპრულად დაუხარეს თავი და სამაგიეროდ დალოცვაც მიიღეს მისგან - „Benedisite mes filz“[14].

მაგრამ ბერის თანამგზავრის და მისი მხლებლების ახირებულმა გარეგნობამ ისე გააკვირვა და გააოგნა საქსონელები, რომ წინამძღვრის შეკითხვა - აქ ახლომახლო ღამის გასათევი ადგილი ხომ არ გეგულებათო - ხეირიანად არც კი გაუგონიათ; მზით დამწვარი უცნობის ნახევრად მხედრული, ნახევრად მონასტრული მორთულობის ხილვაზე გაოცებისაგან პირი დააბჩინეს, და აღმოსავლელი მხლებლების უცნაურმა ჩაცმულობა-აღჭურვილობაზედაც დიდად განცვიფრდნენ. შესაძლებელია, ის ენაც არ იყო მათთვის სასიამოვნო, რა ენაზედაც დალოცვით ღირსჰყვეს და ღამის გასათევი ჰკითხეს, თუმცა მიხვედრით უსათუოდ მიხვდებოდნენ საქსონელი გლეხები.

- თქვენ გეკითხებით, შვილნო ჩემნო, - ხმას აუწია წინამძღვარმა და ახლა ფრანკულად, ანუ იმ

არეულ ენაზე ჰკითხა, რასაც ნორმანები და საქსონები ერთმანეთში სალაპარაკოდ ხმარობდნენ ხოლმე, - აქ ახლომახლო ისეთი კეთილი კაცი ხომ არ გეგულებათ, რომ ღვთის სიყვარულითა და ჩვენი დედა ეკლესიის პატივისცემით მის ორ უმდაბლეს მსახურს მხლებლებითურთ თავშესაფარი მისცეს და ერთი ღამით მოასვენოს.

ეს წარმოთქვა ქედმაღლურად და საკუთარი ღირსების შეგრძნებით, ლაპარაკის კილო სულაც არ შეეფერებოდა იმ თავმდაბლური სიტყვების შინაარსს, რაც მან საგანგებოდ შეარჩია.

- „დედა ეკლესიის უმდაბლესი მსახურნი! - გუნებაში გაიმეორა ვამბამ, მაგრამ სიფრთხილე იხმარა და ხმამაღლა თქმას მოერიდა, მიუხედავად იმისა, რომ მასხარა იყო, - ნეტა ერთი მისი მოურავებისა და დიდ-დიდი კარისკაცებისთვის შემავლებინა თვალი, როგორიღა იქნებიან!“

ასეთი შენიშნები გამოთქვა გუნებაში წინამძღვრის სიტყვებზე, მერე თავი ასწია და კითხვაზე უპასუხა:

- თუ უნეტარეს მამებს კარგი მოლხენა და რბილად მოსვენება უყვართ, სულ რამდენიმე მილის მანძილზე ბრინქსვორთის სააბატო გახლავთ, სადაც მათ ღირსებას რომ შეეფერება, ისეთის პატივით დახვდებიან; ხოლო მონანიებასა და ლოცვა-ვედრებაში თუ არჩევენ ღამის გატარებას,

აგერ ის განაკაფი პირდაპირ კოპმენჰორსტის სენაკში მიიყვანს; იქ ღვთისმოსავი განდეგილი შეიფარებს კიდეც თავის ჭერქვეშ და მწუხრის ლოცვასაც მათთან ერთად გაიზიარებს.

წინამძღვარმა თავი გააქნია, არც ერთი არ დაუჯდა ჭკუაში.

- ჩემო კარგო, - მიუგო მან, - სულ მთლად თუ არ დაუბნევია შენთვის გონება მაგ ზანზალაკების ჟღარუნს, უნდა იცოდე, რომ Glerikus clerikum non decimat - ესე იგი, ჩვენ, ღვთის მსახურებს ერთმანეთთან სტუმრობა არაფრად გვეპიტნავება, ერისკაცს რომ ვეწვიოთ, ის გვირჩევნია - ამით საშუალებას ვაძევთ, უფალს ემსახურონ: ეკლესიის მსახურების პატივისცემა და დაფასება იგივე ღვთის სამსახურია.

- მე ხომ ვირი ვარ, - თქვა ვამბამ, - მაგრამ მაინც მაქვს უფლება, ისეთივე ჟღარუნები ვატარო, როგორიც თქვენი უნეტარესობის ჯორსა ჰკიდია. მიუხედავად ამისა, მეგონა, რომ დედა ეკლესიისა და მისი მსახურების მოწყალება სხვა, უბრალო ხალხისას დაემსგავსებოდა და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სახლში მიეცემოდა დასაბამი...

- გეყოფა თავხედობა, ბრიყვო, - მრისხანედ შეაწყვეტინა ლაყბობა შეიარაღებულმა მხედარმა, - თუ შეგიძლია მიგვასწავლე გზა... რაო, რას ეძახით იმ ფრანკლინს, მამაო ეიმერ?

- სედრიკი, - მიუგო წინამძღვარმა, - სედრიკ საქსონელი... მითხარი, ჩემო კეთილო, აქ ახლოს არის მისი სახლი? გზას ვერ მიგვასწავლი?

- გზის პოვნა არც ისე ადვილი საქმეა, - მიუგო გურთმა, რომელიც აქამდე ჩუმად იდგა და კრინტიც არ დაეძრა, - თანაც სედრიკის ოჯახი ადრე იძინებს ხოლმე.

- ხმა ჩაიკმიდე, წილადობილას ნუღარ მოჰყვები, - შესძახა მხედარმა, - არ გაუძნელდებათ ადგომა და ჩვენისთანა მგზავრების გამასპინძლება, ისღა მაკლია, თავი დავუხარო და მიღება ვთხოვო, როცა კანონითა გვაქვს ამის უფლება.

- აღარ ვიცი, - კუშტად თქვა გურთმა, - მართლა მივასწავლო ჩემი ბატონის სახლი ამ ხალხს, რომელთაც კანონით უნდათ მოითხოვონ ის, რასაც სხვები წყალობადაც სიხარულით ღებულობენ ხოლმე?

- ენის შებრუნებასაც მიბედავ, ყურმოჭრილო მონავ! - შესძახა მხედარმა, ცხენს დეზები ამოჰკრა, ბილიკზე გადაახტუნა და მათრახი შემართა, რათა თავხედობისათვის საკადრისად დაესაჯა გლეხაჭუა.

გურთმა გაბოროტებით შეანათა შურისძიების გამომეტყველი ველური თვალები და ხელი ჯიქურ დანის ტარზე იტაცა, მაგრამ მერე ისევ შეყოყმანდა; ამასობაში წინამძღვარმა ეიმერმაც შეაგდო ჯორი მეღორესა და თავის თანამგზავრს შორის და საშინელ შეჭიდებას ხელი შეუშალა.

- ნუ, ძმაო ბრიან, წმინდა მარიამს გაფიცებთ, ნუ იზამთ ამას, პალესტინაში ნუ გგონიათ თავი, წარმართ თურქებსა და ურჯულო სარკინოზებს კი არ მუსრავთ; ამ კუნძულის ხალხს შეხლა-შემოხლა და დარტყმები როდი გვიყვარს, მარტოოდენ წმიდა ეკლესიისაგან თუ ავიტანთ ამას, რომელიც მუდამ სიყვარულით გვსჯის ხოლმე... მითხარი, კეთილო კაცო, სედრიკ საქსონელის გზა საით არის - მიმართა მან ვამბას და თავისი სიტყვები ვერცხლის ფულით გაამაგრა, - არ იქნება, რომ არ იცოდე, და ვალდებულიც ხარ ასწავლო ყველა გამვლელ-გამომვლელს, თუნდაც ჩვენისთანა წმიდა სამოსელი არ ეცვას.

- მართალი თუ გნებავთ, ნეტარო მამაო, - მიუგო ხუმარამ, - ისე დამაფეთა თქვენი ნეტარი თანამგზავრის სარკინოზის თავმა, რომ შინის გზაც დამავიწყდა... ისიც კი აღარ ვიცი, ამაღამ მე თვითონ თუ მივაღწევ შინამდე.

- იყუჩე, - უთხრა წინამძღვარმა, - თუ მოისურვებ, ძალიანაც კარგად შეგიძლია. ეს ნეტარი ძმა მთელი თავისი დღე და მოსწრება სარკინოზებს ებრძვის წმიდა საფლავის გამოსახსნელად.

ტაძრის რაინდთა ორდენის წევრია, ალბათ გაგეგონება კიდეც - ნახევრად ბერია და ნახევრად მეომარი.

- თუ ნახევრად ბერია, - მიუგო მასხარამ, მთლად უგუნურად რატომღა ეპყრობა გზაში შემხვედრ ხალხს; რა ვუყოთ, რომ მაინცდამაინც დიდი ხალისით არ უპასუხებენ ისეთ რამეებზე, რაც მათ სულაც არ ეკითხებათ!

- კარგი, ეს ხუმრობა მიპატიებია, - უთხრა წინამძღვარმა, - ოღონდ სედრიკის გზა უნდა მიგვასწავლო.

- კეთილი, - უთხრა ვამბამ, - თქვენი უნეტარესობა ამ გზას უნდა დაადგეს; ივლით, ივლით და მიადგებით მიწაში ჩარჭობილ ჯვარს. ჯვართან ოთხი გზა შეგხვდებათ - თქვენ მარცხენას დაადექით და, დარწმუნებული ვარ, მანამ ქარიშხალი ამოვარდებოდეს, თქვენი უნეტარესობა მიაღწევს კიდეც თავშესაფარს.

წინამძღვარმა მადლობა გადაუხადა ბრძენ მრჩეველს, მხედრებმა ცხენებს დეზები ამოჰკრეს და ისე გაქუსლეს, როგორც მოახლოებული ქარიშხლით დაშინებული ხალხი გაეშურება ხოლმე ღამით თავშესაფრისაკენ. ცხენების თაქარათქური რომ მიწყდა, გურთი თავის ამხანაგს მიუბრუნდა:

- შენს ბრძნულ რჩევას თუ მიჰყვნენ ნეტარი მამები, არა მგონია, როთერვუდამდე მიაღწიონ ამაღამ.

- სამაგიეროდ, ბედმა თუ გაუღიმათ, შეფილდს ჩავლენ, მაგათთვის ეგეც უპრიანია, - გაიჭყანა მასხარა, - ცუდი მეტყევე უნდა ვიყო, რომ ძაღლები ირმის კვალზე დავაყენო, თუკი იმ ირმის დაჭერა არ გადამიწყვეტია.

- მართალი ხარ, - კვერი დაუკრა გურთმა, - ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეიმერმა ქალბატონ როენას მოჰკრას თვალი; ხოლო სედრიკმა რომ ამ მეომარ ბერს დაუწყოს ჩხუბი, და დაუწყებს კიდეც, არხეინად ბრძანდებოდე - კიდევ უფრო უარესი. თუმცა ჩვენ რა - როგორც კარგ მსახურებს შეეფერება, პირში წყალი ჩავიგუბოთ და ვუყუროთ, რა მოხდება.

ჩვენ ცხენოსნებს გავჰყვეთ, რომელთაც მალე უკან მოიტოვეს მონები და ერთმანეთს ფრანგულ-ნორმანულად გამოელაპარაკნენ. დიდკაცობა თითქმის ამ ენაზე ლაპარაკობდა მაშინ, კანტიკუნტად თუ გამოერეოდა გამონაკლისი, რომელთაც საქსონური წარმოშობით მოჰქონდათ თავი.

- ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ამ მონების ასეთი უტიფარი თავხედობა? - ჰკითხა წინამძღვარს ტაძრის რაინდმა, - ან რატომ არ დამანებეთ, საკადრისად დამესაჯა?

- აბა რასა ბრძანებთ, ძმაო ბრიან, - მიუგო წინამძღვარმა, - ერთი მათგანი ხომ სულელი იყო და სულელური სიტყა-პასუხის მეტი რა მოეთხოვებოდა; მეორე კიდევ - იმ ურჯუკი, გაუთლელი, ველური და ხეპრე საქსონური ჯილაგისა გახლავთ, რომელთაც, რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, დამარცხება ვერანაირად ვერ მოუნელებიათ, და უდიდეს სიამოვნებას იმაშიღა ნახულობენ, სადაც კი მოახელთებენ, როგორმე დამპყრობელს ჩაასონ კბილი.

- იცოცხლე, მალე ვასწავლიდი თავაზიანობას, - შენიშნა ბრიანმა, - მაგისთანა ვაჟბატონებზე ხელი გაწაფული მაქვს. ჩვენი ოსმალი ტყვეები აგერ, ისეთი გააფთრებული ურჯუკები არიან, ოდინს[15] ტოლს არ დაუდებენ, მაგრამ რაც სახლში მოვიყვანე, ორი თვეც არ დამჭირვებია, ისე გავტეხე, მოვარჯულე და მოვათვინიერე, რომ თქვენი მოწონებული. ეს კია, სიფრთხილე გვმართებს, ხანჯალი და საწამლავი გადამალული უნდა გქონდეს - თუკი იხელთეს, ან იმით დაგგესლავენ და ან იმით.

- რას იზამ, - მიუგო წინამძღვარმა, - რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო; ეგეც რომ არ იყოს, სულერთია, ცემით მაინც ვერაფერს გავხდეობდით; შემდეგ კი, ჩვენ თვითონაც რომ გაგვეგნო გზა, სედრიკთან ჩხუბს ვერ ავცდებოდით. ნუ დაგავიწყდებათ, რაც გითხარით - ეს მდიდარი ფრანკლინი მეტისმეტად გოროზი, ფიცხი, ეჭვიანი და ანჩხლი კაცია. სულაც არ ეპუება ჩენს დიდებულებს, თავის მეზობლებსაც კი არაფრად აგდებს - რეჯინალდ ფრონ დე ბეფსა და

ფილიპ მალვუაზენს, რომლებთანაც შებმა ბალღების ძიძგილაობას რომ ჰგავს. ისე სასტიკად იცავს თავისი მოდგმის უფლებებს, ისე მოაქვს თავი შვიდმეფობის დროინდელი გმირის ჰარვარდის პირდაპირი შთამომავლობით, რომ მთელი ქვეყანა სედრიკ საქსონელს ეძახის. სხვები მალავენ თავიანთ წარმოშობას, რათა დამარცხებულის ტანჯვა არ იგემონ და საკუთარ თავზე არ გამოსცადონ Vae victis[16] რას ნიშნავს, ეგ კი, პირიქით, თავისი წარმოშობით ტრაბახობს.

- მამაო ეიმერ, - მიმართა რაინდმა, - თქვენ თავაზიანი კაცი ხართ, მშვენიერების ფასი კარგად გაგეგებათ და სატრფიალო წეს-კანონებიც ტრუბადურზე ნაკლებად არ იცით; მაგრამ ეს განთქმული როენა ძალიან ლამაზი უნდა იყოს და, სწორედ მან უნდა ამინაზღაუროს, რაც მამამისთან შეხვედრის დროს თავშეკავება და მოთმინების გამოჩენა დამჭირდება, თუ მართლაც ისეთი ბრიყვი ყაჩაღია ის სედრიკი, როგორც თქვენ ბრძანებთ.

- სედრიკი სადაური მამაა, ნათესავად მოხვდება, - მიუგო წინამძღვარმა, - ეს ქალი სედრიკზედაც უფრო წარჩინებული გვარისა გახლავთ, მაგისი შორეული ნათესავია. რამდენადაც ვიცი, ქალის მეურვეობა თვითონვე იკისრა და ღვიძლი შვილივით შეიყვარა. რაც შეეხება სილამაზეს, თქვენვე იხილავთ მალე; თუ მაგისი სახის სინატიფემ და ლურჯი თვალების ამაყმა,

მაგრამ ნაზმა გამომეტყველებამ პალესტინელი შავტუხა გოგოები და მაჰმადის სამოთხის ჰურიები არ დაგავიწყოთ, მაშინ ურჯულო ვიყო და არა წმიდა ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი.

- ოღონდ სანაძლეოს ნუ დაივიწყებთ, თუკი ისეთი მშვენიერი არ გამოდგეს თქვენი შექებული ქალი, - შეახსენა რაინდმა.

- მე ხომ ოქროს ყელსაბამს ვდებ, - მიუგო წინამძღარმა, - თქვენ კი ათ კასრ ხიოსის ღვინოს. მაგრამ გული საგულესა მაქვს, თითქოს უკვე მონასტრის სარდაფში მეწყოს ეს კასრები, ჩემი ბებერი მეკუჭნავე დენისის კლიტეს მინდობილი.

- მსაჯული მე თვითონვე ვარ, და მხოლოდ მაშინ ჩავთლი თავს წაგებულად, თუ დავრწმუნდი, შარშანდელ სულიწმიდის მოფენის დღის შემდეგ მაგისთანა ლამაზი ქალი არ მინახვს-თქო. ეს არ იყო ჩვენი პირობა?.. ბეწვზე ჰკიდია თქვენი ყელსაბამის ბედი, მამაო: აშბი დე ლა ზუშის ასპარეზობაზე მე უნდა გავიკეთო, - უთხრა რაინდმა.

- პატიოსნად თუ მოიგებთ, ალალი იყოს, - მიუგო წინამძღვარმა, - რაც არ უნდა გადაწყვიტოთ, თქვენს სიტყვას ვენდობი, როგორც რაინდისას და ღვთისმსახურისას. ოღონდ ჩემს რჩევას ყურს ნუ მოუყრუებთ, ძმაო, ენა ცოტა უფრო თავაზიანად მომართეთ, თორემ ურჯულო ტყვეებსა და აღმოსავლეთის მონებთან სხვანაირ ლაპარაკს ხართ დაჩვეული.სედრიკ საქსონელი ისეთი კაცია, რომ ერთი თუ გაგულისდა, მორჩა - არც თქვენს რაინდობას მიხედავს, არც ჩემს ღვთისმსახურობას, არც იმას, რომ ორივენი წმინდა ტაძარს ვემორჩილებით - შუაღამეც რომ

იყოს, სახლიდან დაგვფერთხავს და ტოროლებთან გვაყუნცულებს. განსაკუთრებით როენასთან გმართებთ სიფრთხილე, ძალიან ნუ დააშტერდებით, თორემ ყველაზე უფრო როენას ელოლიავება, და თუ ისეთი რამე შეგვნიშნა, ჩვენი საქმე გათავებულია. ამბობენ, ერთადერთი შვილი გააგდო შინიდან - როგორ გაბედა და ქალს სატრფიალო თვალით შეხედაო. ეტყობა, შორიდან ცქერით შეიძლება იმ ქალის თაყვანისცემა, ახლოს თუ მიხვედი, ისეთივე გრძნობა უნდა გქონდეს, როგორც ღვთიშობლის საკურთხეველთან მივდივართ ხოლმე.

- კარგი, კარგი, ასე იყოს, - თქვა რაინდმა, - ამ ერთ ღამეს როგორმე მოვთოკავ თავს და მორცხვ ქალწულს დავემსგავსები; იმის ფიქრი კი ნუ გექნებათ, თითქოს ვინმეს შეეძლოს შეურაცხყოფა მოგვაყენოს და მე და

ჩემი საჭურველთმტვირთველები სახლიდან გამოგვრეკოს. არხეინად ბრძანდებოდეთ, მაგას არავის გავაბედინებთ.

- მაგ სიშორეს არ უნდა შევტოპოთ, - მიუგო წინამძღვარმა, - აჰა იმ მასხარას ჯვარიც. ისე ბნელა, რომ აღარც კი ვიცი, რომელ გზას დავადგეთ. მარცხნივ მოუხვიეთო, მგონი ასე გვითხრა.

- მარჯვნივო, - შეესიტყვა ბრიანი, - მე, როგორც მახსოვს, მარჯვნივო.

- არა, მარცხნივ, ნამდვილად მარცხნივ; მახსოვს კიდეც, თავისი ხის ხმალი გაიშვირა.

- ჰო, მარცხენა ხელში ეჭირა, მაგრამ მარჯვნივ გაიშვირა, - არ უთმობდა რაინდი.

ორივე ჯიუტად იდგა თავის სიტყვაზე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში; მხლებლებსა ჰკითხეს, მაგრამ მხლებლები მათგან შორს მდგარიყვნენ და ვამბას სიტყვები ვერ გაეგონათ. ბოლოს ბრიანმა რაღაც შენიშნა, მაგრამ ბინდბუნდში კარგად ვერ გაარჩია.

- ჯვრის ძირში ვიღაც გდია, ვერ გამიგია სძინავს თუ მკვდარია... ჰუბო, აბა ერთი შუბის წვერი წაჰკარი.

ჰკრა თუ არა საჭურველთმტვირთველმა შუბი, ვიღაც წამოვარდა და სუფთა ფრანგულით შესძახა:

- ვინც არ უნდა იყო, დიდი უზრდელობაა, რომ ფიქრს მიშლი!

- ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვეკითხა, - მიმართა წინამძღვარმა, - როთერვუდის გზას ხომ ვერ მიგვასწავლით, საცა სედრიკ საქსონელი ცხოვრობს?

- მეც იქით მივდივარ, - მიუგო უცნობმა, - ცხენი რომ მყავდეს, გაგიძღვებოდით კიდეც, რადგან ძალიან ძნელი გასაგნები გზაა, თუმცა მე კარგად ვიცი.

- ოღონდ მშვიდობიანად მიგვიყვანე და მადლობასაც გეტყვით, დაგასაჩუქრებთ კიდეც, ჩემო მეგობარო, - უთხრა წინამძღვარმა.

მერე ერთ-ერთ მსახურს უბრძანა მის ესპანურ ცხენზე გადამჯდარიყო, ხოლო თავისი - უცნობი მეგზურისათვის დაეთმო.

მეგზურმა ვამბას ნაჩვენები გზის საპირისპირო მიმართულებით გასწია, რადგან მასხარამ ცხენოსნებს განგებ აუბნია გზა. ბილიკი თანდათანობით ხშირ ტყეში შევიდა, გადაჭრეს რამდენიმე ნაკადული, რომელთა ჭაობიანი ნაპირები სახიფათო იყო გადასალახავად, მაგრამ უცნობი, თითქოს ალღო-

თი პოულობდა მშრალსა და უხიფათო გასასვლელს; გაფაციცებულის სიფრთხილით გაიყვანა ცხენოსნები ფართო განაკაფზე, რომლის ბოლოშიაც დიდი, დაბალი და უსწორმასწორო შენობები დაინახა.

- აჰა, როთერვუდიც, სედრიკ საქსონელის სამყოფელიც, - უთხრა მან წინამძღვარს.

ამ ცნობამ ყველაზე მეტად ეიმერი გაახარა, რადგან მაინცდამაინც მაგარი ნერვების პატრონი არ გახლდათ და იმ საშინელი ტლაპოების გადალახვის დროს ისეთი შიში ჭამა, რომ აქამდე ხმის ამოღებაც ვერ გაებედა. ახლა კი, სამშვიდობოს რომ იგრძნო თავი და თავშესაფარი დაინახა, კვლავ გაეღვიძა ცნობისმოყვარეობა, და მეგზურს ვინაობა ჰკითხა.

- მწირი გახლავარ, ეს არის წმიდა მიწიდან დავბრუნდი, - იყო პასუხი.

- გერჩივნა იქვე დარჩენილიყავი და წმიდა საფლავის გამოსახსნელად გებრძოლა, - უთხრა რაინდმა.

- მაგას მართალსა ბრძანებთ, ნეტარო რაინდო, - მიუგო მწირმა, რომელსაც ეტყობოდა, კარგად ეცნაურა ტაძრის რაინდის გარეგნობა, - მაგრამ როცა წმიდა ქალაქის გამოხსნისათვის საბრძოლველად ფიცდადებული ხალხი აღთქმას გატეხს და ასე შორს აღმოჩნდება ბრძოლის ადგილიდან, რაღა გასაკვირია, რომ ჩემისთანა უბრალო გლეხკაცმა დაივიწყოს მოვალეობა.

რაინდს მკვახე პასუხი უნდა გაეცა ამ სიტყვებზე, მაგრამ წინამძღვარმა დაასწრო და გაკვირვება გამოთქვა - ამდენი ხნის გადახვეწილმა კაცმა ასე კარგად როგორ დაიხსომე ტყის ბილიკებიო.

- აქაური გახლავარ, - ძლივს მოასწრო პასუხი მეგზურმა, რომ მიადგნენ კიდეც სედრიკის სახლს, რომელიც დაბალი, უსწორმასწორო შენობებისაგან შედგებოდა, რამდენიმე ეზო ჰქონდა და კარგა დიდი ადგილი ეჭირა. ამოდენა სივრცე პატრონის სიმდიდრეს მოწმობდა, მაგრამ ნაგებობა სავსებით განსხვავდებოდა ნორმანი დიდებულების იმ წოწოლა, ქონგურებიან ციხე-დარბაზებისაგან, რაც იმხანად მთელ ინგლისში გავრცელდა.

როთერვუდი ძალიან კარგად იყო დაცული. იმ არეულ დროში გაუმაგრებელს ვერც ერთ შენობას ვერ დატოვებდნენ- რადგან დილამდე, ვინ იცის, ან გაძარცვავდნენ, ან გადაბუგავდნენ. გალავანს ღრმა არხი ჰქონდა შემოვლებული, რომელშიაც მახლობელი მდინარიდან მიეშვათ წყალი. არხს შიგნითაც და გარეთაც მესერი ერტყა - წვერწამახვილებული სარები

ახლომახლო ტყეებში გამოეჭრათ. დასავლეთით, გარეთა მესერში, ჭიშკარი იყო დატანებული, რომელიც მოძრავი ხიდით შიგნითა ღობის ამგვარსავე ჭიშკარს უკავშირდებოდა. ეს ჭიშკრებიც ფრთხილად იყო დაცული - თუ საჭირო გახდებოდა, იქვე ადვილად ჩასაფრდებოდა მშვილდოსან-მეშურდულე და შემოსასვლელს გაამაგრებდა.

სწორედ ამ ჭიშკარს მიადგა ტაძრის რაინდი და რქას ძალუმად ჩაბერა, რადგან წვიმა, რომელიც რამდენი ხანია იმუქრებოდა, ახლა კოკისპირულად წამოვიდა.

თავი მესამე

და სწორედ მაშინ (ვაგლახ, მაშინ) გრგვინვაში ზვღისა,
ქერათმიანი, ლურჯთვალება, მხარბეჭიანი
და ჯანით სავსე საქსონელი მოადგა ნაპირს.
თომსონი[17], „თავისუფლება“

ვრცლად გადაჭიმულ დარბაზში, რომელიც სიგრძე-სიგანესთან შეფარდებით მეტისმეტად დაბალი იყო, ხის მორებისაგან გამოჩორკნილი, თითქმის გაურანდავი, მუხის გრძელი მაგიდა იდგა; ზედ ვახშამი გაეშალათ სედრიკ საქსონელისათვის. დარბაზს ჭერი არა ჰქონდა და სახურავიც ისე ფარღალალა იყო, გეგონებოდათ, ბინა პირდაპირ ცას უერთდებაო, გარდიგარდმო გადებულ კოჭებსა და ლარტყებზე აქა-იქ თხლად გაეშალათ ისლი. დარბაზის თავსა და ბოლოში თითო უზარმაზარი ბუხარი იყო ამოყვანილი, მაგრამ ისე უხეიროდ ნაშენები, რომ ბოლი ოთახშიც იმდენი გამოდიოდა, რამდენიც საკვამურში. გამუდმებულ კვამლს ჭვარტლის ლაქით გაეშავებინა ცალანგარი. კედელზე საომარი და სანადირო იარაღები ეკიდა. ყოველ

კუთხეში გამოჭრილი კარები დარბაზს ამ ვეებერთელა შენობის სხვა ოთახებთან აკავშირებდა.

სახლის დანარჩენი მორთულობა გამოირჩეოდა მაშინდელი საქსონური ტლანქი სისადავით, რისი დაცვაც სედრიკს საამაყოდ მიაჩნდა. იატაკი მიწისა და კირის ნარევს წარმოადგენდა, მაგრამ დატკეპნილს - სწორედ ისეთს, როგორსაც დღევანდელ საცეხვავებშიც შეხვდება კაცი. თითქმის მთელი მეოთხედი ნაწილი სოხანესი ერთი საფეხურით შემაღლებული იყო, ამას „კვარცხლბეკს“ ეძახდნენ, ოჯახის უფროსები და გამორჩეული სტუმრები სხდებოდნენ ხოლმე აქ. წითელ მაუდგადაფარებული მაგიდა გარდიგარდმო იდგა „კვარცხლბეკზე“; მაგიდის შუა ნაწილიდან კი დარბაზის მეორე კუთხემდე უფრო დაბალი და გრძელი სეფა იყო გადაჭიმული, შინაყმებისა და მსახურებისათვის. ეს ორი მაგიდა ერთად ასო T-ს მოგაგონებდათ, ან იმ ძველებურ სასადილო ტაბლას, როგორსაც ახლაც ნახავთ ოქსფორდისა და კემბრიჯის ძველ კოლეჯებში. „კვარცხლბეკზევე“ იდგა მუხის დიდი, მძიმე, მოჩუქურთმებული სავარძელ-საკარცხულები. სავარძლებსა და მაღალ მაგიდას ზემოდან მაუდის გავალაკი ჰქონდა გამოფარებული, რაც ამ საპატიო ადგილას მსხდომ რჩეულ გვამთ იფარავდა ავდრისაგან, განსაკუთრებით კი წვიმისაგან, რადგან თხლად დახურულ ისლში თავისუფლად ატანდა ხოლმე წვიმის წვეთები.

შემაღლებულ მხარეს დარბაზის კედლები - სწორედ „კვარცხლბეკის“ გასწვრივ - ფარდებით იყო დაფარული, იატაკზე კი ნოხი გაეფინათ. ნოხიცა და ფარდებიც ჭრელად იყო ამოქარგული. „კვარცხლბეკზე“ მიდგმულ გრძელ, დაბალ მაგიდას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახურავი არ ჰფარავდა, კირით ულაზათოდ შეთხიპნილი კედლებიც სულ მოტიტვლებული იყო და არც

ოღროჩოღრო სოხანეს ეფინა ნოხი. გრძელ მაგიდაზე სუფრა არ ჰქონიათ გადაფარებული, ხოლო სკამების ნაცვლად, ირგვლივ გრძელი, გაურანდავი მერხები შემოეწყოთ.

ზემოთა მაგიდის შუაში ორი, სხვებზე უფრო მაღალი საკარცხული იდგა, ოჯახის უფროსების - ბატონისა და ქალბატონისათვის, რომლებიც სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ და ამიტომ საქსონური ადათის მიხედვით, საგანგებო სახელიც ჰქონდათ შერქმეული - „პურის დამწყალობებელნი“.

კიდევ უფრო თვალსაჩინო განსხვავებისათვის ამ ორ საკარცხულს, სათითაოდ, სპილოსძვლით უცნაურად შემკულ-მოჩუქურთმებული პატარა სკამი ჰქონდა მიდგმული, ფეხის დასადგმელად. ერთ-ერთ საკარცხულზე ამჟამად სედრიკ საქსონელი იჯდა და მიუხედავად თენობისა, ანუ, როგორც ნორმანები ეძახდნენ - ფრანკლინობისა, შეგვიანებული ვახშმის მოლოდინში ისეთ გაღიზიანებულ მოუთმენლობას ამჟღავნებდა, რაც დღევანდელ, ან თუნდაც ძველი დროის ოლდერმანისაგან უფრო იყო მოსალოდნელი.

ამ წარჩინებულ მემამულეს სახეზე შეამჩნევდით, რომ ალალი, მაგრამ ფიცხი და ანჩხლი იქნებოდა. შუატანისა იყო, მხარბეჭიანი და ისეთი ჩასკვნილი, როგორც მრავალ ბრძოლაგადახდილ და ნადირობის მოყვარულ კაცს შეეფერება. პირბრტყელი იყო,

ლურჯთვალა, შუბლგახსნილი და გულღია, გრძელი ხელები ჰქონდა, ლამაზად ჩაწიკწიკებული კბილები, თავი - კოხტა მოყვანილობისა... საერთოდ სახეზე ისეთი გულკეთილობა აღბეჭდოდა, რაც უფრო ხშირად ფიცხსა და მგზნებარე ადამიანებს ახასიათებთ. თვალებიდან სიამაყე და დაეჭვება გამოუკრთოდა, რადგან მთელი სიცოცხლე თავისივე უფლებების დაცვაში გაეტარებინა: ყოველ წუთში მოსპობა ემუქრებოდა ამ უფლებებს. ამიტომაც მისი მკვირცხლი, ფიცხი და მტკიცე ბუნება, გარემოებათა მეტისმეტი დაძაბულობის გამო, მუდამ დაჭიმული და შემართული იყო. შუაზე თანაბრად გაყოფილი გრძელი ქერა თმა მხრებზე ჩამოშლოდა და მიუხედავად იმისა, რომ სედრიკი სამოცს უახლოვდებოდა, ოდნავ შესამჩნევად შეჭაღარავებულიყო.

ეცვა ხასხასა მწვანე ხიფთანი, რომლის საყელოებსა და ყოშებზე ბეწვის თეთრი ქობა ჰქონდა შემოვლებული. ეს ბეწვი ყარყუმსა ჰგავდა, მაგრამ უფრო მდარე იყო, ალბათ სინჯაბისა. ხიფთანი გაღეღილი ჰქონდა და ქვეშ მოუჩანდა ტანზე მჭიდროდ შემომჯდარი წითელი ჟილეტი, ასეთივე წითელი შარვალი გატიტვლებულ მუხლებამდეღა სწვდებოდა. ფეხებზედაც გლეხური ქალამნები თუ ბანდულები ამოეკრა, მაგრამ უფრო კარგი ტყავისა და თან ოქროს აბზინდიანი. ხელებზე ოქროს სამკლავეები გაეკეთებინა და კისერზედაც ამავე ძვირფასი ლითონის ბრტყელი ყელსაბამი ჰქონდა მობმული. მდიდრულად მოოჭვილ ქამარზე ეკრა მოკლე ორლესული, წვე-

ტიანი ხმალი, რომელიც ბარძაყზე სცემდა. სავარძლის უკან, კედელზე ეკიდა ბეწვის ქობაშემოვლებული წითელი მაუდის მოსასხამი და ამავე ქსოვილის დიდებულად მოქარგული

ქუდი. ეს გახლდათ მდიდარი მემამულის საგარეო ტანსაცმელი. სავარძელზე ჩამოკიდებული იყო ტახის ეშვისაგან გაკეთებული პრიალა ლითონის ბრტყელტარიანი მოკლე ხელშუბი თუ ზუფანი, რასაც, სახლიდან გასული, საჭიროების მიხედვით, ხან ჯოხად ხმარობდა და ხანაც იარაღად.

რამდენიმე მსახური, რომელთა მორთულობა ერთდროულად თავიანთი პატრონის მდიდრულ სამოსსაც მოგაგონებდათ და მეღორე გურთის ტლანქსა და უბრალო ჩასაცმელსაც, გაფაციცებით შესცქეროდა თალებში საქსონელ ბატონს, ელოდნენ, როდის რას გვიბრძანებსო. ამათგან, ორი-სამი, უფრო მაღალი რანგის მსახური, თავიანთ მბრძანებელს ედგა გვერდში, „კვარცხლბეკზე“, დანარჩენები კი დაბლა იყვნენ. სხვა ჯურის მსახურებსაც იხილავდით - ორი თუ სამი დიდი ბომბორა ძაღლი, რომელთაც მაშინ მგლებსა და ირმებზე სანადიროდ იყენებდნენ ხოლმე; იმდენად ძვალმსხვილი, დიდთავა, სქელკისერა, ყურებგადმოპარტყუნებული მწევარი, და ერთი-ორი პატარა ყურშა, რომელსაც ახლა ტერიერს ეძახიან, - ჩაცუცქულიყვნენ და მოუთმენლად ელოდნენ ვახშამს, მაგრამ იმ ჭკვიანური მიხვედრილობით, რითაც მათი მოდგმა გამოირჩევა, ისინი ერიდებოდნენ პატრონის პირქუში მყუდროების დარღვევას, ან იქნებ ეშინოდათ კიდეც თეთრი კვერთხისა, რომელიც მაგიდაზე ედო სედრიკს და ის დანიშნულება ჰქონდა - ოთხფეხა ქვეშევრდომები ახლო არ მიეშვა. ერთადერთი საშინელი ნაგაზი, რომელსაც, ეტყობოდა, პატრონის ნებიერი იყო, ზედ სავარძლის გვერდით ჩაჩუცქულიყო და ცდილობდა როგორმე ყურადღება მიექცია - ხან ბანჯგვლიან თავს ჩაუდებდა პატრონს კალთაში, ხანაც დრუნჩს ჩასჩრიდა

ხელებში. მაგრამ ბატონი არც იმას ინდობდა, მკაცრად იშორებდა თავიდან - „გეყოფა, ბალდერ, გეყოფა! ხუმრომის გუნებაზე არა ვარ!“

როგორც უკვე შევნიშნეთ, სედრიკი მართლაც ვერ იყო დამშვიდებული: მწუხრის ლოცვაზე შორეულ საყდარში წასული ქალბატონი როენა, ეს არის, ახლახან დაბრუნებულიყო და წვიმაში გალუმპული ამჟამად ტანსაცმელს იცვლიდა. ამას გარდა, არც გურთისა და მისი კოლტისა ისმოდა რამე, მიუხედავად იმისა, რომ ტყიდან უკვე დიდი ხნის დაბრუნებულები უნდა ყოფილიყვნენ. არადა ისეთი არეული დრო იყო, ადვილად შეიძლებოდა კაცს

ეფიქრა - ყაჩაღები დაესხნენო; ყაჩაღებით კი სავსე იყო მახლობელი ტყე; ისიც სავარაუდო იყო, რომ ღორები წაესხა თავისი სიძლიერით გათავხედებულ რომელიმე მეზობელ ბარონს, რომელიც სხვის საკუთრებასა და კანონებს აღარ დაგიდევდათ. ეს პატარა ზარალი როდი გახლდათ - საქსონელ მემამულეთა მთავარ სიმდიდრეს ღორის კოლტები შეადგენდა, განსაკუთრებით ტყიან ადგილებში, საცა ღორის საკვები ადვილი მოსაპოვებელია.

საქსონელ თენს სხვა სადარდებელიც ჰქონდა - არც თავისი საყვარელი მასხარა ვამბა ჩანდა, რომელიც ოხუნჯობით ვახშამს თავისებურ ეშხს მატებდა და თან ხალისიანად ასმევდა ელსა და ღვინოს, რასაც ბატონი ყოველ ჯერზე მიირთმევდა ხოლმე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ სედრიკს სადილს აქეთ ნაწილიც არ ჩაედო პირში, ხოლო ვახშმის დრო დიდი ხანია

გადასულიყო, ეს კი მემამულეებს ადვილად აღიზიანებს - ძველსაც და ახალსაც. უგუნებობას წყვეტილ-წყვეტილი ფრაზებით გამოხატავდა - ხან თავისთვის დუდღუნებდა, ხან იქვე მდგომ მსახურებს ეჯუჯღუნებოდა, განსაკუთრებით მერიქიფეს, რომელიც დასამშვიდებლად დროდადრო თასით ღვინოს სთავაზობდა.

- ქალბატონი როენა რაღას იგვიანებს?

- ქუდიღა დარჩა გამოსაცვლელი, - უპასუხა მოახლემ ისეთი ღირსეული თავდაჭერით, როგორც დღევანდელ ოჯახებში განებივრებული ქალბატონის მსახური უპასუხებს ხოლმე თავის ბატონს, - თქვენ თვითონვე არ გესიამოვნებათ საგარეო ქუდითა და კაბით რომ მიუჯდეს სუფრას, ისე კი მთელ საგრაფოში ერთ ქალსაც ვერ ნახავთ ჩემს ქალბატონსავით მარდად ირთვებოდეს.

ამ უდავო ჭეშმარიტებაზე საქსონელმა ბატონმა რაღაც მორჩილად ჩაიბურტყუნა:

- სხვა დროს მაინც შეესწრებოდეს ხეირიანი ამინდი, წმინდა იოანეს საყდარში რომ წავა სალოცავად... დალახვროს ღმერთმა! - მიუბრუნდა იგი მერიქიფეს და თითქმის იმით გულდამშვიდებულმა, რომ ახლა მაინც გადმოანთხევდა თავის გაგულისებას, ისე რომ გაკიცხვის შიში არ ექნებოდა, ხმა აუწია - დალახვროს ღმერთმა, გურთი სად ჯანდაბას დაიკარგა, რას

აკეთებს ამდენ ხანს მინდორში?! ნახე, თუ რამე ფათერაკს არ გადაეყარა! ისეთი ერთგული და ფრთხილი ყმა იყო, ვფიქრობდი უფრო ხეირიან საქმეს გავუჩენ- მეთქი, ქეშიკობას ვუპირებდი.

მერიქიფე ოსვალდი მოკრძალებით შეესიტყვა - ერთი საათი არც კი გასულა, რაც ცეცხლის ჩაქრობის ზარს ჩამოჰკრესო, - მაგრამ ვერაფერიშვილი გასამართლებელი საბუთი მოაგონდა, საქსონელის ყურს მწარედ უჩხვლიტა.

- ეშმაკსაც წაუღია ეგ ზარი! - შესძახა სედრიკმა, - მაგისი მომგონი საბუშარიც და ის გულქვა მონაც, ვინც საქსონური ენით საქსონურ ყურს ასმენინებს ამისთანა სიტყვებს; ცეცხლის ზარი[18]! - გაიმეორა მცირე ხნის შემდეგ, - ცეცხლის ჩაქრობა!.. ასე, ცეცხლსა და სინათლეს გაქრობინებენ პატიოსან კაცს, რომ ბაცაცებმა და ავაზაკებმა თავისუფლად ითარეშონ სიბნელეში!.. ცეცხლის ზარი... ფიქრი ნუ გაქვს, რეჯინალდ ფრონ დე ბეფმა და ფილიპ დე მალვუაზენმა კარგად გაიგეს, რა ხეირიც მოაქვს მაგ ზარს, თვით ვილჰელმ ნაბუშარსა და და ჰასტინგში მებრძოლ სხვა თავზე ხელაღებულ ნორმანებსაც არ ჩამოუვარდებიან. არც გამიკვირდება, რომ მითხრან - მთელი ქონება მოგტაცეს იმ დამშეული ბანდიტების გამოსაძღობად, რომელთაც ქურდობითა და ავაზაკობით უდგათ სულიო. ერთგული ყმა მომიკლეს, ქონება მომტაცეს, ვამბა... ვამბა სადღაა?! გურთთან ერთად წავიდაო, ვიღაც ამბობდა!

ოსვალდმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ხომ ხედავ! სულ უკეთესი და უკეთესი ამბები მესმის! ნორმანი ლორდების გასართობად იმასაც მომტაცებდნენ, საქსონელ მასხარას! მართლაც მასხარები ვართ, მაგათ რომ ვემსახურებით, ახია ჩვენზე, ასე რომ დაგვცინიან, თითქოს ჭკუანაკლები დავბადებულიყოთ. არაფერია, შურს ვიძიერბ, - დასძინა მან, წამოხტა და ამ სავარაუდო წყენის გაფიქრებაზე თავის მოკლე შუბს სტაცა ხელი, - მთავარ საბჭოში ვუჩივლებ; მეგობრები მყავს, მომხრეები მყავს. სათითაოდ გამოვიწვევ ნორმანებს ბრძოლაში. ჯაჭვის პერანგი ჩაიცვან, ჩაჩქანი ჩამოიფხატონ, რაშიაც უნდა გაეხვიონ, თუკი ლაჩრებს ამითი მიეცემათ გაბედულება. ამ ჩემი ზუფანით მაგათ საომარ ფარზე სამჯერაც უფრო სქელი ზღუდე შემილეწია!.. ყველას ბერიკაცი ვგონივარ, არა! ხომ ასეთი ეული და უშვილძირო ვარ, თვითონვე ნახავენ, რომ სედრიკის ძარღვებში ჰარვარდის სისხლი სჩქეფს!.. აჰ, უილფრედ, უილფრედ! - ხმა დაუდაბლა მან, - შენ რომ შენი უგუნური გულისთქმა დაგეოკებინა, მამაშენი სიბერეში იმ კენტად მდგარ მუხას აღარ ემგვანებოდა, რომელსაც განძარცული და დალეწილი ტოტები პირდაპირ ქარიშხლისათვის მიუშვერია.

ეტყობოდა, ამ მოგონებამ გაგულისება სევდად შეუცვალა სედრიკს. ზუ-ფანი გვერდზე გადადო, სავარძელში ჩაჯდა, თავი ჩაქინდრა და ნაღვლიან ფიქრებს მიეცა.

ფიქრისგან ერთბაშად გამოაფხიზლა საყვირის ხმამ, რასაც მაშინვე ყუ-რისწამღები ყეფა-წკავწკავით გამოეხმაურა რაც კი დარბაზში ძაღლები იყო, და სხვებიც, ამ დიდი შენობის დანარჩენ

ნაწილებში გაფანტულებიც. მსახურებმა მაშინვე აამუშავეს თეთრი ჯოხი და კაი შრომაც გასწიეს, მანამ ძაღლების გნიასს დააჩუმებდნენ.

- ჭიშკარს მიხედეთ, ბრიყვებო! - შესძახა საქსონელმა ბატონმა, როცა ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მსახურებს მისი ხმის გაგონება შე-ეძლებოდათ, - ნახეთ ერთი, რას გვაუწყებს ეგ საყვირი - ალბათ ავაზაკ-მძარცველები შემოესიენ ჩვენს მამულს.

სამი წუთი არც კი გასულიყო, რომ ქეშიკი დაბრუნდა და ამბავი მოიტანა: „ჟორვოს სააბატოს წინამძღვარი ეიმერი და ტაძრის რაინდთა ღირსპატივ-საცემი ორდენის მამაცი მეთაური ბრიან დე ბუა გილბერი, რომლებიც თა-ვიანთი მცირე ამალით სახვალიო ასპარეზობაზე მიემგზავრებიან ასბი დე ლა ზუშის მახლობლად, ახლა მასპინძლობას და ღამის გასათევად თავშე-საფარს გთხოვენო“...

- ეიმერი! წინამძღვარი ეიმერი!.. ბრიან დე ბუა გილბერი! - ჩაიბურტყუნა სედრიკმა, - ორივე ნორმანი... მაგრამ ნორმანი იქნება თუ საქსი სულ ერ-თია, როთერვუდელ სტუმართმოყვარეობას ვერ ვუღალატებთ. რაკი აქ ინებეს ღამის გათევა, კეთილი იყოს მათი მოსვლა... უფრო სასიხარულო იქნებოდა, ცოტა შორს წასულიყვნენ, მაგრამ ვახშამსა და ღამის გასათევს როგორ დავუჭერ, ამაზე წუწუნი რა საკადრისია; მით უმეტეს, ნორმანი რომ ნორმანია, სტუმრობის დროს

ისიც კი შეიკავებს თავს და უტიფრობას არ გამოამჟღავნებს... წადი, ჰან-დიბერტ, - მიმართა მან ზურგს უკან მდგომ სახლთუხუცესს, რომელსაც ხელში თეთრი კვერთხი ეპყრა, - ექვსი კაცი იახლე და სტუმრებს სასტუმრო ოთახში შეუძეხი. ჯორ-ცხენებსაც მიხედეთ, მხლებლებს არაფერი დააკ-ლოთ. თუ მოისურვებენ, ტანსაცმელი გამოუცვალეთ, ცეცხლი გაუჩაღეთ, წყალი მიეცით დასაბანად, ელსა და ღვინოსაც ნუ მოაკლებთ. მზარეულებს უბრძანეთ, რასაც მოასწრებენ სახელდახელოდ, ვახშამს დაუმატონ, და მა-

შინვე მოგვართვან, როგორც კი მზად იქნებიან სტუმრები. ესეც უთხარ, ჰანდიბერტ - თვით სედრიკიც შემოგეგებებოდათ, მაგრამ ფიცით არის შეკრული, რომ სტუმრების შესახვედრად თავისი „კვარცხლბეკიდან“ სამი ნაბიჯის მეტი არ გადადგას, თუ საქსონური სამეფოს გვარის ვინმე წევრი არ ეწვიათქო, გასწი! ისე დაიჭირე თადარიგი, რომ ამ გაბღენძილებს პირში ბურთი ჩასჩარო და არ ათქმევინო, გაუთლელი საქსი ღატაკიც ყოფილა და პურაძვირიცაო.

სახლთუხუცესმა მსახურები გაიყოლა და ბრძანების ასასრულებლად გასწია.

- წინამძღვარი ეიმერი! - გაიმეორა სედრიკმა და ოსვალდს შეხედა, - თუ არ ვცდები, ჟილ დე მოლვერერის ძმა უნდა იყოს, ახლა რომ მიდლჰემის ლორდს ეძახიან.

თანხმობის ნიშნად ოსვალდმა მოწიწებით დაუქნია თავი.

- მაგისმა ძმამ სხვას წაგლიჯა მამულები, უფრო წარჩინებულს, და ტახტზე წამოიჭიმა. ულფგარ მიდლჰემელი იყო იმ მამულის მფლობელი... მაგრამ რომელ ნორმანს ნახავ, რომ ასე წაგლეჯით არ ჰქონდეს მოპოვებული სიმდიდრე! ამ წინამძღვარზე გამიგონია, გულმხიარული და თავისნება კაცია, სახარებას და წირვის ზარებს თასით ღვინო და სანადირო რქა ურჩევნიაო. რას იზამ, მობრძანდეს, ჩვენც დავხვდებით. რაინდს რა ჰქვიაო?

- ბრიან დე ბუა გილბერი.

- ბუა გილბერი, - გაიმეორა ჩაფიქრებულმა სედრიკმა, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო; ასე დაჩემდა, მუდამ მსახურებთან ყოფნის გამო, - ბუა გილბერი!.. საქვეყნოდ ცნობილი გვარია, კარგიც ბევრი მსმენია მასზე და ცუდიც. მთელ ორდენში ყველაზე მამაცი ეგ არისო, გამიგონია. მაგრამ მათივე ბოროტებაც მოსდგამს - ყოჩაღია, ქედმაღალი, ღვარძლიანი და ავხორცი; გულქვა კაცია - არც მიწაზე ერიდება რამეს და არც ზეცის რისხვისა ეშინია. რა გაეწყობა... ერთი ღამით უნდა შევიფარო, მეტით ხომ არა! ეგეც მობრძანდეს!.. ოსვალდ, ყველაზე ძველი ღვინის კასრი გახსენით, რაც უკეთესი თაფლუჭი გქონდეს, ის გამოიტანე, უმაგრესი ელი შეარჩიე, უტკბესი მორატი, ისეთი სიდრი, რომ სულ ნაპერწკლებს აფრქვევდეს, სურნელოვანი პიგმენტი... ყველაზე დიდი ყანწები გაავსე... რაინდებსა და ხუცებს კაი

ღვინოც უყვართ და კარგა მოზრდილი ყანწებიც... ელგითა, შენს ქალბატონს როენას მოახსენე, თუკი თვითონვე არ მოიგუნებებს, ამაღამ ვახშამზე არ მოგელით-თქო.

- ნამდვილად მოიგუნებებს, - თითქოს მომზადებული ჰქონდაო პასუხი ელგითას, - ყური თუ მოჰკრა, ვინმეს ახალი ამბავი მოაქვს პალესტინიდანო, ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებს.

სედრიკმა მრისხანედ შეუბღვირა თავგასულ მოახლეს, მაგრამ როენაცა და მისი მსახურებიც ისეთ პატივში ჰყავდათ, რომ სედრიკის გაბრაზებისაგან დაცულნი იყვნენ. ესღა უპასუხა:

- ჩუმად, ქალიშვილო, ენა გონებაზე წინ ნუ გაგირბის. შენს ქალბატონს მოახსენე რაც გითხარი, და როგორც ენებოს, ისე მოიქცეს. მადლობა ღმერთს, ალფრედის ჩამომავალი აქ მაინც მიაჩნიათ პრინცესად.

- პალესტინა, - გაიმეორა საქსმა ბატონმა, - პალესტინა!.. რამდენი ყური უსმენს დაწაფებით გარყვნილი ჯვაროსნებისა და ფარისეველი ბერების მიერ ამ საბედისწერო ქვეყნიდან ჩამოტანილ ზღაპრებს! მეც ხომ შემიძლია ვიკითხო... შემიძლია გავიგო... გულისფანცქალით მოვისმინო არაკები, რომელთა წყალობითაც ეს გაიძვერა მაწანწალები სახლებში მოძვრებინ და ჩვენი სტუმართმოყვარეობით სარგებლობენ... მაგრამ არა... ურჩი შვილისა აღარაფერი მწამს, მეტად აღარ არის ჩემი შვილი. არც ვინაღვლებ, ისევე შემაწუხებს მისი ბედი, როგორც ვიღაც ვიგინდარასი, რომელსაც ბეჭებზე ჯვარი ამოუქარგავს, თავაშვებით მისცემია ყოველგვარ ბიწიერ სიტკბოებას, ხელებს სისხლით ითხვრის და თან ირწმუნება, ღვთის ნებას ვასრულებო.

კოპები შეიკრა და ერთი წამით მიწას დააშტერდა, როცა კვლავ აიღო თავი, დარბაზის ბოლოს ყურთამდე გაიღო კარი და არგნიანი სახლთუხუცესი, ხელში ჩირაღდანმომარჯვებული ოთხი მსახურის თანხლებით, სტუმრებს შემოუძღვა.

თავი მეოთხე

მუსრი გაავლეს ღორის ჯილაგს, ცხვრებსა და თხებსა,
აგერ ამაყი მოზვერიც კი წამოაქციეს,
შესწვეს, შებრაწეს და სუფრაზე ჩამოარიგეს,
ლალისფერ ღვინით ფიალები გაუვსეს ყველას.
. . . . . .
მოშორებით ზის იულისი, თავისთვის ილხენს,
სეფის ბოლოში მისჯდომია სამფეხა ტაბლას
მეფის ბრძანებით...
ოდისეა

წინამძღვარმა ეიმერმა შემთხვევით ისარგებლა და საგზაო ტანსაცმელი გამოიცვალა, უფრო რიგიანად გამოეწყო, ზემოდანაც უცნაურად მოქარგული მანტია წამოისხა. გარდა დიდი ოქროს ბეჭდისა, რაც იმის სასულიერო ხარისხის სამკაულს წარმოადგენდა, თითებზე წამოიცვა

საეკლესიო კანონით აკრძალული ძვირფასთვლებიანი ბეჭდები; ფეხებზედაც უნაზესი ესპანური ტყავის ფეხსაცმელები ჩაიცვა. წვერი ისე მოკლედ

ჰქონდა შეკრეჭილი, რომ ალბათ სამონასტრო წესები არც აძლევდა ამის უფლებას, გაპარსულ კორტოხზე კი მდიდრულად მოქარგული ქუდი ეხურა.

ტაძრის რაინდსაც გამოეცვალა ტანისამოსი. მართალია, მისი ტანსაცმელი ისე შემკული არ ყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ უკეთესი ქსოვილისა იყო. საერთოდ, რაინდი თავის ამხანაგზე გაცილებით უფრო წარმოსადეგი ჩანდა. ჯაჭვი გაეხადა და ტანზე კარგად მომჯდარი ბეწვის ქობაშემოვლებული შინდისფერი აბრეშუმის ტუნიკი ჩაეცვა, ხოლო ზემოდან ქათქათა თეთრი, კალთადანაოჭებული გრძელი მანტია წამოესხა. თავისი ორდენის რვაწვერა ჯვარი შავი ხავერდით ჰქონდა ამოქარგული. წოწოლა ქუდი მოეხადა და შუბლს ახლა უჩრდილავდა მოკლე, მაგრამ სქელი ყორნისფერი დაკულულებული თმა, რომლის სიშავე კარგად ეხამებოდა მზისაგან უჩვეულოდ გარუჯულ სახეს. დიდებული მიხრა-მოხრა ისე უხდებოდა, რომ თუ, ამასთან მეტისმეტი ყოყოჩობა და უფლებისმოყვარეობა არ ჰქონიყო გაძვალრბილებული, თვალს ვერ მოაშორებდა კაცი.

ამ ორ საპატიო გვამს მოჰყვებოდნენ მხლებლები, რომელთაც ცოტა უფრო მოშორებით, მეგზური მოსდევდა. ღირსსახსოვარი არაფერი სცმია მას - მწირის ჩვეულებრივი ფლასები ემოსა,

შავი, ტლანქი სარჟის ფარფაშა მოსასხამში გახვეულიყო; ჰუსარები რომ იცვამენ ჩვენს დროში, იმას ჩამოჰგავდა ეს მოსასხამი: სახელოების ნაცვლად მკლავებს უფარავდა საყელოდან გადმოშვერილი ნაჭრები, რასაც Sclaveyn-სა თუ Sclavonian -ს ეძახდნენ; შიშველ ფეხებზე თასმებით ჰქონდა დამაგრებული უხეში ქალამნები, ეხურა ფართო ფარფლებიანი ქუდი... მწირის მთელ ამ მორთულობას აგვირგვინებდა რკინით მოჭედილი გრძელი არგანი, რომლის ზემოთა ნაწილზე პალმის რტო იყო მიმაგრებული. მოკრძალებით შემოვიდა იგი ყველაზე ბოლოს, და რა შენიშნა - დაბლა გაჭიმულ სეფაზე სედრიკის მსახურები და სტუმრების მხლებლებიც ვერ დაეტევიანო, ერთ-ერთ ბუხართან მივიდა და სკამზე ჩამოჯდა; ეტყობოდა, ტანსაცმლის გაშრობა გადაეწყვიტა, მანამ რომელიმე მსახური დარბაზიდან გავიდოდა და მისთვის ადგილი გათავისუფლდებოდა; ან არადა იქვე მიუტანდნენ რაიმე ხემსს.

სედრიკი ღირსეული თავაზიანობით წამოუდგა სტუმრებს, „კვარცხლბეკიდან“ თუ დარბაზის შემაღლებული ადგილიდან ჩამოვიდა, სამი ნაბიჯი წარსდგა და შეჩერდა.

- ვწუხვარ ნეტარო მოძღვარო, რომ ფიცით შებორკილს ისეთი ღირსეული სტუმრების შესახვედრადაც არ ძალმიძს ნაბიჯის წინ წამოდგმა ამ მამაპაპისეულ იატაკზე, როგორიც თქვენა და წმინდა ტაძრის მამაცი რაინდი ბრძანდებით. მაგრამ ჩემი სახლთუხუცესი აგიხსნიდათ ასეთი მოჩვენებითი უზრდელობის მიზეზს. იმაზედაც მოგიხდით ბოდიშს, რომ ჩემს დედაენაზე უნდა

გელაპარაკოთ და თქვენც ამასვე გთხოვთ, თუკი ენის ცოდნა მოგცემთ საშუალებას, თუ არადა, იმდენად კი მესმის ნორმანული, რომ ნათქვამს მიგიხვდეთ.

- ფიცი, - მიუგო აბატმა, - მუდამ უნდა დავიცვათ, ღირსეულო ფრანკლინო, ან, თუ ნებას მომცემთ, ღირსეულ თენს გიწოდებთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი უკვე მოძველდა. ფიცი ზეცასთან გვაკავშირებს, და ის საბელია, რომლითაც მსხვერპლი საკურთხეველზე არის ხოლმე მიბმული. ამიტომაც, როგორც უკვე ვთქვი, ფიცი მუდამ უნდა დავიცვათ და შევინახოთ, თუკი წმიდა დედა ეკლესია თვითონვე არ დაგვირღვევს. რაიცა შეეხება ენას, მე სიამოვნებით ვლაპარაკობ იმ ენაზე, რომელზედაც ნეტარხსენებული დიდედაჩემი ჰილდა მიდლჰემელი მეტყველებდა. იგი თითქმის იმგვარადვე განწმენდილი გარდაიცვალა, როგორც მისივე ნეტარი სეხნია, თუკი შეიძლება ასე ვთქვათ, კურთხეული წმიდანი ჰილდა ვიტბიელი. ულხინე, უფალო, სულსა მისსა!

დაამთავრა თუ არა წინამძღვარმა თავისი შემარიგებელი სიტყვა, თანამგზავრმა სხარტად და მგზნებარედ თქვა:

- მე მუდამ ფრანგულად ვლაპარაკობ, მეფე რიჩარდისა და მისი თავადების ენაზე; მაგრამ იმდენი ინგლისურიც მესმის, რომ ადგილობრივ მკვიდრთ გამოველაპარაკო.

სედრიკმა ისე მოუთმენლად შეუბღვირა მოლაპარაკეს, როგორც საერთოდ არის მოსალოდნელი ორ მოსისხლე მტერს შორის; მაგრამ სწრაფადვე მოეგო გონს, გაახსენდა, რომ მასპინძელი იყო, გაგულისება დაიოკა, ხელით ანიშნა სტუმრებს მის გვერდით დაეჭირათ სუფრასთან ადგილი, ოღონდ უფრო დაბალ სავარძელში, და ვახშმის მიტანის ნიშანი მისცა მსახურთ.

მსახურები ბრძანების შესასრულებლად გაეშურნენ. სედრიკმა შენიშნა, რომ დარბაზში მეღორე გურთი და მისი თანამგზავრი ვამბა შემოიძურწნენ.

- აქეთ გამოაგდეთ ეგ ზოზინა უქნარები, - მოუთმენლად შესძახა საქსონელმა ბატონმა, ხოლო როცა დამნაშავენი მიუახლოვდნენ „კვარცხლბეკს“, იმათ უყვირა, - ეს რა ამბავია თქვენს თავს, აქამდე სად დაეხეტებით, არამზადებო? მორეკე მაინც ღორები, ყალთაბანდო გურთ, თუ მძარცველებსა და ავაზაკებს დაუტოვე?

- ღორები უვნებლად მოვრეკე, თქვენი კარგა ყოფნით, ბატონო, - მიუგო გურთმა.

- რაღა კარგა ყოფნაა, არამზადავ, როცა, შენს მოლოდინში გულგალეული, მთელი ორი საათი იმის გეგმებს ვაწყობ, შური როგორ ვიძიო-მეთქი მეზობლებზე, რომელთაც ჩემთვის

არაფერი დაუშავებიათ. კიდევ თუ გაგიბედავს ამისთანა რამე, იცოდე, ხუნდები და საპყრობილეში გამოკეტვა არ აგცდება.

გურთმა იცოდა ბატონის ფიცხი ხასიათი და არცა ცდილა თავის მართლებას. მასხარამ კი ხელობით ისარგებლა და, რაკი სედრიკის მოთმინების იმედი ჰქონდა, ორივეს მაგივრად უთხრა:

- მართალი თუ გინდა, ძია სედრიკ , ამაღამ გონივრულად და ჭკუადალაგებულად ვერა სჯი.

- რაო, ვაჟბატონო? - ჩაეკითხა სედრიკი, - თუ ასე აფრინე მწყერები, დარაჯთან გაგაგზავნი და ტყავს ასკეცად ავაძრობინებ.

- ჯერ ეს მითხარი, ბრძენო კაცო, - დაიწყო ვამბამ, - განა სამართლიანი და გონივრულია, ერთის მაგივრად რომ მეორე დასაჯო?

- მაგას რაღა კითხვა უნდა, შე სულელო, სამართლიანი როგორ იქნება! - მიუგო სედრიკმა.

- მაშ, რაღა საწყალ გურთს ემუქრები ხუნდებით, როცა ყველაფერში მისი ძაღლი ფენგსია დამნაშავე! ხატზე დავიფიცებ, ღორები რომ შევაგროვეთ, მერე გზაში ერთი წუთიც არ დაგვიკარგავს, ფენგსმა კი, მანამ მწუხრის ზარი არ დაირეკა, ვერა და ვერ მოუყარა კოლტს თავი.

- თუ ასეა, ფენგსი ჩამოახრჩვეთ, - სწრაფად მიუბრუნდა სედრიკი მეღორეს, - შენ კი ახალი ძაღლი გაიჩინე.

- უკაცრავად კი ნუ ვიქნები და არც ეს გახლავთ მთლად სამართლიანი, ბიძაჩემო, - უთხრა მასხარამ, - რა ფენგსის ბრალია, რომ კოჭლა-კოჭლობით ძლივსღა მოუყარა თავი ღორებს; ეგ იმას უნდა მოეკითხოს, ვინც წინა

თათებზე კლანჭები დააჭრა. წინასწარ რომ შეჰკითხოდა ვინმე მაგ საწყალს, არა მგონია ასეთ ოპერაციაზე დათანხმებულიყო.

- მერედა ვინ გაბედა, ვინ დაუკოჭლა ძაღლი ჩემს ყმას? - აენთო საქსონელი ბატონი.

- ვინ იზამდა, - ბებერმა ჰუბერტმა, სერ ფილიპ დე მალვუაზენის მონადირეთუხუცესმა. - მიუგო ვამბამ, - ტყეში დაიჭირა - ჩემი ბატონის ირმებს რას დასდევს და კანონს რად არღვევსო. ასე ჰგონია, თვითონ ედგეს იმ ირმებს.

- ეშმაკსაც წაუღია მალვუაზენისა და მისი მონადირეთუხუცესის თავი, - უპასუხა საქსონელმა, - მე მაგათ ვაჩვენებ, რომ ის ტყე ნაკრძალების რიცხვში არ შედის. მაგრამ კმარა. გასწი და შენი ადგილი მონახე, ყალთაბანდო... შენ კი, გურთ, სხვა ძაღლი გაიჩინე, აბა, ერთი თითი წააკაროს - მშვილდ-ისრის სროლას დავავიწყებ. უკანასკნელი ლაჩარი ვიყო, თუ მარჯვენა ხელზე სალოკი

თითი არ მივაჭრა!.. მერე მოზიდოს მშვილდი!.. მომიტევეთ, ღირსეულო სტუმრებო!.. ისეთი მეზობლები მახვევია, რომ იმ თქვენს ურჯულოებს არაფრით ჩამოუვარდებიან, რაინდო. ღარიბული სუფრა გაშლილია, მიირთვით, პურ-მარილს თუ დამიწუნებთ - სამაგიეროდ, მასპინძლის გულია უხვი და კეთილი.

მაგრამ სუფრაზე გაშლილი პურ-მარილი სულაც არ საჭიროებდა მასპინძლის მობოდიშებას. სხვადასხანაირად შეკმაზულ-შემზადებული ღორის ხორცი მხოლოდ ქვემოთა სეფაზე შემოეტანათ. აქვე უხვად დაელაგებინათ ფრინველის ხორცი, ირმისა, ჯიხვისა, კურდღლისა, ათასნაირი თევზეული, პურის შოთები და კვერეულები, ხილეულის წვენითა და თაფლით შეზავებული ტკბილეული... წვრილ-წვრილი გარეული ფრინველი სუფრაზე არ ელაგა, ფარეშებს შემოჰქონდათ უხვად, შამფურებზე წამოგებული, და სტუმრებს სთავაზობდნენ; რა ნაჭერიც ეამებოდათ, ჩამოათლიდნენ ხოლმე. საპატიო სტუმრებს ვერცხლის თასი ედგათ სათითაოდ. ქვემოთა სუფრაზე კი დიდი ყანწებით სვამდნენ.

ის იყო, პური უნდა გაეტეხათ, რომ სახლთუხუცესი შემოვიდა, არგანი ასწია და ხმამაღლა განაცხადა:

- მომიტევეთ!.. ქალბატონ როენას გზა მიეცით!

დარბაზის შემაღლებულ ნაწილში გვერდის კარი გაიღო და ოთხი მოახლის თანხლებით ქალბატონი როენა შემოვიდა.

შემცბარი და ამ შემოსვლით არცთუ მაინცდამაინც ნასიამოვნები სედრიკი სწრაფად შეეგება, მოწიწებით მოჰკიდა ხელი და დიდი ამბით მიაცილა იმ მაღალ სავარძლამდე, რომელიც მისივე საკარცხულის მარჯვნივ იდგა და დიასახლისისათვის იყო განკუთვნილი. ქალბატონის შესახვედრად ყველანი წამოიშალენ. თავაზიან შეხვედრას მუნჯი თავის დაკვრით მიესალმა როენა და კეკლუცად გაემართა თავისი ადგილისაკენ. ჯერ სავარძლამდე არც კი მისულიყო, რომ რაინდმა წინამძღვარს წასჩურჩულა:

- თქვენი ოქროს ყელსაბამის შებმა ასპარეზობაზე არ მეღირსება. ხიოსის ღვინო თქვენ გეკუთვნით.

- აკი გეუბნებოდით! - მიუგო წინამძღვარმა, - მაგრამ ჯობს აღტაცება დაფაროთ, ფრანკლინი თქვენ გიყურებთ.

რაინდმა ყურიც არ ათხოვა ამ გაფრთხილებას, გულისთქმას აჰყვა, როგორც დაჩვეული იყო და თვალი ტურფა საქსონელ ქალწულს გაუშტერა; იგი ისე განსხვავდებოდა აღმოსავლელი ქალებისაგან, რომ ბრიან დე ბუა გილბერი სახტად დარჩა.

ტანი ჩამოქნილი ჰქონდა როენას. მომაღლო იყო, მაგრამ არც ისე, რომ თვალში გცემოდა მისი სიმაღლე. თეთრი იყო, მაგრამ ისე კოხტა მოყვანილობის თავი და კეთილშობილი ნაკვთები ჰქონდა, რომ სულაც არ ეტყობოდა ის უსიცოცხლობა, რაც ზოგჯერ ქერა მზეთუნახავებს ახასიათებთ. ლამაზი წამწამებით შემოჯარული ნათელი ლურჯი თვალები, რომლებიც შუბლსაც თავისებურ გამომეტყველებას აძლევდა, ეტყობოდა მრისხანებითაც ადვილად აენთებოდა და ლმობიერებასაც კარგად დაიმშვენებდა, ბრძანებლობასაც შეიფერებდა და მოწყალებასაც, მაგრამ თუ საერთოდ ასეთი სახის ადამიანისათვის მშვიდი ლმობიერება უფრო იყო მოსალოდნელი, - სხვების მიმართ ზვიადად თავის ჭერასა და ყველასაგან თაყვანისცემას დაჩვეულ საქსონელ ქალბატონს ამჯერად ქედმაღლობა ეტყობოდა, რაც ბუნებისაგან მინიჭებულ თვისებებს კარგად შერწყმოდა. მოჩალისფრო ხშირი თმის ურიცხვი კულული კეკლუცურის სიანცით შემოხვეოდნენ თავზე, ეტყობოდა, რომ ბუნებას აქ ადამიანის ხელიც დახმარებოდა. კულულებს შორის ძაფზე აკინძული პატიოსანი თვლები ჰქონდა ჩაწნული, მხრებზე ჩამოშლილი თმა იმას მოასწავებდა, რომ ქალწული მაღალი შთამომავლობისა იყო

და თავისუფალ წოდებას ეკუთვნოდა. ყელზე ეკიდა ოქროს ძეწკვი, რასაც ოქროსავე პაწაწინა სანაწილე ჰქონდა გამობმული. ტიტველ მკლავებზე სამაჯურები ეკეთა. მოზღვისფრო-მომწვანო აბრეშუმის კაბაზე მოსხმული ჰქონდა გრძელი, სრული მოსასხამი, რომლის კალთები იატაკს უწევდა, ხოლო ფარფაშა სახელოები ნიდაყვამდე სცემდა. ეს მოსასხამი ფერად მეწამული იყო, უნაზესი და უმშვენიერესი ქსოვილისაგან შეკერილი. ოქრომკერდით ნაკერი ფარჩის რიდე

მოსასხამის ზემოთა ნაწილზე ჰქონდა დამაგრებული - როცა პატრონს მოესურვებოდა, პირისახესა და მკერდზე ჩამოუშვებდა ესპანურად, არადა შეეძლო მხერებზე ჰქონოდა მოდებული.

შენიშნა თუ არა როენამ, რომ რაინდის შავ წარბებში ჩამჯდარი, ნაკვერჩხალივით ანთებული თვალები მას მიშტერებოდნენ, მაშინვე მედიდურად ჩამოიფარა სახეზე რიდე და ამით აგრძნობინა - ასეთი უტიფრული მზერა არ მეამებაო. სედრიკმა მყისვე შენიშნა ქალის მოძრაობა და მიზეზსაც მიხვდა.

- ბატონო რაინდო, - მიმართა მან, - საქსონელ ქალწულთა ღაწვები ნაკლებად არიან შეჩვეული მზეს, ასე რომ, ჯვაროსნების დაჟინებულ მზერას ვერ აიტანენ.

- თუ რამე ვაწყენინე, - მიუგო სერ ბრიანმა, - მოტევებას გთხოვთ...ქალბატონ როენას ვთხოვ მოტევებას. ამაზე მეტად როგორღა უნდა დავიმცირო თავი!

- ქალბატონმა როენამ ისე გატეხა ჩემი მეგობრის მამაცობა, რომ ამით ყველანი დაგვსაჯა, - შენიშნა წინამძღვარმა, - იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასპარეზობაზე არ გამოიჩენს ასეთ სისასტიკეს ბრწყინვალე საზოგადოების მიმართ.

- ჯერ კიდევ არ გადაგვიწყვეტია ასპარეზობაზე წასვლა, - მიუგო სედრიკმა, - ვერაფრად მეპიტნავება ეს ფუჭი ფაცხაფუცხი. ჩვენს მამა-პაპათ წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ ასეთ ამბებზე, როცა ინგლისი თავისუფალი იყო.

- იმედს მაინც ნუ გადაგვიწყვეტთ, რომ ჩვენთან ერთად გამომგზავრებაზე უარს არ იტყვით, - თქვა წინამძღვარმა, - როცა გზებზე ამდენი ფათერაკია მოსალოდნელი, სერ ბრიან დე ბუა გილბერტთან ერთად მგზავრობა ხელიდან გასშვები არ არის.

- ბატონო წინამძღვარო, - მიუგო საქსონელმა, - ამ მხარეში რამდენი მივლია, მაგრამ ჩემი კარგი ხმლისა და ერთგული მხლებლების გარდა, ჯერ არავისი დახმარება არ დამჭირვებია. ამჯერად კი, მართლაც თუ გადავწყვიტეთ აშბი დე ლა ზუშის ასპარეზობაზე წასვლა, ჩემს კეთილშობილ მეზობელ ათელსტან კონინგსბურგელთან ერთად გავემგზავრებით და თან ისეთ ამალას ვიახლებთ, რომ ავაზაკებსაც მოვიგერიებთ და გადამტერებულ მემამულეებსაც. ამ თასით თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ, წინამძღვარო, იმედი მაქვს მოგეწონებათ ჩემი ღვინო. თავაზიანობისათვის მადლობას მოგახსენებთ. თუ ძალიან სასტიკად იცავთ მონასტრის წესებს და მჟავე რძეს არჩევთ, - დასძინა მან, - იმედი მაქვს არ მოგეხათრებათ და ზედმეტი თავაზიანობით ღვინოს არ მიეძალებით.

- რა ბრძანებაა, - სიცილით მიუგო ხუცესმა, - მჟავე რძეს მონასტერში ვსვამთ ხოლმე; ხალხში როცა ვართ, ჩვენც ერისკაცებს ვბაძავთ, ამიტომ თქვენს სადღეგრძელოს მეც ამ პატიოსანი ღვინით შევსვამ, უფრო სუსტ სასმელს კი ჩემს სულიერ ძმას დავუთმობ.

- მე კი, - დაიწყო რაინდმა და თასი შეივსო, - მშვენიერი როენას სადრეგრძელოს ვსვამ. მას შემდეგ, რაც მისმა სეხნიამ ინგლისის მიწაზე დაადგა ფეხი, არც ერთი ქალი არ ყოფილა ასეთი თაყვანისცემის ღირსი. გეფიცებით, მზადა ვარ უბედური ვორტიგერნიც გავამართლო: იმის ნახევარი მშვენიერებაც რომ ეხილა, რასაც ახლა ჩვენა ვჭვრეტთ, აღარავის გაუკვირდებოდა - ან პატიოსნებაზე როგორ აიღო ხელი და ან სამეფოზეო.

- არ მინდა, მთელი თავაზიანობა აქ დაგახარჯვინოთ, ბატონო რაინდო, - ღირსეულის თავდაჭერით მიმართა როენამ ისე, რომ რიდე არც აუხდია, - მაგრამ თუ მაინც არ დაიშლით, ბარემ ვისარგებლებ და პალესტინის უკანასკნელ ამბებს გკითხავთ: ეს უფრო ეამება ინგლისელის ყურს, ვიდრე ის ქათინაურები, რაც თქვენ ფრანგული აღზრდით შეგითვისებიათ.

- ბევრი არა ვიცი რა ისეთი, ქალბატონო, - მიუგო სერ ბრიან დე ბუა გილბერმა, - მეც იმასღა თუ დავადასტურებ, რომ სალადინთან მართლაც დაზავდნენ...

სიტყვა ვამბამ გააწყვეტინა. იგი ბატონის ზურგს უკან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით წამოჭიმულიყო სკამზე, რომელსაც ხარიხაზე ვირის ყურები ჰქონდა გამოკვეთილი. ბატონი დროდადრო თავისივე თეფშიდან მიაწო-

დებდა ხოლმე საჭმელს, მასხარა კი ამ წყალობას ნებიერ ძაღლსაც უნაწილებდა: ზემოთაც ვთქვით, დარბაზში ბლომად ძაღლები შეხურხლულიყო. წინ პატარა მაგიდა ედგა ვამბას, ფეხები სკამის თამასებში გაეკვეტებინა, ტუჩები მოეპრუწა და ღაწვები თითქოს ერთმანეთში გაეყარა, რათა ყბები ნიგვზის სატეხელასათვის დაემსგავსებინა; თვალები ნახევრად მოჭუტული ჰქონდა და მარჯვე შემთხვევას ელოდა, რომ მასხარის უფლებები გამოეყენებინა.

- რამდენჯერ შეიძლება დაზავება ამ ურჯულოებთან, - როყიოდ წამოიძახა მან. აინუნშიაც კი არ ჩაუგდია, ასე მოულოდნელად რომ შეაწყვეტინა სიტყვა მედიდურ რაინდს, - დამაბერეს და ეგ არის!

- როგორ დაგაბერეს არამზადა?! ეგ რას ნიშნავს? - ჰკითხა სედრიკმა და ახალი ხუმრობის მოლოდინში სახე სასიამოვნოდ გაეშალა.

- აბა რა გამოვიდა, - მიუგო ვამბამ, - ჩემს სიცოცხლეში სამი ასეთი დაზავება მახსოვს - თითოეული ორმოცდაათი წლის ვადით; ამ ანგარიშით ახლა ასორმოცდაათი წლისა უნდა ვიყო.

- სანაძლეოს ჩამოვალ, რომ სიბერით არ მოკვდები, - უთხრა რაინდმა, რომელმაც ახლაღა იცნო ტყეში შეძენილი მეგობარი, - დამერწმუნე, როცა იქნება, ნამდვილად შემოაკვდები ვინმეს, თუ სხვა დროსაც ასე აჩვენებ მგზავრებს გზას, როგორც მე და წინამძღვარს გვასწავლე ამაღამ.

- რაო, ყალთაბანდო! - გაუჯავრდა სედრიკი, - მგზავრებს გზა აუბნიე? გამათრახება არ აგცდება! რაც სულელი ხარ, ეტყობა ისეთივე თაღლითი ყოფილხარ.

- მოწყალება მოიღე, ბიძავ, - უპასუხა მასხარამ, - დე, ჩემმა სისულელემ ამჯერად თაღლითობა დაიფაროს. ბევრი კი არა შემიცოდავს რა - მარჯვენა და მარცხენა ხელი ამერია. ამისთანა შეცოდებას ისეთი კაციც კი აპატიებს, ვინც სულელს რჩევა-დარიგებისათვის მიმართავს ხოლმე.

საუბარი ფარეშმა შეაწყვეტინათ, რომელიც დარბაზში შემოვიდა და განაცხადა - ჭიშკართან ვიღაც უცნობი დგას, მიღებასა და თავშესაფარს თხოულობსო.

- შემოიყვანე, ვინც უნდა იყოს, - უთხრა სედრიკმა, - ამისთანა ჯოჯოხეთ ღამეში ველური მხეციც კი ნახირს მიეყუჟება ხოლმე და თავის სამკვდრო-

სასიცოცხლო მტერს - ადამიანს მიმართავს მფარველობისათვის, რათა გაა-ფთრებულ ბუნებას გადაურჩეს როგორმე. რაც კი რამ გთხოვოთ, ყველა-ფერი შეუსრულეთ. ოსვალდ, მიხედე, არაფერი დააკლონ.

სახლთუხუცესი დარბაზიდან გავიდა ბატონის ბრძანების შესასრულებ-ლად.

თავი მეხუთე

განა ებრაელს კი არა აქვს თვალები? განა
ებრაელს კი არა აქვს ხელები, სხეული,
გრძნობები, გულისთქმანი, ვნებათაღელვანი?
განა იმავე საჭმელს არა სჭამს, იმავე იარაღით
არ იჭრება, იმავე სნეულებით არა ხდება
ავად და იმავე წამლით არ იკურნება? ზამთარ-
ზაფხულშიაც ხომ ისევე სცივა და სცხელა,
როგორც ქრისტიანს?!
შექსპირი

ოსვალდი შემობრუნდა და ბატონს ყურში ჩასჩურჩულა:

- ვიღაც ურია გახლავთ, ისააკ იორკელი ვარო, იძახის. საძრახისი არ იქნება, რომ დარბაზში შემოვიყვანო?

- ეგ შენი საქმე დროებით გურთს მიანდე, ოსვალდ, - უთხრა ვამბამ ჩვეული უკმეხობით, - ურიის მეგზურობა მეღორეს უფრო შეშვენის.

- წმინდა მარიამ, - პირჯვარი გამოისახა წინამძღვარმა, - აქ უნდა შემოიყვანოთ ურჯულო ურია?

- როგორ, - იტკიცა რაინდმაც, - ძაღლი ურია წმიდა საფლავის დამცველს უნდა მოუსვათ გვერდში?!

- თავს გეფიცებით, - შესძახა ვამბამ, - ტაძრის რაინდებს ურიისა მარტო მემკვიდრეობა უყვართ, თვითონ ურიები კი არაფრად ეპიტნავებათ.

- დამშვიდდით, ჩემო ღირსეულო სტუმრებო, - უთხრა სედრიკმა, - თქვენმა სიძულვილმა სტუმართმოყვარეობის წესი არ უნდა დამარღვევინოს. თუკი მამა ღმერთი ურიცხვი წლობით ითმენს ურჯუკი წარმართების მთელ მოდგმას, ჩვენ რაღა მოგვივა, რომ ერთი ურია რამდენიმე საათს შევიკედლოთ! ძალას ხომ არავის ვატან, გამოელაპარაკეთ ან მასთან ერთად ჭამეთ-მეთქი?! გვერდზე დაუდგით მაგიდა და ცალკე დააპურეთ. თუმცა, - ღიმილით დასძინა მან, - იქნებ ამ ჩალმიანმა უცხოელებმა მოისვან გვერდზე!

- ბატონო ფრანკლინო, - მიუგო რაინდმა, - ჩემი სარკინოზი მონები ნამდვილი მუსლიმანები გახლავან და ურიები ქრისტიანებზე ნაკლებ როდი ეჯავრებათ.

- მართალი მოგახსენოთ, არ მეგონა, - მაჰუნდისა და ტერმაჰუნდის თაყვანისმცემლები ამდენით თუ სჯობდა ერთ დროს ღვთისაგან გამორჩეულ ხალხს! - თქვა ვამბამ.

- სწორედ შენ მოგიჯდება გვერდში, ვამბა, - უთხრა სედრიკმა, - სულელი და თაღლითი კარგად მორიგდებიან.

- სულელი როგორმე მოახერხებს თაღლითისაგან ზღუდით გამოყოფას, - თქვა ვამბამ და ღორის ბეჭის ძვალი მაღლა ასწია.

- ჩუ! - უთხრა სედრიკმა, - მოდის.

უცერემონიოდ შემოყვანილი მოხუცი კაცი, რომელიც მორჩილების ნიშნად წარამარა ხრიდა თავს, შიშით და გაუბედავი ფეხაკრეფით წამოვიდა წინ და სეფის უდაბლეს მხარეს მიუახლოვდა. გამხდარი და აწოწილი იყო, მაგრამ ისე შეჩვეოდა მხრებში მოხრას, რომ იმდენად მაღალი აღარ მოგეჩვენებოდათ. სწორი და ფაქიზი ნაკვთები ჰქონდა, არწივის ცხვირი, მკვირცხლი, შავი

თვალები, მაღალი, დანაოჭებული შუბლი და გრძელი ჭაღარა თმა-წვერი ხალხის თვალში სასიამოვნო იერს მისცემდა, თუ ეს ნიშნები დამახასიათებელი არ ყოფილიყო ერისა, რომელიც იმ წყვდიადით მოცულ საუკუნეებში გაბრიყვებულსა და ცრუმორწმუნე მდაბიო ხალხსა სძულდა, ხოლო ხარბი და გაუმაძღარი აზნაურობა სდევნიდა.

ავდრისაგან, ეტყობოდა, ტანსაცმელი ძალიან შეფერთხოდა. შინდისფერ ტუნიკზე მოწაბლისფრო დანაოჭებული უბრალო მანტია მოესხა; ფეხებზე ბეწვის ქობაშემოვლებული დიდი ჩექმები ეცვა; ქამარზე პატარა დანა და საწერ-კალამის კოლოფი ჰქონდა დამაგრებული, იარაღი სულაც არ ჰქონია. ეხურა წოწოლა, ოთხკუთხა ყვითელი ქუდი, რასაც მისი რჯულის ხალხი იხურავდა ხოლმე ქრისტიანებისაგან განსასხვავებლად. ქუდი კარებში შემოსვლისთანავე მოიხადა უდიდესი მორჩილებით.

ისე მიიღეს ეს კაცი სედრიკ საქსონელის სახლში, რომ ისრაელთა მოდგმის ყველაზე საშინელ მტერსაც კი სათქმელი არაფერი ექნებოდა. გაუთავებელ თავის კანტურზე სედრიკი ცივად მიესალმა ებრაელს და ანიშნა, სუფრის ბოლოში დამჯდარიყო, საცა, კაცმა რომ თქვას, არავის შეუწუხებია თავი , ადგილი დაეთმო. პირიქით, როცა იგი ნაჩვენები მიმართულებით გაემართა და სუფრის ბოლოში მსხდომთ, სათითაოდ, მუდარით დაუწყო ცქერა, ყურიც არავის გაუპარტყუნებია, არც კი უფიქრიათ რამე თუ სჭირდება ახალშემოსულსო. მსახურებმა ჯიუტად ასჭიმეს მხრები და

გამწარებით განაგრძეს ჭამა. წინამძღვრის მხლებლებს სახეზე შეძრწუნება გამოეხატათ და პირჯვრის წერას მოჰყვნენ, თვით წარმართმა სარკინოზებმაც კი ისააკის მოახლოებაზე გულისწყრომით დაიწყეს ულვაშების გრეხა და ხელი ხანჯალზე დაიდეს, თითქოს გადაუწყვეტიათ ყველაზე შემაძრწუნებელ საშუალებასაც კი მიმართონ, ოღონდ ამ კაცის მოახლოებისაგან შებღალვას თავი დააღწიონო.

რა გრძნობებმაც დევნილი ხალხის შვილისათვის გააღებინა სედრიკს თავისი სახლის კარები, იმავე გრძნობით ახლა, ეჭვი არ არის, მხლებლებსაც უბრძანებდა, ცოტა უფრო მეტის თავაზით მიეღოთ ისააკი, მაგრამ ამ დროს წინამძღვარმა ძალიან საინტერესო საგანზე გაუბა მუსაიფი - კერძოდ, მისი საყვარელი ძაღლების ჯიშსა თუ თვისებებზე, ხოლო ისე სასიამოვნო აღმოჩნდა ეს სედრიკისათვის, რომ უფრო დიდ საქმესაც კი დაავიწყებდა, არა თუ იმას - ებრაელი უვახშმოდ არ დაწვესო. ასე იდგა ისააკი,

თავისივე ხალხის მსგავსად ყველასაგან გარიყული, და ამაოდ აცეცებდა თვალებს - იქნებ ვინმემ ადამიანურად მიმიღოს და მომასვენოსო. ბოლოს ბუხართან მიმჯდარ მწირს შეეცოდა, წამოდგა და მიმართა:

- მოხუცო, მე ტანსაცმელიც გამიშრა და დავნაყრდი კიდეც, შენ კი სველიცა ხარ და მშიერიც.

ესა თქვა და აქეთ-იქით გაფანტული მუგუზლები ერთად მიჰყარა, ცეცხლი გააჩაღა, მერე დიდი

სეფიდან წვნიანი ჯამი და მოხარშული თიკნის ხორცი აიღო, პატარა მაგიდაზე დადო, რომელზედაც მან ახლახან ივახშმა, და ებრაელის მადლობისათვის ყური აღარ უთხოვებია, ისე გაემართა დარბაზის მეორე მხრისაკენ; გაურკვეველი დარჩა - თავისივე შეცოდებულ კაცთან ახლო ყოფნას მოერიდა, თუ საპატიო მაგიდასთან მიახლოება სურდა.

მხატვრები რომ ყოფილიყვნენ იმ დროში და დაეხატათ ბუხართან მოხრილი, ჩამომხმარი ებრაელი, რომელიც თავის გათოშილ, აკანკალებულ ხელებს ცეცხლს უფიცხებდა, ზამთრის ურიგო განსახიერება როდი გამოვიდოდა. ცოტათი რომ შეთბა, ხელადვე მიუბრუნდა წვნიან ჯამს, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა, და ისე სულმოუთქმელად და აშკარა სიამოვნებით შეუდგა ხვრეპას, რომ, ეტყობოდა, დიდი ხნის დამშეული იყო.

წინამძღვარი და სედრიკი კვლავ ნადირობაზე მასლაათობდნენ; ქალბატონი როენაც ერთ თავის მოახლესთან ლაპარაკში იყო გართული; გოროზი რაინდი კი ხან ებრაელს შეხედავდა, ხანაც საქსონელ მზეთუნახავს, ეტყობოდა, რაღაც ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

- თქვენი ვაჟკაცური დედაენა რომ ასე გიყვართ, ეს რა გასაკვირია, ღირსეულო სედრიკ, - მიმართა წინამძღვარმა, - მე ის გამკვირვებია, რომ ნორმანულ-ფრანგულს სულ არა სწყალობთ, ნადირობისა და მეტყეველობის გამოთქმებიც კი არ გინდათ გამოიყენოთ: დამერწმუნეთ, არც ერთი

ენა არ არის ასე მდიდარი სანადირო სიტყვა-ფრაზებით, და გამოცდილი მეტყეველეც თავისი სახალისო ხელობის შესრულების დროს უამენაოდ ვერაფერს გახდება.

- კეთილო მამაო ეიმერ, - მიუგო საქსონელმა, - არ დაგიმალავთ, დიდად არაფრად მეპიტნავება ეს გაღმური დახვეწილ-გაპრანჭულობა, უიმისოდაც კარგად ვატარებ ტყეში დროს. თუ ეს თქვენი recheate და morte არა ვთქვი, განა ისე კი ვერ ჩავბერავ საყვირს, ნადირზე მწევრების მისევაც არ

გამიძნელდება, ხოლო დაჭერილ ნადირს ისე ამოვიღებ ოთხში და ისე ავ-ქნი, რომ თქვენი მოწონებული, რაში მჭირდება ეს ახალშეკონწიწებული ჟარგონები - curee, arbor, nombles და იმ საარაკო სერ ტრისტრემის მოგონილი ამნაირი ტიტინი!

- განა მარტო ნადირობის ენაა ფრანგული, - ჩვეული თავხედობითა და დიდრაჯობით აუწია ხმას რაინდმა, - ომიცა და ტრფიალებაც ამ ენაზეა მოგონილი - ამ ენით ქალის გულიც უნდა მოინადირო და მტერი ბრძოლაში გაიწვიო.

- თითო სადღეგრძელო კიდევ შევსვათ, ბატონო რაინდო, - მიმართა სედრიკმა, - წინამძღვარსაც შეუვსეთ თასი, მანამ მე ამ ოცდაათი წლის წინანდელ ამბავს გავიხსენებდე. სედრიკ საქსონელი ისეთი ბიჭი გახლდათ მაშინ, რომ მზეთუნახავების მოსახიბლავად მის უბრალო ინგლისურს ფრანგი ტრუბადურების სამკაული არა სჭირდებოდა. აბა, ერთი ნორთალერტონის ველსა

ჰკითხეთ, წმინდა დროშების ბრძოლის დროს უმამაცეს ნორმანელ ბარონთა cri de gueree- ზე ნაკლებ თუ ქუხდა შოტლანდიელების რაზმებში საქსონური ყიჟინა. იმ გმირების მოსახსენებელი იყოს!.. შევსვათ ბატონო სტუმრებო.

თასი დაცალა და კიდევ უფრო მეტის მგზნებარებით განაგრძო:

- ჰოი, რამდენი ფარი დაილეწა იმ დღეს! ასობით დროშა ფრიალებდა მამაცთა თავზე, სისხლი რუებად დიოდა, გაქცევას სიკვდილი ერჩივნათ. ერთმა საქსონელმა ბარდმა მახვილთა მეჯლისი უწოდა ამ დღეს... არწივები ნადავლს მიესივნენო... ფარებსა და ჩაჩქნებზე შუბების ჩახაჩუხსა და საომარ ყიჟინასთან ქორწილის მხიარული ღრიანცელი სად მოვიდოდაო! ეჰ, სადღა არიან ჩვენი ბარდები, - განაგრძო მან, - ჩვენი გმირობა სხვა ხალხის საქმეებმა დაჩრდილეს... ჩვენი ენა... ჩვენი სახელებიც კი ერთი ერთმანეთზე ეძლევა დავიწყებას, და კაცი არა წუხს ამას, გარდა ერთი ეულად დარჩენილი ბერიკაცისა... მერიქიფევ! თასები შეავსე, ბრიყვო! იმ ძალგულოვან მებრძოლებს გაუმარჯოს, ბატონო რაინდო... ვინც არ უნდა იყვნენ, რა ენაზე მოლაპარაკე... რომლებიც ყველაზე გმირულად იბრძვიან პალესტინაში წმინდა ჯვრის დასაცავად.

- ვინც ამ ნიშანს ატარებს, აბა, იმან როგორ უნდა გიპასუხოთ, - თქვა ბრიან დე ბუა გილბერმა, - მაგრამ, კაცმა რომ თქვას, თუ არ წმიდა საფლავის შეფიცულ რაინდებს, სხვას ვის ეკუთნის გამარჯვების პალმა!

- იოანე იერუსალიმელის რაინდებს, - უთხრა წინამძღვარმა, - ჩემი ძმაც მაგ ორდენს ეკუთვნის.

- იმათ დიდებას სულაც არ ვეცილები, - მიუგო რაინდმა, - მაგრამ...

- მე კი მგონია, მეგობარო სედრიკ, - შეაწყვეტინა ვამბამ, - რიჩარდ ლომგული ჭკუას იზამდა, ჩემისთანა სულელისთვის დაეჯერებინა და შინ დარჩენილიყო, თავის მხიარულ ინგლისელებთან, იერუსალიმის გამოხსნა კი იმ რაინდებისათვის დაეთმო, რომელთაც თვალსა და ხელს შუა გამოაცალეს ეს ქალაქი.

- ნუთუ ინგლისის ჯარში ერთიც არ გამოერია, რომ ტაძრისა და წმინდა იოანეს რაინდთა გვერდით მოხსენიების ღირსი იყოს? - იკითხა ქალბატონმა როენამ.

- მომიტევეთ, ქალბატონო, - მიუგო დებუა გილბერმა, - ინგლისის მეფემ მართლაც რომ გმირი მეომრები ჩამოიყვანა პალესტინაში, მხოლოდ იმათღა თუ ჩამოუვარდებიან, ვინც განუწყვეტლივ მკერდით იცავს წმიდა მიწას.

- არავისაც არ ჩამოუვარდებიან! - წამოიძახა მწირმა, რომელიც ისე ახლოს მისულიყო და ისეთის გულისყურით ისმენდა მათ საუბარს, რომ ერთი სიტყვაც არ გამოპარვია.

ყველამ იქით გაიხედა, საიდანაც ეს მოულოდნელი სიტყვები გაისმა.

- არავისაც არ ჩამოუვარდებიან-მეთქი, - მტკიცედ და რიხიანად გაიმეორა მწირმა, - ვისაც კი წმიდა მიწის დასაცავად ხმალი უშიშვლებია, ინგლისელ მეომრებს არავისთვის ტოლი არ დაუდვიათ. პირდაპირ ვაცხადებ, რადგან თვითონვე ვარ მოწმე ამისა, სენჟან-დაკრის აღების შემდეგ მეფე რიჩარდმა და ხუთმა მისმა რაინდმა ასპარეზობა გამართეს და ყველა იქ მყოფი გაიწვიეს. ჩემის თვალით ვნახე, თითოეულმა სამ-სამჯერ გაიწვია მეტოქე და სამივე დასცა. ისიც უნდა დავძინო, რომ დამარცხებულთა შორის, შვიდი ტაძრის რაინდი გახლდათ... სერ ბრიან დე ბუა გილბერი დამიმოწმებს, მშვენივრად იცის ეს ამბავი.

ენა ვერ გადმოსცემს, თუ როგორ გამწარებით მოაწვა ბრაზი რაინდს და ისედაც შავგვრემანი სახე კიდევ უფრო გაუშავა. უკიდურესად არეულმა და გაგულისებულმა მთრთოლვარე თითები უნებურად ხმლის ვადას ჩასჭიდა,

და ალბათ იმიტომ შეიკავა თავი, რომ ხელადვე მოეგო გონს - ამ ადგილას და ამ პირობებში ძალადობა არ გაუვიდოდა. მაგრამ გულადმა სედრიკმა, რომლის გრძნობები ყოველთვის პირდაპირი და ღია იყო, და დაჩვეული არ იყო ერთდროულად რამდენიმე საგანზე ეფიქრა, ისე გაიხარა თანამეამულეთა გმირობის მოსმენით, რომ სტუმრის გაგულისება ვერ შენიშნა.

- ამ ოქროს სამაჯურს გაჩუქებ, მწირო, - უთხრა მან, - ოღონდ კი იმ რაინდების სახელები ჩამომითვალე, რომელთაც თავიანთი მამაცობით მხიარული ინგლისი ასახელეს.

- სიამოვნებით შევასრულებ თქვენს ბრძანებას და არც ჯილდოს გთხოვთ, - მიუგო მწირმა, - აღთქმა მაქვს დადებული, რამდენიმე ხანს ოქროს ხელი არ ვახლო.

- თუ თანახმა გახდები, შენ მაგივრად მე გავიკეთებ, ძმობილო, სამაჯურს, - უთხრა ვამბამ.

- გმირობითა და საჭურვლის მარჯვე ხმაებით, ისევე როგორც სახელითა და დიდებით, პირველი გახლავთ მამაცი რიჩარდი, ინგლისის მეფე, - თქვა მწირმა.

- მიმიტევებია, - წამოიძახა სედრიკმა, - მიმიტევებია, რომ მტარვალი ჰერცოგის უილიამის ჩამომავალია.

- მეორე გახლავთ გრაფი ლეისტერი, - განაგრძო მწირმა, - მესამე - სერ თომას მულტონ გისლენდერი.

- ეს ხომ მაინც საქსონელია! - შესძახა გახარებულმა სედრიკმა.

- მეოთხე - სერ ფულკ დოილი! - განაგრძობდა მწირი.

- ეგეც საქსონელია, ყოველ შემთხვევაში, დედით, - თქვა სედრიკმა, რომელიც გულისყურით უსმენდა მწირს და ინგლისის მეფისა და თავის თანაკუნძულელთა გამარჯვებით აღფრთოვანებულს რამის ნორმანების სიძულვილი გადაავიწყდა, - მეხუთე? - ჰკითხა მან.

- მეხუთე სერ ედვინ ტორნჰემია.

- ჰენგისტის მზემ, ნამდვილი საქსონელია! - შესძახა სედრიკმა, - მეექვსე, მეექვსე ვინღაა, - გულის ფანცქალით ჰკითხა მან, - მეექვსეს რა ჰქვია?

- მეექვსე, - ჩაფიქრდა მწირი, თითქოს რაღაცას იხსენებსო, - მეექვსე ახალგაზრდა რაინდი გახლდათ, ნაკლებად ცნობილი და ნაკლები წარჩი-

ნებისა, ამ დიდებულ კრებულშიაც, იმენად დახმარებისათვის კი არ შეუყვანიათ, რამდენადაც იმისთვის, რომ მებრძოლთა რიცხვი გაეზარდათ... მისი სახელი არ მაგონდება.

- ბატონო მწირო, - აგდებულად მიმართა სერ ბრიან დე ბუა გილბერმა, - სულ ტყუილად იკატუნებთ თავს, უკვე იმდენი გაიხსენეთ, რომ ეს მოჩვენებითი გულმავიწყობა ვეღარას უშველის.

მე თვითონ დავასახელებ იმ რაინდს, რომელსაც ბედმა გაუღიმა და შუბით ძირს დამცა, რადგან მოულოდნელად ცხენი დამიფრთხა. ეს იყო რაინდი აივენჰო და მის წლოვანებასაც თუ გავითვალისწინებთ, იმ ექვსთაგან ერთსაც არ უჯობნია მისთვის იარაღის ხმარებაში... მაგრამ საქვეყნოდ ვაცხადებ - ახლა რომ ინგლისში იყოს და ამ ასპარეზობაშიაც გაბედოს ჩემი გაწვევა, სენ-ჟანდაკრის მსგავსად, - უყოყმანოდ გავყვები, ასეთ ცხენზე ამხედრებული და ამნაირად აღჭურვილი; თანაც იარაღი მან აირჩიოს. მაშინ ვნახოთ, ვინ აჯობებს!

- აქ იყოს თქვენი მეტოქე, ხელადვე გიპასუხებდათ, - მიუგო მწირმა, - ახლა კი ტყუილუბრალოდ რად უნდა შევაწუხოთ ეს მყუდრო სავანე იმ ბრძოლაში გამარჯვების წინასწარი კვეხნით, რაც არ მოხდება. მე ვიქნები თავდები, რომ თუ აივენჰო ოდესმე დაბრუნდა პალესტინიდან, უსათუოდ მიიღებს თქვენს გამოწვევას.

- კარგი თავდებობაა! - თქვა რაინდმა, - სანაძლეოს რას ჩამოდიხართ?

- ამ წმიდა სანაწილეს, - მწირმა პირჯვარი გადაისახა და სპილოს ძვლის პატარა კოლოფი მოიხსნა გულიდან, - შიგ მაცხოვრის ნამდვილი ჯვრის ნატეხი დევს, მონტ კარმენის მონასტრიდანაა ჩამოტანილი.

ჟორვოს წინამძღვარმა პირჯვარი გადაიწერა და მამაო ჩვენო წარმოთქვა; ეს ყველა იქ მყოფმა სასოებით გაიმეორა, გარდა ებრაელისა, მაჰმადიანებისა და რაინდისა. ამ უკანასკნელს ქუდიც კი არ მოუხდია, არც სხვა რამეთი გამოუხატავს მოწიწება წმიდა ნაწილების მიმართ, ოქროს ძეწკვი მოიხსნა, მაგიდაზე დააგდო და თქვა:

- მამა ეიმერმა შეინახოს ჩემიცა და უცნობი მწირის სანაძლეოც, იმის ნიშნად, რომ როდესაც რაინდი აივენჰო ოთხი ზღვით შემოზღუდული ბრიტანეთის მიწაზე დაადგამს ფეხს, მაშინვე ბრიან დებუა გილბერს უნდა გაჰყვეს ბრძოლაში; მთელს ქვეყანას მოვდებ მის სილაჩრეს, თუ არ გამომყვა.

- ამდენი თავის შეწუხება არ დაგჭირდებათ, - სიჩუმე დაარღია ქალბატონმა როენამ, - თუკი ამ დარბაზში სხვა არავინ აღმოჩნდება, რომ თავს იდოს აივენჰოს დაცვა, მაშინ მე აღვიმაღლებ ხმას: გადაჭრით ვაცხადებ - სამართლიან ბრძოლაში გაწვევას იგი ღირსეულად მიიღებს. ჩემი სუსტი თავდებობა თუ რამეს შემატებს ამ წმიდა მწირის უძვირფასეს სანაძლეოს. მე ჩემს სახელსა და პატიოსნებას ჩამოვიდოდი საწინდრად, რომ აივენჰო სიამოვნებით გაჰყვება ბრძოლაში ამ გოროზ რაინდს.

მანამ ესენი დავობდნენ, სედრიკის გულში, ეტყობოდა, საწინააღმდეგო გრძნობათა ისეთი

ჭიდილი გამართულიყო, რომ ხმის გაღება ვერ მოახერხა. დაკმაყოფილებული სიამაყე, ბრაზი, დაბნეულობა ერთმანეთსა ცვლიდნენ მის ფართო და ღია შუბლზე, თითქოს ჯეჯილს ღრუბლების ჩრდილმა გადაურბინაო. მსახურები, რომელთაც მეექვსე რაინდის ხსენებამ გულებში ცეცხლი აუნთო, სუნთქვაშეკრულნი მისჩერებოდნენ თავიანთ ბატონს და ელოდნენ, რა მოხდებოდა. როენას ხმამ, ეტყობა, გამოაფხიზლა.

- ქალბატონო, - მიმართა სედრიკმა, - ეს თქვენ არ შეგფერით. დამატებით სანაძლეო რომ იყოს საჭირო, მე ისე შეურაცხყოფილი ვარ, - და არც თუ უმიზეზოდ, - რომ ჩემს სახელს მივიტანდი აივენჰოს პატიოსნების საწინდრად. მაგრამ სანაძლეო სავსებით საკმარისია, თვით ნორმანული რაინდობის ქარაფუცა წესებსაც კი აკმაყოფილებს... ხომ ასეა, მამაო ეიმერ?

- ჭეშმარიტად, - მიუგო წინამძღვარმა, - ამ წმიდა ნაწილსა და ძვირფას ყელსაბამს კი ჩვენი მონასტრის სალაროში შევინახავ, მანამ ბრძოლა გადაწყდებოდეს.

ესა თქვა, ზედიზედ გადაისახა პირჯვარი, ლოცვები წაიბუტბუტა, მუხლი მოიყარა და წმიდა განძი თანამხლებელ ბერს ძმა ამბროსს ჩააბარა; მერე კი უფრო ნაკლების ცერემონიითა, მაგრამ არა ნაკლების კმაყოფილებით ოქროს ძეწკვი ჩამჯიღა და სურნელოვანი ტარსიკონის ქისაში იკრა, რომელიც მკლავზე ეკიდა.

- ბატონო სედრიკ, - მიმართა მან მასპინძელს, როცა ამ საქმეს მორჩა, - ისეთი მაგარი ღვინო გქონიათ, რომ ყურებში უკვე მწუხრის ზარები მიზუზუნებს. ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ ვადღეგრძელოთ ქალბატონი როენა, მერე კი მოსასვენებლად გაგვიშვით.

- ბრომჰოლმის ჯვრის მადლმა, ძალიან ცუდ სამსახურს უწევთ თქვენს სახელს, მამაო ეიმერ,- უთხრა საქსონელმა ბატონმა, - ხალხში ხმა დარხეულა - ისეთი მხიარული ბერია, რომ მანამ ცისკრის ზარს არ დარეკენ, ღვინოს ვერ მოსწყვეტო. მეშინოდა კიდეც, ვაითუ, ბერიკაცი ვერ გავყვე და თავი შევირცხვინო-მეთქი. მაგრამ, პატიოსნებას გეფიცები, ჩემს დროში თორმეტი წლის ბიჭიც კი ასე ჩქარა ვერ შეელეოდა ღვინის თასს.

წინამძღვარს მიზეზი ჰქონდა, ამჯერად ზომიერება გამოეჩინა სმაში. არა მარტო თავისი საქმიანობით იყო მშვიდობის მქადაგებელი, არამედ ბუნებით სძულდა ყოველგვარი დავა და აყალმაყალი. ძნელი სათქმელია მოყვასის სიყვარულით მოსდიოდა ეს, თავისი თავისა თუ ორივესი ერთად. ამჟამად ალღოთი გრძნობდა საშიშროებას, რომ ფიცხი საქსონელი, როცა იქნებოდა, აენთებოდა, ხედავდა, რომ მისი გოროზი და თავხედი ამხანაგი, რომელმაც მოასწრო და უკვე რამდენიმეჯერ გამოამჟღავნა თავხედობა, ხეირს არ დააყრიდა და ბოლოს და ბოლოს უსიამოვნებას გადაჰყრიდა. ამიტომაც ნელ-ნელა შეაპარა - გამძლე და მაგარ საქსონელებს სმაში ვერც ერთი ხალხი ვერ შეედრებაო; ისიც შეახსენა, ოღონდ ისე, გაკვრით, რომ თვითონ წმიდა ტაძრის მსახური იყო, და, ბოლოს დაბეჯითებით სთხოვა, მოსვენების ნება მოგვეცითო.

ამას, ჩვეულებისამებრ, საყოვლაწმინდო მოჰყვა, სტუმრებმა მდაბლად დაუხარეს თავი თავის მსაპინძელსა და ქალბატონ როენას და დარბაზის შუაგულში გამოვიდნენ, ოჯახის უფროსები, მხლებლებითურთ, გვერდის კარებში გავიდნენ და თავ-თავიანთ ოთახებისკენ გაემართენ.

- ურწმუნო ძაღლო, - მიმართა რაინდმა ისააკს, როცა გვერდზე გაუარა, - შენც ასპარეზობაზე მოეთრევი?

- დიახ, ასე მაქვს გადაწყვეტილი, თქვენო მაღალღირსებავ, - მიუგო ისააკმა და ათად მოიკაკვა.

- აბა რას გაუშვებ! - მიუგო რაინდმა, - დიდებულებს გულ-ღვიძლი უნდა გამოღრღნა შენი ვახშებით, ქალები და ბალღები კი ჭრელაჭრულა ხარახურით მოაღორო! თუნდა სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ურიული ქისა სულ ფულებით გექნება გამოტენილი!

- არც ერთი ოქრო, არც ერთი ვერცხლის პენიანი, გახვრეტილი ნახევარპენიანიც კი არ მაბადია - ისე შემეწიოს აბრაამის ღნერთი, - მიუგო ებ-

რაელმა და ხელი ხელს გადააჭდო, - სწორედ იმიტომ მივდივარ, რომ თანამოძმეებს შემწეობა ვთხოვო და ებრაელთა გამგეობის დაკისრებული ყალამი გადავიხადო... მამაო იაკობ, შენ გამიმართე ხელი!.. გავღატაკდი, არაფრის მქონებელი არა ვარ, ამ მოსასხამს რომ უყურებთ, ეგეც კი რეუბენ ტადკასტერელმა მათხოვა.

რაინდი გაიჭყანა და უთხრა:

- ღმერთმა შეაჩვენოს შენი მატყუარა თავი!

შემდეგ გვერდი აუქცია, თითქოს ეზიზღება მასთან კიდევ გამოლაპარაკებაო, და მუსლიმან მონებს უთხრა რაღაც, სხვებისათვის გაუგებარ ენაზე. ისრაელის საბრალო ნაშიერი, ეტყობოდა, ისე გააოგნა მეომარი ბერის სიტყვებმა, თავის აღებაც ვეღარ მოახერხა, რაინდი დარბაზის ზღურბლს მიადგა, ებრაელი კი ისევ ისე მოკაკული დარჩა, ვერც კი შეიტყო რაინდის გასვლა. ბოლოს, როცა თავის აწევა გაბედა და მიიხედ-მოიხედა, ისეთი გაშეშებული სახე ჰქონა, თითქოს ეს არის, ცხვირწინ მეხი გასკდომია და გრგვინვა ისევ ყურებში უწივისო.

მალე სახლთუხუცესმა და მერიქიფემ რაინდი და წინამძღვარი მოსასვენებლად გაიყვანეს ცალკე ოთახებში. თითოეულ მათგანს ორ-ორი მეჩირაღდნე ახლდა; ხოლო კიდევ ორ მსახურს ხონჩით საუზმე და სასმელები მოჰქონდა. უფრო დაბალი რანგის მსახურებმა მათ მხლებლებსა და დანარჩენ სტუმრებს მიუჩინეს ბინა.

თავი მეექვსე

ამ მეგობრული სამსახურით მაგის გულს ვიგებ;
თუ სურს ინებოს, თუ არადა მშვიდობით იყოს.
შექსპირი

მწირს ჩირაღდნიანი მსახური გაჰყვა და ამ დიდი და უწესრიგოდ განლაგებული სახლის ათასნაირად დახლართული გასასვლელები გაატარა. უცებ მერიქიფე წამოეწია და ყურში ჩასჩურჩულა - საწინააღმდეგო თუ არაფერი გექნებათ, ჩემს ოთახში წამობრძანდით და ერთ ფინჯან სანაქებო მედზე დამეწვიეთ, იქ შინაყმები არიან თავშეყრილნი, რომელთაც წმიდა მიწისა და განსაკუთრებით კი რაინდ აივენჰოს ამბები აინტერესებთო. ამ დროს ვამბაც გამოჩნდა და იგივე თხოვნა გაუმეორა, თან დასძინა - ნაშუაღამევს გადაკრული ერთი ჭიქა ღვინო, ცეცხლქრობის სანიშნე ზარის დროს დალეულ სამს უდრისო. მწირს სადავო არ გაუხდია ასეთი მცოდნე კაცის მოსაზრება, თავაზიანი მიპატიჟებისათვის მადლობა გადაუხადა ერთსაც და მეორესაც და თქვა, აღთქმა მაქვს დადებული - არასოდეს არა ვთქვა სამზარეულოში ის, რისი თქმაც დარბაზში არ შეიძლებაო.

- ეგ ისეთი აღთქმაა, რომ მსახური კაცის სულსა და გულს არანაირად არ ეგუება, - უთხრა ვამბამ მერიქიფეს.

მერიქიფემ უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები.

- სხვენის ოთახში მინდოდა დამებინავებინა, - თქვა მან, - მაგრამ რაკი ქრისტიანებთან ყოფნა არ სიამოვნებს, ებრაელის გვერდით მოისვენოს. ანვოლდ, - მიმართა მან მეჩირაღდნეს, - სამხრეთ დერეფანში გაუძეხი მწირს. ღამე ნებისა, ბატონო მწირო, მცირე თავაზიანობისთვის მადლობასაც მცირედს მოგახსენებთ.

- ღამე ნებისა, ღვთიშობლის წყალობა ნუ მოგკლებოდეთ, - მშიდად მიუგო მწირმა და თავის მეგზურს გაჰყვა.

თუნუქის ლამპით განათებულ ერთ პატარა ტალანში, რომელშიაც რამდენიმე კარი იყო გამოჭრილი, ისინი ერთხელ კიდევ შეაჩერა როენას მოახლემ: ბევრ წილადობილას არ მოჰყოლია იგი, პირდაპირ განუცხადა, ჩემს ქალბატონს თქვენთან ლაპარაკი სურსო. ანვოლდს ჩირაღდანი გამოართვა, უბრძანა, აქვე დამელოდეო და მწირს ანიშნა - მე მომყევიო. ახლა ვეღარ მოახერხა მწირმა უარი, თუმცა ეტყობოდა, გაკვირვებული დარჩა ამ ბრძანებით. მაგრამ სიტყვა არ შეუბრუნებია, ხმაც კი არ გაუღია, ისე დაემორჩილა და გაჰყვა.

მოკლე დერეფნის ბოლოში მუხის მორების შვიდსაფეხურიანი კიბე აიარეს და შევიდნენ ლედი როენას ოთახში, რომლის მდიდრული მორთულობა კარგად ეხამებოდა იმ მოკრძალებას, რასაც ოჯახის უფროსი იჩენდა ქალბატონის მიმართ. კედლები მოქარგული ფარჩეულით დაეფარათ. სხვადასხვა ფერის ქსოვილებზე ოქროსა და ვერცხლის ძაფბით იყო ამოსირმული ძაღლებითა და შევარდნებით ნადირობის ეპიზოდები, შესრულებული იმ დროის შესაფერი ოსტატებით. საწოლსაც იმგვარივე მდიდრულად მოქარგული ფარჩეული ეფინა და მეწამული ფარდები ჰქონდა შემოვლებული. სკამებზედაც კი ფერად-ფერადი ქსოვილები გადაეფარებინათ, ხოლო ერთ სხვებზე უფრო მაღალ სავარძლის წინ საოცარი სინატიფით ამოტვიფრული სპილოს ძვლის პაწაწინა სკამი იდგა.

ოთახს ანათებდა ვერცხლის ოთხ კანდელაბრში დამაგრებული სანთლის დიდი ჩირაღდნები. მაგრამ ახლანდელ მზეთუნახავს საქსონელი პრინცესის მდიდრული მორთულობისა არაფერი შეშურდებოდა. სახლის კედლები ისე ცუდად ნაგები და დაფარღალალებული იყო, რომ კედელზე

გაკრულ ძვირფას ფარჩეულს ქარის ყოველ დაქროლვაზე სულ ფრიალ-ფრიალი გაჰქონდა; სანთლებს თეჯირის მსგავსი რაღაც ჰქონდა აფარებული ქარისაგან დასაცავად, მაგრამ ნიავი ისე აწვენდა ალს გვერდზე, როგორც მხედრის შუბზე დამაგრებული პაწაწინა ბაირაღი ირწევა ხოლმე ქარში. მდიდრულად კი იყო ოთახი მორთული და ერთგვარად დახვეწილი გემოვნებაც იგრძნობოდა, მაგრამ სავსებით მოუხერხებელი იყო. თუმცა ამეებისა მაშინ არაფერი გაეგებოდათ და ამიტომ არც გრძნობდნენ მოუხერხებლობას.

სამი მოახლე თმას უსაღამურებდა როენას, თვითონ კი ზემოთ ნახსენებ ტახტის მსგავს სკამზე იჯდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს იმისთვის გაჩენილა, რომ ყველამ მას სცეს თაყვანიო. მწირმა მყისვე სცნო ქალის ეს უფლება და მის წინაშე მუხლი მოიყარა.

- ადექი, მწირო, - მიმართა ქალმა ალერსიანად, - ვისაც სიმართლე რადმე უღირს და ვაჟკაცობასაც პატივს სცემს, შორს მყოფი კაცის მოსარჩლე ალერსიანად უნდა მიიღოს, - მერე მოახლეებს მიუბრუნდა, - ელგითას გარდა ყველანი წადით, წმიდა მწირს უნდა ველაპარაკო.

მოახლეები ოთახის ბოლოში გაიკრიფნენ, კედელთან პატარა მერხზე ჩამოსხდნენ და ქანდაკებასავით გაიტრუნენ; თუმცა კიდეც რომ ეჩურჩულათ, ისე შორს იყვნენ თავიანთი ქალბატონისაგან, ხელს მაინც არ შეუშლიდნენ ლაპარაკში.

- მწირო, - უთხრა როენამ მცირე დუმილის შემდეგ, ეტყობა, ფიქრობდა, როგორ მივმართოო, - ვახშამზე შენ ერთი სახელი ახსენე... რაღა ერთი, - მღელვარებით განაგრძო მან, - აივენჰო ახსენე. ამ სახლში კი, საცა სამართალია, ყველას საამურად უნდა მოხვედროდა ეს სიტყვა გულზე, ალბათ ააფორიაქა კიდეც ბერის გული მისმა ხსენებამ, მაგრამ მუხთალი ბედი ისეთია, რომ მეღა ვბედავ, გკითხო - სად არის, ან რა დღეში დატოვე იგი უკანასკნელად?.. ყური მოვკარით, რომ ავადმყოფობის გამო პალესტინაში დარჩენილა, მერე კი, როცა იქიდან ინგლისის ჯარი წამოვიდა, თურმე ფრანგების პარტიამ დაუწყო დევნა, ხოლო ამ პარტიაში აკი ტაძრის რაინდებიც შედიან!

- რაინდ აივენჰოსი ბევრი არა ვიცი რა , - მთრთოლვარე ხმით მიუგო მწირმა, - ნეტა კი მცოდნიყო - რაკი ას გაწუხებთ თქვენ, ქალბატონო, მისი ბედი. რამდენადაც ვიცი, მტრის დევნას თავი დააღწია და ახლა ინგლისს

დაბრუნებას უნდა აპირებდეს, ხოლო აქ რა ბედნიერება ელის, ეს თქვენ უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ, ქალბატონო.

ლედი როენამ ამოიხვნეშა და ჰკითხა - უფრო ზუსტად ხომ არ გვეტყვით, როდის უნდა ველოდოთ რაინდ აივენჰოს თავის სამშობლოში, ან დიდი ფა-თერაკი ხომ არ ელის გზაშიო.

პირველ კითხვაზე ვერაფერი უპასუხა მწირმა, მეორეზე კი მიუგო - გზაში აღარაფერი საშიშროება აღარ არის, უხიფათოდ გამოივლის ვენეციასა და გენუას, იქიდან კი საფრანგეთს გადმოჭრის და ინგლისს დაბრუნდებაო.

- აივენჰომ ისე კარგად შეითვისა ფრანგული ენა და მანერები, რომ გზა-ში არავითარი განსაცდელი არ ემუქრება.

- ღმერთმა გისმინოს, - თქვა ლედი როენამ, - ნეტა კი მართლა მშვიდო-ბით დაბრუნდეს და იარაღის ასხმა შეიძლოს ამ მომავალ ასაპარეზობაში, საცა აქაურმა რაინდებმა თავიანთი მამაცობა და მოხერხება უნდა აჩვენოს ხალხს. ათელსტან კონინგსბურგელმა თუ მიიღო ჯილდო,

ვერაფერი სასიამოვნო ამბავი დახვდება აივენჰოს ინგლისში დაბრუნე-ბისას... მაგრამ მითხარი, უცნობო, როგორ დატოვე იგი უკანასკნელად - ავადმყოფობამ ძალიან ხომ არ დარია ხელი? ჯანი არ შეურყია, ან სახე არ შეუცვალა?

- რაც ლომგულის ამალასთან ერთად ჩამოვიდა კვიპროსიდან, ცოტათი უფრო გახდა და მზეც მოეკიდა; შუბლზედაც, ეტყობოდა, მჭმუნვარების და-ღი აჯდა, მაგრამ არ ვიცნობ და ამიტომ ახლოს არც მინახავს.

- ვაი, რომ სამშობლოშიაც ისეთი სანუგეშო არაფერი დახვდება, რასაც მისი სახიდან მჭმუნვარების ღრუბლების გადაყრა შეეძლოს, - თქვა ქალბა-ტონმა, - მადლობას მოგახსენებთ, კეთილო მწირო, რომ ჩემი ბავშვობის მეგობრის ამბავი გამაგებინე. - მერე მოახლეებს მიუბრუნდა, - აქეთ მოდე-ქით, ამ წმიდა ადამიანს ძილის თასი მოართვით, მეტად აღარ შევაწუხებ ლაპარაკით, დროა მოისვენოს.

ერთ-ერთმა მოახლემ ვერცხლის თასი გამოიტანა, რომელშიაც ძვირ-ფასი სანელებლით შეზავებული ღვინო ესხა. როენამ ოდნავ დააკარა პირი, რის შემდეგაც თასი მწირს მიართვეს. მწირმა მდაბლად დახარა თავი და მოსვა.

- ეს მოწყალებაც მიიღე, მეგობარო, უთხრა როენამ და ოქროს ფული გაუწოდა, - შენი მძიმე მოგზაურობისა და იმ წმინდა ადგილების პატივისცემის ნიშნად, რომლებიც შენ მოინახულე.

მწირმა მოწიწებით დახარა თავი, მოწყალება გამოართვა და ელგითას თანხლებით ოთახიდან გამოვიდა.

დერეფანში მას ელოდებოდა ანვოლდი, რომელმაც მოახლე გოგოს სწრაფად გამოსტაცა ჩირაღდანი და სულ უცერემონიოდ წააჩაქჩაქა მწირი დიდ დარბაზზე მოდგმულ უბრალო სადგომში, სადაც პაწაწინა ოთახებში, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით - სენაკებში შინაყმებსა და მდაბიო სტუმრებს ეძინათ ხოლმე.

- ებრაელს სადა სძინავს? - ჰკითხა მწირმა.

- ურჯულო ძაღლი თქვენი უწმინდესობის ოთახის გვერდით გდია, სენაკში, - მიუგო ანვოლდმა, - ჰოი, წმინდაო დუნსტან, რამდენი ფხეკვა და წმენდა დასჭირდება მერე იმ სენაკს, რომ ისევ შეესვლებოდეს ქრისტიანს.

- მეღორე გურთს სადღა სძინავს? - იკითხა უცნობმა.

- გურთიც თქვენ გვერდით არის, ოღონდ ხელმარჯვნივ, ურია კი თქვენგან მარცხენა სენაკშია, - უპასუხა ყმამ, - რა თქვენი საკადრისი იყო ამ საძაგელ ხალხთან მეზობლობა! მოგართმევდნენ კიდეც უკეთეს სადგომს, ოსვალდის მიწვევაზე რომ დათანხმებულიყავით.

- აქაც არა მიშავს რა, კარგად მოვისვენებ, - უთხრა მწირმა, - ამ მუხის სქელ კედლებში ებრაელის უწმინდურობაც კი ვერ შემოაღწევს.

ეს თქვა, თავის სენაკში შევიდა, მოსამსახურეს ჩირაღდანი გამოართვა, მადლობა გადაუხადა და ღამე ნებისა უსურვა. კარი ჩაიკეტა, ჩირაღდანი ხის შანდალში გაამაგრა და ოთახის უბრალო მოწყობილობა შეათვალიერა: აქ იდგა ულაზათოდ გამოჩორკნილი ხის სკამი, და ამაზე კიდევ უფრო ულაზათო სკივრი თუ საწოლი, რომელზედაც სუფთა ჩალა ეყარა და ლოგინის მაგივრად ორი-სამი ცხვრის ტყაპუჭი ეგდო.

მწირმა ჩირაღდანი ჩააქრო, გაუხდელად მიეგდო ამ უხეშ ლოგინზე და დაიძინა, ყოველ შემთხვევაში, არ განძრეულა, მანამ დილის მზის პირველმა სხივებმა არ შეიჭყიტეს პატარა სარკმელში, რომელიც ერთსა და იმავე დროს სინათლესაც უშვებდა და ჰაერსაც ამ უხეირო სენაკში. მაშინ კი წამოხტა, ილოცა, ტანსაცმელი გაიწორა, ოთახიდან გამოვიდა, ფრთხილად გააღო ებრაელის სენაკის კარი და შევიდა.

ებრაელი თითქმის ისეთსავე ლოგინზე იწვა, რაზედაც მწირმა მთელი ღამე გაატარა, და ძილში ბორგავდა. ტანსაცმელი გაეხადა და გულმოდგინედ შემოეხვია ტანზე, რათა ძილის დროს ვერავის მოეხერხებინა წაღება. შუბლზე საშინელი ტანჯვა აღბეჭდოდა, ხელებს საცოდავად კრუჩხავდა, თითქოს მაჯლაჯუნას იშორებს თავიდანო. ებრაულად დუდღუნებდა რაღაცას და ზოგჯერ ნორმანულ-ინგლისურსაც გაურევდა ხოლმე, გარკვევით გაარჩევდი შემდეგ სიტყვებს:

- იწამეთ აბრაამის ღმერთი, ნუ გასწირავთ უბედურ ბერიკაცს! ერთი ღარიბი კაცი ვარ, არა მაბადია რა!.. ასო-ასოდაც რომ ამკუწოთ, მაინც ვერაფერს მიპოვით!

მწირმა აღარ აცალა სიზმრის დამთავრება, კვერთხი წაჰკრა. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ახლაც ეს შეხება იმ საშინელებას დაუკავშირდა, რასაც სიზმარში ხედავდა ბერიკაცი: ერთბაშად წამოიჭრა, ჭაღარა თმა ლამის ყალყზე დაუდგა, ტანსაცმელი გააფთრებულ მიმინოსავით ჩაბღუჯა და შავი თვალები, რომლებიც ველურ შიშსა და გაკვირვებას გამოხატავდა, მწირს შეანათა.

- ნუ გეშინია, ისააკ, - უთხრა მწირმა, - მეგობრად მიგულე.

- ისრაელის ღმერთმა გადაგიხადოს სამაგიერო, - უთხრა ებრაელმა და შვებით ამოისუნთქა, - სიზმარში ვნახე... მადლობა ღმერთს, სიზმარი იყო.

მერე როცა გონება მოიკრიბა, ჩვეულებრივი კილოთი დასძინა:

- მაგრამ ამ უთენია რამ მოგიყვანათ საწყალ ებრაელთან?

- უნდა გაგაფრთხილო, - მიუგო მწირმა, - იცოდე, გზაში დიდ ფათერაკს გადაეყრები.

- წმიდაო მამაო! - შეჰყვირა ებრაელმა, - ნეტა ვის რად სჭირდება ჩემისთანა საწყალი კაცის ფათერაკში ჩაგდება!

- ეგ შენ უკეთ უნდა იცოდე, - უთხრა მწირმა, - მე კი ამას გეტყვი, რომ წუხელ, დარბაზიდან გამოსვლისას, ტაძრის რაინდი თავის მუსულმან მონებს მიუბრუნდა და სარკინოზულ ენაზე, რომელიც მე კარგად მესმის, ასე უთხრა - ხვალ დილით ებრაელზე გეჭიროთ თვალი. საცა წავიდეს, გასდიეთ, ხოლო როცა ამ სახლს კარგა მანძილით დაშორდება, შეიპყარით და ან ფილიპ დე მალვუაზენის, ან კიდევ რეჯინალდ ფრონ დე ბეფის ციხედარბაზში მიიყვანეთო.

შეუძლებელია იმ შიშის აღწერა, რამაც ებრაელი მოიცვა ამ სიტყვების გაგონებაზე - ერთბაშად წაერთვა ყველაფრის უნარი. მკლავები უღონოდ ჩამოეკიდა, თავი გვერდზე ჩამოუგორდა, მუხლები მოეკვეთა, ეტყობოდა, სულ მოუდუნდა ყოველი კუნთი და ნერვი და არაქათი

გამოელია. მოწყვეტით ჩაიკეცა მწირის ფეხებთან, ისე კი არა, თავის შესაბრალებლად საგანგებოდ რომ დაიჩოქებენ, წელში მოიკაკვებიან, ან მიწაზე განერთხმიან ხოლმე; არა, რაღაც უხილავმა ძალამ ერთბასად დააფხავა და ძალაწართმეული ძირს დაანარცხა.

- წმიდა აბრაამის ღმერთო! - ძლივს ამოილუღლუღა მან, ხელები გადაჯვარედინა და ზეაღაპყრო, ისე რომ ჭაღარა თავი იატაკიდან არც წამოუწევია, - ო, წმიდაო მოსე! კურთხეულო აარონ! ტყუილა კი არ დამსიზმრებია ეგ სიზმარი! უკვე ვგრძნობ, როგორა მგლეჯენ მარწუხებით. ვგრძნობ, როგორ გადამატარეს სხეულზე დაკბილული ბორბლები, როგორც რაბელები და ამონის ნაშიერები გადაფარცხეს ერთხელ ხერხებით, რკინის ფარცხებითა და ჩუგლუგებით.

- ადექი, ისააკ, და ყური მათხოვე, - მიმართა მწირმა, რომელიც ებრაელის ტანჯვას თანაგრძნობით კი შეჰყურებდა, მაგრამ ამ თანაგრძნობაში ზიზღიც კარგა ბლომად იყო გარეული, - მართალია, შიშის საფუძველი დიდი გაქვს - შენ თვითონვე ხარ მოწმე, თუ როგორ ეპყრობიან შენს თანამოძმეებს დიდებულნი და მეფენი, რათა განძი წაგლიჯონ, მაგრამ ადექი-მეთქი, გეუბნები, და აქედან მე გაგაპარებ. ახლავე უნდა გაილალო, მანამ წუხანდელი მეჯლისით დაღლილებს მაგრად სძინავთ. მე თვითონ გაგიყვან ტყეში საიდუმლო ბილიკებით, რომელთა ასავალ-დასავალი აქაურ მეტყევეებზე ნაკლებ როდი ვიცი, და არც მიგატოვებ, მანამ ასპარეზობაზე მიმავალ ვინმე ბარონსა თუ მემამულეს არ ჩავაბარებ შენს თავს. იმათი გულის მოსანადირებელი წამალი კი ალბათ შენ თვითონ გექნება.

ისააკი ისმენდა ამ სიტყვებს და გაპარვის იმედით გულმოცემული ნელ-ნელა წელში სწორდებოდა, საბოლოოდ მუხლებზე წამოიმართა, თავისი გრძელი ჭაღარა თმა უკან გადაიყარა, წვერი გაისწორა და შავი, გამჭრიახი თვალები მწირს მიაშტერა - იმედსაც გამოხატავდა ეს თვალები და შიშსაც, თან ცოტაოდენი ეჭვიც იყო ამ გრძნობებში არეული. მაგრამ უკანასკნელი სიტყვები რომ მოისმინა, ძველმა შიშმა იმძლავრა, კვლავ მიწას განერთხო და წამოიძახა:

- მე მექნება გულის მოსანადირებელი წამალი?! ვაი, რომ ქრისტიანის გულს მხოლოდ ერთი რამ ინადირებს, და სად ვიშოვო ღატაკმა ებრაელმა ეს წამალი, ისედაც ბევრი წამგლიჯეს და ლაზარესავით ცარიელზე დამსვეს.

მერე თითქოს ისევ ეჭვმა დათრგუნა სხვა გრძნობებიო, ერთბაშად შესძახა:

- იწამე ღმერთი და ნუ გამწირავ, ჭაბუკო... იწამე დიდი მამაზეციერი, რომელმაც ჩვენ ყველანი შეგვქმნა - ებრაელიცა და წარმართიც, ისრაელიცა და ისმაიტელიც, და ნუ მიღალატებ. მე იმდენი შეძლებაც კი არა მაქვს, რომ ქრისტიანი გლახის გული მოვინადირო, თუნდაც ერთ ყურგახვრეტილ პენიანზე მეტს არა მთხოვდეს იგი.

ეს რომ თქვა, წამოიწია და მწირს მოსასხამის კალთაზე მოეჭიდა, მისი თვალები უგულითადეს მუდარას გამოხატავდა. მწირმა ცივად გააშვებინა ხელები, თითქოს ამ შეხებით მწიკვლი მოსცხებოდეს.

- თუნდაც მთელი შენი მოდგმის სიმდიდრე გქონდეს მოკიდებული, შენი ვნებით მე რა გამორჩომა უნდა დამრჩეს?! - უთხრა მწირმა, - ამ ტანსაცმელში იმიტომ ვარ გახვეული, რომ აღთქმა არ დავარღვიო და მუდამ ღატაკად დავრჩე, მხოლოდ ცხენსა და ჯაჭვის პერანგებზე თუ გავცვლი ამ სამოსს. არ იფიქრო, შენთან მგზავრობა მინდოდეს, ან რამე ხეირს მოველოდე ამ მგზავრობით. თუ გინდა, აქვე დარჩი, სედრიკ საქსონელიც გაგიწევს მფარველობას.

- რასა ბრძანებ, - მიუგო ებრაელმა, - თავის ამალაში აბა როგორ გამრევს... საქსონელიცა და ნორმანიც ერთნაირად იუკადრისებს საწყალ ებრაელთან მგზავრობას. ხოლო ფილიპ დე მალვუაზენისა და რეჯინალდ ფრონ დე ბეფის მიწა-წყალზე მარტოდმარტო გავლაც... კეთილო ჭაბუკო! შენ გამოგყვები!.. ოღონდ ვიჩქაროთ... გავეშუროთ... ახლავე გავიქცეთ... აჰა, შენი არგანიც... ფეხს რაღას ითრევ?!

- ფეხს არ ვითრევ, - უთხრა მწირმა, - მაგრამ რამე ხომ უნდა მოვიგონო აქედან მშვიდობიანად წასასვლელად... აბა, გამომყევი.

მეზობელ ოთახში შევიდნენ, სადაც - მკითხველმა ეს უკვე იცის - მეღორე გურთს ეძინა.

- ადექი გურთ, - უთხრა მწირმა, - ჩქარა ადექი! უკანა ეზოს კარები გააღე და მე და ეს ებრაელი გაგვიშვი.

მეღორის ხელობა ახლა ძალიან დამამცირებლად ითვლება, მაგრამ იმ დროს საქსონურ ინგლისში ისეთივე პატივსაცემი საქმე იყო, როგორც ევმეოსის დროს იტაკაში, ასე რომ მწირის შინაურული და მბრძანებლური კილო გურთმა იწყინა.

- ურია მიდის როთერვუდიდან?! - თქვა მან, ნიდაყვზე ცოტათი წამოიწია და ზიზღით გადახედა ებრაელს, ისე რომ თავისი ჩალის ლოგინიდან არც ამდგარა, - და მწირს უნდა აემგზავროს?!

- ღორის ლორი გაიტაცა და გაიპარაო რომ ეთქვათ, უფრო ადვილად დავიჯერებდი, - შენიშნა ვამბამ, რომელიც, ის იყო, ოთახში შემოვიდა.

- სულ ერთია,- თქვა გურთმა და თავი ისევ ხის კუნძზე დადო, რომელიც მუთაქის მაგივრობას უწევდა,- ურიამაც და მწირმაც კეთილი ინებონ და დაიცადონ, მანამ დიდ ჭიშკარს გააღებენ. სტუმრების გაპარვას არ ვართ დაჩვეულნი, მით უმეტეს, ასეთ უდროო დროს.

- სულ ერთია, - ბრძანების კილოთი უთხრა მწირმა, - არა მგონია, უარი მკადრო.

ლოგინისკენ დაიხარა და მეღორეს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა საქსონურად, გურთი ელდანაცემივით წამოვარდა, მწირმა თითი ასწია, თითქოს აფრთხილებსო, და განაგრძო:

- ფრთხილად, გურთ... შენ ხომ ჭკვიანი კაცი ხარ. ახლა ჭიშკარი გაგვიღე... მალე სხვა რამესაც გაიგებ.

გურთი ფიცხლავ დაემორჩილა მწირს, მეღორის ასე უეცარი ცვლილებით გაკვირვებული ვამბა და ებრაელი კი მას მიჰყვნენ.

- ჯორი, ჩემი ჯორი! - წამოიძახა ებრაელმა, როცა ჭიშკრიდან გავიდა.

- მოჰგვარეთ თავისი ჯორი, - თქვა მწირმა, - დაიცა... მეც გამომიყვანეთ ჯორი, ამას გავყვები, სამშვიდობოს გავიყვან, ჯორს მერე სედრიკის რომელიმე მხლებელს ჩავაბარებ აშბიში. ახლა კი.. - და კიდევ ჩასჩურჩულა რაღაც გურთს.

- მაგას რაღა ბევრი ჩიჩინი უნდა, დიდი სიხარულით შევასრულებ, - უთხრა გურთმა და მყისვე გაბრუნდა ბრძანების შესასრულებლად.

- ნეტა გამაგებინა, - თქვა ამხანაგის წასვლის შემდეგ ვამბამ - რას ასწავლიან იმ წმინდა მიწაზე მწირებს.

- ლოცვანის კითხვას, ბრიყვო, - მიუგო მწირმა, - ცოდვების მონანიებას, მარხულობით სხეულის გვემას, მოთმინებასა და წირვა-ლოცვას.

- ალბათ უფრო დიდ რამესაც, - უთხრა მასხარამ, - თორემ რა ლოცვა და ცოდვების მონანიება აქცევდა გურთს თავაზიანად, ან რა მარხულება და მოთმინება გაამეტებინებდა ჯორს?!.. დარწმუნებული ვარ, მაგისი საყვარელი შავი ტახისთვისაც რომ გაგენდო ის ლოცვა-კურთხევა, ასეთსავე თავაზიან პასუხს მიიღებდი.

- თავიდან მომწყდი, - შესძახა მწირმა, - მართლაც რომ საქსონელი მასხარა ყოფილხარ და მეტი არაფერი!

ამასობაში გურთიც გამოჩნდა თხრილგაღმა ჯორებით. მოგზაურებმა სწრაფად მიაშურეს თხრილზე გადებულ ორ ფიცრისაგან შეკრულ ვიწრო ბოგირს, რომელიც სწორედ ჭისკრისა და გარეთა ღობეში გამოჭრილი პატარა კარების სიგანისა იყო. მიუახლოვდნენ თუ არ ჯორებს, ებრაელმა სწრაფად ამოიღო მანტიაში დამალული გასანთლული ლურჯი ტილოს პატარა პარკი

და აკანკალებული ხელებით დაამაგრა უნაგირის კოტაზე. „საცვლები მიწყვია... საცვლები და მეტი არაფერი“, დუდღუნებდა იგი. მერე იმაზე უფრო დიდის სიმარდით, ვიდრე ამ ხნის კაცისაგან იყო მოსალოდნელი, ჯორს მოახტა და დრო აღარ დაუკარგავს - მოსასხამის სწორებას მოჰყვა, რათა კალთებით კარგად დაეფარა ზურგს უკან უნაგირის კოტაზე გამობმული პარკი.

მწირი უფრო დამშვიდებით შეჯდა ჯორზე და წასვლისას ხელი გაუწოდა გურთს, რომელიც, რამდენადაც კი შეიძლებოდა, მოწიწებით ემთხვია. იდგა მეღორე და თვალმოუცილებლად გაჰყურებდა მგზავრებს, მანამ ისინი ტყის ბილიკზე გადმოშვებულ ტოტებში არ შთაინთქნენ. ფიქრიდან ვამბას ხმამ გამოარკვია.

- ჩემო კარგო მეგობარო გურთ, - მიმართა მასხარამ, - იცი ამ ზაფხულის დილას რა საოცარი თავაზიანობა და უჩვეულო ღვთისნიერება გამოიჩინე?! ნეტავი ის შავანაფორიანი აბატი, ან ფეხშიშველა მწირი მქნა, რომ შენს უჩვეულო ყურადღებას და თავაზიან მოქცევას ვეღირსო... ოღონდ ხელზე კოცნას არ დავყაბულდებოდი.

,- არც ისე სულელი ხარ, ვამბა, - მიუგო გურთმა, - თუმცა ძალიან ზერელედ კი სჯი; რა გაეწყობა, ჭკვიან ხალხსაც ეგრე მოგვდის... მაგრამ დროა, ჩემს ღორებს მივხედო.

შეტრიალდა და მასხარასთან ერთად სახლისკენ გაემართა.

ამასობაში ჩვენი მგზავრები გამალებით მიერეკებოდნენ თავიანთ ჯორებს, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ებრაელი დიდ შიშს მოეცვა, თორემ ამ ხნის კაცს როდი უყვარს ასეთი ჩქარი სიარული. მწირი, რომელმაც, ეტყობოდა, საკუთარი ხელისგულივით იცოდა ტყის ყოველი ბილიკი და გასასვლელი, წინ მიდიოდა და ცდილობდა სულ დაბურულსა და ყრუ ადგილებში ევლო, ისე რომ, ებრაელს არაერთხელ გაეღვიძა ეჭვი - ვაითუ ხაფანგში გამაბას და მტერს მიმცეს ხელშიო.

არც იყო დასაძრახი ასეთი შიშისათვის: არა სულიერს - მიწაზე, წყალსა თუ ცაში, ისეთი განუწყვეტელი, საერთო და შეუბრალებელი დევნა არ განუცდია, როგორც იმხანად ებრაელებს. სულ უბრალო და გაუმართლებელი საბაბი იყო საჭირო, ან ყოვლად უსაფუძვლო და სულელური ბრალდება, რომ დედაბუდიანად აეწიოკებინათ გამძვინვარებულ ხალხს. როგორი ურთიერთმტრობა ჰქონდათ ნორმანებს, საქსონებსა და ბრიტანელებს, მაგრამ ებრაელების თავგამოდებულ სიძულვილში ერთად იყვნენ, ეჯიბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს და ამ ხალხის ზიზღი, სიძულვილი, შეურაცხყოფა, ძარცვა და დევნა საღვთო მოვალეობად მიაჩნდათ. ნორმანელი მეფეები, - და შეუვალი აზნაურებიც, რომლებიც მტარვალობაში მეფეებს ბაძავდნენ, - ებრაელების განუწყვეტელს, კარგად მოფიქრებულსა და სარფისმომცემ დევნას აწარმოებდნენ. მთელმა ქვეყანამ იცის, როგორ შეიპყრო ერთი მდიდარი ებრაელი მეფე ჯონმა, დილეგში ჩააგდო და ყოველდღიურად თითო კბილს აძრობინებდა ხოლმე. სულ რომ დააძვრეს ცალ ყბაზე

კბილები, მერეღა დათანხმდა ის უბედური ებრაელი დიდძალი ფულის გაღებას, რის დასაცინცლადაც მთელი ეს წამება მოიგონა მტარვალმა მეფემ. ისედაც მცირე ფული, რაც მაშინ ქვეყანას შემორჩენოდა, თითქმის სულ ამ დევნილი ხალხის ხელში იყო თავმოყრილი, და თავადაზნაურობა უყოყმანოდ ბაძავდა თავის მბრძანებელს, არავითარ ძალადობას არ ერიდებოდა, აწამებდა კიდეც, ოღონდ მათთვის ფული წაეგლიჯა. მაგრამ გამდიდრების ჟინი იდუმალ სიმხნევეს აძლევდა ებრაელებს და მოგებით ფრთაშესხმულნი აღარაფერს ეპუებოდნენ, სარფას კი, ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც ინგლისი იყო, მართლაც განუზომლად დიდს ნახულობდნენ. დევნის, შევიწროებისა და ზემოთ აღნიშნულ საგანგებო შეზღუდვათა მიუხედავად, რასაც ებრაელების საქმეთა ზედამხედველობითს ხაზინას უწოდებდნენ და ებრაელთა ძარცვა-შევიწროებისათვის იყო მოგონილი,

ისინი მაინც ახერხებდნენ გამდიდრება-გაფართოებას და დიდძალ ფულსაც მოუყარეს თავი. ეს ფული, ერთმანეთში დაწესებულ საგანგებო გაცვლითი წესის მიხედვით, ხელიდან ხელში გადადიოდა. ამავე წესის მიხედვით საშუალება ეძლეოდათ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაეტანათ თავიანთი სიმდიდრე, და თუ ერთგან გაძლიერდებოდა მათი განადგურების მუქარა, მთელი განძი მეორე ქვეყანაში ექნებოდათ უხიფათოდ თავმოყრილი.

რაც უფრო მკაცრი იყო ფანატიკოს მტარვალთა ძალმომრეობა, მით უფრო ჯიუტი და ხარბი ხდებოდნენ მათ ხეში მოქცეული ებრაელები. მეორე მხრით, იმ განუზომელ სიმდიდრეს, რასაც

განუწყვეტელი შიშის ფასად იხვეჭდნენ ხოლმე ვაჭრობით, ზოგჯერ თავიანთი გავლენის სფეროს გასაფართოებლად და ერთგვარი მფარველობის მოსაპოვებლადაც იყენებდნენ. ასეთი ცხოვრება ჰქონდათ და ამიტომაც იყვნენ მეტისმეტად ფრთხილნი, ეჭვიანნი და მხდალნი, თუმცა ეს სრულებითაც არ აჩლუნგებდა მათ სიჯიუტეს, ურჯუკობასა და იმ საოცარ მოქნილობას, რითაც ისინი განუწყვეტელი საშიშროებისაგან თავის დაძვრენას ახერხებდნენ.

გამალებით მიჩაქჩაქებდნენ ჩვენი მგზავრები და კარგა გზაც გაიარეს მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით. ბოლოს მწირმა დაარღვია სიჩუმე.

- ეს დიდი გამხმარი მუხა, - თქვა მან, - ფრონ დე ბეფის საზღვარზე დგას. მალვუაზენის სამფლობელო დიდი ხანია უკან მოვიტოვეთ. მორჩა, მდევრის შიში აღარ უნდა გქონდეს.

- ისე დაემსხვრეს ბორბლები იმათ ეტლებს, როგორც ერთხელ ფარაონის ჯარის ეტლებს დაემსხვრა, - თქვა ებრაელმა, - რომ ფეხიც კი ვეღარ მოეცვალოთ ადგილიდან!.. მაინც ნუ მიმატოვებ, კეთილო მწირო... ის ველური და მხეცი რაინდი ხომ გახსოვს ან მისი სარკინოზი მონები!.. საზღვარსა და კანონს რას დაგიდევენ!..

- ჩვენი გზები აქ უნდა გაიყაროს, - მიუგო მწირმა, - თუ უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს, ჩვენი

წოდებისა და მდგომარეობის ხალხს ერთად მგზავრობა არ შეფერის. ეგეც რომ არ იყოს, რა დახმარება უნდა გაგიწიოს მშვიდობისმოყვარე მწირმა ორი შეიარაღებული წარმართის წინააღმდეგ!

- ო, კეთილო ჭაბუკო! - შესძახა ებრაელმა, - შენ მშვენივრად შეგიძლია ჩემი დაცვა და ვიცი, რომ დამიცავ კიდეც. ხომ არაფრის მქონებელი ვარ,

მაგრამ სამაგიეროს მაინც გადაგიხდი... ფული კი არა! ისე შემეწიოს მამა აბრაამის მადლი, ფული მე არა მქონდეს... ისე...

- აკი გითხარი, - შეაწყვეტინა მწირმა, - შენი ფული და სამაგიერო მე არა მჭირდება. გამოყოლით გამოგყვები და ერთგვარად იქნებ დაგიცვა კიდეც, რადგან არა მგონია, სარკინოზთაგან ებრაელის დაცვა ქრისტიანს უღირს მოქმედებად ჩაეთვალოს. კარგი, გამოგყვები, მანამ სამშვიდობოს გავიდოდეთ და ხეირიან გამყოლს იშოვიდე. ქალაქი შეფილდი აქედან შორს აღარ არის, იქ ადვილად გამოძებნი შენივე რჯულის ხალხს და თავს შეაფარებ.

- იაკობის კურთხევა ნუ მოგკლებოდეს, კეთილო ჭაბუკო! - უთხრა ებრაელმა, - შეფილდში ნათესავი მყავს, ზარეთი, და იმას შევეკედლები, იქიდან კი რამეს ვიღონებ და უხიფათოდ გავემგზავრები.

- მაშ, აგრე, - თქვა მწირმა, - შეფილდამდე მიგყვები, ნახევარი საათის გზაღა დაგვრჩა.

ისე გავიდა ეს ნახევარი საათი, რომ არც ერთს გაუღია ხმა და არც მეორეს. მწირს ალბათ ეზიზღებოდა ებრაელთან გამოლაპარაკება და თუ უკიდურესი საჭიროება არ იყო, ხმას არა სცემდა, ებრაელს კი ვერ გაებედა საუბარი გაება იმ ადამიანთან, რომელმაც წმიდა საფლავი მოინახულა და ამით ერთგვარად თვითონაც წმინდანი გახდა.

ერთ პატარა ბორცვზე შედგნენ, მწირმა ხელი გაიშვირა ქვემოთ გადაშლილ ქალაქისაკენ და თქვა:

- ახლა კი უნდა გავიყაროთ.

- ოღონდ ჯერ საწყალი ებრაელის მადლობაც მოისმინე,- უთხრა ისააკმა, - იმას ვერ გაგიბედავ, ჩემს ნათესავ ზარეთთან გამომყევი-მეთქი, თორემ იგი გამიმართავდა ხელს და ამ სიკეთისათვის სამაგიეროს გადაგიხდიდი.

- აკი გითხარი, შენი სამაგიერო მე არ მინდა, - მიუგო მწირმა, - შენი მოვალეების გრძელი სიიდან რომელიმე უბედურ ქრისტიანს თუ დაინდობ და ჩემი ხათრით დილეგსა და მძიმე ხუნდებს ააშორებ, მაშინაც კი ჩემს ამდილინდელ სამსახურს წყალში ჩაყრილად არ ჩავთვლი.

- დაიცა, დაიცა! - შესძახა ებრაელმა და კალთაში სწვდა, - ამაზე უფრო კარგი საქმის გაკეთებას ვაპირებ, და ისიც პირადად შენთვის... ღმერთმა ხომ იცის, რომ არაფრის მქონებელი ვარ... დიახ, მთელ თავის ტომში ყველაზე გამოწყვეტილი მათხოვარი ისააკია... მაგრამ ნუ მიწყენ, თუ გამოვიცნო - ამ წუთში ყველაზე უფრო რა გჭირდება.

- კიდეც რომ გამოიცნო, სულ ერთია, მაინც ვერ მიშოვი, თუნდაც ისეთი უსაშველო მდიდარი იყო, რა უსაშველო ღარიბადაც თავს სახავ.

- თავს ვსახავ! - გაიმეორა ებრაელმა, - ო, დამიჯერე, რომ სიმართლეს გეუბნები: გაძარცული ვარ, ყელამდე ვალებში ჩაფლული და გავერანებული! რაც კი რამ მებადა - ფული, ხომალდები თუ სხვა რამ საქონელი - სულ ერთიანად წამგლიჯეს და წამართვეს... მაგრამ მაინც ვიცი, რა გჭირდება, და იქნებ გიშოვო კიდეც. ახლა შენ ცხენი და საჭურველი გინდა.

მწირი ერთბაშად შეცბა და ხელადვე მიბრუნდა ებრაელისკენ.

- ეშმაკი ხომ არ ჩაგიძვრა, საიდან მიხვდი?

- სულ ერთი არ არის, საიდან მივხვდი, - ღიმილით მიუგო ებრაელმა, - ოღონდ კი მართალი იყოს და ისევე შეგისრულებ გულისწადილს, როგორც გამოვიცან.

- ჩემს ტანსაცმელს, ჩემს წოდებასა და ლოცვა-კურთხევას არაფრად აგდებ?

- კარგად გიცნობთ ქრისტიანებს, - მიუგო ებრაელმა, - თქვენს ყველაზე უფრო წარჩინებულ გვარიშვილსაც კი არ გაუკვირდება, ხელში არგანი დაიჭიროს, ქალამნები ჩაიცვას და ვითომცდა ცოდვების მოსანანიებლად ფეხით გასწიოს შორეულ ქვეყნებში მკვდართა საფლავების თაყვანსაცემად.

- ღმერთს ნუ ჰგმობ, ებრაელო! - გაუჯავრდა მწირი.

- მომიტევე, - მიუგო ერაელმა, - ტლანქად გამომივიდა. მაგრამ წუხელ და ამ დილასაც რამდენიმე ისეთი სიტყვა დაგცდა, ასე გეგონებოდა კაჟმა ნაპერწკლები დააკვესაო, და მაშინვე მივხვდი, რა ფოლადიც გდებია მკერდში. ამას გარდა მწირის ანაფორის ქვეშ რაინდული ძეწკვი და ოქროს დეზებიც დაგინახე. დღეს ჩემ საწოლთან რომ დაიხარე, მაშინ მოვკარი თვალი.

მწირმა ღიმილის შეკავება ვერ მოახერხა.

- შენი ტანსაცმელიც რომ ასე გაფაციცებით გამესინჯა, ისააკ, - უთხრა მან, - ვინ იცის, რას არ აღმოვაჩენდი!

- ეგ რა სალაპარაკოა! - საჩქაროდ უპასუხა სახეშეცვლილმა ებრაელმა, და თოთქოს ამითი უნდა შეაჩეროსო, სწრაფად ამოიღო საწერი მოწყობილობა. ჯორიდან არც კი ჩამომხტარა, ქაღალდი თავის ყვითელ ქუდზე გაშალა და წერას შეუდგა. როცა მორჩა, ებრაულად ნაწერი გრაგნილი მწირს გადასცა და უთხრა: - ქალაქ ლეისტერში ყველა იცნობს მდიდარ ებრაელ

კირჯათ ჯაირამ ლომბარდიელს. ეს წერილი მიუტანე, ექვსი მილანური აბ-ჯარი აქვს გასაყიდი, რომელთაგან ყველაზე უარესსაც კი არ ითაკილებს გვირგვინოსანი, ათი ისეთი ბედაური ჰყავს - ყველაზე უხეიროც რომ გამო-უყვანო საბრძოლველად გამგზავრებულ მეფეს, ვერავითარ წუნს ვერ დას-დებს. რომელიც მოგეწონოს, ამოარჩიე, მოგცემს. სხვაც თუ რამე მოგინდე-ბა ასპარეზობისათვის, არაფერს არ დაგიჭერს. ოღონდ ასპარეზობის შემ-დეგ ყველაფერი უკლებლივ დაუბრუნე, თუკი გამოსასყიდ ფულს ვერ უშო-ვი.

- ეს კი კარგია, ისააკ, - ღიმილით მიმართა მწირმა, - მაგრამ განა არ იცი, რომ ამისთანა ასპარეზობის დროს, ძირს ჩამოგდებული რაინდის ცხენიცა და აბჯარიც გამარჯვებულს ეკუთნის?! ვაითუ ბედმა მიმუხთლოს და სულ დავკარგო ის, რისი არც გადახდა შემეძლება და არც სამაგიეროს მიზღვა.

ეს რომ გაიგონა, ებრაელს ერთბაშად ენა ჩაუვარდა, მაგრამ მალევე გაიმაგრა გული და სხაპასხუპით მიაყარა:

- აჰ, რას ამბობ, რას ამბობ!.. როგორ იქნება!.. გულშიაც არ გავივლებ. ღმერთის კურთხევა ნუ მოგკლებოდეს... მოსეს კვერთხის ძალა მისცემო-დეს შენს შუბსაც!

თქვა და, ის იყო, ჯორი უნდა შეეტრიალებინა, რომ ახლა მწირმა წაავ-ლო ხელი მანტიის კალთაში.

- დაიცა, ისააკ, შენ კიდევ არ იცი, რა საალალბედოდ იხდი საქმეს - ხომ შეიძლება ცხენი მომიკლან, აბჯარი დამიმსხვრიონ... რადგან ისე ვიბრძო-ლებ, რომ არც ცხენს დავზოგავ და არც კაცს. ეგეც ხომ ვიცი, რომ შენი ხალ-ხი მუქთად არაფერს გამოიმეტებს. რითიმე ხომ უნდა გადავიხადო!

ებრაელი ისე დაიგრიხ-დაიმანჭა თავის უნაგირზე, თითქოს უეცრად ჭვა-ლი გაუდგაო. მაგრამ ბოლოს მაინც სიკეთემ დასძლია მისი მდაბალი გრძნობები.

- სულ ერთია, - თქვა მან, - სულ ერთია... გამიშვი. კიდეც რომ ვიზარა-ლო, შენ არავინ გაზღვევინებს... კირჯათ ჯაირამი არაფერს გადაგახდევი-ნებს თავისი ნათესავი ისააკის ხათრით. მშვიდობით!.. ოღონდ იცი, რა გით-ხრა, კეთილო ჭაბუკო, - მიუბრუნდა იგი მწირს, - იმ სულელური წეწვა-გლე-ჯის დროს ძალიანაც ნუ გამოიდებ თავს და წინ ნუ გამოვარდები... არ გეგო-ნოს, ცხენი და აბჯარი მენანებოდეს, თავს არა აუტეხო რა და არ დასახიჩ-რდე-მეთქი, იმიტომ გეუბნები.

- დარიგებისათვის მადლობელი ვარ, - მიუგო მწირმა და კვლავ გაიღიმა, - შენს თავაზიანობას გულწრფელად მივიღებ და მართლაც ძალიან უნდა გამიჭირდეს, რომ სამაგიერო ვერ გადაგიხადო.

ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და შეფილდში სხვადასხვა გზით შევიდნენ.

თავი მეშვიდე

გამოიწკაპენ რაინდები, უკან მოჰყვებათ
ნაინაირად აღჭურვილი მეაბჯრეები.
მათი ელვარე მორთულობა თვალებს აბრმავებს.
ზოგს ხელში შუბი შეუმართავს, ზოგს კიდევ ხმალი,
ზოგი ჩაჩქანსა თუ მუზარადს იმაგრებს თავზე.
ქურანი ტორებს ატყაპუნებს, ფშვინავს, ბობოქრობს
და თეთრი დუჟით დაუფარავს ოქროს ლაგამი...
უკან მოსდევენ მჭედლები და მესაჭურვლენი,
ხელში ქლიბები აუღიათ და ჩაქუჩები
გვერდზე ჰკიდიათ ალესილი მახვილის მსგავსად,
რომ ბრძოლის ველზე დალეწილი და დამსხვრეული
შუბი და ფარი შეუკეთონ რაინდებს სწრაფად.
იომენები გზების გასწვრივ ჩამწკრივებულან
და ჯოხიანი მასხარებიც იქ ირევიან.
დრაიდენი

საშინელ დღეში იყო იმ დროს ინგლისელი ხალხი. რიჩარდ მეფე ავსტრიის ცბიერსა და გულქვა ჰერცოგს ჰყავდა ტყვედ. მისი სამყოფელიც კი არავინ იცოდა, და ქვეშევრდომებს, რომლებიც ყოველგვარ დამამცირებელ შევიწროებას განიცდიდნენ, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ თავიანთი მეფის ბედზე.

პრინც ჯონს კავშირი შეეკრა საფრანგეთის მეფე ფილიპესთან, რიჩარდ ლომგულის დაუძინებელ მტერთან, და ყოველნაირად ცდილობდა გავლენა გამოეყენებინა, რათა რაც შეიძლება მეტ ხანს გაეჩერებინა ავსტრიის ჰერცოგის ტყვეობაში თავისი ძმა, რომლისგანაც იგი დიდად დავალებული იყო. ამასობაში მომხრეებს იჩენდა და ცდილობდა მომზადებული ყოფილიყო - მეფე თუ მოკვდებოდა, ტახტის მოსაპოვებლად შეებრძოლებოდა კანონიერ მემკვიდრეს, თავისი უფროსი ძმის ჯოფრი პლანტაგენეტის შვილს, ბრეტანის ჰერცოგ ართურს. როგორც ცნობილია, ეს განზრახვა მან ბოლოს შეასრულა კიდეც. თვითონ ქარაფშუტა, მრუში და ვერაგი იყო, ამიტომ ადვილად გადაიბირა არა მარტო ისინი, რომელთაც მეფის ტყვეობის დროს მრავალი დანაშაული ჩაედინათ და საფუძველი ჰქონდათ რიჩარდის რისხვისა შინებოდათ, არამედ ის ურიცხვი თავზეხელაღებული ხალხიც, რომლებიც ჯვაროსნული ლაშქრობიდან ათასნაირი აღმოსავლური ბიწიერებით შემკულნი დაბრუნებულიყვნენ, საკუთარი ქონება შემოფლანგვოდათ და გაგულქვავებულნი გამდიდრების იმედს შინა არეულობაზეღა ამყარებდნენ.

ამ საერთო უბედურებასა და შიშს აძლიერებდა აგრეთვე იმ დროს მეტად გავრცელებული ყაჩაღობა. ფეოდალების ჩაგვრითა და ულმობელი ტყის კანონებით გამწარებული ხალხი შინიდან გარბოდა, დიდ-დიდ ჯგუფებად უღრან ტყეებს აფარებდნენ თავს და კანონსა და მმართველობას აბუჩად იგდებდნენ. აზნაურებიც არ აკლებდნენ - ციხე-სიმაგრეებში გამაგრებულთ თავი პატარა მეფეებად წარმოედგინათ და თვითონვე მეთაურობდნენ აშკარა მძარცველებზე არა ნაკლებ საშინელი ყაჩაღების ბანდებს. შინაყმებს ხომ რჩენა უნდოდა, პატივმოყვარეობით გაბღენძილები ვერც მდიდრულ ცხოვრებასა და ფუფუნებას თმობდნენ და იძულებულნი ხდებოდნენ, ძალიან დიდი სარგებლით ესესხათ ფული ებრაელებისაგან. ეს კი კიბოსავით ღრღნიდა მათ ქონებას და ხსნა მაშინღა იყო, მხოლოდ მაშინ

დააღწევდნენ თავს ვალებს, როცა მოახელთებდნენ და საშინელი სიმკაცრითა და ძალმომრეობით გაუსწორდებოდნენ თავიანთ კრედიტორებს.

ამდენი უბედურებით წელში გაწყვეტილ ინგლისელ ხალხს აწმყო ხომ მოშხამული ჰქონდა, მომავალი კი უარესს უქადდა, თითქოს განსაცდელი საკმარისი არ ყოფილიყოს - მთელ ქვეყანას მოედო საშინელი სენი, რასაც კიდევ უფრო ამძვინვარებდა ღარიბი ხალხის სიბინძურე, უხეირო კვება და უბადრუკი სადგომები. ჭირმა მუსრი გაავლო მოსახლეობას, ხოლო ვინც ცოცხალი დარჩა, იმქვეყნად გამგზავრებულების შურდათ, რადგან იმათ მომავალ ვაი-უბედურებას მაინც დააღწიეს თავი.

მაგრამ ამ მოზღვავებული უბედურების მიუხედავად, ღარიბი თუ მდიდარი, მდაბიო თუ აზნაური, განურჩევლად ყველა, ისე გატაცებით მიისწრაფოდა იმ დროის ყველაზე დიდ სანახაობაზე- ასპარეზობაზე დასასწრებლად, როგორც ხარების ბრძოლაზე მიეშურება ხოლმე შიმშილისაგან მილასლასებული და არაფრისმქონებელი მადრიდელი მოქალაქე, რომელსაც ყურგახვრეტილი რეალიც კი არ აბადია ოჯახის გამოსაკვებად. მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ყველას იქით მიუწევდა გული - ვერც საქმე აკავებდა და ვერც უძლურება.

ეს ასპარეზობა აშბში იყო დანიშნული, ლეისტერის საგრაფოში. ხმა გავარდა, რომ იქ საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი რაინდები შეეჭიდებოდნენ ერთმანეთს. პრინც ჯონსაც გამოეთქვა ასპარეზობაზე დასწრების სურვილი. ამან სულ გადარია ხალხი, და დანიშნულ დილას ცა და ქვეყანა საასპარეზო მინდვრისაკენ დაიძრა.

იშვიათი რომანტიკული ადგილი კი აერჩიათ. ქალაქ აშბიდან ერთ მილზე, ტყის განაპირას, თვალისმომჭრელი სიმწვანით აბიბინებული მინდორი გადაჭიმულიყო. ერთ მხარეს ტყე ეკრა ამ მინდორს, მეორე მხარეს კი მეჩხრად ამოსული ბებერი მუხები, რომელთაგან ზოგი მართლაც რომ ვეებერთელა იყო. თითქოს საგანგებოდ ასპარეზობისთვის მოუწყიათო, მეოთხედი მილის სიგრძისა და ორჯერ ამაზე ნაკლები სიგანის მინდორს, რომლის ირგვლივაც დიდ-დიდი სარები შემოეყოლებინათ, ოთხივე კუთხით ოდნავ დაქანებული პატარა ბორცვები ერტყა. შემოღობილი

ადგილისათვის გრძელი ოთხკუთხედის ფორმა მიეცათ, ოღონდ კუთხეებში იყო შედარებით მომრგვალებული, რათა მაყურებლები უფრო მარჯვედ მოკალათებულიყვნენ. მოასპარეზე რაინდების შემოსასვლელად

ჩრდილოეთითა და სამხრეთით ხის დიდი ჭიშკრები ჰქონდა დატანებული მესერს - ორი მხედარი თავისუფლად შემოვიდოდა. ჭიკრებთან ორ-ორი ჰეროლდი იდგა, რომელთაც ექვს-ექვსი მაცნე და ამდენივე მებუკე ახლდათ, აგრეთვე კარგად შეიარაღებული მხედრობა, რომელთაც წესრიგის დაცვაც ევალებოდათ და საასპარეზოდ გამოსული რაინდების ვინაობის შემოწმებაც.

სამხრეთი ჭიშკრის მიღმა, ბორცვზე, მოჟანგისფრო-მოშავო დროშებით შემკული ხუთი დიდებული კარავი იდგა. ეს ფერი აერჩია ასპარეზობის მესვეურ ხუთ რაინდს. კარვის ზონრებიც ასეთივე ფერისა იყო: ყოველი კარვის წინ იმ რაინდის ფარი ეკიდა, ვისაც ეს კარავი ეკუთვნოდა, ხოლო ფარებს დარაჯობდა თითო საჭურველთმტვირთველი, ტყის კაცივით ან ველურივით მორთული, ან არადა რაღაც უცნაურ სამოსში გამოწყობილი, მათვე პატრონების გემოვნების კვალობაზე, ან იმის მიხედვით, თუ რა როლის შესრულება ჰქონდა დაკისრებული ასპარეზობის დროს.

შუა კარავი, როგორც ყველაზე საპატიო ადგილას მდგარი, ბრიან დე ბუა გილბერისა იყო. ისეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი ბუა გილბერს რაინდულ ასპარეზობებში, თანაც ისე იყო დაახლოებული ამ ასპარეზობის მომწყობ რაინდებთან, რომ ერთის ამბით მიიღეს თავიანთ

წრეში და ხელმძღვანელად და ბელადადაც კი აირჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ სულ ახალი ჩამოსული იყო. მის კარავს ერთ მხარეს რეჯინალდ ფრონ დე ბეფისა და ფილიპ დე მალვუაზენის კარვები ესაზღვრებოდა, ხოლო მეორე მხარეს - ცნობილი ბარონის ჰიუგ დე გრანმენილისა, რომლის წინაპარი ვილჰელმ დამპყრობელისა და მისი შვილის უილიამ რუფუსის დროს ინგლისის ლორდ სტიუარდი იყო. მეხუთე კარავი კი ეკუთვნოდა წმიდა იოანე იერუსალიმელის ორდენის რაინდს რალფ დე ვიჰონტს, რომელიც აშბი დე ლა ზუშის მახლობლად, სახელდობრ, ჰეთერში, ძველთაგანვე დიდ მამულებსა ფლობდა. კარვებით მოფენილი ბორცვი ათიოდე იარდის სიგანის ოდნავ დამრეცი გასასვლელით მოედნისკენ ეშვებოდა. ეს გასასვლელიც სარებით იყო შემოღობილი. სარები ჰქონდა აგრეთვე შემოვლებული კარვების წინ პატარა მოედანს, ხოლო ირგვლივ მთელ იმ ადგილს თავით-ფეხამდე შეიარაღებული გუშაგები იცავდნენ.

ჩრდილოეთის მხრიდანაც ასეთი შემოსასვლელი იყო - იქითა ბორცვიც ოცდაათიოდე ფუტის სიგრძის ოდნავ დამრეცი ფერდობით უერთდებოდა

საასპარეზო მინდორს, ხოლო ბორცვის თავზე აქაც კარგა მოზრდილი მოედანი შემოეღობათ იმ რაინდებისათვის, რომლებიც ასპარეზობის მომწყობ რაინდებთან შეჭიდებას მოიწადინებდნენ. შემოღობილს უკან კარვები გაეშალათ, სადაც ათასნაირი სასმელ-საჭმელი მოეტანათ. აქვე იყვნენ მჭედლები, მესაჭურვლეები და სხვა ოსტატები, რათა საჭიროების მიხედვით რაინდებს მომსახურებოდნენ.

შემოღობილის გადაღმა მხარე კი ნაწილობრივ დაეფარა სახელდახელოდ მოწყობილ მოფარდაგებულ გალერეებს, რომლებშიაც სულ ხალიჩები და ბალიშები ეფინა, რათა ასპარეზობის საყურებლად მოსული ქალბატონები და ბატონები უფრო მოხერხებულად დამსხდარიყვნენ. გალერეებსა და შემოღობილ მოედანს შორის ვიწრო გასასვლელი - იომენებისა და გლეხებთან შედარებით უფრო მაღალი წოდების მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი, და თეატრის პარტერსა ჰგავდა. სულ უბრალო ხალხი კი საგანგებოდ მოწყობილ ხის დიდი ჯირკების სკამებზე ჩამომსხდარიყო არხეინად და საასპარეზო მოედანს გადმოჰყურებდა, რაც შემაღლებული ფერდობიდან ხელისგულივით ჩანდა. ამ საგანგებოდ მომზადებულ ადგილებს გარდა ასობით კაცი ამძვრალიყო მოედნის ირგვლივ ჩამწკრივებულ ხეებზე და გაშლილ ტოტებზე მოეკალათათ. ის კი არა და, მახლობელი სოფლის სამრეკლოც ხალხით გაჭედილიყო და იქიდან უყურებდნენ.

ახლა ბარემ საერთო მორთულობაც აღვწეროთ. აღმოსავლეთი მხრის ზედ შუაგულში, ე. ი. სწორედ საასპარეზო მოედნის პირდაპირ, საცა მალე ბრძოლები უნდა გაჩაღებულიყო, ყველაზე მაღალი და ყველაზე უფრო მდიდრული გალერეა აღემართათ. გალერეაში კი, გავალაკის ქვეშ, ტახტის მაგვარი მომაღლო სავარძელი წამოეჭიმათ. გავალაკზე სამეფო ღერბი იყო მოხატული. ეს საპატიო ადგილი განკუთვნილი იყო პრინც ჯონისა და მისი ამალისათვის და ირგვლივ ქეშიკები, საჭურველთმტვირთველები და მდიდრულლივრიანი ფარეშები დაფუსფუსებდნენ.

სამეფო გალერეის პირდაპირ, საასპარეზო მოედნის გადაღმა, მეორე ასეთივე შემაღლებული კარავი იდგა, რომელიც მდიდრული მორთულობით კი ჩამოუვარდებოდა პრინცის გალერეას, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო აჭრელებული ჩანდა. ფარეშებისა და მწვანე-ვარდისფერ ფანტასტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილ სულ დარჩეული მზეთუნახავების გუნდი აქაც შემოხვეოდა ასევე მომწვანო-მოვარდისფრო ფარჩეულით მორთულ

ტახტს. კარვის ირგვლივ გამოკიდულ დროშებსა და ბაირაღებზე ამოქარგული იყო დაკოდილი გულები, ცეცხლმოკიდებული გულები, სისხლმომჩქეფარე გულები, ისრები, კაპარჭები და კუპიდონის საზეიმო გამარჯვების სხვა ამნაირი ნიშნები. აქვე შენიშნავდით წარწერას, რომელიც მაყურებელს აუწყებდა, რომ ეს საპატიო ტახტი „სილამაზისა და სიყვარულის დედოფალს“ ეკუთვნოდა. მაგრამ ვინ გახდებოდა დღეს ღირსი სილამაზისა და სიყვარულის დედოფლობისა, ამას ჯერჯერობით ვერავინ იტყოდა.

ამასობაში მაყურებლები მათთვის განკუთვნილ ადგილებს მოაწყდნენ და აქა-იქ ჩხუბიც კი გაიმართა, რადგან ბევრი იმაზე უფრო საპატიო ადგილას წამოჭიმულიყო, ვიდრე მის მდგომარეობას შეეფერებოდა. შეიარაღებული გუშაგები მაშინვე მივარდებოდნენ ხოლმე და საკმაოდ უხეშად ამყარებდნენ წესრიგს - ხმლის ვადებითა და აფთის ტარებით დაერეოდნენ მოჩხუბრებს, თავზეხელაღებულ ჩხუბისთავებზედაც კი კარგად ჭრიდა ეს არგუმენტები. უფრო წარჩინებულ ხალხს თუ მოუვიდოდა დავა, საქმეში თვით ჰეროლდები, ან არადა ასპარეზობის

ორი მარშალი - უილიამ დე ვივილი და სტეფან დე მარტივალი ჩაერეოდნენ. ესენი თავით-ფეხამდე იყვნენ შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნი მალიმალ აუვლ-ჩაუვლიდნენ ხოლმე მინდორს, რათა მაყურებლებში წესრიგი დაეცვათ.

გალერეები თანდათანობით გაივსო სადღესასწაულო მანტიაწამოსხმული რაინდებითა და აზნაურებით. მათი გრძელი და მდიდრულად მოქარგული წამოსასხამები მკვეთრად განსხვავდებოდა ბანოვანთა თვალისმომჭრელად აჭყეტებულ სამოსისაგან. მანდილოსნები მამაკაცებზედაც კი მეტი მოსულიყვნენ, თუმცა ერთი შეხედვით, ამ საშიშსა და სისხლიან ასპარეზობას თითქოს ასე არ უნდა მიეზიდა მშვენიერი სქესი. გასასვლელები და ქვემოთა ადგილები მალე გაიჭედა დარბაისელი იომენებით, ბიურგერებით და ისეთი აზნაურებით, რომელთაც თავიანთი თავმდაბლობის, სიღარიბისა თუ საერთოდ შერყეული მდგომარეობის გამო უფრო მაღლა არ აესვლებოდათ. რაღა თქმა უნდა, ადგილებზე დავაც უმთავრესად მათ მოსდიოდათ.

- ურჯულო ძაღლო! - შეჰყვირა ერთმა მოხუცმა კაცმა, რომლის დაძონძილი ტუნიკი სიღატაკის აშკარა ნიშანი იყო, ხოლო ხმალ-ხანჯალი და გულზე ჩამოკიდებული ოქროს ძეწკვი იმას მოწმობდა, რომ თვალი მაინც ზემოთ გაურბოდა, უფრო მაღალი საზოგადოებისაკენ, - მგლის გაგდებულო!

ქრისტიანის ხელისკვრას როგორ ბედავ?! იქნებ არ იცი, რომ ნორმანი აზნაური ვარ და ძარღვებში მონდიდიეს სისხლი მიჩქეფს!

სწორედ ჩვენს ნაცნობ ისააკს მიმართეს ამ უშვერი სიტყვებით. იგი ამჯერად ბეწვისქობაშემოვლებულ გაბარდინის ძვირფასსა და დიდებულ მოსასხამში გახვეულიყო და ბრბოში მიძვრებოდა, რათა გალერეების ქვემოთ, წინა რიგებში, ადგილი დაეკავებინა თავისი ქალიშვილის - მშვენიერი რებეკასათვის, რომელიც აშბიში ჩამოსულიყო მამასთან. ქალი ისააკს ჩაჰფრენოდა მკლავში, და ეტყობოდა, რომ მამამისის მიზეზით ატეხილ ალიაქოთს ძალიან შეეშინებინა. მაგრამ ისააკმა, რომელიც ჩვენ ადრე კარგა მაგრად დამფრთხალი გვინახავს, ახლა წარბიც კი არ შეიხარა - იცოდა, რომ ამჟამად ვერაფერს დააკლებდნენ. რაც უნდა ხარბი და ავი აზნაური გადაჰკიდებოდა, ამნაირ თავშესაყარ ადგილებში, საცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე დიდებულებს ხვდებოდა, თითსაც კი ვერავინ დააკარებდა. ასეთ ადგილებში ებრაელებს საერთო კანონი იცავს, მაგრამ კანონი თუ ვერ გაჭრიდა, ამ ქვეყნის ხალხში არ შეიძლებოდა ვინმე მფარველი ბარონი არ გამოჩენოდა, რომელიც თავისივე თავის სახეიროდ გამოიდებდა თავს. ახლა მით უფრო არხეინად იყო ისააკი - სწორედ იმ ხანებში პრინც ჯონს იორკელ ებრაელებთან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული, მიწები და რაღაც სამკაულები უნდოდა დაეგირავებინა და სესხად დიდი თანხა გამოერთმია. თვით ისააკიც დიდ მონაწილეობას ღებულობდა მოლაპარაკებაში, და რაკი პრინცს ერთი სული ჰქონდა ამ საქმის დამთავრებამდე, ისააკი დარწმუნებული იყო, თუ რამე გამიჭირდა, უსათუოდ გამომესარჩლებაო.

ამით გულგამაგრებულმა ებრაელმა აინუნშიაც არ ჩააგდო ნორმანი ქრისტიანის გაგულისება, არც

მის ჩამომავლობას მიხედა, არც მდგომარეობასა და არც რელიგიურ რწმენას, ხელი ჰკრა და ჯიქურ წინ გასწია. მაგრამ ბერიკაცის ბუზღუნზე ხალხი აღშფოთდა. ერთმა მწვანე მაუდის ტანსაცმელში გამოწკიპულმა მხარბეჭიანმა და ჩასკვნილმა იომენმა, რომელსაც ქამარში თორმეტი ისარი ჰქონდა გარჭობილი, მკერდზე ვერცხლის ნიშანი ეკიდა ბალთით და ხელში ექვსფუტიანი მშვილდი ეპყრა, ხელადვე მოიხედა. გამუდმებით მზესა და ქარში ყოფნის გამო სახეზე დარჩეული თხილის ფერი გადაჰკრავდა, მაგრამ ახლა გაგულისებისაგან ერთიანად გაშავდა. ებრაელს ურჩია - საბრალო მსხვერპლთა სისხლის წოვით მოხვეჭილ სიმდიდრეს გაბერილ

ობობასავით კი გაუსიებიხარ, მაგრამ ესეც გახსოვდეს, ობობას ხელს მანამდე არ ახლებენ, სანამ კუნჭულშია მიყუჟული, ხოლო სინათლეზე გამომზეურება თუ გაბედა, ხელადვე გასრესენო.

მკაცრად წარმოთქმული ეს ნორმანულ-ინგლისური სიტყვები რომ მოისმინა და იმ კაცის დაბღვერილ შუბლსაც მოჰკრა თვალი, ებრაელმა ცივად დაიხია, და ალბათ სულაც გაეცლებოდა იმ საშიშარ გარემოცვას, რომ საერთო ყურადღება ერთბაშად პრინც ჯონს არ მიეპყრო, რომელიც ის იყო მრავალრიცხოვანი და მხიარული ამალის თანხლებით საასპარეზო მოედანზე გამოჩნდა. ამალაში შედიოდნენ ერისკაცნიცა და სამღვდელო პირებიც, რომელთაც ისეთივე ჭრელა-ჭრულა ტრანსაცმელი ემოსათ და ისევე თავშეუკავებელი სილაღით იქცეოდნენ, როგორც მათი თანამგზავრები.

სამღვდელო პირებში ჟორვოს მოძღვარიც ერია, ისე დიდებულად გამოწყობილი, რომ ეკლესიის მსახური ამაზე მეტი ფუფუნების უფლებას ვეღარც მისცემდა თავს: ოქრო და ბეწვეული არ დაეზოგა, ჩექმების ჭვინტებიც ისე მაღლა აბზეკოდა, რომ მაშინდელი მოდისათვისაც კი გადაეჭარბებინა, და არა თუ მუხლებს, ლამის წელსაც სწვდებოდა, უზანგში ფეხის შეყოფას უშლიდა. მაგრამ ამას დიდად არ დაგიდევდათ კოხტა აბატი, გულში იქნებ უხაროდა კიდეც, რომ ამდენი მაყურებლის, განსაკუთრებით კი მშვენიერი სქესის წინაშე შესაძლებლობა ეძლეოდა, მარჯვე ცხენოსნობა გამოეჩინა და უუზანგოდაც კარგად ეტარებინა ცხენი. პრინცის ამალაშივე ერივნენ მისი დაქირავებული ჯარის ოფიცრები, რომლებიც გამორჩეულად უყვარდა პრინცს, თარეშითა და რბევით გაწუწკებული ბარონები და სასახლის გარყვნილი კარისკაცები, აგრეთვე ტაძრისა და წმიდა იოანეს რამდენიმე რაინდი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ორი ორდენის რაინდები რიჩარდ მეფის მოსისხლე მტრებად ითვლებოდნენ: პალესტინაში ფილიპე ფრანგისა და რიჩარდ ლომგულის ბრძოლის დროს ამათ საფრანგეთის ხელმწიფის მხარე ეჭირათ. მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ სწორედ ამ უთანხმოების წყალობით ის გამარჯვებები, რასაც ზედიზედ აღწევდა რიჩარდი, სულ წყალში ჩაიყარა, თავისი რომანტიკული განზრახვის განხორციელებას ვერ ეღირსა - ვერა და ვერ შემოარტყა ალყა იერუსალიმს, და ამდენი გამარჯვებების

შედეგად იმასღა მიაღწია, რომ გაურკვეველი ზავი დასდო სულთან სალა-დინთან. ახლა ეს რაიანდები, იმავე პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, რამაც მათ

მოძმეებს წმიდა მიწაზე ფილიპეს მხარდაჭერა უკარნახა, ინგლისში პრინც ჯონის პარტიას მიეკედლნენ; არც იმის საფუძველი ჰქონდათ, რომ რიჩარდის ინგლისს დაბრუნების მოსურნენი ყოფილიყვნენ, და არც იმისა, რომ მისი კანონიერი მემკვიდრის - ართურის - გამეფება ენატრათ. პრინც ჯონს სულ სხვა მიზეზი ჰქონდა იმ მცირერიცხოვან საქსონელთა გვარების შეძულებისა, რომლებიც კიდევ შემორჩნენ ინგლისში, იგი მარჯვე შემთხვე-ვას არ უშვებდა, რომ დამცირება და შეურაცხყოფა მიეყენებინა მათთვის. მშვენივრად იცოდა, რომ თვითონ იგი და მისი პოლიტიკური პრეტენზიები ერთნაირად სძულდა მათაც და ინგლისის მკვიდრთა უმრავლესობასაც, რომლებიც შიშობდნენ კიდევ მეტად არ შეგვიკვეცონ თავისუფლება და უფ-ლებებიო, მით უფრო საშიში ჩანდა ეს ისეთი გახრწნილი და მტარვალი მმართველისაგან, როგორიც ჯონი იყო.

ლურჯა ბედაურზე წამოჭიმული პრინცი ჯონი წინ მიუძღოდა კოხტად აღ-ჭურვილ თავის ამალას, მხებლების ხუმრობაზე თვითონაც ხმამაღლა ხარ-ხარებდა და მეფური მოურიდებლობით ათვალიერებდა ტურფა ქალებს, რომელთაც მომაღლო გამართული გალერეები დაემშვენებინათ. პრინცი ბრწყინვალედ იყო მორთული - ოქრომკერდით მოქარგული შინდისფერი სამოსი ეცვა, თავზე ეხურა ძვირფასი თვლებით წრიულად შემკული დიდე-ბული ბეწვის ქუდი, რომლის ქვეშაც გრძელი დაკულულებული თმა ჩამოშ-ლოდა და მხრებზე დაჰფენოდა. მკლავზე შავარდენი ესვა.

იმასაც კი, ვინც პრინცის ფიზიონომიაში უსაზღვრო ქედმაღლობა, სხვა-თა გრძნობების მიმართ სრული გულგრილობა და აღვირახსნილი თავხე-დობა შენიშნეს, არ შეიძლება უარეყოთ მისი სახის სანდომიანობა, რაც ბუ-ნებით ეშხიან ადამიანს ახასიათებს, როცა ამ სილამაზესთან აღზრდით შე-სისლხორცებული თავაზიანობაც არის შერწყმული. ის კი არადა, იმდენად სანდომიანი და წრფელი ჩანდა მისი სახე, რომ თითქოს და უარს ამბობდა სულისა და შინაგანი განცდები, ბუნებრივი ზრახვები დაეფარა. ხშირად ამისთანა ფიზიანომიას შეცდომით ვაჟკაცურ გულწრფელობად და უბრა-ლოებად ღებულობენ ხოლმე, სინამდვილეში კი ასეთი სახე სულაც არ გა-მოხატავს პირად ღირსებებს, ეს გაქსუებული ადამიანის გულგრილობაა,

როცა წარმოშობით, სიმდიდრით და სხვა შემთხვევითი პრივილეგიებით გათავხედებულს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. იმათთვის, ვინც ასე ღრმად არა ფიქრობდა, - ასეთები კი უმეტესობა იყო, ერთზე ასი, - პრინცი ჯონის ბრწყინვალე რენო (ანუ ბეწვის ფაფახი), უძვირფასესი სიასამურით ქობაშემოვლებული მდიდრული მოსასხამი, მოროკოული ტყავის ჩექმები, ოქროს დეზები და მშვენიერ ბედაურზე მოხდენილად მჯდარი პრინცის სიჩაუქე საკმარისი აღმოჩნდა ტაშითა და შეძახილებით შეჰგებებოდნენ.

საასპარეზო მოედნის ასეთი მხიარული განწყობილებით შემოვლის დროს პრინცის ყურადღება მიიპყრო იმ ჯერ კიდევ დაუწყნარებელმა ალიაქოთმა, რაც გამოეწვია ისააკის პატივმოყვარულ განზრახვას - როგორმე უფრო მაღალ საზოგადოებაში გამოეძებნა ადგილები. პრინც ჯონის

მახვილმა თვალმა მაშინვე იცნო ებრაელი, მაგრამ მისი მზერა უცებ დაატყვევა სიონის მშვენიერმა ასულმა, რომელიც ამ აყალმაყალს დაეფრთხო და ახლა თავის მოხუც მამას ჩაჰფრენოდა მკლავში.

მართლაცდა, ინგლისის უმშვენიერეს ასულებსაც კი თამამად ამოუყენებდი გვერდში რებეკას, თუნდაც მსაჯულად ისეთი გაქნილი და ამ საქმეში დახელოვნებული კაცი მოგეყვანათ, როგორც პრინც ჯონი იყო. რებეკას ჩამოქნილი ტანი გამოკვართულიყო რაღაცნაირ აღმოსავლურ სამოსში, რასაც მაშინ ებრაელი ქალები იცვამდნენ ხოლმე. მის შავგვრემან სახეს ძალიან შვენოდა აბრეშუმის ყვითელი ტიურბანი. მისი თვალების ელვარება, მშვილდივით მოხრილი დიდებული წარბები, კოხტად გამოკვეთილი არწივის ცხვირი, მარგალიტის კბილები, გრძელ ნაწნავებად ჩამოშვებული, ბოლოებში დაკულულებული ხშირი გიშრის თმა, რომელიც უძვირფასესი სპარსული აბრეშუმის სირმით დაფარულ მშვენიერ კისერსა და მკერდზე ეცემოდა - ეს ყველაფერი ისეთ ეშხსა და ლაზათს მატებდა, რომ ირგვლივ უმშვენიერეს ქალსაც ტოლს არ დაუდებდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ იმ მარგალიტის ღილთაგან, რომლებიც გულისპირიდან მოკიდებული წელამდე ეკერა კაბაზე, სიცხის გამო სამი ზემოთა ღილი გახსნილი ჰქონდა და ეს საშუალებას იძლეოდა უფრო კარგად დაგეთვალიერებინა ქალის სიმშვენიერე. ამისავე წყალობით, კარგად

მოუჩანდა უძვირფასეს საკიდარზე დამაგრებული ბრილიანტის ფარღული, ასევე თვალში საცემი იყო სირაქლემას ფრთა, რომელიც ტურფა ებ-

რაელის ქალს ტიურბანზე მარგალიტით გაწყობილი დუგმით ჰქონდა დამაგრებული. ზემოთა გალერეებში მსხდომი ზვიადი ქალბატონები ზიზღით გადმოჰყურებდნენ და დასცინოდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში შურდათ მისი.

- აბრაამის მოტვლეპილ გოგრასა ვფიცავ, - წამოიძახა პრინცმა ჯონმა, - ეს ურიის ქალი იმ ტურფა მშვენიერებასაც კი არ დაუდებს ტოლს, რომელმაც ქვეყნად ყველაზე უბრძნესი მეფე[19] გააგიჟა. შენ რას იტყვი, მამაო ეიმერ?.. იმ ბრძენი მეფის ტაძარსა ვფიცავ, რომლის გამოხსნას ჩვენი ბრძენი ძმა რიჩარდი ვერა და ვერ ეღირსა, რომ ქებათა ქებაში მოხსენებული მშვენიერი ასული სწორედ ეგ იქნება.

- შარონის ვარდი და მინდვრის შროშანა, - ჩაიდუდუნა წინამძღვარმა, - მაგრამ არ უნდა დაავიწყდეს თქვენს ბრწყინვალებას, რომ ეს ებრაელის ქალია.

- ოჰო! - განაგრძო პრინცმა, წინამძღვრის სიტყვები არც გაუგონია, - აგე, ჩემი ჯიბესქელი ურჯულოც... ფულის მარკიზი, განძეულის ბარონი. ადგილისათვის ეჩხუბება იმ არაფრისმქონებელ ძაღლებს, თავიანთი გაქექილი მოსასხამების ჯიბეში გროში რომ არ უჭყავით და მხოლოდღა ეშმაკები უცეკვავენ. წმიდა მარკიზის მადლმა, ახლავე უნდა გაუთავისუფლო ადგილი

გალერეაში ფულის ღმერთსა და მის მშვენიერ ქალს!.. ეს ვინ გახლავს, ისააკ? ცოლია თუ ქალიშვილი? ეს რა აღმოსავლური ჰურია გიპოვნია, განძეულის სკივრივით რომ არ იშორებ?!

- ჩემი ქალი გახლავთ, რებეკა, თქვენო ბრწყინვალებავ, - მიუგო ისააკმა და თავი მდაბლად დაუხარა, სულაც არ დაუბნევია პრინცის სიტყვებს, რომელშიაც დაცინვაც იმდენივე გამოსჭვიოდა, რამდენიც თავაზიანობა.

- მით უფრო ბრძენი ყოფილხარ, - ხარხარით უთხრა ჯონმა და მისმა მხიარულმა ამალამაც მონურად მისცა ბანი, - ცოლია თუ შვილი, სულ ერთია - ისეთი პატივი უნდა ვცეთ, როგორიც მის სიტურფესა და შენს დამსახურებას ეკადრება... მანდ ვინა ზის? - გალერეებს ახედა, - ოჰო, საქსონელი მუტრუკები გადათხლარშულან არხეინად!.. ერთი მაგათი!.. ახლავე მიიწმოიწიონ და ჩემს მევახშეთა პრინცსა და მის მშვენიერ ქალს მისცენ ადგილი! უნდა შევაგნებინო მაგ ბრიყვებს, რომ ყველაზე საპატიო ადგილი სინაღოღაში იმათია, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის სინაღოღა.

ეს უზრდელი და შეურაცხმყოფელი სიტყვები მიმართული იყო სედრიკ საქსონელის ოჯახისა და მისი უახლოესი მოკავშირისა და ნათესავის ათელსტან კონინგსბურგელის მიმართ, ათელსტანი ინგლისის უკანასკნელ საქსონელ მეფეთა შთამომავალი იყო და ამიტომ დიდი მოწიწებით ექცეოდნენ ინგლისის ჩრდილოეთით მცხოვრები საქსონელები. მაგრამ სამეფო სისხლთან

ერთად თავისი წინაპრების ბევრი ნაკლი და სისუსტეც გადმოჰყოლოდა. შესახედად ლამაზი ეთქმოდა, ჩასკვნილი და მაგარი კაცი იყო, ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა. მაგრამ უსიცოცხლო სახე ჰქონდა, გამოლენჩებული თვალები, დუნე, მძიმე და ზანტი იყო, ისეთი ზოზინა , რომ ერთი თავისი წინაპრის სახელი შეარქვეს და ათელსტან მოუქნელს ეძახდნენ. მეგობრებს - (მეგობრები კი ბლომად ჰყავდა) და მათ შორის სედრიკსაც გულით უყვარდათ და ამტკიცებდნენ - მისი ასეთი დუნე ბუნება სილაჩრით კი არ აიხსნება, არამედ ზოზინა ხასიათითაო; ზოგი გაიძახოდა, ლოთობამ - რაც მის შთამომავლობითს მანკიერებას წარმოადგენდა - სულ დაუბნელა გონებაო. თუმცა თავის დღეში არ გამოირჩეოდა დიდი გამჭრიახობით. ეს პასიური მამაცობა და რბილი, უწყინარი ხასიათი კი იმ ხასიათის ნარჩენებიღა იყო, რაც თავის დროზე ქების ღირსი იქნებოდა, მაგრამ წრესგადასულმა და პირუტყვულმა სმამ, რაც კი რამ კარგი ჰქონდა, სულ გამოუფიტა.

სწორედ ამ კაცს უბრძანა პრინცმა ისააკისა და რებეკასთვის ადგილი დაეთმო. ათელსტანი ერთბაშად გაშრა. ასეთი ბრძანება იმ დროის წესებისა და კანონების მიხედვით საშინლად შეურაცხმყოფელი იყო; ბრძანების შესრულება ერთი წამითაც არ უფიქრია, მაგრამ ვერც ის გადაეწყვიტა, როგორ უნდა გაეწია წინააღმდეგობა, და იჯდა ასე გაბურსალებული, არც განძრეულა; თავისი დიდი, ჭროღა თავლები ფართოდ დაეჭყიტა და ისეთი გაკვირვებით მიეშტერებინა პრინცისათვის, რომ არ შეიძლებოდა კაცს არ გასცინებოდა. მაგრამ პრინცი ისეთ მოუთმენლობას იჩენდა, რომ სიცილისთვის აღარ ცხელოდა.

- ან სძინავს ამ საქსონელ მეღორეს, ან ჩემი სიტყვები ვერ გაუგია, - თქვა პრინცმა, - აბა ერთი შენი შუბით უჩხვლიტე, დე ბრასი, - მიმართა მან რაინდს, რომელიც გვერდზე მისდევდა და თავისუფალ მსროლელთა ბანდის

მეთაურად ითვლებოდა. ეს იყო დაქირავებული რაზმი - არც ეროვნება გაა-ჩნდათ, არც არაფერი, და ხან ერთ თავადს მიჰქირავდებოდნენ, ხან მეორეს.

პრინც ჯონის ამალაშიაც კი ჩოჩქოლი შეიქნა. მაგრამ დე ბრასიმ, რომელსაც თავისი ხელობა ყოველგვარი მორიდებისა თუ თავშეკავებისაგან ათავისუფლებდა, გრძელი შუბი მოიმარჯვა და იმ სივრცეს გადაუწვდინა, რაც გალერეებსა და საასპარეზო მოედანს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. შეასრულებდა კიდეც პრინცის ბრძანებას, მანამ ათელსტან მოუქნელი იმდენს მოისაზრებდა, რომ იარაღისთვის მაინც მოერიდებინა თავი, მაგრამ ამ დროს სედრიკმა გამოიჩინა საოცარი სიმარჯვე, თვალის დახამხამებაში გაიძრო თავისი მოკლე ხმალი და ერთი მოქნევით დე ბრასის შუბს წამახვილებული ბუნიკი წააცალა.

პრინც ჯონს სახეზე სისხლი მოაწვა. ერთი მაგრად შეიგინა და ის იყო, საშინელი მუქარა უნდა წამოეფრქვია, მაგრამ უცებ თავი შეიკავა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავისივე მხლებლებმა სთხოვეს მოუთმინეო, და მეორეც, მთელი ხალხი მოწონების ყიჟინით შეხვდა სედრიკის მამაცურ გამოსარჩლებას.

გაგულისებულმა პრინცმა ახლა ხალხს გადაუბრიალა თვალები, თითქოს ადვილად მოსანელებელ მსხვერპლს ეძებსო. მართლაც და მისი თვალები წააწყდა იმ მშვილდოსნის შეუპოვარ გამოხედვას, რომელიც ჩვენ ადრევე შევნიშნეთ; ეს კაცი, ეტყობოდა, სულაც არ ეპუებოდა პრინცის დაბღვერილ შუბლს, და გამოჯიბრებით კიდევ უფრო თავგამოდებით ყვიროდა. პრინცი მისკენ გადაიხარა და ჰკითხა, ასე რა გაბღავლებსო.

- მე მუდამ ასე ვყვირი, როცა ნიშანში კარგად მოახვედრებენ, ან მარჯვე მოქნევას დავინახავ.

- რასა ბრძანებ?! - შესძახა პრინცმა, - მაშ, ეტყობა, შენც მარჯვედ ახვედრებ ნიშანში!

- არც ერთ მეტყევეს ტოლს არ დავუდებ, - მიუგო იომენმა.

- უატ ტირელი თუ დაუყენეთ, ას ნაბიჯშიაც არ ააცდენს, - თქვა ვიღაცამ ბრბოში, მაგრამ ვერავინ შენიშნა, ვინ იყო ამისი მთქმელი.

ამ გადაკრულმა სიტყვებმა, რაც თავისივე ნათესავის უილიამ რუფუსის საბედისწერო შემთხვევას შეეხებოდა, ერთსა და იმავე დროს კიდეც გა-

აცეცხლეს და კიდეც დააფეთეს პრინცი ჯონი. მაგრამ ამითღა დაკმაყოფილდა, რომ საასპარეზო მოედნის მცველ გუშაგს უთხრა, ამ ბაქიაზე თვალი გეჭიროთო. იომენს გულისხმობდა.

- წმინდა გრიზელის მადლმა, - დასძინა მან, - ერთი უნდა გამოვცადო, თვითონ რას წარმოადგენს, სხვების გმირობას რომ ასე უკრავს ტაშს.

- მაგ გამოცდას არ გავექცევი, - უპასუხა იომენმა გულდაჯერებით, რაც მისი ხასიათის განუყრელ თვისებას წარმოადგენდა.

- ადექით-მეთქი, საქსონელო ბრიყვებო, - შესძახა გაცეცხელებულმა პრინცმა, - ცის ნათელს ვფიცავ, რაცა ვთქვი, უნდა ასრულდეს კიდეც - ეს ურია გვერდზე უნდა მოისვათ.

- აბა რასა ბრძანებთ, თქვენ დაგენაცვლეთ, თქვენო მოწყალებავ - სად ჩვენ და სად ქვეყნის მბრძანებლები, გვერდში როგორ მოვუჯდებით! - უთხრა ებრაელმა, ვისაც პატივმოყვარეობამ ის კი გააბედვინა, რომ მონდიდიების დაჩაჩანაკებულსა და გაღატაკებულ შთამომავალს შედავებოდა ადგილზე, მაგრამ მდიდარი საქსონელების უფლებებზე წასაპოტინებლად ვეღარ წააქეზა.

- მიდი-მეთქი, ურჯულო ძაღლო, როცა გიბრძანებენ, გაიგონე, - დაუყვირა პრინცმა, - თორემ მაგ უწმინდურ ტყავს გავაძრობინებ და ცხენის მოსართავებს გამოვაჭრევინებ.

რაღა გზა ჰქონდა, ებრაელი ვიწრო საფეხურებთან ასასვლელს აუყვა გალეერეებისკენ.

- ერთი ვნახო, ვინ გაბედავს და ვინ გადაუდგება წინ, - თქვა პრინცმა და თვალი სედრიკს მიაშტერა, რომელიც ისე გამომწვევად იჯდა, რომ ეტყობოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა ებრაელი კიბეზე დაეგორებინა.

კატასტროფა მასხარა ვამბას ჩარევით იქნა აცილებული - ისკუპა, თავის ბატონსა და ებრაელს შორის ჩადგა, და პრინცის გამომწვევ სიტყვებს უპასუხა:

- მე გავბედავ! - მოსასხამის კალთიდან ღორის მოზრდილი შაშხი გამოიღო და ზედ წვერთან მიუტანა ებრაელს. აშკარა იყო, თადარიგი დაეჭირა და საგზალი მოემარაგებინა, თუ ძალიან გაგრძელდებოდა ასპარეზობა და ხუმარას მადა ვეღარ მოითმენდა.

ებრაელი რომ გონს მოეგო და დაინახა, ცხვირთან ისეთ რამეს უფრიალებდნენ, რაც ყველაზე უფრო ზიზღისმომგვრელია მთელი მისი მოდგმისათვის, თან მასხარა თავის ხის ხმალს უღერებდა თავზე, ერთბაშად უკან დაიხია და კიბეზე დაგორდა. ხალხს ხარხარი აუტყდა, და პრინც ჯონსა და მის ამალასაც გულიანად გაეცინათ.

- აბა, ჯილდო, ძმობილო პრინცო. ხომ ხედავ, მტერი კანონიერ ბრძოლაში დავამარცხე ხმლითა და ფარით, - შესძახა ვამბამ და ცალ ხელში ხმალი აათამაშა, მეორეში - ღორის შაშხი.

- ვინა ხარ ან საიდან მოსულხარ, რაინდო? - ჰკითხა პრინცმა, რომელიც ისევ იცინოდა.

- წარმოშობით მასხარა გახლავარ, - მიუგო მასხარამ, - ვამბა მქვია, ძე უიტლესისა, რომელიც თავის მხრივ უედერბრეინ ოლდერმანის ძის მემკვიდრე იყო.

- მაშ, წინა რიგებში მოუძებნეთ ებრაელს ადგილი, - თქვა პრინცმა, რომელსაც ალბათ ეამა კიდეც, თავისი პირვანდელი ბრძანების გაუქმების საშუალება რომ მიეცა, - ჰერალდიკის კანონი გვიკრძალავს, დამარცხებული გამარჯვებულს მოვუსვათ გვერდში.

- თაღლითი სულელის გვერდში კიდევ უფრო ცუდი იქნება, - მიუგო მასხარამ, - ხოლო ურია და ღორის შაშხი ერთად - ყველაზე დიდი საშინელება!

- მადლობელი ვარ, ყმაწვილო, - შესძახა პრინცმა,- დიდად მასიამოვნე... აბა, ისააკ, ერთი პეშვი ოქრო მიბოძე.

ამ სიტყვებმა ისააკი ერთ ადგილზე გააქვავა. არც ფული ემეტებოდა და ვეღარც უარი გაებედნა. ხელი ქამარზე გამობმულ ბეწვის ქისაში ჩაეყო და იქ დიდხანს აფათურებდა, ეტყობოდა ზომავდა - რაც შეიძლება ნაკლები ოქრო ერთ პეშვად გაესაღებინა, მაგრამ პრინცი ამ დროს ბედაურიდან

გვერდზე გადაიხარა და ისააკის ყოყმანს ბოლო მოუღო: ქისა ჩამოგლიჯა. ორი ოქრო ამოიღო, ვამბას გადაუგდო და წინ გასწია; ხალხს მოწონების ყიჟინა აღმოხდა - თითქოს პრინცს ძალიან სინდისიერი და სათნო საქმე გაეკეთებინოს, ებრაელს კი ქოქოლა დააყარეს.

თავი მერვე

გამოიწვიეს რაინდი და მანაც პასუხად
საყვირს ჩაჰბერა გამეტებით - შესძრა ქვეყანა,
შეაზანზარა ერთიანად ველი ბრძოლისა,
და ცის კამარაც კი გაჰკვეთა მრისხანე გრგვინვამ.
მოირგეს ფიცხლავ ჩაჩქნები და მუზარადები,
შუბი შემართეს, ცხენს დეზები ამოჰკრეს მაგრად,
ერთბაშად მოსწყდნენ რაინდები თავ-თავის ადგილს
და გამწარებით გაექანენ მტრის საძგერებლად -
ერთმანეთს მკერდში უმიზნებენ შემართულ შუბებს.
დრაიდენი - „პალამონი და არსიტი“

მოედნის შემოვლის დროს პრინცმა უცებ შეაყენა ცხენი და წინამძღვარ ეიმერს მიმართა - დღევანდელი დღის მთავარი საზრუნავი სულ გადაგვავიწყდაო.

- ღვთიშობლის მადლმა, მამაო, - თქვა მან, - სიყვარულისა და სილამაზის დედოფლის დანიშვნა

დაგვავიწყდა, რომელმაც თავისი ნატიფი ხელით ჯილდო უნდა დაარიგოს. ჩემდა თავად, როგორც თავისუფალი აზროვნების კაცი, ერთი წუთითაც არ შევყოყმანდები, რომ დედოფლად შავთვალა რებეკა დავნიშნოთ.

- წმიდაო მარიამ, შენ დაგვიფარე! - შესძახა წინამძღვარმა და თვალები შიშით მაღლა აღაპყრო, - ურიის ქალი დავნიშნოთ?! ხომ აქვე ჩაგვაქვავეს, და ახიც იქნება. ჯერ ისე არ დავბერებულვარ, რომ მოწამებრივი სიკვდილი ვინატრო. ეგეც რომ არ იყოს, ღვთიშობელს გეფიცები, საქსონელი როენას ფეხის ფრჩხილადაც არა ღირს.

- რა ურია და რა საქსონელი! - მიუგო პრინცმა. - ურია და საქსონელი, ძაღლი და კატა, ნეტა ვინ გაჰყო! არა, რებეკა დავნიშნოთ, თუნდაც მარტო საქსონელების გულზე გასახეთქად.

პრინცის ამალაშიაც კი ჩოჩქოლი ატყდა.

- ეს უკვე ხუმრობა აღარ იქნება, მილორდ, - შეჰკადრა დე ბრასიმ, - ასეთი შეურაცხყოფა თუ მივაყენეთ ხალხს, არც ერთი რაინდი არ აღმართავს ხმალს.

- თანაც ყოვლად გაუმართლებელი შეურაცხყოფა იქნება, - თქვა პრინც ჯონის მხლებელთაგან

ერთ-ერთმა ყველაზე უხუცესმა და ყველაზე უფრო წარჩინებულმა დიდებულმა ვოლდემარ ფიცურსმა, - და მართლაც თუ გააკეთა ეს თქვენმა მოწყალებამ, იცოდეთ, თქვენს გეგმებს შესრულება არ უწერია.

- მე თქვენ მხლებლად მოგიწვიეთ, სერ, და არა მრჩევლად, - უპასუხა ჯონმა და ქედმაღლურად მოსწია აღვირს.

- ყველა თქვენი მხლებელი, ვინც თქვენს გაკვალულ გზას ადგას, თქვენო მოწყალებავ, თქვენს მრჩევლადაც ითვლება, - უპასუხა ვოლდემარმა, ოღონდ უფრო ხმადაბლა, - იმიტომ, რომ, თქვენი ინტერესები და კარგად ყოფნა ამავე დროს იმათ კარგად ყოფნასაც მოასწავებს.

ეს სიტყვები ისთი ტონით იყო წარმოთქმული, რომ ჯონმა საჭიროდ ჩასთვალა დამორჩილებოდა.

- მე ვიხუმრე, - თქვა მან, - თქვენ კი ასპიტებივით მომცვივდით! ჯანდაბას თქვენი თავი, ვინც გინდოდეთ, ის აირჩიეთ.

- არა, არა, - წამოიძახა დე ბრასიმ, - ტურფა მბრძანებლის ტახტზე ჯერ ნურავის დასვამთ, დე, გამარჯვებულმა რაინდმა თვითონ შეარჩიოს ტახტის მფლობელი ქალბატონი. ეს კიდევ უფრო

მეტ დიდებას შემატებს მის გამარჯვებას, და ტურფა ქალბატონებსაც ასწავლის მამაცი რაინდების სიყვარულის დაფასებას, რომელთაც უფლება ექნებათ ასე აამაღლონ ისინი.

- ბრიან დე გილბერმა თუ გაიმარჯვა, - თქვა წინამძღვარმა, - წინასწარვე შემეძლება დავასახელო სიყვარულისა და სილამაზის დედოფალი, სანაძლეოდ ჩემს კრიალოსანს ჩამოვალ.

- ბუა გილბერი კარგი მეომარია, - თქვა დე ბრასიმ, - მაგრამ ამ მოედანზე ბევრი რაინდი მეგულება, რომლებიც მასთან შებმას არ მოერიდებიან.

- ჩუმად, ბატონებო,- თქვა ვოლდემარმა, - პრინცი თავის ადგილზე დაბრძანდება. რაინდებსაც და მაყურებლებსაც გული ელევათ მოუთმენლობით, დრო გადის, ასპარეზობა რამდენი ხნის წინათ უნდა დაგვეწყო.

პრინცი ჯონი ჯერ არ ყოფილა მონარქი, მაგრამ ვოლდემარ ფიცურსის წყალობით მაინც გრძნობდა იმ უხერხულობას, რასაც მეფე განიცდის ხოლმე განებივრებული ჯარისკაცისაგან, რომელიც ცდილობს, ყველაფერი თავის ჭკუაზე წარმართოს. ბუნებით ისეთი კაცი იყო პრინცი, რომ სულ უბრალო და წვრილმან რამეზედაც კი უნდა გაჯიქებულიყო, მაგრამ ახლა დასთმო და დაეთანხმა, ტახტზე აბრძანდა, ხოლო როცა მხლებლებიც აქეთიქით მოუსხდნენ, ჰეროლდებს ნიშანი მისცა, ასპარეზობის წესები გამოეცხადებინათ, რაც მოკლედ ასეთი შინაარსისა იყო:

პირველი: ბრძოლის დამწყები ხუთი რაინდი უნდა გამოსულიყო და ყველა მსურველს შებრძოლებოდა.

მეორე: ყოველ რაინდს ნება ჰქონდა, თუკი მოისურვებდა, მესვეურ რაინდთაგან მეტოქე ამოერჩია და შებრძოლებოდა. ამისთვის საჭირო იყო მეტოქის ფარს შუბით შეხებოდა. თუ შუბის ჩლუნგი წვერით შეეხებოდა, მაშინ ეგრეთ წოდებული თავაზიანობის ბრძოლა გაიმართებოდა: შუბს წვერზე გაბრტყელებულ ხის ბუნიკს წამოაცვამდნენ და აღარავითარი საშიშროება აღარ იყო მოსალოდნელი; მხოლოდღა ცხენიდან თუ ჩამოვარდებოდა რაინდი, ან ცხენი თუ წაიფორხილებდა. ეს იყო და ეს. ხოლო მახვილი წვრით თუ შეეხებოდა, ეს უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ნიშანი იყო: რაინდებს ალესილი იარაღებით უნდა ებრძოლათ, როგორც ნამდვილი ბრძოლის დროს.

მესამე: როცა იქ მყოფი რაინდები აღთქმას შეასრულებდნენ - ხუთ-ხუთ-ჯერ გადაუტყდებოდათ შუბი - პრინცი პირველი დღის ასპარეზობის ფალავანს გამოაცხადებდა, რომელიც ჯილდოდ იშვიათი სილამაზისა და უბადლო ძალ-ღონის ბედაურს მიიღებდა. ამ ჯილდოს გარდა, დღევანდელ ფალავანს განსაკუთრებული პატივი ერგო - უფლება ენიჭებოდა სილამაზისა და სიყვარულის დედოფალი აერჩია, რომელიც მეორე დღეს გვირგვინით შეამკობდა ახალ ფალავანს.

მეოთხე: გამოაცხადს, რომ ხვალ გაიმართებოდა საერთო ასპარეზობა, რომელშიაც მონაწილეობის უფლება ჰქონდა ჯილდოს მოსურნე ყველა იქ მყოფ რაინდს. რაინდები ორი თანაბარი რაოდენობის ჯგუფად გაიყოფოდნენ და ვაჟკაცური შემართებით იბრძოლებდნენ, მანამ პრინცი ჯონი არ მისცემდა ბრძოლის შეწყვეტის ნიშანს. მერე სილამაზისა და სიყვარულის დედოფალი გვირგვინით შეამკობდა იმ რაინდს, რომელსაც პრინცი ჯონი მეორე დღის ფალავნად შერაცხავდა. გვირგვინი წარმოადგენდა დაფნის ფოთლების ფორმაზე გამოჭრილ, წრედ შეკრულ ოქროს ფურცლებს. ამით მთავრდებოდა კიდეც რაინდული შეჯიბრებები. მაგრამ ხალხის გასართობად მესამე დღესაც გაგრძელდებოდა ისრის სროლაში შეჯიბრება, ხარების ბრძოლა და სხვა სახალხო გართობანი. ამითღა ცდილობდა პრინცი ჯონი ქვეშევრდომთა გულის მოგებას, რადგან საერთოდ ისე ქარაფშუტულად და უჭკუოდ ბღალავდა იგი ხალხის რწმენას და გრძნობებს, რომ უკვე ყველანი ამრეზით უცქერდნენ.

დიდებული სანახავი იყო ახლა საასპარეზო მოედანი. გორაკის ფერდობზე გამართული გალერეები ჩრდილო და შუა ინგლისიდან ჩამოსული აზნაურებით, მთავრებით, მდიდრებითა და ლამაზმანებით გაიჭედა. მათი მდიდრული ტანსაცმლის ნაირფერად სიჭრელეს თითქოს თალხ არშიად თუ ქობად ჰქონდა შემოვლებული სადა ჩაცმულობა დარბაისელი ბიურგერებისა და იომენებისა, რომლებიც წარჩინებულთა გალერეების ქვემოთ ერთ მწკრივად განლაგებულიყვნენ; ეს არშია თან სასიამოვნოდ ანელებდა და თან კიდევ უფრო აშკარად გამოკვეთდა ჭყეტელა ფერების ელვარებას.

ჰეროლდებმა დაამთავრეს ასპარეზობის წესების გამოცხადება და ჩვეულებრივ შესძახეს - „გულუხვად, გულუხვად, მამაცო რაინდებო!..“ გალერეებიდან სეტყვასავით წამოვიდა ოქრო და ვერცხლი - რაინდების ერთ

მთავარ ღირსებად ითვლებოდა გულუხვობა ჰეროლდების მიმართ, რომლებიც მაშინ საბრძოლო მოქმედების აღმნუსხველებსა და მემატიანეებს წარმოადგენდნენ. ამ გულუხვობას მათ ახლა ჩვეულებრივი შეძახილით უპასუხეს: „ქალბატონებს - სიყვარული, მეტოქეს - სიკვდილი, დიდსულოვანს - პატივი, მამაცს - დიდება!“ მდაბიო მაყურებელმა ამ შეძახილებს თავისი მხიარული ყიჟინა შეუერთა, ხოლო მრავალრიცხოვანმა მემუსიკეებმა ნაღარებს ჩაჰბერეს და იქაურობა გააყრუეს.

როცა ყველაფერი მიწყნარდა, ჰეროლდების ბრჭყვიალებით თვალისმომჭრელმა რაზმმა მოედანი დატოვა და საასპარეზო მოედანზე აღარავინ დარჩენილა, გარდა თავით-ფეხამდე შეიარაღებული მარშლებისა, რომლებიც ცხენებზე ამხედრებულიყვნენ და ქანდაკებასავით გაქვავებულნი მინდვრის აქეთ-იქით შესასვლელებთან გაჩერებულიყვნენ.

ამასობაში ჩრდილოეთ ჭიშკრის გადაღმა შემოღობილი დიდი მინდორი ბრძოლის მოსურნე რაინდებით გაიჭედა; გალერეებიდან რომ გადმოგეხედათ, ტალღებივით მოქანავე ფრთების ზღვა მოგეჩვენებოდათ, რაშიაც მოელვარე მუზარადები და წაგრძელებული შუბები იყო გარეული; შუბების უმრავლესობას მიმაგრებული ჰქონდა ხელისგულისოდენა პატარა ბაირაღები,

რომელთა რხევა, ფრთების განუწყვეტელ ქანაობასთან ერთად, კიდევ უფრო მეტ სიცოცხლეს აძლევდა მთელ სურათს.

ბოლოს ჯებირები გახსნეს და მოედანზე დინჯად გამოვიდა წილის ყრით შერჩეული ხუთი რაინდი. ერთი წინ მიუძღოდა, ორ-ორი კი მას მოსდევდა. დიდებულად აღჭურვილები იყვნენ და ჩემი საქსონელი მემატიანეც დაწვრილებით აღწერს მათ დევიზებს, ფერებს და ცხენთა ყაჯარ-ასლების მოხატულობასაც კი. რა საჭიროა, მეც ასევე დაწვრილებით გადმოგცეთ. ერთ თანამედროვე პოეტს რომ დავესესხო, რომელიც ძალიან ძუნწად წერს:

„დრომ მტვრად აქცია რაინდთა წყება,
მათი აბჯარი ჟანგმა შეჭამა,
სული კი მიჰქრის წმინდანებისკენ“.

მათი ციხე-სიმაგრეების კედლებზე გამოკვეთილი ღერბები დიდი ხანია ჩამოიფშვნენ, თვითონ ციხე-სიმაგრეებიც მწვანე ყორღანებადა და აქეთ-იქით მიმოფანტულ ნანგრევებად იქცნენ. მათ სამკვიდრო ადგილებში უკვე აღარავის ახსოვს იმათი სახელი. ვინ იცის, რამდენი თაობა მოვიდა შემდეგ,

სულ სხვადასხვა წარმოშობისა, და ისინიც დავიწყებას მიეცნენ - აღარც მათი დიდებულება ახსოვს ვინმეს და აღარც ფეოდალური უფლებამოსილება. მაშ, მკითხველს რაშიღა სჭირდება ან მათი სახელები ან სამხედრო წოდებათა ემბლემები!

ერთი სიტყვით, რაინდები ზვიადად მიემართებოდნენ მოედანზე, წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ, თუ როგორ მიეცემოდა დავიწყებას მათი სახელებიცა და საგმირო შემართებანიც, ცეცხლოვან რაშებს ლაგამით იჭერდნენ და აიძულებდნენ მძიმედ ევლოთ, თან კი ცდილობდნენ ხალხისთვის ეჩვენებინათ ცხენების კოხტა ტარებაცა და თავიანთი სიმარჯვე და სიჩაუქეც. შემოვიდნენ თუ არა მხედრები მოედანზე, რაინდთა კარვების უკან ჩამალულმა მემუსიკეებმა დაჰკრეს, და მთელი არემარე ველური ჰანგების ჭყვიტინმა გააყრუა. ეს იყო აღმოსავლური მუსიკა, წმინდა მიწიდან ჩამოტანილი, და წარმოადგენდა ზარების რეკვასა და წინწილების ჟღარუნს, რითაც ერთსა და იმავე დროს თავიანთ მეტოქე რაინდებს მიესალმებოდნენ კიდეც და ბრძოლაშიაც იწვევდნენ. ამდენი ხალხის თვალი ამ ხუთ რაინდს მიშტერებოდა - ესენი კი დინჯად მიემართებოდნენ; მინდორი გადაჰკვეთეს, მიადგნენ შემაღლებულ კორდს, რომელზედაც ბრძოლის დამწყები რაინდების კარვები იყო გაშლილი, და გაიფანტნენ - შუბებით ამ რაინდთა ფარებს შეეხნენ, რომლებიც მეტოქეებად დაესახათ. უფრო მდაბიო მაყურებელი, - თუმცა რაღა მდაბიო, ბევრი წარჩინებულიც და თვით მანდილოსნებიც კი, - გულნატკენი დარჩა - რატომ შუბის წამახვილებული წვერით არ შეეხნენ ფარს და სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლაში არ გაიწვიესო. იმ ჯურის ხალხისათვის, რომელთაც დღესაც შემაძრწუნებელი ტრაგედიები იტაცებთ ხოლმე, მაშინდელი ასპარეზობა იმდენად იყო საინტერესო, რამდენადაც მეტ საშიშ შერკინებას შესცქეროდა.

ამ რაინდებმა თავიანთი მშვიდობიანი განწყობილება გამოხატეს, მინდვრის მეორე მხარეს

გაბრუნდბებ და იქ გამწკრივდნენ. ბრძოლაში გაწვეული რაინდები კი მსწრაფლ გამოვიდნენ თავიანთი კარვებიდან, ცხენებს მოახტნენ და კორდიდან დაეშვნენ, წინ ბრიან დე ბუა გილბერი მიუძღოდათ. მინდორზე რომ გავიდნენ, თითოეულმა მათგანმა იმ რაინდის პირისპირ შეაჩერა ცხენი, რომელმაც იგი ბრძოლაში გაიწვია.

გაისმა საყვირისა და ბუკის ხმა და მეტოქეები ადგილს მოსწყდნენ. ისეთი მარჯვე გამოდგნენ ბრძოლის დამწყები რაინდები, - ანდა იქნებ ბედმა გაუღიმათ, - რომ ბუა გილბერის, მალვუაზენისა და ფრონ დე ბეფის მოწინააღმდეგენი პირველივე შეჭიდებისთანავე თავიანთ ცხენებიანად მიწაზე აყირავდნენ. გრანმენილის მოწინააღმდეგეს ცხენი გვერდზე გაექცა და იმის ნაცვლად, რომ მუზარადში ან ფარში ეძგერებინა შუბი, ზედ მეტოქის სხეულზე გადაუტყდა, ეს კი ძალიან სამარცხვინოდ ითლებოდა, ცხენიდან ჩამოვარდნაზე სამარცხვინოდაც, რადგან ცხენიდან ჩამოვარდნას უბედურ შემთხვევად ჩასთვლიდნენ, ეს კი იმას მოასწავებდა, რომ არც იარაღის ხმარება იცოდა ხეირიანად და მხედრადაც ვერაფერიშვილი იყო. მხოლოდ მეხუთე რაინდმა დაიცვა თავისი ღირსება. იგი წმიდა იოანეს ტაძრის რაინდს ებრძოდა; ორივე მოწინააღმდეგეს დაელეწათ შუბები და ბრძოლაც თანაბარი გამოდგა.

ხალხის ბღავილმა, ჰეროლდების შეძახილებმა და საყვირების ხმამ გამარჯვებულთა ზეიმი და ძლეულთა დამარცხება დაადასტურეს. პირველნი თავიანთ კარვებში დაბრუნდნენ, ხოლო

მეორენი გაჭირვებით წამოდგნენ და დარცხვენით გალასლასდნენ მოედნიდან, რათა თავიანთ მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკება გაემართათ ცხენებისა და საჭურვლის გამოსყიდვის თაობაზე, რაც ასპარეზობის კანონების მიხედვით გამარჯვებულებს რჩებოდათ. მეხუთე რაინდმა ფეხი აითრია და უფრო გვიან გავიდა მოედნიდან, რათა ხალხის ტაში მიეღო და მერე იმავე ხალხს შეერთებოდა. ამით, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო დასწყვიტა გული თავის ამხანაგებს.

ახლა რაინდების მეორე და მესამე წყება გამოვიდა მოედანზე. მეტ-ნაკლები წარმატებით იბრძოდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მესვეურ რაინდებსა რჩებოდათ - რადგან არც ერთი მათგანი არ ჩამოვარდნილა ცხენიდან და შუბსაც პირდაპირ მიზანში აძგერებდნენ ხოლმე, მაშინ როდესაც პირველი წყების უბედურ შემთხვევას ყოველ გამოსვლაზე იზიარებდა თითო ან ორ-ორი მოწინააღმდეგე. ამიტომ იმ მაყურებლებმა, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ მესვეურ რაინდთა გამარჯვება, ცხვირი ჩამოუშვეს.

მეოთხე ბრძოლაზე სამი რაინდი გამოვიდა, მათ გვერდი აუარეს ბუა გილბერისა და ფრონ დე ბეფის ფარებს და დანარჩენი სამი გამოიწვიეს,

რომელთაც ბრძოლებში შედარებით ნაკლები სიმარჯვე და ძლიერება გამოიჩინეს. ვერც ამ სიფრთხილემ უშველა საქმეს, მესვეურებმა ისევ გაიმარჯვეს - ერთი რაინდი ცხენიდან ჩამოვარდა და ორმა დანარჩენმაც შეირცხვინა თავი: შუბი ისე უნდა ეძგერებინათ მუზარადსა და ფარში, რომ ან უნდა ჩამოეგდოთ მოწინაარმდეგე, ან არადა თავიანთივე იარაღი დალეწოდათ - ვერც ერთი მოახერხეს და ვერც მეორე.

მეოთხე ბრძოლის შემდეგ კარგა დიდხანს აღარ გამოსულან. ეტყობოდა, აღარავინ დარჩა ბრძოლის გაგრძელების მოსურნე, ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა, რადგან მალვუაზენსა და ფრონ დე ბეფს სახელი გატეხილი ჰქონდათ და არავის უყვარდა, ხოლო დანარჩენები, გრანმენილის გარდა, უცხოელები იყვნენ და არც იმათი გამარჯვება ეპიტნავებოდათ.

მაგრამ სედრიკ საქსონელივით მაინც არავის დასწყვეტია გული: ნორმანი რაინდის ყოველ გამარჯვებაში იგი ინგლისის დამცირებას ხედავდა. სარაინდო ასპარეზობაში თავიდანვე არ ყოფილა მაინცდამაინც გაწაფული, თუმცა მამაპაპური საქსონური იარაღით არაერთხელ გამოუმჟღავნებია მამაცობაცა და შემართებაც. მოუთმენლად გადახედავდა ხოლმე ათელსტანს, - რომელსაც შესწავლილი ჰქონდა იმდროინდელი ასპარეზობის ყველა საჭირო ხერხი, - იქნებ ამან მაინც გამოიდოს თავი და უკანვე დაგვიბრუნოს გამარჯვება, რაც ასე უბოდიშოდ გამოგვაცალეს ტაძრის რაინდმა და მისმა ამფსონებმაო. ათელსტანს ძალაც შესწევდა და ვაჟკაცობაც მოსდევდა, მაგრამ ისეთი დუნე და უთავმოყვარო კაცი იყო, რომ არც უფიქრია იმ საქმის გაკეთება, რასაც მისგან სედრიკი მოელოდა.

- ინგლისს დღეს ბედი არა სწყალობს, მილორდ, - უთხრა სედრიკმა, - იქნებ თქვენ შეგემართათ შუბი!

- ხვალ დავატრიალებ, - მიუგო ათელსტანმა, - melee-ზე გამოვალ, დღეს არ ღირს.

ათელსტანის სიტყვებში ორი რამე არ მოეწონა სედრიკს, ჯერ ერთი, ნორმანული სიტყვა წარმოთქვა - melee, რაც საერთო ბრძოლას ნიშნავდა, და მეორეც, სრული გულგრილობა გამოიჩინა თავისი მამულის ღირსების მიმართ. მაგრამ, ისე აღმერთებდა ათელსტანს, რომ ვერც შედავებას შეჰკადრებდა და ვერც სისუსტისათვის დაძრახავდა. თუმცა, გულითაც რომ სდომოდა, მაინც ვერ მოასწრებდა, რადგან ვამბამ ხელადვე შესძახა:

- რა ბრძანებაა - იოლი საქმე არ არის, მაგრამ ორში პირველობას ასში პირველობა არა სჯობია!

ათელსტანმა სერიოზულ ქათინაურად მიიღო ეს სიტყვები, სედრიკმა კი კარგად გაიგო ქარაგმები და მაგრადაც შეუბღვირა მასხარას. ბედი მისი, რომ ადგილი და გარეომოება საშუალებას არ აძლევდა ბატონს, უფრო მკაფიოდ გამოეხატა თავისი გაგულისება.

მოედანზე კი კვლავაც არავინ გამოდიოდა. ჰეროლდების შეძახილებიღა ისმოდა: „თაყვანი ეცით ქალბატონებს! დალეწეთ შუბები! გამოდით, გამოდით, მამაცნო რაინდნო, ტურფა თვალები თქვენ შემოგცქერიან!“

დროდადრო ველური მუსიკაც იფეთქებდა ხოლმე - გამარჯვების ზეიმსაც გამოხატავდა და თან ბრძოლაში იწვევდა რაინდებს. ბრბო უკმაყოფილო იყო - ესეც შენი დღესასწაულიო! ძველი

რაინდები და აზნაურები წუწუნებდნენ, მხედრული სული გაქრაო, თავიანთ ახალგაზრდობას გაიხსენებდნენ ხოლმე, და მერე ყველა ერთხმად დასძენდა - ერთი მიიხედ-მოიხედე, სადღაა ის ძველი მზეთუნახავები, ვინ უდა აღაგზნოს და აღაფრთოვანოს მოასპარეზეებიო. პრინცი ჯონი მხლებლებს აფრთხილებდა - ნადიმის თადარიგი დაეჭირათ და გამარჯვების ჯილდო ბრიან დე ბუა გილბერისათვის მიეკუთვნებინათ, რომელმაც შუბის გამოუცვლელად ორი რაინდი დასცა და მესამეც სძლია.

ბოლოს, როგორც იქნა, დამთავრდა სარკინოზული მუსიკის გაჭიანურებული და გულისგამაწვრილებელი ჭყვიტინი, და უცებ ჩრდილო შემოსასვლელიდან ეული საყვირის ხმა გაისმა; ეს იყო ბრძოლაში გაწვევის ნიშანი. ყველამ იქით მიიხედა, რათა ეს ახალი რაინდი დაენახათ, და გაიხსნა თუ არა ჯებირი, ისიც მოედანზე შემოვიდა. რამდენადაც კი შეიძლებოდა თავით-ფეხამდე აბჯარ-საჭურველში ჩამჯდარი კაცისთვის შეტყობა, ეს რაინდი საშუალოზე ბევრად მაღალი არ ჩანდა და მოხდენილი ტანისა უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩასკვნილი, რკინის პერანგი ოქროთი ჰქონდა მოზარნიშებული, ფარზე კი, დევიზად, ძირიანად ამოგლეჯილი ახალგაზრდა მუხა მოუჩანდა და ზედ ესპანური წარწერა - Desidichado, რაც „სამკვიდრომოკლებულს“ ნიშნავს. იჯდა ყორნისფერ ბედაურზე და, მოედანი რომ ჩაიარა, შუბის ძირსდახრით მიესალმა პრინც ჯონსა და ქალბატონებს. ცხენის ტარებამ და ყმაწვილურმა მოხდენილობამ ერთბაშად მოხიბლა ხალხი და მდაბიოთა მწკრივებიდან გაისმა კდეც შეძახილები:

- რალფ დე ვიპონტის ფარსა ჰკარი შუბი! ჰოსპიტალური გაიწვიე: მაგრად ვერა ზის ცხენზე - სწორედ საშენოა!

რაინდი ისმენდა ამ მეგობრულ შეძახილებს და წინ მიდიოდა, გადსჭრა მოედანი, კორდი აიარა, ყველას გასაკვირად შუა კარვისკენ გაემართა და თავისი შუბის მახვილი წვერი ისე შემოჰკრა ბრიან დე ბუა გილბერის ფარს, რომ ჟღარუნი გააღებინა. ასეთმა კადნიერებამ მთელი ხალხი გააკვირვა, მაგრამ ყველაზე უფრო თვითონ მრისხანე რაინდი, რომელიც ასე თამამად გაიწვიეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. იგი ახლა უდარდელად იდგა თავისი კარვის შესასვლელთან - რას იფიქრებდა, ასე კადნიერად თუ გაიწვევდნენ.

- ზიარების მიღება თუ მოასწარი, ძმობილო? - მიმართა ტაძრის რაინდმა,- ან წირვა თუ მოისმინე დღეს, ასე რომ გადაგიდვია თავი?

- მე შენზე უფრო გულარხეინად შევეყრები სიკვდილს, - მიუგო სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, ტურნირის მონაწილეთა წიგნში ამ სახელწოდებით ჩააწერინა თავი და ჩვენც ასე მოვიხსენიოთ.

- მაშ შენი ადგილი დაიჭირე მოედანზე, - უთხრა ბუა გილბერმა, - და უკანასკნელად შეხედე მზეს: ამაღამ უკვე სამოთხეში დაიძინებ.

- თავაზიანობისათვის მადლი მომიხსენებია, - მიუგო სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, - სამაგიეროდ, ჩემი რჩევაც მიიღე: ცხენი და შუბი გამოიცვალე, პატიოსნებას გეფიცები, ერთიც დაგჭირდება და მეორეც.

გულდაჯერებულად უთხრა ეს სიტყვები, ცხენს ლაგამი მოსწია, უკანსვლით ჩაიყვანა მოედანზე და ასევე უკანსვლით გავიდა მოედნის მეორე თავში, ჩრდილო შემოსასვლელთან, დადგა და მეტოქეს დაუწყო ლოდინი. ცხენის ასე მარჯვედ ტარებამ ერთხელ კიდევ მოსწყვიტა ხალხს ტაში.

მეტოქის გაფრთხილებამ ბრიან დე ბუა გილბერი ძალიან გააგულისა, მაგრამ შეთავაზებულ რჩევას მაინც გაჰყვა, რადგან მისი პატივი და დიდება ახლა მომავალ შერკინებაზე იყო დამოკიდებული, და ყველა ღონეს იხმარდა, ოღონდ კი ეს თავხედი მოწინააღმდეგე დაემარცხებინა. ახლა უფრო ღონიერსა და დასვენებულ ცხენზე შეჯდა, შუბიც უფრო მაგარი შეარჩია - ვაითუ წინა ბრძოლაში ნახმარმა ტარმა მიმტყუნოსო, მერე ფარიც გვერდზე გადასდო, რადგან ცოტათი დაზინებულიყო და საჭურველთმტვირთველებს ახალი გამოართვა. პირველ ფარზე ტაძრის რაინდების საერთო ნიშანი იყო

ამოკვეთილი: ერთ ცხენზე ამხედრებული ორი რაინდი, როგორც თავმდაბლობისა და სიღარიბის ემბლემა, რაც უწინ ტაძრელების საერთო თვისებას წარმოადგენდა, მერე თანდათანობით დასთმეს ეს თვისებები და ქედმაღლობა და ფუფუნება შეისისხლხორცეს, რამაც საბოლოო განადგურება მოუტანა მათ ორდენს. ბუა

გილბერის ახალ ფარზე გაფრენილი ყორანი იყო ამოკვეთილი, კლანჭებით თავის ქალა ეჭირა და ასეთი წარწერა ჰქონდა: „Gave le Gorbeau![20]“

როცა ორი რაინდი ერთმანეთის პირისპირ დადგა მოედნის სხვადასხვა მხარეს, ხალხმა სული განაბა. ცოტას თუ სჯეროდა სამკვიდრომოკლებული რაინდის გამარჯვებისა, მაგრამ მისმა გამბედაობამ და სიმარჯვემ ისე მოიგო ხალხის გული, რომ თანაგრძნობა და კეთილი სურვილები მის მხარეზე იყო.

მისცეს თუ არა საყვირებით ნიშანი, ორივე მხედარი ელვის სისწრაფით გამოქანდა და მოედნის შუაში მეხივით ეკვეთნენ ერთმანეთს. შუბები ერთბაშად დაელეწათ ორივეს, ტარებიღა შერჩათ ხელში, და ხალხს უცებ მოეჩვენა ორივე რაინდი ძირს დაენარცხაო, რადგან ცხენები უკანა ფეხებზე ჩაიკრიფნენ. მხედრებმა სწრაფად მოსწიეს ლაგამს, დეზები ამოჰკრეს და ხელადვე წამოაყენეს. მერე ერთმანეთს შეანათეს თვალები - გეგონებოდათ, მუზარადის ზარადიდან ცეცხლს აკვესებენო, ცხენები ყალყზე შეაყენეს, შემოატრიალეს, თავთავიანთი ადგილებისკენ გაქუსლეს და საჭურველთმტვირთველებს ახალი შუბები გამოართვეს.

ხმამაღალი შეძახილები, ცხვირსახოცებისა და თავშლების ფრიალი და საერთო ჟრიამული იმის ნიშანი იყო, რომ ხალხი ძალიან გაიტაცა ამ შებრძოლებამ. ასე თანაბარი სიძლიერის ღირსეულ

მეტოქეებს პირველად ხედავდნენ მოედანზე ამ დღეს. მაგრამ მოეწყვნენ თუ არა რაინდები ისევ ერთმანეთის პირისპირ, შეძახილები და ჟრიამული ხელად დაცხრა, ისე გაინაბა ყველა, თითქოს ამოსუნთქვასაც ერიდებიანო.

პრინცმა სულის მოსათქმელად ცოტაოდენი დრო მისცა მხედრებსა და ცხენებს და მერე მებუკვეს ანიშნა, ჩაჰბერეო. რაინდები ახლაც ისეთივე სისწრაფით გამოქანდნენ, ისეთივე სიმარჯვითა და თავგანწირვით ეკვეთნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლის საქმე ისეთნაირადვე როდი წარიმართა.

მეორედ შეტაკებისას ტაძრელმა რაინდმა ისე მარჯვედ და მაგრად ატაკა შუბი მოწინააღმდეგის ფარს, რომ შუბი ერთიანად დაელეწა, ხოლო სამკვიდრომოკლებული უნაგირზე შეტორტმანდა. ამ რაინდმაც თავდაპირველად ბუა გილბერის ფარს დაუმიზნა შუბი, მაგრამ სწორედ შერკინების დროს მიმართულება შეუცვალა და მუზარადში ატაკა; ეს გაცილებით უფრო ძნელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ უფრო გამანადგურებელიც გამოდგა. ზედ ზუჩში მოხვდა შუბი ნორმანელს და ზარადი შეუმსხვრია, მაგრამ ტაძრელმა რაინდმა ვაჟკაცურად გაუძლო დარტყმას და, უცებ მოსართავი რომ არ გასწყდომოდა უნაგირს, იქნებ არც ჩამოვარდნილიყო. მაგრამ უნაგირი, ცხენი და თვით მხედარიც მიწაზე დაგორდნენ და მტვრის ღრუბლებში გაეხვიენ.

წაქცეული ცხენის უზანგიდან ფეხის გამოძრობა ტაძრელი რაინდისათვის[21] ერთი წუთის საქმე

გამოდგა. ცალკე ასეთმა სირცხვილმა და ცალკე ხალხის მხიარულმა შეძახილებმა გველნაკბენივით გააცოფეს, მაშინვე ხმალი იძრო და გამოწვევის ნიშნად მოწინააღმდეგეს აუქნია. სამკვიდრომოკლებული რაინდი მაშინვე ჩამოფრინდა ცხენიდან და მანაც იშიშვლა ხმალი, მაგრამ ასპარეზობის მარშლებმა ცხენებს დეზები ამოჰკრეს, მოწინააღმდეგეებს შუაში ჩაუდგნენ და შეახსენეს, ასპარეზობის კანონით ამჟამად ასეთი შეჭიდების უფლება არა გაქვთო.

- იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, - უთხრა ტაძრელმა რაინდმა და გაბოროტებით შეხედა მოწინააღმდეგეს, - თანაც ისეთ ადგილას, რომ ხელი აღარავინ შეგვიშალოს.

- მე უკან არ დავიხევ, - მიუგო სამკვიდრომოკლებულმა, - მზადა ვარ შეგებრძოლო - ხმლით იქნება, შუბით თუ ნაჯახით; ცხენზე ამხედრებულნი ვიქნებით თუ ქვეითნი.

უფრო მაგარ-მაგარსაც ეტყოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მარშლებმა შუბები გადააჯვარედინეს მათ შორის და დააცილეს. სამკვიდრომოკლებული რაინდი ჩრდილო შემოსასვლელისკენ გაემართა, ბუა გილბერი კი - თავისი კარვისკენ, და მთელი დღე, საშინლად გულგასიებულმა და გაწამებულმა, იქ გაატარა.

გამარჯვებული რაინდი ცხენიდან არც კი ჩამომხტარა, ისე მოითხოვა თავისი ღვინო. ზარადი

ცოტაზე აიწია და ჭეშმარიტი ინგლისური გულისა და უცხოელი მტარვალების დაღუპვის სადღეგრძელო შესვა. მერე მებუკვეს უბრძანა, ჩაჰბერეო, ხოლო ჰეროლდს დაავალა, გამოეცხადებინა - არჩევით არ ავირჩევ, ისე კი გულით მოწადინებული ვარ ყველას შევებრძოლო, იმ თანმიმდევრობით, როგორც თვითონვე მოისურვებენო.

პირველი ფონ დე ბეფი გამოვიდა. ამ დევკაცს შავი აბჯარი აესხა, ხელში თეთრი ფარი ეპყრა, რომელზედაც შავად იყო ამოკვეთილი ხარის თავი, მრავალი ბრძოლისაგან სანახევროდ მიჭყლეტილ-გადაფხეკილი, ქვეშ კი მრისხანე სიტყვები ეწერა: „Gave, adsum![22]“ ეს რაინდი სამკვიდრომოკლებულმა სულ ადვილად, მაგრამ მაგრად კი დაამარცხა. შუბები ორივეს გადაუტყდათ, მაგრამ ფრონ დე ბეფს ბრძოლის დროს უზანგი დაეკარგა და დამარხცება ჩაეთვალა.

მესამედ სერ ფილიპ მალვუაზენს შეხვდა უცნობი რაინდი და ისიც სძლია: ისე მაგრად აძგერა შუბი მუზარადში, რომ ჯაჭვები მიუმსხვრია და მუზარადი მთლად ჩამოაცალა, ამან გადაარჩინა მალვუაზენი ცხენიდან ჩამოვარდნას, მაგრამ წაგება მასაც ჩაეთვალა.

თუ წინა შებრძოლებებში ნამდვილი მამაცობა და სიჩაუქე გამოამჟღავნა სამკვიდრომოკლებულმა, ახლა, მეოთხე გამოსვლაში, დე გრამენილთან, ასეთივე ჭეშმარიტი

თავაზიანობა გამოიჩინა. გრამენილს ახალგაზრდა და ფიცხი ცხენი ჰყავდა, შეჭიდების დროს განზე გახტა და მხედარს მიზანი ააცდენინა, უცნობმა რაინდმა კი, იმის ნაცვლად, რომ ეს ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა, შუბი აღმართა და გვერდზე ჩაუქროლა, არც შეხებია, ცხენი შემოაბრუნა და თავისი ადგილისკენ გაქუსლა, მეტოქეს კი ჰეროლდების პირით შეუთვალა, ისევ გამოდიო. მაგრამ გრამენილი არ გამოვიდა, თავი დამარცხებულად სცნო არა მარტო ბრძოლაში, არამედ მეტოქის თავაზიანობითაც.

უცნობი რაინდის გამარჯვებათა სია რალფ დე ვიპონტმა შეავსო: ისე დაენარცხა მიწას, რომ ცხვირ-პირიდან სისხლმა ითქრიალა და მოედნიდან გონმიხდილი გაიყვანეს.

ხალხი მხიარული ყიჟინით შეხვდა პრინცისა და მარშლების გადაწყვეტილებას: იმდღევანდელი ჯილდო და პატივი სამკვიდრომოკლებულ რაინდს ერგო.

თავი მეცხრე

. . . . . მათ შორის მდგარი,
მოსჩანდა ქალი, დედოფლის დარი.
. . . . . .
სილამაზით ხომ სულ გააფასა
იქ თავმოყრილი კრებული ქალთა.
მბრძანებელს ჰგავდა თვალების ისრით,
დანარჩენები მხლებლები მისი.
ბაჯაღლო ოქროს გვირგვინი თავზე
განა მატებდა მას სილამაზეს:
ისედაც შემკულს ღვთიური ეშხით,
უფლების ნიშნად რტო ეპყრა ხელში.
დრაიდენი

ასპარეზობის მარშლები უილიამ დე ვივილი და სტეფან დე მარტივალი პირველნი მივიდნენ გსამარჯვებულ რაინდთან, მიულოცეს და სთხოვეს, მუ-ზარადი მოიხადე, ან ზარადი მაინც აიწიე, მანამ მიგაცილებდეთ და პრინცი

ჯონი დღევანდელი გამარჯვების ჯილდოს გადმოქცემდესო. სამკვიდრო-მოკლებულმა რაინდმა ნამდვილი რაინდული თავაზიანობით უთხრა უარი - იმავე მიზეზების გამო, რაც მოედანზე შემოსვლის წინ ჰეროლდებს გავანდე, ამჟამად სახეს ვერავის დავანახვებო. მარშლები სავსებით დააკმაყოფილა ამ პასუხმა; მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რაინდები ხშირად დებდნენ ხოლმე ახირებულ აღთქმას: განსაზღვრულ დრომდე, ან განსაკუთრებული გმირობის გამომჟღავნებამდე საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი ვინაობა. ამიტომ არ ჩააცივდნენ სამკვიდრომოკლებულს, პრინცი ჯონს მიეახლნენ, გამარჯვებულის სურვილი მოახსენეს და ნებართვა სთხოვეს, რომ რაინდი მისი მოწყალების წინაშე წარედგინათ და პრინცს თავისი ხელით გადაეცა მისთვის მამაცობის ჯილდო.

უცნობი რაინდის საიდუმლომ პრინცს ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა. ჯერ ისედაც ნაწყენი იყო ასპარეზობის შედეგებით - სწორედ მის ფალავნებს აგემა დამარცხება ამ რაინდმა. ამიტომ მარშლებს მედიდურად უპასუხა:

- ღვთიშობლის მადლმა, ეს რაინდი მარტო სამკვიდროს კი არ არის მოკლებული, ზრდილობაც დაუკარგავს, თუკი მართლა ასე თავშებურვილი აპირებს ჩვენს წინაშე გამოცხადებას. - მერე

მხლებლებს მიუბრუნდა: - თქვენ რას იტყვით, ბატონებო, ვინ უნდა იყოს ეს ვაჟბატონი, ასე კადნიერად რომ იქცევა?

- ვერასდიდებით ვერ მივმხვდარვარ, - მიუგო დე ბრასიმ, - და ამ ოთხ ზღვას შორის, რაც ბრიტანეთს არტყია გარს, არც მეგულება ისეთი ვინმე, ერთ დღეში ხუთი დიდებული რაინდის გალახვა შეეძლოს. თავი ნუ მომიკვდება, ჩემს დღეში ვერ დავივიწყებ, რა მაგრად ეძგერა დე ვიპონტს. საბრალო ჰოსპიტალერი ისე მოჰგლიჯა უნაგირს, თითქოს შურდულიდან ქვა გაესროლოს.

- ეგ რა სატრაბახოა, - ჩაერია იმავე ორდენის ერთ-ერთი რაინდი, რომელიც იქვე აღმოჩნდა, - არც თქვენს ტაძრელ რაინდს დასდგომია უკეთესი დღე. ჩემი თვალით დავინახე, თქვენი მამაცი ბუა გილბერი სამჯერ როგორ გადაკოტრიალდა, და ყოველ გადაბრუნებაზე სულ მუშტით ახვეტინა მტვერი.

დე ბრასი ტაძრელ რაინდებთან მეგობრობდა, და ახლა პასუხი უნდოდა მიეცა, მაგრამ პრინცმა არ დააცალა.

- ჩუმად, ბატონებო! - თქვა მან, - ეს ფუჭი ლაპარაკი ვის რაში სჭირდება!

- გამარჯვებული ისევ თქვენი უმაღლესობის ბრძანებას ელის, - შეახსენა დე ვივილმა.

- ჩვენი სურვილიც ეგ არის, - მიუგო ჯონმა - მანამ მაგისი ვინაობის გამგები გამოჩნდებოდეს, მანდვე უნდა იცადოს. დაღამებამდეც რომ მოუწიოს ცდა, ისე მაგრად იმუშავა, რომ არ გაცივდება.

- ეს რაღა გამარჯვებულის პატივი გამოვა, თქვენო მოწყალებავ, - უთხრა ვოლდემარ ფიცურსმა, - თუკი მანამდე ვაყურყუტეთ, ვიდრე თქვენს უმაღლესობას იმას მოვახსენებდეთ, რაც ჩვენ თვითონ არ ვიცით. მე პირადად გამიჭირდება გამოცნობა... თუკი ერთ-ერთი იმ სახელოვან რაინდთაგანი არ არის, რომლებიც მეფე რიჩარდს ახლდნენ პალესტინაში და ახლა კი წმიდა მიწიდან უკანვე მოეხეტებიან.

- იქნებ გრაფი სოლსბერი იყოს! - შესძახა დე ბრასიმ, - თითქმის მაგის ტანისაა.

- სერ თომას დე მულტონს - გისლანდელ რაინდს - უფრო ჰგავს, - თქვა ფიცურსმა, - სოლსბერი უფრო ძვალმსხვილია.

უცებ ამალაში ჩურჩული შეიქნა, მაგრამ პირველად ვინ გამოთქვა ეს ვარაუდი, ვერ გაიგეს:

- იქნებ მეფე იყოს!.. თვით რიჩარდ ლომგული!

- ღმერთმა დაგვიფაროს! - შესძახა მკვდარივით გადაფითრებულმა ჯონმა და ისე შეხტა, თითქოს მეხი დასცემოდეს, - ვოლდემარ... დე ბრასი! მამაცო რაინდო და ჯენტლმენებო, სიტყვა არ გატეხოთ, არ მიმატოვოთ.

- საშიში არაფერია, - დაამშვიდა ვოლდემარ ფიცურსმა, - თქვენი ძმის ახოვანი ტანი აღარ გახსოვთ?! ეს ჯაჭვის პერანგი რას მოადგებოდა!.. დე ვივილ და მარტივალ, კარგ სამსახურს გაუწევთ პრინცს, ახლავე აქ თუ მოჰგვრით გამარჯვებულ რაინდს და შიშს გაუფანტავთ, თორემ სახე სულ გადაეტეტკა, წვეთი სისხლიც აღარ შერჩა... ახლო უფრო კარგად შეათვალიერებთ, თქვენო უმაღლესობავ, - განაგრძო მან, - და თვითონვე დარწმუნდებით, რომ რიჩარდ მეფე ბარე სამი გოჯით მაგაზე მაღალი იქნება და მხარ-ბეჭიც ორი მაგოდენა აქვს. აბა ეგ ცხენი რიჩარდ მეფის სიმძიმეს გაუძლებს?! ერთჯერაც კი ვერ შემოატარებს მოედანს.

ამასობაში მარშლებმა სამკვიდრომოლკებული რაინდი მოიყვანეს და დააყენეს ხის კიბესთან, რომელიც პრინცის ტახტიდან ზედ მოედნამდე ეშვებოდა. პრინცი ისე შეეცბუნებინა ძმის ხსენებას, - ვისაც მან ბევრი ვნება

მიაყენა და ვისგანაც დიდად იყო დავალებული, - რომ ფიცურსის სიტყვებმაც კი ვერ დააშოშმინეს. რაღაც წაილუღლუღა, არეულად შეაქო რაინდის მამაცობა და ბრძანა ჯილდოდ შერჩეული ბედაური გამოეყვანათ; ერთთავად ცახცახებდა, შიშის ჟრუანტელი უვლიდა - ამ რკინის ზარადიდან რიჩარდ ლომგულის ბოხი და საშინელი ხმა არ გაისმასო.

მაგრამ სამკვიდრომოკლებულ რაინდს პრინცის შექების პასუხად ერთი სიტყვაც არ დასცდენია. თავი დახარა მხოლოდ.

ორმა მდიდრულად ჩაცმულმა მეჯინიბემ მოედანზე გამოიყვანა ბედაური, რომელიც ასევე უმდიდრეს-უძვირფასესი მოსართავებითა და საომარი აბჯრით იყო შემკული. მაგრამ მცოდნის თვალში ამ დიდებულ პირუტყვს მდიდრული მორთულობა არაფერს მატებდა. სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა უნაგირის ტახტას დაჰკრა ხელი და თვალისდახამხამებაში ზედ მოექცა, უზანგში ფეხი არც შეუყვია; მერე შუბი შემართა და ორჯერ შემოუარა მინდორს, გამოცდილი მხედრის სიმარჯვით ატარებდა ბედაურს - ხან იორღაზე გადაჰყავდა, ხან თოხარიკზე და ჩაქჩაქზე...

სხვა ვითარებაში კაცი იფიქრებდა, ფუჭ პატივმოყვარეობას აჰყოლიაო, მაგრამ ახლა ყველამ ისე ჩამოართვა, რომ პრინცის დიდებული საჩუქრის მთელი ღირსება და უნარი უნდოდა გმოემჟღვანებინა, და ხალხი კვლავ მოწონების ყიჟინით მიესალმა.

ამასობაში ჟორვოს მოუსვენარმა წინამძღვარმა პრინც ჯონს შეახსენა - დროა გამარჯვებულმა ამჯერად არა მამაცობა, არამედ თავისი გემოვნება გამოამჟღავნოს და ამ ტურფა ბანოვანთაგან ყველაზე საუკეთესო ამოარჩიოს, რომელიც სილამაზისა და სიყვარულის დედოფლის ტახტზე

დაჯდება და ხვალინდელი ასპარეზობის ფალავანს ჯილდოს გადასცემსო. მეორეჯერ რომ შემოუარა რაინდმა მინდორს, პრინცმა კვერთხი აღმართა. რაინდი შეტრიალდა, ტახტს მიუახლოვდა და შუბი თითქმის მიწაზე დახარა, ასე უმოძრაოდ იდგა და პრინცის ბრძანებას ელოდა. ეს გაფიცხებული და საშინლად აღგზნებული ცეცხლოვანი რაში ისე მარჯვედ შეაყენა მხედარმა და თვალისდახამხამებაში ისე გააქვავა ქანდაკებასავით ერთ ადგილზე, რომ ხალხს ერთბაშად აღფრთოვანების შეძახილები აღმოხდა.

- ბატონო, სამკვიდრომოკლებულო რაინდო, - რა ვქნა, სხვა სახელი არ ვიცი, რომ მოგმართო, - უთხრა პრინცმა, - ახლა შენი საპატიო და სასიამოვნო მოვალეობაა, სიყვარულისა და დიდების დედოფლად მშვენიერი

ქალბატონი აირჩიო, რომელიც ხვალინდელ ასპარეზობას გაუწევს გამგებლობას. თუ ჩვენი რჩევა დაგჭირდება, როგორც უცხოელს, ჩვენ იმასღა გეტყვით, რომ სამეფო კარზე დიდი ხანია ჩვენი მამაცი რაინდის ვოლდემარ ფიცურსის ქალი ალისია ითვლება უმშვენიერესად. მაგრამ შენი ნებაა - ვისაც გინდა, იმას დაადგი ეს გვირგვინი, ის იქნება ხვალინდელი დედოფალი და ასპარეზობის სრულუფლებიანი გამგებელი. აღმართე შუბი.

რაინდმა შუბი აღმართა და პრინცმა გვირგვინი ჩამოაცვა. ეს იყო ოქროს რგოლზე გადაჭიმული მწვანე სტავრა, რომელსაც ზემოდან მონაცვლეობით ჰქონდა ამოქარგული ისრებისა და გულების გამოსახულებანი. სწორედ ისე, როგორც ჰერცოგის გვირგვინზეა ხოლმე გამოკვეთილი მარწყვის ფოთლები და ბურთები.

ვოლდემარ ფიცურსის ქალი რომ დაუსახელა ასე როყიოდ, ჯონს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: საქმე ის არის, რომ მისი ჭკუა წარმოადგენდა უდარდელობისა და დიდრაჯობის საოცარ ნარევს ეშმაკობასა და გაიძვერობასთან. ჯერ ერთი, უნდოდა მხლებლების თავიდან გაეფანტა თავისივე უხერხული და უღირსი ხუმრობა, რაც რებეკას შეეხებოდა; ცდილობდა აგრეთვე ალისიას მამის ვოლდემარისთვის ეამებინა, რომლისგანაც კაი დაშინებული იყო და რომელსაც დღეს რამდენჯერმე აწყენინა. თან ისიც სურდა, თვითონ ქალის გული მოეგო, რადგან ჯონი ზნეობრივადაც ისეთივე თავაშვებული იყო, როგორც პატივმოყვარეობით თავგასული. მაგრამ ყველაფერი ამის გარდა, პრინცს სურდა სამკვიდრომოკლებული რაინდისათვის (რომელიც მან უკვე მაგრად შეიძულა) ისეთი გავლენიანი მტერი გაეჩინა, როგორიც ვოლდემარ ფიცურსი იყო, რადგან გრძნობდა, რომ ქალის მამა ძალიან გაგულისდებოდა, რაინდი თუ სხვა ვინმეს აირჩევდა. ხოლო ასე რომ მოხდებოდა, ამაში თითქმის დარწმუნებული იყო.

გამართლდა კიდეც მისი ვარაუდი. სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა გვერდი აუარა იმ გალერეას, რომელშიც მშვენიერებით გაამაყებული ლედი ალისია იჯდა, და მძიმედ გაემართა წინ; ეტყობოდა, უფლებით სარგებლობდა და გულმოდგინედ ათვალიერებდა მზეთუნახავებს, რომლებიც მოედნის ირგვლივ წრედ მოკალათებულ ბრწყინვალე კრებულს ამკობდნენ.

ღირდა კი ნახვად, როგორ სულ სხვადასხვანაირად მოქმედებდა ეს დათვალიერება თვით ამ

მზეთუნახავებზე. ზოგი წითლდებოდა, ზოგი ცდილობდა თავი ამაყად და ღირსეულად სჭეროდა; ზოგი ისე დამშვიდებით იყურებოდა წინ, თითქოს ვერც ამჩნევს მის ირგვლივ რა ხდებაო, ზოგი თითქოს დამფრთხალიყო და მოჩვენებითი მორცხვობით უკან მიყუჟულიყო; ზოგი ღიმილს ერიდებოდა, ორი-სამი კი მადიანად კისკისებდა. ისეთებიც გამოერეოდნენ, რომელთაც თავიანთი სილამაზე პირსაბურავით დაეფარათ. მაგრამ როგორც მატიანე გადმოქვცემს, ესენი ბარე ათი წლის აღიარებული მზეთუნახავები იყვნენ, ვინ იცის, იქნებ მოყირჭდათ კიდეც ამქვეყნიური ამაოება და თავისივე სურვილით ჩამოეცალნენ, ასპარეზი ახლად მოსულ მზეთუნახავებს დაუთმეს.

ბოლოს ფალავანი იმ გალერეასთან შედგა, რომელშიაც როენა იჯდა. ხალხის მოლოდინი უაღრესად დაიძაბა.

აქვე უნდა ითქვას, რომ თუ სამკვიდრომოკლებული რაინდის გულის მოსაგებად იმ ადგილს მიეცემოდა უპირატესობა, საცა მისი წარმატებით სხვებზე მეტად იყვნენ დაინტერესებულნი, მაშინ მისი ვარაუდი ნამდვილი გამოდგა - სწორედ აქ უნდა შეჩერებულიყო. ტაძრელი რაინდისა და, განსაკუთრებით, თავისი ორი მეზობლის - ფრონ დე ბეფისა და მალვუაზენის დამარცხებით გახარებული სედრიკ საქსონელი მთელის ტანით გადმოყუდებოდა მოაჯირს, და უცნობი რაინდის ყოველ ბრძოლასა და გამარჯვებას მარტო თვალით კი არ შეჰყურებდა, არამედ მთლად გულითა და სულით. ასევე გულისყურით შესცქეროდა ბრძოლას როენაც, თუმცა თავს იკავებდა და სხვის

დასანახად ისეთი დაძაბული ინტერესი არ გამოუმჟღავნებია. თვით აუღელვებელი ათელსტანიც კი თითქოს გამოცოცხლდა და დიდი ტოლჩით მუსკატის ღვინო მოატანინა, სამკვიდრომოკლებული რაინდის სადღეგრძელო უნდა შევსვაო.

არც ამავე გალერეის ძირში მოკალათებულ მეორე ჯგუფს გამოუჩენია ნაკლები ინტერესი ასპარეზობის მიმართ.

- მამა აბრაამ! - შესძახა ისააკ იორკელმა სამკვიდრომოკლებულის პირველივე შებრძოლების დროს, როცა ისა და ტაძრელი რაინდი შეეჭიდნენ ერთმანეთს, - რა თავგამოდებით ეძგერა! აფსუს, თითქოს ბერბერიდან სა-

განგებოდ ჩამოყვანილ ბედაურზე კი არ იჯდეს, არამედ გარეულ სახედარზე... ახლა ეს ძვირფასი საჭურველი!.. ვინ იცის, რამდენი ცეხინი დაუჯდა მილანელ მესაჭურვლე იოსებ პარეირას... ამას კი თითქოს შარაზე ეპოვნოს!

- ისეთი ბრძოლა აქვთ, რომ, ხომ ხედავ, თავსაც არ ზოგავს, მამა, - უთხრა რებეკამ, - რაღა გასაკვირია, ცხენსა და საჭურველს არ გაუფრთხილდეს.

- ბალღო, - შეუტია ისააკმა, - შენ თვითონ არ იცი, რას ლაპარაკობ... თავი მისი საკუთრებაა, ეს ცხენი და საჭურველი კი... წმიდაო იაკობ! კინაღამ არ წამოვროშე!.. მაინც კარგი ბიჭია... აბა შეხედე

რებეკა!.. ხედავ, ახლა ფილისტინელთან საბრძოლველად გამოდის. ილოცე, შვილო... ილოცე ამ მშვენიერი ჭაბუკისა... და ამ ბედაურისა და ძვირფასი საჭურვლის გადასარჩენად... ჰოი, მამა-პაპათა ღმერთო! - შესძახა მან, - სძლია! შუბით დასცა უწმინდური ფილისტინელი... თითქოს ოგი ყოფილიყოს, ბეშანის ხელმწიფე, ან სიჰონი, არმორიტების მეფე, რომლებიც ჩვენმა მამებმა დასცეს მახვილით!.. მორჩა, ახლა იმათი ოქრო და ვერცხლი, ეს ბედაურები და სპილენძის და ფოლადის საჭურველიც სულ მაგისია, მაგას ეკუთვნის!

ასეთი მღელვარებით შეჰყურებდა ებრაელი ღირსეული რაინდის ყოველ გამოსვლას, თან გულმოდგინედ ითვლიდა ცხენებისა და საჭურველის საფასურს, რაც გამარჯვებულს უნდა გადასცემოდა, მაგრამ, იმ გალერეებში მსხდომთაგან, რომლის წინაც ახლა რაინდი შეჩერდა, ალბათ არც სხვებს გამოუჩენიათ ნაკლები ინტერესი.

კაცმა არ იცის, რას ყოყმანობდა რაინდი, რატომ ასე გაქვავებული იდგა რამდენიმე წუთს, მაშინ როდესაც ხმაგაკმედილი მაყურებლის თვალი მას მიშტერებოდა. ბოლოს დინჯად, მაგრამ მოხდენილად, გაიწვდინა შუბი და გვირგვინი მშვენიერი როენას ფერხთით დასდო. მყისვე გაისმა საყვირების ხმა, ხოლო ჰეროლდებმა ლედი როენა სილამაზისა და სიყვარულის დედოფლად გამოაცხადეს. თანაც სათანადო სასჯელით დაემუქრნენ იმათ, ვინც მეორე დღეს ურჩობას გაუბედავდა. მერე ჩვეულებრივად მოუწოდეს ხალხს გულუხვობისაკენ, და სიხარულით

აღტაცებულმა სედრიკმა მართლაც გულუხვად დაასაჩუქრა ისინი, ათელსტანმაც კი, - თუმცა არა ისეთი სიმარდით, - მაგრამ ისეთივე საჩუქარი გაიმეტა.

ჩოჩქოლი ატყდა ნორმანელ ბანოვანთა შორის, რომლებიც ისევე ვერ შერიგებოდნენ საქსონელი მზეთუნახავისთვის უპირატესობის მინიჭებას, როგორც ნორმანელი აზნაურები ვერ ურიგდებოდნენ მათივე მოწყობილ ასპარეზობაში საქსონელის გამარჯვრებას. მაგრამ ეს წუწუნი ადვილად ჩაახშო ხალხის შეძახილებმა - „გაუმარჯოს ლედი როენას - სილამაზისა და სიყვარულის კანონიერ დედოფალს!“ ახლა ამ შეძახილებს სხვა მიემატა, უფრო წინა რიგებიდან: „გაუმარჯოს საქსონელ დედოფალს! გაუმარჯოს უკვდავი ალფრედის[23] შთამომავალს!“

როგორადაც არასასიამოვნო უნდა ყოფილიყო პრინც ჯონისა და მისი მხლებლებისათვის ასეთი შეძახილები, იგი იძულებული გახდა, გამარჯვებული რაინდის არჩევანი მიეღო. ცხენი მოითხოვა, ტახტიდან ჩამოვიდა, შეჯდა თავის ჯენეტზე და ამალის თანხლებით კვლავ მოედანზე გავიდა. ლედი ალისიას გალერეის წინ წამით შეჩერდა, თავაზიანად მიესალმა და მხლებლებს მიმართა:

- ღვთიშობლის მადლმა, ბატონებო, ამ რაინდმა დღეს კუნთებისა და ძვლების სიმაგრე კი აშკარად გვაჩვენა, მაგრამ ასევე ცხადად დაგვიმტკიცა, რომ მახვილი თვალი ვერა ჰქონია.

ჯონის უბედურება ის იყო, რომ ვისთვისაც ყველაზე მეტად უნდოდა ეამებინა, სწორედ იმას ვერ უგებდა ხოლმე ხასიათსა და განწყობილებას.

ვოლდემარ ფიცურსს არა თუ გაეხარდა, ეწყინა კიდეც, რომ პრინცმა ასე საჯაროდ გაიხსენა მისი ქალის უგულებელყოფის ამბავი.

- რაინდულ კანონთაგან, - თქვა მან, - ამაზე უფრო ძვირფასი და სამართლიანი არა მგონია რამე იყოს: ყოველ თავისუფალ რაინდს უფლება აქვს თავისი გულის ტრფიალი ამოირჩიოს. ჩემი ქალი არავის არ ელაქუცება - გინდა თუ არა, გამომარჩიეთო. რისიც ღირსია, იმ თაყვანისცემას ისედაც მიიღებს თავის წრეში.

პრინცს არაფერი უპასუხია, მაგრამ ჯავრს თითქოს ცხენზე იყრისო, მაგრად ამოჰკრა დეზები და იმ გალერეისკენ გააქანა, სადაც როენა იჯდა. რაინდის მირთმეული გვირგვინი ქალს ისევ ფერხთით ედო.

- მშვენიერო ქალბატონო, - მიმართა პრინცმა, - მიიღეთ ეს გვირგვინი, როგორც ნიშანი თქვენი უფლებამოსილებისა. თქვენ ნება-სურვილს ვერავინ ვერ დაემორჩილება ისე გულწრფელად, როგორც თვითონ მე, იოანე ანჟუელი. იქნებ ინებოთ და დღეს, თქვენს კეთილშობილ მამასა და

მეგობრებთან ერთად, ჩვენი ლხინი დაამშვენოთ აშბის ციხე-სიმაგრეში. ამით საშუალება მოგვეცემა უფრო ახლოს გავიცნოთ ჩვენი მბრძანებელი, რომელსაც ხვალ მთელი დღე უნდა ვემსახუროთ.

როენას ხმა არ გაუღია და ისევ სედრიკმა უპასუხა საქსონურად.

- ქალბატონმა როენამ, - მიუგო მან, - არ იცის ის ენა, რითაც თქვენს თავაზიან მიპატიჟებას უნდა უპასუხოს, ლხინშიაც ვერ გეწვევით ამის გამო. მეცა და კეთილშობილი ათელსტან კონინსბურგელიც მხოლოდ ამ ენაზე ვლაპარაკობთ და ჩვენივე წინაპრების ადათებს მივდევთ. ამიტომ დიდ მადლობას მოვახსენებთ თქვენს უმაღლესობას ლხინში მიწვევისათვის, მაგრამ ვერ წამოვალთ. ქალბატონი როენა კი ხვალ თავს იდებს იმ მოვალეობის შესრულებას, რისთვისაც თავისუფალი არჩევანით მოუწოდა გამარჯვებულმა რაინდმა და ხალხმაც მოწონების ყიჟინით დაუდასტურა.

ეს რომ თქვა, გვირგვინი აიღო და როენას დაადგა; ეს იმის ნიშანი იყო, რომ ქალი ღებულობდა დროებით მინიჭებულ უფლებას.

- რაო, რა თქვა? - იკითხა პრინცმა ჯონმა, თითქოს საქსონური არა სცოდნოდეს, სინამდვოლეში კი მშვენივრად იცოდა. სედრიკის სიტყვები პრინცს ფრანგულად უთარგმნეს.

- ძალიან კარგი, - თქვა მან, - ხვალ ჩვენ თვითონ მივაცილებთ ამ მდუმარე დედოფალს თავის ღირსეულ ტახტთან, - თქვენ ალბათ მაინც დაგვეწვევით ბატონო რაინდო, ლხინზე! - მიუბრუნდა პრინცი გამარჯვებულ რაინდს, რომელიც იქვე იდგა.

რაინდმა პირველად ახლაღა გაიღო ხმა, ოღონდ ჩუმად და ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა; ბოდიში მოიხადა, დავიღალე და თან სახვალიოდაც უნდა მოვემზადოო.

- რა გაეწყობა, - მედიდურად თქვა პრინცმა ჯონმა, - მართალია ასეთ უარს დაჩვეული არა ვართ, მაგრამ როგორმე მოვინელებთ, თუმცა ყველაზე ძლიერმა რაინდმა და მისმა არჩეულმა სილამაზის დედოფალმა არა ღირსგვყო მობრძანებით.

ესა თქვა და თავის ბრწყინვალე ამალასთან ერთად წასასვლელად გაემზადა, ცხენი შეატრიალა, ხოლო ეს იმის ნიშანი იყო - ყველანი დაშლილიყვნენ და შინ წასულიყვნენ.

მაგრამ შებღალული თავმოყვარეობა ყოველთვის აბოროტებს ხოლმე კაცს, მით უმეტეს, როცა იგი მწვავედ გრძნობს თავის მარცხს. სამი ნაბიჯი

არც კი გადაედგა, რომ ისევ მობრუნდა და მრისხანედ მიაშტერდა იმ იომენს, რომელმაც დილით გაანაწყენა. მერე გუშაგებს უბრძანა:

- ეს ვაჟბატონი არსად გაგეპაროთ, თუ თავი არ მოგძულებიათ.

იომენმა ვითომც არაფერიო, წეღანდელივით მშვიდად გაუსწორა თვალი პრინცის მრისხანე მზერას და ღიმილით თქვა:

- ზეგამდე არც ვაპირებ აშბიდან წასვლას, უნდა ვნახო, სტაფორდშირელებსა და ლეიკესტერშირელებს როგორ ემარჯვებათ მიზანში სროლა. წესით, ნირვუდისა და ჩარნვუდის ტყეებში კარგი მშვილდოსნები უნდა იყვნენ.

პრინცმა ისე მიმართა თავის მხლებლებს, რომ იომენისათვის არც კი შეუხედავს:

- ერთი, ისიც ვნახო, თვითონ როგორღა ისვრის, და ვაი მაგის დღეს, მარჯვე სროლით ოდნავ მაინც თუ არ გამოისყიდა ეს თავხედობა.

- მეტი მოთმენაც აღარ შეიძლება, - თქვა დე ბრასიმ, - ისე გავიდნენ თავს ეს გლეხაჭუები, რომ დროა ვინმე სამაგალითოდ დაისაჯოს.

ვოლდემარ ფიცურსმა მხრებიღა აიჩეჩა, არაფერი უთქვამს, ეტყობოდა ფიქრობდა, რომ მის მბრძანებელს ხალხის გულის მოსაგებად ცუდი გზა აერჩია. პრინცმა გზა განაგრძო და მოედნიდან გავიდა. ხალხიც აიშალა.

სულ სხვადასხვა მიმართულებით, იმისდა მიხედვით, თუ საიდან შემოვიდნენ, მაყურებელი ჯგუფ-ჯგუფად გაიწკაპა მინდვრებზე. უმეტესობა აშბისკენ გაემართა, საცა ბევრი წარჩინებული თვით ციხე-სიმაგრეში დაბინავდა, ხოლო დანარჩენები ქალაქში გაიფანტნენ. მათ შორის ის რაინდებიც ერივნენ, რომელთაც ან უკვე მიიღეს მონაწილეობა დღევანდელ ასპარეზობაში, ან სახვალიოდ ემზადებოდნენ; ცხენებისთვის სადავე მიეშვათ და დინჯად მიემართებოდნენ, დღევანდელ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს, ხალხი კი მხიარული შეძახილებით ესალმებოდა. ასეთივე ყიჟინით ხვდებოდნენ პრინც ჯონსაც, მაგრამ ეს ხდებოდა არა სიყვარულით, არამედ მისი და მისი ამალის ბრწყინვალე მორთულობის გამო.

ყველაზე უფრო გულწრფელი, ერთსულოვანი და ამავე დროს მხიარული შეძახილებით დღევანდელ ფალავანს ხვდებოდნენ, მაგრამ თვითონ რაინდი ისე ეშურებოდა ხალხის თვალს მოფარებოდა, რომ სიამოვნებით მიიღო ასპარეზობის მარშლების მიწვევა და მინდვრის განაპირას გაშლილ კარავში შევიდა. შევიდა თუ არა რაინდი კარავში, ის ხალხიც დაიშალა, რომელთაც მის საყურებლად აეთრია ფეხი.

ღრიანცელი და ჟრიამული თანდათანობით მიწყნარდა და შორიდანღა ისმოდა ჯგუფ-ჯგუფად მიმავალი ხალხის გუგუნი, მაგრამ მალე ესეც მიჩუმდა. ახლა მხოლოდ მსახურების ხმა ისმოდა, რომლებიც გალერეებში დაგებულ ხალიჩებსა და მუთაქებს სახვალიოდ ინახავდნენ და აქეთ-იქით გაფანტულ ნახევრად დაცლილ ღვინის ბოთლებსა და საჭმლის ნარჩენებზე ჩხუბობდნენ.

მოედნის გადაღმა, მინდვრებზე, მჭედლებს დაედგათ თავიანთი საბერველი და, შებნელდა თუ არა, რამდენიმე ადგილას მათი ქურაც აელვარდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მესაჭურვლეებს მთელი ღამე უნდა გაეთენებიათ და შელახული აბჯარი სახვალიოდ შეეკეთებინათ.

გაძლიერებული საგუშაგო რაზმი ყოველ ორ საათში იცვლებოდა, მოედანს ირგვლივ უვლიდნენ და მთელი ღამე იცავდნენ.

თავი მეათე

როგორც ყორანი, ავბედობის მაუწყებელი,
სიკვდილის მაცნე ღამესავით ჩაშავებული.
ჩხავილ-ჩხავილით ავადმყოფებს ჩამოუქროლებს,
რათა აცნობოს აღსასრულის მოახლოება,
და ქვეყნად ჭირს და სნებას სთესავს ფრთების ტყლაშუნით,
ისე ბარაბაც, უბადრუკი, გაწამებული,
გულამღვრეული დაწანწალებს გაბოროტებით,
და ქრისტიანთა წყევლას აფრქვევს კიდით-კიდემდე.
მარლო - „მალტელი ებრაელი“

კარავში შესვლა ვერც კი მასწრო სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, რომ მაშინვე შემოეხვივნენ საჭურველთმტვირთველები, ფარეშები და მრავალრიცხოვანი მსახურები - თავიანთი სამსახური შესთავაზეს: აბჯარს მოგხსნით, გამოსაცვლელ ტანსაცმელს მოგართმევთ და აბაზანასაც მოგიმზა-

დებთო. ალბათ ცნობისმოყვარეობამ გადარია ხალხი, ყველას უნდოდა გაეგო, ვინ იყო ეს რაინდი, რომელმაც ამდენი დაფნა დაიმსახურა და ისე გაკადნიერდა, რომ პრინც ჯონსაც კი უარი

გაუბედა: - არც ზარადი აიხადა და არც ვინაობა უთხრა. მაგრამ მათ გაფაციცებულ ცნობისმოყვარეობას დაკმაყოფილება არ ეწერა: არავის შველა არ ინდომა სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, მარტო თავისი საჭურველთმტვირთველი თუ იომენი - ერთი მასხარასნაირი კაცი დაიტოვა, რომელიც შავი ფეტრის მოსასხამში გახვეულიყო, ხოლო თავზე ისე ჩამოეფხატა შავბეწვმოვლებული ნორმანული ქუდი, რომ ცხვირ-პირიც დაეფარა, ეტყობოდა, ბატონის მსგავსად, ისიც მალავდა თავის ვინაობას. მსახურმა გარეშე ხალხი გარეთ გაისტუმრა, შედარებით უფრო მძიმე აბჯარი მოხსნა ბატონს და ღვინო და საჭმელი მოართვა, რადგან მთელი დღის ჯაფაგამოვლილს მაგრად მოშიებოდა.

სახელდახელო საუზმე არც მოეთავებინა რაინდს, რომ მსახურმა მოახსენა - ხუთი კაცი გეახლა, აკაზმული რაშები მოგგვარეს და შენთან მოლაპარაკებას თხოულობენო. სამკვიდრომოკლებულ რაინდს უკვე მოესწრო ჯაჭვის პერანგის გახდა და გრძელი მანტიის მოსხმა, რასაც მაშინ მისი მდგომარეობის ხალხი ატარებდა ხოლმე. მოსასხამს ყაბალახიანი საყელო ჰქონდა მოკერებული, და როცა პატრონს მოუნდებოდა, ჩამოიფხატავდა, და მუზარადივით უფარავდა მთელ სახეს. მაგრამ ახლა უკვე ისე ჩამობნელებულიყო, რომ თუ ახლობელი ვინმე არ ნახავდა, შენიღბვა აღარც კი იყო საჭირო, მაინც ვერ იცნობდნენ.

ასე რომ, სამკვიდრომოკლებული რაინდი გაბედულად გამოვიდა კარავიდან.

შესასვლელთან დახვდნენ მისი დღევანდელი მოწინააღმდეგეების საჭუველთმტვირთველები. რაინდმა ადვილად იცნო ისინი თავიანთი მოყავისფრო-მოშავო ტანსაცმელითა და იმ ცხენებით, რომლებზედაც დღეს მათი პატრონები ისხდნენ. ახლა რაინდების საჭურველი აეკიდებინათ ცხენებისათვის.

- რაინდულ კანონთა მიხედვით, - დაიწყო პირველმა საჭურველთმტვირთელმა, - მე, ბოლდუინ დე ოილეი, საჭურველთმტვირთველი მრისხანე რაინდ ბრიან დე ბუა გილბერისა, მოვსულვარ თქვენთან, ვინც

თავს სამკვიდრომოკლებულ რაინდს უწოდებს, რათა შემოგთავაზოთ დღევანდელ ასპარეზობაში ნაქონი აბჯარი და ცხენი ზემოხსენებულ რაინდ ბრიან დე ბუა გილბერისა, რათა თქვენმა კეთილშობილებამ ან ცხენი ან აბჯარი დაიტოვოს, ან გამოსასყიდი ფული, როგორც თვითონვე ინებებთ, რადგან ასეთია კანონი ასპარეზობისა.

დანარჩენმა საჭურველთმტვირთველებმა თითქმის იგივე სიტყვები გაიმეორეს და სამკვიდრომოკლებული რაინდის პასუხს დაელოდნენ.

- თქვენ ოთხისათვის, ბატონებო, - მიმართა რაინდმა იმ საჭურველთმტვირთველებს, რომელთაც ბოლოს მოახსენეს თავიანთი სათქმელი, - და თქვენი პატივცემული და მამაცი ბატონებისათვის ერთი პასუხი მაქვს. ჩემი სალამი მოახსენეთ თქვენს კეთილშობილ რაინდებს და უთხარით, რომ

ჩემის მხრით ცუდი საქმე იქნება, წავართვა მათ ბედაურები და აბჯარი, რომელთაც უკეთესი და უმამაცესი პატრონები ვერც ეღირსებათ. ნეტა ამ სიტყვებითვე შემეძლოს ჩემი პასუხის დამთავრება. მაგრამ მარტო სახელი კი არა მაქვს ასეთი, სინამდვილეშიაც მოკლებული ვარ სამკვიდროს, ასე რომ, დიდად დავალებული ვიქნები, თუ იმდენ თავაზიანობას გამოიჩენენ თქვენი ბატონები, რომ ეს ბედაურები და აბჯარი გამოისყიდონ, რადგან მე ჩემს ცხენსა და აბჯარსაც კი არ შემიძლია საკუთარი ვუწოდო.

- ჩვენ დავალებული გვაქვს, - მიუგო რეჯინალდ ფრონ დე ბეფის საჭურველთმტვირთველმა, - თითო ცხენისა და აბჯრის გამოსასყიდად ას-ასი ცეხინი შემოგთავაზოთ.

- საკმარისია, - თქვა სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, - ჩემი საჭიროებისათვის იძულებული ვარ მაგ თანხის ნახევარი გამოგართვათ, დარჩენილი თანხის ნახევარი თქვენ თვითონვე გაინაწილეთ, ბატონო საჭურველთმტვირთველებო, ხოლო მეორე ნახევარი ჰეროლდებს, მაცნეებს, მენსტრელებსა და მსახურებს დაურიგეთ.

საჭურველთმტვირთველებმა ქუდები მოიშვლიპეს, თავი მდაბლად დახარეს და თავაზიანობისა და გულუხვობისათვის ღრმა მადლობა მოახსენეს, რადგან ასეთი გულუხვობის გამოჩენა არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო. სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა ახლა ბოლდუინს მიმართა, ბრიან დე ბუა გილბერის საჭურველთმტვირთველს.

- შენი ბატონისაგან კი, - უთხრა მან, - არც აბჯარს მივიღებ და არც სასყიდელს. ჩემ მაგიერ უთხარი, რომ ჩვენი მტრობა ჯერ არ დამთავრებულა...

არც დამთავრდება, მანამ არ ვიბრძოლებთ ხმლით, შუბით... ცხენებზე ამ-ხედრებულები თუ ისე. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში თვითონვე გამომიწვია და აბა, რა დამავიწყებს!.. მანამდე კი, ეს უნდა იცოდეს, სხვა რაინდებივით ვერ მოვექცევი, რომლებთანაც თავაზიანი ურთიერთობა მაქვს - მტრადა ვთვლი და ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

- ჩემმა ბატონმა, - მიუგო ბოლდუინმა, - მშვენივრად იცის, ზიზღს როგორ უპასუხოს ზიზღით, დარტყმას - დარტყმით და თავაზიანობას კიდევ - თავა-ზიანობით. რაკი მისგან არ ინდომეთ სასყიდელი, მე ამ ცხენსა და აბჯარს აქვე ვტოვებ, ვიცი ჩემი ბატონის ხასიათი - თავის დღეში არც ამ ცხენზე შეჯ-დომას იკადრებს და არც ამ აბჯარს აისხამს.

- მომწონს შენი სიტყვები, მამაცო საჭურველთმტვირთველო, - უთხრა სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, - საზრიანადაც ლაპარაკობ და გაბედუ-ლადაც - როგორც ერთგულ საჭურველთმტვირთველს შეეფერება. ოღონდ ცხენსა და აბჯარს აქ ნუ დამიტოვებ, ბატონს დაუბრუნე. თუ იუკადრისოს, შენთვისვე დაიტოვე, კეთილო მეგობარო. რაკი მე მეკუთვნის, სიამოვნებით მიჩუქნია შენთვის.

ბოლდუინმა მდაბლად დახარა თავი და სხვა საჭურველთმტვირთვე-ლებთან ერთად უკანვე გაემართა. სამკვიდრომოკლებული რაინდი კარავ-ში შებრუნდა.

- ჯერჯერობით არ შემირცხვენია, გურთ, ინგლისური რაინდობის სახე-ლი, - უთხრა მან თავის საჭურველთმტვირთველს.

- საქსონელი მეღორის კვალობაზე, მეც კარგად ვასრულებ ნორმანი სა-ჭურველთმტვირთველის როლს, - მიუგო გურთმა.

- ეს მართალია, უთხრა სამკვიდრომოკლებულმა, - მაგრამ სულ შიშში კი ვიყავი - ვაითუ ამ სოფლურ მიხრა-მოხრაზე იცნონ და ჩვენი ვინაობა გა-მომჟღვანდეს-მეთქი.

- რასა ბრძანებთ! - წამოიძახა გურთმა, - მე მარტო ჩემი ბავშვობის ამხა-ნაგის, მასხარა ვამბასი მეშინოდა, ჯერაც ვერაფერი გავუგე, სულელია თუ თაღლითი. მაგრამ კინაღამ გამეცინა, როცა დიდმა ბატონმა ჩამიარა გვერ-დით. იმას ალბათ თავისი მეღორე როთერვუდის გაუვალ ტყეებში ეგულე-ბა, ღორის კოლტთან. კიდეც რომ მიცნონ...

- კმარა, - შეაწყვეტინა რაინდმა, - ხომ გახსოვს, რასაც შეგპირდი.

- არა, განა იმას ვამბობ, - თქვა გურთმა, - ჩემს დღეში არ ვუღალატებ მეგობარს საკუთარი ტყავის შიშით. იცოცხლე, მაგარი ტყავი მაქვს - დანასაც კარგად გაუძლებს და სახრესაც. ჩემს კოლტში ტახს ვერ გამოარჩევ, ამსისქე ტყავი ჰქონდეს.

- გურთ, დარწმუნებული იყავი, რომ რასაც შენ ჩემი სიყვარულით თავს განსაცდელში იგდებ, ამის სამაგიეროს უსათუოდ გადაგიხდი, - უთხრა რაინდმა, - მანამდე ეს ათი ოქრო მიიღე.

- ახლა კი ნამდვილად მდიდარი ვარ, - თქვა გურთმა და ფული ქისაში ჩაიყარა, - ჯერ არც ერთ მონასა და მეღორეს არ ღირსებია ასეთი სიმდიდრე.

- ეს ოქროს ჩანთა აშბიში წაიღე, - განაგრძო ბატონმა, - იქ იორკელი ებრაელი მოძებნე, სახელად ისააკი, და უთხარი, რაც კი ეკუთვნის ცხენისა და აბჯრის საფასური, აქედან აიღოს.

- აჰ, - შესძახა გურთმა, - წმიდა დუნსტანის მადლმა, მაგას ვერ ვიზამ.

- როგორ თუ ვერ იზამ, მონავ! - გაუჯავრდა ბატონი, - ჩემს ბრძანებას არ ემორჩილები?!

- პატიოსანს, ჭკვიანურსა და ქრისტიანულ ბრძანებას დიახაც დავემორჩილები, - მიუგო გურთმა, -

ეს კი რასა ჰგავს! ურიას რომ ქისა მივუგდო და რამდენიც მოესურვება იმდენი ამოვაღებინო, ხომ უპატიოსნობა გამომივიდა - ჩემი ბატონი უნდა მოვატყუო; თანაც უჭკუობა - იმიტომ, რომ გასულელებული მე თვითონ დავრჩები; და არც ქრისტიანულია - ღვთისმორწმუნეს წავგლიჯო და ურწმუნო გავამდიდრო!..

- იმდენი მაინც მიეცი, რამდენიც ეკუთვნის, ჯიუტო არამზადავ, - უთხრა სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა.

- კარგი, მივცემ, - თქვა გურთმა, ჩანთა მოსასხამის ქვეშ დამალა და კარვიდან გავიდა, - ბიჭი არ ვიყო, - ჩაიდუდუნა მან, - იმის ნახევარი ფული თუ არ ვაკმარო, რასაც თვითონ მოითხოვს.

ესა თქვა და წავიდა. სამკვიდრომოკლებული რაინდი იქვე დატოვა, არეულ და მტანჯველ ფიქრებში გართული, მაგრამ მრავალი მოსაზრების გამო მკვითხველს ჯერჯერობით ვერ გავაგებინეთ ამ მტანჯველი და მღელვარე ფიქრების მიზეზს.

ახლა სურათი უნდა შევცვალოთ და სოფელ აშბიში გადავიდეთ, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, აშბის ერთ განაპირა სახლში, რომელიც ვიღაც მდიდარ ებრაელს ეკუთვნოდა. ამ სახლში ახლა ისააკი და მისი ქალი ჩასახლებულიყვნენ თავიანთი მსახურებით.

ერთ პატარა, მაგრამ აღმოსავლური გემოვნებით მდიდრულად მორთულ ოთახში რებეკა ამოქარგულ ბალიშებზე წამომჯდარიყო. ეს ბალიშები კედლის გაყოლებაზე ეყარა და დღევანდელი სავარძლებისა და სკამების მაგივრობას სწევდა. ქალი შეშფოთებული თვალებითა და შვილის გულითადი სიყვარულით შესცქეროდა მამას, რომელიც არეული და ნერვიული ნაბიჯით ოთახში ბოლთასა სცემდა. წამდაუწუმ ხელებს იფშვნეტდა და ხშირად აიხედავდა ხოლმე ჭერში. ეტყობოდა, რაღაცას შეეძრწუნებინა.

- ო, იაკობ! - შესძახა მან, - ო, ჩვენი მოდგმის თორმეტივე წმინდა მამავ! ასე რად გასწირეთ თქვენი შვილი, რომელსაც ერთი ბეწოთიც კი არ დაურღვევია მოსეს რჯული... ერთი ხელის დაკვრით ორმოცდაათი ცეხინი წამგლიჯეს! თანაც ვინ? საშინელმა მტარვალმა.

- რას ამბობ, მამი, - უთხრა რებეკამ, - მე კი მომეჩვენა, თითქოს ნებით მიეცი პრინც ჯონს ოქრო.

- ნებით! ეგვიპტის მთელი ჭირი და სნება ნუ მოშლოდეს!.. ნებითო?.. როგორ არა - ისევე როგორც ლიონის უბეში გადავყარე საქონელი ჩემი ნებით, რათა გემი ამსუბუქებულიყო და დახრჩობას გადავრჩენილიყავით... ჩემი ძვირფასი აბრეშუმით ზღვის აბობოქრებული ტალღები შევმოსე. ქაფმორეულ მლაშე ზვირთებს ნელსაცხებელი და ალოე წავცხე. წყალქვეშა მღვიმეები სულ ოქრო-ვერცხლის სამკაულებით მოვრთე! ენით გამოუთქმელი უბედურება გამოვიარე, თუმცა ჩემი ხელით კი გავიმეტე ეს მსხვერპლი.

- ჰო, მაგრამ ამ მსხვერპლს ხომ თვით ზეცა მოითხოვდა ჩვენს გადასარჩენად, - უთხრა რებეკამ, - სამაგიეროდ, ჩვენი მამა-პაპების ღმერთმა ამის შემდეგ ერთი-ორად აგვავსო დოვლათით.

- რაღა გამოვიდა! აგერ მტარვალმა დასტაცა ხელი და წამგლიჯა, თან კი მაიძულა ღიმილით გამეტანებინა! - მიუგო ისააკმა, - ეჰ, შვილო, ხომ ასე გაუბედურებული და მაწანწალად ქცეულები ვართ, ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისა სჭირს ჩვენს მოდგმას, რომ ჩვენს ჭირსა და ვარამზე მთელი ქვეყანა იცინის, ჩვენ კი იძულებული ვართ, ვაჟკაცური შურისძიების ნაცვლად, ყოველგვარი შეურაცხყოფა ვითმინოთ და მონურად ვიჭყანოთ.

- არც მთლად ასეა საქმე, მამი, - უთხრა რებეკამ, - სარგებლობაც ბევრი გვაქვს. მართალია, ეს ურჯულოები ძალიან გვავიწროებენ, მაგრამ ზოგ რამეში სიონის შვილებზედაც დიდად არიან დამოკიდებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ასე გვდევნიან და ვეზიზღებით. ჩვენი სიმდიდრით უდგათ სული, ჩვენს დაუხმარებლად ვერც ჯარს აღჭურავენ საომრად და ვერც სადღესასწაულო მეჯლისებს გამართავენ. ჩვენი გასესხებული ოქრო კი უკან ერთიორად გვიბრუნდება. ერთნაირი ყვავილია - რასაც მეტს გათელავენ ფეხით, მით უფრო ხარობს და იფურჩქნება, ჩვენც იმ ყვავილს ვგავართ. თუნდაც დღევანდელი ასპარეზობა - მათგანვე შეზიზღებული ებრაელის შემწეობა რომ არ ყოფილიყო, თვითონ რას გახდებოდნენ!

- ეჰ, შვილო, - შეაწყვეტინა ისააკმა, - შენ ახლა ჩემი მწუხარების ახალ სიმს ჩამოჰკარი ხელი. ჩვენი მშვენიერი ბედაური და ძვირფასი საჭურველი, კირჯათ ჯაირამ ლეისტერელთან მოგებული მთელი დოვლათის საფასური ... სულ წავიდა... ჭირი მოგჭამა. მთელი კვირის სარფაც თან გაიყოლა... რაც კი შაბათიდან შაბათამდე მიშოვია... თუმცა ჯერ კიდევ ვინ იცის, კარგი ჭაბუკი ჩანს.

- არა მგონია სასინანულოდ გაგიხდეს იმ კეთილი სამსახურისათვის სამაგიეროს გადახდა, მამი, - უთხრა რებეკამ.

- მეც ასე ვფიქრობ, შვილო, - მიუგო ისააკმა, - მე სიონის განახლების იმედიც არ დამიკარგავს. მაგრამ ხომ მჯერა, რომ ჩემივე საკუთარი თვალით ვიხილავ ახალი ტაძრის კედლებსა და გალავანს, ისევე იმაშიაც არ მეპარება ეჭვი, რომ ქრისტიანი, თუნდაც ყველაზე პატიოსანი ქრისტიანი, ვალს თავისით არ გადაიხდის, თუ სასამართლოში არ წაათრიე და საპყრობილეში არ ჩასვი.

ესა თქვა და კვლავ მოუსვენარ წრიალს მოჰყვა. რებეკამ შეატყო, დამშვიდებისა და ნუგეშის ნაცვლად, სულ ახალ და ახალ სადარდელს უღვიძებდა მამას, და გაჩუმება არჩია. მართლაც რომ გონივრული გადაწყვეტილება იყო და ჩვენც ვურჩევთ ყველა ნუგეშისმცემელს, ასეთ დროს რებეკას მიბაძოს.

ამასობაში კარგა მაგრად დაბნელდა. ოთახში ებრაელი მსახური შემოვიდა და მაგიდაზე სურნელოვანი ზეთის ორი სანთელი დადგა. მეორე ებრაელმა მსახურმა დიდებული ღვინოები და ნუგბარი საჭმელები შემოიტანა

და აბანოზის პატარა მოვერცხლილ მაგიდაზე დაალაგა. შინაობაში ებრაელები ფუფუნების საგნებზე უარს არ ამბობდნენ. ამავე დროს მსახურმა ისააკს მოახსენა, ვიღაც ნაზარეველი (ერთმანეთში ასე ეძახდნენ ხოლმე ისინი ქრისტიანებს) გეახლაო. ვინც ვაჭრობით ცხოვრობს, ვალდებულია საქმეზე მოსული ყოველი ადამიანი მიიღოს და ელაპარაკოს, რა დროც არ უნდა იყოს. ისააკს ბერძნული ღვინის ტუჩთან მიტანა აღარ დასცალდა, ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა, რებეკას უთხრა, სახე ჩამოიბურეო, და მსახურს სტუმრის შემოყვანა უბრძანა.

ძლივს მოასწრო რებეკამ თავის მშვენიერ სახეზე ვერცხლის გაზის ჩამოშვება, რომელიც ფეხებამდე უწევდა, რომ კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ნორმანულ ფარფაშა მოსასხამში გახვეული გურთი. მისი გარეგნობა შემაშფოთებელი უფრო იყო, ვიდრე დამამშვიდებელი. მით უმეტეს, რომ ქუდი კი არ მოიხადა - პირიქით კიდევ უფრო ჩამოიფხატა დაბღვერილ შუბლზე.

- შენა ხარ ისააკი, იორკელი ურია? - ჰკითხა მან საქსონურად.

- მე ვარ, - მიუგო ისააკმა საქსონურადვე (ვაჭრის ხელობამ აიძულა ყველა ენა შეესწავლა, რასაც მაშინ ბრიტანეთში ლაპარაკობდნენ), - შენ ვიღა ხარ?

- რა შენი საქმეა, - მიუგო გურთმა.

- ჩემი ვინაობა თუ გაინტერესებს, მეც უნდა ვიცოდე ვინა ხარ. ისე როგორ გამოგელეპარაკო?! - უთხრა ისააკმა.

- სულ ადვილად, - მიუგო გურთმა, - მე ვალი მაქვს გადასახდელი, და უნდა ვიცოდე, ვის ვაძლევ. შენ კი ფულის მიმღები ხარ, და არა მგონია დიდად გაინტერესებდეს, ვისი ხელით გამოგიგზავნეს.

- აჰ, ვალის გადასახდელად მოსულხარ! - შესძახა ებრაელმა, - ჰოი, წმიდა აბრაამ!.. ადრევე გეთქვა. მაინც ვინ გამოგატანა?

- სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა, მიუგო გურთმა, - დღევანდელი ასპარეზობის ფალავანმა. კირჯათ ჯაირამ ლეისტერელის საჭურვლის საფასური გამომატანა. ცხენი თავლაში დაგიბინავე. ახლა ის მითხარი, საჭურვლისა რამდენი უნდა გადავიხადო?

- აკი ვამბობდი, კარგი ჭაბუკია-მეთქი, - შესძახა გახარებულმა ებრაელმა, - ერთი თასი ღვინო შენთვის ახლა ალალი იქნება, - უთხრა და ისეთი

შარბათი მიაწოდა მეღორეს, რისი მსგავსიც თავის დღეში არაფერი ეგემნა. - რამდენი გამოგატანა?

- წმიდაო ღვთისშობელო! - შესძახა გურთმა და თასი დადგა, - ერთი შეხედე რა ნექტარსა სვამს ეს ურწმუნო ძაღლი, ჭეშმარიტ ქრისტიანებს კი, ღორსაც რომ არ დაელევა, ისეთი მღვრიე და თხლე ელი გვენატრება!.. რამდენი გამომატანა? - განაგრძო საქსონელმა, როცა ეს არათავაზიანი სიტყვები წარმოთქვა, - ცოტა, მაგრამ არარაობას მაინც სჯობია. ჰა, ისააკ! ურია კი ხარ, მაგრამ სინდისი მაინც მოგეთხოვება.

- ჰო, მაგრამ, შენმა ბატონმა ხომ შესანიშნავი ბედაურები და უძვირფასესი საჭურველი მოიპოვა თავისივე შუბითა და მარჯვენათი... მართლაც რომ კარგი ჭაბუკია... ებრაელი ამ დავლას მიიღებს ვალში, ხოლო რაც მეტი იქნება, იმისას ფულს დავუბრუნებ.

- ჩემმა ბატონმა უკვე გაანაღდა ფულზე, - თქვა გურთმა.

- ეჰ! შეცდომა მოსვლია, - უთხრა ებრაელმა, - სისულელე უქნია! ერთი ქრისტიანიც არ მეგულება აქა, რომ ერთბაშად ამდენი ცხენი და საჭურველი იყიდოს... ჩემ გარდა, არც ერთი ებრაელი არ მისცემდა ნახევარ ფასსაც კი. მაგრამ შენ აქ ასი ოქრო გექნება ჩანთაში, - განაგრძო ისააკმა და გურთს მოსასხამს ქვეშ შეუჭვრიტა, - კარგა მძიმე ჩანს.

- ისრის ბუნიკები მიყრია შიგ, - ხელადვე მოუჭრა გურთმა.

- მაშ, კარგი, - თქვა ისააკმა, რომელსაც ყოყმანისა და მღელვარებისაგან სუნთქვა შეჰკვროდა - ცალკე მოგების სურვილი სწვავდა და ცალკე დიდსულოვნება უნდოდა გამოეჩინა, - იმ ჩინებული ბედაურისა და ძვირფასი საჭურვლის საფასურად რომ ოთხმოცი ცეხინი მოგთხოვო, გეყოფა ფული? გადამიხდი? მე ერთი გულდენი მოგებაც კი არ დამრჩება.

- სწორედ მაგდენი მაქვს, - მიუგო გურთმა, თუმცა გაცილებით ნაკლები თანხა მოსთხოვა ებრაელმა, თვითონ მეტს მოელოდა, - ოღონდ, ჩემი ბატონი კი სულ უფულოდ დარჩება. რას იზამ, თუ არ დაუკლებ, უნდა გადავიხადო, სხვა რა გზა მაქვს.

- მეორე თასიც გაივსე ღვინით, - უთხრა ებრაელმა, - ეჰ, ოთხმოცი ცეხინი რაა, ერთი ბეწო მოგებაც არა მრჩება! თან ვინ იცის, იქნებ ცხენი დაშავდა კიდეც დღევანდელ ბრძოლებში. ო, რა გამეტებით შეეჭიდნენ ერთმანეთს! ისე მიეხალნენ ცხენი და კაცი, თითქოს ბეშანური ხარები ყოფილიყოს! უსათუოდ დაშავდებოდა.

- აკი გეუბნები, არაფერი დაშავებია და ჩინებულად არის-მეთქი, - უპასუხა გურთმა, - შედი და ნახე თავლაში. ბევრი ლაპარაკი არ ვიცი - სამოცდაათი ცეხინი სავსებით საკმარისია საჭურვლის საფასურად. ქრისტიანის სიტყვაც მაგარია. თუ არ ინებებ ამ სამოცდაათ ცეხინს, უკანვე გავბრუნდები, ბატონს მივუტან ჩანთას. (პარკი შეანჯღრია და ოქროებს სულ ჩხრიალი გააღებინა).

- რას ამბობ, როგორ იქნება! - შესძახა ისააკმა, - ამოალაგე, მაგიდაზე დააწყვე ეს სეკელები. შენ ოთხმოცი მომითვალე, ნახე როგორ დაგასაჩუქრო!

საბოლოოდ გურთი დათანხმდა, ოთხმოცი ცეხინი მიუთვალა, ებრაელმა კი ხელწერილი მისცა - ცხენი და საჭურვლის საფასური მიღებული მაქვსო. პირველ სამოცდაათ ოქროს რომ ინახავდა, ებრაელს ხელები უკანკალებდა სიხარულით, დანარჩენი ათი კი უფრო დინჯად მიითვალა, სვენებსვენებით, თანაც ყოველი ოქროს აღებაზე რამეს იტყოდა და სათითაოდ აგდებდა ქისაში. ეტყობოდა, სიხარბე ებრძოდა მის სიკეთესა და სათნოებას. გულით უნდოდა, რომ მთელი ფული ერთბაშად მოეხვეტა, მაგრამ სინდისი ეუბნებოდა, ნაწილი მაინც დაუბრუნე შენს კეთილისმყოფელსო, ან მისი მსახური დააჯილდოვეო. დაახლოებით ასე ლუღლუღებდა:

- სამოცდათერთმეტი, სამოცდათორმეტი... შენი ბატონი მშვენიერი ჭაბუკია... სამოცდაცამეტი, ჩინებული ჭაბუკი... სამოცდათოთხმეტი, ამ ოქროს გვერდი ჩამოჭრილი აქვს... სამოცდათხუთმეტი... ეს კი უფრო მჩატე ჩანს... სამოცდათექვსმეტი... ფული დასჭირდეს შენს ბატონს, ისააკ იორკელს მოაკითხოს... სამოცდაჩვიდმეტი... ოღონდ გირაო უნდა დატოვოს, რასაკვირველია, - აქ კარგა ხანს შეყოვნდა, და გურთს იმედი მიეცა, იქნებ ეს სამი ოქრო დანარჩენებს არ მიაყოლოსო, მაგრამ თვლა გაგრძელდა: - სამოცდათვრამეტი... შენც კარგი ბიჭი ხარ... სამოხცდაცხრამეტი... ალალი იქნება შენთვის საჩუქარი...

ისევ შეყოყმანდა და უკანასკნელ ცეხინს დახედა, აშკარად ეტყობოდა, გურთისთვის მიცემა უნდოდა. ჯერ თითის წვერებით აწონა, მერე მაგიდაზე დაადო და წკრიალი გააღებინა. ყრუ ხმა რომ გაეღო და ოდნავ მჩატე მოჩვენებოდა, თქმა არ უნდა, დიდსულოვნება იმძლავრებდა. მაგრამ გურთის

საუბედუროდ, ოქრო ახალმოჭრილი იყო - ელვარე, წკრიალა და ჩვეულებრივზე ცოტა უფო მძიმეც კი. ასე რომ, ისააკი ვერ შეელია. თითქოს დაუფიქრებლად მოუვიდაო, ქისაში ჩაუძახა და თქვა:

- სრული ოთხმოცი ცეხინი. ბატონი უსათუოდ დაგაჯილდოებს, და გულუხვადაც. მაგრამ - თქვა მან და გურთის ჩანთას დააშტერდა, - მაგრამ კიდევ უნდა გქონდეს ფული.

გურთი გაიჭყანა და ამით გაცინება გამოხატა.

- თითქმის იმდენივე, რამდენიც შენ მიითვალე, - უპასუხა მან.

მერე ხელწერილი დაკეცა და ქუდში ჩაიდო.

- ვაი შენი წვერის ბრალი, ხელწერილი თუ სწორი არ აღმოჩნდა, ებრაელო, - დასძინა გურთმა.

ისევ შეივსო ღვინით თასი, თუმცა ახლა არავის შეუთავაზებია, დალია და, ვითომ არაფერიო, ოთახიდან გავიდა.

- რებეკა, - თქვა ებრაელმა, - კინაღამ არ გამაცურა ამ ისმაელიტმა!.. მაგრამ კარგი ბატონი კი ჰყავს... ძალიან სასიამოვნოა, რომ ამდენი ოქროვერცხლი მოხვეტა. შენ რა გგონია, სულ იმ ბედაურის სისწრაფისა და შუბის სიმაგრის წყალობით. ისე მარჯვედ იქნევდა, გეგონებოდა გოლიათიაო.

ისააკი რებეკასკენ მიბრუნდა პასუხის მოლოდინში, მაგრამ მანამ იგი გურთს ედავებოდა, ქალი შეუმჩნევლად გასულიყო ოთახიდან.

ამასობაში გურთმა კიბე ჩაიარა, ჩაბნელებულ ტალანში გავიდა და მიიხედ-მოიხედა, ქუჩაში გასასვლელს ეძებდა. უცებ ვიღაც თეთრტანისამოსიანი შენიშნა - ხელში ვერცხლის სანათი ეჭირა და ანიშნებდა, გამომყევიო. გურთი შეკრთა და უკან დაიხია. რა ძალაც არ უნდა გამოჩენილიყო, თუკი მიწიერი იქნებოდა, გარეული ტახივით ჯიქურ და უშიშრად შეხვდებოდა გურთი, მაგრამ დიდი შიში ჰქონდა საქსონურ თქმულებებთან დაკავშირებული ალების, ჭინკების, თეთრი ქალებისა და ყოველგვარი ცრუმორწმუნეობისა, რაც მის შორეულ წინაპრებს გერმანიიდან გამოჰყოლოდათ. თან ისიც გაახსენდა, რომ ებრაელის სახლში იყო, ხოლო მდაბიო ხალხის

წარმოდგენით, ებრაელებს, ბევრ სხვა საძაგელ თვისებებთან ერთად, ჯადოქრობასა და გრძნეულებასაც სწამებდნენ. მიუხედავად ამისა, ცოტა შეყოყმანების შემდეგ, მაინც დაემორჩილა მოჩვენებას, საითაც ანიშნეს, იქითკენ გაემართა, ოთახში შევიდა და, მისდა გასახარად და გასაკვირად, იქ

დახვდა მშვენიერი ებრაელი ქალი, რომელიც ჯერ ასპარეზობაზე ნახა, ხოლო სულო რამდენიმე წუთის წინ - მამამისის ოთახში.

ქალმა გამოჰკითხა, შენ და მამაჩემი როგორ მორიგდითო, და გურთმაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

- გაგხუმრებია მამაჩემი, კეთილო კაცო, - უთხრა რებეკამ, - შენი ბატონისაგან ისეა დავალებული, რომ ეს ცხენი და საჭურველი თუნდა ათჯერ მეტი ღირდეს, სამაგიეროს მაინც ვერ გადაუხდის. ახლა რამდენი გამოგართვა?

- ოთხმოცი ცეხინი, - მიუგო ამ კითხვით გაკვირვებულმა გურთმა.

- ამ ქისაში ასი ოქროა, - უთხრა რებეკამ, - ეს ოთხმოცი ოქრო ბატონს დაუბრუნე, დანარჩენი შენი იყოს. ახლა კი წადი... ჩქარა... მადლობაზე დროს ნუღარ კარგავ! ქალაქში ფრთხილად იარე, თორემ იქნებ ფულსაც გამოეთხოვო და საკუთარ თავსაც. რეუბენ, - გასძახა მან მსახურს და ხელი ხელს შემოჰკრა, - ამ კაცს გზა გაუნათე, და როცა გააცილებ, კარების ჩაკეტვა არ დაგავიწყდეს.

შავწარბებგადაგრეხილი და შავწვერა ებრაელი რეუბენი რებეკას დემორჩილა, ჩირაღდანი აიღო, გურთი მოკირწყლულ ეზოში გაიყვანა, ჭიშკარი გაუღო და გაუშვა, მერე კი ისეთი საგდულებითა და ჯაჭვებით ჩაკეტა კარები, რომ ციხესაც კი არ კეტავენ ასე საგულდაგულოდ.

- წმიდა დუნსტანის მადლმა, - თქვა გურთმა და სიბნელეში ბორძიკით გაუდგა გზას, - ეს ურიის ქალი კი არ არის, ცით მოვლენილი ანგელოზია! ათი ოქრო ჩემმა მამაცმა ბატონმა მაჩუქა... ოცი კი ამ სიონის მარგალიტმა... რა ბედნიერი დღე გამითენდა!.. კიდევ ერთი ასეთი დღე, და შენს მონობას ბოლო მოეღება, გურთ, თავს გამოიხსნი და შენც თავისუფალი კაცი გახდები, ჩემო ძმობილო. სამწყესურ რქასა და კომბალს გადავაგდებ, ფარხმალს ავიღებ და ჩემს ახალგაზრდა ბატონს ვეახლები, სიკვდილის დღემდე აღარ მოვშორდები, აღარც სახე მექნება დასამალავი და არც სახელი.

თავი მეთერთმეტე

ყაჩაღი - აბა, დადექით! აქ მოგვეცით, რაც გაბადიათ,
თუ არა, დაგსვამთ და ყველაფერს თვითონვე გავჩხრეკთ.
სპიდი- დავიღუპენით. შევხვდით სწორედ იმ ავაზაკებს,
რომლებიც თავზარს სცემენ ხოლმე გამვლელ-გამომვლელს.
ვალენტინი - თქვენ, მეგობრებო...
I ყაჩაღი - ეგრე არ არის ეგ, ბატონო; მტრები ვართ თქვენი.
II ყაჩაღი - ჩუმად, რას გვეტყვის მოვუსმინოთ.
III ყაჩაღი - ჩემს წვერსა ვფიცავ, მართალს ამბობ: ვაჟკაცი მოჩანს.
შექსპირი, „ორი ვერონელი“

გურთის თავგადასავალი ამით არ დამთავრებულა იმ ღამეს. ამას თვითონვე მიხვდა, როცა სოფლის განაპირას რამდენიმე კენტად მდგარ სახლს გასცდა და ღრმა ღარტაფში შევიდა, რომელსაც აქეთ-იქით თხილისა და დეკას ხშირი ბუჩქები ერტყა. აქა-იქ ჯუჯა მუხებიც წამოზრდილიყვნენ და და-

ბურული ფოთლებით ბილიკი გადმოებურათ. ურმებს, რითაც ასპარეზობა-ზე სანოვაგე და სხვა საჭირო რაღაცეები მიჰქონდათ, ერთიანად დაეთხარ-აეჩიჩქნა ეს

ვიწრო ღარტაფი; ბუჩქები კიდე ისე გადმობურულიყო, ოდნავადაც არ ატარებდა შემოდგომის მთვარის სხივებს, და საშინლად ბნელოდა.

სოფლიდან მოისმოდა მხიარული ჟრიამულის შორეული ხმები, რასაც ერთვოდა დროდადრო მომსკდარი სიცილი, ერთბაშად შემწყდარი შეძახი-ლები და ველური მუსიკის ჟღრიალი. ამ ხმებმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ წარჩინებულ მხედრებსა და მათ თავაშვებულ მსახურებს მეტისმეტად აეწ-ყვიტათ, გურთი, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა.

„მართალი მითხრა იმ ურიის ქალმა, - ჩაიდუდუნა მან, - ღმერთო და წმიდა დუნსტანის სალოცავო. ეს ფული შინ მშვიდობით მიმატანინე! სულ გაჭედილია იქაურობა... ნამდვილი ქურდებით-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ იმდენი მოხეტიალე რაინდი, მოხეტიალე საჭურველთმტვირთველები, მა-წანწალა ბერები, მაწანწალა მემუსიკეები და ტაკიმასხარები დაძრწიან, რომ სულ ერთია - ერთი გროშიც რომ ედოს კაცს ჯიბეში, ისიც კი საშიშია, მით უმეტეს, საწყალ მეღორეს ცეხინებით გამოტენილი მთელი აბგა თუ მო-აქვს. ამ ოხერი ბუჩქებიდან მაინც გამიყვანა ჩქარა, რომ ადრეევე დავინახო ეშმაკის კერძები საიდან დამახტებიან თავზე.

გურთმა ფეხი ააჩქარა, რომ მალე გასცლოდა იმ ღარტაფს და ღია მინ-დორზე გასულიყო, მაგრამ ვერ მოასწრო. მიუახლოვდა თუ არა ღარტაფის მეორე ბოლოს, სადაც ბუჩქები კიდევ უფრო

სქლად ჩამობურულიყო, ერთბაშად ოთხი კაცი დაესხა თავს - ორი აქე-დან, ორი იქიდან, სწორედ ისე, როგორც მოელოდა. ისე მაგრად გაქაჩეს, ძალიანაც რომ ცდილიყო დასხლტომას, ვერ მოახერხებდა.

- ეს ტვირთი აქ მოგვეცი, - უთხრა ერთმა, - ჩვენ სახალხო მხსნელები ვართ, ხალხს ტვირთისაგან ვათავისუფლებთ.

- ასე ადვილად ვერ გამათავისუფლებთ, - წაიდუდღუნა გურთმა, რომ-ლის პატიოსნება ამ უეცარმა თავდასხმამაც კი ვერ გასტეხა, - სამჯერ მაინც რომ მომეხერხებინა შემოკვრა.

- მაგასაც ვნახავთ, - უპასუხა ყაჩაღმა, და მერე ამხანაგებს მიუბრუნდა: - ეს ვაჟბატონიც წავიყვანოთ; როგორც ვატყობ, ქისის დაცლას არა გვჯერდება, თავის გატეხაც მოსდომებია - ერთბაშად ორი ძარღვიდან სურს სისხლის გამოშვება.

ბრძანება მაშინვე შეასრულეს - უბოდიშოდ გაათრიეს გურთი, მარცხნივ გაუხვიეს და გაიყვანეს ჭალაში, რომელიც ღარტაფსა და ტრიალ მინდორს შორის იყო გადაჭიმული. სხვა რა გზა ჰქონდა, შეჰყვა ამ დაბურულ ჭალაში თავზეხელაღებულ ყაჩაღებს, რომლებიც მოულოდნელად ერთ ოღრო-ჩოღრო კორდზე შედგნენ. აქ ხეები ისე გადმობურული აღარ იყო და მთვარის სხივები

შედარებით თავისუფლად ატანდა. ორი კაცი კიდევ შემოუერთდა მის გამქაჩველებს, ეტყობოდა, მათივე ამფსონები იყვნენ. ექვსივეს გვერდზე მოკლე ხმალი და ხელში კეტები ეჭირათ. ახლაღა შენიშნა გურთმა, რომ ნიღბები ეკრათ - კიდეც რომ ჰქონოდა აქამდე ეჭვი, ახლა უკვე აშკარა გახდა, რომ ყაჩაღები იყვნენ.

- ფული რამდენი გაქვს, ბრიყვო? - ჰკითხა ერთმა ყაჩაღმა.

- ჩემი საკუთარი - ოცდაათი ცეხინი, - ღრენით მიუგო გურთმა.

- წავგლიჯოთ!.. წავგლიჯოთ! - იყვირეს აქეთ-იქიდან, - საქსს ოცდაათი ცეხინი ჰქონდეს და სოფლიდან ფხიზელი ბრუნდებოდეს! წავგლიჯოთ, ნურაფერს დავუტოვებთ!

- ყმობისაგან თავის გამოსახსნელად ვაგროვებდი, - თქვა გურთმა.

- ვირი ყოფილხარ, - უთხრა ერთმა ქურდმა, - სამ კვარტ ელს გადაკრავდი და შენი ბატონივით თავისუფალი შენც გახდებოდი, თუკი ისიც საქსია.

- მწარე ჭეშმარიტებაა, - მიუგო გურთმა,- მაგრამ თქვენგან მაინც თუ დამიხსნის ეს ოცდაათი ცეხინი, ხელები გამიხსენით და ახლავე მოგცემთ.

- დაიცა, - უთხრა ერთმა მათგანმა, რომელიც, ეტყობოდა, უფროსი უნდა ყოფილიყო, - ამ შენს თოფრაკში ცოტა უფრო მეტი ფული ჩანს.

- ეს ჩემი არ არის, ჩემი ბატონისაა - გმირი რაინდის, - მიუგო გურთმა, - და არც მინდოდა კრინტი დამეძრა ამაზე, თუკი ჩემს საკუთარ ფულს დაყაბულდებოდით.

- პატიოსანი კაცი ყოფილხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, - უთხრა ყაჩაღმა, - არც ჩვენ ვემსახურებით ასე თავგადადებით წმიდა ნიკოლასს; ასე რომ,

სიმართლით თუ მოიქცევი, იქნებ შენი ოცდაათი ცეხინი ხელიდან წაგვივიდეს. ჯერჯერობით კი ჩვენ მოგვანდე ეს შენი თოფრაკი.

ეს თქვა და გურთს იღლიაში ამოჩრილი ტყავის თოფრაკი გამოგლიჯა, რომელშიაც, სხვა ცეხინებთან ერთად, რებეკას მიცემული ქისაც ეგდო. მერე დაკითხვა გააგრძელა.

- შენი ბატონი ვინღაა?

- სამკვიდრომოკლებული რაინდი, - მიუგო გურთმა.

- დღევანდელი ასპარეზობის ფალავანი? მაშ, ესეც გვითხარი - ვინ არის, რა გვარია?

- ჩემი ბატონი თავის ვინაობას მალავს, - მიუგო გურთმა, - და ჩემგანაც ვერაფერს გაიგებთ .

- შენ თვითონ ვინა ხარ, რა გქვია?

- ეგ რომ გითხრათ, ჩემი ბატონის ვინაობაც ხომ გაიგეთ!

- კაი თავხედი ყოფილხარ, - უთხრა ყაჩაღმა, - არა უშავს, ამაზე მერე მოვილაპარაკოთ. ეს ოქროები საიდანღა ჩაუვარდა ხელში შენს ბატონს - მემკვიდრეობით ერგო, თუ ისე იშოვა?

- თავისმა გმირულმა შუბმა აშოვნინა - ამაში ოთხი ბედაურისა და აბჯარ-საჭურველის გამოსასყიდი ფულია.

- მაინც რამდენი? - ჩაეკითხა ყაჩაღი.

- ორასიოდე ცეხინი.

- ორასი ცეხინიო! - გაიკვირვა ყაჩაღმა, - ძალიან სულგრძელად კი მოქცევია შენი ბატონი დამარცხებულებს, ცოტა ფულს დასჯერებია. აბა ჩამომითვალე, ვის გამოართვა ეს ფული.

გურთმა ჩამოუთვალა.

- ბრიან დე ბუა გილბერის ცხენი და საჭურველი? იმაში რამდენიღა გამოართვა, ხომ ხედავ, ვერ გამაცურებ!

- ტაძრელი რაინდისაგან სასიცოცხლო სისხლს გარდა არაფერს აიღებს ჩემი ბატონი, - მიუგო გურთმა, - სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს და მაგათი მშვიდობიანი მორიგება არ იქნება.

- რას ამბობ! - ჩაილაპარაკა ყაჩაღმა და ცოტა ხანს გაჩუმდა, - აშბიში რაღას აკეთებდი ამდენი ფულით?

- ებრაელ ისააკ იორკელისათვის ფული უნდა გადამეხადა, - უპასუხა გურთმა, - ამ ასპარეზობისათვის აბჯარი მისცა ჩემს ბატონს, და იმისი საფასური.

- მერე რამდენი მიეცი?.. ეს თოფრაკი კაი მძიმე ჩანს, ორასი ცეხინი ისევ იქნება შიგ.

ოთხმოცი ცეხინი მივეცი, - უთხრა საქსონელმა, - მაგრამ ასი ცეხინი უკანვე დამიბრუნა.

- რაო! რას ბოდავ?! - ერთხმად შესძახეს ყაჩაღებმა, - დაგვცინი კიდეც! რას მიედ-მოედები!

- რაც გითხარით, ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ მთვარე ცაზე ანათებს, - უთხრა გურთმა, - თუ არ გჯერათ, თვითონვე ნახეთ - ასი ცეხინი ცალკე მიდევს ამ ტყავის თოფრაკში, აბრეშუმის ქისით, სხვა ოქოროებისაგან განცალკევებულად.

- დაუფიქრდი მაინც, რას ლაპარაკობ, - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა, - ებრაელისაგან ისევე უნდა მოელოდე კაცი ოქროს დაბრუნებას, როგორც უდაბნოს გამშრალი ქვიშისაგან მოგზაურის მიერ ფინჯნით გადაღვრილ წყალს.

- რაღა ეგენი და რაღა შერიფის მოუქრთამავი მოხელე - მაგათგან ერთნაირად უნდა ელოდო წყალობას, - დასძინა ერთ-ერთმა ყაჩაღმა.

- მე კი მართალს გეუბნებით და რა ვიცი, - მიუგო გურთმა.

- აბა, ერთი გამინათეთ, - ბრძანა მეთაურმა, - თოფრაკი უნდა გავუსინჯო, და ამ ბიჭის სიტყვები თუ მართალი გამოდგა, მაშინ ებრაელის გულუხვობა ისეთივე სასწაული იქნება, როგორც ის მდინარე, რამაც მაგისი წინაპრები უდაბნოში იხსნა.

მაშინვე აანთეს ჩირაღდანი და ყაჩაღი თოფრაკის ქექვას შეუდგა. სხვები გარს შემოეხვივნენ. იმ ორმაც კი, რომელთაც ტყვე ეპყრათ, თითქმის ხელი უშვეს გურთს და ოქროსათვის თვალის შესავლებად კისერი წაიგრძელეს. გურთმა ისარგებლა ამითი, ერთბაშად გაიწია და დაუსხლტა, შეეძლო გაქცეულიყო კიდეც და თავისთვის ეშველა, თუკი ბატონის ოქროებს გაიმეტებდა და ყაჩაღებს დაუტოვებდა. მაგრამ მისი განზრახვა სულ სხვა იყო. ერთ ყაჩაღს კეტი გამოსტაცა და თავში სთხლიშა მეთაურს, რომელიც სულაც არ მოელოდა ასეთ თავდასხმას. ლამის ქისა და მთელი სიმდიდრეც

წაგლიჯა, მაგრამ ყაჩაღები ხელადვე მოეგნენ გონს და ისევ დაეუფლენ თოფრაკსაც და ერთგულ გურთსაც.

- ბრიყვო! - შესძახა მეთაურმა და წამოდგა, -თავი გამიტეხე! აბა სხვა ყაჩაღების ხელში მოხვედრილიყავი, ნახავდი, რასაც გიზამდნენ ამ თავხედობისათვის. მაგრამ ახლავე გაჩვენებთ სეირს. ჯერ შენს ბატონზე მოვილაპარაკოთ: რაინდული კანონების მიხედვით, რაინდი თავის საჭურველთმტვირთველზე წინ მიდის ხოლმე... ჭკვიანად დადექი... ოდნავაც რომ გაინძრე, ისეთ საქმეს გიზამთ, შენს დღეში ვეღარ წამოდგე... აბა, ბიჭებო, - მიმართა მან თავის ბანდას, - ქისაზე ებრაული ასოებია ამოქარგული და ამ იომენის სიტყვები უკვე მჯერა. მოხეტიალე რაინდმა, ამის ბატონმა, ისე უნდა ჩაგვიაროს, რომ ხელი არ ვახლოთ: რაღა ეს ვძარცვოთ - ჩვენა გვგავს; როცა მგლები და მელები მომრავლებულა, ძაღლმა რაღა ძაღლის ტყავი გლიჯოს!

- ჩვენა გვგავსო! - შესძახა ერთმა ყაჩაღმა, - ნეტავ რას ჩმახავ!

- სულელო, - მიუგო მეთაურმა, - ისიც ხომ ჩვენსავით ღარიბი და სამკვიდროს მოკლებულია!.. განა ისიც ჩვენსავით არ შოულობს ლუკმაპურს?.. ვერ ნახე, როგორ მიბეგვა ფრონ დე ბეფი და მალვუაზენი, რომელთაც ჩვენც გულიანად მივბეგვავდით, ხელში რომ ჩაგვვარდნოდა!.. ბრიან დე ბუა გილბერს კი, რომლისაც ჩვენც უნდა გვეშინოდეს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებია! ეგეც რომ არ იყოს, გინდა ურჯულო ურიაზე უფრო უსინდისო გამოვჩნდეთ?!

- ღმერთმა დაგვიფაროს, - ჩაილუღლუღა ყაჩაღმა, - მაგრამ განდელინის ბანდაში რომ ვიყავი, ამისთანა წვრილმან რამეებს არ დაგიდევდით. ამ ბრიყვ გლეხუჭას რაღა ვუყოთ, ეგეც უვნებელი გავუშვათ?

- რატომ, თუ მოერევი, აგერ არა გყავს! - მიუგო მეთაურმა, - ჰეი, ძმობილო, - მიმართა მან გურთს, - კეტისთვის ხელის წავლებაზე მარჯვე ყოფილხარ, მაგრამ ხმარება თუ იცი?

- ამაზე, მე მგონი, შენ უკეთ გასცემ პასუხს, - მიუგო გურთმა.

- რაც მართალია, მართალია, მაგრად მდრუზე, - უთხრა მეთაურმა, - ამ ყმაწვილსაც თუ ასევე უთავაზებ, გზა ხსნილი გაქვს, თუ არა და... მაშინ რაღა დამრჩენია, ისეთი ყოჩაღი გამოდექი, რომ მე თვითონ უნდა ჩამოვიდე შენს გამოსასყიდ ფულს. აბა, მეწისქვილევ, კეტი აიღე და თავს

გაუფრთხილდი. ამ ბიჭს ხელი უშვით და კეტი მოუტანეთ... სინათლე საკმარისია - შეუძლიათ მაგრად დასცხონ ერთმანეთს.

ერთნაირი კეტებით შეიარაღებული მოწინააღმდეგეები შუა მინდორში გავიდნენ, რათა მთვარის შუქზე უფრო კარგად გაერჩიათ ერთმანეთი. ყაჩაღები კი გულიანად იცინოდნენ და თავიანთ ამხანაგს უყვიროდნენ: „ყოჩაღად, მეწისქვილევ! შენ არ დაგადებინონ გამოსახსნელი ფული!“ მეწისქვილემ კეტს შუაში სტაცა ხელი და მართლაც რომ წისქვილის ქვასავით დაატრიალა თავს ზემოთ, თან კი მედიდურად შესძახა გურთს:

- აბა გამიმაგრდი, თუ ბიჭი ხარ! მე შენ გაჩვენებ, რაც ყოფილა მეწისქვილე.

- თუ მართლა მეწისქვილე ხარ, - მიუგო გურთმა და არა ნაკლების სიმარჯვით დაატრიალა თავისი კეტი, - მაშინ ორგზის ქურდი ყოფილხარ, და მე, როგორც პატიოსანი კაცი, თვითონვე გიწვევ ბრძოლაში.

თქვა თუ არა ეს, მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეძგერენ და რამდენიმე წუთი ისე გავიდა, ერთნაირის ძალით, გულადობითა და სიმარჯვით ატრიალებდნენ კეტებს, სულ ჩახაჩუხი გაუდიოდათ - შორიდან კაცს ეგონებოდა, თორმეტ მეომარს ერთმანეთში ხელჩართული

ბრძოლა გაუმართავსო. რამდენი ამაზე ნაკლებ დაძაბული და ნაკლებ საშიში ბრძოლაა ხოტბაშესხმული საგმირო სიმღერებში! გურთისა და მეწისქვილის ბრძოლას კი კაციშვილი არ ახსენებს, რადგან პოეტი არ გამოსჩენიათ, რომ მათი მამაცობისათვის ხოტბა შეესხა. ისევ მე შევეცდები პროზით მაინც გადმოვცე ამ მამაცი მებრძოლების ამბავი.

კარგა ხანს იბრძოდნენ თანაბარი ძალით. ბოლოს მეწისქვილემ თანდათანობით დაჰკარგა მოთმინება: ნახა, რომ მოწინააღმდეგე მედგრად უძალიანდებოდა, აქეთ კი ამხანაგები ხარხარებდნენ - მისი გაწიწმატებით ერთობოდნენ, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე. ასეთი სულიერი განწყობილება სულაც არ არის ხელსაყრელი კეტებით ბრძოლისას. ამ დროს კაცს სიდინჯე და გულგრილობა მართებს. ასე რომ, გურთმა, - რომელიც პირქუში კი იყო, მაგრამ სამაგიეროდ დამშვიდებულად ირჯებოდა, - დიდი ოსტატობა გამოიჩინა და გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია.

მეწისქვილე გამწარებით უტევდა, ელვის სისწრაფით ატრიალებდა კეტს - ხან ერთ ბოლოს მოუქნევდა, ხან მეორეს, ცდილობდა ნახევარი კეტის მანძილზე მისჭროდა; გურთი კი ამ დროს მოგერიებაზე გადასულიყო, ხელები

გაეშალა, დიდის სისწრაფით იმარჯვებდა იარაღს და თავსა და ტანს იფარავდა. ხან კი თვალს არ აშორებდა მოწინააღმდეგეს. ხოლო როცა შეატყო, სუნთქვა შეეკრაო, მარცხენა ხელით სახეში მოუქნია კეტი. მეწისქვილემ მოგერიება სცადა, მაგრამ გურთმა

სწრაფად გადაიტანა იარაღი მარჯვენაში და ისე მაგრად სთხლიშა მოწინააღმდეგეს თავში, რომ მაშინვე ბალახზე გაშოტა.

- ბარაქალა, ნამდვილი იომენია! - შეჰყვირეს ყაჩაღებმა, - ამისთანა პატიოსანი გამარჯვება და ძველი ინგლისი ნუ მოგიშალოს! თავიც იხსნა საქსმა და ქისაც გადაარჩინა, მეწისქვილე კი ნამდვილ მოწინააღმდეგეს შეხვდა.

- წადი, გზას ბარაქა დააყარე, ძმობილო, - ყაჩაღების საერთო სურვილი გამოთქვა მეთაურმა, - ორ კაცს გაგაყოლებ, მოკლე გზით მიგიყვანენ ბატონის კარვამდე და ღამის მაწანწალებისგანაც დაგიფარავენ, თორემ ვინ იცის, სხვებს იქნებ ჩვენისთანა წმინდა სინდისი არ აღმოაჩნდეს. ამისთანა ღამეში მაწანწალებს რა გამოლევს. ოღონდ გახსოვდეს, - მკაცრად დასძინა მან, - შენ არ გვითხარი შენი ვინაობა, და ნურც ჩვენით დაინტერესდები, თორემ, იცოდე, ამაზე უფრო ცუდ დღეში ჩავარდები.

გურთმა მადლობა უთხრა მეთაურს და აღუთქვა, მის სიტყვას არ გადავიდოდა. ორმა ყაჩაღმა კეტები მოიმარჯვა და წინ გაუძღვა გურთს, ფეხდაფეხ მოგვდიეო, დაარიგეს, ბილიკზე გადავიდნენ და იგივე დაბურული ტყე და ხევი გადასჭრეს. ტყიდან რომ გამოდიოდნენ, ორი კაცი გამოელაპარაკა გამცილებლებს, ყაჩაღებმა ჩურჩულით უპასუხეს რაღაც და ისინი მაშინვე ტყის

სიღრმეში მიიმალნენ. გურთი მიხვდა, რომ ყაჩაღების ბანდა დიდი უნდა ყოფილიყო, ეტყობოდა, მთელ იმ არემარეში გუშაგები ჰყავდათ დაყენებული.

მანანებით დაფარულ მინდორზე გავიდნენ, გურთი ვერ გამორკვეულიყო, საითკენ იყო მისი გზა, მაგრამ ყაჩაღებმა გორაკზე აიყვანეს და გადაახედეს. აქედან მთვარის შუქზე კარგად ჩანდა ქვემოთ გადაშლილი საასპარეზო მოედანი, მოედნის გასწვრივ ჩაყოლებული სარები, თავსა და ბოლოში ჩამწკრივებული კარვები, კარვების წინ აღმართული დროშები... იმ სიმღერის ხმაც კი აღწევდა, რასაც ძილის დასაფრთხობად გუშაგები ღიღინებდნენ თავისთვის.

ყაჩაღები აქ შედგნენ.

- ამას იქით ვეღარ გამოგყვებით, - თქვეს მათ, - რაც გითხრეს, კარგად დაიხსომე - არავისთან არ დაგცდეს, ამაღამ რაც გადაგხდა, და მაშინ სანანებელიც არაფერი გექნება, თორემ ჩვენი შურისძიებისაგან ლონდონის ტაუერიც კი ვერ დაგიფარავს.

- ღამე მშვიდობისა, კეთილო ბატონებო, - უთხრა გურთმა, - თქვენს ბრძანებას უსათუოდ დავიხსომებ. მაგრამ არც თქვენ უნდა დაგრჩეთ საწყენად, უფრო პატიოსანი და უხიფათო ხელობა რომ გისურვოთ.

ამის შემდეგ ყაჩაღები უკანვე გაბრუნდნენ, გურთი კი პირდაპირ თავისი ბატონის კარვისკენ გაემართა და გაფრთხილების მიუხედავად ყველაფერი ჩაუკაკლა, რაც კი იმ ღამეს გადახდა თავს.

სამკვიდრომოკლებულ რაინდი გაკვირვებული უსმენდა. ცალკე რებეკას გულუხვობით იყო გაოცებული, და გადაწყვიტა კიდეც მისი გულუხვობით არ ესარგებლა, და ცალკე ყაჩაღების შემწყალებლობით, რაც სრულებითაც არ შეეფერებოდა იმათს ხელობას. მაგრამ დიდხანს აღარ შეუწუხებია თავი ამეებზე ფიქრით, რადგან იმდღინდელი დაღლილობის შემდეგ მოსვენება და ხვალინდელი ასპარეზობისათვის ძალ-ღონის მოკრება სჭირდებოდა.

რაინდი მდიდრულად მორთულ ტახტზე წამოწვა კარავში, ერთგული გურთი კი კარვის ზღურბლთან მიეგდო დათვის ტყავზე, რომელიც ხალიჩის მაგივრად გაეფინათ. კაციშვილი ვერ შევიდოდა კარავში ისე, რომ გურთი არ გაეღვიძებინა.

თავი მეთორმეტე

მორჩნენ თუ არა აღმა-დაღმა ცხენის ჭენებას,
მყისვე საყვირის ხმა მოედო ქვეყნიერებას.
განზე გამდგარან ჰეროლდები და ბრძოლის ველი
აქ გახელებით შერკინებულ რაინდებს ელის.
აღმოსავლეთით ერთი რაზმი უკვე დაძრულა,
დასავლეთიდან მეორენი უბღვერენ მტრულად;
მოსწყდენ ადგილს და გააქანეს ცხენები შმაგად,
ამათაც უნდა უპასუხონ დარტყმას ათმაგად.
შეიქნა ხმლების ლაწალუწი, შუბის ძგერება,
ვინ დაეცემა, ვის მოელის ბედნიერება?
დადგა დალეწილ საჭურველის დიდი გორები
და მოედანზე ჩქეფს წითელი სისხლის მორევი.
ჩოსერი

გათენდა უღრუბლო, მოკრიალებული დილა, და ის იყო, მზე ამოიწვერა, რომ გამოჩნდა ყველაზე მოცლილი და თავგადადებული მაყურებლები. ისინი საასპარეზო მოედნისაკენ მიეშურებოდნენ, რათა უფრო მარჯვე ადგილი დაეჭირათ და ბრძოლის გაგრძელებისათვის კარგად ეყურებინათ.

შემდეგ მინდორზე გამოეფინენ მარშლები და მათი მხლებლები, აგრეთვე ჰეროლდები - ამათ უნდა გაეგოთ ბრძოლის მოსურნე რაინდების ვინაობა, და ისიც გაერკვიათ, ვინ რომელ მხარეზე აპირებდა გამოსვლას. ამის გარკვევა აუცილებელი იყო, რათა ორ მოწინააღმდეგე ჯგუფში რაინდები თანაბარი რაოდენობით მოხვედრილიყვნენ.

წესის მიხედვით, ერთი დასის თავი სამკვიდრომოკლებული რაინდი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორესი - ბრიან დე ბუა გილბერი, რადგან წინადღის ბრძოლაში მეორე ადგილი მას მიაკუთვნეს. რაღა თქმა უნდა, მის დასშივე მოხვდებოდა ყველა მესვეური რაინდიც, გარდა რალფ დე ვიპონისა, რომელიც ცხენიდან ჩამოვარდნის დროს მაგრად დაშავებულიყო და საჭურვლის ასხმა აღარ შეეძლო. დასების შევსება გამორჩეული და კეთილშობილი რაინდებით არ გასჭირვებიათ.

მართალია, საერთო ასპარეზობა, რომელშიაც ყველა რაინდი ერთდროულად ღებულობდა მონაწილეობას, ცალკეულ ბრძოლებზე გაცილებით უფრო სახიფათო იყო, მაგრამ მოწონებაც მეტი ჰქონდა იმ დროს და რაინდები ამით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი. ბევრი რაინდი, ვისაც საკუთარი თავის იმედი არა ჰქონდა და ცალკეულ ბრძოლებში საქვეყნოდ ცნობილ რაინდს ვერ გაიწვევდა, საერთო ბრძოლებში უფრო გაბედულად ცდიდა ხოლმე თავს, რადგან იმედი ჰქონდა, მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებში ჩემს შესაფერისს შევარჩევო. იმ დღეს ორმოცდაათ-ორმოცდაათი კაცი ჩაეწერა თითო დასში, და როცა მარშლებმა გამოაცხადეს - მეტს ვეღარ ჩავწერთო, ბევრ დაგვიანებულს დაწყდა გული.

ათი საათისთვის მინდორი სულმთლად მოფენილი იყო მხედარი მამაკაცებით, მხედარი მანდილოსნებით, ქვეითებით... გამწარებით მიეშურებოდნენ საასპარეზო მოედნისაკენ. მერე ბუკი ჩაბერეს და ამით ხალხს პრინც ჯონისა და მისი ამალის მობრძანება ამცნეს. მათ მოჰყვებოდნენ ურიცხვი რაინდები, რომელთაგან ზოგს თამაშობაში მონაწილეობა სურდა, ზოგი კი საყურებლად მოსულიყო.

სედრიკ საქსონელიც გამოჩნდა, თან ახლდა ლედი როენა, ათელსტანი კი ამჯერად არა ხლებია. ამ საქსონელ ლორდს თავისი მაღალი და ჩასკვნილი ტანი სულ აბჯრით დაეფარა და ბრძოლაში გასასვლელად მომზადებულიყო. ოღონდ სედრიკის გასაკვირად, იგი ტაძრელი რაინდის დასში ჩარიცხულიყო. ბევრს ეჩიჩინა თავის მეგობარს - ახირებული არჩევანი გაგიკვეთებიაო, მაგრამ ამაოდ, გაჯიქებული ათელსტანი ერთთავად ჯიუტი კაცის აკვიატებულსა და უმართებულო პასუხს აძლევდა. თუმცა იმდენი ჭკუა კი ეყო, რომ ბრიან დე ბუა გილბერის დასისათვის მიმხრობის მთავარი თუ ერთადერთი მიზეზი დაეფარა. მართალია, თავისი ბუნებით უხალისობისა და უნდილობის გამო არასოდეს არა ცდილა როენასთვის თავი მოეწონებინა, მაგრამ ამ მომხიბლავი ქალის მიმამრთ გულცივი სულაც არ ყოფილა. და გადაწყვეტილიც ჰქონდა უსათუოდ შეერთო, რადგან სედრიკიცა და ქალის სხვა ახლობლებიც ამ ქორწინების მოსურნენი იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ ზვიადი, - თუმცა ზარმაცი, - კონინგსბურგელი ლორდი შეკავებული უკმაყოფილებით შეხვდა წინა დღის ფალავნის მიერ როენას არჩევას. გადაწყვიტა დაესაჯა ეს არამკითხე, სხვის

საქმეში ასეთი თავხედური ჩარევისათვის. თავისი ძალის იმედი ხომ ჰქონდა და ჰქონდა, გარეშე ბრძოლაში სიმარჯვესაც უქებდნენ, და გაამაყებული ათელსტანი არა თუ მიემხრო სამკვიდრომოკლებულ რაინდს, რათა ამითი მისი რაზმი გაეძლიერებინა, არამედ გადაწყვიტა, თუ შემთხვევა მიეცემოდა თვითონვე ძგერებოდა მას თავისი ჩუგლუგით.

დე ბრასი და პრინც ჯონთან დაახლოებული სხვა რაინდებიც ბუა გილბერის რაზმს მიემხრნენ. ასეთი იყო თვით პრინცის სურვილიც და ეს მან აგრძნობინა კიდეც რაინდებს, რადგან ცდილობდა დღევანდელი გამარჯვება როგორმე ამათ მხარზე ყოფილიყო. მაგრამ მოწინააღმდეგე რაზმშიაც ბევრი რაინდი ჩაეწერა - საქსონელიცა და ნორმანიც, ადგილობრივიცა და უცხოელიც; ისინი ხალისით მიემხრნენ სამკვიდრომოკლებულ რაინს, რომელმაც ასე გამოიჩინა თავი და გუშინდელი ასპარეზობის ფალავანი გახდა.

გამოჩნდა თუ არა მინდორზე იმდღევანდელი დედოფალი, პრინცმა ცხენი დასძრა და შესაგებებლად გაემართა - სახეზე თავაზიანობის ღიმილი ჰქონდა გადაფენილი, რაც ძალიან უხდებოდა ხოლმე, თუკი ინებებდა ასეთი თავაზიანობის გამოჩენას. ქუდი მოიხადა, ცხენიდან ჩამოხტა და ლედი როენასაც უშველა ჩამოსვლა. პრინცის მხლებლებმაც იშვლიპეს ქუდები,

ხოლო ყველაზე უფრო წარჩინებული კარისკაცი მყისვე ჩამოხტა, დედოფლის ცხენს მივარდა და აღვირი დაუჭირა.

- აი, ასეთ ერთგულებასა და პატივისცემას ვიჩენთ სიყვარულისა და სილამაზის დედოფლის მიმართ, ჩვენ თითონვე უნდა მივაცილოთ მის დღევანდელ ტახტთან, - თქვა პრინცმა ჯონმა. - ქალბატონებო, - მიმართა მერე მანდილოსნებს, - მოეახლეთ თქვენს დედოფალს, თუ გსურთ, რომ შემდეგ თქვენც გახდეთ ასეთი გამორჩეული პატივისცემის ღირსი.

ესა თქვა და როენა საპატიო ტახტამდე მიაცილა, რომელიც სწორედ მისი კარვის პირდაპირ იდგა. უმშვენიერესი და უწარჩინებულესი ბანოვანები გარს შემოეხვიენ როენას, რათა რაც შეიძლება ახლოს მოთავსებულიყვნენ თავიანთ დროებით მბრძანებელთან.

დაბრძანდა თუა არა ტახტზე დედოფალი, მუსიკამაც იგრიალა, მაგრამ ხალხი ისეთი აღტაცების ყიჟინით შეხვდა როენას, რომ მუსიკა ლამის ჩაახშო. ამასობაში მზემ მაგრად დააჭირა და ერთიანად ააელვარა გაპრიალებული აბჯარი რაინებისა, რომლებიც ორ ჯგუფად გაყოფილიყვნენ, მოედნის თავსა და ბოლოში შექუჩებულიყვნენ და გაცხარებით თათბირობდნენ, თუ როგორ ჯობდა განლაგება და შეტევა.

ჰეროლდებმა ხალხს სიჩუმისაკენ მოუწოდეს, მანამ ასპარეზობის კანონებს გამოაცხადებდნენ. ეს კანონები ისე იყო შედგენილი, რომ ნაწილობრივ მაინც აეცდინათ თავიდან საშიშროება; ასეთი სიფრთხილე მართებდათ კიდეც, რადგან ბრძოლა ალესილი ხმლებითა და წამახვილებული შუბებით უნდა ეწარმოებინათ.

მახვილის ძგერება ასპარეზობის დროს აკრძალული ჰქონდათ, მხოლოდ მოქნევა იყო ნებადართული. რაინდს უფლება ენიჭებოდა თავისი სურვილს მიხედვით გინდა კეტი დაეტრიალებინა, გინდა ჩუგლუგი, ხანჯლის ხმარება კი არასდიდებით არ შეიძლებოდა. ცხენიდან ჩამოვარდნილი მეომარი თავისივე დღეში მყოფთან თუ განაახლებდა ბრძოლას, ცხენზე მჯდომს კი ეკრძალებოდა მასზე თავდასხმა; რაინდი თუ მოახერხებდა მოწინააღმდეგის კუთხეში მიჩიხვას, ისე რომ იგი ან იარაღით, ან სხეულით შეეხებოდა მესერს, უკვე გამარჯვებას ნიშნავდა - მოწინააღმდეგე იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო და ცხენიცა და აბჯარიც გამარჯვებულისათვის დაეთმო. ამგვარად დამარცხებულ რაინდს უფლება აღარ ჰქონდა ბრძოლა განეგრძო. თუ მებრძოლს ისე მაგრად დაანარცხებდნენ ძირს,

რომ წამოდგომას ვეღარ მოახერხებდა, ფარეშს ან საჭურველთმტვირთველს უფლება ენიჭებოდა მოედანზე შესულიყო და თავისი ბატონი გამოეყვანა. ამ შემთხვევაშიაც რაინდი დამარცხებულად ითვლებოდა და მისი ცხენი და აბჯარი გამარჯვებულს უნდა გადასცემოდა. ბრძოლა იმავე წუთში უნდა შეწყვეტილიყო, როგორც კი პრინცი ჯონი ჯოხს ან კვერთხს გადმოაგდებდა. ამას გამოიყენებდნენ ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, რაც ასეთი ხანგრძლივი და თვგანწირული ბრძოლის დროს ყოველთვის იყო მოსალოდნელი. რაინდი, რომელიც ან ასპარეზობის წესებს დაარღვევდა, ან სხვაგვარად შებღალავდა რაინდულ კანონებს, ჯერ აბჯარს ჩამოართმევდნენ, მერე კი ხელზე უკუღმა წამოაცვამდნენ ხმალს და მესერზე შესვამდნენ, რათა რაინდისათვის შეუფერებელი მოქცევის გამო ხალხს სასაცილოდ აეგდო. ამ წესების გამოცხადების შემდეგ

ჰეროლდებმა რაინდებს მოუწოდეს ღირსეულად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა და სიყვარულისა და სილამაზის დედოფლის პატივი დაემსახურებინათ.

ჰეროლდებმა თვიანთი ადგილები დაიჭირეს. მოედნის ორივე მხრიდან რაინდები შემოიწკაპენ და ერთმანეთის პირისპირ ორ-ორ მწკრივად მოეწყვნენ. მეთაურები წინა მწკრივის შუაში იყვნენ მოქცეულნი. ოღონდ ეს ადგილი მხოლოდ მას შემდეგ დაიჭირეს, როცა თავიანთი რაზმი ჩაამწკრივეს.

მართლაც რომ მშვენიერი და ამასთან ამაღლებული სანახაობა იყო: ამდენი ბრწყინვალე რაინდი - მდიდრულად აღჭურვილნი, მამაცურად ამხედრებულნი ფიცხელ რაშებზე, რკინის ბოძებივით გაქვავებულიყვნენ ერთ ადგილას და ისეთივე გაფაციცებით მოელოდნენ ბრძოლის დაწყების ნიშანს, როგორც თავიანთი გახურებული ცხენები, რომლებიც მოუთმენლობისაგან გამწარებით ჭიხვინებდნენ და მიწაზე ტორებს სცემდნენ.

ოროლები ზეაღემართათ რაინდებს და წამახვილებულ ბუნიკებს მზეზე ლაპლაპი გაუდიოდა. იდგნენ და ელოდებოდნენ, მანამ ასპარეზობის მარშლები ჩამოივლიდნენ და მწკრივებს დიდის გულისყურით შეამოწმებდნენ - რიცხვით ხომ არ სჭარბობდა რომელიმე მხარე. ყველაფერი წესიერად აღმოჩნდა. მარშლებმა მოედანი დატოვეს, უილიამ დე ვივილმა კი მეხივით დაიქუხა -

Laisser aller! - ეს იყო დაწყების ნიშანი. მაშინვე საყვირებს ჩაბერეს, ზეაღმართული შუბები დაბლა დაეშვა, დეზები ცხენების ფერდებს მიერჭო და

ორივე რაზმის წინა მწკრივები გაცოფებით მოსწყდნენ ადგილს, მოედნის შუაგულში ეკვეთნენ ერთმანეთს, მათი შუბების ძგერების ხმა ცხრა მთას იქით გაისმა. უკანა მწკრივები უფრო მძიმედ დაიძრნენ, რათა დამარცხებულ ამხანაგებს მიშველებოდნენ და გამარჯვებულ თანამებრძოლებთან ერთად მათაც ეცადათ ბედი.

ბრძოლის ბედი მაშინვე არ გარკვეულა, რადგან მოედანზე მტვრის კორიანტელი დადგა, და აღელვებული მაყურებელი ერთხანს ვერაფერს ხედავდა, როცა მტვერი გაიფანტა, მაშინღა იხილეს, რომ ნახევარი რაინდები, ორივე მხარეს, ცხენებიდან გადმოვარდნილიყვნენ - ზოგი მოწინააღმდეგის შუბს დაენარცხებინა მიწაზე, ზოგს დაჯახების სიმძიმისთვის ვეღარ გაეძლო და ცხენიანად აკოტრიალებულიყო; ზოგი ისე გაშხლართულიყო მინდორზე, თითქოს ადგომას აღარც ცდილობსო, ზოგიერთს უკვე მოესწრო ფეხზე წამოდგომა და ხელჩართული ბრძოლა გაემართა თავისივე ბედში ჩავარდნილ მოწინააღმდეგისათვის. ზოგ-ზოგს კი ისე მოთქრიალებდა სისხლი, ხელსახოცით ძლივს იმაგრებდა და იმასღა ცდილობდა, როგორმე ამ ჯახაჯუხისაგან დაეღწია თავი. ცხენზე ამხედრებულ რაინდებს, რომელთაც შუბები პირველივე შეტაკების დროს დამსხვრეოდათ, ახლა მახვილი ეშიშვლათ, ომახიანად ყიოდნენ და ისე გაცოფებით უჩახუნებდნენ ერთმანეთს, თითქოს მათი პატივი და თვით სიცოცხლეც კი მთლიანად ამ ბრძოლაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

მაშველი მწკრივების შემოერთებამ კიდევ უფრო გააფიცხა ბრძოლა, ისინი თავგანწირვით გადაეშვნენ ბრძოლაში და ამხანაგებს გვერდში ამოუდგნენ. Ha! Beau-seant! Beau-seant![24] ტაძრისათვის, ტაძრისათვის! - გაჰკიოდნენ ბრიან დე ბუა გილბერის მომხრეები. Desdichando! Desdichando! - ყიჟინითვე უპასუხებდნენ მოწინააღმდეგენი. თვაიანთი ბელადის ფარზე ამოკვეთილი ნიშანი ახლა საომარ ყიჟინად გამოეყენებინათ.

რაინდები გაცოფებით უტევდნენ ერთმანეთს, ხან ერთი რაზმი მძლავრობდა, ხან მეორე, და ამისდა მიხედვით, ხან მოედნის სამხრეთ მხარეს მოედებოდა გამარჯვების მღელვარება, ხანაც ჩრდილოეთს. ხმლების ჩახაჩუხი და მებრძოლების ყიჟინა ისე შემაძრწუნებლად არეოდა საყვირების ჭყვიტინს, რომ აღარც კი ისმოდა კვნესა დამარცხებული რაინდებისა, რომლებიც ცხენების ფეხებში ჩავარდნილიყვნენ და მიწაზე უმწეოდ გორავდნენ.

მებრძოლთა დიდებული აბჯარი მტვერსა და სიხლში მოთხვრილიყო და ჩუგლუგისა და მახვილის ყოველ შემოკვრაზე სულ ლაწალუწი გაუდიოდა. მუზარადებიდან მოწყვეტილი ფრთის ნაგლეჯები თოვლის ფანტელებივით დაფარფატებდა ჰაერში. მხედრულ აღჭურვილობას უკვე დაეკარგა პირვანდელი პეწი და ლაზათი და ახლა შიშსა და თანაგრძნობასღა აღძრავდა.

მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია - არა მარტო ყოველგვარ ფათერაკს შეჩვეული მამაკაცები უყურებდნენ ამ საშინელ სანახაობას გატაცებით, არამედ წარჩინებულ მანდილოსნებსაც ვერ

მოეწყვიტათ თვალი და თრთოლვით შესცქეროდნენ. მართალია, აქა-იქ მშვენიერ ღაწვებს უცებ ნაცრისფერი გადაუვლიდა, კვნესაც აღმოხდებოდა ხოლმე, როცა თავიანთ მიჯნურს, ძმას ან ქმარს დაინახავდნენ ცხენიდან ჩამოვარდნილს, მაგრამ, საერთოდ, მანდილოსნებიც აქეზებდნენ მებრძოლებს, და არა მარტო ტაშითა და ხელსახოცების ქნევით, არამედ, როცა მარჯვედ მოქნეულ ხმალსა და შუბს დაინახავდნენ, შესძახებდნენ კიდეც: „შენი შუბის ჭირიმე! შენს ხმალს ვენაცვალე!“

ქალები რომ ასეთი ამბით შეჰყურებდნენ ამ სისხლისმღვრელ შეტაკებას, ადვილი წარმოსადგენია კაცები რა ყოფაში იქნებოდნენ: ისე დაჟინებით მიშტერებოდნენ მოედანს და ყოველი ცვლილების დრო ისეთ ყიჟინას დასცემდნენ, გეგონებოდათ, ბრძოლის ველზე თვითონ ტრიალებენ, დარტყმებს თვითონ აგემებენ და თვითონვე იგერიებენო. როგორც კი ცოტათი მიწყნარდებოდა ბრძოლა, ჰეროლდები ატეხდნენ ხოლმე ყვირილს - „აბა ჰე, მამაცნო რაინდნო! კაცი - მოკვდავია, დიდება - საუკუნო!.. დასცხეთ!.. დამარცხებას სიკვდილი გერჩივნოთ!.. დასცხეთ, მამაცნო რაინდნო!.. მშვენიერი თვალები თქვენ შემოგცქერიან!“

ბრძოლის ბედი წამდაუწუმ იცვლებოდა და ხალხი გაფაციცებით ეძებდა ხოლმე მოწინააღმდეგე რაზმების ბელადებს, რომლებიც ფიცხელ შეტაკებაში ჩაერეოდნენ. და შეძახილითაც და პირადი მაგალითითაც თანამებრძოლებს ამხნევებდნენ. სიმამაცით ორივე გამოირჩეოდა, არც ერთ

რაზმში არ მოიპოვებოდა ისეთი ვინმე, რომ ბუა გილბერსა და სამკვიდრომოკლებულ რაინდს გამკლავებოდა. ურთიერთმტრობით აღგზნებულნი, გამწარებით ეძებდნენ ერთმანეთს, რომ პირისპირ შეჰყროდნენ. იცოდნენ, ამითი ბრძოლის ბედიც გადაწყდებოდა. მაგრამ ისე ათქვეფილიყო ეს

ორი რაზმი ერთმანეთში, ისეთი ზედახორა იდგა, რომ ერთხანს ვერ მოეხერხებინათ პირისპირ შეყრა, თავიანთივე თანამებრძოლები გადაეღობებოდნენ ხოლმე, რომლებიც თავის გამოსაჩენად ცდილობდნენ მოწინააღმდეგე რაზმის წინამძღოლს შერკინებოდნენ.

მაგრამ ბრძოლის ველი თანდათან შეთხელდა. ზოგი მებრძოლი თვითონვე დანებდა, ზოგი მოედნის კუთხეში მიჩიხეს, ზოგი მიწაზე გაშოტეს, ასე რომ, ტაძრელი და სამკვიდრომოკლებული რაინდები ბოლოს და ბოლოს ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და დიდების მოხვეჭის სურვილითა და საშინელი მტრობით აღგზნებულნი გაცოფებით ეკვეთნენ ერთმანეთს. ისეთის სიმარჯვითა და შეუპოვრობით უტევდნენ ურთიერთს და ისე მოხდენილად იგერიებდნენ დარტყმებს, რომ ირგვლივ აღტაცებისა და კმაყოფილების განუწყვეტელი ყიჟინი იდგა.

მაგრამ ამ დროს სამკვიდრომოკლებული რაინდის რაზმს გაუჭირდა: ცალ ფრთაზე ფრონ დე ბეფის ვეება მკლავი ტრიალებდა, მეორე ფრთაზე კი ათელსტანი აღმართულიყო კლდესავით - ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერავინ ვერ უმაგრდებოდა: ზოგი დასცეს, ზოგი გააქციეს. მერე,

რაკი პირადი მოწინააღმდეგე აღარავინ შერჩათ, ეტყობა, ორივემ ერთდროულად მოიფიქრა, ტაძრელ რაინდს მიშველებოდნენ და ამით საბოლოოდ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ ბრძოლის ბედი. მოატრიალეს ცხენები და ნორმანიცა და საქსიც სხვადასხვა მხრიდან დაიძრნენ სამკვიდრომოკლებული რაინდისაკენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში, გვერდებიდან მოულოდნელი თავდასხმის დროს ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მისი გადარჩენა, მაგრამ ხალხი რას მოითმენდა - ხელადვე შეუყვირეს და გააფრთხილეს.

-ფრთხილად! ფრთხილად, სამკვიდრომოკლებულო! - ერთხმად შესძახა ყველამ და რაინდმაც მაშინვე შენიშნა საშიშროება, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ტაძრელს შემოჰკრა, და სწორედ იმ წუთში, როცა ათელსტანი და ფრონ დე ბეფი გვერდებიდან უნდა დასჯახებოდნენ, ისე მოხდენილად დასწია რაში უკან, რომ ეს რაინდები ლამის ერთმანეთს შეანარცხა; თავი მაინც ვეღარ დაუჭირეს ცხენებს და ტაძრელის და მისი მოწინააღმდეგის შუაში გაიქროლეს, სულ სხვადასხვა მიმართულებით. ბოლოს, როგორც იქნა, ცხენებს სადავე დაუჭირეს, შემოტრიალდნენ და ახლა სამივე რაინდი გაექანა სამკვიდრომოკლებულისაკენ, რათა საერთო ძალით ჩამოეგდოთ.

სამკვიდრომოკლებულ რაინდს ბედზე საოცრად ღონიერი და იშვიათი სიმკვირცხლის რაში შეხვდა, - გუშინდელ ასპარეზობაში ჯილდოდ მიღებული, - თორემ ვერაფერი იხსნიდა.

ამან მართლაც რომ უშველა, რადგან ბუა გილბერის ცხენი დაჭრილიყო, ხოლო ათელსტანისა და ფრონ დე ბეფის ცხენები, თავიანთი ბუმბერაზი მხედრის სიმძიმეს, მათივე აბაჯარსა და წინა დღის ჯაფას უკვე წელში გაეზნიქა. სამკვიდრომოკლებული რაინდი ისე მარჯვედ ატრიალებდა ცხენს და ცხენიც ისეთის სიცქაფით ემორჩილებოდა, რომ რამდენიმე წუთს ყოჩაღად იგერიებდა სამივეს, ქორის სისწრაფით სრიალებდა, ცდილობდა გაეცალკევებინა მოწინააღმდეგენი, და მერე ხან ერთს მიხდომოდა და ხან მეორეს, მაგრად შემოჰკრავდა მახვილს და მანამ მოწინააღმდეგე საპასუხო მოქნევას მოასწრებდა, ეს ახლა უკვე მეორე რაინდს უტევდა.

მთელი ხალხი თავგამოდებით უკრავდა ტაშს იმის სიმარჯვეს, მაგრამ აშკარა იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც სძლევდნენ. კარისკაცებმა პრინც ჯონსა სთხოვეს, კვერთხი გადაეგდო და მამაცი რაინდი ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებისაგან ეხსნა.

- არაფრის გულისთვის, ზეცის მადლმა, მაგას არ ვიზამ! - მიუგო პრინცმა, - ეს ვაჟბატონი სახელს არ გვიმხელს, პურ-მარილზე წიხლს გვიკრავს... ერთი ჯილდოც იკმაროს, ახლა სხვას ერგოს!..

მაგრამ პრინცს თავისი სათქმელი არც კი დაემთავრებინა, რომ მოულოდნელი შემთხვევის წყალობით, საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა.

სამკვიდრომოკლებული რაინდის რაზმში ერთი შავ აბჯარში ჩასხმული რაინდი ერია, ცხენიც შავი ჰყავდა - დიდი და ზორბა, და ეტყობოდა პატრონივით ღონიერი და მაგარი უნდა ყოფილიყო. ფარზე არავითარი ნიშანი არ ჰქონია ამოკვეთილი და განზე იდგა, თავი მაინცდამაინც არ გამოუდვია - თუ ვინმე შეუტევდა, ძალიან ადვილად იგერიებდა, თავად კი არც ვინმეს გამოსდევნებია და არც არვინ გამოუწვევია ბრძოლაში. ერთი სიტყვით, მაყურებელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ასპარეზობის მონაწილეს, და ამიტომ ხალხმა Le Noir Faineant - შავი ზარმაცი შეარქვა.

მაგრამ წინამძღოლი რომ ასეთ გასაჭირში დაინახა, ერთბაშად დასძლია გულგრილობა. თავის სრულიად დაუღლელ ცხენს დეზები ამოჰკრა და ელვასავით გაქანდა მისაშველებლად, თან ომახიანად შეჰყვირა - „მოვ-

დივარ სამკვიდრომოკლებულო!“ სულზე მიუსწრო! მანამ სამკვიდრომოკ-ლებული რაინდი ტაძრელს უტევდა და ავიწროებდა, ხმალმომარჯვებული ფრონ დე ბეფი გვერდიდან წამოეპარა, მაგრამ მოქნევა ვეღარ მოასწრო, შავმა რაინდმა ზედ თავზე დაჰკრა, ხმალი მის გაპრიალებულ მუზარადზე ჩამოცურდა და ცხენსაც მოხვდა - ძლიერი დარტყმისაგან დარეტიანებული ფრონ დე ბეფი და მისი რაში მიწაზე გაგორდნენ. ახლა ათელსტან კონინ-გსბურგელისაკენ მიატრიალა ცხენი შავმა ზარმაცმა, და რაკი ხამლი უკვე ფრონ დე ბეფთან შეტაკებაში გადატყდომოდა, საქსონელ დევკაცს გამოს-ტაცა ხელიდან ჩუგლუგი. ეტყობოდა, ამ იარაღზედაც ჰქონდა გაწაფული ხელი, - ერთი ისეთი სთხლიშა მუზარადში, რომ

ათელსტანიც უგრძნობლად გაიშოტა მიწაზე. ზედიზედ ამ ორი გამარ-ჯვების შემდეგ შავ რაინდს, ეტყობა, ისევ წამოუარა ბუნებითმა სიზარმაცემ, ბრიან დე ბუა გილბერი წინამძღოლს მიუტოვა და თვითონ მოედნის ჩრდი-ლოეთისაკენ გაბრუნდა არხეინად. ტაშმა იქაურობა გააყრუა, რადგან შავი ზარმაცისაგან აღარავინ ელოდა ასეთ გმირობას. ბუა გილბერთან გამკლა-ვება უკვე აღარ იყო ისე ძნელი სამკვიდრომოკლებული რაინდისათვის. ტაძრელის ცხენს სისხლი მოთქრიალებდა, მეტად ვეღარ გაუძლო სამკვიდ-რომოკლებულის შეტევას და ჩაიკეცა. ბრიან დე ბუა გილბერი მიწაზე გა-გორდა, ცალი ფეხი უზანგში შერჩა და ვეღარ გამოიღო. მისი მოწინააღმდე-გე მყისვე ჩამოხტა ცხენიდან, თავისი საბედისწერო ხმალი მტერს მოუღერა და, დამნებდიო, შესძახა. მაგრამ ასეთ სამარცხვინო დამორჩილებას პრინ-ცმა გადაარჩინა - ტაძრელი რაინდის შერცხვენით შეშფოთებულმა, ხელად-ვე გადააგდო კვერთხი და ამით ბრძოლაც დამთავრდა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბრძოლის ცეცხლი ისედაც მიბჟუტული იყო - თითო-ოროლა რაინდიღა დარჩენილიყო მოედანზე და იმათი უმრავლე-სობაც, თითქოს უსიტყვოდ შეთანხმებულანო, ისე იდგნენ ხმალჩაგებულნი, თავიანთ წინამძღოლებისათვის მიენდოთ ბრძოლის ბედი.

საჭურველთმტვირთველებმა, რომელთაც აქამდე სახიფათოდ და სა-ვაივაგლახოდ მიაჩნდათ ბრძოლის დროს თავიანთი ბატონებისათვის მიშ-ველება, - ახლა გამოიღეს ხელი: ხროვად შეცვივდნენ მოედანზე, რათა დაჭრილებისთვის საჭირო დახმარება გაეწიათ. დიდის

სიფრთხილით წაიყვანეს დაჭრილები - ზოგი მახლობელ კარვებში, ზო-გი კიდევ მეზობელ სოფელში, სადაც ადრევე მოემზადებინათ საწოლები.

ასე დამთავრდა აშბი დე ლა ზუშის ღირსსახსოვარი ბრძოლა, იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდებული ასპარეზობა. მართალია, ოთხ რაინდზე მეტი არ დაღუპულა - ამათგან ერთი თავისივე აბჯრის სიმხურვალემ დაახრჩო და იქვე მოკვდა, ბრძოლის ველზე - მაგრამ, სამაგიეროდ, ოცდაათზე მეტი მძიმედ დაიჭრა და დასახიჩრდა. ოთხი-ხუთი ვეღარც გამორჩა, ხოლო ბევრი სამუდამო საპყარი დარჩა, და იმათაც კი, ვისაც ბედმა გაუღიმა და უფრო იოლად გადარჩა, ამ ბრძოლის დაღი სამარის კარამდე გაჰყვა. ჟამთააღმწერლებიც ამ ბრძოლას მოიხსენებენ როგორც „აშბის კეთილშობილსა და მხიარულ შერკინებას“.

ახლა პრინც ჯონს უნდა დაესახელებინა იმ დღის ფალავანი, და მანაც გადაწყვიტა ის რაინდი აერჩია, ვისაც ხალხმა შავი ზარმაცი შეარქვა. პრინცს შეჰკადრეს, ეს უსამართლობა იქნებაო, სინამდვილეში ბრძოლა სამკვიდრომოკლებულმა რაინდმა მოიგო, რომელმაც ჯერ იყო და საკუთარი ხელით სძლია ექვს რაინდს, ხოლო ბოლოს მოწინააღმდეგე რაზმის ბელადი ჩამოაგდო და დაიმორჩილაო. მაგრამ პრინცი მაინც თავისაზე იდგა - შავი რაინდი რომ არ მიშველებოდა, სამკვიდრომოკლებულსა და მთელ მის რაზმს დღევანდელი ასპარეზობა წაგებული ჰქონდაო.

მაგრამ ყველას გასაკვირად ეს დიდებული რაინდი ვეღარსად ნახეს. ბრძოლის დამთავრებისთანავე წასულიყო მოედნიდან, ზოგს დაენახა კიდეც, ისევე ზანტად და აუჩქარებლად დაადგა ტყის ბილიკს, როგორც მოედანზე ირჯებოდაო. ორჯერ მოუხმეს საყვირებით, ორჯერ გამოიძახეს ჰეროლდებმა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იძულებული შეიქნენ, მისთვის გამზადებული ჯილდო სხვა რაინდისათვის მიეკუთვნებინათ. პრინცი უკვე ვეღარაფერს მოიმიზეზებდა სამკვიდრომოკლებულის წინააღმდეგ - იმ დღის ფალავანადაც ის გამოაცხადა.

სისხლით გალიპულ, ადამიანთა და ცხენების გვამებითა და დალეწილი აბჯრით მოფენილ მინდორზე ასპარეზობის მარშლებმა კიდევ ერთხელ გაატარეს ფალავანი და პრინც ჯონს მიჰგვარეს.

- სამკვიდრომოკლებულო რაინდო, - უთხრა პრინცმა, - რაკი ვინაობის გამხელა არ გსურს, ჩვენც ასე მოგმართავთ. მეორედაც შენ განიჭებთ ამ ასპარეზობის ფალავანობას და გიცხადებთ, რომ უფლება გაქვს სილამაზისა და სიყვარულის დედოფლისაგან მიიღო საპატიო გვირგვინი, რომელიც შენ ღირსეულად დაიმსახურე.

რაინდმა მდაბლად დახარა თავი, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

ისევ ჩაბერეს ბუკს, ჰეროლდები გამარჯვებული რაინდის სადიდებელს გაჰკიოდნენ. მანდილოსნები ხელსახოცებსა და მოქარგულ პირსაბურავებს აქნევდნენ, მდაბიოცა და წარჩინებული მაყურებელიც ერთნაირის აღ-ფრთოვანებით ყვიროდნენ... მარშლებმა სამკვიდრომოკლებული რაინდი წამოიყვანეს და ამჯერად იმ საპატიო ტახტთან მიიყვანეს, რომელზედაც ლედი როენა იჯდა. მიიყვანეს და ტახტის სულ ქვემოთა საფეხურზე მოად-რეკინეს მუხლი.

რაც ბრძოლა დამთავრდა, სამკვიდრომოკლებულ რაინდს თითქოს ძა-ლათი აკეთებინებდნენ ყველაფერს. შენიშნეს კიდეც, რომ მოედანზე მე-ორედ გატარების დროს იგი ტორტმანებდა. როენა ღირსეულად წამოდგა და კეკლუცად დაეშვა კიბეზე, ის იყო, რაინდისათვის თავზე გვირგვინი უნდა დაედგა, რომ მარშლებმა ერთხმად შესძახეს - „ნუ დაადგამთ! ჯერ მუზარა-დი მოიხადოს!“ რაინდმა რაღაც ამოილუღლუღა, მაგრამ მისი სიტყვები მუ-ზარადმა შთანთქმა. ეტყობოდა, ნუ მომხსნითო, ითხოვა.

ყოველგვარი წესების დაცვის მიზნით, თუ ცნობისმოყვარეობის გამო, მარშლებმა ყურადღება არ მიაქციეს მის თხოვნას, თასმები შეუხსნეს და მუ-ზარადი მოხსნეს. გამოჩნდა ოცდახუთიოდე წლის ჭაბუკის მზით დამწვარი ლამაზნაკვთებიანი პირისახე და კოხტა თავი, რასაც მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმა უფარავდა. ფერი სიკვდილივით მიხდოდა და ორ-სამგან სის-ხლის ლაქა აჩნდა.

როენას სუსტი კივილი აღმოხდა, მაგრამ ხელადვე მოეგო გონს, თავი შეიკავა, უეცარი მღელვარებისაგან ათრთოლებულმა რაინდს დახრილ თავზე გამარჯვების დიდებული გვირგვინი დაადგა, თან კი მძიმედ და გარ-კვევით წარმოთქვა: „მიიღე ეს გვირგვინი, ბატონო რაინდო, როგორც დღე-ვანდელი გმირული გამარჯვების ჯილდო“, ცოტა ხანს შედგა და მერე მტკი-ცედ განაგრძო: „რაინდის გვირგვინს ჯერაც არ დაუმშვენებია ამაზე ღირსეუ-ლი თავი“.

რაინდმა თავი დახარა და ხელზე ეამბორა მშვენიერ დედოფალს, რომ-ლემაც მამაცობის ჯილდოდ იგი გვირგვინით შეამკო. მერე თავი ჩამოუვარ-და და ქალბატონის ფერხთით უგრძნობლად დაეცა.

ხალხი შეჩქვიფთა. შინიდან განდევნილი შვილის უეცარი გამოჩენით ენაჩავარნილი სედრიკი ზეწამოიჭრა და გამოქანდა, თითქოს ეშურება როენას მოაშოროსო, მაგრამ ასპარეზობის მარშლებმა დაასწრეს, ისინი მაშინვე მიხვდნენ აივენჰოს გულის წასვლის მიზეზს, ხელადვე გაიყვანეს, აბჯარი გახადეს და ნახეს, რომ შუბის წვერს ჯაჭვის პერანგში შეეღწია. გვერდში დაჭრილიყო.

თავი მეცამეტე

გმირებს გასძახებს არტიდესი: აბა, გმირებო,
თქვენგანს, რომელსაც გული ერჩის, ჩემთან მოვიდეს.
ვინც გულოვნებით, მოხერხებით, ღონით, სიმარჯვით
სხვებს გააფასებს და ყველაზე შორს სტყორცნის ისარს,
აგერ, ეს ძროხა, ღირებული ოცი ხარისა,
მისი იქნება - გამარჯვების ძღვნადა და ჯილდოდ“.
ილიადა

გაიგონეს თუ არა, სამკვიდრომოკლებული რაინდი აივენჰო ყოფილაო, ხალხმა ერთბაშად აიტაცა ეს სახელი და, დაუღალავი ენისა და ცნობისმოყვარე ყურის შესაფერი სისწრაფით მოედო ყველას. რაღა თქმა უნდა, პრინცის კარვამდეც მიაღწია. ახალი ამბის გაგონებაზე პრინცი მოიღუშა. მიიხედ-მოიხედა და ზიზღით წარმოთქვა:

- ბატონებო, განსაკუთრებით კი თქვენ მოგმართავთ, ბატონო წინამძღვარო: სწავლულებს რომ რაღაც მოსაზრება აქვთ თანდაყოლილ სიმპათიასა და სიძულვილზე, თქვენ რაღას იტყვით?

თითქოს გული მიგრძნობდა, რომ სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო ჩემი ძმის საყვარელი კაცი, თუმცა, არც კი მიფიქრია ეს აბჯარი თუ ფარავდა.

- ფრონ დე ბეფი იძულებული იქნება მამულები დაუბრუნოს აივენჰოს, - თქვა დე ბრასიმ, რომელსაც ღირსეულად შეესრულებინა თავისი მოვალეობა ასპარეზობაში, ახლა კი უკვე მოეხსნა ფარი და მუზარადი და ისევ პრინცის ამალაში გარეულიყო.

- მაშა, - დაუმოწმა ვოლდემარ ფიცურსმა, - ეს ვაჟბატონი ალბათ უკანვე მოითხოვს რიჩარდის ბოძებულ ციხე-კოშკსა და მამულს, რომელიც მერე თქვენმა უმაღლესობამ ფრონ დე ბეფს გადასცა გულუხვობის ნიშნად.

- ფრონ დე ბეფი იმისთანა კაცია, რომ სამ მაგისთანა მამულს კიდევ გადაყლაპავს, დათმობით კი ერთსაც არ დათმობს. ისე კი, იმედი მაქვს, საეჭვოს არ გახდით ჩემს უფლებებს და მხარს დამიჭერთ, რომ სამეფო მამულები იმ ერთგულ კარისკაცებს დავურიგო, ვინც ნიადაგ გვერდში მიდგანან და მზად არიან სამხედრო სამსახური გამიწიონ, ნაცვლად იმ რაინდებისა, რომლებიც ცხრა მთას იქით გადაკარგულან და საჭიროების დროს კაცი ვერ დალანდავს.

იქ მყოფი თავადები ისე იყვნენ დაინტერესებულნი ამით, რომ გულშიაც კი არ გაუვლიათ, პრინცის მითვისებულ უფლებაში ეჭვი შეეტანათ და მხარი არ დაეჭირათ მისთვის.

- რა გულუხვი პრინცი გვყავს! კეთილშობილებაც ამას ჰქვია - სულ იმის ზრუნვაშია, რომ თავისი ერთგული კარისკაცები დააჯილდოოს.

ეს სიტყვები ერთხმად აღმოხდა პრინცის ამალას, თუმცა გულში ყველა მათგანი იმედოვნებდა რიჩარდ მეფის მომხრეებისა და ახლო პირებისგანაც მიეღო წყალობა. ზოგ-ზოგს უკვე მოესწრო კიდეც ასეთი წყალობის მიღება. საერთო აზრი წინამძღვარმაც გაიზიარა. მაგრამ მაინც შენიშნა: „იერუსალიმზე სულაც არ ითქმის ცხრა მთას იქითო. იგი ყველას დედაა, ქრისტიანების საერთო დედა. მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, - განაცხადა მან, - სად იერუსალიმი და სად რაინდი აივენჰო. ვინ არ იცის, რომ რიჩარდი და მისი ჯვაროსნები ასკალონს[25] არ გასცილებიან, ხოლო ასკალონი ფილისტინელების ქალაქია და წმიდა ქალაქთან არაფერი ესაქმება“.

ვოლდემარ ფიცურსი, რომელსაც ცნობისმოყვარეობა მორეოდა და იმ ადგილისაკენ წასულიყო, საცა აივენჰო დაეცა, ახლა უკანვე მობრუნდა.

- ეს მამაცი რაინდი, - მოახსენა მან პრინცს, - ბევრს აღარ შეაწუხებს თქვენს უმაღლესობას, ფრონ დე ბეფიც გულარხეინად უნდა იყოს თავის მამულში - აივენჰოს მძიმე ჭრილობა აქვს.

- რაც არ უნდა მოელოდეს, - ბრძანა პრინცმა, - დღევანდელი ფალავანი ის არის, და ათჯერ

უფრო საშინელი მტერიც რომ იყოს, ანდა ჩვენი ძმის ერთგული მეგობარი, - თუმცა ეს ერთი და იგივეა, - დაჭრილს უნდა მოვუაროთ, ჩვენი საკუთარი მკურნალი დააყენეთ თავზე.

პრინცს ცივი ღიმილი გადაეფინა სახეზე. ვოლდემარ ფიცურსმა მაშინვე უპასუხა, აივენჰო უკვე წაიყვანეს და თავისი ახლობლები უვლიანო.

- გული დამეთუთქა, - განაგრძო მან, - როცა სიყვარულისა და სილამაზის დედოფალი ვნახე ასე შეწუხებული: ერთი დღე ერგო დედოფლობა და ისიც ვაების დღედ გადაექცა. ისეთი კაცი არა ვარ, რომ სატრფოზე მკვნესარე ქალმა დამაღონოს, მაგრამ უნდა ნახოთ, რა ღირსეულად მალავს მწუხარებას, მარტო თვალებსა და ათრთოლებულ ხელებზე თუ შეატყობ: დგას გულხელდაკრეფილი და ცრემლებგამშრალი თავლებით შეჰყურებს მის წინ უსიცოცხლოდ განრთხმულ ჭაბუკს.

- ვინ არის ეს როენა, ასე რომ გამოგვიჭედეს მაგისი ქებით ყურები? - იკითხა პრინცმა.

- დიდი საქსონელი წარჩინებულის მდიდარი მემკვიდრე გახლავთ, - მიუგო წინამძღვარმა, - სილამაზის ვარდი და ყოველგვარი განძეულის მარგალიტი, მშვენიერთა შორის უმშვენიერესი.

- არა უშავს, ვანუგეშებთ, - თქვა პრინცმა, - მერე კი სისხლსაც გავუკეთილშობილებთ - ნორმანს მივათხოვებთ. ჯერ უწლოვანი ჩანს და უფლება გვაქვს, ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ მისი ბედი... შენ რას იტყვი, დე ბრასი? არ გინდა ვილჰელმ დამპყრობელის ჯარისკაცების დარად შენც საქსონელზე დაგწეროთ ჯვარი და მისი სიმდიდრე და მამულებიც გიბოძოთ?

- მამულები თუ ექნა ჩემი მოსაწონი, მილორდ, - მიუგო დე ბრასიმ, - პატარძალი როგორიც უნდა იყოს, აღარ დავეძებ. დიდი მადლობელიც ვიქნები თქვენი უმაღლესობისა ამ კეთილი საქმისათვის; ამით ყველაფერს შეუსრულებთ თქვენს მსახურსა და ვასალს, რასაც კი ოდესმე შეჰპირებიხართ.

- კარგი, არ დავივიწყებთ, - უთხრა პრინცმა, - ბარემ ახლავე შევუდგეთ საქმეს: ჩვენს სენეშალს უბრძანე, ამაღამდელ მეჯლისზე ქალბატონი როენა

და მისი მეგობრები მოიწვიოს - ბრიყვი და ყბედი მეურვე რომ ჰყავს, და ის საქსონელი ხარიც, შავმა რაინდმა რომ დასცა ასპარეზობაში... დე ბიგოტ, - მიმართა პრინცმა თავის სენეშალს, - ისე თავაზიანად გადაეცი ჩვენი დრეევანდელი მოწვევა, რომ თავმოყვარეობა არ შეულახო იმ საქსონებს და ახლა მაინც არ ათქმევინო უარი... თუმცა ბეკეტის ძვლებსა ვფიცავ, მაგათთვის თავზიანობა იგივეა, ღორს რომ მარგალიტი დაუყარო.

თქვა და ის იყო ნიშანი უნდა მიეცა, მოედანი დააცლევინეთო, რომ ხელში პატარა ბარათი მიაჩეჩეს.

- ვისგან არის? - ჰკითხა მან ბარათის მომტანს.

- უცხოეთიდან გახლავთ, მილორდ, ოღონდ სახელდობრ რომელი ქვეყნიდან, ეგ კი აღარ ვიცი, - მიუგო მსახურმა, - ვიღაც ფრანგმა მოიტანა, დღე და ღამე არ შემისვენებია ცხენი, რომ თქვენი უმაღლესობისათვის ჩქარა გადმომეცაო, ასე ამბობს.

პრინცმა ჯერ მისამართი დაათვალიერა, მერე ბეჭედს დახედა, რომლითაც ბარათზე შემოხვეული აბრეშუმის ძაფი იყო დამაგრებული. ბეჭედზე სამი შროშანი იყო გამოსახული. ჯონმა ყველასათვის შესამჩნევი აღელვებით გახსნა ბარათი. ხოლო როცა წაიკითხა, კიდევ უფრო აღელდა.

„ გაფრთხილდი, ეშმაკმა აიწყვიტა!“

ეწერა ბარათში.

პრინცი მკვდარივით გადაფითრდა, ჯერ დაბლა დაიხედა, მერე ცისკენ აღაპყრო თვალი, იმ ტყვეს

დაემსგავსა, რომელსაც ეს არის სასიკვდილო განაჩენი წაუკითხეს. როცა ცოტათი მოეგო გონს, ვოლდემარ ფიცურსი და დე ბრასი გვერდზე გაიხმო და ბარათი მათაც წააკითხა.

- ეს იმის მაუწყებელია, რომ ჩემი ძმა რიჩარდი გაუთავისუფლებიათ, - თქვა მან გაბზარული ხმით.

- იქნებ ყალბი იყოს, შეთითხნილი ბარათი, - ივარაუდა დე ბრასიმ.

- არა, ფრანგთა მეფის ხელსა და ბეჭედს კარგად ვიცნობ, - მიუგო პრინცმა.

- თუ ასეა, - თქვა ფიცურსმა, - ჩვენი ხალხი სასწრაფოდ უნდა შევყაროთ ან იორკში, ან სადმე სხვა მარჯვე ადგილას. კიდევ რამდენიმე დღე რომ დავაყოვნოთ, გვიანღა იქნება. ეს ტაკიმასხარაობა ახლავე უნდა შეაწყვეტინოთ, თქვენო უმაღლესობავ.

- იომენებსა და მდაბიო ხალხს გულნატკენს ნუ გავუშვებთ: გართობისათვის არიან მოსული, - შეესიტყვა დე ბრასი.

- დაღამებამდე ჯერ დიდი დროა, - მიუგო ვოლდემარმა, - მეშვილდისრენი შევაჯიბროთ ცოტა ხნით ერთმანეთს და დავაჯილდოვოთ: პრინცის დანაპირებიც შესრულებული იქნება და საქსონელი მეღორეების გულსაც მოვიგებთ.

- შენი მადლობელი ვარ, ვოლდემარ, - უთხრა პრინცმა, - გამახსენე, რომ იმ გაუთლელ გლეხს, გუშინ რომ შეურაცხყოფა გვაკადრა, სამაგიერო უნდა მივუზღა. ამაღამდელი მეჯლისიც ისე გადავიხადოთ, როგორც ვაპირებდით. ჩემი მბრძანებლობის უკანასკნელი საათიც რომ იყოს ეს, ამ ერთ საათსაც შურისძიებასა და სიამოვნებას შევწირავ... ახალი საზრუნავი ხვალაც გვეყოფა.

საყვირის ხმამ უკანვე მოაბრუნა შინ წასასვლელად გამზადებული ხალხი. გამოაცხადეს, რომ პრინც ჯონს მოულოდნელად რაღაც დიდი საქვეყნო საქმე გამოუჩნდ და იძულებულია ხვალინდელი გართობა-თამაშობანი გააუქმოს. მიუხედავად ამისა, არ უნდა გული დასწყვიტოს ამდენ მამაც იომენს და ძალისა და სიმარჯვის გამოუცდელად გააბრუნოს შინ; ამიტომ მემშვილდისრეთა სახვალიოდ დანიშნულ შეჯიბრს დღესვე ჩაატარებენ. საუკეთესო მოისარისათვის ჯილდოც გამოაცხადეს - ვერცხლით შეჭედილი რქის საყვირი და აბრეშუმის აშურმა, რომელზედაც ნედირობის მფარველის, წმიდა ჰუბერტის სახე იქნებოდა ამოქარგული.

პირველად ოცდაათზე მეტი იომენი გამოვიდა მოედანზე. ბევრი მათგანი ნიდვუდისა და ჩარნვუდის სამეფო ტყეების მცველები და გუშაგები იყვნენ. მაგრამ რომ გაიგეს, ვის უნდა შეჯიბრებოდნენ, დაფრთხნენ და ბარე ოცი კაცი უკანვე გავარდა, თითქმის გარდაუვალი დამარცხების სირცხვილს მოერიდა, რადგან განთქმული მოისრის სახელი იმ დროს შორს იყო ხოლმე გავარდნილი, და ისევე იცოდა ყველამ, როგორც დღევანდელი დოღის მოყვარულებისთვისაა ცნობილი ნიუმარკეტში გამარჯვებული ცხენების ნიშნები და თვისებანი.

რვა კაცი მაინც დარჩა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. პრინცი ტახტიდან ჩამობრძანდა, რათა უფრო კარგად შეეთვალიერებინა ეს რჩეული იომენები, რომელთაგან ზოგს სამეფო მეტყევის ფორმაც ეცვა. ცნობისმოყვარაობა რომ დაიკმაყოფილა, მიიხედ-მოიხედა და მის გუშინდელ

გამგულისებელს დაუწყო ძებნა. ახლაც იქვე იდგა, გუშინდელივით დამშვიდებული.

- ძმობილო, - მიმართა პრინცმა, - გუშინვე შეგატყვე იმ თავხედურ ბაქიბუქზე, რომ დიდი მოყვარული მაგ მშვილდ-ისრისა არ იყავი; არც შევმცდარვარ - ვხედავ, ვერ გაგიბედავს ამ დარჩეულ ბიჭებთან გამოსვლა და ძალის გამოცდა.

- მომიტევეთ კი, სერ, მაგრამ დამარცხების და შერცხვენის შიშს გარდა, სხვა მიზეზიც მაქვს, თავს რომ ვიკავებ და არ გავდივარ, - მიუგო იომენმა.

- მაინც რა მიზეზი? - ჩაეკითხა პრინცი, რომელიც თავისდა უნებურად რაღაც მწვავე ინტერესს გრძნობდა ამ ჭაბუკის მიმართ.

- ჯერ ერთი, - მიუგო მეტყეევემ, - არ ვიცი, ეგ იომენები ისეთსავე ნიშანს თუ ესვრიან, როგორსაც მე; ამას გარდა, არც ის ვიცი, რა გუნებაზე დადგება თქვენი მოწყალება, მესამე ჯილდოც რომ ისეთ კაცს შეხვდეს, რომელსაც თავისდაუნებურად თქვენი გყულისწყრომა დაუმსახურებია.

პრინცი ერთიანად წამოჭარხლდა.

- შენი სახელი? - ჰკითხა მან.

- ლოკსლი, - მოუგო იომენმა.

- მაშ, ყური მიგდე, ლოკსლი, - უთხრა პრინცმა, - როცა ეს იომენები თავიანთ სიმარჯვეს გვაჩვენებენ, შენც უნდა გამოხვიდე და სცადო ბედი. თუ გაიმარჯვე, დაწესებულ ჯილდოს ოც ოქროს მე დავუმატებ, მაგრამ თუ დამარცხდი, მწვანე ქურთუკს გაგხდიან და მაგ თავხედურ ყბედობისა და ტრაბახობისათვის სულ მათრახის ცემით გაგათრევენ მოედნიდან.

- მაგ პირობაზე რომ არ დაგეთანხმოთ და არ გამოვიდე? - ჰკითხა იომენმა, - თქვენი მოწყალების ძალას ვინ გაუმაგრდება, ჩემს გაშოლტვასა და აქედან გაგდებას ბევრი არაფერი უნდა, ამდენი გუშაგი გახვევიათ! მაგრამ მშვილდსაც ხომ ვერ მომაზიდინებენ ძალათი და ვერ გამასროლინებენ!

- ჩემს სამართლიან პირობაზე თუ უარს იტყვი, - უთხრა პრინცმა, - ასპარეზობის გამგებელი მაგ მშვილდსა და ისრებს თავზე გადაგამტვრევს და, როგორც გულდედალ არამზადას, კინწისკვრით გაგაძევებს აქედან.

- ეს სადაური სამართლიანი პირობაა, ზვიადო პრინცო, - მიუგო იომენმა, - მაიძულებთ ლეისტერისა და სტაფორდშირის საუკეთესო მოისარებს შეეჯიბრო, თან კი, თუ დავმარცხდი, შერცხვენით მემუქრებით. რა გაეწყობა, რაკი ასე ინებებთ, მეც თანახმა ვარ.

- თვალი კარგად გეჭიროთ ამაზე, - გააფრთხილა პრინცმა გუშაგები, - უკვე დააწყებინა შიშის კანკალი და არ მინდა, გაიპაროს... აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, - მიუბრუნდა მერე თავის მემშვილდისრეებს, - ყოჩაღად იყავით; ეგერ, იმ კარავში შემწვარი ირემი და ერთი კასრი ღვინო გელით: ჯილდოებს რომ მიიღებთ, მიდით და გამაგრდით.

მოედნის სამხრეთ შესასვლელთან, შემაღელებულ ადგილას, სანიშნე ჩაასვეს. მემშვილდისრეები ცოტათი უფრო ქვემოთ ჩამწკრივდნენ, იქიდან უნდა ესროლათ. წინასწარვე ყარეს წილი, როგორ უნდა განლაგებულიყვნენ. თითო სამ-სამჯერ ისროდა. ამ შეჯიბრს უფრო დაბალი რანგის მოხელე განაგებდა, და „გართობათა მამასახლისი“ ერქვა. ასპარეზობის მარშლები წარჩინებული გვარიშვილები იყვნენ და იომენების თამაშობებში ჩარევა ეთაკილებოდათ.

მემშვილდისრეები სათითაოდ გამოდიოდნენ ხოლმე და ისე მარჯვედ ისროდნენ, როგორც ჭეშმარიტ იომენს შეეფერება. ოცდაოთხი ისრიდან ათი მოხვდა ნიშანს, მაგრამ დანარჩენებიც ისე ახლოს ჩაერჭო სანიშნესთან, მაინც კარგ გასროლად ჩათვალეს, რადგან სროლის

მანძილი საკმაოდ დიდი იყო. იმ ათი ისრიდანაც, შიგნითა წრეში მხოლოდ ორი ისარი იყო მოხვედრილი, და ეს ჰუბერტს ეკუთნოდა, მალვუაზენის მეტყევეს. გამარჯვებულადაც ის ჩათვალეს.

- აბა, ლოკსლი, - დამცინავი ღიმილით მიმართა პრინცმა თავხედ იომენს, - რას იზამ, გაეჯიბრები ჰუბერტს თუ მამასახლისს ჩააბარებ მაგ შენს მშვილდსა და და კაპარჭს?!

- რა გზა მაქვს, უნდა ვცადო ბედი, - მიუგო ლოკსლიმ, - ოღონდ ერთი პირობით - თუ ჰუბერტის ორივე ნიშანს მოვახვედრე, მაგანაც მოახვედროს ჩემს ერთ ნიშანს მაინც.

- რას ერჩი, სამართლიანი პირობაა, - დაეთანხმა პრინცი, - ამაზე უარს ვერ ეტყვი... შენ თუ მაგ ბაქიას დაამარცხებ, რქას სულ ვერცხლით გაგივსებ, ჰუბერტ.

- საცდელს არ დავაკლებ, - მიუგო ჰუბერტმა, - პაპაჩემმა ჰასტინგსის ბრძოლაში ისახელა თავი, და იმედი მაქვს მის ხსოვნას არ შევბღალავ.

ძველი სანიშნე აიღეს და ახალი ჩასვეს, იმავე ზომისა. ჰუბერტს, როგორც წინა გასროლის ფალავანს, უფლება ჰქონდა პირველს ესროლა. მანაც მოამზადა მშვილდი და დიდხანს ზომა

მანძილი თვალით. ბოლოს ნაბიჯი წინ წარსდგა, მშვილდი მოზიდა, სახეს გაუპირისპირა, თითქმის ზედ ყურთან მიიტანა ლამბი. ისარმა ჰაერში გაისისინა და შიგნითა წრეში ჩაერჭო, ოღონდ შუაგულში არა.

- შენ ქარი არ გაითვალისწინე, ჰუბერტ, - უთხრა მეტოქემ და თავისი მშვილდი მოამზადა, - თორემ მაგ გასროლით უფრო მარჯვედ მოახვედრებდი.

ნაბიჯი წინ წარსდგა და სავსებით დამშვიდებულად, თითქმის დაუდევრადაც კი, მოზიდა მშვილდი, ნიშნისათვის თითქოს არც შეუხედავს, ისე გასტყორცნა ისარი, რომ ენა არ გაუჩერებია - ლაპარაკობდა, მაგრამ ჰუბერტის ისარზე ორი გოჯით უფრო ახლოს მოახვედრა სამიზნის თეთრ გულს.

- ღვთის მადლმა, სახრჩობელას ღირსი იქნები, მაგ მაწანწალას თუ დააჯაბნინე თავი.

ჰუბერტს ერთი პასუხი ჰქონდა და სულ იმას იმეორებდა:

- მართალაც რომ ჩამომახრჩოთ, თქვენო მოწყალებავ, რა ვქნა, თავს ზევით ძალა არაა. პაპაჩემმა კი, გაგიხარიათ, ისროლა...

- ჯანდაბას შენი პაპაცა და პაპის პაპაც! - შესძახა ჯონმა, - ისროლე, შე არამზადა, და ეცადე მოახვედრო, თორემ მე ვიცი შენი!..

ამგვარად წაქეზებულმა ჰუბერტმა ადგილი დაიკავა, მეტოქის გაფრთხილებაც მიიღო მხედველობაში - გაითვალისწინა სუსტი ნიავის ქროლვა და ისე მარჯვედ ისროლა, რომ შიგ შუაგულში ჩასვა.

- ჰუბერტი! ჰუბერტი! - იღრიალა ხალხმა, რომელიც ნაცნობ მოისარს უფრო უჭერდა მხარს, ვიდრე ვიღაც გადამთიელს, - შიგ წერტილში მოახვედრა!.. შიგ წერტილში!.. ჰუბერტს გაუმარჯოს!

- მაგას კი ვეღარ აჯობებ, ლოკსლი, - დაცინვით უთხრა პრინცმა.

- მე შიგ ისარში ჩავსვამ, - მიუგო ლოკსლიმ.

ახლა ცოტა უფრო მეტის გულისყურით ამოიღო მიზანში და გაისროლა.

ჰუბერტის ისარი შუაზე გაიპო, შიგ ლოკსლის ისარი ჩაჯდა. ახლო მდგომი ხალხი ისე სახტად დარჩა ამ განსაცვიფრებელი სიმარჯვით, რომ ერთბაშად ხმა ჩაუწყდა და გაკვირვების წამოძახილიც კი ვერ ამოუშვეს.

- ნამდვილად ეშმაკია - ძე-ხორციელს არა ჰგავს, - ერთმანეთს გადაუჩურჩულეს იომენებმა, - ამისთანა გასროლას ჯერაც არავინ მოსწრებია მთელს ბრიტანეთში.

- ახლა კი, თქვენო მოწყალებავ, - მიმართა პრინცს ლოკსლიმ, - ნება დამრთეთ, ჩრდილოეთში რომ იციან, ისეთი სამიზნე ჩავასოთ. მაშინ სცადონ ბედი ამ ყოჩაღმა იომენებმა და თავიანთ გულის ტრფიალებს სახეზე ღიმილი მოსწყვიტონ.

ეს რომ თქვა შებრუნდა და გაემართა, მაგრამ ისევ შედგა.

- თუ გნებავთ, გუშაგები გამაყოლეთ, - უთხრა მან, - იმ ტირიფიდან პატარა წკეპლა უნდა მოვჭრა.

პრინცმა გუშაგებს ანიშნა, გაჰყევითო. შეეშინდა, არ გაიპაროსო. მაგრამ ხალხმა იხუვლა - „სირცხვილი! სირცხვილიო!“ და ისიც იძულებული გახდა დამამცირებელი გადაწყვეტილება შეეცვალა.

თავლისდახამხამებაშივე მობრუნდა ლოკსლი, ხელში ტირიფის ჯოხი ეჭირა, ასე ექვსიოდე ფუტის სიგრძისა, ლარივით სწორი და და ცერზე ცოტათი უმსოხოსი. დინჯად დაიწყო კანის გაცლა და თან განაცხადა:

- მასხრად აგდებაა და მეტი არაფერი, კარგ მონადირეს ისეთი ფართო სამიზნე დაუდო წინ, რასაც ახლა ვესროდით.

- მე რომ მკითხოთ, - განაგრძო მან, - რაღა ეს სამიზნე და რაღა ართურ მეფის[26] მრგვალი მაგიდა, რომელსაც ბარე სამოცდაათი რაინდი უჯდა ირგვლივ; ამასვე იტყვის ყველა ჩემს კუთხეში, საცა ვშობილვარ და გავზდილვარ. ამისთანა სანიშნეს ხომ ექვსი წლის ბალღიც მოახვედრებს წვერმობლაგვულ ისარს. - ეს რომ თქვა, დინჯად გაემართა მოედნის ბოლოსაკენ, ჯოხი მიწაში ჩაარჭო და დასძინა: - ვინც ამ ჯოხს მოახვედრებს ასი იარდიდან, მოისარიც ის იქნება, და თამამად შეეძლება მეფის წინაშე ამაყად ატაროს მშვილდ-ისარი, თვით გმირი რიჩარდ მეფეც რომ იყოს.

- პაპაჩემი, - თქვა ჰუბერტმა, - ჰასტინგსის ომში იბრძიდა მშვილდ-ისრით, მაგრამ ასეთი სამიზნისათვის ერთხელაც არ უსვრია... მე რაღა მრჯის, რომ ვესროლო. თუ ეგ იომენი მაგ ჯოხს მოახვედრებს - მე რა მეთქმის, ჩემს ფალავნობას მაგ კაცს ვულოცავ... კაცს კი არადა იმ ეშმაკს, რომელიც მაგის სხეულში ჩასახლებულა, რადგან კაცი ამის შემძლე არ არის. თავზეით ძალა არ არის, როცა ვიცი, ვერ მოვახვედრებ, ტყუილად რად უნდა ვესროლო. ბარემ ავდგე და დანის ალესილ ფხას ვესროლო, ან არადა პურის ღეროს, ან მზის სხივს!.. ამ ციმციმა წვრილ ხაზს ძლივს ვარჩევ.

- ლაჩარო ძაღლო! - იყვირა პრინცმა, - აბა, ლოკსლი, შენ ესროლე. თუ მოახვედრე, პირველი მოისარია-მეთქი, ვიტყვი. ეტყობა, ცუდუბრალოდ არ ბაქიბუქობდი.

- ჰუბერტისა არ იყოს, თავს ზევით ძალა არაა, - მიუგო ლოკსლიმ, - კაცს რა ღონეც მოსდევს, ის უნდა გააკეთოს.

ეს რომ თქვა, მშვილდს ლამბი გამოუცვალა, რადგან წინა გასროლის დროს ცოტათი მოშვებული ეჩვენა. ახლა უფრო მეტის სიფრთხილით დაუმიზნა, ხალხი სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა. მოისარმა გაამართლა მათი ვარაუდი - ისარმა ტირიფის ჯოხი შუაზე გახლიჩა. ყველას ერთბაშად აღმოხდა აღფრთოვანების შეძახილი. თვით ჯონიც კი ისე მოხიბლა ლოკსლის სიყოჩაღემ, რომ ერთი პირობა მისი სიძულვილიც გადაავიწყდა.

- აჰა ოცი ოქრო, - უთხრა მან, - ესეც და სანადირო რქაც შენია და ალალიც იყოს. მაგრამ გუშაგი თუ გახდები და ჩემი ქეშიკების ფორმას ჩაიცვამ, ოცდაათ ოქროს კიდევ დაგიმატებ, რადგან ამისთანა ღონიერ ხელს ჯერაც არ სჭერია მშვილდი, და არც ამისთანა მახვილ თვალს მოუხვედრებია ნიშანში ისარი.

- მომიტევეთ, კეთილშობილო პრინცო, - მიუგო ლოკსლიმ, - მაგრამ აღთქმა მაქვს დადებული: თუ

ოდესმე სამსახური დავიწყე, შენი ძმის - რიჩარდ მეფის გარდა არავის ვემსახურო. ეს ოცი ოქრო ჰუბერტისთვის დამითმია: ისევე კარგად ისროდა დღეს ისარს, როგორც პაპამისი ჰასტინგსის ომში. თავმდაბლობამ ათქმევინა უარი, თორემ ეგეც ჩემსავით მოახვედრებდა ნიშანს.

ჰუბერტმა თავი გააქნია და უხალისოდ ჩამოართვა ქისა უცნობს. ლოკსლი კი, იმის შიშით - საერთო ყურადღება არ მივიპყროო, ხალხს შეერია და მეტად აღარც გამოჩენილა.

გამარჯვებული მემშვილდისრე ასე ადვილად რას გაეპარებოდა პრინცს, ის რომ სხვა, უფრო დიდ საზრუნავზე ფიქრში არ ყოფილიყო გართული. ჯონმა ნიშანი მისცა, მოედანი დასცალეთო, და შემდეგ მსახურთუხუცესს მოუხმო, აშბში სასწრაფოდ ჩასვლა და ებრაელ ისააკის ნახვა დაავალა.

- ასე უთხარი იმ ძაღლს, რომ მანამ მზე ჩასულა, ორი ათასი კრონი გამომიგზავნოს. გირაოს საქმე თვითონვე იცის, მაგრამ შენ მაინც აჩვენე ეს ბეჭედი, უფრო დააჯერებს გულს, დანარჩენი ფული იორკში მომართვას,

ექვსი დღის განმავლობაში. უარი თუ გაბედა, თავს წავაცლი მაგ ურჯულოს. თვალი გეჭიროს, რომ გზაში არ აცდე. ეგ წინდაცვეთილი ძაღლი დღეს აქ ტრიალებდა ნაირნაირი ნაძარცვი სამკაულების გამოსაფენად.

ეს რომ თქვა, ცხენს მოახტა და აშბისკენ გაემართა. ხალხიც მალე დაიშალა.

თავი მეთოთხმეტე

ძველი ციხე და სასახლე
და დარბაზები ამხელა
გახსნილა, გამაღლებულა
რჩეულ რაინდთა სალხენად,
ცად აღავლენენ სიმღერებს,
ერთურთს ზომავენ თვალებით
გამორჩეული მხედრები
ლამაზი სეფე-ქალები.
უარტონი

თავისი დიდებული მეჯლისი პრინცს აშბის ციხე-დარბაზში ჰქონდა გამართული. ეს იყო არა ის შენობა, რომლის ზვიადი ნანგრევები ახლაც იპყრობს ხოლმე გამვლელის ყურადღებას და რომელიც უფრო მოგვიანებით რიჩარდ მესამის ტირანიის ერთ-ერთმა პირველმა მსხვერპლმა - ლორდმა

ჰასტინგსმა აღმართა; იმ ჰასტინგსმა, ვინც შექსპირის ტრაგედიის წყალობით უფროა ცნობილი, ვიდრე საკუთარი დამსახურებით. ციხე-დარბაზიცა და თვით ქალაქი აშბიც მაშინ

უინჩესტერის გრაფ როჯერ დე კუინის ეკუთნოდა, რომელიც იმხანად ინგლისში არ ყოფილა, წმიდა მიწებისაკენ იყო წასული. პრინცი ჯონი უბოდიშოდ შევიდა მის ციხე-დარბაზში და ქონებასაც უტიფრად დაეუფლა. ახლა გადაწყვიტა თავისი სტუმართმოყვარეობითა და ხელგაშლილობით დაებრმავებინა ხალხი, და ამიტომ ბრძანება გასცა არაფერი დაეშურებინათ, რათა მართლაც რომ ბრწყინვალე და საარაკო მეჯლისი ყოფილიყო.

პრინცის დამქაშებმა ამჯერადაც, ისე როგორც ყოველთვის, მეფის გავლენით ისარგებლეს და პირწმინდად გაძარცვეს მთელი ქვეყანა, რაც კი რამ კარგი და სანუკვარი იყო, ყველაფერი შეაგროვეს თავიანთი ბატონის სუფრის დასამშვენებლად. სტუმრები ბლომად ჰყავდათ მოწვეული. ხალხის გულის მოსანადირებლად, პრინცმა გადაწყვიტა ნორმანელ წარჩინებულებსა და მეზობელ დიდებულებთან ერთად, რამდენიმე დიდგვაროვანი საქსონელი და დანიელი ოჯახიც მოეწვია. საერთოდ, იგი არც კი ცდილობდა სიძულვილი და ზიზღი დაეფარა ანგლო-საქსების მიმართ, მაგრამ ახლა, მოახლოებული არეულობის ხანაში, გონივრულად მიიჩნია ამ მრავალრიცხოვანი ხალხის წინამძღოლები მაინც გადაებირებინა თავის მხარეზე.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, ეს უჩვეულო სტუმრები რაც შეიძლება თავაზიანად მიეღო, თუმცა პრინცისაგან ასეთ მოპყრობას ისინი ჩვეული არ ყოფილან. ისეთი ანგარებიანი კაცი იყო, რომ თავის ჩვეულებებსა და გრძნობებსაც კი გამორჩენის სურვილს უმორჩილებდა. მაგრამ

ერთი უბედურება სჭირდა - უსათუოდ წამოუვლიდა თავისებური ხუშტური და მაშინ ისე გაწიწმატდებოდა, რომ ერთბაშად ყველაფერი, რისთვისაც ადრე პირმოთნეობითა და თვალთმაქცობით მიეღწია, წყალში ჩაუცვიოდა ხოლმე.

ასეთი ქარაფშუტობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ერთი ფაქტი: მამამისმა ჰენრი მეორემ იგი ირლანდიაში გაგზავნა, რათა ინგლისის ტახტისათვის ახლად დაქვემდებარებული ირლანდიელების გული მოენადირებინა. ირლანდიელი ბელადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა ვინ უფრო მეტ პატივისცემასა და ერთგულებას ვაჩვენებთ ახალგაზრდა პრინცსო. პრინცმა და მისმა თავგასულმა მხელბლებმა კი,

იმის ნაცვლად, რომ თვითონაც თავაზიანად მოქცეოდნენ, ცდუნებას ვეღარ გაუძლეს და ბელადებს მკერდზე ჩამოშვებულ წვერებში სტაცეს ხელი. ასეთმა უგუნურმა მოქმედებამ, რაღა თქმა უნდა, დიდად შეურაცხყო ირლანდიელი წარჩინებულნი და საბედისწერო გავლენა იქონია ინგლისის ბატონობაზე ირლანდიაში. ახლავე უნდა გავიხსენოთ ჯონის ასეთი მერყევი და დაუდგრომელი ხასიათი, რათა მკითხველისათვის უფრო გასაგები გახდეს მისი იმღამინდელი საქციელი.

პრინცმა განსაკუთრებულის თავაზიანობით მიიღო სედრიკი და ათელსტანი (ასე ჰქონდა გადაწყვეტილი წინასწარვე, როცა ცივი გონებით აზროვნებდა) და მხოლოდ წყენა გამოთქვა, - არ გაბრაზებულა, - როცა სედრიკმა მოახსენა, როენა უქეიფოდ შეიქნა და თქვენს თავაზიან მოწვევაზე ვერ მოვიდაო.

სედრიკსა და ათელსტანს ძველი საქსონური ტანსაცმელი ემოსათ, ულაზათო სულაც არ ყოფილა ეს ტანსაცმელი, მით უმეტეს, ახლა საუკეთესო ქსოვილისა ჩაეცვათ, მაგრამ ისე არა ჰგავდა სხვა სტუმრების მორთულობას, რომ ამ ახირებულად გამოწყობილი ადამიანების დანახვაზე პრინცმა და ვოლდემარ ფიცურსმა სიცილი ძლივს შეიკავეს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, საქსონელების მოკლე, ტანზე მომჯდარი ტუნიკი და გრძელი მოსასხამი სილამაზითაც ჯობდა ნორმანელთა ტანსაცმელს და მოხერხებულობითაც. ამათ ეცვათ რაღაცნაირი გრძელი პერანგი, ისეთი ფარფაშა, რომ მეეტლის ხიფთანს უფრო მოგაგონებდათ, ზემოდან კი მოციცქნილი მანტია, რომელიც არც სიცივისაგან დაიფარავდა ადამიანს და არც წვიმისაგან; ეტყობოდა, ის დანიშნულება ჰქონდა, რომ ზედ მოეკერებინათ ათასნაირი ბეწვეული, ნაქარგები და ძვირფასი სამკაულები; თანაც იმდენი, რამდენსაც მარჯვე თერძი დაატევდა ამ პაწაწინა მოსასხამზე. იმპერატორი კარლოსი, რომლის მეფობის დროსაც შემოიღეს პირველად ეს სამოსი, ეტყობა გაკვირვებული იყო, ასე მოუხერხებელი მოსასხამი ვინ გამოიგონაო. „ღვთის გულისათვის გამაგებინეთ, - უთქვამს მას, - ნეტა რა მოსასხამია ეს კუდმოკვეცილი მანტია?! ლოგინში ვერ გადაიფარებ, ცხენზე მჯდომარეს ვერც წვიმისაგან დაგიფარავს და ვერც ქარისაგან, სუფრას მოუჯდები და ფეხებს ვერც სინესტისაგან დაგიცავს, ვერც ყინვისაგან!“

იმპერატორის ასეთი საყვედურის მიუხედავად, მოკლე მოსასხამები მაინც ძალიან გავრცელდა და იმ დროსაც დიდ მოდაში იყო, განსაკუთრებით ანჟუელ პრინცებს მოსწონდათ. თავისთავად

ცხადია, პრინც ჯონის ჯარისკაცებსაც სულ ასეთი მოსასხამები ჰქონდათ, და ამიტომ საქსონელების ჩამოგრძელებული მანტიები სასაცილოდ ეჩვენებოდათ.

სტუმრები მიუსხდნენ სუფრას, რასაც ნუგბარი საჭმელების სიმძიმისაგან სულ ჭრაჭუნი გაუდიოდა. მრავალრიცხოვან მზარეულებს, რომლებიც გზაში ახლდნენ პრინცს, ცოდნა და გამოცდილება არ დაეშურათ, რათა სულ სხვადასხვანაირი კერძები მოერთმიათ, ამ საქმეში დღევანდელ დაოსტატებულ კულინარებსაც არ ჩამოუვარდებოდნენ, რომლებიც ისე მოხერხებულად უცვლიან ხოლმე სახეს სანოვაგეს, რომ გამოცნობაც გიჭირს, რისგან არის დამზადებული. ადგილობრივ კერძებს გარდა, ბევრი იყო უცხოეთიდან შემოტანილი ნუგბარი საჭმელები - ნაზუქებიო, ღვეზელებიო, ათასნაირი ნამცხვრები... სუფრას ეშხს მატებდა უძვირფასესი ღვინოები, ადგილობრივიცა და უცხოეთიდან შემოტანილიც.

ნორმანელი თავადები ხომ ფუფუნების მოყვარული ხალხი იყო, მაგრამ საჭმელ-სასმელზე მიძალება არ უყვარდათ. სუფრაზე დიდ სიამოვნებას ნახულობდნენ, მაგრამ უმთავრესად ნუგბარ საჭმელებს ეტანებოდნენ და ზედმეტის ჭამას ერიდებოდნენ, ღორმუცელობასა და ლოთობას მათ მიერვე დაპყრობილ საქსონელებს დასცინოდნენ და ეს თვისებები მდაბიო ხალხის ხინჯად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, პრინცი ჯონი და მისი ამფსონები, რომლებიც ცდილობდნენ ყველაფერში პრინცისათვის წაებაძათ და ამით მისი წყალობა დაემსახურებინათ, სულაც არ

ყოფილან ჭამა-სმაში თავშეკავებულნი - პირიქით, ბევრს ჭამდნენ, სვამდნენ და ამით დიდ სიამოვნებასაც ნახულობდნენ. საქვეყნოდ ცნობილია, სწორედ ღორმუცელობამ იმსხვერპლა ჯონი - ჯერ ატამს მიაძღა, მერე ახალი ლუდით გაილეშა და ბოლოც მოეღო. პრინცი, საეთოდ, გამონაკლისი იყო - ბევრ რამეში არ ჰგავდა თავის თანამემამულეებს.

ნორმანელი რაინდები და თავადები ცბიერი სერიოზულობით შესცქეროდნენ ათელსტანისა და სედრიკის მოუხეშაობას, ჩუმ-ჩუმად ანიშნებდნენ ხოლმე ერთმანეთს და ქირქილებდნენ, ასეთი მანერები მათთვის უცხო იყო და მანამ ისინი ასე გამქირდავად დასცინოდნენ, გაუთლელმა საქსონებმა

რამდენჯერმე შესცოდეს - საზოგადოებისათვის დაკანონებული წესები დაარღვიეს. ეს კი ყველამ იცის, რომ კაცს გაუზრდელობას და უზნეობას უფრო ადვილად აპატიებენ, ვიდრე რაღაც უბადრუკი მოდური ეთიკეტის დარღვევას. სედრიკმა, მაგალითად, ხელები პირსახოცზე გაიმშრალა, ნაცვლად იმისა, რომ ჰაერში მოხდენილი ქნევით მოეშორებინა წვეთები და ისე გაეშრო; ეს კი უფრო უცნაურად ეჩვენეთ, ვიდრე მისი მეგობარი ათელსტანის საქციელი, რომელმაც ერთბაშად შექანქლა ძვირფასი უცხოური საკმაზებით დამზადებული ღვეზელი, რასაც მაშინ კარუმ-პაის ეძახდნენ. ხოლო როდესაც ათასნაირი ეშმაკური დაკითხვებით გამოარკვიეს, რომ კონინგსბურგის თენს (ანუ ფრანკლინს, როგორც ნორმანები უწოდებდნენ), წარმოდგენაც არა ჰქონია, რა შესანსლა ასე მადიანად, და რომ კარუმ-პაი ტოროლებისა და მტრედების ხორცით კი არ ყოფილა გამოტენილი, როგორც მას ეგონა, არამედ ბეკაფიკითა და

ბულბულებით, ამ უვიცობამ უფრო მეტი დაცინვა გამოიწვია, ვიდრე მისივე მართლაც რომ გასაკილავმა ღორმუცელობამ.

ლხინი ეშხში შევიდა, ღვინის თასმა იწყო მოქეიფეთა შორის ტრიალი და ხალხი ასპარეზობაზე ალაპარაკდა. გაიხსენეს უცნობი მოისარი, რომელმაც შეჯიბრში გაიმარჯვა... შავი რაინდი, რომელმაც ჯილდო და დამსახურებული პატივი არ ინდომა და მოედნიდან შეუმჩნევლად გაილალა... მამაცი აივენჰო, რომელსაც ასე ძვირი დაუჯდა იმ დღეს სახელის მოხვეჭა. მხედრული გულღიაობით ლაპარაკობდნენ, მთელი დარბაზი სიცილითა და მხიარულებით გაივსო. მარტო პრინცს ჩამოეშვა ცხვირი ამ ლაპარაკის დროს. ეტყობოდა, დიდი საფიქრალი დასწოლოდა გულზე. მხოლოდ ზოგჯერ თუ გამოიჩენდა საერთო საუბრით დაინტერესებას, და ისიც მაშინ, როცა რომელიმე კარისკაცი შეეხმიანებოდა. წამოხტებოდა, თასს დასტაცებდა ხელს და თითქოს გასამხნევებლად გადაჰკრავდა; თან საუბარშიაც ჩაერეოდა, ოღონდ ძალიან უკმეხად და უადგილოდ.

- უილფრედ აივენჰოს გაუმარჯოს, დღევანდელი ასპარეზობის ფალავანს, ძალიან ვწუხვარ, რომ დაჭრილია და ჩვენთან ქეიფი არ შეუძლია... აბა, ყველამ შესვას, განსაკუთრებით სედრიკ როთერვუდელსა ვთხოვ, მრავლისაღმთქმელი შვილის ღირსეულ მამას.

- არა, მილორდ, - სედრიკი წამოდგა და დაუცლელი თასი უკანვე დადო მაგიდაზე, - მე შვილად აღარ ვთვლი ურჩ ყმაწვილს, რომელიც ჩემს სურვილს ყურად აღარ იღებს და მამა-პაპათა ადათ-წესებს გადადგომია.

- შეუძლებელია, რომ ასეთი გმირი რაინდი უღირსი და ურჩი შვილი იყოს! - მოჩვენებითი გაკვირვებით შესძახა პრინცმა.

- ასეა, მილორდ, - მიუგო სედრიკმა, - სწორედ ასეთი ურჩი გახლავთ უილფრედი. მამის სახელი დასთმო და თქვენი ძმის თავქარიან კარისკაცებში გაერია, სწორედ იქ შეისწავლა ის მხედრული ოინბაზობა, რაც თქვენ ასე ძალიან მოგწონთ. ჩემს სურვილსა და ბრძანებას ყურიც არ ათხოვა - ადგა და წავიდა შინიდან. ალფრედის დროში ამას ურჩობას ეძახდნენ... და სასტიკადაც ისჯებოდა.

- ვაგლახ! - მოჩვენებითი თანაგრძნობით ამოიოხრა პრინცმა, - თუ მართლა ჩემი უბედური ძმის ამფსონია თქვენი შვილი, აღარ მ იკვირს, სად შეისწავლა ან ვისგან გადაიღო მამის ურჩობა.

ეს კი თქვა პრინცმა, მაგრამ იმის გახსენება აღარ ინდომა, რომ ჰენრი მეორის შვილებში, მამის ურჩი და უმადური ყველაზე მეტად სწორედ თვითონ იყო, თუმცა ცოტად თუ ბევრად ამაში ყველა სცოდავდა.

- მგონი, - განაგრძო პრინცმა მცირე დუმილის შემდეგ, - ჩემს ძმას გადაწყვეტილი ჰქონდა „აივენჰოს“ მდიდრული მამული თავისი საყვარელი რაინდისათის ებოძებინა.

- უბოძა კიდეც, - მიუგო სედრიკმა, - და ჩემი გულისწყრომის ერთი მიზეზი ეგეც გახლავთ - ქვეშევრდომული თავის მოხრით ის წყალობა მიიღო, როგორც მეფის ვასალმა, რაც მის წინაპრებს თავისუფლად და დამოუკიდებლად ეპყრათ.

- ეტყობა, თქვენც თანახმა იქნებით, ძვირფასო სედრიკ, - მიმართა პრინცმა, - ეს მამული ისეთ კაცს დავუმტკიცოთ, რომლის ღირსება არ შეიბღალება ბრიტანეთის მეფისაგან მიწა-წყლის ბოძებით... სერ რეჯინალდ ფრონ დე ბეფ, - მიუბრუნდა პრინცი ამ ბარონს, - იმედი მაქვს თქვენთვის დაიტოვებთ აივენჰოს მდიდრულ საბარონოს, რათა სერ უილფრედს მისი დაპატრონებისა და მამის ხელახალი გაგულისების საშუალება მოვუსპოთ.

- თქვენი ბოძებული მამულის წართმევა თუ ვინმემ შესძლოს - გინდა სედრიკი იყოს, გინდ უილფრედი და გინდ ყველაზე უფრო რჩეული ინგლისე;ლი - წმიდა ანტონის მადლმა, ღირსი ვიქნები თქვენმა მაღალმა მოწყალებამ საქსონელი მიწოდოს.

- თუ ვინმემ მართლა გიწოდა საქსონელი, ბატონო ბარონო, - უთხრა იმ სიტყვებით

განაწყენებულმა სედრიკმა, რომლითაც ნორმანები წარამარა გამოხატავდნენ ხოლმე ინგლისელების ზიზღს, - ამით უდიდეს პატივს დაგდებთ და თანაც სრულიად დაუმსახურებლად.

ფრონ დე ბეფმა პასუხი დააპირა, მაგრამ პრინცს ჩვეულმა სიფიცხემ და ქარაფშუტობამ წამოუარა და დაასწრო:

- რა თქმა უნდა, ბატონებო, - წამოიძახა მან, - კეთილშობილი სედრიკი მართალს ამბობს: მაგათი მოდგმა საგვარტომო ნუსხის სიდიდითაც წინ გვისწრებს და მოსასხამის სიგრძითაც.

- ბრძოლის ველზედაც წინ გვისწრებენ, როგორც ნადირი - მწევრებს, - თქვა მალვუაზენმა.

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეგრეც უნდა იყოს, - დაუმოწმა მამა ეიმერმა, - თუკი მაგათ დახვეწილ მანერებსა და და თავაზიანობას გავითვალისწინებთ.

- ახლა ჭამა-სმაში ზომიერება და საერთო თავდაჭერილობა! - შენიშნა დე ბრასიმ, ის კი დაავიწყდა, რომ მისთვის საქსონელი ტურფა უნდა გაერიგებინათ.

- მაგათ გმირობასა და მამაცობას აღარ იკითხავთ! - დასძინა ბრიან დე ბუა გილბერმა, - ჯერ მარტო ჰასტინგში როგორ გამოიჩინეს თავი! და სხვაგანაც, სადაც გნებავთ!

მანამ პირზე ღიმილგადაფენილი კარისკაცები პრინცის წაბაძულობით გესლის ისრებს უშენდნენ რიგრიგობით სედრიკს, საქსონელი სახეზე წამოენთო, ხან ერთს გაუყრიდა თვალს თვალში, ხან მეორეს, თითქოს ერთბაშად მიყრილმა ამდენმა შეურაცხმყოფელმა სიტყვამ ხელი შეუშალა სათითაოდ გაეცა მათთვის საკადრისი პასუხი; სწორედ ისე, როგორც მდევნელებისაგან გარშემორტყმულ ხარს ვერ გადაუწყვეტია, ვის ეძგეროს პირვე-

ლად და რომელ მწვალებელზე იძიოს შური. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიღო ყელში მოწოლილი ბოღმისაგან მოგუდული ხმა და პრინცს მიმართა, რადგან ის იყო ამ შეურაცხმყოფელი თავდასხმის წამომწყები.

- რა უგუნურება და მანკიერებაც არ უნდა მოსდგამდეს ჩვენს ხალხს, - თქვა მან, - ის საქსონელი, რომელიც თავის საკუთარ სახლში თავისივე წარმოთქმული სადღეგრძელოს დროს, ან თვითონ შეურაცხყოფს სტუმარს, ან სხვას დაანებებს ისეთი შეურაცხყოფის მიყენებას, რასაც მე მკადრებენ აქა, თქვენი მაღალმოწყალების თვალწინ, - ღირსი იქნება ნიდერინგი უწოდო... და რა უბედურებაც არ უნდა დასტყდომოდეთ თავს ჩვენს მამაპაპებს ჰასტინგსის ველზე, იმათ მაინც აღარაფერი ეთქმით, - სედრიკმა ფრონ დე ბეფსა და ტაძრელ რაინდს გადახედა, - ვინც ამ სამიოდე საათის წინ სწორედ საქსონელის შუბმა გადმოაგდო ცხენიდან.

- მწარე ხუმრობაც ამას ჰქვია, მე და ჩემმა ღმერთმა! - თქვა პრინცმა, - რას იტყვით, ბატონებო... ნახეთ, რა დრო დაგვიდგა! ხომ ხედავთ, რა დიდ გულზე არიან ჩვენი საქსონელი ვაჟბატონები -

წელში გაიმართნენ და ოხუნჯობაც კი წამოგვიწყეს!.. ჰა, რას იტყვითმეთქი?.. ჩემმა მზემ, ისღა დაგვრჩენია ნავებში ჩავსხდეთ და ნორმანდიისკენ მოვუსვათ.

- საქსონელების შიშით? - შესძახა დე ბრასიმ და გადაიხარხარა, - იარაღი არც კი უნდა გავსვაროთ - სანადირო ოროლით უნდა დავირეკოთ ეს ღორები.

- კმარა, ბატონო რაინდებო! - თქვა ფიცურსმა და მერე პრინცს მიმართა, - კარგი იქნებოდა, თქვენს მაღალმოწყალებას დაერწმუნებინა ღირსეული სედრიკი, რომ ეს ხუმრობა საწყენად არ ყოფილა, თორემ ვაითუ შეუჩვეველ ყურს ტლანქად მოეჩვენოს.

- საწყენად! - გაიმეორა პრინცმა და მაშინვე დაიშაქრა, - არა მგონია, ეჭვი შეეპაროთ, რომ ან მე ვკადრებ ჩემს სტუმარს წყენას და ან ვინმეს გავაბედინებ. აბა, თვით სედრიკის სადღეგრძელოსა ვსვამ, რაკი შვილის დღეგრძელობა არ ინდომა.

თასმა კიდევ ჩამოიარა სუფრა და კარისკაცებმა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით შეამკეს სტუმარი, მაგრამ რომ უნდოდათ, ისეთი შთაბეჭდილება მაინც ვერ მოახდინეს საქსონელზე. მართალია, დიდი მიმხვდარი კაცი არ ყოფილა სედრიკი, მაგრამ არც ისეთი უბირი იყო, რომ წეღანდელი წყენა

ამ პირფერული სიტყვებით გაქარვებოდა, კარისკაცებმა კი სწორედ ასეთ ხეპრე ადამიანად

წარმოიდგინეს. არც მაშინ გაუღია ხმა, როცა პრინცმა მისი სადღეგრძელოს შემდეგ „სერ ათელსტან კონინგსბურგელის დღეგრძელობისა“ შესვა.

რაინდმა მორჩილად დახარა თავი და ამ დიდი პატივის საპასუხოდ ვეებერთელა თასი გამოსცალა.

- მისმინეთ, ბატონებო, - დაიწყო პრინცმა, რომელიც ამასობაში კარგა მაგრად შეეხურებინა ღვინოს, - ჩვენ, რაც შეგვეძლო, პატივი ვეცით ჩვენს საქსონელ სტუმრებს, ახლა მაგათი ჯერია, ვთხოვოთ თავაზიანობითვე გვიპასუხონ... ღირსეულო თენო, - მიმართა მან სედრიკს, - იქნებ ინებოთ და ისეთი ნორმანი დაასახელოთ, ვისი სახელის წარმოთქმაც შედარებით უფრო ნაკლებად შებღალავს თქვენს ბაგეს, ხოლო რაც სიმწარე შეგრჩებათ ამ სახელის წარმოთქმის შემდეგ, ღვინით ჩაირეცხოთ!

პრინცს არც კი დაემთავრებინა სათქმელი, რომ ფიცურსი ადგილიდან წამოდგა, საქსონელის სკამს უკნიდან მოუარა და წასჩურჩულა - ხელსაყრელ შემთხვევას ნუ გაუშვებ, პრინც ჯონი დაასახელე და ამით ბარემ ბოლო მოუღე ორ ხალხს შორის არსებულ უთანხმოებასო. საქსონელს არაფერი უპასუხნია ამ ეშმაკურ რჩევაზე, წამოდგა, თასი ღვინით გააპიპინა და პრინცს მიმართა:

- თქვენი მაღალმოწყალება მავალებს ისეთი ნორმანი დავასახელო, რომელიც ამ მეჯლისზე ხსენების ღირსი იქნება. მძიმე საქმეს კი მავალებთ, რაც მართალია მართალია; ეს იგივეა, ყმას უბრძანო, თავის ბატონს შეასხას ქებათა ქება, ან არა და დამარცხებულს, რომელსაც ყოველგვარი უბედურება დამპყრობელისაგან სჭირს, სწორედ ამ დამპყრობელისათვის აკმევინო საკმეველი. მიუხედავად ამისა, მე მაინც დავასახელებ ერთ ნორმანს - მამაცობითაც პირველს და წარჩინებითაც უმაღლესს - მთელს თავის ხალხში ყველაზე კარგსა და ყველაზე კეთილშობილს. ვინც მის სადღეგრძელოს არ შესვამს, ცრუ იქნება და უსინდისო, მითქვამს და მუდამ ასე ვიტყვი. რიჩარდ ლომგულს გაუმარჯოს!

პრინც ჯონს ეგონა საქსონელი მისი სახელით დაამთავრებდა სიტყვას, მაგრამ საძულველი ძმის სახელი რომ გაიგონა, ერთბაშად შეტოკდა. თასი უნებურად პირთან მიიტანა და ხელადვე დაუშვა, შეკრებილთ გადახედა,

აბა რას იზამენო. ბევრი მართლაც საგონებელში ჩავარდნილიყო - დალე-ვისაც ეშინოდათ და არდალევისაც. უფრო ხანდაზმულმა და გამოცდილმა კარისკაცებმა პრინცს მიბაძეს - თასი პირთან მიიტანეს და მაშინვე დაუშვეს. ისეთი დიდსულოვანიც ბევრი აღმოჩნდა, რომელთაც შესძახეს: „რიჩარდ მეფეს გაუმარჯოს! ღმერთმა მალე დაგვიბრუნოს!“ ზოგმა, და მათ შორის ფრონ დე ბეფმა და ტაძრელმა რაინდმა დაიბღვირა და და თასს ხელიც არ ახლო. ისეთი კი არავინ გამოდგა, რომ გაებედნა და აშკარად წასულიყო კანონიერი ხელმწიფის სადღეგრძელოს წინააღმდეგ.

სედრიკმა დიდად გაიხარა ამ გამარჯვებით, ერთი-ორი წუთი დაიცადა და მერე ამხანაგს გადაულაპარაკა: „წავიდეთ, კეთილშობილო ათელსტან! კარგა ხანს ვიყავით, დიდად ვისიამოვნეთ პრინცის თავაზიანობით. ვისაც საქსონური მოუხეშაობის ნახვა აინტერესებს, კეთილი ინებოს და ჩვენს მა-მა-პაპათა ჭერქვეშ გვეწვიოს; სამეფო მეჯლისი კი საკმაოდ ვიგემეთ, და ისიც ვნახეთ, ნორმანული ზრდილობა რა ყოფილა“.

ადგა და დარბაზიდან გამოვიდა, თან გამოჰყვნენ ათელსტანი და ის საქ-სონელები, რომელთაც პრინცისა და მის თანამეინახეთა დაცინვით თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს.

- წმიდა თომას ძვლებსა ვფიცავ, - წარმოთქვა პრინცმა, როცა ისინი გა-ვიდნენ, - ამ საქსონელმა ბრიყვებმა ასპარეზობაზედაც თავლაფი დაგვას-ხეს და აქაც პირში ჩალაგამოვლებულები დაგვტოვეს.

- Gonclamatum est, poculatum est, - თქვა მამა ეიმერმა, - ბევრი ვსვით და ბევრი ვიმხიარულეთ, უკვე წასვლის დროა.

- ისე ჩქარობს ეს ჩვენი ბერი, რომ ეტყობა, ტურფა ელოდება, აღსარება უნდა ათქმევინოს, - თქვა დე ბრასიმ.

- სრულებითაც არა , ბატონო რაინდო, - მიუგო აბატმა, - მაგრამ შორი გზა მაქვს გასავლელი.

- გარბიან, ხედავ! - გადაუჩურჩულა პრინცმა ფიცურსს, - ჯერ არაფერი მომხდარა და უკვე დაფრთხნენ. ეს ლაჩარი ბერი პირველი მიიძურწება.

- ფიქრი ნუ გაქვთ, მილორდ, - მიუგო ვოლდემარმა, - ისეთ რამეებს ვეტყვი, რომ იორკში როცა შევიყრებით, თვითონვე შემოგვიერთდება... ბა-ტონო წინამძღვარო, - მიმართა მოძღვარს, - მანამ ცხენზე შებრძანდებო-დეთ, სიტყვა მაქვს თქვენთან.

სხვა სტუმრებიც მალე დაიფანტნენ. დარჩნენ მხოლოდ პრინც ჯონის უშუალო მომხრეები და მისივე მხლებლები.

- შენმა რჩევამ მიყო ყველაფერი! - შეუბღვირა პრინცმა ფიცურსს, - ვიღაც საქსონელმა გალეშილმა ბრიყვმა ჩემივე სუფრაზე მომჭრა თავი, და ჩემი ძმის უბრალო ხსენებაზეც კი ისე დაფრთხა ხალხი, თითქოს კეთროვანი გამოჩენილიყოს.

- მოთმინება იქონიეთ, ხელმწიფევ, - მიუგო მრჩეველმა, - მე შემეძლო სულ არ მიმეღო ეს თქვენი საყვედური და პირიქით გამეკიცხეთ კიდეც, რადგან თქვენი არაგონივრული მოქმედებით წყალში

ჩამიყარეთ ყველაფერი; მეტისმეტი მოგივიდათ და სიფრთხილე დაივიწყეთ. მაგრამ რაღა დროს ერთმაენეთის კიცხვაა. დე ბრასი და მე ახლავე გამოვეკიდებით მაგ ლაჩრებს და დავუმტკიცებთ, რომ უკვე ისე შორს შესტოპეს, უკანდახევა გვიანღაა.

- სულ ტყუილია, - უთხრა პრინცმა და არეული ნაბიჯით ბოლთის ცემა განაგრძო, ისედაც აღელვებული კაცი ღვინომ მთლად გადარია, - სულ ტყუილია... უკვე მოასწრეს კედლებზე მინაწერების წაკითხვა... სილაზე ლომის ნაფეხურები შენიშნეს... ახლომახლო ტყეები მისმა ღრიალმა გააყრუა. და ესეც გაიგონეს...მორჩა,ვერაფერი გამოაცოცხლებს მაგათ დაკარგულ მხნეობას.

- ნეტა, თავის დაკარგულ მხნეობას გაიცოცხლებდეს, - გადაუჩურჩულა ფიცურსმა დე ბრასის, - ძმის სახელის გაგონებაც კი კრუნჩხვასა ჰგვრის. ვაი იმ პრინცის მრჩეველთ, რომელთაც, სათნო საქმე იქნება თუ ბოროტი, მუდამ თავგამოდებით უნდა ამხნევონ და აქეზონ თავიანთი ბატონი.

თავი მეთხუთმეტე

მას კი ჰგონია... ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ასე ჰგონია
ტიკინასავით მათამაშებს თავის ნებაზე.
დაე, ეგონოს თუ ჰგონია, რა მენაღვლება.
მანამ ის ასე ხლართავს ხრიკებს გაიძვერულად,
და ბილწი გზებით სურს განდიდდეს, მე მის უჩუმრად
სულ სხვა, ახალ გზას გამოვძებნი და იმ დიდებას
თვითვე ვეწევი... ვინ დამძრახავს ამისთვის ნეტავ?!
ბაზილი. ტრაგედია.

ობობასაც კი არ უწვალია იმდენი, დაწყვეტილი ქსელების გადასაბმელად, რა წვალებაც დასჭირდა ვოლდემარ ფიცურსს პრინც ჯონის დაფანტულ მომხრეთა შესაგროვებლად და შეთქმულების შესაკოწიწებლად. ბევრი მათგანი ანგარებით იყო დაკავშირებული პრინცთან, პირადი სიმპათიებით კი - არავინ. ამიტომ საჭირო შეიქნა, ფიცურსს ახალი გამორჩომის პერსპექტივები გადაეშალა მათთვის, და ისიც მოეგონებინა, რისი მიღებაც უკვე

მოასწრეს. ახალგაზრდა თავქარიან თავადებს აღვირახსნილი დროსტარება და ნებაზე მიშვებული

გარყვნილება აღუთქვა; პატივმოყვარეებს - ძალაუფლება; ხარბებს - დოვლათი და ახალ-ახალი მამულები; დაქირავებული ჯარების წინამძღოლთ ოქრო უბოძა, რადგან ეს უფრო დამაჯერებელი საბუთი იყო მთთვის, სხვა არაფერი გასჭრიდა. მაგრამ დაპირებებზე უფრო გულუხვი გახლდათ გაქნილი კარისკაცი, ვიდრე ნაღდ ფულზე. ერთი სიტყვით, არაფერი არ დაუშურებია, რომ მერყევი ხალხისათვის რწმენა განემტკიცებინა, ხოლო ლაჩართათვის გამბედაობა შთაებერა. რიჩარდ მეფის დაბრუნება წარმოუდგენელიაო, გაიძახოდა, მაგრამ როცა თანამოსაუბრეების დაეჭვებული თვალებითა და ორჭოფული პასუხით მიხვდებოდა, რომ მეფის დაბრუნება გარდაუვლად მიაჩნდათ და სწორედ ეს აფრთხობდა მათ, ხელადვე შეიცვლიდა აზრს - ვთქვათ, დაბრუნდეს, თქვენი პოლიტიკური ანგარიშები ამით მაინც არ შეიცვლებაო.

რიჩარდი თუ დაბრუნდა, - ამბობდა ფიცურსი, - იმიტომ დაბრუნდება, რომ თავისი გაჭირვებული და გამათხოვრებული ჯვაროსნები გაამდიდროს იმათ ხარჯზე, ვინც წმიდა მიწისკენ სალაშქროდ არ გაჰყვა. სასტიკად გაუსწორებს ანგარიშს ყველას, ვინც მის არყოფნის დროს სახელმწიფო კანონების დარღვევასა და ტახტის წინააღმდეგ ამბოხებაში ედება ბრალი. მკაცრად გაუსწორდება ტაძრისა და წმიდა იოანეს რაინდებს, რომლებიც პალესტინის ომების დროს საფრანგეთის მეფეს ფილიპეს მიემხრნენ. თავებს დააყრევინებს პრინც ჯონის მომხრეებს, როგორც სახელმწიფოს მოღალატეებს. ასე გეშინიათ მისი? - განაგრძობდა პრინცის გაქნილი მესაიდუმლე, - რა თქმა უნდა, ღონიერი და მამაცი რაინდია, მაგას ვინ უარყოფს, მაგრამ ართურ მეფის დრო ხომ არ არის,

ერთი რაინდი მთელს ლაშქარს გაუმკლავდეს?! თუ მართლა დაბრუნდა რიჩარდი, კენტად დაბრუნდება, მარტოდმარტო, უჯაროდ და უმეგობროდ. მისი მამაცი ჯარისკაცების ძვლებმა პალესტინის ქვიშნარი გადაათეთრეს. თუ ვინმე გადარჩა და დაბრუნდა - სულს ძლივს მოათრევს, დაგლახაკებული და გატეხილია, იმ უილფრედ აივენჰოსავით... რას დაგიჟინიათ ეს კანონიერი მემკვიდრეობა?! - საჩქაროდ მიუგებდა ფიცურსი, როცა რიჩარდის სასარგებლოდ გამოთქვამდნენ ხოლმე ეჭვს, - როგორ, ჰერცოგი რო-

ბერტ ნორმანელი, აი, ვილჰელმ დამპყრობელის უფროსი მემკვიდრე, რიჩარდზე ნაკლებ კანონიერი იყო?! მაგრამ ხალხის ნებით ჯერ უილიამ რუფუსი გამეფდა და მერე ჰენრი - მისი უმცროსი ძმები. რობერტი რიჩარდს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა - მამაცი რაინდი იყო, ჭკვიანი სარდალი, მეგობრებისათვის ხელგაშლილი, ეკლესიის მფარველი და, რაც მთავარია, ბრწყინვალე ჯვაროსანი - მაცხოვრის წმიდა საფლავი იმან იხსნა. მაგრამ უსინათლოსა და გაუბედურებულს კარდიფის ციხეში ამოძვრა სული, რადგან ხალხის სურვილს აღუდგა წინ, და ხალხმაც აღარ ინდომა ხელწიფედ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნება არ არის, მეფის სისხლისა კი იყოს და რომელ პრინცსაც უფრო ღირსეულად ჩავთლით, იმას ავირჩევთ ჩვენს მმართველად... ესე იგი, - სწრაფად გაასწორა მან, - ვინც უფრო კარგად დაიცავს თავადების ინტერესებს. პირად ღირსებებს თუ გავითვალისწინებთ, - დასძინა მან, - პრინცი ჯონი იქნებ ბევრ რამეში ჩამოუვარდებოდეს თავის ძმას, მაგრამ იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რიჩარდი ხმალამოღებული დაბრუნდება შურის საძიებლად, ხოლო ჯონი ჯილდოებს გვირიგებს, ბეგარისაგან გვათავისუფლებს, სიმდიდრეს გვაძებნინებს, წარჩინებას

გვაძლევს და ყველაფერში პატივსა გვდებს, საჭოჭმანო აღარაფერი დაგვრჩენია, ვის უნდა დავუჭიროთ მხარი და ვინ უნდა აიყვანონ დიდგვაროვნებმა ტახტზე!

სხვა საბუთებიც მრავლად ჩამოთვალა; ვისაც ელაპარაკებოდა, დაპირებებს იმის ინტერესებს უგუებდა ხოლმე, და მართლაც ჯონის ბევრი მომხრე დაარწმუნა. უმრავლესობა მათგანი დაითანხმა, რომ დანიშნულ დღეს შეიკრიბებოდნენ იორკში და იქ დააწყობდნენ გეგმას, როგორ და რანაირად მოეხერხებინათ პრინც ჯონისათვის სამეფო გვირგვინის დადგმა.

შუაღამეს მიტანებული იქნებოდა, როცა მთელი დღის გარჯით დაღლილ-დაქანცული, თუმცა შედარებით დიდად კმაყოფილი ფიცურსი აშბის ციხე-დარბაზში დაბრუნდა და დებრასის შეხვდა. ამას უკვე მოესწრო სამეჯლისო ტანსაცმლის გამოცვლა და მოკლე მწვანე ქურთუკი და იმავე ფერისა და ქსოვილის შარვალი ჩაეცვა, თავზე ტყავის ქუდი ეხურა, გვერდზე ეკიდა მოკლე დაშნა, მხარზე - სანადირო რქა, ხელში ეჭირა გრძელი მშვილდი, კაპარჭი კი ქამარში გაერჭო. დერეფანში რომ შეხვედროდა ფიცურსს ასე მორთული დე ბრასი, გუშაგი იომენი ეგონებოდა და არც კი შეხედავდა, ისე

ჩაუვლიდა გვერდს; მაგრამ შიგ დარბაზში რომ ნახა, დააკვირდა და ინგლისელი იომენის სამოსელში ჩაცმული ნორმანი რაინდი შეიცნო.

- ეს რა მასკარადი გაგიმართავს, დე ბრასი? - წყენით ჰკითხა ფიცურსმა, - რა დროს საშობაო

მანჭვა-გრეხა და ნიღბებით პროწიალია, როცა ჩვენი ბატონი ჯონის ბედი ბეწვზე ჰკიდია? რატომ შენც არ გამომყევი იმ გულდედალი ლაჩრების ხელახლა გადმოსაბირებლად, რომლებიც რიჩარდის ხსენებამაც კი ისე დააფეთა, როგორც სარკინოზის ბალღებს აფრთხობენ თურმე ამ სახელით!

-შენ შენი საქმეები გქონდა, ფიცურს, მე კი - ჩემი, - წყნარად მიუგო დე ბრასიმ.

- ჩემი საქმე!- შესძახა ვოლდემარმა, - ნურას უკაცრავად, მე ჩვენი საერთო მფარველის, პრინც ჯონის საქმეებს ვაგვარებდი.

- თითქოს შენი საკუთარი ინტერესების გარდა, სხვა საქმეც მიგქონდეს გულთან! - მიუგო დე ბრასიმ, - კარგი ერთი, ფიცურსს, ჩვენ ხომ ვიცნობთ ერთმანეთს... შენ პატივმოყვარეობისათვის იღწვი, მე - დროსტარებისათვის, ჩვენ შორის ის განსხვავებაა, რომ სხვადასხვა ასაკის ხალხი ვართ, პრინც ჯონზე შენცა და მეც ორივეს ერთი აზრი გვაქვს: ძაბუნი კაცია და მეფედ არ გამოდგება, მეტისმეტად მტარვალია და არავის გაახარებს, ზედმეტად თავდაჯერებული და უტიფარია - ხალხის გულს ვერ მოინადირებს. თან კი ისეთი მერყევი და გაუბედავია, რომ როგორი მეფეც არ უნდა იყოს, ტახტს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. სამაგიეროდ, ისეთი მეფე იქნება, ვის ხელშიაც ფიცურსსა და დე ბრასის აღზევებისა და გაფურჩქვნის იმედი აქვთ. ამიტომაცაა, რომ შენ შენი ხრიკებით ეხმარები, მე კი ჩემი თავისუფალი რაზმების შუბებით.

- კარგი მომხრე კი ყოფილხარ! - მოუთმენლად შესძახა ფიცურსმა, - საშინელი გაჭირვების დროს თავს იმასხარავებ... ნეტა ვიცოდე, რა ჯანდაბად დაგჭირდა ეს სულელური მორთულობა ასეთ დროს!

- ცოლის მოსაპოვებლად, - მიუგო დე ბრასიმ, - ბენიამინის მოდგმასა ვბაძავ.

- ბენიამინის მოდგმას, - გაიკვირვა ფიცურსმა, - შენი არაფერი მესმის!

- წუხელ აქ არ იყავი, მინსტრელის სიმღერაზე რომ მამა ეიმერმა ერთი არაკი გაიხსენა?.. უხსოვარ დროს პალესტინაში ბენიამინის მოდგმა სამ-კვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებია ისრაელთა დანარჩენ ტომებს. აიღეს და რაც იმის გვარში რაინდები იყო, სულ გაწყვიტეს, ვინც გადარჩა, ღვთი-შობელს შეჰფიცეს თურმე - იმათი მოდგმის ქალს ცოლად არ შევირთავთო. მერე ინანეს და რჩევისათვის წმიდა პაპს გაუგზავნეს კაცი, როგორ მოვიქ-ცეთ, აღთქმა რანაირად მოვიხსნათო. წმიდა მამის რჩევით, მთელი ყმაწ-ვილკაცობა, ასპარეზობაზე გამგზავრებულა, გაუტაცნიათ იქიდან რაც ქა-ლები იყო და ცოლად შეურთავთ. ასე რომ, არც ქალების თანხმობა დას-ჭირვებიათ და არც მათი ნათესავებისა.

- ეს ამბავი კი გამიგონია, - მიუგო ფიცურსმა, - მაგრამ ან შენ გეშლება რაღაც, და ან წინამძღვარს - სულ არეულია დროცა და მდგომარეობაც.

- რას დავეძებ, - უთხრა დე ბრასიმ, - მთავარი ისაა, რომ ბენიამინის მოდგმას უნდა მივბაძო და ისე მოვიპოვო ცოლი. უფრო მოკლედ რომ მოვ-ჭრათ, ამ მორთულობით იმ საქსონელი ხარების ჯოგს უნდა დავეცე თავს, დღეს სტუმრად რომ გვყავდა, და მშვენიერი როენა მოვტაცო.

- გაგიჟდი, დე ბრასი?! - შესძახა ფიცურსმა, - რა ვუყოთ რომ საქსონე-ლები არიან- სამაგიეროდ, მდიდარი და გავლენიანი ხალხია, თავიანთი თანამემამულეები თაყვანსა სცემენ და სასოებით შესცქერიან; თითზე ჩამო-სათვლელიღა დარჩა მდიდარი და გავლენიანი საქსონელი.

- ისინიც უნდა მოვსპოთ, - მიუგო დე ბრასიმ, - დაპყრობის საქმე ბოლომ-დე უნდა მივიყვანოთ.

- ახლა მაგისი დრო არ არის, - უთხრა ფიცურსმა, - გადამწყვეტი წუთი ახლოვდება და საჭიროა ხალხი კმაყოფილი გვყავდეს, ხალხის საყვარელი ადამიანის შეურაცხმყოფელს პრინცი კალთას ვერ გადააფარებს, სამარ-თალში უნდა მისცეს.

- მაგასაც ვნახავთ, - მიუგო დე ბრასიმ, - მალე დარწმუნდება, ვისი მხარ-დაჭერა უფრო დასაფასებელია- ისეთი თავზე ხელაღებული ბიჭებისა, მე რომ მყავს, თუ მაგ უსულგულო საქსონელი ბრიყვების ჯოგისა. თუმცა რა, ჯერ მაინც არ ვაპირებ ჩემი ვინაობის გამჟღავნებას. არა ვგავარ ნამდვილ მეტყევეს? იორკშირის ტყეებში დაბუდებულ ყაჩაღებს დაბრალდებათ

ყველაფერი. სანდო ჯაშუშები მყავს მიჩენილი და საქსონელების ყოველ ფეხის ნაბიჯს მატყობინებენ ხოლმე... ამაღამდელ ღამეს გაათევენ წმინდა

ვიტოლისა თუ ვითოლდის მონასტერში... არ ვიცი რა ჯანდაბა ჰქვია მაგ საქსონელების რეგვენ წმინდანს. ხვალ კი, გზას რომ დაადგებიან, მიმინოსავით დავაცხრებით. მერე უცებ გადავიცვამ და ჩემი ნამდვილი სახით გამოვეცხადები, როგორც თავაზიანი რაინდი, გაუბედურებულსა და შეწუხებულ ტურფას ტლანქი ყაჩაღების ხელთაგან დავიხსნი და ფრონ დე ბეფის ციხეში მივიყვან, ან, თუ საჭიროდ დავინახე, ნორმანდიის გზას გავუყენებ და მანამ მორის დე ბრასის კანონიერი მეუღლე და ქალბატონი არ გახდება, არც გამოვუჩენ თავის ნათესავებს.

- ჭკვიანური გეგმა დაგიწყვია, - უთხრა ფიცურსმა, - არა მგონია, მთლად შენ გეკუთნოდეს... გულახდილად მითხარი, დე ბრასი, ვინ დაგაწყობინა ეგ გეგმა? ან ამ საქმეში დახმარება ვინ აღგითქვა? მე ხომ ვიცი, რომ შენი ჯარისკაცები აქედან შორს არიან - იორკში უნდა იყვნენ.

- გეტყვი, ასე თუ გაინტერესებს, - მიუგო დე ბრასიმ, - ეს გეგმა ტაძრელმა ბრიან დე ბუა გილბერმა მოიგონა, თუმცა თავდაპირველად მე დამებადა ამდაგვარა აზრი, როცა ბენიამინის ამბავი გამახსენდა. თავდასხმაშიაც თვითონვე დამეხმარება, ისა და მისი ხალხი ყაჩაღებივით გამოვარდებიან ტყიდან, მერე მე უცებ გადავიცვამ და იმ მშვენიერ ქალს გამოვიხსნი.

- ღვთიშობლის მადლმა, მართლაც რომ ბრძნული გეგმაა! - უთხრა ფიცურსმა, - განსაკუთრებით შენი ჭკუამახვილობა მაკვირვებს, დე ბრასი, თუ მართლა იმ შენი ღირსეული მომხრის მფარველობას გინდა მიანდო მშვენიერი ქალი. საქსონელებისთვის წართმევას და გატაცებას როგორმე კი მოახერხებ, მაგრამ ის აღარ მჯერა, რომ მერე ბუა გილბერის კლანჭებისაგან დაიხსნა. ეგ ისეთი მიმინოა, რომ თუ ერთი ჩაავლო მწყერს კლანჭი, ნადავლს აგრერიგად აღარ თმობს.

- ის ხომ ტაძრელი რაინდია, - უპასუხა დე ბრასიმ, - მდიდარი მემკვიდრის შერთვაში როგორ შემეცილება?! დე ბრასის საცოლეს რას გაუბედავს... ზეცას ვფიცავ, რაც მაგათ ორდენში რაინდები არიან, ყველას ღონე რომ მაგ ერთს შეუდგეს მკლავში, ამისთანა შეურაცხყოფას მაინც არ გავაბედინებ.

- რამდენიც არ უნდა გეჩიჩინო, ვატყობ ამ სისულელეს მაინც ვერ გამოგიბერტყავ თავიდან. ვიცი შენი ჯიუტი ხასიათი; მაგრეამ ამას კი მაინცა გთხოვ - რაც შეიძლება მალე მორჩი მაგ საქმეს, დიდხანს მაინც ნუ გაგრძელდება ეს უდროოდ ჩაფიქრებული სისულელე.

- აკი გეუბნები, - მიუგო დე ბრასიმ, - რამდენიმე საათში ყველაფერს მოვრჩები და მაშინვე იორკში დავიბადები; როგორი გაბედული გეგმაც არ უნდა მოიგონოს შენმა გონებამ, მე მხარს

დაგიჭერთ... მაგრამ მგონი მზად არიან ჩემი მეგობრები, ეზოდან ცხენის ჭიხვინი და ტორების ბაკუნი მესმის... მშვიდობით იყავი... ჭეშმარიტ რაინდს რომ შეეფერება, ისე მივიჩქარი, რათა ჩემი მშვენების ღიმილი მოვიპოვო...

- ჭეშმარიტი რაინდივით! - თვალი გააყოლა ფიცურსმა, - სულელივითო, რომ ეთქვა, უფრო მართალი იქნებოდა, ან არადა ბალღივით, რომელიც ნამდვილ და საჭირო საქმეს გვერდზე გადადებს და ჰაერში აფარფატებულ ბაბუაწვერას გამოეკიდება!.. უბედურება ის არის, რომ ამისთანა იარაღებით უნდა ვიბრძოლო... ვისთვის მერე?.. ამ პრინცისათვის, რომელიც ისეთივე სულელია, როგორიც გარყვნილი და ალბათ ისეთივე უმადური ბატონი გამოდგება, როგორიც ურჩი შვილი და გარეწარი ძმაა. მაგრამ ისიც ხომ... ბოლოს და ბოლოს ისიც ხომ ჩემი იარაღია; და როგორი თავმომწონეც არ უნდა ბრძანდებოდეს, ერთი სცადოს და გადამიდგეს, მაშინ ნახავს, რა დღეც დაადგება!

ფიქრში წასული კარისკაცი პრინცის ხმამ გამოაფხიზლა. „კეთილშობილო ვოლდემარ ფიცურსს!“ ეძახდა იგი შიდა პალატებიდან. მომავალმა კანცლერმა (ამ თანამდებობას უმიზნებდა გაქნილი ნორმანი) ქუდი მოიშვლიპა და იქითკენ გაეშურა, რათა მომავალი ხელმწიფის ბრძანება მოესმინა.

თავი მეთექვსმეტე

ცხრა მთის გადაღმა, უდაბნოში ცხოვრობდა ბერი,
იქ გაიზარდა ბალღობიდან, იქვე დაბერდა,
ხალხსა და სოფელს განდგომილი, გაშორებული;
გამოქვაბულში ღარიბული დაედგა ბინა
და ლოგინად კი გაეშალა ხავსის ლეიბი;
საჭმელად ჰქონდა ტყის მაჟალო, ველური ხილი,
ხოლო წყურვილის მოსაკლავად - ანკარა წყარო.
მოშორებული თვისტომებსა და ნათესავებს
წირვა-ლოცვაში ატარებდა ის წუთისოფელს,
ცად აღავლენდა ღვთის მსახური ღვთის სადიდებელს.
პარნელი

მკითხველს ალბათ არ დავიწყნია, რომ ასპარეზობის ბედი გადაწყვიტა უცნობი რაიდის ჩარევამ, რომელსაც წინა დღის უმოქმედობისა და გულ-გრილობის გამო ხალხმა LE Noir Faineant - შავი ზარმაცი - შეარქვა. გადაწ-ყვიტა თუ არა გამარჯვების ბედი, ეს რაინდი თვალსა და ხელს შუა

გაქრა: ჯილდოს მისაღებად რომ გამოიძახეს, აღარსად ჩანდა. მანამ ჰეროლდები და მსტოვრები მის ძებნაში იყვნენ, რაინდი დინჯად გაემართა ჩრდილოეთისაკენ, ოღონდ სახალხო გზებზე სიარული არ ინდომა და ტყეტყე გადააპირდაპირა. ღამე ერთ პატარა ფუნდუკში გაათია, სადღაც გზის მიღმა, და იქვე, მოხეტიალე მომღერლისაგან გაიგო ასპარეზობის ბედი.

მეორე დღეს უთენია გაუდგა გზას რაინდი, რათა მოესწრო და რაც შეიძლება ადრე გასცლოდა იქაურობას. წინა დღით ისე ზოგავდა და უფრთხილდებოდა ცხენს, რომ ახლა დაუსვენებლივ შეეძო ევლო. მაგრამ ათასნაირად დაკლაკნილმა ბილიკებმა მაინც შეუშალა ხელი, ასე რომ საღამო ხანს იორკშირის საზღვრებს არ კი გასცილებოდა. მხედარსაც და ცხენსაც დასვენება ეჭირვებოდათ, სწრაფად უნდა გამოეძებნა ღამის გასათევი ადგილი, რადგან უკვე ბინდი წვებოდა.

ირგვლივ არც სახლი ჩანდა, არც კარი, და მოსალოდნელი იყო ჩვენი მგზავრი, სხვა მოხეტიალე რაინდების მსგავსად, ცხენს ბალახზე მიუშვებდა, თვითონ კი მუხას შეაფარებდა თავს და გულის სატრფოზე ფიქრს მიეცემოდა. მაგრამ შავ რაინს, ეტყობა, ან გულის სატრფო არა ჰყავდა, რომ მასზე ფიქრს მისცემოდა, ან არადა სიყვარულშიაც ისეთივე გულგრილი იყო, რა გულგრილობაც ბრძოლაში გამოიჩინა, ამიტომ სამიჯნურო ოცნებამ დაღლილობასა და შიმშილს ვერ სძლია, ლოგინში განცხრომით მოსვენებისა და ვახშმის მაგივრობა ვერ გაუწია. ძალიან უკმაყოფილო დარჩა, როცა კარგად დაათვალიერა იქაურობა, და სახეირო კი ვერაფერი შენიშნა; უდაბურ ტყეში

იდგა, ბილიკები და ფეხით გათელილი ადგილები ბევრგან ჩანდა, მაგრამ, აშკარად ეტყობოდა, ეს ნახირის ნაფეხურები იყო, ან არადა, ნადირისა და მონადირეების ნაკვალევი.

მზე, რომლის მოძრაობის მიხედვითაც აქამდე გზას იკვლევდა რაინდი, თანდათანობით ჩაესვენა დერბიშის მთის გადაღმა; ეს მთა რაინდის ხელმარცხნივ წამომართულიყო. ამის შემდეგ გზის გაგნება წარმოუდგენელი იყო, და თუ რაინდი არ დაიშლიდა, შეიძლებოდა კიდევ უფრო დაბურულ უღრანში მოხვედრილიყო. ბევრი იტრიალა, უფრო დატკეპნილ ბილიკს არჩევდა - იქნებ მწყემსის კარავთან მიმიყვანოს ან მეტყევის ქოხთანო. მაგრამ ვერა და ვერ შეარჩია ასეთი ბილიკი, და ბოლოს გადაწყვიტა, ისევ ცხენის ალღოს მინდობოდა. გამოცდილებით იცოდა, რომ ცხენები საოცარ

უნარს იჩენენ და ასეთი გასაჭირიდან ხშირად გამოჰყავთ ხოლმე მხედრებიცა და თავიანთი თავიც.

აბჯარასხმული მხედრის სიმძიმით მთელი დღის დაღლილ-განაწამებმა ჭკვიანმა ბედაურმა როგორც კი იგრძნო, აღვირი მომიშვეს და მე მომენდნენო, თითქოს ახალი ძალა ჩაუდგა და მხნეობა შეემატა. აქამდე თუ უხალისო ფრუტუნით უპასუხებდა მხედრის დეზებს, ახლა, თითქოს სიამაყე იგრძნო ასეთი ნდობითო, ერთბაშად ცქვიტა ყურები და ჩქაფად დაიძრა, ცხენის არჩეული ბილიკი სულ სხვა მიმართულებით გადიოდა, სავსებით შორდებოდა იმ გზას, რომელსაც დილიდან მიჰყვებიდა რაინდი. მაგრამ რაკი ცხენი უყოყმანოდ დაადგა ამ ბილიკს, მხედარიც მიჰყვა.

გაუმართლა კიდეც ეს არჩევანი: ცოტაზე რომ გაიარეს, ბილიკი უფრო გაფართოვდა, მეტი დატკეპნილობაც დაეტყო, პატარა ზარის წკრიალიც შემოესმა და მიხვდა, რომ მახლობლად სამრეკლო თუ სენაკი უნდა ყოფილიყო.

ცოტა რომ გაიარა, მოტიტვლებულ ადგილზე გავიდა, რომლის მიღმა მინდორი ოდნავ შემაღლებულიყო და ზედ ავდრის ჩამორეცხილი ციცაბო კლდე წამომართულიყო. ალაგ-ალაგ სუროს დაეფარა კლდე, ზოგან კი ბზარებში ფესვებგადგმული მუხა და დეკა ამოშვერილიყივნენ და, უფსკრულზე გადმომდგარნი, ისე არხევდნენ ქოჩორა თავს, მეომრის რკინის მუზარადზე დამაგრებულ ფრთას დამსგავსებოდნენ; ამით ისინი სილაზათეესა და მოხდენილობას აძლევდნენ მთელს კლდეს, რომელიც, საერთოდ, შიშის აღმძვრელი იყო. კლდის ძირში, თითქმის ზედ კლდეზე მიყრდნობილი ულაზათო ქოხი იდგა, მეზობელ ტყიდან მოთრეული კუნძებით ნაგები. ავდრისაგან თიხაში აზელილი ხავსი იფარავდა. ზედ კარებთან გასხეპილი მომცრო ნაძვის ხე ჩაერჭოთ და კენწეროსთან ერთი პატარა ტოტი დაემაგრებინათ - წმიდა ჯვრის ტლანქი გამოსახულება მიეცათ. ხელმარჯვნით, კლდიდან უანკარესი წყარო მოწანწკარებდა და თასივით ამოთლილ ქვაში ესხმოდა. აქედან გადმოსულს კი ტყისკენ გაეკვალა გზა და პატარა მინდორზე ბუტბუტით მიედინებოდა.

წყაროს გვედით პატარა სამრეკლოს შენიშნავდით, უკვე დანგრეულს, ზოგან სახურავიც კი

ჩაწოლილიყო, მთელი ეს ნაგებობა, თავის დროზე, სიგრძით თექვსმეტი და სიგანით თორმეტიოდე ფუტი თუ იქნებოდა, მეტი არა. დაბალი სახურავი

ოთხ კონცენტრირებულ თაღზე იდგა, თაღები კი, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ოთხივე კუთხეში ამოშენებულ დაბალსა და მსხვილ სვეტებს. ორი თაღი ისევ მთელი იყო, თუმცა სახურავი მათ შორის უკვე ჩანგრეულიყო, სხვა თაღებზე კი ისევ იდგა. ამ ძველისძველი სამლოცველოს კარები ძალიან დაბალსა და მრგვალ თაღში გამოეჭრათ და ზემოდან, რამდენიმე მწკრივად, შემოყოლებული ჰქონდა ზვიგენის კბილებისნაირი ჩუქურთმა, რაც უძველეს საქსონურ არქიტექტურაში ხშირად გვხვდება ხოლმე. ოთხ პატარა ბოძზე აღმართული იყო სამრეკლო, რომელშიაც ავდრისა და ჟამთა სვლისაგან გამწვანებული ზარი ეკიდა. სწორედ ამ ზარის სუსტი წკრიალი მისწვდა შავი რაინდის სმენას.

საღამოს ბინდ-ბუნდში გადაშლილმა ამ მყუდრო და მშვიდმა სანახაობამ მგზავრს კარგად მოსვენების იმედი აღუძრა, რადგან უდაბურ ტყეებში განმარტოებული მეუდაბნოების ერთ-ერთი მოვალეობა ისიც იყო, რომ დაგვიანებულ და გზააბნეულ მგზავრთათვის მასპინძლობა გაეწიათ.

ასე რომ, რაინდს დიდად აღარ შეუწუხებია თავი და ჩვენს მიერ აღწერილი სურათის ცქერით არ დამტკბარა; მადლი მოახსენა წმიდა იულიანს (მოგზაურთა მფარველს), რომელმაც უცებ ასეთი თავშესაფარი მოუვლინა, ცხენიდან ჩამოხდა და შუბის ტარით სენაკის კარზე დააკაკუნა.

ერთხანს არავინ გამოხმაურებია, ხოლო როცა გამოეხმაურენ, პასუხი ვერაფერი სანუგეშო იყო.

- შენს გზას გაუდექი, ვიღაცა ხარ, - მოისმა ბოხი, ჩახრინწული ხმა სენაკიდან, - მწუხრის ლოცვას ნუ აწყვეტინებ ღვთისა და წმინდა დუნსტანის მსახურს.

- ღირსო მამაო, - მოუგო რაინდმა, - შენს კარებთან ერთი საწყალი მგზავრი დგას, ტყეში გზა აებნა და ახლა საშუალებას გაძლევს გულმოწყალება და მასპინძლობა გამოიჩინო.

- კეთილო ძმაო, - გამოსძახა მეუდაბნოემ, - მე თვითონ ღვთიშობლისა და წმიდა დუნსტანის წყალობის შემყურე და გასაკითხი ვარ, სხვა როგორღა უნდა გავიკითხო. არა მაბადია რა, ჩემს საჭმელს ძაღლიც კი პირს არ დააკარებს, ცოტად თუ ბევრად ნაპატიები ცხენიც კი არ იკადრებს ჩემს ლოგინს... შენს გზას გაჰყევი, ღმერთი იყოს შენი შემწე.

- ჩემს გზას როგორღა გავიგნებ, ისე ჩამოსკვარამდა ამ უდაბურ ტყეში? - არ ეშვებოდა რაინდი, - გამიღე კარი, ღირსო მამაო,და, მაცხოვარს გაფიცებ, თავშესაფარს თუ არ მიწყალობებ, გზა მაინც მასწავლე!

- მეც გაფიცებ მაცხოვარს, კეთილო ძმაო, რომ მეტს ნუღარ შემაწუხებ, - გამოსძახა მეუდაბნოემ, - ისედაც შემაწყვეტინე „მამაო ჩვენო“ ერთჯერ, „წმიდა მარიამ ღვთიშობელო“ - ორჯერ და „ Credo“ - სამჯერ, რაც მე ცოდვილსა და უბედურს მთვარის ამოსვლამდე უნდა მომესწრო, ასეთი აღთქმა მაქვს.

- გზა, გზა მაჩვენე! - ხმას აუწია რაინდმა, - სხვას თუ არაფერს გამოიმეტებ, გზა მაინც მასწავლე!

- ეგ ადვილი სამსახურია, - გამოსძახა მეუდაბნოემ, - ამ ბილიკს დაადგები, ჭაობთან მიგიყვანს, იქიდან წასული პირდაპირ ფონს მიადგები, გასვლით ალბათ ადვილად გახვალ, რამდენი ხანია წვიმა აღარ ყოფილა. მდინარეს რომ გადალახავ, მარცხნივ იყურე - უფსკრულია და სიფრთხილე გმართებს. როგორც გავიგე (ჩემი თვალით სად ვნახავდი, იშვიათად გამოვდივარ ამ სენაკიდან), მდინარის გაღმა ბილიკი ზოგან ჩანგრეულია და ეგეც დაიხსომე. იქიდან კი პირდაპირ გაუყვები და...

- ჩანგრეული ბილიკი... უფსკრული... ფონი... ჭაობი! - შეაწყვეტინა რაინდმა, - არა, ბატონო მეუდაბნოევ, შენ რომ მართლა წმიდა ბერი იყო, ამ ღამეში, ამისთანა გზაზე არ გამიშვებდი, სადაური სამართალია: თვითონ სხვისი მოწყალების შემყურე - (და ისიც უნდა ვიკითხოთ, ხარ კი ღირსი შეწყალებისა!) - გასაჭირში ჩავარდნილ მგზავრს კარს არ უღებ! ახლავე გამიღე კარი, თორემ ამ ჯვრის მადლმა, შემოვამტვრევ და ძალათი შემოვალ.

- რა გინდა, ძმაო, რას გადამეკიდე?! - გამოსძახა მეუდაბნოემ, - იარაღს ნუ გამომაღებინებ თავის დასაცავად, თორემ, იცოდე, კარგი დღე არ დაგადგება.

მგზავრს აქამდეც ესმოდა ყეფისა და ღრენის შორეული ხმა, ახლა კი ერთბაშად ძაღლების გნიასი ატყდა. რაინდი მიხვდა, რომ კარის შემტვრევის მუქარით დაშინებულმა მეუდაბნოემ სოროში დამწყვდეული ძაღლები გამოუშვა, რათა სტუმრისთვის მიესია. ბერის ამ არასტუმართმოყვარული საქციელით გაცეცხლებულმა რაინდმა ისე გამეტებით ჰკრა კარს წიხლი, რომ მთელი ქოხი შეაზანზარა.

მეუდაბნოემ, ეტყობა, შეიბრალა კარი მეორე დარტყმისაგან და რაინდს გამოსძახა:

- მოიცა, მოიცა, კეთილო მგზავრო! ღონე დაზოგე, ახლავე გაგიღებ, მაგრამ ეგეც იცოდე, კარგს და სასიამოვნოს ვერაფერს გეტყვი.

კარი მართლაც გაიღო და რაინდის წინ ბერი აღიმართა - მოსული, ბრგე ვაჟკაცი, რომელსაც ჯვალოს ანაფორა ეცვა და ზედ დაგრეხილი ჭილის ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ცალ ხელში ანთებული კვარი თუ ჩირაღდანი ეჭირა, მეორეში კი - პანტის ჯოხი, მაგრამ ისეთი მსხვილი და მძიმე, რომ კეტი რომ ვუწოდოთ, უფრო სწორი იქნება: ორი ბომბორა ძაღლი, ნაგაზისა და მწევრის შენაჯვარი, შემართული იდგა, რომ კარის შემტვრევისთანავე სცემოდა მგზავრს. მაგრამ როცა კარებთან მდგარი რაინდის მაღალი მუზარადი და ოქროს დეზები აელვარდა ჩირაღდნის შუქზე, მეუდაბნოემ, ეტყობა, პირვანდელი განზრახვა გადაიფიქრა, და თავისი გახელებული

თანაშემწეები დააშოშმინა; ლაპარაკის კილოც გამოიცვალა და სტუმარი თავაზიანად შეიპატიჟა ქოხში, თან მოუბოდიშა კიდეც - იმდენი ყაჩაღი და ავაზაკი დაძრწის ამ არემარეში, რომ მზის ჩასვლის შემდეგ კარის გაღებას ვერიდებიო; აღარც ღვთიშობელი სწამთ, აღარც წმიდა დუნსტანი, და აღარც ის წმიდა ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლე მის სამსახურში არიანო.

- შენი ღარიბული ქოხი, ღირსო მამაო, - მიმართა რაინდმა და ქოხში მიიხედ-მოიხედა: ხმელი ფოთლების ლოგინი, მუხის ტლანქად გამოკვეთილი ჯვარცმა, ლოცვანი, უშნოდ გამოჩორკნილი მაგიდა, ორი სკამი და ერთი-ორი ამნაირივე ნივთი შეადგენდა მთელ ავლადიდებას, - შენი ღარიბული ქოხი თავისთავად უკუაგდებს ყოველგვარ ქურდსა და ბაცაცას, ამ ქოფაკებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლებიც ხარირემსაც კი თვალისდახამხამებაში დასცემენ, არა თუ კაცს.

- კეთილმა მეტყევემ დამრთო ამ ძაღლების ყოლის ნება; მანამ ქვეყანა დაწყნარდებოდეს განმარტოებულ მწირს დამიცავენ, - უთხრა მეუდაბნოემ.

ეს რომ თქვა, კვარი რკინის რგოლში გაარჭო, რომელიც შანდლის მაგივრობას უწევდა, სამფეხა მაგიდა ცეცხლისკენ მისწია, მიმქრალ ნაკვერჩხლებს ხმელი შეშა დააყარა, სკამი აიღო, ერთი მხრით მიუჯდა მაგიდას და რაინდს ანიშნა, მეორე მხრიდან შენ მოუჯექიო.

შემოუსხდნენ მაგიდას და თვალი ერთმანეთს გაუშტერეს, ერთიც და მეორეც იმას ფიქრობდა თავის გულში: ასეთ ჩასკვნილ, ღონიერ და მოხდენილი ტანის კაცს, აგერ წინ რომ მიზის, ჩემს დღეში არ შევხვედრივარო.

- ღირსო მეუდაბნოევ, - მიმართა რაინდმა კარგა ხნის შემდეგ, როცა გულმოდგინედ დაათვალიერა მასპინძელი, - რომ არ მეშინოდეს წმიდა ფიქრებს დავურღვევ-მეთქი, სამ რამეს ვკითხავდი შენს უწმინდესობას. ჯერ ერთი, ცხენი სად დავაბა?.. მეორე - ვახშმად რას მაჭმევ?.. და მესამეც - სად დამაძინებ?..

- ახლავე გიპასუხებ, - მიუგო მეუდაბნოემ, ოღონდ თითით უნდა განიშნო, რადგან წესადა მაქვს არ ვილაპარაკო, როცა უსიტყვოდაც შეიძლება ანიშნო კაცს.

ეს თქვა და ქოხის ორი კუთხე აჩვენა: - აქ თავლა იქნება, აქ კი ლოგინი, რაც შეეხება ვახშამს, - თაროდან ხის ჯამი ჩამოიღო, რაშიაც ორიოდე მუჭი მოხალული მუხუდო ეყარა, და მაგიდაზე დადგა, - ესეც შენი ვახშამი.

რაინდმა მხრბი აიჩეჩა, ქოხიდან გავიდა, ცხენი შეიყვანა (რომელიც ხეზე ჰყავდა მიბმული), დიდის გაფაციცებით მოხსნა უნაგირი და გაქაფულ ცხენს თავისი მოსასხამი გადააფარა.

მეუდაბნოემ რომ ნახა, როგორი გულისყურითა და მზრუნველობით ეპყრობოდა რაინდი ცხენს, შეეცოდა. რაღაც წაიბუტბუტა, მეტყეევეს მგონი ცოტა თივა დარჩაო, მიბრუნდა, საიდანღაც ერთი ხელის მოდება თივა გამოიტანა, რაინდის ცხენს დაუყარა, მერე სწრაფადვე მოტრილდა და იმ კუთხეში, საცა მხედარს საწოლი ანიშნა, გამხმარი გვიმრა დაყარა. რაინდმა მადლობა გადაუხადა ასეთი თავაზიანობისათვის. მერე ისევ მაგიდას მიუსხდნენ, რომელზედაც მუხუდოიანი ჯამი იდგა. მეუდაბნოემ გრძელი ლოცვა წარმოთქვა. ეს ლოცვა თავის დროზე ლათინურად შეეთხზათ, მაგრამ დროთა ვითარებაში ლათინურისა ბევრი აღარაფერი შერჩენოდა. მერე სტუმარს მისცა მაგალითი - თავის დიდ პირში, რომელშიაც ტახის ეშვებივით ბასრი და კრიალა კბილები მოუჩანდა, სამი თუ ოთხი მოხალული მარცვალი ჩაიდო; ძალიან უბადრუკი საფქვავი კი იყო ასეთი დიდი და მძლავრი წისქვილისათვის!

რაინდმაც გადაწყვიტა მასპინძლის საქებური მაგალითისათვის მიებაძა, მუზარადი მოიძრო, ჯაჭვის პერანგი გაიხადა, აბჯარი მოიხსნა და მეუდაბნო-

ეს წარმოუდგა ქერა ხუჭუჭთმიანი, გამოკვეთილნაკვთებიანი კაცი, რომელ-საც საოცარის ელვარებით უციმციმებდა ლურჯი თვალები. კოხტა პირი ჰქონდა, ზემოთა ტუჩი თმაზე ცოტა უფრო მუქ ულვაშს შეემოსა. მამაცი და ვაჟკაცური იერი კარგად ეგუებოდა მის ღონიერსა და ჩამოსხმულ ტანს.

არც მეუდაბნოე ჩამორჩა ნდობის გამოცხადებაში სტუმარს, ანაფორაზე მობმული ყაბალახი

გადაიძრო და კოხტად მოყვანილი თავი გამოაჩინა. ყმაწვილი იყო, წმიდად გაპარსულ კეფას შავი ხუჭუჭა თმა ერტყა. მაღალ ღობეშემოვლებულ სამრევლო ბაკს მოგაგონებდათ. მონასტრული სიდუხჭირის და ასკეტური მარხულობისა სახეზე არაფერი ეტყობოდა. პირიქით, კეთილი და მკვირცხლი გამომეტყველება ჰქონდა, კოხტად გამოკვეთილი შუბლი, ხშირი შავი წამწამები, მებუკესავით ღაჟღაჟა, გამობერილი ლოყები, შავი, ხვეული წვერი. ასეთი სახე და ნაპატიები ტანი იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ წმინდა ბერი სუკსა და მსუქან ლორს უფრო ეწყობოდა, ვიდრე მუხუდოსა და ცერცვს. ეს არც სტუმარს გამოპარვია. მან ერთხანს დიდის გაჭირვებით ღეჭა პირველი პეშვი მოხალული მუხუდო და ბოლოს იძულებული შეიქნა ღვთისმოსავი მასპინძლისათვის რამე დასალევი მოეთხოვა. მეუდაბნოემაც არ დააყოვნა და ანკარა წყაროს წყლით სავსე დოქი დაუდგა წინ.

- წმიდა დუნსტანის ემბაზიდან არის ამოღებული, - უთხრა მან, - ერთ დღეში მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, ხუთასი ურჯულო დანიელი და ბრიტანი მონათლა ამ ემბაზში, კურთხეულ იყოს მისი სახელი! - შავი წვერი დოქთან მიიტანა და ისე უგემურად მოსვა, რომ მის მიერვე წარმოთქმული ხოტბა სულაც ვერ გაამართლა.

- როგორც ვატყობ, ღირსო მამაო, - მიმართა რაინდმა, - ეს გამხმარი მუხუდო და წმიდათა წმიდა, მაგრამ რაღაცნაირად უგემური წყალი დიდებულად მოგხდომია. შენ რომ გიყურებ, ჭიდაობა და

კეტებით ბრძოლა, ან არადა ფარიკაობა უფრო დაგშვენდებოდა, ვიდრე ამ უდაბნოში განმარტოებით ჯდომა, ლოცვანის ჩიფჩიფი, მოხალული მუხუდოს ტკვერა და ცივი წყლის წრუპვა.

- ბატონო რაინდო, - მიუგო მეუდაბნოემ, - შენც ისევე სჯი, როგორც ყველა უგუნური ცოდვილი. თვით ღვთიშობელმა და ჩემმა მფარველმა ინდებეს, ისევე ეკურთხებინათ ჩემი ღარიბული ტრაპეზი, როგორც შადრახის,

მეშახისა და აბედნეგოს შთამომავალნი ეწაფებოდნენ ამნაირადვე ნაკურთხს ცერცვსა და წყალს, ხოლო სარკინოზთა ხელმწიფისაგან ნაბოძებ ხორცსა და ღვინოს პირს არ აკარებდნენ.

- წმიდა მამაო, - მიმართა რაინდმა, - შენს სახეზე ღმერთს ჭეშმარიტად სასწაულები მოუხდენია და ამიტომ მაინც ღირსჰყავი ცოდვილი მონა, სახელი გკითხოს.

- შეგიძლია კოპმანჰერსტელი დიაკვანი მიწოდო, - მიუგო მეუდაბნოემ, - აქაურები ასე მეძახიან ხოლმე... მართალია, ამ სახელს წმიდასაც უმატებენ, მაგრამ მე პირადად არავის არ დავაძალებ ამას, რადგან ამისთანა სახელის ღირსად არა ვთვლი ჩემს თავს... ახლა კი, მამაცო რაინდო, იქნებ ჩემი პატივსადები სტუმრის სახელიც გამაგებინო.

- რატომაც არა, კოპმანჰერსტელო წმიდა დიაკვანო, - უპასუხა რაინდმა, - აქაურები შავ რაინდს

მეძახიან... ბევრი ამ სახელს ზარმაცსაც უმატებს ხომლე, მაგრამ ისეთი პატივმოყვარე არა ვარ, გამორჩეული სახელი ვინდომო.

მეუდაბნოემ ღიმილი ვერ შეიკავა.

- როგორც ვატყობ, ბატონო ზარმაცო რაინდო, - მიმართა მან, შენ ჭკვიანი და ავკარგიანი კაცი ხარ. იმასაც ვხედავ, რომ ჩემი ღარიბული მონასტრული ტრაპეზიც ვერაფრად გეპიტნავება - ალბათ კარისკაცულსა და მხედრულ ცხოვრებას ხარ დაჩვეული და ქალაქური ფუფუნება გიყვარს. ახლაღა მომაგონდა, ბატონო ზარმაცო, რომ იმ მეტყევემ ძაღლებსა და თივასთან ერთად ცოტაოდენი საჭმელიც დამიტოვა, მაგრამ უფრი დიდ ფიქრებში გართულს სულ გადამავიწყდა, მით უმეტეს, რომ ჩემთვის უსარგებლო იყო.

- ღმერთმანი, მეც მივხვდი, რომ უსათუოდ დაგიტოვებდა, - უთხრა რაინდმა, - როგორც კი ყაბალახი მოიძვრე, მაშინვე მივხვდი, წმიდა დიაკვანო, რომ სენაკში ამაზე უკეთესი საჭმელი გექნებოდა... ძალიან გულკეთილი კაცი ჩანს ის შენი მეტყევე. თუმცა ვისაც არ უნდა შეეხედა, როგორ საცოდავად კვნეტ შენი ეშვებით გამხმარ მუხუდოს და უგემური წყლით როგორ ილბობ ყელს, რაღა თქმა უნდა, გული არ მოუთმენდა და ცხენის საკვებზე არ დაგაგდებდა, ხეირიან სანოვაგეს მოგაწვდიდა. აბა, ნუღარ ზოზინებ, გამოიტანე ბარემ იმ შენი მეტყევის ხორაგი.

მეუდაბნოემ გამომცდელი თვალით შეხედა, სასაცილო ყოყმანი შეეტყო - სულ მთლად მივენდო ამ რაინდს თუ არაო. მაგრამ რაინდს ისეთი ვაჟკაცური სახე ჰქონდა და ისეთი გულწრფელი ჩანდა, თან ისე კეთილად იღიმებოდა, რომ მასპინძლის გული საბოლოოდ მოინადირა და განუსაზღვრელი ნდობა აღუძრა.

ერთი-ორჯერ კიდევ გახედა უხმოდ, მერე წამოდგა, კუთხეში მივიდა და დიდის სიფრთხილითა და მოხერხებით დამალული კიდობანი გახსნა, იქიდან უზარმაზარ ტაფაზე გამომცხვარი ღვეზელი ამოიღო და რაინდს დაუდო წინ. ამანაც აღარ დააყოვნა, ქარქაშიდან ხანჯალი ამოაძრო, ღვეზელი გაჭრა და გემო გაუსინჯა.

- უკანასკნელად როდის იყო ის შენი მეტყევე? - ჰკითხა მან მასპინძელს, როცა რამდენიმე ნაჭერი შეჭამა.

- ამ ორი თვის წინ, - სწრაფად მიუგო ბერმა.

- ღმერთს გეფიცები, შენს სენაკში რომ მართლაც დიდი სასწაულები ხდება, წმიდა დიაკვანო! - უთხრა რაინდმა, - თუნდა ხატზე დავიფიცებ, რომ მსუქანი ირემი, რომლის ხორცითაც ეს ღვეზელი გამოუცხვიათ, ამ კვირია ისევ ტყეში დანავარდობდა.

მეუდაბნოე, ცოტა არ იყოს, შეცბა, მობუზული იჯდა და საწყლად შესცქეროდა, რა გამწარებით ნთქავდა სტუმარი მის ღვეზელს. მას კი ვერ გაებედა ხელის ხლება, რადგან ადრე ხომ მარხულობაზე დებდა თავს.

- მე პალესტინაში ვიყავი, ბატონო დიაკვანო, - უთხრა რაინდმა და ერთბაშად შეწყვიტა ჭამა, - ახლა მომაგონდა, რომ იქაური ჩვეულების მიხედვით ყოველი მასპინძელი სტუმრისათვის მირთმეულ კერძს თვითონაც უნდა შეექცეს, და ამით სტუმარი დაარწმუნოს, რომ საჭმელი უვნებელია. ღმერთმა დამიფაროს, შენისთანა წმიდა კაცს პურაძვირობა დავწამო, მაგრამ ძალიან კი დამავალებ, ამ აღმოსავლურ ადათს თუ გაჰყვები.

- თქვენი უსაფუძვლო ეჭვების გასაფანტავად, ბატონო რაინდო, ამ ერთჯერ გადავუხვევ აღთქმას, - მიუგო მეუდაბნოემ, და რაკი იმხანად ჩანგლები არ იყო შემოღებული თითები ამოუსვა ღვეზელში.

რაკიღა გატყდა მორიდებისა და უნდობლობის ყინული, ეტყობოდა, მასპინძელიცა და სტუმარიც ერთნაირად დაფაცურდნენ, აბა ვინ გამოიჩენს უფრო დიდ მადასო და მიუხედავად იმისა, რომ სტუმარს გაცილებით უფრო ადრე ჰქონდა ჭამა დაწყებული, მაინც მეუდაბნოემ ჩამოიტოვა უკან.

- წმიდა დიაკვანო, - მიმართა რაინდმა, როცა შიმშილი მოიკლა, - თუნდა ჩემს ბედაურს ჩამოვალ

სანაძლეოდ, ის პატიოსანი მეტყევე, რომელსაც ამ მშვენიერ ირმის ხორცს უნდა ვუმადლოდეთ, დიდებულ ღვეზელზე დასაყოლებლად ერთ ბოთლ ღვინოს, ან პატარა კასრით კანარულს, ან ამნაირ რამეს უსათუოდ დაგიტოვებდა. რა თქმა უნდა, შენისთანა გადაგებულ მომარხულეს ასეთი უღირსი და წვრილმანი რამეები არ ეხსომება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთხელ რომ მოაფათურებდე ხელს იმ კიდობანში, ჩემი ვარაუდი გამართლდება.

მეუდაბნოეს პასუხი არ გაუცია, გაიჭყანა მხოლოდ, კიდობანთან მივიდა და ასე ოთხბოთლიანი ტიკი ამოაძვრინა. მერე ორი დიდი მოვერცხლილი ყანწიც გამოიტანა; ხოლო რაკი ვახშმის ჩასარეცხ მშვენიერ სასმელზე მიდგა საქმე, ეტყობა გადაწყვიტა, მორიდება და სიფრთხილე რიღას მაქნისიაო, ყანწები გააპიპინა, ერთი საქსონურად შესძახა, შენ გაგიმარჯოს, ზარმაცო რაინდოო, და სულმოუთქმელად გადაყლურწა.

- შენი გამარჯვებისა იყოს, კოპმანჰერსტელო წმიდა დიაკვანო! - მიუგო მხედარმა და მანაც დასცალა ყანწი.

- წმიდა დიაკვანო, - განაგრძო რაინდმა პირველი ყანწის შემდეგ, - გიყურებ და მიკვირს - ამისთანა ჩასკვნილი და ღონიერი კაცი, - თან გეტყობა, ჭამა-სმის მოყვარულიც უნდა იყო, - რაღა ამ უდაბნოში გადმოხვეწილხარ!.. მე რომ მკითხო, შენისთანა კაცი ციხე-სიმაგრეში უნდა

ცხოვრობდეს, ან კოშკში სადმე, სულ შემწვარ-მოხრაკულებს შეექცეოდეს და ღვინოსაც მაგარს სვამდეს. მუხუდო და წყალი რა შენი საქმეა, ან მეტყევეს რად უნდა შეჰყურებდე ხელებში!.. მე რომ შენს ადგილას ვიყო, მეფის ირმებს დავერეოდი - ნადირობით გართობაც იქნებოდა და არც ჭამა-სმა მოგაკლდებოდა. იცოცხლე, ჯოგ-ჯოგად დადიან ამ ტყეებში, და ერთი მსუქანი ირემი წმიდა დუნსტანის მსახურისათვის ალალიც არის.

- ბატონო ზარმაცო რაინდო, - მიუგო მეუდაბნოემ, - ამისთანა საშინელ სიტყვებს, თუ ღმერთი გწამს, ნუღარ გაიმეორებ. მე ჭეშმარიტი მეუდაბნოე ვარ, მეფისა და კანონის ერთგული, მეფის ირმებზე ნადირობას რომ მივყო ხელი, დილეგი არ ამცდება,და ბერის ანაფორამ თუ არ დამიფარა, იქნებ სახრჩობელას ყულფშიაც გამაყოფინონ თავი.

- მერე რა! მე რომ შენს ადგილას ვიყო, მაინც არ შევეპუებოდი, მთვარიან ღამეში გამოვიდოდი, როცა მეტყევეები და გუშაგები თავიანთ ლოგინებში არიან ხოლმე ჩაფუთნული, მოვყვებოდი ლოცვების ბუტბუტს და თან ისრებს პირდაპირ მურა ირმების ჯოგში მივუშვებდი... გამოტეხილი მითხარი, წმიდა დიაკვანო, ჯერაც არ გინადირია?

- - ჩემო ზარმაცო, - მიუგო მეუდაბნოემ, - შენ ამ ქოხში ყველაფერი ნახე, რისი ნახვაც კი შეიძლებოდა, ძალად შემოვარდნილი კაცი ამის ღირსიც არ იყო. გირჩევნია, იმით დასტკბე, რაც

ღმერთს მოუცია, ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ნუღარ გამოიჩენ: შენ ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობ; ღვინო დაისხი და სადღეგრძელო შესვი; თუ ღმერთი გწამს, მეტს ნუღარ გამაბრაზებ კითხვებით, თორემ ახლავე დაგიმტკიცებ, რომ ძალათი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადმოდგამდი ამ ზღურბლზე.

- ქრისტეს რჯულსა ვფიცავ, კიდევ უფრო გამიცხოველე ცნობისმოყვარეობა! - შესძახა რაინდმა, - ჩემს დღეში არ მინახავს შენისთანა უცნაური ბერი. მანამ აქედან წავიდოდე, კარგად უნდა გაგიცნო. მუქარა ნუ იქნება, თორემ ჩემი ხელობა მეტი კი არაფერია - საცა არ უნდა მივიდე, ყველგან ფათერაკს ვეძებ.

- ეს შენ გაგიმარჯოს, ბატონო ზარმაცო რაინდო, - უთხრა მეუდაბნოემ, - შენს მამაცობას დიდ პატივსა ვცემ, მაგრამ წინდახედულობას ვერ შეგიქებ. ერთნაირი იარაღი თუ გვექნება, ძმურად და მეგობრულად ისეთ გაკვეთილს მოგცემ, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, რომ მთელ თორმეტ თვეს აღარც ცნობისმოყვარეობის ცოდვა მოგივლის და არც ზედმეტი ფუფუნებისა.

რაინდმა ყანწი დასცალა და იარაღის დასახელება სთხოვა.

- დალილას[27] მაკრატლიდან მოყოლებული, რაც არ უნდა დამისახელო - გინდა

იოლის ლურსმანო იყოს და გინდა გოლიათის ხმალი, ტოლს მაინც არ დაგიდებ, ყველაფერში გამოგყვები. მაგრამ მაინცდამაინც ჩემზე თუ გინდა არჩევანი მოაგდო, ამ სათამაშოებზე რას იტყოდი, კეთილო მეგობარო?

მეუდაბნოემ მეორე სკივრი გახსნა და ერთი წყვილი ფარ-ხმალი ამოიღო, სწორედ ისეთი, როგორსაც იმხანად იომენები ხმარობდნენ ხოლმე. რაინდი თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას და დაინახა, რომ ამ მეორე სკივრში ეწყო აგრეთვე ორი თუ სამი ჩინებული მშვილდი, სამალი,

სამალის კაპარჭი, და ექვსიც ჩვეულებრივი მშვილდ-ისრის კაპარჭი, ბერი-სათვის სავსებით შეუფერებელ ამ საგნებს გარდა ჩაბნელებულ სკივრში რა-ინდმა ერთი ქნარიც შენიშნა.

- პირობას გაძლევ, ძმაო დიაკვანო, - უთხრა რაინდმა, - რომ შემაწუხე-ბელი კითხვებით მეტად აღარ მოგაწყენ თავს. რისი გაგებაც მსურდა, ამ კი-დობანმა ყველაფერი გამაგებინა. მაგრამ ერთ იარაღს კიდევ ვხედავ აქა (წამოდგა და ქნარი ამოიღო), და ხმალსა და ფარს ის მირჩევნია სწორედ ამ იარაღით შეგეჯიბრო.

- მე როგორც ვხედავ, შენთვის ზარმაცი ტყუილად შეურქმევიათ, ბატო-ნო რაინდო. მართალი თუ გინდა, ძალიან საეჭვოდ მეჩვენები. მაგრამ ჩემი სტუმარი ხარ და თვითონვე თუ არ მოიწადინებ, ვაჟკაცობაში როგორ გა-მოგცდი. დაჯექი და ყანწი შეივსე - ვსვათ, ვიმღეროთ და ვიმხიარულოთ.

კარგი სიმღერა თუ იცი, მუდამ სანატრელი სტუმარი იქნები კოპმანჰერ-სტის სავანეში, ვიდრე მე წმიდა დუნსტანის სამრეკლოს ვემსახურები, ეს კი ღვთით მანამ გაგრძელდება, სანამ ჩემს სხეულს ამ რუხი ანაფორის ნაც-ვლად მწვანე ბალახი დაფარავს. აბა, ღვინო დაისხი, ეს ქნარი ასე უცებ არ მოიმართება, ხოლო არაფერი ისე არა სწმენდს ხმას და სმენასაც არაფერი ისე არ ასუფთავებს, როგორც კარგი ღინო. ჩემდა თავად, თითის წვერებშიც თუ არ გამიჯდა ღვინო, ქნარს ისე ვერ ავაჟღერებ.

თავი მეჩვიდმეტე
როცა საღამო ჩამოწვება და
მოეფინება ქვეყანას მწუხრი,
ჩავიკეტები მე ჩემს სენაკში,
ვდგავარ ხატებთან მოხრილი მუხლით;
წმიდა წიგნს გავშლი და სასოებით,
წმიდა მამათა ღვაწლს მივსდევ ფიქრით,
ვხედავ მათ თავზე დადგმულ შარავანდს,
ვგალობ ხმადაბლა... ჟამი კი მიჰქრის...
. . . . . .
ნეტა ვინ დასთმოს ამქვეყნიური
ფუჭი დიდება, ფუყე და ძვირი,
წარმავალ ლხენას და ნეტარებას

ვინ ამჯობინოს ცხოვრება მწირის?

უარტონი

სტუმარმა სიამოვნებით შეასრულა გულუხვი მასპინძლის თხოვნმა, მაგრამ ქნარის მომართვას მაინც დიდხანს არ დაადგა საშველი.

მე როგორც ვატყობ, წმიდა მამაო, მაგ ქნარს ერთი ლარი უნდა აკლდეს, და რაც აქვს, ისინიც რაღაცნაირად არეული ჩანს.

- აჰ, შენც შენიშნე? - გამოეხმაურა მეუდაბნოე, - მაშ, კარგი დაკვრა გცოდნია. სულ ღვინის საქმეა, - დასძინა მან და თვალები ზევით აღაპყრო, - ღვინისა და უზომო ქეიფის! რამდენჯერ გავაფრთხილე ალან-ე-დეილი, ჩრდილოელი მინსტრელი, მეშვიდე ყანწის შემდეგ ხელს ნუ ახლებ, თორემ გააფუჭებ-მეთქი, მაგრამ რას გაგიგონებს!.. მაშ, შენს დაკვრასაც გაუმარჯოს, მეგობარო.

თქვა და დიდის ამბით დასცალა ყანწი, თან კი შოტლანდიელი მექნარის გახსენებაზე თავი გააქნია.

რაინდმა ამასობაში ქნარი მომართა, ერთი-ორი ჩამოჰკრა და მერე მასპინძელს ჰკითხა, რა ვიმღერო - პროვანსული სირვენტა, ფრანგული ვირელე, თუ უბრალო ინგლისური ბალადა გირჩევნიაო.

- ბალადა, ბალადა! - შესძახა მეუდაბნოემ, - ფრანგული „უა-მუა“ ვის რაში ეპიტნავება! მე ჭეშმარიტი ინგლისელი გახლავარ, ბატონო რაინდო, ჩემი მფარველი წმიდა დუნსტანიც ჭეშმარიტი ინგლისელი იყო და ეს შენი „უა-მუა“ ჭირისდღესავით ეჯავრებოდა... ამ სენაკში მხოლოდ ინგლისური სიმღერა უნდა გუგუნებდეს.

- მაშ კარგი, - მიუგო რაინდმა, - ერთი საქსონელი მომღერლისაგან რაღაც ბალადა გამიგონია პალესტინაში და იქნებ გავიხსენო.

მალე გამოირკვა, რომ თუ ნამდვილი მინსტრელი არ იყო რაინდი, ყოველ შემთხვევაში, სიმღერა გამოჩენილ მასწავლებლებთან უნდა ჰქონოდა შესწავლილი. რბილი ხმა არა ჰქონია, პირიქით, ტლანქი უფრო ეთქმოდა, მაგრამ ისე დახელოვნებულიყო, რომ ამ ბუნებრივ მოუხეშაობას ოსტატურად ფარავდა. ასე რომ, მისი სიმღერა არა თუ მეუდაბნოეს, უფრო მკაცრსა და მცოდნე განმსჯელსაც კი მოეწონებოდა, მით უმეტეს, როცა ეშხში შევიდა მომღერალი: ხან მგზნებარედ ააჟღერებდა ხმას, ხან კი მიანაზებდა და ამით სასიმღერო სიტყვებს ძალას მატებდა.

ჯვაროსანის დაბრუნება

პალესტინიდან დაბრუნდა
რაინდი დიდად ქებული,
საქვეყნოდ სახელგანთქმული,
ჯვრებით მხრებდამშვენებული.
ფარზე ყოველი ნაჭდევი,
ყოველი ჭდე და იარა
იყო ნიშანი იმისა,
რა ბრძოლაც გამოიარა...
ახლა დაბრუნდა მაშვრალი,
გაკაჟებული ომითა
და სალამს უძღვნის რაინდი
თავის გულის სწორს შორიდან.
როს ღამის ბინდბუნდს გაჰკვეთავს
მთვარის სხივები მჩქეფარე,
დადგება სატრფოს სარკმელთან
და დაამღერებს მგზნებარედ:
„ნუმც მოჰკლებოდეს ჩემს სატრფოს
შვება და ლხენა გულისა,
გზას უნათებდეს მარადჟამს
ვარსკვლავი სიყვარულისა!
ოღონდ თვის რაინდს მოხედოს,
ჩამოსულს ოქროს მიწიდან,
შეკრულს სპეტაკი ტრფობისა
და ერთგულების ფიცითა.
არ მიძებნია სიმდიდრე,
არა ვარ ოქროს პატრონი,
დავბრუნებულვართ ომიდან
მე და ეს ცხენი - მარტონი.
ბევრი ვერაგი გავგმირეთ,
ბევრს შევულეწეთ აბჯარი,
ბევრს ვაწყევლინეთ გამჩენი,
რჯული ძვალ-რბილში გამჯდარი.
ეს არის ჩემი ნადავლი

და სხვა სიმდიდრეს არც ველი...
ოღონდ კი თეკლემ მაღირსოს
ღიმილი მე სანატრელი!
„ნუმც მოჰკლებოდეს ჩემს სატრფოს
სიხარული და სილაღე.
მისი რაინდი ერთგული,
მისთვის ილოცებს დილამდე.
მისთვის შემუსრა მტრის ურდო, მას უძღვნა მთელი გმირობა,
მასზე იმღერებს მუდამჟამს
ყოველი შეკრებილობა.
იტყვიან, დაამღერებენ -
იმ ტურფა ასულს შეხეთო,
მაგის თვალების ათინათს
აბა ვინ უნდა შეჰბედოს.
მაგის თვალების სიტურფით
გმირებს გმირობა აჩნიათ,
და ასკალონის ბრძოლებშიც
მაგ თვალებს გაუმარჯვნია.“
„მაგის ღიმილსაც შეხედეთ,
რა ჯადო დაატრილა ,
ფხად გამოება ორლესულს
და მტრები გაატიალა.
სამოცი ურჯულოს ცოლი
სამოც ქვრივ-ოხრად აქცია,
და ბრძოლის ველი გაშლილი,
სისხლის ტბად გადააქცია.
ყაუხმოხვეულ სალადინს[28]
სიცოცხლე აღარ ანდომა -
მერე კი მოჰკლა - ვერ იხსნა
ვეღარც მაჰმადის ჯადომა.
მაგის კულულებს შეხედეთ
ბროლის მკერდს როგორ ეხვევა -
მაგ თმების მხილველ მეომარს

წარბიც კი არ შეერხევა.“

„ნუმც მოჰკლებოდეს ჩემს სატრფოს
საქვეყნო ქება-დიდება,
დე, დავრჩე მე უსახელოდ
გულს ცეცხლი წამეკიდება,
თუ არ გახსენი ჭიშკარი
თუ არ მიმიღე მხურვალედ,
თუ ცქერით არ დამიამე
ჩემი თვალები მწყურვალე.
რიჟრაჟი მოგვიახლოვდა
ცვარმა მინდორი დაფარა,
ცივმა დაჰბერა ნიავმა,
ფოთლები გადმომაყარა...
დაჰგმე მორცხვობა, მიმიღე,
გამხადე შენი მნახველი,
ტკბილი ალერსი აღირსე,
ვინც დაგიმკვიდრა სახელი“.

რაინდი მღეროდა, მეუდაბნოე კი ისე იქცეოდა, ჩვენი დროის გამოჩენილი კრიტიკოსი რომ გინახავთ ახალი ოპერის პრემიერაზე. სკამზე გადაესვენა და თვალები მილულა; ხელები გადააჯვარედინა და თითებს ისე ამოძრავებდა, ეტყობოდა, სულგანაბული უსმენდა, ხან გაშლიდა თავის ბრტყელ ხელის მტევნებს და სიმღერის ჰანგს აყოლებდა. ერთი-ორი ადგილი განსაკუთრებით მოეწონა და რაკი შეატყო, რაინდს ხმა არ ეყოო, თვითონვე წაეშველა. როცა დამთავრდა, ბერმა მგზნებარედ განაცხადა - კარგი სიმღერაა და კარგადაც იმღერეო.

- ოღონდ, აი რას გეტყვი, - დასძინა მან, - ის ჩემი თანამემამულე საქსონელი, ეტყობა, დიდხანს ტრილებდა ნორმანებთან და იმათი სიმღერის ნაღვლიანი კილო გადასდებია. რამ წაიყვანა შინიდან ეს პატიოსანი რაინდი? ან დაბრუნების შემდეგ რატომ ეგონა, რომ მის არყოფნაში სატრფო მეტოქეს არ დაუახლოვდებოდა და მასთან არ იქნებოდა?! ან მისი სერენადა, - თუ რას ეძახიან, - რაღას ეპიტნავებოდა? რაღა კატის კნავილი და რაღა ის სერენადა მისთვის! მაგრამ მაინც გადღეგრძელებ, რაინდო, ყველა ჭეშმა-

რიტ მიჯნურს გაუმარჯოს... ოღონდ, შენ კი არ მოხვდები, მგონი, მაგათ რიცხვში, - დასძინა მან, როცა შენიშნა, რომ რაინდმა (რომელსაც უკვე ტვინი გაუხურა ამდენმა სმამ) ყანწი წყლით შეივსო.

- რატომ? - გაიკვირვა რაინდმა, - აკი შენი კურთხეული მფარველის წმიდა დუნსტანის წყაროსიაო.

- მართალი ხარ, - დაუმოწმა მეუდაბნოემ, - და ბევრი ურჯულოც მოუნათლავს ამ წყალში, მაგრამ არა მგონია, რომ დალევით დაელიოს. ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს ამყვეყნად. წმიდა დუნსტანმა სხვებზე ნაკლებ როდი იცოდა გულმხიარული ბერის უფლება-მოვალეობანი.

ეს რომ თქვა, ქნარს გადასწვდა და სტუმარს სიმღერით მოულხინა. ეს იყო ძველი ინგლისური „დერი დაუნის“ მოტივზე შედგენილი სიმღერა.

ფეხშიშველა ბერი
ორი წელი მომიცია,
თუ არ გეყოს მხოლოდ ერთი,
მოიარე ბიზანტია,
მოიარე ესპანეთი.
და თუ შეგხვდეს ჩემნაირი
მხიარული ბერი სადმე -
დე სიცოცხლე მომესწრაფოს
და გავთავდე მერმისამდე.
თავის ცოლის ეშხით მთვრალი,
ომში მიჰქრის მეომარი,
ურჯულოს შუბს გულს მიუშვერს...
და შინ მოაქვთ ბედდამწვარი.
წესს ავუგებ ფაცხა-ფუცხით,
და ქვრივისკენ გავსწევ, თორემ
თავის მოძღვარს შეჩვეული
სხვების ნუგეშს არ ინდომებს.
ახლა მეფე!.. ფუ, რას ბრძანებთ,
თქვენ მე მკითხეთ საქმე მათი -
რამდენს ტახტიც დაუთმია
ანაფორის გულისათავის.
მაგრამ აბა თუ მაჩვენებთ

ისეთ მოძღვარს - ცრუს, უპიროს,
ანაფორა გაიხადოს
და მეფობა დააპიროს?!
ყველგან დადის ჩვენი ბერი,
ყველას სახლში მიესვლება,
პატივს სცემენ და მიტომაც
ყველაფერი ემეტებათ.
საცა უნდა - დაისვენებს,
საცა ნებავს - წამოწვება...
ფეხშიშველა ბერისათვის
არ არსებობს დაბრკოლება.
ვთქვათ, სადილად დაპატიჟეს,
მაგრამ არ სურს დროზე მისვლა,
კაციშვილი ვერ გაბედავს
შემოუჯდეს სუფრას მყისვე:
მოძღვარს უნდა დაელოდონ -
უიმისოდ პურს ვინ გასტეხს!
თავი კერძი მას ეკუთვნის,
მას ეკუთვნის ტოლჩა სავსე.
და ვახშმად თუ მიელიან,
როცა მწუხრი ჩამოწვება,
აგერ ლუდი, იქით ღვინო,
ხაჭაპურიც გამოცხვება,
დიასახლის გული უთრთის...
გაისტუმრებს ქმარს უნდილად,
ბერს ბუმბულზე წამოაწვენს -
მოასვენოს უფრო რბილად.
მაშ იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ
ეშმას შიშით და ღვთის რიდით,
პაპის ნდობაც იქონიეთ,
მოკრძალებაც გმართებთ დიდი.
სასიცოცხლო ვარდები კი,
უეკლებოდ დაკრეფილი,

თავიდანვე ასე თქმულა -

ფეხშიშველა ბერის წილი!

- თავს გეფიცები, დიდებულად გამოგივიდა, მგზნებარედ და ვნებიანად, სწორედ ისე, როგორც შენს ანაფორას შეეფერება, - უთხრა რაინდმა, - ოღონდ ეშმაკს რომ ახსენებ, წმიდა დიაკვანო, არ გეშინია, მართლაც გეწვიოს ის ეშმაკი? ეკლესიის საწინააღმდეგო საქმეებს როცა სჩადიხარ, სწორედ მაშინ?!

- ეკლესიის საწინააღმდეგოსო! - გაიმეორა მეუდაბნოემ, - ჩემთან რა უნდა მაგისთანა ცოდვას... მაგისთანა ცოდვა შემირცხვენია!.. მე ჩემს სამრეკლოს ერთგულად და პატიოსნად ვემსახურები... ყოველ დილა-საღამოს სამ-სამ ლოცვას წარმოვთქვამ - „მამაო ჩვენოს“, „წმიდა მარიამ ღვთიშობელოს“ და „credo“ -ს...

გარდა მთვარიანი ღამეებისა, როცა გახურებული ნადირობა გაქვს, - უთხრა რაინდმა.

- Exceptis excipiendis[29], - მიუგო მეუდაბნოემ, - ეს ჩემმა ძველმა აბატმა მასწავლა - ასე უპასუხე, როცა თავგასული ერისკაცი გკითხავს, ყველა საეკლესიო წესს თუ იცავო.

- ეს კი მართალია, წმიდა მამაო, - უთხრა რაინდმა, - მაგრამ ეშმაკი სწორედ ამისთანა რამეებზეა მოდარაჯებული; შენ თვითონვე ხომ იცი, როგორ დაძრწის და ლომივით ღრიალებს.

- აბა აქ იღრიალოს, თუ ბიჭია! - თქვა ბერმა, - ისე ვაღრიალო ბაწრით, რომ წმიდა დუნსტანის ხაჭაკალი აღარც კი დაესიზმროს. არც კაცის შემშინებია ჩემს დღეში, არც ეშმაკისა და არც მისი ჯილაგის. ეშმაკი რას დამაკლებს - გინდა უკუდო იყოს და გინდა გრძელკუდიანი, თუკი წმიდა დუნსტანის, წმიდა დუბრიკოს, წმიდა უინიბალდის, წმიდა უინფრედის, წმიდა სუიბერტის, წმიდა უილიკის... და წმიდა თომა კენტელმა რაღა დააშავა?.. ამათი ლოცვა-კურთხევა თუ მწყალობს. ახლა ჩემი დამსახურებაც ღმერთის წინაშე... მაგრამ საიდუმლოდ გაგიმხელ, მანამ ცისკრის ლოცვას არ მოვრჩები, ამისთანა რამეების ხსენებას ვერიდები ხოლმე.

სიტყვა სხვა რამეზე გადაიტანა და დიდი ლხინიც გააჩაღეს. ერთმაც ბევრი იმღერა და მეორემაც. მაგრამ უცებ ეს მხიარული დროს ტარება კარებზე ბრახუნმა შეაწყვეტინათ.

მაგრამ ჩვენ ჯერ სხვა გმირების ამბავი გავაგრძელოთ და მერე გაგაგებინებთ რა მოხდა: მოხუც არიოსტოს[30] უნდა მივბაძოთ - მარტო ერთ გმირს ხომ არ გადავყვებით, სხვასაც უნდა მივხედოთ.

თავი მეთვრამეტე

ჩვენი გზა უღრან ხევ-ხუვებში მიემართება,
საცა კუნტრუშობს შველთან ლაღად პაწია ნუკრი,
საცა ბერმუხას გადუშლია დიდი ტოტები
და სხივებს მზისას ძუნწად უშვებს მწვანე ბუსნოზე...
გავსწიოთ ბარემ!.. ძლიერ მიყვარს ამ ღარტაფებში
ყიალი, როცა დღის მნათობი ციდან დაგვცქერის...
ცინთიას სახე ფერმკრთალია, საეჭვოდ ბჟუტავს
და იმიტომაც ვერიდები ღამით ხეტიალს.
ეტრიკ ფორესტი

დაინახა თუ არა სედრიკ საქსონელმა, როგორ დავარდა მისი შვილი გონწასული აშბის მოედანზე, დააპირა მხლებლებისათვის ეყვირა, მიეშველეთ და წამოაყენეთო, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა... ამდენი ხალხის წინაშე არ უნდოდა თავი ეღიარებინა იმ შვილის მამად, რომელიც შინიდან განდევნა და სამკვიდროც ჩამოართვა. ოსვალდს მაინც უბრძანა, თვალი

გეჭიროსო; მასვე დაავალა, დაიშლებოდა თუ არა ხალხი, აივენჰო ორი მსახურის დახმარებით აშბიში

მიეყვანათ. მაგრამ ოსვალდმა ვერ მოახერხა ბრძანების შესრულება: ხალხი დაიშალა, რაინდი კი აღარ ჩანდა.

ამაოდ იყურებოდა აქეთ-იქით სედრიკის მერიქიფე - მისი ახალგაზრდა ბატონი არსად იყო. სისხლი კი შენიშნა იმ ადგილას, საცა ცოტა ხნის წინ აივენჰო დაეცა, მაგრამ თვითონ რაინდი ვერ დალანდა, თითქოს ფერიებს გაეტაცებინოთ. საქსონელებში ისე მაგრად იყო ფესვგადგმული ცრუმორწმუნეობა, რომ ოსვალდს იქნებ მართლაც ამით აეხსნა აივენჰოს გაუჩინარება, მაგრამ უცებ მისი ყურადღება მიიქცია ერთმა კაცმა, რომელსაც საჭურველთმტვირთველის ტანსაცმელი ეცვა. ეს კაცი მისივე ამხანაგი გურთი გამოდგა. ჯერ ბატონის ბედით შეწუხებული, ხოლო შემდეგ მისი გაუჩინარებით სასოწარკვეთილი მეღორე აქეთ-იქით აწყდებოდა, აივენჰოს ეძებდა, ხოლო ის კი ავიწყდებოდა, რომ ასე სააშკარაოზე გამოსვლით საკუთარ თავს აგდებდა საფრთხეში. ოსვალდმა ვალდებულად ჩასთვალა თავი, დაეკავებინა გურთი, როგორც შინიდან გაქცეული მონა, და ბატონისათვის მიეგვარა.

ოსვალდმა კიდევ განაგრძო აივენჰოს ძებნა. მიკითხვ-მოკითხვით მხოლოდ ის გამოირკვა, რომ რაინდი დიდის სიფრთხილით აეყვანათ ვიღაცის კარგად ჩაცმულ მსახურებს, დაესვენებინათ ჯალამბერზე, რომელიც ერთ იქ მყოფ ქალბატონს ეკუთვნოდა, და მაშინვე გაეყვანათ მოედნიდან. ეს რომ გაიგო, ოსვალდმა გადაწყვიტა, სედრიკისათვის მოეხსენებინა ყველაფერი და ახალი ბრძანებაც მიეღო. თან გურთიც წაიყვანა.

საქსონელ ბატონს საშინლად სტანჯავდა და აწამებდა აივენჰოს ბედი. მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტული სტოიციზმი შვილის დაგმობას შთაგონებდა, ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა, მაგრამ როგორც კი გაიგონა, მეგობრის ხელშია და ალბათ აღარაფერს გაუჭირვებენო, შვილის ბედით გამოწვეული შიში და მღელვარება მიყუჩდა და კვლავ შელახული პატივმოყვარეობისა და გაგულისების გრძნობამ იმძლავრა, რაც, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, „მამის მიმართ უილფრედის ურჩობით“ იყო გამოწვეული.

-საცა უნდა იქ წავიდეს, - თქვა მან, - ვისი გულისთვისაც დაიჭრა, დაე იმათ მოუშუშონ ჭრილობა. ეტყობა, ნორმან რაინდთა მოგონილი მაიმუნობა უფრო ეხერხება, ჩვენს მამაპაპურ ხმალსა და ჩუგლუგს კი ვერ ეწყობა

და არც ცდილობს ამ უძველესი ინგლისური იარაღებით დაიცვას წინაპართა პატივი და დიდება.

- თუ წინაპართა დიდების დასაცავად, - უთხრა ქალბატონმა როენამ, რომელიც იქვე იდგა, - სიბრძნე და შემართებაა საკმარისი... თუ საკმარისია მამაცთა შორის უმამაცესი იყო, ხოლო კეთილშობილთა შორის უკეთილშობილესი, მაშინ საკუთარი მამის გარდა, კაცი არ მეგულება, რომ...

- გაჩუმდი ქალბატონო როენა!.. ყველაფერს მოგისმენ, ოღონდ ამას ნუღარ გამაგონებ. პრინცის

ლხინზე წასასვლელად მოემზადე. ისეთი თავაზით მიგვიწვიეს, რომ არა მგონია ჰასტინგსის ბედუკუღმართი დღის შემდეგ ვინმე ნორმანს ამდენი მოწიწება და პატივისცემა გამოეჩინოს ჩვენი ხალხის მიმართ. მეც უნდა წავიდე, თუნდაც მარტო იმისთვის, რომ მაგ გაბღენძილ ნორმანებს დავუმტკიცო, როგორ არ ენაღვლება შვილის ბედი საქსონელ მამას, მიუხედავად იმისა, რომ ამ შვილმა დღეს მაგათი უმამაცესი რაინდები დაამარცხა.

- მე იქ წამსვლელი არა ვარ! - განაცხადა როენამ, - და თქვენცა გთხოვთ დაფიქრდეთ - რაც თქვენ სიმტკიცედ და მამაცობად მიგაჩნიათ, სხვას გულქვაობად და შეუბრალებლობად არ მოეჩვენოთ.

- მაშ შინ დარჩი, უმადურო ქალბატონო, - უთხრა სედრიკმა, - გულქვა სწორედ შენა ხარ, რომ ფუჭსა და უკანონო გრძნობას შენი ჩაგრული ხალხის კეთილდღეობას ანაცვალებ. მე კეთილშობილ ათელსტანს ვნახავ და ერთად წავალთ ჯონ ანჟუელის მეჯლისზე.

თქვა და წავიდა კიდეც. მთავარი ამბები იმ მეჯლისისა ჩვენ უკვე აღვწერეთ.

გამოვიდნენ თუ არა აშბის ციხე-დარბაზიდან, საქსონელმა თენებმა და მათმა მხლებლებმა მაშინვე ცხენებს მიაშურეს. ამ აურზაურში სედრიკმა პირველად მოჰკრა თვალი შინიდან გაქცეულ გურთს. მეჯლისიდან გამოსული საქსონელი ბატონი, როგორც ვიცით, მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერ იყო, ამიტომ საბაბსღა ეძებდა, ჯავრი ვინმეზე ამოენთხია.

- შეჰკარით! - იყვირა სედრიკმა, - შეჰკარით-მეთქი!.. ოსვალდ... ჰანდიბერტ!.. ძაღლებო და მამაძაღლებო!.. აქამდე ასე თავისუფლად როგორ დაგიდით ეგ არამზადა?!

ხმის შებრუნებას ვიღა გაუბედევდა, მივარდნენ გურთს და თოკიც კი აღარ უძებნიათ, რაც ხელში მოხვდათ, იმითი გაკოჭეს. გურთიც არ გაძალიანებულა, ერთი კი შეხედა გულისწყრომით ბატონს და თავისთვის ჩაიდუდუნა:

- ახია ჩემზე, რომ საკუთარ ტყავს შენი სისხლი და ხორცი ვამჯობინე!

- აბა, ცხენებზე, და გავწიოთ! - ბრძანა სედრიკმა.

- დავაგვიანეთ კიდეც, - თქვა კეთილშობილმა ათელსტანმა, - თუ ჩქარა არ ვიარეთ, ღირსეულ აბატ ვალტოფს საგანგებოდ მომზადებული ვახშამი გაუფუჭდება.

მაგრამ ისე სწრაფად მიჰქროდნენ მგზავრები, რომ ათელსტანის შიში ფუჭი გამოდგა - წმიდა უიფოლდის მონასტერში დროზე მივიდნენ. წინამძღვარი, წარმოშობით თვითონაც ძველი საქსონური გვარის შთამომავალი, ისე გულუხვად და ხელგაშლილად დაუხვდა წარჩინებულ თანამემამულეებს თავიანთივე ადათის მიხედვით, რომ კარგა გვიანამდე შეჰყვნენ ვახშამს; ის

არადა შემოათენდათ კიდეც, და დილითაც კი მანამდე არ გამოეთხოვენ ღირსეულ მასპინძელს, სანამ დიდებულ საუზმეზე არ დაეწვივნენ.

გამოვიდნენ თუ არა ცხენოსნები მონასტრის გალავნიდან, ისეთი რაღაც მოხდა, რომ საქსონელები, ცოტა არ იყოს, დაფეთდნენ. მთელს ევროპის ხალხთა შორის ყველაზე ცრუმორწმუნე საქსონელები იყვნენ, და რაც ჩვენს ხალხს დღევანდლამდე ცრუმორწმუნეობა შემორჩა, უმეტესად სწორედ იმათგან მოსდგამთ. ნორმანები იმ დროის პირობაზე უფრო განათლებული ხალხი იყო, ამასთან ათასნაირი ტომების ნარევი, და სკანდინავიიდან გამოყოლილი ნაირ-ნაირი ცრუმორწმუნეობა თანდათანობით დავიწყებისათვის მიეცათ, თავიც მოჰქონდათ ამით.

ამჟამად ავისმომასწავებლად ერთი ქეციანი შავი ძაღლის ყმუილი მიიჩნიეს; ეს ძაღლი უკანა ფეხებზე ჩაცუცქულიყო, და როცა ცხენოსნებმა ჭიშკრიდან გამოსვლა იწყეს, საცოდავად აყმუვლდა. ცოტა ხნის შემდეგ ყურისწამღები ყეფა მორთო, თან ყეფდა და თან აქეთ-იქით აწყდებოდა, ეტყობოდა მგზავრებს გაეტირა.

- ამისთანა მუსიკას ვერ ვეწყობი, მამა სედრიკ, - უთხრა ათელსტანმა, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად ასე მიმართავდა ხოლმე სედრიკს.

- ვერც მე ვეწყობი, ბიძაჩემო, - თქვა ვამბამ, - და დიდი შიშიც მაქვს, ამ მუსიკის ფული ერთბაშად არ გვაზღვევინონ.

- მე მგონი, აჯობებს, - თქვა ათელსტანმა, რომელზედაც წინამძღვრის ელს დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა (რადგან ქალაქი ბარტონი მაშინაც კი სახელგანთქმული იყო ამ მშვენიერი სასმელით), - მე მგონი, აჯობებს, უკანვე დავბრუნდეთ და ნაშუადღევამდე წინამძღვართან დავიცადოთ. ძალიან ცუდად აქვთ დაცდილი, როცა მგზავრს მეორე ჯერის ჭამამდე კურდღელი, ბერი ან ძაღლის ყმუილი გადაუჭრის გზას.

- კარგი ერთი! - მოუთმენლად შესძახა სედრიკმა, - დაღამებამდე ისედაც ცოტაღა დაგვრჩა. ძაღლი კი ნუ შეგაშინებთ: ეს ჩემი გაქცეული მონისაა - გურთის, და პატრონივით უქნარა და უსარგებლოა.

სედრიკი უზანგზე წამოიწია და, მგზავრობის შეფერხებით გაბრაზებულმა, საბრალო ფენგსს თავისი ზუფანი ესროლა. ეს ძაღლი მართლაც ფენგსი გამოდგა - აქამდე ჩუმად დაჰყვებოდა პატრონს, მერე დაჰკარგა, ხოლო ახლა კვლავ ნახვის სიხარულს ასე უხეშად გამოხატავდა. ზუფანი ბეჭებში მოხვდა საბრალო პირუტყვს და ლამის მიწაზე მიაჭედა. ფენგსი წკავწკავით გაშორდა გაცოფებულ თენს. გურთს გული გაუსივდა: თვითონაც ხომ სასტიკად დასაჯეს, მაგრამ

ამაზე უფრო იმან გააცეცხლა, რომ მის ერთგულ თანაშემწეს მოკვლა დაუპირეს. თვალის მოწმენდა სცადა, მაგრამ ამაოდ - ხელი შებორკილი ჰქონდა. ისევ ვამბას მიუბრუნდა, რომელიც გახელებულ ბატონთან სიახლოვეს მორიდებოდა და გადაეწყვიტა უკან ევლო, უფრო უხიფათოდ.

- თუ ღმერთი გწამს, თვალები ამომწმინდე შენი მოსასხამის კალთით; მტვერმა საშინლად ამიწვა და ვერანაირად ვერ მომიხერხებია, რომ შებორკილი ხელი ამოვისვა.

ვამბამ თხოვნა შეუსრულა, ერთ ხანს ორივენი ერთად მიდიოდნენ . გურთს დანა პირს არ უხსნიდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და კვლავ ვამბას მიმართა:

- ძმაო ვამბა, - უთხრა მან, - იმ სულელთა შორის, რომლებიც სედრიკს ემსახურებიან, შენ ერთადერთმა გამოიჩინე იმდენი მოხერხება, რომ შენი სისულელეთი მას ართობ. მაშ, მიდი და უთხარი, რომ ამიერიდან გურთი იმას აღარ ემსახურება - არც სიყვარულით, არც შიშით, შეუძლია თავი მომ-

კვეთოს... მცემოს... ხუნდები დამადოს... მაგრამ მორჩა - აღარც შევიყვა-რებ, არც დავემორჩილები. მაშ მიდი და უთხარი, რომ გურთი, ბევოულფის მემკვიდრე, შენს სამსახურზე უარს ამბობს-თქო.

- როგორ არა! - მიუგო ვამბამ, - რა გინდ შტერი ვიყო, მაგისთანა სისუ-ლელეს არ ვეტყვი. სედრიკს მეორე ზუფანიც აქვს ქამარში გარჭობილი და შენც ხომ იცი, რომ ნიშანში ზოგჯერ კარგად არტყამს.

- თუნდა ახლავე მომარტყას! - მიუგო გურთმა, - გუშინ ჩემი ახალგაზრდა ბატონი უილფრედი მიატოვა სისხლში მოთხვრილი. დღეს ცხვირწინ კინა-ღამ მომიკლა ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც მე ვუყვარვარ. წმიდა ედმუნდის, წმიდა დუნსტანის, წმიდა უითოლდის, წმიდა ედვარდ აღ-მსარებლისა და ყველა საქსონელი წმიდანის მადლმა (სედრიკი სხვას არა-ვის დაიფიცებდა, თუ არ საქსონელ წმიდანს, და მსახურებიც მის კვალს ად-გნენ) ამას თავის დღეში არ ვაპატიებ!

- მე კი მგონია, ბატონს სულაც არ უნდოდა ფენგსის მოკვლა, უბრალოდ შეშინება დაუპირა, - თქვა მასხარამ, რომელიც მუდამ მშვიდობის დამყარე-ბას ცდილობდა ხოლმე ოჯახში, - ვერ ნახე, უზანგებზე რომ წამოდგა?! ეს კი იმის ნიშანია, რომ აცილება სურდა. ააცილებდა კიდეც, მაგრამ თვითონ ფენქსი შეხტა ამ დროს და ის იყო გაიკაწრა. რა ბევრი რამე მაგის მორჩენას უნდა - ერთი ბეწო კუპრი და მისი ჯანი.

- ასე რომ იყოს!.. - თქვა გურთმა, - ნეტა კი ასე ყოფილიყო და!.. მაგრამ არა... მე თვითონ ვნახე,

როგორ საგულდაგულოდ დაუმიზნა ზუფანი... ახლაც ყურში მესმის მისი ზუზუნი; ისე გაბოროტებით გაისროლა... მიწაში რომ ჩაერჭო, მერეც კარგა ხანს ძიგძიგებდა, თითქოს ნანობდა, რატომ ნიშანში არ მოვხვდიო. არა, წმიდა ანტონის საყვარელ ღორსა ვფიცავ, აღარ გავუჩერდები!

და ისევ მწარე ფიქრებს მიეცა გულგასიებული მეღორე, ვერასდიდებით ვერ ამოაღებინა მასხარამ ხმა.

ამასობაში რაზმის წინ მიმავალი სედრიკი და ათელსტანი საქვეყნო საქ-მეზე მსჯელობდნენ: მეფის ოჯახში ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე, ნორმა-ნელ წარჩინებულთა შორის ამტყდარ ჩხუბსა და შუღლზე, იმაზე, რომ თუ როგორ მოახერხებდნენ ყოველმხრივ შევიწროებული საქსონელები ნორ-მანთა უღლისაგან გათავისუფლებას, ანდა მოსალოდნელი არეულობის

დროს შესძლებდნენ თუ არა კვლავ მოეპოვებინათ ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ საგანზე რომ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, სედრიკი ხელად გამოცოცხლდებოდა ხოლმე, თავისი ხალხის დამოუკიდებლობა გულში ჰქონდა ამოჭრილი და მისი ცხოვრების ერთადერთ აზრს წარმოადგენდა, ოჯახური ბედნიერება და საკუთარი შვილის ბედიც კი ამ საქმისათვის მიეტანა მსხვერპლად. მაგრამ ამ დიდი გადატრიალების მოსახდენად საჭირო იყო ინგლისის მკვიდრთ თვითონვე შეეკრათ ერთმანეთში პირი და ყველას მიერ აღიარებული ბელადი ჰყოლოდათ.

ვისაც კი გაანდო სედრიკმა ეს საიდუმლო გეგმები და იმედები, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ბელადი უთუოდ საქსონთა მეფის შთამომავლებში უნდა შეერჩიათ. ასეთი კაცი ათელსტანი გახლდათ, და მიუხედავად იმისა, რომ საბელადო ჭკუითა და ნიჭით არ გამოირჩეოდა, წარმოსადეგი იყო, ლაჩარი არ ყოფილა, ხმალი უჭრიდა, და, ეტყობოდა, თავისზე უფრო ჭკვიანი ხალხის დარიგებას ყურს ათხოვებდა. ამას გარდა, ცნობილი იყო, როგორც სათნო, სტუმართმოყვარე და კეთილი ადამიანი. მაგრამ რა პრეტენზიებიც არ უნდა ჰქონოდა შეთქმულების მეთაურობაზე ათელსტანს, საქსონელების უმრავლესობა მაინც ლედი როენასკენ იხრებოდა; როენა ალფრედის პირდაპირი შთამომავალი იყო და ისეთი ჭკვიანი, მამაცი და გულუხვი კაცის შვილი, რომ დაჩაგრული თანამემამულეები მის ხსოვნას დიდის მოწიწებით ინახავდნენ.

სედრიკს რომ მოენდომებინა, ძნელი არ იქნებოდა მესამე პარტიაც შეექმნა და მისი წინამძღოლი გამხდარიყო; ძლიერებითაც იმ ორზე არა ნაკლები იქნებოდა ეს პარტია. მართალია, მეფის შთამომავალი არ ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ნაკლს გამოისყიდდა მისი სიმამაცე, ენერგიულობა, საოცარი მონდომება, და, რაც მთავარია, საქმის თავგამოდებული სიყვარული, რის გამოც მას უბრალოდ ს ა ქ ს ო ნ ე ლ ს ეძახდნენ. გვარიშვილობითაც მხოლოდ ათელსტანსა და თავისივე აღზრდილს თუ ჩამოუვარდებოდა, სხვას არავის. მაგრამ სედრიკის ამ საქებურ თვისებებს ერთის ბეწოთიც კი არ ამუქებდა პატივმოყვარეობის ჩრდილი. პირიქით, იგი შიშობდა

გათიშვით კიდევ უფრო არ დაესუსტებინა ისედაც დაუძლურებული ხალხის ენერგია. მისი მთავარი საზრუნავი ახლა ის იყო, ათელსტანი და როენა შეეუღლებინა და ამით ეს ორი დასიც შეეერთებინა. ამ სანატრელ

ოცნებას წინ გადაეღობა თავისი აღზრდილისა და თავისივე შვილის სიყვარული, და სწორედ ეს გახდა უილფრედის შინიდან გაგდების მთავარი მიზეზი.

სედრიკს იმედი ჰქონდა, რომ უილფრედის შინ არყოფნის დროს როენას გული გაუცივდებოდა, მიტომაც გამოიჩინა ასეთი სისასტიკე, მაგრამ მოტყუვდა, და მიზეზი კი თვითონვე იყო. საქმე ის არის, რომ სედრიკისთვის ალფრედი ღმერთს წარმოადგენდა, და ამიტომ ამ დიდი მეფის ერთადერთ შთამომავალს ისეთ თაყვანსა სცემდა, როგორც იმ დროის არც ერთს პრინცესას არ ღირსებია. როენას სიტყვა კანონი იყო მთელს სახლში. სედრიკს თითქმის ეამაყებოდა, რომ ქალის პირველ ქვეშევრდომად თლიდა თავს, ამით სურდა იმ მცირერიცხოვან პირთა შორის მაინც განემტკიცებინა მისი უფლება, რომლებიც გარს ერტყნენ. როენა თავიდანვე შეეჩვია არა მარტო სრულს პირად თავისუფლებას, არამედ სასტიკ მბრძანებლობასაც. რაღა გასაკვირია, რომ ამგვარად აღზრდილი ქალი ვერავითარ წინაარმდეგობასა და შეზღუდვას ვერ ითმენდა. ხოლო ისეთ საქმეში, სადაც მორჩილად და გამგონედ აღზრდილი ქალებიც კი ხშირად თვითნებობას იჩენენ და მშობლებსა და აღმზრდელებს ეურჩებიან, რაღა თქმა უნდა, უკიდურეს თავნებობას გამოამჟღავნებდა - ისეთ კაცს არ გაჰყვებოდა, ვისკენაც გული არ მიუწევდა. რასაც მტკიცედ გრძნობდა და განიცდიდა როენა, იმის თქმას სულაც არ ერიდებოდა. და თავიდანვე ქალის

მორჩილებას მიჩვეული სედრიკი ახლა საგონებელში ჩავარდნილიყო, აღარ იცოდა, როგორ გამოეყენებინა აღმზრდელის უფლება.

სცადა ტახტზე ასვლას შეჰპირებოდა და ამით გაებრუებინა ქალის გონება. მაგრამ ამაოდ, როენა ჭკვიანი ქალი იყო; გრძნობდა, რომ სედრიკის განზრახვას ასრულება არ ეწერა, და კიდეც რომ სწერებოდა, პირადად მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა ტახტზე ასვლისა. არ მალავდა, რომ უილფრედ აივენჰო ერჩივნა მთელს ქვეყანას, მაგრამ ამასაც გადაჭრით აცხადებდა - თუნდაც ეს საყვარელი რაინდი არ იყოს, ათელსტანთან ერთად სამეფო ტახტზე ასვლას მირჩევნია მონასტერში შევიდეო. ადრეც არ ამოსდიოდა მზე ათელსტანზე, მაგრამ ახლა მის გამო იმდენი უსიამოვნება შეხვდა, რომ დასანახადაც შეიძულა.

მიუხედავად ამისა, სედრიკი, რომელიც მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არ ყოფილა საზოგადოდ ქალის სიმტკიცეზე, ერთის წუთითაც არ ისვენებდა და ყოველნაირად ცდილობდა, ეს განზრახული ჯვრისწერა დაეგვირგვინებინა. დარწმუნებული იყო, რომ ამით დიდ სამსახურს გაუწევდა მთელ საქსონელ ხალხს. აშბის მოედანზე შვილის ასეთ მოულეოდნელსა და რომანტიკულ გამოჩენას იგი თავის იმედებისათვის სასიკვდილო ლახვრადა თვლიდა. მართალია, ერთი პირობა მამობრივმა სიყვარულმა პატივმოყვარეობაცა და პატრიოტიზმიც დათრგუნა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისევ იმძლავრეს ამ გრძნობებმა, და სწორედ მათი

გავლენით სედრიკმა ახლა მტკიცედ გადაწყვიტა, როგორმე ჩქარა შეეუღლებინა ათელსტანი და როენა, და საქსონელთა დამოუკიდებლობის აღსადგენად არც სხვა საჭირო ღონისძიებებს მორიდებოდა.

ახლაც ამაზე ჰქონდა საუბარი მეგობართან. ელაპარაკებოდა და თან, ჰოტსპერისა არ იყოს, არცთუ უსაფუძვლოდ სტკიოდა გული, რომ ათელსტანის დასაინტერესებლად ასეთი საპატიო საქმე არ აღმოჩნდა საკმარისი და კიდევ მთელი ჯამი ნაღების მიმატება გახდა საჭირო. მართალია, ათელსტანი საკმაოდ პატივმოყვარე კაცი იყო, სიამოვნებდა ხოლმე, როცა მის გვარიშვილობაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, როცა ეტყოდნენ, მემკვიდრეობით, მბრძანებლობის განუსაზღვრელი უფლება გაქვსო. მაგრამ მისი წვრილმანი პატივმოყვარეობა საკუთარი მსახურებისა და მასთან დაახლოებული საქსონების პატივისცემითაც კი კარგად კმაყოფილდებოდა. ისეთი მამაცი იყო, რომ ყოველგვარ განსაცდელს გაუსწორებდა თვალს, მაგრამ, ბუნებით ზარმაცს, იმის თავი აღარ ჰქონდა, თვითონვე ეძებნა ეს განსაცდელი. სავსებით იზიარებდა სედრიკის საერთო მოსაზრებას, რომ საჭირო იყო საქსონებს დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ; კიდევ უფრო მეტის ხალისით ეთანხმებოდა იმაშიაც, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ თვითონ უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე; მაგრამ დაიწყებოდა თუ არა მსჯელობა, როგორ და რა ხერხებით უნდა მოეპოვებინათ ეს დამოუკიდებლობა, ისევ „ათელსტან მოუქნელი“ ხდებოდა - ზანტი, ყოყმანა, ფეხათრეული და გაუბედავი. სედრიკის მგზნებარე და

ცხარე სიტყვები მის უნდილ ხასიათზე წყალში ჩაგდებულ ცეცხლმოდებული ბურთივით მოქმედებდა - ერთს რომ აშიშინდება, აკვამლდება და ხელადვე ჩაქრება.

სედრიკი ხედავდა, რომ ათელსტანის შეგონება ისეთივე უსარგებლო საქმე იყო, როგორც ქანცგაწყვეტილი ჯაგლაგისთვის დეზების ამოკვრა, ან ცივი რკინის გამოჭედვა, ამიტომ ხშირად გაეცლებოდა მას და როენას მიუახლოვდებოდა, ახლა იმას ჩაუგდებდა ამ საგანზე სიტყვას. მაგრამ სანუგეშოს აქაც ვერაფერს პოულობდა. როენა და მისი მოახლე ერთთავად უილფრედის მამაცობასა და მის ბედზე ლაპარაკობდნენ, ხოლო როცა მოახლოებულ სედრიკს დაინახავდა, ელგითა ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდა და თავის მაგივრადაც ძიობდა შურს და ქალბატონის მაგივრადაც - მაშინვე იმას გაიხსენებდა, როგორ გადმოყირავდა ათელსტანი ცხენიდან და მოედანზე როგორ გაითხლარშა. ამაზე უფრო უსიამოვნოს ვერც ვერაფერს მოიმენდა სედრიკის ყური. ერთი სიტყვით, მამაცი საქსონელისათვის მთელი იმდღევანდელი მგზავრობა ყოვლად უსიამოვნო და უგეგმური გამოდგა. გულში წარამარა სწყევლიდა ასპარეზობასაცა და მის მომგონსაც, თავის თავზედაც მოსდიოდა გული, ეს რა სისულელე მომივიდა, იქ წასვალ რამ მაფიქრებინაო.

შუადღე რომ მოაწია, მოგზაურები ათელსტანის სურვილისამებრ ერთ ჭალაში შედგნენ, წყაროსთან; ცხენებსაც ქარი ამოვაღებინოთ და ჩვენც წავისაუზმოთო, - საგზალი გულუხვმა აბატმა

გამოატანა ბარგის ჯორით, მაგრამ წასაუზმება კარგა ხანს გაგრძელდა. ასე რომ, როთერვუდში დილამდე მისვლის იმედი გადაუწყდათ, მთელი ღამე უნდა ევლოთ. იძულებული გახდნენ აჩქარებულიყვნენ.

თავი მეცხრამეტე

ვიღაც ქალბატონს მიაცილებს მხედრების ჯგუფი,
(ყური მივუგდე მათ ლაპარაკს მე ბუჩქებიდან
და კანტიკუნტი სიტყვებიდან ეს დავასკვენი)
ახლა ცხენები ააჩქარეთ, ეშურებიან -
რათა დღის სულზე მიაღწიონ ციხე-სიმაგრეს.
„ორა“ - ტრაგედია

მოგზაურები დაბურულ ტყეს მიუახლოვდნენ. ტყეში მგზავრობა კი იმხანად საშიში საქმე იყო, რადგან აქ დიდ-დიდ ჯგუფებად დაძრწოდნენ ყაჩაღები, რომლებიც სიღატაკესა და უსამართლობას გამოქცეოდნენ და, განწირულებს, ტყისთვის შეეფარებინათ თავი. მაშინდელი სუსტი დამცველი რაზმები მრავალრიცხოვან ყაჩაღებთან ვერაფერს ხდებოდნენ.

უკვე გვიანი იყო, მაგრამ სედრიკი და ათელსტანი მაინც არხეინად გრძნობდნენ თავს, რადგან ათი მსახური ახლდათ, ვამბასა და გურთს გარდა; ესენი კი სათვალავში ჩასაგდები არ ყოფილან - პირველი მასხარა იყო, ხოლო მეორე შებორკილი ტყვე. თან სედრიკსა და ათელსტანს საკუთარი

მამაცობის იმედიც ჰქონდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ წარმოშობასა და სახელზე: სატყეო კანონების წყალობით გაუბედურებული ხალხი, რომელთაც ყაჩაღობა არჩიეს, უმთავრესად საქსონელი იომენები და გლეხები იყვნენ, და როგორც წესი, თავიანთ თანამემამულეებს არცა სძარცვავდნენ და არც არაფერს უშავებდნენ.

ჩვენი მგზავრები უცებ გაბმულმა ყვირილმა შეაშფოთა - ვიღაცეები შველას ითხოვდნენ. მაშინვე იქითკენ გაქუსლეს და სახტად დარჩნენ, როცა მიწაზე დაგდებული ტახტრევანი დაინახეს. ტახტრევანის გვერდით მდიდრულად ჩაცმული ახალგაზრდა ებრაელი ქალი იჯდა, ხოლო ბერიკაცი, რომელსაც ყვითელ ქუდზე ეტყობოდა აგრეთვე ებრაელი უნდა ყოფილიყო, აქეთ-იქით წრიალებდა, საცოდავად იგრიხებოდა და ისე გამწარებით იმტვრევდა თითებს, რომ ნამდვილად დიდი უბედურება დასტყდომოდა.

ათელსტანი და სედრიკი ჩაეკითხნენ, რა დაგემართაო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს; ბერიკაცი ერთთავად ძველი აღთქმის პატრიარქებს მოუხმობდა საშველად, რათა ისმაილის ნაშიერებისაგან დაეფარათ, რომლებიც საცა იყო მოვიდოდნენ და ხმლებით აჰკუწავდნენ. როცა ცოტათი გონს მოეგო და შიშმა გაუარა, იორკელმა ისააკმა (ჩვენი ძველი მეგობარი გახლდათ ეს კაცი), როგორც იქნა, თავისი გასაჭირი გააგებინა ათელსტანსა და სედრიკს; აშბიში ექვსი შეიარაღებლი კაცი დაექირავებინათ, და აგრეთვე ჯორებზე აკიდებული ტახტრევანი ერთი

სნეული მეგობრის გადასაყვანად. ეს დაქირავებული გუშაგები დონკასტერამდე უნდა გაჰყოლოდნენ. ერთ ხანს მშვიდობიანად უმგზავრიათ, ამ ადგილს კი ერთი ტყის მჭრელი შემოხვდათ თურმე, რომელმაც გააფრთხილა - ყაჩაღების დიდი ბრბოა ჩასაფრებული და თქვენ გელოდებიანო. ისააკის დაქირავებული გუშაგები ხელადვე გაძურწულან, ის კი არა და, ჯორებიც გამოუხსნიათ ტახტრევანიდან და თან წაუყვანიათ, ებრაელი და მისი ქალი კი იქვე დაუტოვებიათ; არც თავის დაცვის საშუალება ჰქონდათ და არც უკანვე გაბრუნებისა: გასაძარცვად და ალბათ მოსაკლავადაც განწირულები, ყოველ წუთში ყაჩაღების თავდასხმას ელოდნენ.

თუ თქვენი დიდებულება იმდენ წყალობას მოიღებს, - უთხრა ებრაელმა უღრმესი მორჩილებით, - რომ უმწეო ებრაელები შეგვიფაროთ და თან გაგ-

ვიყოლოთ, სჯულის კიდობანის მადლმა, ვიტყვი, რომ ჩვენი მოდგმის ტყვეობის შემდეგ ისრაელის ერთ ნაშიერსაც კი არ ღირსებია ამნაირი წყალობა-მეთქი, და დიდებულადაც დაგიფასებთ.

- ძაღლო ურიავ! - შესძახა ათელსტანმა, რომლის დაკნინებული მეხსიერება არაფერ წვრილმანს, განსაკუთრებით კი წვრილმან წყენას არ ივიწყებდა, - აკი ასპარეზობაზე ძალიან გვედიდგულებოდი! დაგავიწყდა? რაც გინდოდეს, ისა ჰქენი - გინდა შეებრძოლე, გინდ გაეცალე, თუ გინდა ფულზედაც გაურიგდი იმ ყაჩაღებს. ჩვენი იმედი ნუ გექნება. შენისთანებს თუ ძარცვავენ და სხვას არავის - შენ თვითონ ქვეყნის მძარცველო - მე პირადად იმ ყაჩაღებს უპატიოსნეს ხალხად ჩავთვლი.

მაგრამ სედრიკმა არ გაიზიარა ეს მკაცრი განჩინება.

- მაგას ის აჯობებს, - თქვა მან, - ორი კაცი დავუტოვოთ და ორიც ცხენი, უკან გაბრუნდებიან და უახლოეს სოფლამდე მიაცილებენ. ჩვენ ამით ბევრი არაფერი დაგვაკლდება; ოცი მაწანწალაც რომ შეგვხვდეს, შენი ბასრი ხმლითა და დანარჩენი მსახურების დახმარებით ადვილად გავუმკლავდებით, კეთილო ათელსტან.

ყაჩაღების სიმრავლითა და სიახლოვით შეშინებულმა როენამ მხურვალედ დაუჭირა მხარი თავის აღმზრდელს, მაგრამ უცებ რებეკა გამოერკვა, მსახურებში გზა გაიკვლია და საქსონელი ქალბატონის რაშს მიადგა, დაიჩოქა და აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით როენას კაბის კალთას ემთხვია. მერე წამოდგა, პირბადე გადაიწია და მუდარა დაუწყო - იმ დიდი ღმერთის გულისთვის, რომელიც ორივენი ვცემთ თაყვანს, სინას მთის გამოცხადების გულისთვის, რომელიც ორივეს ერთნაირად გვწამს,ნუ გაგვწირავ, შებრალება მოიღე და თან გაგვიყოლეო.

- ჩემთვის კი არ გთხოვ ამ მოწყალებას, - უთხრა რებეკამ, - არც ამ საბრალო ბერიკაცისთვის. განა არ ვიცი, რომ ჩვენი ხალხის შეურაცხყოფა და წამება ქრისტიანებისათვის, თუ ღირსებად არა, ყოველ შემთხვევაში მცირე დანაშაულად ითვლება! ჩვენთვის სულ ერთია, სად გვაწამებენ - ქალაქში, მინდვრად, თუ სადმე უდაბნოში! მაგრამ იმის სახელით გემუდარებით, ვინც ბევრისთვის

არის ძვირფასი და აგრეთვე შენთვისაც - ამ სნეულ კაცს შენ თვითონვე გაუწია მფარველობა და ფრთხილად გადააყვანინე, თორემ უბედურება

რომ დაატყდეს, სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მტანჯველი სინანულით მოგეშხამება, რატომ მაშინ ყური არ ვათხოვეო.

ისეთი სასოებით წამოთქვა ეს მუდარა რებეკამ, რომ ტურფა საქსონელ ქალზე გაორკეცებული შთაბეჭდილება მოახდინა.

- ეს კაცი მოხუცია თუ უილაჯო, - უთხრა მან აღმზრდელს, - ქალი კი სავსებით ყმაწვილი და მშვენიერი... თან სნეული და სასიკვდილოდ გადადებული მეგობარი ახლავთ... მართალია, ებრაელები არიან, მაგრამ ან ჩვენ რა ქრისტიანები ვიქნებით, ასეთ დღეში მივატოვოთ! ორი ბარგის ჯორი ტახტრევანის ასაკიდებლად მივცეთ, ჯორების ტვირთი კი მსახურებს გავუნაწილოთ; ხოლო მოხუცსა და მის ქალს სამარქაფო ცხენები დავუთმოთ.

სედრიკი მაშინვე დაეთანხმა და ათელსტანმაც ესღა დასძინა:

- ოღონდ უკან მოგყვნენ, მაგათ ვამბა დაიცავს ღორის ბეჭის ფარით.

- ჩემი ფარი მოედანზე დარჩა, - მიუგო მასხარამ, - ან კი რა გასაკვირია - ჩემზე უკეთეს რაინდებსაც ეს ბედი ეწიათ.

ათელსტანი ერთიანად გაწითლდა, რადგან მასაც ასეთი ბედი ერგო ასპარეზობაზე. ვამბას სიტყვებით ნასიამოვნებმა როენამ კი, თავისი ყეყეჩი მოტრფიალის პირუტყვული ხუმრობის გასაქარწყლებლად, რებეკას სთხოვა, ჩემს გვერდით იარეო.

- ვაითუ ჩემი სიახლოვით ჩემი მფარველის ღირსება შევბღალო! - მიუგო რებეკამ მოკრძალების სიამაყით.

თვალის დახამხამებაში ჯორებს საპალნეები მოხსნეს და ტახტრევანი აჰკიდეს. რაც არ უნდა ზანტი ყოფილიყო კაცი, „ყაჩაღის“ ხსენებაზე მყისვე ცქვიტი გახდებოდა ხოლმე, ახლა კი მით უფრო - მოახლოებული ბინდბუნდი მეტ შთამაგონებლობას აძლევდა ამ სიტყვას. ამ ფაცაფუცში გურთი ცხენიდან ჩამოაბრძანეს, მანაც შემთხვევით ისარგებლა და მასხარას სთხოვა, მკლავებზე ცოტათი მომიშვი თოკიო. მასხარამ ისე დაუდევრად მოუშვა, ალბათ განგებ, რომ გურთმა ადვილად გაითავისუფლა ხელები და ტყეში გაილალა.

ისეთ ფაცაფუცში იყვნენ, გურთის გაპარვა კარგა ხანს ვერ შენიშნეს. საქმე ის არის, რომ გურთი მსახურს უნდა შემოესვა უკან, მაგრამ, სახელდობრ, რომელს, ეგ არ იყო ნაბრძანები. ასე რომ, ყოველ მსახურს თავის ამხანაგთან ეგულებოდა, ხოლო როცა შეცდომას მიხვდნენ და ჩურჩული ატეხეს,

გაპარულაო, უკვე ისე ეძალა ყაჩაღების თავდასხმის შიშს, რომ გურთის თავი აღარავის ჰგქონდა.

გზა, რომელსაც ჩვენი მგზავრები მიჰყვებოდნენ, თანდათანობით დავიწროვდა, და უკვე ორ-ორი მხედრის მეტი ვეღარ ივლიდა მწკრივში. ამასთან, მიადგნენ ერთ ღარტაფს, რომელსაც ნაკადული სჭრიდა, ხოლო ნაკადულის დაკლაკნილ, ჭაობიან ნაპირზე ჯუჯა ტირიფების ბუჩქები გადაბარდნილიყო. სედრიკი და ათელსტანი, რომლებიც წინ მიუძროდნენ რაზმს, მიხვდნენ, რომ ყაჩაღების თავდასხმა აქ განსაკუთრებით საშიში იქნებოდა, მაგრამ ბრძოლის გამოცდილება მაინცდამაინც არც ერთს არ ჰქონია და ამიტომ საშიშროების თავიდან ასაცილებლად იმაზე გონივრული ვერაფერი მოიგონეს, რომ რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდნენ ამ ღარტაფს. მიდიოდნენ არეულ-დარეულად, და ის იყო, ზოგმა გადაკვეთა კიდეც მდინარე, რომ უცებ ყოველი მხრიდან დაარტყეს ალყა - წინიდან, გვერდებიდან და ზურგიდანაც - და ისეთის თავგამეტებით შეუტიეს ამ მოუმზადებელსა და არეულ რაზმს, რომ წინააღმდეგობის გაწევაც ვერავინ მოახერხა. საომარმა ყიჟინამ და ცალკეულმა შეძახილებმა იქაურობა გააყრუა.

- თეთრი გველეშაპი!.. თეთრი გველეშაპი!..თეთრი გველეშაპი!..წმიდა გიორგი იყოს მხიარული ინგლისის მფარველი!

ყოველი მხრიდან გაჰყვიროდნენ საქსონელ ყაჩაღებად გადაცმული თავდამსხმელები და ისე გამწარებით და სწრაფად მიიწევდნენ წინ, ისე ადვილად სძლევდნენ მოწინააღმდეგეს, თითქოს იმაზე გაცილებით უფრო მეტი ყოფილიყვნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ.

ორივე საქსონელი ბელადი ერთდროულად შეიპყრეს, ოღონდ ამ შეპყრობის დროს ორთავემ თავისი ნამდვილი ხასიათი გამოამჟღავნა. მოჰკრა თუ არა სედრიკმა თვალი პირველ მტერს, მყისვე ზუფანი დაუმიზნა და ამჯერად ისე აღარ გაწბილებულა, ფენგსთან რომ მოუვიდა - ზედ მუხაზე მიარჭო. ხელადვე იშიშვლა ხმალი და ახლა მეორე თავდამსხმელზე მიაგდო ცხენი, მაგრამ გაცოფებულმა, ისე მოუსაზრებლად მოუქნია, რომ მახვილი ზემოდან გადმოშვებულ მსხვილ ტოტს მოხვდა. ამ უხერხული შემოკვრით სედრიკმა თვითონვე აჰყარა თავის თავს იარაღი. მაშინვე შეიპყრეს კიდეც - ორი თუ სამი ყაჩაღი მივარდა და ცხენიდან ჩამოათრიეს. არც ათელსტა-

ნის შეპყრობა დაუყოვნებიათ - ცხენს აღვირში უტაცეს ხელი, და მანამ მხედარი ხმლის ამოღებას მოახერხებდა, ან რაიმე წინააღნმდეგობის გაწევას მოიფიქრებდა, ძირს ჩამოაგდეს.

ბარგით შევიწროებული მხლებლების დამორჩილებას კი, რომლებიც თავიანთი ბატონების ხვედრმა ისედაც გააოგნა და დააფეთა, ბევრი აღარაფერი უნდოდა. ასეთივე ბედი ეწია მხედრობის შუაში მოქცეულ როენას და რაზმის უკან მიმავალ ებრაელსა და მის ქალსაც.

მთელი რაზმიდან მხოლოდ ვამბამ მოახერხა გაქცევა. მასხარამ იმათზე გაცილებით მეტი მამაცობა გამოიჩინა, ვისაც უფრო ჭკვიანად მოჰქონდა თავი. როცა დაინახა, რა უგემურად და ხელის კანკალით იღებდა ქარქაშიდან ხმალს ერთ-ერთი მსახური, ვამბა მივარდა, გამოსტაცა და ისე ლომივით დაატრიალა, რომ რამდენიმე ყაჩაღი უკანვე გააბრუნა, მერე თავისი ბატონის

მისაშველებლად გაიწია თავგანწირვით, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ბოლოს, რაკი შეატყო, ყაჩაღებმა გვაჯობესო, ცხენიდან ჩამოხტა, საერთო არეულობით ისარგებლა და ტყეს მისცა თავი.

მაგრამ, გასცილდა თუ არა ხიფათს, მამაცი მასხარა რამდენჯერმე შედგა და დაფიქრდა, ყოყმანობდა - უკანვე ხომ არ დავბრუნდე და, როგორც ერთგულ მსახურს შეეფერება, ჩემი საყვარელი ბატონის ხვედრი ხომ არ გავიზიაროო.

- თავისუფლების ქება-დიდება ბევრჯერ გამიგონია, - ამბობდა ვამბა, - მაგრამ ნეტა ვინმე მასწავლიდეს, ახლა რაში უნდა გამოვიყენო ეს თავისუფლება!

ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა და პასუხიც მალე მიიღო - ვიღაცამ შიგ ყურში ჩასძახა ფრთხილად „ვამბა!“ და იმავე წუთში ძაღლიც შეახტა ალერსიანი წკმუტუნით - ეს იყო ფენგსი, - „გურთ!“ - შეეხმიანა ვამბაც, და მართლაც იმავე წუთში გურთი აეყუდა წინ.

- რა ამბავია? - სულმოუთქმელად ჰკითხა გურთმა, - ეს ყვირილი და ხმლების ჩახაჩუხი რას ნიშნავს?

- ჩვეულებრივი ამბავია, - მიუგო ვამბამ, - ყველანი შეიპყრეს.

- ვინ ყველანი? - მოუთმენლად ჩაეკითხა გურთი.

- ბატონი... ქალბატონი... ათელსტანი... ჰუნდიბერტიცა და ოსვალდიც...

- თუ ღმერთი გწამს! - შესძახა გურთმა, - მითხარი, ვინ შეიპყრო?... რა-ნაირად?

- ბატონმა მეტისმეტად გამოიდო თავი, - მიუგო მასხარამ, - ათელსტანს კიდევ აღარაფრის თავი არ აღმოაჩნდა, არც სხვა ვინმეს. ასე რომ, შავნი-ღაბა და მწვანე ხიფთანიანმა ყაჩაღებმა შეიპყრეს. ახლა ყრიან მიწაზე პან-ტასავით - შენ რომ ღორებს უბერტყავ ხოლმე ტყეში. ისეთი სანახავია, სი-ცილსაც ვერ შევიკავებდი, - დასძინა პატიოსანმა მასხარამ, - ცრემლი რომ არ მახრჩობდეს.

და მართლაც გულწრფელი მწუხარების ცრემლები წასკდა.

გურთი სახეზე წამოენთო.

- ვამბა, - უთხრა მან, - შენ იარაღი გაქვს. მამაცობაც ჭკუაზე მეტი აღმო-გაჩნდა... ორნიღა დავრჩით... მაგრამ ორი თავზეხელაღებული კაცის უეცა-რი თავდასხმა ხუმრობა საქმე არ არის... გამომყევი!

- საით?.. ან რისთვის?.. - ჩაეკითხა მასხარა.

- სედრიკის დასახსნელად.

- აკი გაექეცი სედრიკს?!

- მაშინ სვებედნიერი კაცი იყო... წავიდეთ!

დააპირეს კიდეც წასვლა, რომ უცებ, სად იყო და სად არა მესამე კაცი გამოჩნდა და ბრძანა, ფეხი არ მოეცვალათ. იარაღისა და ჩაცმულობის მი-ხედვით ვამბას პირველად ერთ-ერთი იმ ყაჩაღთაგანი ეგონა, რომელთაც მისი ბატონი შეიპყრეს, მაგრამ იმათგან განსხვავებით, ჯერ ერთი, ნიღაბი არ ეკრა ამას, და მეორეც- ბრჭყვიალა აშურმაზე გამობმული ჰქონდა რქის დიდებული საყვირი, თან უფრო დინჯადაც ირჯებოდა, არც ბრძანების კი-ლოთი ჰგავდა ბატონის შემპყრობ ყაჩაღებს... ერთი სიტყვით, ჩამოწოლი-ლი ბინდბუნდის მიუხედავად ლოკსლი შეიცნეს - იომენი, რომელმაც იმ უთანასწორო შეჯიბრებაშიაც კი მოისართა შორის გამარჯვება მოიპოვა.

- რა ამბავში ხართ? - შესძახა მან, - ვინ გაბედა ამ ტყეში ძარცვა-გლეჯა და ხალხის შეპყრობა?!

- ბარემ მიდი და უფრო ახლოს ნახე მათი ტანსაცმელი, - მიუგო ვამბამ, - იქნებ შენი ბიჭები გამოდგნენ!.. მუხუდოს ორი მარცვალი რომ გინახავს, ისე ჰგავს შენი ქურთუკი იმათსას.

- მაგასაც ახლავე ვნახავ, - უთხრა ლოკსლიმ, - თავი თუ არ მოგძულებიათ, მანამ დავბრუნდებოდე, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ. თუ არ გაჯიუტდებით, თქვენთვისაც აჯობებს და თქვენი ბატონებისთვისაც... ოღონდ დამაცადეთ, ჯერ იმათებურად მოვეწყო!

ეს რომ თქვა, აშურმა მოიხსნა, ქუდიდან ფრთა გამოიძრო და ფრთაც და საყვირიც ვამბას გადასცა. მერე ჩანთიდან ნიღაბი ამოიღო, კიდევ ბრძანა ფეხი არ მოიცვალოთო, და დასაზვერავად გაემართა.

- მართლა ვუყურყუტოთ, გურთ, თუ ახლავე მოვუსვათ? - ჰკითხა ვამბამ, - ჩემს სულელ გოგრას თუ რამე დაეჯერება, ისე ხელად მოირთო იმ ავაზაკებივით, რომ არა მგონია პატიოსანი კაცი იყოს.

- თუ ძაან გულით უნდა, ეშმაკიც იყოს, ჩვენ რა გვენაღვლება! - მიუგო გურთმა, - დაცდით არაფერი დაშავდება: თუ მართლა იმათი ამფსონია, აქამდე უკვე შეატყობინებდა კიდეც, და მაინც აღარაფერი გვიშველის - არც გაქცევა და არც შებრძოლება. ეგეც რომ არ იყოს, ამ ბოლო დროს დავრწმუნდი, რომ ნამდვილი ავაზაკები არაფრით არ ჩამოუვარდებიან იმ ხალხს, ვისაც ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით.

რამდენიმე წუთში იომენი მართლაც დაბრუნდა.

- ჩემო მეგობარო გურთ, - უთხრა მან, - მე შევერიე იმ ვაჟბატონებს და ყველაფერი გავიგე - ვინ არიან ან საით აპირებენ. არა მგონია, ტყვეებს რაიმე ვნება მიაყენონ. სამი კაცის იმათზე თავდასხმა, ბევრი რომ არა ვთქვათ, სიგიჟე იქნებოდა: ჯერ ერთი, კარგი მეომრები არიან, და მეორეც - როგორც გამოცდილ მებრძოლებს შეეფერება, გუშაგები დაუყენებიათ: თუ ვინმე მიუახლოვდა, იმ წუთში განგაშს ატეხენ. არა უშავს რა, ახლავე ისეთ ხალხს შევკრებ, რომ სულ კუდით ქვას ვასროლინებ მაგათ! თქვენ სედრიკ საქსონელის მსახურები ხართ, და, როგორც ვატყობ, ერთგული მსახურებიც. ხოლო სედრიკი ინგლისელი ხალხის ჭეშმარიტი ქომაგი და მეგობარია. ამიტომ არც ინგლისელები დაიზარებენ ამ გასაჭირში დახმარების გაწევას. მე გამომყევით, მანამ ხალხს შევაგროვებდე.

ეს თქვა და ტყეს შეერია, დიდი ნაბიჯებით გაემართა, მასხარა და მეღორეც მას მიყვნენ. ვამბას ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ ხმისამოუღებლად დიდხანს ვერა ძლებდა.

- მე მგონი, - თქვა მან და აშურმასა და საყვირს დახედა, რაც ისევ ხელში ეჭირა, - საკუთარი თვალით მინახავს, როგორ გაფრინდა ამ ჯილდოს მომგები ისარი, და, თუ არ ვცდები, ეს შობის დღეებში მოხდა.

- მე კიდევ ღვთიშობლის ხატზე დავიფიცებ, რომ ამ ჯილდოს მომგები კეთილი იომენის ხმაც მომისმენია - დღისითაც და ღამითაც, და მას შემდეგ სამი დღე არც კი იქნება გასული.

- ჩემო კარგო მეგობარო, - თქვა იომენმა, - ვინ ვარ და რას წარმოვადგენ, ამისი ვარაუდის დრო ახლა არ არის. თქვენი ბატონის გამოხსნა თუ მოვახერხე, ვიცი რომ ყველაზე საუკეთესო მეგობრად მე ჩამთლით. ესა მქვია თუ ისა მქვია... მეძროხეზე უფრო მარჯვედ ვისვრი ისარს თუ უფრო ცუდად... ან მზის გულზე მიყვარს სიარული თუ მთავრის სინათლეზე, თქვენ რაში გეკითხებათ, და ამეების გაგებით ნურც შეიწუხებთ თავს.

- ლომის ხახაში რომ გვაქვს თავი, ამას კი ვხედავ, - წასჩურჩულა ვამბამ გურთს, - მაგრამ თუ ბიჭი ხარ, იღონე რამე!

- სუ!.. გაჩუმდი, - მიუგო გურთმა, - შენი სისულელით ნუ გააბრაზებ; გული მეუბნება, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

თავი მეოცე

უღრან ტყეში ხეტიალი...
შემოდგომის გრძელი ღამე...
შიში.
მაგრამ ბერის ლოცვა
უცებ სმენას დაგიამებს.
ვით ტოროლას ტკბილი სტვენა
მზე არის და მზისკენ მიჰქრის,
ეს გალობაც ცაში მიდის,
ვერ ეწევა კაცის ფიქრი.
წმ. კლემენტის წყაროს მეუდაბნოე

სამი საათი იარეს სედრიკის მსახურებმა და მათმა იდუმალებით მოცულმა მეგზურმა, მერე პატარა განაკაფზე გავიდნენ, რომლის შუაგულშიაც ტოტებგაბარდნილი უზარმაზარი მუხა წამომართულიყო. მუხის ძირში ოთხი თუ ხუთი იომენი გაშხლართულიყო, ხოლო ერთი ამახანაგი გუშაგად გამოეყოთ და იქვე მახლობლად ბოლთასა სცემდა.

ფეხის ხმა რომ მოესმა, გუშაგმა ხელად თავისი ამხანაგები დააღვიძა, ისინიც ფიცხლავ წამოიჭრნენ ზეზე და მშვილდები მოზიდეს. ექვსი ისარი გამზადებული იყო იქითკენ გასაფრენად, საიდანაც ფეხის ხმა მოდიოდა. მაგრამ როგორც კი მეგზურს მოჰკრეს თავლი, წარმოუდგენელის სიყვარულითა და პატივისცემით შეხვდნენ და შიშიც, რაიმე უბედურება არ ატყდესო, მაშინვე გაქრა.

- მეწისქვილე სადაა? - იკითხა მეგზურმა.

- როთერჰამის გზაზე.

- რამდენი კაცი ახლავს? - იკითხა წინამძღოლმა. აშკარად ჩანდა, რომ ეს კაცი ამათი წინამძღოლი იყო.

- ექვსი, და კარგი ნადავლითაც დაბრუნდებიან, წმიდა ნიკოლასმა თუ ინება.

- ძაან ღვთისმოსავი კაცივით კი ლაპარაკობ! - მიუგო ლოკსლიმ, - ალან-ე დელი სადღაა?

- უოტლონგისკენ გასწია, ჟორვოს მოძღვარს უნდა დაუდარაჯდეს.

- ეგეც კარგი მოგიფიქრებიათ, - მოუწონა წინამძღოლმა, - ბერი რა იქნა?

- სენაკშია.

- მაშ, მეც იქ წავალ, - თქვა ლოკსლიმ, - თქვენ გასწიეთ და ხალხი მომიქუჩეთ, რაც შეიძლება ბევრი... მსხვილი ნადირი მეგულება და დაჭერა მგონი გაგვიძნელდეს. გათენებისას აქ დამიხვდით... დაიცადეთ... - დასძინა მან, - მთავარი მავიწყდებოდა... ორი თქვენგანი ტორკილსტონისკენ გაემართოს, ფრონ დე ბეფის ციხე-სიმაგრისაკენ. ჩვენსავით გადაცმულ ვაჟბატონებს ტყვეები შეუპყრიათ და ახლა იქითკენ მიჰყავთ... კარგად უთვალთვალეთ, კიდეც რომ შეგვასწრონ ციხეში, ვალდებული ვართ, მაინც დავსაჯოთ, ეს ჩვენი ღირსების საქმეა. ერთი სიტყვით, კარგად უთვალთვალეთ, არაფერი გამოგეპაროთ. ვინც უფრო ფეხმარდი იყოთ, ჩემსკენ გამოფრინდით და ამბავი შემატყობინეთ.

აღუთქვეს, როგორც გვიბრძანე, ისე შევასრულებთ ყველაფერსო და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. წინამძღოლი და სედრიკის მსახურები, რომლებიც ახლა დიდის მოწიწებით და ერთგვარის შიშითაც კი შეჰყურებდნენ წინამძღოლს, კოპმანჰერსტის გზას გაუდგნენ.

მთვარით განათებულ პატარა მინდორს რომ მიადგნენ, გამოჩნდა ნახევრად დანგრეული

სამრეკლო და მეუდაბნოეს უბადრუკი, თუმცა ღვთისმსახურებისათვის სწორედ რომ შესაფერი ქოხი. ვამბამ გურთს გადაუჩურჩულა:

- თუ ამ ქოხში მართლა ქურდი ბინადრობს, ძველი ანდაზა ჭეშმარიტი ყოფილა: „საყდრის მახლობელი - ღმერთის შორებელი“... ასეც არის ჩემი ჩაჩის მადლმა, - დასძინა მან, - აბა, ერთი ყური დაუგდე, რა სიმღერა გამოდის.

მართლაც, მეუდაბნოეს და მის სტუმარს ძველებური სუფრული წამოეწყოთ, და ისე შესულიყვნენ ეშხში, რომ ფილტვები სულ გახლეჩაზე ჰქონდათ. აი ეს სიმღერაც:

დალიე და დამილიე
აქეთ მტყორცნე დიდი თასი,
ჰეი, ბული,ჰოი, ბული.
არ გცოდნია ჩემი ფასი,
ჰეი, ბული, ჰოი, ბული,
კაცი სმაში დაფასდება,
დალიე და დამილიე,
ჰოი, ჯონკინ, საყვარელო,
დალიე და დამილიე,
ჰეი, ბული, ჰოი, ბული.

- არა უშავს! - თქვა ვამბამ და თვითონაც მისცა მომღერლებს ბანი, - მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, ვინ იფიქრებდა, რომ ამ შუაღამისას ვიღაც განდეგილის სენაკში ამისთანა მხიარული სიმღერა ექნებოდათ გაჩაღებული.

- სულაც არ მიკვირს, - მიუგო გურთმა, - კოპმანჰერსტელი მხიარული ბერის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის. რაც ამ ტყეებში ნადირი იხოცება, ნახევარზე მეტი მაგის გაჟლეტილია. აქაურ მეტყევეს მთავრობაში უჩივლია, და ცოტა ჭკუას თუ არ დაუხმო, ანაფორას გახდიანო, ამბობენ.

მანამ ესენი ლაპარაკში იყვნენ გართულნი, ლოკსლიმ იმდენი უბრახუნა სენაკის კარს, რომ ბოლოს და ბოლოს, მეუდაბნოესა და მის სტუმარს სიმღერა შეაწყვეტინა.

- ჩემს კრიალოსანს გეფიცები, - მაგრად გადაქაჩული რომ იყო, სწორედ მაშინ გაწყვიტა მეუდაბნოემ სიმღერა, - ეგენიც შეგვიანებული სტუმრები იქნებიან. სულაც არ მინდა, რომ ასე მოლხენილი გვნახონ. მტერს რა გამოლევს, ჩემო ზარმაცო რაინდო, ბოროტი ხალხის ამბავი ხომ იცი, იმას კი არ იტყვიან - დაქანცული მგზავრი შეიფარა, პატივი სცა და სამიოდე საათს დრო

გაატარებიანო; არა, მე მომდგებიან - ლოთობსო, გარყვნილებას ეწევაო... ეს კი არც ჩემს წოდებას შეეფერება და არც ჩემს მდგომარეობას.

- ბილწი ცილისმწამებლები! - შესძახა რინდმა, - ერთი ხელში ჩამაგდებინა, მე იმათ მოვაჭკვიანებ! ეს კი მართალი ბრძანე, წმიდა მამავ, მტერს რა გამოლევსო. ამ ქვეყანაში რამდენი მეგულება ისეთი, რომლეთანაც ზუჩით პირდაფარული ვარჩევ ლაპარაკს, ვიდრე პირახდილი.

- მაშ მოდი, ჩემო ზარმაცო რაინდო, და რაც შეგიძლია ჩქარა ჩამოიმხე თავზე ეგ შენი რკინის ქოთანი, - უთხრა მეუდაბნოემ, - მე კი მანამდე ამ მათარებს მივალაგებ; რაც ამეებში სითხე ესხა, სულ დავთარი ამირია, ამიტომ სიმღერას წამოვიწყებ, რომ ჩხრიალი ჩავახშო, თორემ, მართალი თუ გინდა, მაგრა ვერა ვდგავარ ფეხზე, შენ კი მეორე მითხარი. სიტყვების არცოდნამ არ შეგაწუხოს, მე თვითონაც არ მახსოვს ხეირიანად.

ესა თქვა და „De profundis clamavi[31]“ დააბუხუნა, და სიმღერის ხმამ მართლაც ჩაახშო ჭურჭლეულის ჩხრიალი. რაინდი ამასობაში გულიანად იცინოდა და აბჯარს ისხამდა, თან კი ცდილობდა სიცილი შეეკავებინა და მასპინძლისათვის დროდადრო მაინც მიეშველებინა მოძახილი.

- რა ეშმაკი წირვა აგიტყდათ ამ შუაღამისას?! - მოისმა გარედან.

- ღმერთმა შეგინდოს, ბატონო მოგზაურო! - გასძახა მეუდაბნოემ, რომელმაც სიმღერის გრიალში და, ვინ იცის, იქნებ სიმთვრალის გამოც, მისთვის ძალიან ახლობელი ხმა ვერ იცნო, - თუ ღმერთი და წმინდა დუნსტანი გწამს, შენს გზაზე წადი, მე და ჩემს წმინდა ძმას ლოცვას ნუ გვიშლი.

- გაგიჟდი ბერო?! - გაისმა გარედან, - ლოკსლისაც აღარ უღებ კარს?!

- ნუღარა გეფიქრება რა, - უთხრა მეუდაბნოემ თავის თანამეინახეს, - საქმე კარგადაა.

- ვინ არის, აღარ იტყვი? - შესძახა შავმა რაინდმა, - ეგ უსათუოდ უნდა ვიცოდე.

- ვინ არისო? - მიუგო მეუდაბნოემ, - აკი გეუბნები, მეგობარია-მეთქი.

- ვინ მეგობარი? - ჩაეკითხა რაინდი, - იქნებ მხოლოდ შენთვის იყოს მეგობარი, ჩემთვის კი არა.

- ვინ მეგობარიო? - გაიმეორა მეუდაბნოემ რაინდის სიტყვები, - მაგისი კითხვა ადვილია, პასუხი კი რა მოგახსენო. ვინ მეგობარი?.. ვინ მეგობარი და... ახლაღა არ მომაგონდა, ის პატიოსანი მეტყეევეა, მე რომ გეუბნებოდი.

- ეგეც ისეთივე პატიოსანი იქნება, როგორც შენ ღვთისმოსავი ხარ, - უთხრა რაინდმა, - მაგას რაღა

ბევრი ხაზი და ლარი უნდა. მაშ, მიდი და გაუღე, მანამ ანჯამებიანად შემოუმტვრევია.

თავდაპირველად ძაღლებმა საშინელი გნიასი ასტეხეს, მერე კი, ეტყობა, გარეთ მდგომის ხმა იცნეს: წკმუტუნით მივარდნენ კარს და კლანჭებით ფხაჭუნი დაიწყეს, თითქოს შუამდგომლობენ - შემოუშვითო. მეუდაბნოემ სწრაფად მოხსნა ურდული და ლოკსლი და მისი ორი ამხანაგი შეუშვა.

- რა ამბავში ხარ, ბერო, ეს რა მხიარული ამხანაგი გაგიჩენია? - ჰკითხა იომენმა, როგორც კი რაინდი დაინახა.

-ჩვენი ორდენის ბერია, - მიუგო მეუდაბნოემ თავის ქნევით, - ლოცვანის კითხვაში გავატარეთ მთელი ღამე.

- მე კი მგონია, რომ საომარი ეკლესიის ბერი უნდა იყოს, - უთხრა ლოკსლიმ, - ამისთანა ბერებს ახლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები. აბა, ბერო, კრიალოსანი გვერდზე გადადე და ხელში კეტი დაიჭირე; ჩვენი მხიარული გუნდიდან, ერისკაცი იქნება თუ ბერი, ახლა სუყველანი გვჭირდება. მაგრამ, - დასძინა მან და ბერი განზე გაიყვანა, - გაგიჟდი თუ რა დაგემართა? უცნობი რაინდი რამ მიგაღებინა? ჩვენი კანონი დაგავიწყდა?

- უცნობიო?! - რიხიანად შესძახა ბერმა, - სადაური უცნობია - გლახაც კი არ იცნობს თავის კერძს ისე კარგად, როგორც მე მაგას ვიცნობ.

- აბა რა ჰქვია? - ჰკითხა ლოკსლიმ.

- რა ჰქვია? - გაიმეორა მეუდაბნოემ, - რა ჰქვია და სერ ანტონი სკრებელსტონი... ნეტა ვინა გგონივარ? კაცთან ჭიქა ავწიო და მისი სახელიც არ ვიცოდე?!

- როგორც ვატყობ, შენ ზომაზე მეტადაც აგიწევია ჭიქა, ბერო, - უთხრა ლოკსლიმ, - და უბედურება ის არის, რომ, მგონი, ზომაზე მეტიც წამოაყრანტალე.

- კეთილო იომენო, - უთხრა რაინდმა და მასთან მივიდა, - ჩემს მხიარულ მასპინძელს ნუ გაუბრაზდები, ბოლოს და ბოლოს, მასპინძლობა გამიწია, და ამას ხომ, უარი რომ ეთქვა, ძალითაც გავაკეთებინებდი.

- ძალით! - შეჰყვირა ბერმა, - დამაცადე, ეს რუხი ანაფორა გავიხადო და მწვანე ჯუბა ჩავიცვა- თუ ერთი გემრიელად არ დაგიტრიალე მაგ გოგრაზე ჩემი კეტი, მაშინ აღარც ბერი ვიყო და აღარც მეტყევე.

არც კი დაემთავრებინა სათქმელი, რომ ანაფორა იშვლიპა და შავ ხალათ-შარვალზე თვალის დახამხამებაში მწვანე ჯუბა და შარვალი წამოიცვა.

- თუ ღმერთი გწამს, ეს თასმები შემაკვრევინე, და ერთი თასი კაი ღვინო ჩემზე იყოს, - უთხრა მან ვამბას.

- ღვინისთვის დიდი მადლობა მომიხსენებია, - მიუგო ვამბამ, - მაგრამ როგორა გგონია, სწორი იქნება ჩემი საქციელი, რომ წმინდა ბერს ცოდვილ მეტყევედ გადაქცევაში დაგეხმარო?

-მაგისი ფიქრი ნუ გექნება, - უთხრა ბერმა, - ჩემი მწვანე ჯუბის ცოდვებს ზიარების დროს რუხ ანაფორას გავანდობ და საქმე ხელად მოკვარახჭინდება.

- ამინ! - მიუგო მასხარამ, - მაუდის მომნანიებლისათვის სწორედ რომ ჯვალოს მაზიარებელია ზედგამოჭრილი; მაშ, მაგ ფარფაშა ანაფორამ ბარემ ჩემს ჭყეტელა ქურთუკსაც შეუნდოს.

ესა თქვა და ბერს მივარდა, იმ აურაცხელი თასმების შეკვრაში მიეშველა, რითაც შარვალს ჯუბაზე ამაგრებდნენ ხოლმე.

მანამ ესენი ამ საქმით იყვნენ გართულნი, ლოკსლიმ გვერდზე გაიხმო რაინდი და უთხრა:

- მართალი მითხარი, ბატონო რაინდო, შენ არ იყავი იმ დღეს აშბის ასპარეზობაში რომ ინგლისელებს უცხოელებთან ბრძოლაში გაამარჯვებინე?

- თუნდაც აგრე იყოს, მერე რა, კეთილო იომენო?

- ის რომ,სუსტთა ქომაგი ყოფილხარ,- უთხრა იომენმა.

- ნამდვილი რაინდის მოვალეობაც ეგ არის,

- მიუგო რაინდმა, მეწყინება კიდეც, სხვაგვარად რომ იფიქრონ ჩემზე.

- ჰო მაგრამ, ამჟამად მარტო კარგი რაინდობა როდი კმარა, მინდა კარგი ინგლისელიც იყო, - უთხრა იომენმა, - რადგან იმ საქმემ, რასაც ახლა

გეტყვი, ყველა პატიოსანი კაცი უნდა შეაწუხოს, განსაკუთრებით კი ჭეშმარიტი ინგლისელი.

- ჩემისთანას მეორეს ვერ შეხვდები, ვისაც ინგლისელი და ყოველი ინგლისელის სიცოცხლე უფრო ძვირი უღირდეს.

- ნეტა კი მართლა მასე იყოს, - შესძახა იომენმა, - ამ ქვეყანას ისე არასოდეს არ დასჭირვებია

გულშემატკივრების თავი, როგორც ახლა. ყური დამიგდე, მინდა ჩვენი განზრახვა გაგანდო, რაშიაც, - თუკი მართლა ისა ხარ, რაც ჩანხარ, - შენც ღირსეულ როლს შეასრულებ. არამზადების ხროვამ, რომლებიც გადაცმულან და გაცილებით უფრო პატიოსანი ხალხის ტანსაცმელი ჩაუცვამთ, კეთილშობილი ინგლისელი სედრიკ საქსონელი, მისი აღზრდილი და მისივე მეგობარი ათელსტან კონინგსბურგელი შეიპყრეს და ტორკილსტონის ციხეში წაიყვანეს. ეს ციხე აქვე მდებარეობს, ამ ტყეში. პირდაპირ მითხარი, როგორც ჭეშმარიტ რაინდსა და ჭეშმარიტ ინგლისელს შეეფერება - იმათ გამოხსნაში თუ დაგვეხმარები?

- ვალდებული ვარ, ფიცის ძალით, - მიუგო რაინდმა, - მაგრამ, ეს კი მინდა გავიგო - ვინა ხარ, რომ ასე თავგამოდებითა მთხოვ იმათ შველას?

- მე ერთი უსახელო კაცი ვარ, - უპასუხა იომენმა, - მაგრამ ჩემი ქვეყნის დიდი მეგობარი, და იმათი მეგობარიც, ვისაც ჩემი ქვეყანა უყვარს... ამჯერად ეგ იკმარე, მით უმეტეს, რომ შენც არ გვიმხელ ვინაობას. ეს კი გჯეროდეს, რომ ჩემს სიტყვას წყალი არ გაუვა, ისეთი მტკიცეა, თითქოს მეც ოქროს დეზები მეკრას.

- მჯერა კიდეც, - უთხრა რიანდმა, - კაცს ერთი შეხედვით შევატყობ, ვინც არის; შენს სახეზე კი პატიოსნებასა და სიმტკიცეს ვკითხულობ. აღარც ჩაგაცივდები, ახლავე გამოგყვები და იმ

საბრალო ტყვეების გამოხსნაში დაგეხმარები. მერე კი იმედი მაქვს, უფრო დამეგობრებულები დავშორდებით ერთმანეთს.

- მაშ ახალი მოკავშირე გაგვჩენია! - გადაულაპარაკა ვამბამ გურთს. მასხარას უკვე შეეკრა თასმები ბერისათვის და ქოხის მეორე კუთხეში გასულს, რაინდის ბოლო სიტყვებისათვის მოეკრა ყური... - იმედი მაქვს, ამ რაინდის სიმამაცე უფრო მტკიცე ფოლადისა გამოდგება, ვიდრე ბერის ღვთისმოსაობა და იმ ჩვენი იომენის პატიოსნება. ეს ლოკსლი ნამდვილ ავაზაკსა ჰგავს, მღვდელი კი მრუშების უსტაბაშია.

- გაჩუმდი, ვამბა, - შეუტია გურთმა, - იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ რქიანი ეშმაკიც რომ გამომეცხადოს და მითხრას, სედრიკსა და ქალბატონ როენას გამოგახსნევინებო, მგონია, ცდუნებამ მძლიოს და ღვთის შიში გამატეხინოს - იმ მყრალ ეშმაკსაც კი გავყვები.

ამასობაში ბერიც იომენივით გამოეწყო და შეიარაღდა, ხმალი ჩამოიკიდა, მკლავზე ფარი წამოიცვა, მხარზე უზარმაზარი აფთი მოიგდო, ხელში მშვილდი და კაპარჭი მოიმარჯვა და პირველი თვითონ გამოვიდა ქოხიდან, მერე გულმოდგინედ დაკეტა კარი და გასაღები ზღურბლის ქვეშ ამოდო.

- მხარში ამოგვიდგები, ბერო, ჰკითხა ლოკსლიმ, - თუ თავში ისევ ღვინის თასები გიტრიალებს?

- ეგ არაფერი, წმიდა დუნსტანის წყაროს ერთი ყლუპი უშველის საქმეს, - მიუგო ბერმა, - თავში რაღაც მიბზუის და ფეხიც როგორღაც მეშლება, მაგრამ თქვენი თვალით ნახავთ, როგორ ხელად გაივლის ყველაფერი.

ქვის აუზთან მივიდა, რომელშიაც ღარიდან მოწარწკარე წყალი პატარ-პატარა ბუშტებსა ქმნიდა და მთვარის სინათლეზე ისე თვალისმომჭრელად ლიცლიცებდა, გეგონებოდა, ხტისო. ხარბად დაეწაფა წყალს და დიდხანს არ აუღია თავი, თითქოს ერთიანად ამოხვრეპა აგადუწყვეტიაო.

- კოპმანჰერსტელო წმიდა დიაკვანო, კიდევ როდის შეგისვამს ასეთი ყლუპი, ამასაც თუ ყლუპი ჰქვია? -ჰკითხა შავმა რაინდმა.

- მხოლოდ ერთხელ. მაშინაც კასრი გამოხმა და ღვინომ გაჟონა; მეტი რაღა ჩარა იყო - ჩემი მფარველის წმიდა წყალს დავეწაფე, - მიუგო ბერმა, - მას უკან აღარ დამილევია.

მერე ხელებიცა და თავიც აუზში ჩაჰყო და იმღამინდელი ლოთობის ნიშანი ერთიანად ჩამოირეცხა.

როცა გაგრილდა და გამოფხიზლდა, მხიარულმა ბერმა თავისი მძიმე აფთი გადმოიღო და სამი

თითით ისე მსუბუქად დაატრიალა თავს ზემოთ, თითქოს ლერწმის პატარა ჯოხიაო, თან კი რიხიანად შეჰყვირა:

- აბა ერთი ის ავაზაკები მაჩვენეთ, გოგოებს რომ იტაცებენ! ეშმაკმა წამიღოს, თუ თორმეტ მაგისთანა ვაჟბატონს არ მოვუგრიხო კისერი.

- იგინები კიდეც, წმიდა დიაკვანო? - ჰკითხა შავმა რაინდმა.

- რა დიაკვანი აგიტყდა! - შეუტია გადაცმულმა ბერმა, - წმიდა გიორგისა და მისი ურჩხულის მადლმა, ანაფორას გავიხდი თუ არა, ბერისა აღარაფერი მცხია. ჩემს მწვანე ჯუბას რომ ჩავიცვამ, ქვემოურ მხიარულ მეტყეევეებს აღარაფერში დავუდებ ტოლს - გინდა სმა იყოს, გინდა მოლხენა და გინდ გოგოებში ღლაბუცი.

- წამოდი, მრუშო ბერო, - უთხრა ლოკსლიმ, - და ცოტა ხანს მაინც დააყენე ეს ენა. იმდენს ხამურობ ამაღამ, გეგონება შობის ღამეს მთელი მონასტრის ბერები ერთად შექუჩებულანო... თქვენც გამომყევით, ბატონებო, ფეხს ნუღარ ითრევთ... წავიდეთ-მეთქი, ბლომად ხალხი შევყაროთ, თორემ რეჯინალდ ფრონ დე ბეფის ციხის აღებას ეხუმრები?!

- რაო? - შესძახა შავმა რაინდმა, - ფრონ დე ბეფმა სამეფო გზაზე წანწალი და მეფის ერთგული ქვეშევრდომების ტყვედ ჩაგდება დაიწყო?! ქურდობასა და ავაზაკობას მიჰყო ხელი?

- როდის არ ყოფილა ავაზაკი?!.. - თქვა ლოკსლიმ.

- ქურდობა კიდევ... - დასძინა ბერმა, - ნეტა იმის ნახევარი პატიოსნება მაინც ჰქონდეს, რაც ჩემს ნაცნობ ქურდებსა აქვთ.

- წავიდეთ, ბერო, ენაც დააყენე, - უთხრა იომენმა, - მაგ სულელურსა და უწესო ლაქლაქს ის გირჩევნია, წაგვიძღვე და თავშეყრის ადგილას მიგვიყვანო.

თავი ოცდამეერთე

რა დრო გასულა, ვაგლახ, რა დრო, რაც ამ მაგიდას
უსხდნენ გარშემო, ღირსეულად და დინჯად ბჭობდნენ
ჩახჩახა ლამპრის სინათლეზე თვალანთებულნი.
თითქოს ჩამესმის მე ხმაური გარდასულ დროთა,
ამ გაშლილ დარბაზს ძველი ჟღერა კვლავ მოსდებია,
მაღალ თაღებში ახლაც რეკავს ხმები იმათი.
ვისაც საფლავში მშვიდი ძილით დაუძინია.
„ორა“ - ტრაგედია

მანამ ესენი გეგმებს აწყობდნენ სედრიკისა და მისი მეგობრების გამოსახსნელად, ამ უკანასკნელთა შემპყრობ შეიარაღებულ ხალხს ტყვეები გაჩქარებით მიჰყავდათ, რათა უშიშარ ადგილას საპყრობილეში ჩაეყარათ. მაგრამ მალე სიბნელე ჩამოწვა, ხოლო ავაზაკები, ეტყობა, ხეირიანად არც იცნობდნენ ტყის ბილიკებს. იძულებული ხდებოდნენ ხშირ-ხშირად შემდგარიყვნენ დიდ-დიდი ხნით, ხოლო ერთი-ორჯერ უკან დაბრუნებაც მოუხდათ,

რათა მთავარი გზიდან უფრო კარგად გაეგნოთ თავიანთი სავალი. ამასობაში თავზე დაათენდათ კიდეც; მაგრამ დილის

სინათლემ რწმენაც დაუბრუნათ და ახლა უფრო გაბედულად მიუშვეს ცხენები. ამ დროს ყაჩაღების ორ მეთაურს ასეთი საუბარი ჰქონდათ ერთმანეთში:

- ახლა კი დროა გაგვეცალო, სერ მორის, და შენი მისტერიის მეორე ნაწილი მოამზადო - მხსნელი რაინდის როლი გაითამაშო! - უთხრა ტაძრელმა რაინდმა დე ბრასის.

- არა, გადავიფიქრე, - მიუგო დე ბრასიმ, - მანამ ფრონ დე ბეფის ციხესიმაგრეში მშვიდობიანად არ მიგაყვანინებ ნადავლს, ვერ მიგატოვებ. იქ ჩემი ნამდვილი სახით წარვუდგები ლედი როენას, და იმედი მაქვს ეს ძალმომრეობა, მის მიმართ რომ გამოვიჩინეთ, ჩემს გაფიცხებულ ვნებათაღელვად მოვაჩვენო.

- ჩვენ ხომ სულ სხვა რამე მოვიფიქრეთ, რამ შეგაცვლევინა აზრი, დე ბრასი? - ჰკითხა რაინდმა.

- ეგ შენ არ გეკითხება, - მიუგო დე ბრასიმ.

- იმედი მაქვს, ჩემს პატიოსნებაში არ გეპარება ეჭვი, თუმცა ფიცურსი სულ ამას ჩაგჩიჩინებს, - უთხრა ტაძრელმა.

- მე რასაც ვფიქრობ, დე ჩემთან დარჩეს, - მიუგო დე ბრასიმ, - ხომ გაგიგონია, ქურდი ქურდს რომ პარავს, ეშმაკი სიხარულით ფეხზე აღარ დგასო. მაგრამ ასეც რომ არ იყოს და სიხარულის ნაცვლად ეშმაკმა სულ რომ ცეცხლი აფრქვიოს, ყველასათვის ცნობილია, რომ ტაძრელი რაინდი თავისას მაინც არ დაიშლის.

- ვერც თავისუფალ რაზმელთა წინამძღოლს გაუქარწყლებს იმის შიშს, რომ მეგობარი და ამფსონი არ შეიძლება ისე უკუღმართად მოეპყრას, როგორც თვითონ ეპყრობა კაცთა მოდგმას.

- ნეტა რას მედავები და რასა მტუქსავ! - უთხრა დე ბრასიმ, - ტაძრელების ნამუსის ამბავი პირველად ხომ არ მესმის! თავი გამიწირავს და ამისთანა მშვენიერი ნადავლი ჩამიგდია ხელში, ეგღა მაკლია მოსატაცებლად დაგიგდო.

- ფუჰ! - შესძახა ტაძრელმა რაინდმა, - ნეტა რისი გეშინია!.. ჩვენი ორდენის აღთქმა არ იცი?!

- როგორ არა! - მიუგო დე ბრასიმ, - ისიც კარგად ვიცი, როგორ ასრულებთ ხოლმე იმ აღთქმას. ქალებთან თავაზიანად მოქცევის წესები პალესტინაში ყველას თავისებურად ესმის, და სწორედ ამიტომ შენს ნამუსს ვეღარ დავენდობი.

- მაშ გამიგონე და მართალს გეტყვი - შენს ლურჯთვალა ტურფასთან არაფერი მესაქმება. მაგრამ ერთი ქალი ახლავთ და ის კი ნამდვილად მომდის თვალში.

- რაო? ისე დაკნინდი, რომ მოახლეებს დაერიე?! - ჰკითხა დე ბრასიმ.

- არა ბატონო რაინდო, - მედიდურად უპასუხა ტაძრელმა, - ასე არ დავკნინებულვარ. მაგრამ დატყვევებულთა შორის ერთი ნადავლია, შენსას არაფრით არ ჩამოუვარდება.

- მაშ, წირვის მადლმა, ურიის ტურფა გოგო მოგწონებია, - უთხრა დე ბრასიმ.

- ვთქვათ, ასე იყოს, - მიუგო ბუა გილბერმა, - წინ ვინ გადამეღობება!

- მაგისთანა არავინ მეგულება, რომ წინ გადაგეღობოს, - უთხრა დე ბრასიმ, - მაგრამ, ბერობის აღთქმას რაღას უზამ? ანდა რა სინიდისი მოგცემს, რომ ურიის ქალი შეიყვარო!

- აღთქმა არაფერი - ჩვენი დიდი მაგისტრი მომიტევებს, ასეა შეპირებული, - უპასუხა ტაძრელმა, - სინდისს რაც შეეხება, სამასი სარკინოზის გამჟლეტ კაცს ყველა პატარა შეცოდება კი არ უნდა გაუხსენო! სოფლელი გომბიო ხომ არა ვარ, რომელიც ვნების პარასკევს პირველად მიდის ხოლმე სააღსარებოდ?!

- შენი საქმისა შენ უკეთ მოგეხსენება, - უთხრა დე ბრასიმ, - ოღონდ ხატზე დავიფიცებ, რომ იმ მევახშე ბერიკაცის ფულის ტომრები უფრო გიზიდავს, ვიდრე მისი ქალის შავი თვალები.

- არც ერთზე არ ვიტყვი უარს, - უპასუხა ტაძელმა, - ოღონდ ის ებრაელი ბერიკაცი მთლად ჩემი ნადავლი არ არის - ფრონ დე ბეფსაც უდევს წილი, სანახევროდ უნდა გავიყოთ მისი შიგნეული, თორემ ისე ციხე-სიმაგრეს არ დაგვითმობს. მაგრამ საკუთარი ჯილდოც ხომ მეკუთვნის, ისე რატომ შევიწუხებდი თავს და საყაჩაღოდ რატომ გამოგყვებოდით: გადავწყვიტე ის ტურფა ებრაელი ვირგუნო საკუთრივ. ახლა ხომ გჯერა ჩემი? რატომ იღებ ხელს წინანდელ განზრახვაზე?.. ხომ თვითონვე ხედავ, რომ შიშის საფუძველი აღარა გაქვს?!

- არა, - მოუგო დე ბრასიმ, - მე მაინც არ მოვშორდები ჩემს ნადავლს. რასაც შენ ამბობ, სრული სიმართლეა, რა მეთქმის. მაგრამ დიდი მაგისტრისაგან ბოძებული განუსაზღვრელი ნებართვა და სამასი სარკინოზის გაჟლეტით მოპოვებული უფლება არ მაძლევს მოსვენებას. ისე ხარ განებივრებული ამ უფლებითა და მიტევების იმედით, რომ, ვიცი, პაწაწინა შეცოდებებს არ შეეპუები. მანამ ესენი ამ საუბარში იყვნენ გართული, სედრიკი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ დარაჯებისაგან გაეგო - ან ვინ იყვნენ მათი დამტყვევებლები ან რისთვის შეიპყრეს.

- ინგლისელებს ჰგავხართ, - ეუბნებოდა სედრიკი, - და, ღმერთო დიდებულო, რა ნორმანებივით

დაგვესხით თავს თქვენივე თანამემამულეებს! ალბათ, ჩემი მეზობლებიცა ხართ; თუ მართლა ასეა, მეგობრებიც ყოფილხართ!.. რომელი ინგლისელი მეზობელი იქნება, რომ მეგობრად არ ვიგულო?! თქვენი გამკვირვებია, იომენებო; ზოგ თქვენგანს ყაჩაღობაშიც სდებენ ბრალს, მაგრამ მე მაინც ვმფარველობ - მეცოდება და იმიტომ, ვიცი ვინც ჩააგდო ამნაირ დღეში, და იმ მტარვალებს მე თვითონვე წყევლა-კრულვას ვუგზავნი. მაშ, რაღას მერჩით? ჩემი ასეთ დღეში ჩაგდება რა ხეირს დაგაყრით?! თქვენი მოქმედებით მხეცებზედაც უარესები ხართ, და ახლა სიმუნჯითაც გინდათ მხეცებს დაემსგავსოთ?

ამაო იყო სედრიკის შეგონებანი - მის დარაჯებს მრავალი მიზეზი ჰქონდათ, ჩუმად ყოფილიყვნენ, არც წყრომისათვის ეთხოვებინათ ყური და არც ტკბილი დარიგებისათვის. გამწარებით მიიჩქაროდნენ და სედრიკსაც მიაჩაქჩაქებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაათავეს დაბურული ხეივანი და ტორკილსტონის უძველეს ციხეს მიადგნენ, რომელიც იმჟამად რეჯინალდ ფრონ დე ბეფს ეკუთვნოდა. ეს არცთუ ისე დიდი ციხე-სიმაგრე იყო: ერთი წოწოლა, ოთხკუთხა მთავარი კოშკი და პატარ-პატარა შენობები, რომლებიც კოშკისთვის მიეშენებინათ, ირგვლივ კი ქვის გალავანი. გალავანის გაყოლებაზე დიდი არხი გაეთხარათ და იქვე ჩამდინარე ნაკადულიდან შიგ წყალში მიეშვათ. ფრონ დე ბეფი, თავისი უხიაკი ხასიათის გამო, წარამარა ეკინკლავებოდა ხოლმე მეზობლებს და ამიტომ იძულებული იყო კიდევ უფრო გაემაგრებინა ციხე-სიმაგრე - გარეთა გალავნის ყოველ კუთხეში დამატებით თითო კოშკი აღემართა. შესასვლელები,

როგორც იმდროინდელ ყველა ციხე-სიმაგრეს, ამასაც ეგრეთ წოდებულ ბარბაკანში ჰქონდა გამოჭრილი და პატარა კოშკურებით დაცული.

მოჰკრა თუ არა თვალი სედრიკმა ამ კოშკურებსა და დილის მზით აელვარებულ ციხე-სიმაგრის ხავსით დაფარულ ქონგურებიან კედლებს, მაშინვე მიხვდა თავის უბედურების მიზეზს.

- სულ ტყუილად არ დავწამე ცილი ამ ტყეებში გავარდნილ ყაჩაღებს! ამისთანა ავაზაკობას როგორ იკადრებდნენ! - თქვა სედრიკმა, - ეს იგივეა, ჩვენებური მელიები გაცოფებულ ფრანგულ მგლებში აგერიოს. ჰეი, ძაღლებო, გამაგებინეთ მაინც - ჩემს სიცოცხლეს უმიზნებს თქვენი ბატონი თუ ჩემს ქონებას? ალბათ გულზე სკდება, ამ ორ საქსონელს რომ გვხედავს - მე და ათელსტანს - მამა-პაპისეულ მამულებში დამკვიდრებულთ!.. რაღას უცდით, ბარემ ბოლომდე მიიყვანეთ საქმე - თავისუფლება ხომ წაგვართვით, ახლა სულიც ამოგვხადეთ! სულ ერთია, ინგლისს თუ ვერ იხსნის, სედრიკ საქსონელს ის უჯობს, მისი გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ამოხდეს სული. ერთს კი ვთხოვ თქვენს მტარვალ ბატონს - ლედი როენას ღირსებას ნუ შებღალავს, ისე გაათავისუფლოს. ქალია, პირადად მაგისი შიში არ უნდა ჰქონდეს, ხოლო ყველა მისი ქომაგი ჩვენთან ერთად მოკვდება.

დარაჯებს არც ამაზე გაუციათ პასუხი. ახლა ისინი უკვე ალაყაფის კარებთან იდგნენ. დე ბრასიმ

სამჯერ ჩაჰბერა საყვირს. მემშვილდისრეები, რომლებიც მათი მოახლოებისას გალავანზე იდგნენ, სწრაფად დაეშვნენ, მოძრავი ხიდი გასდეს და ყველანი შიგ შეუშვეს. დარაჯებმა ტყვეები ცხენებიდან ჩამოსხეს და ერთ დარბაზში შეუძღვნენ, სადაც მათთვის საუზმე გაემზადებინათ. მაგრამ ათელსტანის მეტს ჭამის თავი არავის აღმოაჩნდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, აღმსარებელი მეფის მემკვიდრესაც არ დასცალდა გული ეჭერებინა ამ დიდებული საჭმლით - მაშინვე დარაჯები შემოვიდნენ და მასაც და სედრიკსაც განუცხადეს, რომ ცალკე ოთახში გამოკეტავდნენ, როენასაგან დაშორებით. წინააღმდეგობის გაწევა ამაო გამოდგა: ორივენი გამოიყვანეს და ერთ დიდ ოთახში შეიყვანეს, რომელიც უხეიროდ წამოყუდებულ საქსონურ სვეტებზე იყო დაყრდნობილი და იმ სატრაპეზოებს ჰგავდა, რასაც ჩვენი უძველესი მონასტრების უძველეს შენობაში დღესაც კი ნახავს კაცი.

მერე ლედი როენაც დააშორეს მხლებლებს და დიდის თავაზით, - თუმცა ისე კი, რომ მისი სურვილისათვის ანგარიში არ გაუწევიათ, - ცალკე ოთახში გაიყვანეს. ასეთივე ავის მაუწყებელი პატივისცემა გამოიჩინეს რებეკას მიმართაც, მამამისის მუდარას ყურიც არ ათხოვეს. გამწარებულმა ბერიკაცმა ფულიც კი შეაძლია დარაჯებს, ოღონდ ნუ დამაშორებთო.

- ურჯულო ძაღლო, - უყვირა ერთმა დარაჯმა, - შენს სოროს რომ ნახავ, თვითონვე არ მოინდომებ ქალიშვილის შენთან დატოვებას!

ბევრი წილადობილა აღარ დაუწყიათ, დაავლეს ხელი მოხუც ებრაელს და სულ სხვა მიმართულებით წაათრიეს, ტყვეებს დააშორეს. მსახურები საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, იარაღი აჰყარეს და საპყრობილეში ჩაუძახეს, ციხის მეორე მხარეს. როენა იმის ღირსიც კი არ გახადეს, რომ თავისი მოახლე ელგითა მაინც დაეტოვებინათ მასთან.

ოთახი, რომელშიაც საქსონელი ბელადები შეიყვანეს (პირველად იმათი ამბით დავიწყოთ) ახლა საგუშაგოდ ჰქონდათ, ადრე კი სეფედარბაზს სწორედ ეს წარმოადგენდა მთელ ციხე-სიმაგრეში. ასე იმიტომ აიგდეს ეს ძველი დარბაზი, რომ ახალმა ბატონმა უფრო კეთილმოწყობილი, კოხტა და მოსალოდნელი თავდასხმებისაგან დაცული სამყოფელი შეარჩია, რაც მის ბარონულ პატივმოყვარეობას უფრო შეეფერებოდა. ამ დარბაზის მაღალი სახურავი უფრო მსუბუქსა და კოხტად გამოყვანილ სვეტებზე იყო დაყრდნობილი და უფრო ძვირფასი ჩუქურთმებითაც შეემკოთ; ეს სამკაულები ნორმანებს შეეტანათ არქიტექტურაში.

აღელვებული სედრიკი ოთახში ბოლთასა სცემდა და თან გულისწყრომით ფიქრობდა თავის წარსულსა თუ ახლანდელს მდგომარეობაზე. მისი უნდილი მეგობარი კი, ვისთვისაც ბუნებას მოთმინებისა და ფილოსოფიური სიმტკიცის ნაცვლად, გულგრილობა და ხასიათის სიზანტე მიენიჭებინა, იჯდა კუთხეში და ისღა აღონებდა, რომ ამჟამად არხეინად მოსვენების საშუალება არა ჰქონდა. თუმცა არც ამაზე სწუხდა დიდად, მხოლოდ ხანდახან თუ გამოეხმაურებოდა სედრიკის მღელვარე და მგზნებარე სიტყვებს.

- ასეა, - ძნელი გასაგები იყო, თავისთვის ლაპარაკობდა თუ ათელსტანს მიმართავდა სედრიკი, - სწორედ ამ დარბაზში უქეიფნია მამაჩემს ტორკილ უოლფგანგერთან ერთად, როცა ტორკილს ის უბედური, მაგრამ გულადი ჰაროლდი ჰყავდა დაპატიჟებული. მაშინ ნორვეგიელებს აჯანყებული ტოსტი წამოუძღვა, და ჰაროლდი სწორედ მათზე სალაშქროდ მიემართებოდა.

ამ დარბაზში იყო, ის დიდსულოვანი პასუხი რომ მისცა ჰაროლდმა აჯანყებული ძმის ელჩებს. ჰოი, როგორ აინთებოდა ხოლმე, ამას რომ გაიხსენებდა მამაჩემი. ეს ამოდენა დარბაზი სულ საქსონელი დიდებულებით იყო გაჭედილი, უსხდნენ გვერდში თავიანთ მეფეს და სისხლივით ღვინოს შეექცეოდნენ, ტოსტის დესპანი რომ შემოიყვანეს...

- არა მგონია, - დაიწყო ღვინის გაგონებაზე ერთბაშად გამოცოცხლებულმა ათელსტანმა, - რომ სადილობის დროს მაინც არ შემოგვიგზავნონ ღვინო და საჭმელი. საუზმე ხომ აღარ დაგვაცალეს, ხელად წამოგვყარეს!.. საჭმელს გემოს ვერც ვატან, ცხენიდან ჩამომხტარი პირდაპირ სუფრას რომ მივუჯდები, თუმცა აქიმები ირწმუნებიან, ძალიან სასარგებლოაო.

სედრიკს არც კი გაუგონია მეგობრის შენიშვნა, თავისას განაგრძობდა:

- მთელი დარბაზი ტოსტის დესპანს უბღვერდა, იმან კი, ვითომც არაფერიაო, არხეინად გასწია ტახტისკენ და მხოლოდ ჰაროლდ მეფის წინ დახარა თავი.

„- რისი იმედი უნდა ჰქონდეს შენს ძმას, მეფეო, - მოახსენა დესპანმა, - იარაღი რომ დაჰყაროს და ზავი შემოგთავაზოს?“

„- ძმური სიყვარულისა, - უბრძანა დიდსულოვანმა ჰაროლდმა, - და ნორთამბერლანდის მშვენიერი საგრაფოსი.“

„- ვთქვათ მიიღო ტოსტიმ ეს შენი წყალობა, - განაგრძო დესპანმა, - მის ერთგულ მოკავშირეს რაღას უბოძებ, ნორვეგიის მეფე ჰარდრადას?“

„- შვიდ ფუტ ინგლისურ მიწას, - გაცეცხლებით შესძახა ჰაროლდმა, - მაგრამ, თუ მართლა ისეთი გოლიათია, როგორც ამბობენ, თორმეტ გოჯს კიდევ წავუმატებ“.

- მხიარულმა ყიჟინამ მთელი დარბაზი შეაზანზარა, მაშინვე ასწიეს თასები და ყანწები და ნორვეგიის მეფეს ამ ინგლისური მიწის რაც შეიძლება ჩქარა მიღება უსურვეს...

- იქ რომ ვყოფილიყავი, მეც სულითა და გულით შევსვამდი, - თქვა ათელსტნმა, - გამიშრა ხახა.

- საქციელწამხდარი დესპანი მაშინვე გაბრუნდა, რათა ტოსტისა და მისი მოკავშირეებისათვის

მიეტანა შეურაცხყოფილი ძმის საშინელი მუქარა, - დიდი მგზნებარებით განაგრძობდა სედრიკი. მიუხედავად იმისა, რომ მსმენელი არავითარ ინტე-

რესს არ იჩენდა ამ ამბით, - სწორედ მაშინ გახდა იორკის შორეული კოშკები და დერვენტის სისხლით შეღებილი ტალღები გააფთრებული ბრძოლის მოწმე, როდესაც ნორვეგთა მეფეც გმირულად დაეცა, ტოსტიცა და ბარე ათი ათასი მათივე უმამაცესი ჯარისკაციც. ვინ იფიქრებდა, რომ იმ სასიქადულო დღეს, როცა ასე გმირულად მოვიგეთ ომი, როცა ის ქარი, რომელიც საქსონელების დროშებს ამაყად აფრიალებდა, ნორმანთა იალქნებსაც დაუბერავდა და სუსექსის საბედისწერო ნაპირზე გამოყრიდა?! ვინ იფიქრებდა, რომ თვითონ ჰაროლდიც სულ რამდენიმე დღეში მთელ სამეფოს დაჰკარგავდა და სანაცვლოდ მიწის იმ პატარა ნაგლეჯს მიიღებდა, რაც გაგულისებულმა დამპყრობელ ნორმანთა მეფეს აღუთქვა?!.. ვინ იფიქრებდა, რომ შენ, კეთილშობილ ათელსტანს, - თვითონ ჰაროლდის სისხლსა და ხორცს, - და მეც საქსონთა ტახტის არც თუ ისე უხეირო დამცველის შვილს, ბილწი ნორმანები ჩაგვიგდებდნენ ხელში და სწორედ იმ დარბაზში გამოგვამწყვდევდნენ, საცა ჩვენი წინაპრები დიდებულ მეჯლისს მართავდნენ ხოლმე!

- მართლაც რომ ცუდი საქმე შეგვემთხვა, - მიუგო ათელსტანმა, - მაგრამ დიდ სასყიდელს ალბათ არ მოითხოვენ ჩვენს გამოსახსნელად... ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, შიმშილით მოკვლას გვიპირებდნენ. თუმცა შუადღე აგერ თავზე წამოგვადგა და სადილისათვის კი კაცი თავს არ იწუხებს. აბა, ერთი სარკმელში გაიხედე, კეთილო სედრიკ, და ნახე, მზე სადა დგას - საშუადღეოს თუ მიუახლოვდა.

- იქნებ მიუახლოვდა კიდეც, - უპასუხა სედრიკმა, - მაგრამ ამ მოხატული ფანჯრების დანახვა მე სულ სხვა ფიქრებს აღმიძრავს, წვრილმან საზრუნავზე უფრო ღრმასა და მნიშვნელოვანს. როცა ეს სარკმელი გამოჭრეს, ჩემო კეთილო მეგობარო, ჩვენმა კაჟივით მაგარმა წინაპრებმა მინის კეთება და მით უმეტეს მისი მოხატვა როდი იცოდნენ... ვოლფგანგერის მამას პატივმოყვარეობამ მოაყვანინა ვიღაც მხატვარი ნორმანდიიდან, რათა ეს დარბაზი ზიზილ-პიპილა შუშებით მოერთო, რის წყალობითაც ღვთის გაჩენილს მზის სინათლეს სულ სხვა ელფერი ეძლევა და ათასნაირად ბჭყვიალებს ხოლმე. ჩამოვიდა ვიღაც გაცრეცილი, ღატაკი და უბადრუკი გადამთიელი. ისე იყო დაფეთებული, რომ შიშით თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ჩვენებური მონის წინაშეც კი ქუდს იშვლეპდა ხოლმე. აქედან გააზიზებულ-გაბ-

ღენძილი გაბრუნდა. ჩავიდა თავის ქვეყანაში და გაუმაძღარ თანამემამულეებს ამბავი მოსდო - ასეთი ხალხი ყოფილან საქსონებიო - მდიდრებიო, გულუბრყვილოებიო... ეჰ, ჩემო ათელსტან, დიდი შეცდომა იყო. ამ საშიშროებას ჯერ კიდევ ჰენგისტის[32] შთამომავალნი და მთელი მისი ვჟკაცური მოდგმა გრძნობდნენ და ცდილობდნენ კიდეც თავიანთი სისადავე შეენარჩუნებინათ. ავდექით და გადამთიელები სულში ჩავიძვრინეთ, მეგობრებადა და უერთგულეს მსახურებად გავიხადეთ. იმათი ხელობა შევისწავლეთ, წაბაძვა დავიწყეთ, ჩვენი წინაპრების ალალ სისადავეს ამრეზით დავუწყეთ ცქერა, და დიდი ხნით იმაზე ადრე, ვიდრე ნორმანების იარაღი დაგვიმონებდა, მათივე ხელოვნებამ გაგვაზიზა. სად ჩვენი მამაპაპური სუფრა, არხეინად რომ მიუჯდები და გემრიელად შეექცევი, და სად იმათი აზიზ-მაზიზი საჭმელები, თუმცა რა - ამ საჭმელების სიყვარულმაც ხელ-ფეხი შეგვიკრა და ვიღაც გადამთიელ დამპყრობელს დაგვიმორჩილა!

- სულ უბრალო საჭმელიც რომ მომცა ახლა, სიამოვნებით გეახლებოდი, - თქვა ათელსტანმა, - ერთი რამ გამკვირვებია, კეთილშობილო სედრიკ: წარსულს ისე იგონებ, არაფერი არ გამოგრჩება, და დღეს რომ უსადილოდ გვტოვებენ, ეს კი აღარ გახსოვს!

- შეაყარე კედელს ცერცვი! - თავისთვის ჩაიდუდუნა გულმოსულმა სედრიკმა, - თავის მადაზე თუ არ ჩამოუგდე სიტყვა, ვერაფერს ვერ შეასმენინებ. სხეულში ჰარდიკანუტის სული ჩასახლებია და ამოყორვისა და ჩახეთქვის მეტი აღარაფერი ახსოვს. ვაგლახ, - განაგრძო მან და სიბრალულით გადახედა ათელსტანს, - ასეთი მომჩვარული სული ამისთანა დიდებულ სხეულში უნდა ბინადრობდეს?! ვაგლახ, ასეთი დიდი საქმე, როგორიც ინგლისის განთავისუფლებაა, ამისთანა უხეირო იარაღს უნდა მიენდოს?! როენაზე დაქორწინებამ იქნებ მართლაც უშველოს - ქალის კეთილშობილებამ და დიდსულოვნებამ იქნებ გაუღვიძოს მიძინებული გრძნობები. მაგრამ რის ქორწინება, როცა აგერ როენაც, ათელსტანიცა და მეც ვიღაც მხეცსა და კაცის მკვლელს ჩავუგდივართ ტყვედ!.. და ვინ იცის, იქნებ სწორედ იმიტომაც დაგვატყვევეს, რომ ჩვენი თავისუფლება მაგ უზურპატორების ხელისუფლებას ემუქრება!

მანამ საქსონელი დიდებული ასეთ მწარე ფიქრებში იყო წასული, კარი გაიღო და დარბაზში მსახური შემოვიდა, რომელსაც ხელში თავისი ხელობის ნიშანი - თეთრი კვერთხი ეჭირა. იგი მძიმე ნაბიჯით მედიდურად გაემართა დარბაზის შუაგულისაკენ, უკან ოთხი მსახური მოსდევდა,

ხორაგეულით დატვირთული სუფრა მოჰქონდათ. საჭმელის დანახვამ და სუნმა ერთბაშად გაუქარწყლა ათელსტანს უსიამოვნო შთაბეჭდილებანი. მსახურები მოსასხამებში იყვნენ გახვეულები და ნიღბები ეკრათ.

- ეს რა მასკარადია, - შესძახა სედრიკმა, - თქვენი ბატონის ციხე-სიმაგრეში ვართ და ხომ არ გგონიათ, რომ ჩვენი დამტყვევებლების ვინაობა არ ვიცოდეთ?! მოახსენე, - შემთხვევით ისარგებლა და გათავისუფლების თაობაზე ჩამოაგდო სიტყვა სედრიკმა, - მოახსენე შენს ბატონს რეჯინალდ ფრონ დე ბეფს, რომ ჩვენ ძალიან კარგად გვესმის მისი ზრახვები - იმიტომ დაგვატყვევა, რომ ამ უკანონობით ხელი მოითბოს და გამდიდრდეს; სხვა მიზეზს ჩვენ ვერა ვხედავთ. მოახსენეთ, რომ თანახმა ვართ მისი სიხარბე დავაკმაყოფილოთ, სხვა რა გზა გვაქვს - ყოველი ჯურის ავაზაკს ასევე ვუპასუხებდით. გაგვაგებინოს, ტყვეობიდან გამოსახსნელად რამდენსა გვთხოვს და თუ ჩვენს ძალ-ღონეს არ აღემატება, გადავუხდით.

მსახურთუხუცესს არაფერი უპასუხია, მხოლოდ თავი დახარა.

- ესეც მოახსენე სერ რეჯინალდ ფრონ დე ბეფს, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვიწვევ, - უთხრა ათელსტანმა, - თვითონვე აირჩიოს - გინდა ხმალდახმალ, გინდა ცხენდაცხენ... ადგილიც მან დანიშნოს, ოღონდ ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენი განთავისუფლების შემდეგ. თუ ჭეშმარიტი რაინდია, ვერც უარი უნდა გაბედოს და ვერც გადავადება.

- მე გადავცემ რაინდს თქვენს გამოწვევას, - მიუგო მსახურთუხუცესმა, - ახლა კი გთხოვთ სადილს შეექცეთ.

ათელსტანის გამოწვევა სათანადო ვაჟკაცობით ვერ იყო წარმოთქმული. პირი ისე გამოეტენა საჭმლით, რომ ორივე ყბა გაშეშებული ჰქონდა, ამასთან მის ბუნებით სიზანტესაც თუ გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენი იქნება, როგორ გაქარწყლდებოდა წარმოთქმის დროს ამ ვაჟკაცური სიტყვების ძალა. მაგრამ სედრიკამ მაინც ისე მიიღო ეს სიტყვები, როგორც უტყუარი ნიშანი მეგობრის ვაჟკაცური სულის აღზევებისა, რაც სულ ცოტა ხნის წინ ისე მოდუნებული ჩანდა, რომ ათელსტანის წინაპრების მიმართ უდიდესი მოწიწებისა და პატივისცემის მიუხედავად, სედრიკს გულიც

კი მოსდიოდა. ახლა მოწონების ნიშნად დიდის აღფრთოვანებით ჩამოართვა ხელი. ცოტათი იმანღა დასწყვიტა გული, რომ ათელსტანმა პასუხად ეს შენიშნა: „ფრონ დე ბეფისთანა ვაჟბატონს თორმეტს გავუმკლავდები ერთდროულად, ოღონდ კი ამ ნივრით აყროლებულ კერძს მალე დავაღწევდე თავს“. ერთი სიტყვით, ისევ ძველი მოდუნება და გულგრილობა დაუბრუნდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სედრიკიც მიუჯდა სუფრას; თუ სუფრის გაშლამდე თავისი ქვეყნის უბედურება საჭმელსაც ავიწყებდა და სასმელსაც, სადილის შემოტანისთანავე ერთბაშად გამოამჟღავნა, რომ საქსონელი წინაპრებისა მადაც ისევე ძალუმად გადმოსცემოდა, როგორც სხვა თვისებები.

ჩვენი ტყვეები ჯერ ხეირიანად არც კი დანაყრებულიყვნენ, რომ მათი ყურადღება ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისაგან მოსწყვიტა საყვირის გამაყრუებელმა ხმამ, რაც ალაყაფის კარებიდან მოდიოდა. სამჯერ გაისმა ეს ხმა, და თან ისეთი სიძლიერით, გეგონებოდა, რომელიღაც მოჯადოებული კოშკის წინ დევგმირი რაინდი გაჩერებულა და ისე ძლიერად ბერავს საყვირში, რომ ამ კოშკის მთელი დარბაზი, თავხეები თუ კოჭები ლამის დილის ნისლივით გაიფანტოსო.

საქსონელები სუფრიდან წამიჭრნენ და სარკმელს ეცნენ. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ - სარკმლიდან მხოლოდ ეზო მოჩანდა, საყვირის ხმა კი გალავნის გადაღმიდან მოდიოდა. ისე ეტყობოდა, დიდი ამბავი უნდა დატრიალებულიყო გარეთ, რადგან ციხე-დარბაზში საშინელი ალიაქოთი ატყდა.

თავი ოცდამეორე

ო, ჩემი ქალი... ო, ფულები... ვაიმე, შვილი!
...ო, ჩემი ქრისტიანი ფულები!...
სამართალი... კანონი... ფული! ვაიმე, შვილი!
შექსპირი

საქსონელი მთავრები თავიანთ სადილს მივუტოვოთ: როგორც კი ნახევრად დაპურებული მადა მათივე დაუკმაყოფილებელ ცნობისმოყვარეობას დასძლევს, სარკმელს მოშორდებიან და ისევ სუფრას მოუსხდებიან; ჩვენ უფრო საცოდავ დღეში მყოფ ტყვეს - ისააკ იორკელს მივხედოთ. საწყალ ებრაელს სტაცეს ხელი და საშინელ ნესტიან დილეგში ჩაუძახეს, რომელიც არა თუ მიწის დონეზე დაბლა, არამედ გალავანს შემოვლებულ არხზედაც უფრო ღრმა იყო. დღის შუქი ამ ჯურღმულში ორიოდე ვიწრო ხვრელიდან ჩადიოდა, მაგრამ პატიმარი ხვრელებს ხელს ვერ უწვდენდა. შუადღის შუქიც კი ძლივს ატანდა ამ ჭუჭრუტანებში, ხოლო როცა მზე გადაიხრებოდა, დილეგში საშინელი წყვდიადი ჩამოწვებოდა ხოლმე, მიუხედავად

იმისა, რომ მთელი ციხე-დარბაზი ჯერ ისევ მზის სხივებს შეტრფოდა. დილეგის კედლებზე ეკიდა ჟანგიანი ბორკილები და ხუნდები, ალბათ იმ წინანდელი პატიმრებისა, რომელთა გაქცევის შიში ჰქონიათ, ხოლო ერთი

ბორკილის რგოლებში ორ თითქმის დაშლილ ძვალსაც შენიშნავდა კაცი, რაც ერთ დროს ალბათ ადამიანის წვივები იყო, და იმას მოასწავებდა, რომ ეს პატიმარი არა თუ მოკვდა აქ, არამედ ჩონჩადაც კი იქცა.

ამ საშინელი ჯურღმულის ერთ კიდეში კერა იყო, რომელზედაც ჟანგისაგან სანახევროდ შეჭმული რკინის ლარტყები მიეკრათ.

ამ დილეგის დანახვა ისააკზე გულმაგარ კაცსაც კი შეაძრწუნებდა. მაგრამ ისააკზე, ეტყობა, შორეული და მოსალოდნელი შიში უფრო მოქმედებდა, ვიდრე აშკარა საშიშროება, რასაც იგი თითქოს გულდამშვიდებით შეხვდა. მონადირეები ამტკიცებენ - კურდღელი მაშინ უფრო საცოდავია, როცა გაურბის მწევრებს, ხოლო როცა მათ კლანჭებში მოექცევა, შედარებით მშვიდდებაო. ალბათ ებრაელებსაც ასე ემართებათ; გამუდმებული შიშის გამო ყოველგვარ საშინელებას მოელიან და მათი გონება შეგუებულია ამას. ასე რომ, რა ძალმომრეობითაც არ უნდა მოექცნენ და რა განსაცდელიც არ უნდა დაატყდეთ თავს, მათთვის მოულოდნელი მაინც არ იქნება. ხოლო შიშის მთავარი წყარო სწორედ მოულოდნელობაა, რადგან ადამიანი მომზადებული არ არის მის შესახვედრად. ამასთან, ისააკი განა პირველად იყო ასეთ დღეში; ამიტომ გამოცდილება ჰქონდა და იმედს არა ჰკარგავდა, რომ წინანდებურადვე დაუძვრებოდა განსაცდელს, როგორც ჩიტი დააღწევს ხოლმე თავს კაკანათს.

ისააკი დილეგის კუთხეში მიგდებულიყო და სინესტისაგან თავის დასაცავად ქვეშ ტანსაცმელი გაეგო. გულზე დაკრეფილი ხელები, გაბურძგნული თმა და წვერი, ბეწვის მოსასხამი და წოწოლა ქუდი მკრთალ სინათლეზე ისეთ სანახაობასა ქმნიდა, რემბრანტსაც კი გამოადგებოდა მოდელად, იმ დროში რომ ეცხოვრა ამ დიდებულ მხატვარს. მთელი სამი საათი იჯდა ასე გაუნძრევლად. ბოლოს დილეგის კიბეებიდან ფეხის ხმა მოესმა, ურდულებმა გაიჩხრიალა, ანჯამებმა გაიჭრიალა და დილეგში შევიდა თვით რეჯინალდ ფრონ დე ბეფი, რომელსაც ტაძრელი რაინდის ორი მონა სარკინოზი ახლდა.

ფრონ დე ბეფი მოსული და ჩასკვნილი კაცი იყო, მთელი თავისი სიცოცხლე ომებსა და შინაურ ბრძოლებში გაეტარებინა და საკუთარი ფეოდალური ძლიერების განსამტკიცებლად არაფერს არ ერიდებოდა. სახეც ხასიათის შესაფერი ჰქონდა - ზედვე ეწერა, რა მტარვალი და ბოროტიც იყო. ნაიარევებს, რითაც მთელი სახე ჰქონდა დასერილი, წესით თანაგრძნობა და პატივისცემა უნდა აღეძრა, როგორც მამაცობის უტყუარ ნიშანს, მაგრამ ფრონ დე ბეფს უფრო მძვინვარესა ხდიდა და კაცს უნებლიედ შეაძრწუნებდა. ამ მრისხანე ბარონს ტანზე ტყავის ქურთუკი ჰქონდა შემოჭერილი, რაც აბჯარ-საჭურველს ერთიანად დაეკაწრ-დაეფხაჭნა. იარაღი არა ჰქონია, გარდა ერთი ხანჯლისა, რომელიც ქამარზე ეკიდა მარცხნივ, და მარჯვნივ ჩამოკონწიალებული დაჟანგული გასაღებების სიმძიმეს აწონასწორებდა.

ფრონ დე ბეფის მხლებელ შავ მონებს თავიანთი დიდებული ტანსაცმელი გაეხადათ და ჯვალოს შარვალი და პერანგი ჩაეცვათ. სახელოები ნიდაყვებამდე ჰქონდათ დაკაპიწებული, ყასბების მსგავსად, რომლებიც საცაა თავიანთ საქმეს უნდა შეუდგნენ სასაკლაოზე. ხელში თითო პატარა კალათი ეჭირათ, შევიდნენ თუ არა დილეგში, მაშინვე კარებთან აეყუდნენ, ფრონ დე ბეფმა კი კარი მიხურა და საგულდაგულოდ ჩაკეტა - ორჯერ გადაატრიალა გასაღები. როცა დარწმუნდა, კარგად არის დაკეტილიო, აუჩქარებელი ნაბიჯით გასწია ებრაელისაკენ, თან კი თვალმოუშორებლად მიშტერებოდა, თითქოს მოჯადოებას უპირებსო - როგორც ზოგიერთ მხეცზე იტყვიან ხოლმე, მსხვერპლს მონუსხავსო. ფრონ დე ბეფის ბოროტსა და გახევებულ თვალებს თითქოს მართლაც ჰქონდა ასეთი ძალა საცოდავი პატიმრის მიმართ. არც ახლა განძრეულა ებრაელი, პირი დაეღო და დაფეთებული თვალები გამძვინვარებული ბარონისათვის მიეპყრო, შეჰყურებდა ამ მრისხანე ნორმანს გაბოროტებულ თვალებში და, ისედაც მოკუნტული, თითქოს თანდათან ილეოდა. ისე იყო დაფეთებული მოსალოდნელი წამებისა თუ სიკვდილის საშინელებით, რომ არა თუ წამოდგომა და მორჩილების ნიშნად თავის დახრა, საბრალო ისააკს ქუდის მოხდაც კი ვერ მოეხერხებინა, სიტყვაც ვერ დაეძრა, შემიბრალეო.

მეორეს მხრით, ისედაც ახოვანი ნორმანი ბარონი კიდევ უფრო გაზრდილიყო, მსხვერპლზე თავდასასხმელად გამზადებული არწივივით აფოფრილიყო. სამი ფეხის ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა უბედურ ებრაელს, რომელიც ამასობაში მუჭისოდენა გახდა, შედგა და ერთ-ერთ

მონას ანიშნა, მოდიო. შავი მონა მიუახლოვდა, კალათიდან კარგა მოზრდილი სასწორი და საწონი ქვები ამოიღო, ფრონ დე ბეფის ფეხებთან დააწყო და კვლავ კარისაკენ გაბრუნდა, საცა მისი ამხანაგი ძველებურადვე გაუნძრევლად იდგა.

ამ ხალხის მოძრაობა რაღაცნაირად ნელი და მრავლისმეტყველი იყო. ფრონ დე ბეფმა ბედუკუღმართ ტყვეს მიმართა:

- წყეული მოდგმის წყეულო ძაღლო, - თავისი ბუხუნა და დახშული ხმით ასეთივე დახშული ბგერები გააღვიძა დილეგის თაღებში, - ამ სასწორს ხედავ?

ვხედავო, ძლივს ანიშნა უბედურმა ებრაელმა.

- ათასი გირვანქა ვერცხლი უნდა მომიწონო ამ სასწორზე, - უთხრა შეუბრალებელმა ბარონმა, - ისე რომ ერთი მისხალიც არ დააკლდეს.

- წმიდა აბრაამ! - ისევ შიშმა ამოაღებინა ხმა ებრაელს, - ამდენი ფული გაგონილა?!.. ათას გირვანა ვერცხლს ზღაპარშიც ვერ შეხვდები... ვინ იქნება ამისთანა ნეტარების ღირსი, რომ ამდენი განძი ერთად იხილოს?! მთელი იორკი რომ გადააბრუნო, სულ რომ გადაქექო ჩემიცა და ჩემი მოძმეების სახლები, შენ რომ ვერცხლსა მთხოვ, მაგის მეათედსაც კი ვერ იპოვი.

- ოქრო იყოს! - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - მე ჭკვიან კაცს მეძახიან, ვერცხლი თუ არა გაქვს, ოქროსაც დაგჯერდები. ყოველ ექვს გირვანქა ვერცხლზე თითო ოქრო, არადა ამ ურჯულო ტყავს, ჯერ რომ არ დაგსიზმრებია, ისეთი წამებით გაგაძრობ.

- შემიბრალე, კეთილშობილო რაინდო, - შებღავლა ისააკმა, - ბერიკაცი, ბეჩავი, უმწეო!.. რას შეგმატებს ჩემი მოსპობა?! მატლის გასრესა რა ვაჟკაცობაა?!

- ბერიკაცი კი ხარ, - მიუგო რაინდმა, - და მით უფრო დიდი სირცხვილი იმ ბრიყვებისა, აქამდე რომ გახვეტინეს ფული არამზადობითა და გაიძვერობით... ისიც მჯერა, რომ სუსტი ხარ - რომელ ებრაელს ჰქონია ან ვაჟკაცური გული, ან მკლავი, რომ შენა გქონდეს? მაგრამ შენი სიმდიდრის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის.

- ჩემს საფიცარსაც გეფიცები, კეთილშობილო რაინდო, - უთხრა ებრაელმა, - და ჩვენ ორივეს საერთო საფიცარსაც...

- ტყუილად ნუ ფიცულობ, - შეაწყვეტინა ნორმანმა, - თავს ნუ იღუპავ მაგ შენი ჯიუტობით, კარგად დაუფიქრდი რა ბედი გელის. არ გეგონოს, უბრალოდ გემუქრებოდე და შენს ებრაულ სილაჩრეს ვიგდებდე აბუჩად. რაც შენ არა გწამს, იმას გეფიცები, - სახარებას გეფიცები, - რომ ჩემი განზრახვა

მტკიცეა და შეურყეველი. ეს დილეგი სალაზღანდარო ადგილი როდია. შენზე ათი ათასჯერ უფრო ღირსეული ხალხი შეხვედრია აქ სიკვდილს და მათი ბედი ძე-ხორციელს არ გაიუგია შემდეგ! მაგრამ შენ უფრო გრძელი და ძნელი სიკვდილი გელის - იმათი სიკვდილი მონაგონიც არ იქნება.

ეს რომ თქვა, მონებს ანიშნა, მომიახლვდითო, და რაღაც გადაულაპარაკა ჩუმად მათივე ენაზე; ამასაც მოვლილი ჰქონდა პალესტინა და ამნაირი მტარვალობაც ალბათ იქ შეისწავლა. სარკინოზებმა კალათებიდან ცოტაოდენი ქვანახშირი, ორი საბერველი და ზეთიანი ბოთლი ამოიღეს. ერთმა მათგანმა ცეცხლი დააკვესა, მეორემ კი კერაზე ნახშირი დააყარა და იმდენი უბერა საბერველით, მანამ წითლად აელვარდებოდა.

- ხედავ, ისააკ? - ჰკითხა ფრონ დე ბეფმა, - ცეცხლზე დაწყობილ რკინებს ხომ ხედავ? - ამ რკინებზე უნდა დაგაწვინონ... ჯერ ტანსაცმელს გაგხდიან, თითქოს ბუმბულში გასაგორებლად გამზადებდნენ. ერთი მონა ქვეშიდან ცეცხლს შეგიკეთებს, მეორე კი ზეთს დაგასხამს, რომ კარგად შეიბრაწო... ახლა როგორც გენებოს - გინდა ცეცხლზე შეიწვი და გინდა ათასი გირვანქა ვერცხლი გადამიხადე. მამაჩემის სულს გეფიცები - სხვა არჩევანი შენ არა გაქვს.

- შეუძლებელია! - შებღავლა საწყალმა ებრაელმა, - შენ მაგას არ იზამ! ტყუილია. მოწყალე ღმერთს ისეთი გულქვა არავინ გაუჩენია, ამისთანა საშინელება რომ ჩაიდინოს!

- მაგის იმედი ნუ გექნება, ისააკ, - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - საბედისწერო შეცდომა არ მოგივიდეს. როგორა გგონია, ვიღაც დაწყევლილი ურიის წივილ-კივილი ააღებინებს ხელს განზრახვაზე კაცს, რომელსაც საკუთარი თვალით უნახავს მთელი ქალაქის გაძარცვა და გაპარტახება, რომელიც თვითონვე ყოფილა მომსწრე, თუ როგორ იღუპებოდა ათასობით ქრისტიანი წყლით, ცეცხლითა თუ ხმლით?! ან იქნებ იმის იმედი გაქვს, რომ ეს შავი მონები, რომელსაც ქვეყნად არც სამშობლო გააჩნიათ, არც კანონი, არც სინდისი, და მხოლოდ თავიანთ ბატონს შეჰყურებენ თვალებში, რას გვიბრძანებსო... წარბის შერხევა კმარა, რომ ხელად დაატრიალონ საწამლავი,

ხანჯალი, ბაწარი, თუ რა ვიცი, რასაც უბრძანებ... ჰოდა, იქნებ იმის იმედი გაქვს-მეთქი, რომ ამისთანა ხალხმა შეგიბრალოს?! შენი ენაც კი არ ესმით და ვერა ხვდებიან რასა გვთხოვსო! ჭკუას დაუხმე, ბერიკაცო, ჯობს ცოტა დათმო იმ მომეტებული სიმდიდრიდან, რაც შენ ქრისტიანები გიძარცვავს და გიღლეტია მევახშეობით, იმის ნაწილი მათივე რჯულის კაცს დაუბრუნე. შენ ისეთი გაიძვერა ხარ, რომ დაცლილ ქისას მალევე გაავსებ, ამ შანთებზე დამწვარ ტყავსა და ხორცს კი აღარაფერი უშველის - არც მალამო და არც არავითარი მკურნალობა. გადაიხადე რასაც გეუბნები და გიხაროდეს, რომ ასე ადვილად გაძვრები ამ დილეგიდან, საიდანაც იშვიათად თუ ვინმე გასულა. მეტ დროს აღარ დავკარგავ ფუჭი ლაპარაკით: აირჩიე, რა უფრო ძვირი გიღირს - ფული თუ სული.

- ისე აბრაამი, იაკობი და ყველა ჩემი წინაპარი მიშველის, არჩევანი არ შემეძლოს! - თქვა ისააკმა, - რა მაბადია მე უბედურს, მაგდენი ფული სად უნდა გიშოვო?!

- მიდით და გახადეთ ყველაფერი, - უბრძანა რაინდმა მონებს, - დე, წინაპრებმა უშველონ, თუ რამეს გახდებიან!

მონები, რომელთაც თვალებისა და ხელების მოძრაობით გაიგეს ბარონის ბრძანება, ისევ მიუახლოვდნენ ისააკს. ხელი დასტაცეს, წამოაყენეს და გულქვა ბატონის შემდგომი ბრძანების მოლოდინში ერთ ადგილზე გაქვავდნენ. საწყალი ებრაელი ხან ფრონ დე ბეფს მიაპყრობდა თვალს და ხან მის მონებს, იქნებ გული მოულბეთო, მაგრამ ბარონს იგივე ცივი, მრისხანე, დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე; სარკინოზების ველური თვალები კი, რომლებიც შავი წარბების ქვემოთ მძვინვარედ ტრიალებდნენ, გარსის საოცარი სითეთრის წყალობით კიდევ უფრო გაბოროტებულნი ჩანდნენ და საშინელი დასჯის მოახლოებით ფარულ სიამოვნებას უფრო გამოხატავდნენ, ვიდრე ზიზღსა და შეძრწუნებას, რაც წესით, უსათუოდ უნდა აღძროდათ, როგორც ამ დასჯის უშუალო მონაწილეებსა და შემსრულებლებს. ბოლოს ისააკმა გავარვარებულ კერას დახედა, რაზედაც მას უპირებდნენ ახლა დაწვენას, და რაკი ჯალათებს მოლბობის ნიშან-წყალიც ვერ შეატყო, საქციელი წაუხდა.

- მოგცემ, - უთხრა მან, - მოგცემ ამ ათას გირვანქა ვერცხლს... მე ვინ მომაქვავა ამდენი ფული, - დასძინა მცირე პაუზის შემდეგ, - მაგრამ მოძმეები გამიმართავენ ხელს. სინაღოღის კარებთან უნდა დავდგე და გლახასავით ჩამოვითხოვო... როდის უნდა მოვიტანო ეს ფული, ან სად?

- აქ, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - აქ უნდა მოიტანონ... გირვანქობით უნდა მომიწონო... აქ, ამ დილეგში, ხომ არ გგონია, ფულის ჩაბარებამდე გაგიშვებ?!

- ვინ იქნება თავდები, რომ მერე გამათავისუფლებ? - ჰკითხა ებრაელმა.

- კეთილშობილი ნორმანის სიტყვა, გაიძვერა მევახშევ, - უპასუხა ფრონ დე ბეფმა, - კეთილშობილი ნორმანის ფიცი უფრო წმიდაა, ვიდრე შენი და მთელი შენი მოდგმის ოქრო-ვერცხლი.

- მომიტევე კი, კეთილშობილო ლორდო, - შეჰბედა ისააკმა, - მაგრამ რატომ უნდა დავეყრდნო მთლიანად შენს სიტყვას, როცა მე ერთი ბეწოთიც არ მენდობი?!

- იმიტომ, რომ სხვა გზა არა გაქვს, ურიავ, - შეუტია რაინდმა, - შენს საკუჭნაოში რომ ვიყო ახლა, იორკში, და სესხსა გთხოვდე, მაშინ ვადის დანიშვნაცა და გირაოს განსაზღვრაც შენი ნება იქნებოდა. ჩემი საკუჭნაო ეს არის, სასწორი ჩვენსკენაა ახლა გადმოხრილი. მეტად აღარ გაგიმეორებ შენი გათავისუფლების პირობებს.

ებრაელმა ამოიხვნეშა.

- მაშ ჩემთან ერთად ბარემ ჩემი თანამგზავრებიც გაათავისუფლე, - უთხრა მან, - მართალია, მათაც ვეზიზღებოდი, როგორც ებრაელი, მაგრამ უმწეო რომ მნახეს, შემივრდომეს, ჩემს გამო დაყოვდნენ და ამიტომ ჩემი გასაჭირიც გაიზიარეს. თან იქნებ გამოსასყიდი ფული ცოტათი მათაც შემომაწიონ.

- საქსონელ ბრიყვებს თუ გულისხმობ, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - იმათი გამოსასყიდი სულ სხვა რამეა. შენ შენი იკითხე, ურიავ, და სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩრი.

- მაშ, მარტო მე და ჩემ დაჭრილ მეგობარს გვათავისუფლებ? - ჩაეკითხა ისააკი.

- ორჯერ უნდა გავუმეორო ამ ისრაელის გაგდებულს, - შეჰყვირა ფრონ დე ბეფმა, - რომ თავისი საქმე აკეთოს და სხვისას ნუ კითხულობს?! არჩევანი ხომ გააკეთე, ახლა გადახდაღა დაგრჩენია, ოღონდ რაც შეიძლება ჩქარა.

- მოიხედე, - მიმართა ებრაელმა, - იმ ფულის მოსატანად, რომლის გადახდაც შენს სინ... - ენა დაება, შეეშინდა, ეს მხეცი ნორმანი კიდევ უფრო არ გავაგულისოო, მაგრამ ფრონ დე ბეფს გაეცინა და გაწყვეტილი სიტყვა თვითონვე დაამთავრა.

- შენს სინდისზეაო, გინდოდა გეთქვა, ხომ, ისააკ? თქვი, მერე... ხომ გითხარი, ჭკვიან კაცს მეძახიან-მეთქი. დამარცხებული კაცისაგან არაფერი არა მწყინს, თუნდაც ებრაელი იყოს ეს დამარცხებული. შენ კი სათანადო მოთმინება ვერ გამოიჩინე, ისააკ, ჟაკ ფიცდოტრელს უჩივლე, სისხლისმწოველ მევახშეს მეძახისო, მაშინ, როდესაც სწორედ შენი გაიძვერობის წყალობით გაკოტრდა ის კაცი.

- თალმუდის მადლმა, ეგ შეგეშალა, - მიუგო ებრაელმა, - ფიცდოტრელს ვალის გადახდის ვადა აღდგომა დღეს გაუვიდა, და როცა მოვთხოვე, ხანჯალი მომიღერა ჩემს საკუთარ ოჯახში.

- იმან რა გააკეთა, ეგ ჩემი საქმე არ არის, უთხრა ფონ დე ბეფმა, - შენ ის მითხარი, ჩემს ფულს როდის მივიღებ?.. ჰა, როდის მივიღებ, ისააკ?

- ქალიშვილს გავაგზავნი იორკში, - მიუგო ისააკმა, - ოღონდ საიმედო კაცი უნდა გააყოლო, კეთილშობილო რაინდო, ბევრი არ დააგვიანდებათ - რასაც ცხენი მოუნდება იქით-აქეთ... და რა წამსაც დაბრუნდება, ფულიც... - ისააკმა მაგრად ამოიხვნეშა, მაგრამ უმალვე დასძინა, - ფულიც აქ იქნება, ამ დილეგში.

- შენი ქალიშვილი! - თითქოს გაიკვირვა ფრონ დე ბეფმა, - ღმერთო! რატომ აქამდე არ ვიცოდი,

ისააკ! ის შავთვალწარბა ქალი მე შენი ხარჭა მეგონა, და სერ ბრიან დე ბუა გილბერს მივუჩინე მოახლედ, ძველებური პატრიარქობის წაბაძულობით, რომელთაც ეს შესანიშნავი ჩვეულება დაგვიტოვეს.

ამ ულმობელი ცნობის მოსმენაზე ისააკმა ერთი ისეთი შებღავლა, რომ დილეგის თაღებს ზანზარი დააწყებინა; გაოგნებულმა სარკინოზებმა იმწუთშივე ხელი უშვეს ებრაელს, ისიც მაშინვე ჩაემხო და ფრონ დე ბეფს მუხლებზე მოეხვია.

- რასაც მთხოვ ყველაფერს გიბოძებ, ბატონო რაინდო! - შეჰღაღადა მან, - ათი მაგდენიც წაიღე... გამაკოტრე, გამამათხოვრე, რაც გინდოდეს, მიყავი... ხანჯალი ჩამეცი, ამ ცეცხლზე შემხრაკე, ოღონდ ჩემს ქალს უშველე რამე, უვნებელი და შეუბღალავი გაუშვი!.. შენც ხომ ქალის ნაშობი ხარ, დაიცავი უმწეო ქალწულის ღირსება... მაგას რომ შევხედავ, ასე მგონია ჩემს უბედურ რაქილს ვუყურებ-მეთქი, პირწავარდნილი დედაა, ჩვენი სიყვარულის უკანასკნელი ნაყოფი... უთვისტომო ბერიკაცს თავის ერთადერთ იმედს ნუ წაართმევ!.. უბედურ მამას ნუ ანატრებინებ, რომ მისი შვილიც დედის გვერდით იხილოს სამარეში, მამა-პაპათა აკლდამებს შორის!

- ნეტა ადრევეც მცოდნოდა, შენი რჯულის ხალხს ფულის მეტი თუ რამე უყვარდა.

- ებრაელები კი ვართ, მაგრამ სულ წყალწაღებულები ნუ გეგონებით, - უთხრა ისააკმა და გამწარებით მოებღაუჭა ბარონის მოჩვენებით თანაგრძნობას, - მწევრებისაგან წამოგდებულ მელიასაც ხომ თავისი ლეკვები ელანდება, სიკვდილის პირას მისულ გარეულ კატასაც ხომ თავისი ცინდლები ახსოვს... როგორ იქნება აბრაამის დევნილსა და შეძულებულ მოდგმას შვილები არ უყვარდეს!..

- აგრე იყოს, - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - სხვა დროს მეცოდინება, ისააკ. ახლა კი გვიანღაა, რაც მოხდა, მოხდა, ვეღარაფერს ვუშველით. ამხანაგს სიტყვა მივეცი, და ათი ებრაელი და ებრაელის ქალიც რომ იყოს, სიტყვას ვერ გავტეხ. მაგრამ რატომ გგონია, რომ ცუდი რამე შეემთხვევა შენს ქალს, თუნდაც ბუა გილბერს ჩაუვარდეს ხელში?

- შეემთხვევა, უსათუოდ შეემთხვევა! - შესძახა გამწარებულმა ისააკმა ხელების მტვრევით, - ტაძრელი რაინდებისაგან ძალმომრეობის მეტი მამაკაცებს რა ახსოვს, რომ ქალს, რომ ქალს მოექცნენ პატივისცემით?!

- ურჯულო ძაღლო! - იკივლა ფრონ დე ბეფმა და თავლები დაუბრიალა. ალბათ გაეხარდა კიდეც, რომ გაგულისების საბაბი მიეცა. - სიონის ტაძრის წმიდა ორდენის ლანძღვას როგორა ბედავ? ის გირჩევნია, შენი გამოსასყიდი ფული გააჩინო, თორემ ვაი შენი უწმინდური ყელის ბრალი!

- ავაზაკო! არამზადა! - იკივლა გამწარებულმა ებრაელმა; ხომ ასეთი უმწეო იყო, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა, - არაფერსაც არ მოგაშავებ... ერთ გახვრეტილ ვერცხლსაც ვერ ეღირსები, ჩემი ქალი თუ არ დამიბრუნე უვნებელი და შეუბღალავი.

- ჭკუაზე ხომ არ შესცდი, ებრაელო? - შეუძახა მრისხანედ ნორმანმა, - იქნებ ჯადო გცხია და იმედი გაქვს, რომ გახურებული შანთები და მდუღარე ზეთი ვერაფერს დაგაკლებს?!

- არ მენაღვლება! - შესძახა გამწარებულმა ებრაელმა, რომელსაც მამობრივმა სიყვარულმა ყველაფერი გადაავიწყა, - რაც გინდოდეს, ისა ჰქენი. ჩემი ქალი ჩემი სისხლი და ხორცია, იმ სხეულზე ათასჯერ უფრო ძვირფასი, რასაც შენ ასე საშინლად ემუქრები. ჩემს ვერცხლს ვერ ეღირსები!.. მხოლოდ გამდნარს თუ ჩაგასხამ მაგ გაუმაძღარ ხახაში. რაც შენ ცხოვრებაში ცოდვები ჩაგიდენია, იმითი რომ იბერებოდე და ერთ ვერცხლს შეეძლოს შველა, იმასაც არ მოგაშავებ, ნაზარეველო! მომკალი, რაღას უცდი, და მერე თქვი, ამდენი წამების მიუხედავად, მაინც როგორ ვერ გატეხა ქრისტიანმა ებრაელი.

- მაგასაც ვნახავთ, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - იმ კურთხეული ჯვრის მადლმა, რომლის წინაშეც მთელი შენი წყეული მოდგმა ძრწის, ახლავე გამოგაცდევინებ ცეცხლისა და შანთის ძალას!.. გახადეთ, მონებო, გახადეთ და ამ გავარვარებულ რკინებზე დააწვინეთ.

ცოტათი კი გაუძალიანდა ებრაელი,მაგრამ სარკინოზებთან რას გახდებოდა; წელსზეით ყველაფერი გახადეს და ის იყო, სულ მთლად უნდა გაეტიტვლებინათ, რომ ციხის გადაღმიდან საყვირის ხმა მოისმა. ორჯერ ისე მაგრად ჩაბერეს, რომ ხმამ ჯურღმულშიაც კი შემოაღწია. ამას მოჰყვა საშინელი ყვირილი - ფრონ დე ბეფს მოუხმობდნენ. ბარონს შეეშინდა, ასეთ მხეცურ საქმეში გართული არავინ მნახოსო, გამძვინვარებულმა, მონებს ანიშნა, ისევ ჩაეცმიათ ტანსაცმელი ისააკისათვის, და მათივე თანხლებით გარეთ გავარდა. ისააკი კი იქვე დატოვა, რათა ებრაელს მადლი მოეხსენებინა ღმერთისათვის, ასეთი განსაცდელისაგან რომ იხსნა, ან არადა თავისი ქალის გაურკვეველ ბედზე ეფიქრა, იმისდა მიხედვით - მამობრივი გრძნობები უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა თუ საკუთარი თავის სიყვარული.

თავი ოცდამესამე

კარგი, მაშ რაკი ტკბილმა სიტყვამ არ გასჭრა თქვენზე,
ვერ მოგაქციეთ და ვერაფრით დაგიყოლიეთ,
ჯარისკაცივით ძალას ვიხმარ და გაიძულებთ
ჩემს შეყვარებას - სიყვარულის ბუნების ჯიბრზე.
შექსპირი - „ორი ვერონელი“.*

ოთახი, რომელშიაც ლედი როენა შეიყვანეს, თითქოს ყველაზე უფრო მორთულ-მოწყობილი იყო, ამიტომ კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ როენას სხვა ტყვეებზე მეტ პატივსა სცემდნენ. მაგრამ ფრონ დე ბეფის ცოლი, ვისთვისაც თავის დროზე საგანგებოდ მოერთოთ ეს ოთახი, დიდი ხანია ცოცხლებში აღარ ერია და ის ზოგიერთი სამკაული, რაც ქალს თავისი გემოვნებით შეერჩია, უკვე გაფუჭებულიყო და ჩამონგრეულიყო. კედლის ფარჩა ბევრგან, სინესტისაგან დამპალი, ერთიანად ჩამოფხრეწილიყო. მაგრამ მთელს ციხე-დარბაზში საქსონელი პრინცესასთვის უკეთესი მაინც ვერაფერი შეარჩიეს და სხვებს ისევ ეს ოთახი ამჯობინეს. შეიყვანეს და მი-

ატოვეს, რათა ქალს თავის ბედზე ეფიქრა, მანამ ამ ბინძური დრამის მონაწილენი თავიანთი ბინძური როლების გასათამაშებლად მოემზადებოდნენ. როლების გასანაწილებლად ფრონ დე ბეფმა, დე

ბრასიმ და ტაძრელმა რაინდმა საგანგებო ბჭობა გამართეს. დიდხანს დავობდნენ - ცხარედ და გაწიწმატებით, თუ დამსახურების მიხედვით, ვის რა წილი უნდა რგებოდა ნადავლიდან, რაც ამ მამაცური თავდასხმის დროს მიიღეს. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტეს საცოდავი ტყვეების ბედი.

შუადღე იქნებოდა, როდესაც დე ბრასი თავისი განზრახვის შესასრულებლად - ლედი როენას ხელისა და მემკვიდრეობის მისაღებად - ქალის წინაშე წარსდგა. მთელი ეს ამბავიც ხომ თავდაპირველად სწორედ დე ბრასის ხათრით წამოიწყეს.

ეტყობოდა, მთელი დრო მოკავშირეებთან ბჭობისათვის არ მოენდომებინა დე ბრასის - მაშინდელი მოდის მიხედვით მორთვაც და მოკაზმვაც მოესწრო. მწვანე ქურთუკი და ნიღაბი გვერდზე მიეგდო. მდიდრულ ბეწვისქოლაშემოვლებულ მოსასხამზე გრძელი და ხშირი დაკულულებული თმა ჩამოეშალა. წვერი სუფთად ჰქონდა გაპარსული. კამზოლი წვივებამდე სწვდებოდა. ზემოდან კი შემორტყმული ჰქონდა ოქრომკერდით მოქარგული, ოქროს აბზინდიანი ქამარი, რაზედაც მძიმე ხმალი ეკიდა. იმდროინდელი უცნაური ცხვირაბზეკილი ჩექმები ადრეც ხომ მოვიხსენიეთ, მორის დე ბრასის კი იმოდენაზე ჰქონდა აპრეხილი ვერძის რქასავით დაგრეხილი ჩექმის ჭვინტები, რომ ახირებული ჩასაცმელების შეჯიბრში უსათუოდ პირველ ჯილდოს მიიღებდა. ასეთნაირად ირთვებოდა ხოლმე მაშინდელი კოხტაპრუწა ხალხი. ამჟამად

შთაბეჭდილებას აძლიერებდა რაინდის მოხდენილი ტანი და კოხტა მიხრა-მოხრა, რაც კარისკაცური თვაზიანობისა და მხედრული უბრალოების ბრწყინვალე შერწყმას წარმოადგენდა.

შევიდა თუ არა ოთახში, მოწიწებით მოიხადა ხავერდის ქუდი და როენას თავი დაუხარა. ქუდზე დაბნეული ჰქონდა ოქროს დუგმა, რაც მთავარანგელოზ მიქელის მიერ წყვდიადის ძალების გასრესის გამოსახულებას წარმოადგენდა. მერე, დაბრძანდიო, ქალს ანიშნა, მაგრამ რაკი როენა არ დაჯდა, რაინდმა მარჯვენა ხელთათმანი წაიძრო და დააპირა, თვითონვე მიეყვანა სავარძელთან. როენამ ხელით ანიშნა, ნუ შეწუხდებიო და უთხრა:

- თუ შენ ჩემი მედილიგე ხარ, ბატონო რაინდო... და, ეტყობა, არცა ვცდები ... უფრო მართებული იქნება, პატიმარმა ფეხზემდგომელა მოისმინოს განაჩენი.

- ვაგლახ, მშვენიერო როენა, - მიუგო დე ბრასიმ, - პატიმარი შენ კი არა, მე ვარ... განაჩენსაც შენ რად უნდა ელოდო, დე ბრასიმ უნდა ამოიკითხოს თავისი განაჩენი მაგ მშვენიერ თვალებში.

- მე შენ არ გიცნობ, ბატონო, - უთხრა როენამ და ამაყად ასწია თავი, - მე შენ არ გიცნობ... ხოლო ეს თავაზიანი სიტყვები, რაც ტრუბადურს უფრო შეეფერება, სულაც არ არბილებს შენს ყაჩაღურ თავხედობას.

- შენივე თავს უნდა დააბრალო, მშვენიერო ქალბატონო, - მიუგო დე ბრასიმ იმავე კილოთი, - შენივე მომხიბვლელობას უნდა დააბრალო, რომ მე საკადრისი თავაზიანობა ვერ გამოვიჩინე იმის მიმართ, ვინც ჩემი გულის დედოფლად და თვალის ჩინად დამისახავს.

- აკი გეუბნები, მე არ გიცნობ-მეთქი, ბატონო რაინდო, და არა მგონია, რაინდის ჯაჭვითა და დეზებით აღჭურვილ კაცს უმწეო ქალთან შესვლა დაშვენდეს.

- მეც ეგა მკლავს, რომ პირადად ვერ მიცნობ, - უთხრა დე ბრასიმ, - მაგრამ იმის იმედი კი მაქვს, რომ დე ბრასის სახელი მაინც გაგეგონება, როცა ჰეროლდები და მინსტრელები ასპარეზობისა და საბრძოლო გმირობის საქმეებს ქება-დიდებით იხსენიებენ ხოლმე.

- სჯობს, ქება-დიდება ისევ მინსტრელებსა და ჰეროლდებს მიანდო, ბატონო რაინდო, - მიუგო როენამ, - შენზე უფრო იმათ დაშვენდება ეგ საქმე. ეს კი მითხარი, რომელმა მათგანმა უნდა უმღეროს ან ასპარეზობის წიგნში ვინ უნდა მოიხსენიოს ხოტბით თქვენი ამღამინდელი გმირობის ამბავი, როცა ბერიკაცსა და მის რამდენიმე ლაჩარ მონას დაესხით თავს, ნადავლად გაუბედურებული ქალი წამოიყვანეთ და ყაჩაღების ციხეში გამოკეტეთ?!

- უსამართლოდა სჯი, ქალბატონო როენა, - უთხრა რაინდმა და ტუჩი მღელვარებით მოიკვნიტა.

ახლა იგი ჩვეულებრივ კილოზე გადავიდა, მოჩვენებითს თავაზიანობას ვეღარ ახერხებდა, - რაკი შენ თვითონ არ გამოგიცდია სიყვარული, აღარც ის გინდა გაიგო, თუ შენივე მშვენიერებით სხვა როგორა ჰკარგავს ჭკუას.

- მოხეტიალე მომღერლების გაზეპირებული სიტყვებით ნუღარ მელაპარაკები, ბატონო რაინდო, - კეთილშობილ რაინდს სულაც არ შეშვენის ეს.

მაგრამ იძულებული ვარ მართლაც დავჯდე: იმდენი ლაპარაკი გცოდნია, რომ მოხეტიალე მაწანწალა ამას დღეიდან მოკიდებული შობამდე გაწელავდა.

- ზვიადო ქალბატონო, - შესძახა იმით გაგულისებულმა დე ბრასიმ, რომ მისმა თავაზიანმა მოქცევამ მხოლოდ ზიზღი გამოიწვია, - ზვიადო ქალბატონო, ახლავე დაგიმტკიცებ, რომ სიამაყე არც მე მაკლია. მე ჩემი გულისთქმა თავაზიანად გაგაგებინე, როგორც შენს წოდებას შეეფერება, მაგრამ ვატყობ, მშვილდ-ისრითა და ჩუგლუგით უფრო ადვილად მოგინადირებ, ვიდრე ტკბილი და ალერსიანი სიტყვებით.

- როცა თავაზიან სიტყვებს ბილწი საქმის დასაფარავად იყენებენ, - მიუგო როენამ, - ეს იგივეა, მდაბიო მასხარა რაინდის აბჯრით აღჭურვო, არც მიკვირს, რომ ასეთი დაძაბული თვალთმაქცობა გაგიძნელდა; უფრო პატიოსანი მაშინ იქნებოდი, ყაჩაღების ტანსაცმელი და მეტყველება

შეგენარჩუნებინა და დაშაქრული სიტყვებითა და ლაქუცით არ ცდილიყავი შენი ავაზაკობის დაფარვას.

- კარგ რჩევას მაძლევ, ქალბატონო, - უთხრა ნორმანმა, - მეც გულახდილად გეტყვი, როგორც ამ გულახდილ მოქმედებას შეეფერება: ან სულ ვერ ეღირსები ამ ციხიდან გასვლას, ან ისე გახვალ, როგორც მორის დე ბრასის ცოლი. რა საქმეც არ უნდა წამოვიწყო, მარცხს საერთოდ არა ვარ ჩვეული, ან კი რაში სჭირდება ნორმანელ დიდებულს თავი იმართლოს საქსონელი ქალის წინაშე, რომელსაც ისედაც დიდ პატივსა სდებს, როცა ცოლობას სთხოვს. შენ ამაყი ხარ, როენა, და მით უფრო გამომადგები ცოლად. თუ არა ჩემთან შეუღლება, ნეტა ვიცოდე, სხვა რა უნდა გამოგიჩნდეს ისეთი, რომ ცხოვრებაში მაღალ პატივსა და დიდებას ეწიო?! ისე როგორ უნდა დააღწიო თავი იმ უბადრუკ ხუხულას, საცა საქსონელებს თავიანთ ავლადიდება ღორებთან ერთად სძინავთ ხოლმე? არ გირჩევნია, შენს საკადრის პატივისცემაში იყო და იმ ხალხში გაერიო, ვინც მთელს ინგლისში მშვენიერებითაც გამორჩეულია და ძლიერებითაც?!

- ბატონო რაინდო, - მიუგო როენამ, - ის ხუხულა, რასაც შენ ასე ზიზღით იხსენებ, ბავშვობიდანვე თავშესაფარი იყო ჩემი. და, დამიჯერე, როცა მივატოვებ, - თუკი ოდესმე ასეთი დღე გათენდება, - მხოლოდ იმას გავყვები, ვინც ზიზღით არ მოიხსენიებს არც იმ ჩვეულებებსა და არც იმ სახლს, სადაც მე აღვზრდილვარ.

- იქნებ გგონია, შეფარვით ლაპარაკობ! მე მაინც მიგიხვდი, ქალბატონო, - უთხრა დე ბრასიმ, - გულშიაც ნუ გაივლებ, რომ რიჩარდ ლომგული ოდესმე ტახტის დაბრუნებას ეღირსება, მით უფრო შეუძლებელია, მისმა საყვარელმა უილფრედ აივენჰომ თავის საფიცარ მეფესთან წარგადგინოს, როგორც ცოლი. სხვა ვინმე რომ იყოს ჩემს ადგილას, ამ სიმის შეხებით, საშინელი ეჭვი აღაგზნებდა, მაგრამ ასეთი ბალღური და განწირული გრძნობების აყოლა არა მჩვევია - ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა. არ დაგიმალავ, ქალბატონო, რომ ეს მეტოქე ჩემს ხელთ არის ახლა, ამ ციხე-დარბაზში მყავს, და ჩემი ნებაა - მინდა გავუმჟღავნებ ამ საიდუმლოს ფრონ დე ბეფს, მინდა არა; ხოლო ფრონ დე ბეფის გაგულისება მართლაც საბედისწერო იქნება.

- უილფრედია აქა! - ზიზღით შესძახა როენამ, - ეგ ისეთივე სიმართლეა, როგორც ის - თითქოს ფრონ დე ბეფი მისი მეტოქე იყოს.

დე ბრასი ერთი წუთით დააშტერდა.

- ნუთუ მართლა არ იცოდი? - ჰკითხა მან, - პირველად გაიგე, რომ უილფრედ აივენჰო იმ ურიის ტახტრევნით მიჰყავდათ? კარგი ჯვაროსანი კი ყოფილა, თავისი მამაცი მკლავით წმიდა საფლავის გამომხსნელი! - დე ბრასიმ ზიზღით გაიცინა.

- თუნდაც აქ იყოს, - თქვა როენამ მოჩვენებითი გულგრილობით, მაგრამ შიშს მაინც ვერ მოერია და ათრთოლდა, - სადაური ფრონ დე ბეფის მეტოქეა? ან რისი შიში უნდა ჰქონეს - ცოტა ხანს იქნება ამ ციხეში და მერე გამოისყიდიან, როგორც რაინდების წესია!

- როენა! - მიუგო დე ბრასიმ, - ნუთუ შენც სხვა ქალებივით ტყუვდები და ფიქრობ, რომ ქიშპობა და მეტოქეობა მხოლოდ მათ გამო ხდება ქვეყანაზე? განა არ იცი, რომ ეჭვს სიმდიდრე და პატივმოყვარეობაც ისევე აღძრავს, როგორც სიყვარული. ხოლო ჩვენი მასპინძელი ფრონ დე ბეფი არავის არ დაინდობს, ვინც აივენჰოს დიდებულ მამულში შეეცილება, ისევე გამწარებით, თავგამოდებითა და უბოდიშოდ ჩამოიშორებს გზიდან, თითქოს მამულზე კი არა, ლურჯთვალა ტურფაზე ჰქონდეთ ცილობა. მაგრამ გამიღიმე ქალბატონო, ხელს ნუ მკრავ, და შენს დაჭრილ ფალავანს ფრონ დე ბეფისაგან მე დავიფარავ; არადა მისი დატირება მოგიწევს, რადგან ისეთი კაცის ხელშია, ვისთვისაც შებრალება უცხო ხილია.

- დაიხსენი ღვთის გულისათვის, დაიხსენი! - შესძახა სატრფოს განსაცდელში ჩავარდნით შეძრწუნებულმა როენამ.

- დავიხსნი... აკი გითხარი... შემიძლია კიდეც, - უთხრა დე ბრასიმ, - ოღონდ როენამ დე ბრასის ცოლობაზე თანხმობა განუცხადოს, და ვინ გაბედავს, რომ ხელი ახლოს მის ნათესავს... მისი

აღმზრდელის შვილს... ბავშვობიდანვე მასთან თანაშეზრდილს?! მაგრამ მხოლოდ შენი სიყვარული თუ იყიდის ამ ჩემს მფარველობას. ისეთი უგუნური მეოცნებე არა ვარ, რომ უბედურება ავაცილო და სიხარული მივანიჭო კაცს, რომელიც მერე წინ გადამეღობება და გულისწადილის შესრულებაში შემიშლის ხელს. გამოიყენე შენი გავლენა ჩემზე, და უილფრედი გადარჩება... არა და იგი მოკვდება... და ვერც შენ ეწევი თავისუფლებას.

- ისე როყიოდ ისვრი მაგ გულგრილ სიტყვებს, რომ სულაც არ მეშინია, თუმცა კი ძალიან ცდილობ ჩემს დაშინებას, - მიუგო როენამ, - დარწმუნებული ვარ, არც განზრახვა გაქვს ასეთი საშინელი და არც ძლიერება ასე უსაშველოდ დიდი.

- მაშ, მაგ იმედით მოიტყუე თავი! - უთხრა დე ბრასიმ, - დრო მოვა და თვითონვე დარწმუნდები, რომ ასე არ არის. შენი მიჯნური, შენი გულის საყვარელი დაჭრილი გდია ამ ციხეში. იგი ზღუდედ აღმართვია ფრონ დე ბეფს, და იმის ხელში ჩაგდებას უშლის, რაც მას პატივმოყვარეობასა და მშვენიერებაზე მაღლა დაუყენებია. რა დიდი ამბავი უნდა, რომ ერთი ხანჯლის დაკვრით, ან ზუფანის მოქნევით სული გააფრთხობინოს და სამუდამოდ ჩამოიცილოს გზიდან?! ან ასეთ აშკარა მოქმედებას თუ მოერიდება, რა ძნელი საქმეა, რომ მკურნალმა წამლის მაგიერ შეცდომით სხვა რამე დაალევინოს თავის ავადმყოფს, ან არადა მომვლელმა ქალმა ბალიში გამოაცალოს; უილფრედს მეტიც აღარ უნდა, სისხლისდაუღვრელად მოეღება ბოლო... სედრიკიც...

- სედრიკიც... - გაიმეორა როენამ, - ჩემი ძვირფასი... ჩემი კეთილი აღმზრდელი! მართლაც რომ ყველაფრის ღირსი ვარ: მის შვილზე ვფიქრობდი და თვითონ კი გადამავიწყდა!

- სედრიკის ბედიც შენზეა დამოკიდებული, - უთხრა დე ბრასიმ, - დაფიქრდი და გადაწყვიტე!

როენა აქამდე გულგრილად ასრულებდა თავის როლს; ეს იმიტომ, რომ საშიშროება არც ასე სერიოზული ეგონა და არც ასე მოახლოებული. ბუნებით იგი ისეთი ხასიათისა იყო, რასაც ფიზიონომისტები ჩვეულებრივ ქერა ადამიანებს აკუთვნებენ ხოლმე - წყნარი, მორჩილი და რბილი, მაგრამ აღზრდის პირობებმა ეს თვისებები შეუცვალეს და, ასე ვთქვათ, გამოაწრთეს.თავიდანვე შეეჩვია, რომ ყველანი, თვით სედრიკიც კი (რომელიც სხვების მიმართ საკმაო დესპოტობას იჩენდა ხოლმე), მას ემორჩილებოდნენ და უსიტყვოდ უსრულებდენ ყველა სურვილს: ამიტომ გაამაყდა და გამამაცდა კიდეც, როგორც ასეთ პირობებში ხდება ხოლმე. ვერც კი წარმოედგინა, ვინმეს მისი სურვილის წინააღმდეგ თუ შეეძლო წასვლა, ხოლო სრულს უგულვებელყოფას მით უფრო ვერ მოითმენდა.

მაგრამ ეს ქედმაღლობა და უფლებისმოყვარულობა მოჩვენებითი იყო, არა ბუნებრივი, და ამიტომ როგორც კი იგრძნო, რა განსაცდელი ემუქრებოდა მასაც, მის მიჯნურსაც და აღმზრდელსაც, ერთბაშად ქედმაღლობაც გაუქრა და უფლებისმოყვარეობაც, აქამდე

ყველანი თვალებში შესციცინებდნენ და ყველანი მის სურვილს მოწიწებითა და ყურადღებით ექცეოდნენ. ახლა კი ძლიერი, მძვინვარე და გულქვა ადამიანი დაუპირისპირდა; განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა ახლა ამ კაცს როენას მიმართ, და ეტყობოდა, აპირებდა კიდეც ამ უფლების გამოყენებას. და ეს რომ იგრძნო, ერთბაშად დაეცა სულით.

მიიხედ-მოიხედა, თითქოს შველას ეძებსო, მაგრამ შველა არსაიდან არა ჩანდა, ერთი-ორჯერ წამოიკივლა, ხელები ცისკენ აღაპყრო და, მწუხარებით გაოგნებულს, მდუღარე ცრემლები წასკდა. შეუძლებელი იყო ასეთი მშვენიერი არსება ამნაირად დამწუხრებული ეხილა კაცს და არ აფორიაქებულიყო. დე ბრასიც აფორიაქდა, მაგრამ არა იმდენად სიბრალულით - შეწუხდა უფრო, დაიბნა. არადა, ისე შესტოპა, რომ უკან დახევაც ძნელი იყო. ვერც შეგონებას მოისმენდა მწუხარებისაგან გაოგნებული როენა და ვერც მუქარას. ოთახში აქეთ-იქით წრიალს მოჰყვა რაინდი; ხან დაფეთებული ქალწულის დამშვიდებას ცდილობდა, ხან ფიქრს მიეცემოდა - რა ვქნა, რა ვიღონოო.

„ახლა რომ ამ უნუგეშო ქალის ცრემლებმა და მწუხარებამ მომალბოს, რაღას მოვიმკი? იმ მშვენიერი იმედების გაცრუებას, რის გამოც თავი სასწორზე დამიდვია, პრინც ჯონისა და მისი მხიარული მეგობრების დაცინვასა

და მასხარად აგდებას! - ფიქრობდა დე ბრასი, - მაგრამ თან იმასაც ვატყობ, რომ ამ საქმისათვის არ ვარგივარ. გული მიკვდება, ამ მშვენიერ სახეს რომ

ვუყურებ, ასე შეწუხებულს!.. მის ცრემლებით სავსე თვალებს!.. ნეტავი ისევ დაუბრუნდებოდეს თავისი ჩვეული ქედმაღლობა. ან არადა ნეტა ფრონ დე ბეფის ქვა გული მაინც მომცა“

ასეთი ფიქრებით არეული უბედურ როენას ამშვიდებდა; რა მოგვიდაო, ეუბნებოდა, იმდენიც არა მომხდარა რა, ასეთ საშინელ სასოწარკვეთილებას რომ მისცე თავიო. მაგრამ ნუგეშის სიტყვები მოულოდნელად საყვირის გამკივანმა ხმამ გაუწყვიტა. სწორედ იმ ხმამ, რამაც ასევე მოულოდნელად ჩაუშალა თავიანთი ბილწი და გაიძვერული ზრახვანი ციხე-დარბაზის სხვა ბინადართაც. ამ ხმის გაგონებამ ყველაზე ნაკლებ ალბათ დე ბრასის დასწყვიტა გული, რადგან ლედი როენასთან მის საუბარს იმ საზღვრისათვის მიეღწია, როცა გაგრძელებაცა და შეწყვეტაც ერთნაირად ძნელია ხოლმე.

ახლა კი ურიგო არ იქნება, სასიყვარულო ამბები ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ და ის გულისჩამწყვეტი ძალმომრეობა და დესპოტიზმი, რაც ეს არის, მკითხველს გადვუშალეთ, უფრო ნაღდი ფაქტებით დავასაბუთოთ. გაფიქრებაც კი სამწუხაროა, რომ მამაცი ბარონები, რომლებიც ინგლისის ტახტსა და თავისუფლებას იცავდნენ, და რომელთაც უნდა ვუმადლოდეთ ამ თავისუფლების შენარჩუნებას, თავად შემაძრწუნებელ ძალმომრეობას სჩადიოდნენ და არა მარტო ინგლისის კანონებს თელავდნენ ფეხქვეშ, არამედ, საერთოდ, ადამიანის სინდისსა და ბუნებას. ვაგლახ! საკმარისი იქნება ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსის ჰენრის წიგნებიდან

(რომელმაც ასე გულმოდგინედ შეკრიბა და შეადგინა იმდროინდელ მემატიანეთა ცნობები) თუნდაც ერთი ფურცელი გადავშალოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ადამიანის გონება იმაზე საშინელსა და შემაძრწუნებელს ვერაფერს მოიგონებს, რაც იმხანად ხდებოდა .

საქსონური ქრონიკების ავტორი აგვიწერს, რა მხეცობას სჩადიოდნენ სტეფან მეფის დროში მსხვილ-მსხვილი ბარონები და ლორდები, რომლებიც სულ ნორმანები იყვნენ. ეს აღწერილობანი თვალნათლივ გვისურათებს, რომ თავაშვებული დიდებულები არაფერს ეპუებოდნენ, მზად იყვნენ ყოველგვარი სისაძაგლე ჩაედინათ. „ღატაკ ხალხს ციხე-დარბაზებს აგებინებდნენ და ამით საშინლად ავიწროებდნენ; ხოლო ამ ციხე-დარბაზებს მე-

რე ბოროტი ხალხით გამოტენიდნენ ხოლმე, თუმცა უფრო მართებული იქ-ნება ეშმაკებს თუ ვუწოდებთ მათ: ფულს თუკი დალანდავდნენ ვინმეს - ქა-ლი იქნებოდა თუ კაცი, არ დაგიდევდნენ - შეათრევდნენ ციხეში, დილეგში ჩააგდებდნენ და ისე შესაბრალისად აწამებდნენ, წმიდანის წამება მონაგო-ნი არის; ზოგს ტალახში ჩაახრჩობდნენ, ზოგს თავით ან ფეხით დაჰკიდებ-დნენ - ზოგჯერ ცერითაც - და ქვეშ ცეცხლს შეუნთებდნენ; ზოგსაც დაკვან-ძულ ბაწარს შემოახვევდნენ თავზე და მანამ ტვინს არ გადმოანთხევინებ-დნენ, სულ უჭერდნენ და უჭერდნენ, სხვებს ასპიტ-გველებითა და ჯოჯოებით გამოვსებულ ჯურღმულებში ყრიდნენ ხოლმე“... მაგრამ მკითხველს აღარ შევაწუხებ ამის კითხვით.

ახლა სხვა მაგალითი გავიხსენოთ, თუ რა სიმწარე აგემა დაპყრობამ ინ-გლისელ ხალხს. პრინცესა მატილდა - შოტლანდიის მეფის ასული, შემდეგ-ში დედოფალი ინგლისისა, ედგარ ეთლინგის დისწული, გერმანიის იმპე-რატორის დედა - ერთი სიტყვით გვირგვინოსანთა ასული, ცოლი და დედა - ახალგაზრდობის დროს, როცა აღზრდა-განათლებას ინგლისში ღებუ-ლობდა, იძულებული გახდა მონაზნის ფლასებში გახვეულიყო და ამით და-ეღწია თავი გარყვნილ ნორმან დიდებულთა დევნისაგან. ასე ახსნა მან მო-ნაზვნად აღკვეთის ერთადერთი მიზეზი, როცა ინგლისის საეკლესიო კრე-ბის წინაშე წარსდგა. საეკლესიო კრებამ გაამართლა ეს საქციელი და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა თავაშვებული გარყვნილობა იყო იმ-ხანად გამეფებული. საქვეყნოდ ცნობილიაო, აღნიშნეს მათ, რაც უილიამ მეფემ ინგლისი დაიპყრო, ასეთი გამარჯვებით გათავხედებულმა მისმა ნორმანმა დიდებულებმა კანონები აბუჩად აიგდეს და თავიანთ ბილწ ზრახ-ვებს მიჰყვნენ; დაპყრობილ საქსონებს მიწებისა და სიმდიდრის წაგლეჯა არ აკმარეს, მათ ცოლებსაც და ქალიშვილებსაც დაერივნენ და ურცხვად ნა-მუსსა ხდიდნენო. ასე რომ, წარჩინებულ საქსონთა ოჯახებისათვის კანონად იქცა - ქალები მონაზვნის რიდეს ჩამოიფარებდნენ და მონასტრებში მიეშუ-რებოდნენ; არა ღვთისმოსაობით, არამედ აღვირახსნილ მამაკაცთაგან ნა-მუსის დასაცავადო. ამას აგვიწერს მემატიანე იდმერი.

ერთი სიტყვით, საეკლესიო კრების გადმოცემით, ასეთი გარყვნილება იყო გამეფებული იმხანად. სხვა ფაქტებს აღარ გამოვუდგებით იმ ამბების დასასაბუთებლად, რაც ეს არის, აღვწერეთ, ან რის

აღწერასაც შემდგომ ვაპირებთ, და რისი წერის დროსაც ჩვენ შედარებით ნაკლებ სარწმუნო საქსონურ ქრონიკებს ვეყრდნობოდით.

თავი ოცდამეოთხე

როგორც ძუ ლომს მძვინვარე ხვადი.
მას ისე ვეტრფი.
დუგლასი

მანამ ციხე-დარბაზის სხვადასხვა ნაწილში ჩვენგან აღწერილი ამბები მოხდებოდა, განმარტოებულ კოშკში გამოკეტილი ებრაელი რებეკა თავის ხვედრს ელოდა. ორმა ნიღბიანმა მომტაცებელმა წამოიყვანა იგი აქეთ და საკანში რომ შეაგდეს, რებეკას შიგ ერთი დედაბერი დახვდა. იჯდა დედაბერი და ძაფს ართავდა, თან რაღაც საქსონურ სიმღერას ბუტბუტებდა თავისთვის, თითქოს თითისტარის ტრიალს ხმას უწყობსო. რებეკას შემოსვლაზე დედაბერმა თავი ასწია და მშვენიერ ებრაელს ისეთი შურითა და ღვარძლით შეანათა გაბოროტებული თვალები, როგორც ცხოვრებით გამწარებულ სიბერესა და სიმახინჯეს ჩვევია ხოლმე ახალგაზრდული სილამაზის დანახვაზე.

-აბა, ბებერო ჭრიჭინავ, აიბარგე! - მიმართა ერთმა ნიღბოსანმა, - ასე გიბრძანა ჩვენმა კეთილშობილმა ბატონმა... ეს ოთახი ცოტათი შენზე უფრო ლამაზ სტუმარს უნდა დაუთმო.

- ასეა, - ჩაიდუდღუნა დედაბერმა, - სიკეთისათვის სიკეთით ვის გადაუხდია. იყო დრო, ლიტონი სიტყვა რომ დამცდენოდა, თქვენ შორის ყველაზე საუკეთესო მხედარსაც კი ცხენიდან გადმოაბრძანებდნენ, და კინწისკვრით გააგდებდნენ, ახლა კი თქვენისთანა ცინგლიანი მეჯინიბის ბრძანებაზე უნდა ავიბარგო.

- გეყოფა, კეთილო ქალბატონი ურფრიდ, - შეუტია მეორემ, - ამას ბევრი წილადობილა აღარ სჭირდება, უნდა აიბარგო. ბატონის ბრძანებაზე ყურები დაცქვეტილი უნდა გქონდეს. ოდესღაც შენც ყოფილხარ ამ ქვეყანაზე, მაგრამ მორჩა - შენი მზე ჩაესვენა; ბედაურისა არ იყოს, რაც ძველად იორღაზე გივლია, ახლა უნდა ადგე და იმდენი იჩაქჩაქო... აბა, ცოცხლად.

- ძაღლის გაგდებულები ხართ და ძაღლის სოროში ჩაგფლავენ, ფეხს რომ გაფშიკავთ! - უთხრა დედაბერმა, - ჭინკების დასაჯიჯგნი გავხდე, ფეხი თუ მოვიცვალო აქედან, მანამ ამ ძაფს არ დავართავ.

- შენ თვითონვე უთხარი ბატონს ასე, კუდიანო დედაბერო, - მიუგო მსახურმა და თავის ამხანაგთან ერთად ოთახიდან გავიდა. რებეკა დედაბერთან დატოვეს.

- ნეტა რა ახალი ეშმაკი შეუჯდათ? - თავისთვის ბუტბუტებდა დედაბერი და ხშირ-ხშირად

გახედავდა ხოლმე ღვარძლიანად რებეკას, - თუმცა რა დიდი გამოსაცნობი ეგ არის!.. ლამაზი თვალები, შავი კულულები, ქაღალდივით ქათქათა კანი, მანამ მღვდელი შავად გათხუპნიდეს... ჰოდა, რა დიდი გამოსაცნობია - რისთვის შემაოაგდებდნენ ამ გადმოკარგულ კოშკში! გინდა აქ შემოგიყვანია და გინდა ქვესკნელში ჩაგიკლავს: რამდენიც არ უნდა იყვიროს, ხმას ვერავის მიაწვდენს...მარტო ბუები გეყოლებიან, ლამაზო ქალო, მეზობლად. და როგორც იმათ კივილზე არავინ აბარტყუნებს ყურს, შენც ისე დაგემართება. უცხოელს ჰგავხარ, - დასძინა მან, როცა რებეკას ტანსაცმელი შეათვალიერა, - სადაური ხარ?.. სარკინოზი? თუ ეგვიპტელი?.. ხმას არ იღებ?..ტირილი თუ ისწავლე, ლაპარაკმა რაღა დააშავა?

- ნუ გაგულისდები, დედი, - მიუგო რებეკამ.

- პასუხიც აღარ არის საჭირო, - უთხრა ურფრიდმა, - მელას კუდითა ცნობენ, ებრაელს კი - ლაპარაკით.

- შემიბრალე, მითხარი, რა მომელის? ასე მხეცურად რომ შემომათრიეს, აწი რაღას მიპირებენ? სიცოცხლე ხომ არ უნდა მომისწრაფონ, რაკიღა ებრაელი ვარ? თუ მართლა ასეა, ჩემს რჯულს სიხარულით შევეწირები.

- სიცოცხლეო? - მიუგო დედაბერმა, - შენს სიცოცხლეს რა თავში იხლიან?! არა, მაგისი შიში ნუ გექნება. შენც იმას გიზამენ, რაც ერთხელ დიდებულ საქსონელ მანდილოსანს უყვეს. ნუთუ ურიის ქალიც სამარცხვინოდ ჩათვლის საქსონელის ხვედრის გაზიარებას?! აბა შემომხედე - ერთ დროს მეც შენსავით ახალგაზრდა და შენზე ორჯერ უკეთესი ვიყავი, როცა ფრონ დე ბეფმა - ამ რეჯინალდის მამამ - და მისმა ნორმანებმა ეს ციხე-დარბაზი აიღეს. მამაჩემი და მისი შვიდი ვაჟი მკერდით იცავდნენ ამ შენობის ყოველ გოჯს... ადგილი არ დარჩენილა, კიბეზე საფეხური არ დარჩენილა, რომ მათ სისხლს არ შეეღებოს, შეაკვდნენ კიდეც... ყველა გაწყდა. და მანამ გაცივდებოდნენ, მანამ ძარღვებში სისხლი გაუშრებოდათ, მეც დამპყრობელის საჯიჯგნი გავხდი!

- ნუთუ საშველი აღარ არის?.. ვერ გავიპარები? - შესძახა რებეკამ, - არაფერს არ დავიშურებ, საჩუქრებით აგავსებ!..

- ნურც კი იფიქრებ, - მიუგო დედაბერმა, - აქედან ცოცხალი ვერ გაიპარები... სიკვდილიც ძალიან მძიმედ მოდის, მეტისმეტად მძიმედ... - დასძინა მან და ჭაღარა თავი გააქნია, - ის ნუგეშიღა დარჩენილა, რომ ჩვენ შემდეგ სხვებსაც მოელით ასეთი უბედურება. მშვიდობით, ებრაელო!.. ებრაელი და წარმართი ვის გაუყვია, შენც ის ბედი მოგელის; რადგან ისეთი ხალხის ხელში მოხვდი, ვისაც არც სინდისი აქვს და არც შებრალება. მშვიდობით. ჩემი შულო ამოვახვიე, შენი ახლაღა იწყება.

- ნუ წახვალ, ნუ წახვალ, თუ ღმერთი გწამს! - შესძახა რებეკამ, - ოღონდ კი დარჩი და თუნდა მლანძღე, მთათხე... ცოტათი მაინც დამიფარავ.

- ღვთიშობელმაც კი ვეღარ დამიფარა, - მიუგო დედაბერმა, - აჰა, ხომ ხედავ, - ღვთიშობლის ხატისაკენ გაიშვირა ხელი, - ვნახოთ, შენ თუ აგაშორებს განსაცდელს!

ეს რომ თქვა, ადგა და ოთახიდან გავიდა, თან შესაზარლად ჩაიქირქილა, მახინჯი სახე კიდევ უფრო დაეჭყანა. კარი გარედან დაკეტა, რებეკას

ესმოდა, როგორ წყევლიდა იგი კოშკის შვეულ კიბეს და მძიმე-მძიმედ ჩადიოდა.

რებეკას როენაზე საშინელი ბედი მოელოდა, რადგან დამცირებულ ებრაელ ქალს აბა ვინ აღირსებდა იმ თავაზიანობასა და გულმოწყალებას, რისი ჩრდილი მაინც შეიძლებოდა გამოეჩინათ საქსონელი დიდებულის მემკვიდრის მიმართ! მაგრამ ერთი უპირატესობა ებრაელ ქალსაც ჰქონდა: იგი ფიქრით შეჩვეული და შემზადებული იყო მედგრად დახვედროდა ყოველგვარ შესაძლებელ განსაცდელს. ბავშვობიდანვე გამოუმუშავდა მტკიცე ნებისყოფა და დაკვირვების უნარი; ხომ ფუფუნებასა და მდიდრულ ცხოვრებას იყო შეჩვეული - სახლშიაც და ახლობელი მდიდარი ებრაელების ოჯახებშიაც - ეს სიმდიდრე სულაც არ აბრმავებდა, და გრძნობდა, რომ მდგომარეობა მაინც არ იყო მყარი. როგორც დამოკლე[33] იმ დიდებულ

მეჯლისზე, რებეკაც გრძნობდა, რომ ფუფუნებისა და გაფარფაშებული ცხოვრების მიუხედავად, მთელს მის მოდგმას ბეწვზე დაკიდებული ხმალი ემუქრებოდა. ასეთმა ფიქრმა თანდათანობით თავისი გავლენა მოახდინა - თავმდაბლობა და საღი აზროვნების უნარი შესძინა. მაშინ როდესაც, სხვა პირობებში, ადვილად შესაძლებელია, ქედმაღალი, ზვიადი და თავნება გამხდარიყო.

მამის დარიგებამ და მაგალითმა ასწავლა, ყველას მორიდებით და თავაზიანად მოქცეოდა. თუმცა მამამისის მეტისმეტი ქედმოხრა და ქლესობა არ შეუთვისებია, რადგან მისთვის უცხო იყო სულით სიმდაბლე და სილაჩრე, რაც ასეთ მდაბალ მორჩილებას განაპირობებს ხოლმე. თავმდაბლური სიამაყით ეჭირა თავი, თითქოს ავ ბედისწერას ეგუებაო, რაშიაც იგი დაწყევლილი ერის შვილობამ ჩააგდო; მაგრამ თან იმასაც გრძნობდა, რომ პირადი ღირსებების მიხედვით იმაზე უფრო მაღალი მდგომარეობა ეკუთვნოდა, რაც რელიგიური ცრურწმენის დესპოტურმა დევნამ არგუნა.

ერთი სიტყვით, ყოველგვარი სისაძაგლის მოლოდინში რებეკამ ძალა მოიკრიბა და გამაგრდა. ახლანდელი მისი მდგომარეობა დიდ სულიერ გამძლეობას მოითხოვდა, და სულიერადაც გამხნევდა.

უპირველეს ყოვლისა, ოთახი დაათვალიერა, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი აღმოაჩინა - არც გაპარვა მოხერხდებოდა და არც თავის დაცვა. ვერსად ვერ მიაგნო ვერც საიდუმლო

გასასვლელსა და ვერც რაიმე ხვრელს. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს იყო განმარტოებული კოშკი, და მრგვალად ამოყვანილ კედლებს შენობის სხვა ნაწილებთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა. შიგნიდან არც ურდულით იკეტებოდა კარი და არც გასაღებით. ერთადერთი სარკმელი ქონგურებიან მოედანზე გადიოდა და რებეკას უცებ გაპარვის იმედი ჩაესახა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს მოედანი ჭუჭრუტანებიანი პარაპეტით დაცულ საგუშაგოს წარმოადგენდა და სხვაგან გასასვლელი არა ჰქონია: რამდენიმე მოისარი თუ მოთავსდებოდა და კოშკის კედელს დაიცავდა აქეთა მხრიდან.

სხვა რა გზა ჰქონდა - უმოქმედოდ უნდა მდგარიყო და როგორც მხნე და დიდსულოვან ადამიანებს სჩვევიათ, თავი ღვთის შემწეობისათვის მიენდო. რებეკას სჯეროდა, რომ ღვთის რჩეულ ხალხსაც, როცა იქნებოდა, გაუთენდებოდა, და სიონის შვილებიც გაინაწილებდნენ იმ კეთილდღეობას, რაც ახლა მხოლოდ სხვებს ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ იგი იმასაც ხედავდა, რომ ახლა მისი მოდგმა საშინელ დევნას და ტანჯვას განიცდიდა, და თავიანთ განსაკუთრებულ მოვალეობად მიაჩნდათ ყველაფერი უდრტვინველი მოთმინებით გადაეტანათ. თავი უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლად წარმოედგინა, ბავშვობიდანვე ჩაფიქრებოდა ბედს და მოსალოდნელ განსაცდელთან შესახვედრად წინასწარვე შემზადებულიყო.

მაგრამ როცა კიბეზე ფეხის ხმა გაიგონა, მაინც აცახცახდა და გადაფითრდა. კოშკის სენაკის კარი

მძიმედ გაიღო, დინჯად შემოვიდა მაღალ-მაღალი კაცი და კარი მიკეტა. ამასაც იმ ყაჩაღების ტანსაცმელი ემოსა, რომლებიც მთელი მათი უბედურების მიზეზი გახდნენ. ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა და შუბლსა და წარბებს უფარავდა, ცხვირ-პირზე კი მანტია ჰქონდა შემოხვეული. თითქოს ისეთი საქმის გაკეთებას აპირებს, რისიც თვითონვე რცხვენიაო - შემოვიდა და დაფეთებულ ტყვეს წინ აეყუდა: ავაზაკური მორთულობის მიუხედავად ეტყობოდა, უჭირდა თავისი გულის ზრახვების გამჟღავნება, ასე რომ, რებეკას საშუალება მიეცა, ძალა დაეტანებინა თავისთვის და თვითონ დაეწყო. სწრაფად წაიძრო ორი ძვირფასი სამაჯური და ფარღული, და ყაჩაღს გაუწოდა, ეტყობოდა, იფიქრა, ამით მის სიხარბეს დავაკმაყოფილებ და შემიბრალებსო.

- აჰა, კეთილო მეგობარო, - მიმართა ქალმა, - იწამე ღმერთი და მეც შემიწყალე და ჩემი მოხუცი მამაც! ხომ ძვირფასი სამკაულებია, მაგრამ იმასთან შედარებით მაინც არაფერი იქნება, რასაც ის მოგიძღვნის, ოღონდ აქედან უვნებელი და თვისუფალი გაგვიშვი.

- პალესტინის მშვენიერო ყვავილო, - მიუგო ყაჩაღმა, - ეს მარგალიტები აღმოსავლურია, მაგრამ სითეთრით შენს კბილებს რას შეედრებიან; ალმასებიც ხომ ნამდვილი ბრილიანტია, მაგრამ ელვარებით შენს თვალებთან სად მოვლენ; რაც ამ ველურ ხელობას მოვეკიდე, აღთქმა მაქვს დადებული, რომ სილამაზე სიმდიდრეზე წინ დავაყენო.

- თავს ცოდვებით ნუღარ დაიმძიმებ, - უთხრა რებეკამ, - ეს ტყვეობიდან გამოსასყიდი განძეული მიიღე და გაგვათავისუფლე!.. ოქრო ყოველგვარ სიამოვნებას შეგძენს. ხოლო ცუდად თუ მოგვეპყარი, იცოდე სანანებელი გაგიხდება. მამაჩემი ყველაფერს შეგისრულებს, რაც არ უნდა მოსთხოვო. ჭკუით თუ მოიქცევი, ჩვენი ფული ისევ ღირსეულ ადგილს დაგაჭერინებს პატიოსან საზოგადოებაში - ძველ ცოდვებს მოგანანიებინებს და ისეთ პირობებს შეგიქმნის, რომ ახალი ცოდვების ჩადენა აღარ დაგჭირდეს.

- ჭკვიანურად ლაპარაკობ, - მიუგო ყაჩაღმა ფრანგულად; ეტყობოდა, სიტყვები აღარ ეყო, რომ რებეკას მიერ საქსონურად დაწყებული ლაპარაკი საქსონურადვე განეგრძო. - მაგრამ ეგეც უნდა იცოდე, ბაკას მინდვრის მშვენიერო შროშანავ, რომ მამაშენი ამჟამად საშინელი ალქიმიკოსის ხელში იმყოფება, რომელიც გალიის რკინებსა და დაჟანგულ ურდულებსაც კი თვალის დახამხამებაში ოქროდ და ვერცხლად აქცევს. ღირეულ ისააკს ახლა ისეთ წნეხში უპირიბენ ჩაგდებას, რაც კი რამ ძვირფასი აქვს, ყველაფერს გამოსწურავენ - ამას არც ჩემი შველა სჭირდება და არც შენი მუდარა. შენს გამოსასყიდად შენივე სილამაზე და სიყვარული კმარა, არავითარი ფული ამას არ უშველის.

- შენ ყაჩაღი არ ყოფილხარ, - ფრანგულადვე მიუგო რებეკამ, - რომელი ყაჩაღი იტყოდა უარს ამდენ სიმდიდრეზე; რომელი ყაჩაღი იქნება ამ კუთხეში, ფრანგულად რომ ლაპარაკობდეს! არა,

ყაჩაღი არა ხარ, შენ ნორმანი ხარ... იქნებ ნორმანი კეთილშობილიც... მაშ საქმითაც გამოიჩინე კეთილშობილება, ჩამოიხსენი ეს შეურაცხყოფისა და ძალადობის ნიღაბი.

- შენც ისე მართლად ხვდები ყველაფერს, - უთხრა ბრიან დე ბუა გილ-ბერმა და სახიდან მანტია ჩამოიხსნა, - რომ ისრაელის ასულს არც კი გავ-ხარ; ასე ახალგაზრდა რომ არ იყო, ენდორელი გულთმისანია-მეთქი ვიტ-ყოდი. მე მართლაც არ ვარ ყაჩაღი, შარონის მშვენიერო ვარდო. მე ისეთი კაცი ვარ, რომელიც უმალ ალმასებითა და მარგალიტებით შეგიმკობს მაგ მკერდსა და ხელებს, ვიდრე შენს საკუთარ სამკაულებს წაგართმევდეს.

- მაშ რა გინდა ჩემგან, - ჰკითხა რებეკამ, - თუკი სიმდიდრე არ გიტა-ცებს?.. რა გვაქვს ჩვენ საერთო - შენ ქრისტიანი ხარ... მე - ებრაელი... ჩვენი შეკავშირება ეკლესიის კანონებსაც ეწინააღმდეგება და სინაღოღასაც.

- მართალი ხარ, - სიცილით მიუგო ტაძრელმა რაინდმა, - ებრაელის შერთვა?! Despardieux!.. შების დედოფალიც რომ იყოს, ამას მაინც არ ვი-კისრებდი. თან, ეგეც უნდა იცოდე, სიონის მშვენიერო ასულო, ყველაზე დი-დებული ქრისტიანი მეფეც რომ ადგეს და თავისი უქრისტიანესი ასულის ხე-ლი შემომთავაზოს, მზითევად კი მთელი ლანგედოკი გამოაყოლოს, მისი შემრთველიც არა ვარ. აღთქმა მიკრძალავს ცოლის შერთვას. უბრალო შეყვარება კი შემიძლია, როგორც ახლა შენ მიყვარხარ. მე ტაძრელი რაინ-დი ვარ. აბა, ჩემი წმიდა ორდენის ჯვარს დახედა!

- ჯვრის დამოწმებასაც ბედავ?!- შესძახა რებეკამ, - ამისთანა საქმეზე?

- შენ რა გესაქმება! შენ ხომ არა გწამს ჩვენი ხსნის მომნიჭებელი ხატი?!

- მე ისა მწამს, რაც ჩვენს მამა-პაპათ უსწავლებიათ, - მიუგო რებეკამ, - ღმერთი მომიტევებს, თუ ჩემი რწმენა მცდარია! მაგრამ შენი რწმენა რაღაა, ბატონო რაინდო, როცა აქ მოდიხარ, გინდა აღთქმა გატეხო?.. ყველაზე წმინდა აღთქმა, რისიც უნდა გეშინოდეს, როგორც რაინდსა და როგორც მორწმუნე ადამიანს... თან კი სინდისის უქეჯნელად იმოწმებ წმიდა ნაწილს!

- ბრძნულად და კარგად სჯი, ზირაქის ასულო! - უთხრა ტაძრელმა, - მაგრამ შენს ებრაულ ცრურწმენას ისე დაუბრმავებიხარ, რომ ჩვენი სარწმუ-ნოების დიდ უპირატესობას ვეღარც კი ხედავ. ჯვრის დაწერა მართლაც მი-უტევებელი დანაშაული იქნებოდა ტაძრელი რაინდისათვის, წვრილმან ცოდვებს კი ადვილად მაპატიებენ, თქვენს უბრძენეს მეფეს, და თვით მის მამასაც, რომლის მოქმედება თქვენთვის სამაგალითოდ ითვლება, არა ჰქონიათ იმის უფლება, რაც სიონის ტაძრის საწყალმა ჯარისკაცებმა მოვი-

პოვეთ, ჩვენი ორდენის ერთგულებითა და თავგამოდებული დაცვით. სოლომონის ტაძრის დამცველებს, სოლომონისვე წაბაძულობით კი უნდა ჰქონდეთ ზოგიერთი აკრძალული საქმის გაკეთების უფლება.

- თუ მარტო იმისთვის კითხულობ საღვთო წერილსა და წმიდათა ცხოვრებას, რომ მერე საკუთარი თავაშვებულობა და გარყვნილება გაამართლო, მაშინ იმ ბოროტმოქმედს ემგვანები, რომელიც სიცოცხლის მომნიჭებელ და სასარგებლო ყვავილთაგან მხოლოდ შხამს იღებს.

ამ საყვედურის მოსმენაზე რაინდის თვალებში ცეცხლმა გაიელვა.

- ყური მიგდე, რებეკა, - უთხრა მან, - აქამდე წყნარად გელაპარაკებოდი, ახლა კი, როგორც დამპყრობელს შეეფერება, ისე დაგიწყებ ლაპარაკს. შენ ჩემი ტყვე ხარ - საკუთარი შუბითა და მშვილდ-ისრით დაპყრობილი და ყველა ხალხის კანონით, რასაც მინდა, იმას გიზამ. ერთი ბეწოთი არ დავიხევ უკან, რასაც ხვეწნა-მუდარით არ მაძლევ, იმას ძალით წაგართმევ.

- უკან დაიწი! - შეჰყვირა რებეკამ, - უკან დაიწი, და მანამ მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენდე, მე მომისმინე. ღონით მართლაც რომ მომერევი. ღმერთს ქალები სუსტი შეუქმნია და მამაკაცთა დიდსულოვნებისთვის მიუნდვია. ეს იცოდე, რომ შენს არამზადობას, ტაძრელო, მთელს ევროპას მოვდებ. თუ თანაგრძნობა ვერ მოვიპოვე შენი თნამოძმე ტაძრელებისა, მათი ცრუმორწმუნეობით მაინც ვისარგებლებ. შენი ორდენის ყველა პრესეპტორი, ყველა წევრი გაიგებს, რომ, ერეტიკოსივით, ებრაელის ქალთან შესცოდე. ვისაც შენი დანაშაული არ აღაშფოთებს, იმის გამო მაინც შეგაჩვენებს, რომ ჩემი მოდგმის ქალთან კავშირის დაჭერით ეს ჯვარი შებღალე.

- ჭკუამახვილი ებრაელი ყოფილხარ, - მიუგო რაინდმა, რომელიც მიხვდა, რომ ქალი მართალს ამბობდა, ასეთი ოინებისათვის, რასაც ახლა იგი სჩადიოდა, მისი ორდენის კანონები ყველას სასტიკად სჯიდა, ის კი არადა ზოგიერთები შეუჩვენებიათ და გაუძევებიათ კიდეც, - მახვილი ჭკუა გქონია, - განაგრძო მან, - მაგრამ ამოდენა ხმა ვინ მოგცა, რომ ეს რკინის კედლები გააპოს და გარეთ გაიგონოს ვინმემ; ციხის შიგნით კი, რამდენიც არ უნდა იწუწუნო, იტირო, იკივლო და საშველად მოუხმო, სულ ერთია, კაციშვილი ვერ გაიგონებს. მხოლოდ ერთი რამე თუ გიხსნის, რებეკა: ბედს დაემორჩილე, ჩვენი რჯული მიიღე, და შენი მდგომარეობა ნორმანელ ქალბატონებ-

საც კი შეშურდებათ - სილამაზითაც დაჩაგრავ იმათ და თავის გამოჩინებითაც, ტაძრის დამცველთაგან ყველაზე უკეთესი რაინდის საყვარელი გახდები.

- ბედს დავმორჩილდე! - შეჰყვირა რებეკამ, - ღმერთო ჩემო, მერე რა ბედია ეს ბედი?.. შენს რჯულზე მოვიქცე?.. მერე რა სარწმუნოებაა ის სარწმუნოება, შენისთანა გარეწარს რომ იფარავს?! მთელს ტაძრელ რაინდთა შორის შენა ხარ ყველაზე უკეთესი?! სულმდაბალო რაინდო!.. ფიცისგამტეხო!.. მეზიზღები, დასანახავადაც ვერ გიტან!.. აბრაამის ღმერთი არ გასწირავს თავის შვილს...ამ სირცხვილის უფსკრულიდანაც კი დაიხსნის!

ეს თქვა, სარკმელი გამოაღო და წამსვე საგუშაგოს მოაჯირზე შეხტა, თვალჩაუწვდენელ უფსკრულს გადაადგა. ბუა გილბერი სულ რომ არ მოელოდა ამას, რადგან ქალი აქამდე

უმოძრაოდ იდგა, ამიტომ ვეღარ მოასწრო ხელის წავლება და შეჩერება. ფეხის წინ წადგმა რომ დააპირა, ქალმა შეჰყვირა:

- ფეხი არ მოიცვალო, ამაყო რაინდო... ანდა მოდი, თუ გინდა... შენი ერთი ნაბიჯი და მყისვე ამ უფსკრულში გაადვეშვები, მანამ შენი მხეცური ჟინის მსხვერპლი გავხედბოდე, ჩემი სხეული იმ ქვის გალავანს დაენარცხება და ადამიანის მოყვანილობას დაკარგავს.

ამას ისე ამბობდა, რომ ერთიერთმანეთზე გადაჭდობილი ხელები ცისკენ ჰქონდა აპყრობილი, თითქოს უფსკრულში ჩავარდნის წინ ღმერთს სულს ავედრებსო. ტაძრელი შეყოყმანდა, მტკიცე გადაწყვეტილება, რასაც ვერასოდეს ვერ შეაცვლევინებდა ხოლმე ვერც სიბრალული და ვერც უბედურების ხილვა, ახლა ერთბაშად ქალის მოქმედებით გამოწვევულმა აღფრთოვანებამ შესცვალა.

- ჩამოდი, - შესძახა მან, - რამ გაგაგიჟა! ვფიცავ დედამიწას, ზღვასა და ცას, არავითარ შეურაცხყოფას არ მოგაყენებ.

- მე შენ ვერ გენდობი, ტაძრელო, - მიუგო რებეკამ, - შენგანვე ვისწავლე, რა პატივისცემითაც ეპყრობით თქვენს ორდენს. ამ ფიცის გატეხასაც ადვილად გაპატიებენ, მით უმეტეს, რომ იგი უბედური ებრაელი ქალის პატიოსნება-უპატიოსნობის საქმეს ეხება.

- უსამართლოს მექცევი, - მგზნებარედ წამოიძახა ტაძრელმა, - ჩემს სახელსა ვფიცავ... ამ ჯვარსა ვფიცავ, გულზე რომ მკიდია... ხმალს ვფიცავ... მამა-პაპათა უძველეს ღერბს ვფიცავ... რომ არავითარ შეურაცხყოფას არ

მოგაყენებ! თავი თუ არ გეცოდება, მამაშენი მაინც შეიცოდე! მე მას მეგობრობას გავუწევ. ამ ციხეში კი, იცოდე, ძლიერი მეგობარი სჭირდება.

- ვაგლახ! - წარმოთქვა რებეკამ, - ეგ მეც ვიცი, მაგრამ შენ როგორ უნდა გენდო?!

- ფარ-ხმალი დამელეწოს, სახელი შემირცხვეს, თუ კიდევ გაგიხადო საქმე საწუწუნოდ! - უთხრა ბრიან დე ბუა გილბერმა, - რამდენი წესი დამირღვევია, რამდენ კანონს გადავსულვარ, სიტყვა კი ერთხელოაც არ გამიტეხია.

- მაშ, კარგი, გენდობი, - უთხრა რებეკამ, - ოღონდ სულ არა, - მოაჯირიდან ჩამოხტა და ერთ-ერთ ჭუჭრუტანასთან თუ machicolles - თან გაჩერდა, როგორც იმხანად ეძახდნენ ხოლმე, - მე აქ ვიდგები, - უთხა მან, - შენ კი მანდედან ფეხი არ მოიცვალო. ერთი ნაბიჯიც რომ გადმოდგა ჩემკენ, ნახავ, რომ ებრაელი ქალი ღმერთს ადვილად ჩააბარებს სულს, ვიდრე ტაძრელ რაინდს თავის ნამუსს მიანდობდეს.

რებეკას მტკიცე და წმინდა გადაწყვეტილებამ, რაც სწორედ რომ კარგად ეხამებოდა ქალის

მშვენიერ, მეტყველ სახეს, ისეთი ღირსება და ლაზათი მისცა მის თვალებს, მიხრა-მოხრასა და მთელს არსებას, რომ ამქვეყნიურ ქმნილებას აღარ ჰგავდა. საშინელი სიკვდილის მოახლოებით არც სახეზე გაფითრებულა და არც თვალები ჩაღამებია. პირიქით, იმის შეგრძნებამ, რომ მისი ბედი მისივე ხელთ იყო და შერცხვენას სიკვდილით აიშორებდა, ღაწვები კიდევ უფრო შეუფაკლა და თვალებიც მეტის მგზნებარებით აუნთო. ამაყმა და მამაცმა ბუა გილბერმა გაიფიქრა - ასეთ ხორცშესხმულსა და მომაჯადოებელ მშვენიერებას ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავო.

- შევრიგდეთ, რებეკა, - უთხრა მან.

- შევრიგდეთ, - მიუგო რებეკამ, - ოღონდ ერთი ნაბიჯიც არ გადმოდგა ჩემკენ.

- ჩემი შიში ნუღარ გექნება.

- არცა მაქვს შენი შიში, - მიუგო რებეკამ, - და იმის მადლობელი უნდა ვიყო, ვინც ეს კოშკი ამ სიმაღლეზე ამოიყვანა... კაცს სული არ ჩაჰყვება გალავნამდე... მადლობა მას და ისრაელის ღმერთს!.. სულაც არა მაქვს შენი შიში.

- უსამართლოდ მექცევი, - უთხრა ტაძრელმა, - ვფიცავ მიწას, ცასა და ზღვას, უსამართლოდ

მექცევი! ბუნებით სულაც არა ვარ ისეთი, როგორიც შენ ახლა მნახე - არც გულქვა ვარ, არც შეუბრალებელი და არც თავკერძა. ქალმა მასწავლა გულქვაობა და ქალსავე ვუხდიდი სამაგიეროს... მაგრამ შენისთანა ქალს კი არა!.. გამიგონე, რებეკა: ერთ რაინდსაც ვერ შეხვდები ქვეყნად, ვისაც სატრფოს მიმართ ისეთის ერთგულების გრძნობით აღემართოს შუბი, როგორც ბრიან დე ბუა გილბერმა აღმართა. ღარიბი ბარონის შვილი იყო ის ქალი. მამამისი ბორდოს მახლობლად ცხოვრობდა და გავერანებული კოშკით, გადამხმარი ზვრითა და რამდენიმე ქცევა გამოფიტული მიწით მოჰქონდა თავი. მაგრამ საცა კი ბრძოლა გაჩაღდებოდა, ყველგან ამ ქალის სახელი ისმოდა; მზითევად რომ მთელი საგრაფოები ჰქონდათ, იმ ქალბატონების სახელიც კი არ გავარდნილა ისე შორს, როგორც იმ ქალისა... დიახ, - განაგრძო მან და ისე აღელვებით დაიწყო კუთხეში ბოლთის ცემა, თითქოს რებეკას იქ ყოფნა სულ გადაავიწყდაო. - დიახ, ჩემმა გმირობამ, ფათერაკებში თავის ჩაგდებამ და სისხლმა კასტილიიდან მოკიდებული ბიზანტიამდე გაუთქვეს სახელი ადელაიდა დე მონტემარს. რითი გადამიხადა სამაგიერო?.. როცა ჯაფისა და სისხლის ფასად ნაყიდი დიდებით დავბრუნდი, ჯვარდაწერილი დამხვდა, ვიღაც გასკონელ აზნაურს გაჰყოლოდა, რომლის სახელი მისივე უბადრუკი მამულის გადაღმა კაციშვილს არ გაეგონა! გულით მიყვარდა და მწარედაც ვიძიე შური ფიცის გამტეხზე. მაგრამ ამ შურისძიებამ უფრო მეტად მავნო. იმ დღიდან მოკიდებული ცხოვრებაზე უარი ვთქვი და ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე... სახლი ჩემთის არ არსებობს და კარი... მოკლებული ვარ ცოლის სიყვარულს... ისე დავბერდები, გამთბარ კერას ვერ ვეღირსები... ეულად დავიმარხები, ძე-ხორციელი არ დამიტირებს და არც ბუა

გილბერთა უძველესი გვარის გამგრძელებელი დამრჩება. ჩემი მოძღვარის ფერხთით დავაგდე დამოუკიდებელი არსებობის უფლება... პირად ცხოვრებაზე უარი ვთქვი. ტაძრელ რაინდს მარტო სახელი არა აქვს მონისა, თორემ ისე მამული მას არ აბადია და სიმდიდრე... სხვისი ნებითა და სურვილით ცხოვრობს, სუნთქავს და მოქმედებს...

- ვაგლახ! - თქვა რებეკამ, - რამ უნდა აგინაზღაუროს ასეთი მსხვერპლი?

- შურისძიების ძალამ, რებეკა, - მიუგო ტაძრელმა, - პატივმოყვარეობამ.

- ეგ სადაური ანაზღაურებაა! - უთხრა რებეკამ, - ადამიანის უძვირფასეს უფლებათა მაგივრობას რას გაგიწევს?!

- მაგას ნუ იტყვი, - მიუგო ტაძრელმა, - შურისძიება ღმერთების მოლხენაა! და, მღვდელების გადმოცემით, თავისთვის იმიტომ ინახავენ ამ უფლებას, რომ უბრალო მოკვდავთათვის მეტად ძვირფას ნეტარებად მიაჩნიათ... რაც შეეხება პატივმოყვარეობას - ეგ ისეთი ცდუნებაა, რაც ზეცის სასუფეველსაც კი შეარყევს...

ერთი წუთით შეჩერდა და ისევ განაგრძო:

- რებეკა! ქალი, რომელსაც სიკვდილი ურჩევნია შერცვენას, ამაყი და სულდიდი ქმნილებაა. შენ ჩემი უნდა გახდე!.. ნუ შეგეშინდა! - სწრაფად დასძინა მან, - ეს შენივე თანხმობითა და ნებით უნდა მოხდეს. შენ უნდა გაიზიარო ჩემი იმედები... სამეფო ტახტიდან რომ გამოჩნდება, იმაზე უფრო დიდი იმედები... ჯერ მომისმინე და მერე მიპასუხე, კარგად აწონ-დაწონე და ისე თქვი უარი... ტაძრელი რაინდი ყოველგვარ საზოგადოებრივ უფლებებს მოკლებულია; ეს შენ თვითონვე მითხარი წეღან, დამოუკიდებელი მოქმედების ნება არა აქვს, ისეთი ძლიერი სხეულის წევრი და კიდური ხდება, რომლის წინაშე სამეფო ტახტიც კი თრთის... როგორც წვიმის წვეთი შეერევა ხოლმე ზღვას და მერე იმ მშფოთვარე ოკეანის შემადგენელი ნაწილი გახდება, რაც კლდეებს ამსხვრევს და სამეფო ფლოტებს ნთქავს, ასეთი დიდი ნიაღვრის ძალა აქვს ჩვენს ძლევამოსილ კავშირს. მე კი ამ მრისხანე ორდენის უბრალო წევრი არ გეგონო - ერთ-ერთი სარდალთაგანი გახლავარ და დღეს თუ ხვალ იქნებ მისი დიდი მბრძანებელიც შევიქნე. საწყალი ტაძრელი ჯარისკაცები მარტო იმით კი არ კმაყოფილდებიან, რომ გვირგვინოსნებს ფეხით შესდგნენ მხრებზე - ეს ხომ ბანდულამოკრულ ბერსაც შეუძია. ჩვენი რკინის ფეხები სამეფო ტახტსაც მიაღწევენ, ხოლო რკინის ხელთათმანები იმ ტახტზე მჯდომ მეფეს ხელთაგან კვერთხს წარსტაცებენ. თვით მესიაც რომ მოგევლინოთ, რომელსაც თქვენ ამაოდ ელით, ისეთ ძლიერებას მაინც ვერ მიანიჭებს თქვენს გაფანტულ ხალხს, რასაც ჩემი პატივმოყვარეობა უმიზნებს. მთელი ჩემი სიცოცხლე ისეთ მაღალ სულს ვეძებდი, რომელიც ამ ზრახვას გაიზიარებდა, და ჰა, გიპოვე კიდეც.

- ამას შენ ჩემი მოდგმის ქალს ეუბნები?! - მიუგო რებეკამ, - რატომ არ უფიქრდები, რომ...

- ნუ მეტყვი, სხვადასხვა რჯულის ვართო, - გააწყვეტინა რაინდმა, - ჩვენს საიდუმლო საეკლესიო კრებებზე ეს ბავშვური ზღაპრები სასაცილოდაც არ გვყოფნის. არც იფიქრო, კიდევ დიდხანს დავუხუჭო თვალი ჩვენი დამფუძნებლების უაზრო სისულელეს, რაც ყოველგვარ ადამიანურ სიამოვნებას გვიკრძალავს და მოგვიწოდებს სიხარულით დავიდგათ წამების გვირგვინი - შიმშილით, წყურვილითა და ჭირით ამოვწყდეთ, ვიხეტიალოთ მწირ უდაბნოში, რასაც მხოლოდ ცრუმორწმუნეთა თვალში აქვს ფასი, და მის დასაცავად ველურებს შევაკლათ თავი! ჩვენმა ორდენმა დიდი ხანია მიაგნო უფრო გაბედულსა და ჭკვიანურ გზას და გაწეული მსხვერპლისათვის უფრი შესაფერი ჯილდო აღმოაჩინა. ჩვენი თვალუწვდენელი მამულები ევროპის ყველა სამეფოში, ჩვენი სამხედრო დიდება, რასაც ისე შორს გავარდნია სახელი, რომ მთელი ქრისტიანული სამყაროდან სულ უფრო და უფრო მეტად იზიდავს უბრწყინვალეს რაინდებს... ეს ყველაფერი ისეთ მიზნებს ემსახურება, რაც ჩვენს ღვთისმოშიშ დამფუძნებლებს არც კი დასიზმრებიათ. მაგრამ ამას ვუმალავთ ჩვენი ორდენის სულმდაბალ წევრებს, რომლებიც ძველი წესების წყალობით შემოგვკედლებიან და ჩვენც ბრმა იარაღად ვიყენებთ ხოლმე. თუმცა რა საჭიროა, მთელი ჩვენი საიდუმლოებანი გაგიმჟღავნო. საყვირის ხმა ისმის, იქნებ ჩემი შველაც ეჭირვებოდეთ. კარგად დაუფიქრდი, რაც გითხარი... მშვიდობით... ბოდიშს არც გიხდი იმ მუქარისათვის... ასე იყო საჭირო შენი ხასიათის გამოსარკვევად. ოქროს ღირსებასაც ხომ სასინჯი ქვით ამოწმებენ. მალე დავბრუნდები და საუბარი მერე გავაგრძელოთ.

კოშკის კარები გაიხურა და კიბეზე დაეშვა, რებეკა იქვე დატოვა. ქალს საშინელი სიკვდილის მოახლოებითაც არ განუცდია ის შიში, რამაც ახლა მოიცვა, პატივმოყვარეობით გაცოფებული მამაცი არამზადის ხილვაზე, ვის ხელშიაც იგი ასე ბედუკუღმართად აღმოჩნდა. კოშკში რომ შებრუნდა, უპირველეს ყოვლისა, მადლი მოახსენა იაკობის ღმერთს, რომელმაც წყალობის თვალით გადმოხედა ქალს; მასვე შეევედრა, მომავლაშიაც არ მოეკლო ეს წყალობა არც მისთვის და არც მამამისისთვის... კიდევ ერთს სახელიც გაისმა მის ვედრებაში... ეს იყო დაჭრილი ქრისტიანი, რომელიც ბედმა თავისი საშინელი მტრების - სისხლისმსმელი არამზადების ხელში ჩააგდო. თან სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა რებეკა, რომ წმინდა ლოცვაშიაც ის კაცი მოიხსენია, ვის ბედსაც ვერასოდეს თავისას ვერ დაუკავშირებდა

- ნაზარეველი მოიხსენია, თავის სარწმუნოების მტერი. მაგრამ ლოცვა უკვე ცად აღევლინა, და რა ვიწრო ცრურწმენანიც არ უნდა ჰქონოდა თავის თანამორწმუნეებს, რებეკა იმ ვედრების უკან დაბრუნებას აღარც ისურვებდა.

თავი ოცდამეხუთე

მე ასეთ ნაჯღაბნს ჩემს დღეშიაც არ გადავყრივარ.
გოლდ სმითი

სეფე-დარბაზში რომ შევიდა ტაძრელი რაინდი, მორის დე ბრასი იქ დახვდა.

- ამ ყურისწამღებ საყვირს, როგორც ვატყობ, შენთვისაც შეუშლია არშიყობაში ხელი, თუმცა შენ უფრო შეიგვიანე, თანაც ფეხები უკან გრჩებოდა; ალბათ ჩემზე უფრო სასურველი შეხვედრა გქონდა.

- მაშ, ვერაფერს გახდი იმ მდიდარ საქსონელთან? - ჰკითხა ტაძრელმა.

- თომას ბეკეტის[34] ძვლებსა ვფიცავ, - მიუგო დე ბრასიმ, - ლედი როენას გაგებული ექნება, რომ ქალის ცრემლებს ვერ ვიტან.

- კარგი ერთი! - შეუტია ტაძრელმა, - მოხალისე ჯარის უფროსი ხარ, და დიაცის ცრემლებს უგდებ ყურს!.. რამდენიმე კურცხალი კიდევ უფრო ააბრიალებს სიყვარულის ჩირაღდანს.

- რამდენიმე კურცხალს ვინ ჩივის, - მიუგო დე ბრასიმ, - ისე ღაპაღუპით წასკდა ცრემლები, რომ მთელს კოცონს ჩააქრობდა. ამისთანა თითების

მტვრევასა და ცრემლების ღვრას ნიობეს შემდეგ ალბათ არავინ შესწრებია, ხომ გახსოვს, მამა ეიმერმა რომ გვიამბო ნიობეს ამბავი. თითქოს ალქაჯი ჩასახლებოდეს სულში ამ ტურფა საქსონელს.

- ჩემი ებრაელის სულს კი ალქაჯების მთელი გუნდი დაჰპატრონებია, - უთხრა ტაძრელმა, - აბა მარტო ერთი ალქაჯი, თვით აპოლონიც რომ გამოცხადებოდა, რას გახდებოდა, იმდენ სიამაყესა და სიმტკიცეს საიდან შთაბერავდა!.. მაგრამ ფრონ დე ბეფი რაღა იქნა? საყვირის ხმა სულ უფრო და უფრო მატულობს.

- ებრაელთან ექნება მოლაპარაკება გამართული, - უგულოდ მიუგო დე ბრასიმ, - ისააკის ჭყვიტინმა, ალბათ, საყვირის ხმაც ჩაახშო. გამოცდილებით გეცოდინება, სერ ბრიან, რომ როცა ებრაელი თავის განძს ეთხოვება, - ისეთ პირობებში, რასაც ახლა ფრონ დე ბეფი წაუყენებდა, - იმნაირი ღრიალი იცის, ბარე ოც საყვირსაც ჩაახშობს. მსახურები გავუგზავნოთ და დავაძახებინოთ.

ფრონ დე ბეფიც მალე მოვიდა. მკითხველმა უკვე იცის, რა საშინელი საქმე შეაწყვეტინეს მას, იქიდან გამოსული გზაზე ცოტათი შეყოვნებულიყო, საჭირო განკარგულებები მიეცა მსახურებისთვის.

- ვნახოთ ერთი, რა ჯანდაბა ღრიალი აუტყდათ, - თქვა ფრონ დე ბეფმა, - აგერ წერილი... თუ არ ვცდები, საქსონურად უნდა იყოს დაწერილი.

წერილს დახედა, დიდხანს ატრიალა ხელში - ხან წაღმა შეაბრუნა, ხან უკუღმა, თითქოს ქაღალდის ტრიალით ყოფილიყოს შესაძლებელი წერილის შინაარსის გაგება. მერე დე ბრასის გადასცა.

- ნეტა რა ჯადოსნური ნიშნები უნდა იყოს, - თქვა დე ბრასიმ, რომელიც იმდროინდელ რაინდთა მსგავსად სავსებით უვიცი იყო, - ერთი პირობა, ჩვენმა კაპელანმა სცადა წერა-კითხვა ესწავლებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა - სულ შუბების და ხმლებისნაირი ასოები გამოდიოდა; ბოლოს პირგაფხეკილი ბერიკაცი იძულებული გახდა თავი დაენებებინა.

- აქ მომეცი, - მიმართა ტაძრელმა, - ჩვენ იმით მაინც ვგავართ ბერებს, რომ ცოტა-ცოტას ვსწავლობთ, რათა ჩვენივე გმირობას მაინც მოვფინოთ შუქი.

- მაშ, ვისარგებლოთ შენი დიდად პატივცემული სწავლა-განათლებით, - უთხრა დე ბრასიმ, - რას ამბობს ეს ბარათი?

- ბრძოლაში გვიწვევენ, - მიუგო ტაძრელმა, - მაგრამ ბეთლემის ღვთიშობელს ვფიცავ, თუ ეს სულელური ხუმრობა არ არის, ამისთანა თავხედური გამოწვევა ჯერაც არავის შეუგზავნია ბარონის ციხე-სიმაგრეში.

- ხუმრობა! - იყვირა ფრონ დე ბეფმა, - ნეტა გამაგებინა, ვინ მიბედავს ასეთ ხუმრობას!.. წაიკითხე, სერ ბრიან.

ტაძრელმა წაიკითხა:

„მე, ვამბა, ძე უითლისა, მასხარა კეთილშობილი და ცნობილი კაცის სედრიკ როთერვუდელისა, რომელსაც საქსონელად მოიხსენებენ... და მე, გურთი, ძე ბეოვულფისა, მეღორე...

- ხომ არ გაგიჟდი! - გააწყვეტინა ფრონ დე ბეფმა.

- ასე წერია, წმიდა ლუკას გეფიცები, - მიუგო ტაძრელმა და განაგრძო: „მე გურთი, ძე ბოევულფისა, მეღორე ზემოხსენებული სედრიკისა, ჩვენს მოკავშირეებსა და თანამზრახველებთან ერთად, რომლებიც ამ ბრძოლაში მხარში გვიდგანან და რომლებიც არიან: მამაცი რაინდი, ამჟამად „შავ ზარმაცად“ წოდებული, და უშიშარი იომენი ლოკსლი,

„ქარისმპობად“ წოდებული, მოგმართავთ თქვენ - რეჯინალდ ფრონ დე ბეფსა და მის მოკავშირეებსა და ამფსონებს, - ვინც არ უნდა იყოს, - რომ, რაკი ომის გამოუცხადებლადა და უმიზეზოდ, გაიძვერობითა და ცუდკაცობით შეგიპყრიათ ჩვენი ბატონისა და მბრძანებლის, ხსენებული სედრიკის დიდებულება, ხოლო მასთან ერთად კეთილშობილი და გამოჩინებული ქალბატონი როენა ჰარგოტსტანდსტიდელი; ხოლო კიდევ, კეთილშობილი და გამოჩინებული ბატონი ათელსტან კონინგსბურგელი; ხოლო კიდევ რამდენიმე მათი მხლებელი; ხოლო კიდევ მათივე მსახურნი და მონანი; ხოლო კიდევ ვიღაც ებრაელი, ისააკ იორკელად წოდებული, თავის ებრაელ ქალითურთ, და კიდევ რამდენიმე ცხენი და ჯორი; ხოლო ხსენებული კეთილშობილი ბატონები, თავიანთი მხლებლებითა და მსახურებით, ცხენებითა და ჯორებით, და მათთან ერთად ებრაელებითურთ, მშვიდობიანად და პატიოსნად მიედინებოდნენ სამეფო გზაზე, არეფერს უშავებდნენ მის უდიდებულესობას - ხელწიფეს, როგორც ჭეშმარიტ ქვეშევრდომთ შეეფერება; ამის გამო ჩვენ გთხოვთ და მოვითხოვთ, რათა ხსენებული კეთილშობილნი, სახელდობრ სედრიკ როთერვუდელი, როენა ჰარგოტსტანსტიდელი, ათელსტან კონინგსბურგელი, მსახურებითურთ, მთელი ქონებით და ავლა-

დიდებით, ამ წერილის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი საათისა გადმოგ-ვცემთ ჩვენ, ან იმათ, ვისზედაც ჩვენ მიგითითებთ, და არცა არა დაუშავდეთ ხსენებულ პირთ და არცა რა დააკლდეს მათ ქონებას; უარს თუ გაბედავთ, პირდაპირ გიცხადებთ, რომ მიგიჩნევთ მძარცველებადა და მოღალატე-ებად, გამოგიწვევთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ალყას შემოგარ-ტყამთ და ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ დაგაქციოთ და

დაგანგრიოთ. ღმერთმა შეიწყალოს სული თქვენი... დაწერილია ჩვენ მიერ ვითოლდობის წინა დღეს, დიდი მუხის ქვეშ ჰარტჰილის გზაზე, ხოლო დაწერა მსახურმან ღვთისამ, მარიამ ღვთიშობლისამ და წმიდა დუნსტანი-სამ, თავად წმიდა კაცმან, კოპმანჰერსტის ტაძრის დიაკვანმან“.

ქვეშ სასაცილო ხაზებით იყო მიხატიული მაღალბიბილოიანი მამლის თავი და ეწერა, რომ ეს იყო ვამბას, უითლის ძის ღერბი; ამ პატივსაცემი ღერბის ქვეშ ჯვარი ეხატა, როგორც გურთის, ბევულფის ძის ხელისმოწე-რის ნიშანი. მერე მსხვილი ასოებით ეწერა - Le Noir Faineant“ - „შავი ზარ-მაცი“, სულ ბოლოში კი გვარიანად კოხტად იყო დახატული ისარი, რაც იო-მენ ლოკსლის ხელისმოწერას აღნიშნავდა.

რაინდებმა ბოლომდე მოისმინეს ეს ახირებული წერილი და გაოგნებუ-ლებმა ერთმანეთს უხმოდ გადახედეს, ვერ მიმხვდარიყვნენ, რას მოასწა-ვებდა ეს. სიჩუმე პირველად დე ბრასიმ დაარღვია - ხარხარი აუტყდა. მალე ტაძრელმაც ბანი მისცა, ოღონდ ცოტა უფრო თავშეკავებულად იცინოდა. ფრონ დე ბეფს, პირიქით, გულიც კი მოუვიდა მეგობრების მხიარულებაზე.

- მე თქვენ გაფრთხილებთ, ბატონებო, - თქვა მან, - ამ უადგილო მხი-არულებას ის გირჩევნიათ, დაფიქრდეთ და კარგად აწონ-დაწონოთ საქმე.

- ფრონ დე ბეფს ჯერაც ვერ მოუნელებია, იმ დღეს ცხენიდან რომ ჩამო-აგდეს, - გადაულაპარაკა დე ბრასიმ ტაძრელ რაინდს, - ყოველგვარი გა-მოწვევა თავგზას უკარგავს - სულ ერთია, თუნდა მასხარისა და მეღორისა იყოს.

- ისე, წმიდა მიქელის მადლმა, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - ახი კი იქნე-ბოდა თქვენს თავზე გადაევლო მთელს ამ დავიდარაბას, დე ბრასი. ძლი-ერი ხალხი რომ არ უმაგრებდეს ზურგს, ეს ვაჟბატონები რას გაბედავდნენ ასეთი თავხედური წერილის მოწერას. ეს ტყე ხომ ყაჩაღებითაა გამოტენი-ლი, და განაწყენებული ბრძანდებიან ჩემზე, ნადირის ხოცვას რომ ვუშლი; ერთ ყმაწვილს წავასწარი ამას წინათ, ხელები ჯერ ისევ სისხლში ჰქონდა

ამოსვრილი, მაშინვე გარეული ირმის რქაზე გავაკვრევინე, და ხუთ წუთში სულ დალეწა; მას აქეთ რამდენჯერ მესროლეს ისარი, თითქოს აშბის სანიშნე სვეტი ვიყო. ჰეი, ბიჭო, - მიმართა მან ერთ-ერთ მხლებელს, - არავინ გაუგზავნე, რომ ენახათ მაინც, რა ხალხი ახლავს ამ დიდებული წერილის გამომგზავნ ვაჟბატონებს?

- სულ ცოტა ორასი კაცი იქნება. ტყეში დგანან.

- დიდებულად ყოფილა საქმე! - თქვა ფრონ დე ბეფმა, - ასე იცის, სხვას რომ დაუთმობ საკუთარ ციხე-დარბაზს! უალიაქოთოდ ვერ გაგირიგებიათ საქმე, და კრაზანების მთელი გუნდი მე უნდა დამახვიოთ.

- კრაზანები?! - მიუგო დე ბრასიმ, - უნესტარო ბუზანკალები რომ თქვა, უფრო მართალი იქნება. უქნარა არამზადების ხროვა! ლუკმა-ჰურის საშოვნელად ხელის განძრევა ეზარებათ, და ტყეში უწყინარ ირმებსა ჟლეტენ.

- უნესტარო! - შესძახა ფრონ დე ბეფმა, - ნესტარი აქვთ და მერე რა ნესტარი - მკლავის სიგრძე! ფრანგულ მონეტასაც კი შუაზე გააპობს!

- გრცხვენოდეს, ბატონო რაინდო! - უთხრა ტაძრელმა, - შევყაროთ ჩვენი ხალხი და შევუტიოთ. თითო რაინდი... თუმცა რის რაინდი, თითო შეიარაღებული კაცი ოც მაგისთანა გლეხაჭუას გაუმკლავდება.

- მეტიც მოუვა, - მიუგო დე ბრასიმ, - ოღონდ ეს არის, რომ მაგათ წინააღმდეგ შუბით გასვლისა შემრცხვება.

- მართალია, - თქვა ფრონ დე ბეფმა, - მართლაც ასე იქნებოდა, ეგენი რომ თურქები იყვნენ ან მავრები, ბატონო ტაძრელო რაინდო, ან არადა ლაჩარი ფრანგი გლეხები, უმამაცესო დე ბრასი; მაგრამ ეგენი ხომ ინგლისელი იომენები არიან, მაგათ ვერაფრით ვერა ვჭობნით, გარდა იმისა, რომ ჩვენ თავიდან ფეხებამდე იარაღში ვართ ჩასმული და კარგ ბედაურზედაც ვსხედვართ.

ტყის ბილიკებზე კი ეს უპირატესობა ჩვენ ვერაფერ ხეირს ვერ დაგვაყრის. შევუტიოთო, თქვენ ამბობთ? რანაირად? ჩვენი ხალხი ციხის დასაცავადაც კი არ კმარა. ჩემი საუკეთესო მებრძოლები იორკში არიან; შენი რაზმიც იქ არის, დე ბრასი. აქ ოცი კაცი ძლივს მომიგროვდება, იმ რამდენიმე მებრძოლს გარდა, რომელთაც ამ გიჟურ საქმეში მიიღეს მონაწილეობა.

- შენ იქნებ იმის შიში გაქვს, ტყეში შეგროვილმა ხალხმა ციხეს არ შემოუტიოსო?! - უთხრა ტაძრელმა რაინდმა.

- არა, სერ ბრიან, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - მამაცი მეთაური კი ჰყავთ მაგ ყაჩაღებს, მაგრამ გადასაბმელი კიბეები არა აქვთ, არც მანქანები, უამათოდ ციხეს ვერაფერს მოუხერხებენ. თან, ციხის აღებას გამოცდილებაც უნდა.

- მეზობლებთან აფრინე ხალხი, - მიმართა ტაძრელმა რაინდმა, - სთხოვე, ჯარი მოგვაშველონ და რეჯინალდ ფრონ დე ბეფის საბარონო ციხეში მასხარისა და მეღორისაგან ალყაშემორტყმული სამი რაინდი გამოიხსნან!

- შენ ხუმრობ, ბატონო რაინდო, - მიუგო ბარონმა, - მაგრამ ვის უნდა გავუგზავნოთ ხალხი?.. მალვუაზენი ახლა იორკს იქნება თავისი რაზმით, სხვა მოკავშირეებიც იქ იქნებიან... მეც იქ ვიქნებოდი, ამ ოხერ საქმეში რომ არ გავბმულიყავი.

- მაშ, იორკში გაგზავნე და ჩვენი ხალხი დაიბარე, - უთხრა დე ბრასიმ, - თუ ჩემი გაშლილი დროშის დანახვაზე არ გაიფანტონ, ან ჩემს ჯარისკაცებს თუ დაუდგნენ პირისპირ, მზადა ვარ ვაღიარო, რომ მაგათზე მამაც ყაჩაღებს ჯერაც არ მოუზიდავთ მშვილდი გრინვუდის ტყეში.

- ეგ ბრძანება ვიღამ უნდა წაიღოს? - თქვა ფრონ დე ბეფმა, - ყველა ბილიკი შეკრული ექნებათ. დაიჭერენ შიკრიკს და უბეში წერილს ამოაცლიან... მაგრამ იცი რა ვქნათ... - დასძინა მან მცირე ჩაფიქრების შემდეგ, - ბატონო ტაძრელო, შენ ხომ წერაც კარგად იცი!.. საწერ-კალამი თუ მოვძებნეთ..., ჩემს კაპელანს ჰქონდა სადღაც, მაგრამ თვითონ შობის დღეებში ლოთობას გადაჰყვა...

- მომიტევე, ბატონო, მაგრამ საწერ-კალამი, მგონი, ურფრიდმა შეინახა თავისი მოძღვრის სიყვარულით, - შეჰკადრა მხლებელმა, რომელიც იქვე იდგა, - მაგის შემდეგო, იძახის, კაცს აღარ შევხვედრივარ, რომ მანდილოსნების საკადრისი სიტყვა-პასუხი ჰქონდესო.

- მაშ წადი და მომიძებნე, ენგელრედ, - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - შენ კი, ბატონო ტაძრელო, საკადრისი პასუხი მისწერე მაგ თავხედურ გამოწვევაზე.

- მე რომ მკითხო, ხმლის წვერით მივწერდი და არა კალმით, - მიუგო ბუა გილბერმა, - მაგრამ როგორც გენებოთ.

მაგიდას მიუჯდა და აი ეს წერილი დაწერა ფრანგულად:

„სერ რეჯინალდ ფრონ დე ბეფი და მისი მოკავშირე და თანამზრახველი კეთილშობილი რაინდები მონებთან, ყურმოჭრილ ყმებთან და ყაჩაღებთან საბრძოლველად ხელს არ გაისვრიან. თუ ის პირი, რომელიც „ შავ რაინდს“

უწოდებს თავს, მართლაც რაინდთა წოდებას ეკუთვნის, კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამნაირ ხალხში გარევით თავს იმცირებს და უფლება არ აქვს, კეთილშობილი რაინდები გაიწვიოს ბრძოლაში. რაც შეეხება ტყვეებს - ქრისტიანული გულმოწყალება გვავალებს გთხოვოთ, რომ საზიარებლადა და ღმეთისათვის შესავედრებლად სამღვდელო პირი გამოგვიგზავნოთ, რადგან მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დღეს შუადღემდე ამოვხოცოთ ისინი და თავები ციხის ქონგურებზე გამოვკიდოთ, რათა ყველამ ნახოს, თუ რა ანგარიში გავუწიეთ მათ მოსარჩლეებს. ამიტომ, გიმეორებთ, უკანასკნელი სამსახური გაუწიეთ და მოძღვარი გამოუგზავნეთ, რათა ღმერთს შეავედროს ისინი“.

წერილი დაკეცეს და მსახურს გაატანეს შიკრიკთან, რომელიც ალაყაფის კარებთან იდგა და პასუხს ელოდა.

იომენი მოკავშირეთა მთავარ ბანაკში დაბრუნდა, ციხე-დარბაზიდან ასე სამი ისრის მანძილზე, დიდი მუხის ქვეშ. ვამბა, გურთი და მათი მოკავშირეები - „შავი რაინდი“, ლოკსლი და მხიარული

მეუდაბნოე მოუთმენლად მოელოდნენ წერილის პასუხს. შორიახლო მოჩანდა დიდი ჯგუფი მამაცი იომენებისა, რომელთა მწვანე სამოსი და მზით დამწვარი სახეები თავისთავად მეტყველებდნენ, თუ რა ხელობისანი უნდა ყოფილიყვნენ ისინი. უკვე ორასზე მეტ კაცს მოეყარა თავი და კიდევ ემატებოდნენ. მეთაურები იმით განსხვავდებოდნენ უბრალო მეომრებისაგან, რომ ქუდში ფრთა გაერჭოთ - ტანსაცმელი, იარაღი და აღჭურვილობა ყველას ერთნაირი ჰქონდა.

ამას გარდა, თავი მოეყარა აგრეთვე უფრო ცუდად შეიარაღებულ საქსონელებს, რომლებიც ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსულიყვნენ და უწესრიგოდ ირეოდნენ. აქვე იყვნენ სედრიკის ყმები და ქვეშევრდომები, რომლებიც ბატონოს გამოსახსნელად მოსულიყვნენ. მათგან, სულ რამდენიმე კაცი თუ იყო ასე თუ ისე ხეირიანად შეიარაღებული, უმრავლესობას კი ისეთი ჟანგიანი იარაღი ეკიდა, რასაც დიდი გაჭირვების დროს თუ გამოიყენებს საომრად კაცი: შურდულები, ცელები, ჯაჭვის საცეხვავები და ამისთანა რაღაცეები. ნორმანები, ყველა დამპყრობის მსგავსად, ნებას არ აძლევდნენ დაპყრობილ საქსონებს ხმალი და შუბი ეტარებინათ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქსონელების ალყისა იმდენად არ ეშინოდათ, თორემ ისე ჩასხმული ბიჭები იყვნენ, ღონივრები, თან ბლომადაც, ამას გარდა, რაკი

სამართლიან ბრძოლაში მიდიოდნენ, მეტადაც იყვნენ აღფრთოვანებულნი. სწორედ ამ აჭრელებული ჯარის მეთაურებს მიუტანეს ტაძრელი რაინდის წერილი.

პირველად მეუდაბნოეს გადასცეს წერილი და წაიკითხეო, სთხოვეს.

- წმიდა დუნსტანის კვერთხის მადლმა, - თქვა ღირსეულმა ბერმა, - ამ კვერთხით კი იმდენი სული ჰყავს შეყრილი სამოთხეში, რამდენიც ვერც ერთ წმინდანს ვერ მოუხერხებია, - ჰოდა, წმიდა დუნსტანის მადლმა-მეთქი, არა თუ ვერ წავიკითხავ ამ ნაჯღაბნს, ისიც კი არ ვიცი, ფრანგილად არის დაწერილი თუ არაბულად.

ადგა და გურთს გადასცა წერილი, გურთმა თავი გაბრაზებით გააქნია და ვამბას გადააწოდა. ვამბამ გულმოდგინედ დაათვალიერა წერილის ოთხივე კუთხე, მერე ეშმაკურად გაიჭყანა მაიმუნივით, ერთი ჩამოუარა და ლოკსლის გადასცა.

- გრძელი ასოები რომ მშვილდებად აქცია, ხოლო მოკლეები - ისრებად, მაშინ იქნება გამეგო რამე, - თქვა მამაცმა იომენმა, - ახლა ისე არ მესმის ამისა არაფერი, როგორც თორმეტი მილის მანძილზე მობალახე ირემს ვერ მოვახვედრებ ისარს.

- მაშ მე გაგიწევთ მდივნობას, - თქვა შავმა რიანდმა, ლოკსლის წერილი გამოართვა, ჩუმად წაიკითხა და თანამებრძოლებს შინაარსი საქსონურად გადასცა.

- კეთილშობილი სედრიკი უნდა მოვკლაო! - შეჰყვირა ვამბამ, - წმიდა ჯვრის მადლმა, რაღაც გეშლება, ბატონო რაინდო.

- არა, არ მეშლება, ჩემო ღირსეულო მეგობარო, - მიუგო რაინდმსა, - მე ის გითხარით, რაც აქა წერია.

- მაშ, წმიდა თომას კენტერბერელს ვფიცავ, ციხე უნდა ავიღოთ, თუნდაც ხელებით მოგვიხდეს ქვა-ქვად დაშლა.

- მაინც ასე მოგვიწევს, - თქვა ვამბამ, - ხელით უნდა დავანგრიოთ, მაგრამ ვაი რომ ჩემი ხელები ჩაკირული ქვების სანგევად არ გამოდგება.

- ეს მაგათი ხრიკებია, დროის მოგება სურთ, - თქვა ლოკსლიმ, - ისეთ რამეს ვერ გაბედავენ, მერე რომ თავშისაცემად გახდეს.

- ნეტა ვინმე ჩვენგანი ციხეში შესვლას მოახერხებდეს, - თქვა შავმა რაინდმა, - გვენახა ერთი, შიგ რა ხდება. რაკი თვითონვე თხოულობენ მოძღვარს, მე მგონი კარგი იქნებოდა ჩვენი ღვთისმოსავი ბერი გაგვეგზავნა ამ

წმიდა საქმის შესასრულებლად, თან კი საჭირო ცნობებსაც შეგვატყობინებდა.

- ჭირი შენცა და შენ რჩევასაც! - შეუტია ღვთისმოსავმა ბერმა, - რამდენჯერ უნდა გითხრა, ბატონო ზარმაცო რაინდო, რომ როცა ანაფორას გავიხდი - ჩემი მღვდლობა, სიწმიდე და ლათინურიც კი

იმ ანაფორასთან ერთად მცილდება. მწვანე ჯუბას რომ ჩავიცვამ, მაინ ოცი ირმის მოკვლას უფრო ადვილად მოვახერხებ, ვიდრე ერთი ქრისტიანის ზიარებას.

- ვაი რომ, - თქვა შავმა რაინდმა, - სხვა არავინა გვყავს აქ ისეთი, მოძღრობა იკისროს.

ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ხმა არვის გაუღია.

- მე როგორც ვატყობ, - დაიწყო ვამბამ მცირე დუმილის შემდეგ, - სულელი მუდამ სულელად უნდა დარჩეს, და თავი იმ ყულფში გაჰყოს, საიდანაც ჭკვიანი ძლივს გამომძვრალა. უნდა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასო ძმებო და მეზობლებო, რომ მანამ ამ ჭრელა-ჭრულას ჩავიცვამდი, რუხი ანაფორა მეცვა და ბერობისათვის ვემზადებოდი. მაგრამ მოულოდნელად ტვინის ხურვებამ წამომიარა და იმდენი ჭკუაღა დამრჩა, რაც სულელს ეყოფა. ამ ჩვენი ძვირფასი ბერის ანაფორა რომ ჩავიცვა და მასთან ერთად ის სიწმინდე, მღვდლობა და ლათინურიც შემოვიხვიო, რაც კაპიუშონში ყოფილა ჩაკერებული, იმედი მაქვს, ჩემს ღირსეულ ბატონ სედრიკსა და მის უბედურ თანამგზავრებს ამქვეყნიურ ნუგეშსაც მოვუვლენ და იმქვეყნიურსაც.

- შენ რას იტყვი, გამოდგება ამ საქმისთვის? - ჰკითხა შავმა რაინდმა გურთს.

- რა მოგახსენო, - მიუგო გურთმა, - თუ მართლა არ გამოდგა, პირველი შემთხვევა იქნება, როცა მაგის ჭკუა მაგისავე სისულელეს ვერ დაიხსნის.

- მაშ, ჩაიცვი ანაფორა, კეთილო კაცო, -უთხრა რაინდმა, - და ბატონს უთხარი, ციხეში რა ხდება, ყველაფერი შეგატყობინოს. არა მგონია, ბევრი ხალხი ჰყავდეთ, და მოულოდნელ თავდასხმას ვერ გაუძლებენ. დრო აღარ ითმენს, გასწი.

- მანამდე კი, - თქვა ლოკსლიმ, - ისე შემოვეწყობით ციხეს, ბუზმაც ვერ მოახერხოს ამბის გატანა. ასე რომ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - მიმართა მან ვამბას, - იმ მტარვალებს გადაეცი, ტყვეების ხელის ხლება თუ გაბედეს, საკუთარი ტყავით ვაზღვევინებთ.

- Pax vobiscum[35]! - თქვა ბერის ანაფორაში გახვეულმა ვამბამ და ბერის დინჯი ნაბიჯით დავალების შესასრულებლად გაემართა.

თავი ოცდამეექვსე

ზოგჯერ ხდება - ფიცხი რაშიც
სასაცილოდ იწყებს თრევას,
ჯაგლაგი კი, თუ გამწარდა,
რაშზე უფრო გადირევა...
ბერიც ბევრჯერ მასხარობას
შეიფერებს უნდა როცა,
და მასხარაც ნელიკრინით
ცად აღავლენს ბერულ ლოცვას.
ძველებური სიმღერა

ბერის ანაფორასა და კაპიუშონში გახვეული მასხარა რეჯინალდ ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზს მიუახლოვდა და ალყაფის კარებთან შედგა; ანა-ფორაზე ალაგ-ალაგ გაკვანძული ბაწარი ჰქონდა შემოჭერილი, გუშაგმა ვი-ნაობა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა.

- Pax vobiscum! - მიუგო მასხარამ, - ერთი საწყალი ბერი ვარ, წმიდა ფრანცისკის ორდენისა; მოვსულვარ, რომ ციხეში გამომწყვდეულ უბედურ ტყვეებს ზიარება მივაღებინო.

- გულადი ბერი ყოფილხარ, - უთხრა გუშაგმა, - ისეთ ადგილას მოსვლა გაგიბედნია, საცა აგერ ოცი წელი იქნება, ჩვენი ლოთი კაპელანის გარდა, შენნაირ მამალს არ გაუჭაჭანებია.

- თუ ღმერთი გწამს, შედი და ბატონს ჩემი მოსვლის ამბავი მოახსენე, - მიუგო ცრუ ბერმა, - შენ არხეინად იყავი, გაუხარდება კიდეც ჩემი სტუმრობა და მამალიც ისე თავგამოდებით იყივლებს, რომ მთელ ციხეს გააყრუებს.

- დიდი მადლობელიც დაგირჩები, - უთხრა გუშაგმა, - მაგრამ, იცოდე, თუ შემახურეს, საგუშაგო რატომ მიგიტოვებიაო, ეგ რუხი ანაფორა ვეღარ დაგიფარავს, ბატივით გამოგჭრი ყელს.

ეს უთხრა, საგუშაგო ჯიხურიდან გამოვიდა და სეფე-დარბაზისკენ გაემართა, რათა ბატონისათვის მოეხსენებინა, რომ ჭიშკართან წმიდა ბერი იდგა და დაუყოვნებლივ შიგ შეშვებას თხოულობდა. სახტად დარჩა, როცა ბატონმა უბრძანა, ახლავე შემოუშვიო, და ბრძანების შესასრულებლად ხელადვე გამობრუნდა.

გიჟური თავდაჯერებულობა, რამაც ვამბას ასეთი სახიფათო საქმე აკისრებინა, თითქმის ერთიანად გამოუნელდა, როდესაც უცებ ისეთი საშინელი და მრისხანე კაცის წინაშე აღმოჩნდა, როგორიც ფრონ დე ბეფ იყო. თვით Pax vobiscum - იც კი, რაზედაც საერთოდ დიდ იმედებს

ამყარებდა, ისეთი თრთოლვითა და მღელვარებით წაიბუტბუტა, რომ ასე ძრწოლვით ჯერაც არავის წარმოუთქვამს ეს წმიდა სიტყვები. მაგრამ ფრონ დე ბეფის წინაშე ყველა რანგისა და წოდების ხალხი თრთოდა, ამას მიჩვეული იყო და ამიტომ ცრუ ბერის გაუბედაობა საეჭვოდ აღარ მოსჩვენებია.

- ვინა ხარ, მღვდელო? ან საიდან მოდიხარ? - ჰკითხა მან.

- Pax vobiscum, - გაიმეორა მასხარამ, - წმიდა ფრანცისკოს საწყალი მსახური ვარ; ამ ტყეებში დავეხეტებოდი და უცებ ყაჩაღების ხელში მოვხვდი, როგორც წმიდა წიგნი გვასწავლის quidam viator incidit in latrones[36]; ქურდებმა კი ამწიეს და ამ ციხეში გამომგზავნეს, რათა ზიარება მივაღებინო ორ კაცს, რომლებიც თქვენს პატივცემულ მართლმსაჯულებას სასიკვდილოდ გაუწირავს.

- კეთილი და პატიოსანი, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - ვერ მეტყვი წმიდა მამავ, რამდენი ყაჩაღი იქნება?

- მამაცო რაინდო, - შესძახა მასხარამ, - nomen illis legio[37]- მათი სახელი ლეგიონია.

- უბრალო სიტყვებით მითხარი, რამდენი იქნება, თორემ ვერც ეს შენი ანაფორა გიხსნის და ვერც ეს გაკვანძული ბაწარი.

- ვაგლახ! - შესძახა ცრუ ბერმა, - corneum eructavit[38], ესე იგი, შიშით ლამის სული გავაცხო. მაგრამ, მე მგონი, მთლიანად... იომენებიცა და უბრალო გლეხებიც... ხუთასი კაცი მაინც იქნება.

- რაო! - შეჰყვირა ტაძრელმა, რომელიც ის იყო, დარბაზში შემოვიდა, - კრაზანების მთელი გუნდი შეგროვილა! მაშ, დროა ერთიანად მოვსრათ. - მერე ფრონ დე ბეფს გადაულაპარაკა: - ამ მღვდელს თუ იცნობ?

- აქაური არ არის, შორეული მონასტრიდან ყოფილა.

- მაშ, ნუ ენდობი და რისი დაბარებაც გინდოდა, სიტყვებით ნუ გადასცემ, - უთხრა ტაძრელმა, - წერილობითი ბრძანება გაატანე დე ბრასის ჯარისკაცებთან, რათა სასწრაფოდ მოეშველონ თავიანთ ბატონს. მანამ დაწერდეთ, ბერმა რომ ეჭვი არ აიღოს, თავისუფლად შეუშვი სასაკლაოში საქსონელ ღორებთან.

- ასე ვიზამ, - მიუგო ფრონ დე ბეფმა და ვამბა ერთ-ერთ მსახურს გაატანა სედრიკისა და ათელსტანის ოთახში.

ოთახში გამომწყვდევამ სედრიკი კი არ დაამშვიდა, კიდევ უფრო ააფორიაქა. გამწარებით სცემდა ბოლთას ერთი კუთხიდან მეორემდე, და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს შეტევაზე მიდის მტრის გასარეკად, ან არა და ციხის კედელი უნდა გაანგრიოსო. ზოგჯერ თავისთვის შეჰყვირებდა, ხან ათელსტანსაც გადაუგდებდა სიტყვას; ათელსტანი კი განცხრომით ინელებდა სადილს, რაც მათ შუადღისას მოართვეს, და ის ამბავი, თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო მათი ტყვეობა, დიდად არ აწუხებდა. იცოდა, რომ ყველა სხვა მიწიერ ბოროტებათა მსგავსად, ამასაც ექნებოდა დასასრული.

- Pax vobiscum! - ოთახში შესვლისთანავე თქვა მასხარამ, - ღმერთმა წმიდა დუნსტანის, წმიდა დენისის, წმიდა დუთოკისა და ყველა სხვა წმიდანის ლოცვა და კურთხევა ნუ მოგაკლოთ.

- შემოდი, შემოდი, - მიმართა სედრიკმა ცრუ ბერს, - რისთვის მოსულხარ?

- სიკვდილის წინ ზიარება უნდა მიგაღებინოთ, - მიუგო მასხარამ.

- შეუძლებელია! - შეჰყვირა შეშინებულმა სედრიკმა, - ვიცი რა ბოროტებიც ბრძანდებიან, არც ღვთის შიში აქვთ, მაგრამ ასე გაუმართლებელ მტარვალობას მაინც ვერ გაბედავენ!

- ვაგალახ! - მიუგო მასხარამ, - გაცოფებულ ცხენს უფრო ადვილად დაააკავებ აბრეშუმის ძაფით, ვიდრე მაგათი გულის მოლბობას მოახერხებდე. ასე რომ, კარგად გაიხსენე, კეთილშობილო სედრიკ, და შენც, მამაცო ათელსტან, რა ხორციელი ცოდვები ჩაგიდენიათ, თორემ სულ ერთია - დღესვე უზენაესის წინაშე უნდა წარსდგეთ.

- გესმის, ათელსტან?! - მიმართა სედრიკმა, - ცოცხალი თავით არ უნდა დავნებდეთ - მონურ ცხოვრებას ვაჟკაცური სიკვდილი სჯობს.

- მე მზადა ვარ, - მიუგო ათელსტანმა, - მაგათი ბოროტების წინაშე წარბს არ შევიხრი და სასიკვდილოდაც ისე არხეინად გავსწევ, თითქოს დასანაყრებლად მივდიოდე.

- მაშ, მიგვაღებინე, ბერო, ზიარება, - უთხრა სედრიკმა.

- ცოტა მადროვე, ძია კაცო, - მიუგო მასხარამ თავისი ჩვეულებრივი ხმით, - სიბნელეში ჯერ კარგად უნდა მოსინჯო და მერე გადახტე.

- თავს გეფიცები, ეს ხმა მეცნობა, - შესძახა სედრიკმა.

- შენი ერთგული მონისა და მასხარის ხმაა, - მიუგო ვამბამ და კაპიუშონი გადაიძრო, - ადრევე რომ დაგეგდო ყური შენი მასხარისათვის, ამ დღეში არ ჩავარდებოდი. ახლა მაინც მოუსმინე და დიდხანს აღარ მოგიწევს აქ ყოფნა.

- მაინც როგორ? - ჩაეკითხა საქსონელი ბატონი.

- ისე, - მიუგო ვამბამ, - ეს ანაფორა ჩაიცვი, წელზე ბაწარი შემოირტყი და დინჯად გადი ციხიდან. მე კი შენი ქურთუკი და ქამარი დამიტოვე, რათა შენს მაგივრად, საცა საჭირო იქნება, მე ვიხტუნავო.

- ჩემს მაგივრად შენ დაგტოვო?! - იკითხა ვამბას განზრახვით გაკვირვებულმა სედრიკმა, - ხომ ჩამოგახრჩეს, ჩემო სულელო ვამბა?

- მოხდეს, რაც მოსახდენია, - თქვა ვამბამ, - იმედი მაქვს უითლის ძე ისევე დარბაისლურად ჩამოეკიდება ბაწარზე, როგორც მის წინაპარ ოლდერმანს ჯაჭვი ეკიდა კისერზე.

- მაშ, კარგი, ვამბა, - თქვა სედრიკმა, - თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით: ჩემს მაგივრად ლორდ ათელსტანს შეუცვალე ტანისამოსი.

- არა, წმიდა დუნსტანის მადლმა, ეგ არ მოხდება, - უპასუხა ვამბამ, - იმის საფუძველი კი არის, რომ უითლის ძემ ჰერვარდის მემკვიდრისათვის დასდოს თავი, მაგრამ ეს რა ჭკუა იქნება, ისეთი კაცისათვის გავიწირო, ვის მამასაც მამაჩემი სულაც არ იცნობდა.

- არამზადა! - შეუტია სედრიკმა, - ათელსტანის წინაპრები ინგლისის მეფეები იყვნენ.

- მე რაში მეკითხება, ვინ იყვნენ, - მიუგო ვამბამ, - ეს მოღერებული კისერი იმიტომ კი არ მადგას მხერბზე, რომ მაგათი წინაპრების გულისათვის მომიგრიხონ. ერთი სიტყვით, ჩემო ძირფასო ბატონო, ან შენ თვითონ ისარგებლე ჩემი სამსახურით, ანდა ნუღარ მაყოვნებ, როგორც მოვსულვარ, ისევე მშვიდობიანად გავიდე ამ ჯურღმულიდან.

- ბებერი ხე გახმეს თუ გახმება, - განაგრძობდა სედრიკი, - ოღონდ კი ნორჩმა იხაროს და ტყე გადარჩეს. ჩემო ერთგულო ვამბა, გადაარჩინე კეთილშობილი ათელსტანი! ვისაც ძარღვებში საქსონური სისხლი უდგას, ვალდებულია ათელსტანისთვის თავი გასწიროს. მე და შენ აქ დავრჩეთ და ერთად გადავიტანოთ გაცოფებული მტრის ძალმომრეობა, ათელსტანი კი მშვიდობიანად წავა, ჩვენს გამოღვიძებულ თანამემამულეებს აამხედრებს და ჩვენზე შურს იძიებს.

- არა, მამა სედრიკ, - თქვა ათელსტანმა და სედრიკს ხელი ჩამოართვა; როცა რამე შესძრავდა და

გონებას გაუხსნიდა, ათელსტანის ფიქრი და საქციელი ყოველთის მისივე მაღალი შთამომავლობის ღირსი იყო ხოლმე, - არა, მაგას არ ვიზამ. ის მირჩევნია მთელი ერთი კვირა უბადრუკი პატიმარივით ცარიელა პური ვლოღნო, ვიდრე იმ შემთხვევით ვისარგებლო, რაც ერთგული მსახურის გულკეთილობამ თავისი ბატონის აქედან თავდასაღწევად მოიფიქრა.

- თქვენ ჭკვიან ხალხს გეძახიან, ბატონებო, მე კი - გიჟსა და სულელს, - თქვა მასხარამ, - მაგრამ, ძია სედრიკ და ძმაო ათელსტან, დე ჩემმა სულელურმა სიტყვამ თქვენს დავას ბოლო მოუღოს და ზედმეტი პატიჟისაგან გიხსნათ. მე ისეთი ბედაური ვარ, რომ ზურგზე პატრონის გარდა არავის შევისვამ. ახლაც პატრონის დასახსნელად მოვსულვარ... თუ თვითონაც დამთანხმდება, ხომ კარგი, არადა - ბასტა! - ავდგები და შინ გავბრუნდები. ერ-

თგული სამსახური მაქო ან ბურთი ხომ არ არის, რომ ხელიდან ხელში გადავიდეს. ჩემი საკუთარი ბატონისთვის მზად ვარ თავი ყულფში გავყო, სხვისთვის - არავისთვის.

- წადი, კეთილშობილო სედრიკ, - უთხრა ათელსტანმა, - შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებ. შენ რომ დაგინახავენ, გარეთ მყოფი ჩვენი მეგობრებიც გულს მოიცემენ და უფრო ადვილად დაგვიხსნიან, შენი აქ დარჩენით კი ყველაფერი დაიღუპება.

- რაო, გარედან მართლა არის დახსნის იმედი? - ჰკითხა სედრიკმა მასხარას.

- მერე რა იმედი! - მიუგო ვამბამ, - ეს იცოდე, რომ ჩემი ანაფორის ჩაცმით, თუნდა სარდლის სამოსი ჩაგეცვას: ხუთასი კაცია მომდგარი ციხის კედლებთან; ამ დილას მე ერთ-ერთი მთავარი მეთაური ვიყავი. ჩემი ჩაჩი - მუზარადის მაგივრობასა სწევდა, ჩხარუნა კი - სარდლის კვერთხი გახლდა. ვნახოთ, რას მოიგებენ სულელის ჭკვიან კაცზე გაცვლით. ცოტა ის კი მაფიქრებს, ვიათუ სიბრძნის შემატებით წათამამებულებმა მამაცობა დაკარგონ. აბა, მშვიდობით, ბატონო, საბრალო გურთსა და მის ფენგს ნუ გაურისხდები, შეიწყალე. ჩემი მამლის ბიბილოიანი ჩაჩი როთერვუდის დარბაზში დაკიდე, იმის ნიშნად, რომ მე ჩემს ბატონს შევწირე თავი, როგორც შეეფერება ერთგულ... სულელს.

ბოლო სიტყვა ორაზროვნად გამოუვიდა - თითქოს ხუმრობითაც და სერიოზულადაც. სედრიკს თვალზე ცრემლი მოადგა.

- მანამ ქვეყნად ერთგულება და სიყვარული სუფევს, შენი სახელი დავიწყებას არ მიეცემა, - უთხრა სედრიკმა, - მაგრამ, მჯერა, გამოგიხსნით, როენასაც, შენც, ათელსტან, და შენც, ჩემო საბრალო ვამბა; ამის იმედი რომ არ მქონდეს, ვერც დამიყოლიებდი.

ტანსაცმელი რომ გაცვალეს, სედრიკს ახალი საჭოჭმანო გაუჩნდა.

- საქსონურს გარდა რომ არც ერთი ენა არ ვიცი! - თქვა მან, - მარტო ნორმანულად შემიძლია ორი ღერი სიტყვა ამოვღერღო. ღირსეულ მოძღვარს როგორღა წავბაძო?

- მთავარია, ორი სიტყვა დაიზეპირო, - მიუგო ვამბამ, - რაც არ უნდა გკითხონ, შენ pax vobiscum უპასუხე. შეხვალ - pax vobiscum, გამოხვალ - pax vobiscum, დალევ - pax vobiscum, ჭამ - pax vobiscum, დალოცავ თუ

დაწყევლი ვინმეს - სულ pax vobiscum უნდა იძახო. მეტი არაფერი არ დაგ-ჭირდება. ოღონდ ყრუდ წარმოთქვი, ბუხუნით და დინჯად - pax vobiscum. ეს სიტყვები ყველაზე ჭრის - გუშაგი იქნება, მეკარე, რაინდი თუ საჭურველ-თმტვირთველი, ქვეითი თუ მხედარი. ის კი არადა, ხვალ ჩამოსახრჩობად თუ გამიყვანეს, - თუმც კი მეეჭვება, რომ ეს მოახერხონ, - უსათუოდ ამ სიტ-ყვების ძალას გამოვცდი ჯალათზე.

- მეტი თუ არაფერი უნდა, - თქვა სედრიკმა, - გავმხდარვარ ბერი და ეგ არის. Pax vobiscum, არა მგონია, დამავიწყდეს. მშვიდობით, კეთილშობი-ლო ათელსტან... შენც გემშვიდობები, ჩემო საბრალო ბიჭუნი, გული ისეთი გაქვს, ბევრი შენზე ჭკვიანიც ინატრებდა... ან დაგიხსნით, ან დავბრუნდები და მეც თქვენთან ერთად სამეფო სისხლის დაღვრას არავის გავაბედინებ... ჩემს კეთილ მსახურსაც თმის ერთ ბეწვს ვერ დააკლებენ; თუკი მან გასწირა თავი ბატონისთვის, მეც ან მოვკვდები, ან გამოვიხსნი... მშვიდობით

- მშვიდობით კეთიშობილო სედრიკ, - უთხრა ათელსტანმა, - არ დაგა-ვიწყდეს, რომ ბერი თავის დღეში საჭმელზე უარს არ იტყვის; თუ მიგიპატი-ჟეს, ბერობას არ უღალატო.

- მშვიდობით, ძია, - ვამბაც გამოემშვიდობა, - Pax vobiscum არ დაგა-ვიწყდეს!

ასე დაარიგეს და გაისტუმრეს. მალევე გამოსცადა მასხარას ნასწავლე-ბი ყოვლისშემძლე სიტყვების ძალა. დაბალთაღიან, ჩაბნელებულ დერე-ფანში რომ გადიოდა, მანამ სეფე-დარბაზში შევიდოდა, ვიღაც ქალი გადაე-ღობა.

- Pax vobiscum! – მიმართა ცრუ ბერმა და გზის განგრძობა სცადა, მაგ-რამ ქალის ნაზი ხმა გამოელეპარაკა.

- Et vobis – queso, domine reverendisime, pro misericordia vestra[39].

- ცოტათი ყურს მაკლია, - მიუგო სედრიკმა საქსონურად და თავისთვის ჩაიდუდღუნა: - ღმერთმა შეაჩვენოს მასხარაცა და მისი pax vobiscum -იც. პირველივე ტყორცნაზე არ ავაცდინე!

მაგრამ იმხანად ბერების დაყრუება ლათინურის მიმართ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და ქალმაც კარგად იცოდა ეს.

- მოწყალება მოიღე, ღირსეულო მამაო და ერთი დაჭრილი ტყვე მო-ინახულე, - მიმართა ქალმა საქსონურადვე, - ნუგეში ეცი და გაამხნევე, რო-გორც წმიდა მოვალეობა მოგიწოდებს. მასზედაც მოიღე მოწყალება და

ჩვენზედაც... სამაგიეროდ, თავის დღეში რომ არ მოსწრებია, ისეთ საზღაურს მიიღებს თქვენი მონასტერი.

- ჩემო ასულო, - დაბნეულად უპასუხა სედრიკმა, - როდიღა მაქვს იმდენი დრო, რომ ამ ციხეში დავრჩე და ჩემი მოვალეობა შევასრულო... ახლავე უნდა გავემგზავრო... მრავალი ადამიანის ყოფნა-არყოფნაა ჩემს წასვლაზე დამოკიდებული.

- ნუ, წმიდა მამავ, განწირულ კაცს უნუგეშოდ ნუ დაგვიტოვებ, - უთხრა ქალმა, - შენს აღთქმას გაფიცებ, მოხვიდე და გაამხნევო.

- ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი!.. - გაგულისებით წამოიძახა სედრიკმა, და ალბათ კიდევ მოაყოლებდა ამგვარსავე სიტყვებს, მისი ბერული ანაფორისათვის სავსებით შეუფერებელს, რომ უცებ კოშკის მოხუც ბინადარს ურფრიდს არ შეეწყვეტინებინა თავისი ჩახრინწული ხმით.

- ეს რა ამბავია, ტურფა ქალო, - მიმართა მან ახალგაზრდა ქალს, - სიკეთეს ასე მიხდი, ზემო საკნიდან ჩამოსვლის ნება რომ დაგრთე?! წმიდა მოძღვარს აიძულებ, უღირსი სიტყვები ათქმევინო, რათა როგორმე ებრაელი ჩამოგიშოროს გზიდან?

- ებრაელი! - შეჰყვირა სედრიკმა და გადაწყვიტა ამ შემთხვევით ესარგებლა, როგორმე ორივეს გასცლოდა, - გამიშვი, დედაკაცო! ნუ მაკავებ... ეს არის წმიდა საქმე შევასრულე და არ მინდა შევიმწიკვლო.

- აქეთ მობრძანდი, მამაო, - უთხრა დედაბერმა, - უცხო კაცი ხარ და ამ ციხეში გზას ვერ გაიგნებ. აქეთ მომყევით, რაღაც უნდა გითხრა... შენ კი, დაწყევლილი ხალხის შვილო, მანამ დავბრუნდებოდე, ავადმყოფს მიხედე... ვაი შენი ბრალი, კიდევ თუ გაბედე უნებართვოდ გამოსვლა.

რებეკა წავიდა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ურფრიდმა იგი კოშკის საკნიდან გამოიყვანა და დაჭრილ აივენჰოს მიუჩინა მომვლელად. რებეკასაც ეს უნდოდა. ქალი გრძნობდა, რა განსაცდელშიაც იყვნენ ჩავარდნილნი და ტყვეების დასახსნელად უბრალო შენთხვევასაც კი ხელიდან არ უშვებდა. ურფრიდმა რომ უთხრა, ამ დაწყევლილ ციხეში ბერი გამოჩენილაო, იმედი მიეცა, იქნებ მისი შემწეობით გავხდა რამესო. დერეფანში ელოდებოდა იმ ცრუ ბერს, რათა ტყვეები შეებრალებინა. მაგრამ მკითხველმა უკვე ნახა, როგორ წყალში ჩაეყარა ყველაფერი.

თავი ოცდამეშვიდე

რა უნდა გითხრა, შე საცოდავო,
ბილწი შერცხვენის და ცოდვის მეტი,
ხომ ვიცით, რაც ხარ... მაინც დაროშე,
თუმც უკვე უწყი, რას გაძლევს ბედი.
. . . . . .
მე სულ სხვა რამე მაწუხებს,
გულს სხვა ნაღველი ედება...
სულის სიმშვიდე მაღირსეთ
და მომისმინეთ ვედრება.
მეგობრობას ვერ გამიწევთ,
ამ მოწყალებას არც ველი...
თქვენ მხოლოდ ყური მათხოვეთ
და მათქმევინეთ სათქმელი.
კრაბე - „სამსჯავრო დარბაზი“

ასეთი მუქარითა და ბაქიბუქით გააგდო ურფრიდმა რებეკა, თვითონ კი ძალათი შეათრია სედრიკი ერთ პატარა ოთახში და კარები საგულდაგულოდ ჩაკეტა. მერე განჯინიდან ღვინო და ორი ჯამი გამოიღო, მაგიდაზე დააწყო და ბერს მიმართა - არა კითხვით, არემედ უფრო დარწმუნებული ადამიანის კილოთი.

- შენ ხომ საქსონელი ხარ, მამაო... მართალი მითხარი, - დასძინა მან, რა შეატყო სედრიკი პასუხის გაცემას არ ჩქარობდა, - ჩემს საქსონურს რომ გავიგონებ, ყურს ტკბილად მოესალბუნება, თუმცა კი იშვიათად კი ვისმენ. მარტო გაუბედურებული და დაჩაჩანაკებული მონები ლაპარაკობენ ხოლმე, რომელთაც ეს გაბღენძილი ნორმანები ყველაზე უფრო ბინძურ საქმეს აკეთებინებენ ამ ციხეში. შენ საქსონელი ხარ, მამაო... ნამდვილი საქსონელი და თავისუფალი კაციც ჩანხარ, თუმც კი ღმერთს ემსახურები... ყურთასმენა დამიტკბო შენმა ხმამ.

- მაშ საქსონელი მღვდლები არ მოდიან აქა? - ჰკითხა სედრიკმა, - მე კი მგონია, მათი მოვალეობა სწორედ ის არის, ამ ქვეყნის გაჭირვებულსა და შევიწროებულ შვილებსა სცენ ნუგეში.

- არ მოდიან... თუ ვინმე გამოჩნდება, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დამპყრობელს მოუჯდეს სუფრაზე, უბედურ თანამემამულეთა კვნესის მოსმენა კი არ უყვართ, - მიუგო ურფრიდმა, - ყოველ შემთხვევაში, მე ასე გამიგონია... მე პირადად თითქმის ვერავის ვხვდები. ათი წელიწადი

სრულდება, ამ ციხე-დარბაზში მღვდელს არ გაუჭაჭანია, გარდა ერთი გარყვნილი ნორმანი კაპელანისა, რომელიც რეჯინალდ ფრონ დე ბეფთან ლოთობდა ხოლმე ღამღამობით... მაგრამ ისიც დიდი ხანია იმქვეყნად გაემგზავრა, უკვე ჩააბარა ღმერთს თავისი მოძღვრობის ამბები... არა, შენ საქსონელი ხარ, საქსონელი მღვდელი, და ერთი რაიმე უნდა გკითხო.

- მართლაც საქსონელი გახლავარ, - მიუგო სედრიკმა, - მაგრამ, მართალი თუ გინდა, იმისი ღირსი კი არა ვარ, რომ მღვდელი მერქვას. ჩემს გზაზე გამიშვი... გეფიცები, ისევ დავბრუნდები, ან სხვა მღვდელს გამოგიგზავნი, ჩემზე უფრო ღირსეულს, და იმას გაანდე შენი აღსარება.

- ცოტა კიდევ დაიცადე, - უთხრა ურფრიდმა, - იმ ხმას, რასაც ახლა შენ ისმენ, მალე ცივი მიწა დაახშობს; თითქმის მთელი სიცოცხლე პირუტყვივით გამიტარებია და არ მინდა, რომ სამარეშიაც პირუტყვივით ჩავიდე... ისევ ღვინო თუ მომცემს ძალას, რომ ჩემი საშინელი თვგადასავალი გიამბო.

ჯამი შეავსო და ხარბად გამოსცალა, თითქოს ეშინია, ერთი წვეთიც არ ჩარჩესო.

- მაბრუებს ხოლმე, გამხნევება უკვე აღარ შეუძლია, - თქვა მან და თვალები მაღლა აღაპყრო, - შენც დალიე, მამაო, თორემ, ჩემი ამბის მოსმენაზე, ვაითუ გონი დაკარგო და ძირს დავარდე!

სედრიკი სიამოვნებით იტყოდა უარს ასეთ ავისმომასწავებელ მიპატიჟებაზე, მაგრამ დედაბერმა ისეთი განწირული და არეული თვალები შეანათა, რომ მაშინვე დათანხმდა - თასი აიღო და გამოცალა. ამით თითქოს ქალიც უფრო დაამშიდა.

- ახლა რომ მხედავ, ასეთი უბადრუკი კი არ დავბადებულვარ, მამაო, - დაიწყო მან, - თავისუფალი ვიყავი, ბედნიერი, პატივცემული. მეც მიყვარდა და სხვასაც ვუყვარდი. ახლა რაღა ვარ - დამცირებული და დაგლახაკებული მონა: მანამ ლამაზი ვიყავი, ბატონმა თავისი ვნებების სათამაშოდ გამიხადა; სილამაზე რომ დავკარგე - თანდათანობით ამითვალისწუნეს, შემიზიზღეს და შემიძულეს. რაღა გასაკვირია, მამაო, რომ მეც მძულდეს მთელი ქვეყანა, განსაკუთრებით კი მათი სახსენებელი, ვინც ამ დღეში ჩამაგდო. დაჩაჩანაკებულსა და გაუბედურებულ დედაბერს, რომელსაც ბოღმის გასაქარვებლად უძლური წყევლის მეტი აღარაფერი შემრჩენია, რა დაავიწყებს, რომ ოდესღაც იგი ასული იყო ტორკილსტონის კეთილშობილი თენისა, ვის წინაშეც ათასობით ვასალები ცახცახებდნენ!

- შენ ტორკილ ვოლფგანგერის ქალი ხარ?! - უთხრა სედრიკმა და უკან დაიხია, - შენ... შენ... იმ კეთილშობილი საქსონელის ქალი... მამაჩემის დიდი მეგობრის და თანამებრძოლის...

- მამაშენის მეგობარი! - შესძახა ურფრიდმა, მაშ შენ, სედრიკ საქსონელი ყოფილხარ,

რადგან კეთილშობილ ჰერვარდ როთერვუდელს მის მეტი შვილი არ ჰყოლია. მთელს ინგლისშია გავარდნილი მისი სახელი. მაგრამ თუ მართლა სედრიკ როთერვუდელი ხარ, ეს ანაფორა რიღას მაქნისია?! ნუთუ შენც დაჰკარგე შენი ქვეყნის ხსნის იმედი და, განწირული, მონასტრის ჭერს აფარებ თავს!

- ვინც არ უნდა ვიყო, შენ შენი საშინელებისა და ცოდვების ამბავი გაანგრძე, უბედურო, - უთხრა სედრიკმა, - ცოდვა კი უსათუოდ გაწევს... ცოცხალი რომ გადარჩენილხარ და აგერ ამას მიამბობ, ესეც კი ცოდვაა.

- მართალი ხარ, ცოდვაა... ცოდვა, - მიუგო გაუბედურებულმა ქალმა, - საშინელი შავი, მომაკვდინებელი ცოდვა... ლოდივით მაწევს გულზე ეს ცოდვა... ჯოჯოხეთს ცეცხლიც ვერ წაშლის მას... დიახ, ამ დარბაზებში, მამაჩემისა და ჩემი ძმების წმიდა და კეთილშობილი სისხლით შეღებილ დარბაზებში... სწორედ ამ დარბაზებში- მეთქი, მე მათი მკვლელის ხასა შევიქენი... მისი ჟინის მონა და მონაწილე გავხდი... ყოველი ჩემი ამოსუნთქვა ცოდვა და კრულვა იყო...

- უბედურო დედაკაცო! - შესძახა სედრიკმა, - მამაშენის მეგობრები... ყველა ჭეშმარიტი საქსონელი, ღმერთს ავედრებდნენ მის სულს, მისი მამაცი შვილების სულს... იმ ლოცვაში არც მხეცურად მოკლულ ულრიკას მოხსენიება ავიწყდებოდათ... ყველანი ვგლოვობდით და თაყვანს

ვცემდით... შენ კი თურმე ცოცხალი იყავი და ჩვენს ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებდი... იმ ბილწ მტარვალთან ატარებდი დროს, ვინაც უახლოესი და უძვირფასესი ადამიანები გაგიჯლიტა... ვინაც უმწიკვლო ბალღების სისხლიც კი დაღვარა, რათა კეთილშობილ ტორკილ ვოლფგანგერს გვარის გამგრძელებელი არ დარჩენოდა. ამისთანა კაცთან ცხოვრობდი და უკანონო სიყვარულით ტკბებოდი!

- უკანონო კავშირით კი, მაგრამ უკანონო სიყვარულით არა! - მიუგო დედაბერმა, - უმალ ჯოჯოხეთში დაისადგურებს სიყვარული, ამ უწმინდურ თაღებქვეშ კი არასოდეს დაიდებს ბინას. არა, ამაში მაინც არა ვარ გასაკიცხი... საშინელი ცოდვის სარეცელზეც კი მე მთელის სულითა და გულით მძულდა ფრონ დე ბეფიცა და მთელი მისი მოდგმაც.

- გძულდა და მაინც ცხოვრობდი! - უთხრა სედრიკმა, - სულმდაბალო! ვეღარც ხანჯალი იშოვე... ვერც დანა... ვერც სხვა რამ იარაღი!.. ეტყობა, თვითონვე მოგწონდა ასეთი ცხოვრება. ბედი შენი, რომ ნორმანული ციხეების საიდუმლო სამარესავით არის და გარეთ არ გამოდის. ეჭვითაც რომ მცოდნოდა, ტორკილის ქალი ცოცხალია და მამის მკვლელს ხასად ჰყავს- მეთქი, ვერაფერი დამაკავებდა - ჭეშმარიტი საქსონელის ხმალი შენი საყვარლის მკლავებში მოქცეულსაც კი გიპოვნიდა.

- ნუთუ მართლა მიუზღავდი ასეთ სამართალს ტორკილის სახელს? - ჰკითხა ულრიკამ. ამიერიდან ჩვენც ულრიკა ვუწოდოთ, - მაშ მართალი ყოფილა, შენზე რომ ამბობდნენ, ნამდვილი საქსონელიაო. ამ დაწყევლილ კედლებშიაც კი, საცა, შენი არ იყოს, ყოველი დანაშაული იდუმალებით

იმოსება ხოლმე, აქაც კი შემოაღწია შენმა დიდებამ... ხომ ასეთი გაუბედურებული და გადაგვარებული ვარ, მეც კი სიხარულით ამიტოკდებოდა გული, როცა გავიფიქრებდი, რომ ქვეყნად კიდევ ცოცხლობდა კაცი, ვისაც შეეძლო ჩვენი უბედური ხალხისთვის ეძია შური და მტრის ჯავრი ამოეყარა... მეცა მქონია შურისძიების საათები... როცა შუღლს ჩამოვაგდებდი ხოლმე ჩვენს მტრებს შორის; ლოთობის დროს ერთმანეთს მივუსევდი და მათს სისხლისღვრას შევყურებდი... ბევრჯერ მომისმენია მათი სასიკვდილო გმინვა!.. აბა შემომხედე, სედრიკ, ნუთუ აღარაფერი შემორჩა ტორკილისა ამ დამჭკნარსა და შებილწულ სახეს?

- მაგას ნუ მკითხავ, ულრიკა, - მიუგო სედრიკმა ზიზღნარევი მწუხარებით, - მკვდრის სხეულში რომ ეშმაკი ჩასახლდება და ცხედარს სულს შთაბერავს, ისეთი მსგავსებაა ახლა თქვენს შორის.

- დე ასე იყოს! - შესძახა ულრიკამ, - შენ ის უნდა გენახა, რა ანგელოზის ნიღაბი ეკრა ამ ეშმაკის სახეს, როცა მოხუცი ფრონ დე ბეფი თავის შვილს - რეჯინალდს წავკიდე! ჯოჯოხეთის წყდიადი ფარავს, რაც მაშინ მოხდა, მაგრამ შურისძიებამ წამით მაინც ახადოს ბადე და განახვოს, რადა დგებიან მკვდრები სამარიდან და რად ბღავიან!.. დიდხანს ღვიოდა მტრობის ცეცხლი

მტარვალ მამასა და ველურ შვილს შორის... დიდხანს ვაღვივებდი ჩუმ-ჩუმად უბუნებო მძულვარებას... და ერთხელ, ლოთობის ჟამს იფეთქა ალმა და ღვიძლმა შვილმა სუფრას დააკლა მამა... რამდენ ამნაირ სადუმლოს ინახავს ეს კედლები!.. რატომ არ დაინგრევით, წყეულო თაღებო?! - შეჰყვირა მან და თვალები ზევით აღაპყრო, - ჩამოინგერით და ამ ჯოჯოხეთური საიდუმლოს ყველა მოწმე ქვეშ მოიყოლეთ!

- მერე, ცოდვილო და საბრალო არსებავ, - უთხრა სედრიკმა, - შენ რაღა მოგივიდა შენი შემბღალავის სიკვდილის შემდეგ?

- თვითონვე გამოიცანი, ნუ მკითხავ... აქ, აქა ვცხოვრობდი, მანამ უდროო სიბერემ თავისი დაღი არ დამასვა. ამას მოჰყვა ჩემი შეურაცხყოფა და შეზიზღება იმათგან, ვინც ადრე მორჩილებით მიხრიდა თავს. ადრე მე ვიყრიდი ჯავრს სხვებზე, შემდეგ კი თითონვე გავხდი წვრილმანი მითქმა-მოთქმისა და ღვარძლის მსხვერპლი, და გულს, უძლური დედაბრის დარად, წყევლითღა ვიოხებდი; ბედმა მარგუნა განმარტოებულ კოშკში გამოკეტილს მესმინა ლხინისა და ღრეობის ღრიანცელი, რაშიაც ადრე თვითონვე

ვიღებდი მონაწილეობას, მესმოდა ძალმომრეობის ახალ-ახალ მსხვერ-პლთა გმინვა და კივილი.

- ულრიკა, - უთხრა სედრიკმა, - ვატყობ, გულში ისევ მოსთქვამ იმ ძველი სიამის დაკარგვას, რაც

შენ ცოდვათა წილ მოგიზღეს; როგორღა ბედავ, რომ მაგისთანა გულის პატრონი მე მომმართავ, ამ წმიდა სამოსელში გახვეულ კაცს?! რატომ არ დაფიქრდები, უბედურო ქალო; თვით წმიდა ედუარდიც რომ გამოგცხადე-ბოდა, მკვდრეთით აღმდგარი, რისი გაკეთება შეეძლო შენთვის?! სამეფო მოძღვარს ღვთით ნიჭი ჰქონდა მიმადლებული ხორციელი წყლულები გა-ნეწმინდა სხეულისაგან, სულის კეთროვანების განკურნება კი ღმერთის მეტს არავის ძალუძს.

- ზურგს ნუ შემაქცევ, რისხვის შეუბრალებელო წინასწარმეტყველო, - შესძახა დედაბერმა, - თუ შეგიძლია, ამიხსენი, ეს ახალი და საშინელი ფიქ-რები, მარტოობისას რომ შემომეხვევიან ხოლმე, რას ნიშნავს?.. რატომ ხდება, რომ ძველისძველი საქმეები კვლავ ახალი და გადაულახავი საში-ნელებით აღიმართებიან ჩემ წინაშე? იმქვეყნად რას უნდა ელოდეს ქალი, რომელსაც აქ ღმერთმა ენით გამოუთქმელი ბოროტებათა გადატანა და-აკისრა? როგორ მოვიშორო ის საშინელი წინათგრძნობანი, რაც არც დღი-სით მაძლევს მოსვენებას და არც ღამით?.. იქნებ სჯობდეს ჩვენი მოუნათ-ლავი წინაპრების ღმერთებს - უოდენს, ჰერთას, ზერნებოკს, მისტასა და სკოგულას მივმართო?

- მე მღვდელი არა ვარ, - უთხრა სედრიკმა და ამ განწირულების, ცოდ-ვისა და წამების საშინელი სურათის ხილვაზე უკან დაიხია, - ანაფორა კი მაცვია, მაგრამ მღვდელი არა ვარ.

- მღვდელი ხარ თუ ერისკაცი, - უთხრა ულრიკამ, - ამ ოცი წლის განმავ-ლობაში მე შენს მეტს კაცს არ შევხვედრივარ, ღვთის შიში რომ ჰქონოდეს, ან ხალხს ადამიანურად მოპყრობოდეს... და შენც განწირულებას მირჩევ?

- მე მონანიებას გირჩევ, - მიუგო სედრიკმა, - ილოცე, მოინანიე და იქნებ შეისმინოს ღმერთმა შენი. მე კი აღარ შემიძლია და არცა მსურს შენთან დარჩენა.

- კიდევ ერთი წუთი! - შეემუდარა ულრიკა, - ასე ნუ მიმატოვებ, მამაჩემის მეგობრის შვილო, თორემ ვაითუ იმ დემონმა, რომელიც მთელს ჩემს ცხოვ-რებას წარმართავს, ახლაც მაცდუნოს და ასეთი ზიზღნარევი გულქვაობის

გამო შენზე შური მაძიებინოს... აბა ერთი დაფიქრდი; ფრონ დე ბეფმა რომ თავის ციხეში ასე გადაცმული სედრიკ საქსონელი იხილოს, რას იზამს?.. ისედაც გამწარებით გითვალთვალებს შორიდან, როგორც მიმინო - თავის მსხვერპლს.

- მერე რა მოხდა! - უპასუხა სედრიკმა, - სულ რომ დამჯიჯგნოს კლანჭებითა და ნისკარტით - რაც ჩემს გულს არ სურს, იმას მაინც ვერ მათქმევინებს. საქსონელი საქსონელადვე მოვკვდები - სიტყვით ალალი და საქმით პირდაპირი... გამეცალე!.. ხელს ნუ მახლებ, ნურც შემაჩერებ!.. თვით ფრონ დე ბეფის დანახვა არ აღმიძრავდა ასეთ ზიზღს, როგორც შენი - გადაგვარებულო და გათახსირებულო დედაკაცო!

- კარგი, აგრე იყოს, - უთხრა ულრიკამ და მეტად აღარც ცდილა მის შეჩერებას, - წადი, შენს გზას გაუყევი, მაგრამ ის კი არ დაივიწყოს შენმა ზვიადმა გულმა, რომ მე მამაშენის მეგობრის შვილი ვარ... წადი... თუ ჩემის წამებით მთელი კაცთა მოდგმისათვის უცხო შევიქენი... იმათთვისაც კი უცხო გავხდი, ვისი შემწეობის იმედი უნდა მქონოდა... სამაგიეროდ, ჩემი შურისძიებაც ისეთივე უცხო და უცნაური იქნება! არავისი შველა არა მჭირდება, მაგრამ რასაც მე გავბედავ და გავაკეთებ, იმას მთელი ქვეყანა გაიგებს!.. მშვიდობით!.. შენმა ზიზღმა ის უკანასკნელი ძაფიც გასწყვიტა, რითაც, მეგონა, ხალხთან ვიყავი დაკავშირებული... მეგონა, ჩემი ხალხი მაინც გამიგებდა ამ სატანჯველს და ნუგეშს მაღირსებდა.

- ულრიკა, - უთხრა სედრიკმა, რომელსაც გული მოულბო ქალის სიტყვებმა, - ნუთუ ამდენ ცოდვა-ბრალსა და უბედურებაში გამოვლილი ქალი ახლა ეძლევი სასოწარკვეთილებას, როცა შენივე დანაშაულის დასანახავად თვალები აგეხილა და როცა ყველაზე უფრეო შესაფერი შენთვის მონანიებაა?!

- სედრიკ, - მიუგო ულრიკამ, - შენ ცუდად გცოდნია ადამიანის გული. ის საქმე, რაც მე გამიკეთებია, ის ფიქრი, რითაც ჩემი გონება ყოფილა მოცული, მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, ვინც გაშმაგებით ელტვის ამქვეყნიურ სიამტკბილობას, ვისაც დაუკმაყოფილებელი შურისძიების წყურვილი სწვავს და ამაყად გრძნობს თავის ძალაუფლებას. ვიცი, რომ ეს ვნებები

ადამიანის სულს შხამავს, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდები. დიდი ხანია ჩემთვის ეს გრძნობები აღარ არსებობს... სიბერისთვის უცხოა სიამოვნება, დამჭკნარი სახე აღარავის იზიდავს, შურისძიაბაც თანდათანობით უძლურ

წყევლას უთმობს ადგილს. მერე სინდისის ქეჯნა მოდის ხოლმე და გველივით გწოვს გულს, წარსულის მოგონებებს ფუჭი სინანული ღრღნის, მომავლის იმედებს - განწირულება... და როცა ძლიერი ვნებათაღელვანი სულ გაქრებიან, ჩვენ ჯოჯოხეთში ჩავარდნილ ეშმაკებს ვემსგავსებით - სინდისის ქენჯნას ვგრძნობთ, მონანიებას კი - აღარასოდეს... მაგრამ შენმა სიტყვებმა ახალი სული გამიღიძეს... შენ მართალი თქვი - ვინც სიკვდილს შეხვდება წარბშეუხრელად, იმას ყველაფერი შეუძლია გააკეთოს!.. შენ მე შურისძიების ხერხი მასწავლე და გჯეროდეს, რომ ამ ხერხს უსათუოდ გამოვიყენებ. აქამდე ჩემს გამოფიტიულ გულში შურისძიების გრძნობას სხვა გრძნობებიც უწევდნენ მეტოქეობას, ამიერიდან შურისძიება იქნება ჩემი ერთადერთი მისწრაფება; შენ თვითონვე იტყვი: მართალია, მთელი ცხოვრება ამგვარად გაატარა, მაგრამ სიკვდილით კი მაინც ისე მოკვდა, როგორც კეთილშობილ ტორკილის ასულს შეეფერებაო... ამ წყეული ციხის გალავანს მებრძოლი რაზმები მოსდგომიან... გაეშურე და წამოუძეხი. მეწამულ დროშას რომ დაინახავ აღმოსავლეთის კოშკზე, მაგრად შემოუტიეთ ნორმანებს... მაშინ შიგნითაც ბევრი სადავიდარაბო საქმე გაუჩნდებათ და კედელს ადვილად აიღებთ - ისრებითა და შურდულებით ხელს ვეღარ შეგიშლიან... წადი, გემუდარები... შენ შენი საქმე გააკეთე, მე კი ჩემ ბედს მივენდობი.

სედრიკს უნდოდა უფრო დაწვრილებით გამოეკითხა ბუნდოვნად გამოთქმული განზრახვის არსი, მაგრამ უცებ ფრონ დე ბეფის მრისხანე ხმა მოესმა.

- ეს უსაქმური მღვდელი სად ჯანდაბაში დაიკარგა? კომპოსტელურ ხამანწკასა ვფიცავ, სულ ასო-ასო ავკუწავ, თუ იმისთის ითრევს ფეხს, რომ ჩემს ხალხში ღალატი დათესოს!

ხედავ ამ სულბილწს რა მართალი ყნოსვა ჰქონია, - თქვა ულრიკამ, - ყურსაც ნუ ათხოვებ... წადი და შენს ხალხს წამოუძეხი... ერთი საქსონურად დაჰკივლე და მერე ჩვენებური ლაშქრული დააგუგუნეთ, თვითონაც თუ მოისურვებენ... ჩემი შურისძიება მოძახილად გამოგადგება.

ეს თქვა და განის კარიდან გაილალა. დარბაზში რეჯინალდ ფრონ დე ბეფი შემოვიდა. სედრიკმა დიდის გაჭირვებით მოახერხა სიამაყის მოთოკვა, რომ ამ გათავხედებული ბარონისათვის მორჩილი სალამი მიეცა. პასუხად ფრონ დე ბეფმა ძლივს დახარა თავი.

- დიდხანს კი დაგაყოვნეს, მამაო, შენმა მომნანიებლებმა... მით უკეთესი მათთვის, მეტად ვეღარც ეღირსებიან ზიარებას. სასიკვდილოდ მოამზადე?

- მე რომ შევედი, უკვე ელოდნენ სიკვდილს, - მიუგო სედრიკმა ჩიქორთული ფრანგულით, - მიმხვდარიყვნენ, ვის ხელშიაც მოხვდნენ.

- ეს რა ამბავია, ბერო, - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - რაღაც საქსონურად უქცევ!

- წმიდა ვითოლდის მონასტერში ვარ აღზრდილი, ბორტონს, - მიუგო სედრიკმა.

- ასეა საქმე? - ჩაილაპარაკა ბარონმა, - გერჩივნა ნორმანი ყოფილიყავი... ჩემთვისაც ასე ჯობდა. მაგრამ შიკრიკების შერჩევის დრო აღარ არის. ეს ვითოლდის მონასტერი ბუკიოტების ბუდედ ქცეულა და დროა დაინგრეს. იმ დღესაც მალე შევესწრებით, რომ საქსონებს ვერც ანაფორა დაიფარავს და ვეღარც ჯაჭვის პერანგი.

- აღსრულდეს ნება ღვთისა! - თქვა სედრიკმა ბრაზისაგან ათრთოლებული ხმით, რაც ფრონ დე ბეფმა შიშის თრთოვად მიიღო.

- გატყობ, უკვე გელანდება, როგორ შედიან ჩემი ჯარისკაცები იმ თქვენს სენაკებში და როგორ ლეწავენ იქაურობას. ერთი სამსახური გამიწიე, და რაც არ უნდა დაემართოთ იმ შენს თანამოძმეებს, შენ ხელს ვერავინ გახლებს, ლოკოკინასავით მშიდად იქნები შენს სენაკში.

- მიბრძანეთ, ბატონო! - სედრიკი ძლივს ახერხებდა თავის შეკავებას.

- მაშ, გამომყევი და გვერდის ჭიშკრიდან გაგაპარებ.

ფრონ დე ბეფი წინ მიაბიჯებდა და თან ბერს დარიგებას აძლევდა, როგორ უნდა შეესრულებინა შიკრიკის მოვალეობა.

- ხომ ხედავ, ბერო, - ისე გათავხედდნენ ეს საქსონელი ღორები, რომ ტორკილსტონის ციხეს ალყა შემოარტყეს... უთხარი იმათ, ციხე სუსტიათქო, ან რაც გინდოდეს, ის უთხარი, ოღონდ კი ერთი დღე-ღამე მანდვე დააბანდე. მანამდე კი ეს ბარათი... მაგრამ დაიცა... კითხვა თუ იცი, მღვდელო?

- არა, ბატონო, - უთხარა სედრიკმა, - ჩემი ლოცვანის გარდა ვერაფერს ვერ ვკითხულობ. ლოცვანი კი ზეპირად ვიცი, სულ გადაბულბულებული მაქვს.

- სწორედ საჩემო შიკრიკი ყოფილხარ... ამ ბარათს ფილიპ დე მალვუაზენის კოშკში მიიტან. უთხარი, რომ მე გამოგატანე... ტაძრელი რაინდის,

ბრიან დე ბუა გილბერის დაწერილია-თქო. თან ჩემს მაგივრადაც სთხოვე, ახლავე შესვას კაცი ცხენზე და რაც შეიძლება სასწრაფოდ აფრინოს იორკს, ჩვენი დარდი ნუ გექნება-თქო, მანამდე ვერაფერს დაგვაკლებენ, ციხეში ვიქნებით გამაგრებულნი... სირცხვილი კია, ამ მაწანწალების ხროვამ, - რომელთაც ჩვენი ალმის დანახვა და ცხენების თქარათქურის გაგონებაც კი თავგზას უბნევს, - ციხეში გამოგვკეტოს და გარეთ ფეხი აღარ გაგავდგმევინოს. რამე მოიგონე, ბერო, და მანამ მეგობრები

მოგვეშველებოდენ, ეს არამზადები აქვე დააბანდე. შურისძიება გამეღვიძა და, ქორის მსგავსად, მანამ მსხვერპლს არ ჩაიგდებს ხელში, აღარც მიიძინებს.

- ჩემს მფარველ წმიდანსა ვფიცავ, - თქვა სედრიკმა ისეთი მგზნებარეებით, რაც შეუფერებელიც კი იყო მორჩილი ბერისათვის, - რაც ინგლისში წმიდანებს უცხოვრიათ და დახოცილან, ყველას სახელს ვფიცავ, შენი ბრძანება შესრულებული იქნება! თუ ჩემმა ხერხმა და გავლენამ გასჭრა, არც ერთი საქსონელი არ მოიცვლის ფეხს აქედან.

- ოჰო! - გაიკვირვა ფრონ დე ბეფმა, - შენ რაღაც სხვანაირად აჭიკჭიკდი, ბერო. ისე გაცეცხლებით და გულიანად დაიწყე ლაპარაკი, თითქოს საქსონელი ღორების ამოწყვეტა შენც სიამეს გგვრიდეს, სინამდვილეში კი შენც მაგათი ჯილაგისა ხარ.

სედრიკს სულაც არ ეხერხებოდა ეშმაკობა და თავის მოკატუნება, ამიტომ კარგი იქნებოდა უცებ ვამბა გაჩენილიყო იქ და ეშმაკური რამე ენიშნებინა. მაგრამ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, იტყვიან, სედრიკმაც მოიგონა და ანაფორის კაპიუშონში რაღაც ამის მაგვარი ჩაიდუდუნა: ყაჩაღად გავარდნილი ხალხი სახელმწიფოსაგანაც იდევნება და ეკლესიისგანაცო.

- Despardieux - დაუმოწმა ფრონ დე ბეფმა, - მაგას კი მართალს ამბობ... სულ დამავიწყდა, რომ ეგ

არამზადები აქაურ მსუქან აბატსაც ისევე უბოდიშოდ ფცქვნიან, თითქოს მლაშე არხს გაღმიდან მოსული იყოს. სწორედ ეგენი ბრძანდებოდნენ, სენტ-ივის მონასტრის მოძღვარი რომ მიაბეს მუხაზე და საგალობელი ამღერეს, თვითონ კი ამ დროს მის აბგა-ხურჯინებში აფათურებდნენ ხელს. თუმცა არა, ღვთის წინაშე, ეს ოინი გოტიე მიდლეტონელმა უყო, ერთმა

ჩვენმა თანამებრძოლმა... სამაგიეროდ, ისინი ხომ საქსონელენი იყვნენე, სენტ-ბის ტაძარი რომ გაძარცვეს და თასი, შანდალი და ბარძიმი გაიტაცეს?!

- ისინი ღთისმგმობელები იყვნენ, - მიუგო სედრიკმა.

- ეგეც არ იკმარეს, მოდგნენ და რაც ღვინო და ელი ჰქონდათ შენახული სარდაფებში, - აი, ჩუმ-ჩუმად რომ ქეიფობთ ხოლმე, ხალხს კი ეუბნებით წირვა-ლოცვაში ვათენებთო, - ერთი სიტყვით, სულ შეუსვეს ღვინო და ელი... ასეთი მკრეხელობისათვის შური უნდა იძიო, მღვდელო, გევალება კიდეც!

- შურს ნამდვილად ვიძიებ, - ჩაიბუტბუტა სედრიკმა, - წმიდა ვითოლდმა ხომ იცის, რომ ვიძიებ.

ამასობაში ფრონ დე ბეფმა სედრიკი საიდუმლო კარით ციხის გალავნიდან გაიყვანა, არხზე ფიცარი იყო გადებული, გავიდნენ ამ ფიცარზე და ციხის გარეთა სიმაგრის წინ აღმოჩნდნენ. აქედან პატარა გვირაბი მინდორზე გაიყვანდა.

- ახლა კი გასწი, - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - ჩემს დავალებას თუ შეასრულებ და დაბრუნდები, ნახავ, რომ საქსონელთა ხორცი ისევე იაფი იქნება აქა, როგორც ღორის ხორცი შეფილდის სასაკლაოზე. ჰო, ყური მიგდე... შენ კაი გულმხიარული კაცი ჩანხარ... მესტუმრე ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ და ჩინებულ მალვაზის დაგალევინებ... იმდენ ღვინოს გამოგიტან, რომ შენს მონასტერს სულ წალეკავს.

- უსათუოდ შევხვდებით კიდევ ერთმანეთს, - მიუგო სედრიკმა.

- მანამდე კი აჰა, ეს გამომართვი, - და განშორების წინ ძალათი ჩასჩარა ოქროს ფული ხელში, - მაგრამ ეგეც გახსოვდეს: თუ ჩემი ბრძანება არ შეასრულე, ანაფორასაც გაგხდი და ტყავსაც გაგაძრობ.

- ერთიც შენთვის დამითმია და მეორეც, - მიუგო სედრიკმა, გვირაბი აიარა და მხიარულად შესდგა ფეხი გაშლილ მინდორზე, - თუ მეორედ შეხვედრის დროს უკეთესი რამე არ დაივიმსახურე შენგან.

მერე ციხისკენ შებრუნდა, ფული, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოიქნია და შესძახა:

- გაღლეტილო ნორმანო, ჯანდაბას შენი თავიცა და შენი ფულიც!

ფრონ დე ბეფმა სიტყვები კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ ბერის მოქმედება საეჭვოდ მოეჩვენა.

- ჰეი, მოისარებო, - ასძახა მან გალავანზე გადმომდგარ გუშაგებს, - იმ ბერს ისარი დააწიეთ... თუმცა არა, დაიცადეთ, - დასძინა მან, როცა გუშაგებმა მშვილდი მოზიდეს, - არ ესროლოთ... უკეთესი არავინა გვყავს და ისევ მაგას უნდა ვენდოთ. არა მგონია, ღალატი გაბედოს... არადა, საქსონელი ძაღლები ციხეში არა მყავს!.. ჰეი, მეციხოვნე ჯილ, უბრძანე, სედრიკ როთერვუდელი მომგვარონ... ის მეორე ბრიყვიც, - მისი ამხანაგი... აი კონინგსბურგელი რომაა... ათელსტანი ჰქვია თუ რაღაც ჯანდაბა. მაგათი სახელების წარმოთქმაც კი ნორმანელი რაინდისათვის მთელი უბედურებაა და პირში გემოს გიტოვებს... აბა ერთი ღვინო გამომიტანე... ჩვენი მხიარული პრინც ჯონისა არ იყოს, პირში უნდა გამოვივლო და ღორის ხორცის გემო მოვიშორო. ზარდახანაში შეიტანე ეს ღვინო და ტყვეებიც იქ მომიყვანე.

ბრძანება შეასრულეს: გოთურ დარბაზში რომ შევიდა, სადაც კედლებზე ათასნაირი იარაღი ეკიდა - ზოგი მისგანვე წაგლეჯილი მტრისათვის და ზოგიც მამამისისა - მუხის დიდი მაგიდაზე დოქით ღვინო დახვდა. ორი საქსონელი ტყვეც უკვე შემოეყვანა ოთხ გუშაგს. ფრონ დე ბეფმა ჯერ ღვინით იჯერა გული და მერე ტყვეებს მიუბრუნდა.

ვამბას ისე ჩამოეფხატა თვალებზე ქუდი, თან ახალ ტანსაცმელსაც ისე გადაესხვაფერებინა, რომ

მკრთალ სინათლეზე ბარონმა ვერ იცნო. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სედრიკი იშვიათად გამოდიოდა სახლიდან და ნორმანელ მეზობლებთან შეხვედრას ყოველნაირად ერიდებოდა - ფრონ დე ბეფი ხეირიანად არც კი იცნობდა, და ამიტომ მთავარი ტყვის გაქცევას ვერც მიხვდა.

- აბა, მამაცო ინგლისელებო, - მიმართა მან, - ტორკილსტონური დროსტარება როგორ მოგწონთ? ახლა მაინც თუ მიხვდით, ანჟუელი პრინცის სტუმართმოყვარეობისათვის წიხლის კვრა რას ნიშნავს?.. დაგავიწყდათ, კეთილი მასპინძლობისათვის პრინც ჯონს რა სამაგიერო გადაუხადეთ?! ღმერთსა და წმიდა დენისს გეფიცებით, თავის გამოსასყიდად ფულებით თუ არ ამავსეთ, ამ ფანჯრებიდან ფეხებით გადაგკიდებთ და მანამ ყვავ-ყორნები ჩონჩხებად არ გაქცევენ, არც ჩამოგხსნით!.. რატომ არაფერს ამბობთ, საქსონელო ძაღლებო?! თქვენი უღირსი თავის გადასარჩენად რამდენს ჩამოხვალთ?.. ჰა, ხმა ამოიღე-მეთქი, როთერვუდელო.

- გროშსაც არ მოგცემ, - მიუგო საბრალო ვამბამ, - თავდაყირა დაკიდებით კი იქნებ მეშველოს ცოტა - ჩემზე ამბობენ, ბავშვობისას ტვინი გადაუბრუნდაო, და ახლა იქნებ წაღმა მომიბრუნდეს.

- წმიდაო ჯენევივა, - შესძახა ფრონ დე ბეფმა, - ეს რა ამბავია!

ხელი გაჰკრა და მასხარას ქუდი წააძრო, მერე საკინძე გადაგლიჯა და და გამოჩნდა საბედისწერო ნიშანი მონობისა - ვერცხლის ყელსაბამი.

- ჯილ!.. კლემენტ!.. ძაღლებო და არამზადებო!.. - ყვიროდა გაცოფებული ნორმანი, - ეს ვინ მოგითრევიათ?

- მგონი, მე შემიძლია გიპასუხოთ, - უთხრა დე ბრასიმ, რომელიც ის იყო ოთახში შემოვიდა, - ეს სედრიკის მასხარაა, საპატიო ადგილის გამო რომ ედავებოდა ისააკ იორკელს ასპარეზობაზე.

- მაშ ორივეს ერთ ბაწარზე ჩამოვკიდებ, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - თუ ამის ბატონმა და ამ კონინგსბურგელმა ღორმა არ გამოისყიდეს. მარტო ფულსაც არ დავჯერდები: ეს ჯოგიც უნდა მომაშორონ, აგერ კარებზე რომ გვაწყდებიან, ხელი უნდა მომიწერონ, რომ ამიერიდან იმ მოჩვენებითს თავისუფლებაზე უარს აცხადებენ და მონებადა და ვასალებად გვიხდებიან; ბედნიერებიც იქნებიან, თუკი იმ ახალ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენ ვქმნით, სუნთქვის ნებას მივცემთ... წადით და ნამდვილი სედრიკი მომგვარეთ, - მიმართა მან ორ მსახურს, - ამ ერთხელ მიპატიებია წეღანდელი შეცდომა - მით უმეტეს, რომ ძნელი გასარჩევია სულელი და საქსონელი ფრანკლინი.

- ჰო, მაგრამ, თქვენო დიდებულებავ, - უთხრა ვამბამ, - ჩვენში ფრანკლინებზე მეტი სულელები არიან.

- ნეტა რას მიჰქარავს ეს არამზადა? - თქვა ფრონ დე ბეფმა და მსახურებს გადახედა, რომლებიც ადგილზე ზოზინებდნენ და გაკვირვებულები კითხულობდნენ, - თუ ეს სედრიკი არ არის, მაშ სედრიკი რა მიწამ ჩაყლაპაო.

- ღმერთო დიდებულო! - შესძახა დე ბრასიმ, - ალბათ ბერის ანაფორით გაიპარა!

- ეშმაკმა დალახვროს! - იყვირა ფრონ დე ბეფმა, - მაშ მე თვითონ გავაცილე როთერვუდელი ღორი?! ჩემი ხელით გავუღე კარები?! შენ, ეი, - მიმართა მან ვამბას, - ეს გამოთაყვანებულები ხომ გააცურე შენი სისულელით... ახლა მე მკითხე... ჯერ ეს კორტოხი გადავაპარსინო!.. გაიყვანეთ და

გახადეთ ტყავი, მერე კი მოიქნიეთ და კოშკიდან გადაუძახეთ!.. შენი ხელობა ხომ მასხრობაა, მოდი და ახლაც იმასხრე!..

- კეთილშობილო რაინდო, სიტყვა გქონია მკვახე, თორემ საქმით ლმობიერი ყოფილხარ, - ჩაიქირქილა საბრალო ვამბამ, რომელსაც ხუმრობა მოახლოებული სიკვდილის შიშმაც კი ვერ მოაშლევინა, - როგორც მპირდები, თუ მართლა ისე მომრთე წითელი ქუდით - გამოდის რომ უბრალო ბერობიდან კარდინალად მაკურთხებ.

- საწყალი, - თქვა დე ბრასიმ, - სიკვდილის წინაც კი არ ღალატობს თავის ხელობას... ფრონ დე

ბეფ, ნუ მოკლავ ამას: მე მომეცი, ჯარისკაცების გასართობად... შენ რას იტყვი, არამზადავ? არ გამამაცდები და საომრად არ გამომყვები?

- რატომაც არა, ბატონი თუ დამრთავს ნებას, - მიუგო ვამბამ, - ხომ ხედავ, - ყელსაბამზე წაივლო ხელი, - მის უნებართვოდ ამას ვერ მოვიხსნი.

- ეგ არაფერი, ნორმანული ხერხი თვალის დახამხამებაში გადახერხავს საქსონურ ყელსაბამს.

- მართალს ბრძანებთ, კეთილშობილო რაინდო, - უთხრა ვამბამ, - ეს ანდაზაც სწორედ მაგაზეა მოგონილი.

ნორმანული ხერხი,
საქსონური მუხა;
ნორმანული უღლით
საქსონები წუხან;
ნორმანული კოვზი,
საქსონური თეფში;
ნორმანული მართვით
საქსონელი ხვნეშის;
ვერც გაიხაროს ინგლისმა ისე,
ეს ოთხი ჭირი თუ არ გავსრისეთ.

- ნეტავი შენ, დე ბრასი - დგეხარ და მასხარას ლაქლაქს ისმენ, - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - ხიფათი რომ კარზე გვადგას, ამაზე ყურსაც არ აპარტყუნებ! ვერ ხედავ, როგორ გაგვაცურეს, ყველასგან მოწყვეტილები ვართ, მეგობრებს ხმა ვერ მივაწვდინეთ სწორედ ამ აჭრელებული ვაჟბატონის წყალობით, რომელიც ლამის იძმო. ყოველ წუთში მტრის შემოტევას უნდა ველოდოთ!

- მაშ ჩქარა მივაშუროთ გალავანს, - მიუგო დე ბრასიმ, - როდის მომ-ხდარა, რომ ბრძოლის დაწყების წინ ცხვირი ჩამომეშვას?! ტაძრელსაც გას-ძახე - დაე საკუთარი თავის გადასარჩენად იმის ნახევარი მონდომებით მა-ინც გამოიღოს ხელი, რითაც იგი თავიანთი ორდენის სადიდებლად იბ-რძვის!.. შენ კედელზე აძვერი - ახოვანი ხარ და თვალს დათხრი მტერს!.. მეც, რაც კი შემიძლია, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, და მაშინ ნახე: როგორც ღრუბლებზე აფრენას ვერ ეღირსებიან ეს საქსონელი ყაჩაღები, ისე ტორ-კილსტონის ციხის აღებასაც ვერ მოახერხებენ. მაგრამ ყაჩაღებთან მოლა-პარაკება თუ გაქვს გადაწყვეტილი, ბარემ ეს ღირსეული ფრანკლინი გამო-გეყენებინა, ღვინის სურას რომ მიშტერებია და თვალებით ყლაპავს... ჰეი, საქსონელო, - მიმართა მან ათელსტანს და ღვინიანი თასი გაუწოდა, - ამ საამური სასმელით ყელი გაისველე და, გულმოცემულმა, ეს გვითხარი, თა-ვის გადასარჩენად რას გააკეთებ?

- ყველაფერს, კაცის ძალ-ღონეს რაც არ აღემატება, - მიუგო ათელ-სტანმა, - რა თქმა უნდა, ადამიანის ნამუსსა და ღირსებას თუ არ ეწინააღ-მდეგება... ყველანი გაგვათავისუფლეთ და ათას მარკას მოგცემთ.

- ეს ქვეყნის ნაძირალებიც უნდა მოგვაშორო, გალავნის ირგვლივ რომ ირევიან, და ღვთისა და ხელმწიფის ბოძებულ მყუდროებას გვირღვევენ!

- თუ მოვახერხე, მაგათაც გავრეკავ, - მიუგო ათელსტანმა, - ეჭვი არა მაქვს, რომ მამა სედრიკიც გამოიდებს თავს და დამეხმარება.

- მაშ საქმე გარიგებულია, - უთხრა დე ბრასიმ, - ახლავე გაგათავისუფ-ლებთ, და ბრძოლასაც გადავრჩებით. ოღონდ ათასი ფრანკი უნდა მოგვცე. ეს ორი გროში ლაპარაკადაც არ ღირს, და მადლობელი უნდა იყო, საქსო-ნელო, რომ საკუთარი თავის გამოსასყიდად ასე ცოტას გყაბულდებით. ოღონდ იცოდე, ებრაელ ისააკს არ შეეხება ეგ.

- არც მის ქალს, - დასძინა ტაძრელმა რაინდმა, რომელიც ამ მოლაპა-რაკების დროს შემოვიდა ოთახში.

- ისინი არც არიან მაგათი თანამგზავრები, - უთხრა ფრონ დე ბეფმა.

- ჩვენი თანამგზავრები რომ იყვნენ, თავი არც კი გამომეყოფა საქრის-ტიანოში, - მიუგო ათელსტანმა, - რაც გინდოდეთ, ის უქენით მაგ ურჯულო-ებს.

- არც ლედი როენა შედის მაგ გამოსასყიდ ფულში, - უთხრა დე ბრასიმ, - ეგღა მაკლია, რომ ქვეყანა ავალაპარაკო, ეს მშვენიერი ნადავლი ხმლის მოუქნევლად დასთმოო!

- არც ეს დაწყევლილი მასხარა, - ჩაერია ფრონ დე ბეფი, - ეგ მე უნდა დავიტოვო და სამაგალითოდ ვაჩვენო ყველა არამზადას, ჩემთან შეხუმრებას რა მოჰყვება.

- ლედი როენა ჩემი დანიშნულია, - აუღელვებლად თქვა ათელსტანმა, - უმალ ველურ ცხენებს დავეგლეჯინები, იმას კი ვერ დავთმობ... ამ მონამაც დღეს ჩემი მამობილი სედრიკი გადაარჩინა - მზად ვარ საკუთარი თავი გავწირო, ამას კი ერთ ღერ თმასაც ვერავინ დააკლებს.

- შენი დანიშნული?! სად ლედი როენა და სად შენისთანა ბრიყვი ვასალი!.. - შესძახა დე ბრასიმ, - საქსონელო, სიზმარში ხომ არ მოგელანდა ის დღეები, როცა შვიდი სამეფო გეკუთვნოდათ! ეგეც იცოდე, ანჟუელი პრინცები თავიანთ გაზრდილებს შენისთანა მდაბიო ჩამომავლობის ვაჟბატონებისათვის არ გაიმეტებენ.

- ჩემი ჩამომავლობა, ამაყო ნორმანელო, - მიუგო ათელსტანმა, - უფრო ძველი და წმიდა სათავიდან მოდის, ვიდრე ვიღაც მაწანწალა ფრანგებისა, რომელთაც თავიანთი ბილწი დროშის ქვეშ ქურდები შეუქუჩებიათ და იმათი სისხლით ირჩენენ თავს. ჩემი წინაპრები მეფენი იყვნენ - ბრძოლაში მამაცნი და ბჭობაში - ბრძენნი; ყოველდღიურად იმაზე მეტ ხალხს უმართავდნენ ნადიმებს, რასაც შენ ომში გასაყვანადაც ვერ შეაგროვებ; მათ სადიდებელს მინსტრელები მღერიან, მათი კანონები სახელმწიფო კანონმდებლობაში შესულა, ძვლები მათი- წმიდანთა ლოცვანების გვერდით დამარხულა, ხოლო მათ საფლავებზე ტაძრებია აღმართული.

- ეგეც შენ, დე ბრასი! - უთხრა მეგობრის მიჩიხვით ნასიამოვნებმა ფრონ დე ბეფმა, - ხედავ, რა მარჯვედ მოგარტყა მიზანში საქსონელნმა!

- ტყვის პირობაზე მართლაც არა უშავს რა, - მოჩვენებითი გულგრილობით მიუგო დე ბრასიმ, - ხელებს რომ შეუკრავენ კაცს, ენას წააგდებს ხოლმე... მაგარ-მაგარს კი ისვრი, ძმობილო, - მიუბრუნდა იგი ათელსტანს, - მაგრამ ლედი როენას გათავისუფლებას მაინც ვერ ეღირსები.

ათელსტანს ამაზე აღარაფერი უპასუხნია: ისედაც უჩვეულოდ ბევრი მოუვიდა ლაპარაკი. ამ დროს დარბაზში მსახური შემოვიდა და ბატონს მოახსენა, ჭიშკარს ბერი მოადგა, შემოშვებას თხოულობსო.

- ჰოი, წმიდაო ბენეტო, ამ მათხოვრების მფარველო, - თქვა ფრონ დე ბეფმა, - ერთი გამაგებინა - ახლაც გადაცმულია ვინმე, თუ ნამდვილი ბერი მოვიდა!.. კარგად გასინჯეთ, ბრიყვებო, და ახლაც თუ მოვტყუვდით, თვალებს დაგთხრით და ბუდეში ნაკვერცხლებს ჩაგაყრით.

- ყველაფრის ღირსი ვიქნები, მილორდ, თუ ეს ნამდვილი ბერი არ გამოდგეს, - შეჰკადრა ჯილმა, - თქვენმა საჭურველთმტვირთველმა იცნო - ძმა ამბროსი არისო, ჟორვეს წინამძღვრის მხლებელი ბერი.

- შემოუშვით, - ბრძანა ფრონ დე ბეფმა, - ალბათ თავისმა გულმხიარულმა ბატონმა დააბარა რამე. ეტყობა, ეშმაკების დღესასწაული აქვთ, და ეს ბერები არხეინად დააბოტებენ აქეთ-იქით. ტყვეები გაიყვანეთ. საქსონელო, რაც აქ გაიგონე, კარგად აწონ-დაწონე.

- ოღონდ პატივისცემით მომეპყრან ტყვეობაში, - მიუგო ათელსტანმა, - კარგი საჭმელ-სასმელი მომართვან და ლოგინიც ხეირიანი გამიშალონ, როგორც ჩემს წარმოშობას ეკადრება, და როგორც არის მიღებული, როცა გამოსასყიდ ფულზე აქვთ მოლაპარაკება. ამას გარდა, მე იმას მივმართავ, ვისაც ყველაზე უკეთესად მიაჩნია თავი თქვენს შორის - ეს უკანონო დატყვევება ასე უბრალოდ არ ჩაგივლის. მე უკვე გამოგიწვიე ბრძოლაში, მოურავის პირით შემოგითვალე, ალბათ გაიგე, და ვალდებული ხარ, პასუხი მომცე... ჰა, ჩემი ხელთათმანი.

- პატიმრის გამოწვევას მე არ ვღებულობ, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - არც შენ მორის დე ბრასი... ჯილ, - მიმართა მან მსახურს, - ფრანკლინის ხელთათმანი რქის საკიდზე ჩამოჰკიდე: მანდვე ეკიდოს, მანამ პატრონი თავისუფლებას მიიღებდეს. მერე კი, უკან თუ მოითხოვს, ან კიდევ თუ გაიმეორებს, უკანონოდ შემიპყარითო, წმიდა ქრისტოფერის ქამარსა ვფიცავ, ისეთ კაცთან ექნება საქმე, ვისაც მტერთან შერხვედრაზე თავის დღეში უარი არ დასცდენია - სულ ერთია, ქვეითი იქნება ეს მტერი თუ მხედარი, მარტოდმარტო თუ ვასალების თანხლებით!

საქსონელი ტყვეები გაიყვანეს და მაშინვე ბერი ამბროსი შემოუშვეს, რომელიც ძალიან არეული ჩანდა.

- აი, ნამდვილი Deus vobiscum[40]- თქვა ვამბამ, როცა ბერს ჩაუარა, - დანარჩენები ცრუ ბერები იყვნენ.

- შენ გმადლობ, ღვთიშობელო! - წამოიძახა ბერმა, როცა რაინდებს შეავლო თვალი, - ძლივს არ მოვხვდი უხიფათო ადგილას, ნამდვილ ქრისტიანებთან!

- უხიფათო ადგილას მართლაც კი მოხვდი, - მიუგო დე ბრასიმ, - რაც შეეხება ქრისტიანობას... აგერ მამაცი ბარონი რეჯინალდ ფრონ დე ბეფი - ყველაფერს აიტანს, ოღონდ ებრაელს ნუ

დაანახვებ! ამ კეთილმა ტაძრელმა რაინდმა ბრიან დე ბუა გილბერმა კიდევ მუსრი გაავლო სარკინოზებს... თუ ესეც არ კმარა ქრისტიანობად, მაშინ აღარ ვიცი, ვინ უნდა იყოს ნამდვილი ქრისტიანი.

- თქვენ ყველანი ჩვენი ღირსეული მოძღვრის, ჟორვოელ მამა ეიმერის მეგობრები და მოკავშირეები ხართ, - თქვა ბერმა, რომელსაც დე ბრასის დამცინავი კილო არ უგრძვნია, - თქვენვე უნდა გაუწოდოთ დახმარების ხელი, ამას გავალებთ რაინდული აღთქმა და წმიდა გულმოწყალება, რადგან კურთხეული ავგუსტისა არ იყოს, თავის De Civitate Dei…[41]- ნეტა რა ეშმაკი შეუჯდა! - გააწყვეტინა ფრონ დე ბეფმა, - გირჩევნია, შენი სათქმელი გვითხრა, ბერო. წმიდა მამების სიტყვების მოსასმენად არა გვცხელა.

- Sacnta Maria[42]! - შესძახა მამა ამბროსიმ, - გული ყელში აქვთ ამ ერისკაცებს!.. მაგრამ კარგი გეტყვით: მამაცნო რაინდნო, ვიღაც ჯაბანმა მკვლელებმა, რომელთაც ღვთის შიშიც დაუკარგავთ, ეკლესიის პატივისცემაც და არც პაპის წმიდა სიტყვების რიდი შერჩენიათ, რომ Si quis, suadente Diabolo…[43]- ღირსო ძმაო, შეაწყვეტინა ტაძრელმა, - ეს ხომ ჩვენც ვიცით ან ვხვდებით მაინც... პირდაპირ გვითხარი, შენი მფარველი, ჟორვოს წინამძღვარი, შეიპყრო ვინმემ თუ რა მოუვიდა?

- საქმეც ეგ არის, - მიუგო ამბროსიმ, - იგი უწმინდური ბელიარის მიმდევრებმა ჩაიგდეს ხელში, ამ ტყეებში რომ ჯგრო-ჯგროდ დაეხეტებიან და ზიზღით უგულვებელყოფენ წმიდა წიგნის სიბრძნეს: „ხელი არ ახლო მირონცხებულს ჩემსა და ჩემთა წინასწარმეტყველთ არა ავნო რა!“

თითქოს საქმე აკლდა ჩვენს მახვილებს, ბატონებო, - მიმართა ფრონ დე ბეფმა მეგობრებს, - ახალი საზრუნავი გაგვჩენია. იმის ნაცვლად, რომ ვინმესთვის ხმა მიგვეწვდინა და შველა გვეთხოვა, ჟორვოს წინამძღვარი აქეთ გვთხოვს შველას!.. ადექი და ამ დოყლაპია ბერებს დაეხმარე, როცა ჩვენი თავი გავჭირვებია!.. თქვი, მაინც, მღვდელო, ჩქარა გვითხარი, რას გვიკვეთს ის შენი მფარველი?

- აი რასა გთხოვთ, - მიუგო ამბროსიმ, - მოძალადე ხელებმა ჩემი ღირსეული მოძღვარი შებღალეს, და აინუნშიაც არ ჩააგდეს ის წმიდა შეგონება, ახლახან რომ მოგახსენეთ; ბელიარის მიმდევრებმა სულ დაუცალეს აბგა და ხურჯინი, წაგლიჯეს ორასი მარკა ბაჯაღლო ოქრო, ეგეც არ იკმარეს და ახლა კიდევ უფრო მეტ ფულსა სთხოვენ, ისე არ უშვებენ თავიანთი უწმინდური ხელებისაგან. ამიტომაც, ღირსეული მამა ღვთის სახელით მოგმართავს თქვენ, თავის ძვირფას მეგობრებს, რათა იხსნათ იგი - ან გამოსასყიდი ფული მიაშველოთ, ან თქვენი ბასრი მახვილი - როგორც თქვენ თვითონ არჩევთ.

- ეშმაკსაც წაუღია იმ შენი წინამძღვრის თავი! - უთხრა ფრონ დე ბეფმა, - ეტყობა ზომაზე მეტი გადაყლურწა ამ დილას. როდის მომხდარა, რომ ნორმანელ ბარონს თავისი ქისა გაეხსნას ბერის გამოსასყიდად, რომელსაც ათჯერაც უფრო მძიმე ქისები აქვს?! ან მახვილით როგორ დავიხსნათ, როცა ჩვენ თვითონ ათჯერ ჩვენზე მრავალრიცხოვანი მტერი შემოგვხვევია და ყოველ წუთში თავდასხმას ველით.

- ეს მინდოდა მომეხსენებია, - უთხრა ბერმა, - მაგრამ ისე ხართ გაცხარებული, რომ აღარ დამაცადეთ. რა ვქნა, დავბერდი და ამ აყალმაყალმა ტვინი სულ შემირყია. ისე კი, მართლაც დაუციათ ბანაკი ციხის გალავანთან და ახლა სანგრებს აგებენ გასწვრივ.

- მაშ გალავანს მივაშუროთ! - შესძახა დე ბრასიმ, - ერთი ვნახოთ, რას აკეთებენ ის არამზადები.

ეს რომ თქვა, ფანჯარა გააღო და ოთახში მყოფთ დაუძახა:

- წმიდა დენისის მადლმა, ეს ბერი მართალს ამბობს! ეგერ, ფიცრის ფარებს მოათრევენ. იქით კი, ტყის პირას, იმდენი მემშვილდისრე შეგროვილა, ლამის სეტყვის ღრუბელივით ჩააბნელოს იქაურობა.

რეჯინალდ ფრონ დე ბეფმაც გადახედა მინდორს, მაშინვე საყვირს ეცა, მაგრად ჩაჰბერა და გუშაგებს უბრძანა, ყველას თავთავისი ადგილები დაეკავებინათ.

- დე ბრასი, შენ აღმოსავლეთ მხარეს უთვალთვალე, მანდედ უფრო დაბალია კედელი... კეთილშობილო ბუა გილბერ, შენ იერიშსა და თავდაცვაში კაცი ვერ შეგედრება, დასავლეთი მხარე შენი იყოს... ბარბაკანთან მე თვითონ დავდგები. მაგრამ, მარტო ერთ ადგილზე დგომაც არ გვარგებს, კეთილშობილო მეგობრებო, დღეს ჩვენ მთელ გალავანს უნდა გავსწვდეთ,

რამდენადაც კი შეიძლება, ბევრი უნდა გამოვჩნდეთ; საცა ბრძოლა გახურდება, იქ უნდა მივეშველოთ და გავამხნევოთ. ცოტანი ვართ, მაგრამ ეს დანაკლისი მამაცობითა და სიმარჯვით უნდა შევავსოთ; მით უმეტეს, რომ გაუთლელ მასხარებთანა გვაქვს საქმე.

- მე რაღას მეუბნებით, კეთილშობილო რაინდებო?! - გაისმა მამა ამბროსის ყვირილი ამ საომარი მზადების ალიაქოთში, - ჟორვოს მოძღვარ მამა ეიმერს რა ამბავი მივუტანო?.. შენ მაინც მომისმინე, კეთილშობილო ბატონო რეჯინალდ.

- ადექი და ზეცას შეემუდარე, - შეუღრინა გამძვინვარებულმა ნორმანმა, - დედამიწაზე მაგისთვის აღარა გვცხელა!.. ჰეი, ანსელმ, კუპრი და ზეთი მოადუღე - თავზე უნდა გადავასხათ ამ გათავხედებულ მოღალატეებს... მემშვილდისრეებს მიხედეთ, ისრები არ მოაკლდეთ... კოშკზე

ჩემი ალამი გამოკიდეთ... აი, ხარის თავი რომ არის გამოსახული... ახლავე ვაჩვენებთ მაგ არამზადებს, ვისთან აქვთ საქმე!

- კეთილშობილო ბატონებო, - აღარ ეშვებოდა ბერი, - მორჩილების ფიცი მაქვს დადებული, და ხომ უნდა შევასრულო ჩემი მოძღვარის დავალება!

- მომაშორეთ ეს გატლეკილი ჩერჩეტი ბერიკაცი! - იყვირა ფრონ დე ბეფმა, - სამრეკლოში ჩაკეტეთ, იქ შეიქციოს თავი, მანამ ბრძოლას მოვრჩებოდეთ!.. ტორკილსტონის წმიდანებიც გაიხარებენ ლოცვების მოსმენით - რაც გამოაქანდაკეს, მერე აღარ ღირსებიათ ამისთანა პატივი.

- წმიდანებს ნუ გაგვინაწყენებ, სერ რეჯინალდ, - უთხრა დე ბრასიმ, - იქნებ დაგვჭირდეს მაგათი შველა, მანამ ამ არმაზადებს გავრეკავთ.

- მაინცდამაინც დიდ შველას არ მოველი მაგათგან, - მიუგო ფრონ დე ბეფმა, - ისღა თუ იქნება შველა, რომ როგორმე გალავანზე გამოვათრიოთ და ამ არამზადებს თავზე დავამხოთ. ერთი უზარმაზარი წმიდანი დგას იქ, ქრისტოფერი, ის რომ გამოგვატანინა, მთელს ლაშქარს ჩაიტანს მიწაში.

ტაძრელი რაინდი, ამასობაში, პირუტყვ ფრონ დე ბეფსა და მის ქარაფშუტა თანამოსაუბრეზე უფრო ყურადღებით აკვირდებოდა მოწინააღმდეგის მოძრაობას.

- ჩვენი ორდენის ღირსებას ვფიცავ, - თქვა მან, - ისეთი წესრიგით გვიახლოვდება ეს ხალხი, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. ხედავთ, რა მარჯვედ ეფარებიან ხეებსა და ბუჩქებს და რა ჭკვიანურად არიდებენ თავს ჩვენს ისრებს?! თითქოს არც დროშა უნდა ჰქონდეთ და არც ალამი, მაგრამ ჩემს

ოქროს ძეწკვს ჩამოვალ სანაძლეოდ, ვინმე კეთილშობილი რაინდი მოუძღვით ან ომებში გამოცდილი წარჩინებული.

- ვხედავ, ვინც არის, - მიუგო დე ბრასიმ, - რაინდის მუზარადსა და აბჯრის ლაპლაპს ვერ ამჩნევ? აი,მაღალ-მაღალი კაცი, შავი ჯაჭვი რომ აცვია! გაიძვერა იომენების იქითა რაზმი მოჰყავს... წმიდაო დენის, ეს ხომ „შავი ზარმაცია“, შენ რომ ცხენიდან ჩამოგაგდო, ფრონ დე ბეფ, აშბის ასპარეზობაზე!

- მით უკეთესი, - თქვა ფრონ დე ბეფმა, - თვითონვე მოდის, რომ შური მაძიებინოს. ლაჩარი მდაბიო იქნება, ასპარეზობაზე რაღაც შემთვევით ჯილდო ერგო, და იმის მიღებაც ვერ გაბედა. ამაო არ იქნებოდა, იქ დამეწყო მაგისი ძებნა, საცა რაინდები და კეთილშობილი ხალხი თავიანთ მტრებს ეძებენ ხოლმე! მადლობა ღმერთს, რომ თვითონვე გამოჩნდა ამ გარეწარ იომენთა შორის.

მაგრამ მტრის მაგარმა მოწოლამ რაინდებს ლაპარაკი შეაწყვეტინა. სწრაფად გაემართნენ თავ-თავიანთ საგუშაგოებისკენ და თან ის მცირერიცხოვანი გუშაგებიც გაიყოლიეს, რომელთაც ძლივს მოუყარეს თავი, და რომლებიც ვერასდიდებით ვერ მოახერხებდნენ მთელი გალავნის დაცვას. დადგნენ საგუშაგოებზე და აუღელვებლად დაუწყეს ლოდინი მოახლოებულ თავდასხმას.

თავი ოცდამერვე

მოხეტიალე ხალხის შვილებს, ყველასგან დევნილთ,
აწ თავი მოაქვთ ყოველგვარი სიბრძნე-სიქველით.
ზღვები, ტყეები, თვალუწვდენი უდაბნოები
მოწმეა მათი იდუმალი ხელოვნებისა:
ბალახს, ყვავილებს, ძირხვენებსა და გაშლილ კვირტებს
ძალა ეძლევათ იმათ ხელში გასაოცარი.
პარნელი - „ებრაელი“.

ცოტათი უკან უნდა დავიხიოთ და მკითხველს ზოგიერთი მოვლენა ავუხსნათ, რათა მომდევნო ამბები გასაგები გახდეს. მკითხველი ალბათ თვითონვე მიხვდებოდა, რომ როცა აივენჰო დავარდა და თითქოს მთელმა ქვეყანამ მიატოვა, რებეკა მამას შეემუდარა, ეს ახალგაზრდა მამაცი რაინდი სხლში მივიყვანოთო. სახლი დროებით ჰქონდა ისააკს დაქირავებული აშბის გარეუბანში.

სხვა პირობებში ასეთ საქმეზე ისააკის დაყოლიებას ბევრი არაფერი უნდოდა, რადგან ბუნებით

გულკეთილი კაცი იყო და სიკეთის დახსომებაც იცოდა. მაგრამ, თან თავისი დევნილი ხალხისთვის დამახასიათებელი ცრუ რწმენა და მეტისმეტი სიმხდალეც ჰქონდა.

- მამა აბრაამ! - შესძახა მან, - მშვენიერი ჭაბუკია, გული მეწურება, როცა ვუყურებ, როგორ მოწვეთავს სისხლი ძვირფასი ქურთუკის ნაკერებიდან და არანაკლებ ძვირფას ჯაჭვის პერანგზე ეღვრება... მაგრამ სახლში გადაყვანა!.. გესმის მაინც, ქალო, რასა მთხოვ?.. ქრისტიანის შინ შეყვანა?! ჩვენი რჯული ხომ გვიკრძალავს ქრისტიანებთან და წარმართებთან ყოველგვარ ურთიერთობას, გარდა ვაჭრობის და ფულის მოგებისა.

- აბა, რას ამბობ, მამა, გენაცვალე! - უთხრა რებეკამ, - ლხინსა და დროს ტარებაში ნურც მოვუსხდებით გვერდით, მაგრამ დაჭრილი და გაჭირვებული წარმარძი ებრაელის ძმა ხდება ხოლმე.

- ნეტა გამაგებინა, რაბინი იაკობ ბენ ტუდელი რას მეტყოდა ამაზე! - თქვა ისააკმა, - მაგრამ ამ მშვენიერ ჭაბუკს მართლაც ხომ არ დავცლით სისხლისგან?! კარგი, სითსა და რუბინს დაუძახე, აშბიში წაიყვანონ.

- არა, ჩემს ტახტრევანში ჩასვან, - უთხრა რებეკამ, - მე ცხენით წამოვალ.

- რომ ურჯულო ძაღლებმა ცხენზე წამოჯიმულს გიყურონ, არა! - წაიჩურჩულა ისააკმა და ჭოჭმანით გახედა ერთად შეჯგუფულ რაინდებსა და საჭურველთმტვირთველებს.

მაგრამ თავისი კეთილი განზრახვის შესრულებით გართულ რებეკას მამისთვის აღარ დაუგდია ყური, მანამ მოსასხამის სახელოში არ წაავლო ხელი ისააკმა და დაფეთებით არ უთხრა:

- მამა აბრაამ!.. რომ მოკვდეს?! ხელში რომ ჩაგვაკვდეს, ხომ ჩვენ დაგვბრალდა ყველაფერი?! ასო-ასოდ დაგვგლეჯავს ბრბო!

- არ მოკვდება, მამი, - უთხრა რებეკამ და ნაზად მოიშორა მამის ხელი, - თუ არ მივატოვებთ, არ მოკვდება, ხოლო თუ არ წავიყვანეთ და უპატრონობით მოკვდა, მაშინ მართლაც დამნაშავე ვიქნებით ღვთისა და კაცის წინაშე.

- ოჰ, - ამოიგმინა ისააკმა და შვილს ხელი გაიუშა, - გული მიკვდება, როცა ვხედავ, როგორ მოწვეთავს სისხლი; თითქოს ოქროს ფულები მოცვივოდეს ჩემი ქისიდან. მე ხომ ვიცი, რომ ბიზანტიელი რაბინის მანასეს ქალმა - მირიამმა, რომლის სული ახლა სამოთხეში დაფრინავს, შენ მკურნალობა გასწავლა და მშვენივრად არჩევ რომელი ბალახი რა სნეულებას კურნავს.

რა ვქნა, რასაც გული გეუბნება, ის გააკეთე... შენ კარგი გოგო მყავხარ - კურთხეული, დალოცვილი,

ღვთისაგან მხიარულ სიმღერად მოვლენილი; ჩემი, ჩემი სახლისა და მთელი ჩვენი ხალხის იმედი.

ისააკის შიში უსაფუძვლო არ გამოდგა. ქალის კეთილშობილმა და სათნო გულმა ის მოიმკა, რომ აშბისკენ მიმავალი, ბრიან დე ბუა გილბერს მოხვდა თვალში. ტაძრელი რაინდი ორჯერ წამოეწია და ჩამორჩა მხედრებს, რათა თავისი უტიფარი და გზნებით ანთებული თვალები კიდევ და კიდევ მიეშტერებინა მშვენირი ებრაელისათვის. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ აღაფრთოვანა იგი მისმა სიტურფემ და რა შედეგი გამოიღო ამან, როცა ქალი უსინდისო და გარყვნილი კაცის ხელში მოხვდა.

რებეკას დრო არ დაუკარგავს - ავადმყოფი დროებით დაქირავებულ სახლში მიიყვანა, საკუთარი ხელით გაუსინჯა ჭრილობები და შეუხვია. რომანებისა და ბალადების ახალგაზრდა მკითხველებს კარგად ეხსომებათ, რომ იმ, ეგრეთ წოდებულ ბნელ დროში მკურნელობის იდუმალებას ქალები უფრო იყვნენ დაწაფებულნი, და ხშირად მამაც რაინდს სწორედ იმ ქალწულისთვის მიუნდვია თავისი ჭრილობები განსაკურნავად, ვის თვალებსაც, ადრე, კიდევ უფრო ღრმად დაუჭრია მისი გული.

მაგრამ ებრაელები - კაცებიცა და ქალებიც - ისე კარგად იყვნენ დაუფლებული საექიმო

მეცნიერების ყველა დარგს, რომ ხშირად მძიმედ დაჭრილი ან დასნეულებული მეფეები და გავლენიანი ბარონები თვითონვე მიმართავდნენ ხოლმე განსაკურნებლად ყველასაგნ შეძულებული ხალხის ამა თუ იმ ბრძენ შვილს. ქრისტიანებში იმხანად ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა, თითქოს ებრაელი რაბინები ჯადოქრობას ყოფილიყვნენ დაუფლებული, განსაკთრებით კაბალისტიკურ ხელოვნებას, რისი სახელწოდებაც კი ისრაელ ბრძენთა საიდუმლო მოძღვრებისაგან წარმოდგება. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ უშლიდათ ხელს, სამკურნალოდ ებრაელებისათვის მიემართათ. რაბინები არც კი ცდილობდნენ გაეფანტათ რწმენა - თითქოს ზებუნებრივ ძალებთან იყვნენ დაკავშირებულნი, რადგან ეს არაფერს მატებდა (ან კი როგორღა შეიძლებოდა რამე მიემატებინა) იმ სიძუვილს, რასაც მათი ხალხის მიმართ იჩენდნენ; პირიქით, სწორედ ამის გამო უფრო ნაკ-

ლების ზიზღითა და გაბოროტებით ეპყრობოდნენ. ჯადოქარ ებრაელს ისეთივე მძუვარებით შეიძლებოდა მოქცეოდნენ, როგორც ებრაელ მევახშეს, მაგრამ, ამასთან, იმნაირადვე ვერ შეიზიზღებდნენ. ერთი სიტყვით, თუ გავითვალისწინებთ, რა სასწაულებრივად განუკურნავთ მათ სხვადასხვაგვარი მძიმე სნეულებანი, აშკარა გახდება, რომ ებრაელები მართლაც იცნობდნენ საექიმო მეცნიერების საიდუმლოს და ისეთის სიფრთხილით გადასცემდნენ თაობიდან თაობას, რომ ქრისტიანებს, - რომლებთან ერთადაც ისინი ცხოვრობდნენ, - ვერ გაეგოთ ამ საიდუმლოს არსი.

მშვენიერ რებეკას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი მთელი საექიმო ხელოვნება; ამასთან,

მახვილი ნიჭისა და დიდებული მეხსიერების წყალობით, მან ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა, გონებაში ჩამოაყალიბა და თავის ასაკის, სქესისა და თვით იმ დროის პირობაზე, რომელშიაც იგი ცხოვრობდა, კიდევ უფრო განავითარა. საექიმო ცოდნა და მკურნალობის ხელოვნება მას შეასწავლა ერთმა მოხუცმა ებრაელის ქალმა - იმ დროისათვის ყველაზე გამოჩენილი ექიმის შვილმა, რომელსაც საკუთარი შვილივით უყვარდა რებეკა, და, როგორც ამბობდნენ, ისევე სრულად გაანდო მას მთელი საექიმო საიდუმლოებანი, რა სისრულითაც თვითონვე ჰქონდა ბრძენი მამისაგან შესწავლილი. მირიამი, ბოლოს, იმ დროს ფესვებგადგმული ფანატიზმის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მისი საიდუმლოებანი ნიჭიერმა მოწაფემ შეინახა.

ამრიგად, საოცარი სილამაზითა და ცოდნით აღჭურვილ რებეკას საკუთარი ხალხი დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა; თითქმის ისევე სცემდა თაყვანს, როგორც წმიდა წიგნში მოხსენიებულ დიდი ნიჭით დაჯილდოებულ გმირ ქალებს. მამის გულში არეული იყო ორი გრძნობა - ჯერ ერთი, პატივისცემა მისი ნიჭის მიმართ და, მეორეც, მამობრივი სიყვარული; ამიტომ იმაზე მეტ თავისუფლებას აძლევდა ქალს, ვიდრე საერთოდ იყო ებრაელებში მიღებული, და, როგორც ახლახან ვნახეთ, ხშირად საკუთარ აზრსა და გადაწყვეტილებესაც კი შვილის სურვილს უმორჩილებდა.

ისე მიიყვანეს აივენჰო ისააკის სახლში, რომ გონზე ჯერაც არ მოსულიყო, რადგან ასპარეზობაზე

ბევრი სისხლი დაკარგა. რებეკამ ჭრილობა გაუსინჯა, სალბუნები დაადო, და მამას უთხრა: ანთება თუ არ დაეწყო - და იმედი მაქვს არც დაეწ-

ყება, იმდენი სისხლი აქვს დაკარგული - თან მირიამის მალამოც თუ არ გაწ-ყალებულა, ჩვენი სტუმრის სიკვდილის შიში აღარ უნდა გვქონდეს და ხვალვე შეგვეძლება იორკს გავემგზავროთ. შვილის სიტყვებმა ისააკი, ცოტა არ იყოს, დააბნიეს. ამდენი გულმოწყალების გამოჩენა თავიდან არც უფიქრია, იქვე აპირებდა დაჭრილი ქრისტიანის დატოვებას; თუ მაინცდამაინც, თავის აშბელ მასპინძელს მიანდობდა და მოვლის ხარჯებსაც გადაუხდიდა. რებეკა არ დაეთანხმა და თავისი აზრის გასამაგრებლად მამას რამდენიმე მოსაზრება უთხრა, რომელთაგან ჩვენ აქ ორს დავასახელებთ, რადგან ისააკისთვის სწორედ ამ ორ საკითხს ჰქონდა განსაკუთრებული ძალა. ჯერ ერთი, მარიამის ძვირფას მალამოს არასდიდებით არ დაუტოვებდა სხვას - თუნდაც თავისივე რჯულის ექიმს, რომ ამით სანუკვარი საიდუმლო არ გამჟღავნებულიყო. მეორეც - ეს დაჭრილი რაინდი, უილფრედ აივენჰო, რიჩარდ ლომგულის ახლობელი და საყვარელი კაცი იყო და იქნებ სულ მალე დასჭირვებოდა ისააკს მისი დახმარება; საქმე ის იყო, რომ ისააკი დიდძალ სესხს აძლევდა რიჩარდის ძმას - ჯონს, რომელსაც ეს ფული აჯანყების მოსაწყობად სჭირდებოდა; ხოლო თუ ტახტს კვლავ რიჩარდი დაუბრუნდებოდა, ებრაელი მევახშე ახლა მასთან დაახლოებასა და მისი გულის მოგებას უნდა ცდილიყო; დაჭრილი რაინდი კი სწორედ გავლენიან მფარველად გამოდგებოდა.

- ჭეშმარიტად ასეა, - უთხრა ისააკმა, როცა ეს გონივრული მოსაზრებანი გაითვალისწინა, - იმ

კურთხეული მირიამის საიდუმლო რომ გავცეთ, ამით ზეცასაც გავანაწყენებთ; ღმერთი რომ მოგანიჭებს რამეს, კი არ უნდა გაანიავო - სულს ერთია, ოქრო იქნება, ვერცხლი თუ ბრძენი ექიმის ნაანდერძევი საიდუმლო... რაკი განგებამ ღირსგვყო და ჩვენ მოგვანდო ამის შენახვა, უნდა შევინახოთ კიდეც. ახლა იმისი საქმეც, ინგლისელი ნაზარეველები რომ ლომგულს ეძახიან: თავისივე ძმასთან ჩემი ურთიერთობა თუ გაიგო, მაგის ხელში ჩავარდნას ის მირჩევნია, ნამდვილ ლომს ჩავუვარდე ხახაში; ამიტომ შენი რჩევა მეც დამიჯდა ჭკუაში. წავიყვანოთ ეს ჭაბუკი იორკს, და მანამ განიკურნებოდეს, თავი ისე ვაგრძნობინოთ, თითქოს შინ იყოს. ყველას პირზე აკერია, ლომგული ინგლისში ბრუნდებაო; თუ მართლა დაბრუნდა, ეს უილფრედ აივენჰო კედელივით მომეფარება, გაგულისებული მეფის რისხვას მამაშენს

არ მიაკარებს; თუ მეფე არ დაბრუნდა, მაინც არა უშავს, უილფრედი ყველაფერს აგვინაზღაურებს, როცა მომჯობინდება და თავისი ხმლითა და შუბით მოიხვეჭს განძს, როგორც გუშინ მოიხვეჭა, და დღესაც თუნდა. კარგი ბიჭი ჩანს, სიტყვის კაცი, ასესხებ რამეს და დროზე დაგიბრუნებს, არც რამეს დაგაკლებს. ისრაელებს მუდამ ექომაგება, მამაჩემის შვილიც დაიფარა, როცა ავაზაკები და ბელიარის ბილწი მიმდევრები დაესხნენ თავს...

საღამო ხანი იყო, როცა აივენჰომ მოიხედა. მაგრამ გონება ჯერ ისევ დაბინდული ჰქონდა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე. დიდხანს ვერ მოიგონა, თუ რა მოუვიდა ასპარეზობაზე, სხვადასხვა გარემოებანი ერთმანეთს ვერ გადააბა. სულ ერთმანეთში იყო არეული ჭრილობის

ტკივილები, საშინელი სისუსტისა და უძლურების შეგრძნობა, ხმლების ჩახაჩუხი, შუბების ძგერება, ცხენების ერთმანეთზე მიხეთქება, რაინდების ძირს დანარცხება, საბრძოლო ყიჟინა და, საერთოდ, ფიცხელი ბრძოლის მთელი ალიაქოთი. განძრევა სცადა, და, მიუხედავად იმისა, რომ საშინელმა ტკივილმა წამოუარა, როგორც იყო, მაინც მოახერხა საწოლის ფარდის გადაწევა.

მისდა გასაკვირად, დიდებულად მორთული ოთახი დაინახა; ოღონდ, სკამების ნაცვლად, ნოხებზე ბალიშები დაეწყოთ, და სხვა ნიშნებითაც ეტყობოდა, რომ სახლი აღმოსავლურ ყაიდაზე იყო მორთული - ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა: ამდენი ხანი რომ მეძინა, ისევ პალესტინაში ხომ არ წამიყვანესო. შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ფარდაჩამოფარებული კარი გაიღო და მეორე ოთახიდან შემოვიდა ქალი, რომლის მდიდრულ ჩაცმულობას აღმოსავლური უფრო ეთქმოდა, ვიდრე ევროპული. იგი ფეხაკრეფით შემოვიდა, უკან შავგვრემანი მოსამსახურე მოჰყვებოდა.

დაჭრილმა რაინდმა რაღაცის თქმა დააპირა ამ მშვენიერი მოჩვენებისთვის, მაგრამ ქალმა თავისი ჩამოთლილი თითი ლალის ტუჩებთან მიიტანა - ანიშნა, ხმას ნუ ამოიღებო. მსახური ლოგინთან მივიდა და აივენჰოს საბანი გადახადა - მშვენიერი ებრაელი კმაყოფილებით დარწმუნდა, რომ არც სახვევი მოხსნოდა ავადმყოფს და ჭრილობაც კარგად ჰქონდა. ისეთის სიფაქიზითა და ღირსეულის უბრალოებით უხვევდა ქალი ჭრილობას, რომ უფრო ცივილიზებულ და

განათლებულ დროშიაც კი, ეს ქალისათვის თითქოს სათაკილო საქმე საჩოთირო არ გამოჩნდებოდა, სულაც არ გეცემოდა კაცს თვალში, რომ ასეთი ახალგაზრდა და მშვენიერი ქალი ავადმყოფის ლოგინთან ტრიალებდა და მამაკაცს უხვევდა ჭრილობას - მაშინვე ის სათნოება და გულმოდგინება მიიქცევდა თქვენს ყურადღებას, რაითაც იგი დაჭრილის გადარჩენასა და მისთვის ტკივილის დაამებას ცდილობდა. ზოგჯერ ებრაულად გადაულაპარაკებდა ხოლმე რებეკა მოხუც მოსამსახურეს და ისიც დაუყოვნებლივ და უხმოდ ასრულებდა ბრძანებას; ეტყობოდა, ასეთ საქმეში ხშირად ეხმარებოდა .

ვინმე სხვისგან რომ მოესმინა აივენჰოს ამ უცნობი ენის ჟღერა, იქნებ პირველად ტლანქადაც კი მოჩვენებოდა, მაგრამ მშვენიერი რებეკას ხმამ ისეთი რომანტიკული და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, რასაც ჩვენი წარმოდგენა მიაწერს ხოლმე რომელიმე კეთილისმყოფელი გრძნეულის ჯადოქრულ სიტყვებს: აზრი არ გვესმის ამ სიტყვებისა, მაგრამ ხმის სინარნარე და წარმომთქმელის სიმშვენიერე გულში ჩამწვდომსა ხდის. ხმის ამოღება აღარც უცდია აივენჰოს, პირდაპირ მიენდო ამ ხალხს და უხმოდ დაემორჩილა ყველაფერს, რასაც ისინი მის გამოსაჯანსაღებლად მიიჩნევდნენ საჭიროდ. მაგრამ როცა საქმეს მორჩნენ და სათნო ექიმმა წასვლა დააპირა, აივენჰომ ვეღარ დაიოკა ცნობისმოყვარეობა.

- კეთილო ქალბატონო, - დაიწყო მან არაბულად. ეს ენა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობის

დროს შეესწავლა, და ახლა იფიქრა, აღმოსავლურად მორთული ქალი არაბულს ალბათ უფრო გამიგებსო, - კეთილო ქალბატონო, მინდა გთხოვოთ, რომ...

მაგრამ მშვენიერმა ექიმმა, რომელსაც ნაღვლიან სახეზე წუთით უნებური ღიმილი გადაეფინა, მაშინვე შეაწყვეტინა.

- მე ინგლისში ვიმყოფები, ბატონო რაინდო, და კარგადაც ვლაპარაკობ ინგლისურს, მიუხედავად იმისა, რომ ჩაცმულობით და წარმოშობით სხვა ქვეყნის შვილი ვარ.

- კეთილშობილო ქალბატონო, - განაგრძო აივენჰომ, მაგრამ რებეკამ ისევ შეაწყვეტინა.

- კეთილშობილს ნუღარ დამიძახებ, ბატონო რაინდო, - უთხრა მან, - ტყუილ-უბრალოდ ნუ განმადიდებ. ჯობს ახლავე გითხრა, რომ შენი მოსამსახურე ერთი საწყალი ებრაელია, იმ ისააკ იორკველის შვილი, ვის მიმართაც ამ ცოტა ხნის წინ დიდი სიკეთე გამოიჩინე. თვითონ ისიცა და მთელი მისი ოჯახიც ვალდებული არიან მოგიარონ და მზრუნველობა არ მოგაკლონ.

ვერ ვიტყვი, კმაყოფილი დარჩებოდა თუ არა მშვენიერი როენა, შემთხვევით რომ გაეგო, რა გატაცებით შესცქეროდა მისი ერთგული რაინდი ტურფა რებეკას ლამაზ სახეს, ჩამოქნილ ტანსა

და ელვარე თვალებს; ამ თავლების ელვარება ისე იყო ერთგვარად შერბილებული თუ მოჩრდილული გრძელი აბრეშუმის წამწამებით, რომ მინსტრელი ჟასმინის ბუჩქებიდან მოციაგე ვარსკვლავს შეადარებდა. მაგრამ აივენჰო ჭეშმარიტი კათოლიკე იყო და ბოლომდე ვერ შეინარჩუნებდა ებრაელი ქალის მიმართ ასეთ გრძნობას. რებეკა ამას წინასწარვე ითვალისწინებდა, იმიტომაც იყო, რომ მამის ვინაობისა და რჯულის გამხელას დაეშურა.მაგრამ ქალური სისუსტე ისააკის მშვენიერსა და ბრძენ ასულსაც გამოაჩნდა: მან თავი ვერ შეიკავა და ნაღვლიანად ამოიხვნეშა, რადგან შენიშნა, რომ ის მოკრძალებული აღტაცება და სინაზე, რითაც აივენჰო ქალს შესცქეროდა, რაღაც უფრო ცივ, დამშვიდებულ და თავდაჭერილ განწყობილებად შეიცვალა; ვაჟკაცის თვალები ახლა თავაზიან მადლიერებასღა გამოხატავდა იმ დიდი ყურადღების გამო, რაც მის მიმართ გამოიჩინა ყველასაგან დამცირებული ხალხის შვილმა ასეთ მოულოდნელ ადგილას. განა ადრე კი სხვა თვალით უყურებდა - მაშინაც მხოლოდ იმ მოკრძალებულ აღტაცებას გამოხატავდა, რითაც სიჭაბუკე მშვენიერებას შესცქერის ხოლმე. მაგრამ რებეკას მაინც გული მოუკვდა. იგი გრძნობდა, რომ თავისი პირადი ღირსებებით უფლება ჰქონდა ასეთი აღტაცებული თაყავნისცემა მოეთხოვა. ახლა კი ერთმა სიტყვამ მოაკლო ამ თაყვანისცემას და საბრლო ქალი ხელადვე ისეთ მდაბიოებში გადაისროლა, რომელთა მიმართ აღტაცების გამომჟღავნება უღირს საქმედ ითვლება.

მაგრამ რებეკა მეტისმეტად კეთილი და გულწრფელი ადამიანი იყო. და აივენჰო გულშიაც არ

გაუკიცხავს, საერთო ცრურწმენას რად აჰყვაო. მშვენიერი ებრაელი გულისტკივილით გრძნობდა, რომ დაჭრილმა რაინდმა იგი ისეთ განწირულსა და დამცირებულ ხალხს მიაკუთვნა, ვისთანაც ურთიერთობას ყოველნაირად უნდა ერიდოს კაცი. მაგრამ ქალს, ამის მიუხედავად, ერთი ბეწოთითაც არ შეუნელებია ყურადღება და ისეთივე მოთმინებით განაგრძობდა მის მოვლასა და გამოჯამრთელებას.

ჩვენ იორკს უნდა გავემგზავროთ, მამაჩემმა გადაწყვიტა, შენც თან წაგიყვანოს და მანამ ფეხზე დადგებოდე, ჩვენს სახლში გამყოფოსო, - უთხრა რებეკამ რაინდს.

აივენჰოს ძალიან არ ესიამოვნა ეს ცნობა და არც დაუმალავს, მაგრამ, არ მინდა ზედმეტად შეგაწუხოთო, ეს მოიმიზეზა.

- ნუთუ აქვე, ან მახლობლად სადმე არ მოიძებნება საქსონელი ფრანკლინი, თუნდაც ვინმე მდიდარი გლეხი, რომელიც ცოტა ხნით შეივრდომებს თავის დაჭრილ თანამემამულეს, - თქვა მან, - მანამ გამოვჯამრთელდებოდე და აბჯრის ასხმას შევიძლებდე!.. ან საქსონური მონასტერი მაინც არ მოიძებნება ახლომახლო, რომ იქ შევაფარო თავი?.. თუ არადა, იქნებ ბურტონში გადამიყვანონ - იქ წმიდა ვითოლდის სააბატოს წინამძღვარი მიმიღებს, ნათესავადაც კი მომხვდება.

- რაღა თქმა უნდა, - ნაღვლიანი ღიმილით უთხრა რებეკამ, - რაც ახლა ჩამოთვალეთ, იმათგან ყველაზე უარესი თავშესაფარიც კი უფრო შესაფერი მოგეჩვენება, ვიდრე საზიზღარი ებრაელის სახლი. მაგრამ, ბატონო რაინდო, ბინას ვერ გამოიცვლი, თუკი შენი ექიმის თავიდან მოშორება არ გადაგიწყვეტია. შენც მოგეხსენება, რომ ებრაელებმა ჭრილობის მკურნალობა კარგად იციან, თუმცა ხალხის დაჭრა მათთვის უცხოა; ჩვენს ოჯახს კი მით უმეტეს - განსაკუთრებული საიდუმლოც აქვს მკურნალობისა, რაც, სოლომონ მეფიდან მოკიდებული, თაობიდან თაობაზე გადმოდის. შენ უკვე გამოსცადე ასეთი წამლის ძალა. ვერც ერთი ნაზარეველი... მომიტევე, ბატონო რაინდო... ვერც ერთი ქრისტიანი ექიმი, მთელს ბრიტანეთში, ერთ თვეზე ადრე ისე ვერ განგკურნავს, რომ აბჯრის ასხმა შეიძლო.

- შენ რამდენ დღეში მოახერხებ? - მოუთმენლად ჰკითხა აივენჰომ.

- რვა დღეში - თუ მოთმინებით იქნები და ჩემს დარიგებას შეასრულებ, - მიუგო რებეკამ.

- ღვთიშობლის მადლმა, - თქვა უილფრედმა, - ღმერთი თუ არ მიწყენს ამ წმიდა სახელის აქ ხსენებას, - ჭეშმარიტ რაინდს ახლა ლოგინში საწოლად არა სცალია; და მაგ პირობას თუ შეასრულებ, მზადა ვარ მთელი ჩაფხუტი ვერცხლის ფული გადაგიხადო, როგორც კი შოვნას მოვახერხებ.

- მე ჩემს პირობას ნამდვილად შევასრულებ, - უთხრა რებეკამ, - ამ წუთიდან მოკიდებული, მერვე დღეს შენ აბჯრის ასხმა შეგეძლება, ოღონდ ვერცხლის ფულის მაგივრად სხვა რამესა გთხოვ და იმას თუ შემისრულებ.

- დიდი სიხარულითა და მადლობით, თუკი შევიძლებ, და თან ისეთ რამეს თუ მთხოვ, რაც ქრისტიან რაინდს საძრახისად არ ჩაეთვლება.

- არა, - მიუგო რებეკამ, - მე მინდა ამიერიდან მაინც გჯეროდეს, რომ ებრაელსაც შეუძლია კეთილი საქმე გაუკეთოს ქრისტიანს და საზღაურად არაფერი ინდომოს, გარდა დიდი შემოქმედის კურთხევისა, რომელმაც ებაელიც შექმნა ამ ქვეყნად და ქრისტიანიც. ეს არის ჩემი თხოვნა.

- ცოდვაც იქნება, რომ მაგაში ეჭვი შევიტანო, - მიუგო აივენჰომ, - მეტს არც არას გკითხავ, პირდაპირ მოგანდობ თავს, იმის იმედით, რომ რვა დღეში აბჯრის ასხმას შემაძლებინებ. ახლა კი, ჩემო კეთილო ქალბატონო, მიამბე ჩემს შემდეგ რა მოხდა ასპარეზობაზე. იქნებ კეთილშობილ სედრიკ საქსონელსა და მის ოჯახზე მითხრა რამე... ან მშვენიერ ქალბატონ... - შეჩერდა, თითქოს ებრაელის სახლში როენას ხსენებას მოერიდა... - აი, დღევანდელი ასპარეზობის დედოფალზე...

- რომელიც შენ აირჩიე, ბატონო რაინდო, და საპატიო ტახტზე დასვი, - უთხრა რებეკამ, - ამ არჩევანმაც ისეთივე აღტაცება გამოიწვია, როგორც შენმა მამაცობამ.

ხომ იმდენი სისხლი ჰქონდა დაკარგული აივენჰოს, მაგრამ ღაწვები მაინც შეუფაკლდა: ალბათ სათანადო სიფრთხილე ვერ გამოვიჩინე და ასე უხერხულად გავეცი საკუთარი გრძნობა როენას მიმართო.

- მაგისი ამბავი იმდენად არ მაინტერესებს, რამდენადაც პრინც ჯონისა. იქნებ ისიც მითხრა, ჩემს ერთგულ საჭურველთმტვირთელს რა მოუვიდა, რატომ თავზე არ მადგას?

- ახლა კი, ნება მიბოძე, ჩემი უფლებით ვისარგებლო და გაგაჩუმო, - უთხრა რებეკამ, - მღელვარე ფიქრებს ერიდე, მე თვითონ გიამბობ ყველაფერს, რაც გაინტერესებს. პრინცმა მაშინვე შესწყვიტა ასპარეზობა და მთელი თავისი ამალით - თავადებით, რაინდებითა და სამღვდელო პირებით

იორკისკენ გაეშურა. ოღონდ წინასწარ ათასნაირი ხრიკები იხმარა და რაც კი მდიდრად მიჩნეული ხალხი იყო, კანონიერად თუ უკანონოდ, სუყველას დასცინცლა ფული. ამბობენ, ძმისთვის ტახტის წართმევას აპირებსო.

- ასე იოლად ვერ ეღირსება! - თქვა აივენჰომ და წამოიწია, ერთი ჭეშმარიტი ინგლისელი ხომ

მაინც იქნება ქვეყნად!.. მე თვითონ ვიბრძოლებ რიჩარდისთვის, ყველაზე საუკეთესო რაინდი გამომიყვანონ... თუნდა ორი გამოიყვანონ ერთად!..

- მაგისთვის კი საჭირო იქნება მე დამიჯერო და მშვიდად იყო, - უთხრა რებეკამ და მხარზე ხელი დაადო.

- მართალს ამბობ, - მიუგო აივენჰომ, - ამ არეულ დროს რომ შეეფერება, ისე მშვიდად უნდა ვიყოთ... ახლა სედრიკსა და მის ოჯახზეც მითხარი რამე.

- სწორედ ახლახან იყო აქ მისი სახლთუხუცესი, - მიუგო ქალმა, მამაჩემს მატყლის ფული ემართა სედრიკისა და იმ ფულისთვის მოვიდა. სედრიკი და ათელსტანი ძალიან გაგულისებული წამოსულან პრინცის სახლიდან და ახლა შინ მიემგზავრებიან.

- ქალი ხომ არავინ ხლებიათ მეჯლისზე? - ჰკითხა უილფრედმა.

- ლედი როენა, - გარკვეულად უპასუხა რებეკამ უილფრედის გაურკვეველ შეკითხვას, - ლედი როენა არ წასულა პრინცის მეჯლისზე, სახლთუხუცესმა მითხრა, ისიც სედრიკთან ერთად აპირებს როთერვუდს დაბრუნებასო. თქვენი საჭურველთმტვირთველი გურთი კი...

- ჰა! - შესძახა რაინდმა, - მისი სახელიც იცი?.. თუმცა როგორ არ იცი, - ხელადვე დასძინა მან - როგორ არ გეცოდინება, როცა გუშინ იმდენი სიკეთე და გულუხვობა გამოგიჩენია და ასი ოქრო გიჩუქებია! ახლაღა მივხვდი, რომ შენ აჩუქე.

- ეგ რა მოსატანია, - მიუგო რებეკამ და ერთიანად წამოჭარხლდა, - ახლა კი ვხედავ, რა ადვილად შეუძლია ენას გულისნადები გასცეს.

- თავს მოვალედ ვთვლი, მთელი ეს ფული მამაშენს დავუბრუნო, - უთხრა აივენჰომ.

- რვა დღის შემდეგ, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი, - მიუგო რებეკამ, - ახლა კი ისეთ რამეზე, რაც შენს გამოჯანსაღებას შეუშლის ხელს, ნურც იფიქრებ და ნურც ილაპარაკებ.

- კარგი, შენი მორჩილი ვარ, კეთილო ქალო, - უთხრა აივენჰომ, - დიდი უმადურობა იქნება, არ დაგიჯერო. ბარემ საწყალი გურთის ამბავიც მითხარი და სხვას აღარაფერს გკითხავ.

- სასიხარულოს ვერაფერს გეტყვი, ბატონო რაინდო: სედრიკის ბრძანებით იგი შეიპყრეს და ახლა შეპყრობილი მიჰყავთ, - მიუგო რებეკამ, მაგრამ რა შეატყო, ამ ცნობამ უილფრედი ძალიან შეაწუხაო, მაშინვე დასძინა, - მაგრამ სახლთუხუცესი ამბობს, კიდევ თუ არ გაანაწყენა ბატონი ამ

დანაშაულს უსათუოდ აპატიებსო. ერთგული მსახურია, კარგი თვალით უყურებდა, და ახლაც, ბოლოს და ბოლოს, თუ რამე დააშავა, სედრიკისავე შვილის სიყვარულითო. ისიც კი მითხრა, თუ ვინიცობაა, სედრიკს გული არ მოუბრუნდა მასზე, მთელს მსახურებს, და განსაკუთრებით ვამბას, გადაწყვეტილი აქვთ გზიდან გააპარონო.

- ღმერთმა ხელი მოუმართოთ! - თქვა აივენჰომ, - მაგრამ თითქოს ბედის წიგნში მიწერიაო - ვინც კი სიკეთეს გამოიჩენს ჩემს მიმართ, ყველას უბედურება უნდა მოვუტანო. ხომ ხედავ, ჩემს მეფეს, რომელსაც გამორჩეულად ვუყვარდი და პატივსა მცემდა, ღვიძლი ძმა გადაუდგა და ტახტის წასართმევად იარაღს ამზადებს... ჩემმა მოკრძალებულმა თაყვანისცემამ ვაი და მწუხარება მოუვლინა ქალთა შორის უმშვენიერესს... ახლაც, აგერ გაგულისებული მამაჩემი საბრალო მონას უპირებს მოკვლას, იმის გამო, რომ მან სიყვარული და ერთგულება დამიმტკიცა... ხედავ, რა ბედუკუღმართ კაცსა შველი; გონს მოდი და დამეხსენ, თორემ უბედურება დაგეშილი მწევარივით მომდევს და ვაითუ შენც შიგ გაგახვიოს.

არა, - მიუგო რებეკამ, - დასუსტებული და დამწუხრებული ხარ, ბატონო რაინდო, და ღვთის განგებაში ეჭვი იმიტომ შეგაქვს. შენ იმ დროს დაბრუნდი სამშობლოში, როცა მას ყველაზე მეტად სჭირდება თავისი შვილის ძლიერი ხელი და მოსიყვარულე გული; სწორედ მაშინ მოსდრიკე შენი და შენი მეფის მტრების სიამაყე, როცა ისინი გამარჯვებით გაამპარტავნებულები იყვნენ;

მართალია, ამ ბრძოლის დროს მძიმე ჭრილობაც მიიღე, მაგრამ, ხომ ხედავ, ღმერთმა მაშინვე მშველელი და მკურნალი მოგივლინა, თუმცა კი ყველასაგნა შეძულებული ხალხის შვილი!.. ამიტომაც უნდა გამხნევდე, დარწმუნებული იყავი, რომ განგებამ დიდი საგმირო საქმისათვის დაგიფა-

რა და ეს გმირობა იარაღით უნდა აჩვენო შენს ხალხს. მშვიდობით... რუბინის ხელით წამალს გამოგიგზავნი და უსათუოდ დალიე. თავი დაიმშვიდე და ეცადე ძალ-ღონე მოიკრიბო ხვალინდელი მგზავრობისათვის.

აივენჰო დაემოჩილა რებეკას და აღუთქვა, შენ ყოველ დარიგებას შევასრულებო. რუბინის მოტანილი წამალი დამამშვიდებელი და გამაბრუებელი აღმოჩნდა, ავადმყოფს ტკბილი, აუშფოთებელი ძილი მოჰგვარა. დილით კი კეთილ ექიმს გამოცოცხლებული დახვდა - სიცხე გამონელებოდა და უკვე შეეძლო მომქანცველი მგზავრობის გადატანა.

იმავე ტახტრევანში დააწვინეს, რითაც წინადღით ასპარეზობიდან მოიყვანეს, და თან ყოველი ღონისძიება იხმარეს, რათა ავადმყოფი გზაში არ შეწუხებულიყო. მხოლოდ ერთ რამეში ვერ გასჭრა რებეკას მუდარამ - იუვენალის მეათე სატირაში მოხსენიებული გამდიდრებული მოგზაურის მსგავსად, ისააკს ყველგან ავაზაკები ელანდებოდა, რადგან იცოდა, რომ ბაცაცობაში გაწაფული ნორმანელი დიდგვაროვნებისთვისაც და საქსონელი ყაჩაღებისთვისაც იგი ერთნაირად სახარბიელო ნადავლი იქნებოდა. ამიტომ გამალებით მიდიოდა, თითო-ოროლა

წუთით თუ შედგებოდა, საუზმეს სულმოუთქმელად ჭამდა, ასე რომ მათზე რამდენიმე საათით ადრე გამომგზავრებულ სედრიკსა და ათელსტანსაც კი გაასწრეს, რომელთაც წმიდა ვითოლდის მონასტერში გაუჭიანურდათ სადილი. მაგრამ მირიამის მალამოს ისეთი ძალა გამოაჩნდა და თვითონ აივენჰოც ისეთი გამძლე გამოდგა, რომ გამალებულ მგზავრობას არა უვნია რა, თუმცა მის კეთილ მკურნალს ამის დიდი შიში ჰქონდა.

მეორეს მხრით, ისააკის ასეთ აჩქარებას საბედისწერო შედეგი მოჰყვა: ხალხს სული აღარ მოათქმევინა და გამცილებელ გუშაგებად საგანგებოდ დაქირავებული კაცები აუყაყანდნენ. ესენი საქსონელები იყვნენ და არხეინი ცხოვრება და მოსვენებული სმა-ჭამა უყვარდათ, რაც ნორმანებს სიზარმაცედ და ღორმუცელობად მიაჩნდათ. ეს ხალხი უფრო იმიტომ გამოჰყვა, რომ, შაილოკისა[44] არ იყოს, იმედი ჰქონდათ, მდიდარი ებრაელის ხარჯზე ერთს რიგიან-პირიანად მოვილხენთო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ძალიან განაწყენებულები დარჩნენ, როცა ისააკმა სულიც კი აღარ მოათქმევინა. ასეთ გამალებულ სიარულს ცხენები ვერ გაუძლებენ და დაგვივარდებიანო, უთხრეს. ბოლოს ისააკსა და მის დაქირავებულ ხალხს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა, რადგან იმაზე ვერ მორიგდნენ,

თუ ყოველი დანაყრების დროს რამდენი ღვინო და ლუდი უნდა დაელიათ. და სწორედ მაშინ, როცა ყველაზე სახიფათო ადგილს მიუახლოვდნენ და როცა ყველაზე უფრო სჭირდებოდა ისააკს მათი თავი, დაქირავებულებმა დაჰკრეს ფეხი და მოუსვეს. ისააკი იქვე მიატოვეს. ვეღარც კი მოასწრო მათი დაქრთამვა.

ასეთ სავალალო დღეში იყვნენ ებრაელი, მისი ქალიშვილი და დაჭრილი რაინდი, როცა მათ სედრიკი წამოეწია. ეს უკვე გიამბეთ და იმასაც მოგიყევით - დე ბრასისა და მისი ამფსონების ხელში როგორ მოხვდნენ. პირველად ტახტრევანისთვის არც კი მიუქცევიათ ყურადღება და იქნებ იქვე დაეტოვებინათ, შემთხვევით დე ბრასის რომ არ გამოეჩინა ცნობისმოყვარეობა და თავისი წილი ნადავლის ნახვის იმედით შიგ არ შეეჭყიტა, რადგან როენას პირბადე ეხურა და პირველ ხანებში ვერ შენიშნა. მაგრამ უნდა გენახათ დე ბრასის გაკვირვება, როცა ტახტრევანში დაჭრილი კაცი აღმოაჩინა და იმანაც ხელად გაუმხილა ვინაობა, უილფრედ აივენჰო ვარო, უთხრა; საქსონელი ყაჩაღები ეგონა და იფიქრა, ვინაობის გამჟღავნებით თავსაც დავიხსნი და მეგობრებსაც დავიფარავო.

ხომ ისეთი მხეცი და თავქარიანი იყო დე ბრასი, რაინდული ღირსების ნიშან-წყალი მაინც შერჩენოდა: ასე უმწეოდ რომ ნახა დაჭრილი რაინდი, გადაწყვიტა, ვნება არ მიეყენებინა მისთვის და უპირველეს ყოვლისა ფრონ დე ბეფის ხელში არ ჩაეგდო, რომელიც წარბშეუხრელად მოჰკლავდა, რადგან უილფრედი - „აივენჰოდ“ წოდებულ მამულში უწევდა მეტოქეობას. არადა, არც ისე დიდსულოვანი ყოფილა დე ბრასი, რომ თავის ნებაზე გაეშვა მეტოქე, რომლისკენაც აშკარად იხრებოდა როენას არჩევანი: ეს, ჯერ ერთი, ასპარეზობაზე დადასტურდა, ხოლო უფრო ადრე უილფრედის შინიდან გაძევებაც ხომ სწორედ ამან გამოიწვია. ასე რომ, დე ბრასიმ ბოროტსა და კეთილს შორის რაღაც შუა გზა აირჩია: ორ თავის

საკუთარ საჭურველთმტვირთველს უბრძანა, ტახტრევანს არ მოშორებოდნენ და ახლოს არავინ მიეკარებინათ. თუ ვინმე ჩააცივდებოდა, უნდა ეპასუხნათ, რომ ეს იყო ლედი როენას ტახტრევანი და რაკი შიგ არავინ იჯდა, თითქოს ერთი თავიანთივე დაჭრილი ამხანაგი მოათავსეს. ტორკილსტონს რომ მიაღწიეს, ტაძრელი რაინდი და ციხე-დარბაზის პატრონი თავთავიანთ საქმეში გაერთნენ - ერთი ებრაელის განძეულს ეცა, - მეორე - მის ქალს; დე ბრასის საჭურველთმტვირთველებმა კი აივენჰო განცალკევებულ

ოთახში შეიყვანეს და კვლავ დაჭრილი ამხანაგის სახელით იხსენიებდნენ. ასეთივე პასუხი მოახსენეს ფრონ დე ბეფსაც, როცა მან ჰკითხა - რატომ გალავანის დასაცავად არ გადიხართო

- დაჭრილი ამხანაგი! - შეჰყვირა გაცეცხლებულმა და გაკვირვებულმა ფრონ დე ბეფმა, - ასეა, მეომრები ავადმყოფის მომვლელ ძიძებად იქცნენ, მოხალისეთა რაზმეულის ჯარისკაცები მკვდრებს უდგანან; ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, ბრიყვი გლეხაჭუები და იომენები რომ გათავხედნენ და ბარონის ციხე-დარბაზს უტევდნენ, ხოლო მეღორეები და მასხარები კეთილშობილებს ბრძოლაში იწვევდნენ!.. ახლავე გალავანზე, უქნარა არამზადებო!.. - ისე დასჭექა, რომ თაღებს ზანზარი დააწყებინა, - გალავანზე ჩქარა, თორემ ამ კეტით სულ ძვლებს დაგილეწავთ!

მსახურებმა უკმაყოფილოდ ჩაიდუდუნეს, ბრძოლაში ჩაბმა იცოცხლე ჩვენც გვინდა და წავალთ კიდეც, ოღონდ ჩვენს ბატონს თქვენ თვითონ გაეცით პასუხი - გვიბრძანა მომაკვდავს მოუარეთო.

- მომაკვდავსაო! - იყვირა ფრონ დე ბეფმა, - მტერს მაგრად თუ არ დავხვდით, მალე ყველანი მომაკვდავები გავხდებით. მაგ თქვენს ლაჩარ ამხანაგს მე თვითონ მივუჩენ მომვლელს... ჰეი, ურფრიდ!.. ბებრუხანავ... საქსონელო ალქაჯო! არ გეყურება?.. გასწი და იმ ლოგინზე მიკრულ ვაჟბატონს უგდე ყური, რაკი ასე ძალიან საჭიროებს ყურადღებას, ამ არამზადებმა იარაღი უნდა აისხან... აჰა, თქვენ ორი სამალი და სასხლეტები... ჩქარა გალავანთან და თითო გასროლაზე თითო საქსონელის ტვინი უნდა დაანთხიოთ!

გუშაგებსაც ეს უნდოდათ, სიხარულით გაეშურნენ იმ საშინელ ბრძოლაში ჩასაბმელად, და, ამრიგად, აივენჰოს მზრუნველობა ურფრიდს თუ ულრიკას გადაეცა. მაგრამ მის გახურებულ ტვინში ახლა ისე ირეოდა მწარე მოგონებანი და შურისძიების ჟინი, რომ ავადმყოფის მოვლა სიამოვნებით მიანდო რებეკას.

თავი ოცდამეცხრე

გმირო მხედარო, იმ ჯიხურზე აძვერი ერთი
და გადახედე, ბრძოლის ველზე რა ამბავია.
შილერი.

ხშირად დიდი საშიშროების დროს უფრო ამჟღავნებს ადამიანი თავის გულითადობასა და სიყვარულს. საეთო მღელვარება ისე მოგვიდუნებს სიფრთხილეს, რომ ჩვენი გულისნადები, - რომელსაც უფრო დაწყნარებულ დროს თუ მთლიანად ვერ ვთრგუნავთ, დაფარვით მაინც ვფარავთ ხოლმე, - ახლა აშკარად მჟღავნდება. კვლავ აივენჰოს გერდით რომ აღმოჩნდა, საშინელი განსაცდელისა და განწირული მდგომარეობის მიუხედავად, რებეკას ისეთი სიხარულით აევსო გული, რომ თვითონვე გაუკვირდა. ჯერ მაჯა გაუსინჯა, მერე თავს როგორა გრძნობო, ჰკითხა; მის ხმასა თუ ხელის შეხებაში უნებურად ისეთი ალერსი და მხურვალე თანაგრძნობა გამოსჭვივოდა, რომ ამის გამოაშკარავების სურვილი სულაც არა ჰქონია. ხმა უთრთოდა, ხელი უკანკალებდა, და მხოლოდ აივენჰოს გულგრილმა შეკითხვამ გამოაფხიზლა. „შენა ხარ, კეთილო ქალო?“ ახლაღა მიხვდა, რომ აივენჰო მის

გრძნობებს სულაც არ უპასუხებდა, და არც შეიძლებოდა ეპასუხნა. ოხვრა აღმოხდა, მაგრამ ისე ჩუმი, რომ აივენჰოს არ გაუგონია.

ისევ ჰკითხა, როგორა ხარო; ახლა მისი დამშიდებული ხმა უბრალო მეგობრულ თანაგრძნობას გამოხატავდა.

აივენჰომ სწრაფად უპასუხა, კარგად ვარო, არც მეგონა, ასე კარგად თუ გავხდებოდიო. „შენი მადლობელი უნდა ვიყო, ძვირფასო რებეკა!“ - დასძინა მან.

„ძ ვ ი რ ფ ა ს რებეკას მეძახის, - გაიფიქრა ქალმა, - მაგრამ მისი გულგრილი და დაუდევარი კილო სულაც არ ეთანხმება ამ სიტყვის შინაარსს. ან კი რას წარმოადგენს მისთვის საძულველი ებრაელის ქალი - თავისი ცხენი და მწევრები ურჩევნია!“

-ჭრილობის ტკივილები იმდენად არ მაწუხებს, კეთილო ქალო, მაგრამ ტვინი ამემღვრა, - განაგრძო აივენჰომ, - ახლა აქ გუშაგები მადგნენ თავზე და იმათი ლაპარაკით მივხვდი, რომ ტყვე ვყოფილვარ. თანაც, ეტყობა, ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზში უნდა ვიყოთ; ჩახრინწულ ხმაზე ვიცანი ამ ციხის პატრონი, როცა ცოტა ხნის წინ გუშაგები გაჰყარა აქედან ლანძღვა-გინებით და რაღაც საბრძოლო საქმეზე გააგზავნა... თუ მართლა ასეა, როენასა და მამაჩემს რაღა მოვუხერხო, როგორ დავიფარო?!

„ებრაელსა და მის ქალს კი სულაც არ ახსენებს, - გაიფიქრა რებეკამ, - ანკი რაში ვენაღვლებით! სამართლიანადა მსჯის ზეცა, რომ ასეთი ფიქრები გავივლე გულში“.

ასე გაკიცხა საკუთარი თავი და დაეშურა აივენჰოსთვისაც გაეგებინებინა ყველაფერი, რაც თვითონ იცოდა. მაგრამ ბევრი არაფერი სცოდნია - ის უთხრა მხოლოდ, რომ ციხე-დარბაზში ტაძრელი რაინდი ბუა გილბერი და ბარონი ფრონ დე ბეფი მბრძანებლობდნენ; გარედან ალყა ჰქონდა ციხეს შემორტყმული, მაგრამ არ იცოდა, ვინ უნდა ყოფილიყვნენ მეალყეები. მერე დასძინა, ციხეში ვიღაც ქრისტიანი მღვდელი შევნიშნე და იმას ეცოდინება ყველაფერიო.

- ქრისტიანი მღვდელი! - სიხარულით შესძახა რაინდმა, იქნებ როგორმე აქ მომგვარო, რებეკა... ავადმყოფს შენი ნუგეში სჭირდება-თქო, უთხარი... რაც გინდა, ის უთხარი, ოღონდ მომიყვანე... რამე უნდა ვიღონო, მაგრამ როგორ, თუკი ის არ ვიცი, გარეთ რა ხდება.

რებეკა გარეთ გამოვიდა, რათა აივენჰოს სურვილი შეესრულებინა და მისთვის სედრიკი მიეგვარა. ჩვენ უკვე ვიცით, ეს ვერ მოახერხა, რადგან ურფრიდმა დაასწრო. რებეკა ოთახში შებრუნდა და აივენჰოს უამბო, რაც მოხდა.

ამ მარცხის გამო სინანულის გამოთქმაც კი ვერ მოასწრეს, ვერ მოასწრეს განზრახვის შესასრულებლად ახალი გეგმის დაწყობა, რომ მთელი ციხე-დარბაზი საშინელმა ხმაურმა მოიცვა. ეს იყო ბრძოლისათვის მზადების აურზაური. ხმაური აქამდეც ისმოდა, მაგრამ ახლა ათჯერ უფრო გაძლიერდა. ისმოდა, რა გამწარებით დაჯლიგინობდნენ ჯარისკაცები ზემოთ, ქონგურებიანი

კედლის გაყოლებაზე, როგორ გავარდებოდნენ ხოლმე ვიწრო ტალანებში და როგორ არბი-ჩარბოდნენ ხვეულ კიბეზე, რომლებიც ციხე-დარბაზის ოთახებს სხვადასხვა ადგილას განლაგებულ საგუშაგოებთან აკავშირებდა. რაინდები ჯარისკაცებს ამხნევებდნენ და ბრძანებას აძლევდნენ - სად უნდა ჩასაფრებულიყვნენ და რა ეკეთებინათ. მათ ხმას ხშირად იარაღის ჟღარუნი ახშობდა, ან იმათი ყიჟინა, ვისაც მიმართავდნენ. ამ შიშისმომგვრელ აურზაურში, რომელიც კიდევ უფრო თავზარდამცემ ამბებს მოასწავებდა, იყო რაღაც ამაღლებული, რაც რებეკას კეთილშობილ სულს, საშინელ არეულობის დროსაც კი, სპეტაკ ფიქრებსა და გრძნობებს აღუძრავდა; თვალები წამოენთო, მიუხედავად იმისა, რომ ღაწვები ერთიანად გაფითრებოდა. შიშითა და აღტაცებით თრთოდა და ჩურჩულით იმეორებდა, ხან თავისთვის, ხან კი აივენჰოს გასაგონად, წმიდა წიგნის სიტყვებს: „კაპარჭი ტკაცუნებს... შუბსა და ფარს ლაპლაპი გაუდის... გაისმის წინამძღოლთა მოწოდება და ყიჟინა სპათა“.

ლოგინზე მიკრული აივენჰო კი, იმ რაშის მსგავსად, რომელიც იქვეა აღწერილი, მოუთმენლობისაგან ბრდღვინავდა, გული გარეთ მიუწევდა, გაშმაგებით უნდოდა თვითონაც ჩაბმულიყო იმ ბრძოლაში, რის შესავალსაც ეს აურზაური წარმოადგენდა.

- ნეტა იმ სარკმელთან მაინც შემეძლოს მისვლა, - თქვა მან, - ერთი შემახედა, რა ხდება... მშვილდი მაინც მომცა, რომ ისარი გავტყორცნო, ან ჩუგლუგი - რომ ერთხელ მაინც მოვიქნიო

ჩვენს გასათავისუფლებლად!.. ვაგლახ, ყველაფერი ამაოა... ამაო... უძლური ვარ, იარაღიც კი არ მაქვს!..

- ნუ ღელავ, კეთილშობილო რაინდო, - უთხრა რებეკამ, - ხმაური ერთბაშად მიწყდა - იქნებ არც კი დაიწყონ ბრძოლა.

- შენ რა გესმის ბრძოლისა! - მოუთმენლად უპასუხა აივენჰომ, - ეს სიჩუმე იმის მომასწავებელია, რომ მეომრები საგუშაგოზე განლაგდნენ და ახლა თავდასხმას ელოდებიან. რაც ჩვენ გავიგონეთ, ის ქარიშხლის შორეული გუგუნი იყო... ცოტაც და მთელის მძვინვარებით იფეთქებს... სარკმელთან მისვლა მაინც შემეძლოს!

არ შეიძლება, უფრო ცუდად შეიქნები, კეთილშობილო რაინდო, - უთხრა მომვლელმა; მაგრამ რომ ნახა, როგორა სწუხდა, მტკიცედ დასძინა, - მე დავდგები სარკმელთან და და ყველაფერს გეტყვი, რაც გარეთ ხდება.

- აჰ, არა... ეგ არ შეიძლება! - შესძახა აივენჰომ, - ყოველი სარკმელი, ყოველი პატარა ჭუჭრუტანა მალე მემშვილდისრეთა სამიზნე გახდება. წამოვა როყიო ისარი და...

- ნეტა მართლა! - ჩაილაპარაკა რებეკამ და მტკიცე გადაწყვეტილებით აიარა ორი-სამი საფეხური, სარკმელს მიუახლოვდა.

- რებეკა, ძვირფასო რებეკა! - შესძახა აივენჰომ, - ეს რა ქალის საქმეა!.. სიკვდილს გულს ნუ მიუშვერ, მთელს სიცოცხლეს სანანებელს ნუ გამიხდი, ნუ მაფიქრებინებ, რომ მე შევიქენი ყველაფრის მიზეზი. ეს ძველი დარაკა მაინც აიფარე და ეცადე, ძალიან არ გამოჩნდე.

რებეკამ გასაოცარი სიმარჯვით შეასრულა აივენჰოს დავალება, სარკმლის ქვემოთა ნაწილს ძველებური დიდი ფარი მიაფარა და ისე კარგად ჩასაფრდა, რომ საკუთარი თავის განსაცდელში ჩაუგდებლად შეეძო თვალყური ედევნებინა, რა ხდებოდა გარეთ; დაწვრილებით მოეთხრო დაჭრილი რაინდისათვის, როგორ ემზადებოდნენ მომხვდურები საბრძოლველად. მართლაც, განსაკუთრებულად კარგი სათვალთვალო ადგილი შეხვდა, რადგან სარკმელი გამოჭრილი იყო მთავარი შენობის კუთხეში და რებეკა ხედავდა არა მარტო იმას, რაც გადაღმა ხდებოდა, არამედ იმ კოშკსაც, რომელზედაც იერიშის მიტანას აპირებდნენ მომხდურები. ეს იყო გარეთა კოშკი - არც ძალიან მაღალი და და არც თუ ისე მაგარი; იმ ჭიშკარს იცავდა, საიდანაც ცოტა ხნის წინათ ფრონ დე ბეფმა სედრიკი გაისტუმრა. ეს კოშკი ციხე-სიმაგრისაგან არხით იყო გამოყოფილი და, კიდეც რომ მოეხერხებინა მტერს მისი აღება, დამხვდურები უცებ მოძრავ ხიდს

მოშლიდნენ, მთლიანად მოსწყვეტდნენ კოშკს მთავარი შენობისაგან. ამ სიმაგრის დასაცავად იმდენი ხალხი მიეყარათ,

რომ რებეკა ადვილად მიხვდა - ციხე-სიმაგრის მესვეურებს ყველაზე მეტად ამ ჭიშკრის შიში ჰქონდათ; თავდამსხმელთა მთავარი ძალაც სწორედ აქეთკენ იყო მომართული; ეტყობოდა, მათაც იცოდნენ, რომ ყველაზე სუსტად გამაგრებული სწორედ ეს მხარე იყო.

ეს ცნობები სხაპასხუპით მიაყარა რებეკამ აივენჰოს და მერე დასძინა:

- ტყის გაყოლებაზე სულ მემშვილდისრეები ჩანან, მაგრამ ხეებს ეფარებიან, მხოლოდ ერთი ნაწილია წინ გამოსული.

- როგორი დროშა უჭირავთ?

- დროშას სულაც ვერ ვხედავ, - მიუგო რებეკამ.

- საოცარია! - ჩაილაპარაკა რაინდმა, - ამისთანა ციხის ასაღებად უდროშოდ და უბაირაღოდ მოდიან!.. ვინ მოუძღვით, ამას მაინც ვერ ხედავ?

- ყველაზე უფრო გარკვევით ერთი შავაბჯარასხმული რაინდი ჩანს, - უთხრა ქალმა, - სხვა არც არის ასე თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩასხმული, ეტყობა ეგ მეთაურობს.

- ფარზე რა ნიშანი აქვს? - ჰკითხა აივენჰომ

- რკინის ჯოხების მსგავსი რაღაცა... და იქვე ლურჯი კლიტეც.

- ლაჟვარდოვანი ბორკილები და ხუნდები! - თქვა აივენჰომ, - ნეტა ვისი ნიშანი უნდა იყოს... ეს კი ვიცი, რომ ყველაზე უფრო ამჟამად მე შემეფერება, წარწერას ვერ არჩევ?

- ამ სიშორეს არც კი ჩანს წარწერა, - მიუგო რებეკამ, - მზე რომ მოხვდება, მხოლოდ მაშინ თუ გამოჩნდება.

- სხვა სარდლები არა ჩანან? - არ ეშვებოდა აღელვებული რაინდი.

- აქედან არავინა ჩანს ისეთი, რომ გამორჩეული იყოს, - უთხრა რებეკამ, - მაგრამ ეჭვი არ არის, სხვა მხრიდანაც უტევენ... დაიძრნენ მგონი, სიონის ღმერთო, შენ დაგვიფარე!.. საშინელი სანახაობაა!.. წინა რიგებში ვეებერთელა ფარები და თავდასაცავი ხის ფიცრები უჭირავთ, უკანა რიგებში კი მშვილდები მოზიდეს... ო, მოსეს ღმერთო, ნუ გაუჭირვებ შენივე შექმნილთ...

შეტევის დაწყების ნიშანმა გააწყვეტინა სათქმელი. ჯერ რქების გაწვრილებული ჭყვიტინი გაისმა,

რასაც ციხის კედლებიდან ხელადვე მისცა ბანი ნორმანულმა ბუკებმა, და მალე დაფებიც წამოეშველა. გამაყრუებელი ხმაური კიდევ უფრო გააძლერა საომარმა ყიჟინამ, რაც ორივე მხარეს გაისმა, „წმიდა გიორგი, შენ უშველე მხიარულ ინგლისს!“

ჰყვიროდნენ მომხდურები. ნორმანები კი ღრიალით უპასუხებდნენ: „En avant De Bracy! Beau – seant! Beau – seant!.. Front – de Boeuf a la rescousse!“ და ამისთანები, იმისდა მიხედვით, თუ ვის ბრძანებას ემორჩილებოდა ესა თუ ის ჯარისკაცი.

მაგრამ მარტო ყიჟინით როდი ჰქონდათ გადაწყვეტილი ომის მოგება: მომხვდურთა თავგანწირულ შემოტევას არანაკლების შეუპოვრობით დახვდნენ ალყაშემორტყმულნი. ტყეებში ხეტიალისა და თამაშობა-შეჯიბრებების დროს საოცრად გაწრთვნილნი მემშვილდისრეები ისე გამოზომილად და მარჯვედ ისროდნენ ისრებს, რომ საცა არ უნდა გამოჩენილიყო ციხის გუშაგი, ისარი იქითკენ მიფრინავდა; თან თავიანთ საყვარელ შეძახილსაც გააყოლებდნენ ხოლმე - „ეს ერთი და სხვა მრავალი!“ სეტყვასავით დაუშინეს, თანაც როყიოდ კი არ ისროდნენ, ყველა ისარი მიზნისკენ მიდიოდა - ფანჯრები, ჭუჭრუტანები, ხვრელი თუ ნახვრეტი, - საცა კი ვარაუდით გუშაგი შეიძლებოდა მდგარიყო, - სულ ისერბით გაიტენა. ორი თუ სამი კაცი მაშინვე მოჰკლეს, ბევრი დაიჭრა. მაგრამ რეჯინალდ ფრონ დე ბეფი და მისი მოკავშირეები ისე გულარხეინად იყვნენ, ისე სჯეროდათ თავიანთი აბჯრების შეუვალობის და ციხის სიმაგრისა, რომ ამ გაცოფებულ შეტევას

ღირსეულის შეუპოვრობით დახვდნენ და მათაც დააყარეს საპასუხოდ გრძელი სამალებიდან ნასხლეტი ისრები, ბოძალები, შურდულები და სხვა სასროლი იარაღები. მომხვდურები, რაც ხელში მოხვდებოდათ, იმით იფარავდნენ თავს, და, რაღა თქმა უნდა, ზარალიც მეტი მოსდიოდათ. ისრების, ქვებისა და ბოძალების განუწყვეტელ სისინს ზოგჯერ ყიჟინაც შეუერთდებოდა, როცა ერთ-ერთი მხარე ან შეტევას ანახლებდა, ან დიდ დარტყმას განიცდიდა.

- იქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავთ და იმ ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვენი თავისუფლება თუ სიკვდილი, - ამოიგმინა აივენჰომ. - მე კი უძლური ბერივით უნდა ვიყო ლოგინზე მიჯაჭვული!.. აბა ერთი კიდევ გადაიხედე, კეთილო ქალო, ოღონდ ფრთხილად, მიზანში არ ამოგიღონ... გადაიხედე და მითხარი, წინ თუ მოიწევენ.

უხმო ლოცვით გულგამაგრებული რებეკა უშიშრად მიუახლოვდა სარკმელს და ისე მოეფარა, რომ ქვევიდან არავის დაენახა.

- რას ხედავ, რებეკა? - ჩაეკითხა დაჭრილი რაინდი.

- ისრების მეტს ვერაფერს; ისე სწრაფად მიჰქრი-მოჰქრიან, რომ თვალსა მჭრიან და მემშვილდისრეებს ვეღარც კი ვამჩნევ.

- დიდხანს არ გაგრძელდება ასე, - თქვა აივენჰომ, - ახლავე თუ არ დაესხნენ ციხეს, მარტო ისრებით რას გააწყობენ ქვის გალავანთან! აბა ერთი ისიც ნახე, შავი რაინდი რასა შვრება. როგორიც სარდალია, ჯარიც ისეთი ეყოლება!

- არსად არა ჩანს, - მიუგო რებეკამ.

- ლაჩარი! - შესძახა აივენჰომ, - ახლა გაიქცა, როცა ასე საშინლად გახურდა ბრძოლა!

- არ გაქცეულა! არ გაქცეულა! - იყვირა რებეკამ, - ეგერ არის, ვხედავ ახლა! ერთი რაზმი წამოუყვანია და გარეთა კოშკის აღებას აპირებს... ხელში ჩუგლუგები უჭირავთ, სვეტები და ბოძები სულ დალეწეს... ჯებირები დაანგრიეს... მისი მუზარადის შავი ფრთები ისე ფრიალებს ხალხის თავებზე, თითქოს ყორანი დაფრენდეს ბრძოლის ველზე. ერთგან შემოანგრიეს კედელი... შემოიჭრნენ... უკანვე დაახევინეს!.. მეციხოვნეებს ფრონ დე ბეფი წინამძღვრობს. კარგად მოჩანს მისი ახოვანი ტანი... ისევ შემოუტიეს... ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა... იაკობის ღმერთო! ორი მოვარდნილი ნიაღვარი შეასკდა ერთმანეთს... ქარით გამძვინვარებულ ოკეანეთა შეტევაა!

თავი მოაბრუნა, თითქოს ამ საშინელების ცქერა ვეღარ აიტანა.

- აბა კიდევ გადაიხედე, რებეკა, - უთხრა აივენჰომ, რომელმაც მცდარად გაიგო რებეკას მობრუნების მიზეზი, - რაკი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ, ისრებს ალბათ ისე გამწარებით აღარ ისვრიან... გადახედე, ისე საშიში აღარ არის.

რებეკამ გადაიხედა და მაშინვე იყვირა;

- წმიდა წინასწარმეტყველნო! ფრონ დე ბეფი და შავი რაინდი შეიბნენ! სხვები მათ შეჰყურებენ და ღრიალებენ... ღმერთო, შენ უშველე ტყვეებსა და გაჭირვებულთ! - უცებ იკივლა და ესღა წამოიძახა, - წაიქცა!.. წაიქცა!

- ვინ წაიქცა? - შეჰყვირა აივენჰომ, - იწამე ღმერთი, ვინ წაიქცა?

- შავი რაინდი, - ძლივს ამოილუღლუღა რებეკამ, მაგრამ უცებ მხიარულად შესძახა, - არა... არა! კურთხეულ იყოს ომის ღმერთის სახელი!.. ისევ

ფეხზე დგას... ისე იბრძვის, თითქოს მკლავში ოცი კაცის ძალ-ღონე ედგას... ხმალი გაუტყდა... ჩუგლუგი გამოსტაცა იომენს... დაუშინა და დაუშინა ფრონ დე ბეფს... დევკაცი ტორტმანობს, როგორც მუხა შეინძრევა ხოლმე წაქცევის წინ... წაიქცა... წაიქცა!

- ფრონ დე ბეფი?

- ფრონ დე ბეფი! - მიუგო ქალმა, - თავისიანები მიეშველნენ... გულზვავი გილბერი მიუძღვით... შეაჩერეს რაინდი... ფრონ დე ბეფი შიგ შემოათრიეს.

- კოშკი ხომ აიღეს მომხდურებმა?

- აიღეს!.. აიღეს! - შესძახა რებეკამ, - ციხის მცველები კედელთან მიჩიხეს. კიბეები ააყუდეს... ფუტკრებივით ირევიან... მხრებზე შეახტნენ ერთმანეთს... აქედან ქვები დააყარეს... მორები... ჯირკები... დასახიჩრებულები გაჰყავთ და სხვები იჭერენ მათ ადგილებს... ღმერთო დიდებულო! რაღად მიეცი კაცს შენი ხატება, თუ ერთმანეთს ასე დაამახინჯებინებდი?!

-რა დროს ეგ არის, - უთხრა აივენჰომ, - ვინ მარცხდება?.. ვინ იმარჯვებს?

- კიბეები ჩაჰყარეს, - მიუგო აცახცახებულმა რებეკამ, - მეომრები მატლებივით გაიჭყლიტნენ... ციხის მცველებმა აჯობეს.

- წმიდა გიორგი, შენ გვიშველე! - შესძახა რაინდმა, - ნუთუ გაიქცნენ ეს მოღალატე იომენები?

- არა! - უპასუხა რებეკამ, - ციბრუტუვით ტრიალებენ... შავ რაინდს უშველებელი ჩუგლუგი

მოუმარჯვებია და კარებს უახლოვდება... დასცხო... სულ ზანზარი გაუდის. ამ ყურისწამღებ ყიჟინაში აქაც კი მესმის მისი ჩახაჩუხი... ზევიდან ქვებსა და მორებს ესვრიან უშიშარ რაინდს... ყურსაც არ აბარტყუნებს, თითქოს ბუმბული ეყრებოდეს.

- წმიდა იოანესა ვფიცავ, - შესძახა აივენჰომ და ლოგინზე წამოიწია, - მთელს ინგლისში მარტო ერთი კაცი მეგულებოდა მაგისთანა საქმის ჩამდენი.

- ჭიშკარი მოლაყლაყდა, - განაგრძობდა რებეკა, - ტკაცუნებს... იმსხვრევა და ცვივა... შემოცვივდნენ... კოშკი აიღეს... ღმერთო! ... გუშაგებს კედლიდან ყრიან... პირდაპირ არხში გადაყარეს... იწამეთ ღმერთი! შეიბრალეთ, ხომ ხედავთ, აღარ გებრძვიან!

- ხიდი?.. ხიდი? ციხესთან დამაკავშირებელი ხიდი?.. ისიც აიღეს?.. - შესძახა აივენჰომ.

- არა, - მიუგო რებეკამ, - ტაძრელმა რაინდმა ჩატეხა ის ფიცარი, როცა გამოვიდა... მასთან ერთად სულ რამდენიმე მეციხოვნემ შეაფარა თავი ციხეს... აგერ დანარჩენები როგორ წივიან და კივიან... ღმერთო!.. ბრძოლაზე უფრო მძიმე სანახავი გამარჯვება ყოფილა!

- ახლა რას აკეთებენ რებეკა? - ჰკითხა აივენჰომ, - კიდევ გადაიხედე... იმის დრო არ არის ახლა, რომ სისხლის დანახვაზე გულს შემოგეყაროს.

- ჯერ კი მიწყნარდა ყველაფერი, - მიუგო რებეკამ, - ჩვენები იმ აღებულ კოშკში მაგრდებიან. ისე კარგად არიან იქ დაცული, რომ ციხიდან უკვე კანტიკუნტად ესვრიან, და ისიც იმიტომ, რომ არ მოასვენონ, ვნებას ვეღარც კი აყენებენ.

- ჩვენი მეგობრები ბრძოლას არ შეწყვეტენ, თქვა აივენჰომ, - რაკი თავიდანვე ბედნიერად დაიწყეს და ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს... ო, არა! იმ კეთილ რაინდზე ვამყარებ მთელს იმედებს, რომელმაც ჩუგლუგით დაამსხვრია რკინით შეჭედილი მუხის ჭიშკარი... საოცარია, - თავისთვის ჩაილაპარაკა მან, - ნუთუ კიდევ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელსაც ამნაირი თავგანწირული მამაცობა შეეძლოს!.. ფარზე გამოსახული ბორკილი და ხუნდები!.. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს? სხვა არაფერი ნიშანი აქვს, რებეკა, ის შავი რაინდი რომ შევიცნოთ?

- არაფერი, - უპასუხა ქალმა, - ყორნის ფრთასავით ჩაშავებულია. სხვას ვერაფერს ვამჩნევ, ვერავითარ ნიშანს... მაგრამ რაკი ერთხელ ვნახე ბრძოლაში, მგონია ათას მეომარში გამოვარჩევ-მეთქი. მტერზე ისე მიიწევს, თითქოს ლხინში მიდიოდეს. ეგ მარტო ძალ-ღონის საქმე როდია... რამდენს შემოჰკრავს, თითქოს სულსაც თან აყოლებსო. ღმერთო, შეუნდე ამდენი სისხლისღვრა... ხომ საშინელებაა, მაგრამ მაინც დიდებული საანახავია, ერთი კაცის მკლავი და გული როგორა ჯაბნის ასეულობით მეომარს!

- რებეკა! - უთხრა აივენჰომ, - შენ ნამდვილი გმირი დახატე. ახლა ალბათ ძალას იკრებენ ან არხის გადმოლახვის ხერხს იგონებენ. ამისთანა სარდალი როცა უდგას ჯარს სათავეში, ახლა შენ რომ ამიწერე, ლაჩრულად უკან დახევისა და ბრძოლის დაყოვნების ფიქრი აღარ არის. რაც მეტი დაბრკოლება ელით, დიდებაც მით უფრო სახელოვანი იქნება. ჩემი სახელის

ღირსებას ვფიცავ, იმის სახელსა ვფიცავ, ვინც მე სათაყავნებლად გამიხდია, მზადა ვარ ათი წლის ტყვეობა ვითმინო, ოღონდ ერთი დღე მაინც მეღირსოს ამისთანა სამართლიან საქმეში ასეთი დიდებული რაინდის გვერდით ბრძოლა.

- ჯერ არ გამოჯანმრთელებულხარ და ცალი თვალი ბრძოლის ველისკენ გიჭირავს, - უთხრა რებეკამ, სარკმელს მოშორდა და დაჭრილი რაინდის საწოლს მიუახლოვდა, - ასეთი მოუთმენლობა და წუწუნი ვნების მეტს არაფერს შეგყრის, უფრო დაგასუსტებს... როგორ გინდა სხვას მიაყენო ჭრილობა, როცა ჯერ კიდევ საკუთარი არ მოგიშუშებია?!

- რებეკა, - მიუგო რაინდმა, - შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ძნელია რაინდულ ბრძოლებში გამოწრთობილი კაცისათვის ბერივით ან დედაკაცივით გულხელდაკრეფილი ჯდომა, როცა ირგვლივ სამართლიანობის აღსადგენად იბრძვიან! ბრძოლა ჩვენთვის პურია არსობისა!.. ბრძოლის ველზე ავარდნილი მტვერი - ჰაერი, ურომლისოდაც სუნთქვა არ შეიძლება! ჩვენს სიცოცხლეს აზრი არა აქვს... არცა მსურს ისეთი სიცოცხლე, თუ დიდებისა და გამარჯვების

შარავანდი არ მმოსავს... ასეთია რაინდობის კანონი, რისთვისაც ჩვენ აღთქმა მიგვიცია და რასაც ყველაფერს ვანაცვალებთ, რაც კი რამ ძვირფასი გვაბადია.

- ვაგლახ! - უთხრა მშვენიერმა ებრაელმა, - ეს ხომ პატივმოყვარეობის დემონისათვის მსხვერპლის მიტანა გამოდის და სხვა არაფერი, მოლოქის[45] წინაშე ცეცხლის ალში გავლა?!. ამ დაღვრილი სისხლის წილ... ტკივილებისა და განსაცდელის... იმ ცრემლების წილ, რასაც თქვენი საგმირო საქმეები იწვევს ხოლმე, როცა სიკვდილი უმამაცესსაც კი შუბს გადაუმტვრევს, და რაშით გაფრენილსაც კი წამოეწევა... ყველაფერი ამის წილ რაღა რჩება?

- რა რჩება? - შესძახა აივენჰომ, - დიდება, ჩემო ძვირფასო, დიდება! იგი ავარაყებს ჩვენს აკლდამებს, უკვდავსა ჰყოფს ჩვენს სახელს!

- დიდება? - გაიმეორა რებეკამ, - ვაგლახ! ნუთუ ის ჟანგმოდებული აბჯარი, რომელიც რაინდის ნესტიანსა და ჩაბნელებულ საფლავზე ჰკიდია ღერბივით... ან საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც სანახევროდ გადალესილა და უვიცი ბერი გაჭირვებით უკითხავს ცნობისმოყვარე

პილიგრიმს... ნუთუ ოდნავ მაინც ანაზღაურებს ეს იმ დაკარგულ სიტკბოებას, იმ გაწამებულ სიცოცხლეს, რაც სხვათა სიცოცხლის გამწარებისათვის ბრძოლებში გაგიტარებიათ?! ან იქნებ ისეთი სათნოება იმალება მოხეტიალე მგოსნების ლექსებში, რომ სიხარულით შეგიძლია

დასთმო ოჯახური სითბო, ალერსი, მშვიდობიანი ცხოვრება და ბედნიერება, ოღონდ კი გმირი გახდე იმ ბალადებისა, რომელთაც საღამოობით ლუდით გამობრუჟულ არამზადებს უმღერენ ხოლმე მოხეტიალე მგოსნები?!

- ჰერვარდის სულსა ვფიცავ, - შესძახა გაცხარებულმა რაინდმა, - შენ არც კი იცი, რას ლაპარაკობ. შენ გინდა ჩააქრო რაინდობის წმიდა ლამპარი, რომელიც კეთილშობილს მდაბიოსაგან გვარჩევინებს, ჭეშმარიტ რაინდს - გლეხაჭუასა და ველურისაგან; ჩვენს სიცოცხლეს პატიოსნებაზე გაცილებით დაბლა აყენებს; გვასწავლის, როგორ დავთრგუნოთ ტკივილი, გაჭირვება და წამება; შთაგვაგონებს, რომ უპატიოსნების გარდა არავითარი ბოროტებისა არ გვეშინოდეს. ქრისტიანი არა ხარ, რებეკა, და ამიტომ შენთვის უცხოა ის მაღალი განცდები, რაც კეთილშობილი ქალწულის გულს სიამაყით აღელვებს ხოლმე, როცა მისი მიჯნური სასიქადულო გმირობას გამოიჩენს. რაინდობა!.. როგორ არ გესმის, რომ ეს არის წმიდა და მაღალი გრძნობების აკვანი... ჩაგრულთა საყრდენი, შეურაცხყოფილთა ქომაგი, მტარვალთა ლაგამი... უიმისოდ კეთილშობილება ფუჭი სიტყვა იქნებოდა... და თავისუფლების ყველაზე უკეთესი მცველიც რაინდის შუბი და ხმალია.

- მართალი ხარ, - უთხრა რებეკამ, - მე იმ ხალხის შვილი ვარ, რომელიც საკუთარი სამშობლოს დასაცავად უმაგალითო მამაცობას ამჟღავნებდა; მაგრამ მაშინაც კი, როცა დამოუკიდებელი ერი

იყო, ან ღვთის ბრძანებით აღმართავდა ხოლმე მახვილს, ან მჩაგვრელებისაგან საკუთარი ქვეყნის დასაცავად - სხვა დროს არა. მორჩა, საყვირის ხმა აღარ აღვიძებს იუდეველებს, ისრეაელთა ათვალწუნებული შვილები ახლა ჩაგვრისა და შევიწროების უმწეო მსხვერპლნი არიან. შენ კარგად თქვი, რაინდო - მანამ იაკობის ღმერთი თავის რჩეულ ხალხს მეორე გედეონსა და ახალ მაკაბელს[46] არ მოუვლენს, ებრაელ გოგოს ომებსა და ბრძოლებზე ლაპარაკი სულაც არ შეშვენის.

ბოლო სიტყვები ნაღვლიანად წარმოთქვა ამაყმა ებრაელმა ქალმა; ჩანდა, ღრმად განიცდიდა თავისი ხალხის დამცირებას, ამ გულისტკივილს

ახლა ალბათ იმის მწარე შეგრძნებაც ემატებოდა, რომ აივენჰოს თვალში მას უფლებაც არ ჰქონდა პატიოსნებაზე ელაპარაკნა, თითქოს იგი ვერ ჩასწვდებოდა ისეთ მაღალ გრძნობებს, როგორიცაა პატივი და დიდსულოვნება.

„რა ცუდად იცნობ ამ გულს! - გაიფიქრა რებეკამ, - რაკი ნაზარეველების რაინდობა აუგად მოვიხსენიე, იმას ჰგონია, რომ ჩემს სულში ლაჩრობა და სიმდაბლე არის დასადგურებული. ნეტა კი ზეცამ ინებოს და წვეთ-წვეთად დამაღვრევინოს ჩემი საკუთარი სისხლი იუდეველთა გამოსახსნელად! მაგრამ რას ვამბობ, ამ საზღაურით ის მაინც შემაძლებინოს ღმერთმა, რომ მამაჩემი და ეს მისი კეთილისმყოფელი დავიხსნა მტარვალთა ბორკილებისგან! მაშინ ნახავდა გულზვავი ქრისტიანი, რომ ღმერთის რჩეული ხალხის ასული ისევე მამაცურად შეხვდება

სიკვდილს, როგორც პატივმოყვარე ნაზარეველი ქალი, რომელსაც ვინმე ჩრდილოელი გაუთლელი წინამძღოლის შთამომავლობით მოაქვს თავი“

მერე დაჭრილი რაინდის ლოგინისკენ გაიხედა.

- ჩასძინებია! ბუნებამ თავისი ქნა - წუთიერი მყუდროება ჩამოვარდა თუ არა, ტკივილებითა და სულიერი მღელვარებით დაოსებული სხეული ხელად ძილს მიეცა. ვაგლახ! ნუთუ ცოდვად ჩამეთვლება, რომ მისი ცქერით დავტკბე, მით უმეტეს, იქნებ უკანასკნელადაც ვხედავდე!.. ვინ იცის, ცოტა ხნის შემდეგ ამ მშვენიერ ნაკვთებს აღარ შერჩეთ ის გმირული და მამაცური სული, რაც ახლა ძილშიაც კი არ შორდება!.. ნესტოები დაებერება, ბაგე გაეპობა, თვალებში სისხლი მოაწვება და გაუცივდება... მაშინ ამ წყეული ციხის ყველაზე ბილწ ბინადარსაც შეეძლება მივიდეს და ფეხით გათელოს ეს ამაყი და კეთილშობილი რაინდი - არც კი გაინძრევა, კრინტსაც ვერ დასძრავს!.. მაგრამ მამაჩემი!.. ო, მამაჩემო!.. ბარაქალა შენს ქალს, რომ ჭაბუკის ქერა კულულებმა შენი ჭაღარა გადაავიწყა!.. ვინ იცის, იქნებ იეღოვამ დამსაჯა, რომ უცხოელის ტყვეობას მოვთქვამ და მამის გასაჭირი არც მაგონდება!.. იუდეველთა უბედურება აღარაფრად მიმაჩნია და უცხოელისა და ქრისტიანის მშვენებით ვტკბები!.. არა, ეს სიგიჟე ახლავე უნდა მოვიგლიჯო გულიდან, თუნდაც გული ნაფლეთებად იქცეს და სისხლისაგან დაიცალოს.

პირბადე ჩამოუშვა და დაჭრილ რაინდს მოშორებით დაუჯდა ლოგინზე, ზურგშექცევით. გულს იმაგრებდა, - თუ ცდილობდა გაემაგრებინა, - არა მარტო გარედან მოსალოდნელ უბედურებათა დასახვედრად, არამედ იმ მოღალატური გრძნობების წინააღმდეგაც, რაც მის გულს შემოხვეოდა.

თავი ოცდამეათე

შედი და ნახე - კაცის სული ეყრება სხეულს,
არა იმ სულის სიმშვიდითა და ნეტარებით,
რომელიც, მსგავსად ტოროლასი, ცისკენ მიფრინავს,
ლაღად მიაპობს დილის ტკბილს და საამურ ნიავს
და მიაცილებს ხალხის ოხვრა, ხალხის გოდება, -
ო, არა, ანსელმს სხვანაირად ეყრება სული...
ძველებური პიესა.

მომხდურთა პირველი გამარჯვების შემდეგ მყუდროება ჩამოვარდა; ერთი მხარე კვლავ ახალი შეტევისათვის ემზადებოდა, მეორე კი დაცვას აძერებდა. ციხის სეფე-დარბაზში ტაძრელ რაინდსა და მორის დე ბრასის ასეთი საუბარი გაემართათ:

- ფრონ დე ბეფი სადღაა? - იკითხა დე ბრასიმ, რომელიც ციხის ერთ-ერთი მხარის გამაგრებას მეთვალყურეობდა, - მოკლესო, ამბობენ.

- ცოცხალია, - გულგრილად მიუგო ტაძრელმა, - ჯერ არ მომკვდარა. მაგრამ ფარზე რომ ხარი აქვს გამოხატული, თუნდა იმ ხარის თავი ბმოდა

მხერებზე და ათმაგი ჯაჭვი სცმოდა, იმ საბედისწერო ჩუგლუგს მაინც ვერ გადაურჩებოდა. რამდენიმე საათიც და ფრონ დე ბეფი მამა-პაპათა გზას გაუდგება... მარჯვენა ხელი მოეკვეთა პრინცის შეთქმულებას.

- სამაგიეროდ, სატანას სამფლობელოს შეემატა მამაცი სული, - თქვა დე ბრასიმ, - ასე იცის წმინდანებისა და ანგელოზების გმობამ! აბა რა ეგონა, რომ ყვიროდა - ხატები და წმინდანების ქანდაკებები გამოიტანეთ და ამ არამზადა იომენებს დაამხეთო!

- ნეტა რას როშავ! - უთხრა ტაძრელმა, - რაღა ფრონ დე ბეფის მკრეხელობა და რაღა შენი ცრუმორწმუნეობა: არც შენ იცი, რისთვის გწამს, და არც იმან იცოდა, რისთვის არა სწამდა.

- ღმერთო, შენ მიშველე!.. რა მოგდის ტაძრელო! - შესძახა დე ბრასიმ, - თუ ღმერთი გწამს, ასე თავისუფლად ნუ ატარტალებ ენას, როცა ჩემზე ლაპარაკობ. ღვთიშობლის მადლმა, შენზე და იმ შენს ტაძრელებზე კარგი ქრისტიანი ისევე მე ვარ. ტყუილად კი არ ლაპარაკობენ, სიონის ტაძრის ორდენი სულ ერეტიკოსებით გაიტენა და ერთ-ერთი მათგანი ბრაიან დე ბუა გილბერიც არისო.

- შენც ყურს უგდებ, - მიუგო ტაძრელმა, - მაგას სჯობია, ციხის გამაგრებაზე ვიზრუნოთ... შენკენაც მაგრად შემოუტიეს იმ არამზადა იომენებმა?

- ქაჯებივით! - უპასუხა დე ბრასიმ, - გუნდ-გუნდად მოაწყდნენ გალავანს. მოისარობაში რომ ჯილდო მიიღო, ის არამზადა მოუძღოდა - რქასა და აშურმაზე ვიცანი. აჰა, შენი ბებერი ფიცურსის ქებული პოლიტიკა - წააქეზებს ხოლმე ამ თავხედ მონებს და მერე ჩვენვე გვიჯანყდებიან! ჯაჭვის პერანგი რომ არა მცმოდა, ის არამზადა შვიდჯერ გამაცხებინებდა სულს, და არც შეწუხდებოდა - თითქოს ჩასუქებული ირემი მოეკლას. დამიშინა და დამიშინა გრძელ-გრძელი ისრები, ჯაჭვის ყოველ ფენაზე მომარტყა, გეგონებოდა, ნეკნებს უსინჯავსო. კიდევ კარგი, შიგნითაც ესპანური ჯაჭვი მეცვა და იმან მიშველა.

- სამაგიეროდ, გაუმაგრდით კიდეც! - უთხრა ტაძრელმა, - ჩვენ ხომ დავკარგეთ ჩვენი საგუშაგო!

- ძალიან ცუდი საქმე მოგივიდათ! - თქვა დე ბრასიმ, - ახლა კოშკში ჩასაფრდებიან და უფრო მჭიდროდ შემოგვერტყმიან. მერე, კარგად თუ არ ვუთვალთვალეთ, დაუცველ ადგილს მოგვიძებნიან, ან რომელიმე მიტოვებულ ფანჯარას, და მოგჭამა ჭირი! ხალხიც არა გვყავს იმდენი, რომ ყველა

საგუშაგო გავამაგროდ. ჯარისკაცები ძალიან შეწუხებულები არიან - თავის გამოყოფა ვერ მოგვისწრია, რომ სეტყვასავით მოდის ისრებიო. ფრონ დე ბეფი სიკვდილის პირზეა - ახლა აღარც მისი ხარის თავისა და მხეცური ღონის იმედი უნდა ვიქონიოთ... რას იტყვი, ბრიან, არა სჯობია, ბედს დავემორჩილოთ და ამ გარეწრებს ტყვეები მივცეთ?

- რაო?! - შესძახა ტაძრელმა, - ჩვენ თვითონ გამოვუყვანოთ ტყვეები? საქვეყნოდ მოვიჭრათ თავი? კაი მამაცი რაინდები კი ვიქნებით: ღამით, უმწეო მგზავრებს გმირულად დაესხნენო, იტყვიან, ხოლო მერე ციხეშიაც კი ვეღარ გაუმაგრდნენ მაწანწალა ყაჩაღებს, რომელთაც მეღორეები და მასხარები მოუძღოდნენო... გრცხვენოდეს, მორის დე ბრასი, ეგ რამ გაფიქრებინა!.. მირჩევნია, თავზე ჩამომენგრას ეს ციხე და ჩემი თავლაფდასხმაცა და მეც ერთად ჩაგვიტანოს, მაგისთანა სამარცხვინო და ბილწ დათმობაზე კი არა და არ დაგეთანხმები.

- მაშ, საგუშაგოებს მივაშუროთ, - უთხრა დე ბრასიმ უდარდელად, - ჯერაც არ გაჩენილა კაცი, - გინდ თურქი იყოს და გინდა ტაძრელი, - რომელსაც ჩემზე იაფად უღირდეს სიცოცხლე. მაგრამ, მე მგონი, არაფერი სამარცხვინო არ უნდა იყოს, რომ ორმოცამდე ჩემი მოხალისე რაზმელი ახლა აქ ვინატრო!.. ო, ჩემო მამაცო შუბოსნებო, რომ გაცოდინათ, წინამძღოლი რა დღეში გყავთ, მაშინვე აქ დაიბადებოდით და თქვენი შუბების წვერზე ამაყად ააფრიალებდით ჩემს დროშას... ერთს თქვენებურად დაერეოდით ამ არამზადების ხროვას და სულ კუდით ქვას ასროლინებდით.

- ნატვრით, ვინც გინდოდეს ის ინატრე, - მიუგო ტაძრელმა, - მაგრამ ჯობს წავიდეთ და ციხე გავამაგროთ ამ ხალხის დახმარებით, ვინც შემოგვრჩა... ესენი უმთავრესად ფრონ დე ბეფის მსახურები არიან, რომელთაც ათასნაირი მტარვალობითა და ძალმომრეობით შეაძულეს თავი ინგლისელებს.

- მით უკეთესი, - თქვა დე ბრასიმ, - ეს კონკიაჟღარუნა მონები უკანასკნელ სისხლის წვეთსაც არ დაზოგავენ, რომ გლეხაჭუების ხელში არ ჩაცვივდნენ. წავიდეთ, ბრიან დე ბუა გილბერ, საქმეს მივხედოთ. მოვკვდები თუ გადავრჩები, შენ ნახავ, რომ მორის დე ბრასის ძარღვებში კეთილშობილი სისხლისჩქეფს.

- წავიდეთ! - მიუგო ტაძრელმა რაინდმა, და მაშინვე საგუშაგოსაკენ გასწიეს, რათა ძალ-ღონე არ დაეშურათ ციხის დასაცავად. ისინი უყოყმანოდ

შეთამხმდნენ, რომ ყველაზე ძნელი დასაცავი ის ჭიშკარი იქნებოდა, რომლის წინა კოშკიც მტერმა აიღო. მართალია, ამ კოშკის აღების შემდეგაც მომხდურებს წყლით სავსე არხის გადალახვა დასჭირდებოდათ, ისე ვერ მიიტანდნენ იერიშს ჭიშკარზე, მაგრამ ტაძრელიცა და დე ბრასიც ხვდებოდნენ, რომ თუ მომხვდურები კვლავაც გაჰყვებოდნენ წინამძღოლის მიერ თავიდანვე მოფიქრებულ გეგმას, მთავარ იერიშს მაინც ამ ჭიშკარზე მიიტანდნენ, რათა ციხისმცველთა მთელი ძალები აქ მიეზიდათ, თვითონ კი ამასობაში მეციხოვნეთა დაბნეულობით ისარგებლებდნენ და სადმე გალავანის უფრო სუსტად დაცულ კარებში შეძვრებოდნენ. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა მცველთა ისედაც მცირერიცხოვანი რაზმი დაექუცმაცებინათ, გარკვეული მანძილის დაშორებით ჩაემწკრივებინათ გუშაგები გალავნის გასწვრივ და უეცარი იერიშის დროს განგაში აეტეხათ, რათა საერთო ძალით გამკლავებოდნენ მტერს. იმაზედაც შეთანხმდნენ, რომ მთავარ ჭიშკარს დე ბრასი დაიცავდა, ტაძრელი რაინდი კი ოციოდე კაცისაგან შემდგარ სამარქაფო რაზმს უხელმძღვანელებდა და საცა

კი გამოჩნდებოდა საშიშროება, მაშინვე იქ გაჩნდებოდა. კოშკის დაკარგვა იმითაც იყო ცუდი, რომ მეციხოვნეები წინანდებურის სიმარჯვით ვეღარ უთვალთვალებდნენ მტერს, მიუხედავად იმისა, რომ გალავანი იმ კოშკზე უფრო მაღალი იყო. ციხეს ბუჩქნარი და ხეები ერტყა, ასე რომ მომხდურებს თავისუფლად შეეძლოთ ისე გამოეტენათ კოშკი ჯარით, რომ მეციხოვნეები ამას ვერც კი შენიშნავდნენ. დე ბრასი და მისი მეგობარი დაიბნენ, ვერასგზით ვერ მიმხვდარიყვნენ, საიდან შეუტევდა მტერი, ამიტომ იძულებული გახდნენ სულ დაექსაქსათ ჯარი და გაფაციცებულ მოლოდინში ყოფილიყვნენ. მართალია, მამაცი მეომრები ჰყავდათ, მაგრამ ისინიც მეტისმეტად აირიენ და დაიძაბნენ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, როცა ალყაშემორტყმული ხალხი მტრის თავდასხმას ელის და არც კი იცის, როდის ან როგორ შეუტევს მოწინააღმდეგე.

ალყაშემორტყმული და საშიშროების წინაშე მდგარი ციხის პატრონი კი ამ დროს სასიკვდილო სარეცელზე იწვა და ჭრილობის ტკივილებთან ერთად საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა. მისთვის არ არსებობდა ის ნუგეში, რითაც მაშინდელი ცრუმორწმუნე ხალხი თავს იმშვიდებდა ხოლმე - ლამობდნენ ეკლესიისათვის გულუხვი შეწირულობით გამოესყიდათ ცოდ-

ვები და მიტევების იმედით გაებრუებიათ საიქიო სამსჯავროს შიში. მართალია, ამნაირად მოპოებული დამშვიდება ისევე ჰგავდა გულწრფელი მონანიებით მოვლენილ სულიერ სიმშვიდეს, როგორც ოპიუმით გაბრუება ჰგავს ჯანსაღსა და ბუნებრივ ძილს, მაგრამ გაღვიძებულ სინდისის ქენჯნაზე უფრო ადვილი ასატანი მაინც იყო. ბევრი ბოროტება ჰქონდა ფრონ დე ბეფს - ამ გულქვა და

გაუმაძღარ კაცს, მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც სიძუნწე და სიხარბე იყო. ფულისა და მამულების შემოსავლით ცოდვების გამოსყიდვას ის ერჩივნა, სულაც გადასდგომოდა ეკლესიასა და სამღვდელოებას. ვერც ტაძრელმა რაინდმა - ამ ურწმუნო, მაგრამ სულ სხვა ყაიდის კაცმა - ახსნა სწორად თავისი მეგობრის ხასიათი: ფრონ დე ბეფს თვითონვე არ ესმის, რატომ არ სწამს, ან რად ეზიზღება ეკლესიაო. სინამდვილეში კი ამისთანა შეკითხვაზე ბარონი უპასუხებდა - ეკლესია ძალიან ძვირს აფასებს თავის საქონელს; სულიერი თავისუფლება, რასაც იგი საყიდლად გვთავაზობს, იმდენივე ღირს, რამდენიც „იერუსალიმის ორდენის“ წინამძღვრობა - ესე იგი „ძალიან ძვირიო“; ფრონ დე ბეფს კი არაფერი არ სწამს იმ წამლისა, რისთვისაც ამდენი ფულის გადახდა იყო საჭირო.

მაგრამ დადგა ჟამი, როცა ყოველგვარი ამქვეყნიური საგანძური თვალსა და ხელს შუა ეცლებოდა, გული ქვისა ჰქონდა მხეც ბარონს, მაგრამ მომავლის წყვდიადს რომ გახედა, მაიც შეუტოკდა ეს ქვა გული. ახლა, სიცხიანს, კიდევ უფრო აუფორიაქდა გონება, სიკვდილის სარეცელზე ორმა შერეულმა გრძნობამ მოიცვა - ახლადგამოღვიძებულმა შიშმა და ბავშვობიდანვე გაძვალრბილებულმა სიკერპემ და უჯიათობამ. მისი აფორიაქებული ტვინი შეიძლებოდა შეგვედარებინა იმ შიშისმომგვრელი ბურუსისათვის, საცა მხოლოდ გულისტკივილია და არავითარი იმედი, მხოლოდ სინანულია და არა მონანიება, ახლანდელი ტანჯვის საშინელი განცდა და თან იმის წინათგრძნობა, რომ ამ ტანჯვას ვერც დაიყუჩებ და ვერც მოიშორებ.

- სადა გდიან ეს ძაღლი ბერები, - დუდღუნებდა ბარონი, - ასე ძვირს რომ აფასებენ თავიანთ მანჭვა-გრეხას?! ეს ფეხშიშველი კარმელიტები[47], რომელთაც ბებერმა ფრონ დე ბეფმა წმიდა ანას მონასტერი დაუარსა! რაც კარგი და შემოსავლიანი მამულები იყო, თავის მემკვიდრეს წაგლიჯა და იმ ოხრებს შესწირა! სად დაეხეტებიან ეს გაუმაძღარი ქოფაკები?! სვამენ ახლა ალბათ სადმე ლუდს და ილეშებიან, ან არადა ვინმე უბადრუკი გლეხაჭუას

ლოგინთან თავიანთ ოინბაზობას მართავენ!.. მე კი, მონასტრის დამაარსებლის მემკვიდრეს... ვისთვისაც უნდა ილოცონ და ღმერთს ემუდარონ... კაცი პატრონი არა მყავს... ეს უმადური არამზადები!.. ძაღლივით უნდა მოვკვდე - უაღსარებოდა და უზიარებლად!.. ტაძრელ რაინდს მაინც დაუძახეთ, ისიც ხომ ბერია, იქნებ რამე იღონოს... თუმცა არა... მირჩევნია, ეშმაკს გავანდო აღსარება, ვიდრე ბრიან დე ბუა გილბერს... მაგას სამოთხეც ფეხებზე ჰკიდია და ჯოჯოხეთიც... გამიგონია, მოხუცი ხალხი თვითონ აღავლენს ლოცვასო... თუკი თვითონვე შემიძლია, რაღა იმ თვალთმაქც ბერებს ვეღიჭინო და ქრთამი ვაძლიო... მაგრამ არა... ვერ გამიბედია!..

- ამ დღესაც შევესწარით! რეჯინალდ ფრონ დე ბეფსაც წამოსცდა, „ვერ გამიბედიაო!“ - ზედ რაინდის სასთუმალთან გაისმა წივანა ხმით წარმოთქმული სიტყვები.

იმხანად ცრურწმენა იყო გავრცელებული, თითქოს მომაკვდავის სარეცელთან ეშმაკები შეიყრებოდნენ და წმიდა ფიქრებს, - რისი წყალობითაც ადამიანი მარადიული სასუფევლის

დამკვიდრებას ლამობდა, - სულ მთლად აუწეწავდნენ; ახლაც სინდისის ქენჯნით დამძიმებულსა და აფორიაქებულ ფრონ დე ბეფს მოეჩვენა, ერთ-ერთმა ასეთმა ეშმაკმა გამაწყვეტინა სიტყვაო. ააცახცახა და მოიკუნტა, მაგრამ ხელადვე მოეგო გონს და ჩვეული სიმტკიცით შეჰყვირა:

- ვინა ხარ?.. როგორ ბედავ, რომ აქ მოდიხარ, ყვავივით დამჩხავი და ჩემს სიტყვებს იმეორებ?!.. წინ გამოდი, დაგინახო!

- მე შენი ბოროტი ანგელოზი ვარ, რეჯინალდ ფრონ დე ბეფ! - მიუგო ხმამ.

- გამოდი, დაგინახო, თუ მართლა ეშმაკი ხარ! - შესძახა მომაკვდავმა რაინდმა, - არ იფიქრო, თვალს გარიდებდე... საუკუნო სამსჯავროსა ვფიცავ; შიშის წინააღმდეგაც რომ ისევე თვალსაჩინოდ შეიძლებოდეს შებრძოლება, როგორც ათასნაირ ამქვეყნიურ ფათერაკს შევჭიდებივარ, მაშინ თვითონვე დარწმუნდებოდნენ სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც, რომ მე ამ შემოჯარულ საშიშროებას სულაც არ გავურბივარ.

- შენი ცოდვები გაიხსენე, რეჯინალდ ფრონ დე ბეფ, - მიუგო არაამქვეყნიურმა ხმამ, - რა ღალატი ჩაგიდენია, რამდენი ვინმე გაგიძარცვავს, რამდენი მოგიკლავს!.. ვინ აამხედრა გარყვნილი ჯონი თავისი ჭაღარა მამის... თავისი დიდსულოვანი ძმის წინააღმდეგ?!

- სტყუი, ვინც არ უნდა იყო - ეშმაკი, ქაჯი, თუ ბერი, - შესძახა ფრონ დე ბეფმა, - მე ავამხედრე ჯონი?.. მარტო მე ავამხედრე?.. ორმოცდაათი რჩეული რაინდი და ბარონი, მთელი შუა ინგლისის თაიგული იქ არ იყო?!. მაგათზე უკეთესი ან ვინ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში?!. ორმოცდაათი ცოდვა მე ერთს რად უნდა მომეკითხოს?! მე შენ მეზიზღები ცრუ ეშმაკო! გამეცალე, აღარც გაბედო ჩემ ლოგინთან მოახლოება... თუ ადამიანი ხარ, მშვიდად სულის ამოხდომა მაცალე... ეშმაკი თუ ხარ, ჯერ არ დამდგარა შენი დრო!

- მშვიდად სულის ამოხდომას ვერ ეღირსები! - უთხრა იმავე ხმამ, - სიკვდილის დროსაც არ მოგასვენებს იმათი აჩრდილები, ვინც შენ მოგიკლავს... ის კვნესა, რასაც ეს კედლები გამოსცემდა... სისხლი, რითაც ეს იატაკი მოთხვრილა!..

- შენი უბადრუკი გესლი მე ვერ შემაკრთობს, - მიუგო ფრონ დე ბეფმა ნაძალადევი სიცილით, - უწმინდური ურია ხომ... ზეცა დამიმადლებს კიდეც იმისთვის, რაც მე იმას ვუყავი; მაშ, რატომ არის, რომ სარკინოზთა სისხლით ხელმოთხვრილ ხალხს წმიდანებად რაცხავენ?.. საქსონელ ღორებს იმიტომ ვჟლეტდი, რომ ჩემი ქვეყნის, ჩემი მოდგმისა და ჩემი ხალხის მტრები იყვნენ... ჰა! ჰა! ხომ ხედავ, ჩემთან ვერაფერს გახდები!.. გაიპარე?.. ხომ გაგაჩუმე?

- არა, საზიზღარო მამისმკვლელო! - მიუგო ხმამ, - მამაშენი გაიხსენე!.. გაიხსენე როგორ მოკვდა!.. როგორ მოჰკლა თავისივე შვილმა და სამეჯლისო დარბაზის იატაკი მისი სისხლით მოთხვარა!..

- ჰა! - შესძახა ბარონმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ, - ეგეც თუ იცი, მართლა ბოროტი სული ყოფილხარ და, ბერებს თუ ვერწმუნეთ, ყოვლისმცოდნე იქნები... მე მეგონა, ეს საიდუმლო მარტო ჩემს გულში იყო ჩამარხული, და კიდევ იმ ქალის გულში, ვინაც მაცდუნა და მოზიარე გამიხადა ამ მკვლელობისა!.. წადი, თავი დამანებე, ეშმაკო! წადი და საქსონელი ჯადოქარი ულრიკა მონახე... ის გეტყვის, რისი მოწმენი გავხდით ჩვენ ორნი... იმასთან წადი-მეთქი... მან მოჰბანა ჭრილობები მოკლულს და ისე გააპატიოსნა, რომ თავისი დღით მკვდარს დაამსგავსა... წადი, მოძებნე... იმან წამაქეზა... იმ საზიზღარმა მაცდუნა... და ჯილდოც მან მომიზღა მერე ამ საქმისათვის... საზიზღარი ჯილდო... მასაც აგემე ის ჯოჯოხეთური ტანჯვა!

- მან უკვე იგემა ეს ტანჯვა, - უთხრა ულრიკამ და ლოგინის წინ დაუდგა ფრონ დე ბეფს, - დიდი ხანია სვამს სიმწრის ფიალას, და ახლა, როცა შენც

ამისთანა დღეში გნახა, ის სიმწარე გაუტკბა კიდეც. ნეტა რას ახრჭიალებ მაგ კბილებს, ან თვალებს რას მიბრიალებ და მუშტებს რას მიღერებ, ფრონ დე ბეფ!.. სულ ცოტა ხნის წინ ეს შენი ხელი, შენივე განთქმული წინაპრის მსგავსად, ხარს მოუგრეხდა კისერს, ახლა კი ჩემი ხელივით სუსტი და უძლური გამხდარა.

- ო, შე ბილწო და სისხლისმსმელო! - წარმოთქვა ფრონ დე ბეფმა, - შენა ხარ, საზიზღარო ბუკიოტო? შენ თვითონ დამღუპე და დამაქციე, და ახლა ყბადაც მიგდებ?!

- დიახ, ულრიკა ვარ, რეჯინალდ ფრონ დე ბეფ, შენი ხელითვე მოკლულ ტორკილ ვოლფგანგერის ქალი... და იმ ბიჭებისა, რომლებიც ერთ დღეს გაჟლიტეთ!.. ახლა მოვსულვარ და ანგარიშის გასწორებას ვთხოულობ... რა უყავი ჩემს მამას, ჩემიანებს, ჩემს სახელსა და დიდებას?! ყველაფერს, რაც ფრონ დე ბეფთა მოდგმამ დამაკარგვინა!.. გაიხსენე, ფრონ დე ბეფ, რა დღეში ჩამაგდეთ, და თუ რამეს ვტყუოდე, პირდაპირ მითხარი. შენ ჩემი ბოროტი სული იყავი და ახლა მე უნდა გავხდე შენი ბოროტი სული. არ მოგასვენებ, მანამ სული არ ამოგხდება, არ მოგეშვები.

- მაგას ვერ ეღირსები, კუდიანო დედაბერო! - შესძახა ფრონ დე ბეფმა, - ჰეი, ჯილ, კლემენტ, იუსტას, სენ მორ, სტეფან! გაქაჩეთ ეს კუდიანი და კოშკიდან გადაუძახეთ... გვიღალატა, საქსონელებზე გაგვყიდა!.. ჰეი, სენ მორ! სტეფან!.. სად დაიკარგეთ, ლაჩარო არამზადებო!..

- დაუძახე, დაუძახე, მამაცო ბარონო, - უთხრა დედაბერმა და ღვარძლიანად ჩაიხითხითა, - მოუხმე შენს ვასალებს, მათრახითა და საპყრობილით დაემუქრე, ხომ ხედავ, არ გისმენენ!.. მაგრამ არა, ყოვლისშემძლე ბარონო, - ერთბაშად შეიცვალა კილო მან, - მაგათგან ვეღარც პასუხს ეღირსები, ვერც დახმარებას და ვერც მორჩილებას... ეს საშინელი ღრიანცელი არ გესმის?!. - გარედან მართლაც მოისმა ახალი იერიშის გამაყრუებელი ყიჟინა, - ეს ყიჟინა შენი სახლის დაცემას მოასწავებს. სისხლით გამაგრებული ძლიერება ფრონ დე ბეფთა მოდგმისა

შეირყა და საძირკვლიანად ტორტმანებს,შენი ყველაზე საძულველი მტრების წინაშე იმსხვრევა!.. საქსონელები არიან, რეჯინალდ!.. საზიზღარი საქსონელები უტევენ შენს ციხე-დარბაზს!.. რას გაშოტილხარ ლოგინში, მილასლასებულ მონასავით, ვერ ხედავ, რომ საქსონელები შენს ციხე-სიმაგრეს იღებენ?!.

- ო, ზეცავ!.. ო, ჯოჯოხეთო!.. - ამოიგმინა დაჭრილმა რაინდმა, - ცოტა ხნით მაინც დამიბრუნდეს ძალა, რომ ბრძოლის ველამდე მივაღწიო და ღირსეულოად მოვკვდე!

- გულშიაც ნუ გაივლებ, მამაცო მეომარო! - მიუგო დედაბერმა, - ჯარისკაცულ სიკვდილს ვერ ეღირსები, მელიასავით უნდა ამოგხდეს სოროში სული - ცეცხლს რომ შემოუნთებენ ხოლმე გლეხები და ამობუგავენ.

- მიჰქარავ, კუდიანო! - შესძახა ფრონ დე ბეფმა, - ჩემი ჯარისკაცები მამაცურად იბრძვიან... გალავანი მაღალია და კარგად გამაგრებული!.. მთელი ლაშქარი რომ მოვიდეს საქსონელებისა, თუნდა ჰენგისტი და ჰორზა მოუძღოდეს, წარბსაც ვერ შეახრევინებენ ჩვენებს!.. ტაძრელისა და მოხალისეთა ჯარისკაცების ყიჟინა არ გესმის! პატიოსნებას ვფიცავ, მტერს როცა ვძლევთ და გამარჯვების კოცონს დავაგუგუნებთ, ძვალიან-რბილიანად ჩაგხრუკავ იმ კოცონში... მე კი ვიცოცხლებ, რათა ვიხილო, ამქვეყნიური ცეცხლიდან ჯოჯოხეთის გენიაში როგორ ჩავარდები!..

- მაგის იმედი გქონდეს, - მიუგო ულრიკამ, - ვიდრე შენ თვითონ არ დარწმუნდები... თუმცა რატომ! ბარემ ახლავე გეტყვი, რა მოგელის; ისეთი რამე მოგიმზადა ამ სუსტმა ხელებმა, რომ შენი ღონე, მამაცობა და ძლიერება ვეღარაფერს გიშველის. ამ სულისშემხუთავსა და მხრჩოლავ კვამლს ვეღარ ამჩნევ, შავ ბოლქვებად რომ მოედო ოთახს?!. შენ გეგონა, უკვე ვკვდები და თვალთ დამიბნელდაო?.. სული რომ გეხუთება, ეგეც იმისგან გგონია?.. არა, ფრონ დე ბეფ, მაგის მიზეზი სულ სხვა რამეა... სარდაფები რომ საწვავით გაქვთ გამოტენილი, არ გაგონდება?

- დედაკაცო! - იყვირა გაცოფებულმა რაინდმა, - ცეცხლი ხომ არ წაუკიდე?.. ღმერთო! ნამდვილად აგრეა - მთელი ციხე ცეცხლის ალშია გახვეული!

- ჯერ არ გახვეულა - ახლა ეხვევა, - შემაძრწუნებელი გულგრილობით თქვა ულრიკამ, - მალე ნიშანს მივცემ მომხდურებს, რომ უფრო მაგრად შემოუტიონ ცეცხლის ჩამქრობლებს... მშიდობით, ფრონ დე ბეფ!.. დაე საქსონელთა ძველი ღმერთები - მისტა, სკოგულ და ზერნებოკი, რომელთაც დღევანდელი ბერები ეშმაკებს ეძახიან - შემოგეხვიონ ამ სიკვდილის სარეცელზე და იმათ განუგეშონ... ულრიკა ახლავე გაგშორდება... მაგრამ ეგეც იცოდე - იქნებ გულს მოგიფონოს - რომ საითაც შენ მიდიხარ, ულრიკაც იმ წყვდიადისკენ მოდის: დანაშაული ერთი გქონდათ ორივეს, და სასჯელიც

გაიზიარეთ... მშვიდობით, მამისმკვლელო!.. დე ამ ციხის ყოველმა ქვამ ენა ამოიდგას და ყურში ჩაგძახოს, რომ მამისმკვლელი ხარ!

ეს უთხრა და ოთახიდან გავიდა. ფრონ დე ბეფმა გაიგონა, როგორ გაიკეტა მან კარები - ორჯერ საგულდაგულოდ გადააბრუნა ვეებერთელა გასაღები და საბოლოოდ მოუსპო თავდახსნის ყოველგვარი იმედი. მოახლოებული სიკვდილის შიშით გამწარებული ფრონ დე ბეფი ღრიალს მოჰყვა - მსახურებსა და მოკავშირეებს მოუხმობდა:

- სტეფან, სენ მორ!.. კლემენ, ჯილ!.. ვიწვი და კაცი მშველელი არა ვყავს!.. მიშველეთ!.. მომეხმარეთ!.. მამაცო ბუა გილბერ!.. გულადო დე ბრასი!.. ფრონ დე ბეფი ვარ, ფრონ დე ბეფი!.. თქვენი ბატონი გეძახით, მოღალატე მონებო!.. თქვენი მოკავშირე ვარ... თქვენი ძმადშეფიცული, მოღალატე და ფიცის გამტეხო რაინდებო!.. ასე გამწირეთ?!. მოღალატის საკადრისი წყევლა-კრულვა დაგატყდეთ თავს, თქვე სულმოკლე არამზადებო!.. არც კი მისმენენ... ხმას ვერ ვაწვდენ... ამ ღრიანცელში რას გააგონებ!.. კვამლი სულ უფრო და უფრო მომძლავრდა, იატაკს ცეცხლი მოედო!.. ერთი მაინც ჩამასუნთქინა სუფთა ჰაერი და მერე მომკლა!

განწირულების შეგრძნებამ სულ გააცოფა უბედური და არეულ ყვირილს მოჰყვა: ხან საომარ ყიჟინას დასცემდა, ხან კი წყევლა-კრულვას დაუწყებდა - ჯერ საკუთარ თავს, მერე კაცთა მოდგმას და , ბოლოს, თვით ზეცასაც კი.

- კვამლის ბოლქვებში ცეცხლის ალი ამოვარდა! - შესძახა მან, - ეს ეშმაკის დროშაა - გაუშლია და

ჩემთან შესაბმელად მოდის... გამეცალე, ბოროტო სულო!.. ჯერ ამხანაგებიც მომივიდნენ, მე მარტო არ გამოგყვები... ყველაფერი შენია, შენ გეკუთვნის - ეს ციხე, ეს კედლები, შიგ დაბანაკებული ჯარი... ვერ მოგართვეს - ფრონ დე ბეფი მარტოკა არ გამოგყვება!.. არასდიდებით... ღვთისმგმობელი ტაძრელიც თან უნდა მახლდეს... გარყვნილი დე ბრასიც... ბილწი და გათახსირებული ულრიკაც... მთელი ის ხალხი, ვინც ყოველგვარი საქმის დროს გვერდში მედგა... საქსონელი ძაღლები და ის ჩემი ტყვე, წყეული ურიებიც... ყველა, ყველა უნდა გამომყვეს... დიდებული კრებული კი გამოვა და ყველანი ერთ გზას დაადგებიან... ჰა, ჰა, ჰა! - ისე გადაიხარხარა, რომ კოშკის თაღებს კვლავ ზანზარი დააწყებინა.

- ვინ როხროხებს? - იკითხა მან შეცვლილი ხმით: ყურისწამღები საბრძოლო ყიჟინის მიუხედავად, ფრონ დე ბეფის გიჟური სიცილი ექომ მასვე დაუბრუნა და რაინდს ახლა სხვისად მოეჩვენა, - ვინ როხროხებს-მეთქი, შენ იყავი, ულრიკა?.. მითხარი, კუდიანო, და გაპატიებ... ამისთანა უბედურების დროს მარტო შენ თუ გაიცინებდი... ან თვით ეშმაკი!.. განვედ ჩემგან!.. გამეცალე!..

მაგრამ აბა რა სასიამოვნო იქნება, რომ მოვყვეთ და დაწვრილებით აღვწეროთ ღვთისმგმობელისა და მამისმკვლელის სიკვდილი.

თავი ოცდამეთერთმეტე

ერთხელაც კიდევ შევუტიოთ, ძვირფასო ძმანო,
ან გავჟლიტოთ და ან შევასკდეთ, როგორც შეგვფერის.
... და თქვენც, კეთილო და მამაცო იომენებო,
ვისაც ძარღვებში ინგლისური გიჩქროლავთ სისხლი,
გვაჩვენეთ თქვენი თავდადება ინგლისისათვის
და დაგვიმტკიცეთ, რომ მამულის ღირსი შვილნი ხართ.
შექსპირი

სედრიკს თვითონვე არა სჯეროდა ულრიკას სიტყვებისა, მაგრამ მისი დანაბარები მაინც შეატყობინა შავ რაინდსა და ლოკსლის.

როცა იმათ გაიაგეს, ციხე-დარბაზშიაც გვყოლია მეგობარიო, ძალიან გაიხარეს, რადგან საქმე საქმეზე რომ მივიდოდა, მას დიდი დახმარების გაწევა შეეძლო; უყოყმანოდ დაეთანხმენ საქსონელს, რომ რაც არ უნდა დასჯდომოდათ, ციხე იერიშით აეღოთ, სხვანაირად ტყვეებს ვერ გაათავისუფლებდნენ მტარვალ ფრონ დე ბეფის ხელთაგან.

- ალფრედის შთამომავალი განსაცდელშია! - თქვა სედრიკმა.

- კეთილშობილი ქალბატონის ღირსებას საშიშროება ემუქრება - დასძინა შავმა რაინდმა.

- მე კიდევ, აგერ რომ აშურმაზე რომ წმიდა ქრისტოფერი მყავს გამოსახული, იმასა ვფიცავ, - თქვა თავისი მხრით მამაცმა იომენმა, - მარტო ერთგული ვამბაც რომ იყოს გამოსახსნელი და სხვა კი არავინ, თავს გადავდებ და დავიხსნი.

- მეც შენთანა ვარ, - ბანი მისცა ბერმა, - რა ბრძანებაა, ბატონებო! როცა სულელი... სხვანაირად კი არ ჩამომართვათ, ბატონებო, მე ისეთს სულელს მოგახსენებთ, ვისაც თავისი საქმე და ხელობაც ჩინებულად ესმის და თან სუფრასაც დაგიმშვენებს, ისე გულიანად შეექცევა ღვინოს, როგორც კაი ლორის ნაჭერს... ერთი სიტყვით, ჩემო კეთილებო, ამისთანა სულელისათვის ჭკვიანი ბერი არც ლოცვას დაიშურებს და არც ბრძოლაში თავის გამოდებას - მანამ ლოცვანის კითხვა და კეტის ტრიალი არ დამვიწყებია.

ესა თქვა და ისე მარჯვედ დაატრიალა თავისი მძიმე ჩუგლუგი, როგორც მწყემსი ბიჭი მოიქნევს სახრეს.

- ჭეშმარიტად, წმიდა ბერო! - დაუმოწმა შავმა რაინდმა, - ეგ ისეთი ჭეშმარიტება თქვი, თითქოს თვითონ წმიდა დუნსტანი გამოგვცხადებოდეს და იმას ეთქვას... აბა, მამაცო ლოკსლი, არა ვთხოვოთ კეთილშობილ სედრიკს, რომ წინ გაგვიძღვეს და ჩვენც გაგვიყოლოს?

- არა, მაგას ვერ ვიკისრებ, - მიუგო სედრიკმა, - ჩემს დღეში არ მისწავლია არც აღება და არც დაცვა მტარვალთა ციხე-სიმაგრეებისა - ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ წამოგვიმართეს ნორმანებმა ამ ჩვენს ტანჯულ მიწაზე. მებრძოლთა წინა რიგებში კი სიამოვნებით ჩავდგები; ჩემმა პატიოსანმა მეზობლებმა იციან, რომ მე გაწრთვნილი ჯარისკაცი არა ვარ - არც ჯარის წესრიგსა ვარ შეჩვეული და არც სიმაგრეების აღებას.

- თუ ასეა, მაშინ მე ვიკისრებ მემშვილდისრეთა უფროსობას, - თქვა ლოკსლიმ, - და როგორც საშობაო შაშხს მიაყრიან ხოლმე მიხაკს, ისე თუ არ მივაყაროთ ცხვირ-პირში ისრები ყველას, ვინც კი ციხიდან თავის გამოყოფას გაბედავს, ნუ შემიცოდებთ და ზედ ჩემს სანიშნო მუხაზე ჩამომკიდეთ.

- ბარაქალა, მამაცო იომენო! - უთხრა შავმა რაინდმა, - მეც თუ ღირსად ჩამთვლით, და ამ მამაც ბიჭებშიაც თუ მოიძებნებიან ისეთები, ვინც თამამად გაჰყვება ჭეშმარიტ ინგლისელ რაინდს, - უფლებაცა მაქვს ასე მოვიხსენიო

ჩემი თავი, - მზადა ვარ, კოშკის იერიშზე წავუძღვე ჯარს - არც ძალ-ღონეს დავიშურებ და არც გამოცდილებას.

მართლაც, გაინაწილეს თუ არა როლები, წინამძღოლებმა პირველი იერიში მიიტანეს ციხეზე. რა მოჰყვა ამ იერიშს, მკითხველმა უკვე იცის.

აიღეს თუ არა გარეთა კოშკი, შავმა რაინდმა ეს ბედნიერი ამბავი მაშინვე ლოკსლის შეატყობინა; თან შეუთვალა, გაფაციცებით ედევნებინა თვალყური ალყაშემორტყმულთათვის, რათა კვლავ არ მოეკრიბათ ძალ-ღონე, არ გამომხტარიყვნენ და უკანვე არ დაებრუნებიათ დაკარგული სიმაგრე. ციხიდან გამოხტომა განსაკუთრებით აფიქრებდა რაინდს, რადგან იცოდა, რომ თავის გამოუცდელ, გაუწვრთნელსა და სავსებით შეუიარაღებელ ჯარს ძალიან გაუძნელდებოდა ბრძოლა ნორმანელი რაინდების გამობრძმედილ ჯარისკაცებთან, რომლებიც თავით-ფეხამდე შეიარაღებულები იყვნენ. მართალია, იომენები დიდის შემართებითა და თავგამეტებით უტევდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ის მშვიდი თავდაჯერება არა ჰქონდათ, რაც მუდმივი წრთვნისა და იარაღის გამუდმებული ხმარების დროს უმუშავდება ხოლმე ჯარს.

შავმა რაინდმა მცირე შესვენებით ისარგებლა და სახელდახელოდ შეაკოწიწებინა მცურავი ხიდისა თუ გრძელი ტივის მაგვარი რაღაცა; იმედი ჰქონდა, რომ, მტრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ ტივით არხის გადალახვას მოახერხებდა. ტივის შეკვრას კარგა ხანი მოუნდნენ, მაგრამ წინამძღოლები დიდად არ წუხდნენ ამას. იცოდნენ, რომ ამასობაში ულრიკა გააკეთებდა რამეს ციხეში.

ტივის შეკვრას რომ მორჩნენ, შავმა რაინდმა ასე მიმართა ჯარს:

- მეტი დაცდა აღარ იქნება, მეგობრებო; მზე უკვე გადაიხარა, და ისეთი საშური საქმე მაქვს, რომ ხვალაც თქვენთან დარჩენა არ შემიძლია. თანაც, ახლავე თუ არ მოვრჩით საქმეს, ვაითუ იორკიდან ცხენოსანი ჯარი მოეშველოს მტერს. ლოკსლისთან გაიქცეს ვინმე და უთხრას, რომ იქითა მხრიდან დაუშინონ ისრები ციხეს, თითქოს იქიდან ვაპირებდეთ შეტევას. თქვენ კი მამაცო ინგლისელებო, გავხსნი თუ არა კოშკის კარებს, მაშინვე ტივი მოაცურეთ. ყოჩაღად გამომყევით და იმ მთვარი ჭიშკრის დალეწვა მიშველეთ. ვისაც გული არ მოუწევს, ან ხელჩართული ბრძოლისათვის შესაფერი იარაღები არა აქვს, ამ კოშკის ქონგურზე აძვრეს და კარგად დაუდარაჯ-

დეს - გამოყოფს თუ არა ვინმე თავს მოპირდაპირე გალავანზე, მაშინვე ისარი სტყორცნოს... კეთილშობილო სედრიკ, აქ დარჩენილებს შენ უწინამძღვრებ.

- აჰ, არა! ჰერვარდის სულსა ვფიცავ, წინამძღვრობა არ შემიძლია! - მიუგო საქსონელმა, - მაგრამ, საცა არ უნდა წაგვიყვანო, თუ მეწინავეთა რიგებში არ გამოგყვე, დე შთამომავლობამ წყევლა-კრულვით ამომაგდოს საფლავიდან... ბრძოლა ჩემ გამო ატყდა და მეწინავე ჯარშიაც მე უნდა ვიყო.

- კარგად დაფიქრდი, კეთილშობილო საქსონელო, - უთხრა რაინდმა, - ჯაჭვის პერანგი არ

გაცვია, არც მუზარადი გახურავს, ხეირიანი იარაღიც კი არა გავქვს - მარტო ხმალი და ფარიღა გიჭირავს ხელში...

- მით უკეთესი, - მიუგო სედრიკმა, - უფრო ადვილად ავძვრები იმ გალავანზე. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ, ბატონო რაინდო, და დღესვე ნახავ, რომ თუ ნორმანელს უსათუოდ ჯაჭვის პერანგი სჭირდება, საქსონელი შიშველ მკერდსაც მამაცურად მიუშვერს მტერს.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, - უთხრა შავმა რაინდმა, - მაშ კარი გააღე და ეს ტივი წყალში შეაცურე.

კარი, რომელიც გარეთა კოშკში იყო გამოჭრილი და ციხე-დარბაზის დიდი გალავნის მთავარ ალაყაფის კარებს გაჰყურებდა, უცებ გაიღო; სწრაფად გამოიტანეს სახელდახელოდ შეკრული ტივი და წყალში შეაცურეს. ამრიგად, გაღმა-გამოღმა მხარე ერთმანეთთან უკვე ლიპი და სახიფათო ხიდით იყო დაკავშირებული, რომელზედაც, გვერდისგვერდ, ორი კაციც კი ძლივს მოთავსდებოდა. შავმა რაინდმა კარგად იცოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ციხის იერიშით აღება, ამიტომ იგი უყოყმანოდ გადახტა ხიდზე და გალავანს მიაშურა. სედრიკიც მას მიჰყვა. რაინდმა ჩუგლუგი მოიმარჯვა და დასცხო და დასცხო ალაყაფის კარებს. ჭიშკრის მცველებმა ზემოდან ქვები და ისრები დაუშინეს, მაგრამ რაინდსა და სედრიკს ძველი

მოძრავი ხიდი იფარავდა. ეს ხიდი ტაძრელმა დაანგრია უკანდახევის დროს, მაგრამ ერთი ნაწილი გალავანზე დარჩა მიკრული და ახლა მიმხდურებს საფარად გამოადგათ. იმ მეომრებს, რომლებიც რაინდსა და სედრიკს

მიჰყვნენ, ასეთი საფარი არა ჰქონიათ: ორი მათგანი მაშინვე განგმირეს ისრებით, ორიც არხში ჩავარდა, დანარჩენები კი უკანვე გაბრუნდნენ და კოშკს მიაშურეს.

სედრიკსა და შავ რაინდს დიდი საშიშროება ემუქრებოდა, და კიდევ უფრო საშინელ დღეში აღმოჩნდებოდნენ, კოშკის ქონგურებზე ჩასაფრებულ მემშვილდისრეებს არ გამოედოთ თავი: ისე დაუშინეს ისრები ციხის მცველებს, რომ სულიც აღარ მოათქმევინეს - ამით, ჯერ ერთი, ყურადღება მიიპყრეს მათი და, მეორეც, საშუალება არ მისცეს, ლოდები ჩამოეგორებინათ და ორი მთავარი მომხვდური გაესრისათ. მაგრამ საშიშროება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

- ღმერთმა შეგარცხვინოთ! - უყვირა დე ბრასიმ თავის ჯარისკაცებს, - ძალიან კი მოგაქვთ თავი, კარგი მსროლელები ვართო, და ეს ორი ძაღლი არხეინად ჩაგსაფრებიათ ზედ ციხის გალავანთან!.. სხვა თუ ვერაფერი მოგიხერხებიათ, ეს ქონგურები მაინც ჩაანგრიეთ... დასტაცეთ ხელი ძალაყინს და ის დიდი ლოდი დაამხეთ თავზე!

იომენებმა უცებ წითელი ბაირაღი შენიშნეს, რომელიც ულრიკას გამოეკიდნა განაპირა კოშკზე. ამ

ბაირაღს სულ პირველად თვალი ჰკიდა მამაცმა ლოკსლიმ, რომელსაც თურმე გულმა ვეღარ მოუთმინა და კოშკისაკენ გამოქანდა, რათა ენახა, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა.

- წმიდაო გიორგი! - შესძახა მან, - შენ დაიფარე ინგლისი!.. აბა, მარდად, ბიჭებო!.. მარტო იმ მამაც რაინდსა და კეთილშობილ სედრიკს მიანდეთ ციხის აღება?.. მიდი, თავზეხელაღებულო ბერო, გვაჩვენე, რომ კრიალოსნის მარცვალზე ნაკლებ არც სროლა გეხერხება!.. შეუტიეთ, მამაცო იომენებო!.. ციხე ჩვენია... შიგ მეგობრები გამოგვიჩნდნენ... დროშას ხომ ხედავთ - ეს დათქმული ნიშანია!.. ტორკილსტონის ციხე ჩვენია!.. ჰოი, რა სახელი გველის! ან რა ალაფი!.. ერთი კიდევ შევუტიოთ და ციხე ჩვენია!

ეს რომ თქვა, მშვილდი მოზიდა და ისარი შიგ გულში აძგერა ერთ- ერთ ჯარისკაცს, რომელიც დე ბრასის ბრძანებით დიდ ლოდს ეძიძგილავებოდა, რათა სედრიკისა და შავი რაინდისათვის დაემხო თავზე. მოკლული ამხანაგის ძალაყინს მეორე ჯარისკაცმა დასტაცა ხელი და ის იყო ლოდისთვის უნდა შეეყენებინა, რომ ახლა ამას მოხვდა ისარი თავში და წამსვე სული

გააფრთხობინა - მეომრის გვამი გალავნიდან გადმოეშვა და პირდაპირ არხში ჩავარდა. ჯარისკაცები მაგრად დაფეთდნენ - აშკარა იყო, რომ ამ საშინელ მოისარს ვერავითარი აბჯარი ვერ უმაგრდებოდა.

- დაფრთხით, სულმდაბალო არამზადებო?!. - შესძახა დე ბრასიმ, - Mount joye Saint Dennis!.. აბა აქ მომეცით ეს რკინის კეტი! - დასტაცა ხელი ძალაყინს და სანახევროდ მოყანყალებულ ლოდს შეუყენა. იმოდენა იყო ეს ლოდი, რომ არათუ გალავანზე აკრულ მოძრავ ხიდს ჩაგლეჯდა, რომელსაც შავი რაინდი და სედრიკი აფარებდნენ თავს, არამედ იმ ტლანქად შეკრულ ტივსაც ჩასძირავდა, რითაც მათ არხი გადალახეს. ყველა თვალნათლივ გრძნობდა საშიშროებას. უმამაცესმა ვაჟკაცმაც კი, თვით გულადმა ბერმაც ვერ გაბედა ხიდზე ფეხის შედგმა. სამჯერ ესროლა ლოკსლიმ დე ბრასის და სამჯერვე აისხლიტა ისარი რაინდის რკინის პერანგმა.

- ღმერთმა დასწყევლოს შენი ესპანური ჯაჭვი! - შეჰყვირა ლოკსლიმ, - აბა ერთი ინგლისელი მჭედლის გამოკვერილი იყოს, ისე გავხვრეტდი, თითქოს აბრეშუმი ან ტილო ყოფილიყოს.

და რაკი ვერაფერს გახდა, ისევ თანამებრძოლებს დაუწყო ყვირილი:

- ჰეი, მეგობრებო! კეთილშობილო სედრიკ! ჩქარა მოეცალეთ, ქვა მოდის!

მაგრამ ვერ მოაწვდინა ხმა, რადგან შავი რაინდის ჩუგლუგს ისეთი ჩახაჩუხი გაუდიოდა ალაყაფის კარებზე, რომ ოც საომარ საყვირსაც კი ჩაახშობდა. მაშინ ერთგულმა გურთმა ისკუპა და პირდაპირ ხიდს დაახტა, რათა დროზე გაეფრთხილებინა სედრიკი და გარდაუვალი

ხიფათი აეცილებინა. ან არადა მასაც გაეზიარებინა ბატონის მწარე ბედი. მაგრამ გვიანღა იყო, ვეებერთელა ლოდი უკვე ყანყალებდა და დე ბრასი, საცა იყო, ადგილიდან დასძრავდა, რომ უცებ ტაძრელს არ შეეჩერებინა, რომელმაც შიგ ყურში ჩასძახა:

- ყველაფერი დაიღუპა, დე ბრასი, ციხე იწვის.

- რამ გაგაგიჟა?! - მიუგო რაინდმა.

- დასავლეთი მხარე სულ ცეცხლის ალშია გახვეული. ბევრს ვეცადე ჩაქრობას, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე.

სასტიკი გულგრილობით შეატყობინა ეს საშინელება ბუა გილბერმა, - ასეთი ხასიათისა იყო, - მაგრამ მის მეგობარსაც ასეთივე გულგრილობით როდი მოუსმენია.

- ღმერთო დიდებულო! - შესძახა დე ბრასიმ, - რაღა გვეშველება! წმიდაო ნიკოლას ლიმოჟელო, ბაჯაღლო ოქროს შანდალს შემოგწირავ...

- ფიცს მოეშვი და მე მომისმინე, - უთხრა ტაძრელმა, - შენი ჯარისკაცები დაბლა ჩასხი, თითქოს

უეცარ იერიშს აპირებდე. ალაყაფის კარები გახსენით... ორად-ორი კაცი დგას კარებთან - წყალში ჩაუძახე და ხიდზე გადით, გარეთა კოშკს მიაშურეთ. მეც გამოვალ გარეთ მეორე კარიდან და სხვა მხრიდან შემოვუტევ კოშკს. კოშკი თუ დავიბრუნეთ, ფიქრი აღარ არის, რომ მაშველი ძალის მოსვლამდე, თავის დაცვას მოვახერხებთ, ყოველ შემთხვევაში, საპატიო ზავს მაინც დავდებთ.

- კარგად მოგიფიქრებია, - უთხრა დე ბრასიმ, - ახლავე გავსწევ... ოღონდ, შენ ხომ არ მიღალატებ, ტაძრელო?

- აჰა ჩემი ხელი და თათმანები! - მიუგო ბუა გილბერმა, - მაგრამ რა დროს ეგ არის - იჩქარე, თუ ღმერთი გწამს!

დე ბრასიმ სასწრაფოდ წაასხა თავისი ხალხი, ჭიშკარს მივარდა და გაღება უბრძანა. მაგრამ ამ დროს შავმა რაინდმა შეანგრია კარები, დე ბრასიმ ვეღარ მოახერხა მისი შეჩერება; ორი ჯარისკაცი მაშინვე უსულოდ დაეცა, დანარჩენები კი გაიფანტნენ, მიუხედავად იმისა, რომ წინამძღოლი თავგამოდებით ცდილობდა მათ შეჩერებას.

- ძაღლებო! - უყვიროდა დე ბრასი, - ეს არის ჩვენი ერთადერთი ხსნა და ნუთუ ორმა კაცმა უნდა დაგაფრთხოთ?!

- ეს ხომ თვით ეშმაკია! - შესძახა დე ბრასის ერთმა ძველმა მეომარმა, რომელიც გამწარებით არიდებდა თავს შავი რაინდის დარტყმებს.

- თუნდაც ეშმაკი იყოს - სადღა გარბიხარ?! - შეუტია დე ბრასიმ, - ჯოჯოხეთის ხახაში უნდა ჩავარდე?! ვერა ხედავთ, ციხეს ცეცხლი უკიდია, არამზადებო!... განწირულებამ მაინც გაგამამაცოთ! ან მე თვითონ მიმიშვით მაგ რაინდთან!

იმ დღეს დე ბრასიმ მართლაც გმირულად დაიცვა თავისი რაინდული ღირსება და დაამტკიცა, რომ დიდება, რაც მას შინაომებში მოეხვეჭნა იმ საშინელ დროს, ფუჭი არ იყო. ორი მრისხანე რაინდი გაშმაგებით ეკვეთნენ ერთმანეთს - დე ბრასი ხმლით, შავი რაინდი კი თავისი მძიმე ჩუგლუგით, ისე გამწარებით უტევდნენ ერთმანეთს და ისეთი ჩახაჩუხი გაუდიოდათ, რომ ჭისკრის თაღებს სულ ზანხზარი დააწყებინა. დაბოლოს ერთი ისეთი

დარტყმა აგემეს ნორმანელს მუზარადზე, რომ წამსვე მიწაზე გაიშოტა - სულსაც კი გააფრთხობდა, ფარს რომ არ შეენელებინა ნაწილობრივ დარტყმის სიძლიერე.

- დამნებდი, დე ბრასი, - შესძახა შავმა რაინდმა, დაიხარა და ზარადთან საბედისწერო ხანჯალი მოუღერა, რითაც რაინდები ბოლოს უღებდნენ ხოლმე თავიანთ მტრებს (და რასაც შეწყალების ხანჯალი ეწოდებოდა) - დამნებდი, მორის დე ბრასი, ნუღარ ჯიუტობ, თორემ ახლავე გაგათავებ.

- უცნობ რაინდს არასდიდებით არ დავნებდები, - მიკნავებული ხმით მიუგო დე ბრასიმ, - ან სახელი მითხარი, ან გამათავე... ეგღა მაკლია, ხალხს ვათქმევინო, მორის დე ბრასი ვიღაც გლეხაჭუას დანებდაო.

შავმა რაინდმა რაღაც წასჩურჩულა ყურში.

- გნებდები, რაც გინდოდეს, მიყავი, - მიუგო ნორმანმა, გაჯიუტებული კაცის მრისხანე კილო ხელადვე მოულბა და ღრმა, თუმცა მჭმუნვარე მორჩილებად შეეცვალა.

- მაშ გარეთა კოშკში შედი, - უბრძანა გამარჯვებულმა რაინდმა, - და იქ დამელოდე.

- ჯერ მათქმევინე, რაღაც უნდა გითხრა, - მიმართა დე ბრასიმ, - შენთვისვეა საინტერესო: დაჭრილი უილფრედ აივენჰო ტყვედ არის ამ ციხეში და ახლავე თუ არ მიეშველეთ, გამოიბუგება.

- უილფრედ აივენჰო?! - შესძახა შავმა რაინდმა, - ტყვედ გყავთ და იღუპება?!. აბა, ღერი თმა დააკლდეს, ერთსაც არ გაგიშვებთ ცოცხალს!.. მაჩვენე, რომელ ოთახშია.

- იმ ხვეულ კიბეს აჰყევი, - უთხრა დე ბრასიმ, - პირდაპირ მის ოთახში შეგიყვანს... თუ ინებებ, მე თვთონვე გამოგყვები, - მორჩილად დასძინა მან.

- არ მინდა. შენ წადი და კოშკში დამელოდე. ვერ გენდობი, დე ბრასი.

ამასობაში სედრიკმა და მისმა მეომრებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით ბერი გამოირჩეოდა, რა დაინახეს ჭიშკარი გაიღოო, არხი გადასჭრეს და გზა გადაუღობეს დე ბრასის ჯარისკაცებს, რომელთაგან ზოგმა შებრალება ითხოვა, ზოგი ამაო წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, უმრავლესობა კი ციხე-დარბაზის ეზოში გაიფანტა, რათა სადმე თავშესაფარი ეპოვნა. დე ბრასი წამოდგა და შეწუხებულმა თავის მძლეველს გააყოლა თვალი.

- არ მენდო! - ჩაილაპარაკა მან; - ან კი რად უნდა მენდოს! ხმალს დაწვდა, მორჩილების ნიშნად ჩაჩქანი მოიძრო და კოშკისკენ გაემართა. გზაში ლოკსლი შეხვდა და ხმალი იმას ჩააბარა.

ცეცხლი სულ უფრო და უფრო მძვინვარებდა. ხანძრის ნიშნები მალე აივენჰომ და რებეკამაც იგრძნეს თავიანთ ოთახში, რაინდმა ცოტა ხნით წასთვლიმა, მაგრამ ბრძოლის ხმაურმა ისევ მალე გამოაღვიძა. რებეკას შეემუდარა, სარკმლიდან გადაიხედე და მითხარი, რა ხდებაო, მაგრამ ეზოში ისეთი შავი ჯანღი დამდგარიყო, რომ ქალმა კარგა ხანს ვერაფერი გაარჩია. თანდათანობით ოთახშიც შემოვიდა კვამლი, ამას ყვირილი მოჰყვა. „წყალი, წყალიო!“ და მაშინვე იგრძნეს, რომ ახალი განსაცდელი ემუქრებოდათ.

- ციხე იწვის! - შესძახა რებეკამ, - სულ ცეცხლიშია გახვეული... რა გვეშველება!

- თავს უშველე, რებეკა, გაიქეცი, - უთხრა აივენჰომ, - მე ვეღარაფერი მიშველის.

- არსადაც არ წავალ, - მიუგო რებეკამ, - ან ორივენი უნდა გადავრჩეთ, ან ერთად დავიღუპოთ!.. მაგრამ, ო, ღმერთო დიდებულო!.. მამაჩემი, ჩემი საწყალი მამა!.. იმას რაღა ეშველება?!

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ტაძრელი რაინდი შემოვარდა. საშინელი სანახავი იყო - მოოქროვილი აბჯარი სულ დალეწოდა და სისხლში ამოსვროდა, მუზარადში გარჭობილი ფრთა შერუჯოდა და გვერდზე მოღრეცოდა.

- ძლივს არ გიპოვნმე! - უთხრა მან რებეკას, - ახლა თვითონვე დარწმუნდები, რომ მე სიტყვის კაცი ვარ - სიხარული იქნება თუ მწუხარება, შენთან ერთად უნდა გადავიტანო. ერთი გზაღა დაგვრჩა, ათასი განსაცდელი გამოვიარე, რომ ამ გზისთვის მიმეგნო... ჩქარა გამომყევი!

- მარტოკა არ გამოგყვები, - მოუგო რებეკამ, - ქალის ნაშობი თუ ხარ... ადამიანური გულმოწყალების ნატამალი მაინც თუ გაქვს... გულიც ამ რკინის აბჯარივით თუ არ გაგმაგრებია... ჩემი მოხუცი მამაც დაიხსენი... და ეს დაჭრილი რაინდი კიდევ!

- რაინდი, - მიუგო ტაძრელმა ჩვეული სიმშვიდით, - რაინდი ბედს უნდა შეურიგდეს, რებეკა, სულ

ერთია ხმლით სიკვდილი უწევს თუ ცეცხლში გამობუგვა... ხოლო ურია სად შეეყრება სიკვდილს, ეს ვის რაში ენაღვლება.

- გულქვა რაინდო! - შესძახა რებეკამ, - მირჩევნია ამ ცეცხლში გამოვიბუგო, შენგან ხსნა კი არა მსურს!

- არჩევანი შენ აღარ გეკუთვნის, რებეკა - ერთხელ უკვე გამაცურე, მაგრამ ჯერ არ მომხდარა, რომ ძე-ხორციელს ორჯერ მოვეტყუებინე.

ეს რომ თქვა, ხელში აიტაცა და ოთახიდან გაიყვანა, ქალის გამწარებულ კივილს ყურიც არ ათხოვა, არც აივენჰოს მუქარისთვის მიუქცევია ყურადღება.

- ტაძრელო ძაღლო, - უყვიროდა აივენჰო, - შენი ორდენის შემარცხვენელო, ქალს ხელი უშვი!.. ამას მე გიბრძანებ, მოღალატე ბუა გილბერო, აივენჰო გიბრძანებს!.. გარეწარო, მანამ შენს სისხლს არ დავღვრი, ვერ მოვისვენებ!..

- შენი ყვირილი რომ არ გამეგონა, ვერც კი მოგაგნებდი, უილფრედ, - უთხრა შავმა რაინდმა და ოთახში შევიდა.

- თუ ჭეშმარიტი რაინდი ხარ, - მიუგო აივენჰომ, - მე თავი გამანებე... იმ მხეცს გამოუდექი... ლედი როენა დაიხსენი... კეთილშობილ სედრიკს მიხედე!

- მაგათი ჯერიც მოვა, - მიუგო რაინდმა, - ჯერ შენ გაგიყვანო!

ეს თქვა და ისევე მსუბუქად აიტაცა აივენჰო, როგორც ტაძრელმა - რებეკა, სწრაფად გავარდა, ჭიშკართან მიირბინა, დაჭრილი რაინდი ორ იომენს ჩააბარა და თვითონ უკანვე შებრუნდა, რათა ახლა სხვა ტყვეებს მიშველებოდა.

ერთი კოშკი სულ ცეცხლში იყო გახვეული - სარკმლებიდან და ხვრელებიდან ცეცხლის ენები გამოდიოდა. სხვა კოშკებსა და დარბაზებში კი კედლების სისქე აკავებდა ხანძარს და აქ კვლავ ადამინების სისასტიკე მძვინვარებდა - ირგვლივ გამეფებულ სტიქიის ძალაზედაც არანაკლებ საშინელი. მომხდური მეომრები ოთახიდან ოთახში დასდევდნენ ციხის მცველებს, დაუნდობლად მუსრავდნენ და იმათი სისხლით შურისძიების წყურვილს იკლავდნენ, რაც დიდი ხანია აღძროდათ მტარვალ ფრონ დე ბეფის გუშაგების მიმართ. ციხის მცველთა უმრავლესობა თავგანწირვით იგერიებ-

და მტერს, ცოტაღა თუ თხოულობდა შეწყალებას - მაგრამ არავის არ იწყალებდნენ. ჰაერში გმინვა და ხმლების ჩახაჩუხი იდგა... იატაკი მომაკვდავთა სისხლით გალიპულიყო.

ამ ვაი-უბედურებაში სედრიკი ოთახიდან-ოთახში დარბოდა და გამწარებული ეძებდა როენას, გურთი მას დასდევდა ფეხდაფეხ და მტერს უგერიებდა - საკუთარ თავს კი საფრთხეში აგდებდა. კეთილშობილ სედრიკს ბედმა გაუღიმა და სწორედ იმ დროს მიაგნო თავისი აღზრდილის ოთახს, როცა ქალს ხსნის ყოველგვარი იმედი გადაეწყვიტა, სასოწარკვეთილს ხატი ჩაეკრა გულში და გარდაუვალ სიკვდილს ელოდა. სედრიკმა გურთს ჩაბარა ქალი და უბრძანა გარეთა კოშკში მიეყვანა - გზა კოშკამდე უკვე გაწმენდილი იყო მტერთაგან, ხოლო ხანძარს ჯერაც არ გადაეღობა. ამ საქმეს რომ მორჩა, თავისი მეგობრის - ათელსტანის საძებნელად გაემართა ერთგული სედრიკი; მტკიცედ ჰქონდა გაადწყვეტილი, რომ საქსონური სამეფო გვარის უკანასკნელი ნაშიერი უსათუოდ გადაერჩინა, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. მაგრამ მანამ სედრიკი იმ ძევლებურ დარბაზს მიაღწევდა, საცა ამ ცოტა ხნის წინ თვითონვე იყო გამოკეტილი, ჭკვიანმა და მოხერხებულმა ვამბამ თავიც იხსნა ტყვეობიდან და ამხანაგიც.

სულ უფრო და უფრო რომ გახურდა ხელჩართული ბრძოლა ეზოში, ვამბამ ყვირილი მორთო: „წმიდაო გიორგი, შენ დაგვიხსენი!.. შენ უშველე მხიარულ ინგლისს!.. ციხე-დარბაზის საქმე უკვე წასულია!“ რომ უფრო შემაძრწუნებელი გამოჩენილიყო ეს სიტყვები, კედლებიდან ჟანგიანი იარაღები ჩამოხსნა და ჩახაჩუხს მოჰყვა.

კარებთან დაყენებულ გუშაგს ისედაც არა ჰქონია გული საგულეს, ახლა კი, ვამბას ყვირილი და

იარაღის ჩახაჩუხი რომ გაიგონა, საშინლად დაფეთდა - კარი ღია დატოვა და ტაძრელი რაინდისაკენ გაიქცა, რათა ძველ დარბაზში მტრის შეჭრის ამბავი მოეხსენებინა. ტყვეებმა იხელთეს და ჯერ საგუშაგო დერეფანში გავიდნენ, იქიდან კი - ეზოში, საცა ახლა უკანასკნელი შეტაკებანი ხდებოდა. გაცოფებული ტაძრელი რაინდი ცხენზე იჯდა, გარს ეხვია ციხის მცველი გუშაგები - ცხენოსნებიცა და ქვეითნიც; ყველას ამ რაინდის გარშემო მოეყარა თავი, იქნებ როგორმე აქედან მშვიდობიანად გაგვიყვანოსო. ბუა გილბერმა გადასაკიდი ხიდის დაშვება ბრძანა, მაგრამ გასვლა მაინც არ შეიძლებოდა

- იომენებს დაესწროთ და დაეკავებინათ ეს ადგილი; რა დაინახეს ციხე ცეცხლშია გახვეული და ხიდიც დაუშვესო, ერთბაშად გამოქანდნენ და აქ შეიხორხლნენ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ციხიდან მცველები არ გამოჰპარვოდათ, და მეორეც, მანამ ციხე სულ დაიწვებოდა, თავიანთი ნადავლის მოპოვება მოესწროთ.

მეორე შესასვლელიდანაც, გარეთა კოშკის მხარეს, იომენების ერთ ჯგუფს უკვე მოესწრო ეზოში შეჭრა და ახლა გაშმაგებით უტევდნენ გუშაგთა დაქუცმაცებულ ჯგუფებს, რომლებიც მოულოდნელად მტრისაგან გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ, მაგრამ შეუპოვარი წინამძღოლის მაგალითით გულმოცემული გუშაგები, რომლებიც განწირულებას ისედაც გაეცოფებინა, თავდაუზოგავად იბრძოდნენ; ამასთან კარგად შეიარაღებულნიც იყვნენ და ერთი-ორჯერ დაახევინეს კიდეც მომხდურებს, მიუხედავად იმისა, რომ იომენები გაცილებით სჭარბობდნენ. რებეკა თავისი მონა-სარკინოზის ცხენზე შეესვა ბუა გილბერს და იმ პატარა ჯგუფის შუაში ჰყავდა

მოქცეული. საშინელი არევ-დარევისა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მიუხედავად, რაინდი ერთის წუთითაც არ ივიწყებდა ქალს - წამდაუწუმ მივარდებოდა ხოლმე და სამკუთხა ფარს მოაფარებდა საკუთარი თავის დაცვაზე კი სულაც არ ზრუნავდა. ცოტა ხნით მიატოვებდა, წინ გავარდებოდა, ომახიანად შეუძახებდა მტერს, რამდენიმე მოწინააღმდეგეს ძირს დაანარცხებდა და ისევე რებეკასთან გაჩნდებოდა.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ათელსტანი ზარმაცი იყო, თორემ სიმამაცე სულაც არ აკლდა. დაინახა თუ არა ცხენზე ქალი, რომელსაც ტაძრელი რაინდი ასე თავგამოდებით მფარველობდა, იფიქრა, ნამდვილად როენა იქნება და ბუა გილბერს გატაცება განუზრახავსო.

- წმიდა ედვარდის სულსა ვფიცავ, - შესძახა მან, - ეს ქალი უნდა წავართვა თავგასულ რაინდს და თვითონ კი ჩემი ხელით მოვკლა.

- დაიცა, რასა შვრები?! - დაუყვირა ვამბამ, - სულწასული მეთევზე კალმახს ესროდა და ბადეს ბაყაყი მოჰყვებოდაო!.. ჩემი კვერთხის მადლმა, ეს ქალი როენა არ არის... ვერა ხედავ, რა გიშრის დალალები აყრია!.. შავი თუ ვერ გამოგირჩევია თეთრისგან, შენი ნებაა - წადი, მაგრამ მე არ გამოგყვები... ვიღაც გადამთიელის გულისთვის მე რად უნდა მოვიტეხო კისერი?! ჯაჭვიც კი არ გაცვია!.. ეს ფარჩის ქუდი ალესილ რკინას რას გაუძლებს!.. არა, ჩემო ბატონო - თევზი ვისაც

მონატრებია, ფეხიც იმან დაისველოს...Deus vobiscum, მამაცო ათელ-სტან!.. - უთხრა საბოლოოდ ვამბამ და წარჩინებული საქსონელის ქურთუ-კის კალთას ხელი შეუშვა.

ათელსტანი თვალის დახამხამებაში დაიხარა, მომაკვდავ მეომარს კეტი გამოსტაცა, ტაძრელის რაზმს მივარდა და ისე დაატრიალა წაღმა და უკუღ-მა, რომ გუშაგები ერთიერთმანეთზე დააწვინა. არც გაძნელებია - ჯერ ისე-დაც რა ღონიერი იყო და ახლა სულ გადირია. ხელადვე მიეჭრა ბუე გილ-ბერს და შესძახა;

- მობრუნდი, მზაკვარო რაინდო! მაგ ქალს ჩამოეხსენი - არა ხარ მაგისი ღირსი!.. მობრუნდი-მეთქი, შე მკვლელებისა და ავაზაკების ნაშიერო!

- ძაღლო! - კბილებში გამოსცრა ტაძრელმა რაინდმა, - მე შენ გასწავლი, როგორ უნდა სიონის ტაძრის წმიდა ორდენის შებღალვა!

ცხენი ნახევრად მოაბრუნა, საქსონელს რომ გაუპირდაპირდა, ყალყზე შეაყენა, თვითონაც წამოიწია უზანგებზე, ხმალი შემართა და როცა ცხენი დაეშვა, ამ დაშვების ძალითაც ისარგებლა - საშინელი სიძლიერით ჩაარ-ტყა მახვილი ათელსტანს თავში.

ვამბამ კარგად უთხრა - აბრეშუმის ქუდი ალესილ რკინას ვერ გაუძლებ-სო. ისეთი ბასრი აღმოჩნდა ტაძრელის ხმალი, რომ კეტის მსხვილი ტარი, რომელიც უბედურმა საქსონელმა ხმლის მოსაგერიებლად აღმართა, შუაზე გახლიჩა, თითქოს ძეწნის წკეპლა ყოფილიყოს, მერე ათელსტანს დაეცა თავზე და მყისვე მიწაზე გააგორა.

- აჰა! Beau-seant! - შესძახა ბუა გილბერმა, - ტაძრის რაინდების მტერს ყველას ეს დღე მოელის!

ათელსტანი რომ დაინახეს წაქცეული, იომენები ერთბაშად შეცბენ, ამით ისარგებლა რაინდმა და თავისიანებს გასძახა:

- ვისაც თავის გადარჩენა უნდა, მე გამომყვეს! - პირდაპირ ხიდისკენ გა-ქანდა, და მემშვილდისრეები, რომელთაც გზის გადაღობვა სცადეს, გარე-კა. მას მიჰყვნენ მონა-სარკინოზები და ხუთი თუ ექვსი ცხენზე ამხედრებული გუშაგი. დიდი საშიშროება ემუქრებოდა ტაძრელს, რადგან იომენებმა და-უშინეს და დაუშინეს ისრები, მაგრამ რაინდი ამას არ შეეპუა, გაქუსლა და გარეთა კოშკს შემოუარა, საცა, წინასწარი შეთანხმებით, დე ბრასი ეგულე-ბოდა.

- დე ბრასი! დე ბრასი! - შესძახა მან, - აქა ხარ?

- ჰო, მაგრამ, ტყვე ვარ! - უპასუხა დე ბრასიმ.

- იქნებ გამოგიხსნა?! - შესძახა ბუა გილბერმა.

- არა, - მიუგო დე ბრასიმ, - მე თვითონ დავნებდი და სიტყვას ვერ გავტეხ. თავს უშველე... შევარდენმა აიშვა... ზღვა გადასცურე და გაშორდი ინგლისს... მეტს ვერაფერს გეტყვი.

- კარგი, - უთხრა ტაძრელმა რაინდმა, - რაკი ასე გსურს, დარჩი. ოღონდ, გახსოვდეს, რომ მე სიტყვა არ გამიტეხია. რაც არ უნდა შევარდნები გამოჩნდნენ, ტემპლსტოუს მონასტერში ვერ შემოაღწევენ - გალავანი დამიფარავს, იქითკენ მივეშურები, როგორც წერო მიფრინავს ხოლმე თავის ბუდისაკენ.

ეს თქვა და გაქუსლა, მხლებლებიც მას მიჰყვნენ.

ციხის მცველები, რომელთაც ცხენები არ აღმოაჩნდათ, კვლავ თავგამოდებით განაგრძობდნენ ბრძოლას - მაგრამ არა გაქცევისა და თავის დახსნის განზრახვით, არამედ უფრო იმიტომ, რომ შეწყალების იმედი არა ჰქონდათ, ამასობაში ცეცხლი მთელს ციხეს მოედო. უცებ ერთ-ერთ კოშკზე გამოჩნდა ულრიკა, რომელმაც თვითონ წაუკიდა ცეცხლი ციხე-დარბაზს. იდგა ძველ ფურიასავით და რაღაც საომარ სიმღერას ღრიალებდა - როგორც წარმართი საქსების სკალდები მღეროდნენ ხოლმე მხედრულს ბრძოლის ველზე ძველად. თავზე არაფერი არ ეხურა და გრძელი ჭაღარა

თმა სულ გაწეწოდა. თვალები სიგიჟისა და დაკმაყოფილებული შურისძიების ცეცხლით უელავდა, ისე გაშმაგებით იქნევდა ჰაერში თითისტარს, თითქოს ესეც ერთ-ერთი იმ ჯადოქართაგანია, ვისი ნებითაც იქსოვება და წყდება ადამიანური ცხოვრების ქსოვილიო. დღემდე შემონახულა ზოგი სტროფი იმ ველური სიმღერისა, რასაც იგი მღეროდა მაშინ ცოფიანივით, იმ საშინელ ცეცხლსა და ხოცვა-ჟლეტაში.

1

პირი აუწყვეთ ელვარე მახვილს,
თეთრი დარაკონის შთამომავალნო!
ააბრიალე ლამპარი ჩქარა,
- ჰენგისტის ქალო!
არა ლხინისთვის,
არა სამწვადე ირმისათვის
პრიალებს ხმალი!..

ანკი ირმების ასაქნელად რა საჭიროა
ასე მაგარი, ასე ნაწრთობი, ბასრი მახვილი?!
არც ეს ლამპარი - გოგირდის ცეცხლით აღგზნებული, ლურჯად მფეთ-ქავი
თქვენ საქორწინო სეფისაკენ არ გაგიძღვებათ!
ალესე ხმალი -
ვერა ხედავ, ყვავი დაგჩხავის!
ლამპარი ჩქარა!..
ზერნებოკის ბღავილს არ ისმენ?!..
პირი აუწყვეთ ელვარე მახვილს,
თეთრი დრაკონის შთამომავალნო!
ააბრაიალე ლამპარი ჩქარა,
ჰენგისტის ქალო!..
2
შავი ღრუბელი დასწოლია თენის სასახლეს,
ღრუბელზე წევს და შემზარავად ყივის არწივი.
ნეტავი ერთი, რა გაყივლებს,
ამ შავ ღრუბელზე გაწოლილო რუხო მხედარო?!
შენ სუფრა უკვე გაგიშალეს
და მიგელიან!
სული ელევათ ვალჰალელ ქალწულთ მოუთმენლობით.
ჰენგისტის მოდგმა სტუმრებს იმათ არ გამოულევს.
გაშალეთ თმები, ვალჰალელო ქალიშვილებო,
და თქვენი გიშრის დალალები ააფრიალეთ!
დაჰკარით დაფდაფს,
მხიარული სიმღერა სჭექეთ!
ბევრი ზვიადი მეომარი ახლა თქვენკენ მოეშურება,
და მუზარადით შემკულ თავსაც ბლომად იხილავთ.
3
თენის სასახლეს ჩამოაწვა უკუნი ღამე,
ციხეს ღრუბლები ირგვლივ შავად შემოეჭარა...
მალე სისხლისფრად გაწითლედება:
ტყეთა მომსპობი თავის წითელ ფაფარს შეარხევს

და გადააფენს იმ შავ ღრუბლებს...
სრა-სასახლეთა ეს ბრიალა მომსპობ-მშთანთქავი
ააფრიალებს და შორს გაშლის ელვარე დროშას -
მეწამულს, დიდსა და საშინელს!..
და მამაცთა ბრძოლის ველზე გადაჰფენს.
ფარ-ხმალთა ლეწვის ტკაცა-ტკუცი მას გულს უფონებს,
და სიამეს ჰგვრის
ჭრილობებიდან შადრევანივით ამომჩქეფარე
თბილი, შიშინა სისხლის ალოკვა!
IV
ყველაფერს ბოლო მოეღება!
ხმალი დალეწავს მუზარადებს.
და რკინის ჯავშანს ლახვარი გახვრეტს.
პრინცთა სადგომებს ცეცხლი შთანთქავს დაუშრეტელი,
და იარაღით აღიგვება სანგრები თქვენი...
ყველაფერს ბოლო მოეღება!
გადაშენდა ჰენგისტის მოდგმა!
ჰორზას სახელიც აღიგავა მიწის პირისგან!
მახვილის ძენო -
ვერ გაექცევით ბედისწერას -
სჯობს თქვენ მახვილებს ღვინოსავით შეასვათ სისხლი,
თქვენ ხოცვა-ჟლეტის ღრეობაზე უნდა ილხინოთ,
ალმოდებული დარბაზები ლხინს გაგინათებთ,
როცა ძარღვებში სისხლი გიდუღთ.
მხოლოდ მაშინ აქვს თქვენს ხმლებს ძალა;
მაშ ნუ შეგაკრთობთ ნურცა შიში, ნურც სიბრალული -
შურისგებისთვის მხოლოდ ერთი საათი გრჩებათ.
თვით სიძულვილსაც აღსასრული უახლოვდება!
და აჰა, მეც მეღება ბოლო!

ცეცხლმა იმძლავრა, ყოველი დაბრკოლება დათრგუნა, თვალნმიუწ-ვდომელ სვეტად აიჭრა და მწუხრის ცას მიებჯინა. კოშკი კოშკზე ინგრეოდა, ალმოდებული სახურავები და თავხეები მიწას ენარცხებოდა. მეომრები

ეზოში ვეღარ სძლებდნენ და გარეთ გარბოდნენ. დამარცხებულთაგან ცოტაღა დარჩა და ისინიც ახლომახლო ტყეებში მიიმალნენ. გამარჯვებულნი ჯგუფ-ჯგუფად შეყრილიყვნენ და გაკვირვებითა და ერთგვარი შიშითაც შეჰყურებდნენ ცეცხლს, რომლის შუქზე მათივე სახე და აბჯარი წითლად ელვარებდა. გაგიჟებული საქსონელი ულრიკა კიდევ დიდხანს მოჩანდა თავისივე ამორჩეული თვალუწვდენელ კვარცხლბეკზე - იდგა, ხელებს გაშმაგებით

იქნევდა და კიოდა, თითქოს თავს ცეცხლის უზარმაზარი სამეფოს მბრძანებლად აცხადებდა. ბოლოს ეს კოშკიც საშინელი ტკრციალით ჩაინგრა და ქალიც შთანთქა იმ ცეცხლმა, რამაც მის მტარვალს მოუღო ბოლო. შემაძრწუნებელმა სიჩუმემ დაუარა ამ სურათის მხილველ მეომრებს - რამდენიმე წუთს გაქვავებულები იდგნენ და ენაჩავარდნილებმა პირჯვრის გამოსახვა ძლივს მოახერხეს. ბოლოს ლოკსლის ხმა გაისმა.

- გაიხარეთ, იომენებო!.. მტარვალის ბუნაგი დაინგრა... მთელი ნადავლი ჩვენს სანიშნო მუხასთან მივიტანოთ და ხვალ გამთენიისას პატიოსნად გავიყოთ; თავისი წილი ჩვენს ღირსეულ მოკავშირეებსაც უნდა ვარგუნოთ, რომლებიც ამ დიდი შურისძიების დროს მხარში გვედგნენ.

თავი ოცდამეთორმეტე

ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს რაღაც კანონი;
სახელმწიფოებს თავისი აქვთ კანონმდებლობა
და ქალაქებით თავ-თავისი ცხოვრებით ცხოვრობს,
თვითონ ყაჩაღსაც, გადახვეწილს, ტყეში გავარდნილს
თავისებური წესები აქვს შემოღებული.
მოკიდებული იმ დროიდან, როცა ადამმა
მწვანე ფოთოლი აიფარა შიშველ სხეულზე,
და შეკავშირდა ერთმანეთთან კაცთ ნათესავი,
კანონიც შექმნეს ამ კავშირის განსამტკიცებლად.
ძველებური პიესა.

დილის მზე მუხის ტყეს მოეფინა და გაანათა. ამწვანებულ ტოტებზე ცვრის მარგალიტები აელვარდა. დაბურული გვიმრალიდან ირემი გამოძ-ვრა და თავისი ნუკრი ღია ქაშანზე გამოიყვანა გრინვუდის ტყეში. ირგვლივ მონადირის ჭაჭანება არა ჩანდა და ქორბუდა ირემიც ამაყი და ღირსეული ნაბიჯით უვლიდა გარს თავის რქოსან ჯოგს.

ყაჩაღებს სანიშნო მუხის ქვეშ მოეყარათ თავი, ჰარტჰილის დაღმართთან, და მთელი ღამე იქ გაეტარებინათ; დამქანცველი ბრძოლის შემდეგ ზოგი ღვინით იკრებდა ძალ-ღონეს, ზოგს ეძინა, ზოგი ახალგადატანილი ბრძოლის ამბებს ყვებოდა თუ ისმენდა, ზოგიც ნაალაფევს სინჯავდა, რაც მეთაურს უნდა გაენაწილებინა მეორე დღეს.

ალაფი კი მართლაც დიდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამე გაანადგურა ცეცხლმა, ყაჩაღებმა მაინც მოახერხეს დიდძალი ჭურჭლეულის, მდიდრული აბჯარ-საჭურვლისა და ძვირფასი ფარჩეულის გადარჩენა: ასეთი ალაფი ეგულებოდათ და აბა რას შეუშინდებოდნენ - თავი არ დაუზოგავთ! მაგრამ ისეთი მკაცრი კანონები ჰქონდათ დაწესებული, რომ თვითნებურად თითსაც კი ვერ დააკარებდნენ ნაალაფევს - მანამ მეთაური არ გაანაწილებდა, ერთად უნდა ყოფილიყო დახვავებული.

თავშესაყრელ ადგილას ერთი ბებერი მუხა ჰქონდათ დანიშნული. არა ის მუხა , სადაც ლოკსლიმ გურთი და ვამბა მიიყვანა ამას წინათ, არამედ სხვა, ტყის ქვაბულში მდგარი, ტორკილსტონის განადგურებული ციხიდან ნახევარი მილით დაშორებული. ლოკსლი თავის ტახტზე წამოიჭიმა - ეს იყო შემაღლებული ბუსნო, მუხის გადმობარჯღლული ტოტების ქვეშ - ირგვლივ ყაჩარღები შემოეხვივნენ. მარჯვნივ შავი რაინდი მოისვა ლოკსლიმ, მარცხნივ კი - სედრიკი.

- გთხოვთ, მაპატიოთ ასეთი თვითნებობა, კეთილშობილო ბატონებო, - თქვა მან, - მაგრამ ამ ტყეში მე მეფე ვარ... ეს ჩემი სამეფოა, და ტახტი რომ ვინმე უბრალო მოკვდავს დავუთმო, ჩემი თავზეხელაღებული ქვეშევრდომები აღარაფრად ჩამაგდებენ... აბა, ბატონებო, ჩვენი კაპელანი სად დაიკარგა?.. ბერი სად წავიდა? ქრისტიანებს ასე მოგვდგამს, რომ დილა ლოცვით უნდა დაიწყოს...

მაგრამ კოპმანჰერსტელი დიაკვნის მნახველი არავინ აღმოჩნდა.

- ღმერთო, შენ გვიშველე! - განაგრძო ყაჩაღთა მეთაურმა, - ეს ჩვენი მხიარული მღვდელი, ეტყობა, დიდხანს შეჰყვა ღვინის დოქთან მუსაიფს. ციხის აღების შემდეგ არავის უნახავს?

- მე ვნახე, - უთხრა მეწისქვილემ, - მარნის კარს უტრიალებდა და თან ფიცულობდა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ფრონ დე ბეფის გასკონურ ღვინოებს ჭაშნიკი უნდა გავუსინჯოო.

- ღმერთმა ნუ ქნას, ისე გალეშილიყოს, რომ ციხის ნანგრევებს ქვეშ მოჰ-ყოლოდეს, - თქვა მეთაურმა, - გასწი, მეწისქვილევ... სხვებიც გაიყოლე... რამდენიც საჭირო იყოს, და კარგად დაძებნე იმ ადგილებში, საცა უკანას-კნელად ნახე... არხიდან წყალი მიუშით გავარვარებულ ნანგრევებზე... სა-თითაოდ გადავაბრუნებ ყოველ ლოდს, რომ როგორმე ჩემი მხიარული ბე-რი ვიპოვნო.

ხომ ისე გაფაციცებით ელოდნენ ნაალაფევის განაწილებას, მაინც იმ-დენი გამოდგა ბერის საძებნელად წასვლის მსურველი, რომ აშკარა იყო, თავიანთი სულიერი მამის ბედი გულთან ახლოს მიეტანათ.

- ახლა კი ჩვენს საქმეს მივხედოთ, - თქვა ლოკსლიმ, - თორემ როცა ჩვენი გმირული ბრძოლის ამბავი გახმიანდება, დე ბრასის, მალვუაზენისა და ფრონ დე ბეფის სხვა ამფსონების რაზმები დაიძრებიან და ჩვენი აქ გა-ჩერება აღარ იქნება... კეთილშობილო სედრიკ, - მიმართა მან საქსონელს, - ნაალაფევი ორად არის გაყოფილი - ამოირჩიე, რომელიც გენებოს და შენს ხალხს დაურიგე, ჩვენი საერთო ბრძოლის მონაწილეებს.

- ჩემო კეთილშობილო იომენო, - მიუგო სედრიკმა, - მწუხარებისაგან გული მეწურება: კეთილშობილი ათელსტან კონინგსბურგელი, ნეტარი ედ-ვარდ აღმსარებლის უკანასკნელი ნაშიერი, ცოცხლებში აღარ ურევია!.. წა-ვიდა და ჩემი ყოველგვარი იმედიც თან გაიყოლა. მისმა სისხლმა ისეთი ნა-პერწკალი ჩააქრო, რისი გაღვივებაც ძე-ხორციელს აღარ ძალუძს! ჩემი ხალხი მოუთმენლად მოელის მისი ცხედრის საბოლოო სამყოფელამდე გადასვენებას. ლედი როენას ერთი სული აქვს, მანამ როთერვუდში დაბ-რუნდებოდეს, და მასაც მცველი რაზმი უნდა ვაახლო. აქამდეც უნდა დავ-დგომოდი გზას... და იმიტომ კი არ დამიცდია, რომ ნადავლში ჩაგეზიარო... ღმერთმა და წმიდა ვითოლდმა ხომ იცის, რომ არც მე და არც ჩემი ხალხი ხელს არ დააკარებს ამ

ნაალაფევს. მე იმიტომ შევიცადე, რომ მადლობა მეთქვა შენთვისაც და შენი მამაცი მოისრეებისთვისაც, რომელთაც ჩემი ღირსება დაიცვეს და სი-ცოცხლე შემინარჩუნეს.

- რა ბრძანებაა, - შეესიტყვა ყაჩაღების მეთაური, - ჩვენ მხოლოდ ნახე-ვარი საქმე გავაკეთეთ; ახლა ეს ალაფიც აიღე, იმდენი მაინც, რომ მეზობ-ლები და მომხრეები დააჯილდოვო.

- იმდენი სიმდიდრე კი მაქვს, რომ მე თვითონვე დავაჯილდოვო, - უთხრა სედრიკმა.

- მით უმეტეს, რომ ზოგმა ჭკუა იხმარა და თავი უკვე დაიჯილდოვა, - თქვა ვამბამ, - ხელცარიელი არავინ გაბრუნებულა. ყველას სულელის ჩაჩი როდი ხურავს!

- ალალი იყოს! - მიუგო ლოკსლიმ, - ჩვენი კანონები მხოლოდ ჩვენ გვეხება, სხვას არავის.

- მაგრამ შენ რით დაგაჯილდოვო, ჩემო საბრალო? - მიმართა სედრიკმა მასხარას და გულში ჩაიკრა, - ჩემი გულისთვის არც ბორკილებს შეუშინდი და არც სიკვდილს! ყველამ მიმატოვა და საბრალო მასხარამ დამიმტკიცა ერთგულება.

მრისხანე თენს თვალზე ცრემლი მოადგა, ათელსტანის სიკვდილსაც კი არ აუჩუყებია ასე მისი

გული. მაგრამ მასხარის თავდადებაში ისეთი რაღაცა იგრძნობოდა, რამაც სიკვდილის მწუხარებაზე უფრო შეარყია სედრიკის არსება.

- ეს რაღა გამოვიდა! - შესძახა მასხარამ და თავის ბატონს დაუსხლტა, - თავლებიდან გამოდენილი წყლით თუ დამაჯილდოვე, მაშინ მეც მომინდება ტირილი, და ვიტიროთ ხმაშეწყობილად!.. მართლა თუ გულში გაქვს ჩემი დაჯილდოება, ბიძაჩემო, მაშინ ჯილდოდ იმასღა გთხოვ, რომ ჩემს ძმობილ გურთს მიუტევო, რომელიც ერთი კვირით გაგეპარა სახლიდან, რათა შენივე შვილსა ხლებოდა.

- გურთს მივუტევო! - შესძახა სედრიკმა, - მივუტევებ კიდეც და თან დავაჯილდოვებ... დაიჩოქე, გურთ!

მეღორე მყისვე ბატონის წინაშე დაემხო მუხლებზე.

- ამიერიდან შენ აღარც მონა ხარ და არც ყმა, - უთხრა სედრიკმა და კვერთხით შეეხო, - თავისუფალი კაცი იქნები - საცა გინდა, წადი - ქალაქში გინდა, სოფელში, ტყეში თუ მინდვრად. ვალბურგჰემის მამულებში მიწას მოგიზომავ - სამუდამოდ მიბოძებია შენთვის და შენი ოჯახისათვის. ვინც წინ აღგიდგეს, ღმერთი გაუწყრეს!

მონობის ტვირთმოცილებული, თავდახსნილი გლეხი გურთი ხელად წამოხტა, ორჯერ შეხტა ჰაერში ლამის თავის სიმაღლეზე.

- აბა მჭედელი და ხერხი! - იყვირა მან, - ეს ყელსაბამი მოხსენით ბარემ თავისუფალ კაცს!.. ძვირფასო ბატონო, შენმა ჯილდომ ორმაგი ღონე შემმატა და აწი ორმაგი ღონით ვიბრძოლებ შენთვის!.. მკერდში უკვე თავისუფლად მიძგერს გული... სულ სხვა კაცი ვარ ახლა - ჩემთვისაც და სხვისთვისაც... ფენგს! - მიმართა თავის ერთგულ ძაღლს, რომელმაც ასე გახარებული რომ ნახა პატრონი, თვითონაც ხტუნვას მოჰყვა, - ხომ ისევ სცნობ შენს პატრონს?!

- არხეინად იყავი, - უთხრა ვამბამ, - მე და ფენგსი ისევა გცნობთ, გურთ, თუმცა ჯობდა ჩვენც მოგვეხსნა ყელსაბამი. შენ კი ისევ ცმუტავ, რომ ეტყობა, ჩვენც დაგვივიწყე და საკუთარი თავიც.

- საკუთარ თავს მართლაც უფრო ადრე დავივიწყებ, ვიდრე შენ დაგივიწყებდე, ჩემო გულმართალო მეგობარო, - მიუგო გურთმა, - შენც კი გაგათავისუფლებდა ბატონი, მაგრამ რაში გჭირდება!

- არ გეგონოს, შენი მშურდეს, ძმაო გურთ, - უთხრა ვამბამ, - თავისუფალი კაცი რომ მინდორში იბრძვის, მონა ცეცხლის პირასა ზის არხეინად... ოლდჰემ მომსბერელის სიტყვები არ გახსოვს - სულელი ლხინშიო და ჭკვიანი კრივშიო.

უცებ ცხენების ფეხის ხმა მოისმა - გამოჩნდა ლედი როენა; მას რამდენიმე მხედარი და კარგად ბლომად ქვეითი ახლდა, რომლებიც ქალბატონის გათავისუფლების სიხარულს შუბის ქნევითა და აფთების ტკაცუნით გამოხატავდნენ. როენა კვლავ მდიდრულად მორთულიყო და ძველებურის ღირსეულებით იჯდა წაბლა ცხენზე, ოღონდ ახლახან გამოვლილ ტანჯვასა და განსაცდელს თავისი კვალი მაინც დაემჩნია და ჩეულებრივზე უფრო გაფითრებული ჩანდა.

მისი სევდიანი სახე მომავლის იმედით იყო გაცისკროვნებული და ზედ მადლიერების გრძნობაც აღბეჭდოდა; იცოდა, რომ აივენჰო ცოცხალი იყო და ისიც იცოდა, რომ ათელსტანი მოკვდა. პირველი შეგრძნება მის გულს გულწრფელი სიხარულით აღავსებდა; მეორე გარემოება არ შეიძლება ითქვას ახარებდაო, მაგრამ ერთგვარ შვებას მაინც განიცდიდა, - და სავსებით მისატევებელსაც, - რომ მეტად აღარ დაუწყებდნენ დევნას იმის გამო, რისთვისაც აღმზრდელი სედრიკი მუდამ კრიჭაში ედგა.

როენამ ლოკსლის ტახტისკენ წაიყვანა ცხენი. მამაცი იომენი და მისი რაზმელები მაშინვე ზეზე წამოიჭრნენ და, თითქოს თავაზიანობის ალღომ

უკარნახათო, ქალის შესაგებებლად დაიძრნენ. ქალს ღაწვები შეუფაკლდა, იქ მყოფთ ხელი დაუქნია და ისე მდაბლად დახარა თავი, რომ მისი მშვენიერი გაშლილი თმა ერთის წამით ცხენის აწეწილ ფაფარში აირია; სულ რამდენიმე, მაგრამ მოხდენილი სიტყვა წარმოთქვა და ლოკსლისა და სხვა მხსნელებს მადლობა მოახსენა.

- ღმერთის კურთხევა ნუ მოგკლებოდეთ, მამაცო ხალხო, - დაამთავრა ქალმა თავისი სათქმელი, - ღმერთმა და მარიამ ღვთიშობელმა გადაგიხადოთ სამაგიერო, თავი რომ განსაცდელში ჩაიგდეთ და გაჭირვებულთ უშველეთ!.. თუ რომელიმე თქვენგანს მოშივდება, გახსოვდეთ, რომ როენას თქვენთვის პური არ გამოელევა... თუ ვინმეს მოსწყურდება - ღვინო და ლუდიც ბლომად მომეძევება... ნორმანები თუ გამოგაძევებენ აქედან, ესეც იცოდეთ, რომ როენას საკუთარი ტყეებიც ბევრი აქვს, საცა მისი მამაცი მხსნელები არხეინად იცხოვრებენ და არც იმაზე გაკიცხავს ვინმე, ირემი რად მოგიკლავსო!

- გმადლობთ, კეთილშობილო ქალბატონო, - მიუგო ლოკსლიმ, - მეცა და ჩემი ამხანაგებიც მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ თქვენი დახსნა თვისთავად უკვე ჯილდოა ჩვენთვის. ჩვენ ამ ტყეში ბევრ ცოდვას ჩავდივართ - და ქალბატონი როენას დახსნა დე ცოდვების გამოსყიდვად ჩაგვეთვალოს.

როენამ ისევ დაუკრა თავი მხსნელებს, მერე ცხენი მოაბრუნა და ცოტა ხნით შეიცადა, სედრიკს დაელოდა, რომელიც მას უნდა გაჰყოლოდა და რომელიც ახლა ლოკსლისა და მის ამხანაგებს ეთხოვებოდა. ცხენი რომ მოაბრუნა როენამ, უეცრად ტყვედ ჩავარდნილ დე ბრასის პირდაპირ აღმოჩნდა. ეს რაინდი ხის ქვეშ იდგა, გულხელი დაეკრიფა და ფიქრს მისცემოდა. როენას იმედი ჰქონდა, იქნებ ისე ჩავუარო, ვერ შემნიშნოსო, მაგრამ დე ბრასიმ თავი ასწია და, ქალი რომ

დაინახა, ლამაზ სახეზე სირცხვილის სიწითლემ გადაუარა. ერთბაშად დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, მაგრამ ხელადვე მოეგო გონს, ფეხი წინ წარსდგა, ცხენს აღვირში ჩაავლო ხელი და ქალის წინაშე მუხლი მოიყარა.

- ნეტა თუ ღირსსა მყოფს ქალბატონი როენა, ტყვედ ჩავარდნილ რაინდს გადმომხედოს... შერცვენილ ჯარისკაცს?!

- ბატონო რაინდო, - მიუგო როენამ, - შენ ისეთ საქმეში იყავი გარეული, რომ დამარცხებით კი არ შერცხვენილხარ: რომ გაგემარჯვნა, შერცხვენილი მაშინ იქნებოდი.

- გამარჯვებულს, ქალბატონო, ლმობიერება მართებს, - უთხრა დე ბრასიმ, - ოღონდ ის მითხრას ვინმემ, ქალბატონმა როენამ მღელვარე გულის გავლენით მიყენებული შეურაცხყოფა გაპატიაო და მალე დაგიმტკიცებ, რომ კეთილშობილი სამსახურიც შემიძლია.

- მიპატიებია, ბატონო რაინდო, - მიუგო როენამ, - როგორც ქრისტიანს, მიპატიაებია.

- ეს იმის ნიშანია, რომ სულაც არ უპატიებია! - თქვა ვამბამ.

- მაგრამ როგორ შემიძილია მოგიტევო ის უბედურება და განსაცდელი, რაც შენ მოგვაყენე შენი უგუნურებით! - დასძინა როენამ.

- აღვირს ხელი უშვი, - უთხრა სედრიკმა და მიუახლოვდა. - მზის მადლმა, სირცხვილი რომ არ იყოს, ამ ჩემი ზუფანით მიგაკრავდი მიწას... მაგრამ ეს იცოდე, მორის დე ბრასი, ამ ბინძურ საქმეში გარევისათვის, როცა იქნება, გაგამწარებ.

- ტყვის მიმართ მუქარა რა ვაჟკაცობაა! - ჩაილაპარაკა დე ბრასიმ, - მაგრამ საქსონელს ვინ მისცა ზრდილობა!

ორი ნაბიჯით დაიხია და როენას გზა დაუთმო.

წასვლის წინ სედრიკმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა შავ რაინდს და სულითა და გულით შეეხვეწა, როთერვუდში გამომყევიო.

- ვიცი, რომ მოხეტიალე რაინდებს მამულებსა და დოვლათზე მაინცდამაინც არ ამოგდით მზე და მთელს თქვენს კეთილდღეობას შუბის წვერზე ამყარებთ, - უთხრა სედრიკმა, - მაგრამ ომი ცვალებადი ქალბატონი გახლავს, და ოჯახური კერის სითბო ზოგჯერ რაინდსაც

მოენატრება, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწოდება აქეთ-იქით ხეტიალი და ფათერაკის ძიებაა. ამისთანა სითბო შენ როთერვუდში მოგელის, კეთილშობილო რაინდო. სედრიკს იმდენი სიმდიდრე კი აქვს, რომ თავის მხსნელს ხელი გაუმართოს და ფეხზე დააყენოს... მეწვიე როთერვუდში, სტუმრად კი არ მიგიღებ - გიძმობ და გიშვილებ.

- სედრიკმა მე უკვე შემძინა სიმდიდრე - საქსონური სათნოების ფასი მასწავლა, - მიუგო რაინდმა, - როთერვუდში უსათუოდ გეწვევი, მამაცო საქსონელო, და მალეც გეწვევი. ახლა კი სასწრაფო საქმე მაქვს და თან ვერ გამოგყვები. მაგრამ როცა გესტუმრები, ისეთ რამესა გთხოვ, ვაითუ შენც კი შეიფხანო თავი - ამ ხელგაშლილმა კაცმა.

- ჯერ ხომ არ გითხოვია - უკვე თანახმა ვარ! - უთხრა სედრიკმა და შავი რაინდის რკინის თათმანიან ხელს თავისი ხელი დაჰკრა, - ნახევარი საცხოვრებელიც რომ მთხოვო, უკან არ დავიხევ.

- ასე ადვილად ნუ მპირდები, - უთხრა შავმა რაინდმა, - ისე კი, მართლაც მექნება იმედი, რომ თხოვნას შემისრულებ, მშვიდობით იყავი!

- ოღონდ კეთილშობილ ათელსტანის დაკრძალვამდე კონინგსბურგის ციხე-დარბაზში ვიქნები, -

გააფრთხილა საქსონელმა, - ამ ციხის კარები ყველასათვის ღია იქნება, ვინც კი მობრძანდება და უკანასკნელ პატივსა სცემს მიცვალებულს. დაღუპული პრინცის დედის - კეთილშობილი ედითის სახელით მოგახსენებ, რომ ეს კარები არც როდესმე დაიხშვება იმათთვის, ვინც ასე მამაცურად იღწვოდა ნორმანელთა ხმლისა და ბორკილებისაგან მისი შვილის გამოსახსნელად. რა ვუყოთ, რომ არ გაგიმართლდათ და ვეღარ დაიხსენით!

- მაშა, მაშა, - შესძახა ვამბამ, რომელიც უკვე ძველებურადვე გვერდში ამოდგომოდა ბატონს, - რა ქელეხი იქნება!.. დასანანი კია, რომ ათელსტანი ვერ მოილხენს თავისივე ქელეხში. თუმცა რა, - განაგრძო მასხარამ და თვალი მაღლა აღაპყრო, - ახლა ალბათ სამოთხეში ვახშმობს და კარგა მადიანადაც.

- გაჩუმდი, და შენს გზას გაუდექი! - შეუტია უდროო ხუმრობით გაგულისებულმა სედრიკმა, მაგრამ ვამბას ამასწინანდელი თავდადება რომ გაიხსენა, დასჯით აღარ დაუსჯია. როენამ თავაზიანად დაუქნია ხელი შავ რაინდს და გამოემშვიდობა... საქსონელმა გზა დაულოცა და გასწიეს კიდეც...

ჯერ თვალს არც კი მიჰფარებოდნენ, რომ გრინვუდის დაბურული ხეებიდან მეორე პროცესია გამოვიდა და როენას და სედრიკს მიჰყვა კვალში. ესენი იყვნენ მეზობელი მონასტრის ბერები; გაეგოთ ათელსტანის სულის მოსახსენებლად სედრიკი დიდ შესაწირავებს ამზადებსო და

მოსულიყვნენ, იმ საკაცეს მისდევდნენ, რომელზედაც ათელსტანი დაესვენებინათ მის ვასალებს, და კონინგსბურგის ციხე-დარბაზისაკენ მიასვენებდნენ. იქ ჰენგისტის საგვარეულო აკლდამაში უნდა დაეკრძალათ. ათელსტანის სიკვდილის ამბავი ხელად მოსდებოდა ახლომახლო მცხოვრებ ხალხს, და ვასალებს უკვე მოესწროთ თავის შეყრა, ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქულები მიაცილებდნენ ცხედარს. ყოველ შემთხვევაში, გა-

რეგნულად კი ძალიან დაღონებულები სჩანდნენ. ყაჩაღები კვლავ წამოიშალნენ და ისეთივე მოწიწებით სცეს პატივი ცხედარს, რა მოწიწებითაც ცოტა ხნის წინ მშვენიერი ასული გააცილეს. ბერების სამგლოვიარო გალობამ და მძიმე ნაბიჯით სიარულმა მათ გუშინდელ ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები მოაგონა. მაგრამ ამნაირი მოგონებანი დიდი ხნით ვერ დაისადგურებს ხოლმე ისეთი ადამიანების გულში, რომლებიც გამუდმებით განსაცდელში არიან და ნიადაგ სიკვდილს უსწორებენ თვალს. მიწყდა თუ არა სამგლოვიარო საგალობელი, ყაჩაღებმა კვლავ ნაალაფევის გაყოფას მიჰყვეს ხელი.

- მამაცო რაინდო, - მიმართა ლოკსლიმ შავ რაინდს, - შენ რომ არ ყოფილიყავი და შენი კეთილი გულითა და ღონიერი მკლავით არ მოგვშველებოდი, ჩვენ ვერაფერს ვერ გავხდებოდით. აგერ ამდენი ნაალაფევი ჰყრია, ამ სანიშნო მუხასთან თავშეყრის სამახსოვროდ ამოირჩიე, რაც გენებოს.

- დიდი სიამოვნებით და ისეთივე წრფელი გულით, რითაც შენ მთავაზობ, - მიუგო რაინდმა, - მე მორის დე ბრასის თავსა გთხოვ. ეგ დამითმე და მეტი არაფერი მინდა.

- ეგ ხომ ისედაც შენია, - უთხრა ლოკსლიმ, - ბედი მაგისი, თორემ აქამდე ამ მუხის კენწეროზე ჩამოვკიდებდით, და ტოტებსაც მაგისი მოხალისე რაზმელებით შევამკობდით. მაგრამ შენი ტყვეა, და ჩვენ ხელს ვერ ვახლებთ, მიუხედავად იმისა, რომ მაგან მამა მომიკლა.

- დე ბრასი, - მიმართა რაინდმა, - თავისუფალი ხარ... წადი! წარსული ცოდვებისათვის შენი დამტყვევებელი შურს არ იძიებს. მომავალში კი ფრთხილად იყავი, თორემ უარეს უბედურებაში ჩავარდები... შენ გეუბნები, მორის დე ბრასი, ფრთხილად იყავი!

დე ბრასიმ მდაბლად დახარა თავი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, და ის იყო წასვლა დააპირა, რომ იომენებმა ერთბაშად გამაყრუებელი ყიჟინა დასცეს - ზიზღითა და დაცინვით უყვიროდნენ. გულზვავი რაინდი შედგა, მობრუნდა, გულხელი დაიკრიფა, წელში გასწორდა და იომენებს უთხრა:

- ხმა ჩაიწყვიტეთ ძაღლებო! ახლა გამითამამდით?! როცა ირემს მისდევდით, მაშინ რატომ ვერ გაბედეთ ახლოს მოსვლა?.. დე ბრასის არც ქება უნდა თქვენი და არც გინება - ორივეს ზიზღით

უყურებს! წაეთრიეთ და თქვენს სოროებში შეძვერით, ავაზაკებო, და მანამ თქვენი სოროების მახლობლად რაინდობაზე ლაპარაკობდეს ვინმე, თავის გამოყოფაც არ გაბედოთ!

დე ბრასის ამ უდროო დროს წარმოთქმულ სიტყვებს იცოცხლეთ ისრების სეტყვა მოჰყვა, მაგრამ უცებ ყაჩაღების მეთაური გამოიჭრა წინ და ბრძანა, მშვილდი არ მოზიდოთო, ამასობაში რაინდი ერთ ბედაურს სწვდა აღვირში, მოახტა და გაქუსლა, ტყეს შეერია. ცხენები ფრონ დე ბეფის თავლიდან გამოეყვანათ, როგორც ალაფი და ახლა იქვე ებათ, გასაყოფად.

როცა ეს ღრიანცელი ცოტათი დაცხრა, ყაჩაღების მეთაურმა თავისი მდიდრულად მოჭედილი საყვირი და აშურმა მოიხსნა, რაც მან აშბის ასპარეზობაზე მიიღო.

- კეთილშობილო რაინდო, - მიმართა მან შავ რაიდს, - თუ ინგლისელი იომენის ერთხელ ჩანაბერ საყვირს არ ითაკილებ, შენი გმირობის სახსოვრად მომირთმევია - მამაც რაინდს არ შეიძლება რამე ფათერაკი არ გადაეყაროს, და ამ ტყეებში თუ დაგჭირდეს შველა, ტრენტსა და ტისს შორის, სამჯერ ასე ჩაჰბერე - ვ ა-ს ა ჰ ო ა ! - სულ ადვილი შესასრულებელია, რომ მშველელი და მხსნელი მაშინვე შენთან გაჩნდეს.

ასწავლა კიდეც, როგორ უნდა ჩაებერა.

- საჩუქრისთვის დიდი მადლობელი ვარ, მამაცო იომენო, - უთხრა რაინდმა, - რაც არ უნდა გამიჭირდეს, თქვენზე კარგ მშველელს არც დავუწყებ ძებნას.

ეს თქვა და ახლა თვითონ ჩაჰბერა, გრინვუდის ტყეს სულ ზანზარი დაეწყებინა.

- დიდებულად გამოგივიდა, - მოუწონა იომენმა, - მე ვატყობ, რომ შენ ბრძოლაზე ნაკლებ არც ნადირობა გეცოდინება!.. თუნდაც სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თავის დროზე ბლომად ნადირი გეყოლება გაჟლეტილი... აბა ბიჭებო, ეს სამი ჩაბერვა კარგად დაიხსომეთ - შავი რაინდის მოწოდება იქნება. ვინც ამ ნიშანს გაიგონებს და მისაშველებლად არ გაეშურება, მაშინვე კინწისკვრით გავაგდებთ ჩვენი რაზმიდან.

- ჩვენ წინამძღოლს გაუმარჯოს! - შეჰყვირეს იომენებმა, - შავ რაინდს გაუმარჯოს!.. ნეტა კი მალე დასჭირდეს ჩვენი სამსახური - თვითონვე ნახავს, რომ მყისვე მასთან დავიბადებით.

ამის შემდეგ ნაალაფევის განაწილებას შეუდგა ლოკსლი და საოცარი მიუკერძოებაც გამოიჩინა. მთელი ალაფის მეათედი ნაწილი ეკლესიებისა და სხვა საღვთისმოსავო საქმისთვის გადადეს, მერე საზოგადო საჭიროებისათვის გადაინახეს განსაზღვრული ნაწილი; არც ბრძოლაში დახოცილთა ქვრივ-ობლები დაუვიწყნიათ. ხოლო ვისაც აღარავინ დარჩა ამქვეყნად, იმათი

სულის მოსახსენებლად გადადეს. დანარჩენი ნაალაფევი გაანაწილეს დამსახურებისა და ღირსების კვალობაზე. საყოყმანო და საორჭოფო საკითხებს წინამძღოლი დიდის სიფრთხილითა და ჭკუამახვილობით ჭრიდა და ყველანი უხმოდ ემორჩილებოდნენ. შავი რაინდი გაკვირვებული იყო - ამ კანონის მგმობელ ხალხს რა წესრიგი და კანონიერება ჰქონიაო. გულისყურით ადევნებდა თვალს წინამძღოლის მოქმედებას, და დარწმუნდა, რომ მართლაც ალალი და სამართლიანი კაცი იყო ეს იომენი.

თავთავიანთი წილი გაზიდეს, ქვრივ-ობლებისა და საზოგადო საჭიროების ნაწილიც გადამალეს - ოთხმა მოხუცმა იომენმა წაიღო სადღაც, ეკლესიის ნაწილი კი იქვე დარჩა.

- ნეტა ერთი გამაგებინა, ჩვენს მხიარულ დიაკვანს რა მოუვიდა, - თქვა წინამძღოლმა, - როდის მომხდარა, რომ სუფრის კურთხევისა და ალაფის განაწილების დროს ჩვენთან არ ყოფილიყოს. ეს მეათედი ნაწილიც ხომ მაგან უნდა ჩაიბაროს! იქნებ ამ საქმეში ჩარევამ მაინც გამოასყიდინოს ზოგიერთი ამქვეყნიური ცოდვა. თანაც, აქვე ერთი წმიდა ძმა მყავს ტყვედ, და ჩვენი ბერის რჩევა მჭირდება, რომ მასაც საკადრისი სასჯელი მივუზღა... ვაითუ რამე შეემთხვა იმ ჩვენს ბედოვლათ ბერს!

- ეგ მეც ძალიან მაწუხებს, - უთხრა შავმა რაინდმა, - დიდათა ვარ მისგან დავალებული - ისეთი

მასპინძლობა გამიწია იმ ღამეს თავის სენაკში... აბა, ერთი ციხის ნანგრევებში დავძებნოთ, იქნებ კვალს წავაწყდეთ სადმე.

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ იომენებმა შეჰყვირეს - ძაღლი ხსენებაზეო, და ჯერ თვალი არც კი ჰქონდათ მოკრული, რომ მისი რიხიანი ხმაც მოისმა.

- გზა, გზა, გულმხიარულო ბიჭებო! - ყვიროდა იგი, - გზა უტიეთ თქვენს ღვთიურ მოძღვარსა და მის ტყვეს... აბა ერთი ვაჟკაცურად მომესალმეთ...

აჰა, მოვედი, ჩემო კარგო წინამძღოლო, და არწივის დარად, კლანჭებით ნადავლიც მოვიტანე.

ირგვლივ როხროხი ასტეხეს, ბერმა რიხიანად გაარღვია ხალხი და დიდის ზარზეიმით შევიდა წრეში. ცალ ხელში ვეება ჩუგლუგი ეჭირა, ხოლო მეორეთი კისერზე თოკმობმულ უბედურ ისააკ იორკელს მოათრევდა, რომელიც შიშითა და მწუხარებით სულ მოკუნტულიყო.

- ალან-ე-დეილი სად დაიკარგა? - ომახიანად შესძახა ბერმა, - ერთი ბალადა გამომიცხოს სახელდახელოდ, ან არადა, პატარა სიმღერა მაინც შემითხზას!.. ეს კიკინა მამაძაღლი სწორედ მაშინ უნდა გადაიკარგოს, როცა დიდი საგმირო საქმეების შექება გახდება საჭირო.

- ბედოვლათო ბერო! - მიმართა წინამძროლმა, - მე როგორც ვატყობ, კაი მხიარული წირვა გაგიმართავს ამ უთენია! წნიდა ნიკოლასს გაფიცებ, მითხარი - ეს ვინ მოგიყვანია?

- ჩემი საკუთარი ხმლითა და შუბით მოპოვებული ტყვე, კეთილშობილო წინამძღოლო, - მიუგო კოპმანჰერსტელმა ბერმა, - უფრო სწორად რომ ვთქვა, ჩუგლუგითა და მშვილდ-ისრით!.. მაგრამ, მართალი თუ გინდა, უფრო საშინელი ტყვეობიდან დავიხსენი. შენ თვითონვე თქვი, ებრაელო... სატანის კლანჭებიდან არ გამოგიხსენი?! ჰა, ხომ კარგად გაგაზეპირებინე მამაო ჩვენო და ავე მარია?... მთელი ღამე შენი სადღეგრძელოების სმას მოვუნდი, და რჯულის საიდუმლოც გაგანდე!..

- იწამეთ ღმერთი, - იღრიალა ებრალემა, - მომაშორეთ ეს დამთხვეული... უკაცრავად, ეს წმიდა კაცი.

- რაო, რაო, ებრაელო! - შეუბღვირა ბერმა, - ისევ გადაუდექი ქრისტეს... ჭკვიანად იყავი, თორემ... რძის გოჭი არა ხარ, მაგრამ - ეჰ, ნეტა ერთი გოჭის ხორცით დამანაყრა - მაინც კარგად შეგბრაწავ. აბა, ჭკვიანად იყავი, ისააკ, და რასაც ვიტყვი, შენც გაიმეორე... ავე მარია!..

- გაჩუმდი, ბერო, ღმერთს ნუ ჰგმობ, - მაგას სჯობია, გვითხრა, ეს ტყვე სად დაგიჭირავს!

- წმიდა დუნსტანის მადლმა, - მიუგო ბერმა, - იქ დავიჭირე, საცა ცოტა უკეთესი რამე მეგულებოდა!.. მარანში შევიჭერი, იქნებ რამე გადავარჩინო-მეთქი. ერთი ჭიქა სანელებლით შეზავებული და წამოდუღებული ღვინო ძილის წინ იმპერატორისათვისაც კი მისწრებაოო, გამიგონია, მაგრამ ამდენი

ღვინის ერთბაშად ადუღება ვის რაში სჭირდება-მეთქი, ვიფიქრე: მეც დავითრიე ერთი კასრი ხერესი და ვიყვირე, მომეშველეთ, გამატანინეთ-მეთქი... მაგრამ ამ მუქთახორა არამზადებს რამეს გააგონებ?! საცა საჭირო არ არის, იქ ეჩრებიან... უცებ, რკინით გაჭედელი საიდუმლო კარი შევნიშნე... აჰა, შარბათი სწორედ მანდ ექნებათ-მეთქი, ვიფიქრე. ახლოს რომ მივედი, ვხედავ კლიტეში გასაღები ჩარჩენია იმ არამზადა მემარნეს. გავაღე, შევედი... რის ღვინო, რა ღვინო!.. რაღაც დაჟანგული ჯაჭვები ყრია და ეს ძაღლი ურიაც იქვეა... პირდაპირ დამნებდა ტყვედ - არავითარი პირობა და მოლაპარაკება! ამ ურჯულოსთან შეხლა-შემოხლის შემდეგ ერთი თასის გამოცლა ძლივს მოვასწარი ძალ-ღონის მოასკრებად, და ის იყო ტყვის წამოყვანასა და წამოსვლას ვაპირებდი, რომ უცებ - ბრახ, ბრახ - გეგონებოდა მეხი გასკდაო - კოშკი ჩამოინგრა!.. ღმერთმა დასწყევლოს მისი ამშენებელი!.. ცოტა უფრო მაგარი ვერ ააშენა!.. კარები ჩაგვეხერგა. იმ ერთ კოშკს სხვებიც მოჰყვა და მალე ისეთი გრუხუნ-გრუხუნი შეიქნა, რომ ვიფიქრე, მზის ამოსვლას მეტად ვეღარ მოვესწრები-მეთქი. მერე დავფიქრდი - ამ ურჯულოსთან ერთად საიქიოს გამგზავრება ხომ ცოდვად ჩამეთვლება-მეთქი, და ეს ჩემი ჩუგლუგი მოვუქნიე, ტვინი უნდა გადმომენთხევინებინა... მაგრამ ჭაღარას რომ შევხედე, შემეცოდა. ჩუგლუგი დავუშვი და ისევ სულიერი იარაღი მოვიმარჯვე - გადავწყვიტე, ქრისტეს რჯულზე მომექცია. რაც

მართალია, მართალია, წმიდა დუნსტანის მადლმა, ნოყიერ ნიადაგში მოხვდა თესლი. ოღონდ მთელი ღამე კი მოვუნდი შეგონებას ეს მშიერი კაცი (ზოგჯერ ძალ-ღონის მოსაკრებად რომ მოვწრუპავდი თითო ყლუპ ღვინოს, ეგ რა სათვლავში ჩასაგდები!) ისე დავიქანცე, რომ თავი მიბრუის... არაქათი გამომეცალა... აგერ ჯილბერტი და ვიბალდი მყავს მოწმედ - რა დღეში მნახეს, როცა მოვიდნენ... მილასლასებული და მიკნავებული.

- მოწმეებად მართლაც გამოვდგებით, - უთხრა ჯილბერტმა, - ნანგრევები რომ გადავჩხრიკეთ და, წმიდა დუნსტანის შემწეობით, სარდაფის შესასვლელი გავწმინდეთ, კასრში ნახევარიც აღარ დაგვხვდა ღვინო, ებრაელიც ცოცხალ-მკვდარი იყო, ბერს კი ცოცხალ-მკვდარიც აღარ ეთქმოდა, ისე იყო მილასლასებული.

- რას მიჰქარავთ, თქვე არამზადებო! - შეუტია შეურაცხყოფილმა ბერმა, - მაგან და მაგის ღორმუცელა ამხანაგმა გამოსცალეს მთელი კასრი და დილის ყლუპიაო, ასე ბრძანეს... ურჯულო ვიყო, წინამძღოლისთვის თუ არ მქონოდეს ის ღვინო გადანახული. ეგეც არაფერი! თავი და თავი ის არის, რომ ებრაელი მოვაქრისტიანე და იმდენი ვუჩიჩინე, რომ თითქმის ჩემსავით იცის ყველაფერი.

- ებრაელო, - მიმართა წინამძღოლმა, - მართალს ამბობს ეს ბერი? მართლა დაგმე შენი რჯული?

- მომიტევეთ, თქვენ დაგენაცვლეთ, - მიუგო ებრაელმა, - მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დავიხსომე, რასაც ეს ღირსეული მოძღვარი მეჩიჩინებოდა ამ საშინელ ღამეს. ცალკე შიშით ვკანკალებდი და ცალკე მწუხარებით ვიყავი გაოგნებული - მამა აბრაამი რომ გამომცხადებოდა, იმის ქადაგებაც კი არ შემივიდოდა თავში.

- სტყუი, ურია! შენ თვითონვე ხომ იცი, რომ სტყუი, - შესძახა ბერმა, - ერთ სიტყვას მოგაგონებ და მერე ყველაფერი გაგახსენდება... შენ არ აღმითქვი, მთელს ჩემს ავლადიდებას თქვენს წმიდა ორდენს ვუბოძებო?!

- თვითონ აღთქმის მადლმა, ბატონებო, მაგისთანა რამე ჩემს პირს არ დასცდენია, - შესძახა წეღანდელზე უფრო შეშინებულმა ისააკმა, - ვაი, ჩემს მოსწრებას! ერთი არაფრისმქონებელი დაჩაჩანაკებული ბერიკაცი ვარ... მგონი შვილიც აღარ შემრჩა... გამიშვით... შემიბრალეთ...

- ვერ მოგართვეს, - შესძახა ბერმა, - წმიდა ეკლესიის სასარგებლოდ დადებული აღთქმის დამგმობელი დაუსჯელად ვერ გადარჩება.

და ის იყო ჩუგლუგი შემართა, რათა ტარი ბეჭებზე დაერტყა ბერიკაცისათვის, მაგრამ უცებ შავი რაინდი სწვდა ხელში და ებრაელისადმი მიმართული რისხვა საკუთარ თავზე დაიტეხა.

- წმიდა თომას კენტელის მზესა ვფიცავ, - შესძახა ბერმა, - ხელი თუ გამოვიღე, მე შენ მოგაჭკვიანებ, ბატონო ზარმაცო რაინდო, გასწავლი როგორ უნდა სხვის საქმეში ცხვირის შეჩრა; რკინის ყუთში რომ ჩამძვრალხარ, ეს ვერაფერს გიშველის!

- კარგი ერთი, მე რას მირისხდები, - უთხრა რაინდმა, - ძმად შეფიცულები რომ ვართ, აღარ გახსოვს?!

- ეგ მე არ ვიცი, - მიუგო ბერმა, - შენთან ჩხუბი კი გულით მინდა, რადგან გაბღენძილი მატრაკვეცა ბრძანდები!

- ნეტა რას მიედ-მოედები, - შესძახა რაინდმა, რომლესაც, ეტყობოდა, ეხალისებოდა თავისი გულუხვი მასპინძლის გაღიზიანება, - აღარ გახსოვს, რომ ჩემი ხათრით (არ მინდა ღვინისა და ღვეზლის ცთუნება ვახსენო) მარხვის აღთქმა გასტეხე?!

- იცი რა გითხრა, ძმობილო, - მიუგო ბერმა და მუშტი მომჯიღა, - ერთი თუ არ მოგაკერე, ისე ვერ მოვისვენებ.

- მაგისთანა საჩუქარს არ მივიღებ, - უთხრა რაინდმა, - სესხებით კი ვისესხებ, და თან ისეთი სარგებლით დაგიბრუნებ, რომ მაგ შენს ტყვესაც არ მოლანდებოდეს.

- ეგეც ვნახოთ, - მიუგო ბერმა.

- აბა! - შესძახა მეთაურმა, - რამ გაგაგიჟა, ბერო? ჩვენი სანიშნო ხის ქვეშ ჩხუბს როგორა ბედავ?!

- ჩხუბი რა მოსატანია, - თქვა რაინდმა, - მეგობრულად უნდა მივუალერსოთ ერთმანეთს... აბა შემომკარი, ბერო, თუ ბიჭი ხარ... მე ადგილიდანაც ვერ დამძრავ! ვნახოთ, შენ თუ გამიმაგრდები.

- შენ რა გენაღვლება - თავზე რკინის კოთხო ჩამოგიმხვია, - უთხრა ბერმა, - არა უშავს რა - სპილენძის მუზარადიანი გოლიათიც რომ იყო, მაინც დაგანარცხებ მიწაზე.

ბერმა ნიდაყვამდე წაიკაპიწა მზით გარუჯული მკლავი და ისე ღონივრად შემოჰკრა ყურის ძირში რაინდს, რომ ასეთი დარტყმა ხარსაც კი წააქცევდა. მაგრამ ძვრაც ვერ უყო - რაინდი კლდესავით იდგა. იომენებს მოწონების ყვირილი აღმოხდათ, რადგან ბერის მუშტი საარაკოდ ჰქონდათ გამხდარი - ცოტა თუ იქნება მათ შორის ისეთი, რომელსაც ან სერიოზულად, ან ხუმრობით მაინც არ გამოეცადა მისი ძალა.

- აბა, ბერო, - უთხრა რაინდმა და რკინის თათმანი წაიძრო, - თავზე კი რკინა მახურავს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელი მექნება შიშველი: თუ ბიჭი ხარ გამიმაგრდი!

- Genal mean dedi vapulatori - პირდაპირ მივუშვერ ლოყას მოწინააღმდეგეს, - თქვა ბერმა, - ფეხს თუ მომაცვლევინებ, ყმაწვილო, ამ ებრაელის გამოსასყიდი ფული სულ შენი იყოს.

ეს უთხრა ახმახმა ბერმა და გამომწვევად გაიჯგიმა. მაგრამ ბედისწერას ვინ გაქცევია! ისე ღონივრად შემოჰკრა მუშტი რაინდმა, რომ ბერი, ყველასდა გასაკვირად, დაბზრიალდა და მიწაზე გაგორდა. ხელადვე წამოდგა, მაგრამ არც წყენა დასტყობია და არც გულისგატეხა.

- ძმობილო, - მიმართა რაინდს, - ამისთანა ღონის პატრონი ცოტა უფრო ფრთხილად უნდა მოიქცეს. ყბამომტვრეულმა როგორღა ვსწირო?! ან საყვირში როგორ ჩავბერო, ქვედა კბილები რომ აღარ შემარჩინე! მაგრამ რაც იყო, იყო - აჰა, ჩემი ხელი, მეგობრები ვიყოთ. შენთან მუშტი-კრივი ხელს არ მაძლევს და მეტად აღარც ვისურვებ. ამით მოვრჩეთ ჩხუბს და აყალმაყალს. ახლა კი ებრაელს მივადგეთ და სული ამოვხადოთ, მანამ გამოსასყიდ ფულს არ დადებს - როგორც ყორანი არ გათეთრდება, ისე ებრაელი ებრაელობას არ მოიშლის.

- რაც ჩვენს ბერს ალიყური აჭამეს, - თქვა კლემენტიმ, - უკვე აღარა სჯერა ამ ებრაელის ქრისტიანად მოქცევისა.

- წადი, დაიკარგე, არამზადავ, მოქცევისა შენ რა გესმის!.. ერთი ბეწო პატივისცემა აღარ

შეგრჩათ?!. ყველამ ბატონობა მოინდომეთ? ყმა ვიღა იყოს?!. ცოტა ფეხი მეშლებოდა, რაინდმა რომ შემომკრა, თორემ, თავს გეფიცებით, ძვრასაც ვერ მიზამდა. მაგრამ ლაპარაკის საღერღელი თუ გაქვს აშლილი, მაშინ გაჩვენებ, რომ არც ჩემი მუშტია სუსტი.

- კარგი, გეყოფათ! - თქვა წინამძღოლმა, - შენ კი, ებრაელო, მართლაც უნდა იფიქრო გამოსასყიდ ფულზე. შენ თვითონაც ხომ იცი, რომ თქვენი ხალხი ყველასაგან შეჩვენებულია, და ვერაფრად გვეპიტნავება შენი აქ ყოფნა. ერთი სიტყვით, მანამ სულ სხვა ჯილაგის ტყვეს დავკითხავდე, გაიხსენე, რამდენი გაქვს ფული.

- ფრონ დე ბეფის ხალხი ბევრი ჩაგივარდათ ტყვედ? - იკითხა შავმა რაინდმა.

- - ისეთი არც ერთი, გამოსასყიდის მოცემა რომ შეეძოს, - მიუგო წინამძღოლმა, - რამდენიმე გარეწარი იყო და გავუშვით - დაე თვითონვე მოძებნონ მფარველი. შურისძიება კმარა, ალაფიც საკმაოდ ვიშოვნეთ; ესენი კი რის მაქნისები იყვნენ - გახვრეტილ კარდეკუდადაც[48] არა ღირან, ახლა რომ ტყვე ვახსენე, ის სულ სხვაა - კაი გულმხიარული ბერია; ჩაცმულობასა

და ცხენის მორთულობაზე ეტყობა, საყარელთან მიემგზავრებოდა... აგერ, მოჰყავთ კიდეც ეს ღირსეული მოძღვარი.

მართლაც, ორმა იომენმა თავიანთ წინამძღოლს ბუსნოს ტახტთან მიჰ-გვარეს ჩვენი ძველი მეგობარი, ჟორვოს მონასტრის აბატი ეიმერი.

თავი ოცდამეცამეტე

- მებრძოლთ მშვენებავ, ტიტ ლარციოს ახლა სად არის?
- გართული არის ბრძანებებში: ზოგთ სიკვდილით სჯის,
ზოგთა მსჯავრსა სდებს განდევნისას, ზოგთა იწყნარებს,
ანუ უნიშნავს დასახსნელად სასყიდელს რასმე.
შექსპირი*

ტყვე აბატის გამომეტყველებასა და ქცევაში გამოსჭვიოდა რაღაც უცნაური ნარევი შეურაცხყოფილი სიამაყის, იხტიბარგატეხილი კუდაბზიკობის და შიშისა.

- რა ამბავია, ბატონებო? - იკითხა მან. ხმაში სამივე ეს გრძნობა გაისმა, ერთმანეთში არეული, - გამაგებინეთ მაინც, რა წესები შემოგიღიათ? ურჯულოები ხართ თუ ქრისტიანები, ასე უდიერად რომ ექცევით სამღვდელო პირს. თუ იცით მაინც, რას ნიშნავს Manus imponere in servos Domini?..[49] ხურჯინები დამიცალეთ... იშვიათი ქსოვილის ანაფორა დამიფხრიწეთ, კარდინალიც კი არ დაიწუნებდა... სხვა რომ იყოს ჩემს ადგილას

excommunicabo vos[50] არ აგცდებოდათ. მაგრამ მე დიდსულოვანი კაცი ვარ, თუ ახლავე შემიკაზმავთ ჩემს ცხენებს, ძმა ბერებს გამითავისუფლებთ,

ხურჯინებს ისევ ისე გამივსებთ და ჟორვოს ტაძარში საწირავად ას კრონს ჩამოხვალთ, თან იმის აღთქმასაც თუ მომცემთ, რომ სულიწმიდის მოფენამდე ნადირის ხორცს არ შეჭამთ, იქნებ გაპატიოთ და ეს გიჟური საქციელი აღარ გაგიხსენოთ.

- წმიდაო მამავ, - მიმართა ყაჩაღების წინამძღოლმა, - ნუთუ მართლაც ასე უდიერად მოგექცა რომელიმე ჩვენთაგანი, რომ ეს მამაშვილური დარიგება დაგჭირდა? ამის გაფიქრებაც კი გულს მიწურავს.

- უდიერადო! - გაიმეორა წინამძღოლის ლმობიერებით გულმოცემულმა მღვდელმა, - ასე უდიერად ჯიშიან ძაღლსაც კი არ მოეპყრობიან... არა თუ ქრისტიანს... მით უფრო სამღვდელო პირს... და ისიც წმიდა ჟორვოს მონასტრის წინამძღვარს. ერთი ლოთი და გათახსირებული მინსტრელი გყოლიათ, ალან-ე-დეილი... nebulo quidam... ცემითაც კი დამემუქრა... ის კი არადა, გამოსასყიდად ოთხას კრონს თუ არ გადაიხდი, სულს გაგაფრთხობინებო... რაც წამარვეს და წამგლიჯეს, ის არ იკმარა... სულ ბაჯაღლო ოქროს ძეწკვები და ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭდები იყო. ახლა რაც თავიანთი ტლანქი ხელებით დამიმტვრიეს და გამიოხრეს - მთელი კოლოფი ნელსაცხებლები და ვერცხლის ჟღუნები, თმის დასახვევად...

- ვერ დავიჯერებ, რომ ალან-ე-დეილი ასე უდიერად მოპყრობოდეს შენისთანა ღირსეულ მოძღვარს, - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა.

- წმიდა ნიკოდიმუსის სახარების მადლმა, ნამდვილად ასე იყო, - მიუგო მოძღვარმა, - მაგინა და მლანძღა, ჩრდილოელებმა რომ იციან, ისე... თან დაიფიცა, ამ ტყეში ყველაზე მაღალ ხეს ამოვარჩევ და ჩამოგკიდებო.

- მართლა დაიფიცა? მაშინ რაღა გაეწყობა, ღირსო მამაო, მე მგონი, აჯობებს დაემორჩილო და ყველაფერი შეუსრულო: ალან-ე-დეილი ისეთი კაცია, რომ მოკვდება და ფიცს არ გასტეხს.

- მეხუმრებით?! -შესძახა გაოგნებულმა მღვდელმა და უგემურად გაიცინა, - ხუმრობა ჩემი მოგონილია, მაგრამ, ჰა! ჰა! ჰა! მთელ ღამეს რომ ხუმრობაში გაატარებ, დილას მაინც გმართებს სერიოზულობა.

- სულაც არ მეხუმრება: მოძღვარი რომ გინახავს აღსარების დროს, ისე სერიოზულად გელაპარაკები. უსათუოდ უნდა გადაიხადო გამოსასყიდი -

კარგა ბლომად ფული, ბატონო წინამძღვარო, თორემ თქვენი მონასტრის ბერებს ახალი წინამძღვრის არჩევა მოუწევთ - შენ იქ ვეღარ დაბრუნდები.

- ქრისტიანები ხართ თუ რა ხართ - მღვდელთან ასეთი ლაპარაკი გაგონილა?! - შესძახა წინამძღვარმა.

- ქრისტიანები როგორ არა ვართ, - მიუგო ყაჩაღმა, - საკუთარი მოძღვარიც კი გვყავს... აბა, ერთი ჩვენს მხიარულ ბერს დაუძახეთ, ღირსეულ მამას სახარება წაუკითხოს!

სანახევროდ გამოფხიზლებულმა ბერმა მწვანე ქურთუკზე ანაფორა გადაიცვა, თავს ძალა დაატანა და რაც ყმაწვილობაში ლათინური დაეზეპირებინა, ერთბაშად მოიგონა.

- წმიდაო მამავ, - მიმართა მან, - Deus faciat salvam benignitatem vestram. კეთილი იყოს შენი მობრძანება გრინვუდის ტყეში.

- ეს უწმინდური ლუღლუღი რაღა უბედურებაა?! - თქვა წინამძღვარმა, - თუ მართლა ეკლესიის მსახური ხარ, მეგობარო, მაშინ სჯობს ის მასწავლო, ამათი კლანჭებიდან თავი როგორ დავიხსნა. ეს ტაკიმასხარული მანჭვაგრეხა ვის რაში სჭირდება!

- ჭეშმარიტად, ღირსო მამაო, - მიუგო ბერმა, - შენი დახსნა ადვილად შეიძლება, ოღონდ ერთი რამ არის საჭირო. ხომ იცი, დღეს წმიდა ანდრიას დღესასწაულია და ფულსა ვკრებთ.

- იმედი მაქვს, ეკლესიისგან არ ინდომებთ, კეთილო ძმაო! - უთხრა წინამძღვარმა.

- ეკლესიისგანაც და მრევლისგანაც, - მიუგო ბერმა, - ეგეც რომ არ იყოს, ღირსო მამაო, facite vobis amicos de Mammone iniquitatis - გირჩევნია შენც გაერიო მამონის უსამართლობაში, თორემ ვერავითარი მეგობრობა ვერ გიშველის.

- სულით და გულით მიყვარს მხიარული მონადირეები, - ხმას დაუწია წინამძღვარმა, - ასეთი მკვახე-მკვახე ლაპარაკი რაში გჭირდებათ - მე თვითონ მონადირე ვარ, ისე ჩავბერო მაგ საყვირს, რომ ტყემ სულ ზანზარი დაიწყოს... კარგით ერთი, ჩემთან რაში გჭირდებათ ამითთანა სისასტიკე.

- საყვირი მიეცით, - ბრძანა ყაჩაღების წინამძღოლმა, - ასე რომ ტრაბახობს, ვნახოთ ერთი რის გამკეთებელია.

წინამძღვარმა ეიმერმა მართლაც ჩაჰბერა. ყაჩაღების წინამძღოლმა თავი გააქნია.

- ბატონო წინამძღვარო, - უთხრა მან, - ჩაბერვა მართლაც გცოდნია, მაგრამ შენს გამოსასყიდად ეს არ კმარა, რაინდის ფარის არაკისა არ იყოს, მარტო საყვირის ჩაბერვისათვის ვერ შეგელევით. თან ახლაღა შეგნიშნე, რომ... შენც ერთი იმ ვაჟბატონთაგანი ხარ, რომელიც ფრანგული ტრა-ლა-ლათი ჩვენი ძველი ინგლისური სიმღერები შეგვირყვნეს... ერთი სიტყვით, წინამძღვარო, ორმოცდაათი კრონი კიდევ ემატება შენს გამოსასყიდ თანხას, ეს იმიტომ, რომ ძველებური ვაჟკაცური სანადირო ჰანგი შერყვენი და დაამახინჯე.

- ეჰ, ჩემო ძმაო, - აღმოხდა აბატს, - შენი გულის მოგება ძნელი ყოფილა. პირდაპირ მაინც მითხარით... ერთი სიტყვით, რაკი ეშმაკის კერძი გავმხდარვარ, გამაგებინეთ მაინც, რამდენსა მთხოვთ, რომ ერთი თავისუფლად გავიარო და ორმოცდაათი გუშაგი უკან არ მომდევდეს.

- კარგი არ იქნებოდა, - გადაულაპარაკა წინამძღოლს თანაშემწემ, - კარგი არ იქნებოდა, რომ მოძღვარს ებრაელის გამოსასყიდი თანხა დაენიშნა და ებრაელს კიდევ მოძღვრისა?!

- დამთხვეული კი ხარ, მაგრამ ეს დიდებული აზრი მოგსვლია, - მიუგო წინამძღოლმა, - აბა, ებრაელო, წინ წამოდექი... ეს კაცი წმიდა მამა ეიმერია, ჟორვოს მდიდარი სააბატოს წინამძღვარი. რას იტყვი, თავის გამოსასყიდად რამდენი გადავახდევინოთ?.. მაგისი შემოსავალი შენზე კარგად ვის ეცოდინება!

- როგორ არ ვიცი, - მიუგო ებრაელმა, - მაგათთან ბევრი მივაჭრია - რამდენი ქერი, პური და ხილი მაქვს ნაყიდი... მატყლიც, რა თქმა უნდა. ძალიან მდიდარი სააბატოა, კარგადაც ცხოვრობენ ჟორვოელი მღვდლები - სვამენ და სვამენ საუკეთესო ღვინოებს. ეჰ, ჩემისთანა გარიყულ კაცს ვინ მაღირსებს მაგნაირ თავშესაფარს, ან მაგათ შემოსავალს ვინ მომაქვავებს, თორემ თავის გამოსასყიდად ოქრო-ვერცხლს რას დავიშურებდი.

- აი, შე ძაღლო ურიავ! - დაუყვირა წინამძღვარმა - შენზე კარგად მართლაც ვინ იცის, შე წყეულო, რომ რამდენი ხანია ეკვდერის აგება დავიწყეთ და ის ვერ მოგვითავებია, ისე ვართ ჩაფლული ვალებში...

- ვიცი, არც შარშანდელი გასკონური ღვინის ფული გადაგიხდიათ, - შეაწყვეტინა ებრაელმა, - მაგრამ ეს... ეს ბევრი არაფერია თქვენთვის.

- ამ უწმინდურ ძაღლს შეხედეთ! - იყვირა ღვთის მსახურმა, - მაგას რომ ყური დაუგდო, ჩვენ თითქოს იმ ღვინის ვალი გვქონდეს, რასაც propter

necesssitatem et ad frigus deppelendum[51] ვსვამთ. ეს ბილწი არამზადა მომდგარა და წმიდა ეკლესიას არცხვენს, ქრისტიანები კი, ვითომც არაფერიო, არხეინად უსმენენ.

- ეგ არაფერი! - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა, - თქვი ისააკ, რამდენი გადავახდევინოთ, ოღონდ მთლად ნუ გავაძრობთ ტყავს.

- ექვსასი კრონი, - მიუგო ისააკმა, - კეთილი წინამძღვარი ისე გადიხდის ამ ფულს, რომ არც არაფერი დააკლდება.

- ექვსასი კრონი, - მთელის სერიოზულობით გაიმეორა მეთაურმა, - თანახმა ვარ... კარგი განაჩენია, ისააკ... ექვსასი კრონი მოგესაჯა წინამძღვარო.

- კარგი განაჩენია, კარგი განაჩენია! - შეჰყვირეს ყაჩაღებმა, - სოლომონიც კი ვერ გადაუწყვეტდა უკეთ.

- მოისმინე განაჩენი, წინამძღვარო? - ჰკითხა მეთაურმა.

- ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ, ბატონებო?! - შესძახა წინამძღვარმა, - მაგდენ ფულს მე ვინ მომალანდებს?! საკურთხევლის შანდლები და სანაწილეც რომ გავყიდო, მაგის ნახევარსაც ვერ შევაგროვებ. თანაც, მე თვითონ უნდა წავიდე ჟორვოს, ფულის საშოვნელად. მძევლად ჩემს ორ ბერს დაგიტოვებთ.

- ასე ბრმად ვერ გენდობით, - მიუგო ყაჩაღების მეთაურმა, - ეგენი გაგზავნე ფულის მოსატანად, შენ კი ჩვენთან დარჩი. შიმშილით არ მოგკლავთ - ირმის ხორცი და ღვინო არ მოგაკლდება. ნადირობა თუ გიყვარს, ისეთ ნადირობას გაჩვენებ, რომ ჩრდილოეთში არც მოგელანდებათ.

- თუ გნებავთ, ასე ვქნათ, - თქვა ისააკმა ყაჩაღების გულის მოსაგებად, - მე გავაგზავნი კაცს იორკს

და ვასესხებინებ ფულს, თუკი ღირსეული წინამძღვარი თანახმა გახდება და ხელწერილის მოცემას ინებებს.

- ხელწერილს როგორ არ მოგცემს, ისააკ, - უთხრა მეთაურმა, - და ბარემ შენს გამოსასყიდ ფულსაც მოატანინებ.

- ჩემს გამოსასყიდს? ო, მამაცო ბატონო, - წამოიძახა ებრაელმა, - მე ხომ განადგურებული კაცი ვარ, გამათხოვრებული. ორმოცდაათი კრონიც რომ გადამახდევინოთ, მთელი ჩემი დღე და მოსწრება მათხოვრობაში უნდა გავატარო.

- ეგ წინამძღვარმა გადაწყვიტოს, - მიუგო მეთაურმა, - რას იტყვი, მამაო ეიმერ? თავის გამოსასყიდ ფულს ვერ იშოვის ეს ებრაელი?

- იშოვისო? - გაიმეორა წინამძღვარმა, - ეგ ხომ ისააკ იორკელია! მაგას იმდენი შეძლება აქვს, რომ ისრაელთა ათ ტომს გამოიხსნის ასურელების ტყვეობიდან!.. მე პირადად არ ვიცი, მაგრამ ჩემს ხაზინადარს უნახავს ბევრჯერ, და ისედაც გამიგონია - სულ ოქრო- ვერცხლითა აქვს თურმე სახლი გამოტენილი იორკში; სირცხვილიც კია, რომ საქრისტიანოში ასე მდიდარი ებრაელი ცხოვრობდესო. საოცარია პირდაპირ, რომ ამისთანა გაუმაძღარ გველებს სახელმწიფოს გულს

აწოვინებენ და ყოვლად ბინძური მევახშეობითა და და გაიძვერობით წმიდა ეკლესიასაც კი აყვლეფინებენ.

- მოითმინე, მამაო, - უთხრა ებრაელმა, - ძალიანაც ნუ გაცხარდები. აბა ერთი გაიხსენე, ვისთვის დამიტანებია ძალა, გინდა თუ არა, ისესხე-მეთქი! მაგრამ ასეა ხოლმე, როცა ისააკთან მოდიან და ფულის სასესხებლად კარებზე უკაკუნებენ, სულ ერთია - ბერი იქნება თუ ერისკაცი, პრინცი თუ წინამძღვარი, რაინდი თუ მღვდელი, ყველას დაშაქრული ენა აქვს. „ისააკ, ძმობილო, შენი ჭირიმე, ოღონდ ახლა გამიმართე ხელი და დროზე დაგიბრუნებ, ისე ღმერთი შემეწევა.“ ან არა და, „ისააკ, გენაცვალე, შენი გულის ამბავი რომ ვიცი, ამ ერთხელაც არ გამწირავ და ძმობას გამიწევ, ცუდ დღეში ვარ...“ მაგრამ გადახდის ვადა რომ მოვა და ჩემი საკუთარი ფულისთვის მივადგები - ხელადვე წყეულ ურიად ვიქცევი, მთელს ჩვენს მოდგმას ჯანდაბაში გვაგზავნიან და საქვეყნოდ გვთათხავენ საბრალო უცხოელებს.

- წინამძღვარო, - მიმართა მეთაურმა, - ეს კაცი ებრაელია, მაგრამ მართალს კი ამბობს. ლანძღვა-გინებას თავი დაანებე და შენც დაასახელე მაგისი ტყვეობიდან გამოსასყიდი ფული.

- მართლაც latro famosus[52] უნდა იყოს, რომ ქრისტიანი და წინდაცვეთილი ებრაელი ერთ სკამზე დასვა, - თქვა წინამძღვარმა, - მაგრამ რაკი ასე მთხოვ, ამ ლაჩრის გამოსასყიდი ფული

გამისაზღვრეო, პირდაპირ გეტყვი - ათას ოქროზე ნაკლები რომ მოთხოვო, დიდი შეცდომა მოგივა.

- დიდებული განაჩენია!.. დიდებული განაჩენია!.. - შესძახა მთავარმა ყაჩაღმა.

- დიდებული განაჩენია!.. დიდებული განაჩენია!.. - გაიმეორეს დანარჩენებმა. - ქრისტიანმა ებრაელზე მეტი ზრდილობა და გულუხვობა გამოიჩინა.

- ღმერთო, შენ მიშველე! - ამოიგმინა ებრაელმა, - სულ მიწასთან გინდათ გაასწოროთ ისედაც არაფრისმქონებელი კაცი?! -შვილი აღარ შემარჩინეს და ახლა სიცოცხლის წყაროსაც მისპობთ?

- შვილი თუ აღარა გყავს, რაღა ჯანდაბას უზოგავ ფულს! - უთხრა წინამძღვარმა.

- ვაიმე, მილორდ, - მიუგო ისააკმა, - თქვენ კანონი გიკრძალავთ ოჯახის ყოლას, და იმიტომაც არ გესმით როგორი სიმებით არინ შვილები დაკავშირებული ჩვენს გულთან... ოი, რებეკა, ჩემი საყავრელი რაქილის ასულო! ეს ფოთლები რომ ოქროებად აქცია და სულ ჩემი ქნა, ერთსაც კი არ დავიტოვებდი, ყველას გავცემდი, ოღონდ ვინმეს ეთქვა, შენი შვილი ნაზარეველს ხელიდან დაუსხლტა და ცოცხალიაო.

- შენი ქალი შავთმინაი ხომ არ არის? - ჰკითხა ერთმა ყაჩაღმა, - ვერცხლით ამოქარგული ინდური აბრეშუმის პირბადე ბურავს?

- ის არის!.. ის!.. - იყვირა ბერიკაცმა და წეღან თუ შიშით თრთოდა, ახლა მღელვარებისაგან აცახცახდა, - იაკობის კურთხევა ნუ მოგკლებოდეს... ცოცხალია? გადარჩა?

- მაშ ის ყოფილა, გაბღენძილი ტაძრელი რომ მიათრევდა, ჩვენი რაზმი რომ გაარღვია წუხელ და თავს უშველა, - თქვა იომენმა, - მინდოდა ისარი დამედევნებინა, მოვზიდე კიდეც მშვილდი, მაგრამ ქალი დამენანა და აღარ ვესროლე.

- ოი, - ამოიგმინა ებრაელმა, - ნეტა კი გესროლა... თუნდა გული გაგეპო ჩემი ქალისთვის!.. თავისი წინაპრების სამარეში ყოფნა ურჩევნია, გარყვნილი და თავაშვებული რაინდის სამარცხვინო სარეცელზე წოლას. შერცხვენა! შერცხვენა!.. მორჩა, შეიბღალა ჩემი სახლი!

- მეგობრებო! - გადასძახა მეთაურმა თავის ხალხს, - მართალია, ეს ბერიკაცი ებრაელია, მაგრამ მისმა მწუხარებამ მეც მატკინა გული... პირდაპირ გვითხარი, ისააკ, ნუ დაგვიმალავ... ათასი ოქრო რომ გადაგვიხადო, შენ არაფერი დაგრჩება?

სიძუნწე ისე ჰქონდა გაძვალრბილებული ისააკს, რომ ზოგჯერ შვილის სიყვარულსაც კი თრგუნავდა; ახლაც, თავისი სიმდიდრე რომ გაახსენეს, გაფითრდა, ენა დაება, მაგრამ დაფარვით ვეღარ დაფარა - ცოტა რამე კიდევ დამრჩებაო.

- კარგი... რამდენიც არ უნდა დაგრჩეს, მეტისმეტად არ დაგაზარალებთ, - უთხრა მთავარმა ყაჩაღმა, - როგორც ბლაგვი ისრით ვერ მოჰკლავ ირემს სამეფო ტყეში, ისევე შეუძლებელია ბრიან დე ბუა გილბერის ბრჭყალებიდან შენი ქალის უფულოდ გამოხსნა... რაც მამა ეიმერს გადავუწყვიტეთ, იმაზე მეტს არც შენ გამოგართმევთ, ის კი არადა, ასი ოქროთი ნაკლებიც იყოს. ეს ასი ოქრო ჩემი პირადი ზარალი იყოს, საზოგადო თანხას არაფერი დააკლდება. ამით ერთ მძიმე ცოდვასაც ავიცილებ - ჩარჩ ურიასა და ქრისტიან მღვდელს ერთ საწყაოში არ მოვაქცევთ, შენც ხუთასი ოქრო დაგეზოგება ქალიშვილის გამოსახსნელად. ტაძრელებს შავი თვალების ციმციმზე ნაკლებ როდი უყვართ ვერცხლის ფულის ელვარება... ჩქარა აუჩხრიალე ყურთან ფული, თორემ, იცოდე, წააგებ. ჩვენი მზვერავებისაგან ვიცი, მაგათი ორდენის უახლოეს ტაძარში იქნება ახლა მისული... ასე არა სჯობს, ჩემო მხიარულო მეგობრებო?

იომენებმა, ჩვეულებისამებრ მოიწონეს მეთაურის გადაწყვეტილება. ისააკმაც რა გაიგო, ქალი ცოცხალია და გამოსყიდვას მოვახერხებო, ცოტათი მოეშვა გულზე, კეთილ ყაჩაღს ფეხებში ჩაუვარდა, წვერი ჩექმებზე უსვა და მისი მწვანე ქურთუკის კალთას წაეპოტინა საკოცნელად.

მეთაური უკან გადახტა, ებრაელს ქურთუკის კალთა გამოგლიჯა და ცოტა არ იყოს ზიზღით უთხრა:

- რა მოგივიდა, კაცო, ეშმაკსაც წაუღიხარ, ფეხზე დადექი! მე ინგლისელი ვარ და აღმოსავლურად მიწაზე ხოხვა არ მიყვარს. რაღა ჩემისთანა საწყალი ცოდვილის წინაშე იჩოქებ, ღმერთს ეცი თაყვანი.

- მართალია, ებრაელო, - კვერი დაუკრა წინამძღვარმა ეიმერმა, - ღმერთს ეცი თაყვანი - იმის წინაშე დაიჩოქე, ვინც საკურთხეველთან ღმერთის პირით მეტყველებს; ვინ იცის, გულწრფელად თუ მოინანიებ და წმიდა რობერტის ტაძარსაც საკადრის შესაწირავს მიართმევ, იქნებ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგხედოს შენცა და შენს ქალს რებეკასაც! ქალის ბედი მართლაც ძალიან მაწუხებს - ლამაზი და ეშხიანი გოგოა... აშბის ასპარეზობაზე ვნახე. ბრიან დე ბუა გილბერს ჩემი ყადრი აქვს, დამიჯერებს...

კარგად დაფიქრდი, რითი შეგიძია ჩემი გულის მოგება, რომ მეც სიტყვა შეგაწიო.

- ვაი, ჩემს გაჩენას! - ამოიგმინა ებრაელმა, - ყოველი მხრიდან მაძარცველები შემომეხვივნენ... ასურელების ხელში ჩავარდნილს ეგვიპტელებიც თავიანთ მსხვერპლადა მთვლიან.

- შენი დაწყევლილი ერის შვილს აბა რის იმედი უნდა გქონდეს! - მიუგო წინამძღვარმა, - რა წერია წმიდა წიგნში? Verbum Domini projecerunt, et sapientia est nulla in eis - დაჰგმეს სიტყვა ღვთისა და აღარც შერჩათ სიბრძნის ნატამალი; propterea dabo mulieres eorum externis - ქალებს იმათსას უცხოელებს ჩამოვურიგებ (ესე იგი, ტაძრელსო, ამ შემთხვევაში); et thesauros eorum haeredibus alienis - განძი იმათი სხვებს გადაეცეს (ესე იგი, ამ პატიოსან ვაჟბატონებსაო.)

ისააკმა მაგრად ამოიგმინა და, გულდათუთქული და განწირული, ხელების მტვრევას მოჰყვა. იომენების მეთაურმა განზე გაიხმო.

- კარგად დაფიქრდი, ისააკ, - უთხრა ლოკსლიმ, - ყველაფერი გონივრულად აწონ-დაწონე. მე პირადად გირჩევ, ამ მღვდელს დაუკავშირდე; პატივმოყვარე კაცია, ხარბი... ყოველ შემთხვევაში, ფული ბლომად სჭირდება - ფუფუნებას არის დაჩვეული. შენთვის ძნელი არ იქნება მაგისი გულის მოგება. არ იფიქრო, შენი სიღარიბე მჯეროდეს. მე ის რკინის სკივრიც კი ვიცი, ისააკ, რაშიაც შენ ფულის პარკებს ინახავ... ის კი არადა, ვაშლის ხის ქვეშ რომ დიდი ლოდი გდია, საიდანაც თაღებიან ოთახში შედიხარ ხოლმე, იორკს, განა ის კი არ ვიცი!

ებრაელს მკვდრის ფერი დაედო.

- მაგრამ ჩემი ნუ გეშინია, - განაგრძო იომენმა, - ჩვენ ხომ ძველი ნაცნობები ვართ. ის ავადმყოფი იომენი არ გაგონდება, შენმა მშვენიერმა რებეკამ რომ გამოიხსნა ბორკილებისაგამ და მანამ არ განკურნა, სახლში ჰყავდა? ხოლო როცა თქვენგან წავიდა, საგზაოდ ფულიც კი აჩუქე შენ?! ხომ განთქმული მევახშე ხარ, მაგრამ რაც შენ იმ ერთმა ვერცხლმა მოგიტანა, ისეთ სარგებელს ჯერაც არ მოსწრებიხარ, რადგან დღეს შენ იმან ხუთასი ოქრო გადაგირჩინა.

- მაშ შენა ხარ, ჩვენ რომ მშილდმოზიდულს ვეძახდით? - ჰკითხა ისააკმა, - განა არა - ხმა მეცნაურა!

- ჰო, მშვილდმოზიდული ვარ, - მიუგო ყაჩაღების მეთაურმა - ლოკსლიც მქვია... და კიდევ მაქვს ერთი კარგი სახელი.

- ოღონდ იმ თაღებიანი ოთახის საქმე კი გეშლება, კეთილო მშილდმოზიდულო. ისე ღმერთი მიშველის, რაღაც უმნიშვნელო საქონლის გარდა იმ სარდაფში არაფერი მეწყოს, და იმ საქონელსაც ადვილად შეველევი - შენ გაჩუქებ... ერთი ასი იარდი მწვანე მაუდი შენს ბიჭებს გამოადგება ქურთუკებად, ასიოდე ცალი ესპანური ურთხმლის სამშვილდე ფიცარი და ასიც აბრეშუმის ლამბი მშვილდებისათვის - სრიალა და გამძლე... ამას ყველაფერს გამოგიგზავნი, ჩემო პატიოსანო დიკ, შენი სიკეთის სამაგიეროდ... ოღონდ, ჩემო კეთილო დიკ, იმ თაღებიან ოთახს ნურსად ახსენებ.

- კრინტსაც არ დავძრავ, - მიუგო ყაჩაღმა, - კაცი არ ვიყო, თუ შენი ქალის ბედი არ მაწუხებდეს. მაგრამ შველით ვერაფერს გიშველი... გაშლილ მინდორზე ჩემი ისარი ვერაფერს გახდება ტაძრელის შუბთან - მტვრად გვაქცევენ. მაშინვე რომ მცოდნოდა, რებეკა მიჰყავდა, იქნებ მომეხერხებინა რამე. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, ეშმაკობა ვიხმაროთ. არ გინდა, შენს მაგივრად მოველაპარაკო წინამძღვარს?

- იწამე ღმერთი, და თუ რამე შეგიძლია, მიშველე, დიკ, გამომახსნევინე ჩემი ერთადერთი შვილი.

- კარგი მოველაპრაკები, - უთხრა ყაჩაღმა, - ოღონდ შენი სიძუნწით ხელს ნუ შემიშლი.

ლოკსლი წინამძღვრისაკენ გაემართა და ებრაელიც ჩრდილივით აედევნა.

- მამაო ეიმერ, - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა, - ერთი აქეთ გამომყევი, რაღაც უნდა გითხრა. ბატონო მოძღვარო, - განაგრძო მან, - შენზე ამბობენ, მის ორდენს რომ შეეფერება, იმაზე უფრო მეტად უყვარს ღვინოცა და ქალის ღიმილიცაო, მაგრამ ეს მე არ მეკითხება. იმასაც იძახიან, ჯიშიან მწევრებსა და კაი ბედაურზე ამოსდის მზეო... ამისთანებს კი ბლომად ფული სჭირდება, და, მგონი, ერთი ქისა ოქრო არ გაწყენს. გულქვაობასა და მტარვალობას კი ვერავინ დაგწამებს და არც გამიგონია... ერთი სიტყვით, აგერ ისააკს გადაუწყვეტია, შენი სურვილებისა და გულისწადლის

დასაკმაყოფილებლად ასი ვერცხლი მოგართვას, ოღონდ, სამაგიეროდ, შენს მეგობარ ტაძრელ რაინდთან უნდა უშუამდგომლო და მისი ქალი გაათავისუფლებინო.

- როგორც წაიყვანა, ისე უნდა ჩამაბაროს - ხელუხლებელი და უმწიკ-ლო, თორემ არაფრის გადამხედლი არა ვარ, - ჩაურთო ებრაელმა.

- გაჩუმდი, ისააკ, უთხრა ყაჩაღმა, - თორემ იცოდე, თავს დავანებებ... ჰა, რას იტყვი, მამაო ეიმერ?

- ძალიან დახლართული საქმე კია, - მიუგო წინამძღვარმა, - ერთის მხრივ, სიკეთე უნდა გავაკეთო, და ამას რა სჯობს, მაგრამ ვისთვის? ებრაე-ლისთვის! ამის ნებას კი სინდისი არ მაძლევს. კიდევ თუ გაიღებს ეს ებრაე-ლი ფულს და, ვთქვათ, სენაკს მიაშენებს ეკლესიას, ან ამისთანა რამეს, მა-შინ სინდისს აღარ დავეძებ და დავეხმარები ქალიშვილის გამოხსნაში.

- რა თქმა უნდა, არც ჩვენ გამოვუდგებით, რაღაც ორმოცი ოქრო იქნება თუ... დამაცა-მეთქი, ისააკ! თუ საკურთხეველზე დასადგმელი ერთი წყვილი ვერცხლის შანდალი, - უთხრა ყაჩაღმა.

- ეგ როგორ იქნება, კეთილო დიკ, დაიცა, კაცო, - შეაწყვეტინა ისააკმა.

- კეთილო ებრაელო... მხეცი ხარ თუ მატლი ხარ, კაცო! - შეუტია მოთ-მინებადაკარგულმა იომენმა, - აბა ერთი კიდევ დაგიპირისპირებია შენი ბინძური ფული ქალიშვილის პატიოსნებისა და სიცოცხლისათვის და, ღვთის მადლმა, რაც ნაძარცვი სიმდიდრე გაქვს, სამ დღეში გაგინიავებ.

ისააკი აიძურწა და გაჩუმდა.

- იმის თავდები ვინ უნდა იყოს, რომ მე ჩემს ფულს მივიღებ? - იკითხა წინამძღვარმა.

- ჩაიბარებს თუ არა, შენი შემწეობით, ქალს ისააკი, - უთხრა ყაჩაღმა, - წმიდა ჰუბერტის მადლმა, მე ვიქნები თავდები, რომ მაშინვე გადაგიხდის შეპირებულ ფულს, არადა ისეთ დღეში ჩავაგდებ, რომ ოცჯერ მაგაზე მეტის გადახდა მოენატროს.

- კარგი, - თქვა წინამძღვარმა, - რაკი იძულებული ვხდები ამ საქმეში ჩავერიო, შენი საწერ-კალამი მათხოვე, ებრაელო... თუმცა, არა... მირჩევ-ნია ორი დღე ვიშიმშილო, შენს კალამს კი ხელს არ ვახლებ... მაგრამ ან კი სად ვიშოვო?..

- მაგის მელანს თუ არ შეიზიზღებ, წმიდაო მამავ, კალამს მე გიშოვნი, - უთხრა იომენმა. მერე უცებ მშვილდი მოზიდა, ცისკენ აიხედა და დაუმიზნა გარეულ ბატს, რომელსაც კისერი წაეგრძელებინა

და ბატების გუნდს ჰოლდერნესის შორეული ჭაობებისაკენ მიუძღოდა. ისარგარჭობილი ფრინველი ფარფატით დაეცა მიწაზე...

- აჰა, წინამძღვარო, - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა, - ას წელიწადს ეყოფა ეს ფრთები შენი მონასტრის ბერებს...

წინამძღვარი დაჯდა და დინჯად შეუდგა ბრიან დე ბუა გილბერის წერილის წერას. მერე გულმოდგინედ დაბეჭდა და ისააკს გადასცა.

- ეს ტემპლსტოუს მონასტერში შესასვლელადაც გამოგადგება; იმედი მაქვს, დაიბრუნებ შენს ქალიშვილს, ოღონდ ბუა გილბერსაც უნდა მისცე თავისი წილი, თორემ ეგ ისეთი კაცია, რომ მუქთად ნაბიჯს არ გადადგამს.

- შენც აღარ დაგაყოვნებ, წინამძღვარო - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა, - ოღონდ ჯერ ხელწერილი მიეცი ამ ებრაელს, რომ მისგან მიღებული გაქვს ექვსასი ოქრო. ეს შენი გამოსასყიდი ფულია. მაგას კი მერე მე თვითონ გავუსწორდები. მაგრამ თუ გავიგე, რომ კიდევ დაუწყე ვაჭრობა, ან ვადაზე არ გადაუხადე, ღვთიშობლის მადლმა, მთელს შენს მონასტერს გადავწვავ და შენც შიგ გამოგბუგავ, თუნდაც ამისთვის ათი წლით მოვიახლოვო ჩამოხრჩობა.

წინამძღვარი გაცილებით ნაკლები ხალისით შეუდგა ხელწერილის წერას; ხელწერილში აღნიშნული იყო, რომ მას ექვსასი კრონი ემართა ისააკ იორკელისა - ტყვეობიდან გამოსასყიდი ფული - და აღნიშნულ თანხას ამა და ამ დღეს დაუგვიანებლად და უყოყმანოდ გადაუხდიდა ებრაელს.

- ახლა კი გთხოვ, ჩემი ცხენები და ჯორები დამიბრუნოთ, - თქვა წინამძღვარმა, - ჩემი მხლებელი წმიდა ძმები გაათავისუფლოთ და ძვირფასი თვალ-მარგალიტით მორთული ბეჭდები და მდიდრული ფარჩეულიც უკანვე მოგვცეთ, რაც წაგვართვით - ტყვეობიდან გამოსასყიდი ფულის ხელწერილი ხომ მოგეცით!

- წმიდა ძმებს, ბატონო წინამძღვარო, - უთხრა ლოკსლიმ, - ახლავე გავათავისუფლებთ - უსამართლობა იქნებოდა მაგათი დაკავება; ჯორ-ცხენებსაც რას ვერჩით - მაგათაც დაგიბრუნებთ; ფულსაც იმდენს მოგცემთ, რომ იორკს ჩასასვლელად გეყოთ - დიდი ბოროტება იქნებოდა თქვენი განზრახული მგზავრობისათვის შეგვეშალა ხელი... მაგრამ ბეჭდებს, მარგალიტებს, ძეწკვებსა და ამისთანებს კი, რა ვქნა, ვერ დაგიბრუბებთ, - ხომ მოგეხსენებათ, ძალიან ფაქიზი სინდისის პატრონი ხალხი ვართ და შენისთანა ღირსეულ კაცს ამისთანა რამეს როგორ ჩავუგდებ ხელში, რამაც შეიძლება აცდუნოს და ამქვეყნიურმა პატივმოყვარეობამ წამოუაროს - აკი აღთქმა

გაქვს დადებული, რომ ბეჭდები, ძეწკვები და ამისთანა ხარახურა არ ატარო!

- დაფიქრდით მაინც, რასა სჩადით, ბატონებო! - შესძახა წინამძღვარმა, - ეკლესიის ქონებას მართმევთ!.. ეს ნივთები ხომ inter res sacras[53] არის, და... ვერც კი წარმომიდგენია, რა სატანჯველი გელით; ერის კაცისაგან მაგათი ხელის ხლება როგორ იქნება!..

- მაგ საქმეს მე მოვუვლი, ღირსო მამავ, - უთხრა კოპმანჰერსტელმა ბერმა, - მე თვითონ გავიკეთებ, სხვას ხელსაც არ ვახლებინებ.

- მეგობარო თუ ძმაო, - მიმართა წინამძღვარმა, როცა ბერმა ასე იოლად მოუსპო საფუძველი მის ეჭვებს, - თუ მართლა სამღვდელო პირი ხარ, გთხოვ დაუფიქრდე, რა პასუხისგება მოგიწევს ყოვლად სამღვდლოს წინაშე, დღევანდელ საქმეში გარევის გამო.

- მეგობარო წინამძღვარო, - მიუგო მეუდაბნოემ, - მართალი თუ გინდა, მე სულ პატარა ეპარქიას ვეკუთვნი და ჩემს ეპარქიაში ყოვლად სამღვდელოც მე თვითონა ვარ; არც იორკის ეპისკოპოსისა მეშინია და არც ჟორვოს საობატოსა და მის წინამძღვრისა.

- მაშ შენ ცრუ მღვდელი ყოფილხარ, - უთხრა წინამძღვარმა, - ერთი იმათგანი, რომლებიც ანაფორაში თვითნებურად გაეხვევიან, წმიდათა წმიდა ღთისმსახურებას ბღალავენ და განსაცდელში აგდებენ იმათ სულს, ვინც მათ რჩევისათვის მიმართავს ხოლმე;lapides pro pane condonantes iis, წმიდა სახარებისა არ იყოს - პურის ნაცვლად ქვას აჩრიან ხელში.

- არაფერიც! - მიუგო ბერმა, - ეგ არის რომ, ლათინურით მაინცდამაინც არ მიჭყლეტია ტვინი და ცოტცოტაობით სულ გამომიფრინდა თავიდან... ისე კი, ნამდვილად სამართლიანი იქნება, შენისთანა ცხვირაბზეკილი მღვდილისაგან რომ გაათავისუფლოს ქვეყანა კაცმა.

- აი, შე მართლა ვაიმღვდელო! - იყვირა გაგულისებულმა წინამძღვარმა, -excommunicabo vos!

- შენ თვითონ ქურდო და ურჯულოვ! - შესძახა არანაკლებ გაგულისებულმა ბერმა, - შენა გგონია ამდენ ლანძღვას მოგითმენ! მით უმეტეს ჩემი მრევლის წინაშე. აბა რითი ვარ შენზე ნაკლები მღვდელი, რომ მოთრეულხარ და უსირცხვილოდ მლანძღავ! Ossa ejus prefringam, სახარებისა არ იყოს, სულ დაგიჩეჩქვავ ძვლებს.

- ბარაქალა! - შესძახა ყაჩაღების მეთაურმა, - ერთი შეხედეთ, წმიდა ძმები რა სიტყვებით თათხავენ ერთმანეთს!.. გეყოფა, ბერო, ძალიანაც ნუ გამოიდებ თავს!.. შენ კი, წინამძღვარო, თუ ყველა ცოდვა არ მოგინანიებია, ამ ბერს ნუღარ ეკინკლავები!.. მოეშვი ამ ღირსეულ მამას, მეუდაბნოევ, ხომ ნახე, რომ ტყვეობიდან პატიოსნად გამოისყიდა თავი!

იომენებმა გააშველეს გაწიწმატებული მღვდლები, რომლებიც კვლავ თავგამოდებით ღრიალებდნენ, დამტვრეული ლათინურით ილანძღებოდნენ; ამასთან წინამძღვარი უფრო

სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს, ხოლო მეუდაბნოე მეტის მგზნებარებით ირჯებოდა. ბოლოს წინამძღვარი გონს მოეგო - მიხვდა, რომ ამ ვაიმღდელთან კინკლაობით, რომელიც ახლა ყაჩაღებს ამოძღვრებდა, საკუთარ ღირსებას იმცირებდა, ხელადვე მოუხმო თავის მხლებლებს და გზას გაუდგნენ, ოღონდ გაცილებით უფრო ნაკლების ფახიფუხით, ვიდრე მოგზაურობის დასაწყისში. სამაგიეროდ, ახლანდელი მათი მდგომარეობა უფრო შეეფერებოდა მათივე სამოციქულო მოწოდებას.

ებრაელს სხვა გზა არა ჰქონდა, თავისი ფულიც უნდა გადაეხადა და წინამძღვრისაც. მართლაც, თავის ერთ თანამოძმეს მისწერა იორკში, ამ ბარათის მომტანს ათასი კრონი გადაუხადე და თან ზოგიერთი საქონელი მიეციო, ნივთებიც სათითაოდ იყო ჩამოთვლილი წერილში.

- საწყობების გასაღები ჩემი ძმა შივასთვის მაქვს დატოვებული, - თქვა მან და ამოიხვნეშა.

- თაღიანი ოთახისაც? - წასჩურლა ლოკსლიმ.

- არა, არა!.. ღმერთმა დამიფაროს! - შესძახა ისააკმა, - ეგ საიდუმლო რომ გაიგოს ვინმემ, ბარემ მოვკვდე, ის მირჩევნია.

- ჩემი შიში ნუ გექნება, - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა. მთავარია, ამ შენი წერილით ფული მივიღო... რა მოგდის, ისააკ?! მოკვდი? გამოლენჩდი? ათასი კრონის გადახდამ ქალიშვილის უბედურებაც დაგავიწყა?

ებრაელი წამოდგა.

- არა, დიკონ, რა დამავიწყებს... ახლავე გზას გავუდგები... მშიდობით, კეთილ ადამინს ვერ გიწოდებ, მაგრამ ვერ გავბედავ - და არც გული მაძლევს - ბოროტი დაგიძახო.

მანამ ისააკი წავიდოდა, ყაჩაღების მეთაურმა ერთი დარიგება კიდევ მისცა.

- ხელგაშლილი იყავი, ისააკ, ქალიშვილის დასახსნელად ფულს ნუ დაინანებ. ეს იცოდე, რომ რასაც ახლა დაზოგავ და შვილის გამოსასყიდად არ გაიმეტებ, ის ოქრო სატანჯველად გექცევა, ისეთ სატანჯველად, თითქოს ვინმეს გაედნოს და შენთვის ხახაში ჩაესხას.

ისააკი ხვნეშით დაეთანხმა და გზას გაუდგა; თან ორი მაღალი მეტყევე გაჰყვა, რომელთაც გზაც უნდა ესწავლებინათ და ტყეში მისი დაცვაც ეკისრნათ.

ახლა შავი რაინდის გამოთხოვების ჯერიც დადგა. აქამდე იგი გაფაციცებულის ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა. ხმამაღლაც გამოთქვა გაკვირვება - კანონს გამოქცევიხართ და თავად კი როგორი კანონები გაქვთო!

- ზოგჯერ ხენეში ხეც მოისხამს ხოლმე კეთილ ნაყოფს, ბატონო რაინდო, - უთხრა ლოკსლიმ, - და ცუდი დროც მარტო ბოროტებას როდი ბადებს. ამ ტყეში გადმოხვეწილ ხალხშიაც, ეჭვი არ არის, ბევრს შეხვდებით ისეთს, რომელიც ცდილობს ზომიერების საზღვარს მეტისმეტად არ გადასცდეს, და ზოგი ალბათ ნანობს კიდეც, რომ იძულებული გახდა ყაჩაღი გამხდარიყო.

- დარწმუნებული ვარ, სწორედ ერთ მათგანს ველაპარაკები ახლა, - უთხრა რაინდმა.

- ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი საიდუმლო გვაქვს, ბატონო რაინდო, - უთხრა მთავარმა ყაჩაღმა, - რაც თვითონ გნებავდეთ, ის იფიქრეთ ჩემზე, მეც ჩემი საკუთარი შეხედულება მაქვს თქვენს შესახებ; იქნებ ორივენი ვცდებით. მაგრამ, რაკი მე არა გთხოვ შენს გულში ჩამახედე- მეთქი, ნუ გეწყინება, რომ ჩემიც არ გაგიხსნა.

- მომიტევე, მამაცო მემშილდისრევ, - უთხრა რაინდმა, - შენი საყვედური სამართლიანია. იქნებ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს, და მაშინ აღარც კი მოვინდომოთ ჩვენი ვინაობის დაფარვა... მანამ კი მეგობრები ვიყოთ! რას იტყვი?

- აჰა, ჩემი მეგობრული ხელი, - მიუგო ლოკსლიმ, - თამამად ვიტყვი, ეს ჭეშმარიტი ინგლისელის ხელია, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყაჩაღობას ვეწევი.

- აი ჩემი ხელიც, - უთხრა რაინდმა, - მე დიდ პატივად მიმაჩნია შენთვის ხელის ჩამორთმევა. როდესაც კაცს განუსაზღვრელი ბოროტება შეუძლია

აკეთოს და მაინც სიკეთეს სჩადის, მარტო სიკეთისთვის კი არ ეკუთვნის ქება-დიდება, არამედ იმ ჩაუდენელი ბოროტისთვისაც, რისგანაც იგი თავს იკავებს. მშვიდობით, მამაცო ყაჩაღო!

ასე მეგობრულად გაშორდნენ ისინი ერთმანეთს. შავი რაინდი თავის ბედაურს მოახტა და ტყეში გაუჩინარდა.

თავი ოცდამეთოთხმეტე

იცი რა გითხრა, გზას მიღობავს მუდამ გველივით,
ყველგან ფეხებში მებლანდება, საცა არ წავალ...
ახლა გამიგე, მეგობარო?
შექსპირი

იორკის ციხე-დარბაზში პრინც ჯონს დიდი მეჯლისი ჰქონდა გამართული; მოპატიჟებული ჰაყვდა ის აზნაურები, დიდებულები და სარდლები, ვისი შემწეობითაც ცდილობდა თავისი პატივმოყვარული გეგმის განხორციელებას - ძმისთვის ტახტის წართმევას. მისი ცბიერი და მარჯვე თანაშემწე - ვოლდემარ ფიცურსი ჩუმ-ჩუმად დაძვრებოდა და სტუმრებს აქეზებდა, ყოველნაირად ცდილობდა, ისე გაემხნევებინა ისინი, რომ თავიანთი განზრახვის აშკარა გამოცხადებას არ მორიდებოდნენ. მაგრამ საქმეს აბრკოლებდა შეთქმულების რამდენიმე მთავარი მონაწილის გამოუცხადებლობა. ცხადი იყო, რომ ისე ვერაფერს გახდებოდნენ, თუ გვერდში არ ეყოლებოდათ შეუპოვარი და გულადი, თავზეხელაღებული მეომარი ფრონ დე ბეფი; მკვირცხლი და შემმართებელი დე ბრასი და ბრძოლებში გამობრძმედილი და

მამაცობით სახელმოხვეჭილი ბრიან დე ბუა გილბერი. ჯონი და მისი მრჩეველი გულში წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ თავიანთ

თანამდგომებს, რომელთა გამოუცხადებლობა არაფრით არ იყო გამართლებული, მაგრამ უიმათოდ საქმის დაწყებას მაინც ვერ ბედავდნენ. ებრაელი ისააკიც სადღაც დაიკარგა, და მასთან ერთად შეთქმულებისათვის საჭირო ფულის შოვნის იმედიც გაქრა - პრინცს ისააკის შემწეობით უნდა ეშოვა ფული ადგილობრივი ებრაელებისაგან. უფულობა კი ამ საბედისწერო წუთებში დაღუპვას მოასწავებდა.

ტორკილსტონის ციხე-სიმაგრის დაცემის მეორე დღესვე იორკში ხმები დაირხა - დე ბრასი, ბუა გილბერი და მათი თანამზრახველი ფრონ დე ბეფი ტყვედ ჩაიგდეს თუ დახოცესო. ვოლდემარმა თვითონვე შეატყობინა ეს ამბავი პრინცს და დასძინა, ვაი რომ სიმართლესა ჰგავს, რადგან ისინი მცირერიცხოვანი რაზმით სედრიკ საქსონელსა და მის მხლებლებზე თავდასასხმელად გაემგზავრენო. სხვა დროს სალაღობოდ მოეჩვენებოდა პრინცს ეს ძალმომრეობა და ბევრსაც იცინებდა, მაგრამ ახლა, რაკი მის საკუთარ განზრახვას აბრკოლებდა და ჩაშლას უქადდა, ისე გაბრაზდა და მოჰყვა ყვირილს - ეს რა უკანონობაა, ვინ ბედავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და პირადი საკუთრების ხელშეხებასო, - თითქოს თვითონ ალფრედ მეფე ყოფილიყოს.

- თავგასული მძარცველები! - ყვიროდა პრინცი, - ინგლისის ტახტზე ასვლა თუ მეღირსა, მაგათთანა ურჩებს საკუთარივე ციხეების მოძრავ ხიდებზე ჩამოვკიდებ!

- მაგრამ ინგლისის ტახტზე ასასვლელად, - უთხრა გულგრილად მრჩეველმა, - მარტო წაყრუება კი არ გმართებს მაგ თავგასული მძარცველების ურჩობისა, არამედ მფარველობაც უნდა გაუწიო, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ასე უხეშად არღვევენ შენ მიერ საქებურის გულმოდგინებით დაცულ კანონებს. კარგი დღე კი დაგვადგება, მართლაც თუ შეასრულეს შენი გულისწადილი ბრიყვმა საქსონებმა და ციხე-სიმაგრეების ხიდები სახრჩობელებად გადააქციეს! ხოლო სედრიკისაგან სწორედ რომ მოსალოდნელია მაგნაირი საქმე. შენს ბრწყინვალებასაც კარგად მოეხსენება, რომ ფრონ დე ბეფის, დე ბრასისა და ტაძრელის დაუხმარებლად ჩვენ ვერაფერს ვერ გავხდებით. არადა, ისე შორს შევტოპეთ, რომ უკანდახევაც კი საშიშია.

აღელვებულმა პრინცმა შუბლში შემოირტყა ხელი და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

- არამზადები, - შესძახა მან, - ბილწი და მოღალატე არამზადები! ხედავ, რა გაჭირვებაში მიმატოვეს?!

- მოღალატეობას ნუ დასწამებ, - უთხრა ვოლდემარმა, - დამთხვეული თავქარიანები რომ დაუძახო, უფრო უპრიანი იქნება: ასეთი დიდი საქმე მიატოვეს და რაღაც სისულელეს გამოუდგნენ.

- რა უნდა ვიღონოთ? - იკითხა უცებ პრინცმა და ვოლდემარის წინ შედგა.

- სწორედ რომ არ ვიცი, რა უნდა ვიღონოთ, - მიუგო მრჩეველმა, - რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი გავაკეთე... მანამ ამ სამწუხარო ამბავს შევატყობინებდი შენს ბრწყინვალებას, მე უკვე ზოგი რამ მოვაწესრიგე.

- შენ მუდამ ჩემი მფარველი ანგელოზი იყავი, ვოლდემარ, - უთხრა პრინცმა, - შენისთანა მრჩეველი თუ მეყოლა გვერდზე, რაღა მიჭირს, ჟამთააღმწერელნი ქება-დიდებით მოიხსენიებენ ჯონის მეფობას... მაინც რა გააკეთე?

- ლუი უინკელბრანდს ვუბრძანე, დე ბრასის თანაშემწეს, ახლავე შეჰკრიბოს მთელი რაზმი, შესხდნენ ცხენებზე, დროშა გაშალონ და ფრონ დე ბეფის ციხე-სიმაგრისაკენ გაჰკურცხლონ - მანამ გვიან არ არის, იქნებ როგორმე გამოვიხსნათ ჩვენი მეგობრები.

პრინცი ერთბაშად წამოენთო სახეზე, იმ თავნება და განებივრებული ბავშვის მსგავსად, რომელსაც ეჩვენება - შეურაცხყოფა მომაყენესო.

- ღვთის მადლმა, ბევრის ნებას აძლევ შენს თავს, ვოლდემარ ფიცურს! - შესძახა პრინცმა, - ეგ რა უტიფრობაა - ცხენზე შესხი, დროშა გააშლევინე და თვითნებურად გაგზავნე, მაშინ როდესაც მე აქა ვარ და არავითარი ბრძანება არ გამიცია!

- მომიტევე, შენო ბრწყინვალებავ, - თქვა ფიცურსმა და გულში საშინლად დასწყევლა თავისი ბატონის ფუჭი პატივმოყვარეობა, - მაგრამ საშური საქმე იყო, ყოველი წუთი შეიძლებოდა საბედისწეროდ გადაქცეულიყო, ბოლოს კი შენივე კეთილდღეობისათვის ისევ მე ვიკისრე ეს დიდი პასუხისმგებლობა.

- მომიტევებია, ფიცურს, - მედიდურად უთხრა პრინცმა, - შენმა კეთილმა განზრახვამ გამოისყიდა ეს წინდაუხედავი აჩქარება... მაგრამ ეგ ვინ არის?.. ჯვრის მადლმა, თვითონ დე ბრასია... ეს რა უცნაური ტანსაცმელი ჩაუცვამს!

მართლაც დე ბრასი გამოდგა, დეზების კვრით გასისხლიანებული და სახეზე ერთიანად ანთებული. იარაღზე ეტყობოდა, რომ ახლახან შეუპოვარი ბრძოლა გადაეხადა: დალეწილი, დაჭყლეტილი, სისხლში მოთხვრილი; თვით მხედარიც თავით-ფეხამდე ლაფში ამოსვრილი და გამტვერილი იყო. შემოვიდა თუ არა, მუზარადი მოიხადა და მაგიდაზე დადო, მერე ცოტა ხნის შედგა, თითქოს იგონებს, რითი უნდა დაიწყოსო.

- დე ბრასი, - მიმართა პრინცმა, - ეგ რა ამბავია შენს თავს? თქვი-მეთი, გიბრძანებ!.. საქსონელები აჯანყდნენ?

- თქვი, დე ბრასი, - უთხა ფიცურსმაც, თითქმის პრინცთან ერთად, - შენი ვაჟკაცობა საქვეყნოდ განთქმულია... ტაძრელი სად წავიდა?.. ან ფრონ დე ბეფს რა მოუვიდა?

- ტაძრელი გაიქცა, - მიუგო დე ბრასიმ, - ფრონ დე ბეფს მეტად ვეღარ იხილავთ... გავარვარებულ სამარეში დაიდო ბინა, თავისივე ციხე-სიმაგრის ცეცხლმოდებულ ჩალანგრებთან ერთად... მეც ძლივს დავაღწიე თავი, რათა ეს ამბავი თქვენთვის შემეტყობინებინა.

- ლამის სისხლი გაგვიყინოს მაგ ამბავმა, - თქვა ვოლდემარმა, - მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლსა და ხანძარს ახსენებ.

- ჯერ სადა ხარ, უარესი ახლა უნდა გითხრათ, - მიუგო დე ბრასიმ, პრინცს მიუახლოვდა და ჩუმად, მაგრამ მღველვარებით უთხრა, - რიჩარდი ინგლისშია... მე თვითონ ვნახე და ველაპარაკე.

პრინცი გადაფითრდა, დაბარბაცდა და თავის შესამაგრებლად მუხის საკარცხულს ჩასჭიდა ხელი - გეგონებოდა, მკერდში ისარი მოხვდა და იმან დაატორტმანაო.

- ნეტა რას ბოდავ, დე ბრასი! - შესძახა ფიცურსმა, - ეგ შეუძლებელია.

- ჭეშმარიტებას მოგახსენებ, - მიუგო დე ბრასიმ, - სწორედ მან ჩამიგდო ტყვედ... მე თვითონ ველაპარაკე.

- რიჩარდ პლანტაგენეტს? - ჩაეკითხა ფუცურსი.

- რიჩარდ პლანტაგენეტს, - მიუგო დე ბრასიმ, - რიჩარდ ლომგულს... ინგლისის მეფეს.

- ტყვედ ჩამიგდოო?! - გაიმეორა ფიცურსმა, - მაშ ჯარიც ჰყოლია!

- არა... რამდენიმე ყაჩაღი იომენი ახლდა... და მეფეს ვერც კი ცნობდნენ. ყური მოვკარი, მათგან წასვლას აპირებდა. იომენებს მხოლოდ იმისთვის შეუერთდა, რომ ტორკილსტონის ციხის აღებაში მიშველებოდა.

- დიახ, მეცნაურა, - თქვა ფიცურსმა, - სწორედ ასეთი კაცია რიჩარდი... ნამდვილი მოხეტიალე რაინდი, თავისდღეში ფათერაკს არ მოერიდება, და მუდამ საკუთარი მკლავის იმედი აქვს, როგორც ზღაპრულ დევ-გმირს შეეფერება... თავის ნებაზე მიშვებული საქვეყნო საქმეები კი დიდად არ აწუხებს, არც საკუთარი თავის განსაცდელში ჩაგდებისა ეშინია... შენ რას აპირებ, რა უნდა ვქნათ, დე ბრასი?

- მე რას ვაპირებ?.. მე ჩემი მოხალისეთა რაზმის შველა აღვუთქვი, მაგრამ არ ინდომა. ახლა ჰულში უნდა წავასხა ჩემი ხალხი და იქიდან გემით ფლანდრიაში გადავიყვანო. მადლობა ღმერთს, ქვეყანა არეულია - მეომარი კაცი საქმეს ყოველთვის იშოვის. შენ რაღას იზამ, ვოლდემარ, არა სჯობია, პოლიტიკა გვერდზე გადასდო, ხელში შუბი და ფარი მოიმარჯვო და მე გამომყვე, შენც ჩემი ბედი გაიზიარო?!

- მე უკვე მოხუცი ვარ, მორის, თან ქალიშვილიცა მყავს, - მიუგო ვოლდემარმა.

- ქალიშვილი მე მომათხოვე, ფიცურს, მადლობა ღმერთს, შუბს მარჯვედ ვხმარობ - ისე შევინახავ, როგორც მის გვარსა და ღირსებას ეკადრება, - უთხრა დე ბრასიმ.

- არა, - მიუგო ფიცურსმა, - მე წმიდა პეტრეს ტაძარს შევაფარებ თავს... იქაურაი ეპისკოპოსი ჩემი ძმადნაფიცია.

მანამ ესენი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, სამწუხარო ამბით ელდანაცემი პრინცი თანდათანობით გამოფხიზლდა და თანამზრახველთა საუბარს დაუგდო ყური.

- „გადამიდგნენ! - გაიფიქრა მან, - გამხმარ ფოთოლს რომ ჩაუქროლებს ცივი ქარი და ჩამოჰყრის, ისე უცებ მომწყდნენ!.. ო, ჯოჯოხეთო!.. ნუთუ ამ ლაჩრების იქით გზა აღარა მაქვს?!“

ერთხანს ხმა არ გაუღია, ბოლოს კი სახე ეშმაკივით დაემანჭა და ხარხარი აუტყდა.

- ჰა, ჰა, ჰა! ჩემო ძვირფასო ბატონებო, ღვთიშობლის მზესა ვფიცავ, ჭკვიანი და გულადი ხალხი მეგონეთ... მაგრამ რა მერე? აღარც სიმდიდრე

ინდომეთ, აღარც პატივი და არც ნეტარი ცხოვრება, რასაც ჩვენი კეთილ-შობილი საქმით მიაღწევდით... სწორედ მაშინ თმობთ ყველაფერს, როცა ერთი გაბედული შებრძოლებაღაა საკმარისი!

- მე თქვენი ვერა გამიგია რა, - უთხრა დე ბრასიმ, - როგორც კი გავარ-დება რიჩარდის დაბრუნების ხმა, იგი მაშინვე ჯარის სათავეში აღმოჩნდება, და ამით ჩვენც მოგვეღება ბოლო. მე გირჩევ, მილორდ, ან საფრანგეთში გაიქცე და ან დედოფალ დედათქვენსა სთხოვო მფარველობა.

- მე მფარველობას როდი ვეძებ, - მედიდურად უპასუხა პრინცმა, - ერთი სიტყვა რომ გადავუგდო ძმას, მაშინვე შემირიგებს. მართალია, თქვენ ხე-ლად გამწირეთ და მიმატოვეთ, დე ბრასი და ვოლდემარ ფიცურს, მაგრამ მაინც არ გამიხარდება, თქვენს თავებს რომ დავინახავ კლიფორდის ჭიშ-კარზე ჩამოკიდებულს. რატომ გგონია, ვოლდემარ, რომ ვერაგი ეპისკოპო-სი დაგინდობს: ოღონდ კი რიჩარდ მეფე შეირიგოს, საკურთხევლიდან გა-მოგათრევს და მტრის ხელში მიგცემს. შენც დაგავიწყდა, დე ბრასი, რომ ჰულის გზაზე რობერტ ესთოტვილი დგას მთელი თავისი ჯარით, და ესექსის გრაფი უკვე აგროვებს თავის მომხრეებს! რიჩარდის დაბრუნებამდე თუ

გვეშინოდა მაგათი, ახლა როგორა გგონიათ - დაბრუნების შემდეგ ვის მხარეს დაიჭერენ?! მარტო ესთოტვილის ჯარი კმარა, რომ მთელი შენი მო-ხალისე რაზმი ჰომბრში ჩაახრჩოს.

დაფეთებულმა ვოლდემარ ფიცურსმა და დე ბრასიმ ერთმანეთს მიაშ-ტერეს თვალები.

- ერთი გზაღა დაგვრჩენია, - განაგრძო პრინცმა და შუბლი ღამის წყვდი-ადივით გაუშავდა, - ის კაცი, რომელიც ჩვენ თავზარსა გვცემს, მარტოდმარ-ტო დადის... სადმე უნდა დავხვდეთ.

- მე ვერ ვიზამ მაგას, - სწრაფად უპასუხა დე ბრასიმ, - მე ტყვედა ვყავდი და შემიწყალა. მისი მუზარადის ფრთასაც კი ვერ ვახლებ ხელს.

- განა იმას ვამბობ, რამე ვავნოთ- მეთქი! - თქვა პრინცმა და უგემურად გაიცინა, - მერე იმასაც მომიგონებს ეს ვაჟბატონი, მოსაკლავად მაქეზებ-დაო!.. არა... ისევ ციხე სჯობს ყველაფერს... ხოლო ბრიტანეთში იქნება დატყვევებული თუ ავსტრიაში, სულ ერთი არ არის?!.. არაფერი არ შეც-ვლილა - ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ჩვენი შეთქმულების დასაწყის-ში. მაშინ ჩვენ იმის იმედით ვიყავით, რომ რიჩარდი გერმანიაში იქნებოდა

ტყვედ. ბიძაჩვენი რობერტი კარდიფის ციხეში ცხოვრობდა, და იქვე ამოხდა სული.

- ჰო, მაგრამ, - შეესიტყვა ვოლდემარი, - შენი განსვენებული მამა ჰენრი შენზე უფრო მაგრად იჯდა ტახტზე. მე კი მგონია, რომ ყველაზე უკეთესი ციხე ის არის, რომლის გასაღები მესაფლავეს აბარია - აკლდამაზე კარგ ციხეს სად ნახავ?! მეტს ვეღარაფერს ვიტყვი.

- ციხე იქნება თუ საფლავი, - თქვა დე ბრასიმ, - მე ხელი დამიბანია.

- არამზადა! - შესძახა პრინცმა, - იქნებ გაგვცე კიდეც!

- გამცემი ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, - მედიდურად მიუგო დე ბრასიმ, - არც არამზადა უკადრებია ვინმეს ჩემთვის.

- ჩუმად, ბატონო რაინდო! - უთხრა ვოლდემარმა, - შენც მიუტევე, მილორდ, მამაც დე ბრასის ეს მერყეობა; იმედი მაქვს, გადმოვიმხრობ.

- იმისთანა ოქროპირი არა ხარ, რომ ეგ მოახერხო, ფიცურს, - მიუგო რაინდმა.

- რა მოგივიდა, ძვირფასო მორის! - განაგრძო ცბიერმა კარისკაცმა, - რა შეშინებული კვიცივითა ხტი განზე! ჯერ კარგად ნახე, რამ დაგაფეთა, ეს რიჩარდი ხომ... აკი ამ სამი დღის წინ შენ თითონ ნატრობდი, ერთი ბრძოლის ველზე შემახვედრა პირისპირო... ბარე ათასჯერ გამიგონია ეს შენგან.

- მართალი ხარ, - მიუგო დე ბრასიმ, - მაგრამ აკი შენ თვითონ ამბობ, მასთან პირდაპირ შეყრას ნატრობდი ბრძოლის ველზეო!.. აბა, როდის მინატრია ტყეში წამოვეპარო მარტოკას-მეთქი?!

- თუ მართლა მაგან შეგაჭოჭმანა, ვერაფერიშვილი რაინდი ყოფილხარ, - უთხრა ვოლდემარმა, - ლანსელოტ დე ლაკმა და ტრისტრამმა[54] ბრძოლის ველზე მოიხვეჭეს დიდება? სწორედ უღრანსა და მივარდნილ ტყეში დაესხნენ დევივით რაინდებს.

- ეგეც მართალია, - უპასუხა დე ბრასიმ, - მაგრამ ვერც ლანსელოტი და ვერც ტრისტრამი პირდაპირ ვერ შეებრძოლებოდნენ რიჩარდ პლანტაგენეტს. ხოლო მთელი ჯარით მარტოხელა კაცზე თავდასხმას არ იკადრებდნენ.

- გაგიჟებულხარ, დე ბრასი... მოხალისეთა ჯარის უფროსად გაგამწესეთ, ხაზინის ფულს გაძლევენ, ვალდებული ხარ პრინც ჯონს ემსახურო!.. იცი, მტერი სად იმყოფება... და ახლა, როცა შენი მფარველის ბედი, შენი

მეგობრის კეთილდღეობა და საკუთარი სიცოცხლეც... მთელი ჩვენი პატივი და სიცოცხლე განსაცდელშია, შენ ყოყმანს იწყებ, არა?!

- ხომ გეუბნებით, - მკვახედ უპასუხა დე ბრასიმ, - მან მე სიცოცხლე მაჩუქა. მართალია, თავიდან მომიშორა, ჩემი სამსახური არ ინდომა... და თითქოს არც ერთგულება მმართებს მისი და არც მორჩილება... მაგრამ ხელს მაინც ვერ აღვმართავ მის წინააღმდეგ.

- მაგას არცა გთხოვთ... ლუი უინკელბრანდი გააგზავნე და ოციოდე შენი შუბოსანი გააყოლე.

- არამზადები თქვენც ბლომად მოგეძევებათ, - მიუგო დე ბრასიმ, - ჩემი ხალხი ამისთანა საქმეს არ იკისრებს.

- ასე რამ გაგაჯიქა, დე ბრასი?! - უთხრა პრინცმა, - რა ერთგულებასა და სამსახურს მეფიცებოდი და უკვე თავს მანებებ?

- თავს არ განებებ, - მიუგო დე ბრასიმ, - როგორც ნამდვილ რაინდს შეეფერება, ყველგან თან გეახლები - ასპარეზობა იქნება თუ ბრძოლის ველი; ეს ყაჩაღური საქციელი კი ჩემს აღთქმას სულაც არ ეგუება.

- ხედავ, ვოლდემარ, რა უბედური პრინცი ვყოფილვარ! - თქვა ჯონმა, - მამაჩემს - ჰენრი მეფეს - ერთგული მსახურები ეხვია გარს... ერთი დასცდა, ამ ურჩმა მღვდელმა გამამწარაო... და ხელად თომას ბეკეტის სისხლით შეღებეს მისივე საკურთხეველი... ტყუილად კი არ შერაცხეს წმინდანად... ეჰ, ტრასი, მორვილ, ბრიტო - ერთგულო და მამაცო ქვეშევრდომებო - გაქრა თქვენი სახელები, თქვენი დიდება ჩაესვენა! რეჯინალდ ფიცურსს კი დარჩა ერთი შვილი, მაგრამ მამისა არც ერთგულება გამოჰყოლია და არც გულოვნება.

- არა, არც ერთი აკლია მის შვილს და არც მეორე! - შესძახა ფიცურსმა, - სხვას თუ ვერავის გაუბედავს, მე ერთი ვკისრულობ ამ სახიფათო საქმის მოგვარებას. მამაჩემსაც ძვირი დაუჯდა თავგადადებული მსახურის სახელი, მაგრამ ისეთ განსაცდეში მაინც არ ჩაუგდია თავი, როცა ჰენრი მეფეს ერთგულება დაუმტკიცა, რაც ახლა მე მომელის... მირჩევნია წმიდანების მთელ გუნდს დავესხა, ვიდრე ლომგულის წინააღმდეგ შევმართო შუბი... დე ბრასი , დამფრთხალი ხალხის გამხნევებას შენ გავალებ... პრინც ჯონის დაცვაც შენ გევალება. თუ გამიმართლდა და სასიხარულო ამბავი გაცნობეთ, ჩვენი საქმე წაღმა დატრიალდება... ჰეი, ფარეშო, - გასძახა მან, - შინ მიირბინე და მეაბჯრეს უთხარი მოემზადოს... სტეფან უეთროლი, ახმახი

თორსბი და სამივე ძმა სპირს სპაინგაუელი ახლავე აქ დაიბადონ... მზვერავთუხუცესი ჰუგო ბარდონიც მეახლოს... მშვიდობით, პრინცო.

ეს თქვა და დარბაზიდან გამოვიდა.

- ჩემი ძმის დასატყვევებლად მიდის, - უთხრა პრინცმა დე ბრასის, - მაგრამ სინდისის ქენჯნას სულაც არა გრძნობს - თითქოს ვიღაც საქსონელი ფრანკლინის დასატყვევებლად მიდიოდეს. იმედი მაქვს, ჩემს ბრძანებას არ გადავა და საკადრისი პატივით მოეპყრობა რიჩარდს.

დე ბრასის არაფერი უპასუხნია, გაიღიმა მხოლოდ.

- ღვთიშობლის ნათელსა ვფიცავ, საგულდაგულოდ ვუბრძანე ეს... თუმცა შენ იქნებ ვერ გაიგონე, ჩვენ განზე ვიდექით, იმ მრგვალ სარკმელთან... გარკვევით და დაბეჯითებით ვუბრძანე, რიჩარდს არაფერი დაუშავდეს-მეთქი, და ვაი ვოლდემარის ბრალი, თუ ეს ბრძანება არ შემისრულა!

- ჯობს ახლავე გამოვეკიდო და კიდევ გავახსენო შენი მოწყალების სურვილი, - უთხრა დე ბრასიმ, - რადგან მე არ მომიკრავს ყური ასეთი ბრძანებისთვის, და ვაითუ ვოლდემარსაც გამოეპარა.

- აჰ, არა, - სწრაფად მიახალა პრინცმა, - ნამდვილად გაიგონა. თან რაღაც სთქმელიც მაქვს შენთვის. აქ მოდი, მორის, მხარზე უნდა დაგეყრდნო.

ასე შინაურულად ხელგადახვეულებმა შემოუარეს დარბაზს და პრინცმა მეგობრული უბრალოებით განაგრძო:

- ამ ვოლდემარ ფიცურსზე რას ფიქრობ, ჩემო დე ბრასი... კანცლერობას უმიზნებს. მაგრამ აჩქარება არ გვარგებს, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ საქმე; არის კი ღირსი ამ მაღალი თანამდებობისა კაცი, რომელიც არცთუ ისე დიდ პატივსა სცემს ჩვენს სისხლს - ხომ ხედავ, როგორ ხელად დათანხმდა რიჩარდის დატყვევებას!.. შენ რომ ისე ვაჟკაცურად გვითხარი უარი იმ უსიამოვნო საქმეზე, ხომ არ გგონია, ამით ჩემს თვალში დამცირდი?! არა, მორის, ამ სათნო

სიმტკიცისათვის, პირიქით, უფრო მეტ პატივსაც გცემ. ზოგჯერ დიდ სამსახურს გაგიწევს კაცი, მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ ვერც შეიყვარებ ამ კაცსა და ვერც პატივსა სცემ, აგერ სხვამ იქნებ ცივი უარი გითხრას სამსახურზე და კიდევ უფრო ამაღლდეს შენს თვალში. ჩემი უბედური ძმის შეპყრობა არც ისეთი დიდი სამსახურია, რომ მაგის გამო კანცლერობა მიანიჭო კაცს... შენ კი შენი რაინდული და გაბედული უარით ნამდვილად იმსახურებ

მთავარი მარშლის კვერთხს... ეს გახსოვდეს, დე ბრასი, და წადი, შენს საქმეს მიხედე.

- უსუსური მტარვალი! - წაიბუტბუტა დე ბრასიმ, როცა დარბაზიდან გამოვიდა, - ვაი შენზე მოლდობილ ადამიანს!.. ვაი შენი კანცლერის ბრალი!.. კარგი დღე კი გაუთენდება, შენს სინდისს თუ მიჰყვა. ინგლისის თავი მარშალი! - ხელი წინ გაიშვირა, თითქოს მარშლის კვერთხს ეპოტინებაო და უფრო ღირსეულის ნაბიჯით განაგრძო გზა ,- ეგ მართლაც იმისთანა საქმეა, რომ თავის შეწუხებად ღირს.

გამოვიდა თუ არა დე ბრასი დარბაზიდან, პრინცმა მსახური მოიხმო.

- მზვერავთუხუცესს - ჰუგო ბარდონს უბრძანე, მორჩება თუ არა ვოლდემარ ფიცურსთან ლაპარაკს, მაშივე აქ მეახლოს.

პრინცი ერთ ხანს არეული ნაბიჯით დააბოტებდა ოთახში, მაგრამ მზვერავთუხუცესიც მალე გამოცხადდა.

- რა მინდაო ვოლდემარმა, ბარდონ?

- ორი მაგარი კაცი უნდა შევურჩიო - ჩრდილო ტყეებში ნავალი რომ იყვნენ და თან ცხენისა და კაცის ფეხის ნაკვალევის გამოცნობა შეეძოთ.

- მერე, შეურჩიე?

- მაგაზე არხეინად ბრძანდებოდე, მეფევ, - მიუგო თავმა ჯაშუშმა, - ერთი ჰექსამშირელი იქნება - ისე გაწაფულია ტაინდეილელ და თევიოტდელელ ქურდების დევნაში, როგორც კაი მწევარი გაჰყვება ხოლმე დაჭრილი ირმის კვალს, მეორე - იორკშირელი გახლავს, ბევრი ნადირი დაუხოცავს შერვუდის ტყეში - აქედან მოკიდებული რიჩმონდამდე ერთ ბილიკსა და წარაფს ვერ შეხვდები, რომ საკუთარი თვალით არ ენახოს და ზედ არ ევლოს.

- კარგად ყოფილა საქმე, - მოუწონა პრინცმა, - ვოლდემარიც უნდა გაჰყვეს?

- ახლავე მიემგზავრება.

- თან ვინ მიჰყავს? - ჰკითხა პრინცმა დაუდევრად.

- ერთი - ახმახი თორსბი... მეორე - უეთროლი, რომელსაც მეტისმეტი სიავის გამო სტეფან გულქვა შეარქვეს. და კიდევ სამი ჩრდილოელი მეომარი, რალფ მიდლტონის რაზმელები, რომელთაც სპაინგაუელ სპირსებს ეძახიან.

- ძალიან კარგი, - თქვა პრინცმა და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა, - ბარდონ, საქმე მოითხოვს, მორის დე ბრასიზე გეჭიროს თვალი ფხიზლად.

ოღონდ მან არ უნდა შენიშნოს... შემატყობინე ხოლმე დროდადრო, ვისთან ლაპარაკობს, რას აკეთებს, გულში რა უდევს. არაფერი გამოგეპაროს, თორემ, იცოდე, შენა ხარ პასუხისმგებელი.

ჰუგო ბარდონმა მდაბლად დაუხარა თავი და გავიდა.

- მორისი თუ მღალატობს, - თქვა პრინცმა, - ნამდვილად თუ მღალატობს და არ მეჩვენება, უსათუოდ გავაგდებინებ თავს, თუნდა ამ დროს თვით რიჩარდი იყოს იორკის კარებზე მომდგარი.

თავი ოცდამეთხუთმეტე

ვეფხს შეეჭიდე უდაბნოში ჰირკანიისა,
სცადე მშიერ ლომს წააგლიჯო ნადავლი თვისი.
რაცა გეწადოს, ის გაბედე, ოღონდ ნუ იზამ -
და მიძინებულ ფანატიზმს ნუ გამოაღვიძებ.
ანონიმი

ახლა ისევ ისააკ იორკელს მივხედოთ. შეჯდა თუ არა მთავარი ყაჩაღის ნაჩუქარ ჯორზე, ებრაელმა, ორი ახმახი იომენის თანხლებით, პირდაპირ ტემპლსტოუს მონასტრისაკენ გასწია, რათა ქალიშვილის გამოხსნის თაობაზე მოლაპარაკება გაემართა. ტორკილსტონის დანგრეული ციხიდან ტემპლსტოუმდე მხოლოდ ერთი დღის სავალი იყო და ისააკს იმედი ჰქონდა, რომ დაღამებამდე უსათუოდ მიაღწევდა. ამიტომ, როგორც კი ტყიდან გამოვიდა, გამცილებლებს გამოეთხოვა, მადლობის ნიშნად ვერცხლის ფული აჩუქა და, რამდენადაც ქანცგაწყვეტილი კაცისგან იყო შესაძლებელი, გამალებით განაგრძო გზა. მაგრამ ოთხი მილის მანძილზე რომ მიუახლოვ-

და ტემპლსტოუს, ჯანმა ერთბაშად უმტყუნა: ძვლებმა საშინელი ტეხვა დაუწყო, ბეჭები გაუკავდა, ამას დაერთო ფიზიკური ტკივილებისაგან კიდევ უფრო გამძაფრებული სულიერი

აწეწილობა; ასე რომ, მახლობელ საბაზრო დაბამდე ძლივს მიაღწია, საცა თავისივე ტომის რაბინი ცხოვრობდა - აქიმობით განთქმული და ისააკის კარგი ნაცნობი.

ნათან ბენ ისრაელმა თავისი გაწამებული თანამემამულე ისეთი თანაგრძნობით მიიღო, როგორც მათ კანონით უწერიათ და როგორც ებრაელები მუდამ ხვდებიან ხოლმე ერთმანეთს. მაშინვე ლოგინში ჩააწვინა და ხურვების დამაამებელი წამალი დაალევინა: შიშნაჭამი, ქანცგაწყვეტილი, ნაცემი და დამწუხრებული საბრალო ბერიკაცის სხეული საშინელ ხურვებას მოეცვა.

მეორე დილას ადგომა და წასვლა სცადა, მაგრამ ნათანმა - როგორც მასპინძელმა და ექიმმა - თავი მოიკლა, ვერ გაგიშვებო; სიცოცხლის ფასად დაგიჯდება ახლა წასვლაო. მაგრამ ისააკმა არ დაიშალა - თვით სიცოცხლესა და სიკვდილზედაც უფრო მნიშნელოვანი საქმე მიმელის ამ დილას ტემპლსტოუშიო.

- ტემპლსტოუში?! - ჩაეკითხა გაკვირვებული მასპინძელი, მერე მაჯა გაუსინჯა და თავისთვის ჩაილაპარაკა, - სიცხე კი დაუწია, მაგრამ ტვინი კვლავ აფორიაქებული აქვს და აბოდებს.

- ვითომ რატომ არ უნდა წავიდე ტემპლსტოუში? - ჰკითხა ავადმყოფმა, - განა მე კი არ ვიცი, რომ იქ მცხოვრებ ხალხს დასანახადაც ვეზიზღებით აღთქმის შეძულებული შვილები,

ლოდივით ვეჩხირებით თვალში. მაგრამ შენც ხომ იცი, ზოგჯერ ისეთი სარფიანი სქმე გამოჩნდება, რომ იმ სისხლისმსმელ ნაზარეველ მეომრებთანაც ვიჭერთ კავშირს და ტაძრელების მონასტრებში დავდივართ ხოლმე.

- ეგ როგორ არ ვიცი, - მიუგო ნათანმა, - მაგრამ ალბათ შენ არ გაგიგია, რომ მაგათი ორდენის წინამძღვარი ლუკა ბომანუარი, რომელსაც დიდ მაგისტრსაც ეძახიან ხოლმე, ახლა სწორედ ტემპლსტოუში იმყოფება.

- ეგ არ ვიცოდი, - უთხრა ისააკმა, - ამას წინათ ჩვენი პარიზელი თანამემამულე მწერდა, ბომანუარი აქ არის და ფილიპე მეფეს საფრანგეთის ჯარსა სთხოვს, სულთან სალადინის წინააღმდეგ გასალაშქრებლადო.

- ახლა კი ინგლისშია, თავისიანებიც არ მოელოდნენ, ისე ჩამოვიდა, - უპასუხა ბენ ისრაელმა, - თურმე საშინლად განრისხებულია და ყველას დაუნდობლად სჯის, ვინც ფიცისა და აღთქმის გატეხას გაბედავს, ბელიარის ნაშიერთ შიშის კანკალი აქვთ. არ გაგიგონია მაგისი სახელი?

- როგორ არ გამიგონია, - მიუგო ისააკმა, - წარმართები ამტკიცებდნენ, ნაზარეველთა კანონების წინააღმდეგ ვინც გაბედავს გამოსვლას, ყველას სიკვდილით სჯისო; ჩვენმა თანამემამულეებმა კი სარკინოზების შეუბრალებელი მომსპობი და ისრაელთა მოდგმის საშინელი მტარვალი უწოდეს.

- კარგად შეურქმევიათ, - თქვა ნათან ექიმმა, - სხვა ტაძრელებს რითაც გინდა დაქრთამავ - გინდა კარგი დროსტარებით და გინდა ოქრო-ვერცხლით. ბომანუარი კი სულ სხვა ვინმეა - სიყვარულს დასცინის, სიმდიდრე სძულს და ერთთავად მოწამებრივი გვირგვინის დასადგმელად მიისწრაფის, როგორც თვითონ ეძახიან ხოლმე... იაკობის ღმერთმა მოუვლინოს ეს გვირგვინი ადრე და მალე მაგასაც და მთელს მაგათს რჯულსაც! განსაკუთრებით იუდეველთა მოდგმასა მტრობს ეს გულღრძო კაცი, ებრაელების გაჟლეტა ისევე საღვთო საქმედ მიაჩნია, როგორც სარკინოზების მოსპობა. ჩვენს ექიმობასა და მკურნალობაზეც ბევრი სისულელე მოუჩმახავს - სატანის ხრიკებიაო, იძახის თურმე... ღმერთმა დასწყევლოს და შეაჩვენოს.

- მე მაინც უნდა წავიდე ტემპლსტოუს, - უთხრა ისააკმა, - თუნდა მისი სახე შვიდგზის გავარვარებულ ბრძმედივით ელვარებდეს.

და ახლაღა აუხსნა ნათანს თავისი გადაუდებელი გამგზავრების მიზეზი. რაბინი გულისყურით უსმენდა და მერე თანაგრძნობა თავისი ხალხის ჩვეულების მიხედვით გამოხატა - ტანსაცმელი შემოიფხრიწა.

- ვაიმე, შვილო!.. ოჰ, ჩემო ქალიშვილო!.. ვაგლახ, სიონის მშვენებავ!.. ვაგლახ, როდის უნდა მოეღოს ბოლო ისრაელთა ტანჯვას!.. - გაიძახოდა იგი.

- ხომ ხედავ რა დღეში ვარ, - განაგრძო ისააკმა, - ჩემი დაყოვნება არ შეიძლება. ვინ იცის, ლუკა ბომანუარის ჩამოსვლამ იქნებ მიშველოს კიდეც - მაგათი თავი კაცია და იქნებ მოერიდონ, იქნებ თავის ბილწ განზრახვაზე ხელი აიღოს ბრიან დე ბუა გილბერმა და ჩემი საყვარელი რებეკა უკანვე დამიბრუნოს.

- მაშ წადი და ჭკუით იყავი, - უთხრა ნათან ბენ ისრაელმა, - გახსოვდეს, რომ დანიელი ლომის ბუნაგში შეგდების შემდეგაც კი ჭკუამ იხსნა. იქნებ

მართლაც გაგიღიმოს ბედმა და შენი გულის გასახარად დამთავრდეს ყველაფერი. მაგათ მაგისტრს კი როგორმე მაინც მოერიდე, რადგან დილა იქნება თუ საღამო, მისი უდიდესი სიხარული ჩვენი ხალხის ბილწი დაცინვა და აბუჩად აგდებაა. შენ მაინც ეცადე, ცალკე მოელაპარაკო ბუა გილბერს: ყველა იმას იძახის, რომ მაგ დაწყევლილ ნაზარეველებს მონასტერში ერთი პირი არა აქვთო. ღმერთმა შეაჩვენოს და შეარცხვინოს მაგათი სახსენებელი! იქიდან პირდაპირ ჩემთან მოდი, ძმაო, როგორც საკუთარ მამის სახლში, და ამბავი მომიტანე. იმედი მაქვს რებეკასაც თან მოიყვან, ჩვენი ბრძენი მირიამის ღირსეულ მოწაფეს.

ისააკი მეგობარს გამოეთხოვა და ერთი საათის მგზავრობის შემდეგ ტემპლსტოუს მონასტერს მიადგა.

ტაძრელთა მონასტერი ხასხასა მდელოებსა და საძოვრებს შორის იყო აღმართული; ეს ადგილი წინანდელი წინამძღვრის გულმოდგინების წყალობით შესწირეს ორდენს. მტკიცედ და მკვიდრად ნაგები შენობა იყო - აქაური რაინდები ამას თავის დღეში არ ივიწყებდნენ და, ინგლისის მაშინდელ არეულობას თუ გავითვალისწინებთ, არცა სცდებოდნენ. მოძრავ ხიდს ორი შავად შემოსილი გუშაგი იცავდა, რომელთაც მხრებზე ჩუგლუგები გაედოთ. გალავნის გაყოლებაზეც ასევე თალხად ჩაცმული გუშაგები დადიოდნენ წინ და უკან, მძიმე ნაბიჯით, თითქოს ცხედარს მიასვენებენო; მოჩვენებებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ჯარისკაცებს. ამ ორდენის დაბალი წარჩინების მეომრებს ახლა სულ ასე ეცვათ - თეთრი სამოსი შავით შეეცვალათ, რადგან იმხანად პალესტინის მთებში თურმე ასევე ჩაცმული ცრუ რაინდები გამოჩნდნენ, რომლებიც თავს ტაძრელებს ეძახდნენ, ხოლო თავიანთი უკადრისი საქციელით საშინლად არცხვენდნენ ორდენს. დროდადრო მონასტრის ეზოში თეთრმანტიამოსხმული, გულხელდაკრეფილი რაინდი გამოჩნდებოდა, რომელსაც თავი დაბლა ჰქონდა დახრილი და მკერდზე ესვენა; შემთხვევით, ეზოში თუ შეხვდებოდა მეორე რაინდს, უხმოდ დაუკრავდნენ ხოლმე თავს ერთმანეთს - მძიმედ და მედიდურად. ასეთი იყო ამ ორდენის კანონი, რომელიც წმიდა წიგნიდან გამომდინარეობდა; „ბევრი ლაპარაკი ცოდვას შეგყრის“ და „სიცოცხლე და სიკვდილი ენას ემორჩილებიან“ . ერთი სიტყვით, ტაძრელთა ორდენის საშინელი ასკეტური სიმკაცრე, რასაც დიდი ხანია გარყვნილი და თავაშვებული ცხოვრებისათვის დაეთმო

ადგილი, ახლა ლუკა ბომანუარის სასტიკი მეთვალყურეობით კვლავ ერთბაშად აღსდგა ტემპლსტოუს მონასტერში.

ისააკი ჭიშკართან შედგა, ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა შიგ შესვლა. კარგად იცოდა, რომ გამოცოცხლებული ფანატიზმი ორდენის მსახურებისა მათივე აღვირახსნილობასა და თავაშვებულობაზე ნაკლებ საშიში როდი იყო ბედუკუღმართი ებრაელებისათვის: ადრე თუ მათი სიმდიდრე ხდებოდა მიზეზი შეუბრალებელი ტანჯვა-წამებისა, ახლა სარწმუნოებისა და რჯულის გამო შეიზიზღებდნენ და დაუწყებდნენ დევნას.

ლუკა ბომანუარი მონასტრის გარეთა სიმაგრეებს შორის გაშენებულ პატარა ბაღში დასეირნობდა და თან რაღაც სამწუხარო ამბავზე დიდის გულმოდგინებით ელაპარაკებოდა პალესტინიდან ახლახან ჩამოსულ თავისივე ორდენის ძმას.

მაგისტრი ხანშიშესული კაცი იყო - მკერდზე გრძელი, ჭაღარ წვერი სცემდა და თეთრი, გაბარჯღული წარბები თვალებზე გადმოფენოდა. თვალებში მაინც ვერ ჩაექრო ცეცხლი სიბერეს. ჯარისკაცური მძვინვარება კვლავ შერჩენოდა ამ მრისხანე მეომრის ხმელ, პირქუშ სახეს, რომელზედაც ასკეტური ფანატიზმი, თვითგვემის შეუდრეკელი რწმენა და ღვთისმოსავური სიამაყე ჰქონდა აღბეჭდილი. მიუხედავად ამისა, მის გამომეტყველებაში მაინც იგრძნობოდა ერთგვარი კეთილშობილება და სიდიადე, რაც ერთის მხრივ, იმას უნდა მიეწეროს, რომ მაგისტრს ურთიერთობა უხდებოდა სხვადასხვა ქვეყნის მეფეებთან და პრინცებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი თავიდანვე შეეჩვია იმ მამაცსა და დიდებული შთამომავლობის რაინდებზე მბრძანებლობას,

რომლებიც მის ორდენში ირიცხებოდნენ. მაღალი კაცი იყო, წარმოსადეგი, და სიბერისა და მძიმე შრომის მიუხედავად, წელში ოდნავადაც არ მოხრილიყო. თეთრი მოსასხამი, თვით წმიდა ბერნარდის წესების მიხედვით, დიდის გულმოდგინებით გამოეჭრათ მის ტანზე - ეს იყო მოუთელავი მაუდი; მარცხენა ბეჭზე წითელი მაუდის რვაკუთხა ჯვარი ჰქონდა დაკერებული. მანტიაზე არც ყარყუმის ბეწვი ჰქონია შემოკერებული და არცა მტთიხვისა. ოღონდ, ამავე წესდების მიხედვით, ხნოვანების პატივისცემის ნიშნად, როგორც მაგისტრს, მარტო ბატკნის კრაველი ჰქონდა შემოვლებული ქურთუკის კალთაზე. სხვა ბეწვის სამკაულის ტარების ნება, - რაც მაშინ დიდ ფუფუნებად ითვლებოდა და ძალიანაც ეტანებოდა წარჩინებული

ხალხი, - მას არა ჰქონდა. ხელთ ეპყრა ის უცნაური „აბაკუსი“ თუ არგანი, ურომლისოდაც, ჩვეულებრივ, ტაძრელი ვერც კი წარმოგვიდგენია; ამ არგანის ზემოთა ნაწილი ბრტყელი, თეფშისნაირი ფიცარი იყო, რომელზედაც ტაძრელთა რაინდების ჯვარი ჰქონდათ ამოკვეთილი. ამ წარჩინებული სამღვდელო პირის თანამოსაუბრე იმგვარადვე იყო ჩაცმული, როგორც თვითონ მაგისტრი, და თუ არ დიდი მოწიწება, რასაც იგი ტაძრის ორდენის წინამძღვრის მიმართ იჩენდა, ჩაცმულობით ვერც კი შეატყობდი, რომ მათ შორის არავითარი თანამდებობრივი თანასწორობა არ არსებულა. პრესეპტორი (ეს კაცი პრესეპტორი გახლდათ) გვერდში კი არ მიჰყვებოდა მაგისტრს - ოდნავ უკან იყო დაწეული, ოღონდ ისე, რომ ლაპარაკის დროს ბომანუარს თავის მობრუნება არ დასჭირვებოდა.

- კონრად, ჩემი ბრძოლებისა და ღვაწლის ძვირფასო თანამოზიარევ, - მიმართა მაგისტრმა, - შენისთანა ერთგული სხვა ვინა მყავს, რომ ჩემი ნაღველი გავანდო. სხვას ვერავის გავუმხელ, რომ რაც ამ ქვეყანაში ჩამოვედი, ნიადაგ სიკვდილსა და აღსრულებას ვნატრობ. ისეთი ვერაფერი ვნახე ამ ინგლისში, რომ შევხედო და თვალი სიამოვნებით დავასვენო. მარტო იმქვეყნად წასულ ძმათა საფლავების ნახვით თუ ვპოვებ ხოლმე შვებას ჩვენი ტაძრის დიდი გუმბათის ქვეშ, ამ ამაყ დედაქალაქში. „ო, მამაცო რობერტ დე ბუა!“ ვიტყვი ხოლმე გულში, როცა დიდებული ჯვაროსნების საფლავებს შევხედავ. „ო, ღირსეულო უილიამ დე მარშალ! გახსენით ეს მარმარილოს აკლდამა და თქვენს საუკუნო განსასვენებელში ერთი დაქანცული ძმაც შეიხიზნეთ, რომელიც ასი ათას ურჯულო წარმართს უფრო ხალისით შეებრძოლება, თავისი წმიდა ორდენის დაშლას და დაქვეითებას კი ვერ აიტანს!“

- ვაი რომ სრული ჭეშმარიტებაა, - მიუგო კონრად მონ ფიტჩეტმა, - სავალალო ჭეშმარიტება:საფრანგეთზე უფრო ინგლისში აუშვიათ ჩვენი ორდენის ძმებს.

- ეს იმიტომ, რომ აქაურები უფრო მდიდრები არიან, - უთხრა მაგისტრმა, - ცოტა იქნებ კვეხნა გამოვიდეს, ძმაო, და ცუდად ნუ ჩამომართმევ. შენ თვითონაც ხომ იცი, რა ცხოვრებით მიცხოვრია, როგორ გაფაციცებით ვიცავდი ჩვენი წესდების ყოველ მუხლს, რა თავგამოდებით ვებრძოდი ხორცშესხმულსა და უსხეულო ეშმაკებს, რაოგორა ვგმირავდი ხოლმე აღრიალებულ

ლომს, რომელიც მუდამ ჩვენს ირგვლივ დაძრწის და მსხვერპლს ეძებს - ნამდვილ რაინდსა და მღვდელს რომ შეეფერება, ისე ვმუსრავდი: აკი თვით ნეტარი ბერნარდიც ასე გვიწერს ჩვენი წესდების ორმოცდამეხუთე მუხლში - Ut Leo simper feriatur[55]. მიწია კიდეც: ასეთმა თავგამოდებამ სულ მთლად შთანთქა ჩემი არსება და სიცოცხლე, ერთიანად დამიხრა ძარღვები და ძვლები... ჩვენს წმიდა ტაძარს გეფიცები, შენღა დარჩი, და კიდევ რამდენიმე, სულ თითზე ჩამოსათვლელი, რომელთაც ისევ შეგრჩენიათ ძველი სიმკაცრე ჩვენი ორდენისა, თორემ ჩვენს ბერებს რომ ვუყურებ, ერთსაც ვერა ვხედავ ღირსს, ვისთისაც სულითა და გულით შეიძლებოდეს ამ წმიდა სახელის მინიჭება. რას გვეუბნება წესდება და როგორ ასრულებენ მას ჩვენი ძმები? ამქვეყნიური ამაოების გამომხატველი სამკაულები არ ატაროთო - არც ფრთები მუზარადზე, არც ოქროს დეზები და არც ოქროთი მოჭედილი აღვირი... მერე ვინ დადის ახლა ჩვენი ტაძრის საწყალ ჯარისკაცებზე უფრო მორთულ-მოკაზმული და გაბღენძილი?! აკრძალული აქვთ ქორ-შევარდნებით ნადირობა, მშვილდ-ისრითა და სამალით ნადირის დახოცვა, სანადირო რქის ჩაბერვა, ნადირობის დროს ცხენისთვის დეზებიას ამოკვრა... მერე რა! ნადირობა იქნება თუ მიმინოს წვრთნა, სროლაში შეჯიბრება თუ თევზაობა, ყველგან ტაძრელს ნახავ. აკრძალული აქვთ ისეთი რამეების წაკითხვა, რის ნებასაც წინამძღვარი არ უბოძებს, მოსმენაც წაკითხულისა, იმ წმიდა მოძღვრების გარდა, რასაც ტრაპეზის დროს უკითხავენ ხოლმე... მერე რა! ყურები მუდამ უქნარა მინსტრელების მოსასმენად აქვთ დაცქვეტილი, თვალები კი რაღაც სალაზღანდარო წიგნებში ჩაურგავთ... - ნაბრძანები აქვთ, ჯადოქრობა და ერესი მოსპონ... მაგრამ რა! ებრაელების

კაბალისტიკური საიდუმლოებისა და პენიმელ სარკინოზთა ჯადოქრობის შესწავლით არიან თურმე გატაცებულნი. თავშეკავებულად ჭამეო, ეუბნებიან - მარტოდენ ფხალი, ცერცვის შეჭამანდი, ფაფა... ხორცს კვირაში სამჯერ მეტად ნუ შეჭამ, რადგან ბევრი ხორცის ჭამა სხეულის სათაკილო გახრწნას იწვევსო... შენც არ მომიკვდე - მაგათი სუფრა ნაირ-ნაირი საჭმელების სიმძიმისაგან იზნიქება. წყლის მეტს არავითარ სითხეს არ უნდა აკარებდნენ პირს, მაგრამ რა - მოქეიფე ბიჭებისათვის სატრაბახოდ გამხდარა გამოთქმა „ტაძრელივით ვსვამო“. ერთი ამ ბაღსაც გადახედე, სულ აღმო-

სავლეთიდან ჩამოუტანიათ უცხო-უცხო ყვავილები და მცენარეები და დაურგავთ - ვინმე ურჯულო ემირის ჰარამხანას უფრო შეეფერება, ვიდრე ქრისტიანი ბერების ბაღჩას, სადაც ცოტ-ცოტა ბოსტნეული უნდა მოჰყავდეთ ხოლმე... მაგრამ, ეჰ, კონრად, ნეტა ეს უბედურება სჭირდეთ და სხვა არაფერი! შენც კარგად მოგეხსენება, რომ ჩვენ აკრძალული გვქონდა იმ ღვთისმოსავ ქალებთან ურთიერთობა, რომლებიც თავიდან ჩვენს ორდენში ჩაირიცხნენ, როგორც დები. რატომ გვქონდა აკრძალული? იმიტომ რომ ორმოცდამეექვსე მუხლში ნათქვამია - ჩვენმა უძველესმა მტერმა, დედაკაცის მეშვეობით, ბევრი ააცდინა სამოთხის ჭეშმარიტ გზას. ის კი არადა, უკანასკნელ თავში, რომელიც მთელი ჩვენი წმიდა და შეურყვნელი მოძღვრების ქვაკუთხედს წარმოადგენს, ჩვენმა ნეტარმა დამფუძნებელმა ღვიძლი დებისა და დედების ამბორიც კი აგვიკრძალა. რათა Ut omnium mulierum fugiantur oscula…[56] მე თვითონ მრცხვენია, რომ გითხრა... გაფიქრებაც კი მრცხვენია... როგორ ნიაღვარივით მოგვასკდა საერთო გახრწნილება. ჩვენი წმიდა დამფუძნებლების - ჰუგ დე პეინის, გოლფრი დე სენ ომერის და იმ

შვიდი ნეტარი მამის სულებს, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე ტაძრის სამსახურს შესწირეს - სამოთხეშიაც ვერ მოუსვენიათ. სიზმარში გამომეცხადნენ ისინი, კონრად... მათი წმიდა თვალები ცრემლებს აფრქვევდნენ, იმ ცოდვებისა და თავქარიანობის, იმ ბილწ და სამარცხვინო ავხორცობის გამო, რაშიაც თავიანთი ძმები ჩაფლულან... „შენ გძინავს, ბომანუარ... - მითხრეს მე, - გაიღვიძე! ტაძრის შენობას სიდამპლის ლაქა დასჩენია - ისეთივე ბილწი და მღრღნელი, როგორც კეთრის წრბოლი კეთროვანთა ძველი სახლის კედლებზე. ჯვრის მეომრები, რომლებიც დედაკაცის შემოხედვას ისევე უნდა გაურბოდნენ, როგორც ასპიტის თვალებს, მარტო თავისი რჯულის ქალებთან კი არ სცოდავენ - წყეული წარმართებისა და კიდევ უფრო დაწყევლილი ებრაელების ასულებსაც დარევიან, და არც ეთაკილებათ... შენ გძინავს, ბომანუარ.. ადექი და შური იძიე!.. გაჟლიტე ცოდვიანები - ქალი იქნება თუ კაცი!.. ფინეასის მახვილი შემართე!“...“ მოჩვენება გაქრა, კონრად, მაგრამ გამოღვიძების შემდეგაც მესმოდა მათი აბჯრის ჟღარუნი და იმათი თეთრი მოსასხამების ფრიალსაც ვხედავდი... რაც მითხრეს, შევასრულებ კიდეც. უნდა გავწმინდო ჩვენი ტაძრის ნაგებობა - ჭირით დაღრღნილი ქვები უნდა გამოვაცალო და გადავყარო.

- ცოტა ამასაც დაუფიქრდი, ღირსო მამავ, - უთხრა მონ ფიტჩეტმა, - ეს ჭირის წრბოლი თანდათანობით გამჯდარა კედლებში, და, ამიტომ, რამდენადაც შენი რეფორმა ბრძნული და სამართლიანია, იმდენად ფრთხილად უნდა გაატარო.

- არა, მონ ფიტჩეტ, - უპასუხა მრისხანე ბერიკაცმა, - ერთბაშად უნდა დავატრიალო - მძაფრად და მოულოდნელად... ჩვენი ორდენის ბედი ბეწვზე ჰკიდია. ჩვენი წინაპრების სიფხიზლემ, თავდადებამ და ღვთისმოსაობამ გავლენიანი მეგობრები შეგვძინა... ჩვენმა მეტისმეტმა ყოყლოჩინობამ, სიმდიდრემ და განცხრომა-ფუფუნებამ კი ძლიერი მტრები მოგვიმრავლა... თავიდან უნდა მოვიშოროთ სიმდიდრე, რაც ამა ქვეყნის დიდებულთა მაცდუნებელია... უნდა დავგმოთ ყოყლოჩინობა, რაიც სხვების შეურაცხმყოფელია... უნდა აღვიკვეთოთ ეს თავაშვებულება, რაც მთელი ქრისტიანობის შეურაცხმყოფელია. თუ ასე არ ვქენი, - ჩემი სიტყვები გახსოვდეს, - ტაძრის ორდენს სრული განადგურება მოელის... და ჩვენი შთამომავლობა ჩვენს სამყოფელ ადგილსაც კი ვეღარ მიაგნებს.

- ღმერთმა დაგვიფაროს ამისთანა უბედურებისაგან! - თქვა პრესეპტორმა.

- ამინ! - დიდის სასოებით წარმოთქვა მაგისტრმა, - მაგრამ ჩვენც უნდა ვიყოთ ღირსი ღვთის წყალობისა. პირდაპირ უნდა გითხრა, კონრად, რომ აღარც ზეცის ძალებსა და არც მიწიერთ აღარ ძალუძთ აიტანონ ამ თაობის უკუღმართობანი... თვალნათლივ ვხედავ... ნიადაგი, რაზედაც ჩვენი თაოობაა დაფუძნებული, ყოველი მხრიდან გამოთხრილია, და რასაც მეტს აღზევებას შევეცდებით, მით უფრო ჩქარა ჩავინთქებით უფსკრულში. ცოტათი უკან უნდა დავიხიოთ და საქვეყნოდ დავამტკიცოთ, რომ ჩვენ - წმიდა ჯვრის ერთგული რაინდები - არა მარტო სისხლსა და

სიცოცხლეს ვწირავთ ჩვენს საქმეს, არა მარტო ავხორცობასა და სხვადასხვაგვარ მანკიერებას, არამედ ყოველგვარ შვებას, მოსვენებას, ადამიანურ გრძნობებს... მუდამ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრგვარი სიამოვნება, რაც იქნებ სხვებისთვის იყოს კანონიერი და ნებადართული, ტაძრელი ჯარისკაცებისთვის უკანონო და შეუფერებელია.

ამ დროს ბაღში შემოვიდა ნახმარ ტანსაცმელში ჩაცმული საჭურველ-თმტვირთველი (წესდების მიხედვით, ტაძრის ახალ წევრებს ძველი რაინ-დების ნახმარი ტანსაცმელი უნდა სცმოდათ), მაგისტრს მდაბლად დაუკრა თავი და უხმოდ დადგა - ელოდა ლაპარაკის ნებას როდის მომცემსო.

- ასე უფრო სასიამოვნო შესახედავი არ არის?! - თქვა მაგისტრმა, - ტან-საცმელიც კი ქრისტიანულ თავმდაბლობასა და უბრალოებას გამოხატავს, თავის უფროსთან ეს ღირსეული მდუმარებაც როგორა შვენის!.. ორი დღის წინ კი ეს ბრიყვი ჭრელა-ჭრულებში ბრძანდებოდა გამოწყობილი და ისე უტიფრად დახტოდა, იტყოდი თუთიყუშიაო... თქვი, რა გინდა!

- ჭიშკართან ვიღაც ებრაელი დგას, ღირსო და კეთილშობილო მამაო, - უთხრა საჭურველთმტვირთველმა, - ბრიან დე ბუა გილბერთან მალაპა-რაკეთო, გვთხოვს!

- კარგი ქენი, რომ შემატყობინე, - უთხრა მაგისტრმა, - როცა ჩვენ აქ ვიმყოფემით, ყოველი პრესეპტორი ჩვენი ორდენის ჩვეულებრივი წევრია და თავის ნებაზე არაფრის გაკეთების უფლება არა აქვს, ჩვენ უნდა გვემორ-ჩილებოდეს... წმიდა წიგნშიც ასე წერია... ბუა გილბერის ამბები კი განსა-კუთრებით გვაინტერესებს, - მიუბრუნდა იგი თავის მოსაუბრეს.

- მამაცი და გულოვანი რაინდიაო, გამიგონია, - თქვა კონრადმა.

- ამას მართალს ამბობენ, - დაუდასტურა მაგისტრმა, - ერთადერთი ეს-ღა შეგვრჩა, რომ გულოვნებაში ჯერ კიდევ არ ჩამოვრჩებით ჩვენს წინაპ-რებს - წმიდა ჯვრის ჭეშმარიტ გმირებს. მაგრამ ძმა ბრიანი რომ მოვიდა ჩვენს ორდენში, რაღაც დაღვრემილი და იმედგაცრუებული კაცი მომეჩვე-ნა; აღთქმას რომ დებდა და ამქვეყნიურ ცხოვრებასა ჰგმობდა, თითქოს წრფელი გულით კი არ აკეთებდა ამას, არამედ რაღაც უბრალო საქმეზე განაწყენებულ კაცსა ჰგავდა, რომელსაც მონანიება გადაეწყვიტა. თანდა-თანობით, ენერგიული და საქმინი გახდა; სულ წუწუნებს, სულ უკმაყოფი-ლოა - ცდილობს უფლებებში შეგვეცილოს; ის კი ავიწყდება, რომ ჩვენი სიმ-ბოლო ისევ ის გადაჯვარედინებული ჯოხებია - ერთი ჯოხი, როგორც ძაბუნ-თა დასაყრდენი, ხოლო მეორე - როგორც დამნაშავეთა დამსჯელი... დამი-ან, - მიმართა მან საჭურველთმტვირთველს, - აქ მომგვარე ის ებრაელი.

საჭურველთმტვირთველმა უმდაბლესად დაუკრა თავი და რამდენიმე წუთის შემდეგ ისააკ იორკელი მოიყვანა. არც ერთი ყურმოჭრილი მონა არ მიუახლოვდებოდა თავის ყოვლისშემძლე მბრძანებელს, - რომელსაც მისი

ბედი უნდა გადაეწყვიტა, - ისეთის რიდითა და შიშით, როგორც ებრაელი წარსდგა მაგისტრის წინაშე. სამ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ბომანუარმა ჯოხით ანიშნა, შესდექიო. ებრაელი მუხლებზე დაეცა და მოწიწების ნიშნად მიწას ეამბორა; მერე წამოდგა, ხელები გულზე დაიკრიფა, თავი მკერდამდე დახარა და აღმოსავლელი მონის მორჩილებით დადგა ტაძრელების წინაშე.

- დამიან, - უთხრა მაგისტრმა, - შენ წადი და გუშაგი გააფრთხილე, დაძახებისთანავე აქ გაჩნდეს. მანამ ჩვენ აქა ვართ, ძეხორციელმა არ გაბედოს ბაღში შემოსვლა.

საჭურველთმტვირთველმა თავი დახარა და გავიდა.

- ებრაელო, - განაგრძო გულზვავმა ბერიკაცმა, - კარგად მომისმინე. არ ეგების, რომ შენთან გრძელი საუბარი გავაბა, და ისედაც არ გვიყვარს დროისა და სიტყვების ფლანგვა. ამიტომ, რასაც გკითხავ, მოკლედ მიპასუხე და სიმართლე მითხარი. თუ მიკიბ-მოკიბე, იცოდე ენას ამოვაძრობინებ მაგ უწმინდური ყბებიდან.

ებრაელმა უკვე დააპირა ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ მაგისტრმა არ დაანება.

- ხმა გაიკმინდე, უწმინდურო! მანამ არ გკითხავ, კრინტი არ დასძრა!.. ჩვენს ძმა ბრიან დე ბუა გილბერთან რა გესაქმება?

შეშინებულსა და დაბნეულ ისააკს სუნთქვა შეეკრა. სიმართლე რომ ეთქვა, ვაითუ ორდენის ცილისწამებაში ჩამოერთმიათ; არ ეთქვა და ისე როგორ უნდა მოეხერხებინა ქალიშვილის გამოხსნა! ბომანუარმა შენიშნა ეს მომაკვდინებელი შიში და ღირსსა ჰყო ცოტათი გაემხნევებინა.

- შენი უბადრუკი თავისა ნუ გეშინია, ებრაელო, არაფერს დაგიშავებენ, - უთხრა მან, - ოღონდ ნურაფერს დამიმალავ. კიდევ გიმეორებ, ბრიან დე ბუა გულბერთან რა საქმე გაქვს მეთქი?

- წერილი გამომატანეს, - ამოილუღლუღა ებრაელმა, - ჟორვოს სააბატოს წინამძღვარმა ეიმერმა გამომატანა წერილი მამაც რაინდთან.

- აკი გითხარი, კონრად, საშინელი დრო დაგვიდგა-მეთქი! - გადაულაპარაკა მაგისტრმა. - სააბატოს წინამძღვარი წმიდა ტაძრის რაინდს ბარათს უგზავნის და შიკრიკი ვეღარავინ უშოვნია, ურჯულო ებრაელის მეტი... აქ მომეცი ეს ბარათი.

ისააკმა ხელის კანკალით გახსნა თავისი სომხური ქუდის სარჩული და დიდის სიფრთხილით

შენახული წერილი გამოაძრო, მერე წელში მოიკაკვა, ხელი წინ გაიშვირა და ის იყო მრისხანე მაგისტრს უნდა მიახლოვებოდა, რომ იმან ადგილზევე გააქვავა.

- უკან დაიწიე, ძაღლო! - უყვირა მაგისტრმა, - ურჯულოებს თუ არ ხმლით, ისე არ შევეხები... კონრად, გამოართვი ებრაელს ბარათი და მე გადმომეცი.

ბომანუარმა ბარათი ჩამოართვა კონრადს, ხელში შეატრიალა, გულისყურით გასინჯა და მერე ძაფი გამოაძრო, რითაც ბარათი იყო შეკრული.

- ღირსო მამა, - შეჰყვირა კონრადმა დიდის მოწიწებით, - ნუთუ ბეჭედიც უნდა გატეხო?

- რატომაც არა! - უთხრა ბომანუარმა და კოპები შეკრა, - ორმოცდამეორე მუხლში De Lectione Literarum[57] – პირდაპირ წერია, მშობელი მამის წერილი რომ მიიღოს რაინდმა, უსათუოდ წინამძღვარს უნდა აჩვენოს და მისივე თანდასწრებით წაიკითხოს.

სულმოუთქმელად ჩაიკითხა წერილი და სახეზე გაკვირვება და შიში გამოეხატა; ახლა უფრო ყურადღებით წაიკითხა, მერე ცალი ხელით კონრადს გაუშვირა, ხოლო მეორე ხელი მსუბუქად დაჰკრა ფიცარს და შესძახა:

- ბარაქალა! კარგი საგანი კი ამოურჩევიათ მიწერ-მოწერისთვის ორ ქრისტიან ვაჟბატონს, და ისიც საკმაოდ გამოჩენილ სამღვდელო პირებს! ღმერთო, როდის ინებებ მოსვლას, რომ ნამდვილ ხორბალს ბზე მოაშორო და გაანიავო.

მონ ფიტჩეტმა ბარათი ჩამოართვა წინამძღვარს და კითხვა დაიწყო.

- ხმამაღლა წაიკითხე, კონრად, - უთხრა მაგისტრმა, - შენ კი, - ისააკს მიუბრიუნდა, - ყურადღებით იყავი, რადგან უნდა დაგკითხოთ.

კონრადმა წაიკითხა:

„ჟორვოს ღვთიშობლის მონასტრის წინამძღვარი ეიმერი ტაძრის წმიდა ორდენის რაინდს სერ ბრიან დე ბუა გილბერს ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას უსურვებს, მეფე ბახუსისა და დედოფალ ვენერას უხვი წყალობაც ნუ მოჰკლებოდეს. ჩვენს აწინდელს გარემოებას თუ იკითხავ, ძვირფასო ძმაო, ვიღაც უღვთო და ავაზაკი ხალხის ტყვედ ვიმყოფებით, რომელთაც არც ჩვენი დაკავების შიში აქვთ და გამოსასყიდ ფულსაც კი გვთხოვენ. აქვე

შევიტყვეთ ფრონ დე ბეფის უბედურების ამბავი, და ისიც, რომ შენ გაქცევა მოგიხერხებია და ურიის ტურფა ჯადოქარი გოგოც გაგიტაცნია, რომლის შავმა თვალებმა ერთიანად მოგნუსხეს. სულით და გულით გაგვახარა შენი

გადარჩენის ამბავმა; მაგრამ მაინც გთხოვ, რომ მაგ მეორე ენდორელ ჯადოქარს უფრთხილდე. რადგან საიდუმლოდ შევიტყვეთ, რომ თქვენი მაგისტრი, რომელსაც შავი თვალებიცა და ალუბლისფერი ღაწვებიც ფეხებზე ჰკიდია, ნორმანდიიდან თურმე აქეთ გამომგზავრებულა, რათა მხიარულება ჩაგიშხამოთ და ცოდვებს აგაშოროთ. ამიტომ, გულითა გთხოვ, ფრთხილად იყავი, თვალი ფხიზლად გეჭიროს, როგორც წმიდა წიგნი გვაფრთხილებს invenientun vigilantes[58]. ხოლო მამამისი - მდიდარი ებრაელი ისააკ იორკელი მთხოვს შენს წინაშე ვუშუამდგომლო და სწორედ მას ვატან ამ ბარათს, და სერიოზულად გირჩევ და გეხვეწები კიდეც, უსათუოდ გამოართვა გოგოს გამოსასყიდი ფული; იცოდე, რომ იმდენს გადაგიხდის, იმ ფულით ორმოცდაათ გოგოს იშოვი და არც ასე ხიფათში თავის ჩაგდება დაგჭირდება. თან იმის იმედსაც არა ვკარგავ, რომ მეც წილში შემიყვან, როცა კვლავ შევხვდებით ერთმანეთს სამხიარულოდ და ღვინის დასალევად. აკი სახარებაც გვეუბნება, Vinum lactifical cor hominis[59]; და ესეც - Rex delectabitur pulchritudine tua.[60]„იმ სანატრელ შეხვედრამდე მშვიდობას გისურვებ, იწერება ავაზაკების ბუნაგში, წირვის ჟამს.

„ჟორვოს ღვთიშობლის მონასტრის წინამძღვარი ე ი მ ე რ ი.“

„Postcriptum - შენი ოქროს ძეწკვი დიდხანს არ შემრჩენია; ამიერიდან რომელიმე წუწკი ყაჩაღის

კისერს დაამშვენებს - ალბათ სანადირო საყვირს გამოაბამს, რომლითაც ძაღლებს უხმობს ხოლმე“.

- რას იტყვი, კონრად? - ჰკითხა მაგისტრმა, - ავაზაკების ბუნაგი!.. ამისთანა მოძღვრისთვის მართლაც რომ ავაზაკების ბუნაგი იქნება უპრიანი. რაღა გასაკვირია, რომ ამისთანა მღვდლების შემყურეებს ღვთის რისხვა დაგვატყდეს და პალესტინაში მარცხს მარცხზე განვიცდიდეთ, სულ ურჯულოები გვართმევდეს ყველაფერს, რაც ადრე მოგვიპოვებია... მაგრამ, ეს მეორე ენდორელი ჯადოქარი ნეტა რას უნდა ნიშნავდეს?! - ჩუმად გადაულაპარაკა თანამოსაუბრეს.

კონრადმა თავის წინამძღვარზე კარგად იცოდა (ალბათ, პირადი გამოცდილებით) საარშიყო სიტყვების მნიშვნელობა და აუხსნა კიდეც მაგისტრს მისთვის გაუგებარი გამოთქმა, ერისკაცები ამ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე თავიანთ სატრფოებსო, მაგრამ სარწმუნოებაზე თავგადაკლული ბერიკაცი ამ ახსნას არ დაყაბულდა.

- არა, რაღაც სხვა უნდა იმალებოდეს ამ სიტყვებში, კონრად; შენ პატიოსანი კაცი ხარ და მაგათ უკუღმართობას რას ჩასწვდები! ეს იორკელი რებეკა, ალბათ, იმ მირიამის მოწაფე იქნება, ვისი ამბავიც შენ უსათუოდ გეცოდინება. ნახე, თვითონ ებრაელიც თუ არ გამოტყდეს, - ისააკს მიუბრუნდა და ხმამაღა უთხრა, - მაშ, ბრიან დე ბუა გილბერს შენი ქალი ჰყოლია ტყვედ, არა?

- დიახ, ღირსეულო და მამაცო ბატონო, - ამოილუღლუღა საბრალო ისააკმა, - და ღარიბი კაცის პირობაზე რამდენიც არ უნდა მომთხოვონ გამოსასყიდი...

- ხმა გაიკმიდე! - დაუყვირა მაგისტრმა, - შენი ქალი სნეულებს მკურნალობს, ხომ?

- დიახ, შენო მოწყალებავ, - მიუგო ებრაელმა და შვებით ამოისუნთქა, - რაინდი იქნება თუ იომენი, საჭურველთმტვირთველი თუ ვასალი, - ყველა ლოცვა-კურთხევით იხსეინიებს მის ზეცისაგან მოვლინებულ ნიჭს, რამდენ ვინმეს შეუძლია დაუმოწმოს, რომ თავისი ხელობით, ბევრი ისეთი ავადმყოფი განუკურნავს, რომელთაც ადრე კაციშვილმა ვერაფერი უშველა, თავის დღეში არ მოჰკლებია იაკობის ღმერთის კურთხევა.

ბომანუარს მწარედ გაეღიმა და კონრადს მიმართა:

- ხომ ხედავ, ძმაო, - უთხრა მან, - რა მზაკვრობით გვნთქავს მტერი! რა ანკესს გვიგდებს, რომ ჩვენი სული ზედ წამოეგოს: ამქვეყნიურ უბადრუკ ცხოვრებას გვიხანგრძლივებს, რომ სანაცვლოდ მარადიულ სასუფეველს მოგვაკლოს. კარგად არის ნათქვამი ჩვენს წმიდა წესდებაში - Semper percutiatur leo vorans… მაშ, ვეკვეთოთ ლომს!.. მოვსპოთ ჩვენი დამღუპველი! - შეჰყვირა მან და თავისი მისტიკური კრიალოსანი აიქნია, თითქოს ბნელეთის ძალებს ბრძოლაში იწვევსო. მერე

ებრაელს მიუბრუნდა და განაგრძო: - რაღა თქმა უნდა, ჯადოქრობით, მისნობით, ავგაროზითა და ამისთანა უწმინდურობით მკურნალობს შენი ქალი!

- აჰ, არა, ღირსეულო და მამაცო რაინდო, - მიუგო ისააკმა, - უმთავრესად სასწაულმოქმედი მალამოთი ჰკურნავს.

- მერე საიდან იცის მაგ წამლის საიდუმლოება? - ჰკითხა ბომანუარმა.

- ასწავლეს, ბატონო, - ძლივს ამოღერღა ისააკმა, - ერთმა ბრძენმა ებრაელის ქალმა უანდერძა, მირიამმა.

- აჰა, ასე, გაიძვერა ებრაელო! ეგ ის მირიამი ხომ არ არის, რომლის საზიზღარი მისნობის ამბავი მთელს საქრისტიანოს მოედო? - შესძახა მაგისტრმა და პირჯვარი გადაისახა, - გვამი იმისი სამარცხვინო ბოძზე დაწვეს, ხოლო ფერფლი ქარს გაატანეს. ასე გამიხდეს საქმე მეცა და ჩემს ორდენსაც, თუ მის მოწაფეს კიდევ უფრო უარესი არ დავმართო! მე მაგას ვასწავლი, როგორ უნდა წმიდა ტაძრის ჯარისკაცთა მონუსხვა და მოჯადოება... ჰეი, დამიან, კინწისკვრით გააგდე ეს ურია აქედან... თუ გაგიძალიანდეს ან უკან მობრუნება გაბედოს, მაშინვე სული გააფრთხობინე. მაგის ქალს კი ისე მოვეპყრობით, როგორც ქრისტიანული კანონი და ჩვენი მაღალი მოვალეობა გვიბრძანებს.

საწყალ ისააკს ქეჩოში სწვდნენ და მონასტრის ეზოდან გააგდეს. მის ღიჭინსა და ათასნაირ შეპირებას ყურიც არ ათხოვეს. რაღა გზა ჰქონდა - ადგა და ნაცნობი რაბინის სახლისკენ გასწია, რათა მისი დახმარებით რებეკას ბედი გაეგო. აქამდე ქალიშვილის უმწიკვლოების შებღალვისა ეშინოდა, ახლა კი მისი სიკვდილიდან დახსნა გაუხდა საფიქრებელი.

მაგისტრმა, ამასობაში, ტემპლსტოუს ტაძრის წინამძღვარს მოუხმო.

თავი ოცდამეთექვსმეტე

რატომ მეძახი ყალთაბანდსა და გაიძვერას,
მთელი ქვეყანა ტყუილზეა დამყარებული -
შემწეობას გთხოვს მათხოვარი და თან თვალთმაქცობს,
დიდებულებიც მამულს, სახელს და წარჩინებას
თვით ქვეყნის მართვის უფლებასაც ამით იძენენ;
არც მღვდელი არ გმობს თვალთმაქცობას; თვალთმაქცობითვე
ცდილობენ თავის გამოჩენას ჯარისკაცებიც...
ეს არც ვის უკვირს, არც ვის თვალში ეჩოთირება.
ვინც არ თავლთმაქცობს, და რაც არის, მხოლოდ ისა სჩანს,
არც ღმერთი სწყალობს, არც სარდალი, არც სახელმწიფო...
ამგვარად არის მოწყობილი ქვეყნიერება.
ძველებური პიესა

ტემპლსტოუს მონასტრის წინამძღვარი, ანუ, ორდენის ენით რომ ვთქვათ, პრესეპტორი ალბერტ მალვუაზენი იმ ფილიპ მალვუაზენის ძმა იყო, რომელიც ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ ჩვენს

მოთხრობაში; და ამ ბარონის მსგავსად ბრიან დე ბუა გილბერთან მასაც დიდი მეგობრობა ჰქონდა.

იმ უპრინციპო და გარყვნილ ხალხთა შორის, რომლებიც ტაძრელთა ორდენში ბლომად მოიძევებოდა, ალბერტ ტემპლსტოუელი ყველაზე უფრო გამოირჩეოდა. მაგრამ თავზეხელაღებული ბუა გილბერისაგან განსხვავებით მას შეეძლო მანკიერება და პატივმოყვარეობა გაიძვერულად დაეფარა და ფანატიკოსი ღვთისმოსავი გამოჩენილიყო, თუმცა გულში თვითონვე სძულდა ყოველგვარი ფანატიზმი. ასე მოულოდნელად და უეცრად რომ არ ჩამოსულიყო მაგისტრი, გარყვნილებისა და თავაშვებულების ნიშანწყალსაც კი ვერ შენიშნავდა ტემპლსტოუში. და ახლაც კი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალით ნახა მონასტერში გამეფებული უწესრიგობა და არეულობა, ისეთი სასოებითა და მოჩვენებითი სინანულით ისმენდა ალბერტ მალვუაზენი უფროსის საყვედურებს და ისე სწრაფად გამოასწორა ზოგი რამე, ისე ხელად გაახვია ღვთისმოსაობის სამოსელში მთელი მონასტერი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მთლიანად დროსტარებასა და განცხრომას ეძლეოდა, რომ ლუკა ბომანუარს უფრო მაღალი წარმოდგენა შეექმნა პრესეპტორის ზნეობაზე, თუმცა ტაძრის პირველმა გაცნობამ სულ საწინააღმდეგო შთაბეჭდილება მოახდინა.

მაგრამ მაგისტრის ეს კეთილი განწყობილება ერთბაშად შეირყა, როცა გაიგო, რომ ალბერტს

ღვთის სახლში ტყვე ებრაელი ქალი შემოეშვა და ისიც ორდენის ერთ-ერთი ძმის ხასა. ასე რომ, ალბერტს ახლა უჩვეულო მრისხანებით შეხვდნენ.

- ბატონო პრესეპტორო, - მკაცრად მიმართა მაგისტრმა, - აქ, ტაძრის ორდენის ამ წმიდა სამყოფელში, ჩვენი ორდენის ერთ-ერთ ძმას, შენის ნებართვით, ურიის ქალი მოუყვანია.

ალბერტ მალვუაზენს მოულოდნელობისაგან თავზარი დაეცა, რადგან ბედუკუღმართი რებეკა მან სადღაც მივარდნილსა და საიდუმლო ოთახში დაამალვინა და ყოველგვარი სიფრთხილე იხმარა, რომ მისი აქ ყოფნა არ გახმიანებულიყო. მაგისტრის თვალებში ალბერტმა მყისვე ამოიკითხა, რომ მასაც და ბუა გილბერსაც საშინელი განადგურება ელოდათ, თუ როგორმე ამ მოახლოებულ ქარიშხალს არ აიცდენდა.

- რამ დაგამუნჯა? - განაგრძო მაგისტრმა.

- ნებას მაძლევ, გიპასუხო? - უღრმესი მორჩილებით შეეკითხა პრესეპ-ტორი, თუმცა სინამდვილეში ამ შეკითხვით მას დროის მოგება სურდა, რა-თა გონება მოეკრიბა.

- თქვი, ნებას გაძლევ, - უთხრა მაგისტრმა, - თქვი და მიპასუხე, გახსოვს თუ არა ჩვენი წმიდა

წესდების მთავარი მუხლი, რომ De commilitonibus templi in sancta civitate, qui cum miserrimis mulieribus versantur, propter oblectationem carnis?[61]- რა თქმა უნდა, ღირსეულო მამავ, - მიუგო პრესეპტორმა, - რა ღირსი ვიქნებოდი ჩვენი მონასტრის წინამძღვრობისა, წესდების ერთ-ერთი უმთავრესი მუხლი რომ არ ვიცოდე!

მაშ, როგორ მოხდა-მეთქი, გეკითხები, რომ შენი მონასტრის ერთ-ერთ ძმას აქ ხასა შემოაყვანინე და ისიც ებრაელი ჯადოქარი! აქ, ამ წმინდა ად-გილას, რომელიც შეგიბღალავთ და შეგიბილწავთ.

- ებრაელი ჯადოქარი! - გაიმეორა ალბერტ მალვუაზენმა, - კეთილო ან-გელოზნო თქვენ დაგვიფარეთ.

- დიახ, ძმაო, ებრაელი ჯადოქარი! - მრისხანედ მიუგო მაგისტრმა, - აკი გითხარი, იქნებ უარყო, რომ ეს რებეკა - გარეწარი მევახშის ისააკ იორკე-ლის ქალი და ბილწი ჯადოქრის მირიამის მოწაფე - ამჟამად... თქმა და გა-ფიქრებაც კი სამარცხვინოა!.. შენს მონასტერში ცხოვრობს?!

- შენმა სიბრძნებ, ღირსეულო მამაო, ერთბაშად გადამიწმინდა გონება-ზე გადაკრული ლიბრი, - უთხრა პრესეპტორმა, - აკი გაოცებული ვიყავი: ასეთი ჩინებული რაინდი - ბრიან დე ბუა გილბერი

- ამ დედაკაცის მშვენიერებამ როგორ გაასულელა მეთქი; მონასტერში-აც იმიტომ შემოვუშვი - მინდოდა ზღუდე აღმემართა მათ შორის, თორემ სულ უფრო და უფრო შმაგდებოდა და შემეშინდა, საბოლოოდ არ დაეღუპა ჩვენი მამაცი და ღვთისმოსავი ძმა.

- მაშ , ჯერ ისეთი არაფერი მომხდარა მათ შორის, რომ აღთქმის დარ-ღვევად მივიჩნიოთ? - ჰკითხა მაგისტრმა.

- რა ბრძანებაა! ამ წმიდა სავანის ჭერქვეშ?! - შესძახა პრესეპტორმა და პირჯვარი გადაისახა, - წმიდა მაგდალინამ და ათიათასმა ქალწულმა დაგ-ვიფაროს!.. არა! აქ რომ შემოვუშვი და შევცოდე, ისიც იმიტომ, რომ ჩვენი ძმის გაშმაგებული გატაცება მინდოდა მომეთოკა ამ ურიის ქალის მიმართ.

თორემ ისე ბორგავდა და ისე იყო გაცოფებული, რომ ვიფიქრე, ნამდვილად ჭკუაზე შერყეულა, და თანაგრძნობის გაწევით უფრო განვკურნავ, ვიდრე გაკიცვით-მეთქი. მაგრამ რაკი შენმა სიბრძნემ განსჭვრიტა, რომ ეს სიძვის დედაკაცი ჯადოქარი ყოფილა, ახლაღა ვხვდები, რომ ჩვენი ძმის ასეთი გაშმაგებაც სულ მაგისი თილისმის საქმეა!

- ნამდვილად!.. ნამდვილად!.. - შესძახა ბომანუარმა, - ხომ ხედავ, ძმაო კონრად, რა დამღუპველია სატანის ლაქუცსა და მზაკვრობას აყოლა! შევცქერით დედაკაცებს და თითქოს თვალს ვასვენებთ, გულს ვიამებთ იმის ხილვით, რასაც ხალხი მშვენიერებას ეძახის... ამასობაში

კი, ჩვენი ძველსძველი მტერი - ყოვლისმშთანთქავი ლომი - თანდათან გვიმორჩილებს, ხელში გვიგდებს და უსაქმურობითა და თავქარიანობით დაწყებულ საქმეს თილისმითა და ჯადოთი აგვირგვინებს. იქნებ, მართლაც, შებრალების ღირსი უფრო იყოს ჩვენი ძმა ბუა გილბერი, ვიდრე გაკიცხვა-შეჩვენებისა; მხარდაჭერა უფრო უშველოს საქმეს, ვიდრდე გაწკეპლვამ და გამათრეხებამ; იქნებ ჩვენმა შეგონებამ და ლოცვა-კურთხევამ დაამშვიდოს და თავის ძმებს დაუბრუნოს.

- დიდად სამწუხარო კი იქნება, ჩვენმა ორდენმა ერთ-ერთი უმამაცესი მეომარი დაჰკარგოს. სწორედ მაშინ, როცა წმიდა კავშირს ყველაზე უფრო სჭირდება თავისი შვილების შველა, - შეჰბედა მონ ფიტჩეტმა, - ბრიან დე ბუა გილბერს სამასი სარკინოზი მაინც ეყოლება გაჟლეტილი საკუთარი ხელით.

- დაწყევლილი ძაღლების სისხლი მართლაც რომ ტკბილი და საამური შესაწირავი იქნება იმ წმიდანებისა და ანგელოზებისათვის, რომლებიც ამათ სძულთ და რომელთაც დღენიადაგ გმობენ. მაგრამ სწორედ ამ ანგელოზების შემწეობით გავაქარწყლებთ ებრაელი ქალის ჯადოსა და ნუსხას, რაშიაც ჩვენი ძმა ისე გახვეულა, თითქოს ბადეში მოხვედრილიყოს. ისევე გასწყვეტს იგი ამ დალილასთან ყოველგვარ კავშირს, როგორც სამსონმა დასწყვიტა ფილისტინელების მიერ ორკეცად შემოხვეული ახალთახალი თოკი... მერე ნახე, როგორ გაჟლეტს ურჯულოებს -

გორას გორაზე დააყენებს. ეს ბილწი ჯადოქარი კი, რომელმაც წმიდა ტაძრის ძმა მოგვინუსხა, უსათუოდ უნდა მოკვდეს.

- მაგრამ ინგლისის კანონები... - დაიწყო პრესეპტორმა, რომელსაც ის კი ძალიან გაეხარდა, რომ მაგისტრმა ბუა გილბერისა და მისკენ მიმართული რისხვა, იღბლად, სულ სხვა მხარეს წარმართა, მაგრამ მაინც შეფიქრიანდა, ძალიან შორსაც არ შესტოპოსო.

- ინგლისის კანონები, - შეაწყვეტინა ბომანუარმა, - ნებას აძლევს ყველა მსაჯულს, თავის უწყებაში თითონვე ქნას სამართალი. რაც არ უნდა წვრილი ბარონი იყოს, უფლება ენიჭება თავის მიწა-წყალზე შეიპყრას, გაასამართოს და დასაჯოს ჯადოქარი. ნუთუ ტაძრის ორდენის მაგისტრს აღარ დართავენ ამის ნებას თავისივე პრესეპტორიაში?!. არა!.. გავასამართლებთ კიდეც და დავსჯით კიდევაც. იგი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა და მისგან მოვლენილი ბოროტებაც გაქარწყლდეს. სეფე-დარბაზი სამსჯავროსათვის მოამზადე.

ალბერტ მალვუაზენმა თავი დაუხარა და გაბრუნდა - არა დარბაზის მოსამზადებლად, არამედ იმისთვის, რომ ბრიან დე ბუა გილბერი მოეძებნა და ყველაფერი შეეტყობინებინა.

ბევრი ძებნა არ დასჭირვებია - ტურფა ებრაელისაგან ხელახლა უარყოფილი და პირშიჩალაგამოვლებული ბუა გილბერი ბრაზით ცოფსა ყრიდა.

- ამისთანა უგუნურება და უმადურება გაგონილა, - გაიძახოდა იგი, - ხელი ჰკრა კაცს, რომელმაც საკუთარი თავი სასწორზე დასდო, სისხლის ღვარსა და ცეცხლში გამოგატარა და ისე გიხსნა! ღმერთს გეფიცები, მალვუაზენ, თავზე ცეცხლმოკიდებული ჭერი მენგრეოდა, მე კი მაინც მაგას ვეძებდი. ასობით მემშვილდისრის სანიშნედ ვიქეცი - როგორც სეტყვა სარკმლის დარაბაზე, ისე ტკაცუნობდა ჩემს მუზარადზე ისრები, ფარი კი ჩემთვის არ მემეტებოდა - მისთვის მქონდა მოფარებული... რა არ გადავიტენე მისთვის, ეს თავნება გოგო კი აქეთ მედავება, რატომ იქვე არ მიმატოვე, რომ დავღუპულიყავიო. მადლობას ვინ დაეძებს, იმედის შუქსაც არ იმეტებს, რომ ოდესმე მაინც მითანაგრძნოს. იმ ეშმაკს, რომელმაც მთელს მაგის რჯულს ჩაუნერგა სიჯიუტე, უმეტესი ნაწილი ამ ქალისთვის შემოუნახავს.

- მე როგორც ვატყობ, ეშმაკს არც შენ დაუტოვებიხარ უნუგეშოდ, - უთხრა პრესეპტორმა, - რამდენჯერ დამირიგებიხარ, სულ მთლად თუ ვერ მოთოკავ თავს, სიფრთხილე მაინც იხმარე-მეთქი! ხომ გეუბნებოდი, ქრისტიანი ქალები რამ გამოლია - ასეთი მამაცი რაინდისათვის უარის თქმას ცოდვადაც კი მიიჩნევენ-მეთქი, შენ კი ჩასციებიხარ ამ თავნება და აჯამ ურიის

გოგოს და აღარ ეშვები. წირვის მადლმა, ლუკა ბომანუარი მართალს ამ-ბობს, ჯადო უხმარიაო.

- ლუკა ბომანუარი! - შეჰყვირა ბუა გილბერმა წყენით, - ამას ეძახი შენ სიფრთხილეს, მალვუაზენ? ჭკვაგათხელებულ ბერიკაცს როგორ გააგები-ნე, რომ რებეკა მონასტერში გყავს!

- მე რა უნდა მექნა?! - უთხრა პრესეპტორმა, - რაც კი შემეძლო, მტკიცედ ვინახავდი შენს საიდუმლოს. მაგრამ მაინც გამჟღავნდა. ეშმაკმა გაგვცა თუ სხვა ვინმემ, ეს ეშმაკსავე თუ ეცოდინება. რამდენადაც კი შეიძლებოდა, მა-ინც შემოვატრიალე საქმე. თუ დასთმობ რებეკას, ხელსაც არავინ გახლებს. შეგიბრალეს, ჯადოქრობის მსხვერპლად მიგიჩნიეს. რებეკა ჯადოქარია და დაისჯება კიდეც საკადრისად.

- ზეცასა ვფიცავ, მაგის ნებას არავის მივცემ! - შესძახა ბუა გილბერმა.

- ზეცასა ვფიცავ, რომ უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდეც! - მიუგო მალ-ვუაზენმა, - ვეღარც შენ იხსნი იმას და ვერც ვერავინ. ლუკა ბონამუარმა გა-დაწყვიტა, ებრაელი ქალის სიკვდილით ტაძრელ რაინდთა ყველა სატ-რფიალო ცოდვა გამოვისყიდოს. შენც მოგეხსენება, რომ მას უფლებაცა აქვს ამისი და სურვილიც, გამოიყენებს კიდეც თავის უფლებას ასეთი საღ-ვთო და გონივრული საქმისათვის.

- შთამომავლობას ვერც დააჯერებ, რომ ქვეყნად ასეთი სულელური ფა-ნატიზმი არსებობდა, - თქვა ბუ გილბერმა, რომელსაც ერთ ადგილზე ვერ მოესვენა და ოთახში ჩქარი ნაბიჯით დადიოდა აქეთ-იქით.

- შთამომავლობა რას დაიჯერებს, ვერ გეტყვი, - წყნარად მიუგო მალ-ვუაზენმა, - მაგრამ ეს კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ასი სუ-ლიდან ოთხმოცდაცხრამეტი - ბერი იქნება თუ ერისკაცი - მაგისტრის მსჯავ-რზე ამინს იტყვის.

- რაღაც მოვიფიქრე, - თქვა ბუა გილბერმა, - შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ, ალბერტ. მომეხმარე, გამაპარებინე. უფრო უხიფათო და საიმედო ად-გილას დავმალავ.

- კიდეც რომ მინდოდეს, არ შემიძლია, - უპასუხა პრესეპტორმა, - მო-ნასტერი მაგისტრის მხლებლებით გაივსო, და სხვებიც ერთგულებას იჩენენ მის მიმართ. მართალი თუ გინდა, ამ საქმეში მხარს ვერ აგიბამ, თუნდაც იმედი მქონდეს, რომ ფონს მშვიდობიანად გავალთ. შენ გამო ისედაც ბევ-რჯერ ჩამიგდია თავი განსაცდელში. ვიღაც წათხიპნილი ურიის გოგოსთვის

სულაც არ მინდა, რომ შემაჩვენონ და მონასტრის წინამძღვრობა დამაკარგვინონ. და თუ დამიჯერებ, შენც გირჩევ - ამ გარეულ ბატზე ნადირობას თავი დაანებე და შენი შევარდენი ახლა სხვაზე მიუშვი. კარგად დაუფიქრდი, ბუა გილბერ - შენი დღევანდელი დღე, მომავალი დიდება, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ორდენში რა თვალით გიყურებენ. თუ გაჯიქდი და მაგ რებეკას ტრფიალი არ მოიშალე, იცოდე, რომ ბომანუარს შენი გაძევების უფლება აქვს და გამოიყენებს კიდეც ამ უფლებას. იგი გულისფანცქალით დაჰკანკალებს იმ კვერთხს, რომელიც აცახცახებულ ხელში უპყრია, და თან ისიც კარგად იცის, რომ ცალი თვალი შენც იმ კვერთხისკენ გიჭირავს,

რათა შენს მტკიცე ხელში გადმოიტანო. ჯადოქარი ებრაელის გამოსარჩლება თუ დაიწყე და ასეთი მშვენიერი საბაბი მიეცი, დარწმუნებული იყავი, დაგღუპავს. ამჯერად, გაცლა ჯობს, რადგან მაინც ვერაფერს გახდები. როცა შენს მტკიცე ხელში გადმოვა ის კვერთხი, მაშინ დაერიე ებრაელის ქალებს და გინდა შეიყვარე, გინდა კოცონზე დაწვი - როგორც საკუთარმა გულმა გითხრას.

- მალვუაზენ, - უთხრა ბუა გილბერმა, - შენ ხარ ცივსისხლა...

- მეგობარი! - დაასწრო და თვითონ დაამთავრა პრესეპტორმა ბუა გილბერის სათქმელი - შეეშინდა, უარესი სიტყვა არ დასცდენოდა, - მართლაც ცივსისხლა მეგობარი ვარ და ამიტომ უფრო დამჯდარი ჭკუით შემიძლია რჩევის მოცემა. კიდევ გიმეორებ - რებეკას ვეღარ დაიხსნი: შენ თვითონვე დაიღუპები მასთან ერთად. ახლავე მიდი მაგისტრთან და ფეხებში ჩაუვარდი, უთხარი...

- მაგას ვერ ეღირსება!..მისვლით კი მივალ და შიგ პირში მივახლი იმ გამოყეყეჩებულს, რომ...

- კარგი, პირში მიახალე, ის ტყვე ებრაელი გაგიჟებით მიყვარს-თქო, - გულგრილად უთხრა მალვუაზენმა, - რასაც მეტს დაანახვებ შენს გატაცებას, ისიც მით უფრო დააჩქარებს მომხიბლავი ჯადოქარის დასჯას. შენ კი, აღთქმის გამტეხი და მოღალატე, ძმებისაგან თანაგრძნობას ნუღარ

ელი. იმ ბრწყინვალე მომავლის ნაცვლად, რასაც პატივმოყვარული ოცნების თვალით ელოლიავები, ხელში შუბს მოგაჩეჩებენ, როგორც დაქირავებულ ჯარისკაცს, და ფლანდრიასა და ბურგუნდიას შორის ამტყდარ პატარა ჩხუბში გიკრავენ თავს.

- შენ მართალს ამბობ, მალვუაზენ, - უთხრა ბრიან დე ბუა გილბერმა მცირე დაფიქრების შემდეგ, - ამ გამოყეყეჩებულ ბერიკაცს მართლაც არ უნდა მივცე ამის საბაბი, რებეკა კი... ღირსი არ აღმოჩნდა, მისთვის თავი სასწორზე დასდოს კაცმა და პატივსა და დიდებას მოაკლდეს. ჩამოვეხსნები... ბედის ანაბარა მივატოვებ, თუკი...

მაგას ბევრი წილადობილა აღარ უნდა - ბრძნული და დროული გადაწყვეტილებაა, და ასეც უნდა მოიქცე, - უთხრა მალვუაზენმა, - დედაკაცები, ბოლოს და ბოლოს, ტიკინები არიან და მოცალეობის ჟამს გვართობენ ხოლმე... ცხოვრების მთავარი აზრი - პატივმოყვარეობაა. ოღონდ კი შენს წინ გაშლილ ბრწყინვალე მომავლისკენ გადადგა ნაბიჯი, და მაგ ებრაელისთანა მყიფე ტიკინები თუნდა ათასობით დაიმსხვრეს. ახლა ერთმანეთს გავშორდეთ... ნურც გამოვჩნდებით ასე მეგობრულ მუსაიფში გართულნი. მე უნდა წავიდე და სამსჯავროსთვის დარბაზი მოვამზადებინო.

- რაო! - შესძახა ბუა გილბერმა, - ასე მალე?

- ჰო, - მიუგო პრესეპტორმა, - როცა მსჯავრი წინასწარვეა გამოტანილი, სამსჯავროს დაყოვნებას რაღა აზრი აქვს!

- რებეკა, - წარმოთქვა ბუა გილბერმა, როცა მარტო დარჩა, - შენ მე ძვირად დამიჯდები... რატომ არ შემიძლია მართლაც ისე ბედისანაბარა მიგატოვო, როგორც ეს თვალთმაქცი მირჩევს?! ერთს კიდევა ვცდი... იქნებ დაგიხსნა... ოღონდ უმადურობას ნუღარ გამოიჩენ! თორემ, თუ კიდევ მკარი ხელი - ჩემი შურისძიება ისეთივე მძაფრი იქნება, როგორც ახლა სიყვარული. თავისი სიცოცხლე და სახელი სასწორზე რად უნდა დასდოს ბუა გილბერმა, როცა ჯილდოდ მხოლოდღა ზიზღსა და გაკიცხვას თავაზობენ.

ძლივს მოასწრო პრესეპტორმა სათანადო თადარიგის დაჭერა, რომ მასთან კონრად მონ ფიტჩეტი მივიდა და მაგისტრის გადაწყვეტილება შეატყობინა - ჯადოქრობაში ბრალდებული ებრაელის სამსჯავრო ახლავე უნდა დაიწყოსო.

- თავი სიზმარში მგონია, - თქვა პრესეპტორმა, - რამდენი ებრაელი აქიმი გვყავს, და ჯერაც არავის მოჰფიქრებია, ჯადოქრობა დაეწამებინათ, მიუხედავად იმისა, რომ სნეულებს ჩინებულად ჰკურნავენ!

- მაგისტრი სულ სხვანაირად ფიქრობს, - მიუგო მონ ფიტჩეტმა, - და შენთან დასამალი რა მაქვს, ალბერტ... ჯადოქარია თუ არ არის ჯადოქარი, ეს სულ ერთია, ძმაო, - ვიღაც უბადრუკი დედაკაცის დაღუპვა სჯობს, ოღონდ

ბრიან დე ბუა გილბერი არ გამოაკლდეს ჩვენს ორდენს, ან თვით ორდენში არ მოხდეს განხეთქილება. შენ თვითონაც ხომ იცი, რა ჩამომავლობისაა, რა მეომარია... რა სხელი აქვს გავარდნილი ჩვენს ძმათა შორის... მაგრამ ვერაფერი ვერ უშველის, თუ დიდმა მაგისტრმა ებრაელის ქალის თანამონაწილედ მიიჩნია და არა მსხვერპლად. ებრაელთა თორმეტივე ტომის სული რომ ედგას ამ ერთ ქალს, მაინც მარტო მაგისი სიკვდილი გვირჩევნია, ვიდრე მასთან ერთად ბუა გილბერის დაღუპვა.

- სწორედ ახლახან ვეჩიჩინებოდი, ჩამოშორდი-მეთქი, - უთხრა მალვუაზენმა, - მაგრამ მე რა მაინტერესებს - საკმაო საბუთები თუ გვაქვს, რომ ქალს ნამდვილად დავუმტკიცოთ ჯადოქრობა... დამამტკიცებელ საბუთებს რომ ვერ ნახავს, ვაითუ აზრი შეიცვალოს მაგისტრმა!

- უნდა ვიშოვოთ ეს საბუთები, ალბერტ, - მიუგო მონ ფიტჩეტმა, - უსათუოდ უნდა ვიშოვოთ, ხომ გამიგე?

- მესმის, - უპასუხა პრესეპტორმა, - ჩვენი ორდენის საკეთიდღეოდ არც დავიშურებ რამეს... მაგრამ ცოტა დრო დაგვრჩა, რას მოვასწრებთ!

- მალვუაზენ, - უთხრა კონრადმა, - მაინც უნდა მოვასწროთ. ეს შენთვისაც კარგი იქნება და ორდენისთვისაც. ტემპლსტოუ ღარიბი მონასტერია... „ღვთის სასუფეველს“ რომ ეძახიან, ის სავანე ორჯერ ამაზე მდიდარია... მგონი, შენც იცი, რომ ჩემს სიტყვას საკმაო ფასი აქვს ჩვენი წინამძღვრისათვის... ოღონდ ცრუ მოწმეები იშოვე და „ღვთის სასუფევლის“ პრესეპტორი გახდები ნაყოფიერი კენტის მიდამოებში... რას იტყვი?

- ბუა გილბერის მხლებელთა შორის, - მიუგო მალვუაზენმა, - ორ კაცს კარგად ვიცნობ - ადრე ჩემს ძმა ფილიპ მალვუაზენს ემსახურებოდნენ და მერე ფრონ დე ბეფის სამსახურში გადავიდნენ... იქნებ იმათ იცოდნენ რამე მაგ ქალის ჯადოქრობისა.

- ახლავე მოძებნე... და იცი რა... ერთი-ორი ოქრო თუ გახდეს საჭირო მათი მეხსიერების აღსადგენად, ნუ დაინანებ.

- ერთი ცეხინიც რომ აჩუქო, მშობელ დედასაც კი ჯადოქრად მონათლავენ და თან ფიცით გაამაგრებენ თავიანთ სიტყვას, - მიუგო პრესეპტორმა.

- მაშ ჩქარა წადი, - უთხრა მონ ფიტჩეტმა, - შუადღისას სასამართო დაიწყება. რაც მონათლული თათარი ჰამეთ ალფაგი დასწვეს კვლავ მუსლიმანური რჯულის მიღებისათვის, მას შემდეგ არ მინახავს ჩვენი მაგისტრი ასე აღგზნებული და დაფაცურებული.

ციხის დიდმა ზარმა რომ შუადღისა ჩამოჰკრა, რებეკამ ფეხის ხმა გაიგონა: საიდუმლო კიბეთი მისი სენაკისაკენ მოდიოდნენ. ერთი კაცის ნაბიჯებს არა ჰგავდა, ამან გაახარა ქალი, რადგან მძვინვარე და ვნებიანი ბუა გილბერის მარტოდ სტუმრობისა ყველაზე უფრო ეშინოდა. კარი გაიღო და სენაკში შევიდნენ კონრადი და პრესეპტორი მალვუაზენი, რომელთაც ოთხი შავად ჩაცმული, ჩუგლუგებიანი გუშაგი ახლდათ.

- დაწყევლილი ხალხის შვილო! - მიმართა პრესეპტორმა, - ადექი და გამოგვყევი.

- სად? - ჰკითხა რებეკამ, - ან რისთვის?

- დედაკაცო, - მიუგო კონრადმა, - შენი საქმეა მორჩილება და არა შეკითხვები. მაგრამ მაინც გეტყვი: ჩვენი ორდენის დიდი მაგისტრის წინაშე უნდა წარსდე სამსჯავროში და დანაშაულზე პასუხი აგო.

- დიდება შენდა, აბრაამის ღმერთო! - ღაღადჰყო რებეკამ და ხელები სასოებით გულზე დაიკრიფა, - მსაჯულის სახელი, თუნდაც ჩვენი მტრის სჯულისა იყოს, ჩემთვის მფარველის სახელს ნიშნავს. დიდის სიხარულით გამოგყვებით... ოღონდ ნება მიბოძეთ, პირბადე ჩამოვიფარო.

დინჯად და აუჩქარებლად დაუყვნენ კიბეს, გადასჭრეს ფართო ტალანი და დიდ დარბაზში შევიდნენ, საცა მაგისტრს სამსჯავრო მოეწყო.

ამ ვეება დარბაზის ქვემოთა მხარე სულ საჭურველთმტვირთველებითა და იომენებით იყო გაჭედილი, ასე რომ რებეკამ, თვით პრესეპტორის, მონ ფიტჩეტისა და ჩუგლუგიანი გუშაგების დახმარებით ძლივს გაიკვლია გზა. გავიდა და მისთვის მიჩენილ სკამისკენ გაემართა. გულხელდაკრეფილი და თავჩაღუნული რომ მიიკვლევდა გზას, ხელში ვიღაცამ ქაღალდი შეაჩეჩა. რებეკამ უნებურად ჩასჭიდა ხელი, მაგრამ ზედ არ დაუხედავს. მერე იმით გულმოცემულმა, რომ ამ საშინელ კრებულში ვიღაც მეგობარი გამოუჩნდა, თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა, სად მომიყვანესო. ხოლო რა სურათიც დაინახა, იმის აღწერას ჩვენ მომდევნო თავში შევეცდებით.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

როცა კაცს კაცის თანაგრძნობას უშლის კანონი,
ამნაირ კანონს ულმობელი კანონი ჰქვია;
ხუმრობაზე რომ გაღიმების ნებას არ გრთავენ,
ასეთ კანონსაც ულმობელი კანონი ჰქვია;
მაგრამ ყველაზე ულმობელი ის არის ქვეყნად,
გულქვა მსაჯულს რომ რკინის კვერთხი უჭირავს ხელში,
და ღვთის სახელით იქნევს ამ კვერთხს, ღვთის მოციქული.
შუა საუკუნეები

უდანაშაულო და უბედური რებეკას სასამართო მოწყობილი ჰქონდათ დიდი დარბაზის ერთ კუთხეში - ფიცარნაგსა თუ კვარცხლბეკზე, რომელიც, როგორც ერთხელ უკვე აღვწერეთ, განსაკუთრებულად საპატიო ხალხისა და სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი უძველეს სახლებში.

მაღალ ტახტზე, სწორედ დამნაშავის პირდაპირ, იჯდა ტაძრის დიდი მა-გისტრი, რომელსაც თეთრი ფარფაშა ანაფორა ემოსა, ხელში კი თავიანთი ორდენის კვერთხი ეპყრა, მის ფერხთით მაგიდა

დაედგათ და ორი მწერალი მიჯდომოდა - ამავე ორდენის კაპელანები, რომელთაც სასამართლოს ოქმი უნდა შეედგინათ. ამ მღვდლების შავი ანაფორები, მოტვლეპილი თავები და უწყინარი სახეები სავსებით განსხვავდებოდა დარბაზში მყოფ რაინდთა მხედრული იერისაგან. ამათგან ზოგი აქაური იყო, ზოგიც მაგისტრს ჩამოჰყოლოდა. პრესეპტორები - ოთხი პრესეპტორი ესწრებოდა სასამართლოს - მაგისტრის ტახტის დაბლა უნდა მსხდარიყვნენ, ოდნავ ტახტის უკან. კიდევ უფრო დაბლა და პრესეპტორებზე ასევე მოშორებით, შედარებით მცირე წოდების რაინდები ჩამომსხდარიყვნენ გრძელ სკამებზე. ამათ უკან, ოღონდ ისევ ფიცარნაგსა თუ კვარცხლბეკზე საჭურველთმტვირთველები ჩამწკრივებულიყვნენ; მათაც თეთრი ტანსაცმელი ეცვათ, მხოლოდ უფრო მდარე ხარისხისა.

მთელს დარბაზში ღრმა მდუმარება ჩამოწოლილიყო. რაინდების სახეებზე ადვილად შესამჩნევი იყო მხედრული გულოვანება და მედიდური თავდაჭერილობა, რაც კარგად უხდებოდა მათ სასულიერო მოწოდებას და რასაც ახლა - მაგისტრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით - განსაკუთრებულად ამჟღავნებდნენ.

დარბაზის დანარჩენი ნაწილი აფთმომარჯვებულ გუშაგებსა და ათასნაირი ჯურის ხალხს გაევსო, რომლებიც ცნობისმოყვარეობას მოეზიდათ - დიდი მაგისტრისათვის თვალის შევლებაც უნდოდათ და ჯადოქარი ებრაელის ნახვაც. უმრავლესობა, ცოტად თუ ბევრად, ტაძრის

ორდენთან იყო დაკავშირებული და შავი ტანსაცმლით სხვებისაგან ადვილად გამოარჩევდით. ახლომახლო მცხოვრები გლეხებისათვისაც არ აუკრძალავთ დასწრება, რადგან ბომანუარს ეამაყებოდა ეს ჭკუისსასწავლებელი სამსჯავრო და უნდოდა, რაც შეიძლება მეტს ენახა და მოესმინა. დიდი, ლურჯი თვალები თითქოს კიდევ უფრო გაფართოებოდა მაგისტრს, შეჰყურებდდა დარბაზში შეკრებილთ და საკუთარი სიდიადის შეგრძნებითა და დღევანდელი დიდი საქმის შესრულებით გაამაყებულს, სახე უბრწყინავდა.

სასამართლო დაიწყო ფსალმუნის გალობით; მაგისტრმაც მისცა ბანი თავისი დაბალი და რბილი ხმით, რაც ხნოვანებას სულაც არ დაეძაბუნებია. Venite, exultemus Domino[62]- ს დიდებული ჰანგი, რასაც ტაძრელები ძალიან ხშირად მღეროდნენ ხოლმე მიწიერ მტრებთან ბრძოლის დაწყების

წინ, ლუკამ ყველაზე უფრო შესაფერად მიიჩნია დღევანდელი სამსჯავრო-სათვის, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბნელეთის ძალებთან შეჭიდება მოუხდებოდათ და დასჯაბნიდნენ კიდეც. გუნდურ სიმღერებში გაწაფული ასობით მამაკაცის მგრგვინავი ხმა დარბაზის თაღოვან ჭერში აიჭრა და ერ-თბაშად მომსკდარი ნიაღვრის სიძლიერითა და საამური ჟღერადობით მთელს შენობას მოედო.

გალობის ხმები რომ მიწყდა, მაგისტრმა კრებულს მოავლო თვალი და შენიშნა, რომ ერთ-ერთი პრესეპტორის სკამი თავისუფალი იყო: ბრიან დე ბუა გილბერი ამდგარიყო და განზე

გამდგარიყო, გრძელ სკამზე ჩამწკრივებულ ტაძრელ რაინდთა მახ-ლობლად იდგა; ცალი ხელით თავისი გრძელი მოსასხამის კალთა ისე წა-მოეწია, რომ ნაწილობრივ სახეს უფარავდა, მეორე ხელში კი ჯვრის ვადია-ნი მახვილი დაეჭირა და მახვილის წვერით მუხის იატაკზე რაღაც ხაზებს ავ-ლებდა.

მაგისტრმა თანაგრძნბით შეხედა და ჩაილაპარაკა:

- უბედური! ხომ ხედავ, კონრად, ჩვენს წმიდა საქმეს რა დღეში ჩაუგდია! რაც არ უნდა მამაცი და ღირსეული რაინდი იყო, ბნელეთის ძალებთან და-კავშირებული დედაკაცის უბრალო შეხედვაც კი ასე მოგაქცევს!.. ხედავ, თვალსაც ვეღარ გვისწორებს. ამ დედაკაცისათვისაც კი ვერ შეუხედავს. ვინ იცის, რა ეშმაკური ძალა უბორგავს ახლა სხეულში, ასე გამწარებით რომ გამოჰყავს ეს კაბალისტური ხაზები იატაკზე!.. იქნებ ჩვენს სიცოცხლესა და სულიერ სიმშვიდესაც ემუქრებოდეს; მაგრამ ბილწი მტრის ყოველგვარ მზაკვრობას ჩვენ უნდა მივაფურთხოთ... Semper Leo percutiator.[63] ეს ჩუ-მად გადაულაპარაკა კონტრად მონ ფიტჩეტს. მერე ხმას აუწია და შეკრე-ბილთ მიმართა:

- გულოვნებით განთქმულნო, ღირსნო მამანო, რაინდნო, მოძღვარნო, ჩვენი წმიდა ორდენის

წევრნო და მესვეურნო, ძმანო და შვილნო ჩემნო!.. თქვენც მოგმარ-თავთ, ღვთისმოსავნო და წარჩინებულნო საჭურველთმტვირთველნო, რო-მელნიც ამ წმიდა ჯვრისთვის იღწვით!.. თქვენც, ძმანნო ქრისტიანენო, ყო-ველის წოდებისანო... უწყოდეთ, რომ არა სისუსტისა ჩვენისა გამო მოგიწო-დეთ შეკრებად ამ დარბაზსა შინა, რადგან რა გინდ უღირსი ვიყოთ ჩვენის

პირადის ღირსებითა, უფლება გვიძს ამ ჩვენზედ ბოძებულის კვერთხის ძალით განვსაჯოთ საქმე ყოველი, რაიცა ჩვენის წმიდა ორდენის კეთილდღეობას შეეხება. წმიდა ბერნარდი, ჩვენი სარაინდო და საღვთო წესდების ორმოცდამეცხრამეტე მუხლში გავსწავლის, რომ ძმათა შეკრება ბჭობად შეიძლება მარტოოდენ მთავარის წინამძღვრის ნებითა და სურვილით. ჩვენვე, და ჩვენზე უფრო ღირსეულ მამათ, წინამორბედთა ჩვენთა, მოგვანდო განვსაჯოთ - მხოლოდ ნაწილს ჩვენის ორდენის წევრთა მოვუწოდოთ შეკრებად თუ მთელსა. იმავე წესდების ძალით, უფლება გვენიჭება მოვუსმინოთ რჩევა ძმათა ჩვენთა, ხოლო საქმე გადავწყვიტოთ საკუთარის სურვილითა და განჩინებით. მაგრამ როცა გამძვინვარებული მგელი შეიჭრება ფარასა შიგან და წარიტაცებს ცხოვარსა, კეთილი მწყემსის ვალია, მოუწოდოს ძმათა თვისთა, და შურდულითა და ბოძალითა მოსპონ მტაცებელი, რათა, წესდების სიტყვებისა არ იყოს, არ გაუშვან ლომი შეუმუსვრელი. ამიტომ მოვიყვანეთ ჩვენ აქ ებრაელის დედაკაცი, სახელად რებეკა, ქალი ისააკ იორკელისა... დედაკაცი, რომელმაც მისნობითა და ჯადოქრობით შეირცხვინა სახელი; რომელმაც გააგიჟა, სისხლი აუმღვრია და ჭკუა შეურყია არა გლეხს ვისმეს... არამედ რაინდს... არა საერო რაინდს, არამედ წმიდა ტაძრის ორდენის ერთგულ წევრს... არა უბრალო რაინდს, არამედ

პრესეპტორს, ერთს გამორჩეულთაგანს. ჩვენს ძმა ბრიან დე ბუა გილბერს ყველა აქ მყოფი იცნობს, როგორც ჭეშმარიტსა და გულოვან წევრს ჩვენი ჯვრისას, წმიდა მიწაზე საგმირო საქმეებით გამოჩინებულს, რომელმაც მრავალი ადგილი განსწმინდა უწმინდურთაგან და ბევრი ურჯულოს ბილწი სისხლი დაანთხია. და არა მხოლოდ მამაცობითა და ჭეშმარიტებით გაითქვა სახელი ძმამან ჩვენმან, არამედ სიბრძნითა და სიქველითაც; მთელს აღმოსავლეთისა და დასავლეთის რაინდებს დე ბუა გილბერი მიაჩნიათ ამ კვერთხის მომავალ მფლობელად, როცა ზეცა ინებებს და ამ მოვალეობისაგან გამათავისუფლებს. ჩვენთვის რომ ეთქვათ, ასეთი კაცი, ასე პატივსადები, ღირსეული - ერთბაშად შეიცვალა, აღთქმა გასტეხა, ძმებს გადაუდგა, მომავალს თვალი დაუხუჭა, ებრაელის დედაკაცს გადაეკიდა, უდაბნოებში იწანწალა ამ ბილწ არსებასთან ერთად, მის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე სასწორზე დადო, ხოლო ბოლოს სულ მთლად დაბრმავდა და ჭკუაზეც იმდენად შეირყა, რომ ეს ქალი თავის წმიდა სავანეშიაც კი მოიყვანაო, ჩვენ მაშინვე იმას ვიტყოდით, რომ ამ კეთილშობილ რაინდს

სხეულში ავი სული შთასახლებია, ან ჯადოქარს მოუნუსხავსო!.. სხვაგვარად რომ გვეფიქრა, მაშინ ვერც მისი გვარიშვილობა, ვერც გულოვნება, ვერც კარგი სახელი და სხვა მრავალი მიწიერი გარემოებანი ვერ დაიფარავდნენ მას უმკაცრესი სასჯელისაგან, რათა ბოროტი სული გამოგვედევნა მისგან, ანუ როგორც წესდება გვასწავლის, auferte malum ex vobis[64], რადგან ეს სამწუხარო შემთხვევა ბევრი რამით სცოდავს ჩვენი ორდენის წმიდა წესდების წინაშე... ჯერ ერთი, იგი თვითნებურად ირჯებოდა და ეწინააღმდეგებოდა ოცდამეცამეტე მუხლს - Quod nullus juxta propriam voluntatem incedat…[65] მეორე, ეკლესიისგან განკვეთილ არსებას დაუკავშირდა, ხოლო ორმოცდამეჩვიდმეტე მუხლი გვასწავლის, რომ UT fraters non participent cum excommunicatis[66] და, ამრიგად anathema Maranatha დაიმსახურა... მესამე, ურთიერთობა გააბა უცხოელ ქალთან და ამით გადაუდგა წესდებას, Ut fraters non coversantur cum extraneis mulieribus…[67] მეოთხე, არ მოერიდა, პირიქით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, თვითონვე მოიწადინა ეკოცნა დედაკაცისათვის, ამაზე კი ჩვენი წესდების უკანასკნელ მუხლში Ut fugiantuz oscula[68], ნათქვამია, ჩვენი ჯვრის მხედრები მუდამ უნდა ერიდონ ასეთ მახეში გაბმას. ასეთი მარავალრიცხოვანი და და ღვთისსაგმობიშეცდომებისათვის, ბრიან დე ბუა გილბერი ღირსი იქნებოდა ძმობიდან მოგვეკვეთა და გაგვეძევებინა, თუნდაც ჩვენი ორდენის მარჯვენა თვალი იყოს.

მაგისტრი შეჩერდა. კრებულს ჩუმმა ბუტბუტმა გადაურბინა. შედარებით უფრო ახალგაზრდებმა De osculis fugiendis გაგონებაზე სიცილი ძლივს შეიკავეს, - სუნთქვა შეიკრეს და სულგანაბულებმა სმენა გაამახვილეს, აბა კიდევ რას იტყვისო.

- მართლაც რომ დიდი და მძიმე იქნებოდა სასჯელი, - განაგრძო მაგისტრმა, - თუ ტაძრელ რაინდს დაუმტკიცდებოდა, რომ მან თავისი ნებით გასტეხა ფიცი და ასე საშინლად შესცოდა. მაგრამ თუკი რაინდის სულს, ნუსხისა და ჯადოს ძალით სატანა დაეპატრონა, მაშინ ჩვენ შებრალება უფრო გვმართებს ასეთი კაცისა და არა დასჯა; მაშინ იმგვარი სასჯელი უნდა

დავადოთ, რაც სულიერ განწმენდაში დაეხმარება, ხოლო მთელი რისხვა იმ მზაკვრის წინააღმდეგ მივმართოთ, რომელმაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა... ამიტომ მოგიწოდებთ, ვინც კი ხართ მოწმე ამ უბედური საქმისა,

გამოდით და თქვით, რაც კი იცით, რათა ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ და განვსაჯოთ, რათა გადავწყვიტოთ: მარტო ამ უწმინდური დედაკაცის დასჯით აღვადგენთ სიმართლეს, თუ იძულებული უნდა გავხვდეთ, საშინელი გულისტკივილით, ჩვენი ძმაც მასთან ერთად დავსაჯოთ.

გამოიძახეს რამდენიმე კაცი და დაჰკითხეს. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ბუა გილბერმა მართლაც დიდ საფრთხეში ჩაიგდო თავი, როცა რებეკა ცეცხლმოდებული ციხიდან გამოჰყავდა, მარტო ქალის გადარჩენა ახსოვდა და საკუთარ სიცოცხლეს კი სულაც არ ზოგავდა. ბევრი რამე გადააჭარბეს, როგორც საერთოდ სჩვევია ხოლმე გაუნათლებელ ხალხს, რომელთაც რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა მეტისმეტად აღაგზნებს; ყველაფერი არაჩვეულებრივის გაზვიადების ბუნებრივი მიდრეკილება კიდევ უფრო გაუმძაფრდათ, როცა იგრძნეს, რომ მთავარ მსაჯულს, ვის წინაშეც იდგნენ ახლა ისინი, მათი ჩვენება სასიამოვნოდ დარჩებოდა. ასე რომ, ისედაც დიდი საფრთხე, რაც ბუა გილბერს ემუქრებოდა, ამათ უსაშველოდ გაზარდეს: ის თავგანწირვა, რაც ბუა გილბერმა გამოიჩინა რებეკას გადასარჩენად, არა თუ გონივრული სიფრთხილის საზღვრებს სცილდებოდა, არამედ რაინდული თავდადების უმაღლეს გამოვლინებასაც კი აღემატებოდაო.

ამის შემდეგ გამოიძახეს მოძღვარი, რათა სამსჯავროსათვის მოეხსენებინა როგორ მოიყვანა ბუა გილბერმა ებრაელის ქალი სავანეში. მალვუაზენი ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდა: აშკარად ჩანდა, რომ ყოველნაირად ცდილობდა, ბუა გილბერის გრძნობები დაეზოგა, მაგრამ შიგადაშიგ ისეთ რამეს ჩაურთავდა, რაც რაინდის დროებითი შერყევის დამადასტურებელი იყო, ისე გაგიჟებით შეჰყვარებოდა მას სავანეში მოყავნილი ქალი. ოხვრითა და ხვნეშით გამოთქვა მოძღვარმა სინანული, რებეკა და მისი ტრფიალი სავანეში რამ შემაკედლებინაო.

- მაგრამ ჩვენს ღირს მამას, ჩვენი ორდენის მაგისტრს, უკვე მოვახსენე ამის მიზეზი, - განაგრძო მოძღვარმა, - მან უკვე უწყის, რომ ავი განზრახვა არა მქონია, თუმცა კი შეცდომა მომივიდა. და სიხარულით შევხვდები ყოველგვარ სასჯელს, რასაც ის ჩემთვის ინებებს.

- შენ კარგად ილაპარაკე, ძმაო ალბერტ, - უთხრა ბომანუარმა, - განზრახვა კარგი გქონია, როცა ცდილობდი ძმა დაგეხსნა სულელური დაღუპვისაგან. მაგრამ მაინც შეცდომა მოგივიდა; გაჭენებულ რაშს რომ გამოეკიდები, უზანგში კი არ უნდა ჩაავლო ხელი, აღვირში უნდა სწვდე, თორემ

ვერც დაიჭერ და შენ თვითონ დაშავდები. ჩვენი ორდენის დამაარსებელმა „მამაო ჩვენოს“ წაკითხვა დილით ცამეტჯერ დაგვიწესა, მწუხრის ჟამს კი - ცხრაჯერ; შენ ორჯერ მეტს წაიკითხავ. ხორცის ჭამის ნება ტაძრელებს კვირაში სამჯერა აქვთ; შენ კი მთელი შვიდი დღე არ შესჭამ. ასე გაგრძელდება ექვსი კვირა, და ამით დამთავრდება შენი სასჯელიც.

პირფერმა მოძღვარმა უღრმესი მორჩილების ნიშნად თავი იატაკამდე დახარა და ისევ ადგილზე დაჯდა.

- საჭირო ხომ არ იქნება, ძმანო, - თქვა მაგისტრმა, - რომ ახლა ამ დედაკაცის წარსულ ცხოვრებასა და საქმიანობასაც გადავხედოთ და ვნახოთ, მართლა თუ შეეძლო მას მისნობა და ჯადოქრობა გამოეყენებინა; რადგან, როგორც აქ მოსმენილით ირკვევა, ამ უბედურ საქმეში ჩვენი გზასაცდენილი ძმა სწორედ ეშმაკეული მზაკვრობით გაბმულა!

იქ მყოფ პრესეპტორთაგან მეოთხე ჰერმან გუდალრიკი იყო; პირველ სამს უკვე ვიცნობთ - კონრადი, მალვუაზენი და თვით ბუა გილბერი. ჰერმანი ძველი მეომარი გახლდათ და სახე სულ მუსლიმანთა ხმლებით ჰქონდა დასერილი. ძმათა შორის დიდი პატივისცემითა და სახელით სარგებლობდა. იგი წამოდგა და მაგისტრს თავი დაუხარა. მაგისტრმაც მაშინვე მისცა ლაპარაკის უფლება.

- მაღალღირსო მაგისტრო, იქნებ ჩვენმა მამაცმა ძმამ, ბრიან დე ბუა გილბერმა გვითხრას, ამ საოცარ ბრალდებაზე თვითონ რას ფიქრობს, ან ებრაელის ქალთან თავის ბედუკუღმართ კავშირს რა თვალით უყურებს.

- ბრიან დე ბუა გილბერ, - მიმართა მაგისტრმა, - ხომ გაიგონე? ძმა გუდალრიკს პასუხი სურს, უპასუხე!

ბუა გილბერმა მაგისტრისკენ მოაბრუნა თავი, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

- სიმუნჯის დემონი დაპატრონებია, - თქვა მაგისტრმა, - განვედ, სატანა!.. თქვი, ბრიან დე ბუა გილბერ, ამ წმიდა კვერთხის ძალით მოგიწოდებ.

ბუა გილბერმა ძლივს დაფარა ზიზღი და გულისწყრომა, რადგან კარგად იცოდა, რომ ამ გრძნობების გამომჟღავნება არაფერს უშველიდა.

- მაგისთანა დაბნეულსა და არაადამიანურ ბრალდებას, მაღალღირსო მამაო, ბუა გილბერი არ უპასუხებს, - მიუგო მან, - მის პატიოსნებას რომ შეხებოდნენ, მაშინ საკუთარი სხეულით დაიცავდა ღირსებას, და აი ამ ხმლით, რომლითაც ბევრჯერ უბრძოლია ქრისტაინობის სადიდებლად.

- გვიპატიებია, ძმაო ბრიან, - უთხრა მაგისტრმა, - თუმცა კი შესცოდე ჩვენს წინაშე და კვეხნას მოჰყევი შენი საომარი საქმეების გამო, საკუთარ ღვაწლთა დიდებით შემოსვა კი ეშმაკის ოინებია: გვაცდუნებს, რათა განუზომლად აღგვაზევოს. მაგრამ მაინც გვიპატიებია, რადგან შენ ახლა შენს

სათქმელს კი არ ლაპარაკობ, არამედ იმის სიტყვებს იმეორებ, ვინც ღვთის შეწევნით, აქედან უნდა გავაძევოთ.

ბუა გილბერის მძვინვარე თვალებში წამით ზიზღმა გაიკვესა, მაგრამ პასუხი არ გაუცია მაგისტრისთვის.

- რაკი ძმა გუდალრიკის შეკითხვა ასე უპასუხოდ დარჩა, - განაგრძო მაგისტრმა, - ისევ საქმეს მივუბრუნდეთ, ძმანო, და ჩვენი მფარველის შეწევნით ბოლომდე გავარკვიოთ ამ უმსგავსოების საიდუმლო... თუ ვინმემ იცის ამ ებრაელი ქალის ცხოვრებისა და საქციელის რაიმე ამბავი, აქ გამოვიდეს.

დარბაზის ბოლოში ჩოჩქოლი ატყდა და, როცა მაგისტრმა მიზეზი იკითხა, მოახსენეს, ვიღაც ხეიბარია, ადრე ბრალდებულს უმკურნალია მისთვის და სასწაულებრივი ბალზამის წყალობით ფეხზე დაუყენებიაო.

- ძალით გამოაგდეს წინ საწყალი საქსონელი გლეხი კაცი, რომელიც დამბლისაგან განკურნებულიყო და ახლა შიშით კანკალებდა - ებრაელთან მკურნალობის გამო არ დამსაჯონო. მთლად ჯერაც არ მორჩენილიყო - ისევ ყავარჯნებს ეყრდნობოდა. ძალიან უხალისოდ და ცხარე

ცრემლების ფრქვევით ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც აღიარა, რომ ამ ორი წლის წინათ, როცა იგი იორკში ცხოვრობდა და მდიდარ ებრაელ ისაკთან მუშაობდა დურგლად, უეცრად საშინელმა სენმა დარია ხელი, ლოგინად ჩააგდო და, მანამ რებეკა მკურნალობას დაუწყებდა, განძრევაც კი არ შეეძლო; განსაკუთრებით რაღაც მხურვალე, სურნელოვანმა ბალზამმა უშველა და საძრაობა დაუბრუნა. მერე ეს ძვირფასი მალამო გამომატანა, საგზაო ფულიც მაჩუქა და შინ გამომისტუმრაო. მამამისი თურმე ტემპლსტოუს მახლობლად ცხოვრობდა.

- და ესეც უნდა მოგახსენო, მაღალღირსო მამავ, - თქვა გლეხმა, - არა მგონია, ამ ქალს ჩემთვის ცუდი სდომებოდეს, თუმცა კი, თავისდა ჭირად, ებრაელად დაბადებულა; რადგან, მაგის მალამოს რომ ვისვამდი, თან მამაო ჩვენოსა და უფალო შეგვიწყალეს ვამბობდი და წამალს ძალა მაინც არ დაუკარგავს.

- გაჩუმდი, მონავ, - უთხრსა მაგისტრმა, - და აქედან გაგვშორდი. სწორედ შენნაირმა პირუტყვებმა უნდა იმკურნალონ მაგის მალამოთი. ჯოჯოხეთის ძალებს შენს მეტი აბა, ვინ გაუწევს სამსახურს! მე შენ გეუბნები, რომ ეშმაკი ზოგჯერ განგებ შეგყრის რამე სენს, რათა მერე ხელადვე განგკურნოს და თავის ეშმაკეულ წამალს სახელი გაუთქვას. კიდევ თუ დაგრჩა ის სათხიპნი?

- გლეხმა ფრთხილად მოიქექა უბე და ხელის კანკალით ამოიღო პატარა კოლოფი,

რომელზედაც ებრაული ასოები იყო გამოყვანილი. იქ მყოფთა უმრავლესობისათვის ეს საკმარისი გახდა ეფიქრათ, რომ წამალი თვით ეშმაკის შეზელილი იყო. ბომანუარმა პირჯვარი გადაისახა, კოლოფი აიღო და, აღმოსავლური ენების კარგად მცოდნემ, წარწერა თავისუფლად წაიკითხა; „ლომმან იუდას მუხლისამან დაამარცხა...“

- სწორედ ეს არის სატანას საოცარი ძალა, - თქვა მაგისტრმა, - წმიდა სიტყვებს ღვთისმგმობელობით ბღალავს, ამასობაში პურში შხამს გვიზავებს!.. აქიმი არავინ არის აქა, რომ გაგვაგებინოს, რისგან არის შედგენილი ეს უცნაური მალამო?

მაშინვე გამოვიდა ორი ექიმი (ასე ჩემულბდნენ, ექიმები ვართო) - ერთი ბერი, ხოლო მეორე დალაქი. გასინჯეს მალამო და გამოტყდნენ - ვერაფერი გავუგეთო, ოღონდ ეს კია, რომ ქაფურისა და საკმლის სუნი ასდის, ხოლო ესენი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, აღმოსავლური ბალახები უნდა იყოსო. მაგრამ, პროფესიული შურით გულგავსებულებმა, მაინც უმტრეს თავიანთ განთქმულ მეტოქეს და დასძინეს, რაკი ვერ შევიცანით ამ წამლის შედგენილობა, ნამდვილად უკანონო ხერხებით არის შეზავებული, რაიმე ჯადოთიო; მართალია, ჩვენ თვითონ არ მივდევთ ჯადოქრობას, მაგრამ მკურნალობის საქმე, რამდენადაც ამის ნებას ქრისტეს რჯული გვაძლევს, კარგად ვიცითო. წამლის შემოწმება რომ დამთავრდა, საქსონელმა გლეხმა მორჩილად ითხოვა, ჩემი მალამო, რომელმაც ასე მიშველა, უკანვე დამიბრუნეთო. მაგრამ დიდმა მაგისტრმა კოპები შეიკრა.

- რა გქვიან შენ, ყმაწვილო? - ჰკითხა მან ხეიბარს.

- ჰიგი, სნელის შვილი ვარ, - მიუგო გლეხმა.

- მაშ მისმინე, ჰიგი, სნელის შვილო, - უთხრა მაგისტრმა, - ურჯულოს წამლით ფეხზე წამოდგომასა და სიარულს, ისევ ლოგინზე მიჯაჭვა გერჩივნოს. ურწმუნოსაგან საჩუქრის მიღებას ან მასთან ფულზე მუშაობას, ისევ ისა სჯობს მივარდე და წაგლიჯო საგანძური. ახლა წადი და რაც გითხარი, ის გააკეთე.

- ვაი, მე უბედურს! - ამოიოხრა გლეხმა, - კი ნუ მიწყენ, ღირსო მამავ, მაგრამ შენი დარიგება მე აღარ გამომადგება - ხეიბარი ვარ. ეგერ ჩემი ორი ძმა ემსახურება მდიდარ რაბინს ნათან ბენ სამუელს და იმათ შევატყობინებ შენს სიტყვებს: კანონის დაცვა თუ სურთ, ერთგულად და პატიოსნად აღარ ემსახურონ თავინთ ბატონს, ისე წაგლიჯონ ყველაფერი.

- გააგდეთ, ეს ყბედი არამზადა! - შესძახა ბომანუარმა; მისი ზოგადი მსჯელობიდან რომ ასეთი პრაქტიკული დასკვნა გამოიტანეს, აღარ იცოდა რა ეპასუხნა.

ჰიგი, სნელის შვილი, ისევ შეერია ბრბოს, მაგრამ ისე აინტერესებდა თავისი მხსნელის ბედი, რომ

გარეთ აღარ გავიდა, იქვე დარჩა, თუმცა ეს დიდი თავგანწირვა იყო მისი მხრით, რადგან კიდევ შეიძლებოდა დასტყდომოდა რისხვა სასტიკი მსაჯულისა, ვისი შიშითაც მას გული უთრთოდა.

მაგისტრმა ჩადრის მოხსნა უბრძანა რებეკას. ქალი აქამდე სდუმდა, მხოლოდ ახლა გახსნა ბაგე და მოთმინებით, მაგრამ ღირსეულად უპასუხა, ჩვენი რჯული ქალებს უკრძალავს უცხო ხალხთან სახის გამოჩენასო. მისი ხმის საამურმა ჟღერამ და მშვიდმა პასუხმა ხალხში სიბრალული და თანაგრძნობა აღძრა. მაგრამ მაგისტრმა, - რომელსაც დიდ სათნოებად მიაჩნდა ყოველგვარი გრძნობის დათრგუნვა, რაც კი მისი მოჩვენებითი მოვალეობის აღსრულებას შეუშლიდა ხელს, - კვლავ გაიმეორა ბრძანრება - ახლავე ჩამოხსენით პირბაოდეო. ის იყო, გუშაგებს ძალათი უნდა ჩამოეგლიჯათ ჩადრი, მაგრამ ქალი მაგისტრს მიუახლოვდა და უთხრა:

- თქვენი ქალიშვილების სიყვარული მაინც არა გაქვთ?.. ვაგლახ, - განაგრძო მან, - თქვენ ხომ შვილები არა გყავთ!.. დედები მაინც გაიხსენეთ... თქვენი დების სიყვარულით... ქალების პატივისცემით... ნუ გააბედინებთ, რომ თქვენს წინაშე ასე მომექცნენ; სად გაგონილა, მეჯინიბეები ასე უდიერად მოეპყრან ქალს?!. მაგრამ, დაგემორჩილებით, მე თვითონ მოვიხდი, - დასძინა მან ისეთი მწუხარე მორჩილებით, რომ ბომანუარსაც კი მოულბო

გული, - თქვენ უხუცესი ხართ თქვენის ხალხისა და თქვენი ბრძანებით მე გამოვაჩენ უბედური ქალის სახეს.

ჩადრი მოიხსნა და შეხედა; მის გამომეტყველებაში შერწყმული იყო ქალწულებრივი კდემამოსილებაცა და ღირსეული სიამაყეც, ქალის საარაკო სილამაზემ დარბაზში გაკვირვების ჩოჩქოლი გამოიწვია. ახალგაზრდა რაინდებმა ერთმანეთს გადახედეს, ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ თითქოს თავლებით ამბობდნენ - ბრიანის გასამართლებელი საბუთი ამის მომხლიბლაობა ყოფილა და არა რაღაც მოჩმახული ჯადოქრობაო. მაგრამ ყველაზე უფრო ჰიგ სნელის შვილზე იმოქმედა მხსნელის დანახვამ.

- გამიშვით! - შესძახა მან გუშაგებს, - გამიშვით, გარეთ გავიდე... ერთხელ კიდევ რომ შევხედო, აქვე გავთავდები, მაგის მოკვლაში მეც დავიდე წილი.

- დამშვიდდი, უბედურო კაცო! - მიმართა რებეკამ, როცა მისი ყვირილი გაიგონა, - შენ სრული ჭეშმარიტება თქვი - ჩემთვის არაფერი დაგიშავებია... შენი შეცოდება და სინანული აღარაფერს მიშველის. დამშვიდდი და შენს თავს მიხედე.

გუშაგებს შეებრალათ ჰიგი და გარეთ გაყვანა დაუპირეს, რადგან შეეშინდათ - ამისი გოდებ რომ მისწვდეს მსაჯულის ყურს, ვაითუ ეგეც სასტიკად დასაჯოს და ჩვენც რისხვა დაგვატეხოსო. მაგრამ ჰიგმა აღუთქვა, გავჩუმდებიო, და მათაც დასტოვეს.

ახლა დასაკითხად გამოუძახეს ორ ჯარისკაცს, რომლებიც ალბერტ მალვუაზენმა წინასწარ დაარიგა, რა უნდა ელაპარაკნათ. საშინელი გულქვა და ღვთისპირიდან გადავარდნილი არამზადები იყვნენ, მაგრამ ტყვე ქალწულის ზრაპრული სილამაზე რომ იხილეს, პირველად თითქოს დაიბნენ. მერე ტემპლსტოუს მოძღვარმა გადაუბღვირა, და კვლავ ძაღლთაპირებად იქცნენ: ისეთი დაწვრილებით და გულმოდგინებით მოჰყვნენ ყოველგვარ წვრილმანს, რომ ცოტა უფრო მიუკერძოებელ მსაჯულს უსათუოდ საეჭვოდ მოეჩვენებოდა. მოხსნეს პირი გუდას და რაც იცოდნენ და არ იცოდნენ, ყველაფერი დაფქვეს; სულ უწყინარი ამბები ისე გაბერეს და გააზვიადეს, თან ისეთის ამბით ყვებოდნენ და ისეთ ღვარძლიან ახსნას აძლევდნენ, რომ ჩვეულებრივი მოვლენებიც კი საეჭვოდ გამოჩნდა! მათი ჩვენება დღევანდელ პირობებში შეიძლებოდა ორ ჯგუფად დალაგებულიყო: სავსებით დაუსაბუთებელი და ყოვლად შეუძლებელი. მაგრამ იმ უვიცსა

და ცრუმორწმუნე დროში ყველაფრი სჯეროდათ და ბრალდების დამადასტურებელ საბუთად ღებულობდნენ... პირველი ჯგუფის ჩვენებაში ნათქვამი იყო, მაგალითად, რომ რებეკა რაღაც გაუგებარ ენაზე ბუტბუტებსო... ისე ტკბილად და მომხიბლავად მღერის, რომ მსმენელს ყურები უწივის და გული უჩქროლავსო... ზოგჯერ თავისთვის იტყვის რამეს და თავს კი ზევით ასწევს პასუხის მოლოდინშიო... ტანსაცმელიც რაღაც უცნაური აცვია, წესიერი ქალების ჩეულებრივ კაბებს არა ჰგავსო... ბეჭდებზე სულ კაბალისტური ნიშნები აქვს ამოკვეთილი და ეს უცნაური ნიშნები პირბადეზეც კი ამოუქარგავსო.

ეს ჩეულებრივი და უმნიშვნელო გარემოებანი ისეთის სერიოზულობით მოისმინეს, თითქოს ჯოჯოხეთის იდუმალ ძალებთან კავშირის უტყუარი საბუთები ყოფილიყოს, ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი კავშირის დიდი ეჭვების აღმძვრელი მაინც.

სხვაგავარი ჩვენებაც იყო - უფრო მძიმე, მაგრამ სავსებით დაუჯერებელი, რაც გულუბრყვილო კრებულმა, ან - თუ მთელმა დარბაზმა არა, უმეტესმა ნაწილმა მაინც, - დიდის გაფაციცებით მოისმინა. ერთ ჯარისკაცს ენახა, მაგალითად, როგორ განკურნა რებეკამ დაჭრილი კაცი, რომელიც მათთან ერთად მოეყვანათ ტორკილსტონში. ჭრილობაზე ნიშნებს ადებდა და თან გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ სიტყვებისა მე არაფერი გამეგებოდაო; უცებ ჭრილობიდან სამალის ისრის რკინის ბუნიკი გამოძვრა, სისხლისდენა ხელად შეწყდა, ჭრილობა შეუხორცდა და ეს მომაკვდავი კაცი თხუთმეტიოდე წუთში ციხის გალავანზე გამოვიდა და მანგონელის გამართვა მიშველა, რომლითაც მოწინააღმდეგისათვის ქვები უნდა დაგვეშინაო. ეს ზღაპარი, ეტყობა, მხოლოდ იმაზე იყო დაფუძნებული, რომ რებეკა მართლაც მკურნალობდა დაჭრილ აივენჰოს ტორკილსტონში. მაგრამ ჩვენების სისწორეში ეჭვი არავის შეუტანია, რადგან თავისი სიტყვების დასადასტურებლად ჯარისკაცმა ქისა გახსნა და იქიდან ის ბუნიკი ამოიღო, რომელიც თითქოს ისე სასწაულებრივად გამოძვრა ჭრილობიდან; ბუნიკი მთელს უნციას იწონიდა და ამან მთლად სარწმუნო გახადა მოწმის სასწაულებრივი ჩვენება.

მეორე მოწმე ციხე-სიმაგრის კოშკზე მდგარა და თურმე იქიდან უყურებდა რებეკასა და ბუა გილბერს, როცა ქალი მოაჯირზე შეხტა და იქიდან ძირს

გადახტომა დააპირა. ამხანაგს რომ არ ჩამორჩენოდა, ამ ყმაწვილმა სამსჯავროს მოუთხრო, როგორ იდგა ერთხანს რებეკა მოაჯირის ძგიდეზე, მერე უცებ როგორ იქცა რძესავით თეთრ გედად, სამჯერ შემოუფრინა ტორკილსტონის ციხეს, ბოლოს ისევ იმ მოაჯირზე დასკუპდა და კვლავ ქალად გადაიქცაო.

ვინმე ღარიბი და მახინჯი დედაბრის დასასჯელად ამის ნახევარი ბრალდებაც კი საკმარისი იქნებოდა, თუნდაც ებრაელი არ ყოფილიყო. ისეთი საბედისწერო აღმოჩნდა ეს ჩვენება, რომ ერთბაშად გადაწორნა რებეკას ახალგაზრდობაცა და საოცარი სილამაზეც.

მაგისტრმა კენჭი ყარა, და შემდეგ მედიდურად მიმართა რებეკას: სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ, რასაც მე ახლა გამოვაცხადებ, სათქმელი თუ რამე გაქვსო.

- შებრალება რომ გთხოვოთ, - თქვა მშვენიერმა ებრაელის ქალმა მთრთოლვარე ხმით, - დარწმუნებული ვარ, უსარგებლოც იქნება და ჩემთვის დამამცირებელიც; იმის მტკიცებას მოვყვე, რომ სხვა რწმენის ავადმყოფთა და დაჭრილთა მოვლა-მკურნალობა ჩვენი სარწმუნოებების საერთო დამფუძნებელს არ განარისხებს-მეთქი, აგრეთვე ამაო იქნება; გიმტკიცოთ, რომ რაც ამ ჯარისკაცებმა (ღმერთმა შეუნდოს მათ!) ჩემზე ილაპარაკეს, ნახევარზე მეტი შეუძლებელი და

დაუჯერებელია-მეთქი, არაფერს მიშველის, რაკი თქვენ ასე გჯერათ; მით უფრო წყლის ნაყვა იქნება თავი ვიმართლო, რომ ჩემი ტანსაცმელი, ენა და ჩვეულებები, რაც თქვენთვის ასე უცხო ჩანს, ჩემი ხალხისთვის... (ჩემი ქვეყნისთვის-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვაგლახ! ქვეყანა სადღა გვაქვს)... სავსებით ჩვეულებრივია. არც იმას ვიზამ, რომ თავის დასახსნელად მთელი ბრალდება დავაკისრო ჩემს მტანჯველს, რომელიც დგას აგერ და არხეინად ისმენს ათასნაირ ყალბ ვარაუდს, რამაც მტარვალი მსხვერპლად უნდა დაგასახვინოთ... ღმერთმა განსაჯოს, მე ვარ მართალი თუ ეს! მაგრამ მე მაინც მირჩევნია, ათჯერ ავიტანო თქვენგან ერთხელ მოსჯილი სიკვდილი, ვიდრე მაგ ბელიარის მიმდევარს ვუგდო ყური და შევუსრულო ის ზრახვა, რასაც თავს მახვევს... თავის ტყვეს - უმწეოსა და უთვისტომოს. ასეა, თქვენ ერთი სარეწმუნოება გაქვთ და მაგის ლიტონ სიტყვასაც კი მეტი ფასი აქვს თქვენთის, ვიდრე ტანჯული ებრაელი ქალის საზეიმო

ფიცს. ამიტომ რაღა აზრი აქვს ჩემკენ მომართული ბრალდება მას დავუბრუნო... მაგრამ პირადად მას კი... დიახ, ბრიან დე ბუა გილბერ, შენ მოგმართავ და მიპასუხე - განა ყალბი არ არის ყველაფერი, რასაც აქ ჩემზე ამბობენ? განა საზიზღარი და მომაკვდინებელი ცილისწამება არ არის ეს?!

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ ბრიან დე ბუა გილბერისაკენ მიიხედა. ისიც სდუმდა.

- თქვი, - განაგრძო ქალმა, - თუ ვაჟკაცი ხარ, ქრისტიანი თუ ხარ, მიპასუხე!.. გაფიცებ ტანისამოსს,

რომელიც გაცვია!.. გვარიშვილობას გაფიცებ... რაინდობას გაფიცებ, რაც შენ ასე საამაყოდ გაქვს... დედაშენის პატიოსნებას გაფიცებ... მამაშენის საფლავსა და ძვლებს გაფიცებ... თქვი, გაფიცებ, თქვი, რაც აქ ილაპარაკეს, მართრალია?

- უპასუხე, ძმაო, - უთხრა მაგისტრმა, - თუ მთლად არ მოგრევია სატანა, რომელიც შენ დასაღუპავად გებრძვის.

ბუა გილბერის არსებაში მართლაც ისე ებრძოდნენ ერთმანეთს სულ საწინააღმდეგო ვნებანი და გულისთქმანი, რომ სახე ერთიანად დაღმეჭოდა და ორი სიტყვაც კი ძლივსძლივობით ამოღერღა:

- ბარათი!.. ბარათი!..

- აკი ვთქვი! - წარმოთქვა ბომანუარმა, - მეტი რაღა საბუთი გინდათ! ჯადოქრობის მსხვერპლს ხმა ჩაუწყდა და რაღაც საბედისწერო ბარათის მეტს ვეღარაფერს ამბობს - ეტყობა, რაღაც თილისმაა და ის ამუნჯებს.

მაგრამ რებეკამ სულ სხვანაირად ახსნა ბუა გილბერის სიტყვები, ბარათს დახედა, რომელიც ისევ

ხელში ეჭირა, და არაბულად დაწერილი ამოიკითხა: „მოითხოვე დამცველი!“ ბუა გილბერის უცნაურმა პასუხმა ისეთი ჩოჩქოლი გამოიწვია დარბაზში, რომ რებეკამ არა მარტო წაკითხვა მოახერხა შეუმჩნევლად ამ ბარათისა, არამედ მისი განადგურებაც. ჩოჩქოლი რომ მიწყნარდა, მაგისტრმა ქალს მიმართა:

- რებეკა, ხომ ხედავ, რომ შენთვის სასარგებლო ვერაფერი დააცდენინე ამ უბედურ რაინდს, რომელიც, ეტყობა, ისევ მაგრად არის სატანას მარწუხებში. კიდევ გაქვს რამე სათრქმელი?

- კიდევ ერთი გზა დამრჩა თავის გადასარჩენად, - თქვა რებეკამ, - ამის უფლებას თქვენივე მკაცრი კანონები მაძლევს. ჩემი ცხოვრება წამება იყო...

განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში... მაგრამ რაკიღა ღმერთი მაძლევს თავის დახსნის საშუალებას, არ მინდა მისგან ბოძებული ნიჭი დავთმო და გადავაგდო. მე არა ვცნობ თქვენს ბრალდებას... საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ უდანაშაულო ვარ... თქვენი ბრალდება ყალბია... ღვთის სამსჯავროს მოვითხოვ... დე, ჩემი დამცველი რაინდი ბრალმდებელს შეებრძოლოს და სამართალი გადაწყვიტოს.

- ვინ იქნება, რებეკა, ისეთი, რომ ჯადოქარის დასაცავად შემართოს შუბი?! - უთხრა მაგისტრმა, - ებრაელის დაცვას ვინ იკისრებს?

- დამცველს ღმერთი მომივლენს, - მიუგო რებეკამ, - შეუძლებელია, ამ მხიარულ ინგლისში... სტუმართმოყვარე, დიდსულოვან, თავისუფალ ინგლისში, სადაც პატიოსნების დასაცავად ხალხი თავსაც კი სწირავს, ისეთი არავინ აღმოჩნდეს, რომ სიმართლეს გამოესარჩლოს. მე ბრძოლაში ვიწვევ სამსჯავროს... აჰა, ჩემი წინდი!

მოქარგული ხელთათმანი წაიძრო და ისეთის უბრალოებითა და თან ღირსეულის თავდაჭერით დააგდო მაგისტრის წინ, რომ მთელს დარბაზში გაკვირვება და აღფრთოვანება გამოიწვია.

თავი ოცდამეთვრამეტე

... გიგდებ საწინდარს,
და ჩემს ბრძოლაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
დაგიდასტურებ.
შექსპირი „რიჩარდ II“*

თვით ლუკა ბომანუარიც კი მოხიბლა რებეკას გარეგნობამა და მიხრა-მოხრამ. ბუნებით იგი სულაც არ ყოფილა ღვარძლიანი კაცი, მრისხანეც კი არ ეთქმოდა. მაგრამ ცივი იყო, თანაც გადაჭარბებული და მცდარი წარ-მოდგენა ჰქონდა თავის მოვალეობაზე; ასკეტურმა ცხოვრებამ, იმის შეგნე-ბამ, რომ განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებოდა და თვითონ იყო მოწოდე-ბული ყოველგვარი ურჯულოებისა და ერესის მოსასპობად, გული თანდა-თანობით გაუქვავა. შეჰყურებდა ამ მშვენიერ ქმნილებას, რომელიც უმწეო-ბისა და უთვისტომობის მიუხედავად, ასე მხნედ და მამაცურად იცავდა თავს... შეჰყურებდა და მრისხანე გამომეტყეველება თანდათანობით ურ-

ბილდებოდა. ორჯერ გადაიწერა პირჯვარი, თითქოს შეწუხდა, ასე უჩვეულოდ რამ მომალბოო: სხვა დროსაც რამდენჯერ შეხვედრია ასეთი შემთხვევა, მაგრამ გული მუდამ ფოლადის მახვილივით მაგარი ჰქონდა.

- ქალო, - მიმართა მან ბოლოს რებეკას, - თუ შენი ჯადოს საქმეა ეს სიბრალული, იცოდე, დიდი ცოდვილი ყოფილხარ. მაგრამ მე უფრო მგონია, ეს თანაგრძნობას მიეწერება: როცა ვხედავ, ამ მშვენიერ ჭურჭელში რა დამღუპველი სული მდებარეობს, გული მიკვდება. მოინანიე, შვილო ჩემო... გამოტყდი, რომ ჯადოქარი ხარ... დაგმე შენი წყეული სარწმუნოება... ამ წმიდა ჯვარს ემთხვიე და აქაც ბედნიერი იქნები და საიქიოშიც. შეგირჩევთ რომელიმე მკაცრი ორდენის დედათა მონასტერს და იქ დრო ბლომად გექნება მოსანანიებლად და ლოცვა-კურთხევით სულის განსასპეტაკებლად. მოიქეც ასე და სიცოცხლეს შეინარჩუნებ - ისეთი აბა რა მოგანიჭა მოსეს რჯულმა, რომ მისთვის თავი გასწირო?!

- ეს მამა-პაპათა რჯული გახლავს, - მიუგო რებეკამ, - იგი მეხის გრგვინვასა და ქარიშხალში გადმოგვეცა, როცა სინას მთა ცეცხლსა და ღრუბელში იყო გახვეული. თუ ჭეშმარიტი ქრისტიანები ხართ, თქვენცა გწამთ ეს... თქვენ ამტკიცებთ, ეს რჯული გაუქმდაო, მაგრამ ჩემს მოძღვრებს ასე არ უსწავლებიათ ჩემთვის.

- გამოვიდეს ჩვენი კაპელანი, - ბრძანა ბომანუარმა, და ამ აჯამ ურჯულოს შეაგონოს, რომ...

- მაპატიე, რომ სიტყვას გაწყვეტინებ, - მორიდებულად უთხრა რებეკამ, - მე ახალგაზრდა ქალი ვარ და ჩემი სარწმუნოების დასაცავად დავა არ ძალმიძს, შეწირვით კი შევეწირები, თუკი ღმერთიც ინებებს ამას... გთხოვთ, მიპასუხოთ - დამინიშნავთ თუ არ ღვთის სამსჯავროს.

- აბა, ერთი მაგისი ხელთათმანი მომაწოდეთ, - თქვა ბომანუარმა, - აი, მართლაც რომ მეტისმეტად მსუბუქი და სუსტი წინდი ასეთი მომაკვდინებელი საქმისათვის! - განაგრძო მან, როცა ნაზად ნაქსოვი ხელთათმანის გრძელ და წვრილ თითებს დახედა, - ხომ ხედავ, რებეკა - სად ეს შენი თხელი და მსუბუქი ხელთათმანი და სად რკინის მძიმე სამკლავეები! შენი გამოწვევაც ასეთივეა, რადგან მთელს ჩვენს ტაძრის ორდენს იწვევ ბრძოლაში.

- ჩემი უმანკოებაც დასდეთ სასწორზე და ნახეთ, თუ აბრეშუმის ხელთათმანმა თქვენი რკინის სამკლავეები არ გადმოსწონოს, - უთხრა რებეკამ.

- მაშ კვლავ ჯიუტობ და არ გინდა, დანაშაულში გამოტყდე? ბრძოლაში ასე თამამ გამოწვევაზეც უარს არ ამბობ?

- დიახ, ბატონო, - მიუგო რებეკამ.

- აგრე იყოს, - თქვა მაგისტრმა, - დე ღმერთმა გვაჩვენოს სიმართლე.

- ამინ! - დაიბუხუნეს პრესეპტორებმა და ამ სიტყვამ მთელი დარბაზი შეაზანზარა.

- ძმანო, - თქვა ბომანუარმა, - თქვენც კარგად უწყით, რომ ნება გვქონდა, ამ ქალისათვის უარი გვეთქვა, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, რომ უცხოელსა და უმწეო ადამიანს - თუნდა ებრაელი და ურჯულო იყოს, - უარი ვუთხრათ; მით უმეტეს, როცა თვითონვე მიმართავს ჩვენს ლმობიერ კანონს დახმარებისათვის. თანაც, მარტო ღვთისმსახურნი ხომ არა ვართ - რაინდობითა და ჯარისკაცობითაც მოგვაქვს თავი, და სირცხვილი იქნებოდა ბრძოლაში გაწვევა არ მიგვეღო. მაშ საქმე ახლა ამგვარადა დგას: ისააკ იორკელის ქალი რებეკა, რომელსაც ბრალად ედება ჯადოს ხმარა ჩვენი წმიდა ორდენის კეთილშობილ რაინდზე, თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ღვთის სამსჯავროს მოითხოვს. თქვენ რას იტყვით, ღირსნო ძმანო, ვის გადავცეთ ეს წინდი, ვის დავავალოთ ჩვენი ღირსების დაცვა ბრძოლაში?

- ბრიან დე ბუა გილბერს, ყველაზე მეტად მას შეეხება ეს საქმე, - წამოიძახა პრესეპტორმა გუდალრიკმა, - თან მაგაზე კარგად ვინ იცის სიმართლე ვის მხარეზეა.

- ჰო, მაგრამ, ჩვენი ძმა ბრიანი თუ ისევ მოჯადოებული და მონუსხულია! - თქვა მაგისტრმა, - ამას ზედმეტი სიფრთხილით ვამბობ, თორემ მთელს ჩვენს ორდენში სხვა არავინ მეგულება, ვისთვისაც უფრო ხალისით და უყოყმანოდ შეიძლებოდეს ამის, ან რამე უფრო ძნელი საქმის მინდობა.

- ღირსო მამავ, - შეჰკადრა გუდალრიკის პრესეპტორმა, - ღვთიური სიმართლის დასადგენად გამოსულ რაინდზე რა ჯადომ უნდა გასჭრას!

- მაგას მართალს ამბობ, ძმაო, - უთხრა მაგისტრმა, - ალბერტ მალვუაზენ, ეს ხელთათმანი ბრიან დე ბუა გილბერს გადაეცი, შენ გავალებთ ამ საქმეს, ძმაო, - მიმართა ბომანუარმა ბუა გილბერს, - ვაჟკაცურად თუ იბრძოლებ, ფიქრი არ არის, სიმართლე გაიმარჯვებს... შენ კი, რებეკა, ზეგამდე უნდა იშოვო დამცველი.

- ძალიან მოკლე დროს მაძლევთ, - უთხრა რებეკამ, - უცხოელმა, და ისიც სხვა რჯულის ადამიანმა, ასე უცებ სად უნდა გამოძებნოს კაცი, რომელიც თავის სიცოცხლესა და პატივს გასწირავს და ასეთი სახელგანთქმული მეომრის წინააღმდეგ გამოვა!

- გადადება არ შეიძლება, - მიუგო მაგისტრმა, - ბრძოლას მე თვითონ უნდა დავესწრო; თან კი ისეთი საქმე მაქვს, რომ მასზეგამდე ვეღარ გავჩერდები.

- იყავნ ნება ღვთისა! - თქვა რებეკამ, - მას მივენდობი სასოებით, ვისთვისაც ერთი წუთი და ერთი საუკუნე სულ ერთი არის.

- კარგად ლაპარაკობ, ქალო, - უთხრა მაგისტრმა, - მაგრამ ჩვენ ისიც მშვენივრად ვიცით, ვის ძალუძს ანგელოზის სახის მიღება. ახლა ისღა დაგვრჩა, რომ ბრძოლის - ან თუ საჭირო შეიქნა - დასჯის ადგილი შევარჩიოთ... ამ სავანის მოძღვარი სად არის?

ალბერტ მალვუაზენს კვლავ რებეკას თათმანი ეჭირა ხელში და ბუა გილბერს ეჩიჩინებოდა რაღაცას გაცხარებით, თუმცა ხმადაბლა.

- რაო, - გასძახა მაგისტრმა, - წინდს არ ღებულობს?

- როგორ არა... ღებულობს მაღალღირსო მამავ, - მიუგო მალვუაზენმა და ხელთათმანი მოხდენილად შეაცურა თავისი ანაფორის კალთაში, - ადგილი კი, მე მგონი, ყველაზე უფრო შესაფერი წმიდა გიორგის მოედანი იქნება, ჩვენივე სავანეს ეკუთვნის. ტაძრელი რაინდები მხედრულ ასპარეზობას იქ ატარებენ ხოლმე.

- ძალიან კარგი, - თქვა მაგისტრმა, - შენს ქომაგ რაინდს იმ მოედანზე მოიყვან, რებეკა; და თუ ვერავინ იშოვე, ან შენი ქომაგი თუ დამარცხდა იმ ღვთის სამსჯავროზე, მაშინ, ჩვენი მსჯავრის ძალით, იქვე მოკვდები, ჯადოქარს რომ ეკუთვნის, იმისთანა სიკვდილით... ჩვენი განჩინება ახლავე ჩაიწეროს და მერე ყველას წაუკითხეთ, რათა სათქმელი აღარავის ჰქონდეს, არ ვიცოდითო.

ერთ-ერთმა კაპელანმა, რომელიც მდივნის მოვალეობას ასრულებდა, ამ კრების ოქმი ვეებერთელა წიგნში ჩასწერა, საცა ტაძრელთა ამგვარი კრებების ყოველგვარი დადგენილებანი შეჰქონდათ ხოლმე. წერას რომ მორჩა, მერე კაპელანმა ხმამაღლა წაიკითხა მაგისტრის განაჩენი.

„რებეკა, ებრაელი ქალი, ასული ისააკ იორკელისა, რომელსაც ბრალად ედება ჯადოქრობა, ცდუნება და სხვა წყეული საქმე სიონის ტაძრის

წმიდა ორდენის ერთ-ერთი რაინდის მიმართ, თავად უარყოფს ამას; აცხადებს, თითქოს მოწმეთა ჩვენებანი, მოსმენილი დღევანდელ სამსჯავროზე, ყალბი, ღვარძლიანი და სიმართლეს მოკლებული იყოს; კანონიერი აცილების ძალით მოითხოვს დაინიშნოს ღვთის სამსჯავრო და, რაკი თვითონ არ ძალუძს ბრძოლა თავის დასაცავად, გამოიყენოს ქომაგი რაინდი, რომელიც ყოველგვარი რაინდული წესების დაცვით იბრძოლებს, ხოლო ხარჯებსა და ზარალს თავის თავზე იღებს. დასტურად ამისა იგი დებს წინდს, ხოლო წინდი ესე გადაეცა სიონის ტაძრის წმიდა ორდენის კეთილშობილ რაინდს ბრიან დე ბუა გილბერს და მასვე დაეკისრა გამოვიდეს ამ ბრძოლაში ტაძრის ორდენის და საკუთარი თავის დასაცავად, რადგან ამ ზემოხსენებული მთხოვნელის ჯადოთი და ნუსხით თვითონვეა დაზარალებული და ვნებული. ამიტომ მაღალღირსი მამა და ყოვლად ძლიერი მარკიზი ლუკა ბომანუარი ნებას რთავს დაინიშნოს ღვთის სამსჯავრო და მთხოვნელის დასაცავად გამოვიდეს ქომაგი რაინდი, დღეიდან მესამე დღეს, წმიდა გიორგის საასპარეზო მოედანზე, ტემპლსტოუს სავანის მახლობლად. დიდი მაგისტრი ბრძანებს, რომ მთხოვნელი თვითონვე გამოცხადდეს სამსჯავროზე თავის ქომაგ რაინდთან ერთად - გამოუცხადებლობისათვის დაისჯება, როგორც ჯადოქარი და მცთუნებელი; მისივე ბრძანებით, უნდა გამოცხადდეს აგრეთვე ქომაგი რაინდი - გამოუცხადებლობისათვის დაისჯება, როგორც ლაჩარი და მოღალატე; მაღალღირსი მამა ბრძანებს აგრეთვე, რომ აღნიშნულ ბრძოლას თვითონვე დაესწრება და დაიცავს ამ ბრძოლისათვის საჭირო წესსა და კანონს. ღმერთმა გაგვიჩინოს სამართალი!“

- ამინ! - წარმოთქვა მაგისტრმა, და ეს სიტყვა შემდეგ ყველა იქ მყოფმა გაიმეორა.

რებეკას არაფერი უთქვამს, იდგა გულხელდაკრეფილი, გაუნძრევლად და თვალები ზევით ჰქონდა აპყრობილი. ბოლოს მოკრძალებით შეახსენა მაგისტრმა, რომ საჭირო იყო, ნება მიეცათ მისთვის თავისუფალი ურთიერთობა დაემყარებინა მეგობრებთან, შეეტყობინებინა თავისი მდგომარეობა და ეთხოვნა მათთვის, როგორმე ქომაგი რაინდის შოვნაში დახმარებოდნენ.

- სამართლიანიც იქნება და კანონიერიც, - უთხრა მაგისტრმა, - შენ თვითონვე ამოარჩიე შიკრიკი, ვისაც ენდობი; ხოლო მას სრული უფლება ექნება, თავისუფლად იაროს შენთან, სენაკში.

- არის აქ ისეთი ვინმე, - განაცხადა რებეკამ, - ვინც ან სიმართლის სიყვარულით ან გულუხვი გასამრჯელოსათვის უბედური ადამიანის შიკრიკობა იკისროს?

ხმა არავის გაუღია; ყველა ერიდებოდა დიდი მაგისტრის წინაშე გამოსვლას და სახელგატეხილი ტყვის ბედით დაინტერესების გამომჟღავნებას - ეშინოდათ, ებრაელის მიმართ თანაგრძნობა არ დაგვწამონო. ფულის ცთუნებამაც კი ვერ დასძია ეს შიში, თანაგრძნობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

რამდენიმე წუთს ასე იდგა რებეკა. მისი არსება ენით გამოუთქმელ მღელვარებას მოეცვა. ბოლოს შესძახა:

- ნუთუ ასე უნდა დამთავრდეს ყველაფერი?!. ნუთუ ინგლისშიაც უნდა მოვაკლდე თავის დახსნის რაღაც უბადრუკ იმედს, მხოლოდ იმის გამო, რომ კაცი არ აღმოჩნდა უბრალო გულმოწყალება გამოიჩინოს, რაზედაც ყოვლად წყალწაღებულ ბოროტმოქმედსაც კი უარს არ ეტყვიან?!

ბოლოს ისევ ჰიგმა გაბედა, სნელის შვილმა, და წამოიძახა:

- მართალია ხეიბარი ვარ, მაგრამ თუ კიდევ შემიძლია ცოტაოდენი განძრევა და სიარული, ისევ მაგის წყალობით... მე გაგეგზავნები, - უთხრა მან რებეკას, - ძლივსძლივობით კი დავცოცავ, მაგრამ ბედნიერი ვიქნები, ენით ჩადენილ ბოროტებას ჩემი გაშეშებული ფეხებით თუ გამოვასწორებ. მე უბედური შენს სიკეთეზე ტრაბახს მოვყევი, და ის კი დამავიწყდა, რომ ამით დაღუპვას გიმზადებდი!

- ღმერთი ყოვლისშემძლეა, - თქვა რებეკამ, - როცა ინება, სულ უბრალო იარაღით იხსნა ტყვეობიდან იუდეველები. მისი სურვილის შესასრულებლად ლოკოკინასაც კი შევარდენის სისწრაფე მიეცემა. ისააკ იორკელი მოძებნე... ცხენისა და კაცის ქირას აგერ მოგცემ... ჩემი ბარათი გადასცეს... არ ვიცი, ზეცამ მომივლინა წინაგრძნობა თუ რამ, მაგრამ გული მეუბნება, რომ ასე უდანაშაულო არ უნდა მოვკვდე, უსათუოდ გამომიჩნდება ვინმე მოსარჩლე!.. მშვიდობით! ჩემი სიცოცხლე თუ სიკვდილი შენს სიმარდეზეა დამოკიდებული.

გლეხმა ებრაულად დაწერილი ბარათი გამოართვა. ბევრმა იქ მყოფმა უჩიჩინა - ამისთანა საეჭვო ბარათს ხელს ნუ ახლებო, მაგრამ ჰიგს მტკიცედ გადაეწყვიტა, როგორმე დახმარებოდა თავის მხსნელს. ამ ქალმა სხეული განმიკურნა და დარწმუნებული ვარ, ახლა სულის დაღუპვას არ მოიწადინებსო.

- ერთი მეზობელი მყავს, ბუტანი, - თქვა მან, - იმის ჯაგლაგს ვიქირავებ და ხელად იორკში გავვარდები, რა სისწრაფითაც ცხენიან კაცს შეუძია სიარული.

მაგრამ, იღბლად, შორს წასვლა აღარ დასჭირვებია: მეოთხედი მილიც არ გაევლო მონასტრიდან, რომ ორ ჯოროსანს შეხვდა, ჩაცმულობასა და ყვითელ წოწოლა ქუდებზე ხელადვე მიხვდა, ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ. უფრო რომ მიუახლოვდა, ერთი მათგანი იცნო კიდეც - სწორედ ისააკ იორკელი იყო, ვისთანაც იგი ადრე მუშაობდა. მეორე რაბინი ბენ სამუელი აღმოჩნდა; გაეგოთ ტაძრის ორდენის დიდი მაგისტრი ჯადოქარის გასამართლებას აწყობსო და შიშით შორიდან უტრიალებდნენ მონასტერს.

- ძმაო ბენ სამუელ, - უთხრა ისააკმა, - გული როგორღაც მეწურება, არ ვიცი კი რატომ. ამ ჯადოქრობის საბაბით ბევრჯერ უტანჯავთ ჩვენი ხალხი.

- დამშვიდდი, ძმაო, - უთხრა მკურნალმა, - ნაზარეველთა გულის მონადირება შენთვის ძნელი არ არის, დიდი ქონების პატრონი ხარ... ფულს ისეთივე ძალა აქვს მაგ უღვთო ხალხზე, რა გავლენაც ყოვლისშემძლე სოლომონის ბეჭედსა ჰქონდა ძველად ბოროტ სულებზე... მაგრამ ეს უბედური ვინ არის, ძლივს რომ მოჩლახუნობს ყავარჯნებით? ალბათ, ჩემი შველა თუ სჭირდება!.. მეგობარო, - მიმართა ექიმმა ჰიგს, - წამალს არ დაგიჭერ, მაგრამ გზაზე სამათხოვროდ გამოსულ გლახებს ერთ გახვრეტილ ასპერსაც არ ვაღირსებ. ჩამომეცალე!.. ფეხის დამბლა გაქვს? მაშინ ხელებით უნდა მოიპოვო არსებობის პური. მართალია, შიკრიკად არ გამოდგები, არც მწყემსად ვარგიხარ, არც ჯარისკაცად მიგიღებენ, სისწრაფის მოყვარულ ბატონსაც ვერ შეეწყობი, მაგრამ სხვა საქმე რამ გამოლია... რა მოგივიდა, ძმაო? - იყვირა მან უცებ; ისააკმა ჰიგის მიწოდებულ ბარათს დახედა, ერთი მაგრად ამოიგმინა და მკვდარივით გადმოვარდა ჯორიდან, მიწაზე უგრძნობლად დავარდა.

დაფეთებული რაბინი ფაცხაფუცხით ჩამოხტა და მეგობრის მოსაბრუნებლად წამლები მოიმარჯვა. ჯიბიდან რაღაც იარაღი ამოიღო და ის იყო სისხლი უნდა გამოეშვა, რომ ისააკი ერთბაშად გამოფხიზლდა, ქუდი მოიშვლიპა, მტვერი მოხვეტა და ჭაღარა თავზე წაიყარა. ექიმმა იფიქრა, ნამდვილად გაგიჟდაო, და ისევ სისხლის გამოშვება დაუპირა, მაგრამ ისააკმა მალე დაარწმუნა, რომ სულ სხვა ამბავი იყო.

- ვაი ჩემო ტანჯულო შვილო, - იბღავლა მან, - შენ ბენონი უნდა გრქმეოდა და არა რებეკა! რაღა შენმა სიკვდილმა უნდა ჩამიყვანოს ეს ბერიკაცი სამარეში! ამ სიკვდილის წინ ღმერთს რად მაგმობინებ, მე უბედურს?!

- რა მოგივიდა, ძმაო, - ჰკითხა გაოგნებულმა რაბინმა, - ებრაელ მამას ამისთანა სიტყვები როგორ წამოგცდა!.. შენს შვილს საიმისო ხომ არაფერი გასჭირვებია?

- ჯერ კი ცოცხალია, - მიუგო ისააკმა, - მაგრამ რაღა მაგისი სიცოცხლე და რაღა ლომებში ჩავარდნილი დანიელისა! ბელიარის ნაშიერებსა ჰყავთ ჩაგდებული და საშინელ სასჯელს უმზადებენ - არც სიყმაწვილეს ინდობენ მისას და არც სილამაზეს. ოი, შვილო, შენ ხომ პალმის მწვანე გვირგვინი იყავი ჩემს ჭაღარა თავზე!.. მაგრამ ერთ ღამეში უნდა დაჭკნე, იონასს გოგრასავით!.. ჩემო საყვარელო შვილო!.. ჩემო მოხუცებულობის ნუგეშო!.. ოი, რებეკა, ჩემი რაქილის პირმშოვ!.. ოი, როგორ დაგდგომია თავს სიკვდილის აჩრდილი!

- ჯერ წაიკითხე ეგ ბარათი, - უთხრა რაბინმა, - იქნებ, ვიღონოთ რამე!

- შენ წაიკითხე, ძმაო, - მიუგო ისააკმა, - ჩემი თვალები ცრებლების შადრევნად იქცა.

ექიმმა წერილი გამოართვა და წაიკითხა:

„ისააკს, ადონიკამის ძეს, რომელსაც წარმართნი ისააკ იორკელს ეძახიან. მშვიდობა და ღვთის კურთხევა ნუ მოგშლოდეს!.. მამაჩემო, მე სიკვდილი გადამიწყვიტეს ისეთი საქმისთვის, რისიც არაფერი გამეგება - ჯადოქრობისათვის. მამაჩემო, იქნებ ისეთი ყოჩაღი კაცი გამოძებნო, ვინც მე გამომესარჩლება და, ნაზარეველთა ადათის მიხედვით, ჩემი გულისთვის გამოვა საბრძოლველად ხმლითა და შუბით, ზეგ, ტემპლსტოუს საასპარეზო მოედანზე; ჩვენი მამების ღმერთი ნამდვილად მისცემს ძალას, და უმწეო და უცოდველ არსებას დააცვევინებს. თუ ვერავინ იშოვნე, მაშინ დე ჩვენმა ქალებმა გამომიტირონ, როგორც დაღუპული, როგორც მონადირის მიერ განგმირული ირემი, როგორც გლეხის ცელით მოთიბული ყვავილი. ამიტომ, თუკი რამ შესაძლებელი იყოს ჩემს დასახსნელად, ყველაფერი იღონე. ერთი ნაზარეველი მეომარი ნამდვილად გამოვიდოდა მოსარჩლედ - უილფრედი, სედრიკის შვილი, რომელსაც ურჯულოები აივენჰოსაც ეძახიან. მაგრამ ვაითუ ჯერ კიდევ ვერ გაუძლოს აბჯრის სიმძიმეს. შენ მაინც გაგზავნე კაცი მასთან, მამაჩემო. რადგან თავის ხალხს ძალიან უყვარს, ბევრი

მამაცი მეგობარი ჰყავს და რაკი ტყვედ ერთად ვიყავით ჩავარდნილი, იქნებ ვინმე გამოგზავნოს ჩემს დასაცავად. უთხარი, პირადად მას უთხარი, უილ-ფრედს, სედრიკის ძეს, რომ რებეკა მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, რასაც აბრალებენ, იმაში ალალ-მართალია-თქო. თუ, ღვთის ნებით, ქალიშვილი მოგიკლეს, აქ ნუღარ გაჩერდები, მოხუცო კაცო, ამ სასტიკსა და სისხლით მორწყულ ქვეყანაში. კორდოვაში წადი, საცა ისე უშიშრად ცხოვრობს შენი ძმა, ტახტს მოფარებული, მიუხედავდ იმისა, რომ იმ ტახტზე სარკინოზი ბო-აბდილი ზის: მავრები ისე სასტიკად როდი ეპყრობიან იაკობის ნაშიერთ, როგორც ინგლისელი ნაზარეველები“.

ისააკი მოთმინებით უგდებდა ყურს, მერე კი, აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით, ტანსაცმელი შემოიხია, თავზე მტვერი წაიყარა და ბღავილს მოჰ-ყვა:

- ვაიმე, შვილო! ვაიმე, შილო! ჩემო სისხლო და ხორცო!

- გამაგრდი, კაცო, - უთხრა რაბინმა, - წუხილი რას გარგებს? ახლავე ქამარი შემოირტყი და იმ უილფრედის საძებნელად გასწი. იქნებ ან სიტყვით გიშველოს რამე, ან საქმით; ხომ იცი, ის ყმაწვილი რიჩარდს უყვარს - აი, ნაზარეველები რომ ლომგულს ეძახიან, ახლა კი ხმა დაირხა, რიჩარდი ინ-გლისში დაბრუნდაო. იქნებ როგორმე დააწერინოს და ბეჭედიც დაასმევი-ნოს, რომ ამ სისხლისმსმელ ხალხს, რომლებიც ტაძრის სახელს არცხვენენ, განზრახული ბოროტება აუკრძალონ.

- წავალ და ვნახავ, - თქვა ისააკმა, - მართლაც რომ კარგი ყმაწვილია, და იაკობის დევნილი შვილებიც ებრალება. მაგრამ ვაი, რომ ჯერ აბჯარს ვერ ზიდავს, სხვა ქრისტიანი კი აბა რატომ გამოიდებს თავს და სიონის ტან-ჯული შვილის დასაცავად რატომ გამოვა?!

- ეჰ, - უთხრა რაბინმა, - ისე ლაპარაკობ, თითქოს ქრისტიანებს არ იც-ნობდე. როგორც შენს საკუთარ უხიფათობას ყიდულობ ხოლმე ოქროთი, ისევე შეგიძლია იმათი მამაცობაც

იყიდო. გამაგრდი და ახლავე გაეშურე უილფრედ აივენჰოს სანახავად. მეც არ დავიკრეფ გულხელს - ასეთ დღეში შენი მიტოვება დიდი ცოდვა იქ-ნება. მე იორკისკენ გავწევ. იქ ათასი მეომარი და მამაცი ხალხი ირევა; ფიქ-რი არა მაქვს, ვინმეს დავიყაბულებ, რომ შენი ქალის დასაცავად იბრძო-ლოს: ოქრო მაგათ ღმერთად დაუსახავთ, და როგორც მამულს აგირავებენ

ხოლმე ფულზე, ისევე შეუძლიათ საკუთარი თავიც დააგირავონ... მე იმათ შენი სახელით უნდა შევპირდე, და მერე უარს ხომ არ ეტყვი, ძმაო?

- ეგ რა სათქმელია, ძმაო! - მიუგო ისააკმა, - ღმერთს ვმადლობ, რომ ამ გაჭირვების დროს ასეთი მანუგეშებელი მომივლინა... ოღონდ მაშინვე ნუ შეპირდები, რასაც მოგთხოვენ, რადგან მაგ დაწყევლილი ხალხის ამბავი ხომ იცი - ჯერ ოქროთი გატენილ ქისებს მოგთხოვენ, ბოლოს კი უნციებსაც სიხარულით დაგყაბულდებიან... თუმცა როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი, მე ჭკუა აღარ მეკითხება - შვილი თუ დამეღუპა, ოქროს რაღა თავში ვიხლი!..

- მშვიდობით, - უთხრა მკურნალმა, - ღმერთმა აგისრულოს, რაც გულით გეწადოს.

ერთმანეთს გადაეხვივნენ და სხვადასხვა მხარეს გასწიეს. ხეიბარი გლეხი კი ერთხანს იქვე იდგა და მათ შეჰყურებდა.

- ამ ძაღლ ურიებს ვერ უყურებ! - თქვა მან, - ზედაც არ შემომხედეს, თითქოს მათი მონა ან თურქი ვიყო, ან არადა მაგათსავით წინდაცვეთილი ებრაელი! ხომ შეეძლოთ ცოტაოდენი ფული ეჩუქებიათ? ახია ჩემზე - ვინ მრჯიდა, რომ თავი გავწირე. ხალხის ჩიჩინს ყური არ ვათხოვე და წერილი მივართვი. ის ოქრო რას მიშველის, იმ გოგომ რომ მომცა - თუკი მომავალ აღდგომას, აღსარებაზე, ორი იმდანი გამომართვა ხუცესმა!.. არადა შეგარქმევენ ურიის შიკრიკს და იარე მერე მთელი შენი დღე და მოსწრება!.. მგონი, მართლა მომაჯადოვა იმ გოგომ, გვერდში რომ ვედექი!... მაგრამ ქრისტიანი იქნება თუ ებრაელი, ვინც იმას მიუახლოვდება, ყველას ასე ემართება... ვერავინ ვერ ეტყოდა უარს... ის კი არა და, მის სახეს რომ წარმოვიდგენ, მზად ვარ მთელი ჩემი სადურგლო შევწირო, ოღონდ სიკვდილისგან ვიხსნა.

თავი ოცდამეცხრამეტე

ოი, ქალწულო, ცივი ხარ და მიუკარები,
მაგრამ ეს გულიც, სიამაყით, ტოლს არ დაგიდებს.
სიუარდი.

ტემპლსტოუში რომ სასამართლო გაიმართა (თუკი შეიძლება სასამართლო ეწოდოს იმას, რაც იქ მოხდა), იმავე დღეს, საღამო ხანს რებეკას სენაკის კარზე ნელი კაკუნი გაისმა. მაგრამ ამ კაკუნს არავინ შეუწუხებია, რადგან ქალი, თავისივე სარწმუნოების მიხედვით, მწუხრის ლოცვებს წარმოთქვამდა, რაც შემდეგ საგალობელით დაამთავრა. ჩვენ აქვე ვცდით ამ საგალობელის თარგმნას.

როცა ისრაელ, ღმერთის რჩეული,
მტრის კლანჭებისგან თავდაღწეული,
გამოქცეოდა სასტიკ ტყვეობას,
არ გასტეხოდა მაინც მხნეობა,
წინ გადარჩენის გზა ედოთ ძნელი,
იდგა ბურუსი, მხუთავი ბნელი.

მათ თავის დახსნის იმედი ერთი -
წინ მიუძღოდა მაღალი ღმერთი.
დღისით უძღოდა დამაშვრალთ, დაღლილთ
ცისკენ აჭრილი ვით სვეტი ჯანღის,
და არაბეთის უკუნეთ ღამეს
შუქს ჰფენდა მისი სხივი ელვარე...
უცებ გაისმა ღაღადი ხალხის,
გალობდა ყველა - დიდი თუ ბალღი,
მღვდელი, მოძღვარი თუ მეომარი:
ღვთის სადიდებლად შესძრეს მთა-ბარი,
სიონის შვილთა მომართეს ქნარი,
ხოტბით შეამკეს მათ ზენაარი...
აწ ვეღარ შევსძრათ მტერი ჯადოთი,
წავიდა ის დრო, როს ვიქადოდით -
ღმერთისა ვართო ხალხი რჩეული,
აწ ყველასაგან გავხდით წყეული;
მამათა ჩვენთა შესცოდეს დიდად.
ყურად არ იღეს ღვთის სიტყვა წმიდა,
ღმერთს გადაუდგნენ და წყრომა ღვთისა
ეულად შთენილთ დაგვატყდა რისხვად.
მაგრამ დღესაც კი შენ - უხილავი
მაინც ჩვენთან ხარ გულთამხილავი,
შენ თავისდამხსნელ ფიქრად გვეწვევი
და ვგმობთ ცდუნებას შენი შეწევნით,
ამასღა გვედრებ მუხლმოდრეკილი,
ჩვენს მიმართ კვლავაც იყავ კეთილი,
იუდეველთა ეკლიან ბილიკს
როცა ეწვევა მწუხრი და ჩრდილი,
ძველებურადვე გვაღირსე შუქი,
ელვით გაჰკვეთე წყვდიადი მუქი;
და გულისწყრომას, ყოვლისმომთმენო,
ნუღარ ინებებ, უფალო ჩვენო.

ეს სასოებით წარმოთქმული გალობა რომ მიწყდა, კარზე კვლავ გაისმა ნელი კაკუნი.

- თუ მეგობარი ხარ, შემოდი, - გასძახა რებეკამ, - და თუ მტერი ხარ, მე რა ძალა მაქვს, რომ არ შემოგიშვა.

- მეგობარი ვარ თუ მტერი, - თქვა ბრიან დე ბუა გილბერმა, როცა ოთახში შევიდა, - ეს იმაზეა დამოკიდებული, ჩვენი მოლაპარაკება როგორ დამთავრდება.

რებეკა საშინლად დააფრთხო იმ კაცის დანახვამ, ვის თავაწყვეტილ ვნებათაღელვასაც უკავშირებდა იგი თავის უბედურებას; სახეზე შეშფოთება და უნდობლობა გამოეხატა, მორჩილება კი სულაც არა, უკან-უკან დაიხია და კუთხეში მიიყუჟა - ეტყობოდა, გადაწყვიტა, რაც შეიძლებოდა შორს დამდგარიყო და არასდიდებით არ დანებებოდა. უშიშრად უსწორებდა თვალს, მაგრამ გამომწვევად კი არ შეჰყურებდა; ეტყობოდა, ცდილობდა, თავდასასხმელად არ გამოეწვია კაცი, მაგრამ თუ იგი ამისთანა რამეს გაბედავდა, მომკვდარიყო და თავი დაეცვა.

- ჩემი ნუ შეგეშინდება, რებეკა, - უთხრა ტაძრელმა - ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც არ უნდა გქონდეს ჩემი შიში.

- შენი რად უნდა მეშინოდეს, ბატონო რაინდო, - მიუგო რებეკამ, თუმცა მისი გახშირებული სუნთქვა სულაც არ ეგუებოდა ამ გმირულ სიტყვებს, - გული საგულესა მაქვს და შენი სულაც არ მეშინია.

- ანკი რისი უნდა გეშინოდეს, - ნაღვლიანად უთხრა ბუა გილბერმა, - ჩემი წინანდელი გიჟური გატაცება ვნებას ვეღარ მოგაყენებს. გარეთ გუშაგები დგანან და შეგიძლია ხმა მიაწვდინო - იმათთან ჩემი სიტყვა აღარა სჭრის. ხომ შენს დასასჯელად არიან მოჩენილი, რებეკა, მაგრამ შეურაცხყოფას კი არავის დაანებებენ, მეც კი არა, თუნდა ისევ წამომიაროს სიგიჟემ... სწორედ სიგიჟეა ეს და მეტი არაფერი.

- დიდება უფალს! - თქვა ქალმა, - ამ ბოროტების ბუნაგში ყველაზე ნაკლებად სიკვდილისა მეშინია.

- რაღა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა ტაძრელმა, - გულადი ადამიანისთვის სიკვდილი სულაც არ არის ძნელი, თუკი აღსასრული სწრაფად და ანაზდად მოვა. ხმლისა და შუბის ძგერებას მე არაფრად ვაგდებ... შენც არად მიგაჩნია კოშკის ქონგურიდან გადახტომა და გულში ხანჯლის დაცე-

მა... ოღონდ კი სირცხვილი არ ვჭამოთ. ეს სირცხვილი ორივეს თავისებურად გვესმის. ხომ ხედავ, მე ამას შენზედაც ვამბობ და ჩემზედაც... ვინ იცის, იქნებ ჩემი საკუთარი წარმოდგენა პატიოსნებაზე ისეთივე ფანტასტიკური იყოს, როგორც შენია, რებეკა, მაგრამ მისთვის სიკვდილს კი ორივენი ერთნაირად შევხვდებით.

- უბედურო! - უთხრა ქალმა, - მაშ, შენ ისეთ რამეს უნდა შესწირო თავი, რასაც შენივე გონება

გმობს? ეს იმას ნიშნავს, მთელი საცხოვრებელი ისეთი რამისთვის გაიმეტო, რაც პურის მაგივრობას ვერ გაგიწევს. ჩემზე ნუ იფიქრებ ასეთ რემეს. შენი გადაწყვეტილება ხალხის ცვალებადი და მერყეევი აზრის ტალღებზე დაფარფატებს, ჩემი კი მარადიულობის კლდეზეა დამკვიდრებული.

- გაჩუმდი, ქალო! - უთხრა ტაძრელმა, - რა დროს მაგის ლაპარაკია! შენც ისეთი უეცარი და სწრაფი სიკვდილი კი არ გელის, რასაც გაჭირვება თავისი ნებით ირჩევს, ხოლო განწირულება სიხარულით ეგებება ხოლმე; შენთვის გამზადებულია ნელი, საშინელი, წამებით გაჭიანურებული სიკვდილი, რაც ამ ხალხის ჯოჯოხეთურ ურჯუკობას შენი დანაშაულის შესაფერად დაუსახავს.

- მერე ვისი წყალობითა მჭირს ეს, თუკი მართლა ასეთია ჩემი ბედი? - უთხრა რებეკამ, - ვინც თავკერძული და მხეცური ზრახვებით მომათრია აქ, ახლა კი, - არ ვიცი რატომ, - მოსულა და მაშინებს მწარე ბედით, რაშიაც თვითონვე ჩამაგდო.

- გულშიაც ნუ გაივლებ, თითქოს მე ჩამეგდე ამ საშინელ დღეში. ახლაც ისეთივე სიამოვნებით დაგიფარავდი მკერდით ამ ხიფათისაგან, როგორც ამ ცოტა ხნის წინ მომაკვდინებელი ისრებისაგან დაგიფარე.

- შენი ასეთი მოქმედება რომ უმანკოების ვაჟკაცური დაცვით ყოფილიყო გამოწვეული, მადლობის მეტი მართლაც რა მეთქმოდა, - მიუგო რებეკამ, - მაგრამ უკვე იმდენჯერ დამაყვედრე, და თან გადარჩენის ჯილდოდ ისეთ ფასსა მთხოვ, რომ, მართალი თუ გინდა, მომბეზრდა კიდეც ასეთი სიცოცხლე.

- ნუ მირისხდები, რებეკა, - უთხრა ტაძრელმა, - მე ჩემი დარდი მეყოფა და საყვედურებს ნუღარ უმატებ.

- მაშ, რაზე მოსულხარ, ბატონო რაინდო? - ჰკითხა ქალმა, - მოკლედ მითხარი... რა უბედურ დღეშიაც ჩამაგდე, მარტო ამის სანახავად თუ არ ხარ

მოსული და სხვა რამ საქმეცა გაქვს, თქვი ბარემ... და მერე კი, თუ შეიძლებოდეს, მარტო დამტოვე... მარადიულობაში გადასასვლელი ხიდი მოკლეა, მაგრამ საშინელი; მე კი ცოტაღა დრო დამრჩა მოსამზადებლად.

- შენ ისევ მე გგონივარ, რებეკა, იმ უბედურების მიზეზი, რასაც სულითა და გულით მინდა აგაშორო.

- ბატონო რაინდო, - უთხრა რებეკამ, - განა მე კი მეხალისება საყვედურის თქმა... მაგრამ ნუთუ შენს თავაშვებულ გულისთქმას არ უნდა ვუმადლოდე ჩემს სიკვდილს?!

- ცდები... ცდები... რებეკა, - სასწრაფოდ უპასუხა ტაძრელმა, - შენ ისეთ რამეში მდებ ბრალს, რისი არც გათავლისწინება შემეძლო და ვერც თავიდან აშორება მოვახერხე. აბა ვინ მოელოდა ამ გამოჩერჩეტებული ბერიკაცის ჩამოსვლას, რომელიც, ძველი გიჟური მამაცობისა და ასკეტური თვითგვემით გაწამებული ცხოვრების გამო, ბრიყვებს ცამდე აუყვანიათ; ასე დაუმსახურებლად აღზევებული არც გონიერებას დაგიდევს, აღარც მე მთვლის რადმე, არც ჩვენი ორდენის ასობით წევრს, რომლებიც ადამიანურად ვფიქრობთ და განვიცდით ყველაფერს... ქედს არ ვუხრით იმ სულელურსა და ფანატიკურ ცრურწმენას, რაზედაც მას თავისი აზრი და საქციელი დაუფუძნებია.

- მაგრამ აკი შენც ჩემს მსაჯულებში ერიე, - უთხრა რებეკამ, - მათთან ერთად შენც გამოგქონდა მსჯავრი უცოდველ ადამიანზე!.. ყოვლად უცოდველზე... ეს შენც ხომ იცი... ის კი არადა, სწორად თუ გავიგე, შენ თვითონ უნდა გამოხვიდე მოედანზე აბჯარასხმული, რათა ჩემი დანაშაული დაამტკიცო და განაჩენი დაადასტურო.

- მოთმინება იქონიე, ქალო, - მიუგო ტაძრელმა, - ისე ვინ არის შეჩვეული დროის მორჩილებას, როგორც შენი ხალხი, და რაგინდ მაგარი ქარი უბერავდეს, ისე მარჯვედ ვინ მართავს აფრებს, რომ პირქარიც თავის სასარგებლოდ გამოიყენოს?!

- ღმერთმა დასწყევლოს ის საათი, როდესაც ისრაელთა მოდგმას ამისთანა სიმარჯვის შესწავლა

დასჭირდა! - თქვა რებეკამ, - მაგრამ უბედურება ისე წურავს ადამიანის გულს, როგორც მოუდრეკელი ფოლადი იღუნება ხოლმე ცეცხლში; ვისაც თავისი თავი აღარ ეკუთვნის და დამოუკიდებელი სამშობლო დაუკარგავს, იძულებულია, უცხოელების წინაშე მიწაზე იხოხოს. ეს წყევლა ჩვენს ხალხს

თანა სდევს, ბატონო რაინდო, ალბათ, ღირსიცა ვართ ამისი - ჩვენმა საკუთარმა და წინაპართა ცოდვებმა თუ გვიწია! მაგრამ შენ... შენ, ვისაც გვარიშვილობითა და დამოუკიდებლობით მოგაქვს თავი, უფრო საძრახის საქმეს არა სჩადი, როცა საკუთარ რწმენას ღალატობ და, ქედმოხრილი, სხვის ცრურწმენას აღვივებ?!

- მწარე ლაპარაკი გცოდნია, რებეკა, - უთხრა ბუა გილბერმა, რომელიც მღელვარებისაგან აქეთ-იქით წრიალებდა, - მაგრამ განა იმისთვის მოვედი აქ, რომ საყვედურებით აგავსო და შენი ტუქსვა მოვისმინო?.. ეს იცოდე, რომ ბუა გილბერი ქვეყნად არავის არ უხრის თავს, თუმცა ზოგჯერ იძულებული ხდება, თავისი განზრახვა შეცვალოს. მისი გულისთქმა მთის ნაკადულსა ჰგავს - კლდე თუ გადაეღობა, იქნებ ცოტათი გადაუხვიოს, მაგრამ გზას მაინც უსათუოდ გაიკვლევს, რომ საბოლოოდ ოკეანეს შეუერთდეს. ხელში რომ ბარათი შემოგაჩეჩეს, განა ვისი უნდა ყოფილიყო, თუ არა ბუა გილბერისა? სხვა ასე ვინ შეგიბრალებდა?

- სიკვდილის ცოტა ხნით გადადება ვერაფერი ნუგეშია, - მიუგო რებეკამ, - ნუთუ სხვა ვერაფერი იღონე იმისთვის, ვისაც ამდენი უბერდურება დაატეხე თავს და ბოლოს სამარის კარამდეც მიიყვანე?!

- არა, რებეკა, - უთხრა ბუა გილბერმა, - სხვა რამეცა მაქვს მოფიქრებული. იმ დამთხვეულ გუდალრიკს რომ არ შეეშალა ხელი, ტაძრის ღირსების დაცვას პრესეპტორს კი არ დააკისრებდნენ, არამედ ვინმე უბრალო რაინდს. მაშინ კი - ასეთი განზრახვა მქონდა - დაჰკრავდნენ თუ არა მოედანზე საყვირს, მოხეტიალე რაინდად გადაცმული გამოვიდოდი და გამოგესარჩლებოდი. ერთის მაგივრად ორი-სამი რაინდიც რომ გამოეყვანა ბომანუარს, ყველას ჩამოვყრიდი ცხენიდან, და შუბის მეტს არც არაფერს ვიხმარდი. ასე დავამტკიცებდი, რებეკა, შენს უცოდველობას, ხოლო გამარჯვების ჯილდოს შენს მადლიერ გულს მივანდობდი.

- ეს ხომ ფუჭი ბაქიბუქია, ბატონო რაინდო, - თქვა რებეკამ, - ასე და ისე ვიზამდიო, ტრაბახობ, მაგრამ როცა დარწმუნდი, სხვაგვარი მოქცევა უფრო ხელსაყრელი იყო, შენც ადექი და სხვა რამე გააკეთე. შენ ჩემი ხელთათმანი მიიღე და ამით განაცხადე, რომ ჩემს დამცველს - თუკი ჩემისთანა უთვისტომო ადამიანს მართლა გამოუჩნდება დამცველი - შენ თვითონვე უნდა შეებრძოლო... ამის შემდეგ კიდევ მოდიხარ და თავი ჩემს მეგობრად და მფარველად მოგაქვს!

- ვიქნები კიდეც შენი მეგობარი და მფარველი, - ღირსეულად უთხრა ტაძრელმა, - მაგრამ, თვითონვე დაუფიქრდი, როგორი თავგანწირვაა ეს და რა შერცხვენა მომელის! ამის შემდეგ ნუღარ დამძრახავ, რომ პირობა დაგიდვა და და საზღაური მოგთხოვო იმის წილ, რაც აქამომდე ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის, და რასაც ებრაელი ქალის დახსნისათვის უნდა მოვაკლდე.

- თქვი... ვერ გავიგე, რას ამბობ.

- კარგი, გეტყვი, - უთხრა ბუა გილბერმა, - და ისეთივე გულახდილი ვიქნები, როგორც მოძღვართან საღსარებოდ მისული კაცი... ღვთის სამსჯავროზე თუ არ გამოვცხადდი, რებეკა, მე ვკარგავ სახელსა და დიდებას - იმას, რითაც აქამდე ვსულდგმულობდი: ყველას პატივისცემას, იმის იმედს, რომ მალე მემკვიდრეობით მივიღებ ყოვლისშემძლე კვერთხს, რომელიც ახლა ჩერჩეტ ლუკა ბომანუარს უპყრია და რასაც მე სულ სხვაგვარად გამოვიყენებ. აი რა უნდა დავთმო, თუ სამსჯავროზე საბრძოველად აღჭურვილი არ გამოვცხადდი. წყეულიმც იყოს გუდალრიკი: ვხედავ, როგორი მახე დამიგო! ორგზის წყეული იყოს ალბერტ მალვუაზენი: არ დამანება, შიგ ცხვირპირში მიმერტყა შენი ხელთათმანი იმ გამოყეყეჩებული ბერიკაცისათვის, რომელმაც შენისთანა დიდსულოვან და მშვენიერ ქმნილებაზე სულელური ცილისწამება დაიჯერა!

- ნეტა ვის რაში სჭირდება ეს ლაქუცი?! - თქვა რებეკამ, -შენს წინაშე არჩევანი იყო: ან უდანაშაულო ქალის სისხლი უნდა დაგეღვარა, ან შენი ამქვეყნიური კეთიდღეობა და მიწიერი იმედები გაგეწირა... ახლა წუწუნი რიღას მაქნისია?.. წილი უკვე ყარე.

- არა, რებეკა, - ხმას დაუწია და ქალს მიუახლოვდა რაინდი, - ჯერ მე არ მიყრია წილი... არა-მეთქი... და იცოდე, რომ წილის ყრა შენი საქმეა. სამსჯავროზე თუ გამოვცხადდი, უნდა დავიცვა

კიდეც ჩემი სახელი, ეს კი იმის მომასწავებელია, რომ კოცონზე დაწვა მოგელის - სულ ერთია, იშოვი თუ ვერ იშოვი დამცველს; რადგან ჯერაც არ გამოჩენილა ისეთი რაინდი, რომელმაც სამართიან ბრძოლაში მაჯობოს ან დამიმაგრდეს... გარდა რიჩარდ ლომგულისა და მისი საყვარელი უილფრედ აივენჰოსი. აივენჰო, შენც კარგად იცი, ჯერ აბჯარს ვერ ზიდავს, რიჩარდი კი ტყვედა ჰყავთ, სადღაც ცხრა მთას იქით. ასე რომ, თუ გამოვედი,

უცილობელი სიკვდილი გელის, თუნდაც შენმა სილამაზემ ვინმე თავქარიანი ჭაბუკი გააგიჟოს და შენს დასაცავად გამოსვლა გააბედინოს.

- ნეტა რა აზრი აქვს, ერთი და იგივეს ათასჯერ განმეორებას! - თქვა რებეკამ.

- მინდა ყოველი მხრიდან შეხედო შენს ბედს, - მიუგო ტაძრელმა.

- მაშ შეაბრუნე, რომ უკუღმიდანაც დავინახო, - უთხრა ქალმა.

- მართლა თუ გამოვცხადდი იმ საბედისწერო სამსჯავროზე, - თქვა ბუა გილბერმა, - შენ მოგელის ნელი და საშინელი სიკვდილი, ისეთ სატანჯველს გაივლი, რაც ცოდვილ სულებს ჯოჯოხეთში მიელით ხოლმე, როგორც ამბობენ. თუ არ გამოვცხადდი, სახელი შემირცვხება, რაინდის დიდებას მოვაკლდები, ჯადოქრობასა და ქვესკნელის ძალებთან კავშირს დამწამებენ - ჩემი

საპატიო წოდება, რასაც საკუთარი გულოვნებით კიდევ უფრო საპატიოსა ვხდი, ქვეყნის დასაცინი და აბუჩად ასაგდები შეიქნება. სახელს დავკარგავ, პატივს დავკარგავ, დავკარგავ იმ დიდების იმედს, რასაც ქვეყნის მბრძანებლებიც კი იშვიათად ეღირსებიან ხოლმე. მსხვერპლად უნდა მივიტანო ზვიადი პატივმოყვარეობა, ერთის ხელის დაკვრით უნდა დავანგრიო გეგმები - იმ მთასავით მაღალი, რაზედაც წარმართები ამბობენ: მისი მწვერვალიდან ერთხელ ლამის ცას შევწვდითო... და მე მზადა ვარ, რებეკა, - შეჰყვირა მან და ქალს ფეხებში ჩაუვარდა, - ეს დიდება გავწირო, სახელს დავთმობ, ძალაუფლებას მსხვერპლად მოვიტან, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ხელთა მაქვს... ოღონდ ეს ორი სიტყვა გამაგონე: „ ბუა გილბერ, მე შენი საყვარელი გავხდები“.

- მაგისთანა სისულელეს გულშიაც ნუ გაივლებ, ბატონო რაინდო, - მიუგო რებეკამ, - ისა სჯობია, ახლავე დედოფალთან გაეშურო, ან პრინცთან: თუ რადმე მიაჩნიათ ინგლისის ტახტი, არ შეიძლება, რომ იმ შენს მაგისტრს ამდენი თავაშვებულების ნება მისცენ. ამით ისე გამიწევ მფარველობას, რომ არც შენ დაგჭირდება მსხვერპლის გაღება და არც მე - სამაგიერო ჯილდოს მოზღვა.

- იმათთან რა მესაქმება, - თქვა რაინდმა და ხელით რებეკას კაბის კალთას შეეხო, - მე შენ მოგმართავ; არჩევანი შენ გეკუთნის. კარგად დაფიქრდი - სატანაც რომ ვიყო, სიკვდილი ხომ უარესია, და ჩემი მეტოქე სიკვდილია სწორედ.

- მე არ შევუდგები მაგ უბედურებათა ერთმანეთთან შედარებას, - უთხრა რებეკამ, რომელსაც ცოტა არ იყოს შეეშინდა, ეს თავზეხელაღებული რაინდი კიდევ უფრო არ გავახელოო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მტკიცედ გადაწყვიტა - არათუ არ დაჰყოლოდა მის გულისთქმას, არამედ იმედის შუქიც არ ჩაესახა, - ვაჟკაცი არა ხრ?! ქრისტიანი არა ხარ?! თუ შენი სარწმუნოება მართლა გულმოწყალებას მოგიწოდებს, - რასაც სიტყვით უფრო ამტკიცებ, ვიდრე საქმით, - ისე დამიხსენი ამ საშინელი სიკვდილისაგან, რომ სამაგიეროს ნუღარ მთხოვ, თორემ ეს შენს დიდსულოვნებას ბილწ ვაჭრობად აქცევს.

- არა! - შესძახა გოროზმა რაინდმა და ფეხზე წამოხტა, - მაგით ვერ გამაცურებ; ჩემს მოპოვებულ სახელსა და მომავალ დიდებას თუ ვთმობ, მხოლოდ შენთვისა ვთმობ, და მაშინ ორივენი ერთად უნდა გადავრჩეთ. მომისმინე, რებეკა, - კვლავ დაუწია ხმას რაინდმა, - ინგლისი... ევროპა... ეს ხომ მთელი ქვეყნიერება არ არის. სხვა სახელმწიფოებიც არსებობს, და იმდენად ფართო, რომ ვიცხოვრებთ კიდეც და ჩემს პატივმოყვარეობასაც მიეცემა სარბიელი. თუნდა პალესტინაში წავიდეთ... იქ ერთი მეგობარი მყავს, კონრადი - მონსერატის მარკიზი, კაცი, რომელიც, ჩემი არ იყოს, თავისუფლად აზროვნებს და ცრურწმენას თავს არ აბორკინებს... ის კი არადა, ამ საზიზღარ ჩერჩეტებთან ურთიერთობასა და მაგათი აბუჩად აგდების მოთმენას, სალადინთან კავშირის გაბმაც სჯობს... დიდებისაკენ მე ახალ გზებს გამოვძებნი, - განაგრძო მან და ისევ მოჰყვა ოთახში აჩქარებულ სიარულს, - ევროპა კიდევ გაიგონებს იმათი ამაყი ნაბიჯების ხმას, ვინც მან გულიდან

მოიგლიჯა და შვილების სათვალავიდან განდევნა!.. რამდენი მილიონი ჯვაროსანიც არ უნდა გაგზავნოს სასაკლაოზე პალესტინის დასაცავად... რამდენმა ათასმა თუ ათი ათასმა ხმალამოღებულმა სარკინოზმა არ უნდა შეუტიოს მათ იმ მიწაზე, რის დასაპყრობადაც ხალხები ერთმანეთს აწყდებიან და იჟლიტებიან, - ისე ღრმად ვერავინ გაიკვლევს გზას, ისე მტკიცედ ვერავინ დამკვიდრდება, როგორც მე და ის ჩემი მოძმე რაინდები, რომლებიც ჩერჩეტი ბერიკაცის ჩიჩინს ყურს არ ათხოვებენ და სამოთხე იქნება თუ ჯოჯოხეთი თან გამომყვებიან; საამისოდ ძალაც შემწევს დსა ჭკუაც. შენ დედოფალი გახდები, რებეკა. კარმელის მთაზე დაგიდგამ ჩემი მამაცობით მოპოვებულ ტახტს - მეც გვერდით მოგიჯდები და მაგისტრის გრძელი კვერთხის ნაცვლად ხელში სამეფო სკიპტრას დავიჭერ.

- ფუჭი ოცნებაა, - თქვა რებეკამ, - ღამეული მოჩვენება... მაგრამ სინამდვილედაც რომ იქცეს, მე სულაც არ მხიბლავს. რა ძალაუფლებაც არ უნდა მოიპოვო, სულ ტყუილია, მე არ გავიზიარებ; სამშობლოსა და სარწმუნოებას ისე აგდებულად როდი ვუცქერი, რომ პატივი ვცე კაცს, რომელიც უყოყმანოდ ჰგმობს ერთსაც და მეორესაც, სინდისის უქენჯნელად სწყვეტს კავშირს ორდენთან, რომელსაც ფიცით აღუთქვა ერთგულება... და მერე რისთვის? უცხო ტომის ქალის მიმართ ავხორცული გულისთქმა რომ დაიკამყოფილოს! ჩემს გადარჩენას ფასს ნუ დაადებ, ბატონო რაინდო... დიდსულოვანი საქმით ვაჭრობას ნუ დაიწყებ... გაჭირვებულს გულმოწყალებით დაეხმარე და არა პირადი გამორჩომის სურვილით... ინგლისის მეფეს მიმართე... რიჩარდი შეისმენს ჩემს მუდარას და ამ წყეული ხალხისაგან დამიხსნის.

- არასოდეს, რებეკა! - შესძახა გაცეცხლებულმა რაინდმა, - მე თუ ორდენთან ვწყვეტ კავშირს, მხოლოდ შენი გულისთვის ვწყვეტ... ჩემს სიყვარულს თუ უარყოფ - პატივმოყვარეობა ხომ მაინც უნდა დამრჩეს... ყველას როდი ავაგდებინებ თავს! შენ გინდა, რომ რიჩარდის წინაშე მოვიყარო მუხლი?.. ამ გულზვავ ადამიანს წყალობა ვთხოვო?.. მაგას არ ვიზამ, რებეკა, რომ ჩვენი ორდენის ღირსება მე თვითონ დავსცე მის წინაშე! მე შემიძლია კავშირი გავწყვიტო ორდენთან, მაგრამ მის ღალატსა და დამცირებას ჩემს დღეში არ ვიკადრებ.

- მაშ, კაცის იმედი სულ უნდა გადავიწყვიტო და ღვთის წყალობას მივანდო თავი! - თქვა რებეკამ.

- მაინც ასე გამოდის, - მიუგო ტაძრელმა, - შენ ხომ ამაყი ხარ, მაგრამ არც მე ჩამოგივარდები. მოედანზე თუ გამოვედი შუბშემართული, მორჩა, ვეღარაფერი დამაკავებს, მთელი ძალით უნდა ვიბრძოლო. შენ მაშინ იკითხე, რა მოგელის!.. ისეთი წამებით ამოგხდიან სულს, რომ ყველაზე გარეწარ ბოროტმოქმედსაც კი არ მოელანდება... აგიზგიზებულ კოცონში ჩაგაგდებენ... ერთიანად ჩაიფერფლები... აღარაფერი დარჩება ამ მშვენიერი სხეულისაგან, იმასაც კი ვერ იტყვიან - რა იყო და რად იქცაო!.. არა, რებეკა, ქალი ვერ აიტანს ამაზე ფიქრს... მე უნდა დამმორჩილდე!

- ბუა გილბერ, - უთხრა რებეკამ, - შენ არ გცოდნია ქალის გული, ან ისეთ ქალებს შეხვედრიხარ აქამდე, ვისაც ქალის საუკეთესო თვისებები დაკარგული ჰქონიათ. გარწმუნებ, ამაყო რაინდო,

რომ უმძვინვარეს ბრძოლებშიაც კი არ გამოგიჩენია შენ ის შენგანვე გაზვიადებული მამაცობა, რასაც ქალი გამოიჩენს, როცა მოვალეობა და გრძნობა მოუწოდებს განსაცდელის გადასატანად. მეც ხომ ქალი ვარ, სათუთად აღზრდილი, ბუნებით მხდალი და ტანჯვას მიუჩვეველი. მაგრამ იმ საბედისწერო მოედანზე რომ გამოვალთ - შენ საბრძოველად, ხოლო მე სატანჯველად - მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მამაცობით მე დაგჯაბნი. მშვიდობით, აღარ მინდა შენთან ამაო ლაპარაკი. ებრაელ ქალს დრო ცოტაღა დარჩენია ამქვეყნად და სხვაგვარად უნდა გამოიყენოს... ნუგეშისმცემელს უნდა შეავედროს თავი, რომელმაც სახე კი მოარიდა თავის ხალხს, მაგრამ ყურს არასოდეს დახშავს და ადამიანის გულწრფელსა და სასოებით აღვლენილ ღაღადს მუდამ გულმოწყალებით მოისმენს.

- მაშ, ასე უნდა დაგშორდე? - ჩაილაპარაკა ტაძრელმა მცირე დუმილის შემდეგ, - ნეტა სულაც არ შევეხვედრებინეთ ზეცას ერთმანეთისთვის! ან ქრისტიანად მაინც გაეჩინე ღმერთს, კარგი ოჯახის შვილად!.. არა, ზეცასა ვფიცავ, როცა შენ გიყურებ და ვფიქრობ, კვლავ როდის და რა ვითარებაში შევხვდებით ერთმანეთს, გულში იმას ვნატრობ - ნეტა მეც შენი განწირული ხალხის შვილი ვიყო-მეთქი!.. ნეტა სულაც არა მჭეროდა ხელში შუბი და ფარი, და თითები დღენიადაგ ფულით სავსე სკივრებში მეფათურებინა; ყოველი ვიგინდარა აზნაურის წინაშე ხუთად მოვკაკულიყავი და მხოლოდ გაკოტრებულ მევალეებს მოვლენოდი რისხვად... აი, რას ვნატრობ, რებეკა, ოღონდ კი შენთან ერთად მამყოფა, ოღონდ კი შენს სიკვდილში არ გამრია!

- შენ იმ ებრაელებს გულისხმობ, რომლებიც შენისთანების დევნა-შევიწროებამ ჩააგდო ამ დღეში, - უთხრა რებეკამ, - ღვთის რისხვამ გამოდევნა ისინი სამშობლოდან, ხოლო შრომისმოყვარეობამ გაუხსნა მათ ერთადერთი გზა ხელისუფლებისა და ძლიერებისაკენ, და ამ გზაზე დაბრკოლებას აღარ გადაყრიან. აბა წაიკითხე ღვთის რჩეული ხალხის ძველი ისტორია და შენ თვითონვე თქვი - განა ძუნწი და მევახშე ეთქმოდა ხალხს, ვისაც იეღოვა ერთა შორის სასწაულებრივ საქმეებს აკეთებინებდა?! ესეც იცოდე, ამაყო რაინდო, რომ ჩვენ შეგვიძლია მრავლად ჩამოგითვალოთ სახელები ჩვენი ხალხის შვილებისა, რომლებთანაც ბევრი თქვენი შექებული ჩრდილოელი გვარიშვილი ისეთივე უბადრუკი გამოჩნდებოდა, როგორც გოგრა კედართან... და განა მიწიერი მბრძანებლებისაგან მიიღეს მათ ეს წარჩინება

- თვითონ ღვთიურმა ხმამ უბოძა, და მოუწოდა, ღმერთთან ახლოს მდგარიყვნენ... აი, ვინ იყვნენ იაკობის სახლიდან გამოსული დიდებულები!

თავისი ხალხის წარსულ დიდებაზე რომ ლაპარაკობდა, რებეკას ღაწვები შეუფაკლდა. მერე ისევ გაფითრდა და ამოიოხრა:

- ასეთები იყვნენ იუდეველთა თავკაცები... ახლა კი სადღა არიან!.. მოცელილი ბალახივით გაითელენ და გზის ტალახში აილესენ. მაგრამ მათ შორის დღესაც ბევრს ნახავ ისეთს, რომლებიც არ შეარცხვენენ დიდ წინაპრებს... და ერთ-ერთი მათგანი ისააკ ადონიკამის ძის ქალიც არის... მშვიდობით... სულაც არა მშურს სისხლით მოპოვებული შენი დიდება... არა მშურს არც შენი

ველური შთამომავლობა, რომლის სათავე ჩრდილოელ წარმართებთან მიდის... არც შენი სარწმუნოება მშურს, რაც მუდამ პირზე გაკერია, ხოლო საქმითა და გულით ერთხელაც არ აჩვენებ.

- ღვთის მადლმა, მართლაც რომ მოჯადოებული ვარ! - თქვა ბუა გულბერმა, - ლამის ვირწმუნო ის გამოჩერჩეტებული ჩონჩხი მართალი იყო-მეთქი! ისე მიჭირს შენთან განშორება, რომ ამაში რაღაც ზებუნებრივი ძალა ურევია!.. მშვენიერო რებეკა!.. - განაგრძო მან და ქალს მიუახლოვდა. მაგრამ დიდის მოკრძალებით, - ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ტურფა, ასეთი უშიშარი - სიკვდილის წინაშე... და მაინც სიკვდილი გიწერია - ტანჯვითა და შერცხვენით სიკვდილი!.. ვინ იქნება, რომ ტირილი შეიკავოს?.. ოცი წელიწადია კურცხალი არ იცის ჩემმა თვალებმა და ახლა, როცა გიმზერ, ცრემლები მცვივა. მაგრამ ამას რაღა ეშველება - ვეღარაფერი დაგიხსნის! ჩვენ ბრმა იარაღებად ვქცეულვართ ულმობელი ბედისწერის ხელში, და ისე ციბრუტივით მიგვაქანებს, როგორც ქარიშხლისაგან გატაცებულ ხომალდებს, რომლებიც, როცა იქნება, ერთმანეთს უნდა მიეხეთქონ და დაიმსხვრან. მაშ მომიტევე და ისე მაინც დავშორდეთ ერთმანეთს, როგორც მეგობრები. ამაოდ ვციდილობდი შენი სიტყვის გატეხას, მაგრამ მეც ისევე გაუტეხელი ვრჩები, როგორც თვითონ ურყევი ბედი.

- ასეა, - თქვა რებეკამ, - თავიანთ დაუოკებელ გულისთქმას ადამიანები ხშირად ბედს აბრალებენ,

მაგრამ მაინც მიპატიებია, ბუა გილბერ, თუმცა ჩემი უდროო სიკვდილის მიზეზი შენა ხარ; შენს ძლიერ სულში ზოგჯერ სათნო მისწრაფებაც გაიელვებს ხოლმე; მაგრამ დაუდევარი კაცის ყანას ჰგავს ეს შენი სული: სარეველა მომძლავრებულა და ჯეჯილს ახრჩობს.

- შენ მართალს ამბობ, რებეკა, - უთხრა ტაძრელმა, - მე თავნება ვარ, მოუთვინიერებელი... მაგრამ იმით ვამაყობ, რომ ამ გამოფიტულ ქარაფშუტებსა და გაიძვერა ფარისევლებში მაინც მოვახერხე ძალაუფლება მომეპოვებინა და ყველაზე მაღლა დავმდგარიყავი. ბრძოლას ბავშობიდანვე შევეჩვიე, მაღალი მიზნებისაკენ მივისწრაფოდი და ამ ჩემს სწრაფვაში მტკიცე და შეუდრეკელი ვიყავი. ასეთივე ვიქნები მუდამ - ამაყი, მტკიცე და შეურყეველი... ამას მთელი ქვეყანა დაინახავს... მაგრამ შენ მაპატიებ, რებეკა?

- მიპატიებია - ისე, როგორც მსხვერპლი აპატიებს თავის ჯალათს.

- მაშ მშვიდობით, - უთხრა ტაძრელმა და სენაკიდან გავიდა.

პრესეპტორი ალბერტი მას მეორე ოთახში ელოდა გულისფანცქალით.

- ამდენ ხანს რას აკეთებდი? - შესძახა პრესეპტორმა, - ისე ვღელავდი, თითქოს გახურებულ

რკინაზე ვწოლილიყავი. ნეტა რას ფიქრობდი, მაგისტრი რომ მოსულიყო, ან მისი ჯაშუში კონრადი?! ძვირი კი დამიჯდებოდა ხათრის გაწევა... მაგრამ რა მოგდის, ძმაო?.. ფეხზე ძლივს დგახარ, შუბლი ღამესავით გაგშავებია... ხომ კარგადა ხარ?

- დიდებულად! - მიუგო ტაძრელმა, - ისე კარგად ვარ, როგორც სიკვდილმისჯილი დასჯის წინ... მაგრამ, რას ვამბობ, ისე რომ ვიყო, რა მიჭირს: ზოგო მაგ დღეში ჩავარდნილი ხალხი სიცოცხლეს გაცვეთილი ტანსაცმელივით იშორებს ხოლმე. ლამის ჩვრად მაქციოს მაგ გოგომ, მალვუაზენ... ლამის მივეჭრა მაგისტრს და პირში მივახალო, რომ აღარც მისი ორდენი მინდა და იმ მხეცურ საქმეზედაც ხელს ვიღებ, რაც მისმა მტარვალობამ მომახვია თავს.

- გაგიჟდი! - შესძახა მალვუაზენმა, - გინდა საბოლოოდ დაიღუპო თავი?! მაგ ებრაელის გოგოს, რომელიც ასე ძვირფასი გამხდარა შენთვის, სულ ერთია, მაინც ვერ დაიხსნი. ტაძრის ღირსების დასაცავად, შენს მაგივრად სხვას გამოიყვანს ბომანუარი, ასე რომ, შენ გამოხვალ თუ სხვა გამოვა - გოგო მაინც განწირულია.

- არა და არა!.. მე თვითონ გამოვალ მის დასაცავად, - მედიდურად თქვა ტაძრელმა, - და, მგონი, შენც კარგად უნდა იცოდე, მალვუაზენ, რომ ჩემს შუბს ვერავინ გაუმაგრდება.

- ეს კი მართალია, - უთხრა ცბიერმა მრჩეველმა, - მაგრამ შენ გავიწყდება, რომ ამ გიჟური განზრახვის შესასრულებლად არც დრო გექნება და არც საშუალება. აბა, მიდი ლუკა ბომანუართან, განუცხადე - ფიცსა ვტეხ და ორდენსა ვგმობ-თქო, და ნახე, რამდენ ხანს გატარებს თავისუფლად ეს მტარვალი ბერიკაცი. სათქმელი დამთავრებული არც კი გექნება, რომ მაშინვე ჯურღმულში ჩაგაგდებს - პრესეპტორიის დილეგში, და, როგორც მოღალატე რაინდს, ხელადვე სამსჯავროს დაგინიშნავს. ან არადა, თუ კიდევ შერჩა იმის რწმენა, რომ შენ მოჯადოებული ხარ, - ბორკილებში ჩაგსვამენ, შეგაგდებენ სადმე ბნელ, მიყრუებულ სენაკში, ლოგინად ჩალას გაგიშლიან, ნაკურთხ წყალს დაგასხამენ, რომ სხეულში ჩასახლებული ავი სული გაგშორდეს... არა, უსათუოდ უნდა გახვიდე საბრძოლველად, ბრიან, თორემ შეგარცხვენენ და დაგღუპავენ.

- გავიქცევი, გავიპარები, - თქვა ბუა გილბერმა, - უცხო ქვეყანაში გადავიხვეწები, საცა უგუნურებასა და ფანატიზმს ჯერ კიდევ არ მოუკიდებია ფეხი. იმას მაინც ვიზამ, რომ ამ მშვენიერი ქალის სისხლი ჩემი თანხმობით არ დაიღვაროს.

- ვერსადაც ვერ გაიქცევი, - უთხრა პრესეპტორმა, - შენმა სიგიჟემ ეჭვები აღძრა და მონასტრის ეზოდან არ გაგიშვებენ. აბა მიდი და სინჯე... ჭიშკრის გუშაგებს უბრძანე, ხიდი დაუშვან... ნახე ერთი, რას გიპასუხებენ!.. გიკვირს? გეწყინა?.. შენთვისვე სჯობს ასე. გაქცევით რას უნდა ეწიო? ღერბს თავდაყირა დაგიკიდებენ, წინაპრების სახელს შეგიბღალავენ, პატივს აგხდიან... კარგად

დაფიქრდი. ან შენმა ძველმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა სად უნდა გამოჰყონ თავი, როცა ბრიან დე ბუა გილბერს - მთელს ორდენში უმამაცეს რაინდს - მოღალატედ შერაცხავენ და სტვენა-ყიჟინით გააცილებენ?! საფრანგეთის სამეფო კარზე რა მწუხარება ჩამოწვება!.. რა სიხარულით გაიგებს თავგასული რიჩარდი, რომ იმ რაინდს, ვინც მას გასაქანს არ აძლევდა პალესტინაში და ვისაც მისი დიდება ბევრჯერ დაუჩრდილავს, ახლა ვიღაც ებრაელი გოგოს გულისთვის ახადეს პატივი და ღირსება, ხოლო ის ქალი კი მაინც ვერ იხსნაო?!

- მადლობელი ვარ, მალვუაზენ, - უთხრა რაინდმა, - შენ იმ სიმს შეეხე, რომელიც ყველაზე უფრო ძალუმად ჟღერს ჩემს სულში!.. მოხდეს, რაც მოსახდენია, „მოღალატეს“ კი ბუა გილბერის გვერდით ვერავინ ახსენებს. ღმერთმა ქნას, სამსჯავროზე, ჩემთან შესაბმელად, თვით რიჩარდი გამოცხადდეს, ან რომელიმე მისი ქებული ინგლისელი რაინდი!.. მაგრამ რას ვამბობ - უცოდველი და უთვისტომო ქალის დასაცავად თავს ვინ გასწირავს!

- მით უკეთესი შენთვის! - უთხრა პრესეპტორმა, - დამცველი თუ გამოცხადდა, ეს უბედური გოგო შენი მიზეზით კი აღარ მოკვდება - მაგისტრის მსჯავრით დასჯიან; ეს იქნება მისი შერცხვენა, მაგრამ ამ შერცხვენას საქებურად და საამაყოდ მიიღებს.

- მართალია, თქვა ბუა გილბერმა, - დამცველი თუ არ გამოცხადდა, მეც სხვა

მხედრებივით, მაყურებელიღა ვიქნები იმ სანახაობისა, და აღარავითარი ბრალი აღარ მექნება იმაში, რაც შემდეგ უნდა მოხდეს.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მალვუაზენმა, - შენც ისეთივე ბრალი გექნება, რაც წმიდა გიორგის ხატს, რომელსაც სამსჯავროს დროს გამოასვენებენ მოედანზე.

- მაშ, როგორც თავიდანვე გადავწყვიტე, ისე მოვიქცევი, - თქვა გულზვავმა რაინდმა, - იმ გოგომ მე ხელი მკრა... შემიზიზღა... შეურაცხმყო... მაშ, მისი გულისთვის რატომღა უნდა მოვაკლდე პატივს ხალხის თვალში? მალვუაზენ, მე გამოვალ სამსჯავროზე.

ესა თქვა და ოთახიდან გავარდა; პრესეპტორიც სასწრაფოდ გამოენთო, რათა თვალყური ედევნებინა და როგორმე ეს გადაწყვეტილება არ გადაეთქმევინებინა, რადგან ბუა გილბერის წარმატებით თვითონვე იყო დაინტერესებული: დიდ წყალობას ელოდა, როცა იგი ორდენის მაგისტრი გახდებოდა. გარდა ამისა, აკი კონრად მონ ფიტჩეტიც შეჰპირდა დაწინაურებას, უბედური რებეკას დასჯას თუ მოახერხებდნენ. ბუა გილბერის გულში გაღვიძებული სათნო გრძნობების დათრგუნვა თითქოს ძნელი არ უნდა ყოფილიყო მალვუაზენისათვის, ისევე როგორც ყველა ცბიერს, გულცივსა და თავკერძა კაცს შეუძლია ადვილად დაიმორჩილოს მგზნებარე გულისთქმას აყოლილი მერყევი ადამიანი, მაგრამ მაინც მთელი მოხერხებისა და ეშმაკობის

გამოყენება დასჭირდა, რათა მეგობრის გულში ის გადაწყვეტილება გა-ნემტკიცებინა, რაც თვითონვე შთააგონა; იძულებული გახდა, თვალი ერთი წუთითაც არ მოეშორებინა, ყოველნაირად შეეშალა ხელი გაქცევისათვის, როგორმე ისე მოეწყო საქმე, რომ ბუა გილბერი მაგისტრს არ შეხვედროდა და თავის უფროსთან აშკარა დავა არ გაემართა. წამდაუწუმ ეჩიჩინებოდა, ათასნაირად უსაბუთებდა, რომ მისი ასპარეზობაზე გამოსვლა აუცილებელი იყო - ამით იგი რებეკას ბედისწერას ვერ დააჩქარებდა, ვერც დაიხსნიდა ქალს, ხოლო საკუთარ შერცხვენასა და განადგურებას კი გადარჩებოდა.

თავი მეორმოცე

განვედით სულნო!.. რიჩარდი კვლავ მოეგო გონსა.
შექსპირი.

ახლა შავი რაინდის თავგადასავალს მივუბრუნდეთ. დასტოვა თუ არა გულუხვი ყაჩაღის სანიშნო მუხა, იგი მახლობელი მონასტრისაკენ გაემართა. ამ მონასტერს წმიდა ბოთოლფის სააბატოს ეძახდნენ - პატარა მონასტერი იყო, მცირეშემოსავლიანი. ტორკილსტონის ციხის აღების შემდეგ დაჭრილი აივენჰო, ერთგული გურთისა და დიდსულოვანი ვამბას თანხლებით იქ გადაეყვანათ. ჯერ საჭირო არ არის მკითხველს მოვუთხროთ, თუ რა მოხდა უილფრედსა და მის მხსნელს შორის. საკმარისი იქნება ვთქვათ, რომ დიდი და სერიოზული მოლაპარაკების შემდეგ აბატმა ქეშიკები დაგზავნა სხვადასხვა მიმართულებით, მეორე დილას კი შავი რაინდი, ვამბას მეგზურობით, წასასვლელად მოაემზადა.

- ჩვენ კონინგსბურგში შევხვდებით ერთმანეთს, - უთხრა მან აივენჰოს, - განსვენებული ათელსტანის ციხე-დარბაზში, რაკი მამაშენიც იქ არის და თავისი კეთილშობილი ნათესავის სულისმოსახსენებლად აღაპს მართავს.

შენს საქსონელ მოკეთეებს ერთად ვიხილავ იქ, სერ უილფრედ, და უკეთ გავიცნობ. შენც იქ მოხვალ, და მამაშენთან შენს შერიგებას მე ვკისრულობ.

ეს უთხრა და სიყვარულით გამოეთხოვა აივენჰოს, რომელიც გამწარებით სთხოვდა, გაგაცილებო. მაგრამ მის მუდარას შავმა რაინდმა ყურიც არ ათხოვა.

- დღეს დაისვენე; ის კი არადა ხვალაც არ გექნება მგზავრობის თავი. ეს პატიოსანი ვამბა გვერდზე მყავდეს და სხვა თანამგზავრი რაღად მინდა: მღვდლის როლსაც კარგად შეასრულებს და ხუმარისაც - როგორც მომეპრიანება.

- დიდი სიხარულით გამოგყვები და სულითა და გულით გემსახურები, - უთხრა ვამბამ, - ერთი სული მაქვს, მანამ ათელსტანის აღაპს დავესწრებოდე. თუ გულუხვი და სავსე სუფრა არ იქნა, საფლავიდან წამოდგება და ერთ ამბავს დააწევს მზარეულს, მეკუჭნავესა და მერიქიფეს. შენი გულადობის იმედი მაქვს, ბატონო რაინდო - ჭკუამახვილობამ თუ მიღალატა, სედრიკთან უნდა მიშუამდგომლო.

- ჩემი უბადრუკი გულადობა რაში გამოგადგება, ბატონო ხუმარავ, შენმა მახვილმა ჭკუამ თუ გიმტყუნა?.. ერთი ესეც ამიხსენი.

- ჭკუას, ბატონო რაინდო, ბევრი რამ შეუძლია, - მიუგო მასხარამ, - მკვირცხლი და დაკვირვებული არამზადა გახლავს - ხელადვე შენიშნავს, რომელი თვალი აქვს მეზობელს დავსებული, და

როგორც კი გაფიცხებას შეატყობს, მაშინვე იმ უხიფათო მხრიდან ამოუდგება. მამაცობა კი ერთი ჩასკვნილი ყმაწვილია - ჯიქურ მიიწევს; სულაც არ დაგიდევს დიდი ღელვაა თუ ზურგის ქარი უბერავს: უსვამს ნიჩბებს და გზას მიიკვლევს. ასე რომ, ბატონო რაინდო, თუ კარგი დარი იქნა, ჩემს კეთილ ბატონთან მე მიმიშვი, და თუ გაავდრდა, შენ უნდა შეიწუხო თავი.

- ბატონო შავო რაინდო, რაკი მაინცდამაინც ამ სახელით გსურს მოგმართონ, - უთხრა აივენჰომ, - ძალიან ყბედი და მოუსვენარი მეგზური კი აირჩიე. მაგრამ ისე კარგად იცის ამ ტყის ასავალ-დასავალი, ყოველი ბილიკი და წავარნა, რომ მონადირესაც კი შეშურდება; თანაც ეს საწყალი მასხარა ფოლადივით მართალი და ერთგულია, ამაში ნაწილობრივ შენც დარწმუნდი.

- არხეინად იყავი, - მიუგო რაინდმა, - ოღონდ გზა გამიგნოს და იყბედოს, სანამ მოსწყინდება, ერთსაც არ დავიწუწუნებ... მშვიდობით, ძვირფასო აივენჰო... გიბრძანებ, რომ ხვალამდე მაინც ფეხი არ მოიცვალო.

ეს რომ თქვა, აივნეჰოს ხელი გაუწოდა, და დაჭრილი რაინდიც მაშინვე ემთხვია ხელზე, მერე აბატსაც გამოეთხოვა, ცხენს მოახტა და ვამბასთან ერთად გზას გაუდგა. მანამ ტყეში შთაინთქებოდნენ, აივენჰოს თვალი არ მოუშორებია, მერე კი მობრუნდა და მონასტერში შევიდა.

მაგრამ წირვის შემდეგ აბატი დაიბარა. მოხუცი მაშინვე მოვიდა, და როგორა ხარო, ჰკითხა.

- უკეთ, - უპასუხა რაინდმა, - არც კი მოველოდი, ისე კარგად ვარ. ან ჭრილობა არ იყო ისე დიდი, როგორც სისხლის დენის გამო მომეჩვენა, ან ეს მალამო ყოფილა სასწაულმომქმედი. ისე კარგად ვარ, რომ, მგონია, აბჯრის ტარებაც კი შემიძლია. და მადლობა ღმერთს ასეა საქმე, თორემ თავში ისეთი ფიქრები მიტრიალებს, გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შემიძლია.

- ღმერთმა დამიფაროს, რომ სედრიკ საქსონელის შვილი ჭრილობის განუკურნებლად გავუშა აქედან, - უთხრა აბატმა, - სირცხვილით მერე თავი სად უნდა გამოვყო?!

- მე თვითონვე არ მოვიწადინებდი ამ თქვენი სტუმართმოყვარე მონასტრის დატოვებას, ღირსო მამავ, - მიუგო აივენჰომ, - თავს კარგად რომ არა ვგრძნობდე. მგზავრობის ჯანიც მომდევს და იძულებულიც ვარ, წავიდე.

- რამ გაფიქრებინა, მაინც, ასე უცებ წასვლა? - ჰკითხა აბატმა.

- არასოდეს არა გქონია, წმიდაო მამავ, ავი წინათგრძნობა, რასაც ვერავითარ საფუძველს ვერ გამოუძებნის ხოლმე კაცი?.. არასოდეს არ დაგბნელებია სული, როგორც მზით განათებულ მინდორს გადაუვლის ხოლმე ქარიშხლის ღრუბელი და დააბნელებს?.. განა ყურადღების ღირსი არ არის ასეთი გრძნობა?! ხომ შეიძლება მფარველი ანგელოზები გვანიშნებდნენ მოახლოებულ საშიშროებას?!

- უარს ვერ ვჰყოფ! - წარმოთქვა აბატმა და პირჯვარი გადაისახა, - ასეთი წინათგრძნობა, რა თქმა უნდა, არსებობს, და ღვთისაგან არის მოვლენილი. ამიტომ ფუჭი კი არ უნდა იყოს - სარგებლობაც უნდა მოიტანოს. შენ კი, დაჭრილმა კაცმა, აბა რა უნდა გაუკეთო იმას, ვის გამოკიდებასაც აპირებ - კიდეც რომ შეხვდეს განსაცდელი, შენ რას უშველი?

- არა, მამაო, - უთხრა აივენჰომ, - იმდენი ღონე კი მაქვს, რომ, შებმას თუ ვინმე გამიბედავს, გავუმკლავდე... მაგრამ, ეგეც რომ არ იყოს, განსაცდელში თუ ვნახე, განა სხვა რამით ვერ დავეხმარები, მარტო მკლავზეც ხომ არ არის საქმე. საქვეყნოდ ცნობილია, რომ საქსონელებს ნორმანები არ უყვართ; ვინ იცის, რა მოხდება, უცებ ათელსტანის სიკვდილით გამწარებულ საქსონელებს რომ შეეყაროს, მით უმეტეს აღაპში შემთვრალ ხალხს?! მე ასე მგონია, რომ მისი იქ გამოჩენა ახლა, ასეთ ვითარებაში, ძალიან საშიშია, და გადავწყვიტე, ან ავაცდინო განსაცდელი, ან მეც მასთან ერთად გავინაწილო. შენ კი იმას გთხოვ, ცოტა უფრო თვინიერი ცხენი მათხოვო, ჩემი ბედაური ძალიან ფიცხია.

- ცხენს როგორ დაგიჭერ, - მიუგო ღირსმა აბატმა, - ჩემს იორღა ჯენეტს გათხოვებ. ოღონდ, ნეტა სანტ ალბანის აბატის ცხენივით ნელი იორღა იცოდეს. სწორედ შენთვის იქნებოდა ზედგამოჭრილი. თუმცა ძალიან წყნარი ცხოველი კია ჩემი მალკინი - მალკინს ვეძახი - ჯამბაზის ცხენს, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება, ჩამწკრივებულ კვერცხებს შორის რომ აცეკვებენ ხოლმე -

მაგრამ ისე მაგისთანა უწყინარსა და თვინიერ ცხენს მეორეს ვერ შეხვდები. ვინ მოთვლის, რამდენი ქადაგება შემითხზავს მაგის ზურგზე მჯდარს, ჩვენი მონასტრის ძმებისა და საერთოდ ბევრი საწყალი ქრისტიანის დასამოძღვრებლად.

- მაშ, ახლავე შეაკაზმინე, ღირსო მამავ, ის შენი მალკინი, - უთხრა აივენჰომ, - და გურთიც გამომიგზავნე, აბჯარი გამომიტანოს!

- ოღონდ ეს კი უნდა შეგახსენო, ძირფასო ბატონო, რომ მალკინს აბჯარსაჭურვლისა იმდენივე გაეგება, რამდენიც პატრონს, და შენს აბჯარს რომ დაინახავს, ან მის სიმძიმეს როცა იგრძნობს, ვაითუ დაოჩნდეს. ო, დიდი გონიერი ცხოველია ჩემი მალკინი, მართალი თუ გნებავთ: ოდნავ ზედმეტი სიმძიმე და მორჩა!.. ერთხელ სანტ ბიის მღვდელს „Fructus Temporum“ გამოვართვი, და როგორა გგონია - ფეხი ვეღარ მოვაცვლევინე ჭიშკრიდან, მანამ ის ვეებერთელა წიგნი უკანვე არ დავუბრუნე და ისევ ჩემი პატარა კურთხევანი არ დავიჭირე ხელში.

- ფიქრი ნუ გაქვს, წმიდაო მამავ, ზედმეტი სიმძიმით არ შევაწუხებ, - უთხრა აივენჰომ, - მაგრამ მართლა თუ გაქირი ქნა, მით უარესი მისთვის.

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს გურთი სწორედ მოოქროვილ დეზებს უმაგრებდა თავის

ბატონს. იმოდენა იყო ეს დეზები, რომ რაგინდ ოჩანი ყოფილიყო ცხენი, უსათუოდ მორჩილებასა და მხედრის ნებაზე მიყოლას შთააგონებდა.

აივენჰოს ქუსლებზე დამაგრებულ ვეება, წამახვილებულ დეზებს რომ ჰკიდა თვალი, ღირსეული აბატი სინანულში ჩავარდა - ასე თავაზიანად რას დავუთმე ცხენიო.

- აჰ, ძვირფასო რაინდო, - შესძახა მან, - ახლაღა გამახსენდა, დეზებს სულ ვერ იტანს მალკინი... ცოტას რომ დაიცდიდეთ, ჩვენი მნე ცხოვრობს აქვე მახლობლად და იმის ჭაკს მოვაყვანინებ; დიდი- დიდი ერთი საათი და-გაგვიანდეს... თვინიერი ცხენი თუ გინდა, უკეთესს ვერ ნახავ: მთელი ზამ-თარი შეშას აზიდინებენ და ქერს კი არ აჭმევენ.

- მადლობას გწირავ, ღირსო მამავ, მაგრამ მე ისევ მალკინი მირჩევნია, აგერ გამოუყვანიათ კიდეც ჭიშკართან. ჩემს აბჯარს გურთი წამოიღებს. და-ნარჩენი მე მომანდე - რაკი მძიმეს არაფერს ავკიდებ, აღარც მოთმინები-დან გამომიყვანს. აბა, მშვიდობით!

ისე სწრაფად და ლაღად ჩაირბინა აივენჰომ კიბე, რომ დაჭრილი ადა-მინისაგან დაუჯერებელიც კი იყო, ეზოში ჩავიდა და თვალის დახამხამებაში მოახტა ცხენს, უნდოდა ჩქარა გასცლოდა ამ აბეზარ აბატს, რომელიც, სი-ბერისა და თავისი დიდი ღიპის მიუხედავად მარდად მოსდევდა

რაინდს და ხან მალკინის ქება-დიდებას ებუტბუტებოდა აივენჰოს, ხან კი ეჩიჩინებოდა, ფრთხილად მოეპყარიო.

- ქალწულებისა და ჭაკებისათვის ყველაზე საშიშ ასაკშია ახლა შესული, - თქვა ბერიკაცმა და თავის ოხუნჯობაზე თვითონვე აქირქილდა, - თხუთ-მეტს ახლახან გადააბიჯა.

მაგრამ აივენჰოს სულაც არ ეპიტნავებოდა მალკინის ამბები, ყურშიაც არ შეუშვია აბატის ბრძნულ-ბრძნული დარიგებანი და ხუმრობანი, მოახტა თუ არა ცხენს, მეაბჯრეს უბრძანა (გურთი უკვე მეაბჯრეს ეძახდა თავს), მომ-ყევიო, და ტყის გზას დაადგა, საითაც ამ ცოტა ხნის წინ შავი რაინდი წავიდა. აბატი მონასტრის ჭიშკართან იდგა, მიმავალთ შესცქეროდა და თავისთვის ლაპარაკობდა:

- წმიდაო მარიამ, რა ცეცხლივით ბიჭები არიან ეს მეომრები! ნეტა რა მრჯიდა, მალკინი რომ ვანდე: ისედაც დამასაპყრა ამ ქარებმა, და ცხენს

რომ რამე მოუვიდეს, ხომ დავიღუპე! თუმცა, - თითქოს ერთბაშად გამოერკვა აბატი, - ძველი ინგლისის სიკეთისთვის ხომ ამ ჩემს ბებერსა და დაჩაჩანაკებულ თავსაც არ დავიშურებ და რა მოხდება, რომ მალკინიც შეეწიროს მაგ საქმეს. ვინ იცის, იქნებ ეს ჩვენი ღარიბი სახლიც ღირსა ჰყონ და რამე ძვირფასი საჩუქარი უბოძონ... ან არადა, მოხუც აბატს ერთი ჯაგლაგი აჩუქონ. თუ არც ერთი მოიფიქრეს და არც მეორე - დიდ ხალხს მუდამ

ავიწყდება ხოლმე პატარა ხალხის სამსახური - მე ჯილდოდ ესეც მეყოფა: ხომ კეთილი საქმე გავაკეთე! ახლა კი ხემსის დრომაც მოაწია და ძმებს უნდა მოვუხმო... ეჰ, წირვა-ლოცვაზე ითრევენ ფეხს, თორემ ახლა, იცოცხლე, ფაცხაფუცხით გამოსწევენ.

ამრიგად, წმიდა ბოთოლფის მოძღვარი სატრაპეზოსკენ წაჩლახუნდა, საცა ის იყო ბერებისათვის, საუზმედ, გამომხმარი თევზი და ლუდი შემოეტანათ. მიუჯდა სუფრას თავში, გაიბერა, გაიფხორა და მოჰყვა მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს, მალე დიდ წყალობას უნდა ელოდოს ჩვენი მონასტერიო, და მეც დიდი წვლილი მიმიძღვის ამ საქმეშიო... სხვა დროს დიდ ინტერესს აღძრავდა ეს სიტყვები, მაგრამ ახლა, რაკი თევზი მეტისმეტად მლაშე გამოდგა, ხოლო ლუდი გვარიანი მაგარი, ბერებს ყბები ჰქონდათ ამუშავებული, ხოლო ყურები დაესვენებინათ. ჟამთააღმწერელი მხოლოდ ერთ ბერზე მიუთითებს, გულისყურით ისმენდა მოძღვრის ნართაულ სიტყვებსო. სხვა ჩვენ არავინ ამოგვიკითხავს. ეს ბერი ძმა დიგორი გახლდათ; თურმე კბილის ტკივილს გაემწარებინა და მარტო ცალი ყბით ჭამდა.

შავი რაინდი და მისი მეგზური, ამასობაში, აუჩქარებლად მიჰყვებოდნენ ტყის ბილიკს. მამაცი რაინდი ხან შეყვარებულ ტრუბადურთა სიმღერას წამოიწყებდა ღიღინით, ხან შეკითხვას ესროდა თავის ყბედ მხლებელს და სალაპარაკოდ წააქეზებდა. ასე რომ მათი საუბარი ღიღინისა და ხუმრობის ნარევს წარმოადგენდა. გვინდა, მკითხველსაც დავუხატოთ მათი მოგზაურობის სურათი.

მაშ წარმოიდგინეთ ეს რაინდი, რომლის გარეგნობა ჩვენ ადრევე გვაქვს აღწერილი - მაღალ-მაღალი, მოსული, ჩასკვნილი, ძვალმსხვილი, ზის თავის შავ ბედაურზე და მიდის. ბედაურიც საგანგებოდ შეურჩევიათ - ისე არხეინად მიჩაქჩაქებს, რომ ეტყობა, სულ არ უჭირს ამოდენა კაცის ტარება. ზარადი ზემოთ აუწევია რაინდს, რათა უფრო თავისუფლად ისუნთქოს, მაგრამ მუზარადი მაინც ისე აქვს შეკრული, რომ ვერ იცნობ. მოუჩანს

მზით დამწვარი, ვარდისფრად შეფაკლული ღაწვები და დიდრონი ლურჯი თვალები, რომლებიც ზეაწეული ზარადის ჩრდილში საოცრად ელვარებენ; მისი თავისუფალი მიხრა-მოხრა და ქცევა ამჟღავნებენ, რომ ეს კაცი უდარ-დელ მხიარულებას მისცემია, თავის ძალაში დარწმუნებულს, შიშიც არაფ-რისა აქვს, მაგრამ ისიც ეტყობა, რომ ყოველ შემთხვევისათვის, მზად არის განსაცდელს ვაჟკაცურად დახვდეს; იმასაც შეატყობ, რომ ხიფათი მისთვის, როგორც ფათერაკების მოყვარული რაინდისა და მეომრისათვის, უცხო ხი-ლი არ უნდა იყოს.

მასხარას თავისი ჩვეულებრივი ჭრელაჭრულა ტანსაცმელი ჩაუცვამს. მაგრამ ბოლო დროს თავსგადამხდარ ამბებს ჭკუა უსწავლებია მისთვის და ხის მახვილის ნაცვლად ახლა ნამდვილი ფარ-ხმალი არტყია. ტორკილ-სტონში დაამტკიცა კიდეც, რომ ამ იარაღებს კარგა მარჯვედ ხმარობდა, თუმცა მისი ხელობის კაცისათვის სულაც არ იყო ეს მოსალოდნელი. ვამბას ჭკუამოშლილობა მხოლოდ და მხოლოდ მის მოუსვენარ წრიალში გამოი-ხატებოდა - ცმუკავდა, ტრიალებდა. ერთ საქმეს დიდხანს გულს ვერ უდებ-და, მალე ბეზრდებოდა. ხოლო ერთბაშად

გასაკეთებელი რამე თუ შეხვდებოდა, მარჯვედ და კარგად შეასრულებ-და. ხომ ცხენზე იჯდა ახლა, მაინც ვერ მოესვენა - ხან წინ გადაწვებოდა, ხან უკან, ხან კისერზე ჩაცურდებოდა, მერე გავაზე დასკუპდებოდა... ხან ცალ მხარეზე ჩამოჰკიდებდა ორივე ფეხს, ხან მეორეზე; უცებ შეტრიალდებოდა და პირს კუდისკენ იზამდა; იჭყანებოდა, იმანჭებოდა, ათასნაირად იგრიხე-ბოდა... უთმინა, უთმინა ცხენმა, ბოლოს ტლინკები ყარა და მწვანე ბალახზე ბრაგვანი გაადენინა. რაინდი ძალიან ასიამოვნა ამ ამბავმა, მისი თანამ-გზავრი კი ამის შემდეგ იძულებული გახდა უფრო დინჯად გარჯილიყო.

იმ წუთში, როცა ჩვენ მგზავრებს წამოვეწიეთ, ეს მხიარული წყვილი ვი-რელაის მღეროდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შავი რაინდი მღეროდა, ხოლო მასხარა სასიამოვნო ბანს აძლევდა. აი ეს სიმღერა:

ანა-მარია, ჩემო ძვირფასო,
მზე ამოსულა და ელავს ცაში,
ანა-მარია, ჩემო ძვირფასო,
ბრწყინვალე დილა მოდის და ფრთას შლის.
ნისლი გაჰფანტა, ჩემო ლამაზო,
და ფრინველებმაც იწყეს ჟღურტული,

ანა-მარია, ჩემო ძვირფასო,
დილა მოფრინდა, როგორც შურდული.
ანა-მარია, ჩემო ძვირფასო,
ბრწყინვალე დილა მოდის და ფრთას შლის,
მონადირემაც ჩაჰბერა საყვირს
და გამოუდგა ირმის ჯოგს კვალში.
საყვირის ექო კლდეებს აწყდება -
გრგვინავს და რეკავს მთასა და ბარში.
ანა-მარია, ჩემო ძვირფასო,
შენც ადექი და გამოდი კარში.
ვ ა მ ბ ა
ო, ჩემო ტიბალტ, ო, საყვარელო,
რატომ მაღვიძებ ასე ადრიან,
რბილ სასთუმალზე თავი მიდევს და
ტკბილი სიზმრები ირგვლივ დაჰქრიან.
რომ გავიღვიძო, რას დავინახავ
ისე ტკბილსა და ისე სანუკვარს,
ცხადში განცდილი რას შეედრება,
როცა კაცს ვინმე სიზმარში უყვარს?!
ო, ჩემო ტიბალტ, ო, საყვარელო,
დე იჟღურტულონ ჩიტებმა ცაში,
მონადირემაც ჩაჰბეროს საყვირს
და გამოუდგეს ირმის ჯოგს კვალში.
ტკბილი სიზმრები, ტკბილი ოცნება,
ტკბილი ზმანება ყველაფერს მიჯობს,
განა შენ გნახე სიზმარში ტიბალტ,
ნუ გამაღვიძებ, დამეხსენ, ბიჭო.

- მშვენიერი სიმღერაა, - თქვა ვამბამ, - და, ჩემი კვერთხის მადლმა, კაი ჭკუისსასწავლებელიც. რამდენჯერ გვიმღერია მე და გურთს ერთად!.. გურთი ჩემი თანაშეზრდილია, სულ ერთად ვიყავით ხოლმე, ახლა კი ნუღარ ეხუმრები - ღვთისა და ბატონის წყალობით, თავისუფალი კაცი გახდა. ერთხელ, მახსოვს, კაი მაგრადაც გვითავაზეს მაგ სიმღერის გამო. შევჰყევით მღერას და ისე გაგვიტაცა, რომ მზე ორი საათის ამოსულია და და ჩვენ კი

ისევ ლოგინში ვგდივართ - თან ვმღერით, თან ძილს ძლივძივობით ვარ-თმევთ თავს. რამდენი ხანი გავიდა მას უკან, და გამახსენდება თუ არა მაგ სიმღერის ჰანგი, ძვლები ტეხას მიწყებს ხოლმე. ისე, მართალი თუ გინდა, შენი ხათრით ვიმღერე, ძვირფასო ბატონო, ანა-მარიას როლი.

მერე რაღაც სალაღობო სიმღერა წამოიწყო მასხარამ, რაინდმაც ხე-ლად დაიხსომა სიმღერის კილო და ბანი მისცა.

რაინდი და ვამბა
სამი ქვეყნის სამი მხრით -
დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით,
სამი კაცი თავაწყვეტით მიჰქროდა.
გადმოლახეს მთა-ველი და ფერდობი,
და სიმღერას მართლაც თუ მივენდობით,
ვიღაც ქვრივთან თავის გული მიჰქონდათ.
ხოლო ქვრივის სადა თქმულა უარი?
ეს წესია მტკიცე და უტყუარი.
ჯერ მობრძანდა გმირი სვე-ბედნიერი,
ტინედული მას დაჰკრავდა იერი.
და სიმღერას მართლაც თუ მივენდობით,
წინაპრებიც გავუხსენოთ შენდობით:
მამა-პაპა - ღმერთო უცხონე სული -
ხალხი იყო მორჭმული და განთქმული...
ასეთ რაინდს ქვრივმა ჰკადროს უარი?!
სასიძოა ნაღდი და უტყუარი.
მოხსნა გუდა - და რაინდი ქებული
ენად იქცა ის სულგანათლებული.
„მამა მყავდა მჯობზე უმჯობესიო,
ბიძა მყავდა კიდე უკეთესიო“...
- „თუკი ბიძა ამნაირი გყოლია,
რაღად გინდა, ჩემო ძმაო, ცოლიო“...
ეს უთხრა და გაისტუმრა უარით -
თვალი ჰქონდა - ბასრი და უტყუარი.
ვამბა
ის წაბრძანდა ცხარე ცრემლის ფრქვევითა,

და ჭიშკარში სხვა სასიძო შევიდა -
აზნაური სულითა და ხორცითა,
ღიღინებდა - როდი იყო მოცლითა.
უელსელი მებატონე, ქებული,
ენა-მზე და სიტყვა-დამშვენებული.
ამნირ კაცს ქვრივმა ჰკადროს უარი?!
სასიძოა ნაღდი და უტყუარი.
„მეო, უთხრა, სერ დავიდი მქვიანო,
მორგანს, ტუდოს, რისსაც მეძახიანო“, -
არაფერი დავაკლოო იფიქრა,
და დასძინა - „მეძახიან გრიფითსაც“.
- „ამდენ კაცთან ერთი ქვრივი, ბატონო,
რას გავხდები, რა ვქნა ეს უპატრონო!“
უთხრა ქალმა და მიუგდო ჭიშკარი,
უელსისკენ გაბრუნდიო, იჩქარე.
ის წავიდა და გამოხდა რა ხანი,
ქალს მთხოვნელი მოუვიდა ახალი.
გლეხი იყო - ულვაშები შვენოდა
და გლეხური მონდომებით მღეროდა.
„ - კენტში წამო, გულს ნუ გამიტიალებ,
ყანა ნახო - შიგ ღვთის თვალი ტრიალებს“,
უთხრა გლეხმა, და ვერც ჰკადრეს უარი,
ბიჭი იყო ნაღდი და უტყუარი.
ორივე ერთად
ის რაინდიც, ის ბატონიც ქებული
დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებული,
დასხდნენ ახლა და უყარონ კაკალი,
გაიხსენონ წინაპართა ზღაპარი.
კენტელ გლეხს კი თავის ლამაზ ქვრივთანა
ღმერთმა ტკბილად მოახმაროს ის ყანა,
ბიჭი იყო ნაღდი და უტყუარი,
მაგნაირ კაცს ვინ შეჰკადროს უარი.

- ნეტა ჩვენი სანიშნო მუხის მასპინძელი და მისი კაპელანი - მხიარული ბერი - ისმენდნენ ამ შენს სახუმარო სიმღერას, - უთხრა რაინდმა, - ძაან ეამებოდათ ეშმაკი იომენის ქება.

- მე კი სულაც არ ვინატრებდი მაგათ აქ ყოფნას, - მიუგო ვამბამ, - თუმცა საყვირი გაჩუქეს და ღირსნი არიან, რომ პატივი სცე.

- მაშა, - თქვა რაინდმა, - ეს ლოკსლის მეგობრული სიყვარულის ნიშანია, თორემ ისე რაში მჭირდება. ისე კი, რომ დაგვჭირდეს, სამჯერ ჩავბერავ, და იმ პატიოსან იომენების მხიარული გუნდი ხელად გარს შემოგვეხვევა.

- ღმერთმა დაგვიფაროს-მეთქი, ვიტყოდი, - უთხრა ვამბამ, - მაგრამ ვიცი, რომ დაინახავენ თუ არა მაგ მშვენიერ საჩუქარს, ხელსაც არ გვახლებენ.

- ვითომ რაო? - ჩაეკითხა რაინდი, - ეს მეგობრობის საწინდარი რომ არ გვქონდეს, დაგვესხმოდნენ?

- მე მაგას არ ვამბობ, - მიუგო ვამბამ, - განა მარტო ქვის კედლებსა აქვს ყურები, მწვანე ხეებიც კარგად გვისმენენ. მაგრამ ამას თუ გამოიცნობ, ბატონო რაინდო - ცარიელი ტიკი და ცარიელი ქისა როდის სჯობია სავსეს.

- როდის და არასოდეს, - უპასუხა რაინდმა.

- ამისთანა პასუხისათვის არცა ხარ ღირსი, ან ერთი გქონდეს სავსე და ან მეორე!.. მაშ დაიხსომე, ტიკი მაშინ უნდა დასცალო, როცა საქსონელისათვის აპირებ გადაცემას, ხოლო ფული მაშინ უნდა გამობერტყო ქისიდან და შინ დასტოვო, როცა ამ ტყისკენ აპირებ გამომგზავრებას.

- მაშ ჩვენი მეგობრები მძარცველები გგონია? - ჰკითხა რაინდამ.

- მე ეგ არ მითქვამს, ძვირფასო რაინდო, - მიუგო ვამბამ, - როცა კაცი გრძელ გზას ადგას, მისი ცხენისთვის სწორედ რომ მადლი იქნება ხურჯინს თუ მოხსნიან: თვითონ მხედარი კი მაშინ იგრძნობს შვებას, როცა იმისთანა რამეს მოხსნიან, რაც სულს ცოდვებით ამძიმებს. ასე რომ, სალანძღავი სიტყვებით ვერ მოვიხსენიებ ასეთი სამსახურის გამწევ ხალხს. ოღონდ, როცა ამისთანა ხალხთან შეხვედრა მიწევს, მირჩევნია ხურჯინიც შინ დავტოვო და ქისაც, რათა ბევრი წვალება არ დასჭირდეთ.

- როგორადაც არ უნდა თათხო ისინი, ჩვენ მაინც მათი სულისთვის ლოცვა გვმართებს, ვამბა, - უთხრა რაინდმა.

- სულით და გულით ვილოცებ, - მიუგო ვამბამ, - მაგრამ ქალაქში, აქ კი არა; სენტ ბიელი აბატისა არ იყოს - შესვეს ერთხელ მუხის ფუღუროში და იქ აწირვინეს.

- შენ როგორც გინდა თქვი, ვამბა, და, მაგ იომენებმა დიდი სამსახური გაუწიეს შენს ბატონს ტორკილსტონში, - უთხრა რაინდმა.

- ნამდვილად, - უპასუხა ვამბამ, - მაგრამ იქაც მოითბეს ხელი, როგორც ზეცასთან ვაჭრობის დროს აკეთებენ ხოლმე.

- ვაჭრობაო, ვამბა! გამაგებინე, კაცო, რას ამბობ? - ჩაეკითხა თანამგზავრი.

- რასა და, ზეცასთან ორმაგ ანგარიშს აწარმოებენ, - მიუგო მასხარამ, - ისე გამოზომილად, როგორც ებრაელი ისააკი თავის მევალეებთან: ცოტას გასცემენ და ბევრს იგებენ. თანაც შვიდჯერ მეტს: ეტყობა, წმიდა წიგნის გავლენით, რომელიც ყოველი კეთილი საქმისათვის ასეთივე მისაგებელს გვპირდება.

- უფრო გარკვევით ამიხსენი, თორემ შენი ანგარიშისა მე არაფერი გამეგება, ვამბა, - უთხრა რაინდმა.

- მაგას რაღა ბევრი ლარი და ხაზი უნდა, - მიუგო ვამბამ, - მაგრამ თუ ასე გაუგებარი კაცი ხარ, მაინც აგიხსნი. ეს სულგანათლებული ვაჟბატონები ისეთ ანგარიშს აწარმოებენ, რომ ყოველ კეთილ საქმეს მეორე არც თუ ისე საქებურ საქმეს უკავშირებენ ხოლმე: მათხოვარა ბერს რომ ერთ გროშს უწყალობებენ, მაგალითად, სამაგიეროდ მსუქან აბატს ასი ოქრო უნდა წაგლიჯონ; ან აგერ გაჭირვებულ ქვრივს თუ გაუმართეს ხელი, სამაგიეროდ, ტყეში კაი გათქვირული გოგო უნდა ჩაპროშნონ...

- მერედა მაგ ორში რომელია კეთილი საქმე და რომელი დანაშაული? - შეაწყევტინა რაინდმა?

- აფერუმ! კაი ხუმრობა გცოდნია! - მოუწონა ვამბამ, - გონებაგახსნილ ხალხში რომ მოხვდები, შენი ჭკუაც ილესება ხოლმე. თუნდა ხატზე დავიფიცებ, ბატონო რაინდო, რომ იმ ქოსატყუილა ბერთან ლოცვანის კითხვის დროს ამისთანა არაფერი დაგცდენია... მაგრამ ისევ ჩვენს ლაპარაკს მივჰყვეთ. ეს ტყეში გაჭრილი გულმხიარული ბიჭები, გაჭირვებულს რომ ქოხს აუშენებენ, სამაგიეროდ ციხე-სიმაგრე უნდა გადაბუგონ... ეკლესიას გუმბათს გადაუხურავენ და სალაროს კი გაუძარცვავენ... საწყალ კაცს ტყვეობიდან დაიხსნიან და იქვე შერიფს გააგორებენ... რაღა შორს მივდივართ -

საქსონელ ფრანკლინს გაათავისუფლებენ და ნორმან ბარონს კი ცოცხლად გამობუგავენ. მოკლედ, კეთილი ქურდები არიან, თავაზიანი მძარცველები, მაგრამ სჯობს მაშინ შეხვდე, როცა სასწორი არასაქებური საქმისკენ არის გადახრილი.

- ვითომ, რატომაო, ვამბა? - ჰკითხა რაინდმა.

- მაშინ სინდისის ქენჯნას განიცდიან და ზეცასთან ანგარიშის გათანაბრებას ცდილობენ. მაგრამ მტრისას, მაშინ თუ შეხვდი, როცა სასწორი გაწონასწორებულია. ვაი იმ მგზავრის ბრალი, ვინც მაგათ ტორკილსტონის კეთილი საქმის შემდეგ შეხვდა. ისე კი, - განაგრძო ვამბამ და რაინდს მიუახლოვდა, - მაგ ყაჩაღებზე ათწილად უფრო საშიში ვაჟბატონებიც დაძრწიან ამ არემარეში.

- მაგისთანა ვინ უნდა იყოს - აკი მგლები და დათვები არა გვყავსო! - თქვა რაინდმა.

- სამაგიეროდ, მალვუაზენის ჯარისკაცები არიან ბლომად, ბატონო, - მიუგო ვამბამ, - და მართალს თუ მათქმევინებთ, შინა ომების დროს ოციოდე მაგათთანა არამზადა მგლების მთელ ხროვაზე უფრო საშიშია. ახლა ტორკილსტონიდან გაქცეული ჯარისკაცებიც ატორღიალებიათ და საკბილოს საძებნელად დაწანწალებენ. ასე რომ, მაგათ თუ გადავეყარეთ სადმე, ტორკილსტონში გამოჩენილი გმირობა ძვირი დაგვიჯდება... მაინც რას იზამდი, ბატონო რაინდო, ორი მაგისთანა ვაჟბატონი რომ შეგხვდეს?

- გზის გადაჭრა რომ გაგვიბედონ, მაშინვე შუბით მიწას მივაკრავ, ვამბა.

- ოთხი რომ შეგხვდეს?

- იმათაც იქით გავისტუმრებდი.

- ექვსი რომ შეგხვდეს? - არ ეშვებოდა ვამბა, - ჩვენ კი ასე ორი კაკალი კაცი ვიყოთ... ლოკსლის საყვირი არ გაგახსენდებოდა?

- რაო! სხვას მოვუხმო დასახმარებლად?! - შეუტია რაინდმა, - თუნდა მთელი რაზმი გამოიყვანო მაგისთანა არამზადებისა, ერთი რაინდიც კი ეყოფა - ისე დაირეკავს, როგორც ქარი წახვეტავს ხოლმე გამხმარ ფოთლებს!

- მაშ იცი რასა გთხოვ, - უთხრა ვამბამ, - ეგ საყვირი, ასე მაგარი ხმა რომ ჰქონია, აქ მომეცი, მინდა კარგად გავსინჯო.

რაინდმა აშურმა შეიხსნა და თანამგზავრს გულისწადილი შეუსრულა. ვამბამ ხელად კისერზე ჩამოიკიდა საყვირი.

- ტრა-ლი-რა-ლა - დაუსტვინა მან დათქმული ნიშანი, - კარგად დამიმახსოვრებია: სხვაზე ნაკლებად არც მე დავუკრავ.

- ეს რა ქენი, ვაჟბატონო? - უთხრა რაინდმა, - აქ მომეცი ჩემი საყვირი.

- არხეინად ბრძანდებოდე, ბატონო რაინდო, საიმედო ხელს აბარია! - უპასუხა ვამბამ, - როცა გულადობა და სისულელე მოგზაურობს ერთად, საყვირი მუდამ სისულელეს უნდა ებაროს, უფრო კარგად ჩაჰბერავს.

- აბა, არამზადა, შეუტია შავმა რაინდმა, - ძალიანაც ნუ აიშვებ... ფრთხილად არ გამაგულისო!

- კი ნუ შემაშინებ, ბატონო რაინდო, - უთხრა ვამბამ, და ცოტათი დაშორდა ბრაზიან რაინდს, - თორემ სისულელე ტლინკებს აყრის და მოუსვამს, გულადობამ კი თავისით გაიგნოს გზა ამ დაბურულ ტყეში.

- ახლა კი მართლაც გამომიჭირე, - თქვა რაინდმა, - და სწორედ გითხრა ჩხუბის დროც აღარა მაქვს. გქონდეს ეგ რქა, ოღონდ ჩქარა ვიაროთ.

- მაშ არ გამიბრაზდები? - ჰკითხა ვამბამ.

- არა-მეთქი სულელო, აკი გითხარი!

- მანამ რაინდულ სიტყვას არ მომცემ, ვერ დავიჯერებ, - უთხრა ვამბამ და ფრთხილად მიუახლოვდა.

- რაინდულ სიტყვას გაძლევ, ოღონდ ჩქარა მომყევი.

- ესეც ასე - გულადობა და სისულელე კვლავ დაძმაკაცდნენ, - თქვა მასხარამ და ახლა უკვე

გაბედულად მიუახლოვდა რაინდს, - რა ვქნა, არ მიყვარს იმისთანა ალიყურები, შენ რომ უთავაზე ჩასუქებულ ბერს და მიწაზე ნაძვის გირჩივით აგორე. ახლა კი, რაკი საყვირი სისულელემ იგდო ხელთ, გულადობამ გაიწ-გამოიწიოს და ფაფარი შეაქნიოს. რადგან, თუ არ ვტყუვდები, ეგერ ბუჩქებში რამდენიმე ვაჟბატონი ჩასაფრებულა და ჩვენ გვითვალთვალებს.

- რატომ გგონია? - ჰკითხა რაინდმა.

- ეგერ, იმ მწვანე ბუჩქებში, მუზარადს მოვკარი თვალი ორჯერ თუ სამჯერ. პატიოსანი ხალხი რომ იყოს, რაღა ბარდებში იფხოწიალებდნენ. მაგრამ წმიდა ნიკოლასის დიაკვნებისთვის სწორედ რომ ეს დაბურული ტყეა ყველაზე კარგი ტაძარი.

- მართალს უნდა ამბობდე, თავი ნუ მომიკვდება, - უთხრა რაინდმა და ზარადი ჩამოიწია.

კარგად კი გამოუვიდა: ჩამოუშვა თუ არა ზარადი, საეჭვო ბუჩქებიდან მაშინვე სამი ისარი გამოფრინდა და რაინდს თავსა და მკერდში მოხვდა; მუზარადს რომ არ აესხლიტა პირდაპირ ტვინს გაუხვრეტდა. მეორე ისარი მკერდის ჯავშანმა ასხლიტა, მესამე კი - ფარმა, რომელიც რაინდს კისერზე ეკიდა..

- გამჭედი დაგელოცოს! ნახე რა კარგი აბჯარია! - შესძახა რაინდმა, - აბა, ვამბა, შევუტიოთ!

და პირდაპირ ბუჩქებზე მიაგდო ცხენი. ტყიდან ექვსი თუ შვიდი კაცი გამოვარდა, შუბები მოემარჯვებინათ და პირდაპირ რაინდს უმიზნებდნენ. სამი შუბი მაშინვე დაილეწა - გეგონებოდა ფოლადის კოშკს მიამსხვრიესო. ხომ ზარადი ჰქონდა აკრული შავ რაინდს, მაგრამ ნახვრეტებში მაინც ჩანდა, როგორ უკვესავდნენ სიბრაზისაგან თვალები. ენით გამოუთქმელი ღირსებით წამოიწია უზანგებზე და შესძახა:

- ეს რა ამბავია, ბატონებო?

პასუხის ნაცვლად მომხდურებმა ხმლები იშიშვლეს, ყოველი მხრიდან შემოერტყნენ და უყვირეს:

- მოკვდი, მტარვალო!

- აჰა, წმიდაო ედვარდ! აჰა, წმიდაო გიორგი! - და ყოველ ასეთ შეძახებაზე თითო კაცს მიწაზე ანარცხებდა შავი რაინდი, - მაშ მოღალატეები ბრძანდებით?

ძალიან გააფთრებით კი შემოუტიეს ჩასაფრებულებმა, მაგრამ რა ნახეს - თითო დარტყმაზე თითო კაცსა ჰკლავდა რაინდის მრისხანე ხელი, უკან-უკან დაიხიეს, და თითქოს ამ ერთ კაცს უნდა მოეგო ბრძოლა, მაგრამ უცებ წინ გამოვიდა ლურჯად შემოსილი რაინდი, რომელიც აქამდე

ჩასაფრებულების უკან იდგა და ბრძოლაში არ ერეოდა; ამოჰკრა ცხენს დეზები, შუბი მოიმარჯვა და სტყორცნა არა მხედარს, არამედ მის ცხენს - სასიკვდილოდ დასჭრა ეს კეთილშობილი ცხოველი.

- აი, არამზადული დარტყმა! - შესძახა შავმა რაინდმა, როცა ცხენი წაიქცა და მხედარიც დაიყოლა.

ისე თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი, რომ ვამბამ რქის გამოყენებაც ვეღარ მოასწრო - ახლაღა ჩაჰბერა. საყვირის ხმის გაგონებაზე მკვლელებმა კიდევ დაიწიეს უკან, ნახევრად შეიარაღებულმა ვამბამ კი,

არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ შავ რაინდს მიაშურა და წამოდგომა უშ-ველა.

- არა გრცხვენიათ, არამზადა ლაჩრებო? - შესძახა ლურჯად შემოსილმა რაინდმა, რომელიც ეტყობოდა მეთაური იყო, - მასხარას რქამ აგიბნიათ თავგზა?

ამ სიტყვებით გულმოცემულმა ავაზაკებმა ერთხელ კიდევ შეუტიეს შავ რაინდს, რომელიც ზურგით მუხას მიყრდნობოდა და ხმლით იგერიებდა მტერს. არამზადა რაინდმა ახლა მეორე შუბი მოიმარჯვა, ხელსაყრელი დრო შეარჩია, როცა მისი მრისხანე მოწინააღმდეგე ყოველი მხრიდან გარ-შემორტყმული იქნებოდა, და მერე უცებ ასკუპა ცხენი, რათა რაინდი პირ-დაპირ მუხაზე მიერჭო

შუბით, მაგრამ ამჯერადაც ვამბამ შეუშალა ხელი, თავდამსხმელებს მთავარი მოწინააღმდეგე ამოეღოთ მიზანში და მთელი გულისყური მისკენ ჰქონდათ, სუსტ, მაგრამ მოხერხებულ ვამბას ყურადღების ღირსადაც არა თვლიდნენ; მასხარამ ისარგებლა ამით, სწრაფად შემოურბინა ბრძოლის ველს, ლურჯ რაინდს მიეჭრა და საბედისწერო დარტყმაში ხელი შეუშალა - მის ცხენს მივარდა და ხმლით მუხლის ძარღვები დააჭრა. ცხენი ჩაიკეცა და მხედარი დასცა. მაგრამ შავი რაინდი მაინც ცუდ დღეში იყო - გააფთრე-ბით იგერიებდა ყოველი მხრიდან გარშემორტყმულ თავით-ფეხამდე შეი-არაღებული ხალხის დარტყმებს, ელვის სიწრაფით ატრიალებდა მახვილს, რათა ერთბაშად ყველას გამკლავებოდა. ღონე გამოელია. მაგრამ ამ დროს ტყიდან გამოსროლილმა ისარმა ერთ-ერთი ყველაზე საშიში მოწი-ნააღმდეგე დააწვინა. იმავე წუთში ბრძოლის ველზე იომენების რაზმი შე-მოიჭრა ლოკსლისა და მხიარული ბერის მეთაურობით. დაერივნენ ავაზა-კებს და მალე ყველანი მიწაზე დააფინეს - ზოგი მკვდარი და ზოგი სასიკ-ვდილოდ დაჭრილი. შავმა რაინდმა ღირსეული მადლობა გადაუხადა თა-ვის მხსნელებს. ასეთი ღირსეული თავდაჭერა აქამდე არ შეენიშნათ იომე-ნებს - ერთი უბრალო მამაცი რაინდი ეგონათ და არა გამოჩენილი დიდებუ-ლი!

- მანამ ჩემს ერთგულ მეგობრებს საკადრის მადლობას ვეტყოდე, ამ მტრების ვინაობა მინდა გავიგო, ასე უმიზეზოდ რომ დაგვესხნენ თავს... აბა ერთი მუზარადი მოხსენი მაგ ლურჯ რაინდს, ვამბა; ეტყობა, ეგ უნდა იყოს ავაზაკების მეთაური.

მასხარამ ხელად მიირბინა თავდამსხმელთა მეთაურთან, რომელიც ქვეშ მოჰყოლოდა დაჭრილ ცხენს და ისე დაშავებულიყო, რომ არც გაქცევის თავი ჰქონდა და არც შებრძოლებისა.

- აბა, მამაცო რაინდო, - უთხრა ვამბამ, - ჩემი მეჯინიბეობა ხომ გამოსცადე, ბარემ მეაბჯრეობასაც მე გაგიწევ - ჯერ ცხენიდან ჩამოგაბრძანე და ახლა კი მუზარადიც უნდა მოგხადო.

ეს უთხრა, არც თუ ისე დიდი თავაზით მოხსნა მუზარადი ლურჯ რაინდს და მიწაზე მოისროლა. შავი რაინდი, ეტყობა, არ ელოდა ამ ნაცნობი სახისა და ჭაღარის ასეთ ვითარებაში დანახვას.

- ვოლდემარ ფიცურს! - შესძახა გაკვირვებულმა რაინდმა, - ამისთანა დიდებულსა და თითქოს ღირსეულ კაცს ეს ბინძური საქმე რამ ჩაგადენინა?

- რიჩარდ, - მიუგო ტყვე რაინდმა და ქვემოდან ახედა, - ეტყობა კარგად არა გცოდნია ადამიანის ბუნება, თუ ის არ იცი, სადამდე მიიყვანს მას შურისძიების წყურვილი და პატივმოყვარეობა.

- შურისძიების? - გაიმეორა შავმა რაინდმა, - შენთვის რა დამიშავებია? რისთვის უნდა იძიო შური?

- შენ ჩემი ქალიშვილის ხელი უარჰყავი, რიჩარდ... ნუთუ ეს შეურაცხყოფად არ მიგაჩნია ნორმანისათვის, რომელსაც ძარღვებში შენსავით კეთილშობილი სისხლი უჩქეფს?!

- შენი ქალი? - თქვა შავმა რაინდმა, - მერე ეს არის მტრობისა და სისხლისღვრის მიზეზი?.. ცოტათი გაგვეცალეთ, ბატონებო, ცალკე უნდა ვესაუბრო... მართალი მითხარი, ვოლდემარ ფიცურს... ასეთი ვერაგობისათვის ვინ წაგაქეზა?

- შენი მამის შვილმა, - მიუგო ვოლდემარმა, - რაც მამაშენისთვის ურჩობა გაგიწევია, იმის სამაგიეროს გიხდის.

რიჩარდს ბრაზით აენთო თვალები, მაგრამ კვლავ მისმა გულკეთილობამ იმძლავრა. შუბლი მოისრისა და, ერთი წუთით, დამორჩილებულ ბარონს დააშტერდა, რომლის სახეზედაც სიამაყეს სირცხვილი ებრძოდა.

- სიცოცხლის შენარჩუნებას არა მთხოვ, ვოლდემარ? - ჰკითხა მეფემ.

- ლომის კლანჭებში მოხვედრილმა კარგად იცის, რომ ასეთი თხოვნა ამაოა, - მიუგო ფიცურსმა.

- მაშ, უთხოვნელად მიბოძებია, - უთხრა რიჩარდმა, - ლომი ლეშს არ შეექცევა... მიბოძებია სიცოცხლე, ოღონდ ერთის პირობით: სამ დღეში ინგლისი უნდა დატოვო და შენი შერცხვენა შენს ნორმანულ ციხეში დამალო, არც გაბედო და ამ ბილწ საქმეს ჯონ ანჟუელის სახელი აღარ

დაუკავშირო. თუ დანიშნული ვადის შემდეგაც გნახა ვინმემ ინგლისში - სიკვდილი გელის... ან ისეთი რამე თუ წამოგცდა, რაც ჩემი ოჯახის სახელს შებღალავს, წმიდა გიორგის მადლმა, საკურთხეველიც კი ვეღარ გიხსნის. შენივე ციხის კოშკზე ჩამოგკიდებ და შენი ლეშით ყვავ-ყორნებს დავაძღებ... ლოკსლი, შენმა იომენებმა უკვე დაიჭირეს დამფრთხალი ცხენები - ერთი ცხენი ამ რაინდს მიეცი და ისე გაუში, რომ არაფერი ავნო.

- ვატყობ, იმისთანა ადამინის ხმა მესმის, ვისაც სიტყვის შებრუნება არ უყვარს, -თქვა იომენმა, - თორემ, იცოცხლე, მაგ არამზადას ისარს დავადევნებდი და დამქანცველ გზას შევუმოკლებდი.

- შენს მკერდში ჭეშმარიტი ინგლისელის გული ძგერს, ლოკსლი, - უთხრა შავმა რაინდმა, - და კარგად მიხვდი, რომ უნდა დამემორჩილო... მე რიჩარდი ვარ, ინგლისის მეფე.

გაიგონეს თუ არა ეს ამაყად წარმოთქმული სიტყვები, რაც ლომგულის დიდებულებასაც შეეფერებოდა და მის ხასიათსაც, იომენებმა წამსვე მუხლი მოიყარეს მის წინაშე, ერთგულება შეჰფიცეს და შეცოდებისათვის მიტევება სთხოვეს.

- ადექით, მეგობრებო, - გულმოწყალედ მიმართა რიჩარდმა და ალერსიანად გადახედა იომენებს: გაგულისება და დაძაბული ბრძოლის კვალი უკვე განქარვებოდა და სახეზე ჩვეული

სათნო ღიმილი გადაჰფენოდა, მხოლოდ ღაწვები ჰქონდა ჩვეულებრივზე უფრო შეფაკლული, - ადექით, მეგობრებო! თქვენი დანაშაული ტყეში თუ მინდვრად - უკვე გამოისყიდეთ, ჯერ ტორკილსტონში, როცა ჩემს გაჭირვებაში მყოფ ქვეშევრდომებს უშველეთ, და დღესაც, როცა თქვენი მეფე დაიხსენით. წამოდექით, ჩემო ქვეშევრდომებო, და დღეიდანაც ასეთი სამსახური გამიწიეთ... შენ კი, მამაცო ლოკსლი...

- ლოკსლის ნუღარ დამიძახებ, მეფევ, მე სულ სხვა რამე მქვია, და ისე გამივარდა სახელი, რომ იქნებ შენს ყურამდეც კი მოაღწია... მე რობინ ჰუდი ვარ, შერვუდის ტყის მკვიდრი.

- ყაჩაღთა მეფე და კარგი ბიჭების მბრძანებელი! - ბრძანა მეფემ, - შენი სახელი ვის არ ეცოდინება, პალესტინაშიაც კი ჩააღწია. მაგრამ, დარწმუნებული იყავი, მამაცო მეომარო, რაც ჩემს არყოფნაში და საერთო არეულობაში დანაშაული ჩაგიდენია, ახლა აღარ მოგეკითხება.

- სწორედ ამაზეა ნათქვამი - კატა სახლიდან გაიგულა და თაგვმა ქვეყანა თავისად დაიგულაო, - ვეღარ მოითმინა ვამბამ, მაგრამ ახლა უფრო მორჩილად თქვა.

- შენც აქა ხარ, ვამბა, - უთხრა მეფემ, - რამდენი ხანია შენი ხმა აღარ გამიგონია, გაიპარა-მეთქი, ვიფიქრე.

- გაიპარაო! - გაიკვირვა ვამბამ, - როდის მომხდარა, რომ სისულელე გულოვნებას გასცლოდეს?! აჰა, ჩემი ხმლის მსხვერპლი სადა გდია, ეს მშვენიერი ლურჯი ცხენი! ნეტა კი ეგ ფეხზე ჰქნა, და სამაგიეროდ, მაგისი პატრონი მანახვა მაგასავით ფეხებმოკვეთილი!.. რაც მართალია, მართალია, პირველად ცოტათი კი წამიხდა საქციელი, და ისიც იმიტომ, რომ ეს ჭრელი ქურთუკი რკინის პერანგივით როდი ისხლეტავს შუბის წვერს. მაგრამ ხმალი თუ არ მიქნევია თავგადადებით, საყვირს ხომ მაინც მე ჩავბერე!

- და კარგიც ქენი, ჩემო ერთგულო ვამბა, - უბრძანა მეფემ, - შენს სამსახურს არ დავივიწყებთ.

- Confiteor! Confiteor[69]! - ამოილუღლუღა დამფრთხალმა ბერმა, რომელიც მეფის მახლობლად იდგა, - ლათინური აღარ მომდევს... მაგრამ ჩემი მომაკვდინებელი ცოდვები უნდა ვაღიარო, და იმის თხოვნასღა გიბედავ - სიკვდილის დასჯის წინ მომიტევო.

რიჩარდმა მიიხედ-მოიხედა და მხიარულ ბერს ჰკიდა თვალი; მუხლი მოეყარა და კრიალოსანს მარცვლავდა, ხოლო კეტი, რომელიც არც ახლახან გადახდილ ბრძოლაში ყოფილა უქმად, განზე გადაეგდო. სახე საშინლად დაემანჭა; მისი ჭკუით, ასე უფრო გამოხატავდა ღრმა მონანიებას, თვალები ცისკენ აღეპყრო, ლაშები ჩამოეშვა (ქისის ფოჩებივითო, ვამბამ შენიშნა). მაგრამ ამ ღრმა მონანიების სურვილს ის აქარწყლებდა, რომ ბერს, ზედვე ეტყობოდა, სიცილს ძლივს იჭერდა - მისი შიშიცა და სინანულიც მოჩვენებითი ჩანდა.

- ასე რამ წაგახდინა, დამთხვეულო ბერო? - უბრძანა რიჩარდმა, - იქნებ იმის გეშინია, ეპისკოპოსმა არ გაიგოს, ღვთიშობელსა და წმიდა დუნსტანს

რა სასოებით ემსახურები?!. გამაგრდი, კაცო! ნუ გეშინია. ღვინის სურასთან გაგებულ საიდუმლოს რიჩარდ მეფე არავის გაუმხელს.

- არა, მოწყალეო ხელმწიფევ, - მიუგო მეუდაბნოემ (რომელსაც რობინ ჰუდის ცნობილი ბალადების მოყვარულნი ბერი ტუკის სახელით იცნობენ), - ეპისკოპოსის კვერთხისა როდი მეშინია, ხელმწიფის სკიპტრა უფრო მაშინებს... ვაი მე უბედურს! ეს ჩემი ურწმუნო ხელი ღვთისაგან მირონცხებულის ყვრიმალს როგორ შეეხო!

- ჰა, ჰა! - გაიცინა მეფემ, - აი, სად ყოფილა ძაღის თავი დამარხული!.. მართლაც რამ დამავიწყა შენი ალიყური - მთელი დღე მიწიოდა ყური. მაგარი ხელი გქონია, რაც მართალია, მართალია, მაგრამ ამ პატიოსან ხალხს დავიმოწმებ, ვალში არც მე დავრჩენილვარ... თუმცა, მაინც თუ გგონივარ ვალში, ახლავე შემიძლია გითავაზო...

- რა ბრძანებაა! - სწრაფად მიუგო ბერმა ტუკმა, - აკი მაშინვე მივიღე თავნიცა და კარგა ბლომად სარგებელიც.... ღმერთმა ყველა ვალი ასე გულუხვად გადაახდევინოს შენს მოწყალებას!

- მუშტით რომ შეიძლებოდეს ვალის გადახდა, - ბრძანა მეფემ, - ჩემი მოვალეები წუწუნს აღარ მოჰყვებოდნენ - ცარიელი ხაზინა რად გაქვსო.

- მე მაინც ვერ გავიგე, - განაგრძო ბერმა და სახე კვლავ დაღმიჭა, - რა სასჯელი მელის იმ უღვთო შემოკვრისათვის?

- გახსენებაც აღარ ღირს მაგისი, - უთხა მეფემ, - იმდენ ურწმუნოსა და ურჯულოს გაურტყამს ჩემთვის, რომ ცოდვაც კი იქნება, კოპმანჰერსტელ წმიდა ბერს ვეჩხუბო, ერთხელ რას შემომკარიო, მაგრამ იცი რა, ჩემო პატიოსანო ბერო: მე მგონი, ეკლესიისთვისაც და პირადად შენთვისაც აჯობებს ანაფორა გვერდზე გადადო და ჩემს დამცველ რაზმში ჩაეწერო - ისევე თავგამოდებით ემსახურო შენს ხელმწიფეს, როგორც აქამდე წმიდა დუნსტანს ემსახურებოდი.

- ჩემო ხელმწიფევ, - შეჰკადრა ბერმა, - კი ნუ მიწყენ და მაგ საქმიდან უნდა გამათავისუფლო, შენს მოწყალებას რომ აცოდინა, რა სიზარმაცემ დამრია ხელი ამ ბოლო დროს, თვითონვე აღარ მოიწადინებდა ჩემს სამსხურს. წმიდა დუნსტანი - ღმერთმა მისი წყალობა ნუ მოგაკლოს! - არის თავისთვის კედელზე და ზოგჯერ ლოცვაც რომ დამავიწყდეს, ნადირის დევნაში გართულს... ან რამე უმნიშვნელო საქმეს რომ გადავყვე და ღამე სე-

ნაკში არ შევიდე... ერთი საყვედურიც არ დასცდება... ჯერაც არ შევხვედ-
რივარ მაგისთანა უწყინარ ბატონს, მართლაც რომ მშვიდობის მყოფე-
ლია... გასაკვირიც კია - ვინ მისცა ამდენი საზრიანობა ხისგან გამოთლილ
ხატს... იომენობა და ჩემი მბრძანებელი ხელმწიფის ხლება... რა თქმა უნდა
დიდი პატივია... მაგრამ ცოტა ხნით რომ გადავუხვიო და ვინმე ქვრივი ვა-
ნუგეშო, ან ნადირს წავაწყდე სადმე და მოვკლა, მაშინვე ერთ

ამბავს შექმნიან: „ეს ძაღლი ხუცესი სად ჯანდაბაში დაიკარგა?!“ იტყვის
ერთი, „ის შეჩვენებული ტუკი ხომ არავის გინახავს?“ იკითხავს მეორე, მეტ-
ყევეები კი აღარ გაათავებენ წუწუნს: „რაც ნადირი იღუპება, ნეხევარზე მეტი
მაგ ანაფორაგახდილი არამზადის გაჟლეტილია“, იტყვის ერთი, „რაც არ
უნდა დაბეჩავებული ირემი დაინახოს, ესვრის და იქვე გააგორებს“, დასძენს
მეორე... ერთი სიტყვით, მოწყალეო ხელმწიფევ, როგორც გინახივარ, ისევ
ისე დამტოვე. მაგრამ თუ მაინც ინებებ კოპმანჰერსტელი გაჭირვებული ბე-
რისათვის რაიმეს ბოძებას, რაგინდ მცირე წყალობა იყოს, მე დიდი მად-
ლობით მივიღებ.

- მიგიხვდი, რაც გაწუხებს, - უბრძანა მეფემ, - და ეკლესიის წმიდა მსა-
ხურს განიჭებ კიდეც უფლებას უორნკლიფის ტყეში ინადირო, ოღონდ წე-
ლიწადში სამი ირმის მეტს ვერ მოკლავ. მაგრამ ქრისტე-ღმერთისათვის
თავდადებული რაინდი და ჭეშმარიტი მეფე არ ვიყო, თუ შენ ოცდაათიც არ
მოჰკლა და მერე თავის გასამართლებლად ათასი რამე არ მიკიბ-მოკიბო.

- დარწმუნებული ბრძანდებოდე, შენო მოწყალებამ, - უთხრა ბერმა, -
რომ წმიდა დუნსტანის ლოცვა-კურთხევით, შენი უხვი წყალობა კიდევ უფ-
რო გაიზრდება.

- მაგაში ეჭვიც არ მეპარება, ძმობილო, - თქვა მეფემ, - და რაკი მშრალი
ხორცი არც თუ ისე სასიამოვნო საჭმელია, ჩემს მეკუჭნავეს ვუბრძანებ ყო-
ველწლიურად თითო კასრი ესპანური

ღვინო, თითო მალვაზია და სამი კასრი საუკეთესო ლუდი მოგცეს... თუ
ამანაც არ მოგიკლას წყურვილი, მაშინ სასახლეში მიდი და ჩვენს მნეს გა-
ეცანი.

- წმიდა დუნსტანს რაღას უბოძებ? - შეჰკადრა ბერმა.

- ანაფორას, გინგილასა და საკურთხევლის გადასაფარებელსაც მი-
იღებ, - უთხრა მეფემ და პირჯვარი გადაისახა, - მაგრამ ხუმრობასაც თავისი

საზღვარი აქვს - ღმერთს ნუ განვარისხებთ: სისულელეზე მეტ დროს ვკარგავთ, ვიდრე მის სადიდებელ ლოცვაზე.

- ჩემი მფარველის მაგივრად პასუხს მე ვაგებ, - თქვა მღვდელმა მხიარულად.

- ის გირჩევნია, შენს მაგივრად აგო პასუხი, ბერო, - უთხრა რიჩარდ მეფემ და კოპები შეიკრა, მაგრამ ისევ მალე გაუწოდა ხელი შემცბარ მეუდაბნოეს, რომელიც კვლავ მუხლებზე დავარდა და ემთხვია, - როგორც ვატყობ, ჩემს მუშტს უფრო სცემ პატივს, ვიდრე გაშლილ ხელს - მაშინ მთლად განერთხე მიწაზე, ახლა კი მარტო მუხლი მოხარე.

ბერს შეეშინდა ზედმეტი ხუმრობით კიდევ არ განვარისხოო (ვისაც მეფეებთან უწევთ საუბარი, ასეთი სიფრთხილე არ აწყენთ), - ამიტომ თავი მდაბლად დახარა და განზე გადგა.

ამ დროს სცენაზე ორი ახალი გმირი გამოჩნდა.

თავი ორმოცდამეერთე

კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა!
ღმერთმა გიშველოთ ,ღმერთმა დაგლოცოთ!
თქვენებრ სიმდიდრეს ვერ დავიქადით,
სიხარულის კი ჩვენც ვიცით ყადრი.
ყოველი მწვანე ხის ძირში
მხიარულ სუფრას გაგიშლით.
მაკდონალდი

ახალმოსულები აღმოჩნდნენ ბოთოლფის აბატის ცხენზე ამხედრებული უილფრედ აივენჰო და მისი მეაბჯრე გურთი, რომელიც რაინდის ბედაურზე შემჯდარიყო. აივენჰოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა სისხლით მოსვრილი მეფე და ექვსი თუ შვიდი ადამიანის გვამი, რომლებიც იქვე მახლობლად, წეღანდელი ბრძოლის ველზე ეყარა. მისი გაკვირვება არც მაშინ შენელებულა, როცა მეფის ირგვლივ თავმოყრილ ხალხს დააკ-ვირდა და ტყეში გაჭრილი იომენები შეიცნო, რომლებიც ყაჩაღებს უფრო

ჰგვანდნენ, და, ამრიგად, პრინცისათვის საშიში მხლებლები იყვნენ. ცოტათი შეყოყმანდა, არ იცოდა როგორ მიემართა - როგორც მეფისათვის თუ როგორც მოხეტიალე შავი რაინდისათვიდს. რიჩარდმა შენიშნა მისი შეცბუნება.

- ნუ გეშინია, უილფრედ, - უთხრა მან, - როგორც რიჩარდ პლანტაგენეტს, ისე მომმართე, რადგან ხომ ხედავ გარს ჭეშმარიტი ინგლისელები მახვევია, მერე რა ვუყოთ, რომ ინგლისური სიფიცხის წყალობით ცოტათი გადაუხვევიათ სწორი გზიდან.

- ბატონო, უილფრედ აივენჰო, - უთხრა ყაჩაღების მამაცმა მეთაურმა და წინ გამოვიდა, - ჩვენი ხელმწიფის სიტყვებს მე აბა რა უნდა დავსძინო, მაგრამ ამას კი ამაყად ვიტყვი, რომ მათ შორის, ვისაც ბევრი განსაცდელი აქვს გამოვლილი, ჩვენზე უფრო ერთგული ქვეშევრდომები მეფეს არა ჰყავს.

- მაგაში არც შეიძლება ეჭვი შემეპაროს, რადგან შენც ერთი იმათთაგანი ხარ, მამაცო კაცო, - მიუგო უილფრედმა, - მაგრამ ეს რა უბედურება დატრიალებულა? ან ეს დახოცილი ხალხი რას მოასწავებს, ან ჩემი ხელმწიფის სისხლით მოთხვრა?

- მოღალატეები ჩაგვისაფრდნენ, აივენჰო, - უთხრა მეფემ, - მაგრამ ამ მამაცი ხალხის წყალობით საკადრისი მიეზღოთ. თუმცა, ახლაღა მომაგონდა, რომ შენც მოღალატე გამოდიხარ, - თქვა რიჩარდმა და გაუღიმა, - მოურჯულებელი მოღალატე; აკი დაბეჯითებით გიბრძანე, ჭრილობის განკურნებამდე წმიდა ბოთოლფის მონასტრიდან ფეხი არ მოგეცვალა?!

- ჭრილობა უკვე შემიხორცდა, - მიუგო აივენჰომ, - ხანჯლის განაკაწრსღა ჰგავს, მაგრამ ამას რად შვრები, მეფევ, რადა? შენს ერთგულ მსახურებს გულს რადა სტკენ? მარტოდმარტო მგზავრობითა და ფათერაკების ძებნით თავს განსაცდელში რატომ იგდებ?! თითქოს უბრალო რაინდი იყო, ვისთვისაც ქვეყნად არაფერი არსებობს, გარდა იმისა, რასაც თავისი ხმლითა და შუბით მოიპოვებდეს!

- რიჩარდ პლანტაგენტს სხვა დიდება არც უნდა, - ბრძანა მეფემ, - გარდა იმისა, რასაც საკუთარი ხმალი და შუბი მოუპოვებს... ის უფრო ეამაყება რიჩარდ პლანტაგენეტს, როცა საკუთარი ხმლითა და მკლავით მოიხვეჭს გამარჯვებას, ვიდრე ასიათასიანი ჯარით, რომელსაც სარდლად უნდა წაუძღვეს.

- მაგრამ შენს სამეფოს, მოწყალეო ხელმწიფევ, - უთხრა აივენჰომ, - მთელს შენს ქვეყანას დანგრევა და შინა ომები ემუქრება... შენს ქვეშევრდომებს ისედაც ათასი ბოროტება ზნექს წელში, და, წარმოიდგინე, რა დღეში ჩაცვივიან, უცებ თავიანთ მეფეს რომ მოაკლდნენ, რომელიც თავსა სწირავს და მუდამდღე ასეთ შეტაკებებში ებმება ხოლმე... ახლაც აგერ ძლივს გადარჩენილხარ.

- ჰო, ჰო! ჩემი სამეფო და ჩემი ქვეშევრდომები? - მოუთმენლად შესძახა მეფემ, - მერწმუნე, ბატონო უილფრედ, რომ თუ მე სისულელეს ჩავდივარ, არც ჩემი რჩეული ქვეშევრდომები

ჩამომრჩებიან... მაგალითად, ყველაზე ერთგული მსახური უილფრედ აივენჰო ჩემს სასტიკ ბრძანებას არ ემორჩილება და თავის მეფეს ქადაგებას უკითხავს - ჩემს რჩევას რად არ გაჰყევიო. ვის უფრო მეტი საფუძველი აქვს საყვედურისა?.. მაგრამ მაპატიე, ჩემო ერთგულო უილფრედ. გუშინაც გეუბნებოდი სანტ ბოთოლფის მონასტერში, რომ ის დრო, რაც მე აქ მალულად გავატარე და კიდევ უნდა გავატარო, უქმად არ დაკარგულა; მეგობრებსა და ერთგულ დიდებულებს ჯარი უნდა შეეგროვებინათ და გამაგრებულიყვნენ; საქვეყნოდ გამოცხადდება თუ არა რიჩარდის დაბრუნება, მაშინვე ისეთ ჯარს უნდა ჩაუდგეს სათავეში, მტერს ცახცახი დააწყებინოს, და ისე გაანადგუროს შეთქმულება, რომ ხმლის ამოღება საჭიროც აღარ გახდეს. ესთოთვილსა და ბოჰუნს ერთი დღე-ღამე კიდევ დასჭირდებათ, მანამ იორკისკენ დაძვრას მოახერხებდნენ. ჯერ სალისბერის სიტყვას ველი სამხრეთიდან, ბოშამპიც შემატყობინებს ამბებს უორვიკშირიდან, ჩრდილოეთიდან მულტონსა და პერსის ველოდები, მანამდე ლორდ კანცლერიც მოაგვარებს ლონდონის საქმეებს. უეცარი გამოჩენა კი ისეთ საფრთხეში ჩამაგდებდა, რისგან მერე ვერც ჩემი შუბი და ხმალი, ვერც მამაცი რობინის მშვილდისარი, ვერც ბერი ტუკის ხელკეტი და ვერც ბრძენი ვამბას საყვირი დამიხსნიდა.

უილფრედმა მორჩილად დახარა თავი; იცოდა, რომ ამაო იყო დამორჩილება რიჩარდის რაინდული სულისა, რომელიც ხშირად განსაცდელში ხვევდა მეფეს; ასეთი განსაცდელის თავიდან აშორება ძნელი არ იყო; არც ეპატიებოდა მას ფათერაკების საგანგებოდ ძებნა.

ახალგაზრდა რაინდმა ამოიოხრა და გაჩუმდა. რიჩარდს ესიამოვნა, მრჩეველი რომ გააჩუმა, თუმცა გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ აივენჰოს საყვედური სამართლიანი იყო. მერე რობინ ჰუდს მიმართა მეფემ:

- ყაჩაღების ხელმწიფევ, საჭმელი არაფერი მოგეძევება, შენი ძმობილი მეფე რომ დაანაყრო? ამ არამზადებმა კაი ჯაფაც მომაყენეს და მომამშიეს კიდეც.

- მართალი მოგახსენო... ტყუილი ანკი როგორ უნდა ვკადრო შენს ბრწყინვალებას... დაიწყო ყაჩაღების მეთაურმა, - ჩვენს საკუჭნაოში მოგვეპოვება უმთავრესად... - შეჩერდა და როგორღაც დაიბნა.

- ირმის ხორცი, არა? - მხიარულად უთხა რიჩარდმა, - უკეთესს ვერც ინატრებს მოშიებული კაცი... თუკი მეფეს გული შინ არ უდგება და თავის ნადირს თვითონ არ ხოცავს, სხვას რატომღა უნდა გაუჯავრდეს ძალიან თავგამოდებით; მით უმეტეს, როცა მასვე უმასპინძლდებიან ნანადირევით!

- მაშ, თუკი შენი მოწყალება ერთხელ კიდევ დაგვდებს პატივს და რობინ ჰუდის ერთ-ერთ ბანაკში გვეწვევა, ირმის ხორცს არ მოგაკლებთ, არც ლუდს მოგაკლებთ და იქნებ კაი ღვინოც გიშოვოთ.

ყაჩაღი წინ გაუძღვა მხიარულ მეფეს, რომელიც რობინ ჰუდსა და მის ტყეში გაჭრილ მეგობრებთან შეხვედრით თავს, ალბათ, გაცილებით უფრო ბედნიერად გრძნობდა, ვიდრე სასახლეში, სამეფო სუფრაზე, თავადებითა და კარისკაცებით გარშემორტყმული. ისე არაფერი უყვარდა რიჩარდ ლომგულს, როგორც ახალ-ახალ ხალხში ტრიალი და ფათერაკების ძიება.. ხოლო როცა ხიფათს გადაეყრებოდა, დიდ შვებას ანიჭებდა განსაცდელისათვის თვალის გასწორება და დაძლევა. რიჩარდ ლომგული წარმოადგენდა იმ რომანტიკული რაინდის ხორცშესხმულსა და დასრულებულ სახეს, რომელიც გარეგნულის ბრწყინვალებით თვალისმომჭრელია, მაგრამ ისე კი ფუჭი და უსარგებლო. მისი აღგზნებული ფანტაზიისათვის საკუთარი მკლავით მოხვეჭილი პირადი გმირობა გაცილებით უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ის სახალხო დიდება, რასაც ქვეყნისათვის დამჯდარი ჭკუითა და ენერგიული ღვაწლით მოიპოვებდა. და მართლაც, მისი მეფობა მეტეორის გაელვებასა ჰგავდა, რომელიც ერთის წუთით შეაფრქვევს ზეცას სავსებით უსარგებლო თვალისმომჭრელ სინათლეს და უცებ სამყაროს წყვდიადი შთანთქავს. მის გმირობას მრავალი ბარდი თუ მინსტრელი უმღეროდა.

მაგრამ ისეთი არაფერი სარგებლობა მოუტანია თავისი ქვეყნისათვის, რასაც ისტორიკოსები საგანგებოდ გამოარჩევენ და შთამომავლობას სანიმუშოდ დაუსახავენ ხოლმე. ახლა ისე მოილხინა რიჩარდმა, რომ ყველა მოხიბლა. გულმხიარული კაცი იყო, დიდსულოვანი, და ვაჟკაცობას დიდ პატივსა სცემდა.

უშველებელი მუხის ქვეშ სახელდახელოდ გაუშალეს სუფრა ინგლისის მეფეს, რომელსაც

სახელმწიფო კანონების დამრღვევნი ეხვია გარს, მაგრამ ამჟამად მისივე კარისკაცებსა და მცველებს წარმოადგენდნენ. ღვინის თასები რომ ჩამოატარეს, ტლანქმა მეტყეველებმა თანდათანობით დაჰკარგეს ის რიდი და მოკრძალება, რასაც აქამდე მეფის იქ ყოფნით გრძნობდნენ. წამოვიდა სიმღერები და ენამახვილობა... ძველი საგმირო საქმეებიც გაიხსენეს; ბოლოს იმაზე ტრაბახსაც მოჰყვნენ, თუ როგორ მოხერხებულად არღვევდნენ სახელწიფო კანონებს; და ის კი აღარავის გახსენებია, რომ იქვე სწორედ ამ კანონების დამცველი იჯდა. საკუთარი ღირსების დაცვა აღარც გამხიარულებულ მეფეს ახსოვდა - ისიც სხვებსავით სვამდა, იცინოდა, ხუმრობდა... რობინ ჰუდს უტყუარმა ალღომ უკარნახა, რომ სასურველი იყო დროულად აშლილიყო სუფრა, მანამ რამე უსიამოვნება მოხდებოდა; ეს იმანაც აფიქრებინა, რომ უილფრედ აივენჰოსაც შენიშნა მღელვარება.

- ჩვენთვის ამაზე დიდი პატივი რა უნდა იყოს, - უთხრა მან ჩუმად აივენჰოს, - თვითონ გმირი მეფე გვყავს სტუმრად... მაგრამ ვაითუ ძალიან დაყოვნდეს და საქვეყნო საქმეებს მოსცდეს!

- კარგადა და ბრძნულად სჯი, მამაცო რობინ ჰუდ, - ჩუმადვე უპასუხა აივენჰომ, - ეგეც უნდა გახსოვდეს, რომ მეფესთან შელაზღანდარება - რა გინდ კარგ გუნებაზე იყოს იგი - ლომის ლეკვთან თამაშსა ჰგავს: ცოტას ვერ მოზომავ და მაშინვე კლანჭს გაგკრავს.

- მეც სწორედ მაგისი მეშინოდა, - უთხრა ყაჩაღების მეთაურმა, - ჩემი ხალხი ისედაც ტლანქი იყო, და ტყეში ცხოვრებამ ხომ სულ გააველურა, მეფე კი რამდენადაც გულმხიარულია, იმდენად ფიცხიც არის, ვაითუ რამე იწყინოს და გულთან ახლოს მიიტანოს... დროა, დავასრულოთ ეს ლხინი.

- შენ თვითონ უნდა იღონო რამე, მამაცო იომენო, - მიუგო აივენჰომ, - მე რამდენჯერმე გადაკვრით ვანიშნე, მაგრამ, თითქოს ჯიბრზეო, კიდევ უფრო შედის ქეიფის ეშხში.

- მაშ ისევ საალალბედოდ უნდა გავხადო ხელმწიფის ბოძებული წყალობა და მოტევება, - ჩაილაპარაკა რობინ ჰუდმა და წუთით ჩაფიქრდა, - მაგრამ, წმიდა ქრისტოფერის მადლმა სხვა გზა არ არის... არც ვიქნებოდი მისი წყალობის ღირსი, მის საკეთილდღეოდ რომ არ შემეძლოს ამ წყალობის გაწირვა. ჰეი, სათლოკ, იმ ბუჩქებს მოეფარე და ერთი ნორმანულად ჩაჰბერე საყვირს... ახლავე, თორემ შემომაკვდები!

სათლოკმა შეასრულა უფროსის ბრძანება, და ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ მოქეიფენი ფეხზე იდგნენ.

- მალვუაზენის საყვირია - შესძახა მეწისქვილემ, ხელადვე წამოხტა და მშვილდი მოიმარჯვა.

ბერმა ღვინის თასი მოიქნია და თავის კეტს დაავლო ხელი. ვამბას შუაზე გაუწყდა ხუმრობა - მაშინვე ხმალი და ფარი მოძებნა. ერთი სიტყვით, ყველამ აისხა იარაღი.

მათ დღეში მყოფი ხალხისათვის ძნელი არ არის ქეიფიდან პირდაპირ საბრძოლო სულისკვეთებაზე გადასვლა. რიჩარდისათვის მით უმეტეს - ეს იყო ერთი სიამოვნების მეორით შეცვლა. მაშინვე მუზარადი და ის მძიმე აბჯარი მოითხოვა, რაც ქეიფის დროს მოეხსნა. მანამ გურთი აბჯარს ჩააცმევდა, მეფემ სასტიკად უბრძანა უილფრედს, არ განმარისხო და ბრძოლაში არ ჩაერიოო. - ასჯერ მეტად გიბრძოლია ჩემთვის, უილფრედ... მე თვითონვე ვარ ამის თავდები. ახლა განზე გადექი და უყურე, რიჩარდი როგორ იბრძოლებს თავისი მეგობრისა და ვასალისათვის.

ამასობაში, რობინ ჰუდმა, თითქოს მტრის დასაზვერავად თავისი კაცები დაგზავნა აქეთ-იქით. ხოლო, როცა ნახა, რომ სუფრა დაცარიელდა და ყველა საომრად გაემზადა, თავით ფეხამდე შეიარაღებულ რიჩარდს მიუახლოვდა, ცალ მუხლზე დაიჩოქა და პატიება სთხოვა.

- საპატიებელი რაღა გაქვს, შე კარგო კაცო? - ჰკითხა მეფემ ცოტა არ იყოს გაბრაზებით, - აკი მოგიტევე, რაც კი რამ შეცოდება გქონია! ჩემი სიტყვა ბუმბული ხომ არ არის, აქეთ-იქით იფარფატოს?! ახალ ცოდვას კი ამ ცოტა ხანში, მე მგონი, ვერ მოასწრებდი!

- ვაი რომ მოვასწარი, - მიუგო იომენმა, - თუკი ეს ჩამეთვლება ცოდვად, რომ ჩემს მეფეს, მისივე კეთლდღეობისათვის სიცრუე ვაკადრო. შენ რომ საყვირის ხმა მოისმინე, ის მალვუაზენისა არ იყო, მე თვითონ დავაკვრევინე

ჩემს კაცს, რათა სუფრა ამეშალა და სხვა უფრო ძვირფასი საქმისათვის საჭირო დრო აქ არ დამეკარგვინებინა...

მერე წამოდგა, გულხელი დაიკრიფა და უფრო ღირსეულის მოკრძალებით, ვიდრე მორჩილებით - მეფის პასუხს დაელოდა; იმ კაცის მსგავსად, რომელსაც თავისი დანაშაული აქვს შეგნებული, მაგრამ თან დარწმუნებულია, რომ ეს სამართლიანობისათის გააკეთა. რიჩარდს სიბრაზისაგან სახეზე სისხლი მოაწვა; მაგრამ ეს იყო მხოლოდ წუთიერი აფეთქება, და იგი ხელადვე სამართლიანობის გრძნობამ დათრგუნა.

- მაშ, შერვუდის მეფეს პურ-ღვინო ენანება ინგლისის მეფისათვის?! - ბრძანა მან, - ბარაქალა შენს ვაჟკაცობას, რობინ!.. მხიარულ ლონდონში რომ მეწვევი, მაშინ დარწმუნდები, რომ მე შენსავით პურაძვირი არა ვარ. თუმცა შენ მართალი ხარ, ჩემო კეთილო მეგობარო. აბა, ცხენები ჩქარა!.. უილფრედსაც ერთი სული ჰქონდა, მანამ ცხენზე ამხედრებულსა მნახავდა... ერთი ესეც მითხარი, მამაცო რობინ, ისეთი მეგობარი თუ გირევია ვინმე შენს რაზმში, რომელიც რჩევის მოცემას აღარ სჯერდება და სულ თავის ჭკუაზე სურს გატაროს, ხოლო შენს ნებაზე თუ გააკეთე რამე, მაშინვე ცხვირს ჩამოუშვებს?

- სწორდ ჩემი თანაშემწე ლიტლ ჯონია მაგისთანა კაცი, - მიუგო რობინმა, - ახლა რაღაც საქმეზე გვყავს გაგზავნილი შოტლანდიისკენ, და, უნდა გამოგიტყდე, შენო მოწყალებავ, ზოგჯერ თავს მაბეზრებს ხოლმე მისი გაუთავებელი შეგონებანი... მაგრამ კარგად რომ დავფიქრდები, მაშინვე გადამივლის, რადგან ვიცი, რომ უფროსის კეთილდღეობისათვის ზრუნავს ასე თავგამოდებით.

- მართალი ხარ, ჩემო კეთილო მემშვილდისრევ, - უთხრა რიჩარდმა, - მაგრამ მე რომ ერთ მხარეს აივენჰო მომცა - მისი სერიოზული რჩევა და დაბღვერილი შუბლი (რითაც მეტ ძალას აძლევს ხოლმე თავის რჩევას) - ხოლო მეორე მხარეს შენ - ჩემივე კეთილდღეობისათვის ასეთი ოინების მომგონებელი - ჩემისთანა შებორკილ-შეზღუდული მეფე მთელს საქრისტიანოსა და წარმართების ქვეყნებში არ იქნებოდა... აბა, წავიდეთ, ბატონებო, კონინგსბურგის გზას დავადგეთ, ეს კი სულაც გადავივიწყოთ.

რობინ ჰუდმა რიჩარდსა და აივენჰოს მოახსენა, მაგ გზაზე უკვე ხალხი გავგზავნე და რამე თუ შენიშნეს, მაშინვე შეგატყობინებენო; არ კი მგონია,

საშიშროება გელოდეთ, მაგრამ თუნდაც იყოს რამე, თქვენ დროულად გაიგებთ და მემშვილდისრეთა დიდ რაზმს დაუცდით, რომელსაც მე თვითონ წამოვუძღვებიო.

ასეთი ბრძნული სიფრთხილე და ყურადღება მეფეს ძალიან ესიამოვნა, თუკი რამე ხინჯი ჰქონდა

გულში დარჩენილი იმ ოინის გამო, რაც ყაჩაღების მეთაურმა მის მოსატყუებლად მოიგონა, მთლიანად გაუქრა. კიდევ ერთხელ გაუწოდა ხელი რობინ ჰუდს, ისევ აღუთქვა - წარსული ცოდვების მიტევება, მომავალშიაც შენი მწყალობელი ვიქნებიო, უთხრა და შეჰპირდა, რომ ტყის სასტიკ კანონსა და მრავალ სხვა მტარვალობას, რამაც ინგლისელი იომენები აჰყარა და ტყეში გარეკა, უსათუოდ გააუქმებდა.

მაგრამ ეს დაპირება მეფემ ვერ შეუსრულა ყაჩაღების მეთაურს, რადგან აღარ დასცალდა. ხოლო მეფე ჯონს, რომელიც გმირი ძმის სიკვდილის შემდეგ ავიდა ტახტზე, ტყის ახალი კანონები ძალისძალით გამოგლიჯეს. რობინ ჰუდის მთელს თავგადასავალს და მისი ღალატით მოკვლის ამბავს თქვენ ძველ სიმღერებში ნახავთ, რაც ერთ დროს გროშის ფასად იყიდებოდა.

„ახლა კი მისი წონა ოქრო ღირს“

რობინ ჰუდის სიტყვა გამართლდა: - მეფემ - აივენჰოს, გურთისა და ვამბას თანხლებით - მშიდობიანად იმგზავრა, და მზე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული, როცა კონინგსბურგის ციხე-სიმაგრეს მიადგა.

ბევრს ვერ ნახავ ინგლისში იმისთანა ლამაზსა და თალწარმტაც ადგილებს, როგორიც ამ

უძველეს საქსონურ ციხე-სიმაგრეს აკრავს. დაბურული ტყითა და ბაღებით დაფარულ მთაგრეხილებს შორის გზას მიიკვლევს წყნარი და მდორე მდინარე დონი. მთაზე, რომელიც მდინარეს გადაჰყურებს, აღმართულია მაღალი გალავნითა და არხებით დაცული ეს ძველი ციხე; როგორც მისი საქსონური სახელწოდებით ირკვევა, ნორმანების შემოსვლამდე ეს ინგლისელ მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა. გარეთა კედლები, ეტყობა, ნორმანებს მიუშენებიათ, შიგნითა ნაგებობას კი ძველთაძველი დროის კვალი ატყვია. იგი მთაზე დგას, შიგნითა ეზოს ერთ კუთხეში, და წრიული ფორმა აქვს, რომლის დიამეტრი ოცდახუთი ფუტია. მისი უსაშველოდ სქელი

კედლები გარედან ექვსი ვეებერთელა ბურჯითაა დაცული, ბურჯები კედლებშივეა ამოყვანილი, მათ ასდევს, ზემოთ თანდათან წვრილდება და, სულ თავში კოშკსა ჰქმნის, რომელიც ციხე-დარბაზის შიგნითა ოთახებთანაა დაკავშირებული. ეს ბუმბერაზი ნაგებობა შორიდანვე ჩანს და მისი უცნაური მოყვანილობა ისევე ხიბლავს ლამაზი ხედების მოყვარულთ, როგორც ციხის შიდა მოწყობილობა - სიძველეებით გატაცებულ ადამიანს, რომელიც ამ შენობას შვიდმეფობის დროში გადაჰყავს. ციხისავე საზღვრებში ერთი შემაღლებული ტაგრუტია და სწორედ აქ ვარაუდობენ ჰენგისტის საფლავს. მეზობელ სასაფლაოზეც ნახავთ ათასნაირ ძეგლებს, ძველისძველსა და უცნაურს.

რიჩარდ ლომგული და მისი ამალა რომ მიადგა ამ ტლანქ, მაგრამ დიდებულ ციხეს, გარეთა გალავანი როდი ჰქონდა მაშინ შემოვლებული, როგორც ახლა აქვს. საქსონელ

ხუროთმოძღვარს მთელი თავისი ხელოვნება მთავარი შენობის დაცვისათვის მოენდომებია, გარეთ კი რაღაც უხეირო მესერი შემოევლოთ.

კოშკიდან დაშვებული შავი დროშა იმის მაუწყებელი იყო, რომ ამ ციხე-დარბაზის მფლობელის სამგლოვიარო ცერემონია კვლავ გრძელდებოდა. არავითარი ემბლემა არ ყოფილა გამოსახული დროშაზე, არც განსვენებულის სახელი თუ წოდება, რადგან საღერბო ნიშნები ნორმანებსაც კი ახალშემოღებული ჰქონდათ იმ დროს, ხოლო საქსონელებისათვის სავსებით უცხო იყო. სამაგიეროდ ალაყაფის კარებზე მეორე დროშა გამოეკიდათ, და ამ დროშაზე თეთრი ცხენი იყო გამოსახული. ეს ტლანქი გამოსახულება ჰენგისტისა და მისი საქსონელი მეომრების კარგად ცნობილი სიმბოლო იყო და ხალხს ამცნობდა განსვენებულის ჩამომავლობასა და წოდებას.

მთელს ციხე-დარბაზში და მის მახლობლად საოცარი ფაციფუცი ჰქონდათ, რადგან იმ დროს დიდი აღაპები იმართებოდა ხოლმე; არა მარტო განსვენებულის ახლობელსა თუ შორეულ ნათესავებს, არამედ გზად გამვლელებსაც კი იწვევდნენ. ხოლო ათელსტანი ისეთი მდიდარი და დიდგვაროვანი იყო, რომ მართლაც გრანდიოზული აღაპი გაუმართეს.

ასე რომ, განუწყვეტლივ მიედინებოდნენ და მიედინებოდნენ იმ გორაკზე, რომელზედაც

ციხე-სიმაგრე იდგა, და იქიდანაც ასევე უწყვეტ ნაკადად ბრუნდებოდა ნააღაპარი ხალხი. როცა მეფე და მისი მხლებლები შევიდნენ ღია და დაუცველ ალაყაფის კარებში, თვალწინ ისეთი სურათი გადაეშალათ, რაც სულაც არ შეეფერებოდა სამგლოვიარო განწყობილებას. ერთ კუთხეში მზარეულებს დაეკაპიწებინათ და დიდის ფაციფუცით წვავდნენ ვეებერთელა ხარებსა და მსუქან ცხვრებს; მეორე კუთხეში ლუდის კასრები გამოედგათ - ვისაც მოეგუნებებოდა, მიდიოდა და სვამდა. ყოველი წოდების ადამინს ნახავდით აქ - სვამდნენ და ჭამდნენ თავის ნებაზე. ტიტველი საქსონელი მონები გამწარებით მიასკდნენ საჭმელ-სასმელს და მთელი ექვსი თვის ნაშიმშილები და ნამწყურვალევი სტომაქი ახლა ერთბაშად ამოიყორეს. შედარებით განებივრებული ქალაქელები და ამქრები უფრო პიწკად შეექცეოდნენ და თან ლუდის ხარისხსა და ლუდისმხდელის ოსტატობაზე მსჯელობდნენ. აქა-იქ ღარიბ ნორმანელ აზნაურებსაც შენიშნავდა კაცი, რომლებიც სხვებისაგან გამოირჩეოდნენ გაპარსული ნიკაპითა და კუდა მოსასხამებით; ესენი ცალკე გარიყულიყვნენ და მთელს ამ სამგლოვიარო ცერემონიას ცხვირაბზუებით უყურებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ გულუხვ გამასპინძლებაზე არც თვითონ ამბობდნენ უარს.

რაღა თქმა უნდა, იქაურობა მათხოვრებით იყო გატენილი, აქვე წააწყდებოდით პალესტინიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს (ყოველ შემთხვევაში, თავს ასე ასაღებდნენ), მეწვრილმანეებს, სამუშაოს მაძიებელ მოხეტიალე ხელოსნებს, მწირებს, ბერებს, საქსონელ მინსტრელებს, უელსელ ბარდებს, რომლებიც ლოცვებს ბუტბუტებდნენ და თავიანთ ქნარებსა და ჭიანურებზე

რაღაც ხმაშეუწყობ ჰანგებს აჟღერებდნენ. ერთი სევდიანად მოსთქვამდა ათელსტანის წარსულ დიდებაზე, მეორეს საქსონელთა საგვარტომო პოემა შეეთხზა და სხაპასხუპით ჩამოთვლიდა განსვენებულის კეთილშობილ წინაპართა ახირებულსა და უხიაკ სახელებს... არც მასხარებისა და ჯამბაზების ნაკლებობა ყოფილა - ცმუკავდნენ, ლაზღანდარობდნენ... მაგრამ მათი ხელობის ასეთ სამგლოვიარო ადგილას გამოფენა არავის მოსჩვენებია უხერხულად ან შეუფერებლად. ამ საგანზე საქსონელებს ტლანქი და უშუალო გრძნობით ნაკარნახევი მოსაზრება ჰქონდათ; თუ კაცს მწუხარებამ წყურვილი მოჰგვარა - აგერ ლუდი! თუ მოამშია - საჭმელი ინებე! თუ

ჭამა-სმამ სხეული დაგიმძიმა და გულს სევდა შემოგეყარა - მოილხინე რამდენიც გენებოს, ან, ყოველ შემთხვევაში, გაერთე მაინც - და, მართლაც, არავის დაუკლია ეს ნუგეში. თუმცა, შიგადაშიგ, მოაგონდებოდათ ხოლმე, რისთვისაც იყვნენ აქ მოსულები, და მამაკაცები ხვნეშას მორთავდნენ, ქალები კი (ესენიც ბლომად ესწრებოდნენ დაკრძალვას) კისერს წაიგრძელებდნენ და, ზედმეტი მწუხარებისაგან გაჰკიოდნენ და გაჰკიოდნენ.

ასეთი სურათი გადაეშალათ რიჩარდს და მის მხლებლებს, როცა კონინგსბურგის ციხის ეზოში შესდგეს ფესი. სახლთუხუცესი თუ სენეშალი ყურადღების ღირსად არა სთვლიდა დაბალი წოდების მოტირალებს, რომლებიც დაუსრულებლად მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მხოლოდ მაშინ თუ მიხედავდა, როცა წესრიგის დაცვა იყო საჭირო. მაგრამ მეფისა და აივენჰოს მოხდენილმა გარეგნობამ მაშინვე მიიპყრო მისი ყურადღება, მით უმეტეს, რომ აივენჰოს

გამომეტყველება როგორღაც ეცნაურა. გარდა ამისა, სტუმრებს ჩაცმულობაზე ეტყობოდა რაინდები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო რაინდების სტუმრობა იშვიათი მოვლენა იყო საქსონელების დღესასწაულებზე და, ამდენად, განსვენებულისა და მის ოჯახისათვის დიდ პატივს წარმოადგენდა. ამიტომ ეს შავად მოსილი და ხელში თეთრ არგანმომარჯვებული სახლთუხუცესი მაშინვე სტუმრების შესაგებებლად გაემართა, ხურდა-მურდა ხალხი გვერდზე მიხვეტა და რიჩარდსა და აივენჰოს კოშკისაკენ მიმავალი გზა გაუთავისუფლა. გურთმა და ვამბამ იქვე ნახეს ნაცნობები და მათთანვე დარჩნენ, თუმცა კოშკისკენ წასვლას მიუპატიჟებლად ვერც გაბედავდნენ.

თავი ორმოცდამეორე

მე რომ მივედი, მარცელოსის გვამს დასტიროდნენ,
იდგა გაბმული სულთათანას საგალობელი.
სწუხდნენ, მოსთქვამდნენ, ცრემლებს ღვრიდნენ, მწარედ გოდებდნენ,
ლოყებს იხოკდნენ, სწორედ ისე, როგორც შეჰფერის
მწარედ გულმოკლულ დიასახლისს, ოჯახის დედას.
ძველებური პიესა.

მეტისმეტად უცნაური შესასვლელი ჰქონდა კონინსგბურგის მთავარ კოშკს, და მაჩვენებელი იყო იმ ტლანქი უბრალოებისა, რაც მისი აშენების დროს - ადრეულ საუკუნეებში იყო გაბატონებული. ვიწრო და შვეულად დაკიდულ პატარა კიბეს დაბალი პორტალით შეჰყავხარ კოშკის სამხრეთ ნაწილში, აქედან კი სიძველეებით გატაცებულ ადამინს შეუძლია (ან ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წლის წინათ შეეძლო), სქელ კედელში გამოჭრილ მეორე კიბეს აჰყვეს და შენობის მესამე სართულზე ავიდეს, რადგან პირველი ორი სართული თაღოვან სარდაფს თუ დილეგს წარმოადგენს, და არც

სინათლე ჩადის იქ და არც ჰაერი; მარტო მესამე სართულის იატაკში გამოჭრილი ოთხკუთხა ხვრელით თუ ჩააღწევს სინათლე. ეტყობა, ამ ხვრელითვე ჩადიოდნენ

დაბლა - ხის კიბეს ჩადგამდნენ და ჩაჰყვებოდნენ. სულ ოთხსართულიანი იყო ეს შენობა და ზემო სართულში ადიოდნენ გარეთა ბურჯებში ამოყვანილი კიბეებით.

სწორედ ამ დახლართულ შესასლელით შევიდნენ კეთილი მეფე რიჩარდი და მისი ერთგული აივენჰო მრგვალ დარბაზში, რომელსაც მთელი მესამე სართული ეჭირა. ჩქარი სიარული არ შეიძლებოდა, რადგან ამისთანა კიბეზე ფრთხილად უნდა ევლო კაცს. უილფრედმა ამით ისარგებლა, დრო მოიგო და მოსასხამის კალთა ისე დაიხვია ხელზე, რომ სახის მოხერხებულად დაფარვა შესძლებოდა: მანამ მეფე არ მისცემდა ნიშანს, მამას არ უნდა ჩვენებოდა. ამ დარბაზში დიდი მუხის მაგიდას შემოსხდობოდა მახლობელი საგრაფოებიდან ჩამოსული თორმეტამდე განსაკუთრებულად გამოჩენილი დიდებული. სულ მოხუცები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ხანში შესულები, რადგან ახალგაზრდებმა, მოხუცების სავალალოდ, აივენჰოს მსგავსად გადალახეს ის საზღვარი, რაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობვაში სთიშავდა ერთმანეთისაგან დამპყრობელ ნორმანებსა და დაპყრობილ საქსონელებს. ამ პატივცემული დიდებულების დაბღვერილი შუბლი და ნაღვლიანი გამომეტყველება, მათი დუმილი და დამწუხრებული იერი სავსებით განსხვავდებოდა იმ მხიარული განწყობილებისაგან, რაც ეზოში სუფევდა. იმათი მხრებზე გადაფენილი ჭაღარა თმა, გრძელი და გაშლილი წვერი, ძველებური ქურთუკები და შავი ფარფაშა წამოსასხამები კარგად ეხამებოდა იმ ტლანქად ნაგებ უცნაურ დარბაზს, რომელშიაც თვითონ ისხდნენ; უოდენის ძველ თაყვანისმცემლებს მოგაგონებდნენ, რომლებიც, თითქოს აწ დაღუპული ეროვნული დიდების დასატირებლად წამომდგარიყვნენ საფლავიდან.

სედრიკიც თანამემამულეთა შორის იჯდა, როგორც მათი ტოლი და სწორი, მაგრამ, ეტყობოდა, ამ კრებულში ის იყო უფროსი. რიჩარდი რომ შევიდა (მან იგი მიიღო, როგორც მამაცი ბორკილის რაინდი), სედრიკი მძიმედ წამოდგა, ჩვეულების მიხედვით ღვინის თასი ასწია - თავთან მიიტანა - და კეთილი მობრძანება უსურვა. მეფე კარგად იცნობდა ინგლისელ ქვეშევრდომთა ჩვეულებებს - თვითონაც უბრძანა, თქვენი გამარჯვებისა იყოსო,

მსახურს თასი გამოართვა და დასცალა. ასეთივე თავაზიანობით შეხვდნენ აივენჰოსაც, რომელმაც სიტყვიერი პასუხის ნაცვლად, მდუმარედ დაუკრა თავი მამას - შეეშინდა, ხმაზე არ მიცნოსო.

მისალმების ცერემონია რომ დამთავრდა, სედრიკი კვლავ წამოდგა, ხელი რიჩარდს გაუწოდა და ერთ პატარა, უხეირო სამლოცველოში შეიყვანა, რომელიც ეტყობოდა, გარეთა ბურჯის კედელში იყო შეჭრილი. სარკმელი არა ჰქონია სამლოცველოს, - ერთგან მარტო პაწაწინა ჭუჭრუტანა ჰქონდა დატანებული, და საშინელი წყვდიადიც იქნებოდა , ორი ლამპარი თუ ჩირაღდანი რომ არ ყოფილიყო კედელში ჩამაგრებული; ამ ჩირაღდნების მოწითალო ბუნდოვან სინათლეზე გაარჩევდი გუმბათოვან სახურავს, შიშველ კედლებს, ქვისაგან ულამაზოდ გამოჭრილ საკურთხეველს და ქვისავე ჯვარცმას.

საკურთხევლის წინ კუბო ესვენა, კუბოს აქეთ-იქით კი სამ-სამი მღვდელი ჩაჩოქილიყო, კრიალოსანს მარცვლავდნენ და ლოცვანს ბუტბუტებდნენ - სახეზე დიდი სასოება ჰქონდათ

აღბეჭდილი. ამ სამსახურისათვის განსვენებულის დედამ შესაწირავი მიართვა წმიდა ედმუნდის მონასტერს და რომ უფრო უნაკლოდ შეესრულებინათ მთელი ეს ცერემონია, მონასტრის ყველა ძმა, გარდა კოჭლი მნათესი, კონინგსბურგში გადმობარგდა; ისე რომ, ექვს-ექვსი კაცი, წმიდა რიტუალის შესასრულებლად, განუწყვეტლივ უდგა ათელსტანის კუბოს, სხვები კი დროს უქმად არ აცდენდნენ და ეზოში ყოველგვარი სიამოვნებით ტკბებოდნენ - პურ-მარილსაც შეექცეოდნენ და ერთობოდნენ კიდეც. მთელს ამ წმიდა რიტუალში ღვთისმოსავი ბერები განსაკუთრებით იმაზე იყვნენ დამაცადინებული, რომ როგორმე არც ერთის წუთით არ შეეწყვიტათ საგალობელი, რათა ზერნებოკს - ძველ საქსონელთა ბოროტ სულს - არ ეხელთა და კლანჭები არ ჩაევლო განსვენებული ათელსტანისათვის. არანაკლებ გაფაციცებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ვინმეს ხელი არ შეეხო კუბოს გადასაფარებლისათვის, რადგან ერთ დროს ეს ეფარა წმიდა ედმუნდსაც, და ერისკაცი შებღალავდა მას თავისი უწმინდური ხელით. თუკი ეს ყურადღება მართლაც წაადგებოდა რამეში განსვენებულს, ყოველი საფუძველი არსებობდა იმისა, რომ წმიდა ედმუნდის მონასტრის ძმები საცდელს არ დაიკლებდნენ, რადგან ათელსტანის დედამ, ჯერ ერთი, ასი ოქრო უბოძა მონასტერს, და მეორეც, აღუთქვა აგრეთვე განსვენებულის მდიდარი მამულის

შეწირვა, რათა მონასტრის ძმებს თავიანთ ლოცვაში მუდამ მოეხსენებინათ და ღმერთისათვის შეევედრებინათ მისი შვილისა და ქმრის სული.

სედრიკს რიჩარდიც და აივენჰოც შეჰყვნენ სამლოცველოში. საქსონელმა დიდი სასოებით უჩვენა

მათ უდროოდ დაღუპული ათელსტანის კუბო, და პირჯვარი გადაისახა. რაინდებმაც მიჰბაძეს - მათაც გადაიწერეს პირჯვარი და განსვენებულის სულის მოსახსენებლად მოკლე ლოცვა წაიბუტბუტეს.

მიცვალებულის მიმართ საუკუნო ვალის მოხდის შემდეგ, სედრიკმა კვლავ ანიშნა ხელით, მომყევითო, და ქვის იატაკზე ფეხაკრეფით გაუძღვა. აიარეს კიბის რამდენიმე საფეხური და სედრიკმა დიდი მოკრძალებით შეაღო პატარა ოთახის კარი, რომელიც სამლოცველოს ემიჯნებოდა. კვადრატული ოთახი იყო, რვა ფუტის სიგრძე-სიგანისა და სამლოცველოსავით, კედლებში შეჭრილი. დასავლეთით დატანებული პატარა სარკმელი თუ ჭუჭრუტანა, რომლითაც ოთახი ნათდებოდა, დამრეცად იყო გამოჭრილი და შიგნით თანდათანობით ფართოვდებოდა. ახლა უკვე მზის ჩასვილს დრო იყო, სხივები საკმაოდ ანათებდა ბნელ ოთახს და ხილულსა ხდიდა ერთ წარმოსადეგ მანდილოსანს, რომელსაც კვლავ შერჩენოდა ძველი ეშხი და მომხიბლაობა. ძაძები და შავი კრეპის მანდილი კიდევ უფრო თეთრს აჩენდა მის ნატიფ კანსა და გადმოშლილ მშვენიერ ქერა თმას, რასაც, ხანდაზმულობის მიუხედავად, ერთი ჭაღარაც არ გარეოდა და არც გამეჩხერებოდა. სახეზე უღრმესი მწუხარება აღბეჭდოდა, რამდენადაც ქრისტიანული რწმენისათვის არის შესაფერი ასეთი დამწუხრება. ქვის მაგიდაზე, მის წინ, სპილოს ძვლის ჯვარცმა ესვენა, ხატის გვერდით კი - ოქროს ვარაყში ჩასმული გადაშლილი ლოცვანი.

სედრიკი ერთხანს მდუმარედ იდგა, თითქოს დროს აძლევს რიჩარდსა და აივენჰოს, დიასახლისი შეათვალიერონო, მერე კი მიმართა:

- ქალბატონო ედით, ეს ღირსეული ბატონები სამძიმარზე გეახლენ. ეს გახლავს სწორედ გმირი რაინდი, რომელიც მამაცურად იბრძოდა იმის დასახსნელად, ვისაც დღეს ჩვენ დავსტირით.

- მადლობელი ვარ მამაცი რაინდისა, - უპასუხა ქალბატონმა, - თუმცა ღმერთმა არ ინება, რომ ამ გმირობას შედეგი გამოეღო. მადლობას მოვახსენებ, მასაც და მის ამხანაგსაც, თავაზიანობა რომ გამოიჩინეს და ამ მწარე და მწუხარე დროს ნუგეში სცეს ადელიგის ქვრივსა და ათელსტანის დედას.

შენთვის მომინდვია, ჩემო კეთილო ბიძაშვილო, მიხედე, რომ ღირსეულად გაუმასპინძლდნენ, რა გამასპინძლებაც შეიძლება ამ დამწუხრებულ სახლში.

სტუმრებმა მდუმარედ დახარეს თავი მგლოვიარე დედის წინაშე და თავიანთ სტუმართმოყვარე მასპინძელს გაჰყვნენ.

მეორე ხვეულმა კიბემ ისინი აიყვანა ზემოთ, პირველად რომ ნახეს ისეთივე დარბაზში, ეტყობა, სწორედ იმ დარბაზის თავზე იყო ეს ოთახიც, მეოთხე სართულზე. ჯერ კარი არც კი შეეღოთ, რომ წყნარი და სევდიანი გალობა შემოესმათ. როცა შევიდნენ, ნახეს, რომ დარბაზში თავი მოეყარა

ოცამდე მანდილოსანს - გათხოვილსა თუ ქალწულს - საქსონელ დიდებულთა ოჯახიშვილებს. ოთხი ქალწული, როენას მეთაურობით, საგალობელს გალობდა მიცვალებულის სულისათვის. ჩვენ სამიოდე სტროფიღა გავარჩიეთ ამ საგალობლიდან.

მიწა იყავი და მიწად იქეც,
ასეთი ბედი მოგველის ყველას...
ნებით უფლისა შენი სხეული
უნდა დაირღვეს,
უნდა გაიხრწნეს
და მატლების საჭმელად იქცეს.
უცნობი გზებით და ბილიკებით
სული შენი,
სხეულს გაყრილი,
ცისკენ გაფრინდა სასუფევლის დასამკვიდრებლად,
და იქ მოელის
გოგირდის ცეცხლი და გეენია
მიწიერ ცოდვათ გამოსასყიდად.
წმიდა მარიამ, შენ შეგავედრებთ
იმის ტანჯულ სულს,
ნუ ამყოფებ დიდხანს იმ ცეცხლში,
შეისმინე ჩვენი მუდარა,
ჩვენი ლოცვა და
გოდება ჩვენი.

ესენი ნელი და სევდიანი ხმით გალობდნენ მიცვალებულის სულის მოსახსენებელს, დანარჩენი ქალები ორ ჯგუფათ გაყოფილიყვნენ: ერთნი აბრეშუმის დიდ ნაჭერს ქარგავდნენ, ათელსტანის კუბოსათვის - ვის რა ეწადა და როგორც შეეძლო; მეორენი კი იქვე დალაგებული კალათებიდან ყვავილებს არჩევდნენ და წნავდნენ, კუბოსავე შესამკობად. ქალწულებს იქნებ ღრმა მწუხარება არა ჰქონდათ აღბეჭდილი სახეზე, მაგრამ თავი კი ღირსეულად ეჭირათ. ზოგჯერ თუ ვინმე გადაუჩურჩულებდა ან გაუღიმებდა მეორეს, ხანში შესული და უფრო მკაცრი მანდილოსნები მაშინვე დატუქსავდნენ ხოლმე; ესეც უნდა ითქვას, რომ ხანდახან ზოგი ქალიშვილი იმის ინტერესს უფრო ამჟღავნებდა, სამგლოვიარო კაბა როგორ მიხდებაო, ვიდრე იმ მწუხარე ცერემონიისას, რისთვისაც ახლა ემზადებოდნენ. მართალი თუ გნებავთ, ასეთი შეუფერებელი მოქმედება მაშინაც არ შეუწყვეტიათ, როცა დარბაზში ორი უცნობი რაინდი შემოვიდა - პირიქით, თვალისცეცება დაიწყეს, ჩურჩული აუტყდათ და ჩაიფრუტუნეს კიდეც. მხოლოდ როენა, - რომელიც მეტისმეტად ამაყი იყო და არა პატივმოყვარე, - ღირსეულის თავაზიანობით მიესალმა თავის

მხსნელს. ჩაფიქრება უფრო ეტყობოდა როენას, ვიდრე მწუხარება - ვინ იცის, იქნებ აივენჰოსა და მის გაურკვეველ ბედზედაც ისევე ფიქრობდა, როგორც თავის ნათესავის სიკვდილზე.

ადრევე შევნიშნეთ, რომ სედრიკი ამისთანა საქმეებში ვერ იყო მაინცდამაინც გამჭრიახი, ამიტომ მისი გაზრდილის ნაღველი სავსებით ბუნებრივად მიიჩნია და სტუმრებს ჩურჩულით აუხსნა:

- კეთილშობილი ათელსტანის დანიშნული გახლდათ!

არა გვგონია, ამ ცნობას უფრო გაეღრმავებინოს თანაგრძნობა აივენჰოს გულში კონინგსბურგელის დამტირებელთა მიმართ.

ამრიგად, სედრიკმა სტუმრები ყველგან შეიყვანა, სადაც კი ათელსტანის დაკრძალვის სამზადისი წარმოებდა, და, ბოლოს, ერთ პატარა ოთახში შეიპატიჟა - ეს ოთახი იმ საპატიო სტუმრებისათვის გვაქვს მოწყობილი, უთხრა მან, რომლებიც ახლობლები არ ყოფილან განსვენებულისა: ვაითუ არ ესიამოვნოთ იმათთან ერთად ყოფნა, ვისაც განსაკუთრებულად სტკენს გულს ეს უბედურებაო. მერე მოახსენა, რაც კი რამ საჭირო იქნება, ყველაფერს მოგართმევენო, და, ის იყო წასვლა დააპირა, რომ შავმა რაინდმა ხელი ჩაშჭიდა.

- მინდა მოგაგონო კეთილშობილო თენო, - უთხრა მან, - რომ როცა ამას წინათ დავშორდით ერთმანეთს, ჩემი სამსახურის ჯილდოდ შენ რაღაც საჩუქარს შემპირდი.

- ვიდრე მეტყოდე, წინასწარვე მიღებულად ჩასთვალე, კეთილშობილო რაინდო, - მიუგო სედრიკმა, - მაგრამ ასეთი მწუხარების დროს...

- განა მე კი არ ვიფიქრე ეს, - უთხრა მეფემ, - მაგრამ დრო აღარ მრჩება... თან, არა მგონია შეუფერებელი იყოს, კეთილშობილი ათელსტანის დაკრძალვასთან ერთად, ზოგი ცრურწმენა და ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილებაც დავმარხოთ..

- ბატონო რაინდო, - ახლა სედრიკმა შეაწყვეტინა მეფეს და სახეზე წამოჭარხლდა, - იმედი მაქვს ეს სათხოვარი პირადად შენ გეხება და არა სხვას ვისმე. ხოლო ჩემი ოჯახის ღირსების დაცვა ჩემი საქმეა და სხვას არავის ჩავრევ.

- ჩარევას არც ვაპირებ, - რბილად მიუგო მეფემ, - ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე ჩემი დაინტერესების მიზეზს გაიგებდე. აქამდე, როგორც შავ რაინდს, ისე მიცნობდი... ახლა კი ნამდვილი ვინაობაც გაიგე - მე რიჩარდ პლანტაგენეტი ვარ.

- რიჩარდ ანჟუელი! - შესძახა სედრიკმა და გაოცებულმა უკან დაიწია.

- არა, კეთილშობილო სედრიკ - რიჩარდ ინგლისელი!..რომლის უდიდესი ნატვრა და უგულითადესი სურვილია... ინგლისის შვილები გაერთიანებული იხილოს... ჰა, ღირსეულო თენო! მუხლს მოიყრი მეფის წინაშე?

- ნორმანელის წინაშე ჯერაც არ მოდრეკილა ჩემი მუხლი! - მიუგო სედრიკმა.

- არც დაგაძალებ, - უბრძანა მეფემ, - მანამ საქმით არ დაგიმტკიცებ, რომ, ნორმანელი იქნება თუ ინგლისელი, მე ყველას თანაბრად ვმფარველობ.

- პრინცო, - მიუგო სედრიკმა, - მე მუდამ პატივს ვცემდი შენს მამაცობასა და პატიოსნებას... ისიც ვიცი, რა უფლებით იდგამ ინგლისის გვირგვინს... შენ მატილდას შთამომავალი ხარ, მატილდა კი ედგარ ათელინგის ძმისწული და მალკოლმ შოტლენდიელის ქალი იყო. და თუმცა ძარღვებში საქსონური სისხლი უჩქეფდა, მეფის შთამომავალი არ ყოფილა.

- ჩემს უფლებაზე დავას აღარ დაგიწყებ, კეთილშობილო თენო, - უთხრა მეფემ წყნარად, - მაგრამ ამას კი გთხოვ, რომ ირგვლივ მიიხედ-მოიხედო და ვინმე მეტოქე დამისახელო.

- აქ მხოლოდ იმისთვის მოხვედი, პრინცო, რომ ეს გეთქვა? - უთხრა სედრიკმა, - რომ სასაცილოდ

აგეღო ჩვენი მოდგმა სწორედ იმ დროს, როცა საქსონელ მეფეთა უკანასკნელი მემკვიდრე მიწას უნდა მივაბაროთ?.. - ამას რომ ამბობდა, სახეზე ერთიანად გაშავდა, - ძალიან მამაცურად კი მოქცეულხარ... აღარაფერს მორიდებიხარ!

- არა, არა, წმინდა ჯვრის მადლმა! - მიუგო მეფემ, - მე აქ იმ აზრმა მომიყვანა, რომ ერთი მამაცი ადამინი ვაჟკაცურად შეიძლება მეორეს მიენდოს და შიში კი არაფრისა ჰქონდეს.

- მართალს ამბობ, მეფევ... უნდა გამოვტყდე, რომ მართლაც მეფე ხარ, და მუდამაც იქნები, ჩემი სუსტი წინააღმდეგობა ხელს ვერ შეგიშლის... ერთადერთი გზაღა დამრჩა ამისთვის, და მაცდუნე კიდეც, რომ ამ გზას დავდგომოდი, მაგრამ ვერ ვიზამ მაგას...

- ახლა კი ისევ ჩემს სათხოვარს დავუბრუნდეთ, - ბრძანა მეფემ, - მართალია, ჩემს კანონიერ მეფობას შენ არა სცნობ, მაგრამ მაინც ყველაფერს პირდაპირ გეტყვი. შენ სიტყვა გაქვს მოცემული და რომ გასტეხო - უპირო კაცს შეგარქმევენ, ერთგულებისა და ფიცის დამრღვევს; მე გთხოვ, აპატიო შენს შვილს - დიდებულ რაინდს უილფრედ აივენჰოს და მამობრივი სიყვარული დაუბრუნო. ამ შერიგებით დაინტერესებული ვარ - ჯერ ერთი, ჩემი მეგობრის ბედნიერება მწადია და მეორეც, ერთგულ ქვეშევრდომთა ურთიერთ მტრობას ბოლო უნდა მოეღოს.

- მაშ, ეს არის უილფრედი? - ჰკითხა სედრიკმა და შვილზე უჩვენა.

- მამა!.. მამაჩემო! - შესძახა აივენჰომ და სედრიკს ფეხებში ჩაუვარდა, - მომიტევე, მაპატიე!

- მიპატიებია, შვილო, - უთხრა სედრიკმა და წამოაყენა, - ჰარვარდის შთამომავალს პირის გატეხა არ სჩვევია, თუნდა ნორმანისთვის ჰქონდეს მიცემული სიტყვა. ოღონდ შენი ინგლისელი წინაპრების ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა. ეს კუდა მოსასხამები, ჭრელაჭრულა ჩაჩები და ქუდში გარჭობილი სულელური ფრთები არ დავინახო ჩემს მამაპაპისეულ სახლში... სედრიკის შვილი ჭეშმარიტი ინგლისელი უნდა იყოს, თავისი წინაპრების ღირსეული

შთამომავალი... რაღაცის თქმას აპირებ, - განაგრძო მან მრისხანედ, - და ვატყობ კიდეც, რა უნდა მითხრა... როენამ ორი წელიწადი ძაძებში უნდა იაროს, საქმრო გამოიგლოვოს... ჯერ მაგისი საქმროს სამარეს პირი არ შეუკრავს და ახლავე რომ დავიწყოთ ზრუნვა ქალის გათხოვებაზე, მთელი ჩემი წინაპრები ზურგს შეგვაქცევენ... მით უმეტეს, რომ იგი შენზე დიდი გვარიშვილიც იყო და უფრო ღირსეულიც. თვით ათელსტანიც კი გაფხრეწს სისხლით შესვრილ სუდარას და წამოდგება, რათა მისი ხსოვნის ამგვარი შეურაცხყოფა არ დაგვანებოს.

სედრიკის სიტყვებმა თითქოს მართლაც გამოიწვიეს მოჩვენება; ჯერ სათქმელი არც კი დაემთავრებინა, რომ კარები გაიფეთა და სუდარაში გახვეული ათელსტანი[70] გამოჩნდა - გაფითრებული, ჩამომხმარი... მართლაც რომ საიქიოდან მოსულსა ჰგავდა.

მისმა გამოჩენამ ყველა შეაძრწუნა, სედრიკმა უკან-უკან დაიწია და კედელს მიაწვა, თორემ ნამდვილად წაიქცეოდა, - პირი დააღო და თვალი მეგობრის მოჩვენებას მიაშტერა. აივენჰომ პირჯვარი გადაისახა და ლოცვას მოჰყვა საქსონურად, ლათინურად, ნორმანულ-ფრანგულად - რაც კი ენაზე მოადგა. რიჩადი კი ხან BenediCte - ს შესძახებდა და ხანაც „Mort de ma vie[71].

- უცებ ქვემოთ საშინელი ხმაური და ღრიანცელი ატყდა. ისმოდა ყვირილი - „დაიჭით ეგ მუხანათი ბერები!“ „გაქაჩეთ და დილეგში ჩაჰყარეთ!“ „კოშკის ქონგურიდან გადაუძახეთ!“

- ღვთის გულისათვის! - შესძახა სედრიკმა მეგობრის მოჩვენებას, - თუ ადამიანი ხარ, ხმა ამოიღე!.. თუ მიცვალებულის სული ხარ, მითხარი, ჩვენთან რამ მოგიყვანა?! იქნებ შენი სულის მოსასვენებლად ვიღონოთ რამე!.. სულ ერთია, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, ხმა გაეცი სედრიკს, კეთილშობილო ათელსტან!

- ჯერ სული მოვიბრუნო, - ძალიან დამშვიდებულად თქვა მოჩვენებამ, - ყველაფერს გეტყვით, ცოტა მადროვეთ... ცოცხალი თუ ხარო, მეკითხები?.. ამასაც თუ სიცოცხლე ჰქვია - კაცმა სამი დღე-ღამე ხმელი პურისა და წყლის მეტი პირში არაფერი ჩაიკაროს!.. ლამის სამ საუკუნედ მექცა ეგ სამი დღე!.. დიახ, ხმელი პური და წყალი, ჩემო მამობილო. ღმერთსა და ყველა წმიდანს ვფიცავ, მეტი არაფერი ჩამცდენია პირში, და მართლაც ღვთის განგებაა, რომ ცოცხალი გადავრჩი.

- ეგ როგორ მოხდა, კეთილშობილო ათელსტან? - უთხრა შავმა რაინდმა, - აკი ჩემი თვალით ვნახე როგორ დაგანარცხა მიწაზე გაცოფებულმა ტაძრელმა! მე მეგონა და ვამბამაც ასე გვითხრა - თავის ქალა სულ გადაგაცალა და კბილები ჩაგილეწა...

- შეგშლია, ბატონო რაინდო, - მიუგო ათელსტანმა, - და ვამბასაც ტყუილი უთქვამს. ჩემს კბილებს არა გასჭირვებია რა, და ამას ვახშამზე დაგიმტკიცებთ.... ოღონდ ტაძრელის გულმოწყალებას კი არ უნდა ვუმადლოდე - ვადა შეუტრიალდა ხელში, მეც დროზე შევაგებე ჩემი დალოცვილი კეტი, და ხმალი რას დამაკლებდა - ისე ავახტუნებდი ჩემი კომბალით, რომ შენი მოწონებული! მაგრამ, რა უნდა მექნა - დამანარცხა... და რეტიც დამესხა, ოღონდ დაჭრით არ დავუჭრივარ. მერე სხვებიც დასცეს - ზოგი ჩვენი, ზოგი იმათი, და როცა გონს მოვედი, ვნახე რომ კუბოში ვიწექი (კიდევ მადლობა ღმერთს, თავახდილი იყო) - ეს კუბო კი წმიდა ედმუნდის ეკლესიაში დევს, საკურთხევლის წინ. რამდენჯერმე ცხვირი დამაცემინა... ამოვიხვნეშე... საბოლოოდ გამოვფხიზლდი და ის იყო წამოდგომა დავაპირე, რომ უცებ მნათე და აბატი მოვარდნენ - ხმაური გაეგონათ და მაგრად შეშინებულიყვნენ; სახტად დარჩნენ, მაგრამ გახარებით არ გახარებიათ, რადგან ის კაცი ნახეს გაცოცხლებული, ვის მემკვიდრეებადაც თვითონ თვლიდნენ თავს. ღვინო მოვითხოვე- დამალევინეს, მაგრამ ეტყობა, ბანგი ჩამიყარეს, რადგან წინანდელზე უფრო მაგრად დამეძინა და რამდენიმე საათს აღარ გამღვიძებია. ჩემი მკლავები კუბოზე დაემაგრებინათ... ფეხები ისე მაგრად შეეკრათ, რომ მუხლები ახლაც მტკივა... ირგვლივ წყვდიადი იდგა...

ნამდვილად იმათი დაწყევლილი მონასტრის სარდაფში ვიწექი... ისეთი მყრალი და ნოტიო სუნი მცემდა... ეტყობა, აკლდამად ჰქონდათ ის ჯურღმული მოწყობილი. თავში უცნაური ფიქრები მიტრიალებდა, ეს რა დამემართა-მეთქი. უცებ ჩემი დილეგის კარმა გაიჭრიალა და ორი ავაზაკი ბერი შემოვიდა. გაცურება მომინდომეს - სალხინებელში ხარო, მაგრამ ხმაზე მაშინვე ვიცანი, გასიებული აბატი იყო, სიმსუქნისაგან ძლივს სუნთაქავდა... წმიდაო ერემია! როგორ შესცვლოდა კილო - ადრე მიკნავებული ხმით მთხოვდა ხოლმე, ერთი ნაჭერი ხორცი კიდევ მომეციო!.. შობიდან მოკიდებული ნათლიღებამდე სულ ჩემთან ხეთქავდა საჭმელს ეს ქოფაკი!

- მოთმინება იქონიე, ძვირფასო ათელსტან! - უთხრა მეფემ, - სული დაიღე... რა გეჩქარება... ეგ ისეთი ამბავია, რომ ზღაპარივით მოისმენს კაცი.

- კაი ზღაპარი კია, თქვენ ნუ მომიკვდეთ, ქერის პური და დოქით წყალი! - შესძახა ათელსტანმა, - მეტი არაფერი გამოიმეტეს მაგ წუწურაქმა მუხანათებმა... საჩუქრებით მაინც არ გვყოლოდა ავსებული მე და მამაჩემს. თვითონ აბა რის მქონებლები ბრძანდებოდნენ - თითო მუჭა ხორბალსა და ლორის ნაჭერს თუ დასცინცლავდნენ თავიანთი ლოცვის სანაცვლოდ გაღატაკებულ გლეხაჭუებსა და მონებს... უმადური და ბილწი გველების ბუდე!.. ქერის პური და ჭაობის წყალი როგორ მაკადრეს ჩემისთანა კეთილისმყოფელს?!. ცეცხლს შევუნთებ და კვამლით ამოვახრჩობ თავიანთ სოროში, თუნდა შემაჩვენონ მერე ამისთვის.

- თუ ღმერთი გწამს, გვითხარი, ძვირფასო ათელსტან, - უთხრა სედრიკმა და ხელი ჩასჭიდა, - როგორღა დააღწიე თავი ამ საშინელებას?.. გული მოულბათ?

- მაგათ გულს რა მოალბობს! - მიუგო ათელდსტანმა, - როდის მომხდარა, სალი კლდე მზეს გაელხვოს!..ახლაც იქ ვიქნებოდი, მონასტერში, უცებ საშინელი ალიაქოთი რომ არ ამტყდარიყო. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემს აღაპზე გამოიქცნენ; მე ცოცხლად დამარხული ვეგულებოდი და იქ რაღა დააყენებდათ - მთელი გუნდი წამოიშალა და დაიძრა სკიდან. ის კი მესმოდა, სულთათანას რომ დუდღუნებდნენ, მაგრამ რას ვიფიქრებდი, ჩემს სულს მიაცილებდნენ საიქიოსკენ, მაშინ როდესაც სხეულს აქ შიმშილით კლავდნენ. ერთი სიტყვით, მთელი მონასტერი დაიცალა... მე კი ვგდივარ და ველოდები საჭმელს... ან კი რა გასაკვირია - კოჭლი მნათე ისე გაერთო ჭამა-სმაში, რომ აღარც მოვგონებივარ. ბოლოს გავიგონე, როგორ ჩამოჩლახუნდა კიბეზე - მაშინვე ღვინისა და სანელებლის სუნი მეცა, მაგრად გამობრუჟულიყო. ეტყობა, კარგმა საჭმელ-სასმელმა გუნება გამოუკეთა - წინანდელი ულუფის ნაცვლად, მათარით ღვინო და ხორცის ღვეზელი მომიტანა. ვჭამე, დავლიე, თვალში გამოვიხედე... ჩემს ბედზე, ისე გამომთრალიყო მნათე, რომ მოვალეობის შესრულების თავიც აღარა ჰქონდა - კარი კი გაიხურა, მაგრამ მჭიდროდ არ მიუკეტავს და თანდათანობით შეიღო. კარიდან შემოჭრილმა სინათლემ, საჭმელმა და ღვინომ ცოტა მომასულიერა და ფიქრის უნარი დამიბრუნა. რგოლი, რომელზედაც მიბმული ვიყავი, თურმე ისე იყო დაჟანგული, რომ ამას ვერც მე წარმოვიდგენდი და ვერც არამზადა აბატი. იმ ჯურღმულის სინესტეს რკინის შეჭმაც კი შესძლებია.

- სული მოითქვი, ძვირფასო ათელსტან, - უთხრა რიჩარდმა, - და ცოტა წაიხემსე კიდეც, მანამ ამ საშინელ ამბავს მოყვებოდე.

- წაიხემსეო! - თქვა ათელსტანმა, - ბარე ხუთჯერ ვჭამე დღეს... მაგრამ ამ დიდებულ ლორსაც რომ გავუსინჯო გემო, ურიგო არ იქნება. და შენც რომ დალევდე ერთ თას ღვინოს ჩემთან ერთად, მადლობელი ვიქნები, ბატონო.

სტუმრებმა, რომლებიც ამ საოცარი მოვლენის შემდეგ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ, თასი ასწიეს და მკვდრეთით აღმდგარ მასპინძელს დღეგრძელობა უსურვეს. ამის შემდეგ ათელსტანმა დაწყებული ამბავი განაგრძო. მაგრამ ახლა მსმენელები მომატებოდა. აქვე იყო თვით ედითიც, რომელსაც ვითარების შესაფერი თადარიგი დაეჭირა ციხე-დარბაზში და მკვდრეთით აღმდგარს სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახში შემოჰყოლოდა, ხოლო მასთან ერთად იმდენ ხალხს მოეყარა თავი - ქალსა თუ კაცს - რომ იმ პატარა ოთახში ტევა აღარ იყო; ვინც ოთახში ვერ შეაღწია, კიბეზე ჩამოხუნძლულიყვნენ, დიდის ვაი-ვაგლახით იჭერდნენ ცალკეულ გადასხვაფერებულ ფრაზებს, თვითონაც თავისებურად ამახინჯებდნენ და დაბლა მდგომთ გადასცემდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ასხვაფერებდნენ და ისეთ ვერსიას აწვდიდნენ ეზოში მდგარ ბრბოს, რასაც სინამდვილისა სულაც არა ეცხო რა. ათელსტანი მონასტრიდან თავის დაღწევის ამბავს ყვებოდა:

- როგორც კი რგოლიდან გავითავისუფლე თავი, კიბეს მივაშურე, მაგრამ, ჯაჭვებით დამძიმებულსა და უჭმელობით დაუძლურებულს, ძალიან გამიჭირდა საფეხურებზე ასვლა. დიდის ვაი-ვაგლახითა და ხელისცეცებით ავბობღდი კიბეზე და უცებ გალობა შემომესმა. მივჰყევი იმ ხმას და შევედი ოთახში, სადაც ჩვენს მნათეს ეშმაკების წირვა გაემართა, გვერდზე ერთი ვიღაც მხარბეჭიანი და წარბებგადმოჩაჩხული ბერი ეჯდა, რომელსაც რუხი კაპიუშონიანი ანაფორა ეცვა. ქურდს უფრო ჰგავდა ეს ბერი, ვიდრე ღვთის მსახურს. ეს სუდარაში გახვეული კაცი ოთახში რომ შევიჭერი ჯაჭვების ჟღარუნით, მართლაც რომ საიქიოდან მოსულსა ვგავდი. გაკვირვებისაგან პირი დააღეს, მაგრამ მნათეს რომ ჩავარტყი და გავაგორე, მისმა თანამეინახე ბერმა უშველებელი კეტი მომიქნია.

- ნმდვილად ბერი ტუკი იქნებოდა, - უთხრა რაინდამ აივენჰოს.

- თუ გინდა ეშმაკი ყოფილიყო, - თქვა ათელსტანმა, - ბედზე, კეტი ამაცდინა, ხოლო როცა საცემად მივიწიე, იშვირა ფეხი და გარეთ გავარდა. უცებ მნათეს ქამარზე ჩამოკონწიალებული გასაღებები შევნიშნე, ხელად მოვარგე ჩემი ჯაჭვის ბოქლომს და თავი გავითავისუფლე. ერთი კი გავიფიქრე, ახი იქნება ეს გასაღებების ასხმულა თავში ჩავარტყა და ტვინი გამოვანთხევინო-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ ეს არამზადა, ტყვეობის დროს, ღვეზლითა და ღვინით გამიმასპინძლდა, და ისევ მადლიერების გრძნობამ იმძლავრა; ჩავაზილე ერთი-ორი წიხლი და იქვე დავაგდე, იატაკზე.

ჩანთაში შემწვარი ხორცი და ღვინის პატარა ტიკი ჩავიდე, რასაც ღირსეული ძმები შეექცეოდნენ, და თავლას მივაშურე. იქ ჩემი საუკეთესო ბედაური ვნახე, - ეჭვი არ არის, წმიდა აბატს ჰყავდა თავისთვის გადაბმული. მოვახტი ცხენს და გამოვქუსლე, სულ ოთხზე მომყავდა. გზაში დამფრთხალი ხალხი თავქუდმოგლეჯით გამირბოდა - ყველას მოჩვენება ვეგონე, მით უმეტეს, რომ თავზე სუდარა მქონდა მოხვეული, არ მიცნონ-მეთქი. ჩემს საკუთარ ციხე-დარბაზშიაც კი არ შემომიშვებდნენ, ჯამბაზი რომ არ ვგონებოდი... საოცარი კია, გადაუდვიათ ამ ჯამბაზებს თავი და ართობენ და აცინებენ თავიანთი ბატონის სატირალში მოსულ ხალხს... ერთი სიტყვით, სახლთუხუცესს ეგონა, განგებ მორთულა ასე, ხალხის გასამხიარულებლადო, და შემომიშვა. მეც მაშინვე დედაჩემს მივაშურე, მერე ცოტა დავნაყრდი და შენკენ გამოვწიე, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

- და მნახე კიდეც, - მიუგო სედრიკმა, - ძველებურადვე მზადმყოფი, რათა ჩვენი დიდებული განზრახვა შევასრულოთ და პატივი და თავისუფლება დავიბრუნოთ. ხვალ გამთენიისას თავისუფლებას უნდა ეწიოს კეთილშობილი საქსონელი ხალხი, მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება.

- თუ ღმერთი გწამს, მაგ გათავისუფლებაზე ნუღარ ლაპარაკობ, - უთხრა ათელსტანმა, - კიდევ კარგი, რომ მე თვითონ გავთავისუფლდი. ახლა ის უფრო მაწუხებს, ავაზაკი აბატი როგორ დავსაჯო. ანაფორასა და გინგილაში უნდა გამოვაწყო და ამ ციხის უმაღლეს კოშკზე ჩამოვკიდო; ღიპი თუ არ შეეტია კოშკის შესასვლელში, ავიღებ და გარედან ჩამოვაკიდინებ, გალავანზე.

- რას ამბობ, შვილო, - უთხა ედითმა, - გავიწყდება, რომ ღვთის მსახურია?!

- არც სამი დღის მარხულობა მავიწყდება, დედი, - მიუგო ათელსტანმა, - მაგათი სისხლი უნდა დავლიო, ყველასი. ფრონ დე ბეფი ცოცხალი გამოიბუგა, თუმცა მაგდენი დანაშაულიც არ ჰქონია - ყოველ შემთხვევაში, შიმშილით მაინც არ დაუხოცავს ტყვეები, ეს იყო, რომ უკანასკნელად მეტი ნიორი მოუვიდათ შეჭამანდში. ეს ლაქუცა და უმადური მონები კი რამდენჯერ დაუპატიჟებლად შემოგვსწრებიან სუფრაზე... ჩემთვის არც ფაფა გაიმეტეს და არც ნიორი. ჰენგისტის სულსა ვფიცავ, ერთიანად უნდა ამოვჟუჟო!

- მაგრამ პაპი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - დაიწყო სედრიკმა.

- თუნდა ეშმაკი გამომეცხადოს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - შეაწყვეტინა ათელსტანმა, - ერთიანად უნდა ამოვწყვიტო - ვთქვი და გავათავე. სხვაგან რომ არსად მოიძევებოდეს მაგათთანა ბერები, მაინც იოლას გავალთ, ქვეყანა მაინც არ დაინგრევა.

- სირცხვილია, კეთილშობილო ათელსტან, - უთხრა სედრიკმა, - რაღა ამ უბადრუკ ბერებს ჩააცივდი, წინ დიდება გელის. ერთი ამ ჩვენს ნორმანელ პრინცს რიჩარდ ანჟუელს მოახსენე, რომ, ლომის გული კი აქვს, მაგრამ, მანამ წმიდა აღმსარებლის მემკვიდრე ცოცხალია, ალფრედის ტახტს უბრძოველად არავინ დაანებებს.

- რაო! - შესძახა ათელსტანმა, - ეს არის კეთილშობილი მეფე რიჩარდი?

- თვით რიჩარდ პლანტაგენეტი გახლავს, - მიუგო სედრიკმა, - მაგრამ ალბათ შეხსენებაც არ დამჭირდება შენთვის, რომ რაკი ინება და თავისი სურვილით გვესტუმრა, ვერც რამეს დავუშავებთ და ვერც ტყვედ ჩაგდებით შეურაცხვყოფთ - შენ მასპინძელი ხარ და მასპინძის მოვალეობა კარგად იცი.

- რა სათქმელია! - შესძახა ათელსტანმა, - მასპინძის მოვალეობაც ვიცი და ქვეშევრდომისაც, რადგან საქვეყნოდ ვუცხადებ მორჩილებას, და ჩემი გული და მკლავი მის სამსახურში მიმიტანია.

- შენს სამეფო უფლებებზეც იფიქრე, შვილო! - უთხრა ედითმა.

- თავისუფალ ინგლისზე იფიქრე, გადაგვარებულო პრინცო! - შესძახა სედრიკმა.

- საყვედურებით ნუ ამავსებთ, დედაჩემო და ჩემო მეგობარო, - უპასუხა ათელსტანმა, - პატივმოყვარეობის დასათრგუნავად დილეგში მირთმეულ ხმელა პურსა და წყალს თურმე არაფერი სჯობს. სამარიდან გაცილებით

უფრო ჭკვიანი წამოვდექი, ვიდრე შიგ ჩავდიოდი. ამ სისულელისა და ამაოების ნახევარზე მეტს ის გაიძვერა აბატი ჩამჩიჩინებდა ხოლმე, და ახლა ხომ

ნახეთ, რა ერთგული მრჩეველიცა ბრძანებულა. რაც ეს შეთქმულება მოვაწყვეთ, ცხენიდან ვეღარ ჩამოვმხტარვარ - სულ ბრძოლა და ცემა-ტყეპა, ტყვეობა და შიმშილი. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რამდენი ათასი მშვიდობიანი ადამინი უნდა გამოესალმოს სიციცხლეს, საქმეს საქმეზე თუ მივიყვანთ და ამბოხებას მოვაწყობთ. გადავწყვიტე, ჩემს საკუთარ მამულში ვიყო მეფე, სხვაგან არსად. და ჩემს მეფობას იმით დავიწყებ, რომ მაგ გაიძვერა აბატს ჩამოვახრჩობ.

- ჩემი გაზრდილი როენა დაგავიწყდა? - ჰკითხა სედრიკმა, - იმედი მაქვს არ მიატოვებ!

- ჩემო მამობილო სედრიკ, - უთხრა ათელსტანმა, - მეტი ჭკუა გმართებს. ლედი როენა მე ძაღლადაც არ მაგდებს... ჩემი ნათესავი უილფრედის ხელთათმანი უფრო ძვირფასია მისთვის, ვიდრე მთლად მე... თვითონაც აგერ არის და თქვას, თუ მართალს არ ვამბობ. რატომ წითლდები, ჩემო ლამაზო ნათესავო, აბა რა სასირცხვილოა, მემამულეს სასახლის რაინდი ამჯობინო!.. ნურც იცინი, როენა, ღმერთმა ხომ იცის, რომ სუდარამოხვეული შიმშილით მილასლასებული კაცი - ვერაფერიშვილი გასართობია... თუ ძალიან გულით გინდა სიცილი, მაგის საბაბსაც გიპოვნი... აბა შენი ხელი მომეცი... კი ნუ მომცემ, მათხოვე - მეგობრულად გთხოვ.... მისმინე, ჩემო ბიძაშვილო უილფრედ აივენჰო, მე ხელს ვიღებ ამ ქორწინებაზე, რათა შენ... წმიდაო დუნსტან, შენ გვიშველე, აივენჰო სადღა წავიდა?!. შიმშილმა სინათლეც თუ არ დამიკარგა თვალებში, ახლა აქ არ იდგა?!

მიიკითხ-მოიკითხეს, მაგრამ აივნეჰო აღარსად ჩანდა, ბოლოს გაირკვა, რომ ვიღაც ებრაელი ეძებდა თურმე; როცა ნახა, ორიოდ სიტყვა უთხრა, აივენჰომ ხელად თავის მეაბჯრე გურთს დაუძახა და ციხე-დარბაზიდან გავიდნენ.

- ჩემო მშვენიერო ბიძაშვილო, - უთხრა ათელსტანმა როენას, - დარწმუნებული რომ არ ვიყო, აივენჰო რაღაც გადაუდებელ საქმეზე წავიდა ასე მოულოდნელად, მაშინ ისევ განვაახლებდი ჩემს...

მაგრამ როენაც გამქრალიყო, ათელსტანმა რომ აივენჰო მოიკითხა და ვერა ნახა, წამით ხელი შეუშვა ქალს. დაბნეულმა როენამ იხელთა და ოთახიდან გავიდა.

- ასეა, - თქვა ათელსტანმა, - ქალზე დაუნდობელს ვერავის ნახავ ქვეყ-ნად... გარდა ბერებისა და აბატებისა... ვიფიქრე, მადლობას მეტყვის, იქნებ მაკოცოს კიდეც-მეთქი... ამ ოხერ სუდარას ხომ არ სცხია ისეთი ჯადო, რომ ყველა მე გამირბის!.. ახლა კი შენ მოგმართავ, მეფე ბატონო, მინდა მორ-ჩილების ფიცი მოგცე, როგორც ჭეშმარიტ ქვეშევრდომს შეეფერება...

მაგრამ რიჩარდ მეფეც წასულიყო, კაცმა არ იცოდა, საით. ბოლოს გა-იგეს, რომ ეზოში ჩასულიყო და ის ებრაელი ენახა, რომელმაც აივენჰოს რაღაც უთხრა. გამოელაპარაკა თუ არა

ებრაელს, მეფემ სასწრაფოდ ცხენი მოითხოვა, შეჯდა თავის ბედაურზე, მეორე ცხენზე ებრაელი შეისვა და ისე გაქუსლეს, რომ ვამბა ხუმრობდა - იმ ბებერ ებრაელს ალბათ სული არ ჩაჰყვებაო.

- ღმერთო დიდებულო, - შესძახა ათელსტანმა, - ამ ჩემს ციხეს, ჩემს არ-ყოფნაში, ეტყობა, ზერნებოკი დაეპატრონა. ვისაც არ გამოველაპარაკე, ხე-ლადვე გაქრა!.. მაგრამ წუწუნი რაღას არგებს წამხდარ საქმეს. წავიდეთ, ჩემო მეგობრებო... მანამ ყველანი არ გამქრალხართ, ერთი წავიქეიფოთ... საჭმელ-სასმელი, ალბათ, კიდევ ბევრი იქნება - ძველ საქსონელ დიდე-ბულს ღარიბულ აღაპს არ გაუმართავდნენ... წავიდეთ, ნუღარ დავაყოვ-ნებთ, ეგ ვახშამიც არ გაიტაცოს ეშმაკმა.

თავი ორმოცდამესამე

დე დააამძიმოს მოუბრეი ცოდვებმა ისე,
რომ ჩაემტვრიოს ხერხემალი აქაფებულ ცხენს
და ყირამალა გადმოაგდოს მისი მხედარი.
შექსპირი. „რიჩარდ II“*.

ისევ ტემპლსტოუს ციხისა და ტაძრის ეზოში დავბრუნდეთ, სადაც ახლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გაიმართოს და რებეკას ყოფნა-არყოფნა გადაწყდეს. ახლომახლო სოფლები სულ დაიცალა, მოაწყდა და მოაწყდა ხალხი ამ სანახაობას, თითქოს რაიმე სასოფლო დღეობა ან დიდი დღესასწაული ყოფილიყოს. მაგრამ სისხლიანი ბრძოლის ნახვის წყურვილი მარტო იმ ბნელ საუკუნეებისათვის როდი იყო დამახასიათებელი. მაშინდელ ასპარეზობაზე ხალხი დადიოდა თავგანწირული ბრძოლის სანახავად, როცა ერთი მამაცი ადამინი მეორეს დასცემდა ხოლმე. ჩვენს დროში კი, როცა ზნეობა უფრო დაიხვეწა და ამაღლდა - საჯარო დასჯის, მუშტიკრივის, ყოველგვარი შეხლა-შემოხლისა თუ რადიკალური რეფორმატორების თავყრილობას ხალხი ისე აწყდება, რომ საკუთარ თავსაც იგდებს

განსაცდელში, ამასთან, იმდენად ის კი არ აინტერესებს - ბრძოლა როგორ მიმდინარეობს, ანდა ამ ბრძოლის გმირი რას წარმოადგენს, არამედ, თერძების თქმისა არ იყოს, მხოლოდ ის უნდათ გაიგონ, ვინ კაჟია და ვინ ნეხვი.

ერთი სიტყვით, მონასტრის გალავანთან მოზღავებული ხალხი ჭიშკარს მიშტერებოდა, რათა პროცესიისათვის მოეკრათ თვალი. საასპარეზო მოედანთან კი უფრო დიდი ჭედვა იყო. ეს ვაკე ადგილი პირდაპირ მონასტერს ემიჯნებოდა და კარგად ჰქონდათ მოვლილ-გასუფთავებული,

რადგან ტაძრელი რაინდები საწრთვნელ ვარჯიშობას აქ ატარებდნენ ხოლმე. ეს იყო პატარა გორაკის თავზე, ირგვლივ მტკიცე მესერი ჰქონდა შემოვლებული და მესრის გაყოლებაზე მაყურებლებისათვის გალერეები და გრძელი სკამები ჩაედგათ, რადგან რაინდებს ესახელებოდათ თავიანთი სიმარჯვისა და ვაჟკაცობის სხვისთვის ჩვენება.

დღეს აქ, მოედნის აღმოსავლეთით, მაგისტრისათვის საგანგებოდ ტახტი დაედგათ, ტახტის ირგვლივ კი ორდენის გამოჩენილი რაინდების სკამები ჩაემწკრივებინათ. აქვე იყო აღმართული ორდენის წმიდა დროშა - რასაც Le Beauseant - ს ეძახდნენ. ეს სიტყვა მათ საომარ დევიზსაც წარმოადგენდა.

მოედნის განაპირას - მიწაში ღრმად ჩასობილი ბოძის ირგვლივ - ფიჩხი დაეხვავებინათ, ოღონდ ისე რომ, შუაში ადგილი იყო დატოვებული, რათა დასაწვავად განწირულ მსხვერპლს საბედისწერო წრეში შესვლა შესძლებოდა. ამ სიკვდილისმომგვრელ მოწყობილობის გვერდით ოთხი შავი მონა იდგა. მათი სახის ფერი და აფრიკული ნაკვთები იმდენად უცხო იყო

იმდროინდელი ინგლისელებისათვის, რომ დამფრთხალი ხალხი, როგორც დემონებს, ისე შეჰყურებდა და ელოდა, როდის შეასრულებენ თავიანთ დემონურ საქმესო. გაქვავებულივით იდგნენ ესენი, და მხოლოდ მაშინ თუ მოიცვლიდნენ ადგილიდან ფეხს, როცა ერთ-ერთი მათგანი - როგორც ეტყობა, მათივე უფროსი - უკვე დახვავებული ფიჩხის გასწორებას უბრძანებდა. ხალხს სულაც არ აქცევდნენ ყურადღებას - თითქოს ვერც ამჩნევდნენ. თავიანთი საშინელი მოვალეობის გარდა, არც რამე გაეგებოდათ და აინტერესებდათ. როცა ერთმანეთს გამოელაპარაკებოდნენ - გამობერილ ტუჩებს გახსნიდნენ და თეთრ ეშვებს გამოაჩენდნენ - ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მოსალოდნელ ტრაგედიაზე იცინიანო, და დაფეთებულ

ბრბოს სჯეროდა - ის კუდიანი ნამდვილად ამ ეშმაკებთან იყო დაკავშირებული, ახლა კი კავშირის ვადაც გასულა და მისივე დასაწვავად მოვიდნენო. იყო ჩურჩული და მითქმა-მოთქმა - ერთმანეთს აგებინებდნენ ყველა იმ საშინელებას, რაც ამ უბედურსა და არეულ დროში ჩაედინა ეშმაკს. თან კი, რაღა თქმა უნდა, ბევრს ისეთს რასმე აბრალებდნენ, რაშიც ჯოჯოხეთის ძალებს სულაც არ მიუძღოდათ ბრალი.

- არ გაიგე, ძია დენეტ, - ეუბნებოდა ერთი ახალგაზრდა გლეხი უფრო ხანშიშესულს, - ეშმაკს საქსონელი თენის ათელსტან კონინგსბურგელის გვამი გაუტაცნია.

- ვიცი, მაგრამ წმიდა დუნსტანის ლოცვა-კურთხევის წყალობით ისევ უკან დაუბრუნებია.

- რაო, რაო? - იკითხა ერთმა მწვანე, მოქარგულ ქურთუკიანმა ჩაუქმა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც ზურგზე ქნარმოდებული ჩასკვნილი ბიჭი მოსდევდა. ხელადვე შეატყობდი, რა ხელობისაც იყვნენ. უბრალო მინსტრელი კი არ ჩანდა - მდიდრულად მოქარგული ქურთუკის გარდა, ყელზე ვერცხლის ძეწკვი ჰქონდა შებმული, ხოლო ძეწკვზე ეკიდა ქნარის მოსამართავი გასაღები; მარჯვენა მკლავზე ვერცხლის ფირფიტა ჰქონდა მიკრული, მაგრამ ამ ფირფიტაზე თავისი ბატონის ვინაობა კი არ ეწერა, - როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, - არამედ ერთი სიტყვა იყო ამოკვეთილი - შ ე რ ვ უ დ ი.

- რაო, რას ამბობს? - ჩაეკითხა ყმაწვილი მინსტრელი, - მე ერთი სიმღერის ამბავს ვეძებდი და , ღვთის მადლით, აგერ ერთბაშად ორს არ წვაწყდი!

- ეს უკვე მთელმა ქვეყანამ იცის, - უპასუხა ხანშიშესულმა გლეხმა, - რომ ათელსტან კონინგსბურგელის სიკვდილის ოთხი კვირის სწორზე...

- რას ამბობ! - შესძახა მინსტრელმა, - აშბის ასპარეზობაზე ჩემი თვალით ვნახე, აბჯარ ასხმული გამოვიდა.

- სიკვდილით ნამდვილად მოკვდა, ან ამქვეყნიდან გაიტაცეს, - ჩაერია ახალგაზრდა გლეხი, - მე

თვითონ გავიგონე, წმიდა ედმუნდის ბერები როგორ უმღეროდნენ სულთათანას. ის კი არადა, დიდი აღაპიც გაუმართავთ კონინგსბურგის ციხეში. წასვლა მინდოდა, მაგრამ მაბელ პერკინსი...

- რა ბრძანებაა, მოკვდა, - დაადასტურა ბერიკაცმა და თავი გააქნია, - ძაან დასანანი კია, ეს საქსონელები სულ...

- მერე, მერე, რა მოხდაო? - მოუთმენლად ჩაეკითხა მინსტრელი.

- ჰო,ჰო გვითხარი, კაცო, - ჩაერია საუბარში ერთი ჩასკვნილი ბერი, რომელიც იქვე იდგა და ხელში დიდი ჯოხი ეჭირა - საომარ კეტს უფრო ჰგავდა ეს ჯოხი, ვიდრე მწირის არგანს, ალბათ იმადაც ხმარობდა და იმადაც, როგორც მოუხდებოდა, - ჰო, გვითხარი კაცო, - გაუმეორა ჩასკვნილმა ბერმა, - ჩქარა, თორემ დრო გადის, ვეღარ მოასწრებ.

- ღმერთო შეგცოდე და, - დაიწყო დენეტმა, - წმიდა ედმუნდის მნათესთან ერთი გალეშილი ხუცესი მისულა...

- შესცოდე და ეგ არის! - შეუტია ეკლესიის მსახურმა, - მთვრალი ხუცესი ვის გაუგონია, ან რა ერისკაცის საქმეა ეს. ცოტა უფრო ზრდილობიანად ილაპარაკე, ჩემო მეგობარო, ალბათ

ფიქრებში იყო წასული ის წმიდა კაცი, ხოლო ფიქრებში გართულ ადამინს თავბრუ ესხმის, ფეხიც ერევა, გეგონება სტომაქი ღვინით ამოუვსიაო... ჩემს თავზე გამომიცდია...

- კარგი, ასე იყოს, - მიუგო დენეტმა, - წმიდა ედმუნდის მნათესთან ერთი წმიდა ძმა მისულა... ცრუხუცესი... რაც ტყეში ნადირსა წყვეტენ, ნახევარი მისი გაჟლეტილია; სამრეკლოს ზარების რეკვას ლუდის ჯამების ჩხაკუნი ურჩევნია და ათ ფურცელ სახარებას ერთ ლორის ნაჭერს ამჯობინებს. სხვაფრივ, კარგი კაცია, გულმხიარული, კეტს ისე დაატრილებს, რომ შენი მოწონებული. ისარსაც მარჯვედ ისვრის და ცეკვითაც ისე ჩამოუვლის, რომ იორკშირელ ყმაწვილ კაცებს თვალი ზედ დარჩებათ.

- ეს რომ არ დაგემატებია, დენეტ, - უთხრა მინსტრელმა, - ერთი ნეკნიც არ შეგრჩებოდა მრთელი.

- კარგი, ერთი, მაგის აღარ მეშინია, - მიუგო დენეტმა, - ახლა დავბერდი და გავხეხეშდი, თორემ დონკასტერის ბაზარში რომ დავტრიალდებოდი...

- ჯერ გვითხარი, კაცო, შენი სათქმელი! - კვლავ შეაწყვეტინა მინსტრელმა.

- ერთი სიტყვით ამ ამბის თავი და ბოლო ის გახლავთ, რომ ათელსტან კონინგსბურგელი წმიდა ედმუნდის მონასტერში დაუმარხავთ.

- მტკნარი სიცრუეა! - შესძახა ბერმა, - მე თვითონ ვნახე, რომ კონინგსბურგის ციხე-დარბაზისკენ მიასვენებდნენ.

- მაშ, ადექით და თქვენ თვითონ მოყევით, - თქვა განაწყენებულმა დენეტმა, რომელსაც სიტყვა აღარ დაამთავრებინეს. დიდი ხვეწნა და ღიჭინი

დასჭირდათ მის ამხანაგებს და მინსტრელს, რომ დაწყებული ამბავი გაეგრძელებინა, - ჰოდა, ეს ორი ფხიზელი ბერი, რაკი ეს ღირსი მამა ბრძანებს, სხვანაირად არ შეიძლებაო, - თქვა მან ბოლოს, - ზის თავისთვის, შეექცევა ლუდს, ღვინოს და რა ვიცი კიდევ რას, დრო გაჰყავთ და არიან ასე... მაგრამ უცებ ხვნეშა შემოესმათ, ამას ჯაჭვის ჩხრიალიც მოჰყვა... კარი იღება და სენაკში გარდაცვლილი ათელსტანი შედის. „ეი, თქვენ ღვთისპირიდან გადავარდნილო ხუცებო," შესძახა თურმე...

- ტყუილია! - სწრაფად შეაწყვეტინა ბერმა, - კრინტიც არ დაუძრავს!

- ოჰო, მამაო ტუკ! - გადაულაპარაკა მინსტრელმა ბერს, - ეტყობა, ერთი კურდღელი კიდევ წამოვაგდეთ.

- რა უნდა დაგიმალო, ალან-ე-დეილ, - მიუგო მეუდაბნოემ, - როგორც ახლა შენ გიყურებ, ასე თვალნათლივ ვნახე ათელსტან კონინგსბურგელი. სუდარაში გახვეულიყო და სამარის სუნი ასდიოდა... ერთი კასრი ღვინოც ვერ ამომირეცხავს ამას მეხსიერებიდან.

- კარგი, ერთი! - უთხრა მინსტრელმა, - სასაცილოდ მიგდებ?!

- თუ ტყუილს გეუბნებოდე, შენს დღეში ნუღარაფერს დამიჯერებ, - მიუგო ბერმა, - ისე მოვუქნიე კეტი, რომ ხარსაც წააქცევდა, მაგრამ თითქოს კვამლის ბოლქვისთვის მესროლოს - არც კი უგრძვნია.

- საოცარი ზღაპარია, წმიდა ჰუბერტის მადლმა, - თქვა მინსტრელმა, - ძველებური სიმღერა რომაა - „ვაი-ვუი ჩვენსა ბერსა" - სწორედ იმის კოლოს მოუხდება.

- იცინე, მანამ მოგწყინდებოდეს, - უთხრა ბერმა, - მე პირადად კი, ეშმაკის კერძი ვიყო, თუ ოდესმე მაგისთანა უხამსი რამე ვიმღერო. აჰ, არა, ღმერთმა დამიფაროს!.. მე თავიდანვე სათნო საქმის კეთება გადავწყვიტე, აქაც იმიტომ მოვედი, რომ ხალხს კუდიანის დაწვა ვუშველო, ან არადა რამე სამართლიანი საქმისათვის დავატრიალო ეს ჩემი კეტი.

მანამ ისინი ასეთ საუბარში იყვნენ გართულნი, გაისმა ტემპლსტოუს წმიდა მიქელის ეკლესიის სამრეკლოს დიდი ზარის ხმა. ეს ძველისძველი ეკლესია მონასტრის ცოტა მოშორებით მდებარეობდა, შუა სოფელში. ნელი და მძიმე გუგუნი თანდათანობით მოედო ახლომახლო სოფლებს; როცა ექო შორეულ მთებს მისწვდებოდა და გაქრებოდა, სამრეკლოდან ისევ

დაიძრებოდა ხოლმე ახალი გუგუნის ტალღა და ჰაერში განუწყვეტელი ზრიალი იდგა. ზარის ხმამ, როგორც სამსჯავროს მოახლოების ნიშანმა, ცივ

ჟრუანტელად დაუარა მონასტრის ირგვლივ თავმოყრილ ხალხს, რომელთა თვალები ამჟამად მიპყრობილი იყო პრესეპტორიისაკენ, საიდანაც დიდი მაგისტრი, რაინდი და დამნაშავე უნდა გამოსულიყვნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, დაუშვეს მოძრავი ხიდი, ჭიშკარი გაიხსნა და მონასტრის ეზოდან გამოვიდნენ ჯერ ექვსი მებუკე, მერე ერთი მედროშე, რომელსაც ორ-ორად გაწკაპული რაინდები მოჰყვებოდნენ. შემდეგ თვით დიდი მაგისტრი, სადად მოკაზმულ დიდებულ ცხენზე ამხედრებული. თავითფეხამდე ბრჭყვიალა აბჯარში ჩამჯდარი ბრიან დე ბუა გილბერი ამათ შემდეგ მოდიოდა. მისი შუბი, ფარი და ხმალი ორ საჭურველთმტვირთველს მოჰქონდა, რომლებიც უკან მისდევდნენ რაინდს. სახეს ნაწილობრივ ქუდიდან გადმოშვებული გრძელი ფრთა უფარავდა, მაგრამ მაინც შენიშნავდით, რომ დიდ მღელვარებას მოეცვა - ეტყობოდა, რაღაც ვერ გადაეწყვიტა და მისი მოუდრეკელი სიამაყე ამ ყოყმანსა და ორჭოფობას ებრძოდა. მკვდრის ფერი ედო, თითქოს რამდენიმე ღამე არ უძინიაო, მაგრამ მაინც ისე მოხდენილად და ლაღად მოჰყავდა ფიცხი ბედაური, როგორც მთელი ორდენის უმამაცეს რაინდს შეეფერებოდა. გოროზი და დიდებული შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ უფრო ყურადღებით როცა დააკვირდებოდნენ მის პირქუშ სახეს, თვალს არიდებდნენ ხოლმე.

ბუა გილბერს, აქეთ-იქით, კონრად მონ ფიტჩეტი და ალბერტ მალვუაზენი ამოსდგომოდნენ. ესენი თეთრად იყვნენ შემოსილნი, როგორც მშვიდობის მოციქულნი. ამათ მოჰყვებოდნენ სხვა ტაძრელი რაინდები და გრძელი მწკრივი შავად გამოწყობილ მეაბჯრეებისა თუ ფარეშებისა, რომლებიც ორდენს ემსახურებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ რაინდის საპატიო წოდების მიღებას.

ამ ახალბედა ტაძრელებს მოსდევდა ასევე შავად ჩაცმული ქვეითი საგუშაგო რაზმი, ხოლო გუშაგთა შემართულ აფთებს შორის კაცი ადვილად შენიშნავდა დამნაშავეს - იგი წყნარი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა მოედნისაკენ, საცა მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. რაც კი რამ სამკაული ჰქონდა რებეკას, სულ წაერთმიათ იმის შიშით, რომ ამ სამკაულებში გარეული არ ყოფილიყო თილისმა, რასაც სატანა თავის მსხვერპლს აძლევს ხოლმე, რათა ამითი ძალა შემატოს, საშინელ ტანჯვას გაუძლოს და შეცოდება არ აღიაროს. აღმოსავლური ტანსაცმელი გაეხადათ მისთვის და რაღაც ხამი ქსოვილის თეთრი კაბა ჩაეცმიათ. ხომ ასე ულაზათო კაბა ეცვა,

თავისი შავი ნაწნავების გარდა, დამამშვენებელი სამკაულიც არაფერი ჰქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვალებში გამოუკრთოდა რაღაც ისეთი უცნაური შერეული გრძნობა მამაცობისა და ბედთან შერიგებისა, რომ, შეხედავდი თუ არა, ცრემლს ვერ შეიკავებდი. ის კი არადა, საშინელი ცრუმორწმუნეობით გულგაქვავაებული ხალხიც კი სწუხდა - ასეთი მშვენიერი არსება ბოროტების ჭურჭლად როგორ იქცა და ეშმაკი როგორ დაეპატრონაო.

მსხვერპლს მოსდევდა მონასტრის დანარჩენი მსახურები - სულ დაბალი წოდების ხალხი. უსასტიკესი წესრიგით მოდიოდნენ - გულხელი დაეკრიფათ და თვალები მიწისთვის ჩაეშტერებინათ.

პროცესიამ მძიმედ აიარა პატარა ფერდობი და საასპარეზო მოედანზე შევიდა, ერთხელ შემოუარა მოედანს, მარჯვნიდან მარცხნივ, და როცა სრული წრე გაიარა, შედგა. აქ წუთით აირ-დაირივნენ, რადგან მაგისტრიც და მთელი მისი მხლებლებიც - ბუა გილბერისა და მისი თავმდები რაინდების გარდა - ცხენებიდან ჩამოხდნენ, საჭურველთმტვირთველებმა ცხენები მაშინვე გაიყვანეს მოედნიდან.

უბედური რებეკა შავ სკამზე დასვეს, კოცონის მახლობლად. ამ საშინელ ადგილს რომ გახედა, საცა გაფაციცებული სასიკვდილო სამზადისი ჰქონდათ, (რაც გონებისათვის ისეთივე შემაძრწუნებელი იყო, როგორც სხეულისათვის - მტანჯველი), ხალხმა შენიშნა, რომ რებეკა ათრთოლდა და თვალებზე ხელი აიფარა, ეტყობოდა, ჩუმ ლოცვას მოჰყვა, რადგან ტუჩებს ამოძრავებდა, ხმა კი არავის გაუგონია მისი. ერთი წუთის შემდეგ თვალები გაახილა, ერთად დახვავებულ ფიჩხს დააშტერდა, თითქოს უნდა შეეჩვიოსო, და მერე ნელა მოაბრუნა თავი.

ამასობაში მაგისტრი ტახტზე დაჯდა, და როცა რაინდებმაც დაიკავეს თავთავისი ადგილი -

წოდების მიხედვით, ზოგმა მაგისტრის გვერდით, ზოგმა მის უკან - საყვირების გამაყრუებელმა ხმამ შეკრებილთ ამცნო, რომ სამსჯავრო იწყებოდა, რაინდის თავმდები მალვუაზენი წინ გამოვიდა და ებრაელი ქალის ხელთათმანი, როგორც ბრძოლაში გაწვევის წინდი, მაგისტრის ფეხრთით დასდო.

- გულოვანო მეუფევ ჩვენო და ღირსეულო მამავ, - მოახსენა მან, - აქა დგას ჩვენი მამაცი რაინდი ბრიან დე ბუა გილბერი, ტაძრის ორდენის პრე-

სეპტორი, იგი ღებულობს ბრძოლაში გაწვევის წინდს, - რომელიც შენი მაღალღირსების ფეხრთით დევს, - და ამით კისრულობს დაიცვას ორდენის ღირსება, ბრძოლით დაამტკიცოს, რომ ებრაელი ქალი, სახელად რებეკა, სამართლიანად იმსახურებს სიკვდილს, რაც მას სიონის ტაძრის წმიდა ორდენის სამსჯავრომ გადაუწყვიტა - როგორც ჯადოქარს... და აჰა, აქა დგას ჩვენი რაინდი, რათა გმირულად და სათანადო ღირსებით იბრძოლოს, თუკი ასეთი იქნება შენი წმიდა და კეთილშობილი სურვილიც.

- ხომ შეჰფიცა, რომ ამ მართალი და პატივსადები საქმისათვის იბრძოლოს? - იკითხა დიდმა მაგისტრმა, - აბა ერთი ჯვარცმის ხატი და საწიგნე მომიტანეთ.

- მეუფევ და მაღალღირსო მამავ, - ხელადვე მიუგო მალვუაზენმა, - ჩვენმა ძმამ რომელიც აქვე დგას, დიდებული რაინდის კონრად მონ ფიტჩეტის თანდასწრებით შეჰფიცა, რომ

სიმართლისათვის იბრძოლებს. აქ ფიცი კი - არა ჯერ არს, რადგან მისი მოწინააღმდეგე ურჯულოა და თვითონ ვერ დაიფიცებს.

ალბერტის გასახარად, ეს მოსაზრება მიღებულ იქნა. ცბიერმა რაინდმა წინასწარვე განსჭრიტა, რა ძნელი - თითქმის შეუძლებელიც - იქნებოდა ბრიან დე ბუა გილბერის დარწმუნება, რომ საქვეყნოდ გამოსულიყო და ასეთი აღთქმა დაედო, ამიტომ ეს ეშმაკობა მოიგონა და თავიდან ააშორა საჯარო ფიცი.

მაგისტრმა გაიზიარა ალბერტ მალვუაზენის მოსაზრება და ჰეროლდს უბრძანა, თავისი საქმე გაეკეთებინა. ისევ ჩაჰბერეს საყვირებს, ჰეროლდი წინ გამოვიდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

- სმენა და გაგონება! სმენა და გაგონება!.. მამაცი რაინდი ბრიან დე ბუა გილბერი მზად არის შეებრძოლოს ყოველ წარჩინებულ რაინდს, რომელიც გამოვა და საქვეყნოდ გამოესარჩლება ებრაელის ქალს რებეკას. აქ ბრძაბენული ღირსეული და მამაცი მაგისტრი ჩვენი ნებას რთავს, გაიმართოს ორივე მხარისათვის თანაბარუფლებიანი და სამართლიანი ბრძოლა!

კვლავ ჩაჰბერეს საყვირებს, რის შემდეგაც რამდენიმე წუთს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

- ქომაგი არავინ არა ჩანს, - თქვა მაგისტრმა, - ჰეროლდო, აბა ერთი ქალსაც ჰკითხე, მოსარჩლეს ხომ არავის მოელის.

ჰეროლდი რებეკას მიუახლოვდა, და იმავე წუთში, მალვუაზენისა და მონ ფიტჩეტის გაფრთხილების მიუხედავად, ბუა გილბერმაც შეაბრუნა ცხენი და ქალისკენ დასძრა - ისიცა და ჰეროლდიც ერთდრულად მივიდნენ რებეკასთან.

- კანონიერი მოქმედებაა? ბრძოლის წესებს ხომ არ ეწინააღმდეგება? - ჰკითხა მალვიუაზენმა მაგისტრს.

- კანონიერია, ალბერტ მალვუაზენ, - მიუგო ბომანუარმა, - ეს ხომ ღვთის სამსჯავროა, და ხელი არ უნდა შევუშალოთ მოწინააღმდეგე მხარეებს ერთმანეთს მოელაპარაკონ, ეს სიმართლის დადგენას შეუწყობს ხელს.

ამასობაში ჰეროლდმა ასე მიმართა რებეკას:

- ქალო! ჩვენი მაღალღირსი და პატივცემული მაგისტრი გიბრძანებს - მოსარჩლე რაინდი თუ გყავს, რომელიც შენს დასაცავად იბრძოლებს დღეს? ან, იქნებ, შენვე აღიარებ მსჯავრის სამართლიანობას!

- მოახსენე მაგისტრს, - მოუგო რებეკამ, - რომ მე კვლავ უდანაშაულოდ ვთვლი თავს, მსჯავრი უსამართლოდ მიმაჩნია და არ ვეთანხმები. მოახსენე, რომ მე კვლავ ვთხოულობ ვადას, რამდენადაც ამის ნებას თქვენივე კანონი მომცემს. იქნებ მოსარჩლე მომივლინოს მოწყალე ღმერთმა, რომელიც თავის შექმნილს ადვილად არ გასწირავს. თუ მაინც ვერ ვეღირსე ქომაგს, მაშინ აღსრულდეს მისი წმიდა ნება.

ჰეროლდი გაბრუნდა, რათა ქალის პასუხი მაგისტრისთვის მოეხსენებინა.

- ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ებრაელმა და წარმართმა უსამართლობაში დადგვდოს ბრალი! - წარმოთქვა ლუკა ბომანუარმა, - მანამ ჩრდილი დაგრძელდებოდეს, დავიცადოთ, იქნებ მართლაც გამოუჩნდეს დამცველი ამ უბედურ ქალს. თუ არავინ მოუვიდა, სიკვდილისათვის მოემზადოს.

მაგისტრის სიტყვები ჰეროლდმა რებეკას შეატყობინა. ქალმა მორჩილად დახარა თავი, გულხელი დაიკრიფა, მერე სასოებით აღაპყრო თვალი ზეცისკენ - თითქოს იქიდან ელოდა შველას, რასაც დედამიწაზე, ეტყობა ვერ ეღირსებოდა. ამ შემაძრწუნებელი მდუმარების დროს, უცებ ბუა გილბერის ხმა მისწვდა მის სმენას - ჩურჩულით უთხრა, მაგრამ ქალი ამან უფრო შეაკრთო, ვიდრე ჰეროლდის სიტყვებმა.

- რებეკა, - მიმართა ტაძრელმა, - მისმენ?

- მე შენთან არაფერი საქმე არა მაქვს, გულქვა და შეუბრალებელო ადამიანო, - მიუგო უბედურმა ქალმა.

- ჰო, მაგრამ ჩემი სიტყვები თუ გესმის? - განაგრძობდა ტაძრელი, - მე თვითონვე შიშის ზარსა მცემს ჩემი ხმის გაგონება. არც კი ვიცი, აქ რა გვინდა, ან რისთვის მოგვიყვანეს... ეს შემოღობილი მოედანი... ეს სკამი... ერთად დახვავებული ფიჩხი... ვიცი, რასაც ნიშნავს ყველაფერი ეს. მაგრამ მაინც შეუძლებელი მგონია... საშინელი მოჩვენება, რაც სულს მიწეწავს, მაგრამ გონებას მაინც ვერ დაუჯერებია.

- სული და ხუთივე გრძნობა, - მიუგო რებეკამ, - იმას მეუბნება, რომ ეს კოცონი ჩემი სხეულის დასაწვავად არის მომზადებული და მტანჯველ, მაგრამ მოკლე გზას წარმოადგენს უკეთესი ქვეყნისაკენ.

- ეგ ხომ ცარიელი ოცნებაა, რებეკა, ოცნება და მეტი არაფერი, - უთხრა ტაძრელმა, - ფუჭი მოჩვენება, რასაც თქვენი ბრძენი სადუკეველებიც გმობენ!.. მე მომისმინე, რებეკა, - განაგრძო მან უფრო მგზნებარედ, - შენ ისეთი ხსნა და გათავისუფლება მოგელის, რაც ამ ჩერჩეტ არამზადებს

არც კი დაესიზმრებათ. ჩქარა ცხენზე შემომიჯექი. ზამორს - ამ დიდებულ ბედაურს, ჩემთვის ჯერ არ უღალატნია... იგი ტრაპიზონის სულთანს წავართვი ორთაბრძოლაში...შემომიჯექი-მეთქი, გეუბნები... ერთ საათში ვერავითარი მდევარი ვეღარ დაგვეწევა... სულ ახალი ქვეყანა გაიხსნება შენთვის, სადაც მხოლოდ განცხრომა და სიამოვნება სუფევს... მეც დიდების ახალი სარბიელი გადამეშლება. დაე, გამასამართლონ და შემაჩვენონ, დაე, ბუა გილბერის სახელი მონასტრის მონათა სიიდან ამოშალონ! სისხლით ჩამოვრეცხ ყოველგვარ ლაქას, რასაც კი ისინი ჩემს საგვარეულო ღერბს მოაცხებენ.

- განვედ, მაცდურო! - შესძახა რებეკამ, - ამ საშინელ დღეში მყოფსაც კი ერთის ბეწოთი ვერ შემირყევ გადაწყვეტილებას. ირგვლივ ხომ სულ მტრები მახვევია, შენ მაინც ყველაზე საშინელი და უბოროტესი მტერი ხარ!.. თუ ღმერთი გწამს გამეცალე!

ალბერტ მალვუაზენი ძალიან შეაფიქრიანა და შეაშფოთა მათი საუბრის გაგრძელებამ - ცხენს დეზი ამოჰკრა და იქითკენ გაემართა, რათა ხელი შეეშალა.

- აღიარა თავისი დანაშაული? - ჰკითხა მან ბუა გილბერს, - თუ ისევ ჯიუტობს?

- მართლაც რომ ჯიუტობს! - მიუგო ბუა გილბერმა.

- მაშინ, ჩემო კეთილო ძმაო, - უთხრა მალვუაზენმა, - ისევ შენ ადგილს დაუბრუნდი და ვადის გასვლას დაელოდე... ჩრდილი უკვე დაგრძელდა... წამოდი, მამაცო ბუა გილბერ... წამოდი, ჩვენი წმიდა ორდენის იმედო და მომავალო წინამძღვარო.

დაყვავებით უთხრა ეს სიტყვები და მის სადავეს წაეპოტინა, უკანვე წასაყვანად.

- ორპირო არამზადა! ჩემს აღვირთან შენ რა ხელი გაქვს?! - გაგულისებით შესძახა ბრიანმა, აღვირზე ხელი გააშვებინა და თვითონვე გაბრუნდა წინანდელ ადგილზე.

- ხედავ, რა გულადია, - გადაულაპარაკა მალვუაზენმა მონ ფიტჩეტს, - დამჯდარი ჭკუისაც რომ ჰქნა... მაგრამ ბერძნების ცეცხლივით, რასაც კი გაეკარება, ყველაფერს წვავს.

მთელი ორი საათი ამაოდ ელოდნენ მსაჯულები დამცველი რაინდის გამოჩენას.

- გასაგებიცაა, - თქვა ბერმა ტუკმა, - ებრაელ ქალს ვინ გამოექომაგება!.. ისე კი, ღვთის მადლმა, ბრალია - ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იმიტომ დაიღუპოს, რომ გამოსარჩლება არავინ იკისრა. ათგზის ჯადოქარიც ქნა, ოღონდ ქრისტიანულ რჯულზე იყოს მოქცეული, და მე ვიცი მაშინ - ისე დავატრიალებ ჩემს კეტს მაგ ცოფიანი ტაძრელის რკინის ქუდზე, რომ შენი მოწონებული!

არავის არ ეგონა, ვინმე თავს თუ გამოიდებდა და ებრაელი ქალის დასაცავად გამოვიდოდა, მით უმეტეს, რომ ამ ქალს ჯადოქრობას სწამებდნენ. მალვუაზენის მიერ წაქეზებულმა რაინდებმა ჩურჩულიც დაიწყეს ერთმანეთში, დროა რებეკას წინდი გაუქმებულად გამოცხადდესო. მაგრამ ამ დროს მინდორში ვიღაც რაინდი გამოჩნდა, რომელიც გამეტებულად მოაქროლებდა ცხენს მოედნისაკენ.

- დამცველი! დამცველი! - იყვირა ხალხმა, და, ძვალ-რბილში გამჯდარ ცრუმორწმუნეობის მიუხედავად, მოედანზე შემოჭრილ რაინდს ყიჟინით შეხვდნენ. მაგრამ, უფრო ახლოდან რომ შეხედეს, მისი დროული მოსვლით წამიერად გაცოცხლებული იმედი კვლავ გაუცრუვდათ. ცხენს ფეხები

ეკეცებოდა, ეტყობოდა დიდი გზა გამოევლო ჭენებით; და თვითონ მხედარიც შეუპოვრად კი შემოიჭრა მოედანზე, მაგრამ, სისუსტისა თუ დაღლილობის გამო, თავს ძლივს იმაგრებდა უნაგირზე.

ჰეროლდის შეკითხვაზე, ვინ ხარ, რა წოდებისა ან რისთვის მოსულხარო, უცნობმა რაინდმა რიხიანად უპასუხა:

- მე კეთილი რაინდი ვარ, კარგი გვარიშვილი, აქ იმისთვის მოვედი, რომ სამართლიან ბრძლაში ხმლითა და შუბით დავიცვა ისააკ იორკელის ქალი რებეკა; დავამტკიცო, რომ მის მიმართ გამოტანილი მსჯავრი ყალბი და უსამართლოა; ვამხილო, რომ ბრიან დე ბუა გილბერი

მოღალატე, მკვლელი და მატყუარაა; ამის დასამტკიცებლად შევებრძოლო მას ამ მოედანზე და გავიმარჯვო ზეცის, ღვთიშობლისა და კეთილი რაინდის - წმიდა გიორგის შეწევნით.

- უცნობმა ჯერ უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ჭეშმარიტი რაინდი და კარგი გვარიშილია, - თქვა მალვუაზენმა, - ჩვენი ორდენი თავის რაინდს უსახელო ხალხთან არ აბრძოლებს.

- მალვუაზენ, - უთხრა მოსულმა რაინდმა და მუზარადი მოიხადა, - ჩემი სახელი შენსაზე უფრო განთქმულია და გვარიშვილობითაც შენზე მაღლა ვდგავარ, მე უილფრედ აივენჰო ვარ.

- მე ახლა შენთან არ ვიბრძოლებ, - უთხრა ტაძრელმა რაინდმა შეცვლილი და ყრუ ხმით, - ჯერ ჭრილობები მოირჩინე, ცხენიც უკეთესი იშოვნე და იქნებ ვიკადრო შენთან ჩხუბი, რომ ეს ბალღური ყოყლოჩინობა თავიდან გამოგიბერტყო.

- მაშ ასე, ზვიადო ტაძრელო?! - შესძახა აივნჰომ, - უკვე დაგავიწყდა, რომ ორჯერ ჩამოგაგდე ამ შუბით? აბა ერთი აკრის ასპარეზობა მოიგონე... აშბის მოედანიც თუ გახსოვს!.. ისიც გაიხსენე, როთერვუდის ციხე-დარბაზში რას ბაქიბუქობდი... შენი ოქროს ძეწკვიც კი დადე ჩემი წმიდა სანაწილეს სანაცვლოდ, რომ უილფრედ აივნჰოს შეებრძოლებოდი და დაკარგულ დიდებას აღიდგენდი! იმ სანაწილესა და შიგ მდებარე წმიდა ხატს ვფიცავ, თუ ახლავე არ შემებრძოლე, შენს სილაჩრეს მთელს ევროპას მოვდებ... შენი ორდენის ყველა მონასტერს...

ბუა გილბერმა ჯერ რებეკას გადახედა ყოყმანით, მერე აივენჰოს შეუბღვირა და შესძახა:

- შუბი შემართე, საქსონელო ძაღლო, და სასიკვდილოდ მოემზადე, რაკი სიცოცხლე ასე მოგძულებია!

- დიდი მაგისტრი მრთავს ბრძოლის ნებას? - იკითხა აივენჰომ.

- არ შემიძლია უარი გითხრა, - მიუგო მაგისტრმა, - ოღონდ ქალმაც უნდა აგირჩიოს თავის დამცველად. თუმცა, სასურველი კი იქნებოდა, უფრო მომზადებული ყოფილიყავ. მუდამ ჩვენი ორდენის მტერი იყავი, მაგრამ მე მაინც სამართლიანი ბრძოლის მომხრე ვარ.

- არა, სწორედ ასე უნდა შევებრძოლო... ასე და არა სხვანაირად! - შესძახა აივენჰომ, - ეს ხომ ღვთის სამსჯავროა... მასვე მივენდობი... - მერე საბედისწერო სკამთან მიიჭრა და ქალს მიმართა, - რებეკა, მაღიარებ შენს დამცველად?

- გაღიარებ, გაღიარებ, - ისეთი მღელვარებით მიუგო ქალმა, რომ ასე შიშსაც არ აუღელვებია, - შენ მე ღვთისაგან მოვლენილ დამცველად გაღიარებ! მაგრამ არა... არა... ჯერ ჭრილობები არ მოგრჩენია... მაგ გოროზ კაცს ნუ შეეჭიდები!.. შენ რატომღა უნდა დაიღუპო?! მაგრამ აივენჰო უკვე თავის ადგილზე იდგა, მუზარადჩამოშვებული და შუბშემართული. ბუა გილბერმაც შემართა შუბი,

მაგრამ როცა საჭურველთმტვირთველი ზარადს უსწორებდა, შენიშნა, რომ სახე, რომელიც სულ სხვადასხვაგვარი ვნებათაღელვის მიუხედავად, მთელი დღე გაფითრებული ჰქონდა რაინდს, ახლა ერთბაშად წამოუჭარხლდა.

რაკი ორივე რაინდი თავთავის ადგილას დაინახა, ჰეროლდმა სამჯერ ხმამაღლა გაიმეორა: Faites vos devoires, preux chevaliers![72] მეასმე შეძახების შემდეგ განზე გადგა და კვლავ გამოაცხადა, რომ ვინც გაბედავდა და რაინდებს ამ სამართლიანი ბრძოლის დროს ხელს შეუშლიდა - ან სიტყვით, ან ხმლით, ან შეძახებით - მყისვე სიკვდილით დაისჯებოდა. დიდმა მაგისტრმა, რომელსაც აქამდე ხელთ ეპყრა ბრძოლის წინდი - რებეკას ხელთათმანი, ახლა მოედანზე გადააგდო და საბედისწერო სიტყვა წარმოთქვა:

- Laisser aller!

ჩაჰბერეს საყვირს და რაინდები ერთმანეთს ეკვეთნენ. გასავათებულმა ცხენმა და მისმა არანაკლებ დაქანცულმა მხედარმა, როგორც ყველა მო-

ელოდა, ვერ გაუძლეს ტაძრელის მარჯვედ ნაძგერებ შუბსა და მის გაცოფებულ ცხენს, და წაიქცნენ. ხალხი წინასწარვე გრძნობდა, რომ ასე მოხდებოდა. აივენჰოს შუბი ოდნავ შეეხო ბუა გილბერის ფარს, მაგრამ ეს რაინდი, ყველასდა გასაკვირად, უნაგირზე ჩაიკეცა, უზანგიდან ფეხები გამოუცურდა და მოედანზე გაიშოტა.

აივენჰომ ხელად გაითავისუფლა ფეხი წაქცეული ცხენიდან, ხმალი იშიშვლა და მოწინააღმდეგეს მივარდა, მაგრამ იგი ადგილიდან არ იძროდა. აივენჰომ ფეხი მკერდზე დააჭირა, ხმლის წვერი ყელში მიაბჯინა და, დამნებდიო, შესძახა. ბუა გილბერს ხმაც არ გაუღია.

- ნუ მოჰკლავ, ბატონო რაინდო! - დაუძახა მაგისტრმა, - უაღსარებოდა და უზიარებლად ნუ გასწირავ მის სულსა და ხორცს! დამარცხებულად გამოგვიცხადებია.

მაგისტრი თვითონ გავიდა მოედანზე და ბრძანა, დამარცხებული რაინდისათვის მუზარადი მოეხადათ. თვალები დახუჭოდა ბუა გილბერს, შუბლი კი ისევ წითელი ჰქონდა. მანამ ყველანი გაკვირვებით დასცქეროდნენ, მან თვალი გააღო, მაგრამ მზერა გაეყინა. სიწითლე უკვე გადაუვიდა სხეზე და სამარისფერი დაედო. მოწინააღმდეგის შუბი არც კი შეხებია, დაუოკებელმა გულისთქმამა და ვნებათაღელვამ იმსხვერპლა.

- ეს კი ჭეშმარიტად ღვთის მსჯავრია, - წარმოთქვა მაგისტრმა და თვალი ზეცისაკენ აღაპყრო, - Fiat voluntas tua! - იყავნ ნება შენი!

თავი ორმოცდამეოთხე

ესეც დამთავრდა, ვით ზღაპარი დედაბერისა.
უებსტერი

როცა საერთო გაკვირვება ცოტად თუ ბევრად შენელდა, უილფრედ აივენჰომ ჰკითხა დიდ მაგისტრს, როგორც ბრძოლის მსაჯულს, ვაჟკაცურად და სამართლიანად თუ შევასრულე ჩემი მოვალეობაო.

- ვაჟკაცურიც იყო და სამართლიანიც, - მიუგო დიდმა მაგისტრმა, - საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ქალი უდანაშაულოა, და ამიტომ ვათავისუფლებ კიდეც... აბჯარ-საჭურველი და გვამი გარდაცვლილი რაინდისა გამარჯვებულს ეკუთნის.

- არც მაგის იარაღს ვახლებ ხელს და არც იმას ვიზამ, რომ გვამი შეურაცხყონ, - თქვა რაინდმა აივენჰომ, - იგი ქრისტეს რჯულის დასაცავად იბრძოდა... დღეს კი ზეცის მსახვრალმა ხელმა მოაკვდინა და არა კაცისამ... მაგრამ მაინც ჩუმად და გაუხმაურებლად დამარხონ, როგორც უსამართლო საქმისათვის ბრძოლაში დაღუპულს ეკუთნის... ეს ქალი კი...

სიტყვა გააწყვეტინა ცხენების თქარათქურმა. იმდენი მხედარი გამოჩნდა და ისე გამწარებით მოაგელვებდნენ ცხენებს, რომ მიწას ზანზარი გა-უდიოდა. მოედანზე შემოიჭრა შავი რანდი. მას მოჰყვა მხედართა დიდი რაზმი და რამდენიმე აბჯარასხმული მეომარი.

- დამიგვიანია, - თქვა შავმა რაინდმა და მიიხედ-მოიხედა, - ბუა გილბე-რი ჩემი კერძი მინდოდა გამხდარიყო. ასეთი თავგანწირვა განა შეიძლება, აივენჰო?.. თავს ძლივს იმაგრებ უნაგირზე.

- თვით ღმერთმა დასაჯა ეს თავხედი კაცი, მეფევ, - უპასუხა აივენჰომ, - შენი ხელით სიკვდილი არ ეღირსა.

- უფალმა განუსვენოს, - ბრძანა რიჩარდმა და გვამს დააცქერდა, - ღმერთმა ულხინოს, თუკი ეს შესაძლებელია... მამაცი რაინდი იყო და აბჯა-რასხმული მოკვდა, როგორც რაინდს შეეფერება... მაგრამ დროს უქმად რატომ ვკარგავთ!.. ბოჰუნ, შენს საქმეს მიხედე.

მეფის ამალას ერთი რაინდი გამოეყო, ალბერტ დე მალვუაზენს ხელი დაადო და უთხრა:

- მე შენ გატყვევებ, როგორც სახელმწიფოს მოღალატეს!

ამდენი მხედრის გამოჩენით გაკვირვებული მაგისტრი აქამდე ჩუმად იდ-გა. ახლა კი ხმა ამოიღო.

- ვინ ბედავს სიონის ტაძრის რაინდის შეპყრობას თავისივე მონასტრის ეზოში და, მეტადრე, მაგისტრის თანდასწრებით? ვისი ბრძანებით გვაყე-ნებთ ამ საშინელ შეურაცხყოფას?

- მე ვატყვევებ, - მიუგო რაინდამ, - მე - ჰენრი ბოჰუნი, ესექსის გრაფი, ლორდ-მთავარსარდალი ინგლისის ჯარისა.

- მალვუაზენს ატყვევებს, - თქვა მეფემ და ზარადი აიწია, - რიჩარდ პლანტაგენეტის ბრძანებით, რომელიც ახლა აქ არის. ბედი შენი, კონრად მონ ფიტჩეტ, რომ ჩემს ქვეშევრდომად არ დაბადებულხარ!.. შენ კი, მალ-ვუაზენ, ამ კვირის დამლევამდე შენს ძმასთან ერთად სიკვდილით დასჯა გელის.

- მე მაგ განაჩენს წინაღვუდგები, - უთხრა მაგისტრმა.

- მაგას შენ ვერ მოესწრები, გულზვავო ტაძრელო, - უთხრა მეფემ, - აბა მაღლა აიხედე - შენი მონასტრის გუმბათზე, ტაძრის ალამის მაგივრად, ინ-გლისის სამეფო დროშა ფრიალებს!.. ჭკუაზე მოდი, ბომანუარ, შენს ურჩო-ბას აზრი აღარ აქვს... ხელი ლომის ხახაში გაქვს მოქცეული.

- რომში გიჩივლებ, რომ კანონს არღვევ და ჩვენი ორდენის საქმეში თავხედურად ერევი, - შესძახა მაგისტრმა.

- როგორც გენებოს, - უთხრა მეფემ, - მაგრამ შენთვისვე სჯობს, კანონის დარღვევასა და სხვის საქმეში ჩარევას ნუ მიხსენებ. ახლავე დაშალე ეს შენი კრებული და მსახურების თანხლებით სხვა რომელიმე მონასტერში გადადი (თუკი მოძებნი ისეთ მონასტერს, საცა ინგლისის მეფის მოღალატე შეთქმულები არ იყვნენ დაბუდებულნი)... ანდა, თუ გინდა დარჩი, ჩვენი სტუმარ-თმოყვარეობით ისარგებლე, და ნახე, როგორ მოვაბრუნებთ მართმსაჯულებას.

- იმ სახლში დავრჩე სტუმრად, საცა წესით მბრძანებელი უნდა ვიყო?! - თქვა ტაძრელმა, - ეგ არ მოხდება!.. კაპელანებო, ფსალმუნი დააგუგუნეთ - Quare fremuerunt Gentes?.. წმიდა ორდენის რაინდნო, მეაბჯრენო და მსახურნო, მოემზადენით და ბოსეანის დროშას გაჰყევით.

ისე ქედმაღლურად და ღირსეულად წარმოთქვა ეს სიტყვები მაგისტრმა, რომ ინგლისის მეფესაც არ დაუდო ტოლი, ხოლო ამით თავის შემკრთალსა და შეცბუნებულ მხლებლებს გული გაუმაგრა; ხელად შემოეხვივნენ ისინი მაგისტრს, როგორც მგლის ყმუილით დამფრთხალი ფარა შემოეხვევა ხოლმე ფარეხის ძაღლს. ოღონდ შეშინებული ცხვრების სიმხდალე კი არ გამოუჩენიათ - კოპები შეყარეს, დაიბღვირეს და სახის გამომეტყველებით გამოხატეს ის მტრული სიძულვილი, რის გამოთქმასაც ენით ვერ ბედავდნენ. მწკრივში მოეწყვნენ, შუბები შემართეს და შავად შემოსილ მხლებელთა წინ გამოჩენილ ტაძრელთა თეთრი მოსასხამები ისე მოჩანდა, როგორც თალხ ღრუბელს შემოვლებული ვერცხლისფერი ქობა. ხალხმა ერთი პირობა

გამომწვევად უყიჟინა მათ, მაგრამ მალევე დაჩუმდნენ და უხმოდ დაუწყეს ჭვრეტა გამოცდილ და მრისხანე რაინდთა რაზმს, რომელთაც ასე გაუფრთხილებლად შეუტიეს. წინა რიგებიდან ზოგმა შიშით უკან-უკანაც დაიწია.

ესექსის გრაფმა რომ დაინახა, მოწინააღმდეგე საბრძოველად მოეწყოო, ცხენს დეზები ამოჰკრა და თავის რაზმს აუარ-ჩაუარა, ჯარისკაცები საომრად განალაგა და მრისხანე ძალის დასახვედრად მოემზადა. რიჩარდი კი გულით ტკბებოდა, ასეთი საშიშროება რომ გამოიწვია მისმა გამოჩენამ. რამდენჯერმე ჩაუარა მძიმე ნაბიჯით ტაძრელთა ჯარს და შესძახა.

- რასა შვრებით, ბატონებო?! მაგდენ მამაც რაინდში ნუთუ ერთიც არ გამოერია, რომ რიჩარდის შუბს თავისი შეალეწოს? ბატონო ტაძრელებო, მართლაც რომ შავტუხა ქალბატონები გყოლიათ, თუ შუბის დალეწვად არა ღირან!

- ტაძრელი ძმები, - წარმოთქვა დიდმა მაგისტრმა და წინ გამოვიდა, - ასეთ ფუჭსა და უბრალო საქმეზე ხელს არ გაისვრიან... და ჩემი თანდასწრებით არც შენ წინააღმდეგ შემართავენ შუბს, რიჩარდ ინგლისელო. დე, პაპმა და ევროპის მეფეებმა გადაწყვიტონ ჩვენი დავა, და თქვან, ისეთი საქმის გამოსარჩლება თუ შეჰფერის ქრისტიან მეფეს, რისთვისაც შენ დღეს აქ მოხვედი. თუ ჩვენ არ გვახლებენ ხელს, არც ჩვენ ვაპირებთ ვინმეს ხელის ხლებას. შენს პატიოსნებას ვანდობთ

მონასტრის ქონებასა და საჭურველს, რასაც აქ ვტოვებთ, შენს სინდისზე იყოს ის წყენა და შეურაცხყოფა, რაც დღეს მთელს ქრისტიანობას მიაყენე.

ეს რომ წარმოთქვა, პასუხს არც დაელოდა - მაშინვე წასვლის ნიშანი მისცა. საყვირებმა რაღაც აღმოსავლური ველური ჰანგი დაუკრეს, რასაც ჩვეულებრივ სალაშქროდ გამგზავრების წინ უკრავდნენ ხოლმე. საბრძოველად განლაგებული მხედრობა მწკრივში მოეწყო და მძიმედ გაუდგნენ გზას (რამდენადაც კი შეიძლებოდა ნელი სიარული ცხენებისათვის) - თითქოს უნდოდათ ეთქვათ, რომ მაგისტრის ნებითა და სურვილით მიდიოდნენ და არა იმ მხედრობის შიშით, რომელიც მათზე ძლიერიც იყო და რომელმაც სინმადვილეში მართლაც აიძულა წასულიყვნენ.

- ღვთიშობელს ვფიცავ, მწყინს, - ბრძანა რიჩარდ მეფემ, - რომ ეს ტაძრელები ისეთივე სანდონი არ არიან, როგორც მამაცნი და გაწრთვნილნი.

როგორც მხდალი ძაღლი იცდის ხოლმე, ზურგს როდის შემაქცევენო და ყეფას მერე ასტეხს, ხალხსაც ისე მოუვიდა ახლა - ტაძრელთა ბოლო მწკრივმა რომ ჩაიარა, მერეღა მიაკივლეს.

ისე წავიდნენ ტაძრელები და ისე მიწყნარდა მათი გამგზავრების მთელი ალიაქოთი, რომ რებეკას არც არაფერი გაუგია და არც არაფერი დაუნახავს - მოვლენების ასე სწრაფი მონაცვლეობით

რეტდასხმული და თითქმის გონმიხდილი, თავის მოხუცებულ მამას ჩაეკრა გულში. ბოლოს ისააკისვე ერთმა სიტყვამ გამოაფხიზლა.

- წავიდეთ, ჩემო საყვარელო გოგონა, ჩემო დაბრუნებულო საუნჯევ, - უთხრა მან, - წავიდეთ და იმ კეთილ ჭაბუკს ფეხებში ჩავუვარდეთ.

- არა, არა, - შესძახა რებეკამ, - ო, არა, არა... ახლა არ შემიძია... ვაითუ რამე წამომცდეს... არა, მამი, ახლავე გავეცალოთ აქაურობას.

- ასე როგორ იქნება, შვილო, - უთხრა ისააკმა, - კაცმა სიცოცხლე არაფრად ჩააგდო, ვაჟკაცურად წამოვიდა, ფარი და შუბი შემართა, რომ შენ ტყვეობიდან დაეხსენი... სრულიად უცხო ხალხის შვილი, მისთვისაც და მის... არა, ისეთი საქმე გაგვიკეთა, რომ მადლიერები უნდა ვიყოთ.

- ნამდვილად... ნამდვილად უნდა ვიყოთ... მადლიერები, - ამბობდა რებეკა, - მაგრამ სხვა დროს გამოვამჟღავნოთ... ახლა არა... შენს საყვარელ რაქილს გაფიცებ, მამი, დამიჯერე... ახლა არა.

- რას იტყვიან! - არ ეშვებოდა ისააკი, - უმადურ ძაღლებად ჩაგვთვლიან.

- ხომ ხედავ, საყვარელო მამა, რომ აქ რიჩარდ მეფეც არის, და ამიტომ...

- მართალი ხარ, ჩემო საუნჯევ, ჩემო ჭკვიანო რებეკა!.. წავიდეთ... წავიდეთ... ფული ენდომება... პალესტინიდან ახალი დაბრუნებულია... ტყვეობასაც ახლა დააღწია თავი... ჩემი გაძარცვა თუ მოიწადინა, საბაბს რა გამოულევს - ჩემს ძმასთან რა კავშირი გქონდაო, მეტყვის... წავიდეთ, წავიდეთ, გავეცალოთ აქაურობას.

ახლა თვითონვე დააჩქარა ქალი, მოედნიდან გაიყვანა, წინასწარვე გამზადებულ ტახტრევანში ჩასვა და მშვიდობიანად მიიყვანა რაბინ ნათანის სახლში.

ასე ყველასაგან შეუმჩნევლად წავიდა მოედნიდან ებარელი ქალი, რომელმაც ამდენი ხალხი შეჰყარა დღეს აქ. ახლა ყველას ყურადღება შავი რაინდისაკენ იყო მიპყრობილი. ჰაერში განუწყვეტელი გუგუნი იდგა: „დღეგრძელობა რიჩარდ ლომგულს!“ „ძირს ტაძრელები!“

- ძალიან თავგამოდებით უცხადებენ ერთგულებას, - უთხრა აივენჰომ ესექსის გრაფს, - მაგრამ მეფეს მაინც გონივრული სიფრთხილე გამოუჩენია, კეთილშობილო გრაფო, რომ წამოუყვანიხარ, შენცა და შენი ერთგული მეომრები.

გრფმა გაიღიმა და თავი გააქნია.

- მამაცო აივენჰო, - მიუგო მან, - ჩვენი მეფის ასე კარგად მცნობ კაცს როგორა გჯერა, რომ იგი გონივრულ სიფრთხილეს გამოიჩენდა?! მე იორკისკენ მივემართებოდი - მითხრეს პრინცი ჯონი იქ ჯარს უყრის თავსო, და გზაში შემთხვევით შევხვდი რიჩარდს: ნამდვილი მოხეტიალე რაინდი რომ

გინახავს, ისე მოაჭენებდა აქეთკენ ცხენს, რათა თვითონვე მიეღო მონაწილეობა ებრაელი ქალისა და ტაძრელის ბრძოლაში. ჩვენი ხლებაც არ ინდომა, ძალის-ძალით გამოვყევით.

- იორკიდან რა ამბავი ისმის, მამაცო გრაფო? - ჰკითხა აივენჰომ, - შეთქმულები იქ დაგვხვდებიან?

- როგორც დეკემბრის თოვლი დახვდება ივლისის მზეს, - მიუგო გრაფმა, - წაღმა-უკუღმა გარბიან... არ იკითხავ, ვინ მოგვიტანა ეს ამბავი? თვითონ ჯონმა.

- მოღალატე! უმადური! უტიფარი მოღალატე! - შესძახა აივენჰომ, - რაო რიჩარდმა, არა ბრძანა მისი დატყვევება?

- რა სათქმელია! - უპასუხა გრაფმა, - ისე მიიღო, თითქოს ნადირობის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთსო. მერე ჩვენზე მოაშვირა ხელი და უთხრა: „ხომ ხედავ, ძმაო, ეს ხალხი შენზე გულმოსულია... ჯობს ახლავე დედაჩვენთან გაემგზავრო. სიყვარულით და მოწიწებით მომიკითხე და მანამ ხალხი დამშვიდდებოდეს, შენც იქ დამელოდე“.

- სხვა არაფერი უთქვამს? - ჰკითხა აივენჰომ, - ამის შემდეგ რაღა დასაძრახი იქნება, ვინმემ რომ თქვას - მეფე თავის გულკეთილობით თვითონვე აქეზებს მოღალატეებსო?!

- მართალი ხარ! - მიუგო გრაფმა, - ასევე შეუძლიათ თქვან, კაცი თვითონვე ეძებს სიკვდილსო, როცა საშიში ჭრილობა არ მოშუშებია და მაინც საბროლველად გადის!

- ეგ ხუმრობა მიპატიებია, გრაფო, - უთხრა აივენჰომ, - მაგრამ ეგეც გახსოვდეს, რომ მე მხოლოდ საკუთარი თავი ჩავაგდე განსაცდელში, რიჩარდმა კი მთელი სამეფოს კეთილდღეობა.

- ვინც საკუთარ თავზე არა ზრუნავს, იშვიათად რომ სხავზე ზრუნვით შეიწუხოს თავი... მაგრამ ამ ლაპარაკს მოვეშვათ და ციხისკენ გავეშუროთ, რადგან რიჩარდს გადაუწყვეტია შეთქმულების ზოგი მონაწილე დასაჯოს, თუმცა ყველაზე მთავარს აპატია.

როგორც ჟამთააღმწერლის გადმოცემიდან ჩანს, სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, რომ მორის დე ბრასი გაიქცა და საფრანგეთის მეფე ფილიპეს სამსახურში შევიდა; ფილიპ მალვუაზენი და მისი ძმა - ტემპლსტოუს მონასტრის მოძღვარი ალბერტი სიკვდილით დასაჯეს; შეთქმულების სულსა და გულს ვოლდემარ ფიცურსს სამშობლოდან განდევნა აკმარეს;

პრინც ჯონს კი, ვის გამოც მოხდა მთელი ეს მღელვარება, მისმა კეთილმა ძმამ საყვედურიც არ აკადრა. მაგრამ,

არც ერთი მალვუაზენი არ შესცოდებია ხალხს, რადგან ათასნაირი ორ-პირობის, გულქვაობისა და გაუტანლობის გამო სიკვდილი მართლაც რომ ახი იყო მათზე.

ღვთის სამსჯავროს შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ სედრიკ საქსონელი მიიწვიეს რიჩარდის სამეფო კარზე, რომელიც, ჯონის პატივმოყვარული ზრახვების გამო აჯანყებული საგრაფოების დაშოშმინებამდე, მეფემ დროებით იორკში გადაიტანა. მიწვევა რომ მიიღო, სედრიკმა ბევრი იფშვინვა და ივიშვიშა, მაგრამ ბოლოს მაინც დაემორჩილა. საქმე ის არის, რომ რიჩარდის დაბრუნებამ საქსონელთა დინასტიის აღდგენის ყოველგვარი იმედი გადაუწყვიტა სედრიკს: შინა ომიც რომ ატეხილიყო, საქსონელებს ისეთი არავინა ჰყავდათ, რიჩარდის წინააღმდეგ გამოეყვანათ სამეფო ტახტზე ასაყვანად, რადგან რიჩარდის გავლენა ძლიერი იყო, პირადი ღირსებებისა და საბძოლო დიდების გამო ხალხი მას თაყვანსა სცემდა, მიუხედავად იმისა, რომ დაუდევარი თვითნებობით მართავდა ქვეყანას - ხან მიუტევებლად შემწყალე იყო, ხან კი მეტისმეტად მრისხანე.

გარდა ამისა, უკვე თვით სედრიკიც იძულებული გახდა დარწმუნებულიყო, რომ როენასა და ათელსტანის შეუღლების მეშვეობით საქსონელთა სამეფო გვარების გაერთიანებაზე ფიქრი ამაო იყო. თვითონ ისე თავგამოდებით იღვწოდა ამ გარემოებისათვის, რომ აღარც კი უნდოდა დაეჯერებინა საქმის ჩაშლა, არ უნდოდა ერწმუნა, რომ საქსონელთა ორივე გვარის

შთამომავალნი პირად გულისთქმას აჰყვებოდნენ და დაჰგმობდნენ ჯვარისწერას, რაც მთელი ერის კეთილღეობას მოასწავებდა. მაგრამ თავზეით ძალა არ არის! როენა არასოდეს არ მალავდა ათელსტანის მიმართ ზიზღს, ახლა კი ათელსტანიც არანაკლები სიცხადით და პირდაპირობით ამბობდა - როენას ცოლობას აღარ ვთხოვო. ასეთი დაბრკოლებების წინაშე სედრიკის თანდაყოლილი სიჯიუტეც კი გატყდა, რადგან ქალიცა და კაციც თავთავისთვის მიიწევდნენ; სედრიკს ცალი ხელი ერთისთვის უნდა ჩაევლო, ცალი მეორისთვის და ისე შეეერთებინა, ეს კი მის ძალას აღემატებოდა. მაინც არ მოეშვა, და გადაწყვიტა ერთხელ კიდევ მიეტანა ენერგიული იერიში ათელსტანზე. მაგრამ საქსონელ მეფეთა ამ მკვდრეთით აღმდგარ

შთამომავალს რომ ეწვია, ჩვენი დროის მემამულეების მსგავსად, ისიც სამღვდელოებასთან მძვინვარე ომში გართული ნახა.

პირველად ხომ სიკვდილითა და ვაი-უბედურებით ემუქრებოდა ათელსტანი წმიდა ედმუნდის აბატს, მაგრამ, ეტყობა, თანდათანობით გამოუნელდა შურისძიების ცეცხლი - ან თანდაყოლილი სიზარმაცისა და გულკეთილობის გამო, ან არადა დედის შეგონებით, რომელიც, სხვა იმდროინდელი ქალების მსგავსად, დიდ პატივსა სცემდა სამღვდელო პირებს. იმასღა დასჯერდა, რომ აბატიცა და მისი ბერებიც სამი დღით გამოამწყვდევინა კონინგსბურგის დილეგში და საჭმელიც ძალიან ცოტა დაუნიშნა. ამისთანა სისასტიკის გამო აბატი შეჩვენებით დაემუქრა ათელსტანს, შეადგინა საშინელი სია კუჭ-ნაწლავის დაავადებისა, რაც მასა და მის ბერებს შეჰყარა

შიმშილმა და უკანონო და სასტიკმა ტყვეობამ. ათელსტანის გონება მთლიანად ამ დავაზე ფიქრს მოეცვა, ათასნაირ ოინს იგონებდა, თუ როგორ დაეცვა თავი სამღვდლოების დევნისაგან; ამიტომ, სედრიკი რომ ესტუმრა, მის თავში სხვა ფიქრის ადგილი აღარც იყო დარჩენილი. ხოლო როცა როენა უხსენეს, თასი აავსო და ქალის სადღეგრძელო შესვა, უსურვა - სულ მალე შევსწრებოდეთ მაგისა და ჩემი ნათესავი უილფრედის ქორწილსაო. ყველაფერი ამაო გამოდგა. სედრიკი ვეღარაფერს გახდებოდა ათელსტანთან. ანუ, ვამბას მოსწრებული თქმისა არ იყოს (რამაც იქიდან მოკიდებული აგერ ჩვენს დრომდეც მოაღწია) - იმნაირი მამალი გამოდგა, რომელსაც ვერასდიდებით საჩხუბრად ვერ გააგდებ.

ბოლოს და ბოლოს, მიჯნურებს ორი დაბრკოლებაღა დარჩათ - სედრიკის ჯიუტობა და ის დიდი სიძულვილი, რასაც იგი ნორმანელთა დინასტიის მიმართ იჩენდა. პირველი დაბრკოლება თანდათანობით მოიშალა - ამაში დიდი როლი შეასრულა თვით როენას ალერსიანმა მოპყრობამ აღმზრდელის მიმართ, აგრეთვე სიამაყემ, რაც არ შეიძლებოდა სედრიკს არ ეგრძნო შვილის საქვეყნო დიდების გამო. თან, ისიც დიდ რამედ უღირდა სედრიკს, რომ მისი გვარი ალფრედის შთამომავლობას უმოყვრდებოდა, რაკი ედვარდ აღმსარებლის მემკვიდრემ არ ინდომა ეს პატივი.

ნორმანელ მეფეთა მიმართ ზიზღიც თანდათანობით გაუნელდა სედრიკს. ჯერ ერთი, აშკარად

ხედავდა, რომ ინგლისი ახალ დინასტიას თავს ვერ დააღწევდა, ხოლო ეს ისეთი გრძნობაა, რაც ქვეშევრდომებს ტახტზე ასული მეფის მიმართ ერთგულებას უმტკიცებს ხოლმე. მეორეც - თვით რიჩარდ მეფე განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა სედრიკს: მისი ტლანქი იუმორი მოსწონდა, და, იმავე ჟამთაღმწერლის ენით თუ ვიტყვით, ერთი კვირაც არ მიწურულიყო, რომ საქსონელი სამეფო კარს ეწვია, როენასა და უილფრედ აივენჰოს ქორწინების თანხმობა განაცხადა.

ჩვენი გმირის ჯვრისწერა, რაც ფორმალურად მამამისმა დაამტკიცა, საბოლოოდ იორკის დიდებულ კათედრალურ ტაძარში დაგვირგვინდა. თვითონ მეფეც დაესწრო ჯვრისწერას და ისეთი თანაგრძნობა გამოამჟღავნა ამ საქმეშიაც და ბევრ სხვა რამეშიაც, აქამდე დაჩაგრულ და შევიწროებულ საქსონელთა მიმართ, რომ ეს ხალხი საბოლოოდ დარწმუნდა - კანონიერი უფლებების დაცვა მშვიდობიანი გზით უფრო იყო შესაძლებელი, ვიდრე მეტად სახიფათო საშინაო ომების მეოხებით.

კოხტად და ლაზათიანად გამოწყობილი გურთი მეაბჯრედ ახლდა თავის ახალგაზრდა ბატონს, რომელსაც მართლაც რომ ერთგული სამსახური დაუმტკიცა. თავდადებულმა ვამბამაც ვერცხლის ჟღარუნებიანი ახალთახალი ჩაჩი მიიღო. ისინი უილფრედის ჭირსა და უბედურებას ხომ ხალისით ინაწილებდნენ, ამიტომ უფლება ჰქონდათ მისი კეთიდღეობის მონაწილენიც გამხდარიყვნენ.

მაგრამ შინაური მხლებლების გარდა, ეს მაღალსახსოვარი ქორწინება წარჩინებულ ნორმანთა და საქსონელთა დასწრებამაც დაამშვენა. აქვე იყვნენ ამ ორი ხალხის უფრო დაბალი წარმომადგენლებიც და, ამგვარად, ეს ჯვრისწერა საწინდარი გახდა ორი ხალხის სამუდამო დაზავების და კეთილურთიერთობისა. იმ დროიდან მოკიდებული, მართლაც, ისე გაითქვიფა ეს ხალხი ერთმანეთში, რომ გამორჩევა და გამოცალკევება უკვე შეუძლებელი იყო. სედრიკიც მოესწრო იმ დროს, როცა ამ ორი ხალხის სრული შერწყმა დასასრულს უახლოვდებოდა. გახშირდა ურთიერთშორის ქორწინება და დამოყვრება, ამან კი ნორმანთა ქედმაღლური ზიზღი გააქრო, ხოლო მოუხეშავი საქსონელები თანდათანობით დაიხვეწნენ. ის არეული ენა კი, რასაც ჩვენ ახლა ინგლისურს ვეძახით, ლონდონის სამეფო კარზე მხო-

ლოდ ედვარდ მესამის მეფობის დროს დამკვიდრდა, და, მთლიანად ალბათ, სწორედ მაშინ გაქრა ნორმანთა და საქსონელთა შორის შუღლი და მტრობა.

ამ ბედნიერი ქორწილის სწორედ მეორე დილას, ელგითამ ქალბატონ როენას მოახსენა, ვიღაც ქალს შენი ნახვა სურს, ოღონდ ცალკე უნდა გელაპარაკოსო, როენას გაუკვირდა, შეჭოჭმანდა, მაგრამ ბოლოს ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია, მოახლეები დაითხოვა და უცნობი ქალის შემოყვანა ბრძანა.

შემოვიდა მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი. გრძელი თეთრი ჩადრი, რომელშიაც იგი

გახვეულიყო, უფრო გამოჰკვეთდა, დაფარვით კი ოდნავაც კი ვერ ფარავდა მისი სხეულის სიკოხტავესა და მოხდენილობას. მოკრძალებით შემოვიდა, მაგრამ ამ მოკრძალებაში ერთი ბეწოთიც არ იგრძნობოდა არც შიში და არც იმის სურვილი, რომ გულმოწყალება დაემსახურებინა. როენა მუდამ მზად იყო ხოლმე, ანგარიში გაეწია სხვებისათვის და თანაგრძნობით მოპყრობოდა ხალხს. წამოდგა და მშვენიერ სტუმარს სკამი შესთავაზა... მაგრამ უცნობმა ელგითას გადახედა და კიდევ გაიმეორა თხოვნა, ცალკე მინდა გელეპერაკოო. ელგითა უხალისოდ გავიდა ოთახიდან. და მაშინვე, ქალბატონ აივენჰოს გასაკვირად, მშვენიერმა სტუმარმა ცალ მუხლზე დაიჩოქა, ხელები შუბლზე მიიდო, თავი იატაკამდე დახარა და როენას წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი კაბის ქობას ემთხვია.

- რას ნიშნავს ეს, ქალბატონო? - ჰკითხა გაკვირვებულმა პატარძალმა, - ამ უჩვეულო პატივისცემას რატომ იჩენ ჩემს მიმართ?

რებეკა წამოდგა და ღირსეულის თავდაჭერით და სიდინჯით უთხრა: - იმიტომ, ქალბატონო აივენჰო, რომ შენთან უფრო თამამად და პირდაპირ შემიძლია გამოვთქვა მადლობა, რაც უილფრედ აივენჰოსთვის უნდა მომეხსენებინა... მე... მაპატიე კადნიერება, რომ ჩემი ხალხის ჩვეულების მიხედვით გამოვხატავ პატივისცემას... მე ის უბედური ებრაელი ქალი ვარ, ვისთვისაც შენმა ქმარმა თავის განწირვა ინება და ტემპლსტოუს მოედანზე საშიშ მტერს შეებრძოლა.

- ქალიშვილო,- მიუგო როენამ, - უილფრედ აივენჰომ მაშინ მხოლოდ ნაწილობრივ გადაიხადა იმ უანგარო სიკეთის სამაგიერო, რაც შენ აღმოუჩინე დაჭრილსა და გაჭირვებაში მყოფს. მითხარი, კიდევ ხომ არ შეგვიძლია სამსახური გაგიწიოთ - ან მე, ან იმან?

- არა, - უპასუხა რებეკამ მშიდად, - მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ ამ გამომშვიდობებისას, ჩემი სალამი და მადლობა გადასცე უილფრედ აივენჰოს.

- მაშ ინგლისიდან მიემგზავრები? - ჰკითხა როენამ, რომელიც ისე გაეკვირვებინა ამ უცნაურ სტუმრობას, რომ ჯერაც ვერ მოსულიყო გონს.

- დიახ, მივდივარ ქალბატონო, ამ თვის დამლევამდე უნდა წავიდეთ. მამაჩემის ძმას გრენადის მეფე მუჰამედ ბუაბდილი წყალობის თვალით უყურებს... და ჩვენც იქითკენ მივემგზავრებით. უშიშრადა და უდრტვინველად მაინც ვიცხოვრებთ, მუსულმანები ჩვენს ხალხს ხარკს ართმევენ ხოლმე და სამაგიეროდ ხელს აღარ ახლებენ.

- ინგლისში კი არა ცხოვრობთ უშიშრად? - ჰკითხა როენამ, - ჩემი ქმარი მეფესთან დაახლოებულია... თვითონ მეფეც ძალიან სამართლიანი და გულმოწყალეა.

- მაგისი ეჭვი არა მაქვს ქალბატონო, - მიუგო რებეკამ, - მაგრამ ინგლისელები მძვინვარე და მოუსვენარი ხალხია, განუწყვეტელი ჩხუბი აქვთ ხოლმე ერთმანეთში და მეზობლებთან, ხმალი მუდამ ხელში უჭირავთ, რომ ერთმანეთს ატაკონ. ჩვენს ხალხს აქ მშვიდობიანად ვერ ეცხოვრება. ეფრაიმი მხდალი მტრედია... ისახარი კი ორმაგი საპალნის ქვეშ იზნიქება. ასეთ შფოთიან ქვეყანაში, რომელსაც ირგვლივ სისხლისმსმელი მეზობლები ახვევია, ხოლო შიგნითაც, ერთმანეთში ვერ მორიგებულან, ხეტიალისმოყვარული ისრაელები ვერ გაიხარებენ.

- შენ, მაინც არაფრის შიში არ უნდა გქონდეს, - უთხრა როენამ, - შენ დაჭრილ აივენჰოს უვლიდი, - განაგრძო მან უფრო მგზნებარედ, - და ინგლისში აღარავისი უნდა გეშინოდეს - საქსონელებიცა და ნორმანებიც პატივისცემას არ მოგაკლებენ.

- კეთილ სიტყვას ბრძანებ, ქალბატონო, - უთხრა რებეკამ, - და განზრახვა კიდევ უფრო კეთილი გაქვს... მაგრამ ეს მაინც არ მოხერხდება... ჩვენს შორის დიდი უფსკრულია. ამ უფსკრულს ვერ გადავლახავთ - რწმენაც

გვიკრძალავს ამას ორივეს და აღზრდაც. მშვიდობით... მაგრამ, მანამ წვიდოდე, ერთი სათხოვარი შემისრულე, საქორწინო პირბადე გაქვს ჩამოფარებული: აიხადე და დამანახე ის მშვენიერი სახე, რომელიც მთელი ქვეყნის სათაყავნო გამხდარა.

- არა მგონია, ნახვად ღირდეს, - მიუგო როენამ, - მაგრამ იმის იმედით, რომ ჩემი სტუმარიც მომბაძავს-მეთქი, მაინც ავიხდი.

მართლაც აიხადა პირბადე და ნაწილობრივ თავისი სილამაზის შეგრძნებით, ნაწილობრივ სიმორცხვის გამო წამოწითლდა - ღაწვები, ყელი და მკერდი ერთიანად შეუფაკლდა. რებეკაც გაწითდა, მაგრამ სულ ერთის წუთით: მალე უფრო მაღალმა გრძნობამ მოიცვა და თანდათანობით ისე გადაუარა სიწითლემ, როგორც გაწითლებული ღრუბელი იცვლის ხოლმე ფერს მზის ჩასვლის წინ.

- ქალბატონო, - მიმართა რებეკამ, - შენი სახე, რისი ნახვის ღირსიც გამხადე ახლა, დიდხანს არ წაიშლება ჩემს მეხსიერებაში. მასზე აღბეჭდილია სათნოება და კეთილშობილება. და თუ ამ მშვენიერებას ამქვეყნიური ქედმაღლობა და პატივმოყვარეობაც ახლავს, რად უნდა გავკიცხოთ მიწიერი გრძნობებისათვის მიწიერი არსება! დიდხანს, დიდხანს მემახსოვრება, შენი სახე და ვმადლობ ღმერთს, რომ ჩემს კეთილშობილ დამხსნელს შეუღლებულს ვტოვებ ასეთ...

სიტყვა გაუწყდა - თვალები ცრემლებით დაენამა. სწრაფადვე მოიწმინდა და როენას შეშფოთებულ შეკითხვაზე უპასუხა:

- არა, ქლბატონო, კარგადა ვარ... ძალიან კარგად... მაგრამ ტორკილსტონისა და ტემპლსტოუს საასპარეზო მოედანი რომ გამახსენდება, გული ყელში მებჯინება. მშვიდობით, თუმცა ერთი პატარა სათხოვარი კიდევ დამრჩა. ეს კოლოფი მინდა მოგიძღვნა. ნუ შეგაშფოთებს ის, რასაც შიგ ნახავ.

როენამ გახსნა პატარა, მოვერცხლილი კოლოფი და შიგ უძვირფასესი ბრიალიანტის შიბი და საყურეები დაინახა.

- არასდიდებით! - უთხრა მან და კოლოფი უკანვე გაუწოდა, - ასეთი ძვირფასი საჩუქრის მიღებას მე ვერ გავბედავ.

- მიიღე, ქალბატონო, - უთხრა რებეკამ, - თქვენ ძალა-უფლება გაქვთ, გავლენა, ჩამომავლობა... ჩვენ კი სიმდიდრეღა შეგვრჩა - წყარო ჩვენი ძლიერებისა და უძლურებისაც. ათჯერაც იმაზე მეტი ფასი რომ ჰქონდეს ამ ნივთს, რაც სინამდვილეში აქვს, ნახევრადაც ვერ გადასწონის იმას, რასაც

შენ შენი უბრალო სურვილით მიაღწევ, ამიტომ, შენთვის ბევრი არაფერი ღირს ეგ საჩუქარი, ჩემთვის კი - მით უმეტეს. ნუ მაფიქრებინებ, თითქოს შენც ისე გძულდეს ჩემი ხალხი, როგორც შენს თანამემამულეებს სძულთ. ხომ არ გგონია, ამ ელვარე ქვებს ჩემს თავისუფლებაზე მაღლა ვაყენებდე?! ან მამაჩემს მიაჩნდეს თავისი ქალის პატიოსნებაზე უფრო ძვირფასად?!. მიიღე, ქალბატონო... ჩემთვის ეგ არაფერს წაროადგენს, სულ ერთია, მაინც აღარ გავიკეთებ ამას იქით ბრილიანტებს.

- მაშ, უბედური ყოფილხარ! - უთხრა როენამ, რომელსაც გული ჩასწყვიტა რებეკას უკანასკნელმა სიტყვებმა, - დარჩი ჩვენთან... ჩვენი წმინდა ადამიანების შეგონება დაგაგმობინებს შენს მცდარ რწმენას, მეც შენი და გავხდები.

- არა, ქალბატონო, - ნაღვლიანად მიუგო რებეკამ; ეს ნაღველი სახეზედაც ისევე აღბეჭდოდა, როგორც თავის რბილ ხმაში, - ეგ არ მოხდება. მამაპაპათა რჯულს ტანსაცმელივით ვერ გამოვიცვლი, რასაც იმ ქვეყნის ჰავას ვუგუებთ ხოლმე, საცა საცხოვრებლად მოვხვდებით. არც უბედური ვიქნები, ქალბატონო, ვისაც სიცოცხლეს ვწირავ, ის იქნება ჩემი ნუგეშისმცემელი... ოღონ კი მისი ნება შემასრულებინა!

- მაშ, თქვენცა გაქვთ მონასტრები, რომ იქ ეძიო მყუდროება? - ჰკითხა როენამ.

- არა, ქალბატონო, - მიუგო ებრაელმა, - მაგრამ ჩვენს ხალხში, აბრაამის დროიდან მოკიდებული, მუდამ ყოფილან ისეთი ქალები, რომლებიც თავიანთ ფიქრსა და სულს ზეცას სწირავდნენ, ხოლო საქმითა და სათნოებით ხალხს ემსახურებოდნენ - სნეულებს უვლიდნენ, დამშეულთ აპურებდნენ, გაჭირვებულთ ხელს უმართავდნენ... რებეკაც ამისთანა საქმეს შეეწირება. ასევე უთხარი შენს ქმარსაც, თუ ოდესმე დაინტერესდეს იმ ქალის ბედით, ვისაც მან სიცოცხლე უბოძა.

ხმა უნებურად აუთრთოლდა. და ამ ხმაში ისეთი ალერსი გაისმა, რისი გამჟღავნებაც ეტყობოდა არ ეწადა.

- მშვიდობით, - თქვა მან, - მისი წყალობა ნუ მოგკლებიდეს, ვისაც ქრისტიანიც შეუქმნია ამ ქვეყნად და ებრაელიც, ხომალდი უკვე მზად იქნება, მანამ ჩვენ ნავსადგურამდე მივაღწევდეთ.

რებეკა წყნარად გამოვიდა ოთახიდან, როენა ისე გაკვირვებული დატოვა, თითქოს წამიერად მოჩვენება გამოცხადებოდეს. მშვენიერმა საქსონელმა ამ უცნაური შეხვედრის ამბავი მერე ქმარსაც გადასცა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა მასზე. აივენჰომ დიდხანს იცოცხლა ბედნიერად როენასთან ერთად - რადგან დიდი ხნიდან უყვარდათ ერთმანეთი; და რაც მეტი დაბრკოლება შეხვდათ ჯვრისდაწერამდე, მით უფრო ძლიერი გამოდგა მათი სიყვარული. რა საჭიროა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინოთ და ვიკითხოთ, იმაზე უფრო ხშირხშირად თუ გაიხსენებდა ხოლმე აივენჰო რებეკას სიტურფესა და დიდსულოვნებას, ვიდრე ამას ალფრედის მშვენიერი შთამომავალი მოუწონებდა.

აივენჰო განსაკუთრებულის ერთგულებით ემსახურებოდა რიჩარდს და არც მას მოჰკლებია მეფის წყალობა. კიდევ უფრო მეტ წარმატებასაც მიაღწევდა, რომ გმირი ლომგული მოულოდნელად არ მომკვდარიყო შალიუს ციხე-დარბაზის წინ, ლიმოჟის მახლობლად. ამ დიდსულოვან, მაგრამ წინდაუხედავ მეფესთან ერთად აივენჰოს პატივმოყვარული ოცნებანი და მისწრაფებანიც გაქრა. რიჩარდზე, მცირე შესწორებით, ჯონსონის ლექსი იქნება ზედგამოჭრილი, რომელიც მან კარლოს შვედელის სახსოვრად შეთხზა

უცხო ქვეყანას აღესრულა ციხის ბჭეებთან...
ეს ბედის წიგნში ეწერა და ღმერთსაც ენება.
ლაჩარმა მტერმა საუკუნოდ მზე დაუბნელა,
ვისი შეხედვაც თავზარს სცემდა ქვეყნიერებას.

სქოლიო

[1] ვარდების ომი - ამ სახელწოდებით არის ცნობილი ინგლისელ ფეოდალთა შორის ატეხილი ბრძოლა ტახტისათვის მე- 15 საუკუნეში (1460-1485). ლანკასტერების დინასტია წითელ ვარდს წარმოადგენდა(ღერბზე წითელი ვარდი ჰქონდათ გამოსახული), ხოლო იორკელებისა - თეთრს.

[2] რიჩარდ პირველი - ინგლისის მეფე (1189-1199), რომელიც თავისი გასაოცარი მამაცობისა და შეუპოვრობის გამო უფრო რიჩარდ ლომგულის სახელით არის ცნობილი, პლანტაგენეტთა დინასტიის წარმომადგენელი, შვილი ჰენრი მეორე პლანტაგენეტისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობაში (1190-1192) საფრანგეთის მემფე ფილიპე მეორესთან ერთად და წარმატებებსაც მიაღწია.. მაგრამ, შემდეგ, როცა მარტო დარჩა (ფილიპე მეორე საფრანგეთში გაბრუნდა), მართალია გმირულად და თავგანწირულად იბრძოდა, მაგრამ გარკვეული სამხედრო გეგმის უქონლად, ერთხანს გაუმართლდა კიდეც, ზედიზედ დაამარცხა მუსულმანთა არმიები, იერუსალიმსაც კი მიაღწია. მაგრამ იერუსალიმის აღება ვეღარ მოახერხა და მარცხი განიცადა. ამ დამარცხებამ დაარწმუნა, რომ მხო-

ლოდ საკუთარი ძალებით ვერაფერს გახდებოდა. ამას დაემატა არასასურ-ველი ცნობები შინიდან - სამშობლოში დარჩენილი მისი უმცროსი ძმა ჯონი თურმე შეთქმულებას აწყობდა ტახტის ხელში ჩასაგდებად, საფრანგეთშიაც ფილიპე მეორე მისი სამფლობელოების წარმომევას ცდილობდა... რი-ჩარდ ლომგულმა საჩქაროდ გამართა მოლაპარაკება სულთან სალადინ-თან, დასდო მასთან ზავი (საინტერესო ის არის, რომ ზავი დადებული იქნა სამი წლით, სამი თვითა და სამი დღით) და სამშობლოში გაეშურა. ზღვით გაჭიანურებულ მოგზაურობას მოერიდა რიჩარდი და გადაწყვიტა ხმელე-თით ევლო; გადაწყვეტილი ჰქონდა გადაეჭრა ევროპა და ლამანშის სრუ-ტით ინგლისს მისდგომოდა. მაგრამ გადაცმული რიჩარდი იცნეს მისმა მტრებმა და შეიპყრეს. გერმანიის იმპერატორმა ჰენრიხ VI იგი ციხეში და-ამწყვდია და რიჩარდის მომხრეებთან მოლაპარაკება გამართა მეფის გა-მოსყიდვის თაობაზე. ერთ წელზე მეტი დრო გაატარა რიჩარდ ლომგულმა ტყვეობაში. ამასობაში რიჩარდის მომხრეებს უკვე მოესწროთ პრინც ჯონის შეთქმულების დამარცხება. ტყვეობიდან დახსნილმა რიჩარდმა ცოტა ხანი გაატარა ინგლისში და მერე საფრანგეთისაკენ გასწია, რათა ფილიპე მე-ორისათვის სამფლობელოები წაერთმია. ხუთ წელიწადს გასტანა ამ ომმა. საბოლოოდ რიჩარდმა სძლია და დაიბრუნა კიდეც თავისი მიწა-წყალი. იქიდან ინგლისში აღარც კი დაბრუნებულა მოუსვენარი მეფე, ერთ-ერთი ნორმანელი ბარონის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელსაც გადმოცემით დიდძალი განძი უნდა ჰქონოდა. ამ ლაშქრობაშივე დაიღუპა იგი - მოშხამუ-ლი ისრით მოჰკლეს 1199 წელს.

[3] სტეფანე I - ინგლისის მეფე (1135-1159), მისი მეფობის დროს განუ-საზღვრელი უფლებები მოიპოვეს ფეოდალებმა და გაჩაღდა გამძინვარე-ბული ბრძოლები ცალკეულ ფეოდალთა შორის. ფეოდალები გამწარები-თა და გაფაციცებით ამაგრებდნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებს და სისხლის-მღვრელ ბრძოლას აწარმოებდნენ მეზობელი ფეოდალების წინააღმდეგ. ყველაზე მკაფიოდ და მთელი სიმწვავით სწორედ ამ პერიოდში გამომ-ჟღავნდა ფეოდალების აღვირახსნილობა. საშინლად შევიწროებულმა და წელში გაწყვეტილმა გლეხებმა, რომელთა ზუგრზედაც გადადიოდა მთელი ბრძოლების სიმწარე და უბედურება, აჯანყება სცადეს. მაგრამ ეს აჯანყება სისხლში ჩახშობილ იქნა. „ რწმენისათვის წამებულებსაც კი არ განუცდიათ

ისეთი საშინელი ტანჯვა, რაც ამ ხალხმა გამოსცადაო“ სწერდა ჟამთააღ-მწერელი.

[4] ჰენრი მეორე - ინგლისის მეფე (1115-1189)), რომელმაც მარჯვედ მოახერხა სტეფანეს მეფობის დროს თავაშვებული ფეოდალების დათ-რგუნვა.

[5] ვილჰელმ, ანუ ვილჰელმ დამპყრობელი, - ინგლისის მეფე (1066-1087). ადრე ნორმანდიის ჰერცოგი, რომელმაც ნორმანელი რაინდებისა და ბარონების ხელშეწყობით გადაწყვიტა ინგლისის დაპყრობა. მან ინ-გლისში გადასხა შვიდიათასიანი ჯარი. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა ჰას-ტინგში, 1066 წლის 14 ოქტომბერს. ნორმანთა გაწვრთვნილმა მხედრობამ სძლია ინგლისელთა სუსტად შეიარაღებული ჯარი, ამავე ბრძოლაში და-იღუპა ინგლისის მეფეც, და ამის შემდეგ ვილჰელმ დამპყრობელს თითქმის აღარავითარი წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია ინგლისში.

[6] ვილჰელმ II, რომელიც ვილჰელმ წითურის სახელითაც იყო ცნობი-ლი- ინგლისის მეფე(1087-1100); გამოირჩეოდა საშინელი სისასტიკით და ულმობელობით.

[7] ედვარდ III- ინგლისის მეფე(1327-1377), რომლის ზეობის დროსაც დაიწყო ისტორიაში კარგად ცნობილი ასწლიანი ომი.

[8] დრუიდები - ძველი კელტების ქურუმები.

[9] სუაინი, პორკი-ანგლო-საქსური სიტყვაა (swine) “ღორს“ ნიშნავს, ხო-ლო ნორმანულ-ფრანგული წარმოშობის სიტყვა(pork) „ღორის ხორცს“. როგორც ტექსტიდან ჩანს,ნორმანები განუხრელად ამკვიდრებდნენ დაპ-ყრობილ ქვეყანაში თავიანთ ენას და თანდათანობით ანგლო-საქსურს ნორმანო-ფრანგული შეერია. ამ შემთხვევაში მასხარა მწარე ირონიით უს-ვამს ხაზს დამპყრობლებისადმი სიძულვილსა და მტრულ დამოკიდებულე-ბას:ღორს მოვლა-პატრონობა სჭირდება და სახელიც დაპყრობილი ხალ-ხისა შერჩა, ღორის ხორცს კი დამპყრობლები შეექცევიან და სახელწოდე-ბაც მათებური მიიღო.

[10] ოქს, კაფ, ბიფ - აქაც ისეთივე სიტუაციაა, როგორც წინა მაგალითში: „ოქს და კაფ“ ანგლო-საქსურად ხარსა და ხბოს ნიშნავს, „ბიფ“ კი ნორმა-ნულ-ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და საქონლის ხორცსა და ხბოს ხორცს ნიშნავს.

[11] ობერონი - ელფების ზღაპრული მეფე. წარმოდგენილი ჰყავდათ პატარა კაცუნას სახით. ლიტერატურაში მისი სახელი პირველად მეთორმეტე საუკუნის დასასრულს გამოჩენილა, ერთ-ერთ ფრანგულ პოემაში, მერე კი ხშირად გვხვდება შექსპირის პიესებში, ვილანდის პოემაში და სხვა. სწორედ ვილანდის პოემის მიხედვით, გერმანელმა კომპოზიტორმა ვებერმა ოპერაც დაწერა („ობერონი“).

[12] ევმეოსი - ოდისევსის ერთგული მეღორე (ჰომეროსის „ოდისეა“).

[13] სარკინოზები - არაბეთის ჩრდილოეთით მცხოვრები არაბული ტომი. მერე ყველა არაბს ეძახდნენ სარკინოზს, ბოლოს კი ყველა აღმოსავლელ მუსულმანს.

[14] Benedicite mes filz - ღმეთმა გაკურთხოთ, შვილებო.

[15] ოდინი - (ძველ გერმ. - ვოტანი) - ძველი გერმანელების ღვთაება, ომისა და ბრძოლების ღმერთი, რომელმაც ადამიანებს ბრძოლის ხელოვნება შეასწავლა. წარმოდგენილი ჰყავდათ ოქროს ფაფრიან ცხენზე მჯდარი, ხელში ხმალმომარჯვებული.

[16] Vae victis - ვაი დამარცხებულთ.

[17] .ჯეიმს თომსონი- ინგლისელი პოეტი, ე.წ. ადრეული სენტიმენტალიზმის წარმომადგენელი მე-18 საუკუნეში. ცნობილია მისი დიდაქტიკური ხასიათის პოემა „წელიწადის დრონი“

[18] „ცეცხლის ზარი“, ანუ ცეცხლისა და სინათლის ჩაქრობის სიგნალი- დამპყრობლებმა კანონი შემოიღეს; საღამოთი,გარკვეულ დროს, ზარი დაირეკებოდა და მის ხმაზე სახლებში სინათლე და ცეცხლი უნდა ჩაექროთ. ამის აღმნიშვნელი ინგლისური თარგმანი „curfew“ ფრანგული გამოთქმიდან „couvre-feu“ არის ნაწარმოები(feu ფრანგულად ცეცხლს ნიშნავს).

[19] ყველაზე უბრძნესი მეფე - იგულისხმება ისრელთა და იუდეველთა გაერთიანებული სამეფოს მეფე სოლომონი.

[20] Gave le Gorbeau – უფრთხილდი ყორანს.

[21] ტაძრელი რაინდები, ანუ უბრალოდ, ტაძრელები - ერთ-ერთი სასულიერო-რაინდული ორდენი, რომელიც ჯვაროსნული ომების დროს დაარსდა, მე-12 საუკუნეში. ორდენის პირდაპირი მოვალეობა იყო მუსულმანებისაგან დაეცვათ ევროპელ ფეოდალთა და ვაჭართა მამულები და ქონება აღმოსავლეთში. ამ ორდენის დაარსებას მიაწერენ ბურგუნდიის ჰერცოგს ჰუგო დე პეინს.

[22] Gave adsum - გაფრთხილდი, აქა ვარ!

[23] .ალფრედი-ინგლისის მეფე (მეცხრე საუკუნე), რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ანგლო-საქსური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში.

[24] Beau-seant - ტაძრის რაინდების ბაირაღს ერქვა, ნახევარი შავი იყო და ნახევარი თეთრი, იმის ნიშნად, რომ ქრისტიანების მიმართ სათნო და შემწყნარებელნი იყვნენ, ურჯულოებისათვის კი - სასტიკი და ულმობელნი (ავტორის შენიშვნა).

[25] ასკალონი - ქალაქი პალესტინაში , ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ასკალონის მისადგომებთან 1099 წელს ჯვაროსნებმა გაანადგურეს ეგვიპტელი სულთანის ჯარები. 1187 წელს სალადინმა აიღო ეს ქალაქი, ხოლო 1191 წელს რიჩარდ ლომგულმა დაიპყრო.

[26] ართურ მეფე - ძველი ბრიტების ლეგენდარული მეფე (V საუკუნე), რომელიც გმირულად იბრძოდა საქსი დამპყრობლების წინააღმდეგ, კელტური ფოლკლორის ცენტრალური გმირი, გადმოცემით, მას გარს ეხვია საქვეყნოდ განთქმული რაინდები, რომელთაგან ყველაზე უმამაცესთ უფლება ჰქონდათ ართურის მრგვალ მაგიდას შემოსხდომოდნენ. აქედანვეა სახელწოდება „მრგვალი მაგიდის რაინდები“.

[27] დალილა, იოლი, გოლიათი - ბიბლიის მითოლოგიური პერსონაჟები, დალილამ გაიძვერულად მაკრატლით შეაჭრა თმა თავისი ტომის მტერს სამსონს, რომელსაც მთელი ძალა სწორედ თმაში ჰქონდა. ი ო ლ ი- ჰებერის ცოლი, რომელმაც თავშესაფარი მისცა თავისი ხალხის მტერს, ბრძოლის ველიდან ლტოლვირ ვისერას, ხოლო შემდეგ ლურსმნით მოჰკლა, გ ო ლ ი ა თი - ფილისტინელების გმირი დევკაცი, რომელიც იუდეველთა მომავალმა მეფემ, ჭაბუკმა დავითმა მოჰკლა შურდულით.

[28] სალადინი - (სალაჰ-ად-დინი, 1138-1193) - ეგვიპტისა და სირიის სულთანი, გამოჩენილი სარდალი, რომელსაც ევროპაში სახელი გაუვარდა, როგორც ქრისტიანების დაუძინებელ მტერს. თავი გამოიჩინა ჯვაროსნულ ომებში ქრისტიან მეფეთა წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლით.

[29] Exceptis excipiendis – იმის გამოკლებით, რაც გამონაკლისია.

[30] არიოსტო - აღორძინების ეპოქის იტალიელი პოეტი (1474 -1533), ცნობილი რაინდული პოემის „შმაგი როლანდის“ ავტორი.

[31] De profundis clamavi - სულთქმა განსვენებულთათვის.

[32] ჰენგისტი - საქსონელთა ერთ-ერთი ტომის ბელადი. ეს ტომი დაახლოებით მე-5 საუკუნეში გადავიდა ჩრდილო გერმანიიდან ბრიტანეთში.

[33] დამოკლე - სირაკუზელების მეფის დიონისის კარისკაცი. მტარვალი მეფე განურისხდა და იმით დასაჯა, რომ მეჯლისის დროს თმის ბეწვზე დაკიდებული ხმლის ქვეშ დასვა.

[34] თომას ბეკეტი (1117-1170) - კენტერბერგის ტაძრის არქიეპისკოპოსი, ინგლისის ეკლესიის მეთაური ჰენრი II - მეფობის დროს. პაპის მხარდაჭერით თავგამოდებით ილაშქრებდა ინგლისის სამეფო ძლიერების განმტკიცების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით სასტიკად დაუპირისპირდა მეფეს. გადმოცემით, გაგულისებულმა ჰენრი II შეჰყვირა: „ნუთუ ჩემს მუქთახორა მსახურებში ერთიც არ აღმოჩნდება, რომ ეს თავხედი მღვდელი მომაშოროსო“. რაინდები ტაძარში შეუვარდნენ ბეკეტს და იქვე მოჰკლეს.

[35] Pax vobiscum - მშიდობა თქვანდა.

[36] Quidam viator incidit in latrones - ვიღაც მოგზაური ყაჩაღებს შეუპყრიათ.

[37] Nomen illis legio - მისი სახელი ლეგიონია.

[38] Corneum eructavi - გული გამისკდა.

[39] Et vobis queso, domine reverendissime, pro misericordia vestra - თქვენც, ღირსო მამაო, თქვენი გულმოწყალებისავის.

[40] Deus vobiscum - ღმერთი გფარავდეთ.

[41] De civitate dei… - ღვთის სამყაროს შესახებ...

[42] Santa Maria-წმიდაო მარიამ.

[43] Si quis suadente Diabolo - ეშმაკის შეგონებით...

[44] შაილოკი - შექსპირის ცნობიული პიესის „ვენეციელი ვაჭრის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, ძუნწი მევახშე, ისააკი ბევრ რამეში ჰგავს შაილოკს. იქ ნაგულისხმევია შაილოკის ერთ-ერთი მსახურის რეპლიკა, რომელიც ამბობს - კიდეც რომ არ მშიოდეს, ძალათი შევჭამ ამ მევახშის საჭმელს და გულზე გავხეთქავო.

[45] მოლოქი - ფინიკიელთა და კართაგენელთა, აგრეთვე ისრაელთა და იუდეველთა უძველესი მზის ღმერთი, რომელსაც მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ ხოლმე, უმთავრესად ბავშვებს.

[46] გედეონი (ბიბლია) ისრაელთა გმირი, რომელმაც მცირე რაზმით მიდიელები დაამარცხა და 40 წლის განმავლობაში იუდეველთა მეფე იყო,

იქვე - მაკაბელი - (ბიბლია) იუდეველთა რელიგიური ბრძოლების მეთაური, რომელმაც გარკვეულ პერიოდში თავისუფლება მოუტანა თავის ხალხს.

[47] კარმელიტები - კარმელის მთაზე(სირია) მოთავსებული ღვთიშობ-ლის ტაძრის ორდენის ბერები. ეს ორდენი დაფუძნებული იქნა მე-12 საუკუ-ნეში, თეთრ ბერებსაც ეძახდნენ ხოლმე.

[48] კარდეკუ - ფრანგული ვერცხლის მონეტა, ჰენრი მესამის დროინ-დელი.

[49] Manus imponere in servos Domini - ღვთისმსახურისათვის ხელის ხლება.

[50] Excommunicabo vos - განდევნა, ეკლესიისაგან განკვეთა.

[51] Propter necessitatem et ad frigus depellendum - საჭიროების გამო და სიცივისაგან თავის დასაფარავად.

[52] Latro famosus - ცნობილი ყაჩაღი.

[53] Inter res sacras - წმიდა ნაწილები.

[54] ტრისტრემი ანუ ტრისტანი - ინგლისელთა ლეგენდარული მეფის ართურის ერთ-ერთი უმამაცესი გმირი რაინდი, რომელიც ხოტბაშესხმულია მრავალ სიმღერასა და რომანში (გაიხსენეთ ტრისტანისა და იზოლდას ტრაგიკული მიჯნურობის ამბავი).

[55] Ut leo semper - რათა ძლეული იყოს ლომი.

[56] Ut ominium mulierum fugiantur oscula - რათა თავი ავარიდოთ ქა-ლების კოცნას.

[57] De lactione literarum - წერილების კითხვა.

[58] Invenientur vigilante - ფხიზელს მიუსწრეს.

[59] Vinum lactifical cor hominis - ღვინო ამხიარულებს ადამინის გულს.

[60] Rex delectabitur pulchritudine tua - მეფეც ნეტარებს შენი მშვენიე-რებით.

[61] De commilitonibus Templi in sancta civitate qui cum miserrimis mulieribus versantur, propterz obblectationem carnis - წმიდა ტაძრის მხე-დართათვის, რომელნიც ხორციელი სიამოვნებისათვის მეძავებთან დაძ-რწიან.

[62] Venite, exultemus Domino - მოდით ვადიდოთ უფალი.

[63] Semper leo percutiator - ლომი მუდამ უნდა დამარცხდეს.

[64] Auferte malum ex vobis - განდევნეთ მარტო თქვენგან.

[65] Quod nullus juxta propriam voluntatem incedat - რათა არავინ არ იმოქმედოს თავისი სურვილის მიხედვით.

[66] Ut fratres non participetn cum excommunicatis - რომ ძმები არ დაუკავშირდნენ განკვეთილებს.

[67] Ut fratres non conversantur cum extraneis mulieribus - რომ ძმები არ გამოელაპარაკონ უცხოელ ქალებს.

[68] Ut fugiantuz oscula - რათა ავირიდოთ კოცნა.

[69] Confiteor - ვაღიარებ.

[70] ათელსტანის გაცოცხლება ყოვლად დაუჯერებელ და რომანისათვისაც კი შეუფერებელ მოვლენად მიიჩნიეს და კრიტიკამ სასტიკად გამკიცხა ამისთვის. მე კი ეს ჩემი მეგობრისა და გამომცემლის თხოვნით ვქენი, რომელიც ვერანაირად ვერ შეურიგდა საქსონელის დაღუპვას და თავგამოდებით მთხოვდა, გამეცოცხლებინა იგი. - ავტორის შენიშვნა.

[71] Mort de ma vie - გათავდა ჩემი საქმე.

[72] Faites vos devoires, preux chevaliers - თქვენს საქმეს შეუდექით, მამაცნო რაინდნო.